უოლტერ სკოტი

რობ როი

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ანდუყაფარ ჭეიშვილმა

წინასიტყვაობა

(1829)

> რატომ? - რატომ და, ძველებური მარტივი წესი
> მათ შეითვისეს: ძალოვანი უძლურს არჯულებს,
> თუკი ძალა აქვს, უსათუოდ ჩაიგდებს ხელში,
> თუ შეუძლია თავისთავად შეინარჩუნებს.

უორდსუორთი, „რობ როის საფლავი“[1]

როდესაც ავტორმა განიზრახა, კიდევ ერთხელ დასხმოდა თავს გულმოწყალე მკითხველის მოთმინებას, კარგა ხანს იფიქრა და იყოყმანა სათაურის შერჩევაზე, რადგან კარგ სახელს მწერლობაშიც ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ცხოვრებაში. „რობ როი“ აწ განსვენებულმა მისტერ კონსტებლმა შემომთავაზა. დიდი გამოცდილებისა და გამჭრიახობის წყალობით მან ადვილად განჭვრიტა, რომ ამ სათაურში წიგნის პოპულარობის ჩანასახი იყო დაუნჯებული.

წინამდებარე თხზულებას ყველაზე უფრო ისეთი წინასიტყვაობა მოუხდება, რომელშიაც იმ პიროვნების ცხოვრება იქნება აღწერილი, ვისი სახელიც წიგნის ყდაზეა დაბეჭდილი - იმ საოცარი პიროვნებისა, რომლის მიერ ჩადენილი საქებარი თუ საძრახი საქმეები ესოდენ მტკიცედ შემორჩა ხალხის ხსოვნას.

რობ როის იმიტომ არ დავარდნია ასეთი სახელი, რომ დიდი გვარის შთამომავალი იყო; მართალია, კარგი გვარიშვილი გახლდათ, მაგრამ კლანის უფროსობა არ ეკუთვნოდა. არც სიმარჯვე და მოხერხებულობაა ამის მიზეზი - ფხიანი, მოუსვენარი და

გონიერი კაცი კი იყო, მაგრამ სხვა ყაჩაღებს უფრო საოცარი საქმეები ჩაუდენიათ და მაინც ვერ მოუხვეჭავთ ასეთი დიდი სახელი. თავის დიდებას რობ როი უპირატესად იმას უნდ უმადლოდეს, რომ მთიანი შოტლანდიის საზღვართან ცხოვრობდა და ისეთ ამბებს ატრიალებდა მე-18 საუკუნის დასაწყისში, თითქოს შუა საუკუნეები დაბრუნებულა და თან რობინ ჰუდი მოუყვანიაო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ამბები გლაზგოდან, ამ დიდ სავაჭრო და საუნივერსიტეტო ქალაქიდან, სულ ორმოციოდე მილის დაშორებით ხდებოდა. დიახ დედოფალ ანასა[2] და ჯორჯ I[3] კლასიკურ ხანაში შოტლანდიის მიწაზე დაუსჯელად დასეირნობდა კაცი, რომელიც თავგანწირული სიმამაცით, ენით გამოუთქმელი მოხერხებულობითა და აულაგმავი თავნებობით ამერიკელ ინდიელებსაც კი არ უდებდა ტოლს. ალბათ როგორ გაოცდებოდნენ ადისონი და პოპი, ვინმეს რომ ეთქვა, ამ კუნძულზე თქვენთან ერთად ასეთი უცნაური ქცევისა და საქმიანობის კაცი ცხოვრობსო.

მთიანეთის[4] აქეთა მხარეს ხალხი ქალაქურ, კულტურულ ცხოვრებას იყო მიჩვეული, მეორე მხარეს მცხოვრები კი ყოველ ნაბიჯზე დაუსჯელად არღვევდა წესსა და კანონს და ათასგვარ საშინელებას სჩადიოდა. სწორედ ეს მკვეთრი განსხვავება აძლიერებდა ინტერესს ამ პიროვნებისადმი და სწორედ ამიტომ არის, რომ დღესაც

მთაში თუ ბარში - კიდით კიდემდე
ყველას თვალები ცეცხლად ენთება,
როცა რობ როის ქველი სახელი
ვინმეს უეცრად გაახსენდება.[5]

რობ როის რამდენიმე უპირატესობა ჰქონდა სხვებთან შედარებით და ამის წყალობით დიდი წარმატებით ასრულებდა ამორჩეულ როლს. ამ უპირატესობათა შორის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ის გახლდათ, რომ რობ როი წარმოშობით მაკგრეგო-

რი იყო და თანაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამ მრავალჭირგამოვ-ლილ კლანთან, შესაშური სიმტკიცითა და შეუპოვრობით რომ ინარჩუნებდა მთლიანობას და მამაცურად ებრძოდა მკაცრსა და ულმობელ მართლმსაჯულებას, რომელიც გაუგონარი სისასტი-კით სდევნიდა ყველას, ვინც ამ ათვალწუნებულ გვარს ატარებ-და.

მაკგრეგორთა ისტორია ძალიან წააგავს მთიანი შოტლანდიის იმ კლანების ისტორიას, რომლებსაც უფრო ძლიერი მეზობლები თრგუნავდნენ და, საბოლოოდ, ან მთლიანად ამოჟლეტდნენ, ან აიძულებდნენ თავიანთ გვარზე უარი ეთქვათ და დამპყრობელთა გვარი მიეღოთ. მაკგრეგორთა კლანი იმით განსხვავდებოდა სხვა კლანებისაგან, რომ, რა მდგომარეობაშიც უნდა ჩავარდნი-ლიყო, მტერს თავს არ უდებდა და მედგრად იბრძოდა დამოუკი-დებლობისა და გვაროვნული ერთიანობისათვის. კლანის წარსუ-ლი, ძირითადად, ასეთია: (ოღონდ აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ჩვენი თხრობა, უპირატესად, ზეპირ გადმო-ცემებს ემყარება და მთლად სარწმუნოდ არ ჩაითვლება. უყოყმა-ნოდ მხოლოდ თხრობის იმ ნაწილებს შეიძლება ენდოთ, რომე-ლიც წერილობით წყაროებზეა დაფუძნებული):

მაკგრეგორები თავიანთ წინაპრად სკოტების მეფის ალპაინის მესამე შვილს, გრეგორს, ანუ გრეგორიუსს თვლიან. იმ ალპაინი-სა, რომელიც დაახლოებით 787 წელს გამეფებულა შოტლანდი-აში. ამიტომ, მაკგრეგორთა ძველი საგვარეულო სახელი მაკალ-პაინია და მაკგრეგორის მთელ კლანს ზოგჯერ ახლაც ასე იხსენი-ებენ, ერთ-ერთი შტო კი უშუალოდ მაკალპაინის სახელით იწო-დება. უეჭველია, რომ ეს მთიანი შოტლანდიის ერთ-ერთი უძვე-ლესი კლანია და არც მისი კელტური წარმომავლობაა საკამა-თო.

მაკგრეგორები ერთ დროს ვრცელი მამულების მფლობელე-ბი იყვნენ პერტშირსა და არგაილშირში და ჯიუტად ცდილობდნენ

ეს მამულები იმ კანონის დახმარებით შეენარჩუნებინათ, რომელიც „Coir a glaive“-ის ანუ „ხმლის კანონის“ სახელით არის ცნობილი. ამასობაში, მათმა მეზობლებმა - არგაილისა და ბრედალბეინის გრაფებმა - შესძლეს მაკგრეგორთა მამულების სახელები იმ წყალობის სიგელებში ჩაეწერებინათ, რომელთა მიღებას ადვილად ახერხებდნენ მეფისაგან. ამგვარად, ეს გრაფები მეზობლის მიწების კანონიერ მფლობელებად იქცნენ. არგაილები და ბრედალბეინები, რაღა თქმა უნდა, თავს არ იწუხებდნენ იმაზე ფიქრით, თუ რამდენად კანონიერი იყო ასეთი მოქმედება. ყოველი ბრძოლისა თუ შეტაკების შემდეგ სულ ახალ და ახალ მიწებს სტაცებდნენ თავიანთ უბირ მეზობლებს და მერე საქვეყნოდ აცხადებდნენ, მიწები მეფემ გვიწყალობაო.

მაკგრეგორთა ძარცვაში ყველაზე მარჯვედ ის ლოხუოელი დუნკან კემპბელი ირჯებოდა, ჩრდილო შოტლანდიაში „დონახე დჰუ ნან ხურეიხდს“ ანუ კაპიშონიან შავ დუნკანს რომ ეძახდნენ (რადგან ყოველთვის ამგვარ თავსაბურავს ატარებდა).

უსამართლოდ დევნილი კლანი მედგრად იცავდა თავს; დროდადრო ამარცხებდა კიდეც მომხდურს და მაშინ ულმობლად აზღვევინებდა ხოლმე ძველსა და ახალ დანაშაულს. იმდროინდელ შოტლანდიაში თითქოსდა არავის უნდა გაკვირვებოდა ასეთი მოქმედება, მაგრამ მაკგრეგორთა მტრები ყოველნაირად ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ლონდონელები, ეს კლანი ბუნებით არის ასეთი დაუნდობელი და დედაბუდიანად უნდა გაიჟლიტოსო.

1563 წლის 22 სექტემბერს (დედოფალ მერის ზეობის დროს) საიდუმლო საბჭოს მიერ სტირლინგში გამოცემული დადგენილებით უფლება ენიჭებოდათ ლორდებსა და ტომთა ბელადებს, ცეცხლითა და მახვილით ეჟლიტათ მაკგრეგორთა კლანი. ამავე წელს გამოცემული მეორე დადგენილებით ასეთივე უფლებები ეძლეოდა კაპიშონიანი დუნკანის შთამომავალს - გლენორხელ

სერ ჯონ კემპბელს. ამავე დადგენილებით ინგლისის ყველა ქვეშევრდომს ეკრძალებოდა თავშესაფარის მიცემა გრეგორთა კლანის წევრისათვის - არავის ჰქონდა უფლება, პური, წყალი და ტანსაცმელი მიეცა მაკგრეგორისათვის.

ჯონ დრამონდის ანუ დრამონდ ერნოხის, გლენარტნის სამეფოს ტყის მცველის, მკვლელობის ამბავი დაწვრილებით სხვაგან არის აღწერილი. ტყის მცველი მხეცურად მოკლეს 1589 წელს და მისი მოკვეთილი თავის ირგვლივ შემოკრებილმა მაკგრეგორებმა ფიცით დათქვეს, დანაშაული მთელმა კლანმა ავიღოთ თავზეო. ამ მკვლელობამ აიძულა საიდუმლო საბჭო, გამოეცა დადგენილება, რომლითაც ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა ცხადდებოდა „მაკგრეგორთა ურჯულო კლანის გასაჟლეტად, რომელიც ძველთაგანვე ხოცვა-ჟლეტით, ქურდობითა და მეკობრეობით არის ცნობილი“. სამი წლის განმავლობაში ყველას შეეძლო ცეცხლითა და მახვილით ეჟლიტა მაკგრეგორთა კლანის შვილები. მკითხველი ამ უჩვეულო შემთხვევის დეტალებს „მონტროზის ლეგენდის“ წინასიტყვაობაში იპოვის.

კიდევ შეიძლება მრავალი ისეთი შემთხვევის გახსენება, როდესაც მაკგრეგორები არად აგდებდნენ კანონსა და მართლმსაჯულებას, რომელიც თითქმის ყოველთვის ულმობლად დევნიდა ამ კლანს, დახმარების ხელს კი არასოდეს უწვდიდა. კლანი ზედიზედ კარგავდა მამულებს, ვეღარც ჩვეული საქმიანობით ირჩენდა თავს, მაგრამ შიმშილით ამოწყვეტის პირი მაინც არ უჩანდა: მაკგრეგორებმა ცხოვრების ახალი სახსარი იშოვეს - ჩამორთმეულ მიწებზე ჩამოსახლებულთა ქონების მიტაცება დაიწყეს, რადგან ეს ქონება თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ. ასე მიეჩვივნენ ისინი ყაჩაღობასა და სისხლის ღვრას და სულ მცირე საბაბი ჰყოფნიდათ, რომ საომრად შემართულიყვნენ. ამით მოხერხებულად სარგებლობდნენ მათი ძლიერი მეზობლები და მხატვრული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მაკგრეგორთა ხელით გამოჰქონდათ

ღველფიდან ნაკვერჩხლები. უბირი და გულუბრყვილო მეტომეები სასტიკად ისჯებოდნენ დანაშაულისათვის, სარგებელი კი მათ წამქეზებლებს რჩებოდათ. მთიან შოტლანდიაში და მის საზღვრებზე მცხოვრებ მძვინვარე კლანთა მისევა მეზობელ კლანებზე, ისტორიკოსების აზრით, უდიდეს საფრთხეს უქადდა ქვეყნის კეთილდღეობას, მაკგრეგორთა კლანი კი ამ პოლიტიკის მესვეურთა მორჩილი იარაღი იყო.

მიუხედავად სასტიკი დევნისა, რომელიც წინასწარდასახული გეგმით ხორციელდებოდა, მაკგრეგორთა კლანის ზოგიერთმა წევრმა მაინც შეინარჩუნა მამულები. 1592 წელს კლანის ბელადად გლენსტრელი ალასტერ მაკგრეგორი იხსენიება. გადმოცემით, იგი მამაცი, მარჯვე და, როგორც მისი სიკვდილისწინა აღსარებიდან ჩანს, შარიანი კაცი ყოფილა - მთელი სიცოცხლე ბრძოლებში გაუტარებია და ერთ-ერთ ბრძოლას კიდეც შესწირვია. ეს ბრძოლა, რომელშიც თვითონაც დაიღუპა და უამრავი მისიანიც გაწყდა, გლენფურთან, ლოხ ლომონდის[6] სამხრეთ-დასავლეთ ნაპირთან, გაიმართა. ამ მიდამოებში მაკგრეგორები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ძალაუფლებას „Coir a glaive“-ის ანუ, როგორც ზევით განვმარტავთ, „ხმლის კანონის“ დახმარებით.

მაკგრეგორები ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ბრძოლას ეწეოდნენ ლერდ ლუსთან, ლოხ-ლომონდის ქვემო ნაპირთან ბინადარ კოლკუჰუნის ძლიერი კლანის ბელადთან. მაკგრეგორთა საგვარეულო გადმოცემით, უთანხმოების საბაბი სულ უბრალო შემთხვევა გამხდარა: ორ მაკგრეგორს გზაზე შეღამებია და კოლკუჰუნის ერთ-ერთი ვასალის ოჯახს მისდგომია ღამის გასათევად. ვასალს უარი უთქვამს მასპინძლობაზე. მაშინ მგზავრები ბაკში შესულან, ერთი ჭედილა დაუკლავთ, შეუწვავთ და შეუჭამიათ. მერე, ვითომ მაკგრეგორებს ცხვრის საფასურიც შეუძლევიათ პატრონისათვის. ლერდმა ლუსმა შეიპყრო დამნაშავენი, სასწრაფოდ გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა (იმ დროს მსხვილ

ფეოდალებს გასამართლების უფლებაც ჰქონდათ). ასე გადმოგ-ვცემენ მაკგრეგორები მეზობლებთან მტრობის ჩამოვარდნის ამ-ბავს და მერე ანდაზას მიაყოლებენ - „ის დღე დაიქცეს, როცა ის შავი, თეთრკუდა ჭედილა დაიბადაო“ (mult dhu en Carbail ghil). ლერდმა მაკგრეგორმა გადაწყვიტა შური ეძია, თავისი კლანი შეკრიბა (300-400 კაცი) და ლოხ-ლონგის ნაპირებიდან ეგრეთ წოდებული რეიდ ნაგელის, ანუ „მთიელის ხეობის“ გავლით გა-ეშურა ლუსის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სერ ჰამფრი კულკუჰუნმა გაიგო, თავდასხმას რომ უპირებ-დნენ და მომხდურებზე ორჯერ მეტი ლაშქარი შეკრიბა. ამ ლაშ-ქარში იყვნენ ბიუხენანის კლანის ჯენტლმენები, გრემები და სხვა ლენოქსელი აზნაურები. მის დასახმარებლად მოვიდა აგრეთვე დამბარტონელ მოქალაქეთა რაზმი ტობიას სმოლეტის, ქალაქის საბჭოს მრჩევლის, ანუ ბეილის, მეთაურობით (ეს ტობიას სმოლე-ტი გამოჩენილი მწერლის წინაპარია). მოწინააღმდეგეები გლენ-ფრუნში შეხვდნენ ერთმანეთს. გლენფრუნი მწუხარების ხეობას ნიშნავს და ეს სახელწოდება ესადაგება კიდეც იქ დატრიალებულ ამბებს - მაგკრეგორთა მტრებმა იმ დღეს საბედისწერო დამარ-ცხება იგემეს, მაგრამ არც გამარჯვებულები იქნებოდნენ კარგ დღეში. ვინ იცის, რამდენი ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი დაიღუპა იმ ბრძოლაში და როგორ იმრავლებდა ალპაინის კლანი ისინი რომ ცოცხალნი დარჩენილიყვნენ!

მაკგრეგორები პირველად შეაკრთო მტრის ლაშქრის სიმრავ-ლემ, მაგრამ ისინი კლანის „სიირმა“ ანუ მისანმა გაამხნევა - უთ-ხრა, წინ მტრის ჯარს კი არა, სუდარაში გახვეულ ცხედრებს ვხე-დავო.

კლანმა გააფთრებით შეუტია მტერს წინიდან, ჯონ მაკგრე-გორმა კი ძლიერი რაზმით ფლანგიდან მიიტანა იერიში. კოლკე-ჰუნები ფლანგიდან თავდასხმას არ ელოდნენ, თანაც მათი ჯარი, მეტწილად, ცხენოსნებისაგან შედგებოდა და ვიწრო ხეობაში ვერ

გაიშალა. მიუხედავად ამისა, ისინი მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც დასჯაბნეს და გააქციეს მაკგრეგორებმა. გამარჯვებულნი ლტოლვილთ დაედევნენ და უმოწყალოდ დაუწყეს ჟლეტა. კოლკუჰუნებმა 200-300 კაცი, მაკგრეგორებმა კი მხოლოდ ორი კაცი დაკარგეს. თუ ეს გადმოცემა სწორია, მაკგრეგორებს არა ჰქონდათ იმის საბაბი, რომ ასე უმოწყალოდ გაეწყვიტათ დამარცხებული და ლტოლვილი მტერი. გამარჯვებულებს არც ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი დაუნდიათ (ეს წინდაუხედავი სტუდენტები თურმე ბრძოლის საყურებლად მოჰყოლიან კოლკუჰუნებს). ეს ამბავი მთლად სარწმუნო არ უნდა იყოს, რადგან მაკგრეგორთა ბელადის საქმეზე შემდგარ სასამართლოს განაჩენში ამაზე არაფერია ნათქვამი. სტუდენტების დახოცვის ამბავს არც ისტორიკოსი ჯონსონი და პროფესორი როსი იხსენიებენ თავიანთ წიგნში, რომელიც 29 წლის შემდეგ გამოიცა. შოტლანდიური თქმულება კი დაბეჯითებით ადასტურებს ამ ფაქტს და იმ კლდის სახელსაც გვამცნობს, სადაც ეს ხოცვა-ჟლეტა მოხდა; კლდეს დღესაც „ლეკ-ა-მინისტეირს“ ანუ „მღვდლების საფლავის ქვას“ უწოდებენ. მაკგრეგორები ამ საქმეს თავიანთ ერთ-ერთ ურჯუკ და ულმობელ თანამეგვარეს, მაკგრეგორის ძუძუმტეს, ვინმე დუგალდს მიაწერენ, რომელიც ვეება და ძალზე ღონიერი კაცი ყოფილა და მეტსახელად ქიარ-მორი ანუ ლეგა გოლიათი რქმევია. ბელადს დატყვევებული ყმაწვილები მისთვის ჩაუბარებია და უბრძანებია, ბრძოლის დამთავრებამდე არ გაუშვაო. ამ ველურმა კი სანამ სხვები მტერს მისდევდნენ, ერთიანად ამოხოცა თავისი უმწეო და უიარაღო ტყვეები. არ ვიცი, შეეშინდა, არ გამექცნენო, ან იქნებ სტუდენტებმა დაცინვა დაუწყეს მაკგრეგორებს, ანდა, შესაძლებელია, სულაც სისხლი მოსწყურდა. როდესაც ბელადი დაბრუნდა და ტყვეები მოიკითხა, ქიარ-მორმა სისხლიანი ხანჯალი ასწია და გელურად მიუგო; „აი, ამას მოჰკითხე, მე კი ღმერთმა მაპატიოსო“. ეს ბოლო სიტყვები,

იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ქიარ-მორის ზვარაკები სიკვდილის წინ ზეციური სასჯელით ემუქრებოდნენ თავიანთ მკვლელს. აქედან ჩანს, რომ ამ გადმოცემას ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად, თუმცა სამხრეთშოტლანდიურ ვერსიაში დახოცილ ყმაწვილთა რიცხვი, უდავოდ, ძალზე გაზვიადებულია. ხალხში ამბობენ, ქიარ-მორის მსხვერპლთა სისხლი დღესაც ატყვია იმ კლდეს და არც არასოდეს ჩამოირეცხებაო. ამ ამბით შეძრწუნებულ მაკგრეგორს ძუძუმტე გაულანძღავს და უთქვამს, ისეთი საქმე ჩაგიდენია, რომ შენც დაიღუპები და მთელ კლანსაც უბედურება ეწევაო. ეს ჯალათი რობ როისა და მისი შტოს წინაპარი ყოფილა. იგი ფორტინგალის ეკლესიაშია დასაფლავებული. საფლავზე უზარმაზარი ლოდი ადევს[7]. ქიარ-მორის ღონესა და სიმამაცეზე დღესაც უამრავი თქმულება დადის ხალხში[8].

მცირერიცხოვან მოკლულთა შორის მაკგრეგორის ძმაც ერია. იგი ბრძოლის ველის მახლობლად დაკრძალეს და საფლავზე ლოდი დაადეს, რომელსაც მაკგრეგორის ლეგა ლოდს უწოდებენ.

სერ ჰამფრი კოლკუჰუნი ცხენკეთილობამ იხსნა. იგი მდევრებს გაექცა და დროებით ბანოხარის, ან მეორენაირად ბუნეხრას ციხე-სიმაგრეს შეეფარა, მაგრამ ციხე-სიმაგრის კედლებმა დიდხანს ვერ იპატია: მცირე ხნის შემდეგ იქვე, თაღის ქვეშ მოკლეს. საგვარეულო მატიანე ამას მაკგრეგორებს მიაწერს, მეორე ვერსია კი მკვლელობაში მაკფარლენებს სდებს ბრალს. გლენფრიუნის ბრძოლა და ის სისასტიკე და დაუნდობლობა, რომელიც მაკგრეგორებმა გამოიჩინეს მტრის მიმართ, შემზარავ ფერებში დაუხატეს ჯეიმზ VI[9]. ამ ბრძოლამ კიდევ უფრო გაუტეხა სახელი მამაც, მაგრამ თავნება კლანს. მეფეს რომ უფრო კარგად წარმოედგინა გლენფრუნის ხეობაში დატრიალებული უბედურების სურათი, დახოცილთა ასზე მეტი ქვრივი ჩავიდა სტირლინგში. ისინი მძიმე ძაძებით იყვნენ შემოსილნი, ყველანი თეთრ

ცხენზე ისხდნენ და ყოველ მათგანს დაღუპული ქმრის სისხლიანი პერანგი ჰქონდა წამოცმული შუბლზე. ქალები ხელმწიფეს წარუდგნენ და სთხოვეს, სასტიკად დასაჯეთ, ვინც ამ საშინელ დღეში ჩაგვყარაო.

ჯეიმზ VI გულჩვილი და მგრძნობიარე კაცი იყო, ამ სანახაობამ ძალიან ააღელვა და თითქმის იმაზე მეტად დასაჯა დამნაშავეები, ვიდრე იმსახურებდნენ. საიდუმლო საბჭოს 1603 წლის 3 აპრილის ბრძანებულებით მაკგრეგორებს აეკრძალათ მამა-პაპათა გვარის ტარება. ამიერიდან, ყველა, ვინც კი გვარს არ შეიცვლიდა, სიკვდილით უნდა დასჯილიყო. გლენფრუნის ბრძოლისა და სხვა ყაჩაღური თავდასხმების მონაწილეებს (ეს თავდასხმები დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი ბრძანებულებაში) აეკრძალათ იარაღის ტარება. მათ მხოლოდ პატარა დანა შეეძლოთ ეტარებინათ საგზლის დასაჭრელად, ამ ბრძანების დამრღვევი სიკვდილით ისჯებოდა. საიდუმლო საბჭოს შემდგომი, 1613 წლის 25. ივნისის, ბრძანებულებით ყოფილ მაკგრეგორებს აეკრძალათ თავშეყრა. თუკი ჯგუფი ოთხზე მეტი კაცისაგან იქნებოდა შემდგარი, ყველა სიკვდილით დაისჯებოდა. პარლამენტის მიერ 1617 წელს გამოცემული აქტის 26-ე მუხლი ხელახლა ამტკიცებდა ამ ბრძანებულებებს და მათ მოქმედებას მაკგრეგორთა ახალ თაობაზე ავრცელებდა, რადგან იმათი შვილები, ვის წინააღმდეგაც საიდუმლო საბჭოს მიერ გამოცემული ბრძანებულებები იყო მიმართული, უკვე სრულწლოვანნი გამხდარიყვნენ და, თუ მამა-პაპათა გვარს მიიღებდნენ, კლანი კვლავ აღდგებოდა. ამ არაადამიანურ ბრძანებულებათა შესრულება დასავლეთში ძირითადად გრაფ არგაილსა და კემპბელთა ძლიერ ტომს დაევალა, აღმოსავლეთში, პერტშირის მთიან ოლქებში კი - გრაფ ეთოლსა და მის ვასალებს.

მაკგრეგორები ქედს არ უხრიდნენ მტერს და საოცარი სიმამაცით იცავდნენ საკუთარ მიწა-წყალს. მთიანი შოტლანდიის დასავ-

ლეთითა და ჩრდილოეთით მდებარე ხეობები მრავალი ფიცხელი ბრძოლების მოწმენი არიან; დევნილი კლანის შვილები დროდადრო იმარჯვებდნენ, თავიანთ დამარცხებას კი ერთობ ძლიერად უსვამდნენ მტერს. ბოლოს, თვისტომთა გაუთავებელმა ტანჯვა-წამებამ გატეხა ბელადის, ალასტერ მაკგრეგორის, სიამაყე და მან გადაწყვიტა გრაფ არგაილს ჩაბარებოდა თავის უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად. გრაფს პირობა ჩამოართვეს, რომ ტყვეებს შოტლანდიის დატოვების უფლებას მისცემდა. თუ უბედური ბელადის ჩვენებას დავუჯერებთ, მას უფლება ჰქონდა ასეთი შეღავათი მოეთხოვა გრაფისაგან, რადგან სწორედ გრაფის წაქეზებით ჰქონდა ჩადენილი ის საქმეები, რომელთა გულისთვის ახლა სასტიკად უნდა დასჯილიყო. არგაილი, როგორც მოხუცმა ბირელმა შენიშნა, შოტლანდიურად მოიქცა - არც მწვადი დაწვა და არც შამფური. მან ძლიერი რაზმის თანხლებით გადაიყვანა მაკგრეგორი საზღვარზე და შემდეგ, რადგანაც პირობა შესრულებულად მიიჩნია, ტყვეები იმავე რაზმის თანხლებით დააბრუნა უკან და ედინბურგის ციხეში გამოამწყვდია. 1605. წლის 20 იანვარს გლენსტრელის მფლობელი მაკგრეგორი წარსდგა სასამართლოს წინაშე და მიჩნეულ იქნა დამნაშავედ. როგორც ეტყობა, იგი სასამართლოს დარბაზიდანვე წაუყვანიათ ჩამოსახრჩობად, რადგან ბირელი იმავე დღეს აღნიშნავს დასჯის თარიღს. იგი გვამცნობს, მაკგრეგორი ქალაქის კარიბჭესთან ჩამოახრჩეს და თავისი ორი თანამებრძოლისაგან იმით გამოარჩიეს, რომ უფრო მაღლა ჩამოჰკიდესო. ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, მომდევნი წლის თვრამეტ თებერვალს, ამ კლანის მრავალი წევრი დასაჯეს სიკვდილით, ხოლო მარტის დასაწყისში - კიდევ რამდენიმე კაცი მიაყოლეს.

გრაფ არგაილის დამსახურება „მაკგრეგორთა თავნება, ბოროტო და გამუდმებით კანონის დამრღვევი კლანის დამორჩილებაში, აწ სამართლიანად დასჯილი მაკგრეგორისა და სხვა მე-

თაურების დაპატიმრებასა და მართლმსაჯულებისათვის გადაცემაში“ აღნიშნულია პარლამენტის 1607 წლის დადგენილების მე-16 მუხლით. ამავე დადგენილებით პარლამენტი გრაფ არგაილს უწყალობებს 20 ჩოლდერს[10] მარცვლეულის კინტაირის კლანის კუთვნილი მიწიდან. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი თავისი ბრძანებულებით მოუწოდებდა ყველას ცეცხლითა და მახვილით გაენადგურებინათ ბოროტი კლანი, ხოლო შოტანდიის ხელისუფლება მისი სახელის გაგონებაზე მოთმინებასა და საკუთარი ღირსების გრძნობას ჰკარგავდა და ზედიზედ აგზავნიდა დამსჯელ ექსპედიციებს მაკგრეგორთა ამოსაჟლეტად, მაკგრეგორები არა ტყდებოდნენ და შეუპოვრად იბრძოდნენ კლანის ერთიანობისათვის. მართალია, ისინი კანონს დამორჩილდნენ და მეზობელი ტომების სახელები დაირქვეს - დრამონდებად, კემპბელებად, გრემებად, ბიუკანანელებად, სტიუარტებად იქცნენ, ვისაც როგორ აძლევდა ხელს, მაგრამ გულით, ხასიათითა და საქციელით კვლავ გრეგორებად დარჩნენ, ყველა საქმეში, კეთილი იქნებდა თუ ბოროტი, მხარში ედგნენ ერთმანეთს და ერთისთვის რომ ეწყენინებინათ, მთელი კლანი აღსდგებოდა შურისსაძიებლად. კლანი კვლავ სასტიკად იდევნებოდა, მაგრამ თვითონაც არა რჩებოდა ვალში მოძალადეებს. ამაო იყო ყოველგვარი ცდა, კანონის ძალით გაეთიშათ მაკგრეგორები. ეს აშკარად ჩანს 1633 წელს გამოცემული სტატუტის შესავლის 30-ე მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ გრეგორთა კლანმა, დათრგუნვილმა და დამშვიდებულმა ნეტარხსენებული ხელმწიფის ჯეიმზის ცდისა და რუდუნების მეოხებით, კვლავ წამოიწყო შფოთი პერთის, სტირლინგის, ქლაკმენენის, მონტითის, ლენოქსის, ანგიუსის და მერნსის საგრაფოებში. ამიტომ სტატუტი ადასტურებს იმ ძველ დადგენილებათა ქმედუნარიანობას, რომლითაც კლანს ჩამორთმეული აქვს ყოველგვარი უფლება და ადგენს, რომ განუხრელად

უნდა შესრულდეს ამ ბოროტი და მოუსვენარი კლანის დასათ-რგუნავად გამოცემული ყველა კანონი.

აი, ასეთ დაუნდობელ ღონისძიებებს ატარებდნენ ჯეიმზ I[11] და ჩარლზ I[12] იმ უბედური ხალხის წინააღმდეგ, რომელიც თვი-თონ გამოჰყავდათ მოთმინებიდან უსამართლობით და მერე კი, როცა დევნილი და შევიწროებული კლანი გრძნობდნენ ვეღარ დაიოკებდა, სასტიკად უხდიდნენ სამაგიეროს. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო ომის დროს მაკგრეგორები ერთსულოვნად დად-გნენ განდევნილი მეფის დროშის ქვეშ. მათი ბარდები შეეცადნენ აეხსნათ ეს ერთსულოვნება - მაკგრეგორები იმთავითვე შოტ-ლანდიის მეფეთა ერთგულნი იყვნენ, რადგან თვითონ მათი წი-ნაპრები ატარებდნენ შოტლანდიის სამეფო გვირგვინსო და საბუ-თად თავიანთი გერბი მოჰქონდათ. გერბზე ასო X-ვით გადაჯვა-რედინებული შიშველი ხმლების წვერებზე დაყრდნობილი ორი ნაძვი და სამეფო გვირგვინია გამოსახული. ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ ეს თვალსაზრისი უსაფუძვლოა, მაგრამ მაინც გვგონია, რომ იაკობინელთა მხარეზე ბრძოლა უფრო მაცდუნე-ბელი იყო მაკგრეგორთათვის, ვიდრე კოვენანტერთა დაპირებე-ბი, რადგან ამით მდიდარი დაბლობის ძარცვის საშუალება ეძ-ლეოდათ და, გარდა ამისა, აჯანყებულთა მხარეზე რომ დამდგა-რიყვნენ, მთიანი შოტლანდიის სხვა მძვინვარე კლანებს უნდა და-პირისპირებოდნენ. კლანს პატრიკ მაკ მაკგრეგორი ჩაუდგა სათა-ვეში, გამოჩენილი ბელადის დუნკან აბრახის შვილი. მონტროზი წერილებში სანდო და ერთგულ მეგობრად იხსენიებს პატრიკ მაკგრეგორს და ჰპირდება, მომავალში, როცა მისი უდიდებულე-სობის საქმე გამოსწორდება, თქვენს კლანს აღარავინ დაჩაგრავ-სო. ამ ვაგლახი და აფორიაქებული დროების შემდგომ პერიოდ-ში, სახელდობრ, 1651 წელს, როცა შოტლანდიის პარლამენტმა მოუწოდა ყველა კლანს უკუეგდო რესპუბლიკელთა არმია, მაკ-გრეგორებმა საზღაურად ძველ უფლებებში აღდგენა მოითხოვეს.

ზემოხსენებული წლის მარტის ბოლო დღეს კალუმ მაკკონდახიმ, ვიხ იუენმა და იუენ მაკკონდახი იუენმა თავიანთი და ყველა მაკ-გრეგორის სახელით თხოვნა მიართვეს მეფესა და პარლამენტს. თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ, როდესაც მთხოვნელებმა, თა-ნახმად პარლამენტის მიერ ყველა კლანისათვის სავალდებულო ბრძანებისა, თავიანთ ბელადის მეთაურობით რჯულის, სახელ-მწიფოსა და ორივე სამეფოს დასაცავად მდინარე ფორტის სათა-ვესთან მოიყარეს თავი და დააპირეს ხეობების გამაგრება, ეთო-ლის გრაფმა და ლერდმა ბიუხენანმა ხელი შეუშალეს ამ საქმეში: მოითხოვეს გრეგორთა კლანის ზოგიერთი მეომარი მათ რაზმებ-ში გადასულიყო. ეს არ მოხდებოდა, მაკგრეგორებს თავიანთი გვარის ტარების უფება, რომ არ ჰქონოდათ ჩამორთმეული - გრაფ ეთოლი და ლერდი ბიუხენანი იმ მეომრებს მოითხოვდნენ, რომელთაც მერისა და ბიუხენანის სახელი ჰქონდათ მიღებული.

მაკგრეგორთა პეტიცია, რომლითაც იხვეწებოდნენ სხვა კლა-ნებივით ცალკე რაზმად ვიბრძოლებთო, როგორც ჩანს, უპასუ-ხოდ დარჩა, მაგრამ, რესტავრაციის[13] შემდეგ, მეფე ჩარლზმა შოტლანდიის პირველსავე პარლამენტს (სტატუტი 1661 თავი 195) გააუქმებინა გრეგორთა წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი დადგენილებები, უფლება მისცა, ეტარებინათ საგვარეულო სახელი და ესარგებლათ ყველა იმ პრივილეგიით, რაც მეფის სხვა ერთგულ ქვეშევრდომებს ჰქონდათ მინიჭებული. ასეთი მოწ-ყალების საფუძვლად მიჩნეული იყო ის გარემოება, რომ „იმათ, ვინც ადრე მაკგრეგორებად იწოდებოდნენ, უკანასკნელი არეუ-ლობის დროს ერთგულება გამოიჩინეს მეფისადმი და მათ სავსე-ბით დაიმსახურეს ყოველგვარი ძველი დანაშაულის პატიება“.

საკმაოდ უცნაურია, რომ ნონკომფორმისტი პრესვიტერიანე-ლები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ თვითონაც განიცდიდ-ნენ უსამართლო დევნას საშინლად აღაშფოთა პარლამენტის ლმობიერებამ. ეტყობა, მარტო ცუდს კი არა, კარგ ხალხსაც

არად მიაჩნდა სხვისი ჭირი. ამ ბედუკუღმართ კლანს რესტავრაციის შემდეგაც არ გამოლევია მტრები და მათი მცდელობით კვლავ აღადგინეს ის კანონები, რომლებიც მაკგრეგორთა დასჯის უფლებას იძლეოდა. ალბათ, შემდგომში გლენკოში[14] გამართული ხოცვა-ჟლეტაც მტრების ხრიკებით იყო გამოწვეული. არ არის ცნობილი, თუ რის საფუძველზე აღადგინეს ეს კანონები. სტატუტში არსაც არის მოხსენიებული, რომ კლანმა რაიმე ახალი დანაშაული ჩაიდინა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონის ის მუხლი, რომლებიც მაკგრეგორებს ეხებოდა, განზრახ იყო შედგენილი ასეთი ფორმით (ალბათ, იმიტომ, რომ თვალში არავის მოხვედროდა და ადვილად დაემტკიცებინათ). კანონი, რომელიც ულმობლად თრგუნავდა შოტლანდიის მრავალრიცხოვან ქვეშევრდომთა ინტერესებს, არ არის მოხსენიებული არც პარლამენტის 1693 წლის აქტის შესავალში, არც ქვეთავებში და მხოლოდ ამ აქტის 61-ე თავის („მართლმსაჯულება ზემო შოტლანდიაში“) მოკლე დამატების სახით არის წარმოდგენილი.

თუმცა, როგორც ჩანს, რევოლუციის შემდეგ ძველებური სიმკაცრით აღარ იცავდნენ კლანის დასათრგუნავად გამოცემულ კანონებს, ხოლო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში თითქმის დაივიწყეს მათი არსებობა. ამ ხანებში თემთა პალატის წევრებშიც ვხვდებით ამ აკრძალული გვარის წარმომადგენლებს, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და ადმინისტრაციულ დადგენილებებს უკვე მაკგრეგორებიც აწერენ ხელს, მაგრამ კანონები ჯერ კიდევ არ იყო ამოღებული სტატუტთა წიგნიდან და მაკგრეგორთა საგვარეულო სახელის ტარება კვლავ აკრძალული გახლდათ, ამიტომ ისინი შეეცადნენ კლანისთვის სხვა სახელი ეწოდებინათ, მაგრამ სახელზე ვერ შეთანხმდნენ - ზოგს მაკალპაინი უნდოდა ახალ სახელად, ზოგს - გრანტი. ასე რომ, მაკგრეგორები იძულებულნი გახდნენ ისევ ძველი აკრძალული სახელი ეტარებინათ. შემდეგ კლანს ძველი უფლებები დაუბრუნეს: ინგლისის

პარლამენტმა საგანგებო აქტით სამუდამოდ გააუქმა კანონები, რომლებიც ესოდენ დიდი ხნის მანძილზე სტანჯავდა ამ უძველეს გვარს. მაგკრეგორებმა სავსებით დამსახურებულად მოიხსნეს სასჯელი, რადგან მრავალი მათგანი ერთგულად ემსახურა სამშობლოსა და მაფეს. როდესაც ეს კანონი დამტკიცდა, მაკგრეგორებმა გადაწყვიტეს, ძველი ადათ-წესები აღედგინათ. ისინი ყოველთვის ამ ადათ-წესების ერთგულნი იყვნენ და საშინლად იტანჯებოდნენ, როცა კანონი ძველებურად ცხოვრებას უკრძალავდათ.

მათ ლარნიკელი ჯონ მარი, ესკვაირი, გლენქარნოკის ოჯახის წარმომადგენელი, შემდგომში სერ კონ მაკგრეგორი, ბარონეტი, მაკგრეგორთა გვარის ლერდებისა და ლორდების წინაპრის პირდაპირ შთამომავლად მიიჩნიეს, თავიანთ ბელადად შერაცხეს და კლანის ყველა საზოგადოებრივი საქმის გადაწყვეტის უფლება მიანიჭეს. არჩევის ოქმს მაკგრეგორთა კლანის 826 მამაკაცმა მოაწერა ხელი - ყველამ, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო. უკანასკნელი ომის დროს მაკგრეგორებმა საკუთარი ლეგიონი შექმნეს. ლეგიონი 1799 წელს ჩამოყალიბდა და სახელად „ალპაინი“ ეწოდა. მას კლანის ბელადი და მისი ძმა, პოლკოვნიკი მაკგრეგორი, მეთაურობდნენ.

მე მოკლედ გადმოგეცით კლანის წარსული, რომელიც შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორი გამძლე და ცხოველმყოფელია პატრიარქალური წყობა, ახლა კი აუცილებლად მიმაჩნია ზოგიერთი ცნობა მოგაწოდოთ იმ ადამიანზე, ვისი სახელიც ამ წიგნის სათაურად იქცა.

შოტლანდიელი მთიელის გაცნობა მისი გენეალოგიით უნდა დაიწყო. რობ როი ქიარ-მორის შთამომავალი იყო, იმ ლეგა გოლიათისა, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, უდანაშაულო სტუდენტები დახოცა გლენფრუნის ბრძოლის დროს.

მთიელთა არეულ-დარეული გენეალოგიის გადმოცემით არც მე შევიწუხებ თავს და არც მკითხველს დავღლი. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ გლენსტრეელი ალასტერ მაკგრეგორის გარდაცვალების შემდეგ მტრების მიერ შევიწროებული კლანი სულით დაეცა და ცალ-ცალკე შტოებად დაიშალა. თოთოეულ შტოს საკუთარი უფროსი მართავდა. ასე რომ, კლანს უკვე აღარ ჰყავდა ბელადი, რომელსაც ყველა შტოს მეთაური დაემორჩილებოდა.

დუგალ ქიარ-მორის ოჯახი და მისი შთამომავლების უმეტესობა მთებში ცხოვრობდნენ - ორი ტბის ლოხ-ლომონდისა და ლოხ-კეტრინის შუაში მდებარე ტერიტორიაზე. ისინი ვრცელ მამულებს ფლობდნენ ან „ძალის კანონით“ (ვაგლახად ვერვინ უბედავდა ჩხუბსა და დავას), ან რაიმე სხვა კანონის საფუძველზე - ამ საფუძვლის გარკვევა ძნელიც იყო და სახიფათოც. ერთი სიტყვით, ცხოვრობდნენ და ძლიერი მეზობლებიც კი ცდილობდნენ არაფერი ეწყენინებინათ მათთვის, რადგან მშვიდობიან დროს ქიარ-მორის შტოს შეეძლო მთელი ოლქი აერია, ხოლო ომის დროს უმეტესად ის იმარჯვებდა, ვინც ამ მამაცი ხალხის მიმხრობას მოახერხებდა.

რობ როი მაკგრეგორ კემპბელი (პარლამენტის აქტმა, რომელმაც მაკგრეგორებს აუკრძალა საგვარეულო სახელის ტარება, აიძულა იგი კემპბელი დაერქვა) გლენგაილელი დონალდ მაკგრეგორის უმცროსი შვილი იყო. მამამისი პოლკოვნიკი გახლდათ (ალბათ, ჯეიმზ II[15] ემსახურებოდა). დედამისი - გლენფალოხელი კემპბელის ქალიშვილი. რობ როის სახელს „ინვენრსნეიდელს“ უმატებენ ხოლმე, მაგრამ იგი უფრო კრეიგროისტონის, ლოხ-ლომონის აღმოსავლეთ სანაპიროზე, გლენფალოხის ნისლიან კალთებზე მდებარე ტყიან და კლდოვანი მამულის მფლობელი ჩანს. რობ როის დაბადების წელი ზუსტად არ არის ცნობილი. ამბობენ, რომ იგი მონაწილეობას იღებდა რევო-

ლუციის შემდგომდროინდელ შეტაკებებში და მეკობრულ თავ-დასხმებში. გადმოცემით, რობ როი ყაჩაღთა იმ რაზმს მეთაუ-რობდა, რომელმაც კიპენისა და ლენოქსის სამრეკლოები დაარ-ბია 1691 წელს. ამ თავდასხმის დროს სისხლი თითქმის არ დაღ-ვრილა - მხოლოდ ერთი კაცი მოკლეს, მაგრამ იქაურობა პირ-წმინდად გაძარცვეს და ამ შემთხვევას ხალხი შემდგომში „კიპე-ნის აოხრებას“![16] უწოდებდა. უცნობია რობ როის გარდაცვალე-ბის წელიც, მაგრამ, რადგან იგი 1733 წელს ცოცხალია და ამ დროს საკმაოდ ხანდაზმულია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „კი-პენის აოხრების“ დროს ოცდახუთი წლისა იქნებოდა. თუ ასეა, რობ როი მე-17 საუკუნის შუა წლებში უნდა იყოს დაბადებული.

რევოლუციის შემდეგ ქვეყანა ცოტათი დაწყნარდა და რობ როიმ (ანუ წითურმა რობერტმა) თავისი დაუოკებელი ენერგია და უბადლო ნიჭი სხვა საქმეებისაკენ მიმართა: მან ჩოდრობა, ანუ საქონლით ვაჭრობა დაიწყო. უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ხანებში ვერც ერთი სამხერეთშოტლანდიელი და, მით უმეტეს, ინგლისე-ლი ჩოდარი ვერ გაბედავდა მთიანი შოტლანდიის საზღვრის გა-დალახვას. ჩრდილო შოტლანდიის მცხოვრებთა ვაჭრობის მთა-ვარ საგანს, საქონელს, მთიელები ქვემო შოტლანდიის საზღვარ-თან გამართულ ბაზრობებზე ჩამორეკავდნენ ხოლმე. ისინი კბი-ლებამდე იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ სამხრეთშოტლანდი-ელ მუშტრებს არაფერს უშავებდნენ. ხანდახან კი ატყდებოდა ხოლმე ჩხუბი და მაშინ სამხრეთელები, უპირატესად საზღვრისპი-რა მიდამოების მცხოვრებნი, რომლებიც საქონელს ინგლისელე-ბისათვის ყიდულობდნენ, ქუდს მდინარის ფშანში ამოავლებ-დნენ, ხელზე წამოიცვამდნენ, მთიელთა ჩელთა-ხმლებს უხვედ-რებდნენ და ზოგჯერ იმარჯვებდნენ კიდეც. მე იმ მოხუცებთან მი-საუბრია, რომლებიც ახალგაზრდობაში თავად მონაწილეობდნენ ასეთ შეტაკებებში და ჩემი ყურით მომისმენია, რომ მთიელები ძა-ლიან პატიოსნად იბრძოდნენ - თურმე ხმალს წვერით არ ატაკებ-

დნენ მოწინააღმდეგეს და არც დამბაჩასა და ხანჯალს იშველიებ-
დნენ.

თითქოს მიწა თრთის, მიწა ზანზარებს, ისმის ზავთი და ერთი ზრიალი, ხმლის ჩახაჩუხი, კომბლის ჯახანი და ჯავარდნების ორომტრიალი.

მოჩხუბართ მალე უშუშდებოდათ კოპები და გატეხილი თავები და, რადგან ვაჭრობა ორივე მხარეს აძლევდა ხელს, ეს პატარ-პატარა შეტაკებები დიდად ვერა ვნებდა მთავარ საქმეს. მთიელებისათვის საქონელი ცხოვრების ერთადერთი სახსარი იყო - მიწა ცხოვრების სხვა სახსარს არ აძლევდა, ხოლო გონიერსა და გამოცდილ მთიელ ვაჭარს საქონლის ყიდვა-გაყიდვით შეეძლო თვითონაც სარფი მიეღო და მეგობრები და მეზობლებიც ეხეირებინა. რობ როიც სწორედ ასე იქცეოდა წლების განმავლობაში და საყოველთაო ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა ჩრდილო შოტლანდიაში.

რობ როის მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა, როცა ძმის გარდაცვალების შემდეგ ძმისშვილის, გლენგაილელი გრეგორ მაკგრეგორის მეურვე და მისი ქონების გამგებელი გახდა. ახლა იგი დუგალდ ქიარის უშუალო მემკვიდრის აღმზრდელი და დამრიგებელი იყო, ეს კი დიდად ფასობდა კლანის წევრთა და მეზობელთა თვალში, მით უმეტეს, რომ მაკგრეგორთა ეს შტო, როგორც, ჩანს, აღარ ემორჩილებოდა თავიანთ ბელადს - გლენკარნოელ მაკგრეგორს, ახლანდელი ბარონეტის ევან მაკგრეგორის წინაპარს.

ამავე ხანებში, არ ვიცი, იყიდა, გირაოში დარჩა, თუ როგორ მოახერხა, რომ რობ როი ზემოხსენებულ კრეიგ-როი-სტონს დაეპატრონა: იმ დროს საქმეები კრაგად მიუდიოდა და თავისი უახლოესი და ძლიერი მეზობელი ჯეიმს მონტროზიც (პირველი ჰერ-

ცოგი ამ გვარში) დიდად სწყალობდა. ჰერცოგმა ინება, რომ რობ როისა და მისი ძმიშვილის მფლობელობაში გადაეცა გლენგაილისა და ინვერსნეიდის მამულები (ადრე ბიძა-ძმისშვილი მხოლოდ შეღავათიანი იჯარის უფლებით ფლობდნენ ამ მიწებს). გარდა ამისა, რობ როი ხშირად დიდ თანხასაც სესხულობდა ჰერცოგისაგან და ამ ფულს თავის საქმეში - საქონლის ვაჭრობაში აბანდებდა. ჰერცოგი ფულს არ უჭერდა, რადგან რობ როის საქმიანობა თვითონაც ხელს აძლევდა და ქვეყნისთვისაც სასარგებლო იყო.

სამწუხაროდ, აღებ-მიცემობის ზემოხსენებული სახეობა, მაშინაც არ იყო მყარი და საიმედო. ერთხელ ისე მოხდა, რომ საქონლის ფასი დაეცა და რობ როის დიდი თანხა დაედო ვალად. კომთანიონს, ვინმე მაკდონალდს, რომელსაც რობ როიმ დიდი თანხა ანდო, რომ არ ემუხთლა, კიდევ მოახერხებდა ვალის გადახდასო, უმატებს გადმოცემა. რობ როი, რა თქმა უნდა, ხელცარიელი არ გაქცეულა. ყოველ შემთხვევაში, მისი დაპატიმრების ბრძანებაში ეწერა, თან 1000 სტერლინგამდე ფული აქვს, რომელიც რამდენიმე მემამულემ და ჯენტლმენმა მისცა, რათა ჩრდილო შოტლანდიაში საქონელი შეესყიდა ამ უკანასკნელებისათვისო. ეს განცხადება 1712 წლის ივნისში გამოჩნდა და შემდგომშიც მრავალჯერ გამეორდა. ამით შეგვიძლია დავადგინოთ ის თარიღი, როდესაც რობ როიმ სავაჭრო გარიგებებს თავი დაანება და სულ სხვაგვარ საქმიანობას მიჰყო ხელი.

რობ როი, როგორც ჩანს, სწორედ ამ ხანებში გადასახლებულა ინვერსნეიდან მთიან მხარეში, რომელიც მისი მამულიდან 10-12 შოტლანდიური მილით იყო დაშორებული (შოტლანდიური მილი ორჯერ მეტია ინგლისურზე). ამის შემდეგ რობ როის სამუდამოდ აუღია ხელი კანონის მორჩილებაზე და ყაჩაღობა დაუწყია. მონტროზის ჰერცოგმა თავი მოტყუებულად და შეურაცხყოფილად ჩათვალა და გასესხებული ფულის ამოგება კანონს მიან-

დო. სასამართოს გადაწყვეტილებით, რობ როის მთელი მამულები ჩამოართვეს. ხოლო საქონელი და სახლ-კარი საჯარო ვაჭრობით გაუყიდეს.

შოტლანდიაში ამას „კანონის დაცვას“ უწოდებენ, ინგლისში კი უფრო უხეშ სახელს „ქონების წართმევას: არქმევენ. ამბობენ, სასამართლოს აღმასრულებლებმა, რომლებიც, საერთოდ, ზრდილობითა და გულკეთილობით ვერ მოიწონებენ თავს, ამჯერად, თურმე, ისე შეურაცხყვეს დიასახლისი, რომ რობ როი კი არა, ცხვარივით თვინიერი კაციც გაცოფდებოდა და დაუნდობლად იძიებდა შურს მოძალადეებზეო.

მაკგრეგორის მეუღლე ფიცხი და მზვაობარი ქალი იყო და ალბათ არ დაემორჩილა კანონის დამცველთა ბრძანებას. ბუნებრივია, ისინი გაბრაზდებოდნენ და უხეშად მოექცეოდნენ, ის კი, შესაძლებლია, სულაც ხალხმა გააზვიადა ეს ამბავი. ერთი კი უდავოა: ქალმა მწვავედ განიცადა ლოხ-ლომონდის ნაპირებიდან გაძევება და თავისი სევდა გუდასტვირისათვის შექმნილ შესანიშნავ ჰანგში ჩააქსოვა. ამ ჰანგს „როგ როის“ გოდება ეწოდება და დღესაც დიდი მოწონებით სარგებლობს გუდა-სტვირის მოყვარულთა შორის.

ვარაუდობენ, რომ ლტოლვილი პირველად გლენ-დოხარტში წავიდა და გრაფ ბრედალბეინს შეეხიზნა. მართალია, თავის დროზე ბრედალბეინები ბეჯითად იღწვოდნენ მაკგრეგორთა გასაჩანაგებლად, მაგრამ ბოლო წლებში გეზი შეცვალეს და მრავალ ლტოლვილ მაკგრეგორს მისცეს უფლება, თავიანთი ყოფილი მამულისათვის შეეფარებინა თავი. რობ როის სხვებთან ერთად გრაფ არგაილმაც გაუწოდა მფარველობის ხელი. მან, როგორც მთაში იტყვიან, „ტყე და წყალიც“ კი მისცა ლტოლვილს, ესე იგი, რობ როის შეეძლო დამალოდა მდევრებს ჰერცოგის მამულში, რომელიც ტბებისა და ტყეების სიმრავლით იყო ცნობილი.

იმ დროის მთიანი შოტლანდიის მსხვილი ფეოდალები გულ-მოდგინედ მფარველობდნენ თავიანთ დამქაშებს, ანუ შეიარაღებულ ვასალებს და ამით დიდად იწონებდნენ კიდეც თავს. გარდა ამ ვასალებისა, ისინი თავზეხელაღებული, კანონისა და სახელმწიფოს მიერ დევნილ

ხალხსაც იახლოვებდნენ და, კვალი რომ დაემალათ, მეოზობელი ფეოდალების მოიჯარეთა მიწებს თავიანთ ვასალებს კი არა, ამ ხალხს არბევინებდნენ. ასე აოხრებდნენ ერთმანეთს მე-17 საუკუნის სამოქალაქო ომის დროს კემპბელები და გრემები. გრემები სახელგანთქმული მარკიზის, მონტროზის, დაღუპვას ვერ ივიწყებდნენ, კემპბელები კი - ინვერლოხთან ნაწვნევ დამარცხებასა და ლორნის აოხრებას. რობ როი დარწმიუნებული იყო, რომ კემპობელები თავშესაფარს მისცემდნენ: ჯერ ერთი, იმათი გვარი ჰქონდა მიღებული, მეორე, დედა კამპბელი ჰყავდა და, რაც მთავარია, იმათი დაუძინებელი მტირს, მონტროზთა გვარის, მტერი იყო. არგაილს ვრცელი სამფლობელო ჰქონდა და კაცს ადვილად შეეძლო მოუხელთებელი ყოფილიყო. ყოველივე ამან საშუალება მისცა რობ როის შურისძიების გაბედული გეგმა შეედგინა, მით უმეტეს, რომ ახლა ძლიერი დამხმარეც ჰყავდა მონტროზის ჰერცოგის დასამარცხებლად წამოწყებულ ავაზაკურ ბრძოლაში. რობ როი ჰერცოგს აბრალებდა თავის გაუბედურებას - საზოგადოებიდან განდევნას, „დევნისა და დაპატიმრების“ განცხადების გამოცემას (ასე ეწოდებოდა დაპატიმრების ბრძანებას), კანონგარეშე გამოცხდებისა და ბოლოს, ქონებისა და მიწების ჩამორთმევას. ამიტომ გადაწყვიტა, ყველა ღონე ეხმარა და ჰერცოგის, მისი მეგობრების, მომხრეების, ნათესავებისა და მოიჯარადრეებისათვის სიცოცხლე გაემწარებინა. ამგვარად, რობ როიმ ვრცელი ასპარეზი იშოვა თავისი ავაზაკური გეგმების განსახორციელებლად, მაგრამ, რადგანაც თავის თავს იაკობინელად[17] თვლიდა, ამით არ დაკმაყოფილდა და რევოლუციური

მთავრობის ყველა მომხრე და ინგლისისა და შოტლანდიის შეერთების მოსურნეც თავის მოსისხლე მტრების სიაში ჩაწერა. შარის მოდება ადვილი იყო და რობ როიც ხშირად ესხმოდა ხოლმე თავს ქვემო შოტლანდიაში მცხოვრებ მდიდარ მეზობლებს. გაძარცვას მხოლოდ ის გადაურჩებოდა, ვინც ყოველწლიურად გადაუხდიდა გარკვეულ თანხას დახმარებისა და მფარველობისათვის.

მხარე, სადაც ერთი ყველას წინააღმდეგ იბრძოდა, ანუ ძარცვა-გლეჯის დაკანონებას ცდილობდა, უგზო და მიუვალი იყო. მოსახლეობა ვიწრო ხეობებით იყო გათიშული ერთმანეთისაგან. ირგვლივ კი ვრცელი ტყეები და უზარმაზარი ფრიალო კლდეები ჰქონდა შემოჯარული. უცხო კაცი გზას ვერ გაიგნებდა გაუვალ ხეობებსა და ჭაობებში და ვერც ბუნების მიერ შექმნილ ციხე-სიმაგრეებს შეეფარებოდა, რადგან მათი ასავალ-დასავალი მხოლოდ მთიულებმა იცოდნენ. ყოველივე ეს ძალზე უადვილებდა საქმეს რობ როის. მას სულ ადვილად შეეძლო გასხლტომოდა მტრის მრავალრიცხოვან ჯარს და ნაცნობ მთებსა და ტყეებს შეფარებოდა.

იქაური მოსახლეობის შეხედულებები და ადათ-წესებიც დიდად ეხმარებოდა დასახული მიზნის განხორციელებაში. ირგვლივ მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი მისი მოგვარეები - მაკგრეგორები იყვნენ. მკაცრმა კანონმა, ათეული წლების განმავლობაში დაუნდობლად რომ თრგუნავდა და ავიწროებდა მაკგრეგორებს, ბალკვიდერი და სხვა მთიანი ოლქები მეზობელ კლანებს გადაეცა, მაგრამ მაკგრეგორები არ აპირებდნენ ხელი აეღოთ თავიანთ სამკვიდროზე. მე-17 საუკუნის სამოქალაქო ომების დროს, მაკგრეგორები დიდად გაიწაფნენ სამხედრო საქმეში, ხოლო გამუდმებულმა დევნამ და შეურაცხყოფამ გააბოროტა და შურის საძიებლად აღაგზნო ისინი. გარდა ამისა, მეზობლად დაბლობი ეგულებოდათ, რომლის სიმდიდრე მაკგრეგორებსაც და

მთიანეთის სხვა გვარებსაც იზიდავდა - ყველას, ვისაც შრომა ეთაკილებოდა და მხოლოდ ხანჯლის ტრიალი მიაჩნდა ნამდვილ საქმედ. ისინი ზვავივით დაეშვნენ სამხრეთის დაუცველი საზღვრებისაკენ იოლი ნადავლის საშოვნელად და მთელი ქვეყანა, ახლა ასეთი მშვიდი და უშიშარი რომ არის, თარეშისა და ძარცვა-გლეჯის სარბიელად აქციეს. დოქტორ ჯონსონს ტყუილად არა სჯერა, რომ იმდროინდელ ჩრდილო შოტლანდიაში ყველა ოლქი, რომელიც ქვემო შოტლანდიას ესაზღვრება, შფოთიანი და კანონსა და სამართალს მოკლებული იყო. ამიტომ გახლდათ, რომ რობ როი, რომლის მოგვარენი მთელ იმ მხარეში იყვნენ გაფანტულნი, სულ ადვილად ახერხებდა ხალხის შოვნას მეზობლების დასარბევად და ამ ხალხს ნადავლით ინახავდა.

თავად რობ როი თითქოს ამ საქმისათვის იყო დაბადებული. ძალიან მაღალი არ გახლდათ, მაგრამ საოცარი ღონითა და ამტანობით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით თვალში მოგხვდებოდათ ფართო მხარბეჭი და ძალიან გრძელი ხელები. ამბობენ, წვივსაკრავს ისე შეიბნევდა, რომ წელში არ მოიხრებოდაო. წვივსაკრავი კი მთიელებს მუხლამდე არც კი სწვდებათ - ორი გოჯი მაინც აკლდება. გამომეტყველება, თუ კარგ ხასიათზე იყო, გულღია და ვაჟკაცური ჰქონდა, მაგრამ საფრთხის დროს ისე მოიქუფრებოდა, რომ თვალს ვერ გაუსწორებდი. სახეს მუქი წითური, ხშირი და ხუჭუჭი წვერი უფარავდა. თურმე შოტლანდიურ ქვედაწელს იცვამდა და მნახველები ამბობენ, წითური ბალნით დაფარული ბარძაყები მთის ხარივით ჰქონდა დაკუნთულიო, ყოველივე ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ოსტატურად ხმარობდა ჩელთ-ხმალს (ამაში გრძელი ხელებიც შველოდა), ზედმიწევნით იცნობდა თავისი ველური მხარის ყოველ კუთხე-კუნჭულსა და იქაური მოსახლეობის (მტერი იქნებოდა თუ მოყვარე) ზნე-ჩვეულებებს.

რობ როის ხასიათი და შეხედულებებიც სავსებით შეესაბამებოდა იქაურ პირობებს. სისხლისმსმელი ქიარ-მორის შთამომავალი კი იყო, მაგრამ მისი გული არ გამოჰყოლოდა. პირიქით, ყოველთვის ერიდებოდა ზედმეტ სისხლის ღვრასა და უაზრო სიმკაცრეს - ასეთ საქმეს თავიდან არ მოჰკიდებდა ხოლმე ხელს. მისი გაბედული თავდასხმები თითქმის ყოველთვის წარმატებით გვირგვინდებოდა, რადგან ყველაფერს წინასწარ აწონ-დაწონიდა და მერე სწრაფად დააცხრებოდა ხოლმე თავზე მსხვერპლს, რომელიც სულ არ ელოდებოდა საფრთხეს. სიქველითა და კეთილშობილებით ინგლისელ ყაჩაღს, რობინ ჰუდს ჰგავდა - მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა. შეიძლება, კაცმა იფიქროს, ამას ანგარიშით აკეთებდაო, მაგრამ გადმოცემები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. ვისთანაც კი მისაუბრია (სიჭაბუკეში რობ როის მრავალ ნაცნობს შევხვედრივარ), ყველა ერთხმად ამბობდა, „თავისებურად გულმოწყალე კაცი იყო და ხალხი უყვარდაო“.

ზნეობრივი მრწამსით დიდად არ განსხვავდებოდა ბედუინთა ბელადისაგან და არც არის გასაკვირი - ბედუინივით ველურად იყო აღზრდილი. რობ როის თავისი, ნებითა თუ იძულებით არჩეული, ხელობის გამართლება რომ მოენდომებინა, უეჭველია იტყოდა, უსამართლო მართლმსაჯულებამ კუთვნილი უფლებები ამყარა და იარაღი რომ არ ამეღო ხელში, რაღა კაცი მერქმეოდაო; სწორედ ასე ნიშანდობლივად ასახა რობ როი თავის შთაგონებულ ლექსში ჩემმა ნიჭიერმა მეგობარმა უორდსუორთმა:

> მაშ, მომისმინეთ: იგი იყო საქმით მამაცი,
> ასევე სიბრძნით დაყურსულით გახლდათ ძლიერ და
> გარესამყაროს უთავბოლო ორომტრიალში
> თავის ზნეობრივ თვალთახედვას მოიძიებდა.
> იტყოდა რობი გულმოწყალე: - მოეშვით დავთარს,

ბოლო მოუღეთ კოდექსების ყველა კრებულებს,
რადგან კანონი გვამბოხებს საკუთარ თავთან
და ერთმანეთთან საბრძოლველად გვავალდებულებს.
გვაქვს მისწრაფება, ვქმნით კანონებს, რას არ ვედებით, -
თითქოს კანონი წარმართავდეს კაცთა ბუნებას,
მერე მოვდგებით სულელური თავგამეტებით
და ვეწირებით კანონების შენარჩუნებას.
გაოგნებულებს თვალწინ გვიდგას ქვეყნის ავ-კარგი,
მაინც ვერ ვარჩევთ, გვიძნელდება თვალის გახელა
თუმც ყოველივე გულზედა გვაქვს ამონაქარგი
და სამოქმედოდ თავისთავად გვეკარნახება.
აბა, წყლას ჰკიხეთ, დააკვირდით მინდვრის ბინადრებს,
ახედეთ ცასაც - აჭრელებულს ლაღი ჩიტებით -
იქ სიძულვილი ვერასოდეს დაიბინადრებს,
ცხოვრობენ მხნედ და გულდამშვიდებით.
რატომ? - რატომ და, ძველებური მარტივი წესი
მათ შეითვისეს: ძალოვანი უძურს არჯულებს,
თუკი ძალა აქვს, უსათუოდ ჩაიგდებს ხელში,
თუ შეუძლია, თავისთავად შეინარჩუნებს.
ეს არის მათთვის ყოველგვარი ქცევის სათავე,
მცნება, რომელსაც იმთავითვე ყველა გებულობს...
ძლიერს არავინ აიძულებს, მაშასადამე,
რომ მეტისმეტი გულქვაობა ივალდებულოს.
ჭირვეულობა გონებისა აილაგმება,
რომ უგუნურიც მორჯულდეს და გახდეს მზიანი.
აქ, კი, მიწაზე, სურვილების ნაირგვარობას
ძალის მიხედვით ანაწილებს ადამიანი.
ჭკუის ზალით თუ სანაქებო ლომგულოვნებით
ცოცხლობს და კვდება ქვეყანაზე ყველა ქმნილება.
თვით ღმერთი ადგენს - რომელია მეფობის ღირსი,

ვის უწერია დამორჩილება.
„მაშ, - თქვა რობინმა, - რაკი ვცხოვრობთ მარტივი
წესით,
რაკი ცხოვრებაც წუთიერი გახლავთ ცდუნება -
უმჯობესია გავემართოთ უმოკლეს გზებით
და საწადელიც თავისთავად აღესრულება“.
ასე ცხოვრობდა ზამთარ-ზაფხულ კლდეთა წიაღში,
მისთა ფერხთა ქვეშ ზანზარებდა ტყე და ხეობა,
მაღლა არწივი განაგებდა ცათა სფეროებს,
რობი მიწაზე მძლეთამძლეობდა.

ჩვენ მაინც არა გვგონია, რომ ეს გამოჩენილი ადამიანი, რომელსაც მართლმსაჯულებამ ყველა უფლება აჰყარა, ნამდვილი გმირი და იმ შეხედულებათა მტკიცე მიმდევარი ყოფილიყო, რომელთაც მის საფლავთან მდგომი სახელგანთქმული ბარდი მიაწერდა. (უეჭველია, პოეტს უნდოდა უკვდავეყო, რობ როის სახელი და იმიტომ შეასხა ასეთი ქება და ხოტბა). პირიქით, რობ როი, სხვა ველური კლანების ბელადების მსგავსად, სულ არ ერიდებოდა მუხანათობასა და პირმოთნეობას. ამას ცხადად ამტკიცებს მისი მოქმედება სამოქალაქო ომის დროს. აღნიშნავენ აგრეთვე, და სრულიად სამართლიანადაც, რომ ეს ბუნებით თავაზიანი კაცი ხანდახან ვინმეს ამოიჩემებდა და დაცინვას დაუწყებდა ხოლმე. ამას ყველა არ უთმენდა და მაშინ თავხედი ყაჩაღი ორთაბრძოლაში იწვევდა შეურაცხყოფილს, მაგრამ ბრძოლიდან ყოველთვის გამარჯვებული ვერ გამოდიოდა. აქედან დასკვნა გამოჰქონდათ, როი გმირი კი არა, შარიანი კაცი იყო და ხანდახან სულ მცირე საბაბი ყოფნიდა საჩხუბრადო. ზოგი მოხუცი ახალგაზრდობაში კარგად რომ იცნობდა რობ როის, ირწმუნებოდა, უფრო ნაცნობებს ეჩხუბებოდა, ბრძოლის ველზე კი დიდი ვერაფერი შვილი იყო, მაგრამ ვინც მის ცხოვრებას იცნობს, ამას

ვერ დაიჯერებს. მისი საქმიანობის კაცს სიფრთხილე უნდა ეხმარა და ყველა ჩხუბში არ უნდა გარეულიყო. ამით მხოლოდ ახალ მტრებს გაიჩენდა, რადგან მთიელები გულგამყოლები არიან და დაჩაგვრად არავის აპატიებენ. ამიტომ, თუ რობ როის უნდოდა ნაადრევად არ შეეწყვიტა თავისი ახალი საქმიანობა, თავი უნდა მოეთოკა და წარამარა არ უნდა გახვეულიყო შფოთსა და აყალ-მაყალში.

მე, შემიძლია, ორი-სამი ისეთი შემთხვევა გიამბოთ, როდესაც რობ როი იძულებული გახდა ასე მოქცეულიყო. ჩემმა, აწ განსვენებულმა, ოხერტიელმა მეგობარმა, პატივცემულმა ჯონ რემზიმ, რომელიც ბრწყინვალედ იცნობდა კლასიკურ ლიტერატურას, შოტლანდიის ისტორიასა და მის ზნე-ჩვეულებებს, მიამბო: თურმე ერთხელ რობ როი ქალაქ დუანში ყოფილა რაღაც დღესასწაულზე, კოცონთან შეკრებილ ხალხში ნიუტონელი ჯეიმზ ედმონტსტონიც ერია, ის ჯენტლმენი, რომელსაც შემდგომში ლორდ ლოროს მკვლელობაში დასდეს ბრალი (იხ. მაკლორონი „სასამართლო პროცესები“, N IX). რობ როის კბილი გაუკრავს ჯეიმზისათვის და ამ უკანასკნელს ქალაქიდან გაუგდია თავისი შეურაცხმყოფელი - დამუქრებია, თუ ახლავე არ მოშორდები აქაურობას, ჩემი ხელით ჩაგაგდებ ამ კოცონშიო. ერთხელ უკვე დაგამტვრიე ცხვირ-პირი და ახლა, თუ ენას არ დაიმოკლებ, კისერს მოგიგრეხო. რობ როი იძულებული გამხდარა იქაურობა დაეტოვებინა. ერთი რამ აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში: ედმონდსტონი იაკობინელთა პარტიის გავლენიანი წევრი იყო - შერიფმურეს ბრძოლის დროს მეფე ჯეიმზ VII[18] ალამდარი გახლდათ და, გარდა ამისა, ეს ამბავი მისი სახლის კართან მომხდარა, ალბათ მისი მომხრეებისა და მეგობრების თვალწინ. ასეა თუ ისე, ამ შემთხვევამ დიდად გაუტეხა სახელი ჩვენს გმირს.

მეორე, ასევე სარწმუნო შემთხვევა ბოკუჰანელ კანინგემის სახელთან არის დაკავშირებული.

ბოკუჰანელი ესკვაირი ჰენრი კანინგემი სტირლინგშირელი ჯენტლმენი იყო. დღევანდელი პეწენიკი ახალგაზრდებისა არ იყოს, ისიც თავსა დებდა თავაზიანობაზე და დიდად ამაყობდა თავისი დახვეწილი მანერებით, მაგრამ ერთობ გულფიცხი და ხუშურიანი გახლდათ[19]. ერთ თავყრილობაში იგი რობ როის შეხვდა. მას, არ ვიცი ბოკუჰანელის პრანჭვა არ მოეწონა, თუ იფიქრა, რას დამაკლებსო (რობ როის მტრები ირწმუნებიან, ძლიერთან ჩხუბის ატეხას ერიდებოდა) და ისე სასტიკად შეურაცხყო კანინგემი, რომ ამ უკანასკნელმა მაშინვე ორთაბრძოლაში გაიწვია. დიასახლისმა ხმალი დაუმალა კანინგემს და სანამ იგი გამწარებული დარბოდა ოთახიდან ოთახში და იარაღს დაეძებდა, რობ როი დანიშნულ ადგილას - შილინგის ბორცვზე ავიდა და მედიდურად დაიწყო ბოლთის ცემა. ცოტა ხნის შემდეგ კანინგემმა რაღაც ძველი ხმალი იპოვა, მტრისკენ გაეშურა და ისე გააფთრებით შეუტია, რომ ბრძოლის ველიდან გააქცია. ყაჩაღი თურმე კარგა ხანს არა ჩნდებოდა იმ მხარეში. მისტერ მაკგრეგორ სტირლინგი თავის „Nimmo's Stirlingshire"-ის ახალ გამოცემაში შერბილებულად გადმოგვცემს იმ ამბავს, მაგრამ იმას კი არ უარყოფს, რომ რობ როიმ დამარცხებულმა დატოვა იქაურობა. რობ როის ყოველთვის როდი სწყალობდა ბედი, ზოგჯერ ბეწვზეც კი ეკიდა მისი სიცოცხლე. ერთხელ, ადიუტანტის, მაკანალესტერის, ანუ ფლეტჩერის სიმარჯვემ გადაარჩინა სიკვდილს. ეს ანალესტერი რობ როის რაზმში „ცეროდენა ჯონის"[20] როლს თამაშობდა - იმასავით მოხერხებული, მამაცი და ჩუბინი იყო. რობ როის რაზმს მოულოდნელად დაესხა მტერი თავს. ისინი მეტნიც იყვნენ და ცხენოსნებიც ჰყავდათ, ამიტომ ყაჩაღები ადვილად დაამარცხეს. რობ როიმ ბრძანება გასცა, თავს უშველეთო, და ყველა სხვადასხვა მხარეს გაიფანტა. ერთი მამაცი დრაგუნი რობს დაედევნა და როცა დაეწია, ჩელთი დაჰკრა თავში. რობ როი ქუდქვეშ ამოკრულმა რკინამ გადაარჩინა ტავის გაპობას, მაგრამ დარტყმა ისე-

თი ძლიერი იყო, რომ ძირს დასცა. დაცემამდე მოასწრო და შესძახა: მაკანალესტერ, ნუთუ ეგ (ე. ი. თოფი) ცარიელი გაქვს?“ ჯარისკაცმა დაიღრიალა, რომელმა კუდიანმა დედაბერმა შეგიკვერა ეგ ქუდიო და ხმალი ხელმეორედ აღმართა დასარტყმელად, მაგრამ ამ დროს მაკანალესტერმა ესროლა დრაგუნს და გულის ფიცარი შეუნგრია.

არ ვიცი, სინამდვილეში როგორი კაცი იყო, მაგრამ, აი, ასე აგვიწერს მას ერთი ნიჭიერი და ჭკვიანი ჯენტლმენი, იგი იმ ოლქში ცხოვრობდა, რომელიც ხშირად დაურბევია რობ როის. ეტყობა, თვითონ ეს ჯენტლმენიც ვერ გადარჩენია აოხრებას და ამიტომ სულაც არა ცდილობს რაიმე გამართლება მოუნახოს ამ ყაჩაღურ თავდასხმებსა და მოსახლეობის დაწიოკებას. ამით იგი მთლიანად ემიჯნება დღევანდელ შეხედულებას, რომლის მიხედვით, რობ როის მოქმედება დიდ ცოდვად არ არის მიჩნეული ამ მოქმედების ვაჟკაცური და რომანტიკული ხასიათის გამო; „იგი (რობ როი მაკგრეგორი) გონიერი, ეშმაკი და მარჯვე კაცი იყო, შემდეგ ბიწიერებამ დასძლია, ჩაუდგა სათავეში თავის კლანის უქნარებსა და მაწანწალებს, რომლებიც პერტშირისა და სტირლინგშირის დასავლეთ ნაწილში ბინადრობდნენ და ქვეყნის აკლება-აოხრება დაიწყო ყაჩაღური თავდასხმებით. ვისაც კი ხელს მიაწვდენდა (ე. ი. ვინც ერთი ღამის სავალზე ბინადრობდა) ყველას ძარცვავდა, ყველას, ვინც მძიმე და სამარცხვინო „შავ ხარკს“ არ გადაუხდიდა, აკლებისა და მოკვლის საფრთხე ემუქრებოდა. ბოლოს იქამდე გათავხედდა, რომ თავისი საკმაოდ დიდი შეიარაღებული რაზმით, დღისით-მზისით, მთავრობის თვალწინ ყაჩაღობდა, ხარკს კრებდა და ყველგან შფოთს და აყალმაყალს ტეხდა“[21].

ჩრდილო შოტლანდიაში კანონებს არ იცავდნენ და არც პატივს სცემდნენ, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რობ როი ესოდენ წარმატებით ახორციელებდა თავის გეგმებს.

აღნიშნავს რა, რომ საქონლის გატაცება წესად იქცა, რომ უკვე მაღალი ფენების წარმომადგენლებიც არ თაკილობდნენ ამ საქმეს და ამის შედეგად ხალხმა საქონლის მოშენებას უკლო, მისტერ გრემი დასძენს: „ამიტომ მიწები აღარ მუშავდებოდა, საძოვრები აღარ ნოყიერდებოდა და მანუფაქტურის წარმოებაცა და ხელოსნობაც, ერთი სიტყვით, მრეწველობაც დაეცა. ამ მხარეში ხალხი ძალიან სწრაფად მრავლდება და ამიტომ მოსახლეობა ისე მრავალრიცხოვანია, რომ სამუშაო მხოლოდ ნახევარს ყოფნის. აქაურობა სავსეა უსაქმურებით, რომლებმაც კარგად იციან იარაღის ხმარება, საქმის კეთება ესიკვდილებათ და მხოლოდ ყაჩაღობისაკენ მიუწევთ გული. რადგან ამ მხარეში მრავლადაა „ბუდელები“ ანუ სახამროები, ეს უქნარები იქვე კლავენ დროს და თავიანთი უკანონო საქმიანობით ნაშოვნ ფულსაც იქა ტოვებენ. ამ მხარეში კანონს გასავალი არა აქვს, დავა არასოდეს გადაწყვეტილა სამართლის საფუძველზე. სასამართლოს აღმასრულებელი ვერ ბედავს თავისი მოვალეობის შესრულებას და კიდეც რომ გაბედოს, ვერაფერს გახდება, რადგან ზოგი სოფელი 30 მილითაა დაშორებული კანონის მსახურთა სამყოფელს. მოკლედ, აქ არც წესრიგია, არც ძალაუფლება და არც მთავრობა“.

1715 წელს დაიწყო აჯანყება. ამ დროს რობ როი უკვე ცნობილი და სახელგანთქმული ყაჩაღი იყო, თუმცა სულ ცოტა ხნის წინ მოეკიდა ხელი საქმისათვის. ახლა მისი იაკობინური მრწამსი მფარველის, ჰერცოგ არგაილის, მრწამსს დაუპირისპირდა, მაგრამ უკან აღარ დაიხია და გრაფ მარს ეახლა თავის ხალხიანად. მისი პატრონი, ჰერცოგი არგაილი, კი იმ ჯარს ჩაუდგა სათავეში, რომელსაც მთიელთა აჯანყება უნდა ჩაეხშო.

მაკგრეგორებს, ყოველ შემთხვევაში, მათ ყველაზე მრავალრიცხოვან შტოს, ქიარ-მორის შთამომავალთ, ამჯერად, რობ როი კი არა, მისი ზემოხსნებული ნათესავი გრეგორ მაკგრეგორი,

სარდლობდა. მას მეორე სახელიც ერქვა - გლენგაილელი ჯეიმს გრემი და გელური მეტი სახელიც - გლუნ დუ, ანუ შავმუხლა: ცალ მუხლზე შავი ლაქა ჰქონდა (შოტლანდიელებს ხომ მუხლები უჩანთ თავიანთ ქვედატანში). გლენგაილელი მაშინ სულ ახალგაზრდა იქნებოდა და, უეჭველია, შეუპასუხებლად უნდა დამორჩილებოდა აქ ისეთ გამოცდილ სარდალს, როგორიც ბიძამისი გახლდათ.

მაკაგრეგორებმა დიდი ლაშქარი შეკრიბეს და ლოხ-ლომონდის სამხრეთ ნაპირზე მცხოვრებ ლოულენდელებსაც კი დაემუქრნენ. ისინი ერთ დღე ტბის ნაპირას მივიდნენ, ყველა ნავი გაიტაცეს და ინვერსნეიდისაკენ გაცურეს, რომ დასავლელ ვიგების რაზმისათვის გადაეჭრათ გზა. ეს ვიგები მთავრობის დასაცავად აღმდგარიყვნენ, დიდი რაზმი შეედგინათ და სამხრეთისაკენ დაძრულიყვნენ.

ვიგები ნავების გამოსახსნელად გაემართნენ. მათი ლაშქარი პეისლელი, კიპლათრიკელი და მეზობელი მიდამოების მოხალისეებისაგან იყო შედგენილი. ისინი სამხედრო გემებიდან მოტანილ დიდ ნავებში ჩასხდნენ (ეს გემები მაშინ კლაიდზე იდგა) და მეზღვაურთა რაზმის დახმარებით აღმა აუყვნენ მდინარე ლევენს. ლუსთან სერ ჰამფრი კოლკუფუნის, მისი სიძის, ჯეიმზ გრანტისა და ამ ორის მომხრეთა ლაშქარი შეემატათ. ყველანი შოტლანდიურ სამოსში იყვნენ გამოწყობილნი (ამას ძალზე ლამაზად აღწერს გარტმორი)[22]. ლაშქარმა მდინარე გადალახა და კრეიგროისტონისაკენ დაიძრა, მაგრამ მაკგრეგორებმა თავი აარიდეს ბრძოლას. თუ ისტორიკოს რეის დავუჯერებთ, ვიგები უშიშრად გადმოსულან ნაპირზე კრეი-გროისტონის მახლობლად, მაგრამ მოწინააღმდეგე ვერსად დაულანდავთ და დოლების ბრაგაბრუგი და თოფებისა და ზარბაზნების სროლა აუტეხიათ. ამით ისე დაუფრთხიათ სადღაც ახლომახლო მიმალული მაკგრეგორები, რომ მათ სამალავი დაუტოვებიათ და სტრატ-ფილანისათვის,

მთიელთა მთავარი ბანაკისათვის, შეუფარებიათ თავი[23]. ლოულენდის მაცხოვრებლებმა თავიანთი სიმამაცისა და ატეხილი ხმაურის წყალობით ნავები გამოიხსნეს, თანაც ერთი კაციც არ დაუკარგავთ.

ამგვარად, რობ როიმ დროებით დატოვა ძველი ბუნაგი. მალე გრაფმა მარმა იგი ებერდინში გააგზავნა, როგორც ვარაუდობენ, იქაური მაკგრეგორების მისამხრობად. ებერდინის ბინადარი მაკგრეგორებიც ქიარ-მორის შთამომავალნი იყვნენ - იმ სამასი მაკგრეგორის შვილთა შვილები, რომლებიც დაახლოებით 1625. წელს გრაფმა მერიმ თავისი სამფლობელოდან მონტინში გადაასახლა, გრაფს ამით უნდოდა მაკგრეგორებივით მამაცი და მოუსვენარი მტრისაგან, მაკინტოშებისაგან დაეცვა თავი.

ქალაქ ებერდინში რობ როიმ ერთი ნათესავი ნახა, რომელიც თავისი შეხედულებებითა და საზოგადოებრივი მდომარეობით სრულიად განსხვავდებოდა სხვა მაკგრეგორებისაგან - იმათგან, რომელთა ასაჯანყებლად იყო ჩამოსული ამ ქალაქში ჩვენი თხზულების მთავარი გმირი. ეს ნათესავი, დოქტორი ჯეიმზ გრეგორი, ლიტერატორთა და გამოჩენილ პროფესორთა მთელი დინასტიის წინაპარი და აწ განსვენებული ცნობილი ექიმისა და სახელგანთქმული სწავლულის ედინბურგელი პროფესორის, გრეგორის, პაპა გახლდათ. ეს ჯენტლმენი იმ დროის მედიცინის კურსს კითხულობდა ებერდინის სამეფო კოლეჯში, მამამისი, ისიც დოქტორი, ჯეიმზ გრეგორი კი, ამრეკლავი ტელესკოპის გამომგონებლად ითვლება. ჩვენს მეგობარს, რობს, თითქოსდა, საერთო არაფერი უნდა ჰქონოდა ასეთ ოჯახთან, მაგრამ სამოქალაქო ომი ისეთი უკუღმართი რამ არის, რომ სულ სხვადასხვა ჯურის ხალხს აახლოებს და დოქტორმა გრეგორმაც გადაწყვიტა, თავისი მრისხანე და გავლენიანი ნათესავის გული მოეგო. მან შინ მიიწვია რობ როი და დიდი პატივი სცა. დიდსულოვანმა რობ რო-

იმ გადაწყვიტა, ვალში არ დარჩენილიყო და ამით ძალზე ცუდ დღეში ჩააგდო თავაზიანი მასპინძელი.

პროფესორს ათიოდე წლის ვაჟი ჰყავდა, მკვირცხლი და ასაკთან შედარებით ღონიერი. ბიჭი ძალიან მოეწონა შოტლანდიელ რობინჰუდს. თავისი სწავლული ნათესავის სახლიდან წასვლის წინა დღეს რობ როიმ, როგორც იქნა, მოიფიქრა, თუ როგორ გადაეხადა სამაგიერო ესოდენ გულითადი მასპინძლობისათვის, ნათესავი გვერდზე გაიხმო და უთხრა:

- ჩემო ძვირფასო ნათესავო, დიდხანს ვიფიქრე, რა გამეკეთებინა იმისათვის, რომ მიმხვდარიყავით, თუ როგორ კმაყოფილი ვარ თქვენი მასპინძლობით. ჰოდა, აი თქვენ შვილი გყავთ, კარგი, გონიერი ბიჭი, მაგრამ თავს წიგნებში დაწერილი უსარგებლო ამბებით უტენით და ამით ძალიან აფუჭებთ. ამიტომ გადავწყვიტე, რომ თქვენი და თქვენი ოჯახის მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის გამოსახატავად ეგ ბიჭი წავიყვანო და კაცად ვაქციო.

პროფესორს თავზარი დაეცა - შფოთიანმა ნათესავმა ისეთი სიტყვებით ამცნო თავისი კეთილი განზრახვა, რომ უეჭველია, დიდ მადლობას ელოდა ბიჭის მამისაგან. უარის თქმა და ახსნა-განმარტება ფრიად საჩოთირო და სახიფათო იყო: რობ როი არ უნდა მიხვედრილიყო, რომ პროფესორი შიშობდა ასეთი მეურვეობა პირდაპირ სახრჩობელაზე აიყვანს ჩემს შვილსო. ამასთან, არც ერთი საბუთი, რაც კი სახელდახელოდ მოუვიდა თავში: მაგალითად, არ მინდა, ჩემი მეგობარი შევაწუხო ქვემო შოტლანდიაში აღზრდილი ბავშვის მოვლა-პატრონობით და სხვა მისთანანი, არ გამოადგა. რობ როიმ იფიქრა, მართლა ერიდებაო, კიდევ უფრო მიეძალა და ბოლოს აგრძნობინა, რომ მამის თანხმობის გარეშეც წაიყვანდა ბავშვს.

თავგზადაკარგულმა პროფესორმა ბოლოს ბავშვის სუსტი ჯანმრთელობა და უასაკობა მოიდო მიზეზად - უთხრა, ჯერ მთაში ცხოვრებას ვერ აიტანს, მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ, როცა

მომაგრდება, შეძლებს ფეხი აუწყოს თავის მამაც ნათესავს და გაბედულად გაემართოს დაპირებული ბედნიერების საძებნელადო. რობ როი დათანხმდა და ნათესავები დროებით გაიყარნენ. სტუმარმა სინდისი დაიფიცა, შემდეგ ჩამოსვლაზე აუცილებლად წავიყვან ჩემს კუზენს მთებშიო, დოქტორმა გრეგორმა კი, ალბათ, ინატრა, ღმერთმა დამიფაროს, რომ ამ მთიელს მეორედ მოუცდეს ფეხი ჩემს სახლშიო.

ერთი სიტყვით, ჯეიმზ გრეგორი ღმერთმა დაიფარა და იმის მაგივრად, რომ თავისი ნათესავის ბანაკში მოხვედრილიყო და მისი საჭურველთმტვირთველობა ეკისრა, პროფესორი გამოვიდა. იგი მედიცინას ასწავლიდა და იმანაც, როგორც მისი ოჯახის თითქმის ყველა წევრმა, წარმატებას მიაღწია სამეცნიერო სარბიელზე. ჯეიმზ გრეგორი ფიცხი და ჯიუტი კაცი იყო და როცა თავისი ხასიათის ამ ნაკლოვანებებს გამოავლენდა, მეგობრები ეხუმრებოდნენ, რობ როის რომ გაეზარდე, სულ სხვანაირი იქნებოდიო.

რობ როის აღზევების ხანა მალე დამთავრდა, მაგრამ სწავლულ ნათესავთან შემდგომშიაც ჰქონია მისვლა-მოსვლა. აჯანყებიდან მრავალი წელი იყო გასული. რობ როი და მისი მასპინძელი, დოქტორი ჯეიმზ გრეგორი, ხელიხელგაყრილნი დასეირნობდნენ ებერდში, ციხე-სიმაგრის ქუჩაზე. ამ დროს დაფდაფების ხმა გაისმა და ყაზარმებიდან ჯარისკაცები გამოცვივდნენ. „მე თავს უნდა მივხედო“ - მშვიდად შენიშნა რობ როიმ, ნათესავს ხელი გაუშვა, რომელიღაც ეზოში შეძვრა ჭიშკრის ქვევიდან და, როგორც ჯონ ბუნიანი იტყოდა, „თავისი გზით წავიდა და შემდეგ აღარავის უნახავს“[24].

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1715 წლის აჯანყების დროს რობ როი ერთობ საეჭვოდ იქცეოდა. თვითონ თავისი დამქაშებით მთიელთა ჯარში იყო, მაგრამ ფარულად კვლავ ჰერცოგ არგაილს უჭერდა მხარს, აჯანყებულებმა იცოდნენ ეს და არ ენდო-

ბოდნენ, მაგრამ როდესაც პერთიდან დამბლეინში მიდიოდნენ, რომ შემდეგ მდინარე ფორთზე გადასულიყვნენ ფრიუს ფონით, იძულებული გხდნენ, მეგზურად რობ როი აერჩიათ.

აჯანყებულთა ჩრდილოეთით გალაშქრებამ შერიფ-მურის ბრძოლა გამოიწვია. ამ ბრძოლამ, მართალია, ვერ გადაწყვიტა საქმე, მაგრამ ჰერცოგი არგაილი დიდად მოგებული დარჩა. უნდა გავიხსენოთ, რომ მთიელთა მარჯვენა ფრთამ სასტიკად დაამარცხა არგაილის ჰერცოგის ჯარის მარცხენა ფრთაც, რომელიც სტიუარტების, მაკკენზელებისა და კამერონებისაგან შედგებოდა, ასევე სასტიკად დამარცხდა. გამარჯვებულნი მთიელებს დაედევნენ და ხოცვა დაუწყეს. რობ როი კი ამ დროს ცენტრში, გორაკზე, იდგა თავისი ხალხით და ხელსაც არ ანძრევდა თავისიანთა დასაცავად. ამბობენ, მტრისთვის რომ შეეტია, ბრძოლის ბედს შემოაბრუნებდაო, მაგრამ თურმე ვერაფრით ვერ დასძრეს ადგილიდან. თანაც მას მარტო მაკგრეგორების კი არა, მაკფერსონების რაზმის მეთაურობაც ჰქონდა დავალებული. თუ გადმოცემას დავუჯერებთ, ეს იმიტომ მოხდა, რომ მაკფერსონთა ბელადი ხანში იყო, თვითონ წინამძღოლობის თავი არა ჰქონდა, მაგრამ არც ნორდელი მაკფერსონისათვის უნდოდა დაეთმო უფროსობა, რადგან ეს უკანასკნელი ბელადობისათვის იბრძოდა. ასე რომ, კლანი, თუ მისი ნაწილი, მაკგრეგორებს შეუერთეს. წუთები, რომელთა გამოყენება შესანიშნავად შეიძლებოდა მტრის დასამარცხებლად სამუდამოდ დაიკარგა. ამ დროს რობ როიმ მარის კატეგორიული ბრძანება მიიღო, დაუყოვნებლივ მიიტანე იერიში მტერზეო. რობ როიმ მშვიდად უთხრა ბრძანების მომტანს:

- ო, არა. რადგან აქამდე ვერ დაამარცხეს მტერი, მე, კიდეც რომ ჩავება ბრძოლაში ვეღარაფერს ვუშველი.

ერთ-ერთი მაკფერსონი, სახელად ალექსანდრე, შემძლე და მამაცი მეომარი, ისე გაცეცხლდა, რომ პლედი მოიშორა, ხმალი გააშიშვლა და თავისიანებს შესძახა:

- კმარა რაც მოვითმინეთ! თუ ეგ არ აპირებს ბრძოლას, მე წაგიძღვებით!

რობ როიმ იცოდა, რომ ეს ალექსანდრე ჩოდარი იყო და დაცინვით უთხრა:

- მთიდან ხარების ან ცხვრების ჩამორეკვა რომ გვინდოდეს, სენდი, აუცილებლად მოვიდრეკდი ქედს შენი ნიჭისა და უნარის წინაშე, მაგრამ აქ ხალხის წინამძღოლობაა საჭირო და ამ საქმეში ცოტათი შენზე მეტი გამეგება.

- კი, გლენ-ეიგასის ხარები რომ იყოს ჩასარეკი, მაშინ ნამდვილად წინ გაუძღვებოდი ნახირს, - ვალში არ დარჩა მაკფერსონი.

რობ როის გულზე მოხვდა ეს სიტყვები, ხმალი შემართა და ალექსანდრესაკენ გაიწია, მაგრამ მეგობრები ორივეს ირგვლივ შემოეხვივნენ და გააშველეს. ამ კამათსა და მიწევ-მოწევაში კარგი დრო გავიდა და იერიშის მიტანას აზრი აღარ ჰქონდა. მთიელები არ ცდებოდნენ, მაგრამ რობ როიმ, იმის მაგივრად რომ მიშველებოდა, საკუთარი ჯიბის ავსებაზე დაიწყო ზრუნვა: მაკგრეგორები ბრძოლის ველს შეესივნენ და აღალისა და გვამების ძარცვას შეუდგნენ (მარტო მტრის კი არა, თავისიანთა გვამებსაც ძარცვავდნენ).

ხალხმა მაშინვე შეთხზა შესანიშნავი ბალადა შერიფ-მურის ბრძოლაზე და ამ ბალადაში კარგა მაგრად გაამასხარავა ჩვენი გმირი:

იცოდა რობიმ - ბრიყვი არ იყო,
მთაზე უსიტყვოდ შემომდგარიყო,
უთვალთვალებდა ომის მსვლელობას, სურდა ნადავლის ხელში ჩაგდება.
თუ დასრულდება ომის ღრეობა,

რობის ეწვევა მძლეთამძლეობა,
მხნედ მიატოვებს თავის საბუდარს და საალაფოდ
წაჩაქჩაქდება.

თუმცა რობის შემდგომშიც არ მიუღია აქტიური მონაწილეობა ამ აჯანყებაში, მაინც საკმაოდ დაისაჯა: მას სახელმწიფო ღალატში დასდეს ბრალი და როდესაც აჯანყების ჩახშობის შემდეგ ლორდ კადოგანის ექსპედიციამ მთიანი შოტლანდია შემოიარა, რომ დამნაშავე კლანები დაესაჯა და განეიარაღებინა, რობ როის სახლიც დასწვა. ეს სახლი ბრედობლეინში იდგა და რობ როის უკანასკნელი თავშესაფარი იყო.

რობ როი 40-50 თანამებრძოლთან ერთად ინვერერში მივიდა ფინაჰელ პოლკოვნიკ პატრიკ კემპბელთან, ხალხის დასანახავად იარაღი აიყარა და პატიება სთხოვა. პოლკოვნიკმა დაცვის სიგელი მისცა ბელადს და მის რაზმს და იმათაც გული დაიმშვიდეს - იცოდნენ, რომ მთავრობა ძველებურად აღარ დაუწყებდა დევნასა და შევიწროებას. ამის შემდეგ რობ როი ლოხ-ლომონდის მახლობლად, კრეიგ-როისტაუნში მაკგრეგორთა შორის დასახლდა და მაშინვე განაახლა ფარული ბრძოლა ჰერცოგ მონტროზთან. მალე დიდი და კარგად შეიარაღებული რაზმი შეადგინა. ამდენი მეომარი ადრე არასოდეს ჰყოლია. სახლიდან ისე არ გამოვიდოდა, რომ 10-12 რჩეული მებრძოლი არ გამოეყოლებინა მცველად, თუ მოინდომებდა 50-60 კაცამდე გაზრდიდა მცველთა რიცხვს.

ჰერცოგმა გულით მოინდომა, გაენადგურებინა თავისი დაუცხრომელი მოშურნე. მისმა ბრწყინვალებამ შოტლანდიის ჯარების მთავარსარდალს გენერალ კარპენტერს სთხოვა დახმარება და იმანაც ჯარისკაცთა სამი რაზმი გაგზავნა რობ როის დასამარცხებლად გლაზგოდან, სტირლინგიდან და კილინის ფინლარიგიდან. ჯარს ჰერცოგ მონტროზის მოურავი - დამბარტონშირის

შერიფის მოადგილე, კილირნელი გრემი, გაჰყვა მეგზურად და სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლად. ეს რაზმები ერთდროულად უნდა მისულიყვნენ რობ როის ადგილსამოყოფელთან და ისიცა და მისი დამქაშებიც დაეტყვევებინათ, მაგრამ კოკისპირულმა წვიმამ, მთის მკაცრმა ბუნებამ და რობ როის შესანიშნავმა დაზვერვამ ჩაშალა ესოდენ გონივრულად შედგენილი გეგმა - რობ როი თავისი ხალხით ხელიდან გაუსხლტა მდევრებს. გაბრაზებულმა ჯარისკაცებმა იქაურობა ააოხრეს და რობ როის სახლი დაწვეს. ამან მთლად დაუსჯელად არ ჩაუარა მათ; ბუჩქებსა და კლდეებში ჩასაფრებულმა მაკგრეგორებმა სროლა აუტეხეს და ერთი გრენადერი მოუკლეს.

რობ როიმ დიდი ზარალი ნახა, მაგრამ მალე ისე თავხედურად მიუზღო მტერს სამაგიერო, რომ ყველა გაოცებული დარჩა. 1716 წლის ნოემბერში ზემოხსენებული კილირნელი ჯონ გრემი, მონტროზის მოურავი, ჩეიპლეროკში ჩავიდა, სადაც ჰერცოგის მოიჯარენი იყვნენ დაბარებული მორიგი საბატონოს გადასახდელად. მოიჯარეები მოვიდნენ და მოურავს უკვე 399 გირვანქა ნარდი ფული ჰქონდა აკრებილი, რომ ოთახში რობ როი და მისი შეიარაღებული რაზმელები შეუცვივდნენ. მოურავმა ფული და საგადასახადო დავთრები სხვენზე შეყარა, იქნებ ვერ იპოვონო, მაგრამ გამოცდილმა ყაჩაღებმა ასეთი ნადავლის სუნი იკრეს და ასე ადვილად არ მოტყუვდებოდნენ. რობ როიმ ფული და დავთრები იპოვა, მაგიდას მიუჯდა, ანგარიშები შეამოწმა, ფული ჩაიჯიბა და ჰერცოგს წერილობით ამცნო: ესა და ეს თანხა მე წავიღე, რადგან მთელი ზარალი, კადოგანმა რომ სახლი დამიწვა, იქიდან მოყოლებული და კრეიგ-როისტაუნის მამულის აოხრებით დამთავრებული თქვენი მიზეზით მომივიდა და თქვენვე უნდა მიზღოთო. შემდეგ წავიდა და მისტერ გრემიც თან გაიყოლა. ტყვეს ცუდად არ ექცეოდა, ოღონდ უთხრა: მძევლად მინდიხარ და შენიანებმა მდევარი რომ დამადევნონ და ძალით მოინდო-

მონ შენი გამოხსნა, სასტიკად დაგსჯიო. ასეთი რამ ჯერ არავის გაებედა ჰერცოგისათვის.

რაზმი მალიმალ იცვლიდა ადგილს(ერთადერთი, რაზეც მისტერ გრემს შეეძლო დაეჩივლა, გზის სიმძიმე იყო) და ბოლოს მძევალი ლოხკეტრინის ტბის კუნძულზე დააბინავეს. აქ რობ როიმ უბრძანა, წერილი მიეწერა ჰერცოგისათვის და ეცნობებინა, რომ დამტყვევებლები 35.00 მერკს[25] თხოულობდნენ მძევლის გამოსასყიდად (რობ როიმ ზარალის საზღაურ თანხას ჩეიპ-ეროკიდან წამოღებული ფული გამოაკლო და დაადგინა, რომ ჰერცოგისაგან ზუსტად ამდენი ერგებოდა).

მისტერ გრემი სულ რამდენიმე დღეს ამყოფეს კუნძულზე, რომელსაც დღესაც რობ როის საპყრობილეს უხმობენ და სადაც არც ისე სასიამოვნოა ნოემბრის დღეების გატარება, შემდეგ კი გაათავისუფლეს - ალბათ ყაჩაღი მიხვდა, რომ ჰერცოგისაგან ვერაფერს მიიღებდა. მძევლისთვის არაფერი დაუშავებია, დავთრები და მოიჯარეთა ხელწერილებიც კი გაატანა, ოღონდ ფული, რაღა თქმა უნდა, დაიტოვა.

რობ როის თურმე ბევრი ამგვარი საქმე ჩაუდენია და ხშირად ისეთი სიმამაცე და საზრიანობა გამოუჩენია, რომ კილირნელის შეპყრობა მონაგონი იყო. მონტროზის ჰერცოგმა ვეღარ აიტანა ამდენი თავხედობა, დიდძალი იარაღი შეიძინა და თავის მოიჯარეებს დაურიგა, რომ ყაჩაღისაგან თავი დაეცვათ, მაგრამ ამითაც ვერ უშველა საქმეს - მაკგრეგორები თავს ესხმოდნენ მოიჯარეებს და ანიარაღებდნენ. ბევრი მოიჯარე, ალბათ, თვითონვე იწვევდა ყაჩაღებს და ნებით აბარებდა იარაღს.

რადგან ჰერცოგი საიჯარო გადასახადის უმეტეს ნაწილს ნატურით იღებდა, მალინსა და ბიუხენანის მამულის სხვა ადგილებში დიდი ბეღლები ედგა. რობ როი ხშირად ესტუმრებოდა

ხოლმე ამ ბეღლებს მოზრდილი რაზმით, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა არავინ ელოდა, და კარგა ბლომად მარცვლეული

მიჰქონდა ხან თავისთვის, ხან კი მოსახლეობისათვის. ამასთან, ყოველთვის ტოვებდა ხელწერილს და ირწმუნებოდა - ამ ხორ-ბლის საფასურს აუცილებლად გამოვაკლებ იმ თანხას, რომე-ლიც ჰერცოგისაგან მერგებაო.

მთავრობამ გარნიზონი დააყენა რობ როის ძველ მამულში, ინვერსნეიდში; ციხე-სიმაგრის ნანგრევები ახლაც არის შემორჩე-ნილი ლოხ-ლომონდიდან ლოხ-კეტრინისაკენ მიმავალ გზაზე. საქმეს ვერც ამან უშველა - სამხედრო ძალითაც ვერ მოხერხდა დაუდეგარი მაკგრეგორის ალაგმვა. იგი მოულოდნელად დაესხა თავს ამ პატარა ფორტს, ჯარისკაცები განაიარაღა და ციხე მოთ-ხარა. იგი შემდგომში აღადგინეს, მაგრამ 175.5-175.6 წლის აჯან-ყების წინა ხანებში მაკგრეგორებმა კვლავ აიღეს იგი რობ როის ძმისშვილის გლუნ დუს მეთაურობით. ბოლოს, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, ინვერსნეიდის ციხე-სიმაგრე კვლავ აღადგინეს და ციხისთავად ის სახელგანთქმული გენერალი უოლფი დანიშნეს, რომლის სახელის ხსენება მრავალფეროვან ამბებსა და მოვლენებს ამოატივტივებს ხოლმე მოგონებათა ზღვის ზედაპირზე. ამჟამად ციხე-სიმაგრე გაუქმებულია[26].

რობ როი ახლა უკვე აშკარად აღარ ყაჩაღობდა. იგი პოლი-ციის აგენტივით იქცეოდა - შოტლანდიელთა გამოთქმა რომ ვიხ-მაროთ, „შავ ხარკსა“ კრებდა მოსახლეობისაგან. ამ გამოსაღების რაობა რომანს „უევერლიში“ და წინამდებარე ნაშრომის შენიშ-ვნებშია ახსნილი, აქ კი შეიძლება, „შავი ხარკის“ მისტერ გრემ გარტმორისეული დახასიათებით დავკმაყოფილდეთ:

„შფოთი და უწესრიგობა გამეფებულიყო ქვეყანაში, ხოლო მთავრობას ისე ნაკლებად აწუხებდა ეს ამბავი, რომ ჭკვიანი ხალ-ხი იძულებული იყო, ყოვლად სამარცხვინო „შავი ხარკის“ გადახ-დით გადაერჩინა დაღუპვისაგან თავისი ქონება და საცხოვრებე-ლი. ქურდებთან მჭიდროდ დაკავშირებულ პიროვნებასთან იდე-ბოდა ხელშეკრულება, რომლითაც მამულის პატრონი ყოველ-

წლიურად გადაკვეთილ თანხას უხდიდა ამ პიროვნებას, რათა ხელშეკრულებაში მოხსენებული მამული არავის გაეძარცვა. ამ გზით შეკრებილი ფულის ნაწილით „შავი ხარკის“ ამკრები გატაცებულ საქონელს გამოისყიდიდა ქურდებისაგან და პატრონს უბრუნებდა, ნაწილით კი ქურდებს მოისყიდიდა და იმ მემამულეებს შეუსევდა, რომელთაც ჯერ არ ეკისრათ „შავი ხარკის“ გადახდის ვალდებულება და, საერთოდ, ასთი წესის წინააღმდეგნი იყვნენ - ასეთ მემამულეებს უმოწყალოდ ძარცვავდა საამისოდ გამოყოფილი ხალხი და ამით აიძულებდა, რომ ყაჩაღების მეთაურისათვის ეთხოვათ მფარველობა. უფროსი თავის თავს „მეთვალყურეთა კაპიტანს“ უწოდებდა, თავის ყაჩაღებს კი - „მეთვალყურეებს“ და ეს სახელწოდება ერთგვარ კანონიერ უფლებას აძლევდა მათ, თავისუფლად ევლოთ სხვის მამულებში. ისინი ამით სარგებლობდნენ და ათასგვარ ბოროტებას სჩადიოდნენ. მთებში „მეთვალყურეთა“ მრავალი რაზმი იყო და ეს რაზმები საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ: ეს ხალხი ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული ლაშქრობის სიძნელეებს და საჭიროების დროს შეეძლოთ ნამდვილ ჯარსაც კი გამკლავებოდნენ.

„ამ გაუნათლებელ და გულისთქმისამყოლ მთიულებს არავითარი საკუთრება არა აქვთ და ბელადი ან ლენდლორდი აცხოვრებს, მათ სულიერ ცხოვრებას კი კათოლიკე პატრი ან ფიცმიუღებელი მღვდელი წარმართავს. ამიტომ არის, რომ ამ ხალხს როგორც გინდა ისე მოიხმარ. იმათ არაფრისა ეშინიათ, რადგან არაფერი აქვთ დასაკარგი და ყველაფერზე მიდიან. განსაკუთრებით კი ჯანყი და არეულობა ხიბლავთ, რადგანაც იმედი აქვთ, რომ მღვრიე წყალში თევზს დაიჭერენ“[27].

„შავი ხარკი“ აშკარად უწყობდა ხელს ყაჩაღობას და გზას უღობავდა კანონსა და სასამართლოს. ამიტომ 1567 წლის სტატუტის 21-ე თავში იგი მძიმე დანაშაულად არის გამოცხადებული. ამ სტატუტით „შავი ხარკის“ ამკრებიც ისჯება და გადამხდელიც.

მე მაინც მგონია, რომ ეს მკაცრი კანონი არ სრულდებოდა, რადგან ხალხს სხვა საშველი არა ჰქონდა - ან ეს ხარკი უნდა გადაეხადა ან სულით-ხორცამდე გაცლოდნენ ყაჩაღები. დღესაც, როცა კაცს დიდ თანხას მოპარავენ, სხვა ქურდებს მონახავს და ისე დაიბრუნებს დაკარგულის ნაწილს, რომ მართლმსაჯულება ბაიბურშიც არ არის.

მე ვერ შევძელი დამედგინა, თუ რა თანხას ახდევინებდა რობ როი მემამულეებს, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია ერთმა, 175.1 წლით დათარიღებულმა საბუთმა, რომლითაც რობ როის ძმიშვილი ვალდებულებას კისრულობდა დაებრუნებინა პერთის, სტირლინგისა და დამბარტონის საგრაფოთა რამდენიმე მემამულისათვის გატაცებული საქონელი ან გადაეხადა მისი ღირებულება არა უგვიანეს ექვსი თვისა იმ დღიდან, როცა ეს მემამულეები განუცხადებდნენ, საქონელი დავკარგეთო (ოღონდ მემამულეებს დაუყოვნებლივ უნდა განეცხადებინათ მისთვის საქონლის გატაცების ამბავი). და მათ, თავის მხრივ, ყოველწიურად უნდა ეხადათ ქონების ღირებულების არც თუ ისე დიდი ნაწილი - ხუთი პროცენტი. წვრილმანი ქურდობა სათვალავში არ შედიოდა, ხარკის ამკრები მხოლოდ მაშინ ანაზღაურებდა ზარალს, თუ მემამულეს ცხენს, ძროხას, ან ექვს ცხვარზე მეტს მოპარავდნენ.

ეს შეთანხმებები კარგა ბლომად შემოსავალს აძლევდა რობ როის. ამ გზით ნაშოვნ ფულსა და საქონელს ხალხს ურიგებდა, რადგან უნდოდა გულუხვი და კეთილი კაცის სახელი დავარდნოდა. ბალკვიდერის სამრევლოს მღვდელი, სახელად რობინზონი, თავის მრევლს ემუქრებოდა, თუ ხელფასს არ მომიმატებთ, ღმერთი დაგსჯითო. რობ როი ერთხელ სალაპარაკოდ შეხვდა ამ მღვდელს და ურჩია, კარგი იქნება თუ ხალხის დაშინებას თავს დაანებებო. მღვდელი მიუხვდა და მის მერე ხმა არ ამოუღია ხელფასის მომატებაზე. ამის სანუქფოდ რობ როი ყოველ წელიწადს ერთ ძროხასა და ერთ მსუქან ცხვარს უგზავნიდა და ამბო-

ბენ, ეს პატივცემული ჯენტლმენიც არ უკადრისობდა საეჭვო გზით ნაშოვნი ძღვენის მიღებასო.

შემდეგმა ამბავმა, ამბავმა იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცა რობ როი, როცა ერთ-ერთმა კონტრაგენტმა სთხოვა დახმარება, ძალიან დამაინტერესა, რადგან თვითმხილველისაგან, ერთი ლენოქსელი მოხუცისგან, მოვისმინე. თუმცა კი, მგონია, ნაწერი ისეთ შთაბეჭდილებას აღარ მოახდენს მკითხველზე, რადგან არც ამაღელვებელი ეპიზოდებით გამოირჩევა და ვერც მთხრობელის შეშინებულ გამოხედვას გადმოვუტან ქაღალდზე.

მთხრობელი მაშინ თხუთმეტი წლისა იყო, მამასთან ერთად ლენოქსში ცხოვრობდა ერთი ჯენტლმენის მამულში (ჯენტლმენის სახელი აღარ მახსოვს) და საქონელს მწყემსავდა.

ერთ მზიან დილას, ოქტომბრის მიწურულში, მწყემსებმა აღ-მოაჩინეს, რომ ღამით მთიელი ყაჩაღები მიჰპარვიან და 10-12 სული საქონელი გაურეკავთ (საქონელს მთიელები უფრო შე-მოდგომით იტაცებენ). მაშინვე კაცი გააგზავნეს და რობ როი იხ-მეს. იგი 7 თუ 8 შეიარაღებული ვაჟკაცის თანხლებით მოვიდა, ყველაფერი დაწვრილებით გამოიკითხა და დაბეჯითებით განაც-ხადა, „შლეგი მწყემსები“[28] შორს ვერ წავიდოდნენ და იმედი მაქვს დავეწევიო. შემდეგ მოითხოვა ორი კაცი გაეყოლებინათ, რადგან მისი ჯენტლმენები საქონლის მორეკვას არ იკადრებ-დნენ, რობ როის ჩემი მთხრობელი და მამამისი გააყოლეს. გუ-ლი არც ერთს არ მიუწევდა წასასვლელად, მაგრამ რაღას იზამ-დნენ. საგზალი გაიმზადეს, თან ძაღლიც გაიყოლეს, რომ საქონ-ლის მორეკვა გაადვილებოდათ და მაკგრეგორს გაჰყვნენ. მდევ-რებმა ბენვოირლიხის მთისკენ დაიჭირეს გეზი და მთელ დღეს მუხლჩაუკეცავად იარეს. ღამე ერთ ძველ ქოში გაათიეს და მე-ორე დილას კვლავ მთის ბილკებს დაადგნენ. წინ თვითონ რობ როი მიუძღოდა და გზას მანანის ბუჩქებზე შერჩენილი, სხვის-თვის უხილავი ნიშნებით იკვლევდა.

შუადღისას წინამძღოლმა რაზმი შეაჩერა, უბრძანა, მანანის ხშირ ბუჩქებში ჩაწოლილიყვნენ და მწყემსს მიუბრუნდა:

- შენ კი, შვილი წაიყვანე, გორაკის თავზე ადი და გადაღმა ხეობაში შენი ბატონის საქონელს დაინახავ. შეიძლება სხვა ნახირში იყოს შერეული; შენები გამოათავთავე, იმათი არ გამოაყოლო, და აქ მორეკე. თუ ვინმემ რაიმე გკითხოს, ან დაგემუქროს უთხარი, რომ მე აქა ვარ და თან ოცკაციანი რაზმი მახლავს.

- რომ გვეცნენ და დაგვხოცონ? - ჰკითხა მწყემსმა, რომელსაც სულ არ ეპიტნავებოდა ასე სახიფათო მოციქულობა.

- თუ რაიმე დაგიშავეს, ჩვენთან ექნებათ საქმე, - დაამშვიდა რობ როიმ, - ამისთანა საქმეს არასოდეს ვაპატიებ.

მწყემსი ამ დაპირებამ ვერ დაამშვიდა, მაგრამ რობ როის შეპასუხება ვერ გაუბედა და მამა-შვილი გზას დაადგა.

როდესაც გორაკის თავზე ავიდნენ, თვალწინ ღრმა ხეწობა გადაეშალათ. ხეობაში, როგორც რობმა იწინასწარმეტყველა, დიდი ნახირი ბალახობდა. მამა-შვილმა თავიანთი საქონელი გამოარჩიეს და ფერდობს შეუყენეს, მაგრამ სულ ცოტა მანძილი რომ გაიარეს, უკანიდან წივილ-კივილი მოესმათ. შეშინებულებმა მიიხედეს უკან და ვიღაც ქალი დაინახეს. ქალი ისე მოულოდნელად გაჩნდა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო. მან ლანძღვა-გინების კორიანტელი დაატეხა თავს მწყემსებს. მამა-შვილმა თავიანთი მწირი გელური მოიშველიეს და რობ როის დანაბარები გადასცეს. ქალი დაწყნარდა და გაუჩინარდა. როცა საქონელი ჩასაფრებულ რაზმელებთან მირეკეს და თავიანთი თავგადასავალი უამბეს, რობმა კმაყოფილებით შენიშნა, ვიცი, როგორ უნდა მოვაგვარო ასეი საქმეები, სხვა უჩემო, ჩხუბსა და აყალმაყალს ატეხავდაო. რაზმი უკან დაბრუნდა. ახლა არავითარი საფრთხე აღარ ემუქრებოდათ, მაგრამ ბევრი ტანჯვა და წვალება უნდა გადაეტანათ, სანამ საქონელს შინ მირეკავდნენ.

შებინდებამდე თითქმის არ დაუსვენიათ. საღამოს ერთ მანანის ბუჩქებით შემოფარგლულ მინდორს მიადგნენ და რობ როიმ ბრძანა, ღამე აქ გავათიოთო. სუსხიანი ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი სტრატ-დირნი[29] მესტვირეებივით ზუზუნებდა და ძვალსა და რბილში ატანდა. მთიულები პლედებში გაეხვივნენ და მანანის ბუჩქებზე წამოწვნენ, მწყემსებს კი არაფერი ჰქონდათ, რომ დაეხურათ. რობ როიმ, ეს რომ დაინახა, ერთ-ერთ რაზმელს უბრძანა შენ და მწყემსი ერთად დაწექით და პლედი გადაიფარეთ, ბიჭმა კი საქონელს უაროს ირგვლივ - თან უყარაულებს და თან სიარულში გათბებაო. ბიჭს არ ესიამოვნა რობ როის სიტყვები, მაგრამ რა უნდა ექნა? ქარმა იმატა და ლამის სისხლი გაუყინა ძარღვებში. „მთელი ცხოვრება ქარსა და ავდარში მაქვს გატარებული, მაგრამ ის საშინელი ღამე არასოდეს დამავიწყდებაო“, - მითხრა მოხუცმა. გამწარებულმა ბიჭმა მთვარეს დაუწყო ლანძღვა, ასე რომ კაშკაშებ, ცოტათი მაინც რატომ არ ათბობ დედამიწასო. ბოლოს ისე შეაწუხა სიცივემ და დაღლილობამ, რომ გადაწყვიტა ნახირი მიეტოვებინა, სადმე თავშესაფარი ეპოვა და დაეძინა. ბიჭი ერთ ზორბა მთიელს მიუწვა გვერდით (ის კაცი რაზმში ადიუტანტის მოვალეობას ასრულებდა). მიუწვა, მაგრამ მარტო მისი ფართო მხარბეჭი არ იმყოფინა, პლედსაც წაუწვდინა ხელი, ფრთხილად მოიწია თავისკენ ცალი კუთრხე და შიგ გაეხვია. ბიჭს სამოთხეში ეგონა თავი, ჩათბა და ისე ჩაეძინა, რომ გვერდი არ შეუცვლია. როცა გამოეღვიძა, შიშით კინაღამ გაგიჟდა - თურმე იმ კაცისათვის მხრებს ზევით გადაეხადა და „ადიუტანტს“ სახე და ყელი თრთვილით ჰქონდა დაფარული. დამფრთხალი ბიჭი ფეხზე წამოხტა - ახლა გაიგებენ, რა კარგად გამოვიძინე ამ ბატონის ხარჯზე და მარტო ცემას არ დამაჯერებენო, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა: კეთილი „ადიუტანტი“ წამოდგა, თრთვილი ჩამოიბერტყა, სახე პლედით შეიმშრალა და ჩაიბურტყუნა, ეს რა სუსხიანი ღამე ყოფილაო.

შემდეგ ნახირი წინ გაირეკეს და პატრონს ჩააბარეს. გზაზე არავითარი ფათერაკი არ შემთხვევიათ. ზემოთ მონათხრობს არც კი შეიძლება თავგადასავალი ეწოდოს, მაგრამ პოეტი და შემოქმედი მაინც გამოიყენებს რობ როის დასახასიათებლად.

დაახლოებით ამავე ხანებში ჰერცოგი მონტროზი თავისი მოიჯარეთა რაზმით შეიჭრა ბალკვიდერის მთებში, რობ როის მოულოდნელად წაადგა თავს და დაატყვევა. იგი ჰერცოგის ერთ-ერთ რაზმელს, ვინმე ჯეიმზ სტიუარტს შემოუსვეს ცხენზე და ტყვე და რაზმელი ცხენის მოსართავით გადააბეს ერთმანეთზე. მე ეს ამბავი ერთი აწ განსვენებული საზრიანი კაცისაგან მოვისმინე, იმ კაცის შვილიშვილისაგან (იმასაც ჯეიმზი ერქვა), რომელსაც ტყვევნილის დარაჯობა მიანდვეს. ამბის მთხრობელს ბოლო ხანებში ფუნდუკი ედგა ლოხ-კეტრინის მახლობლად და მეგზურადაც დაჰყვებოდა თავის სტუმრებს ამ ტბის თვალწარმტაც მიდამოებში. მაშინ, როცა ეს შემთხვევა მიამბო, არც მეფუნდუკე იყო და არც მეგზური. იშვიათად, თუ მოეხასიათებოდა, გაუძღვებოდა ხოლმე ჩამოსულებს როჭოზე სანადიროდ. საღამო იყო (ისევ რობ როის ამბავს ვაგრძელებ) და ჰერცოგი ჩქარობდა ისეთ საიმედო ადგილად გადაეყვანა თავისი ტყვე, რომ ამდენი წლის დენა და წვალება წყალში არ ჩაყროდა. როდესაც მდინარეზე გადადიოდნენ (არ მახსოვს ტეითი იყო თუ ფორთი), მაკგრეგორმა დრო იხელთა, სტიუარტს ძველი მეგობრობა და მეზობლობა გაახსენა და სთხოვა გამიშვიო. სტიუარტს შეეცოდა, ან იქნებ შეეშინდა კიდეც და მკერდზე შემოჭერილი მოსართავი გაიხსნა. რობ როი ცხენიდან გადახტა, წყალში ჩაყვინთა, გაცურა და თითქმის ისე გაუსხლტა მდევრებს, როგორც ამ რომანშია აღწერილი. როცა ჯეიმზ სტიუარტი მეორე ნაპირზე გავიდა, ჰერცოგი მაშინვე ეძგერა, ტყვე რა უყავიო, სტიუარტმა თავის მართლება სცადა, მაგრამ ჰერცოგი ყველაფერს მიხვდა, ქამარში გაჩრილი ვეება დამბაჩა ამოიღო და თავში ჩასცხო. შვილიშვილმა მითხრა, ისე

მაგრად ჩაურტყამს, რომ პაპაჩემს სიკვდილამდე ეტყობოდა ნაიარებიო.

როცა რობ როიმ რამდენჯერმე მოახერხა თავი დაეღწია თავისი ძლიერი მტისაგან, ძალიან გაყოყოჩდა, ჰერცოგი წერილობით გამოიწვია ორთაბრძოლაში და ეს ამბავი ქვეყანას მოსდო. რობ როის მეგობრები ამ დამცინავ წერილს სუფრაზე კითხულობდნენ და სიცილით იხოცებოდნენ. ამ საბუთს მკითხველი დამატებაში გაეცნობა. იგი კარგი ხელით და საკმაოდ გამართული ენით არის დაწერილი, ჩემს სამხრეთელ მკითხველებს უნდა განვუმარტო, რომ ეს ხუმრობა იყო, რობ როი ჭკვიანი კაცი გახლდათ და იცოდა, რომ ჰერცოგი მასთან ბრძოლას არ იკადრებდა, მაგრამ ისე, თავის შესაქცევად და სალაღობოდ გამოიწვია. წერილი 1719 წელს არის შედგენილი.

შემდგომ წელს რობ როიმ მეორე ეპისტოლე შეთხზა, მაგრამ ამით თვითონვე გაიტეხა სახელი - აღიარა, რომ 1715 წლის სამოქალაქო ომში ყასიდად იბრძოდა და ძალით წააგო თამაში. ამ წერილის ადრესატი გენერალი უეიდია. იგი მაშინ იარაღს ართმევდა მთიელებს და სამხედრო გზები გაჰყავდა ჩრდილო შოტლანდიაში. წერილი ერთობ საინტერესოა. ავტორი ამბობს, მე გულწრფელად შევთავაზებდი ჩემს სამსახურს მეფე ჯორჯს, ჰერცოგ მონტროზის ვალი რომ არა მქონოდა - ვიცოდი, ჰერცოგი მეფეს შეუჩნდებოდა და ციხეში ამოვყოფდი თავსო. და რადგან ქვეყანა არეული იყო, მეფესაც უჭირდა ხალხი და აჯანყებულებსაც, რობ როი ფალსტაფის აზრს დასდგომია და მის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, თუმცა იცოდა, რომ აჯანყებულნი მართალნი არ იყვნენ, მაინც იმათ მიმხრობია. „შემრცხვა, ქვეყნად ასეთი ამბები ტრიალებდა და გულზე ხელდაკრეფილი ხომ არ დავჯდებოდიო“. რობ როი ამბობს, იძულებული ვიყავი, მეფე ჯორჯის მოწინააღმდეგეთა მხარეზე გადავსულიყავიო, მაგრამ თან თავს იმით იმართლებს, რომ არა მარტო ყოველნაირს ერიდებოდა მეფის

ჯარებთან ბრძოლას, არამედ დროდადრო აჯანყებულთა გეგმებსაც უმხელდა. ამას მისი ბრწყინვალება, ჰერცოგი არგაილი დამიდასტურებსო, წერდა რობ როი. ჩვენ დღეს არ ვიცით, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ეპისტოლემ გენერალ უეიდზე.

რობ როიმ, როგორც ჩანს, ძველი საქმიანობა გააგრძელა და თავის ქვეყნის გარეთაც გახდა ცნობილი. ლონდონში, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, გამოქვეყნდა რობ როის ყალბი ბიოგრაფია სათაურით: „შოტლანდიელი ავაზაკი“. ამ იაფფასიანი წიგნაკის ყდაზე დახატული იყო კაციჭამია გოლიათი. გოლიათს მკერდს ქვევით ჩამოზრდოდა წვერი; მისი საგმირო საქმეებიც ასევე იყო გაზვიადებული. მხოლოდ ორიოდე ისეთი ამბავია აღწერილი, რომელიც მართლა გადახდა თავს რობ როის და ისიც დამახინჯებულად არის გადმოცემული; დანარჩენი კი გამოგონილია.

სამწუხაროა, რომ დეფომ არ მოჰკიდა ხელი ამ შესანიშნავ თემას. იგი იმ ხანებში სწორედ ამგვარ ამბებზე წერდა წიგნებს, მაგრამ ასეთი საინტერესო სიუჟეტი არცერთ მის თხზულებას არ უდევს საფუძვლად.

რობ როი ხანში შევიდა და დადინჯდა. მისმა ძმისშვილმა გლუნ დუმ და მოგვარეების უმეტესმა ნაწილმაც თავი ანებეს მონტროზთან კინკლაობას. მონტროზის საგვარეულომაც შეცვალა ძველი, უშედეგო პოლიტიკა, ძალადობაზე ხელი აიღო და შეეცადა საჩუქრებითა და დაყვავებით მოეთვინიერებინა ეს ველური კლანი. ბევრ მათგანს სულ მცირე გადასახადის ფასად მიაქირავეს ჰერცოგის ის მიწები, რომელთა დასაბრუნებლად ადრე ამდენი სისხლი დაღვარეს, ხოლო გლენგაილი (იგივე შავმუხლა) კვლავინდებურად კრებდა „შავ ხარკს“, ოღონდ ახლა მთიელ „მეთვალყურეთა“ იმ რაზმის უფროსად ითვლებოდა, რომელიც მთავრობას ემორჩილებოდა. ამბობენ, ბიძამისივით არ იქცეოდა, უკანონოდ არავის ესხმოდა თავსო.

როცა ქვეყანა დროებით დამშვიდდა, რობ როიმ, ეტყობა საკუთარ მომავალზე დაიწყო ზრუნვა. იგი ძველი პროტესტანტი იყო, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლებში კათოლიკობა მიიღო. ალბათ გაიზიარა მისის კოლის აზრი: „ეს რელიგია ზედგამოჭრილია აკრძალული ხელობის მიმდევართათვისო“. ამბობენ, მიზეზად მოიდო, პერთის ღირსეულ ოჯახს მინდა ვცე პატივიო (პერთის ოჯახის წევრები მტკიცე კათოლიკეები იყვნენ). უთქვამს: გრაფ არგაილს, ჩემს პირველ მფარველს, იმით გადავუხადე მადლობა, რომ მისი სახელი დავირქვი, გრაფს კი კათოლიკობის მიღებითო. როცა კათოლიკობას თრევას დაუწყებდნენ, არც კი ცდილობდა დაეცვა თავისი ახალი რელიგიის დოგმები. პირიქით, ამბობდა, სულ ტყუილად ხარჯავენ ეკლესიებში ამდენ „ულზის“, ანუ ზეთსო[30].

რობ როის სიცოცხლის ბოლო წლებში მაკგრეგორებსა და სხვა, უფრო ძლიერ კლანს შორის მტრობა ჩამოვარდა. აპინთა კლანის ერთ-ერთ ბელადს, სტიუარტ აპინს ფერმა ჰქონდა ბალკვიდერის მთებში. ფერმას ინვერნენტი ერქვა. რობ როის შტოს მაკგრეგორები ინვერნენტს თავიანთ ყოფილ მამულად თვლიდნენ და აცხადებდნენ, არავის მივცემთ იქ დასახლების უფლებასო. სტიუარტებმა ორასკაციანი რაზმი შეკრიბეს და განიზრახეს ხმლით გადაეწყვიტათ დავა. მაკგრეგორებმა გამოწვევა მიიღეს, მაგრამ ამდენი მეომარი ვერ მოაგროვეს, რობ როიმ დაატყო, რომ ძალით ვერაფერს გახდებოდა და მორიგება ამჯობინა - ჩვენ ორივენი მეფე ჯეიმზის მეგობრები ვართ და ერმანეთს არ უნდა ვებრძოლოთ. სადავო მიწა აპინს დარჩა და რობ როიც კარგი კაცი გამოვიდა (შედეგში აპინმა მიწა შეღავათიანი პირობებით მიაქირავა მაკლარენებს - სტიუარტების ხელდებულ კლანს. მაკლარენები ჯანიანი და მამაცი ხალხი იყო და მაკგრეგორები ვაგლახად ვერ წაართმევდნენ მოიწას. ორივე შეიარაღებული კლანი ბაკვიდერის ეკლესიის გვერდით შეხვდა ერთმანეთს, მაგამ როცა

დავა მორიგებით დამთავრდა, რობ როიმ იფიქრა, სტიუარტებს ლაჩრები არ ვეგონოთო, წინ გამოვიდა და თქვა, აქ ამდენმა შეიარაღებულმა ვაჟკაცმა მოიყარა თავი და სირცხვილია ერთმანეთის სიჩაუქე არ გამოვცადოთ. მე გავბედავ და ჩემი კლანის ღირსებას დავიცავ, სტიუარტებიდან კი რომელიც გინდათ გამოდით და შემებრძოლეთო. გამოწვევა აპინის ქვისლმა კლანის უმცროსმა ბელადმა, ინვერნაჰილელმა ალასტერ სტიუარტმა მიიღო. მოშუღლეებმა ხმლები გააშიშვლეს, მრგვალი ფარები მოიმარჯვეს და ერთმანეთს შეუტიეს[31]. ორთაბრძოლა მაკგრეგორთა ფალავნის დამარცხებით დამთავრდა - იგი მსუბუქად დაიჭრა ხელში (როდესაც გვარის ან საკუთარ სახელსა და ღირსებას იცავენ, სასიკვდილოდ არ ებრძვიან ერთმანეთს და გამარჯვებულად ის ითვლება, ვინც პირველად დაკეჭნავს მოწინააღმდეგეს). რობ როიმ ხმალი დაუვა და მოწინააღმდეგეს მიულოცა - პირველად დავმარცხდი ორთაბრძოლაში, შენს მეტი ვერავინ იტყვის ნიშანი დავადეო. გამარჯვებულმა თავაზიანობა გამოიჩინა და შენიშნა, მე ახალგაზრდა ვარ, თორემ რას გაჯობებდიო.

რობ როი ამის შემდეგ, ალბათ, აღარც შებმია ვინმეს. მისი გარდაცვალების წელი უცნობია, მაგრამ 1738 წელს ცოცხალი იყო. ამბობენ კარგა ხნიერი გარდაიცვალაო. სიკვდილის მოახლება რომ იგრძნო, ზოგი ცოდვა მოინანია. ცოლმა კი, თურმე, სასაცილოდ აიგდო, რა სინდისის ქენჯნა აგიტყდა, კაცურად გიცხოვრია და კაცურად მოკვდიო. ქამარს შეუტევია, იმთავითვე ეგეთი აფთარი იყავი და, შენ ჭკუაზე რომ დავდიოდი, იმიტომაც მაქვს ჩადენილი ამდენი ცოდვაო. „ადრე საუკეთესო ხალხს გადამკიდე, ახლა კი გინდა ღმერთიც გადამამტეროო“, - დასძინა თურმე რობ როიმ.

მეორე ამბავი თითქოს ეწინააღმდეგება ზემოთქმულს, მაგრამ რობ როის ბუნების კაცი, მე მგონი, სწორედ ასე მოიქცეოდა: სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარეს გაუგია, რომ ერთ ძველ

მტერს მოუნდომებია მისი მონახულება. - წამომაყენეთ ლოგინიდან, - უთქვამს მომაკვდავს, - მხრებზე ტარტანი მომახურეთ და ხმალი, ხანჯალი და დამბაჩები მომეცით. არ მინდა ვინმემ თქვას, რომ რობ როი მაკგრეგორი მტერმა უმწეო და უიარაღო ნახაო.

რობ როის მტერი, როგორც ამბობენ, ერთ-ერთი მაკლარენი (მაკლარენებზე უკვე გვქონდა ლაპარაკი და ქვემოთაც ვახსენებთ) ავადმყოფის ოთახში შევიდა და ფრიად თავაზიანად მოიკითხა თავისი მრისხანე მეზობელი. რობ როის ღირსეულად და ცოტა ქედმაღლურადაც კი ეჭირა თავი ამ მოკლე შეხვედრის დროს, თუმცა საწყენი არაფერი უკადრებია მნახველისათვის. როგორც კი სტუმარი ოთახიდან გავიდა, თქვა:

- ყველაფერი დამთავრდა, დაე, მესტვირემ „Hatil mitulidh“ (ჩვენ აღარ დავბრუნდებით) დაუკრას.

ამბობენ, მესტვირეს ჯერ არც კი დაემთავრებინა გამოსამშვიდობებელი ჰანგის დაკვრა, რომ რობ როიმ სული განუტევაო.

ეს საოცარი ადამიანი საკუთარ სახლში და საკუთარ ლოგინში გარდაიცვალა და იქვე ბალკვიდერის სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი საფლავის ქვას უხეშად ამოკვეთილი ჩელთი-ხმლით გამოარჩევთ სხვებისაგან.

რობ როი, რა თქმა უნდა, რთული ბუნების ადამიანი იყო. მებრძოლის ყველა საუკეთესო თვისება ჰქონდა - გამჭრიახობა, მამაცობა, სიფრთხილე, მაგრამ ეს თვისებები ზოგჯერ მანკიერ ელფერს იძენდა ხოლმე მის ხელში, თუმცა, ისეთი აღზრდა ჰქონდა მიღებული, ვერც კი გაამტყუნებდით, რომ ამდენ უკანონობას სჩადიოდა. არც მისი პოლიტიკური მერყეობა მიმაჩნია დიდ დანაშაულად - არეული დრო იყო, და ბედი რობ როისთანა ღარიბ და გამწარებულ კაცს კი არა, ძლიერ მდიდარ და გამოჩენილ ადამიანებსაც თავის ნებაზე ათამაშებდა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რობ როი, ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, თუ მტერს დაამარცხებდა, სიკეთესა და გულჩვილობას იჩენდა, რაც სრულიად უჩ-

ვეულო იყო მისი ხელობის ადამიანისათვის - მეკობრეთა ბელადის ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით ბანდიტების მეთაურისათვის. რობ როის არც ერთი გადმოცემა არა სდებს ბრალს სიმკაცრესა და გულქვაობაში - სისხლის ღვრას ერიდებოდა და მხოლოდ ბრძოლაში თუ გაიმეტებდა კაცს სასიკვდილოდ. ეს მრისხანე ყაჩაღი ღარიბთა და უპოვართა მეგობარი ყოფილა, რითაც შეეძლო ეხმარებოდა ქვრივ-ობლებს, პირი არავისათვის უტეხია და ალბათ ამიტომ იყო, რომ მისმა სიკვდილმა ასე დასწყვიტა გული ამ ველური ქვეყნის მცხოვრებთ. მთიელებს ბევრი სიკეთე ახსოვდათ მისგან, ხოლო მათ უმწიფარ გონებას რობ როის დანაშაულებრივი საქმიანობის განსჯა და გაკიცხვა არ შეეძლო.

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგესვა, მაგრამ რობ როის ოჯახის ზოგიერთი წევრის ცხოვრება ისე უჩვეულოდ წარიმართა, რომ ცდუნებას ვერ ვუძლებთ და კვლავ ვაგრძელებთ ისედაც გაჭიანურებულ თხრობას. ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს ეს ამბავი, რადგან, მთიელთა ზნე-ჩვეულების გარდა, ამ თითქმის პირველყოფილი საზოგადოების, მაგრამ მაღალი ცივილიზაციისა და განვითარებული სახელმწიფოებრიობის მქონე ხალხის ურთიერთობის პირველ სტადიასაც გაეცნობა.

რობს ხუთი შვილი ჰყავდა: ქოლი, რონალდი, ჯეიმზი, დუნკანი და რობერტი. სამი მათგანის ცხოვრებაში არაფერი მომხდარა ღირსშესანიშნავი. ჯეიმზი უჩვეულო სილამაზის ახალგაზრდა და მამამისივით ჭკვიანი იყო, ხოლო უმცროს რობს ანუ რობინ ოიგს კი ეტყობა, დუგალდ ქიარ-მორის მანტია წამოასხა განგებამ მხრებზე. რობ როის გარდაცვალებიდან დიდ ხანს არ გაუვლია, რომ მაკგრეგორებსა და მაკლარენებს შორის ხელახლა ჩამოვარდა შუღლი. შუღლის განახლებას რობ როის ქვრივს აბრალებენ. ტყუილად კი არ შეარქვა რობ როიმ თავის ცოლს „ატე“, ტყუილად არ ეუბნებოდა, შენა ხარ ამ სისხლისმღვრელი ბრძოლების ამტეხიო. ახლაც მან შეაგულიანა შვილი და რობინ ოიგმა და-

იფიცა, როგორც კი მამაჩემის თოფს დავიბრუნებ, დუნს რომ აქვს მიცემული შესაკეთებლად, მაკლარენს მოვკლავ - როგორ გაბედა დედაჩემის მიწაზე დასახლებაო[32]. მან აღთქმა შეასრულა - მაკლარენს მინდორში ხვნის დროს წაადგა თავს, თოფი დასცა და სასიკვდილოდ დაჭრა.

დაჭრილს მაშინვე მიუყვანეს მთიელი დასტაქარი. ამ ბრძენმა ჯენტლმენმა კასტოკით (კომბოსტოს მურკით) გაუზომა ჭრილობა და განაცხადა, მე ხელს ვერ მოვკიდებ ამის მკურნალობას, რადგან არ ვიცი, რა ტყვიით არის დაჭრილიო. მაკლარენი მოკვრა. მალე მის ძროხებს მყესები გადაუჭრა ვიღაცამ, შემდეგ კი მთელი ცხვარი გაუწყვიტა.

რობინ ოიგი ამ მკვლელობის შემდეგ დედამისის სახლს შეეფარა და კვეხნა დაიწყო, ამდენი ხანია ვმტრობთ ჩვენ და მაკლარენები ერთმანეთს და ჩემს მეტმა ვერავინ შეძლო სისხლის ღვრაო (სხვათა შორის რობინ ოიგის ერთ-ერთი ბიოგრაფი ცდილობს დააჯეროს მკითხველი, მკვლელს ფოთი შემთხვევით გაუვარდაო). სტიუარტები ვალდებული იყვნენ დაეცვათ თავიანთი მოიჯარეები. შემთხვევის ადგილას მალე მოვიდნენ წესრიგის დამცველთა რაზმი და სტიუარტები, მაგრამ რობინ ოიგს ვეღარ მიუსწრეს.

ზემოხსენებული დასტაქარი, კალან მაკინლეისტერი და მკვლელის ორი ძმა, ჯეიმზი და რონალდი სამართალში მისცეს, მაგრამ ძმებმა მოახერხეს თავის გამართლება - მკვლელობა ბრიყვმა და გონებასუსტმა ყმაწვილმა ჩაიდინა, ჩვენ რა შუაში ვართო - და მოსამართლემ ბრალდება მოუხსნა. ასევე, სამხილის უქონლობის გამო, მოისპო საქონლის გაჟეტისა და დასახიჩრების თაობაზე შემდგარი საქმე, მაგრამ, რადგან დადგინდა, რომ ძმები მთლად წმინდა წყლისანი არ იყვნენ, პირობა დაადებინეს, დღეიდან 7 წლის განმავლობაში არაფერს დავაშავებთო, საწინდრად

200 გირვანქა სტერლინგი დაატოვებინეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლეს[33].

იმ დროს ისე ძლიერი იყო კლანის ერთიანობის სული და ისე გულით უნდოდათ ძლიერნი და მამაცი მომხრეების, ანუ, როგორც შოტლანდიელები იტყოდნენ, კაცური კაცების შეძენა, რომ პერთის დიდგვაროვანი ოჯახის ერთმა წარმომადგენელმა სასამართლოზე სახალხოდ იკისრა მაკგრეგორების მფარველობა. ყოველ შემთხვევაში ასეთი ცნობა, მიაწოდა ავტორს აწ განსვენებულმა რობერტ მაკინტოშმა, ესკვაირმა და ადვოკატმა. თუმცაღა, შესაძლებელია, ეს 1736 წელს, პირველ სასამართლო პროცესზე კი არა, უფრო გვიან მოხდა.

რობინ ოიგი ერთხანს 5.2-ე პოლკში მსახურობდა და ფონტენუას ბრძოლაშიც მიიღო მონაწილეობა. ამ ბრძოლაში იგი დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა; შემდეგ, როცა მოწინააღმდეგეებმა ტყვეები გაუცვალეს ერთმანეთს, შოტლანდიაში დაბრუნდა და თადარიგში გავიდა, მოგვიანებით, რობინი მოურიდებლად გადავიდა მაკგრეგორთა მამულში და მიუხედავად იმისა, რომ კანონგარეშე იყო გამოცხადებული, დრენკელი გრემის, საკმაოდ შეძლებული ჯენტლმენის ქალიშვილზე დაქორწინდა. რამდენიმე წლის შემდეგ რობინ ოიგი დაქვრივდა. მალე 1755 წლის აჯანყება დაიწყო და მაკგრეგორებმა კვლავ იარაღი აიღეს ხელში. გლენკარნოხელი რობერტ მაკგრეგორი (სერ ჯონის პაპა), მთელი გვარის ბელადი, მაკგრეგორებმა წინამძღოლად აირჩიეს. მან ერთი ლეგიონი შეადგინა თვისტომთაგან და ჯარს შეუერთდა, მაგრამ ქაირ-მორის შთამომავალნი ყოველთვის თავის ნებაზე დადიოდნენ და ახლაც განზე გადგნენ: რადგან გვარის უფროსი, ბოლჰალდიელი უილიამ მაკგრეგორ დრამონი საფრანგეთში იმყოფებოდა, დროებით წინამძღოლებად გლენგაილი და მისი ბიძაშვილი ჯეიმზ როი მაკგრეგორი აირჩიეს და გადაწყვიტეს, სანამ ბელადი საფრანგეთიდან ჩამოვა, პერთის ჰერცოგის ჯარს შევიერთებთო

(იგი მხოლოდ სახელად იყო ჰერცოგი, მამული არა ჰქონდა). კავშირი უფრო მტკიცე რომ ყოფილიყო, ჯეიმზმა, მთიელთა ჩვეულებისამებრ პატივი სცა პერთის ლორდს და კემპბელის ნაცვლად დრამონდი დაირქვა. მას ამ სახელის გარდა მამის სახელს, ზოგჯერ კი ჯეიმზ მორს ან ახმახ ჯეიმზს უხმობდნენ. ჯეიმზის რაზმი მამამისის ბანდის გადარჩენილი წევრებისაგან შედგებოდა. ისინი თავიდანვე გულით მოეკიდნენ საქმეს; სულ რაღაც თორმეტი კაცით რობ როის შვილმა მეორედ დაიპყრო და დაწვა ინვერსნეიდის ფორტი, რომელიც სწორედ მაკგრეგორთა ასალაგმავად იყო აგებული.

ზუსტად არ არის გარკვეული, თუ რა სამხედრო წოდება მიანიჭეს ჯეიმზ მაკგრეგორს. თვითონ მაიროს უწოდებს თავს, კავალერი ჯონსტონი კი კაპიტნად იხსენიებს. ჩინი, ალბათ, გუნ დუზე, თავის ბიძაშვილზე, დაბალი ჰქონდა, მაგრამ სიმამაცითა და ფხიანობით ისიც დაჩრდილა და ძმებიც, მიუხედავად იმისა, რომ მის რაზმში ყველას არც კი ჰქონდა თოფ-იარაღი და ცელებით იბრძოდნენ.

ჯეიმზ როიმ დიდად ისახელა თავი პრესტონპენსის ბრძოლაში. „მისმა რაზმელებმა, - მოგვითხრობს კავალერი ჯონსტონი, - დიდი ზარალი მიაყენეს მტერს თავიანთი ცელებით“. ისინი ცხენებს მყესებს უჭრიდნენ, მხედრებს კი მუცლებს უფატრავდნენ. მაკგრეგორი მამაცი, მაგრამ თან თავნება და, ცოტა არ იყოს, უცნაური ადამიანი იყო. როდესაც რაზმს მტრისკენ გაუძღვა, ხუთ ადგილას დაიჭრა. ორგან ტყვიით, ტყვიები მეორე მხარეს გავიდა. მიწაზე დაცემულმა, ღონე მოიკრიბა, იდაყვებზე წამოიწია და ხმამაღლა მიაძახა თავის რაზმელებს:

- ბიჭებო, მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და, ღმერთმანი, დავინახავ, ვინ როგორ იბრძოლებთ!

ბრძოლა, როგორც ცნობილია, სწრაფად მოიგეს მთიელებმა.

ჯეიმზ როის საინტერსო წერილებიდან[34] ვიგებთ, რომ ამ ბრძოლაში მას ბარძაყის ძვალი დაზიანებია, მაგრამ მაინც შეერთებია მთავარ ჯარს თავისი ექვსი რაზმით და მონაწილეობა მიუღია კალოდენის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ მაკგრეგორები ერთ ლეგიონად გაერთიანდნენ და სამშობლოში დაბრუნებამდე აღარ დაშლილან, ჯეიმზ როი საკაცით აიყვანეს მთებში და იმასაც და მის ძმებსაც ნება დართეს მაკგრეგორთა მიწაზე დაბინავებულიყვნენ.

ჯეიმზ მაკგრეგორი დრამონდს, აჯანყების სხვა, უფრო აქტიურ მონაწილეებთან ერთად, სახელმწიფოს ღალატში დადეს ბრალი, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავრობაში ნაცნობები მონახა და დაპატიმრებას გადაურჩა. ამას ადასტურებს ზემოთ აღნიშნული წერილებში მოხსენებული დაცვის სიგელი, რომელიც ჯეიმზს 1757 წელს მიუღია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისაგან. ამ სიგელის პატრონს ხელს ვეღარავინ ახლებდა. სიგელზე საკმაოდ ბუნდოვნად არის ლაპარაკი ერთ-ერთ წერილში, მაგრამ თუ ჯეიმზის ცხოვრების მომდევნო ხანას გავითვალისწინებთ, აშკარა გახდება, რომ შვილსაც, მამის მსგავსად, არ უჭირდა ორი ბატონის სამსახური. როცა აჯანყება დაცხრა, მაკგრეგორები მელიებივით მიიმალნენ თავიანთ ძველ სოროში და მიყუჩდნენ. აქ მათ აღარავინ უხსენებდა ძველ ცოდვებს, მაგრამ მალე რობ როის შვილებმა ახალი დანაშაული ჩაიდინეს და ამით მაკგრეგორთა გვარს კვლავ დაატეხეს თავს კანონის რისხვა.

ჯეიმზ როი ცოლიანი იყო და თორმეტი შვილი ჰყავდა; მისი ძმა, რობინ ოიგი კი ადრე დაქვრივდა; ძმებმა გადაწყვიტეს, რობინს მეორე ქორწინებით შეეძინა ქონება - ვინმე ქვემოშოტლანდიელი მდიდარი ქალიშვილი შეერთო ცოლად (თუ ნებით არ გამოყვებოდა, მოეტაცათ).

ეს უბირი და გაუნათლებელი მთიელები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, როდესაც

ისინი მათ ოჯახში შედგამდნენ ფეხს, მაგრამ ქალების მოტაცებას ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევდნენ, რადგან თავი სულ ომში ეგონათ, ომის დროს კი, ტროას ალყიდან მოყოლებული და იმ დღით დამთავრებული, როცა „პრევიზა დაეცა“, ტყვე ქალები უძვირფასეს ნადავლად ითვლებოდა გაუნათლებელი გამარჯვებულების თვალსაზრისით.

მდიდართ ხოცავენ, ლამაზებს ინდობენ[35].

იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთი ძალადობა ხშირად ხდებოდა ამ ქვეყნად, არ არის აუცილებელი გავიხსენოთ საბინელთა მოტაცება ან „მსაჯულთა წიგნში“ აღწერილი მსგავსი შემთხვევა.

უამრავი სიმღერა და ბალადა, რომლებშიც ქალის მოტაცების ამბავია მოთხრობილი, იმის დასტურია, რომ ეს მოვლენა ძალზე გავრცელებული ყოფილა მთიან შოტლანდიაში[36]. ირლანდიისა და შოტლანდიის მატიანეებიც მოგვითხრობენ, იმ მხარეებში, სადაც კანონს ხელი არ მიუწვდებოდა, საცოლეს იტაცებდნენო. თუ მთიელ ვაჟკაცს, რომელსაც რამდენიმე ერთგული მეგობარი ჰყავდა და სადმე მთებში თავშესაფარიც გააჩნდა, ვინმე მოუვიდოდა თვალში, მოიტაცებდა კიდეც. ამიტომ ქალს უჯობდა თავიდანვე ეთქვა დასტური. უფრო მეტიც, თვითონ ქალები, განსაკუთრებით მდაბიონი, რომლებიც თითქოსდა უნდა აღეშფოთებინა სუსტი სქესის უფლებათა შელახვას, ისე მიეჩვივნენ ასეთ ქორწინებას, რომ სხვანაირად ვერც წარმოედგინათ; არც ისე დიდი ხნის წინ, ერთმა პატივცემულმა ბანოვანმა, კარგა მაგრად შეახურა ავტორი, როდესაც ამ უკანასკნელმა თავისთავს უფლება მისცა, მაკგრეგორთა ზემოხსენებული საქციელი გაეკიცხა. სულ არ არის საჭირო, რომ ქალიშვილმა თვითონ ამოირჩიოს საქმრო, ასე დაქორწინებულები უფრო ბედნიერად ცხოვრობენო, განაცხადა ამ ბანოვანმა და დასძინა:

- დედაჩემიც ასე გათხოვდა. ერთ ღამეს ლენოქსიდან გაიტაცეს და თან ათი სული საქონელიც გაიყოლეს. მანამდე თვალიც არ მოეკრა თავისი ქმრისთვის, მაგრამ იმათზე ბედნიერი ცოლქმარი მთელ ჩვენს მხარეში არ იყო.

ჯეიმზ დრამონდი და მისი ძმებიც ჩემი ძველი ნაცნობის აზრისა იყვნენ. მათ კარგა ხანს ითათბირეს, თუ როგორ გამოესწორებინათ ოჯახის შერყეული კეთილდღეობა და გადაწყვიტეს სარფიანი ქორწინებით გაემდიდრებინათ თავიანთი ძმა. რობინ ოიგი ვინმე ჯინ კეიზე ანუ ჯინ რაიტზე უნდა დაექორწინებინათ, ჯინი ოციოდე წლისა გახლდათ და სულ ორი თვის წინ დაქვრივებულიყო. მისი ქონება რაღაც 16-18 ათას მერკად იყო შეფასებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ესეც საკმარისი გახლდათ ძმების საცდუნებლად. აი, ამ სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად ჩაიდინეს მათ ეს მძიმე დანაშაული. საწყალი ახალგაზრდა ქალი დედის სახლში ცხოვრობდა, ედინბილში - სტირლინგის საგრაფოს ბალფრონის სამრევლოში. ღამით, 1750 წლის 3 დეკემბერს, რობ როის შვილები ჯეიმზ მორისა და რობინ ოიგის მეთაურობით შეიჭრნენ ამ სახლის ეზოში, თოფებით, ხმლებითა და დამბაჩებით დაემუქრნენ მამაკაცებს და დაფეთებულ ქალებს განუცხადეს, თუ ჯინ კეის არ მოგვცემთ, კარებს შემოვამტვრევთო. ჩემი ძმა ახალგაზრდაა და გადაწყვიტა გამდიდრდესო, დასძინა თურმე ჯეიმზ როიმ. ბოლოს, როგორც იქნა, ჯინ კეის მიაგნეს, დედამისს ხელიდან გამოჰგლიჯეს, მის მოთქმასა და წივილ-კივილს არ მიხედეს, თავდასხმის ერთ-ერთ მონაწილეს შეუსვეს ცხენზე და სიბნელეში გაუჩინარდნენ. ქალის კივილი თურმე კარგახანს ესმოდათ ამ მხეცობის მოწმეებს. საწყალმა, თურმე გაქცევა დააპირა და ცხენიდან გადმოხტა, მაგრამ ნეკნი გაიტეხა. მაშინ ხურჯინივით გადაჰკიდეს უნაგირზე და გზა განაგრძეს, ქალს ჭაობებსა და ბილიკებზე ტარებით საშინლად ასტკივდა გვერდი და პირობა დასდო, აღარ გავიქცევიო. ამის შემდეგ ქალს თოკები შემოხსნეს და

კვლავ უნაგირზე დასვეს. გზად რამდენიმე სახლში შეიარე, მაგრამ ვერავინ გაბედა იმათ საქმეში ჩარეულიყო. ისინი ანტიკური სიტყვიერების ცნობილ გლაზგოელ პროფესორს, აწ განსვენებულ უილიამ რიჩარდსონსაც უნახავს. პროფესორს ცუდი სიზმარივით დამახსოვრებია მთიელთა თავხედური შეჭრა მის ბინაში. მთიელები სამზარეულოში შეგროვილან, ყვირილი და იარაღის ქნევა დაუწყიათ და ათასი რამ მოუთხოვიათ. მათი სურვილი, რა თქმა უნდა, მაშინვე დაუკმაყოფილებიათ მასპინძლებს, ჯეიმზ მორი, პროფესორის თქმით, მაღალი, მკაცრი შესახედაობის მამაკაცი იყო, რობინ ოიგს კი უფრო მიმზიდველი გარეგნობა ჰქონია - შავგვრემანი ახალგაზრდა ველური ყოფილა. მსხვერპლს თურმე კაბა შემოფლეთოდა ტანზე და შიშისაგან ცხრიანივით ცახცახებდა.

ყაჩაღებმა საბრალო ქალი როუერდენანში წაიყვანეს, ვიღაც უსინდისო მღვდელი იპოვეს და ძალით დააწერინეს ჯვარი - ჯეიმზ მორი ხელით იჭერდა ქალს საკურთხეველთან, ქალი მღვდელს ეჩხუბებოდა, რას სჩადიხარ სინდისი რა უყავიო, მაგრამ მღვდელმა უკან აღარ დაიხია და ჯინი და რობინი ცოლქმრად გამოაცხადა. ყაჩაღებმა მუქარით და დაშინებით აიძულეს ქალი ქმრის სახლში დაბინავებულიყო და ისიც კი გაბედეს, რომ წირვაზე მიიყვანეს ბალკვიდერის ეკლესიაში. მღვდელმა, რომელსაც წინათ რობ როი აჭმევდა პურს, ცალყბად იკითხა, ესენი ჯვარდაწერილნი თუ არიანო. რობერტ მაკგრეგორმა დასტური დასცა, დაშინებულმა ქალმა კი დუმილი ამჯობინა.

იმ დროს მთიანეთში უკვე ისე ჰქონდა მოკიდებული ფეხი მართლმსაჯულებას, რომ მოძალადეებმა ნავარაუდევი სარფი ვერ მიიღეს ამ ბინძური საქმიდან. მთებში სამხედრო რაზმები გააგზავნეს მაკგრეგორთა შესაპყრობად და ისინი იძულებულნი გახდნენ საცოდავი ჯინ კეი წაეყვანათ და ორი-სამი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე გამოეცვალათ თავშესაფარი. ამასობაში უმაღლეს-

მა სამოქალაქო სასამართლომ ყადაღა დაადო ჯინ კეის ანუ რაიტის ქონებას და ამით საშუალება მოუსპო დამნაშავეებს, მიეღოთ თავიანთი წამოწყების საზღაური. ისინი მაინც იმედოვნებდნენ, ეს ქალი ამდენ წვალებას ვერ გაუძლებს, სასამართლოში სახალხო გამოსვლასაც მოერიდება და ამჯობინებს რობინ ოიგი კანონიერ მეუღლედ აღიაროსო. ამდენი წვალებისა და სირცხვილის ატანა მართლაც ძნელი იყო და იქნებ ყველაფერი ისე დამთავრებულიყო, როგორც მაკგრეგორები ვარაუდობდნენ, მაგრამ ტყვე ქალის მეგობრებმა მაკგრეგორთა ნათესავი და გვარის მეთაური გლენგაილი ჩარიეს საქმეში. გლენგაილი ყოველგვარი უკანონობის მტერი იყო[37]; ძმები დაშინდნენ, მფარველი არ გადავიკიდოთო და გადაწყვიტეს, ჯინ კეი გაეთავისუფლებინათ.

განთავისუფლებამდე ძმებმა ყველაფერი იღონეს, რომ ქალს თავის ქმრად ეღიარებინა რობინ ოიგი. შოტლანდიელი კუდიანი დედაბრები ათასნაირ წამალს აძლევდნენ, იქნებ ქმარი შეუყვარდესო, მაგრამ ამ წამლებმა მხოლოდ დაავადმყოფა ქალი. ჯეიმზ მორი ემუქრებოდა, თუ ცემი ძმის ცოლობაზე უარს იტყვი, ბიძებს დაგიხოცავთ - ჩემს ბიჭებს გავაგზავნი და ორივეს ბოლოს მოუღებენო (საქმემ ჯინის ბიძებმა აღძრეს სასამართლოში). ერთხელ კი დაუჩოქა და შეევედრა, დამნაშავე ვარ, ჩემი ბრალია ყველაფერი, მაგრამ მაპატიე, ოჯახს ნუ დამიქცევო. ბოლოს აიძულეს ფიცი დაედო, სასამართლოში არ გიჩივლებთო და ძალით მოაწერინეს ხელი ქაღალდზე, რომელზეც ეწერა ჩემი ნებით გავყევი იმ ღამეს მაკგრეგორებსო.

ამის შემდეგ ჯეიმზ მორ დრამონდმა თავისი „რძალი“ ედინბურგში ჩაიყვანა. პირველ ხანებში ოჯახიდან ოჯახში გადაჰყავდა. სახლის პატრონებს დავალებული ჰქონდათ, მარტო არ დაეტოვებინათ ხიზანი ქალი და ფანჯარასთანაც კი არ მიეშვათ. მაგრამ უმაღლესმა სამოქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა საქმის უჩვეულო ხასიათი, დაასკვნა, ჯინ კეი წინანდებურად იძულებით

მოქმედებსო და საიმედო მეურვეობა დაუნიშნა: ქალი მოლ-დსლელ მისტერ უაიტმენის ოჯახში გაგზავნეს საცხოვრებლად. ოჯახის უფროსი ფრიად საპატიო ჯენტლმენი იყო და თანაც ჯინ კეის ახლო ნათესავი ჰყავდა ცოლად. სახლს ორი ყარაული და-უყენეს და სწორადაც მოიქცნენ - მაკგრეგორებისაგან ყველაფე-რი იყო მოსალოდნელი. ჯინს ქუჩაში სიარულის უფლება მისცეს, შეეძლო ვისაც მოისურვებდა, ენახა, მათ შორის, თავისი და მოპა-სუხის ვექილებიც. უაიტმენის ოჯახში რომ მიიყვანეს, შიშისა და ტანჯვა-წამებისაგან ისე იყო შეცვლილი, რომ მშობელმა დედამ ძლივს იცნო. მარტო გარეგნულად კი არ შეცვლილიყო, გონებაც არეოდა - კარგა ხანს თვითონაც ვერა სცნობდა დედას და არა სჯეროდა, რომ ამიერიდან საფრთხე აღარ ელოდა. ბოლოს, როცა გონს მოეგო და ცოტათი დამშვიდდა, სასამართლოში ფი-ცით დამოწმებული განცხადება შეიტანა, რომელშიაც დაწვრილე-ბით იყო ჩამოთვლილი, თუ რა ტანჯვა-წამება გაიარა. აქამდე და-შინებული ვიყავი და იმიტომ ვდუმდიო, წერდა; ბოლოს კი აღნიშ-ნავდა, ფიცი დამადებინეს, სასამართლოში არ მეჩივლაო და ით-ხოვდა, რომ ძმებისათვის დანაშაული ეპატიებინათ. ქალს სულ ადვილად შეეძლო ფიცი გაეტეხა, რადგან შოტლანდიური მარ-თლმსაჯულება, ინგლისურისაგან განსხვავებით, ყოველთვის და-ზარალებულის მხარეზეა: განაჩენის აღსრულება მთავრობის სა-ხელით ხდება და ხარჯსაც მთავრობა იხდის. დაზარალებულს სა-სამართლოს ხარჯსაც კი არ ახდევინებენ და, გარდა ამისა, მოპა-სუხის შურისძიებისაგან იცავენ. სამწუხაროდ, ტანჯულმა ქალმა იქამდე ვერ იცოცხლა, რომ მოსარჩელედ ან მოწმედ წარმდგა-რიყო სასამართლოზე და იმ ტანჯვა-წამებაზე მოეთხრო, რაც მაკ-გრეგორების ხელში გადახდა.

როგორც კი ცოცხალ-მკვდარი მსხვერპლი გამოჰგლიჯეს კლანჭებიდან, ჯეიმზ მორ დრამონდმა ედინბურგი დატოვა. მისის კეი ანუ რაიტი მისტერ უიტმენმა წაიყვანა გლაზგოში. შოთსის

მთას რომ ჩაუარეს, მისტერ უაიტმენმა შენიშნა, რა ველური ადგილია, მაკგრეგორები არ კი დაგვეხსნენ თავსო. „ღმერთმა დაგვიფაროს, - წამოიძახა ქალმა, - იმათი დანახვა და ჩემი სიკვდილი ერთი იქნება!“

ქალმა ვერ გაბედა ედინბილში, საკუთარ სახლში დაბრუნება და გლაზგოში დარჩა საცხოვრებლად. „მეუღლემ“ რამდენჯერმე შეუთვალა, შემხვდიო, მაგრამ ქალმა გადაჭრით უარი უთხრა. 1751 წლის 5. ოქტომბერს ჯინ კეი გარდაიცვალა. სასამართლოსათვის დაწერილ ცნობაში აღნიშნულია, სიკვდილი, შესაძლებელია, ქალის მიერ გადატანილ უბედურებათა შედეგი იყოსო, მაგრამ არის ცნობები, რომ ჯენ კეი ყვავილით გარდაიცვალა.

ჯეიმზ მორი ანუ დრამონდი მალე ჩაიგდო ხელში მართლმსაჯულებამ. ოიგი მთავარ დამნაშავედ მიიჩნიეს, მით უმეტეს, რომ ჯინ კეის თავისი მეგობრისათვის მოუყოლია, მოტაცების ღამეს რობინ ოიგს გული მოულბო ჩემმა ცრემლებმა და უნდოდა გავეშვი, მაგრამ ამ დროს ჯეიმზი მოვარდა, დამბაჩა მოიმარჯვა და ძმას შეუტია, ეგეთი ლაჩარი როგორა ხარ, შენი გულისათვის ასეთი საქმე ვიკისრე და ახლა გინდა კარზე მომდგარ ბედნიერებას ხელი ჰკრაო! ამ სიტყვების მერე რობინი ძმას დამორჩილებია. ჯეიმზის სასამართლო პროცესი 1752 წლის 13 ივლისს დაინიშნა და ერთობ წესიერად და მიუკერძოებლად ჩატარდა. რამდენიმე მოწმემ - მაკგრეგორთა ოჯახის წევრებმა - დაიფიცა, ჯვარისწერა საპატარძლოს თანხმობით მოხდაო, ხოლო სამი თუ ოთხი მოწმე, მათ შორის ოლქის შერიფის თანაშემწე ირწმუნებოდა, ქალს რომ სდომებოდა, სულ ადვილად გაიქცეოდაო. ამასთან, კანონის ამ პატივდებულმა დამცველმა განაცხადა, მე თვითონ შევთავაზე, თუ გაქცევა გინდა, დაგეხმარები-მეთქი, მაგრამ უარი მითხრაო. მაკგრეგორების დაპატიმრების უფლება ხომ გქონდა, რატომ არ დააპატიმრეო რომ ჰკითხეს, თავი იმართლა: მაგდენი ძალა არა მქონდაო.

ჯინ კეის, ანუ რაიტის განცხადებიდან დადგინდა, თუ რა საშინლად ექცეოდნენ მაკგრეგორები თავიანთ ტყვეს იმ ღამეს, ამის დასტურად იმ მეგობრების ჩანაწერებიც წაიკითხეს, რომელთაც ქალი კერძო საუბრებში დაწვრილებით მოუყვა მოტაცების ამბავს. ამასვე ადასტურებდა მისი ნაადრევი სიკვდილი. ამგვარად, თვალნათლივ დამტკიცდა ქალის ძალით წაყვანის ფაქტი „მისი ნებართვის გარეშე“: (შოტლანდიური სასამართლო ტერმინი გახლავთ). ჯინ კეის განცხადებამ დაადასტურა მოწმეთა ჩვენებებიც - მისთვის მართლაც რამდენჯერმე შეუთავაზებიათ გაქცევაში მოგეხმარებითო, მაგრამ ქალი თურმე ვერ ენდო თავის კეთილისმყოფელებს, ვერ ენდო შერიფის მოადგილესაც კი და, თავი რომ დაენებებინათ, უთხრა ბედს დავმორჩილდიო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საბრალდებო დასკვნით დამტკიცებულად ჩაითვალა, რომ ჯინ კეი ანუ რაიტი მისი სურვილის გარეშე წაიყვანეს სახლიდან და ბრალდებულის განცხადება, ყველაფერი ქალის თანხმობით მოხდაო, არ შეეფერებოდა სინამდვილეს, მაგრამ ჯვარის ძალად დაწერისა და ქალისადმი სასტიკად მოპყრობის ფაქტები ნაფიცმა მსაჯულებმა არ ჩათვალეს დადასტურებულად. საბრალდებო დასკვნის შესავალ ნაწილში ბრალდების შემამსუბუქებელ გარემოებად აღნიშნული იყო, რომ დაზარალებული დროთა განმავლობაში შეეგუა თავის მდგომარეობას. თერთმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა წერილობით განუმარტა უმაღლეს სასამართლოს, რომ ასეთი დასკვნის გამოტანის მიზანი იყო, საქმე იმ მძიმე დანაშაულთა რიგიდან ამოეღოთ, რომელიც ბრალდებულის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. სხდომას ოთხი მსაჯული აკლდა, მაგრამ წერილს იმათ მაგივრადაც მოაწერეს ხელი.

განსწავლულ ნაფიც მსაჯულთა დასკვნა, რომელიც, თუ საქმის ნამდვილ ვითარებას მივიღებთ მხედველობაში, ძალზე ლმობიერი იყო, უმაღლეს სასამართლოს წარუდგინეს. იგი დაწვრილებით არის განხილული მეფის წარმომადგენლის მისტერ გრან-

ტისა და სახელგანთქმული მისტერ ლოკჰარტის, დაცვის წარმომადგენლის, პაექრობის ოქმებში, მაგრამ ჯეიმზ მორი არ დაელოდა საბოლოო გადაწყვეტილებას.

სასამართლოს ცნობა მოუვიდა ბრალდებული გაქცევას აპირებსო და იგი ედინბურგის ციხეში გადაიყვანეს, მაგრამ ჯეიმზმა იქიდანვე მოახერხა თავის დაღწევა. მისი ქალიშვილი მეწაღის ტანსაცმელში გამოეწყო და ციხეში შეაღწია - მცველებს უთხრა, პატიმარმა წაღები შემიკვეთა და უნდა ჩავაბაროო. მამამისმა სასწრაფოდ გადაიცვა ქალიშვილის ტანსაცმელი. მცველებმა გაიგონეს, როგორ დაეტაკნენ პატიმარი და მისი ცოლი მეწაღეს, ეს რა შეგიკერიაო. „მეწაღემ“ ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და ბუზღუნით გამოერიდა უზრდელ მუშტრებს. ჯეიმზი ისე გასცდა მცველებს, რომ მათ იოტისოდენა ეჭვიც არ აუღიათ. ჯეიმზი საფრანგეთში გაიქცა, შემდგომში, იმ სასამართლომ, რომელიც 1753 წლის 15 იანვარს მისი ძმის დიუნკან მაკგრეგორის, იგივე დრამონდის საქმის გარჩევას შეუდგა, კანონგარეშედ გამოაცხადა ჯეიმს მორ დარმონდი. დუნკან მაკგრეგორი ნამდვილად იღებდა მონაწილეობას ჯინ კეის მოტაცებაში, მაგრამ აშკარა სამხილი ვერ მოიძებნა და ნაფიცმა მსაჯულებმა უდანაშაულოდ სცნეს. ჩვენ არავითარი ცნობა აღარ მოგვეპოვება, იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა ამის შემდეგ დუნკანის ცხოვრება.

კარგა ხნის განმავლობაში მცდარი წარმოდგენა არსებობდა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია შემდგომში ჯეიმზს, მაკგრეგორთა გვარის მეთაურს (მას უფროს-უმცროსობის წესით ეს წოდება არ ეკუთვნოდა, მაგრამ თუ მის ნიჭსა და ხელგამომავლობას მივიღებთ მხედველობაში, გვარის ნამდვილ მეთაურად მაინც ის უნდა მივიჩნიოთ). ამ მცდარი წარმოდგენის წყარო ის გახლავთ, რომ სასამართლოს ანგარიშებშიც და ყველა სხვა ცნობაშიც აღნიშნული იყო შემდგომში მთავრობას შეურიგდა, შოტლანდიაში დაბრუნდა და იქვე გარდაიცვალაო. „ბლეკვუდ მეგეზინში“ 1817

წელს გამოქვეყნებული საინტერესო საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ საქმე სულ სხვანაირად ყოფილა. პირველი საბუთი, ჩარლზ ედუარდის სახელზეა გამოგზავნილი, პეტიცია, დათარიღებულია 1753 წლის 20 სექტემბერს. ჯეიმზ მაკგრეგორი ჩამოთვლის, თუ რა და რა დამსახურება მიუძღვის სტიუარტთა დინასტიის წინაშე და აღნიშნავს, ჩემი ინგლისიდან გაძევება ჰანოვერების მთავრობის ბრლაიაო. იგი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ჯინ კეის საქმეს და უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას. დადგენილია, რომ პეტიცია ადრესატს ბოლჰალდიელმა მაკგრეგორ დრამონმა გადასცა, მას, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ჯეიმზ მორი თავის ბელადად აღიარებდა.

ჩვენ არ ვიცით, რა შედეგი გამოიღო ამ პეტიციამ. შესაძლებელია, ჯეიმზ მაკგრეგორს დროებით გაუუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ შემდგომში ეს მოუსვენარი და ნიადაგ ფათერაკების მაძიებელი კაცი ერთ თავისავით ლტოლვილ თანამემამულეს გადაემტერა და ყველა ხრიკი იხმარა მის დასამარცხებლად. მთიელების ზნე-ჩვეულებათა გასაცნობად საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მაინც მოგახსენოთ ეს ამბავი. არდშილელი სტიუარტისათვის ჩამორთმეული მამულების სახელმწიფო მმართველად დანიშნული გლენურელი მისტერ კემპბელი თოფით მოკლეს, როდესაც მან ბალიხულიშის ფონი გადალახა და ლეტემორის ტყეში შევიდა. არდსილის ნახევარძმა, უფლებებჩამორთმეული ჯეიმზ სტიუარტი, მკვლელობის თანამონაწილედ ცნეს, გაასამართლეს და თუმცა სამხილი თითქმის ვერ უპოვეს, სიკვდილით დასაჯეს. ერთადერთი ხელჩასაჭიდი მხოლოდ ის იყო, რომ ბრალდებულს ფული მიუცია თავისი ძმისშვილისათვის, ალან ბრეკ სტიუარტისათვის, რომელიც ამ მკვლელობის შემდეგ ინგლისიდან გაიქცა. აი, ასე იძიეს შური გლენურის მეგობრებმა იმდროინდელი უსამართლო მართლმსაჯულების შემწეობით, მაგრამ ამითაც ვერ მოიოხეს გული და მოინდომეს ალან ბრეკ სტიუარტიც დაეპატიმ-

რებინათ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი მეგობარი ალანის ხელით იყო მკვდარი. დახმარება ჯეიმზ მორ დრამოს სთხოვეს. მას სანაპიროზე უნდა გადაეტყუებინა დამნაშავე და ინგლისში ჩაეყვანა. იქ კი მისთვის უკვე სახრჩობელა ჰქონდათ გამზადებული. დრამონ მაკგრეგორი მოკლულის ნათესავი გახლდათ და გარდა ამისა იმჟამად, მაკგრეგორები და კემპბელები დიდად მეგობრობდნენ ერთმანეთს, ხოლო მაკგრეგორებსა და სტიუარტებს შორის, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბოლო ხანებში შუღლი და დავა იყო ჩამოვარდნილი. რაც მთავარია, რობერტ ოიგი ედინბურგის ციხეში იყო გამოკეტილი და ჯეიმზს უნდოდა რაიმე სამსახური გაეწია მთავრობისათვის, იქნებ ამით ძმა გადავარჩინოო. ყოველივე ამას დაემატა მისი თავისებური შეხედულება სიკეთესა და ბოროტებაზე და ჯეიმზმა, ალბათ, დიდ ცოდვად არ მიიჩნია ალანის შეპყრობა, თუმცა სრულიად აშკარა იყო, რომ ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად ვერაგული ღალატი უნდა ჩაედინა. მაკგრეგორმა ინგლისში ჩასვლის ნებართვა ითხოვა და პირობა დადო, თან ალან ბრეკსაც ჩამოვიყვანო, მაგრამ მისი ორი თანამემამულე განაზრახს მიუხვდა და ალანი გულისხმაში ჩააგდო. მათი წყალობით ალანი გადაურჩა მოტაცებას და თან რაღაც-რაღაცეებიც გააყოლა ხელს. მაკგრეგორი ირწმუნებოდა, ტანსაცმელი და ოთხი სათუთუნე ამომაცალა სამგზავრო ჩანთიდან და მიიმალაო. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ ალანი და ჯეიმზი მეგობრობდნენ და მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან.

თუმცა ჯეიმზ რამონდმა ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, ნებართვა მაინც გამოიყენა და ლონდონში ჩავიდა. აქ იგი, როგორც თვითონ ამბობს, ლორდ ჰოლდერნესს შეხვდა. ლორდსა და მინისტრის თანაშემწეს მთელი რიგი საჩოთირო კითხვები დაუსვამთ მისთვის და მერე სახელმწიფო სამსახური შეუთავაზებიათ. ადგილი შემოსავლიანი ყოფილა, მაგრამ ჯეიმზს უარი უთ-

ქვამს - რომ დავთანხმებულიყავი, სამუდამოდ შევირცხვენდი სახელს, რადგან ჩემი თანამემამულეების ჯალათად უნდა გადავქცეულიყავიო. თუ მართლა ასეთი კარგი ადგილი შესთავაზეს და ჯეიმზმა გადაჭრილი უარი უთხრა, ეტყობა ჯაშუშობას ავალებდნენ - იაკობინელთა ზრახვები უნდა ეცნობებინა მთავრობისათვის. ალბათ იფიქრეს, ალან ბრეკ სტიუარტის გაყიდვას თუ კისრულობდა, ამ საქმესაც იკისრებსო. დრამონდ მაკგრეგორმა ზრდილობიანად მიუგო, ყველანაირ საქმეზე ვიმუშავებ, ოღონდ ჯენტლმენისათვის სათაკილო არ უნდა იყოსო.

მკითხველი, რომელიც უკეთ იცნობს ჯეიმზის ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს, გაოცებული დარჩება ამ პასუხით, მაგრამ აქ არაფერია გასაოცარი - გავიხსენოთ, რომ პისტოლიც[38] ასეთივე გადარეული მზრუნველობით იცავდა თავის რეპუტაციას.

ლორდ ჰოლდერნესის ნება-სურვილს რომ არ დავყევი, მიბრძანეს სასწრაფოდ დამეტოვებინა ინგლისი, - გვიამბობს ჯეიმზ დარმონდი.

ჯეიმზი საფრანგეთში დაბრუნდა: აქ იგი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა - ჯერ ციებ-ცხელებით დაავადებულა, მერე კენჭები გასჩენია თირკმელებში. სენმა სული დაუუძლურა და ცხოვრების ხალისი წაართვა. ალან ბრეკ სტიუარტი იმუქრებოდა, ჯეიმზს დანაშაულს არ ვაპატიებ, აუცილებლად მოვკლავო[39]. ჯეიმზს სტიუარტების მთელი კლანი გადამტერებული ჰყავდა, ლონდონიდან ჩამოსვლის შემდეგ სხვებმაც ცუდი თვალით დაუწყეს ყურება და არც იყო გასაკვირი, რადგან მან რატომღაც არ უთხრა საკუთარი კლანის ბელადს რისთვის ჩამოვიდა ინგლისში. მისი ურთიერთობა ლორდ ჰოლდერნესთან სამართლიან ეჭვს იწვევდა იაკობვინელთა თვალში. ეტყობა, მათ „ჟილ-ბლასის“ დონ ბერნარ დე კასტელბლაზოს მსგავსად არ მოსწონდათ ალგვაზილებში კუდგაბარებული თანამოაზრე. ლოხგარიელმა მაკდონელმა, უპატიოსნესმა ჯენტლმენმა, დიუნკერკის ხელისუფალთა

წინაშე აშკარად დასდო ბრალი ჯეიმზ დამონდს ჯაშუშობაში. დრამონდი იძულებული გახდა ეს ქალაქი დაეტვებინა და პარიზი დაბრუნებულიყო, დიუნკერკიდან სულ ოცდაათი ლივრი გამოჰყვა და პარიზში საშინელ სიღატაკეში ცხოვრობდა.

სულ არ ვაპირებთ, შევაცოდოთ მკითხველს ეს აღიარებული ქურდი, მაკლარენის მკვლელობის მონაწილე და ჯინ კეის მოტაცების მოთავე, მაგამ ჩვენ სასიკვდილოდ დაჭრილი მგლის ან ვეფხვის ტანჯვასაც ვერ ვუყურებთ გულმშვიდად და რა გასაკვირია, რომ ძალაუნებურად სიბრალულით გეკუმშება გული, როდესაც იმ ადამიანის სიცოცხლის მწარე დასასრულს ვიხსენებთ, რომლის დანაშაულის მიზეზი აღზრდის ველური წესი და მთიელთა თანდაყოლილი გულზვაობაა. ბოლო წერილში, რომელიც ბოჰალდიელისათვის გაუგზავნია პარიზიდან 1755. წლის 25 სექტემბერს, ჯეიმზი ამბობს უკიდურეს გაჭირვებაში ვიმყოფებიო და, სანამ რაიმე უკეთესი ადგილი გამოჩნდებოდეს, მზადა ვარ ბერეიტორად, მეჯინიბედ ან ეგერად ვიმუშაოო. ინგლისელს, შეიძლება გაეღიმოს, როცა ამ ბარათის პოსტსკრიპტუმს წაიკითხავს, მაგრამ შოტლანდიელი ნაღვლიანად ამოიხორებს, გასაცოდავებული, შიმშილისაგან სიკვდილის პირას მიმდგარი ლტოლვილი თავის მფარველს ევედრება, გუდა-სტვირი მათხოვე, რომ ხანდახან მშობლიური ნაღვლიანი ჰანგები დავუკრაო. მუსიკის ზემოქმედება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა მოგონებები ამოტივტივდება გონებაში ამა თუ იმ ჰანგის მოსმენისას. ამიტომ, თუ ლონდონელს ან პარიზელს აღიზიანებს გუდა-სტვირის ხმა, შოტლანდიელი სიამოვნებისაგან დნება. ეს ხმები ცადაზიდულ მთებს, ვიწრო ხეობებს, მთებში მომწყვდეულ ტბებსა და წინაპართა გმირობის ამბებს ახსენებს.

არა, მაკგრეგორი ნამდვილი შეცოდების ღირსია და მკითხველი რომ თავად დარწმუნდეს, ამაში, ამ წერილის ბოლო ნაწილს მოვიტანთ: „ეტყობა მე ტანჯვა-წამებისათვის ვარ დაბადებული და

ასე უნდა გავლიო ჩემი წუთისოფელი. ახლა ისეთ საშინელ დღეში ვარ, რომ აღარ ვიცი, რა ვიღონო და რითი ვუშველო თავს - ცხოვრების არავითარი სახსარი აღარ გამაჩნია! აქ მხოლოდ 13 ლივრი ჩამომყვა და კვლავ კორდეს ქუჩაზე, სასტუმრო სენ-პიერში დავბინავდი. გევედრებით, ამ ბარათის მომტანის პირით შემატყობინოთ, ჩამოხვალთ თუ არა ახო ხანებში ქალაქში, რომ თქვენი ხილვის ბედნიერება მქონდეს. მე ხომ თქვენს მეტი არავინ მეგულება შემწე და დამხმარე. თქვენთან მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს: იქნებ რაიმე საქმე გამომინახოთ, რომ სულ არ გავმათხოვრდე. ეს თხოვნა იოლი შესასრულებელი არ არის, საკმაოდ უნდა გაწვალდეთ, მაგრამ თუ მოინდომებთ, არ გაგიჭირდებათ, რადგან თქვენისთანა ადამიანს გაცილებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება ძალუძს. თუ თქვენს მეგობარს, მისტერ ბატლერს მოეთათბირებით, შეიძლება გამომინახოს ადგილი. არა მგონია, არ გამოვადგე რამეში, ვინაიდან საფრანგეთში ჩემსავით ვერავინ გახედნის ცხენს და გარდა ამისა, გვარიანი მონადირეც გახლავართ - სულ ერთია ცხენზე ვიქნები ამხედრებული თუ ქვეითად ვინადირებ, თავს არ შევირცხვენ. ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობაზე შეგიძლიათ იმით იმსჯელოთ, რომ მზადა ვარ ყოველგვარ უბრალო საქმეს მოვკიდო ხელი. იმდენი მაქვს, შემდეგ რაიმე უკეთესი გამოჩნდება. ძალიან მერიდება, რომ იძულებული ვარ ესოდენ შეგაწუხოთ და მხოლოდ ის მანუგეშებს, რომ თქვენ შესანიშნავად იცით, თუ როგორი მადლობელი ვარ იმ დახმარებისათვის, რომელიც წარსულში გამიწიეთ. ძალიან რომ არ გამჭირვებოდა, არ შეგაწუხებდით. ვარ და დავრჩები მარად ჩემი ძვირფასი ბელადის ერთგული მსახური.

ჯ. მაკგრეგორი

P. S. თუ წერილის მომტანს თქვენ გუდა-სტვირსა და მის მოწყობილობებს გამოატანთ, ავაწყობ და ჩვენებურ სევდიან ჰანგებს

ამოვათქმევინებ - ახლა უშიშრად და მთელი სულითა და გულით შემიძლია დავუკრა. მაპატიეთ, რომ პირადად ვერ გეახელით, მაგრამ კიდეც რომ შემძლებოდა იმ მღელვარების გადატანა, რასაც თქვენთან შეხვედრა მიქადდა, ასე გაუბედურებული თქვენ კი არა, უბრალო ნაცნობებსაც ვერ ვეჩვენებოდი“.

როდესაც მაკგრეგორი ამ სევდიან ბარათს წერდა, თავზე უკვე დასტრიალებდა სიკვდილი - ყოველგვარი ამქვეყნიური გაჭირვების მწარე, მაგრამ უებარი წამალი. ბარათის მეორე გვერდზე მინაწერი გვამცნობს, ამის ავტორი ერთი კვირის შემდეგ (ანუ, დაახლოებით, 1755. წლის ოქტომბერში) გარდაიცვალაო.

ახლა მხოლოდ რობინ ოიგის ამბავი დაგვრჩა მოსაყოლი, ვინაიდან რობ როის სხვა შვილების ცხოვრებაში, როგორც ჩანს, ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. რობინი ინვერსნეიდის ფორტის სამხედრო რაზმმა დააპატიმრა გარტმორის მთის ძირას 1753 წლის 26 მაისს და ედინბურგში წაიყვანა. მისი გასამართლება ცოტათი გააჭიანურეს (ალბათ იმიტომ, რომ ჯეიმზი ალან ბრეტ სტიუარტის თავს სთავაზობდა მთავრობას ძმის სანაცვლოდ), 1753 წლის 25. დეკემბერს „რობერტ მაკგრეგორი, იგივე კემპბელი, იგვე დრამონდი, იგივე რობერტ ოიგი, უმაღლესი სასამართლოს წინაშე წარსდგა. ბრალდება ზუსტად იგივე იყო, რაც წინა სასამართლოზე ჰქონდა წაყენებული. რობერტი, თითქოსდა ძმაზე უფრო ხელსაყრელ მდგომაროებაში უნდა ყოფილიყო საქმის განხილვის დროს, მართალია, თავი მიზეზი ის იყო ამ ნაძალადევი ქორწინებისა, მაგრამ შეეძლო ეთქვა, ჯინ კეის მოტაცების დროს ლმობიერების გამოჩენა მინდოდა, მაგრამ ჩემმა ძმამ ჯეიმზმა შემიშალა ხელიო. თანაც საბრალო ქალის გარდაცვალებიდან უკვე ოთხი წელი იყო გასული და ესეც ბრალდებულის წისქვილზე ასხამდა წყალს - კარგა ხნის წინათ ჩადენილი დანაშაული ისე მიუტევებელი აღარ ეჩვენებოდა ადამიანს, როგორც ახალი. აი, ამდენი რამ ჰქონდათ ხელჩასაჭიდი, მაგრამ ნაფიცმა

მსაჯულებმა ამჯერადაც ისე აღარ გამოიდეს თავი, როგორც ჯეიმზის საქმის განხილვისას და რობინი ჯინ კეის მოტაცების მთავარ დამნაშავედ ცნეს[40].

რობერტ ოიგს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს და 1755. წლის 15. თებერვალს ჩამოახრჩვეს. სიკვდილის წინ თავი ღირსეულად ეჭირა. განაცხადა, ამჟამად კათოლიკე ვარ და ეს სასჯელი იმიტომ მომივლინა ღმერთმა, რომ ამ ორიოდე წლის წინ ამ ჭეშმარიტ სარწმუნოებას გადავუდექიო. მან აღიარა, რომ მისის კეი ანუ რაიტის ცოლად შესართავად ძალადობას მიმართა და თქვა, იმედი მაქვს ჩემი დასჯის შემდეგ ჩემს ძმას ჯეიმზს, თავს დაანებებთო[41].

გაზეთებმა დაბეჭდეს: „დასჯილი დაწესებულ ხანს სახრჩობელადზე ეკიდა, ხოლო შემეგ ჭირისუფლებს მისცეს, რომელთაც მთიანეთში წაასვენეს ცხედარი“.

ერთი ძვირფასი მეგობრის ნაამბობი, იმ მეგობრისა, რომელმაც სულ ახლახან უდროოდ დაგვტოვა, იმ დროს კი ლინლითგოუს სკოლაში სწავლობდა, საშუალებას აძლევს ავტორს დასძინოს, რომ მაკგრეგორთა რაზმი (გაცილებით მრავალრიცხვოვანი იმაზე, რომელიც ედინბურგში ჩავიდა გვამის წამოსასვენებლად) დიდი გლოვითა და ზარით დახვდა პროცესიას ლინლითგოუში და ბალკვიდერამდე მიაცილა. ამგვარად, რობ როისა და მისი ოჯახის გრძელი ამბავი შეგვიძლია დავამთავროთ კლასიკური ფრაზით: ite conclamatum est[42]. ერთი უნდა დავსძინოთ: ყოველივე, რაც ზევით მოგახსენეთ, იმის მცირე ნაწილია, რასაც რობ როიზე ჰყვებოდნენ და ალბათ დღესაც ჰყვებიან მთებში - იმ ადგილებში, სადაც სჩადიოდა თავის საქმეთა საგმიროთა, მაგრამ თავდებად ვერავის დაუდგები, რომ ყველაფერი ჭეშმარიტებას შეესაბამება: ცხოვრება მოითხოვდა, რომ კლანის წევრებს მარტო ხმლითა და დამბაჩით კი არა, ენითაც დაეცვათ კლანის ინტერესები და ბევრი რამ რობ როის ამბებში იმის კვალობაზეა შერ-

ბილებული ან, პირიქით, გაზვიადებული, ვინ იყო მთხრობელი - მაკგრეგორი თუ კემპბელი.

წინასიტყვაობის დამატება

№1

რობ როის დაპატიმრების თაობაზე გამოქვეყნებული განცხადება (გაზეთი „ედინბურგ ივნინგ კურანტი“ 18-21 ივნისი, 1912 წ. №1058).

„რობერტ კემპბელს, რომელსაც ხალხში რობ როი მაკგრეგორს უწოდებენ, ამასწინათ რამდენიმე დიდგვაროვანმა ჯენტლმენმა განსაზღვრული რაოდენობის თანხა ანდო, რომ საქონელი შეესყიდა მათთვის მთიანეთში. იგი მუხანათურად გაიქცა, ფული, 1000 სტერლინგი გაიტაცა და ახლაც თანა აქვს. სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს ვთხოვთ, შეიპყრონ ხსენებული რობ როი და ჩამოართვან თანხა, რომელიც თანა აქვს, სანამ იმ პიროვნებების, რომლებიც ამ ფულის დაბრუნებით არიან დაინტერესებულნი, სარჩელს მოვისმენდეთ მის წინააღმდეგ და, როცა დააპატიმრებენ, აცნობონ ედინბურგის ბირჟის ყავახანის და გლაზგოს ყავახანის პატრონებს, რომლებიც შემდეგ შეატყობინებენ დაინტერესებულ მხარეს. შემტყობლები დაჯილდოებულნი იქნებიან უხვად თავიანთი გარჯისათვის“.

სამწუხაროა, რომ ეს განცხადება, შემდგომში მეორედ გამოქვეყნებული იმავე გაზეთში, არ შეიცავს რობ როის გარეგნობის აღწერილობას, რაც, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ რობ როის გარეგნობა ყველასათვის საკმაოდ კარგად იყო ცნობილი. რადგან განცხადება უშუალოდ რობ როის წინააღმდეგ არის მიმარ-

თული, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი კომპანიონი მაკდონალდი უდანაშაულოა. მოვალეებმა ალბათ იცოდნენ, რომ მაკდონალდს არა ჰქონდა იმათი ფული, თორემ აუცილებლად შეატანინებდნენ მის სახელს ამ განცხადებაში.

№2

მონტროზის ჰერცოგის წერილები, რომლებიც რობ როის მიერ კილირნელი მისტერ გრემას დატყვევებას ეხება.

მონტროზის წერილი ჰერცოგს[43];

ჩემო მბრძანებელო! წუხელ მოულოდნელად შემატყობინეს თქვენი დიდებულებისათვის კარგად ცნობილი ყბადაღებული მეგობრის მიერ ჩადენილი ერთი საოცარი თავნებობის ამბავი. ვინაიდან ეს თავნებობა ლახავს მისი უდიდებულესობის მთავრობის ღირსებას, ჩემს მოვალეობად მივიჩნიე მალემსრბოლელი გამომეგზავნა თქვენი უდიდებულესობისათვის და დაწვრილებით ამეწერა ეს შემთხვევა.

კილირნელი მისტერ გრემი, რომელიც ხშირად მიხსენებია თქვენთან იმ ერთგული სამსახურისათვის, შარშან ზამთარში, აჯანყების დროს რომ გაუწია მთავრობას, ჩემი მამულების მოურავია მთიან შოტლანდიაში. წარსულ ორშაბათს იგი მონტითში, ერთ-ერთ მამულში ჩავიდა გადასახადების ასაკრეფად და, როგორც ყოველთვის, ერთ სახლში ჩამოხდა, სადაც ორი-სამი დღით აპირებდა გაჩერებას, რათა ჩემი მოიჯარეები მიეღო და დავალებული საქმე გაეკეთებინა. იმავე თემით, დაახლოებით 9 საათზე, სახლს, სადაც ჩემი მოიჯარეები ვალს უსტუმრებდნენ მისტერ გრემს, რობ როი მიადგა თავისი ყაჩაღების იმ რაზმით, რომელიც ამასწინანდელი აჯანყების შემდეგაც არ დაუშლია, ყაჩაღებმა სახლს ალყა შემოარტყეს, თოფის ლულები ფანჯარაში შეყვეს, ხოლო თვითონ რობ როი რამდენიმე კაცის თანხლებით ფეხზე შეყენებული დამბაჩებით ხელში შემოიჭრა ოთახში, მისტერ გრემი დაატყვევა, მთებში წაიყვანა და მთელი ფული, რაც

მისტერ გრემს მოეგროვებინა, საგადასახადო დავთრები, ქვითრები და მოიჯარეთა საგირავნო ხელშეკრულებები ათას გირვანქაზე მეტი თანხისა, რომლის ნახევარი შარშან გადამიხადეს და ნახევარი წელს უნდა გადაეხადათ, თან წაიღო. ამასთანავე მან აიძულა მისტერ გრემს გამოეგზავნა ჩემთან წერილი (ასლს თან ვურთავ), რომლითაც რობ როი თავის პირობებს მთავაზობს.

იმისათვის, რომ თქვენი დიდებულება უკეთ გაერკვეს ამ საქმეში, აუცილებლად მიმაჩნია მოგახსენოთ შემდეგი: ეს კაცი კარგა ხნის წინათ ჩაუდგა სათავეში მაკგრეგორთა კლანს - იმ კლანს, რომელიც სხვებისაგან ყაჩაღობით, ძარცვა-გლეჯითა და მკვლელობით გამოირჩევა და ყოველთვის აძლევს თავშესაფარს მაწანწალა და გათახსირებულ ხალხს. რევოლუციის დაწყებიდან რობ როი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდა, რომ მთავობის წინააღმდეგ გამოსულიყო. იგი იმათაც არავითარ სამსახურს არ უწევდა, ვის მხარეზეც იბრძოდა, მხოლოდ ყაჩაღობდა და ქვეყანას ყველა მთიელზე მეტი უბედურება მოუტანა.

უკანასკნელ აჯანყებამდე სამი თუ ოთხის წლით ადრე, დაედო რა დიდძალი ვალი, დატოვა თავისი ადგილსამყოფელი, 12 თუ 16 მილზე გადაინაცვლა ჩრდილოეთით და ბრედელბაინის გაფს სთხოვა მფარველობა. როდესაც ლორდი კადოგანი მთიანეთში ავიდა, ბრძანა, დაეწვათ მისი ახალი საცხოვრებელი. როგორც ჩვენი დიდებულება დაინახავს, რობ როი ამ საქმეში მე მადანაშაულებს.

ამან აიძულა იგი ძველ სამყოფელში, ერთობ მკაცრსა და მიუდგომელ მხარეში, დაბრუნებულიყო და მეგობრებსა და ნათესავებ შორის დაეწყო ცხოვრება, მაგრამ სწორად განსაჯა რა, რომ შესაძლებელია, მოულოდნელად დასხმოდნენ თავს და დაეპატიმრებინათ, 5.5 თავის მომხრესთან ერთად ინვერერიში ჩავიდა, პოლკოვნიკ კემპბელ ფინაბელს, ერთ-ერთი დამოუკიდებელი შენაერთის უფროსს, ხალხის თვალის ასახვევად იარაღი ჩააბა-

რა, შინ დაბრუნდა თავის ხალხიანად და თან პოლკოვნიკის მიერ ხელმოწერილი დაცვის სიგელი წამოიღო. ეს ამბავი გასული წლის ზაფხულის დასაწყისში მოხდა. ცოტა ხნის შემდეგ მან კვლავ შეაიარაღა თავისი ხალხი და მეფის რაზმებს, რომელთაც წესრიგის დაცვა ევალებოდათ, წინააღმდეგობის გაწევა დაუწყო. ერთხელ თავს დაესხა ერთ-ერთ რაზმს და პატიმარი დაატოვებინა. იგი ხშირად აგზავნიდა ქვემო შოტლანდიაში თავის რაზმებს, ძარცვავდა სოფლის მოსახლეობას და მათ შორის ჩვენს მოიჯარეებსაც.

შევიტყვე რა ამ უწესრიგობათა შესახებ შოტლანდიაში ჩამოსვლის შემდეგ, მივმართე გენერალ-ლეიტენანტ კარპენტერს, რომელმაც უბრძანა სამ რაზმს - გლაზგოს, სტირლინგისა და ფილარინგისას, ღამით გამოსულიყვნენ და სხვადასხვა მხრიდან მოულოდნელად დასხმოდნენ სახლში თავს რობ როის და მის ხალხს. ეს განზრახვა, ჭეშმარიტად, წარმატებით გახორციელდებოდა, კოკისპირული წვიმა რომ არ წამოსულიყო. წვიმამ მთელ ღამეს გასტანა და რაზმების მსვლელობა შეაფერხა, ისე, რომ ზოგი რაზმი ძალიან გვიან მივიდა დანიშნულ ადგილას. მათ მხოლოდ ის შეძლეს, რომ ცეცხლს მისცეს რობ როის სახლი იმის შემდეგ, რაც მისმა ნათესავებმა, რომლებიც ლოდებს იყვნენ ამოფარებულნი, სროლა აუტეხეს და ერთი გრენადრი მოუკლეს.

მისტერ გრემ კილირნელი, რომელსაც იმ მხარის შერიფობა დავავალე, სტირლინგიდან გამოსულ რაზმში იმყოფებოდა და, უეჭველია, ამისათვის ის ველური ხალხი სასტიკად იძიებს შურს მასზე. ამასთან, იგი ჩემი ნათესავია და მთავრობას ერთგულად და თავდადებით ემსახურება. თქვენი დიდებულება დამეთანხმება, რომ ყოველივე ეს მაძლევს საფუძველს შეშინებული ვიყო ამ ჯენტლმენის ბედით, მაგრამ, თუ შემთხვევამ არ უშველა, ან თვითონ ვერ მოახერხა თავის დახსნა, მე, ალბათ, ვერაფერს ვუშველი.

მე ვაპირებდი შემეთავაზებინა მთავრობისათვის რამდენიმე ყაზარმის აგება ამ მხარეში. ჩვენ მხოლოდ ამით შევძლებთ აჯანყებულთა დათრგუნვას და მშვიდობის დამყარებას. ამის თაობაზე ველაპარაკე კიდეც გენერალ კაპენტერს და მას ხელთა აქვს ყაზარმის გეგმა. დარწმუნებული ვარ, ეს ღონისძიება საუცხოო ნაყოფს გამოიღებს, მაგრამ მანამდე აუცილებელია რანდენიმე რამზი ჩავაყენოთ იმ ადგილებში და მის შესახებ ვაპირებ მივწერო ზემოხსენებულ გენერალს.

ვხვდები, რომ თქვენი დიდებულება შევაწუხე ესოდენ გრძელი წერილით და ძალზე უხერხულად ვიგრძნობდი თავს, ეს საქმე მხოლოდ მე რომ მეხებოდეს, მაგრამ როდესაც საქმე მეფის მთავრობის ღირსებას ეხება, ბოდიშის მოხდა აღარ არის საჭირო და მხოლოდ ის მინდა დავსძინო, ჩემო მბრძანებელო, რომ სულით და გულით გთხოვთ მიგულოთ თქვენი დიდებულების ყველაზე ერთგულ და მორჩილ მსახურად.

მონტროზი.

კილირნელი გრემის წერილის პირი

(თან ერთვის წინა წერილს)

ჩეპელაროხი, 1716 წლის 19 ნოემბერი

დიდად პატივცემულო ჰერცოგო! რობერტ როის ბრძანებით იძულებული გავხდი შეგაწუხოთ ამ წერილით, რადგან ისე უბედური აღმოვჩნდი, რომ ამჟამად მის ხელთ ვიმყოფები პატიმრად. ჩემი შეპყრობის გარემოებათა თხრობა ამის მომტანს დავავალე და მხოლოდ მოკლედ გავაცნობ პატივცემულ ჰერცოგს რობერტ

როის პირობებს, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს: თქვენმა მაღალკეთილშობილებამ უნდა გააუქმოს მთელი ვალი, რაც თქვენ გეკუთვნით მისგან და უნდა მისცეთ 35.00 მერკი იმ ზარალის საზღაურად, რაც კრეიგ-როსტაუნში და ოკინკიზალენში მიაყენეს, ამასთან თქვენმა მაღალკეთილშობილებამ პირობა უნდა მისცეს, რომ მომავალში არ შეაწუხებთ და დევნას არ დაუწყებთ. მანამდე მე თან ვეყოლები იმ ფულიანად, რომელიც იმ დღეს ავკრიბე, დავთრებიანად და გაუნაღდებელ საგირავნო ხელშეკრულებიანად, თანაც სასტიკი მოპყრობით მემუქრება, თუ რაზმს გამოაგზავნით ჩემს დასახსნელად. თანხა, რომელიც იმ დღეს ავკრიბე, მიახლოებითი ანგარიშით, რომლის დროსაც რამდენიმე ჯენტლმენი მესწრებოდა მოწმედ შეესაბამება 3227 შოტლანდიურ გირვანქას, 2 შილინგს და 8 პენს, რის შესახებაც გავეცი ხელწერილები. ველი თქვენი მაღალკეთილშობილების პასუხს და მარად დავშთები თქვენი მაღალკეთილშობილების უერთგულესი, უგულწრფელესი და უმორჩილესი მსახური.

ხელმოწერა: ჯონ გრემი

მონტროზის ჰერცოგის წერილი

1716 წლის 28 ნოემბერი - კილირნელის გათავისუფლება
გლაზგო, 1716 წლის 28 ნოემბერი

სერ, თქვენ მოგეხსენებათ ჩემი ბოლო, მიმდინარე თვის 21-ის წერილიდან, თუ რა დაემართა ჩემს მეგობარს, კილირნელ მისტერ გრემს, ამჟამად მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ წუხელ ფრიად გავვოცდი და გავიხარე, როცა მისტერ გრემი თავად გამომეცხადა და მომაწოდა ცნობები, რასაც მოკლებული ვიყავი იმ

დღიდან, რაც იგი მოიტაცეს. როგორც ეტყობა, რობ როი დარწმუნდა, რომ ამ საქმიდან ვერც სარფას მიიღებდა და მართლმსაჯულებასაც კიდევ უფრო გადაიკიდებდა, ამიტომ ამჯობინა ყველა გაეთავისუფლებინა. მან კვირა საღამოს გამოუშვა კილირნელი, დავთრები, ქვითრები და ხელშეკრულებები გამოატანა, ფული კი დაიტოვა. მისტერ გრემი ორშაბათ საღამოს დაატყვევა და ძალიან ცუდ პირობებში ამყოფებდა, რადგან იძულებული იყვნენ გამუდმებით გადასულიყვნენ ერთი ადგილიდან მეორეზე.

გწერთ თქვენი გულწრფელი და უმორჩილესი მსახური

მონტროზი

№3

რობ როის მიერ შედგენილი გამოწვევა

რობ როი მიმართავს უდიდეს და უძლიერეს თავადს, მონტროზის ჰერცოგს ჯეიმზს.

„ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ მამაცი და ქველი ადამიანის სახელის შესანარჩუნებლად საჭიროა, რობ როის ისევე მოექცეთ, როგორც ის ექცევა სხვებს - ამოირჩიოთ ადგილი და იარაღი მასთან საბრძოლველად და ან მოკლათ დაუძინებელი მტერი, ან ვაჟკაცურად დაეცეთ ბრძოლის ველზე და ამით წერტილი დაუსვათ თქვენს საცოდავ სიცოცხლეს. რათა არამკითხე მოამბეებმა და უგვანო მლიქვნელებმა არ მიკიჟინონ, რომ მე ასეთი საბრალო და ლაჩარი გამოვიწვიე ორთაბრძოლაში, თანახმა ვარ მასთან ერთად შევებრძოლო ორ მის დამქაშს და მისი ჯარის მეთაურს. მაშინ დიდებულ ჰერცოგს არ მოუხდება იმათხოვროს სამეფო კარის წინაშე, ხალხი მომეცით, რომ რობ როი დავიჭირო, თორემ მელიასავით მოუხელთებელია - მიწის ზევით არა ჩნდებაო. ამგვარად, თუ ჩემ მიერ შემოთავაზებულ ამ უთანასწორო ორთაბრძოლას იკადრებთ, თქვენცა და თქვენი რაზმიც აღარ დაიტანჯებით ჩემი ძებნით, მაგრამ თუ დიდებული ჰერცოგი ანგარიშიანი და ლაჩრული ბუნების გამო დაშინდება და უარს იტყვის ამ ვაჟკაცურ გამოწვევაზე, მაშინ ზავის საზღაურად დამიბრუნეთ ყველაფერი, რაც წარმტაცეთ მაღალი მდგომარეობის მეშვეობით, თორემ გადაწყვეტილი მაქვს თქვენი მოსპობა და ვეღარაფერი გიშველით. თქვენს მეგობრებსაც შეატყობინეთ, რომ წინანდებურად ლმობერად არ მოვიქცევი და მარტო იარაღის ჩამორ-

თმევასაც არ დავაჯერებ. დიდებულ ჰერცოგს, თუ ომისა ეშინია, ზავს ვთვაზობ - აირჩიოს რომელიც უნდა, გულითადი მეგობრობა თუ სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობა“. ეს საოცარი მასხრობა იმ წერილს ახლდა, რომელიც რობ როის რომელიღაც მეგობრისათვის, არგაილის ჰერცოგის მომხრისათვის, გაუგზავნია ისლაში. წერილის შინაარსი ასეთია:

სერ, მიიღებთ რა თანდართულ წერილს, ხმამაღლა წაიკითხეთ, როცა საქეიფოდ ჩასხდებით - იგი თქვენც გაგართობთ და თქვენს მეგობრებსაც, ახალი ცნობები, რაც დაგშორდით, აღარ მიმიღია, ოღონდ ის ამბები, რაც ადრე გავიგე ესპანელებზე, თითქოსდა გრძელდება. თუ რაიმე ახალი ცნობა მივიღე იმათზე, აუცილებლად მოგაწვდით, მანამდე კი, სანამ მეტ ცნობებს არ შევკრებ, არაფერს მოგწერთ.

გწერთ თქვენი მოსიყვარულე ნათესავი და უმორჩილესი მსახური

რობ როი

არგაილი, 1719

მიიღოს მისტერ პატრიკ ანდერსონმა ჰეიგტრესში“.

ბეჭედზე გამოსახული ხარირემი კარგი ემბლემაა ველური ყაჩაღისათვის. ამ წერილიდან ჩანს, რომ რობ როი კვლავ აწვდიდა ცნობებს არგაილის ჰერცოგსა და მის მომხრეებს. აქ გადაკრულად ნათქვამი ალბათ იმას ნიშნავს, რომ მოსალოდნელი იყო შემოჭრა ესპანეთიდან. ასეთი ხმები, ალბათ, ხშირად ვრცელდებოდა იმის შემდეგ, რაც წინა, 1718, წელს ესპანეთმა ჯარი გადმოსხა გლენსჰილთან.

№4

რობერტ კემპბელის, იგივე მაკგრეგორის, ხალხის მიერ რობ როიდ წოდებულის წერილი ფელდ-მარშალ უედისადმი, რომელსაც მორჩილება გამოუცხადეს ამბოხებულმა ბელადებმა და კლანებმა.

„სერ, ის ადამიანურობა, რომელიც მუდამ თან ახლავს თქვენს მოქმედებას თქვენდამი მონდობილი მოვალეობის შესრულებისას, ის გარემოება, რომ როდესაც დარწმუნდებით, ვინმე შენდობისა და შებრალების ღირსიაო, მონიჭებულ განუსაზღვრელ ძალაუფლებას იყენებთ და უზომო გულმოწყალებას იჩენთ იმ საცოდავის მიმართ, მაიმედებს რომ მეტისმეტ თავხედობად არ ჩამითვლით, თუ გავკადნიერდები და შეგევედრებით, მეც საბრალოთა და იმათ რიგში ჩამრიცხეთო, რომელთაც წარსულში ჩემნაირი უბედური დღე ადგათ, ახლა კი თქვენი დიდსულოვანი შუამდგომლობის მეოხებით შენდობა და პატიება მიიღეს მისი უდიდებულესობისაგან. კარგად ვიცი, რომ ჩემს მიერ აჯანყების დროს ჩადენილ დიდ დანაშაულში მთლიანად ვერაფრით გავიმართლებ თავს, მაგრამ უმორჩილესად ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, ჩემი საქმის განხილვისას მხედველობაში მიიღოს ზოგიერთი საგანგებო გარემოება, რომლებიც, ვიმედოვნებ, ოდნავ მაინც შეამსუბუქებს ჩემს დანაშაულს. ჩემდა საუბედუროდ, იმ დროს, როდესაც აჯანყება დაიწყო, მართლმსაჯულებამ, მონტროზის ჰერცოგის მოთხოვნით, რომელმაც განაცხადა ჩემი ვალი აქვსო, დაპატიმრება გადამიწყვიტა. საპყრობილეს რომ გა-

დავრჩენოდი, რომელიც უეჭველია არ ამცდებოდა, გულის კარნახს რომ ავყოლოდი და

მეფის ჯარებს შევერთებოდი სტრილინგში, იძულებული გავხდი ტახტის მაძიებლის მომხრეთა ჯარში ჩავწერილიყავი. გვერდზე გადგონმა, როცა ყველას იარაღი ჰქონდა, სახიფათოც იყო და შეუძლებელიც. მართალია, იძულებით გავხდი მისი უდიდებულესობის, მეფე ჯორჯის ტახტიდან ჩამოსაგდებად მოწყობილი აჯანყების მონაწილე, მაგრამ ეს დანაშულს არ მიმსუბუქებს და ამას არც მოვუტანდი თავის გასამართლებლად, თუ ამავე დროს, არ მექნებოდა საშუალება დამესაბუთებინა თქვენი ბრწყინვალებისათვის, რომ, არა მარტო ყოველთვის ვერიდებოდი მტრულ მოქმედებას მისი უდიდებულესობის ჯარების წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, არგაილის პატივცემულ ჰერცოგს დროდადრო ვგზავნიდი ჩემს ხელთ არსებულ ცნობებს აჯანყებულთა ძალებისა და განლაგების შესახებ, რასაც, ვიმედოვნებ, თვითონაც დაგიდასტურებთ. რაც შეეხება მონტროზის ჰერცოგის ვალს, იგი უკანასკნელ ფართინგამდე გადავიხადე. თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვ მერწმუნოს, რომ იმ დროს იძულებული გახვდი ასე მოვქცეულიყავი, თორემ ჩემი ნება რიმ ყოფილიყო, გულისთქმას დავუჯერებდი და მისი უდიდებულესობის, მეფე ჯორჯის სამსახურად დავდებდი თავს. ერთადერთი, რაც მაბედვინებს შეგაწუხოთ და გთხოვოთ მიშუამდგომლოთ მისი უდიდებულესობის წინაშე, რათა მან სიცოცხლე შემინარჩუნოს, ის არის, რომ გულწრფელად ვაპირებ ეს სიცოცხლე იმ ხელმწიფის სამსახურს მოვახმარო, რომლის გულმოწყალება, სამართლიანობა და ადამიანობა ესოდენ განთქმულია მთელ ქვეყანაზე.

დავშთები თქვენი ბრწყინვალების მუდმივი მოვალე,

პატივცემული და უმორჩილესი მსახური

რობერტ კემბელი“

№5

არსებობს მრავალი შოტლანდიური ბალადა, რომლებშიც აღწერილია, რომ მთიელები ძველთაგანვე, როდესაც ვინმე ქვემო შოტლანდიელი ქალის ან მისი ქონების ხელში ჩაგდებას მოინდომებდნენ, ისე იტაცებდნენ საცოლეს, როგორც მგელი იტაცებს ხოლმე კრავს. ერთი ასეთი ბალდა არის მისტერ რობერტ ჯემისონის შოტლანდიური ხალხური ბალადების კრებულში:

ცხვარს დავხედავო - ლივინგსტოუნი
მარტო გავიდა კარში.
გზად გლენლიონი შემოეყარა,
ცხენზე შეიგდო ბავშვი.

შემოაძარცვა კაბა სატინის
საწყალს დაასხა რეტი...
მოვის პერაგნზე შემოახვია
შოტლანდიური პლედი.

მეორე ბალადა მოგვითხრობს:

ბარში დაეშვა ოცდაოთხი მთიელი ფიცხი,
უკან უდოსის დარჩათ ტყე-ველი...
მოვიტაცოთო ჯინ მიური - დაედოთ ფიცი,
ფიცი მტკიცე და შეურყეველი.

თვითეულ მათგანს სატევარზე დაედო ხელი,

დანა ფიცარზეც მტკიცედ დგებოდნენ:
ან დუნკან გერის გაჰყვებაო ასული თქვენი,
ან სისხლს დავღვრითო - იმუქრებოდნენ.

ეს ბალადა ხალხში მოვისმინე, მაგრამ შოტლანდიური ბალადების კრებულებში შეტანილია მრავალი, ამავე თემაზე შეთხზული ბალადა.

რობერტ ოიგის, ანუ როგორც ქვემო შოტლანდიელები უწოდებდნენ, უმცროსი რობ როის საგმირო საქმე შექებულია ბალადაში, რომლის 12 ვარიანტია გამოცემული. ბალადა მხნე და ცოცხალი ტონით არის დაწერილი. ეს ვარიანტი ისე მოგვაქვს, როგორც დაგვამახსოვრდა:

მთიდან ბარში ჩამოიჭრა რობ როი,
არ ეტყობა ნიშანწყალი დაღლის...
ბედაურზე შემოისვა ასული, -
ყადრი იცის ოჯახის და სახლის...
შემოისვა... გააქროლა თეთრონი,
თოხარიკით გაუყენა შორეთს:
ბალჰამამდე აიქროლეს ჭენებით,
მიაღწიეს მთიანეთის გორებს.
კმაყოფილი იქნებიო, - ეტყოდა, -
ალბათ, ღმერთიც ასე ბრძანებს, ლედი!
კიდით-კიდე მოიარო ლენოქსი,
ვერ იპოვი ჩემისთანებს, ლედი!
მამას ჩემსას უწოდებდნენ რობ როის,
მაკგრეგორი გვარად იყო, ლედი,
მაკგრეგორის სახელი და დიდება
ზესკნელამდე ასულიყო, ლედი!
მტრისთვის იყო ამოწვდილი მახვილი,
ძმისთვის იდგა ციხე-ბურჯად, ლედი!

ჩევინც აღუდგა, ამოუდო აღვირი,
ვეღარავინ გადაურჩა, ლედი!
მეც ფიცხი ვარ, არანაკლებ მამაცი,
ვიდრე იყო მამაჩემი, ლედი!
ვისაც ეჭვი ეპარება ამაში,
ხმალმა უთხრას დანარჩენი, ლედი!
მაშ, დღეიდან, კმაყოფილი იყავი,
რადგან უკვე აღთქმა დავდე, ლედი!
ჩემი ცოლი, - ჩემგნით გაურიყავი
შენ იქნები სიკვდილამდე, ლედი!

თავი I

ო, რა შეგცოდე, ღმერთო მაღალო, რად დამატეხე ტანჯვის სიმძიმე,

ერთი ძე მყავდა ისიც სხვისას ჰგავს, რად ამშალე და მასიმძილე!

წყეულიმც იყოს, ვინაც გარდაგქმნა ჩემდა ჭირად და ჩემდა საურვოდ.

მოგზაურობა?!- უფრო მშვიდად ცხენს გავისტუმრებ სამოგზაუროდ.

მუსიე ტომა[44]

ძვირფასო მეგობარო! შენ დაბეჯითებით მთხოვე, განგების მიერ ცხოვრების მიწურულში ნაბოძები მოცალეობის ნაწილი ამ გაჭირვებათა აღწერისათვის შემეწირა, რომლებიც სიჭაბუკეში გადამხდა თავს. ამ გაჭირვებებმა (შენ რომ თავგადასავალი უწოდე) სიამოვნებისა და ტკივილის ცვალებადი და მრავალფეროვანი შეგრძნება დამიტოვა გულში და მე დიდად მადლობელი ვარ ადამიანთა ბედ-იღბლის გამგებელისა, რომ თავიდანვე ხიფათითა და ფათერაკებით აღსავსე გზაზე დამაყენა. მან ალბათ იმიტომ მარგუნა ეს ხვედრი, რომ, ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების ბოლოს, როცა წარსულსა და აწმყოს შევადარებდი, მომწონებოდა ახლანდელი მშვიდი უზრუნველი ყოფა. გარდა ამისა, მეც ასე მწამს და შენც ნიადაგ მარწმუნებდი, რომ, ყველა, ვისაც გარდასულ დროთა ამბების გახსენება უყვარს, სიამოვნებით მოუსმენს მოხუც ადამიანს, რომელსაც მრავალნაირი ფათერაკი გადახდა

თავს და თანაც ისეთ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოებრივი წყობა და ადათ-ჩვეულებები უკიდურესად ჩამორჩენილია.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეკობრის მიერ მონათხრობი ამბავი სანახევროდ მაინც კარგავს თავის მომხიბვლელობას, თუ მას ქაღალდზე გადავიტანთ. ამიტომ, როცა კაბინეტში განმარტოვდები და ყურადღებით ჩაიკითხავ ჩემს ჩანაწერებს, ეს ამბები მაინცდამაინც საინტერესოდ აღარ მოგეჩვენება. შენ ხომ ადრე თვითმხილველისაგან მოგისმენია ყოველივე.

მაგრამ შენ ახალგაზრდა და ჯანმრთელი ხარ ჩემთან შედარებით და ეს მაიმედებს, რომ განგება ჩემზე უფრო ხანგრძლივ სიცოცხლეს მოგანიჭებს. ეყაროს ეს ფურცლები შენი სეკრეტერის ერთ რომელიმე კუნჭულში, სანამ ბედი არ დაგვაცალკევებს. ეს კი მალე, სულ რამდენიმე წელიწადში მოხდება და, როცა დროებით, როგორც იტყვიან, „უკეთეს ქვეყანაში“ შეხვედრამდე, დაგტოვებ, დარწმუნებული ვარ, ტკბილად გაიხსენებ წასულ მეგობარს, უფრო ტკბილად, ვიდრე ვიმსახურებ და მაშინ ეს წვრილმანები, რომლებიც ამჟამად ქაღალდს უნდა მივანდო, ნაღვლიან და თანაც სასიამოვნო მოგონებას აღგიძრავს.

ზოგი საკუთარ პორტრეტს უტოვებს მეგობარს, პორტრეტს, რომელიც მხოლოდ მის გარეგნულ თვისებებს გამოხატავს, მე კი ამ გულწრფელ ჩანაწერებს განდობ. მასში ჩემი ფიქრები და გრძნობები, ჩემი ღირსებები დანაკლოვანებებია გამომზეურებული და მწამს, რომ ჩემს ახალგაზრდულ სიფიცხესა და სისულელეებს კეთილი თვალით შეხედავ და ისევე სულგრძელად შემინდობ, როგორც მოწიფული ასაკისდროინდელ შეცდომებს შემინდობდი ხოლმე.

როცა ჩემს მემუარებს (თუკი შეიძლება, რომ ამ ფურცლებს ასეთი შთამბეჭდავი სახელი ვუწოდო) შენისთანა საყვარელი და ახლობელი მეგობრისთვის ვწერ, სხვა მრავალ სარგებლობასთან ერთად კიდევ ერთ რამეში ვრჩები მოგებული: შემიძლია

თხრობის დროს ბევრი ისეთი წვრილმანი გამოვტოვო, რომელიც ამ ჩანაწერებს არაფერს შემატებდა. უცხო ადამიანის საკითხავად განკუთვნილ მოგონებებში გვერდს ვერ აუვლი წვრილმანებს და მათ დევნაში შეიძლება უფრო საინტერესო გამოგრჩეს კაცს. განა მელანი, ქაღალდი და თავისუფალი დრო რომ მაქვს და თანაც დარწმუნებული ვარ, აუცილებლად წაიკითხავ ჩემს ჩანაწერებს, თავი უნდა შეგაწყინო? მიუხედავად ამისა, მიძნელდება დაგპირდე, რომ ბოროტად არ გამოვიყენებ ამ მაცდუნებელ შესაძლებლობას და სიამოვნებით არ გავიხსენებ ყოველივეს, რაც თავს გადამხდენია, კარგი იქნება ეს თუ ავი. ვიცი, რომ ეს ამბები ჩემზე ნაკლებად არ არის ცნობილი შენთვის, მაგრამ მაინც გავიხსენებ. ხშირად, როდესაც ჩვენ თვითონ ვართ ამბის მთავარი გმირი, თხრობა გაგვიტაცებს და აღარ ვზოგავთ მსმენელის დროსა და მოთმინებას. ცდუნებას ყველაზე ბრძენი და გამოცდილი ადამიანიც კი ვერ გაუძლებს ხოლმე. საკმარისია შეგახსენო ერთი ჭკუის სასწავლებელი მაგალითი, რომელიც სალის[45] მემუარების იშვიათ და თავისებურ გადმოცემასთან არის დაკავშირებული. შენ მიამიტი ბიბლიოფილის ჯიუტობით დამიწყებ მტკიცებას, ეს გამოცემა სჯობს მეორეს, რომელიც მემუარების ჩვეულებრივი ფორმით არის დაწერილიო. მე კი მგონია, შენი საყვარელი გამოცემა მხოლოდ იმით არის საყურადღებო, რომ თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა ადვილად ექცეოდა თვითგანდიდების კლანჭებში ისეთ დიდი ადამიანიც კი, როგორიც ამ წიგნის ავტორი იყო. თუ მეხსიერება არ მღალატობს იმ პატივცემულმა პირმა და დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, ოთხ თავის ქვეშევრდომ ჯენტლმენს დაავალა თავისი ცხოვრების აღწერა, მას უნდა დარქმეოდა „მოგონებები ჰენრი IV მიერ ნაღვაწ ბრძნულ და უზენაეს სახელმწიფოებრივ, ოჯახურ, პოლიტიკურ, სამხედრო და სხვა და სხვა საქმეთა შესახებ“.

ამ დარბაისელმა მემატიანეებმა თავიანთი მბრძანებლის ცხოვრების ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა აღწერეს თავიანთ ნაშრომში, თანაც ისე, რომ ამ მოვლენათა აღწერისას პირადად მას მიმართავდნენ. ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ თავის ამბავი ან იულიუს კეისარივით მესამე პირით მოეთხრო ან პირველი პირით, როგორც უმეტესობა აკეთებს, როცა სასტუმრო ოთახში ან კაბინეტში ჩაიკეტება და საკუთარი წარსულის ხელახლა განცდას შეუდგება, სალიმ, უფრო დახვეწილი, მაგრამ უჩვეულო ხერხი მოიგონა დასატკბობად: მან ამჯობინა თავისი წარსული საკუთარი მდივნებისაგან მოესმინა. წიგნის ავტორი ხომ თითქმის თვითონ იყო და ამავე დროს მისი მთავარი გმირიც გახდა. დიდებული შესახედავი უნდა ყოფილიყო ექსმინისტრი, რომელიც ყაითნებით გაწყობილ ვიწრო კამზოლისა და ფუშფუშებიანი გახამებული საყელოს წყალობით გამართული იჯდა მოჩარდახულ სავარძელში და მედიდურად უსმენდა დიდებულთ, რომელთაც დაწვრილებით აღეწერათ მისი ცხოვრების გზა. დიდებულები კი ქუდმოხდილნი იდგნენ ჰერცოგის წინ და მოახსენებდნენ. „ჰერცოგმა ასე ბრძანა.. ჰერცოგი ბოლოს ასე მოიქცა.. თქვენი მოწყალების აზრი ამ მნიშვნელოვან საკითხებზე ასეთი იყო.. თქვენ საიდუმლოდ ასე ურჩიეთ ხელმწიფეს იმ ურთულესი საქმის დროს...“. ყველა ასეთ საქმეს მსმენელი მთხრობელზე უკეთ იცნობდა და ცნობები სულაც ჰერცოგისგან ჰქონდათ მიღებული.

ჩემი მდგომარეობა ასეთი სასაცილო არ არის, მაგრამ ვფიქრობ, უცნაური იქნებოდა, რომ ფრენკ ოსბალდისტონს უილ ტრეშამისათვის მოეთხრო, თუ სად დაიბადა, როგორ აღიზარდა და რა მდგომარეობას მიაღწია საზოგადოებაში. ამიტომ მე არ მივიღებ ჩვენი მრევლის დიაკვნის პ. პ-ს მაცდუნებელ რჩევას და ყოველნაირად შევეცდები დუმილით ავუარო გვერდი შენთვის უკვე ცნობილ ამბებს.

ზოგი რამ კი მაინც უნდა შეგახსენო, რადგან თუმცა ეს ფაქტები, დარწმუნებული ვარ, თავის დროზე კარგად იყო შენთვის ცნობილი, მაგრამ, ადვილი შესაძლებელია, ჟამთა მდინარებამ სავსებით წაშალა შენი ხსოვნიდან, ისინი კი საფუძვლად დაედო ჩემს მომავალს.

ჩვენი მშობლები კომპანიონები იყვნენ და ერთად უძღვებოდნენ სავაჭრო ფირმას და ამიტომ მამაჩემი კარგად უნდა გახსოვდეს.

თუმცა, არა მგონია, მისი საუკეთესო წლების მომსწრე იყო, წლების, როცა ასაკსა და სნეულებას ჯერ კიდევ არ დაეძაბუნებინა, როცა ფხა და გამჭრიახობა მოსდევდა და გული ერჩოდა. იგი ალბათ უფრო ღარიბი იქნებოდა, მეცნიერებისთვის რომ შეეწირა ის უზარმაზარი ენერგია და გამჭრიახობა, რაც თავის კომერციულ საქმიანობას მოანდომა. უფრო ღარიბი, მაგრამ ასევე ბედნიერი. აღებმიცემობის აღელვებულ ზღვაში შეცურვა, თუნდაც სარფის იმედი გადაწყვეტილი იყოს, მაინც ხიბლავს ფათერაკების მაძიებელ ადამიანს. ვინც ამ მუხანათ ზღვას მიენდობა, ყოველგვარი გაჭირვების ატანა უნდა შეეძლოს და ხომალდის მართვაც კარგად ეხერხებოდეს. მიუხედავად ამისა, თუ ბედნიერების ქარი არ ახლავს თანამგზავრად, შეიძლება ხომალდი დაემსხვრას.

ზღვაოსანმა წუთით არ უნდა მოადუნოს ყურადღება და, თუ საჭირო იქნება, შეუძლებელსაც შეეჭიდოს. ბედისა და წინდახედულობას შერკინება, რომელშიც ხან ერთი გადასძლევს, ხან მეორე, მთლიანად მოიცავს ადამიანის გრძნობებს და გონებას და აღებმიცემობას ბანქოსავით მომაჯადოებელ თამაშად აქცევს, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ყველა აზარტული თამაშის განუყრელი თანამგზავრი -ზნეობრივი მანკიერება- არ ახლავს თან.

მე-18 საუკუნის დასაწყისში, როცა ღვთის წყალობის 20 წლისა მოვიყარე, მამაჩემმა მოულოდნელად გამომიძახა ბორდოდან

რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე. არასოდეს დამავიწყდება ჩვენი შეხვედრა, ალბათ გახსოვს, როგორ მკვეთრად, ლაკონურად და, ცოტა არ იყოს, სუსხიანად იცოდა თავისი სურვილის გამოთქმა. აი, ახლაც ცოცხლივ მიდგას თვალწინ წელში გამართული, წარმოსადეგი. მესმის მისი სწრაფი, თამამი ნაბიჯების ხმა, თითქოს ახლაც შემომცქერის გამჭოლავი გონიერი მზერით. ახლაც ვხედავ ძვირფას სახეს, რომელიც უკვე დაუღარავს ნაოჭებით ათასგვარ საზრუნავს, ახლაც ცხადად ჩამესმის ყურში მისი ხმა, რომელიც ხანდახან თავისდაუნებურად მკაცრად აუჟღერდებოდა ხოლმე.

როგორც კი საფოსტო ცხენიდან ჩამოვხდი, მამაჩემის ოთახს მივაშურე. მამა ღრმად იყო ჩაფიქრებული და სულ არ მომაქცია ყურადღება, თუმცა მხოლოდშობილი ვიყავი და 4 წელი იყო რაც არ ვენახე. მე მოვეხვიე. იგი მოყვარული მამა გახლდათ. თუმცა ამის გამომჟღავნება არ უყვარდა. ახლაც ცრემლი მოადგა თვალებში, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი.

- დიუბური მწერს, თქვენი შვილით კმაყოფილი ვარო, ფრენკ.

- ძალიან მოხარული ვარ, სერ...

- მე კი საკმაოდ მცირე საბაბი მაქვს სასიხარულოდ, - მომიჭრა მამამ და საწერ მაგიდას მიუჯდა.

- ძალიან ვწუხვარ, სერ...

- ეგ ორივე ისეთი გამოთქმაა, ფრენკ, რომლებიც მეტწილად ძალიან ცოტას ან სულ არაფერს გამოხატავს. აი, ეს შენი ბოლო წერილია.

მამამ გულდასმით დახარისხებული და ლამაზად დალაგებული ქაღალდების დასტა ამოიღო. დასტა წითელი ზონარით იყო შეკრული და შიგ ის საცოდავი ეპისტოლე იდო, ჩემს გულისნადებს- სიტყვებად აკინძულ ნატვრასა და სურვილებს რომ ინახავდა. დარწმუნებული ვიყავი, წერილი, თუ ვერ გადაიბირებდა, გულს მაინც აუჩუყებდა წამკითხველს.

მამაჩემს ყოველდღიურად ათასი საქმიანი ქაღალდი მოსდიოდა და წერილიც იმათში ჩაეტენა. ახლაც მეღიმება, როცა ვიხსენებ, თუ რა დამცირებულად ვიგრძენი თავი და როგორ გავნაწყენდი, როცა ჩემი საპროტესტო უსტარი, რომლის შექმნას, გარწმუნებ, საკმაო ჯაფა შევალიე, თამასუქების, მინდობილობებისა და სხვა ჩემი მაშინდელი შეხედულებით ყოვლად უსარგებლო სავაჭრო საბუთების დასტიდან ამოაძვრინეს. მახსოვს, გავიფიქრე, ასეთი მნიშვნელოვანი წერილი ნამდვილად უკეთეს ადგილს და უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე ეს უბრალო კანცელარიული ნაჯღაბნი-მეთქი.

მაგრამ მამაჩემმა ვერც კი შენიშნა ჩემი განაწყენება და კიდეც რომ შეენიშნა არაფრად ჩააგდებდა. ქაღალდი ხელში შეატრიალა და განაგრძო:

- ფრენკ, ეს არის შენი, წინა თვის 21 რიცხვში გამოგზავნილი წერილი, რომლითაც მაუწყებ, რომ (მან წერილს ჩახედა) ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიცაა მთელი ცხოვრების გზისა და პროფესიის განსაზღვრა, მშობელმა თავისუფალი არჩევანის უფლება მაინც უნდა მისცეს შვილს და შენ რომ გადაულახავი... - დიახ. სწორედ „გადაულახავი“ წერია... სხვათა შორის კარგი იქნებოდა უფრო გარკვეული ხელით გეწერა. ზოგან მომრგვალება აკლია ასოს, ზოგან ხაზი... - რომ გადაულახავი წინააღმდეგობანი ეღობება შენ მიერ დასახული გეგმის განხორციელებას, ამას ათასნაირად ატრიალებ წერილში, რომელიც ოთხ გვერდზეა გაჭიმული, თუმცა ოდნავ მაინც რომ გეზრუნა აზრის ლაკონიურობასა და სიცხადეზე, ყველაფერი ოთხ სტრიქონში ჩაეტეოდა, რადგან ბოლოს და ბოლოს, ფრენკ, მხოლოდ იმას ამბობ რომ ჩემი სურვილის შესრულება არ გინდა.

- არ შემიძლია-მეთქი, სერ. იძულებული ვარ, უარი ვთქვა-მეთქი. მანდ „არ მინდა“ არ მიწერია.

- სიტყვებს ჩემთვის ძალიან მცირე ფასი აქვს, ყმაწვილო, - შემაწყვეტინა მამამ, რომელიც არასოდეს ჰკარგავდა სიმშვიდესა და თავდაჭერილობას და ამავე დროს ყოველთვის მტკიცედ იდგა ხოლმე თავის ნათქვამზე. „არ შემიძლია“ „არ მინდაზე“ უფრო ზრდილობიანი გამოთქმაა, მაგრამ როცა ადამიანს რაღაც საქმის გაკეთება ძალუძს, და, მიუხედავად ამისა, უარს ამბობს, შეუძლია პირველიც მოიშველიოს და მეორეც. მაგრამ მე არ მჩვევია ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება. ამ საქმეზე ნასადილევს მოვითათბიროთ. ოუენ!

ოთახში ოუენი შემოვიდა, ოღონდ მაშინ თმა შევერცხლილი არ ჰქონდა(შენ ხომ ასეთი გახსოვს ოუენი, დარბაისელი და მოწიწებისა და პატივისცემის აღმძვრელი). მაშინ ორმოცდაათზე ცოტა მეტის იქნებოდა, მაგრამ მაშინაც ისეთივე, ან თითქმის ისეთივე ტანსაცმელი ეცვა - ღია ყავისფერი მაუდის კოსტუმი, აბრეშუმის მოვერცხლისფრო წინდები, ვერცხლისბალთებიანი ფეხსაცმელი, მაჯებზეც ისევ ის გოფრირებული მანჟეტები ეკეთა, მხოლოდ სასტუმრო ოთახში შემოსვლისას რომ გამოაჩენდა ხოლმე, კანტორაში მუშაობისას მანჟეტებს გულმოდგინედ შეიკეცავდა სახელოებში, მელნით რომ არ დასვროდა (მელანს კი კარგა ბლომად ხარჯავდა ყოველდღე).

ერთი სიტყვით, ოჯახში ოსბალდისტონისა და ტრეშამის ფირმის უფროსი კლერკი ოუენი შემოვიდა, დარბაისელი, თავშეკავებული და მაშინაც ისეთივე კეთილი და გულმოწყალე, როგორიც თვისი ცხოვრების მიწურულს იყო.

- ოუენ! -უთხრა მამაჩემმა, როცა მოხუცმა სიყვარულით ჩამომართვა ხელი, - დღეს ჩვენთან ისადილებ და იმ ახალ ამბებსაც მოისმენ, ჩვენმა ბორდოელმა მეგობრებმა რომ დააბარეს ფრენკს.

ოუენმა მოწიწებით დაუკრა თავი მადლობის ნიშნად, რადგან იმ ხანებში მკაცრად იცავდნენ ზღვარს უფროსსა და უმცროსს შორის და ასეთი მიპატიჟება დიდ პატივსაცემად ითვლებოდა.

არასოდეს დამავიწყდება ის სადილი. მე ძალზე შეშფოთებული და თანაც, ცოტა არ იყოს, განაწყენებული ვიყავი და მამას იმედი ვერ გავუმართლე: საუბარში ცხოველი მონაწილეობა ვერ მივიღე და ვერც იმ კითხვებს ვუპასუხე მარჯვედ, რომელთაც ზედიზედ მაყრიდა მამაჩემი. ოუენს თავისი ბატონის რიდი და პატივისცემაც ჰქონდა და ის ყმაწვილიც უყვარდა, რომელსაც ბავშვობაში მუხლებზე ათამაშებდა ხოლმე. ამიტომ მტრისაგან შევიწროებული სახელმწიფოს მხდალი მოკავშირის დარად ცდილობდა ყველა ჩემი უხერხული პასუხი შეელამაზებინა და ყველა შეცდომა გაემართლებინა. ეს მანევრები მაინცდამაინც ვერ მშველოდა, მამაჩემს კი კიდევ მეტად უღვივდებოდა წყენისა და რისხვის ცეცხლი და მისი ალი ხშირად ჩემს კეთილ მფარველსაც სწვდებოდა. დიობურთან ყოფნის დროს მე მთლად ისე არ ვიქცეოდი როგორც ის გადამწერი, ასე უეცრად მთლად რომ წაწყმიდა მამა თავისი, ლექსი დაწერა ოქმის მაგივრად, რამ გადარია, აბა რა ვიცი!

მაგრამ, გულახდილად რომ მოგახსენოთ, კანტორაში მხოლოდ იმიტომ შევივლიდი ხოლმე, რომ იმ ფრანგს, ჩვენი ფირმის ძველ კორესპონდენტს, რომელსაც მამაჩემის დავალებით კომერციული საიდუმლოებები უნდა ესწავლებინა ჩემთვის, აუგად არ ვეხსენებინე ლონდონში გამოგზავნილ წერილებში. დანარჩენ დროს ლიტერატურასა და ფიზიკურ ვარჯიშს ვახმარდი. მამაჩემი მთლიანად არ უგუვებელჰყოფდა გონებისა და სხეულის ამგვარად განვითარებას. იგი გამჭრიახი გონების პატრონი გახლდათ და არ შეიძლება არ მიხვედრილიყო, რომ ორივე სასარგებლო იყო ადამიანის სულისა და ხორცის სიფაქიზისა და სიმრთელისათვის. თვითონაც ხომ გულით უნდოდა ასეთი შვილი ჰყოლო-

და, მაგრამ მის პატივმოყვარეობას მარტო ეს არ აკმაყოფილებდა: უნდოდა ანდერძით თავისი ოცნებებისა და გეგმების განხორციელება დაევალებინა. იმედოვნებდა, რომ ანდერძს შევასრულებდი და მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას გავამრავლებდი.

როდესაც ასე მაძალებდა მის კვალს გავყოლოდი, უეჭველია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი საქმის სიყვარული ამოძრავებდა. შემდგომში მივხვდი, რომ სხვა მიზეზიც ჰქონდა საამისოდ: მამაჩემი ფხიანი და გამბედავი ადამიანი იყო და რასაც ჩაიფიქრებდა, განახორციელებდა კიდეც. ყოველი წარმატებით დაგვირგვინებული ოპერაციის შემდეგ ახალ საქმეს იწყებდა, რადგან წარმატება ნივთიერ შესაძლებლობასაც აძლევდა საამისოდ დაგამარჯვების რწმენასაც. იმ პატივმოყვარე დამპყრობელივით, შეუსვენებლივ რომ მიისწრაფვის ახალ-ახალი ქვეყნების დასამარცხებლად და არც ძველი დაპყრობილების შემომტკიცებას ცდილობს და არც, მითუმეტეს, გამარჯვების ნაყოფით ტკბობას, მამაჩემი დაუცხრომლად იბრძოდა ახალი ქონების შესაძენად. საამისოდ იგი მთელ თავის ძველ მონაგარს აგდებდა ხოლმე ბედის მუხანათ სასწორზე და ყოველთვის ახერხებდა, პინა თავის მხარეს დაეწონა. მამაჩემს თითქოს ერთიორად ემატებოდა ძალა და გამბედაობა, როცა სასწორზე შეგდებულ მთელ ქონებას დიდი საფრთხე დაემუქრებოდა, მაშინ იგი იმ მეზღვაურს ჰგავდა, რომელიც უშიშრად ხვდება უზარმაზარ ტალღებს და სხვა ათასნაირ საფრთხეს, რადგან სწორედ ღელვისა და ქარიშხლის დროს ემატება მხნეობა და საკუთარი ძალების რწმენა. მაგრამ მამაჩემმა კარგად იცოდა რომ წლებს თავისი მიაქვს და. გარდა ამისა, არავინ არის დაზღვეული მოულოდნელი სნებისაგან. ამიტომ, იყო, გულით უნდოდა წინასწარ მოემზადებინა თანაშემწე და, როცა აღარ შეეძლებოდა ხომალდის მართვა, საჭე მისთვის გადაელოცა, თვითონ კი გზა ესწავლებინა და რჩევა-დარიგება მიეცა. ამას უკარნახებდა მამობრივი სიყვარულიცა და საქმისადმი ერთგუ-

ლებაც, მამაშენმა თავისი ქონება ჩვენს კომპანიაში დააბანდა, მაგრამ მის საქმეებში არ ერეოდა და, ვაჭრული ჟარგონით რომ ვთქვათ, „მძინარა ამხანაგი“ იყო. ოუენი უპატიოსნესი ადამიანი გახლდათ, შესანიშნავად ერკვეოდა საანგარიშო საქმეებში და შეუცვლელი იყო უფროსი კლერკის თანამდებობაზე, მაგრამ არც ცოდნა ეყოფოდა და არც, უნარი, რომ მთელი კომპანიის ხელმძღვანელობის საიდუმლოებას ჩასწვდომოდა. მაშინ ვის უნდა განეხორციელებინა მისი ვრცელი გეგმები, უეცრად რომ გამოსალებოდა წუთისოფელს? ერთადერთი გამოსავალი ისღა იყო რომ შვილი კომერციის ჰერკულესად გაეზარდა და როცა ატლანტი დაეცემოდა, ტვირთისთვის ჰერკულესს შეეყენებინა მხრები. მაგრამ რა დღეში ჩავარდებოდა შვილი, თუ არაფერი ეცოდინებოდა? როგორ გაიკვლევდა გზას სავაჭრო საქმეების ლაბირინთში თუ ხელში ცოდნის გორგალს ვერ დაიჭერდა? აი, ამ მოსაზრებებმა, რომელთაგანაც ზოგი გამიზიარა. ზოგი კი გულში გაივლო, გადააწყვეტინა მამაჩემს, რომ მე აუცილებლად გავყოლოდი მის კვალს. ხოლო, როდესაც მამაჩემი რაიმეს გადაწყვეტდა, არაფრით აღარ გადათქვამდა ხოლმე, ისე კარგი კი იქნებოდა, წინასწარ მომთათბირებოდა, რადგან მეც მამაჩემივით ჯიუტი ვიყავი და თანაც სულ საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მქონდა მიღებული.

ჩემი უარი, ვგონებ, შეიძლება მომეტევოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვერა და ვერ გამეგო, თუ რატომ ეწადა მამაჩემს მაინცდამაინც ვაჭარი გამოვეყვანე. მე არ მესმოდა, რომ მისი წარმატება და ბედნიერება მთლიანად ჩემს თანხმობაზე იყო დამოკიდებული. დარწმუნებული ვიყავი, მომავალში დიდ მემკვიდრეობას მივიღებდი, მანამდე კი იმდენი ფული მექნებოდა, რომ მდიდრულად ვიცხოვრებდი. არ მეგონა, თუ ამ ბედნიერების შესანარჩუნებლად საჭირო გახდებოდა ქედი მომეხარა და ასეთი მძიმე და საძულველი ტვირთი ამეკიდა ზურგზე.

როცა მამაჩემმა წინადადება მომცა ვაჭრობას მოვკიდებოდი, ვიფიქრე, მარტო იმაზე ზრუნავს, თავისი განძის გროვა კიდევ უფრო გაზარდოს-მეთქი. მე კი მიმაჩნდა, რომ ბედნიერებისაკენ მიმავალი გზა თვითონ უნდა ამერჩია და საამისოდ სულაც არ იყო აუცილებელი კიდევ მიმემატებინა რამე ჩვენი ქონებისათვის. იგი, ჩემი ღრმა რწმენით, საკმარისი და საკმარისზე მეტიც კი იყო, რომ კაცს ფუფუნებით ეცხოვრა და არც ერთი ნატიფი გასართობი და სიამოვნება არ მოჰკლებოდა.

კვლავ უნდა შეგახსენო: ბორდოში ყოფნისას ისე არ ვიქცეოდი, როგორც მამაჩემს წარმოედგინა, ძალიან უგულოდ ვეკიდებოდი იმ საქმეს, რისთვისაც ამ ქალაქში ვიყავი გაგზავნილი და ვერა ვბედავდი, თორემ სულაც ავიღებდი ხელს ვაჭრობის შესწავლაზე. ჩვენი ფირმის კორესპონდენტს, დიუბურს, დიდი გამორჩენა ჰქონდა ჩვენგან და განა სულელი იყო, მამისთვის ერთადერთი შვილის ძვირი ეთქვა? იცოდა, ამით არც იმას ასიამოვნებდა და მეც შემაძულებდა თავს. ესეც არ იყოს, როგორც ჩემი შემდგომი მონათხრობიდან მიხვდები, დიუბურს ხელს აძლევდა, რომ მე უგულოდ მოვკიდებოდი იმ მოვალეობის შესრულებას, რისთვისაც ბორდოში ვიყავი გაგზავნილი და ჩემს ნებაზე ვყავდი მიშვებული. მე წესიერებისა და კეთილგონიერების საზღვარი არ გადამილახავს და ამდენად, კიდეც რომ ნდომოდა, ცუდს ვერაფერს მისწერდა მამაჩემს. კი არა, იმაზე უფრო ბიწიერი მიდრეკილებებიც რომ გამომემჟღავნებინა, ვიდრე სავაჭრო საქმეებისადმი უყურადღებობაა, ეს ეშმაკი ფრანგი მაშინაც ლმობიერად შემინდობდა ყველაფერს.

ახლა კი, როცა მისი ხელმძღვანელობით კარგა დროს ვუთმობდი სავაჭრო მეცნიერების შესწავლას, დიდად კმაყოფილი ჩანდა და თითქოს ვერც კი ამჩნევდა, რომ დანარჩენ დროს უფრო სხვა, უფრო კლასიკური, მეცნიერების შესწავლას ვახმარდი. დიუბური სულ არ მითვლიდა შეცოდებად, რომ გატაცებით ვკით-

ხულობდი კორნელისა[46] და ბუალოს[47] თხზულებებს, პოსლტვეიიტის (წარმოვიდგინოთ, რომ პოსლტვეიტის თხზულება მაშინ უკვე არსებობდა და მუსიე დიუბერს ძალუძდა ამ გვარის სწორად გამოთქმა), სავარისა და სხვა ავტორების კომერციული ნაშრომების ნაცვლად. დიუბერმა სადღაც ამოიკითხა მეტად მოხერხებული გამოთქმა და ლონდონში გაგზავნილ ყველა წერილს იმით ამთავრებდა ხოლმე. ამ გამოთქმის მიხედვით, მე მთლად ისეთი გახლდით, როგორიც მამაჩემს სურდა რომ ვყოფილიყავი.

მამას ძალიან უყვარდა მკაფიო და აზრიანი ფრაზა და რამდენჯერაც უნდა ყოფილიყო განმეორებული, არ გაბრაზდებოდა. მაგალითად, ძალიან მოსწონდა. „თქვენი წერილი მიღებულია, თანდართული ანგარიშები ჩაკრულია საქმეში“. თვით ადისონიც ვერ დაუმტკიცებდა, რომ შეიძლებოდ აზრის უფრო ნათლად და ლაკონურად გამოთქმა. მისტერ ოსბალდისტონმა შესანიშნავად იცოდა, საბოლოოდ რა უნდა გამოვეყვანე, ამიტომ ყოველთვის სიამოვნებით კითხულობდა დიუბურის საყვარელ ფრაზას და ერთხელაც არ დაეჭვებულა მის სიმართლეში, და აი, ერთ უბედურ დღეს ჩემი წერილი მიიღო, რომლითაც მჭერმეტყველურად და დაწვრილებით ვუხსნიდი, თუ რატომ არ მინდოდა დამეკავებინა შემოთავაზებული ადგილი ფირმაში და რატომ არ მქონდა სურვილი დავმჯდარიყავი კრეინის ქუჩაზე, კანტორის ბნელ კუთხეში, სადაც ჩემთვის განკუთვნილი ტაბურეტი ზევიდან დაჰყურებდა ოუენისა და სხვა კლერკების ტაბურეტებს და მხოლოდ ფირმის უფროსის სამფეხა სკამს ჩამოუვარდებოდა სიმაღლით.

ამ დღიდან ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. მამაჩემმა დიუბურის წერილებს ისეთი ეჭვით დაუწყო კრიტიკი, თითქოს ყალბი თამასუქები შეეტყუებინოს მისთვის ვინმეს. მე სასწრაფოდ გამომიძახეს შინ და ისე მიმიღეს, როგორც ზევით აღვწერე.

თავი II

მე ეჭვი ავიღე რომ ამ ახლაგაზრდა კაცს საშინელი სენი, ლექსების მთხზველობა, შეჰყროდა და, თუ იგი მართლა დაავადებულია ამ ზარმაცების სენით, იმედი აღარ უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმწიფო სამსახურს გამოადგება. რაკი ერთხელ დაიწყო ლექსების თხზვა, ხალხს უკვე ვეღარ არგებს.

ბენ ჯონსონი, „ბართლომეს ბაზრობა“[48]

მამაჩემი, საერთოდ, თავშეკავებული კაცი გახლდათ და, ძალიანაც რომ გაბრაზებულიყო ლაპარაკში არ შეიმჩნევდა, უკმაყოფილებას მხოლოდ იმით შეატყობდნენ, რომ მოსაუბრეს ჩვეულებრივზე უფრო ცივად ექცეოდა. მამა არასოდეს იმუქრებოდა, ხმას არ აუმაღლებდა, ყველა სიტყვა აწონილი ჰქონდა და ყოველთვის ისე მოაწესრიგებდა საქმეს, ერთ ზედმეტ სიტყვასაც არ ხარჯავდა. ახლა მწარე ღიმილით ისმენდა ჩემს აბდაუბდა პასუხებს საფრანგეთის ვაჭრობის შესახებ და შეუბრალებლად მაიძულებდა სულ უფრო და უფრო მაგრად გავხლართულიყავი აჟიოს, ტარიფების, ნეტო და ბრუტოს, ჩამოფასებისა სხვა გაუგებარი სიტყვების ქსელში. გაბრაზება მხოლოდ მაშინ დაეტყო როცა მიხვდა, რომ კარგად ვერ ვერკვეოდი, რა გავლენა იქონია ლუიდორის გაუფასურებამ საკრედიტო მიმოქცევაზე.

- ეს ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა,- თქვა მამამ (თუმცა იგი რევოლუციის[49] მომსწრე იყო),- ამან კი იმდენი იცის ლუიდორის გაუფასურებაზე, რამდენიც მიწაში ჩარჭობილმა პალომ.

- მისტერ ფრენსისს,- მოკრძალებულად ჩაერია საუბარში ოუენი,- ალბათ ახსოვს, რომ საფრანგეთის მეფემ 1700 წლის 1 მაისს გამოცემული საგანგებო ბრძანებით ათი დღის შეღავათი მისცა მოვალეებს და ამ ვადის გასვლის შემდეგ...

- ეჭვი არ მეპარება, რომ მისტერ ფრენსისი შესანიშნავად გაიმეორებს ყველაფერს, რასაც თქვენ მოწყალედ უკარნახებთ,- შეაწყვეტინა მამაჩემმა კლერკს, - მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორ გამოიჩინა დიუბურმა ასეთი დაუდევრობა?! მომხედე, ოუენ, როგორია მისი დისშვილი, კლიმენტ დიუბური, აი ის შავთმიანი ახალგაზრდა, ჩვენს კანტორაში რომ მუშაობს.

- ერთ-ერთი ყველაზე საზრიან კლერკად ითვლება ჩვენთან, სერ. პირდაპირ დაუჯერებელია, რომ ასე ახალგაზრდამ ამდენი ცოდნა დააგროვა, - უპასუხა ფრანგის გულღიაობითა და მხიარულებით მოხიბლულმა ოუენმა.

- მართლა?! ალბათ ფულის მიმოქცევაშიც კარგად ერკვევა. არა? ეტყობა დიუბური მიხვდა, რომ აუცილებელი იყო, ერთი საქმიანი და მცოდნე ახალგაზრდა მაინც გამოეგზავნა ჩემთვის. მაგრამ ახლა კარგად ვხვდები მის გულისნადებს და, როცა ბალანსს მიიღებს, თვითონაც მიხვდება, რომ არც ისე იოლი ყოფილა ჩემი გაცურება. - ოუენ გადაუხადეთ ამ კვარტლის ჯამაგირი და უკან გაგზავნეთ. ამ დღეებში ხომ მამამისის გემი ბრუნდება ბორდოში.

- კლიმენდ დიუბური დავითხოვო, სერ? - გაოცდა ოუენი.

- დიახ, სერ დაუყონებლივ დაითხოვეთ! როცა კანტორაში სულელი ინგლისელი გვყავს, ჭკვიანი ფრანგი უნდა მოვიშოროთ თორემ ცუდად წაგვივა საქმე.

მე საკმაოდ დიდხანს ვიცხოვრე „დიდი მონარქის“[50] ქვეყანაში და ადამიანის ასე უმიზეზოდ დაჩაგვრა ძალიან მეუცხოვა. ჩემს ქვეყანაში ბავშვობიდან სულ იმას მინერგავდნენ გულში, მოძმის დაჩაგვრა არ ეგებაო. ამიტომ ახლა ვერ ვურიგდებოდი იმ აზრს,

რომ ყოვლად უდანაშაულო და ღირსეული ახლაგაზრდა უნდა დაესაჯათ. მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ ჩემსავით უნდილად არ მოეკიდა ცოდნის შეძენას.

- მაპატიეთ, სერ, - დავიწყე, როცა მამაჩემი, მისტერ ოსბალდისტონი გაჩუმდა, - ვგონებ, სამართლიანობა მოითხოვს, რომ თუ მე მოვეკიდე გულგრილად სწავლას, მევე დავისაჯო. არავითარი უფლება არ მაქვს ბრალი დავდო მუსიე დიუბურს, რომ ცოდნის შეძენაში ხელს არ მიწყობდა. მე თვითონ უხალისოდ ვსარგებლობდი ამ, ხელსაყრელი შესაძლებლობით. მუსიე კლიმენტ დიუბურის მიმართ კი...

- შენც და მუსიე დიუბურსაც ისე მოგექცევით, როგორც საჭიროდ მივიჩნევ, - შემაწყვეტინა მამაჩემმა, - ისე კი კარგია, ფრენკ, რომ სხვას არა სდებ ბრალს საკუთარ დანაშაულში. ძალიან მომწონს შენი საქციელი. ამის დაუნახაობა არ ივარგებდა, მაგრამ მოხუცი დიუბური მაინც დამნაშავეა. - მამა ოუენს მიაჩერდა და განაგრძო,- მაინც ტყუის თუ იგი მხოლოდ და მხოლოდ პირობებს უქმნიდა ფრენკს ცოდნის შესაძენად და არ ამოწმებდა, თუ როგორ იყენებდა მოწაფე ამ პირობებს, ან ამოწმებდა და მე არ მატყობინებდა, თქვენი შვილი ზარმაცობსო. ხომ ხედავთ, ოუენ, როგორი შეხედულება აქვს ფრენკს ბრიტანელი ვაჭრის სამართლიანობაზე?!

უფროსმა კლერკმა თავი მოკრძალებით დახარა, მარჯვენა ხელი ისე ასწია ზევით, თითქოს კალმისტარი ყურზე უნდა ჩამოიდოსო და დაიწყო:

- მისტერ ფრენსისმა, როგორც ჩანს, კარგად შეითვისა მორალური ურთიერთობის მთავარი წესი: A ისე უნდა მოექცეს B-ს, როგორც თვითონ A ისურვებდა, რომ B მას მოქცეოდა. აქედან ადვილად შეიძლება ურთიერთობის საძიებელი ფორმულის გამოყვანა.

მამაჩემს ღიმილი მოჰგვარა ოუენის ცდამ, ეთიკის ოქროს წესი მათემატიკურ ფორმულად ჩამოეყალიბებინა, მაგრამ მალე ისევ მოიღუშა და განაგრძო:

- მაგრამ ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ფრენკ. აქამდე შენ ბავშვივით ფლანგავდი დროს, დღეიდან კი ნამდვილი ცხოვრება უნდა ისწავლო. მე ოუენს უნდა ჩაგაბარო რამდენიმე თვით, რომ დაკარგული დრო აინაზღაურო.

საპასუხოდ მოვემზადე, მაგრამ ოუენი თვალებით შემეეედრა, ხმა არ ამომეღო და მეც ვიყუჩე.

- ახლა კი იმ საქმეს დავუბრუნდეთ, რომელიც გასული თვის პირველ რიცხვში გამოგზავნილ წერილში აღვძარი და რომელზეც ასეთი მოუფიქრებელი და მიუღებელი პასუხი გამომიგზავნე, - განაგრძო მამაჩემმა, - მაგრამ ჯერ ეგ ჭიქა შეივსე და ბოთლი ოუენს გადაუდგი.

სითამამეს, ან, თუ გნებავთ, კადნიერების ნაკლებობას არასოდეს ვუჩიოდი, ამიტომ მაშინვე მტკიცედ მივუგე:

- ძალიან ვწუხვარ, თუ ჩემი პასუხი მიუღებელი იყო, მაგრამ ეს პასუხი სულაც არ ყოფილა მოუფიქრებელი, რადგან წინადადება, რომელიც დიდსულოვნად შემომთავაზეთ, მაშინვე დიდი გულისყურით განვიხილე და ძალზე შევწუხდი, როცა დავასკვენი, რომ არაფრით არ შემეძლო თანხმობის გამოგზავნა.

მამამ თავის გამჭოლი მზერა მომაპყრო, მაგრამ მალევე მომარიდა თვალი. მე ცოტათი შევჩქვიფდი, მაგრამ მამაჩემმა ხმა არ ამოიღო და იძულებული გავხდი, ისევ მე გამეგრძელებინა. იგი მხოლოდ დროდადრო ჩაურთავდა ხოლმე თითო-ოროლა სიტყვას ჩემს მონოლოგში.

- თქვენ რომ კომერსანტი არ ყოფილიყავით, სერ, მე მაინც უაღრესად დიდი პატივისცემა მექნებოდა კომერციისადმი.

- მართლა?!

- კომერცია აახლოებს ერებს, გაჭირვებას უმსუბუქებს ხალხს და დიდად უწყობს ხელს დოვლათის დაგროვებას. კომერცია ისეთივე საჭიროა ცივილიზებული სამყაროსათვის, როგორც ადამიანი ადამიანისათვის ანდა, თუ გნებავთ, წყალი და ჰაერი ცოცხალი არსებისათვის.

- მერე, მერე!

- და მაინც, სერ, იძულებული ვარ გადაწყვეტილი უარი ვთქვა ამ ხელობაზე, რადგან ჩემი სუსტი ცოდნის გამო წარმატების იმედი არ მაქვს.

- მე ვიზრუნებ, რომ საჭირო ცოდნა შეიძინო. ახლა უკვე აღარა ხარ დიუბურის სტუმარი და მოწაფე.

- მართალია, მაგრამ მასწავლებელს კი არ ვუჩივი, ძვირფასო მამავ! მე თვითონ არ მაქვს უნარი, შევითვისო ეს მეცნიერება.

- ნუ სულელობ. ჩანაწერებს ხომ აკეთებდი ? მე ხომ დაგავალე?

- დიახ, სერ.

ჩანაწერები, რომლებიც მამამ მთხოვა, ჩვეულებრივი რვეული იყო. ამ რვეულში მამაჩემის რჩევით განსწავლის დროს მიღებული სხვადასხვა სახის ცნობები უნდა შემეტანა. მე ვიცოდი, რომ მამა ამ რვეულს გადახედავდა და ვცდილობდი ისეთი არაფერი შემეტანა შიგ, რაც მამაჩემს არ მოეწონებოდა. მაგრამ ხანდახან ხელი წამიცდებოდა და ისეთ რამეს ჩავწერდი რასაც ძალიან ცოტა ჰქონდა საერთო სავაჭრო საქმესთან. ახლა, მამას ამ რვეულს რომ ვაწვდიდი, გულში ვნატრობდი, ნეტავ ასეთ ჩანაწერს არ წააწყდებოდეს-მეთქი. - ისედაც გაბრაზებული იყო და მეშინოდა, მთლად არ გაცეცხლებულიყო.

როცა მამამ რვეული მთხოვა, ოუენი მოიღუშა, მაგრამ ჩემი პასუხის მერე ისევ გახსნა შუბლი, ბოლოს, ჩემი ოთახიდან მოგრძო, სპილენძისბალთებიანი და ხბოს გამოუქნელი ტყავის ყდიანი რვეული რომ გამოვიტანე და მამაჩემს დავუდე წინ, ოუენს

იმედიანი ღიმილიც კი გადაეფინა სახეზე. რვეული ძალზე საქმიანი და შთამბეჭდავი ჩანდა, ამიტომ ჩემი კეთილის მსურველს გულზე მოეშვა და როცა მამაჩემმა ჩანაწერების კითხვა და შეფასება დაიწყო, მთლად გაუბრწყინდა სახე.

- „ბრენდი კასრებითა და სარგომელებით, აგრეთვე tonneaux… ნანტში - 29; Velles - პატარა კასრებით - კონიაკში და ლაროშელში - 27, ბორდოში - 32“... კეთილი და პატიოსანი, ფრენკ. „სატრანსპორტო ხარჯებით და საბაჟო გადასახადები იხილე სექსბის ცხრილში“... - ეს კი აღარ ვარგა, უნდა ამოგეწერა, ისე ვერ დაიმახსოვრებ. „შემოტანა და გატანა: ხორბლის ხელწერილი. საბაჟოს ქვითრები, სელის ქსოვილები - იზინგემისა და გენტის. გამოყვანილი თევზეული - ტიტლინგი, ქროფლინგი, ლაბფიში. „ - უნდა აღგენიშნა, რომ ტიტლინგს ზოგჯერ ყველა ჯიშის გამოყვანილ თევზეულს უწოდებენ. რამდენ დუიმიანი უნდა იყოს ტიტლინგი ?

ოუენმა დაბნეულობა შემნიშნა, ცოტა ხანს იყოყმანა და მერე მიკარნახა. საბედნიეროდ გავიგონე და გავიმეორე.

- თვრამეტი დუიმი, სერ.

- ლაბფიში კი ოცდაოთხი დუიმი, არა? კეთილი. ეს არ უნდა დავივიწყოთ, როცა პოტურგალიასთან ვაწარმოებთ აღებმიცემობას. კი მაგრამ ეს რაღაა? ბორდო დაარსდა ამა და ამ წელს. ტრამპეტის ციხე-სიმაგრე გალენის სასახლე იყო. ძალიან კარგი. ყველაფერი რიგზეა. ეს ხომ სამუშაო რვეულია, ოუენ, სადაც ყველაფერი უნდა ჩავიწეროთ: დაფარვა, შეკვეთები, გადარიცხვა, მიღება, გეგმები, დავალებები, რჩევა-დარიგებანი. ყველაფერს მიყოლებით ვიწერთ როგორც მოგვხვდება ისე...

- რომ შემდეგში, როგორც წესი და რიგია, გადავიტანოთ ჟურნალსა და გროსბუხში, - დაამთავრა ოუენმა, - ძალიან მიხარია, რომ მისტერ ფრენსისი ასე კარგად გარკვეულა საქმეში.

ვიგრძენი, რომ მამაჩემს იოლად მოუბრუნდებოდა გული და კიდე უფრო მტკიცედ დაადგებოდა იმ აზრს, რომ კომერსანტი გამოვეყვანე. მე კი სულ სხვა გადაწყვეტილება მქონდა მიღებული და ვინატრე, რა კარგი იქნებოდა, რომ ჩემი მეგობრის, ოუენის მოსაწონი არ ვყოფილიყავი-მეთქი. მაგრამ თურმე ტყუილად ვშიშობდი: მოულოდნელად რვეულიდან მელნის ლაქებით აჭრელებული ფურცელი გადმოვარდა. მამაჩემი დაიხარა და იატაკიდან ქაღალდი აიღო. ოუენმა დარიგება დამიწყო, ამოვარდნილი ფურცლები აუცილებლად წებოთი უნდა ჩააკრაო, მაგრამ მამაჩემმა შეაწყვეტინა:

- „შავი უფლისწულის, ედუარდის[51], ხსოვნას“. ეს რაღაა?! ლექსია, არა?! ღმერთო დიდებულო! ფერენკ, შენ უფრო რეგვენი ყოფილხარ, ვიდრე აქამდე მეგონე!

უნდა მოგაგონო, რომ მამაჩემი, როგორც საქმოსანს შეეფერებოდა, მეტად აგდებულად უყურებდა პოეტებს. გარდა ამისა, წრფელი დისიდენტი[52] იყო და ლექსების თხზვა უაზრო და ღვთისსაგმობ საქმედ მიაჩნდა. სანამ გაკიცხავდე, გაიხსენე, როგორ იქცეოდა მრავალი პოეტი მე-17 საუკუნის მიწურულში და რას ახმარდნენ თავის ნიჭსა და უნარს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დისიდენტთა სექტა პურიტანული ზიზღით იყო გამსჭვალული ლიტერატურის მსუბუქი ჟანრებისადმი (ყოველ შემთხვევაში, ამას უქადაგებდა თავის მრევლს). ასე რომ, მამაჩემს მრავალი მიზეზი ჰქონდა განრისხებულიყო, როცა ამ უდროო დროს ჩემი ნაჯახირევი ლექსები ჩაუვარდა ხელთ. ოუენი კი საშინლად დაფეთდა, კიდევ კარგი, მისი პარიკის კულულებს შიშისაგან ყალყზე დადგომა არ შეეძლოთ, თორემ დალაქს სულ წყალში ჩაეყრებოდა დილანდელი ჯაფა და წვალება. იმ უბედურს მთლად თავგზა დაებნა. ასე ძალიან არც სეიფის გატეხა შეაწუხებდა, არც გადასწორებული ადგილის შენიშვნა გროსბუხში და არც ჯამის განსხვავება ბალანსში.

მამაჩემმა ლექსის წაკითხვა დაიწყო. ხან ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს აზრი არ ესმისო, ხან კი ყალბ პათოსს გაურევდა ხმაში, მაგრამ კილო ყოველთვის დამცინავი ჰქონდა და ეს ძალზე მტკივნეულად მოქმედებდა ავტორის თავმოყვარეობაზე.

„რა გულსაკლავად შეჰღაღადებს საყვირი
ზეცას, ალბათ მაშინაც ამნაირად
გრგვინავდი, მეხო, როცა მისდევდა
მომაკვდავი როლანდის კვნესას
ფონტარაბული კლდეების ექო.

ამ ხმამ აუწყა უბედურ კარლოსს, -
მისი რაინდი მებრძოლი ლხენით,
როგორ დაეცა იბერიელთა
მოუქცეველნი შვილების ხელით.“[53]

ფონტარაბული ექო?! განა აქ ფონტარაბული ბაზარი არა სჯობდა? მოუქცეველნი! რა არის მოუქცეველნი? განა ურჯულო უკეთესი არ იქნებოდა? და საერთოდ, თუკი ამ სისულელეების გადმოლაგებას აპირებდი, ნორმალური ინგლისურით მაინც გელაპარაკა.

„აუწყეთ მიწას, აუწყეთ ზეცას
და ბრიტანეთის კლდეებს ფრიალოს,
ხმა მიაყოლოს რაინდის კვნესას,
და საყვირივით ააგრიალოს.

ზეცას სწყდებოდეს ცრემლები მძივად,
ზღვა იქცეოდეს, დუღდეს ხმელეთი;

უჩნდა ბრიტანელს იმედის სხივად
ფრანგს მოსდიოდა ელეთმელეთი.

სძლია პუატე, მოდრიკა კრესი,
თუმც საბოლოოდ გაეკრა მიწას.
იწვა ბორდოში ნისლოვან წრეში,
და აღსრულებას ელოდა თვისას.“

- პუატე კი არა. პუატიე! სტრიქონში არ ჩაგეტია და დაამახინჯე არა?

ასწიეთ ჩემი დაღლილი თავი,
ო, სკვაირებო ასწიეთ მაღლა!
ჩურჩულით წართქვა:გააღეთ კარი,
მზის ჩასვენების ჟამია ახლა!

განახვნეთ ბჭენი, ასწიეთ ფარდა,
რომ გამოვგლიჯო მიდრეკილ დღეის
მზით შემოსილი გარონის ტალღა
და მეწამული ნაპირი ბლეის.“

ფარდა და ტალღა ერთმანეთს არ ერითმება ასე რომ, ფრენკ, ეგ შენი საყვარელი საცოდავი ხელობაც არ იცი ხეირიანად.

მზეც ახლა, ალბათ, ჩემსავით კვნესის.
ბინდი ედება სიცოცხლის მიჯნად,
ეცემა ცვარი ღამეულ ზეცის
აუწერელი წუხილის ნიშნად.

ასევე ცრემლი მოსწყდება თვალებს,

როს ბედისწერა ჩამიქრობს ლამპარს
და აუწყებენ ბრიტანელ ქალებს
მძლე ედუარდის სიკვდილის ამბავს.

თუმც კაეშანი გონებას მირევს,
მზეც მიდის, მიდის, მიესვენება, -
საფრანგეთის და ინგლისის გმირებს
დიდხანს დარჩებათ ჩემი ხსენება.

წამოვა დასი ბრიტანელ გმირთა,
ალის ღრუბლებში მხნედ რომ დგებიან,
აღზევდებიან სამხრეთის ცაზე
და მნათობივით ამზევდებიან.

- ალის ღრუბელი ახალი გამოგონებაა ?! დილა მშვიდობისა, ბატონებო! ყოველივე კარგს გისურვებთ ისე კაცმა რომ თქვას, ჩვენი გზირი უკეთეს ლექსებს წერს - მამამ ზიზღით გაჰკრა ხელი ფურცლებს და დაასკვნა: - პატიოსნებას გეფიცები, ფრენკ, მართლა უფრო ბრიყვი ყოფილხარ ვიდრე მეგონე!

რა უნდა მეპასუხა, ძვირფასო ტრეშამ? ვიდექი გამშრალი. გულჩაწყვეტილი... ვბრაზობდი, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდი. მამა-ჩემი კი უხმოდ მომჩერებოდა და თვალებში ხან ზიზღი ეხატებოდა, ხან სიბრალული. საწყალი ოუენი კი ხელებაპყრობილი შესჩერებოდა ჭერს და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ერთი წამის წინ გაზეთში პატრონის გაკოტრების ამბავი ამოეკითხოს.

ბოლოს, როგორც იქნა, მხნეობა მოვიკრიბე და რაც კი შემეძლო მშვიდად დავიწყე.

- მე კარგად ვიცი, სერ, რომ არ შემიძლია წარმატებით ვიმოღვაწეო თქვენს მიერ ამორჩეულ ასპარეზზე. თანაც, საბედნიეროდ, არც პატივმოყვარე ვარ და არც სიმდიდრის შეძენას ვეს-

წრაფვი. მე მგონი, ოუენი უფრო გამოგადგებათ თქვენს საქმეში, - დავუმატე დაცინვით, რადგან გული მომივიდა, რომ ერთგულმა კლერკმა ასე მოულოდნელად მიღალატა.

- ოუენი?! ეს ბიჭი სულ გაგიჟებულა. ჭკუის ნატამალი აღარ შერჩენია, ნება მიბოძეთ, სერ, შეგეკითხოთ, როცა ასე გულგრილად მთავაზობთ ოუენს თანაშემწედ (თუმცა შენისთანა შვილისგან არცაა მოსალოდნელი მეტი სითბო და ყურადღება), საკუთარი თავისთვის რა გეგმები გაქვს დასახული?

მთელი ვაჟკაცობა მოვიკრიბე და ვუპასუხე:

- მე ვისურვებდი, სერ, თუ, რასაკვირველია, თქვენი ნებაც იქნებოდა, სამოგზაუროდ წავსულიყავი ორი-სამი წლით. თუ არა და თუმცა დაგვიანებულია, სიამოვნებით დავყოფდი ამდენივე ხანს ოქსფორდსა და კემბრიჯში.[54]- ღმერთო, ნუ გამაგიჟებ! გაგიგიათ ასეთ რამ?! პედანტებსა და იაკობინელებს[55] უნდა მიუჯდე გვერდით? ხელი უნდა ჰკრა სიმდიდრესა და სახელს? თუ ასე გინდა, რატომ ახლავე არ მიდიხარ ვესტმინსტერში ან იტონში?[56] წადი, იზეპირე ლილის გრამატიკა და იქაური წკეპლებიც იგემე.

- მაშინ, თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ სწავლა დავაგვიანე, სიამოვნებით დავუბრუნდები კონტინენტს.

- მე მგონი, საკმაო ხანი დაჰყავი კონტინენტზე და თანაც უნაყოფოდ, ბატონო ფრენსის!

- მე ცოცხალი საქმე მიზიდავს, სერ. მაშინ ჯარში წავალ.

- ჯანდაბაშიც წასულხარ! - გაცოფდა მამაჩემი, მაგრამ მალე თავი შეიკავა და უფრო მშვიდად მითხრა: - ჯარში? შენი ჭკუის ხომ არ გგონივარ! ისე, ამისთანა შვილის პატრონი რომ გავგიჟდე, განა გასაკვირია? მართალს არ ვამბობ, ოუენ?

საწყალმა ოუენმა თავი გადააქნია და იატაკს მიაპყრო მზერა.

- მისმინე, ფრენკ. გვეყოფა ამდენი ლაყბობა. შენი ხნისა რომ ვიყავი, მამაჩემმა სახლიდან გამომაპანღურა და ჩემი წილი ქონე-

ბა ჩემს უმცროს ძმას დაუმტკიცა. როცა ოსბალდისტონ-ჰოლი დავტოვე, ერთ ჯაგლაგი საფერხე მყავდა და ქისაში ათი გინეა[57] მედო. იმის მერე ფეხი აღარ შემიდგამს მშობლიურ სახლში და არც არასდროს შევდგამ. არ ვიცი და არც სურვილი მაქვს ვიცოდე ცოცხალია თუ მკვდარი ჩემი ძმა, ისევ მელიებზე ნადირობს თუ მოიტეხა სადმე კისერი. ის კი ვიცი რომ შვილები ჰყავს და, თუ ჭკუაზე არ მოხვალ, ერთ-ერთი მათგანი ჩემი მემკვიდრე გახდება.

- თქვენი ქონების ბატონ პატრონი თქვენა ხართ. ვისაც გენებოთ, იმას მიეცით, - მივუგე მე. მინდოდა ეს სიტყვები მშვიდად მეთქვა, მაგრამ შევატყვე, რომ უხეშად გამომივიდა.

- დიახ, ფრენკ! ჩემი ქონება მე მეკუთვნის, თუკი მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველაფერი ჩემი შრომით შევიძინე და დაუღალავად ვცდილობდი, ქონებისათვის ქონება მიმემატებინა. ხარაბუზას თაფლით სავსე ფიჭებს არ გავაკარებ, კარგად დაფიქრდი. ცხელ გულზე წამოსროლილ მუქარად არ მიიღო ეს სიტყვები. იცოდე რასაც ვიტყვი აღარ გადავთქვამ.

- ვაიმე ბატონო, ვაიმე, ჩემო ძვირფასო! - შეჰყვირა ოუენმა და ლოყებზე ღვარად ჩამოედინა ცრემლები. - ნუ აჩქარდებით ამისთანა დიდ საქმეში. დართეთ მისტერ ფრენსის ბალანსის გადახედვის ნება, ვიდრე ანგარიშს დაუხურავდეთ. დარწმუნებული ვარ უყვარხართ და როცა სასწორის ერთ პინაზე იმ მოვალეობებს დადებს, რომელიც ყველა შვილს აკისრია, ის პინა, რომელზეც მისი ჯიუტობაა, ზევით აიწევს.

- რაო?! ხომ არ გგონია რომ მეორედაც შევეხვეწები, - გაბრაზდა მამაჩემი, - მე მაგას მეგობრობა და კომპანიონობა შევთავაზე, ჩემი მესაიდუმლე, თანაშემწე და ქონების მონაწილე მინდოდა ყოფილიყო და უარი მითხრა. მეგონა, უკეთ მიცნობდი, ოუენ!

მამაჩემმა შემომხედა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, სწრაფად შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა. მე, სწორე მოგახსენოთ, ავღელდი, რადგან სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი ჩემი სავაჭრო საქმიანობა. თავიდანვე ასე რომ ეთქვა, ალბათ დავთანხმდებოდი. ახლა კი უკვე გვიან იყო. ჯიუტობაში მამას ვგავდი და განგებასაც ენება, ჭკუა ესწავლებინა ურჩობისათვის. თუმცა უნდა შევნიშნო, რომ საბოლოოდ ისე მკაცრად არ დამსაჯა, როგორც ჩემისთანა გაუგონარ შვილს ეკადრებოდა.

ოთახში მე და ოუენი დავრჩით. იგი დიდხანს ნაღვლიანად მომჩერებოდა და დროდადრო თვალებში ცრემლიც აუკიაფდებოდა ხოლმე. როგორც ჩანს, უნდოდა შუამავლად გამოსულიყო ჩვენს შორის, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა, როგორ გაეტეხა ჩემი სიჯიუტე. ბოლოს აკანკალებული ხმით დაიწყო:

- ო, ღმერთო! მისტერ, ფრენსის! მაღალი ზეცა გფარავდეთ, სერ! განგების ძალამ შეგიწყალოთ, მისტერ ოსბალდისტონ! ნუთუ ეს დღე მეწერა? ასეთი ახალგაზრდა ბრძანდებით... ღვთის გულისათვის, სერ! ბალანსის ორივე მხარეს მიაქციეთ ყურადღება, სერ! კარგად დაფიქრდით, რა ზარალი გელით! რამხელა ქონებას კარგავთ, სერ! ჩვენი ფირმა მაშინაც სჯობდა ყველას, როცა „ტრეშამი და ტენტი“ ერქვა. ახლა „ოსბალდისტონი და ტრეშამია“! ოქროში შეგიძლიათ იბანაოთ, მისტერ ფრენსის! იცით რა, ჩემო ძვირფასო ფრენკ, ჩემო ახალგაზრდა ბატონო! თუ რაიმე საქმე ძალიან გეზიზღებათ (ოუენი ჩემკენ გადმოიხარა დაჩურჩულით განაგრძო), თუ განსაკუთრებით გეზიზღებათ რაიმე, მე ყოველთვიურად, ყოველკვირეულად ან, თუ საჭირო იქნება, ყოველდღიურად გაგიკეთებთ. თუ არ დაივიწყებთ მისტერ ფრენსის, რომ მამის პატივისცემა თქვენი მოვალეობაა, სიცოცხლე გაგიხანგრძლივდებათ.

- დიდი მადლობელი ვარ თქვენი, მისტერ ოუენ! ნამდვილად ძალზე დავალებულად ვგრძნობ თავს, მაგრამ მამაჩემმა უკეთ

იცის ვის დაუტოვოს თავის ქონება. წეღან ჩემი ბიძაშვილები ახსენა. დაე, როგორც უნდა ისე მოიქცეს. მე ოქროზე არ ვყიდი თავისუფლებას.

- ოქროზე არ ყიდით, სერ? ნეტავი ბოლო თვის ბალანსისათვის გადაგევლოთ თვალი! მოგება ხუთნიშნიანი ციფრით არის გამოხატული, ხუთნიშნიანით! თანაც მხოლოდ ორ კომპანიონზე უნდა გაიყოს! ეს ყველაფერი პაპისტს[58] უნდა ჩაუვარდეს ხელში! ვიღაც ჩრდილოელ ხეპრეს, ვიღაც მეამბოხეს! ვაიმე! მაშინ ხომ გამისკდა გული! მე ხომ ძაღლივით ერთგული ვარ. ეს ფირმა რომ არ მიყვარდეს, ასე მოვიკლავდი თავს? დააკვირდით, რა კარგად ჟღერს „ოსბალდისტონი, ტრეშამი და ოსბალდისტონი“, ანდა ვინ იცის (ოუენმა კვლავ დაუწია ხმას) „ოსბალდისტონი, ოსბალდისტონი და ტრეშამი“, მისტერ ოსბალდისტონის ისეც კი შეუძლია, რომ მთლიანად შეისყიდოს ფირმა.

- კი მაგრამ, მისტერ ოუენ, ჩემი ბიძაშვილიც ხომ ოსბალდისტონია. ასე რომ, ფირმის სახელი მაინც სასიამოვნოდ მოგეჩვენებათ!

- გრცხვენოდეთ, მისტერ ფრენსის! ვითომ არ იცით, როგორ მიყვარხართ. ერთი უყურეთ, რას მეუბნება! თქვენი ბიძაშვილი ხომ პაპისტია! მამამისის შვილი არ არის! თანაც, ჩვენი პროტესტანტული დინასტიის მტრობა ექნება გულში ჩამარხული. არა, ასე სერ არ გამოვა საქმე.

- კათოლიკეებშიც არიან კარგი ადამიანები, მისტერ ოუენ, - შევეკამათე მე.

ოუენი წარმოუდგენლად გაცხარდა და ის იყო უნდა ეპასუხა, რომ ოთახში მამაჩემი შემოვიდა.

- მართალი ხარ, ოუენ. ავჩქარდი ამ საქმეს მეტი დაფიქრება და განსჯა უნდა. ყმაწვილებო, ზუსტად ერთი თვის შემდეგ მზად უნდა გქონდეთ პასუხი ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე.

მე უხმოდ დავუკარი თავი. გულში ძალიან გამიხარდა: იქნებ ამ ხნის განმავლობაში თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს-მეთქი.

საგამოცდო ვადა ნელა გადიოდა. ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. მე სულ თავისუფალი ვიყავი. მამაჩემი არც წასვლას კითხულობდა ჩემსას, არც მოსვლას და არც არაფერს მიშლიდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მარტო სადილობისას თუ ვხვდებოდით ერთმანეთს და მამა მაშინაც ყოველნაირად ცდილობდა არ ელაპარაკა ამ საქმეზე. დარწმუნებული ვარ, დამიჯერებ, თავადაც არ მეხალისებოდა ამაზე ლაპარაკი, ასე რომ, შორეული ნაცნობებივით ვსაუბრობდით, ან ახალ ამბებზე ან განყენებულ თემებზე. უცხოს რომ მოესმინა ჩვენთვის, არ დაიჯერებდა, რომ ასეთი სადაო საკითხი გვქონდა გადასაწყვეტი. გარეგნულად არ ვიმჩნევდი, თორემ გულზე სულ ლოდივით მაწვა შიში, ვაითუ, მართლა შეასრულოს თავისი მუქარა, ვაითუ მართლა ჩამომართვას მემკვიდრეობა და თავის ძმისშვილს მისცეს, რომელიც თვალით არ უნახავს-მეთქი. კარგად რომ ამეწონ-დამეწონა ყველაფერი, მივხვდებოდი, კარგი არაფერი მელოდა. მაგალითად პაპაჩემის საქციელიც კმაროდა. მე მახსოვდა, რა ადგილი მეკავა საფრანგეთში წასვლამდე ოჯახში, როგორ ვუყვარდი მაშინ მამაჩემს და ვიმედოვნებდი, ახლა ასე ადვილად არ გამწირავს-მეთქი. მაგრამ თურმე კარგად არ მცნობია მშობელი მამა! მაშინ არ ვიცოდი, რომ ზოგი მამა ძალიან ანებივრებს შვილს ბავშვობაში, მაგრამ შემდეგ, თუ შვილმა იმედები არ გაუმართლა, შეიძლება ძალიან მკაცრად მოექცეს. მაშინ ვფიქრობდი, დიდი-დიდი ცოტათი გული გაუცივდეს ჩემზე და რამდენიმე კვირით სადმე სოფელში გამგზავნოს-მეთქი. ეს კარგიც კი იყო, რადგან საშუალება მომეცემოდა „შმაგი როლანდის“[59] თარგმნა დამემთავრებინა. გულით მინდოდა ეს პოემა ლექსად გადმომეღო ინგლისურად. ის აზრი ისე გამიჯდა გონებაში, რომ ერთ დღეს თარგმანის შავი ამოვიღე,

მაგიდას მივუჯექი და შიდა რითმებს დავუწყე ძებნა, რომ პოემა სპენსერული სტანსით[60] გამემართა. ამ დროს კარზე მორიდებულად დააკაკუნეს. მობრძანდით-მეთქი, გავძახე და კარს მივაჩერდი. კარი გაიღო და ოთახში ოუენი შემოვიდა. ეს ღირსეული პიროვნება ისეთი ბეჯითი და მუყაითი მუშაკი იყო, რომ, მე მგონი, თავის სიცოცხლეში პირველად მოიცალა მეორე სართულზე ამოსასვლელად. ახლაც მიკვირს, როგორ მოაგნო ჩემს ოთახს.

- მომისმინეთ, მისტერ ფრენსის, - შემაწყვეტინა ოუენმა გაოცებისა და სიხარულის შეძახილები,- არ ვიცი კარგად ვიქცევი, თუ ცუდად. თუმცა, არა მგონია, სანაქებო საქციელი იყოს კანტორაში ნათქვამის გარეთ გატანა. ამბობენ, საწყობის კედელსაც არ უნდა უთხრა, რამდენი ჩანაწერია მთავარ დავთარშიო, მაგრამ ახალგაზრდა თვაინოლი ორი კვრით იყო წასული სადღაც და ამ ორი დღის წინ დაბრუნდა.

- კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მე რაში მეკითხება თვაინოლის წასვლა-მოსვლა?

- მოითმინეთ, მისტერ ფრენსის, მამათქვენმა, რაღაც საიდუმლო დავალება მისცა.

დარწმუნებული ვარ, რომ ფალმუტში არ ყოფილა თევზის შესაძენად, არც ექტერერში იქნებოდა, რადგან „ბლეკველთან და კომპანიასთან“ გასწორებული გვაქვს ანგარიში. კორნვოლის მაღაროებსაც დავაყაჭინეთ რაც ჰქონდათ. სხვა საქმეებსაც ჩემს ხელში უნდა გაევლო... ერთ სიტყვით, ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ თვაინოლი ჩრდილოეთში იყო წასული.

- ნუთუ მართლა?! - ცოტა არ იყოს შევშინდი მე.

- რაც ჩამოვიდა, სულ თავის ახალ ჩექმებსა და რუპონულ დეზებზე[61] ლაპარაკობს. მამლების ჩიბუხიც უნახავს. არა, ნამდვილად იურკშია ნამყოფი! ამაში ისევე არ მეპარება ეჭვი, როგორც გამრავლების ცხრილში. მოდი, ჩემო ძვირფასო ბიჭო, მიაფურ-

თხე ეშმაკს და მამის გული გაახარე. მიდი და უთხარი, ჭკუას მოვეგე და გადავწყვიტე, ვაჭრობას მოვკიდე ხელი-თქო.

იმ წუთას ძლიერი სურვილი მქონდა, დავთანხმებოდი ოუენის რჩევას. დარწმუნებული ვარ, ძალიან ვასიამოვნებდი, მახარობლად რომ გამეგზავნა მამაჩემთან, მაგრამ სიამაყემ, რომელიც უამრავ ზიანს აყენებს ადამიანს და თანაც მრავალი კარგი საქმის საფუძველიცაა, ხელი შემიშალა, გადამწყვეტი ნაბიჯი გადამედგა. თანხმობის სიტყვები ყელში გამეჩხირა და სანამ ხველებით ჩავიწმენდდი ყელს, რომ იმ სიტყვებისათვის გზა მიმეცა, მამაჩემმა ოუენს უხმო. ოუენი ფაცხაფუცხით გავარდა გარეთ და მარჯვე შემთხვევა, ჩიტივით გამიფრინდა ხელიდან.

მამაჩემს ყველაფერში წესი და რიგი უყვარდა. ზუსტად დანიშნულ დღეს, იმავე საათზე, იმავე ოთახში, იმავე კილოთი და გამომეტყველებით გამიმეორა ერთი თვის წინ ნათქვამი სიტყვები. „მე მსურს კოპანიონად გაგიხადო და ცალკე კანტორის უფროსად დაგნიშნოო“. ახლა მე უნდა მეთქვა ჩემი საბოლოო სიტყვა, მაგრამ მამაჩემის ტონი ზედმეტად მკაცრი მეჩვენა, დღესაც მგონია, რომ მამა ერთობ განუსჯელად მოიქცა ამ საქმეში. ცოტაოდენი სილბო და მოქნილობა რომ გამოემჟღავნებინა, ნამდვილად მიაღწევდა საწადელს. ახლა კი მეც გავჯიქდი და რაც შეიძლებოდა თავაზიანი უარი მოვახსენე. ეჰ, ვინ მიხვდება ადამიანის უცნაური ქცევის მიზეზებს? ალბათ ვიფიქრე, ახლავე რომ დავეთანხმო, გლახაკი ვეგონები-მეთქი. მეგონა მეორედაც მეტყოდა, დამაჟინდებოდა. ახალ საბუთებს მომიტანდა დასარწმუნებლად და მაშინ საბაბი მომეცემოდა შემეცვალა ჩემი გადაწყვეტილება. ცივად მიუბრუნდა ოუენს და უთხრა, აი, ხომ ხედავთ? სულ ისე გამოვიდა, როგორც გეუბნებოდითო. მერე ისევე ჩემკენ მოტრიალდა და განაგრძო.

- კეთილი, ფრენკ, შენ თითქმის სრულწლოვანი ხარ და შეგიძლია თავად აირჩიო ცხოვრების გზა. ალბათ კარგად იცი რა

მოგიტანს ბედნიერებას, ამიტომ აღარაფერს გეტყვი, მაგრამ რადგან არ მემორჩილები, მე არ ვთვლი თავს ვალდებულად ხელი შეგიწყო მაგ შენი გეგმების განხორციელებაში. ნება მიბოძე, გკითხო, გაქვს რაიმე გეგმა, რომლის განსახორციელებლად ჩემი დახმარებაა საჭირო?

ძალზე შეცბუნებულმა ვუპასუხე, რადგან არავითარი ხელობა არ მაქვს და საკუთარ სახსრებსაც მოკლებული ვარ, ცხადია, არ ძალმიძს თქვენი დახმარების გარეშე ვიცხოვრო-მეთქი. შემდეგ დავსძინე დიდი მოთხოვნილება არ მაქვს და ვიმედოვნებ, მთლად არ გამწირავთ და მცირეოდენ მშობლიურ დახმარებას არ მომაკლებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენს მიერ არჩეული საქმიანობა არ მომწონს-მეთქი.

- ესე იგი, გინდა მე დამეყრდნო, მაგრამ შენი გზით იარო, არა? ასე არ გამოვა, ფრენკ, მაგრამ ვფიქრობ, უარზე არ იქნები, შეასრულო ჩემი მითითებანი, თუ ისინი გზას არ გადაუღობავენ შენს სურვილებს.

მინდოდა მეპასუხა, მაგრამ გამაჩერა და განაგრძო:

- მოიცა, ვთქვათ თანახმა ხარ ! შენ ახლავე უნდა წახვიდე ჩრდილოეთ ინგლისში, ესტუმრო ბიძაშენს და გაიცნო მისი ოჯახი. მისი შვილებიდან, მგონი, ექვსი უნდა ჰყავდეს, ერთი ავარჩიე. იმაზე უფრო უპრიანია ის ადგილი, შენთვის რომ მინდოდა მომეცა. შემდგომში ალბათ საჭირო გახდება ზოგიერთი ფორმალობის ჩატარება და ამ დროს აუცილებელი იქნება შენი აქ ყოფნა. შემდგომ ინსტრუქციებს ოსბალდისტონ-ჰოლში მიიღებ, სადაც მანამ დარჩები, სანამ უკან არ მოგიხმობ. ხვალ დილისთვის ყველაფერი მზად იქნება გასამგზავრებლად.

ესა თქვა და ოთახიდან გავიდა.

- რას ნიშნავს ყოველივე ეს, მისტერ ოუენ? ვკითხე ჩემს კეთილმოსურნეს, რომელიც თავჩაქინდრული და მწარედ დაღონებული უსმენდა ამ ლაპარაკს.

- დაიღუპეთ თავი, მისტერ ფრენკ, და ეგ არის! როცა მამათქვენი ასე მშვიდად და დაბეჯითებით დაიწყებს ლაპარაკს, მორჩა, აღარ გადათქვამს. ბალანსი გამოყვანილია!

ოუენი მართალი გამოდგა. მეორე დილის ხუთ საათზე საკმაოდ კარგ ცხენზე ვიყავი ამხედრებული, ჯიბეში ორმოცდაათ გინეა მედო და იურკისაკენ მივემგზავრებოდი. მივემგზავრებოდი, რომ თვითონვე დავხმარებოდი ვიღაცას, მოკალათებულიყო ჩემს საკუთარ სახლში, დაეჭირა ჩემი ადგილი ღვიძლი მამის გულში და ბოლოს ჩემი კუთვნილი მემკვიდრეობაც მიეთვისებინა.

თავი III

შმაგი ტალღების შეიკრა ალყა,
შეტოკდა ანძა მოწყდა აფრები,
მორღვეულ ნავში შეიჭრა ტალღა -
ბორგნეული და განამძაფრები.
ყრუდ გაიშალა ღრუბელი ცაზე,
ააქარავნეს ტალღა ქარებმა,
ნიჩაბი გატყდა, მოირყა საჭე
და უფსკრულისკენ მიექანება.

გეის[62]„იგავები“

მე განგებ შევამკე რითმიანი და თეთრი ლექსებით ამ წიგნის თავები იმ იმედით, რომ ჩემზე ნიჭიერი მთხზველები გაიძულებ-დნენ შეუნელებელი ყურადღებით წაგეკითხა ეს მოსაწყენი ამბე-ბი.

წინამდებარე სტრიქონები ეხება უიღბლო ზღვაოსანს, რო-მელსაც ხომალდის მართვა არ შეეძლო, მაგრამ გაბედულად მო-შორდა ნაპირს და მთლიანად მიენდო ადიდებულ მდინარეს. და აი, როცა მოულოდნელად მეც ცხოვრების ოკეანეში აღმოვჩნდი, უკომპასოდ, უიალქნოდ, იმ ყმაწვილზე უფრო უმწეოდ ვიგრძენი თავი, ყური რომ არავის ათხოვა და თავისი ბედ-იღბალი და-უფიქრებლად მიანდო სწრაფ მდინარეებს. მამაჩემმა ისე იოლა-და გადაჭრა ის ნასკვები, რომლებიც, ესოდენ მჭიდროდ აკავში-რებს ხალხს ერთმანეთთან და წმინდათაწმინდად და ხელშეუხებ-

ლად ითვლება, ისე იოლად გამომაპანღურა ოჯახიდან, რომ ანაზდად მთლად დავკარგე საკუთარი თავის რწმენა. აქამდე კი სწორედ ეს რწმენა მმატებდა ძალას და მომავლის იმედს მინერგავდა გულში. ის მზეჭაბუკი უფლისწული კი, მოულოდნელად მეთევზის შვილად რომ იქცა, ალბათ ჩემსავით მწარედ როდის განიცდიდა თავის უბედურებას. ჩვენ ბრმად ვართ დარწმუნებული საკუთარ თავში და ვერა ვხვდებით რომ მხოლოდ ბედისა და განგების წყალობით ვაღწევთ წარმატებას. სწორედ ამიტომ არის, რომ საშინლად გავნაწყენდებით ხოლმე, როცა რაიმე საქმეში ხელი მოგვეცარება.

ქალაქის გუგუნი მალე მიწყდა ზურგს უკან, მაგრამ მე იმ ბიჭივით, წინასწარმეტყველურ ძახილს რომ დაუჯერა, უკან დაბრუნდა და შემდგომში ქალაქის ლორდ მერი გახდა,[63] კიდევ დიდხანს და დაჟინებით მიხმობდა ლონდონის სამრეკლოთა ზარები. და როცა ჰაიგეტიდან გადავხედე დილის ბურუსში გახვეულ დიდებულ ქალაქს, ვიგრძენი, რომ ამიერიდან სამუდამოდ ვეთხოვებოდი სიმდიდრეს, ფუფუნებას, მაღალი საზოგადოების ცდუნებებსა და ცივილიზაციის ყოველგვარ სიკეთეს.

მაგრამ არჩევანი აღარა მქონდა დარწმუნებული ვიყავი, მამაჩემს გული აღარ მოუბრუნდებოდა ჩემზე, თუნდაც მაშინვე დავბრუნებულიყავი უკან. პირიქით, ასეთი მტკიცე ხასიათის კაცს შევეზიზღებოდი კიდეც ესოდენ ნაგვიანევად და ნაძალადევად რომ დავმორჩილებოდი მის სურვილს და კომერციისთვის მომეკიდა ხელი. თანდაყოლილმა სიჯიუტემ და ამპარტავნობამაც თავისი გაიტანა: ყურში განუწყვეტლივ ჩამძახოდა ვიღაც, შესაბრალისი იქნები, ლონდონიდან ოთხ მილზე გასეირნებამ რომ ამოგიბერტყოს თავიდან ის აზრი, რომელსაც მთელი თვე ასე მაგრად ებღაუჭებოდი. ამასთან, იმედმა, რომელიც არასოდეს ღალატობს ახალგაზრდა და მხნე ადამიანს, ნათელი სხივებით გააცისკროვნა ჩემი მომავალი. არა, გადაჭრით კი მითხრა, მაგრამ შეუძლებე-

ლია ყოვლად შეუძლებელია მთლად ცარიელზე მიპირებდეს დასმას. - ვიმშვიდებდი დროდადრო თავს, - ალბათ ჩემი ვაჟკაცობის გამოცდა უნდოდა და როცა დაინახავს, რომ ნათქვამზე მაგრად ვდგავარ და მამაცურად ვიტან ყველა გაჭირვებას, მოვეწონები და ყველაფერს შემისრულებს-მეთქი. გონებაში ისიც კი მოვიფიქრე მომავალი შეთანხმების დროს რა დამეთმო და რა არა. ამ შეთანხმების შემდეგ კი, უეჭველი მთლიანად დამიბრუნდებოდა მემკვიდრის უფლებები და მხოლოდ მცირე სასჯელი დამედებოდა ურჩობისათვის. მანამდე კი საკუთარი თავის მეუფე ვიყავი და შემეძლო დავმტკბარიყავი თავისუფლებით, რომელიც ახალგაზრდას ყოველთვის შიშნარევი სიხარულით უჩქროლებს ხოლმე გულს. ქისა თუმცა პირთამდე არ მქონდა სავსე, მაგრამ სავსებით კმაროდა მოგზაურის ყველა სურვილისა და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ბორდოში მსახური არ მყავდა, ამიტომ აქაც გავძლებდი უიმისოდ. ცხენიც მკვირცხლი და ახალგაზრდა ჩანდა და მალე სევდა და ნაღველი, მოგზაურობის დასაწყისში რომ მომეძალა, სიმხნევემ და სიმხიარულემ დაჯაბნა.

ისე, კარგი იქნებოდა, ისეთი გზა შემხვედროდა, თვალსა და გულს რომ უხარებს მოგზაურს და ნოყიერ საზრდოს აძლევს ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზა მაშინაც დღევანდელივით მოსაწყენი და გულმიუსვლელი გახლდათ. არა მგონია, ბრიტანეთის კუნძულზე მოიძებნებოდეს ისეთი მხარე, სადაც ესოდენ დიდი მანძილი გაიაროს კაცმა და არაფერი შეხვდეს საყურადღებო და ღირსშესანიშნავი. ამიტომ, თუმცაღა ძველი ეჭვები მოვიშორე და თავი გავიმხნევე, გული მაინც დამძიმებული მქონდა მოწყენილობისაგან. მუზამაც, ჩემმა მაცდუნებელმა მუზამაც, რომელმაც ამ უდაბურ მხარეში შემომიტყუა, დიაცური მუხანათობა გამოიჩინა და სწორედ მაშინ მიმატოვა, როცა ყველაზე უფრო მიჭირდა მისი თავი.

კიდევ კარგი, დროდადრო ვინმე დამემგზავრებოდა და საუბარს გამიბამდა ხოლმე, თორემ ალბათ გავგიჟდებოდი მოწყენილობისაგან. სამწუხაროდ, სულ ერთფეროვანი მოსაწყენი ხალხი მხვდებოდა გზაზე. სოფლის მღვდლები, რომლებიც ზიარებიდან ან ნათლობიდან ბრუნდებოდნენ შინ, შორეული ბაზრებიდან მომავალი ფერმერები და მეჯოგეები, ნოქრები, რომლებიც გასესხებული ფულის ასაკრეფად დაეგზავნათ თავიანთ უფროსებს პროვინციულ ქალაქებში. ხანდახან რეკრუტის შესაგროვებლად გაგზავნილ ოფიცერსაც წამოვეწეოდი ხოლმე, აი, მეტწილად ასეთ ხალხს მასპინძლობდნენ მაშინ გზისპირა სასტუმროებისა და დუქნების მეპატრონეები. საუბარი უფრო ხშირად დრამის, რჯულის, ჯოგის, მარცვლეულის და სხვადასხვა საქონლის ირგვლივ ტრიალებდა. ვეცნობოდი ასევე წვრილმანით მოვაჭრეთა ფინანსურ მდგომარეობას. დროდადრო ფლანდრიის ომის რომელიმე ბრძოლის ან ალყის ამბავს ვისმენდი, თუმცა მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მთხრობელი მართლა თვითონ იყო მისი მონაწილე ან მნახველი. როცა სალაპარაკო შემოგველეოდა, ყველაზე ამაღელვებელ და ამოუწურავ თემას მოვიშველიებდით ხოლმე და ისე ვიხსენებდით „ოქროს ფერმერს“, „მფრინავ მძარცველს“, „ჯეკ ნიდჰემს“ და „მათხოვართა ოპერის“[64] სხვა პერსონაჟებს, თითქოს გუშინ დავშორებოდით ერთმანეთს. ამ დროს მგზავრები იმ ბავშვებს ჰგავდნენ, ჯადოსნური ზღაპრების მოსმენისას ანთებულ ბუხართან რომ მიიყუჟებოდნენ ხოლმე: მხედრები ცდილობდნენ გვერდი-გვერდ ევლოთ, ეჭვიანად ათვალიერებდნენ მიდამოს, გულდასმით ამოწმებდნენ, თავიანთი დამბაჩის ფალიებს და ერთმანეთს ეფიცებოდნენ, გაჭირვებაში არ გიღალატებო, თუმცა ეს ხელშეკრულება, ორ სახელმწიფოს შორის დადებულ ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მსგავსად, ნამდვილი საფრთხის გამოჩენისთანავე ეძლეოდა დავიწყებას.

გზაზე გაცნობილთაგან ყველზე უფრო ერთი საწყალი კაცი იყო შეპყრობილი ყაჩაღების შიშით და იმ დღენახევრის განმავლობაში, რაც ერთად ვიმგზავრეთ ძალიან შემაქცევინა თავი. უნაგირზე ერთი პატარა, მაგრამ ძალიან მძიმე ჩემოდანი ჰქონდა დაკრული და სულ იმის ფარეზობაში იყო. არ მახსოვს, რომ ვინმესთვის ჩემოდნის ხელის ხლების უფლება მიეცა. ახლოს არ იკარებდა ცქვიტ მსახურებსა და მეჯინიბეებს, რომლებიც დაჟინებით სთავაზობდნენ თავიანთ სამსახურს, თავისი ხელით შეჰქონდა ჩემოდანი ფუნდუკში. ასევე გულმოდგინედ მალავდა თავისი მოგზაურობის მიზეზსა და მიმართულებას. კი არა, იმასაც ვერ წამოაცდენინებდი იმ დღეს რომელი გზით აპირებდა სიარულს. სულ ფერი მისდიოდა, ვინმე რომ ჰკითხავდა, საით მიდიხარ და სად აპირებ ღამის გათევასო. ღამის გასათევ ოთახსაც დიდი სიფრთხილით ირჩევდა. სულ განცალკევებულად არ უნდოდა დაძინება, მაგრამ მეზობლებსაც შიშითა და ეჭვით უმზერდა. დარწმუნებული ვარ, გრენთჰემში მთელი ღამე თეთრად გაათენა, რადგან მეზობელ ოთახში ვიღაც ჯმუხი და ელამი კაცი დაბინავდა. ეჭვს ისიც უძლიერებდა, რომ ამ კაცს თავზე შავი პარიკი ეხურა და ტანთ ოქრომკედით ნაქარგი გაცვეთილი ჟილეტი ეცვა.

ისე კი, ჩემი ახალი ნაცნობი საკმაოდ ჯანიანი ჩანდა და ასე დაფეთებული და აფორიაქებული რომ არ ყოფილიყო, მე მგონი, სხვაზე ნაკლებად არ მოიგერიებდა მომხდურს. იგი წარმოსადეგი ძარღვიანი კაცი გახლდათ. თავზე ოქრომკედი ჰქონდა შემოვლებული ქუდი ეხურა. ამ ქუდითა და კოკარდით მიხვდებოდით, რომ ჯარგამოვლილი იყო. საუბარში საკმაოდ მდაბიურად უქცევდა. დროდადრო, როცა მტანჯველ ფიქრებს დააღწევდა თავს და ჩვეულებრივ თემებზე დაიწყებდა ლაპარაკს, იტყოდი ჭკვიანი და დაკვირვებული ადამიანი ყოფილაო, მაგრამ სულ ცოტა კმარობდა, რომ კვლავ დამფრთხალიყო. მას ერთნაირად აშინებდა უკაცრიელი ველიცა და დაბურული ტყეც, მწყემსი ბიჭის დასტვე-

ნაც კი ყაჩაღების მოხმობის ნიშანი ეგონა. გზაზე სახრჩობელებიც გვხვდებოდა, მაგრამ ესეც ვერ ამშვიდებდა - ფიქრობდა, ამ ერთ ყაჩაღს კი გაუსწორდა მართლმსაჯულება, მაგრამ ვინ იცის კიდევ რამდენია დაუსჯელიო.

მე მალე მომბეზრდებოდა ამისთანა კაცთან მგზავრობა, საკუთარი საფიქრალი რომ არ მქონოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ საინტერესო ამბებს ჰყვებოდა და ერთი ისეთი ახირებული აზრიც ჰქონდა აკვიატებული, რომ რამდენიმეჯერ შესანიშნავად შემაქცევინა თავი. იგი ხშირად ამბობდა, ის უბედური მოგზაურები, მძარცველებს რომ უვარდებიან ხელში, თვითონვე არიან დამნაშავენიო. ისინი ხშირად შეუამხანაგდებიან კარგად ჩაცმულ, თავაზიან უცნობებს - იმედოვნებენ, რომ ერთად უფრო უშიშრად და მხიარულად გალევენ გზას. მართლაც, ეს უცნობი სიმღერითა და საუბრით ართობს ახალშეძენილ მეგობრებს. ესარჩლება, როცა მეფუნდუკე ანგარიშში მოტყუებას დაუპირებს და ბოლოს, რომელიმე უკაცრიელ ველს რომ მიადგებიან, ეტყვის მოკლე გზა ვიციო, შარაგზიდან ვიწრო ხეობაში გადაიტყუებს თავის მიამიტ თანამგზავრებს და სტვენით გამოიხმობს ჩასაფრებულ ამხანაგებს. გაუფრთხილებელი მოგზაურები ახლაღა ხვდებიან, რომ ყაჩაღთა რაზმის მეთაურთან დაუჭერიათ საქმე და ქისებს და ზოგჯერ სიცოცხლესაც გამოეთხოვებიან ხოლმე. ამგვარი მოთხრობის დასასრულს ჩემი თანამგზავრი შიშით აცახცახდებოდა ხოლმე და თან ყოველთვის მე მომაპყრობდა ეჭვითა და უნდობლობით სავსე მზერას. აშკარა იყო, ფიქრობდა, მეც ისეთი საშიში კაცის ხელში ვარ ჩავარდნილი, როგორშიც ჩემი მონათხრობის გმირიო.

ხანდახან ეს კაცი, ესოდენ დახელოვნებული საკუთარი თავის წამებაში, მეტისმეტად დაშინდებოდა, სწრაფად გამერიდებოდა, შარაგზის მეორე მხარეს გადავიდოდა, იქაურობას დაფეთებულ და ეჭვიან თვალებს მოავლებდა და იარაღს მოისინჯავდა ხოლ-

მე. ამ დროს სიფრთხილეს აათკეცებდა და მზად იყო მოქცეულიყო, როგორც გარემოება უკარნახებდა: უკან მოუხედავად გაქცეულიყო, ან თავგანწირვით შეეტია მტრისათვის.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს უნდობლობა წარმავალი იყო. თანაც ყოველივე ისე სასაცილოდ მეჩვენებოდა გულში წყენა არ გამივლია. მე არც ჩაცმულობა მქონდა ყაჩაღის არც ქცევა, მაგრამ ჩემი მფრთხალი თანამგზავრი მაინც ეჭვით მიმზერდა. იმ დროს არც უნდა გაგკვირვებოდა, რომ კაცი გარეგნობით ჯენტლმენს ჰგვანებოდა, მაგრამ ყაჩაღი ყოფილიყო, რადგანაც იმ ეპოქაში დღევანდელივით მკვეთრად არ იყო გამიჯნული სხვადასხვა საქმიანობა ერთმანეთისაგან. იმავე ზრდილობიან და მოხდენილ ავანტურისტს, რომელიც ფულს დაგტყუებდა უაიტში ან მერიბონში, შესაძლებელია მეორე ხელობაც ქონოდა და სულ არ იყო გასაკვირი, რომ სადმე ბეგშოტის ვიწროებში ან ფინჩალის მინდორზე დახვედროდა თავისნაირ პეწენიკა[65] ახალგაზრდას და სულითხორცამდე გაეფრცქვნა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინ ცხოვრება ჯერ კიდევ არ იყო კალაპოტში ჩამდგარი, ყველგან ძალადობა და სიტლანქე იყო გაბატონებული და, რამდენადაც მახსოვს, თავზეხელაღებული ხალხი დღევანდელ სიმდიდრის მაძიებლებზე ნაკლებად არ ერიდებოდა გაბედული ნაბიჯის გადადგმას ქონების მოსახვეჭად. თუმცა მაშინ ის დრო წასული იყო, როცა ენტონი-ე-ვუდი[66] დასტიროდა იმ ორ ჭეშმარიტად მამაცსა და პატიოსან ვაჟკაცს, რომლებიც შეუბრალებლად ჩამოახრჩვეს ოქსფორდში. იმ ვაჟკაცების დანაშაული კი მხოლოდ ის იყო, რომ გაჭირვებამ აიძულა შარაგზაზე გასულიყვნენ და მოგზაურთათვის ჯიბეები დაეცარიელებინათ. კიდევ უფრო მეტი მანძილი გვაშორებდა „შმაგი უფლისწულისა“[67] და პოინსის ეპოქას. და მაინც, ყველგან. ლონდონის მიდამოები იქნებოდა, თუ განაპირა ოლქების მეჩხერას დასახლებული ადგილები, უამრავი ყაჩაღი დააჭენებდა ცხენს. შარაგზის რაინდთა ეს

კატეგორია, მომავალში, ალბათ, მთლად რომ გადაშენდება, ერთგვარ თავაზიანობას იჩენდა თავისი საქმიანობის შესრულებისას. ისინი „პეწენიკის ფანდის“ მთავარი გმირის გიბეტის მსგავსად იბღინძებოდნენ, აქაო და ამ მიდამოს ყაჩაღებში ყველას ვჯობივართ ზრდილობაში და ჩვენს ხელობას ჯეროვანი სიფაქიზითა და თავაზიანობით ვეწევითო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ჩემს ადგილას არც ერთი ახალგაზრდა კაცი არ უნდა გაბრაზებულიყო, თუ მას ამ საპატიო ფენის წარმომადგენლად მიიჩნევდნენ.

შეურაცხყოფილად არც მე ვთლიდი თავს. პირიქით, მომეწონა კიდეც, რომ ჩემს ნებაზე ვათამაშებდი ამ მშიშარა მგზავრს - ხან საშინლად დავაეჭვიანებდი, ხან ისე მოვისაწყლებდი თავს, რომ კვლავ ნდობის თვალით დამიწყებდა ყურებას. უფრო ხშირად კი ვცდილობდი, ამეფორიაქებინა და დამეშინებინა. ამას დიდი მოხერხება არ სჭირდებოდა. საწყალი, თავიდანვე არ დაეჯილდოვებინა ბუნებას გამჭრიახობითა და საზრიანობით და ახლა ამ შიშსა და საფრთხის მოლოდინს მთლად მოეთავებინა ხელი. ხშირად, როცა მშვიდი, ძალდაუტანებელი საუბრით მთლიანად გავუქრობდი უნდობლობას, მოულოდნელად ვითომდა სხვათა შორის, ვკითხავდი ხოლმე საით ან რა საქმეზე მიბრძანდებით-მეთქი და გულში კვლავ ეჭვისა და შიშის კოცონს ავაგიზგიზებდი, აი მაგალითად, ასე წარიმართა ჩვენი საუბარი ერთხელ, როცა სიტყვა ჩვენი ცხენების სისწრაფესა და გამძლეობაზე ჩამოვარდა:

- იცით, რას გეტყვით, ჩემო ბატონო? - დაიწყო ჩემმა თანამგზავრმა. - სიმკვირცხლეში ნამდვილად თქვენი ცხენი აჯობებს, მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ეგ მართლაც და მშვენიერი იაბო ისეთი ძვალწვრილია, რომ დიდ გზას ვერ გაუძლებს. ჩორთია, ჩემო ბატონო (მან დეზები მოუჭირა თავის ბუცეფალს[68]), ყველაზე ნაღდი სვლა სანიადაგო ცხენისათვის. ქა-

ლაქი, რომ ახლოს იყოს შევაჯიბრებდით და ვიმედოვნებ, ვაკე გზაზე გაჯობებდით კიდეც, ოღონდ ჩორთით, ჭენებით კი არა ჩორთით, ჭენებით კი არა. დამარცხებული ერთ ჩარექა კლარეტს იკისრებდა, როცა უახლოეს სასტუმროში მივიდოდით.

- თანახმა ვარ, სერ. თუნდაც ახლა იყოს. გზაც მშვენიერია.

- ჰმ, ახლავე? - შეყოყმანდა ჩემი მეგობარი. - ჰო, მაგრამ, წესად არ მაქვს, შუა გზაში ცხენის გადაქანცვა. კაცმა არ იცის რას გადაეყრები მოგზაურობისას. ეგების სიკვდილ-სიცოცხლე ცხენის სისწრაფეზე იყოს დამოკიდებული! გარდა ამისა, როცა გეუბნებით გაჯობებთ-მეთქი თანაბარ წონას ვგულისხმობდი თქვენ კი ერთი ოთხი სტონით[69] მსუბუქი იქნებით ჩემზე.

- კეთილი, თანახმა ვარ წონაც გავათანაბრო. მიბრძანეთ ეგ თქვენი ჩემოდანი რამდენს იწონის?

- ჩ-ჩ-ჩემოდანი?! - დაება ენა ჩემს თანამგზავრს.- ძალიან ცოტას, ბუმბულივითაა. სულ ორიოდე წყვილი წინდა და რამდენიმე პერანგი მიდევს შიგ.

- მძიმე კი სჩანს და. ერთ ჩარექა კლარეტზე გენიძლავებით, რომ ეგ ჩემოდანი გაათანაბრებს კიდეც ჩვენს წონას.

- ცდებით, სერ. გარწმუნებთ, რომ ძალიან ცდებით,- მიპასუხა ჩემმა მეგობარმა და გზის განაპირას გავიდა (საფრთხის დროს ყოველთვის ასე იქცეოდა ხოლმე).

- კარგი, რაც იყო იყო, წავაგებ ერთ ბოთლ ღვინოს! ანდა, თუ გნებავთ, მე ათ ოქროს დავდებ, თქვენ ხუთი დადეთ, მაგ ჩემოდანს უნაგირზე მივიკრავ და მაინც გავასწრებთ.

ამ თავხედურმა სანაძლეომ თავზარი დასცა ჩემს მეგობარს. ცხვირი, ნიადაგ წითელი რომ ჰქონდა სეკისა და კლარეტის წყალობით, ჩაეტეტკა. შიშმა ყბა აუკანკალა და კბილის კბილზე ცემინება დააწყებინა. ალბათ დარწმუნებული იყო რომ ნიღაბახდილი მძვინვარე მძარცველის კლანჭებში იყო ჩავარდნილი. სანამ ენის ბორძიკით ცდილობდა პასუხი მოეცა ჩემთვის, შევეცადე ცო-

ტათი დამემშვიდებინა: ვკითხე, ნეტა ეს რა სამრეკლოა, გზაზე რომ ამოიწვერა, ეტყობა სოფელი ახლოსაა და ყაჩაღების დახვედრის ფიქრი აღარ არის-მეთქი. ამ სიტყვებზე სახე გაუნათდა, მაგრამ შევატყვე, რომ არასოდეს დაავიწყდებოდა ჩემ მიერ შეთავაზებული მუხანათური სანაძლეო.

ასე საფუძვლიანად იმიტომ გაცნობ ჩემი თანამგზავრის ხასიათს და თავს იმიტომ გაბეზრებ ჩემი ანცობის ვრცელი აღწერით, რომ ამ თითქოსდა უმნიშვნელო წვრილმანებმა, უდიდესი გავლენა იქონია მოვლენებზე, რომელთა გადმოცემას ამ მოთხრობის მომდევნო გვერდებზე ვაპირებ. იმ დროს იმ კაცის ქცევა მხოლოდ ზიზღს იწვევდა ჩემში და კიდევ უფრო მიმტკიცებდა ძველ რწმენას, რომ ადამიანის მიერ საკუთარი სულის დასატანჯად მოგონილი მრავალი ხერხიდან უსაგნო და უსაფუძვლო შიში ყოფილა ყველაზე უფრო მტკივნეული, დამაბეჩავებელი და სასოწარმკვეთი.

თავი IV

„შოტლანდიაში ცუდად ცხოვრობენ ერთობ მწირია მათი ბუნება“,-
ეს ინგლისური ამპარტავნობა თავს გვაწონებს და გვედიდგულება.
შოტლანდიელიც განა უარყოფს? - „რა ვქნათ, სწორია, ღმერთმა ინება“
მაშ, ვინც ჩამოდის ბედის საძებრად რა მოსაზრებას ემორჩილება?“

ჩერჩილი[70]

იმ დროს ინგლისის გზებზე ერთი ჩვეულება იყო შემორჩენილი. ახლა ეს ჩვეულება, მე მგონი, სულ დავიწყებულია ანდა მხოლოდ მდაბიო ხალხშია შემონახული. რადგან მაშინ, ჩვეულებრივ, ცხენით მოგზაურობდნენ და გზადაგზა ცოტა ხნით ისვენებდნენ ხოლმე, აუცილებელი იყო, კვირაობით მთელი დღით ჩამომსხდარიყვნენ რომელიმე ქალაქში, სადაც მოგზაური წირვას მოისმენდა, ხოლო ცხენი კი მთელ დღეს დაისვენებდა. ეს ჩვენი ოთხფეხა მსახურებისთვისაც სასარგებლო იყო და ჩვენთვისაც. ამ შესანიშნავ ჩვეულებას თან ახლდა მეორე - ძველი ინგლისური სტუმართმოყვარეობის გადმონაშთი. ქალაქის მთავარი ფუნდუკის მეპატრონე კვირა დღეს ხელს იღებდა ჩვეულებრივ საქმიანობაზე, ყველა სტუმარს სადილზე მიიწვევდა და საგანგებოდ შემწვარი ძროხის ხორცითა და პუდინგით უმასპინძლდებოდა. სტუმრობას არავინ თაკილობდა, ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის გარდა. მიწვეულნი მადლობის ნიშნად თითო ბოთლ ღვინოს ჩამოდგამდნენ ხოლმე ნასადილევს და მასპინძლის სადღეგრძელოს სვამდნენ. ეს იყო და ეს- მეტი მათ არაფერი მოეთხოვებოდათ.

მე დიდად არ ვესწრაფვოდი მაღალ საზოგადოებაში ტრიალს, რადგან მსოფლიოს მოქალაქედ ვიყავი დაბადებული და ვცდილობდი, უკეთ შემეცნო უბრალო ადამიანები. ამიტომ იყო, რომ იშვიათად ვამბობდი უარს მეფუნდუკის მიპატიჟებაზე, თანაც სულ არ ვაქცევდი ყურადღებას ამ ფუნდუკის აბრაზე წვივსაკრავი იქნებოდა დახატული, ლომი თუ დათვი.

პატივცემულ მეფუნდუკეს ასეთ დღეებში ჩვეულებრივზე უფრო მედიდური და თვითკმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა, რადგან გრძნობდა თავის სიდიადეს. მართლაც კარგი სანახაობა იყო, როცა იგი, იმის მაგივრად რომ სტუმრებს მომსახურებოდა, საპატიო ადგილას დაბრძანდებოდა და საპატიო მოვალეობის შესრულებას იწყებდა, იგი ახლა მზე იყო, რომელსაც გარშემო პატარ-პატარა პლანეტები უვლიან. ამ ყოველკვირეულ დღესასწაულზე დასწრებას ყველანი ესრაწფვოდნენ, ჯამბაზებიც, მასხარებიც, და ქალაქისა და სოფლის პატივცემულნი გვამნიც: მეაფთიაქეები, ადვოკატები და თვით მღვდლებიც კი. სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები, რაღა თქმა უნდა, საოცრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ლაპარაკით, ქცევითა და შეხედულებებით და თუ ვინმეს ადამიანთა მოდგმის მრავალფეროვანი ბუნების შესწავლა სურდა, ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა.

და აი, ერთ დღეს, სწორედ ასეთ თავყრილობაზე ვიყავით მიწვეულები მე და ჩემი მხდალი თანამგზავრი დურჰამის საბატოს ქალაქ დარლინგტონში, რათა დაგვემშვენებინა „შავი დათვის“ ლოყებღაჟღაჟა მეპატრონის სუფრა. ჯერ სუფრას არ მივსხდომოდით, რომ მასპინძელმა მობოდიშებით გვითხრა, სადილზე ერთი შოტლანდიელი ჯენტლმენიც გვეყოლებაო.

- ჯენტლმენი? როგორი ჯენტლმენი? - მაშინვე ჩაეკითხა ჩემი თანამგზავრი, რომელმაც ალბათ იფიქრა მასპინძელი ჯენტლმენში შარაგზის ყაჩაღს გულისხმობსო.

- როგორი და ჩვეულებრივი შოტლანდიელი ჯენტლმენი - უპასუხა მასპინძელმა, როგორც მოგეხსენებათ ისინი ყველანი ჯენტლმენობას ჩემობენ, პერანგიც რომ არ ეცვათ ტანზე. თუმცა ეს საკმაოდ შეძლებული გაიძვერა უნდა იყოს, ასეთ გაქნილ ჩრდილოეთელს იშვიათად შეხვდებით ბერვიკის ხიდის გადმოღმა. მგონი, საქონლით უნდა ვაჭრობდეს.

- კეთილი და პატიოსანი, მოიპატიჟეთ. ერთად ვიქეიფოთ, - თქვა ჩემმა თანამგზავრმა, შემდეგ მომიბრუნდა და თავისი თვალსაზრისი გამიზიარა: - მე პატივს ვცემ შოტლანდიელებს, სერ, მე მიყვარს და ვაფასებ ამ ერს, რადგან საკუთარი მორალური მრწამსი გააჩნიათ. შოტლანდიელები სიბინძურესა და სიღატაკეს უკიჟინებენ, მაგრამ ერთი პოეტისა არ იყოს, თაყვანს ვცემ ხალას პატიოსნებას, თუნდაც იგი ძონძებში გახლდეთ გამოხვეული. მე ფრიად სარწმუნო წყაროდან ვიცი, სერ, ძალიან სანდო ხალხს უთქვამს ჩემთვის, რომ შოტლანდიაში შარაგზის ყაჩაღების ხსენებაც არ არისო.

- უთუოდ იმიტომ, რომ ხალხს წასართმევი არაფერი აქვს, - ჩაგვერია საუბარში მასპინძელი და ისე მოეწონა საკუთარი ნათქვამი, რომ ხითხითი დაიწყო.

- არა, მასპინძელო, არა - ბოხი ხმით გამოეპასუხა მეფუნდუკეს ვიღაცა, - უფრო იმიტომ, რომ თქვენმა ინგლისელმა აქციზებმა და რევიზორებმა, ჩრდილოეთში, ტვიდის გადაღმა რომ გაამწესეთ, ხელობა ჩამოართვეს ჩვენს ყაჩაღებს[71].

- მართალს ბრძანებთ, მისტერ კემპბელ, - მაშინვე დაეთანხმა მეფუნდუკე, - არ ვიცოდი, რომ აქ იყავით. ისე კი, ნუ დამძრახავთ, ხომ იცით, შუმი იორკშირელი ვარ, როყიო და მოურიდებელი. სხვა ბაზარზე რა ამბებია? მშვიდობა, - მიუგო მისტერ კემპბელმა, - ჭკვიანები ყიდიან და ყიდულობენ, სულელებს ყიდიან და ყიდულობენ.

- მართლა, მაგრამ ჭამა ჭკვიანსაც უნდა და სულელსაც, - შენიშნა ჩვენმა გულღია მასპინძელმა. - და აი, საჭმელიც მოსულა, ისეთი შემწვარი ძროხის ბარკალი მოაქვთ, რომ მაძღარსაც კი მადაზე მოიყვანს. - მეფუნდუკემ გულდაგულ აუწყო პირი დანას, როგორც ბატონი და მბრძანებელი სუფრის თავში დაბრძანდა და მხიარულად შეუდგა სტუმრების შემწვარი გამასპინძლებას ხორცით.

პირველად მოვისმინე შოტლანდიური კილო და პირველად ვნახე ასე ახლო ამ ძველი ეროვნების წარმომადგენელი. მე ბავშვობიდანვე მაინტერესებდა მათი გაცნობა. მამაჩემი, კარგად მოგეხსენება, ნორთუმბერლენდის ერთ-ერთ უძველეს გვარს ეკუთვნოდა და ის ქალაქი სადაც ახლა სადილს გეახლებოდით, სულ რამდენიმე მილით იყო დაშორებული ჩემი წინაპრების სამკვიდროსგან, მაგრამ მამაჩემი ისე მაგრად იყო ნაჩხუბარი ნათესავებთან, თავისი წარმოშობის გახსენებაც კი არ უნდოდა და ყველას, ვინც კი გვარიშვილობით ამაყობდა უქნარად და ბაქიად თვლიდა. თავად მხოლოდ იმით იწონებდა თავს, რომ სიტიში ერთ-ერთ პირველ კომერსანტად იყო მიჩნეული. საბუთის აღმოჩენა, რომლითაც დაამტკიცებდა ოსბალდისტონი ვილჰელმ დამპყრობლის[72] პირდაპირი შთამომავლები არიანო, ისე არ გაახარებდა, როგორც ჩოჩქოლი და მღელვარება ბირჟაზე „ხარებს“[73], „დათვებსა“ და მაკლერებს რომ შეუდგებოდათ ულიამ ოსბალდისტონის ყოველ გამოჩენაზე. მამაჩემი ცდილობდა, არაფერი გამეგო ჩემი შთამომავლობის შესახებ და არც ნათესავებზე უყვარდა ლაპარაკი. ეტყობა უნდოდა, რომ მეც იგივე თვალსაზრისი გამომემუშავებინა გვარიშვილობაზე, როგორიც თვითონ ჰქონდა. მაგრამ მეტისმეტად ჭკვიანი ადამიანები, ჩვეულებრივ, მთლიანად ვერ ახორციელებენ ხოლმე თავიანთ გეგმებს და მამაჩემსაც ასე დაემართა. ხელი ისეთმა პიროვნებამ შეუშალა, რომელსაც ამაყი და თავდაჯერებული კომერსანტი არარაობად

თვლიდა და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ასეთი უმნიშვნელო ადამიანი რაიმე გავლენას იქონიებდა მის შვილზე. იგი მისი გამ-დელი იყო, მოხუცი ნორთუმბერლენდელი ქალი, რომელმაც მა-მაჩემი ჩვილობიდან გაზარდა, თავის თანამემამულეთაგან მხო-ლოდ ამ ერთადერთ ადამიანს სცემდა მამაჩემი პატივს და როცა ბედმა მოწყალების თვალით გადმოხედა, მაშინვე იზრუნა იმაზე, რომ მეიბელ რიკეტსს სამუდამოდ დაედო ბინა მის ოჯახში. დე-დაჩემის გარდაცვალების შემდეგ ჩემი პატრონობა მოხუცებულმა მეიბელმა ითავა. იგი მზრუნველობით მივლიდა ავადმყოფობის დროს და დედობრივ სითბოსა და ალერსს არ მაკლებდა. რად-განაც მამაჩემთან ვერა ბედავდა ეხსენებინა საყვარელი ნორთუმ-ბერლენდის გორაკები, ტყეები და ხეობები, ჩემთან პატარა ბიჭ-თანღა იქარვებდა დარდს. ხშირად დამისვამდა და დაწვრილე-ბით ამიწერდა ხოლმე იმ ადგილებს, სადაც ახალგაზრდობა გა-ეტარებინა და თან იმ თქმულებებსა და ლეგენდებსაც მიაყოლებ-და ხოლმე, რომელიც ხალხს ამა თუ იმ მთასა და ხეობაზე შეეთ-ხზა. ამ ამბებს უფრო მეტი ყურადღებით ვუსმენდი, ვიდრე ჩემი მასწავლებლის ბრძნულ, მაგრამ მოსაწყენ შეგონებებს. ახლაც ცხადად მიდგას თვალწინ ჩემი მოხუცი გადია, თოვლივით თეთ-რი ჩაჩი რომ ახურავს და თავი ოდნავ უკანკალებს სიბერისაგან, სახე ნაოჭებითა აქვს დაღარული, მაგრამ სოფლური ჯანსაღი ფე-რი მაინც შემორჩენია. ახლაც თვალნათლივ ვხედავ, როგორ მისჩერებია ჩვენი ფანჯრის წინ, ვიწრო ქუჩის გადაღმა აღმარ-თულ აგურის სახლის კედელს და ყურში ახლაც ჩამესმის სიმღე-რა, რომელიც ეს-ესაა დაამთავრა, სიმღერა, მაშინაც რომ მერ-ჩია და, რა დასამალია, ახლაც მირჩევნია ყველა არიას, რომე-ლიც ვინმე იტალიელი კომპოზიტორის, დ-ს, ხუშტურიან გონებას შეუქმნია:

ეს ფათალო უკეთ ყვავის, ეს კოპიტის ტყე,
თუ მზე სწყალობს მშობლიური-შოტლანდიის მზე.

როცა ამ ლეგენდებს ვუსმენდი ვგრძნობდი რომ ჩემი გადია უკიდურესი სიძულვილით იყო განმსჭვალული შოტლანდიელთა მიმართ. საზღვრის გადაღმა მცხოვრებლები ისე იყვნენ დახატულნი, როგორც ჩვეულებრივი ზღაპრების კაციჭამიები და დევები, ფეხზე ცხრალიგიანი წაღები რომ აცვიათ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან შავი დუგლასი არ იყო, თავისი ხელით რომ დაკლა, ოსბალდისტონთა ოჯახის მემკვიდრე სწორედ იმ დღეს, როცა იგი, გვარის უფროსის მოვალეობის შესრულებას შეუდგა? განა მოულოდნელად არ დაესხა იგი მემკვიდრესა და მის ვასალებს, როდესაც ისინი სუფრას შემოსხდომოდნენ და ახალი უფროსის სადღეგრძელოს სვამდნენ? განა უოტმა (მიწრიელს რომ ეძახდნენ მეტსახელად), არ გარეკა წინ შიშაქების ფარა ლონტორნსაიდის ფერდობებიდან სულ ახლახან, პაპაჩემის მამის სიცოცხლეში? და განა ჩვენ ცოტა ნადავლი წამოგვიღია მათგან (მეიბელის სიტყვებით უფრო პატიოსნური გზით), ამდენი რბევისა და ძარცვა-გლეჯისაგან მიყენებული ზარალი რომ აგვენაზღაურებინა? მეხუთე ბარონმა, რომელიც სერის ტიტულს ატარებდა, ჰენრი ოსბალდისტონმა არ მოიტაცა ფეირინგტონის ულამაზესი ასული? მოიტაცა, როგორც აქილევსმა ქრისეიდა და ბრისეიდა[74], საკუთარ ციხე-სიმაგრეში გამოკეტა და თუმცა ქალის მეგობრებმა შოტლანდიელთა მამაც ბელადებს მოუხმეს დამხმარედ, ტყვე ასული მაინც ვერ გამოიხსნენს. განა ჩვენი ხმლები არ კაშკაშებდა თითქმის ყველა იმ შეტაკების წინა რიგებში, რომლებშიც ინგლისი მწარედ ამარცხებდა თავის მეტოქეებს? ჩვენი გვარის აღზევება ხომ ჩრდილოური ომების წყალობა იყო და ყველა მარცხი და უბედურებაც ამ ომებმა მოგვიტანა.

ბავშვობიდან სულ ასეთი ამბები მესმოდა შოტლანდიელებზე და ისე ვიყავი გაქეზებული, რომ ყველა შოტლანდიელი სამხრეთელების დაუძინებელ მტრად მიმაჩნდა. ამ რწმენას კიდევ უფრო მიმტკიცებდა მამაჩემის შენიშვნები შოტლანდიელთა შესახებ.

მან ერთი მსხვილი საქმე წამოიწყო ზემო შოტლანდიაში - მუხის მასალას ყიდულობდა იქაური ტყის მფლობელებისაგან და დარწმუნდა, რომ ისინი უფრო გულიანად ეკიდებიან ხელშეკრულების დადებას და ავანსის მიღებას, ვიდრე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლების ზუსტად და დროულად შესრულებას. მამაჩემი ეჭვობდა, რომ შოტლანდიელი ვაჭრებიც, შუამავლად რომ იყენებდა გარიგების დროს, იმაზე მეტს იგებდნენ ამა თუ იმ ხრიკის საშუალებით, ვიდრე ეკუთვნოდათ. ერთი სიტყვით, მეიბლი შოტლანდიელთა წინაპრების ძალადობას უჩიოდა, მისტერ ოსბალდისტონი კი არანაკლებ იყო აღშფოთებული თანამედროვე სინოდების[75] ცბიერებითა და გაიძვერობით. ასე რომ ორივემ, თავისდა უნებურად, ჩემს ახალგაზრდა მოუმწიფებელ გონებას საშინელი ზიზღი და სიძულვილი ჩაუნერგეს ჩრდილო ბრიტანეთის მცხოვრებლებისადმი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი ომის დროს სისხლისმსმელები იყვნენ, დაზავებისას მუხანათები, მშვიდობის დროს ხარბები, ეგოისტები, ძუნწები და ცბიერები და ისე ცოტა რამ ჰქონდათ კარგი, რომ სახსენებლადაც არა ღირდა: მაგალითად, მათი სიმამაცე უგულობისა და შეუბრალებლობის ნაყოფი იყო, ხოლო ცხოვრებისეული სიბრძნე კი ცბიერებისა და ეშმაკობისა. იმათ გასამართლებლად, ვისაც ამგვარი შეხედულება ჰქონდათ ამ ხალხაზე, უნდა შევნიშნო, რომ შოტლანდიელებიც ასეთივე აზრისანი იყვნენ ინგლისელებზე - ყველა, განურჩევლად, სიმდიდრით გაყოყოჩებული ბღენძია ეპიკურელად[76] მივაჩნდით. ეროვნული შუღლი ამ ორ ხალხს შორის იმ დროს ჩასახულიყო, როცა ინგლისი და შოტლანდია ცალ-ცალკე მტრული სახელმწიფოები იყვნენ. ამასწინათ ყველანი მოწმენი გახლდით, თუ როგორ გააჩაღა ამ შუღლის ნაპერწკლებიდან დემაგოგიამ კოცონი, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ამჟამად უკვე ჩაფერფლილია.[77] ყოველივე ამის გამო, მე ზიზღით ვათვალიერებდი პირველ შოტლანდიელს, რომელსაც საზოგადოებაში შევხვდი.

ბევრი რამ მის ქცევასა და გარეგნობაში ადასტურებდა ჩემს შეხედულებას შოტლანდიელებზე. მას, როგორც მოველოდი, უხეში ნაკვთები ჰქონდა და ათლეტური აღნაგობის გახლდათ. შოტლანდიური აქცენტით ლაპარაკობდა, თანაც ნელა სვენებ-სვენებით, რომ წმინდა ინგლისური გამოთქმები მოეფიქრებინა საუბრის დროს. შევნიშნე ასევე, რომ ჩემი ახალი ნაცნობი ყველა შოტლანდიელივით დიდ საზრიანობას იჩენდა რაიმე საკითხის განსჯის დროს და კითხვებზე ძალზე ფრთხილად და წინდახედულად იძლეოდა პასუხს. მაგრამ იმან კი გამაოცა, რომ შემთხვევით გაცნობილ ხალხთან თავი მშვიდად და ღირსეულად ეჭირა და ზევიდანაც კი გადაჰყურებდა ყველას. ტანთ ყველაფერი უბრალო ეცვა, მაგრამ ცუდად ჩაცმული მაინც არ ეთქმოდა. ამ დროს ყველა, ვინც ჯენტლმენობაზე დებდა თავს, რაც არ უნდა ღარიბი ყოფილიყო ჩაცმა-დახურვაზე ფულს არ ზოგავდა, ამიტომ დავასკვენი, ეს კაცი მთლად უპოვარი თუ არა საკმაოდ გაჭირვებული უნდა იყოს-მეთქი. მისი საუბრიდან მივხვდი, რომ არც თუ დიდად დაფასებული ხელობის კაცი ყოფილა: თურმე საქონლის ყიდვა-გაყიდვას ეწეოდა, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამდენი ნაკლისა, ყველას ისე ზრდილობიანად და თავშეკავებულად ექცეოდა, რომ აუცილებლად იფიქრებდი, ეს კაცი ან მართლა ყველა აქ მყოფზე ღირსეული პიროვნებაა, ან ვინმე თავის თავზე შეყვარებული ბღენძიაო. თავის აზრს რაიმე საკითხზე ისე მშვიდი და შთამაგონებელი ტონით გამოთქვამდა, თითქოს მსმენელებს ეუბნებოდა, ვერც ცოდნით გამიტოლდებით და ვერც გავლენით, ამიტომ ჩემი ნათქვამი ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნიეთ და ნუღარ მეკამათებითო. ჩვენი მასპინძელი და მისი სტუმრები ერთი-ორჯერ ძალიან მონდომებით შეეცადნენ, დაეცვათ საკუთარი აზრი - ხმასაც აუწიეს, რამდენიმე თამამი თვალსაზრისიც წამოაყენეს მოწინააღმდეგის ნათქვამის გასაბიაბურებლად, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და თანდათან დათმეს ბრძოლის ასპარეზი. საუბ-

რის სადავეები მისტერ კემპბელმა ჩაიგდო ხელთ. დავინტერესდი და შევეცადე დამემარცხებინა იგი. იმედი მქონდა, ცოდნა და გამოცდილება, რომელიც უცხოეთში ცხოვრებითა და კარგი აღზრდა-განათლებით მივიღე, გამარჯვებას მომაპოვებინებდა. მოკამათე განათლებით დავჯაბნე. აშკარა იყო, რომ თანდაყოლილი ნიჭის ნაყოფიერი ნიადაგი განათლების სახნისით არ გადაებრუნებინათ, მაგრამ მისტერ კემპბელს ჩემზე კარგად სცნობია თანამედროვე საფრანგეთი და ჩემზე კარგად მოეხსენებოდა იმ ხანებში სახელმწიფოს რეგენტად დანიშნული ორლეანელი ჰერცოგისა[78] და მის ირგვლივ შემოკრებილი დიდებულების პირადი ღირსებანი და ნაკლოვანებები. ზუსტი და განმგმირავი შენიშვნებიდან ჩანდა, რომ იგი ნამყოფი იყო ამ ქვეყანაში და საკუთარი თვალით ენახა მისი კარგი და ავი. როცა საუბარი ინგლისის საშინაო პოლიტიკას შეეხებოდა, კემპბელი, როგორც ჩანს, სიფრთხილეს იჩენდა და, ან ძალიან მოკრძალებულად ჩაურთავდა სიტყვას, ან სულ გაჩუმდებოდა ხოლმე. მაშინ ინგლისი ძირფესვიანად შეძრული იყო ვიგებისა და ტორების ბრძოლით[79] და ტორების ძლიერი პარტია, რომელიც იაკობინელებს უჭერდა მხარს, მოსპობით ემუქრებოდა სულ ცოტა ხნის წინათ გაბატონებულ ჰანოვერების დინასტიას[80]. ამ დროს ხმის ჩახლეჩამდე კამათობდნენ და ჩხუბობდნენ პოლიტიკაზე ყოველ დუქანსა და ლუდხანაში და რადგან ჩვენი მასპინძელი ამ ლიბერალური წესის მიმდევარი იყო, რომელიც ამბობდა, კარგი მუშტრის საქმეში არ უნდა ჩაერიოო, მის საკვირაო სადილზე მოწვეული სტუმრებიც დროდადრო ისე ცხარედ შეებმებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, იტყოდი ქალაქის საბჭოს სხდომაოო. მღვდელი, მეაფთიაქე და ერთ ჩია კაცი თავის ხელობას რომ არ ამხელდა, მაგრამ ვარდისფერ მარჯვე თითებზე ეტყობოდა დალაქი უნდა ყოფილიყო, მტკიცედ უჭერდნენ მხარს „მაღალ ეკლესიასა[81]“ და სტიუარტების[82] დინასტიას. გადასახადების ამკრები, იურისტი და ჩემი თანამგზავ-

რი, რომელიც გულით ჩაება კამათში, ცხარედ იცავდნენ მეფე ჯორჯსა და პროტესტანტიზმს (გადასახადების ამკრები სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, იურისტი კი, ეტყობა, თბილი ადგილის დათრევას აპირებდა ხაზინაში). ოთახში საშინელი წყევლა-კრულვა და ღრიანცელი იდგა. ყველანი მისტერ კემპბელს იხმობდნენ მსაჯულად. ყველანი მის უზენაეს დასტურსა და მხარდაჭერას ესწრაფოდნენ.

- თქვენ ხომ შოტლანდიელი ხართ, სერ, კეთილშობილი შოტლანდიელი მემკვიდრეობის უფლებას უნდა უჭერდეთ მხარს, - ღრიალებდა ერთ ჯგუფი.

- თქვენ პრესვიტერიანელი იქნებით, - გაიძახოდნენ სხვები, - შეუძლებელია, რომ დესპოტის მომხრე იყოთ. ჩვენი შოტლანდიელი ორაკული კარგა ხანია ცდილობდა ეპასუხა, მაგრამ ხმის ამოღებას არავინ აცლიდა. ბოლოს წამიერი სიჩუმით ისარგებლა და დაიწყო:

- ბატონებო, მე ეჭვი არ მეპარება, რომ მეფე ჯორჯი სავსებით იმსახურებს თავისი მეგობრების ერთგულებასა და, თუ ძალაუფლებას შეინარჩუნებს, აქ რომ გადასახადების ამკრებია, იმას რევიზორობას მისცემს, ჩვენს მეგობარს მისტერ კვიმატს - პროკურორობას და ააღზევებს, ან რამე საჩუქარს უბოძებს, აგრეთვე, ამ პატიოსან ჯენტლმენს, რომელსაც საკუთარი ჩემოდანი ურჩევნია ყველა სკამს და სავარძელს. ასევე ცნობილია მეფე ჯეიმზის[83] გულუხვობა და კეთილშობილება და თუ ეს თამაში მოიგო, შეუძლია, თუ, რასაკვირველია, მოისურვებს ეს პატივცემული მღვდელი კენტერბერიის არქიეპისკოპოსად დანიშნოს, ექიმი მიქსტი კარის ექიმად, ხოლო ჩემს მეგობარ ლატერამს თავისი მეფური წვერის მოვლა-პატრონობას მიანდოს. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ კემპბელს, ხახა რომ უშრებოდეს, არც ერთი ხელმწიფე არ მიაწვდის ერთ სირჩა არაყს! ამიტომ ხმას ჩვენს მასპინძელს, ჯონათან ბრაუნს ვაძლევ. დაე, იგი იყოს მეფე და მბრძანებელი

მერიქიფეთა, ოღონდ იმ პირობით, თუ კიდევ ჩამოდგამს ამ საუკეთესო ღვინით სავსე ბოთლს.

კემპბელის ნათქვამს ყველა, სტუმრებიცა და მასპინძელიც, ტაშისცემითა და მოწონების შეძახილებით შეხვდა. ჯონათან ბრაუნმა მაშინვე გასცა ბრძანება, რომელზედაც მისი გამეფება იყო დამოკიდებული, და დასძინა:

- აი, ასეთი მშვიდობიანი ჯენტლმენია მისტერ კემპბელი და თანაც ლომივით მამაცი. ერთხელ, უინსტონ სტრიტიდან რომ მოდიოდა, მარტომ დაამარცხა შვიდი ყაჩაღი.

- მოუტყუებიხართ, ჩემო მეგობარო, - სულ ორად ორი კაცი იყო და თანაც ისეთ მხდალები, რომ ნებისმიერი ინატრებდა მათთან შებრძოლებას.

- ნუთუ მართლა, ნუთუ ნამდვილად დაჯაბნეთ მარტოდმარტომ ორი ყაჩაღი, სერ? - ჰკითხა მისტერ კემპბელს ჩემმა თანამგზავრმა და სკამიანად (უკაცრავად ჩემოდნიანად) მიჩოჩდა მისკენ.

- ნამდვილად, სერ. - მიუგო კემპბელმა, - მაგრამ ეს ისეთი დიდი ამბავი არ არის, რომ ქვეყანა შევყაროთ.

- გეფიცებით, სერ, ბედნიერად ვიგრძნობდი თავს, თქვენთან ერთად მგზავრობის სიამოვნება რომ მომანიჭოს ღმერთმა. მე ჩრდილოეთში მივემგზავრები, სერ!

პირველად იყო ჩემმა თანამგზავრმა თავისი მოგზაურობის გეზი გაუმხილა უცხო ადამიანს, მაგრამ შოტლანდიელმა მისი გულახდილობა არ დააფასა და ნდობაზე ნდობით არ უპასუხა.

- ჩვენ გაგვიჭირდება ერთად მგზავრობა, - მიუგო მისტერ კემპბელმა ცივად, - თქვენ, ბატონო ჩემო, ალბათ კარგი ცხენი გყავთ, მე კი ამჯერად ფეხით ვაპირებ მგზავრობას. შეიძლება, შოტლანდიური პონით გადავწყვიტო წასვლა, მაგრამ საქმეს ესეც არ უშველის - პონიზე ამხედრებული კაცი ბევრით ვერ გაასწრებს ქვეითს. - ეს რომ უთხრა, დალეული ღვინის ანგარიში გაასწორა,

მერე კი დამატებითი ბოთლის საფასურიც დააგდო მაგიდაზე, წამოდგა და, როგორც შევატყვეთ, წასვლა დააპირა. ჩემი თანამგზავრი მივარდა, ღილზე ჩაებღაუჭა და ერთ-ერთ ფანჯარასთან მიიყვანა. ჩემდაუნებურად ყური მივუგდე მათ საუბარს და მივხვდი, რომ რაღაცას აძალებდა შოტლანდიელს, ალბათ ეხვეწებოდა ერთად ვიმგზავროთო, მისტერ კემპბელი კი, როგორც შევატყვე, უარს ეუბნებოდა.

- გზის ხარჯებს მე გადაგიხდით სერ, - ისეთ ტონით უთხრა მოგზაურმა შოტლანდიელს, რომ აშკარა იყო, ფიქრობდა, ამას თუ შევთავაზებ, მყისვე ყველა დამაბრკოლებელი მიზეზი მოისპობაო.

- ეგ ყოვლად შეუძლებელია, - ცოტა აგდებულად უპასუხა კემპბელმა, - როთბარიში ვარ წასასვლელი საქმეზე.

- ძალიან არ მეჩქარება. ცოტა გავიმრუდებ გზას. ერთი ორი დღე შემიძლია დავკარგო თქვენისთანა კარგი თანამგზავრისათვის.

სინდისს გეფიცებით, სერ, რომ არ შემიძლია გაგიწიოთ ეგ სამსახური, - მისტერ კემპბელმა თავი ამაყად ასწია და დასძინა: - მე ჩემს პირად საქმეზე მივემგზავრები და, თუ ჩემს კეთილ რჩევას დაუჯერებთ, სერ, შემდგომში ნურასოდეს გაიხდით თანამგზავრად სრულიად უცნობ ადამიანს და ნურც ნურასოდეს ამცნობთ თქვენს გზა-კვალს იმას, ვინც სულ არ გეკითხებათ, საით მიემგზავრებით!

შემდეგ მან საკმაოდ უხეშად გააშვებინა ხელიდან ღილი ჩემს თანამგზავრს, და რადგან სტუმრები უკვე აშლილიყვნენ და გადიოდნენ, მე მომართა:

- თქვენი, მეგობარი, სერ, მეტისმეტად გულახდილია. კაცი, რომელიც ასეთ საქმეს დაივალებს, ცოტა უფრო ენა დაცული უნდა იყოს.

- ეგ ჯენტლმენი სულაც არ არის ჩემი მეგობარი, - მივუგე მე, - უბრალო ნაცნობია. გზაში გავიცანით ერთმანეთი, არც სახელი ვიცი მაგისი და არც ხელობა. როგორც ვატყობ, თქვენ უფრო გენდობათ ვიდრე მე.

- მე იმის თქმა მინდა, რომ ეგ კაცი ძალზე წინდაუხედავი: ჩამციებია, ერთად ვიმგზავროთ და იმას კი აღარ კითხულობს, მინდა თუ არა.

- მაგ კაცმა თვითონ იცის თავი საქმე და ჩემს თავს უფლებას არ მივცემ ჩავერიო,- მივუგე მე.

მისტერ კემპბელმა ამაზე აღარაფერი მიპასუხა, მშვიდობით მგზავრობა მისურვა და წავიდა. უკვე დაღამდა და ხალხი დასაძინებლად გაიკრიფა.

მეორე დღეს ჩვენი გზები გაიყარა, რადგან ოსბალდისტონების მამული დასავლეთით მდებარეობდა და შარა გზიდან უნდა გადამეხვია.

დარწმუნებით ვერ გეტყვით, ეწყინა თუ ესიამოვნა ამ კაცს ჩემთან განშორება. უფრო ესიამოვნა, რადგან საკმაოდ საეჭვო პიროვნებად მივაჩნდი. მე კი, მართალი გითხრა, უკვე აღარ მართობდა მისი წრესგადასული სიმხდალე და განშორებამ გულზე სიამე მომფინა.

თავი V

რა სიხარულით მიფეთქავს გული,
როდესაც ვხედავ-რარიგად შვენის,
რომ მოირხევა ამაყი ნიმფა,
ვით სიდიადე კუნძულის ჩვენის.
ცხენს მოაგელვებს, მოფრინავს რაში,
არ ეპუება კლდეს და ღორღილებს,
გზას არ დაგიდევთ- ჩაკიდულს მთაში,
არც ტრამალებზე წაიფორხილებს.

„ნადირობა“

ვუახლოვდებოდი ჩრდილოეთს, რომელსაც უკვე მშობლიურ ჩრდილოეთს ვუწოდებდი და, რადგან ბუნების უსაზღვრო ტრფიალი გახლდით, ეს თვალწარმტაცი პირველქმნილი მთა-ველი გულს სიამითა და აღტაცებით მიჩქროლებდა. ახლა ჩემი თანამგზავრის ყბედობა აღარ მაბეზრებდა თავს და თვალნათლივ ვხედავდი, რომ მიდამო გადასხვაფერდა, რომ აქაურობა ადამიანის თვალისა და გულის მოსაჯადოებლად შეექმნა ზენაარს. მდინარეს აქ მართლა მდინარე ეთქმოდა, რადგან მდოვრედ კი არ მიიზლაზნებოდა ლელიანებსა და ტირიფის ჭანჭრობებში, არამედ ხან სწრაფად მიიკვლევდა გზას დაბურულ ჭალებსა და ლატნარებში, ხან ციცაბო კლდიდან გადმოეშვებოდა ზავთითა და ღრიალით, ხან კი თითქოს შეანელებდა სრბოლას და ზარმაცად აბუტბუტდებოდა, მაგრამ მაშინაც წამითაც არ ჩაიკეცავდა მუხ-

ლსა და შეუსვენებლად მიედინებოდა, პაწია მყუდრო ხეობაში, დროდადრო რომ გამოჩნდებოდა გზის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს და დაჟინებით უხმობდა მგზავრს - მოდი, მესტუმრე ჩემი საიდუმლო უნდა გაგიმხილოო! ჩემ წინ ჩივოტის ზვიადი მთები აღმართულიყო. ისინი სხვა მაღალი მწვერვალებივით ვერ მოიწონებდნენ თავს ცაში აზიდული მწვერვალებითა და ციცაბო კლდეებით, მაგრამ მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ მნახველზე გაშილილ მხრებზე წამოსხმული მუქი წითელი მანტიითა და კუშტი და მიუკარებელი მზერით. ყველაფრიდან ჩანდა, რომ უკაცრიელსა და თავისებურ მხარეში მოვხვდი.

ჩემს მამა-პაპათ სწორედ ამ მთების ერთ-ერთ ვიწრო ხეობაში, პატარა ტაფობზე გაეჩინათ სამკვიდრო და საცხოვრებელი. ოსბალდისტონების გვარის ვრცელი მამულიდან ახლა მცირე ნაწილიღა იყო დარჩენილი. უმეტესობა მტრებმა წაგვგლიჯეს ან ჩემმა უხეირო წინაპრებმა გაანიავეს, მაგრამ ბიძაჩემს მაინც იმდენი დახვედროდა, ამ მხარეში მდიდარ მემამულედ თვლიდნენ. თუმცა, როგორც გზაზე გაცნობილმა ხალხმა მიამბო, დიდად არც ის უფრთხილდებოდა თავის ქონებას და გულუხვად უმასპინძლდებოდა მეზობლებსა და გამვლელ - გამომვლელთ. ბიძაჩემი ნამდვილი ჩრდილოეთელი მემამულე გახლდათ და ვერც კი წარმომედგინა, რომ მისი გვარისა და წოდების ადამიანს შეეძლო ხელმომჭირნედ ეცხოვრა. გორაკიდან უკვე ბუნდოვნად მოჩანდა ოსბალდისტონ-ჰოლი - უზარმაზარი ძველებური ნაგებობა, რომელიც ჯმუხი დრუიდული მუხების კორომში იყო ჩადგმული. მე პირდაპირ მისკენ მეჭირა გეზი და რამდენადაც ოკრობოკრო გზა მაძლევდა საშუალებას, ცხენს ვაჩქარებდი. უცებ ჩემმა დაღლილმა ცხენმა ყურები ცქვიტა და სმენად იქცა, შორიახლოს გაისმა მაძებარი ძაღლების ხროვის ყეფა და წკმუტუნი. დროდადრო ფრანგული ბუკის მხიარული ხმაც ისმოდა(იმ ხანებში ფრანგული ბუკი ნადირობის აუცილებელი კომპონენტი იყო). ვიფიქრე, ნამ-

დვილად ბიძაჩემის ძაღლებია-მეთქი და სადავე მოვზიდე, რომ მონადირეებს არ დავენახე - არ მინდოდა, აქ, შუა მინდორში, გამეცნო ჩემი მონადირე ბიძა და გადავწყვიტე, როცა ჩაივლიან, ჩემი გზით წავალ და ოსბალდისტონ-ჰოლში დაველოდები მის დაბრუნებას-მეთქი. ეს სოფლური გასართობი ყველას იტაცებს და, თუმცა იმ ხანებში ჩემი გონება სულ სხვაგან ქროდა, ცხენი შემაღლებულ ადგილას გავაჩერე და მოუთმენლად დავუწყე ლოდინი მონადირეებს.

წვრილიანიდან, რომელიც ხეობის მარჯვენა მხარეს მიუყვებოდა, გამოჩნდა სირბილისაგან გასავათებული მელია. კუდი ძირს ჰქონდა დაშვებული, ბეწვი ერთიანად ამოთხვროდა მტვერსა და ტალახში და ისე იყო დაღლილი, რომ ძლივსღა მილასლასებდა. აშკარა იყო, რომ მისი აღსასრულის ჟამი დამდგარიყო. თავზე შავი ყორანი დასტრიალებდა და ალბათ უკვე თავის ნადავლად მიაჩნდა საწყალი მელაკუდა. დევნილმა მელიამ ის იყო ნაკადული გადაცურა და ხევის მარცხენა ფლატეს შეუდგა, რომ წვრილიანიდან ახლა რამდენიმე ძაღლი გამოვარდა. დაწინაურებულთ ხმამაღალი ყეფით მოჰყვებოდა მთელი ხროვა ძაღლებისა. ცოტა ხნის შემდეგ კურძალი და სამი თუ ოთხი მხედარი გამოჩნდა. ძაღლები წამით არა ჰკარგავდნენ კვალს, მხედრები კი უგზოობას არაფრად აგდებდნენ და ფეხდაფეხ მისდევდნენ ძაღლების ხროვას. მხედრები წარმოსადეგი, ბრგე ჭაბუკები იყვნენ. ტანთ წითლით გაწყობილი მწვანე მუნდირები ეცვათ. ეს იმ მონადირეთა საზოგადოებრივი ფორმა გახლდათ, რომელსაც დიდად პატივცემული ჰილდებრანდ ოსბალდისტონი უწევდა მესვეურობას. ნამდვილად ჩემი ბიძაშვილები არიან-მეთქი გავიფიქრე, როცა გვერდით ჩამიქროლეს, და იმავე წამს კითხვა დავუსვი საკუთარ თავს: „ნეტავ როგორ მიმიღებენ ნებროთის[84] ღირსეული შთამომავლები? მე ხომ სულ გაუწაფავი ვარ ამნაირ გასართობებში! ვპოვებ კი ბიძაჩემის ოჯახში სიმშვიდესა და ბედნიერე-

ბას?!“ ეს ფიქრები მოულოდნელად გამოჩენილმა ჩვენებამ შემაწყვეტინა!

ჩვენება ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა ლედი აღმოჩნდა. მონადირული გატაცება და თავშეუკავებელი ნავარდი ეშხსა და მიმზიდველობას მატებდა მის მწყაზარ სახეს. ცხენიც საუცხოო ჰყავდა, კუპრივით შავი, ოღონდ პირზე თოვლივით თეთრი ქაფი მოსდგომოდა და ტანიც ქაფით დაწინწკვლოდა აქა-იქ. ლედის ამ დროისათვის უჩვეულო მამაკაცური თარგის ტალავერი ემოსა, ახლა რომ ამორძალთა კაბას უწოდებენ, ისეთი. ასეთ კაბები ჩემი საფრანგეთში ყოფნის დროს შემოსულიყო ინგლისში და ახლა პირველად ვხედავდი. ჭენებისას თავზე ბაფთა მოსძრობოდა და გრძელ შავ თმას ქარი უწეწავდა.

ნიადაგი ოღრო-ჩოღრო და ნარვალი იყო. ქალიშვილს სადავე მოეზიდა და შესაშური საზრიანობით მართავდა ცხენს. რომ გამისწორდა, რაღაცას მოარიდა ცხენი და უფრო ახლოს ჩამიარა, ვიდრე სხვა მხედრებმა. ამან შესაძლებლობა მომცა უფრო კარგად შემეთვალიერებინა მისი ნატიფი სახე და გარეგნობა, რომელთაც კიდევ უფრო ამშვენებდა ეს მხიარული სანახაობა, უცნაური ტანსაცმელი და თავად ეს მოულოდნელი შეხვედრა. ჩემ იქით, ცოტაზე სწორი გზა იყო და მხედარმა ის იყო სადავე მიუშვა, რომ ცხენმა ფეხი წამოკრა რაღაცას. მე საბები მომეცა და სულ ახლოს მივედი, რომ დავხმარებოდი, მაგრამ ქალიშვილს ჩემი შველა აღარ დასჭირდა: ცხენს არც კი წაუფორხილებია და კიდეც რომ წაეფორხილებია, დარწმუნებული ვარ, მშვენიერი ამორძალი არ დაიბნეოდა. მან მაინც ღიმილით დამაჯილდოვა კეთილი განზრახვისათვის და ამან ისე გამამხნევა, უკან დავედევნე და შევეცადე, დავწეოდი. უცებ ხმამაღალმა შეძახილებმა „ეჰეი, მოვკალით, მოვკალით“ და ბუკის მხიარულმა ხმამ გვამცნო, რომ დევნა დამთავრებულიყო. აჩქარება აღარ იყო საჭირო. იმ ახალგაზრდებიდან, ახლახანს რომ ჩამიქროლეს, ერთ-ერთი

გვიახლოვდებოდა და ამაყად მოიქნევდა მელიის კუდს. აშკარად ჩემი მშვენიერი თანამგზავრის გახელებას ლამობდა.

- ჰო, ვხედავ, ვხედავ, - უთხრა ქალიშვილმა იღბლიან მონადირეს, - ძალიანაც ნუ გაყოყოჩდებით, აი, ფებეს (მან კისერზე ხელი მოუთათუნა თავის მერანს) ღრანტებში რომ არ შევეყვანე, ბევრი არაფერი გექნებოდათ სატრაბახო.

ამ ლაპარაკში ისინი ერთურთს მიუახლოვდნენ და ხმადაბლა დაიწყეს საუბარი. შევნიშნე, რომ ერთი-ორჯერ ჩემკენ გამოიხედეს. ახალგაზრდა ლედი დაჟინებით აძალებდა რაღაცას, მონადირე კი პირქუშად აქნევდა თავს უარის ნიშნად. ქალიშვილმა ცხენი ჩემკენ შემოატრიალა და ჩაილაპარაკა:

- კეთილი, თორნი, თუ შენ არ გინდა, მე უნდა გავაკეთო. მორჩა და გათავდა. სერ, - მომმართა ახლა მე, - ძალიან ვეცადე დამეყოლებინა ეს დახვეწილი ახალგაზრდა ჯენტლმენი, ეკითხა თქვენთვის, ამ მხარეში მოგზაურობისას ხომ არაფერი გაგიგონიათ ჩვენს ერთ-ერთ მეგობარზე, ვინმე მისტერ ფრენსის ოსბალდისტონზე, რომელსაც დღე-დღეზე ველოდებით ოსბალდისტონ-ჰოლში.

მე დიდი კმაყოფილებით ვაღიარე, რომ სწორედ ის ვიყავი, ვისაც ელოდებოდნენ და ახალგაზრდა ლედის მადლობა გადავუხადე ჩემი ამბის კითხვისათვის.

- რადგან ასეა საქმე, სერ, - მომმართა ქალიშვილმა, - და რადგან ჩემი ნათესავის თავაზიანობა ჯერ კიდევ ძილ-ბურანშია, ნება მიბოძეთ საყოველთაოდ მიღებული წესი დავარღვიო და ცერემონმეისტერის მოვალეობა ვიკისრო, რათა წარმოგიდგინოთ თქვენი ბიძაშვილი, ახალგაზრდა სკვაირი თორნკლიფ ოსბალდისტონი და დი ვერნონი, რომელსაც აქვს პატივი ითვლებოდეს თქვენი უბადლო ბიძაშვილის ღარიბ ნათესავად.

მის ვერნონის კილოში ერთდროულად სითამამეც იგრძნობოდა, ირონიაც და უშუალობაც. მე საკმარისად ვიცნობდი მაღალ

საზოგადოებას და შევძელი იმავე კილოთი გადამეხადა მადლობა მის ვერნონისათვის, იმისთვის რომ მან ეს ოდენ მოწყალედ გამოიჩინა ყურადღება ჩემ მიმართ და გამომეხატა უსაზღვრო სიხარული ნათესავებთან შეხვედრის გამო. თორნკლიფი ნამდვილი სოფლელი გაგრია ჩანდა - მოუხეშავი, მორცხვი და ბუტუსურა, ამიტომ, მართალი გითხრა, ფრაზა ისე დავალაგე ქალიშვილი ადვილად მიხვდებოდა, მადლობასაც მე მიხდის და სწორედ ჩემთან შეხვედრამ მიანიჭა ეგზომ დიდი სიამოვნებაო. თორნკლიფმა იმდენი მაინც მოახერხა, რომ ხელი ჩამომართვა და მაშინვე გამოთქვა სურვილი დავეტოვებინეთ, რათა კურძალებსა და ძმებს მიშველებოდა ძაღლების შექუჩებაში. ამით, მემგონი, ბოდიში კი არ მომიხადა, არამედ მის ვერნონას ამცნო საით აპირებდა წასვლას.

- წავიდა, - ჩაილაპარაკა ქალიშვილმა და დამცინავი მზერა გააყოლა მხედარს, - წავიდა მეჯინიბეთა და მერემეთა ხელმწიფე, მამლების ბრძოლის განმგებელი. თუმცა არცერთი ძმა არ უქნია ღმერთს. მარკჰემი წაკითხული გაქვთ ?

- ვინაო ქალბატონო? მე მგონი, არც გამიგონია მაგ ავტორის სახელი.

- ღმერთო ჩემო! არც კი იცით, რა უდაბურ კუნძულზე გამოგრიყათ ზღვის ღელვამ! ო, უბედურო, უმეცარო ყარიბო, ნუთუ ალყორანსაც არ იცნობთ, იმ ველური ტომისა, რომელთანაც უნდა იცხოვროთ. ნუთუ არასოდეს გაგიგონიათ მარკჰემის, ბეითალობის უბრწყინვალესი სახელმძღვანელოს ავტორის სახელი?! თუ ასეა, უფრო ახალი ავტორების, გიბსონის და ბასტლელის სახელებიც არ გექნებათ გაგონილი.

- მართლაც არ გამიგონია, მის ვერნონ.

- მერედა, სულ არ გრცხვენიათ? როგორც ვატყობ, უნდა მოგიკვეთოთ. მე მგონი, ვერც იმას მოახერხებთ, რომ ავადმყოფ

ცხოველს წამალი დაალევინოთ ან ცხენს ჩლიქები შემოუსწოროთ.

- ვაღიარებ, ამ საქმეს ჩემს მეჯინიბეს ან მსახურს ვანდობ ხოლმე.

- მიუტევებელი დაუდევრობაა! ნუთუ არც ცხენის დაჭედვა იცით, ფაფრისა და კუდის შეჭრასაც სხვას ანდობთ ხოლმე? თქვენს ძაღლს ვინღა მკურნალობს, როცა ჭია უჩნდება? ყურებს ვინ აჭრის, ზედმეტ თითს ვინ კვეთავს? ქორს ვინ გიწრთვნით? ოყნას ვინ უკეთებს, ვინ აჭმევს ან...

- ძალიან რომ არ შებეზრდეთ ჩემი გამოკითხვით, ბარემ პირდაპირ მოგახსენებთ: ამ სოფლური გასართობებისა სულ არაფერი გამეგება.

- მაშინ ღვთის გულისათვის, ის მაინც მითხარით, მისტერ ფრენსის ოსბალდისტონ, რაღა გაგეგებათ, რისი გაკეთება შეგიძლიათ?

- მაგ საქმეში თითქმის მთლად ხამი ვარ, მის ვერნონ. ისე რაღაცას მოვახერხებ. მაგალითად, თუ მეჯინიბე ცხენს შემიკაზმავს, შევჯდებიდა, თუ ქორი ცერზე მიზის და მწყერი აფრინდება, მივუტევ.

- მაგდენს კი მოახერხებთ? - გაიოცა ქალიშვილმა და ცხენს სადავე მიუშვა. ბილიკი ბუჩქების ღობემ გადაგვიჭრა. ღობის მორებისაგან შეკრული ჭიშკარი ჰქონდა დატანებული, დავაპირე, დავწინაურებულიყავი და ჭიშკარი გამეღო, მაგრამ მის ვერნონმა გამასწრო და ცხენი ლამაზად გადაახტუნა ჭიშკარზე. გადავწყვიტე თავი არ შემერცხვინა და მეც მის მაგალითს მივბაძე. წამიც და, კვლავ გვერდიგვერდ მივაჭენებდით ცხენებს. - მთლად წასული არ ყოფილა თქვენი საქმე, - გამამხნევა მის ვერნონმა, - მე მთლად გადაგვარებული მეგონეთ. მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა ქარმა გადმოგაგდოთ ამ „დათვების ბუნაგში“ - მეზობლები ასე უწოდებენ, ამ ჩვენს მონადირულ დარბაზს - თქვენი ნე-

ბა რომ ყოფილიყო, ალბათ, სათოფეზეც არ გაეკარებოდით აქაურობას, არა?

მე უკვე ჩემს მეგობრად ვთვლიდი ესოდენ მოულოდნელად გამოჩენილ მშვენიერ მოჩვენებას და ამიტომ თითქმის ჩურჩულით მივუგე:

- ჩემო ძვირფასო მის ვერნონ, თუ ამ ციხე-დარბაზის მცხოვრებლები მართლაც ისეთები არიან, როგორც თქვენ ამიწერეთ, მე ნამდვილად ჯოჯოხეთად მივიჩნევდი აქ ცხოვრებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათ შორის ერთი ისეთი პიროვნებაა, რომელიც თავისი ღირსებით გადასწონის ყველა დანარჩენის ნაკლოვანებებს.

- ო, თქვენ რეშლის გულისხმობთ, არა? - მკითხა მის ვერნონმა.

- სრულიადაც არა. მომიტევეთ, მაგრამ მე იმ პიროვნებას ვგულისხმობ, რომელიც ამჟამად მაგ რეშლიზე გაცილებით ახლოსა არის ჩემთან.

- შესაძლებელია, ჯობდა, თავი ისე დამეჭირა, ვითომ ქათინაურს ვერ მიგიხვდით, მაგრამ მე დამალობანა არ მიყვარს. რევერანსს ვერ გაგიკეთებთ ცხენზე ვზივარ. ისე კი არ შემცდარხართ. თუ რეშლისა და მოხუცებულ მღვდელს არ მივიღებთ მხედველობაში, მე ერთადერთი პიროვნება ვარ მთელ ციხე-დარბაზში ვისთანაც შეიძლება კაცმა ისაუბროს.

- ღვთის გულისათვით, მიბრძანეთ, ვინა არის რეშლი?

- რეშლი ისეთი ადამიანია, რომელიც ცდილობს ყველას მოაწონოს თავი და ყველას გული მოიგოს. იგი სერ ჰილდებრანდის უმცროსი ვაჟიშვილია - თქვენი კბილა იქნება, მაგრამ თქვენსავით... ერთი სიტყვით, ლამაზი არ ეთქმის, მაგრამ ბუნებამ ცოტაოდენი გონებით დააჯილდოვა, მღვდელმა კი მთელი ბუშელი ცოდნით ამოუვსო გონება. ჩვენში, სადაც ჭკვიანი ხალხი სანთლით არის საძებარი, რეშლი ძალიან ჭკვიან კაცად ითვლება.

მღვდლად უპირებენ აღკვეცას, მაგრამ თვითონ მაინც და მაინც არ ჩქარობს.

- კათოლიკურ ეკლესიაში უნდა აღიკვეცოს?

- რა თქმა უდნა! სხვა ეკლესიაში რა უნდა? თუმცა, სულ დამავიწყდა: თქვენზე ამბობენ ერეტიკოსიაო. მართლა ასეა, მისტერ ოსბალდისტონ?

- დიახ, არ ძალმიძს უარვყო ეგ ბრალდება!

- და მაინც, სწორედ კათოლიკურ ქვეყანაში გიცხოვრიათ უცხოეთში ყოფნის დროს.

- მართალია, ოთხი წელი ვიცხოვრე კათოლიკურ ქვეყანაში. მონასტრებში თუ დადიოდით?

- ძალიან ხშირად, მაგრამ ისეთი თითქმის არაფერი მინახავს, კათოლიკური ეკლესია რომ შეეყვარებინა ჩემთვის!

- ნუთუ მონასტრის ბინადართ ბედნიერად არ მიაჩნიათ თავი?

- ზოგს ნამდვილად ბედნიერად მიაჩნიათ თავი. ისინი ან ჭეშმარიტმა რწმენამ მიიყვანა მონასტერში, ან საერო ცხოვრების დროს გადატანლმა გაჭირვებამ და უბედურებამ, ან თან დაყოლილმა უნიათობამ და უნდილობამ. ისინი კი, ვინც ცხოვრებას წამიერი აღტკინების, ან იმედგაცრუების დროს განუდგა, ფრიად საცოდავები არიან. ცხოვრებისეული ვნებები კვლავ დაეუფლება ხოლმე მათ სულსა და გონებას და მაშინ გალიაში ჩასმული მხეცებივით ესწრაფვიან თავისუფლებას. ზოგი მათგანი ბედს ურიგდება და ოცნებათა ზღვაში იძირება, ან ისე სივდება, რომ ძლივსღა ეტევა თავის ვიწრო სენაკში.

- იმ საცოდავებს რაღა ემართებათ, სხვისი ნება-სურვილით რომ გამოკეტავენ ხოლმე მონასტერში? - მკითხა მის ვერნონმა. - ისინი როგორღა გამოიყურებიან? განსაკუთრებით ისინი მაინტერესებს, რომლებიც ამქვეყნიური სიტკბოების საგემებლად არიან დაბადებულნი.

- ისინი დატყვევებულ ბულბულს ჰგვანან, - მივუგე მე, - სამუდამო პატიმრობისათვის არიან განწირულნი და იქაც, პატიმრობაშიც ბუნების მიერ ნაბოძებ ღირსებათა დახვეწას და სრულქმნას ცდილობენ, ღირსებათა, რომელთაც მთელი საზოგადოების მშვენებად და სამკაულად ეწერა ქცევა, მათ მფლობელიბი სენაკებში რომ არ გამოემწყვდიათ.

- მე კი უფრო მოუშინაურებელ შავარდენს დავემსგავსები, - დაიწყო მის ვერნონმა და მაშინვე შეასწორა,- დავემსგავსები, კი არა დავემსგავსებოდი შავარდენს, ზეცაში შენავარდებას რომ ნატრობს და იქამდე აწყდება გალიის მავთულებს, სანამ სისხლიდან არ დაიცლება. ახლა კი, - განაგრძო მან უფრო ხალისიანად, - რეშლის მივუბრუნდეთ: თქვენ რეშლი ძალიან მოგეწონებათ და იტყვით, ამისთანა სასიამოვნო ადამიანს ჩემს დღეში არ შევხვედრივარო. ამ აზრს, სულ ცოტა ერთი კვირა მაინც არ შეიცვლით. ბრმა ქალიშვილი რომ ნახოს, დარწმუნებული ვარ, სულ ადვილად მოხიბლავს და დაიმორჩილებს, მაგრამ თვალი მყისვე აქარწყლებს ხიბლსა და ცდუნებას. აი უკვე შევდივართ ჩვენი ძველებური ციხე-დარბაზის ეზოში. დააკვირდით და მიხვდებით, რომ ეს ციხე-დარბაზი ისეთივე კუშტი და გულმიუსვლელია, როგორც მისი ბინადარნი. უნდა მოგახსენოთ, რომ ოსბალდისტონ-ჰოლში ჩაცმა-დახურვას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ ამ ტანსაცმელში ძალიან დამცხა და მინდა გამოვიცვალო. ამ ქუდმაც მომიჭირა, მოვიხდი. - ქალიშვილმა შლიაპა მოიხადა, ჩამოშლილი გიშერივით შავი კულულები თოვლივით თეთრი ჩამოქნილი თითებით გადაიყარა უკან და ლამაზი სახე და გონიერი თაფლისფერი თალები გამოიჩინა. თმას რომ ისწორებდა, ოდნავ დაიმორცხვა და ცოტა წაიკეკლუცა კიდეც, მაგრამ ერთიცა და მეორეც სიცილითა და ნაძალადევი სითამამით დაფარა. თავი ვეღარ შევიკავე და ვუთხარი, თუ ამ ოჯახში ყველა იმ პიროვნებას ჰგავს, ვისი გაცნობის ბედნიერება დღეს მომეცა, ნამ-

დვილად სწორად იქცევიან, რომ ჩაცმა-დახურვაზე არ ზრუნავენ-მეთქი.

- მადლობელი ვარ თავაზიანობისათვის, თუმცა, ალბათ, ისე უნდა დამეჭირა თავი, თითქოს თქვენი ნათქვამის აზრს ვერ მივ-ხვდი, - მიპასუხა მის ვერნონმა, - ისე კი, როცა იმ ორსონებს[85] ნახავთ, რომელთა შორისაც უნდა იცხოვროთ, მიხვდებით, თუ რატომ არ აქცევენ ყურადღებას თავიანთ ტუალეტს - მათ ხომ სა-უკეთესო ტანსაცმელიც ვერ უშველის. როგორც უკვე მოგახსე-ნეთ, საცაა ის ძველთა-ძველი ზარი დარეკავს, რომ სადილობის ჟამი გვაუწყოს, თუმცა დარეკავს კი არა დაიჟღრიალებს, რადგან თავისით გაიბზარა იმ დღეს, როცა უილი[86] მოადგა ინგლისის ნაპირს და ბიძაჩემი ისე აფასებს ამ ზარის წინასწარმეტყველურ ნიჭს, არავის მისცემს მისი შეკეთების უფლებას. მოდი, მორჩილი რაინდის როლი გაითამაშეთ: სულ ცოტა ხნით დამიჭირეთ ეს ტა-იჭი, მე კი წავალ, ვინმე თქვენზე დაბალი წარმოშობის სკვაირს გამოვგზავნი და ამ კირთებისაგან გაგათავისუფლებთ.

მის ვერნონმა ისე მომიგდო სადავე, თითქოს ბავშვობის მეგო-ბარი ვყოფილიყავი, ჩამოქვეითდა, ეზო გადაირბინა და რომე-ლიღაცა კარებში გაუჩინარდა. მე კი ისე დამატყვევა მისმა სილა-მაზემ და უბრალოებამ, რომ კარგა ხანს გონს ვერ მოვედი. გან-საკუთრებით მისი ქცევა მეუცნაურა, რადგან იმ დროს ზრდილო-ბის წესებში დიდი ლუი XIV კარს ბაძავდნენ და მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ამ წესების სულ უმნიშვნელო დარღვევასაც არ აპატიებდნენ.

მე საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი: ვიდექი ამ ძველებური ციხე-დარბაზის შუა ეზოში, ჩემს ცხენზე ამხედრებუ-ლი, მეორე ცხენი სადავით მეჭირა და აღარ ვიცოდი რა მექნა. შენობის დათვალიერების არც სურვილი მქონდა და არც ღირდა დასათვალიერებად. ოთხივე ფასადი სხვადსხვა არქიტექტურუ-ლი სტილით იყო ნაგები, ოთხივეს სხვადასხვანაირი ფანჯრები

და ლავარდანები ჰქონდა. ნახევარგოდოლებითა და მასიური არქიტრავებით მონასტერს თუ ოქსფორდის რომელიმე ძველებურ კოლეჯს მოგაგონებდათ.

მსახურს ვუხმე, მაგრამ კარგა ხანი არავინ მომხედა. ამან ძალიან გამანაწყენა, რადგან ვხედავდი, რომ მსახურებიც და მოახლე ქალებიც გაფაციცებული იჭვრიტებოდნენ ფანჯრებიდან. ისინი ხან ერთი ფანჯრიდან გამოჰყოფდნენ თავს, ხან მეორედან და მაშინვე, სანამ მოვასწრებდი რამე მეთქვა, კურდღლებივით მოეფარებოდნენ თვალს. ბოლოს კურძალები დაბრუნდნენ თავიანთი ძაღლებითურთ და როგორც იქნა დავითანხმე ერთი ვირგლა, ცხენები ჩემოერთმია ჩემთვის. შემდეგ მეორე ბრიყვი წავიმძღვარე წინ, რომ სერ ჰილდებრანდთან მივეყვანე. იგი ისე უხერხულად გამიძღვა, თითქოს მტრის მზვერავი ვყოფილიყავი და მათ ბანაკში მისასვლელი გზების ჩვენებას ვაიძულებდი. ვიგრძენი, რომ მეც ფხიზლად უნდა ვყოფილიყავი თორემ გამეპარებოდა და ამ დაბალ თაღოვან ლაბირინთში ვერაფრით ვეღარ გავიკვლევი იმ ქვის დარბაზის გზას, სადაც ბიძაჩემის მოწყალე მზერას უნდა წარმსდგომოდი.

ბოლოს მაინც მშვიდობით მივაღწიეთ უზარმაზარ დარბაზს, რომელსაც იატაკიცა და თაღოვანი ჭერიც ქვისა ჰქონდა. დარბაზში მუხის მძიმე მაგიდები იდგა, ისეთი მძიმე, რომ რამდენიმე კაცი ვერ დაძრავდა ადგილიდან. მაგიდებზე უკვე სუფრა გადაეფარებინათ. ეს ძველთაძველი დარბაზი ოსბალდისტონთა რამდენიმე თაობის ღრეობის მოწმე და მათი მონადირული სიჩაუქის დამადასტურებელი გახლდათ. კედლების გაყოლებაზე ირმის ვეება რქები მოჩანდა, ალბათ იმდროინდელი, ბალადა, „ნადირობა ჩივოტის მთებში[87]“ რომ დაიწერა. თაროებიდან მაჩვების, წავების, კვერნების და სხვა ცხოველების ფიტულები იმზირებოდნენ. ძველებური, ალბათ შოტლანდიელებთან ომში დახარჯული, ხმლების, ხანჯლების და აბჯარ-მუზარადების გარდა, კედლებზე

მრავლად ეკიდა თანამედროვე, ნადირთა და ფრინველთა შემ-
მუსვრელ ომში სახმარი იარაღი: კონდახიანი მშვილდები, სხვა-
დასხვა სისტემისა და კონსტრუქციის თოფები, ბადეები, ანკესები,
ბარჯები, შურდულები და ნადირისა და ფრინველის მოსაკლავი
და დასაჭერი ათასნაირი იარაღი და მოწყობილობა. კედლებზე
რამდენიმე ძველი პორტრეტიც შევნიშნე, ბოლისაგან ჩაშავებუ-
ლი და ლუდით დაწინწკლული. პორტრეტებიდან ოდესღაც დი-
დად პატივცემული, გამოჩენილი ქალბატონები და რაინდები იმ-
ზირებოდნენ. უზარმაზარ პარიკიანი წვეროსანი რაინდები იბღვი-
რებოდნენ, ქალბატონებს კი პიწკად ეჭირათ ხელში ვარდი და
ცდილობდნენ ნაზი ღიმილი გამოეხატათ სახეზე.

ის იყო, იქაურობის დათვალიერება დავამთავრე, რომ დარ-
ბაზში ისეთი ყვირილითა და ხორხორცით შემოვარდა თორმე-
ტიოდე ლურჯლივრეიანი ფარეში. იმის მაგივრად, რომ თავ-თა-
ვიანთი საქმე გაეკეთებინათ, ერთმანეთს არიგებდნენ ჭკუას და
ყოველი მათგანი ცდილობდა უფროსობა დაეჩემებინა. ზოგი შე-
შას უმატებდა ბუხარს, რომელიც ბრიალებდა და ალის ენებსა და
კვამლის ბოლქვებს იტაცებდა ზევით(ამ ბუხარს ისეთი უზარმაზა-
რი თაღი ჰქონდა, რომ ქვეშ ქვის გრძელი მერხიც ეტეოდა. ბუხ-
რის თავზე ტლანქი ფიგურები ამოეკვეთა ვიღაც ნორთუმბერ-
ლენდელ ხელოსანს. წითელი ქვიშა-ქვისაგან გამოკვეთილი უც-
ნაური დაგრეხილი ჰერალდიკური ურჩხულები საუკუნეთა ბოლს
ჩაეშავებინა). ზოგ ფარეშს ლანგრით შემოჰქონდა ოხშივარადე-
ნილი მსუყე კერძები, ზოგი ჭიქებს, სურებს და ბოთლებს ეზიდე-
ბოდა. მერე სასმელებით სავსე კასრიც შემოიტანეს. ფარეშები
ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ფორხილობდნენ, აქეთ-იქეთ აწყდე-
ბოდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ეხმაურათ და ნაკ-
ლები ემუშავათ. ბოლოს, როცა დიდი წვალებითა და ჯახირით
სუფრა გააწყვეს, „ძაღლთა ღავღავმა ხმამაღალმა, კაცთა ღრი-
ანცელმა“, შოლტების ტკაცუნმა და ისეთმა მძიმე ნაბიჯებმა, რომ

გეგონებოდათ Festin de pirre[88]-ში აღწერილი ქანდაკება მოდისო, მამცნო იმათი მოახლოება, ვისი გულისთვისაც ამდენი ჯაფა იქნა გაწეული. მსახურები, იმის მაგივრად რომ მიყუჩებულიყვნენ, უფრო აჩოჩქოლდნენ. ზოგი აჩქარებდა თავის ამხანაგებს, ზოგი პირიქით, ჯაჯღანებდა, ნუ დარბიხართ ფეხებში მებლანდებითო. ერთნი გაჰყვიროდნენ, გაიწიეთ, სერ ჰილდებრანდისა და ახალგაზრდა სკვაირებს ადგილი მოუცალეთო, მეორენი მაგიდას შემოსჯარვოდნენ და ფეხის მოცვლას არ აპირებდნენ. ერთი რომ იმ კარს გააღებდა, რომელიც დარბაზსა და შავი პანელებით გაწყობილ ოთახს აერთებდა, მეორე ეცემოდა და მიხურავდა. ბოლოს კარი ფართოდ გაიღო და დარბაზში ძაღლები და ადამიანები შემოცვივდნენ: რვა ძაღლი, შინაური მღვდელი, სოფლის ექიმი, ჩემი ექვსი ბიძაშვილი და ბიძაჩემი.

თავი VI

მოდიან ზავთით, მოდიან ძლევით, რეკს დედაზარი - ზართა ბატონი, გრგვინავს დარბაზი, ზანზარებს ჭერი და ირხევიან საგუმბათონი. ათასფერადი ბრწყინავს სამოსი, კრთის მუზარადი, ელავს საისრე, მოაქვთ სიმტკიცე, ამპარტავნობა, სიამაყე და სიდარბაისლე.

პენროზი.[89]

დარწმუნებული ვარ, სერ ჰილდებრანდ ოსბალდისტონს კარგა ხანი იყო შეატყობინეს ძმისწულის ჩამოსვლა, მაგრამ ჯერ ფრიად მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი და მაშინვე ვერ გამოეშურა მოსასალმებლად.

- კეთილი იყოს შენი მობრძანება ყმაწვილო ოსბალდისტონ-ჰოლში. აქამდე ამოვიდოდი მაგრამ ვერ მოვიცალე - ძაღლებს აბანავებდნენ და თვალი ხომ უნდა დამეჭირა,- მითხრა ბიძაჩემმა, როცა მაგრად ჩამომართვა ხელი. - ძალიან მესიამოვნა შენი ნახვა. აი, ეს პერსია, შენი ბიძაშვილი, ეს შენი ბიძაშვილი თორნი, ესენი შენი ბიძაშვილები ჯონი, დიკი და უილფრედი, ეს... მოიცა, რეშლი სადღაა, აი ისიც. გაწიე ეგ აყლაყუდა ტანი, თორნი, და შენი ძმა დაგვანახე. ესეც შენი ბიძაშვილი, რეშლი. მაშ, მამაშენმა ბოლოს და ბოლოს გაიხსენა ეს ძველი ციხე-დარბაზი და მოხუცი სერ ჰილდებრანდი, არა ? მაინც კარგია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. შენი დანახვა კი ნამდვილად გამიხარდა, ყმაწვილო, მორჩა და გათავდა. ჩემი პატარა დი რაღა იქნა? აი, ისიც მოდის!

ეს ჩემი ცოლის ძმის შვილი და ყველაზე ლამაზი ქალიშვილია ჩვენს მხარეში, ამისთანა აქ არავინ არის. ახლა კი მოდით სუკენს მოვულხინოთ.

ჩემო ძვირფასო ტრეშამ, თუ გსურს უფრო კარგად გაიცნო ამ მონოლოგის ავტორი, უნდა წარმოიდგინო ასე სამოციოდე წლის, სანადირო სამოსში გამოწყობილი მამაკაცი. ჩანდა, რომ ამ სამოსს ოდესღაც მდიდრული ოქრომკერდი ამშვენებდა, მაგრამ შემდგომში, მრავალი ნოემბრის და დეკემბრის ქარისა და წვიმის მცდელობითა და გულმოდგინებით, მთლად დაკარგვოდა ძველებური პეწი და მოხდენილობა. სერ ჰილდებრანდი ახლა მეტად მოუქნელი და როყიო ჩანდა. მაგრამ თავის დროზე სასახლეშიც იყო ნაცხოვრები და მეფესაც რამდენიმეჯერ ახლდა სალაშქროდ. რევოლუციის წინ იგი ოფიცრის ჩინით მსახურობდა ჰაუნსლოუ-ჰითთან დაბანაკებულ ჯარში და იქვე, ალბათ თავისი კათოლიკური რწმენის წყალობით, მიიღო რაინდის წოდება მუხანათი მრჩევლებით გარშემორტყმული ჯეიმს მეორესაგან. შესაძლებელია, ეს რაინდი შემდგომ წარმატებებსა და წინსვლაზე ოცნებობდა, მაგრამ ამ ოცნებებს განხორციელება არ ეწერა, რადგან ქვეყანა აირია და ჰილდებრანდის პატრონი და მფარველი ტახტიდან ჩამოაგდეს. იმ დროიდან მოყოლებული თავის მამულში ცხოვრობდა და პოლიტიკაში აღარ ერეოდა. მას სოფლური ნიშატი დასდებოდა, მაგრამ ჯენტლმენის იერიც საკმაოდ შემორჩენოდა და თავისი შვილებისაგან ისე გამოირჩეოდა, როგორც ხავსითა და სუროთი დაფარული კორინთული სვეტის ნანგრევები გამოირჩევა სტონჰენჯის[90] ან სხვა რომელიმე დრუიდული ტლანქად გამოჩორკნილი ლოდებისაგან. შვილები მართლაც გაუთლელ ლოდებს ჰგავდნენ. ძმებიდან ხუთი მაღალი, მკვრივად ჩადგმული და თვალადი იყო, მაგრამ ეტყობოდათ, რომ გონება პრომეთეს ცეცხლით არ ჰქონდათ გაცისკროვნებული და ის გარეგნული ბრწყინვალება და თავაზიანობაც აკლდათ, რომლის

დახმარებით მაღალი საზოგადოების წევრი ზოგჯერ ახერხებს ხოლმე, თავისი უცოდინრობის დაფარვას. ძმებს გარკვეული მორალური ღირსებებიც ჰქონდათ: ხუთივენი კარგი ხასიათის ჩანდნენ და სახეზე აშკარად ეტყობოდათ, რომ დიდად კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი ცხოვრებით. ისინი თავიანთ უპირველეს საქმედ ნადირობას მიიჩნევდნენ და ყოველი მათგანი ცდილობდა პირველობის გვირგვინი დაესაკუთრებინა. ძმები ოსბალდისტონები - გოლიათი პერსივალი, გოლიათი თორნკლიფი, გოლიათები: ჯონი, რიჩარდი და უილფრედი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. ისე მგონი, პოეტის მიერ აღწერილი გოლიათი გიასიც კი არ ჰგავდა გოლიათ კლოანტს[91]. მაგრამ პატივცემულმა ბუნებამ, რომელიც ასეთ ერთფეროვნებას არ არის ჩვეული, ბოლოს, გადაწყვიტა ძველ გზას დასდგომოდა და უმცროს ძმას სრულიად სხვა თვისებები მიანიჭა. რეშლი თავისი ძმებისაგან კი არა ყველა ჩემი ნაცნობისაგან განსხვავდებოდა გარეგნობით, ქცევით, ხასიათითა და ნიჭით, თუ პერსი, თორენი და ძმანი მისნი, გაცნობისას თავს მიქნევდნენ, უგერგილოდ მიღიმოდნენ და ადგილიდან მიწვდიდნენ ხელს, რეშლიმ წინ წარმოსდგა ნაბიჯი და ისე მომესალმა, როგორც მაღალ საზოგადოებაშია მიღებული. რეშლი გარეგნობით ვერ მიგიზიდავდათ. მისი ძმები ენაკის[92] შთამომავლები გეგონებოდათ, თვითონ კი ტანდაბალი იყო. ძმები ქანდაკებებივით იყვნენ ჩამოსხმულები, რეშლიკი, თუმცა კარგა ჯანიანი ახალგაზრდა ჩანდა, ჩაგვერა, დიდთავა და მოკლე კისერა გახლდათ. გარდა ამისა პატარაობისას ფეხი დაზიანებოდა და თითქმის კოჭლობდა კიდეც. ზოგი ამბობდა, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ რეშლი აქამდე არ აკურთხეს მღვდლადო. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, რომის ეკლესია თავის მსახურთა რიგებში არ იღებს ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებს. ზოგი კი ამტკიცებდა, კოჭლი არ არის, პატარაობაში შეეჩვია ასე სიარულს და მერე ვეღარ გამოუსწორებიაო. თანაც დასძენდნენ, რომ რეშლს

ეს ნაკლი ხელს არ შეუშლიდა სასულიერო წოდების მიღებაში. სახე კი ისეთ ჰქონდა, ერთხელ რომ გენახათ, ვეღარასოდეს ამოიგდებდით გონებიდან. იგი ერთდროულად მწვავე ცნობის-მოყვარეობასა და თითქმის ზიზღსაც კი აღძრავდა მნახველის გულში. ამის მიზეზი რეშლის სიმახინჯე როდი იყო: სახის ნაკვთე-ბი თუმცა მთლად პროპორციული არა ჰქონდა, მაგრამ უხეში არ ეთქმოდა, ხოლო სქელი წარბების ქვემოდან მზირალ შავ გამ-ჭრიახ თვალებს რომ დააკვირდებოდით, გული არ გიზამდათ, გეთქვათ, ეს კაცი უსახურიაო! ერთი კი იყო - ამ თვალებიდან ისე-თი მუხანათობა, ვერაგობა და დაუნდობლობა გამოსჭვიოდა (თუმცა რეშლი ყოველნაირად ცდილობდა შენიღბულიყო), კაცი მაშინვე უნდობლობით განიმსჭვალებოდა. ბუნება, ალბათ, იმი-ტომ მოიქცა ასე, რომ ხალხისათვის საფრთხე აერიდებინა(ამავე მიზნით აყოლებს ხოლმე იგი ჩხრიალა გველს კუდზე ფერად რგოლებს.). და თითქოს ამდენი გარეგნული ნაკლის სანუქფოდ რეშლი ოსბალდისტონი საოცრად ტკბილი, მჟღერი მკერდისმიე-რი ხმით დაეჯილდოვებინა ზენაარს და საუბრის უბადლო ნიჭიც დაეყოლებინა, რომ ამ ხმის ჯავრი უფრო მეტად გაბრწყინებული-ყო. მისი პირველივე სიტყვების მოსმენისთანავე გულში დავეთან-ხმე მის ვერნონს მართლაც ჩემი ახალგაცნობილი ნათესავი ად-ვილად მოხიბლავდა ქალს, რომელსაც მარტო სმენა ექნებოდა მოსაუბრის ღირსება-ნაკლოვანებათა შესაფასებლად.

რეშლიმ დააპირა გვერდით მომჯდომოდა, მაგრამ მის ვერ-ნონმა თორნკლიფის გვერდით მომიჩინა ადგილი და მეორე მხრიდან თვითონ მომიჯდა. მის ვერნონმა ერთადერთ ქალი გახ-ლდათ ამ ოჯახში და ასეთ საქმეებს თვითონ განაგებდა. მე რა თქმა უნდა, ფრიად მესიამოვნა რომ მის გვერდით მომიხდებოდა სადილობა.

- თქვენთან მინდოდა საუბარი და ამიტომ ჩავსვი თქვენსა და რეშლის შუაში ეს პატიოსანი ახალგაზრდა, - მითხრა მან, - იგი იქნება

როგორც ლეიბი ციხე-სიმაგრის გალავნებს შორის,
რომ ვერ შევიგრძნოთ ჭურვების დარტყმა, ვერ გავიგონოთ ხმაური ბრძოლის.

მე კი ამით, შესაძლებლობა მექნება გკითხოთ, როგორი შთაბეჭდილება გექმნებათ ჩვენზე. ამ განათლებული ოჯახის წევრებიდან პირველად მე გამიცანით და ამიტომ ვაძლევ თავს უფლებას, რომ ასეთი შეკითხვა მოგცეთ.

- ძალიან მიძნელდება პასუხის მოცემა, მის ვერნონ. მე ხომ ფრიად მცირე ხანია, რაც ოსბალდისტონ-ჰოლში ვიმყოფები.

- ჩვენი ოჯახის გაცნობას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. რა თქმა უნდა, ოჯახის ყოველ წევრს აქვს თავისი განმასხვავებელი ნიშანი, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ მხოლოდ ძალზე დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევს. ისე კი, ბუნებისმეტყველთა გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ჯიშსა და სახეობას ერთი შეხედვით ამოიცნობთ და დაახასიათებთ.

- რადგან ასეა, ჩემი ხუთი უფროსი ბიძაშვილი თითქმის ერთნაირად უნდა იქნენ დახასიათებულნი.

- მართალი ბრძანდებით. თითოეული მათგანი წარმოადგენს ლოთის, კურძალის, ჩხუბისთავის, მეცხენისა და ბრიყვის ერთობლიობას, მაგრამ მთლად ერთნაირი ფოთლები არც ერთ ხეს არ ასხია და ამათაც სულ სხვადასხვა პროპორციებით აქვთ მინიჭებული ეს შესანიშნავი თვისებები. ამ ძმების გაცნობა ძალიან გაახარებდა ყველას, ვინც ადამიანთა ბუნების შესწავლითაა გატაცებული.

- იქნებ სახელდახელოდ მაინც დამიხასიათოთ თითოეული მათგანი, მის ვერნონ.

- ახლავე საოჯახო სურათს მოგართმევთ, რომელზედაც ყველანი იქნებიან გამოსახულნი. ეს ისეთი ადვილი სამსახურია, რომ უარის თქმა სირცხვილიც კი იქნება. პერსი, სიყრმის შვილი და მემკვიდრე, უფრო ლოთია, ვიდრე კურძალი, ჩხუბისთავი, მეცხენე და ბრიყვი. ჩემი ძვირფასი თორნი უფრო ჩხუბისთავია, ვიდრე ლოთი კურძალი, მეცხენე და ბრიყვი. ჯონი, რომელიც დღენიადაგ მთებში დაეხეტება, უფრო კურძალია, მეცხენე კი უფრო დიკონს ეთქმის. თუ ყური მოჰკრა, სადმე დოღიაო, თუნდაც ორას მილზე იყოს აქედან დღე და ღამეს გაასწორებს და მიუსწრებს. იქ კი მის გაყვლეფას ბავშვიც მოახერხებს. უილფრედს კი ყველა ზემოთჩამოთვლილი ღირსებებიდან ისე აქვს მოკრძალებული სიბრიყვე, რომ შეგიძლიათ მხოლოდ ბრიყვად ჩათვალოთ.

- მშვენიერი კრებულია, მის ვერნონ, და მისი შემადგენელი თითოეული ინდივიდი ფრიად საინტერესო ჯიშის სახეობას წარმოადგენს, მაგრამ ნუთუ ტილოზე სერ ჰილდებრანდის დასახატი ადგილი აღარ დაგრჩათ?

- მე მიყვარს ბიძაჩემი და დავალებულიც ვარ მისგან. ბიძაჩემმა სიკეთე გამიწია, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მიაჩნია და ამიტომ მისი პორტრეტის დახატვა თქვენთვის მომინდვია. ოღონდ ახლა ნუ მოკიდებთ ამ საქმეს ხელს - უკეთ რომ გაიცნობთ, მაშინ.

„კიდევ კარგი ეს ერთი მაინც დაინდო, - ვიფიქრე მე, - არ მეგონა, ამ ნორჩსა და თვალწარმტაც არსებას ასეთი მწარე ენა თუ ექნებოდა.“

- თქვენ ახლა ჩემზე ფიქრობთ, - თქვა უცებ მის ვერნონმა და შავი თვალები ისე მომაშტერა, თითქოს სულის იდუმალ კუნჭულში უნდა ჩამწვდესო.

- დიახ, მართლაც, თქვენზე ვფიქრობ, - მივუგე, ამ მოულოდნელი და პირდაპირი მომართვით შეცბუნებულმა, შემდეგ კი შევეცადე ქათინაურით შემერბილებინა ჩემი გულახდილობა: - განა ძალმიძს თქვენთან ჯდომის ბედნიერება მქონდეს და სხვა რამეზე ვიფიქრო?

ქალიშვილმა ქედმაღლურად გაიღიმა და მითხრა:

- ახლავე უნდა გაგაფრთხილოთ, მისტერ ოსბალდისტონ, რომ ტყუილად იხარჯებით. ეგ ტკბილი სიტყვები სხვებისთვის შემოინახეთ. თქვენი ქათინაურები იმ სათამაშოებს, სამაჯურებსა და მძივებს წააგავს, რომლებითაც მეზღვაურები ახალაღმოჩენილი მიწის ველურ მცხოვრებთა გულს ინადირებენ ხოლმე. ისინი ამ ქვეყანაშიც გამოადგება მოხდენილ ჯენტლმენს, ამიტომ უანგარიშოდ ნუ გაფლანგავთ - ნორტუმბერლენდის მკვიდრთაგან ბევრის გულის მონადირებას შეძლებთ მაგ თქვენი ზიზილ-პიპილეებით, მე კი კარგად ვიცი მაგათი ფასი და ამაოდ ნუ დაშვრებით.

მე დავიბენი და ხმა ვეღარ ამოვიღე საპასუხოდ.

- ის ზღაპარი გამახსენდა, ერთმა კაცმა ფული რომ წაიღო ბაზარში სავაჭროდ და უცებ ბრტყელ-ბრტყელ კენჭებად გადაექცა, - მითხრა ქალიშვილმა ძველებური ხალისიანი ტონით, - ერთი მკვახე შენიშვნა და თქვენი ქათინაურები ხუხულასავით დაინგრა. თუ არ ვცდები თქვენ მშვენიერი საუბარი იცით და სულ არ გჭირდებათ ეგ იაფფასიანი სიტყვები. თქვენ ხომ იმ თმაგაჯეჯილი ჯენტლმენების რიცხვს არ ეკუთვნით, რომლებიც ფიქრობენ, რადგან ჩვენ ოქრომკედით ნაქარგი თხელი მაუდის სამოსი გვაცვია, ქალებს კი მაქმანებით მორთული აბრეშუმის კაბა, ყველაფრის თქმის უფლება გვაქვსო. ჩემი ხუთი ბიძაშვილის სიტყვებით რომ ვთქვა, ბუნებრივი ჩორთი ბევრად უკეთესია ნაძალადევ თოხარიკზე. შეეცადეთ დაივიწყოთ, რომ მე კაცობრიობის უბედური ნახევრის წარმომადგენელი ვარ. დამიძახეთ თუ გნებავთ ტომ ვერ-

ნონი, თქვენს მეგობრად და ამფსონად ჩამთვალეთ და ნახავთ, როგორ შეგიყვარებთ.

- ერთობ მომხიბვლელი წინადადებაა!

- თქვენსას არ იშლით? - დამიქნია თითი მის ვერნონმა, - ხომ გითხარით ქათინაურებს არ მოგითმენთ-მეთქი. ხედავთ, ბიძაჩემი სირჩას გამოდის თქვენთან. გამოართვით, ადღეგრძელეთ და მერე გეტყვით რა აზრისა ხართ ჩემზე.

მე, როგორც სამაგალითო ძმისშვილმა, კარგა მოზრდილი თასით დავლიე ბიძაჩემის სადღეგრძელო. სუფრა თავისი გზით მიდიოდა. ისმოდა კოვზებისა და დანების საქმიანი ხმაური და მე და მის ვერნონს შეგვეძლო სულ თავისუფლად გვესაუბრა, რადგან აქეთ-იქიდან ციხის ბურჯებივით გვიცავდნენ თორნკლიფი და დიკონი, რომელთაც თავ-თავიანთ თეფშებზე ხორცის გორა აღემართათ და ჩვენკენ არც კი იხედებოდნენ.

- ახლა კი პირდაპირ მითხარით, მის ვერნონ, როგორ გგონიათ, რა შეხედულება შემექმნა თქვენზე? მე თვითონ უნდა მეთქვა, მაგრამ რა ვქნა, მითხარით, ჩემი ქება არ გაბედოთო.

- სულ არ მესაჭიროება თქვენი დახმარება. საკმაოდ დაკვირვებული და გამჭრიახი ვარ და უთქვენოდაც ვიცი, რას ფიქრობთ ჩემზე. ასე რომ, გულის გადახსნა არ დაგჭირდებათ. თქვენ უცნაური ქალიშვილი გგონივართ. ანცი და ცოტა პრანჭია, რომელიც თავისუფალი ქცევითა და თამამი ლაპარაკით ცდილობს მიიპყროს ყურადღება და არც კი იცის, თუ რა მოთხოვნებს უყენებს „სპექტატორი“[93] ნაზსა და დახვეწილ ქალიშვილებს. თქვენ იმასაც ფიქრობთ, რომ მე თქვენს მოსახიბლავად საგანგებო გეგმაც კი შევიმუშავე. არ მინდა თავმოყვარეობა შეგილახოთ, მაგრამ თუ ასე ფიქრობთ, ძალიან დიდი წარმოდგენა გქონიათ თავზე. მე ასევე გადავუხსნიდი გულს მამათქვენს, თუკი დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ გამიგებდა. ამ ბედნიერ ოჯახში მე ისევე ვარ დანატრებული განათლებულ მსმენელს, როგორც სანჩო სიერა მო-

რენაში და როცა ბედი გამიღიმებს და ვინმე გამოჩნდება, რომ არ ვილაპარაკო, გავგიჟდები. მე რომ ყურადღებას ვაქცევდე მსმენელის აზრს დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ სასაცილო ცნობებს არ მოგაწვდიდით.

- ძალიან შეუბრალებელი ბრძანდებით, მის ვერნონ. ასეთ ძვირფას დაკვირვებებს მიზიარებთ, თვითონ მე კი არაფრად მაგდებთ. რა გაეწყობა, მაინც მადლობელი ვარ. მაგრამ, რეშლი ოსბალდისტონი რატომ არ წამოგცდენიათ თქვენს ალბომში?

მის ვერნონი მოიბუზა, ხმას დაუწია და სხაპა-სხუპით მითხრა:

- რეშლიზე კრინტი არ დაძრათ! როცა მასზე ამბობენ რამეს, ისე უმახვილდება ყურთასმენა, რომ ერთი სიტყვაც არ გამოეპარება. ძროხის ხორცით, ირმის პაშტეტითა და პუდინგით ამოყორილი თორნკლიფი კი გიზით შუაში, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა იყოთ.

- ფრთხილად ვიქნები, მაგრამ სანამ კითხვას მოგცემდით, თვალი გავაპარე და ვნახე ამ ცოცხალი კედლის გვერდით მდგომი სავარძელი ცარიელი იყო. რეშლიმ უკვე დატოვა სუფრა.

- თქვენს ადგილას ასე დარწმუნებული არ ვიქნებოდი, რომ რეშლი წასულია. როცა რეშლის ახსენებთ, გირჩევთ ოტერსკოუპის მთაზე ახვიდეთ, საიდანაც ოცი მილის მანძილზე ყველაფერი ჩანს ირგვლივ, მწვერვალზე დადგეთ და ჩურჩულით ილაპარაკოთ. მაშინაც დარწმუნებული არ უნდა იყოთ, რომ ჩიტი ამბავს არ მიუტანს. რეშლი ჩემი მასწავლებელი იყო მთელი ოთხი წლის განმავლობაში. ძალიან მოვაბეზრეთ თავი ერთმანეთს და ახლა ორივეს გვიხარია, რომ სულ მალე დაჰკრავს განშორების ჟამი.

- ესე იგი, მისტერ რეშლი ოსბალდისტონ-ჰოლის დატოვებას აპირებს, არა?

- დიახ, ამ დღეებში დაგვტოვებს. განა არ იცოდით? ეტყობა მამათქვენს სერ ჰილდებრანდზე უკეთ სცოდნია დუმილის შენახვა. იცით, მისტერ ფრენსის, როცა ბიძაჩემს ამცნეს მამათქვენის

სურვილი, რომ ერთხანს აქ უნდა გეცხოვრათ, ხოლო იმ სარფიანი თანამდებობის დასაკავებლად, თქვენი ჯიუტობის გამო რომ გათავისუფლდა კანტორაში, თავისი ნიჭიერი და საზრიანი შვილებიდან ერთ-ერთი უნდა ამოერჩია, ჩვენმა ჭეშმარიტმა რაინდმა, საოჯახო თათბირი გამართა, რომელზედაც მოურავი, მნე და კურძალიც მოიწვია. ოსბალდისტონ-ჰოლის პერებისა და სასახლის მსახურთა ეს საპატიო ყრილობა, რასაკვირველია, თქვენი შემცვლელის ასარჩევად არ იყო მოწვეული, რადგან მხოლოდ რეშლიმ იცის კარგად არითმეტიკა. დანარჩენმა ძმებმა მხოლოდ იმდენი იციან, რომ სანაძლეო დადონ მამლების ჩხუბის დროს. ასე რომ, ამ თანამდებობას ვერავის შესთავაზებდნენ. ამ ყრილობას უნდა განესაზღვრა რეშლის მომავალი. უნდა დაედგინა, გუდამშიერი კათოლიკე მღვდელი გამოსულიყო იგი თუ მდიდარი ბანკირი. უნდა მოგახსენოთ, რომ ყრილობა არც ისე იოლად დაყაბულდა მამათქვენის სურვილს, რადგან აღებ-მიცემობა, არისტოკრატების აზრით, დამამცირებელი საქმიანობაა.

- ვხვდები, რა საბუთებს წამოაყენებდნენ. მერედა რატომ დართეს ნება?

- მე მგონი, იმიტომ, რომ ყველას უნდოდა მისი თავიდან მოშორება. იგი ყველაზე უმცროსია ოჯახში, მაგრამ როგორღაც ახერხებს რომ ყველა თავის ჭკუაზე ატრიალოს. ყველანი ბრაზობენ მაგრამ, ვერაფრით ვერ ახერხებენ ქედს დადგმული უღლის გადაგდებას. თუ ვინმე წინაღუდგება, ადრე თუ გვიან ინანებს. არც კარგს დაგიფასებს, პირიქით შეგიძულებს და ეცდება ცუდით გადაგიხადოს.

- მაშინ დიდი სიფრთხილე მმართებს, - ვუთხარი მის ვერნონს ღიმილით,- მე ხომ ჩემდა უნებურად შევცვალე მისი ცხოვრების გზა.

- მართალი ხართ! სულ ერთია, მოსწონს თუ არ მოსწონს ეს ცვლილება, თქვენ მაინც ცუდს უნდა ელოდეთ მისგან. მაგრამ აი

ყველისა და ბოლოკის ჭამის დრო მოვიდა და, ალბათ, ეკლესიისა და მეფის სადღეგრძელოს თქმასაც აპირებენ. ეს კი იმის ნიშანია, რომ მღვდლებმა და ქალებმა სუფრა უნდა დატოვონ. მეც, როგორც ქალთა საზოგადოების ერთადერთი წარმომადგენელი, ვალდებული ვარ სასწრაფოდ დავტოვო აქაურობა.

ესა თქვა და გაქრა. მე კი ისევ სუფრასთან დავრჩი, გაოცებული მისი თამამი, ჭკვიანური და გულახდილი საუბრით. არ ძალმიძს, მიახლოებული წარმოდგენა მაინც შეგიქმნა მისი ლაპარაკის მანერაზე, თუმცა, რამდენადაც მეხსიერება მაძლევს საშუალებას, ვცდილობ ზუსტად გადმოგცე ჩვენი საუბრის შინაარსი. მართლაც მთელს მის ქცევაში იგრძნობოდა უბრალოება, გამჭრიახობა და მისი ლამაზი ნაკვთებით შერბილებული პირდაპირობა და სიმკვეთრე, ისეთი ლამაზი ნაკვთებით, როგორიც ჩემს დღეში არ მენახა. ეს უცნაური უბრალოება და პირდაპირობა სულ არ დამიძრახავს. განა შეიძლება, ოცდაორი წლის ახალგაზრდამ ამისათვის დაძრახოს თვრამეტი წლის თვალწარმტაცი გოგონა. პირიქით, მე დიდად აღტაცებული და ნასიამოვნები ვიყავი მის ვერნონის ნდობით და სულაც არ მწყენია, როცა მითხრა მარტო თქვენ კი არა, თუ დარწმუნებული ვიქნებოდი რომ გამიგებდა, მამათქვენსაც ასევე გადავუშლიდი გულსო. როგორც ყველა ჭაბუკი, მეც ზედმეტად თავდაჯერებული გახლდი და იმითაც დიდად მომქონდა თავი, რომ საფრანგეთში ვიყავი ნაცხოვრები. გარდა ამისა, საკუთარი გარეგნობა და მანერებიც ძალიან მომწონდა და დაბეჯითებით ვფიქრობდი, ჩემი მშვენიერი თანატოლი გულგრილი ვერ იქნება ესეოდენ სრულყოფილი ახალგაზრდის მიმართ-მეთქი. ამგვარად, პატივმოყვარეობამ მაიძულა სავსებით გამემართლებინა მის ვერნონი: მისი გულახდილობა და მეგობრული ტონი მეტწილად იმით ავხსენი, რომ მე ამდენი ღირსებით ვიყავი შემკული და კიდევ უფრო მიმიზიდა ამ მშვენიერმა, სულიერი სიმარტოვისათვის განწირულმა ქალიშვილმა, რომელმაც მეგობ-

რობა შემომთავაზა და ამით თავისი გამჭრიახობა გამოამჟღავნა. ვიფიქრე, ერთობ ჭკვიანი ყოფილა, რომ მეგობრად ამომირჩია-მეთქი.

მის ვერნონის წასვლის შემდეგ ბოთლმა კიდევ უფრო ჩქარა დაიწყო ხელიდან ხელში გადასვლა. ჩემი თანამემამულეები არც იმ დროს გამოირჩეოდნენ ზომიერებით, მაგრამ მე უცხოეთში ყოფნისას გავნაზდი - ვეღარ ვიტანდი თავშეუკავებელ ხალხს და არც ის ღრიანცელი მომწონდა, ასეთ ღრეობებს რომ ახლავს ხოლმე: ზიზღს ის უფრო მიძლიერებდა, რომ ეს თავაწყვეტილი, მოღრიალე ხალხი ახლობლები იყვნენ. ამიტომ გადავწყვიტე აღარ მემზირა მამისა და შვილების ბრიყვული დროსტარებისათვის, როგორც კი დრო ვიხელთე, სუფრიდან შეუმჩნევლად ავდექი და თუმცა გზა არ ვიცოდი, გვერდითა კარებში გავსხლტი. როგორც მოსალოდნელი იყო ფეხდაფეხ დამედევნენ, რომ კვლავ ბახუსის ტაძრის მსახურთა რიგებში დავებრუნებინეთ. ხვეულ კიბეზე რო ჩავრბოდი ზევიდან წაღების ბრახუნი და ხმამაღალი შეძახილები მომესმა. მივხვდი ეზოში უნდა მომეხერხებინა გასვლა თორემ საცაა მდევრები დამეწეოდნენ. კიბის ფანჯრიდან მყუდრო ბაღი მოჩანდა, ფანჯარა გავაღე - სიმაღლე ექვსი ფუტზე მეტი არ იყო. ბაღში გადავხტი და ხეივანში შევვარდი. ახლა უკვე შორიდან მესმოდა მდევართა გაოცებული შეძახილები. „ჰეი, ჰეი, რა ქნა! სად გაქრა!“ მე ორი ხეივანი გავლიე სირბილით და როცა დავრწმუნდი, რომ მდევრებმა კვალი დაკარგეს, ნაბიჯზე გადავედი და ღვინითა და სირბილით გაგრილებული შუბლი გრილ ნიავს მივუშვირე.

სეირნობისას მებაღეს წავადექი თავს. იგი მუყაითად მუშაობდა. ეტყობოდა, ბინდის ჩამოწოლამდე უნდოდა საქმის მოთავება, ერთხანს უხმოდ ვიდექი და ვუყურებდი, მერე მივესალმე. მებაღემ თავაუღებლივ დამიბრუნა სალამი. კილოზე მივხვდი, შოტლანდიელი იყო.

- კარგი სამუშაო ამინდია არა, მეგობარო? - ვუთხარი მებაღეს.

- ჰო, ამინდს არა უშავს, - მომიგო მან, მაგრამ კილოზე შეეტყო, რომ ამინდი ძალიან მოსწონდა. მებაღეებსა და ფერმერებს ხომ ამინდის ქებას ვერ დააცდევინებ. შემდეგ თავი ასწია, რომ დაინახა ვინ ელაპარაკებოდა, პატივისცემის ნიშნად ხელი მიიდო თავის შოტლანდიურ ქუდზე და ჩაილაპარაკა:

- ღმერთო, შემიწყალე, ასე გვიან ჩვენს ბაღში ოქროთი მოსირმული ჯეისტიკორს ვხედავ თუ მეჩვენება?

- რა თქვით, მეგობარო, რასა ვხედავო?

- ჯეისტიკორს-მეთქი. აი თქვენ გაცვიათ. მაგას ჰქვია ჯეისტიკორი. აქაურები სხვანაირად იცვამენ, უფრო ხალვათად, რომ ძროხის ხორცმა, მსუყე პუდინგმა და ღვინომ არ შეაწუხოს. აქ, საზღვრის გადმოღმა ასე იციან: იმის მაგივრად, რომ მწუხრის ლოცვა აღავლინონ, ჭამა-სმით სკდებიან.

- შენს სამშობლოში ლოცვის მეტი რა უნდა გააკეთონ, მეგობარო. არც გასართობი აქვთ და არც საჭმელ-სასმელი. ცარიელ სუფრასთან ხომ არ იჯდები შუადღემდე.

- ეჰ, ბატონო, არა გცნობიათ შოტლანდია. საჭმელი არ გვაკლია, საუკეთესო თევზი გვეშოვება საუკეთესო ხორცი და ფრინველი. ხახვზე, ბოლოკზე და სხვა ბოსტნეულზე აღარაფერს ვამბობ. ყველაფერი კარგი გვაქვს, მაგრამ წესი და რიგი ვიცით და მუცელს არ ვაღორებთ. აქ კი ბატონი გინდა თუ მსახური, იტენიან და იტენიან პირში დილიდან საღამომდე. მარხვა არ იციან და არაფერი. მარხვისას ურმებით მოაქვთ ჰართპულიდან და სანდერლენდიდან ზღვის თევზი, გზაში კალმახსა და ორაგულსაც დაამატებენ, ჩამოაქვთ აქა და მიდი! აბა ამას მარხვა ჰქვია?! მარხვა კი არა ღორობაა! ახლა ეს ამდენი საზიზღარი მესა და ცისკრის ლოცვები! რამდენ მორწმუნეს აცდუნებენ და უფსკრულისა-

კენ უბიძგებენ. თუმცა სჯობს ენას კბილი დავაჭირო - თქვენც ალბათ რომის ეკლესიის მიმდევარი ხართ, ბატონო, როგორც ესენი.

- არა, მეგობარო მე პრესვიტერიანელი ვარ, უფრო ზუსტად დისიდენტი.

- თუ ასეა ნება მომეცით ხელი ჩამოგართვათ, როგორც სულიერ ძმას, - აღტაცებით მითხრა მებაღემ და მკაცრ სახეზე ნათელი გადაეფინა. მერე გადაწყვიტა ცარიელი სიტყვებით არ დაკმაყოფილებულიყო, ჯიბიდან მოზრდილი ზომის სათუთუნე ანუ, როგორც თვითონ უწოდა, მული ამოიღო და ღიმილით შემომთავაზა, ცხვირში შეიყარეო. მე თხოვნა შევუსრულე და მერე ვკითხე ოსბალდისტონ-ჰოლში დიდი ხანია მუშაობ-მეთქი?

მებაღემ ციხე-დარბაზს შეავლო თვალი და მიპასუხა:

- აი, უკვე ოცდაოთხი წელია, რაც გმირულად ვერკინები ამ ეთესელ მხეცებს. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ მე ენდრუ ფერსერვისი მქვია.

- ჩემო ძვირფასო ენდრუ, თუ თქვენი რწმენა ესოდენ შეურაცხყოფილია კათოლიკური რიტუალებით, თუ ასე ვერ ეწყობით სამხრეთულ სტუმართმოყვარეობას, ამდენი ხანი რატომ დაიტანჯეთ თავი? ხომ შეგეძლოთ ისეთი სამსახური გეშოვათ, სადაც ბატონებს ზომიერი ჭამა-სმაც ეცოდინებოდათ და მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევარნიც იქნებოდნენ. დარწმუნებული ვარ, თქვენისთანა გამოცდილ მებაღეს სულ არ გაუჭირდებოდა ასეთი ადგილის შოვნა.

- ტრაბახი არ მიყვარს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საქმე მესმის, - მიპასუხა სახეგაბადრულმა ენდრუმ და იქაურობას თვალი მოავლო, - მე ხომ დრიპდეილის სამრევლოში ვარ გაზრდილი, სადაც სათბურებში ზრდიან ბრიუსელურ კომბოსტოს და უკვე ადრე გაზაფხულზე ყვავილოვანი კომბოსტოს მხალს ხარშავენ. სიმართლე რომ ვთქვა, ამ ოცდაოთხი წლის მანძილზე ყოველი თვის ბოლოს ვაპირებდი აქაურობის დატოვებას, მაგრამ თვე

შემობრუნდებოდა და ახალი საქმე გამოჩნდებოდა: ან უნდა დამეთესა რამე, ან ასაღები მქონდა, ან მოსათიბი და ყველაფერს ჩემი ხელი და თვალი სჭირდებოდა. ამასობაში გაიხედავ და წელიწადი გათავებულა, მერე მეორე, მესამე... აი, ასე შემოვრჩი აქამდე. ახლა დაფიცებული მაქვს, თებერვალში უნდა წავიდე, მაგრამ შარშანაც დაფიცებული მქონდა, შარშანწინაც, ამ ოცი წლის წინათაც და დღემდე მაინც ამ მიწაში ვიჩიჩქნები. ეგეც არ იყოს, გულახდილად რომ გითხრათ, ჩემო ბატონო, საწყალი ენდრუსათვის ამაზე კარგი ადგილი არც შემოუთავაზებიათ. მაგრამ თქვენისთანა მოწყალე ბატონს ისეთი ადგილი რომ აერჩია, სადმე, სადაც ჭეშმარიტ ქადაგებას მოვისმენდი და სადაც პატარა სახლი, საბალახო და კარ-მიდამო იქნებოდა, ჯამაგირად სულ ცოტა ათ გირვანქას რომ გადამიკვეთდნენ წელიწადში და ქალაქელი ქალბატონები ხშირ-ხშირად რომ არ ჩამოვიდოდნენ ხეზე ვაშლების დასათვლელად, ძალიან მადლობელი ვიქნებოდი თქვენი!

- ბარაქალა, ენდრუ! პატრონის გამოცვლა კი გულით გნდომებიათ, მაგრამ კარგ ფასსაც ადებთ თავს.

- რატომ არ უნდა დავადო, - მიპასუხა ენდრუმ, - მთელი სიცოცხლე ხომ არ დაველოდები, რომ დამაფასონ. მე თვითონ უნდა ვეცადო.

- მართალია. ისე, როგორც შეგატყვე, ქალბატონები არ გყვარებიათ.

- დიახ! თუ სიმართლე გინდათ, არ მიყვარს! არც ერთ მებაღეს არ უყვარს ისინი. გულს გვიწყალებენ ხოლმე. დროს არ უყურებენ - ზამთარია თუ ზაფხული სულ ერთია, მაინც სულ გარგარს, ატამს, ქლიავს და ვაშლს მოითხოვენ. მადლობა ღმერთს, აქ ადამის ნეკნის არც ერთი ანატკეჩი[94] არ არის, თუ მოხუც მართას არ ჩავთვლით! მას კი ბევრი არაფერი უნდა. მის დისშვილებს ჟოლოს ჭამა არ უნდა დავუშალო (ხანდახან უქმეებზე ეს-

ტუმრებიან ხოლმე ჩაის დასალევად) და დროდადრო ორიოდე კიტრა ვაშლი მივართვა - შემწვარი უყვარს, ვახშმად.

- ახალგაზრდა ქალბატონი ხომ არ დაგავიწყდათ?

- რომელი ქალბატონი?

- თქვენი ქალბატონი, მის ვერნონი.

- ის ჩემი ქალბატონი არ არის. ნეტა თავისი თავის ქალბატონი იყოს და სხვა არაფერი მინდა. ანდა სულ არავის ქალბატონი იყოს, თორემ ისეთი დამთხვეულია, რომ...

- მართლა?! როგორც ვხედავ, თქვენ ამ ოჯახის ყველა საიდუმლოებანი იცით, - წამოვიძახე მე და მაშინვე მივხვდი, რომ თუ რაიმეს გაგება მინდოდა, ცოტა უფრო თავშეკავებულად უნდა გამომეკითხა.

- საიდუმლოებებიც ვიცი და ენაზე კბილის დაჭერაც, - მომიგო ენდრუმ, - ხომ არ გგონიათ, რომ ენა მექავება და ერთი სული მაქვს ყველაფერი ჩამოვფქვა. მის დი, იცით... თუმცა, რა ჩემი საქმეა, ვინ მეკითხება?..

ენდრუ შებრუნდა და დიდი მონდომებით დაუწყო ჩიჩქნა მიწას.

- რაო, რისი თქმა გინდოდა მის ვერნონზე, ენდრუ? მე მისი ოჯახის მეგობარი ვარ და მინდა ვიცოდე.

- ისეთი არ არის როგორიც უნდა იყოს, - თქვა ენდრუმ, ცალი თვალი მოჭუტა და თავი გადააქნია. ეტყობოდა, რომ რაღაც იცოდა და მალავდა, - აი ასეთია, გამიგეთ ბატონო?

- ვერა, არაფერი მესმის, ენდრუ. კარგი იქნება, თუ გამაგებინებთ, - ვუთხარი მებაღეს და დაბებერავებულ ხელში ერთკრონიანი ჩავუდე. ვერცხლის დანახვაზე ენდრუმ ოდნავ ჩაიღიმა, თავი დამიქნია და ფულს შარვლის ჯიბეში უკრა თავი. იგი რა თქმა უნდა მიხვდა, რომ ვალს გადახდა უნდოდა გასწორდა, ორივე ხელით ბარის ტარს ჩაეჭიდა, და შუბლი ისე შეჭმუხნა, რომ მივ-

ხვდი, რაღაც დიდი საიდუმლო უნდა გაემხილა, იგი კარგა ხანს დუმდა, ბოლოს როგორც იქნა ხმა ამოიღო.

- მაშინ გეტყვით, ახალგაზრდა ბატონო, რადგან ასე ძალიან გინდათ გაიგოთ, რომ მის ვერნონი...

ენდრუმ ტუჩები მოკუმა, გრძელი ნიკაპი წინ წამოსწია და სინანულით ჩაიქნია თავი. ველოდი, რომ კიდე რამეს იტყოდა, მაგრამ, ეტყობა, იფიქრა, ამ ჟესტით ყველაფერი ნათქვამიაო და დამუნჯდა.

- ღმერთო დიდებულო! - აღმომხდა მე, - ნუთუ უკვე დაღუპულია ასე ნორჩი და თვალწარმტაცი ქალიშვილი?

- ჭეშმარიტად! სულ მთლიანად, სულითაც და ხორცითაც. ეგ კიდევ არაფერი, რომ რომის პაპის მიმდევარია, ეგ ჯანდაბას, მაგრამ კიდევ... - ენდრუ კვლავ დადუმდა. ეტყობა შოტლანდიურმა სიფრთხილემ დასძლია.

- კიდევ რამ ბატონო? - მკაცრადა ჩავეკითხე მე, - მე ზუსტად მინდა ვიცოდე ყველაფერი!

- რა და, ყველაზე თავგადადებული იაკობინელია მთელს ამ მხარეში!

- ჰმ, იაკობინელი?! სულ ეგ არის?!

როცა დაინახა, რომ მისი ნათქვამი არაფრად ჩავაგდე, ენდრუმ ისეთი გაოცებით ამომხედა, მერე ჩაიბუტბუტა, რა ვიცი ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს, მით უმეტეს ქალიშვილი ქალიაო და ისეთი სახით მიუბრუნდა თავის საქმეს, რომ მარმონტელის[95] ბოლო რომანში აღწერილი ვანდალების მეფე გამახსენდა.

თავი VII

ბარდოლფი. კარს შერიფია მომდგარი და თან რაზმიც ახლავს თავისი უწყალო მცველებისა.

შექსპირი. „ჰენრი IV“.1 ნაწილი.

ცოტათი კი გავწვალდი, მაგრამ ბოლოს მაინც მივაგენი ჩემთვის განკუთვნილ ოთახს და მაშინვე შევეცადე ბიძაჩემის მსახურების კეთილი განწყობილება მომეპოვებინა. მსახურებისათვის საყვარელი საშუალება გამოვიყენე და გადავწყვიტე საღამომდე განვმარტოებულიყავი. ჩემი ახალი ნათესავების სტუმრობის შიში სულ არ მქონდა, რადგან, ჯერ კიდევ მაშინ, როცა წამოვედი, კარგ დღეში იყვნენ და ახლა ისეთი ხორხოცი და ღრიანცელი ისმოდა ქვის დარბაზიდან (ასე უწოდებდნენ ამ სახლში სასტუმრო ოთახს), რომ დარწმუნებული ვიყავი ფხიზელ კაცთან მოსვლას და საუბარს არ მოისურვებდნენ.

ბუნებრივია, პირველი კითხვა, რომელიც საკუთარ თავს დავუსვი, მამაჩემის გადაწყვეტილებას ეხებოდა: ვერაფრით ვერ მივმხვდარიყავი, რატომ გამომგზავნა საცხოვრებლად ამ უცნაურ ოჯახში. აშკარა იყო, რომ ბიძაჩემმა არც კი იცოდა, რამდენ ხანს ვაპირებდი აქ დარჩენას, მაგრამ იგი მეფე ჰალივით გულღია და სტუმართმოყვარე გახლდათ და არ ითვლიდა, რამდენი კაცი გამოძღებოდა მის სუფრაზე. თუმცა არც მაშინ შეწუხდებოდა ძალიან, სუფრასთან თუ ვერ დამინახავდა და თავის ლურჯლივრეიან ლაქიაზე მეტად არ მომისაკლისებდა. ჩემს უბირ ბიძაშვილებთან

თუ ვიმეგობრებდი, ადრე შეძენილი დახვეწილი მანერები უნდა დამევიწყებინა და სანაცვლოდ მხოლოდ ძაღლების მოვლა, ცხენის ჭენება და მელიების დევნა მესწავლა. მე მხოლოდ ერთი ვარაუდი მეჩვენა სწორი: ალბათ მამაჩემმა იფიქრა, დაე, ერთხანს დაჰყოს ოსბალდისტონ-ჰოლში და როცა იქაურ ზნე-ჩვეულებებს გაეცნობა, მემამულურ ცხოვრებას შეიზიზღებს და კომერციას მოუბრუნდებაო. მანამდე რეშლი ოსბალდისტონს თავის კანტორაში ამუშავებდა და, რომ დავბრუნდებოდი, მისთვის სხვა კარგი ადგილის გამონახვა არ გაუჭირდებოდა. პირველად სინდისის ქენჯნა ვიგრძენი, რომ მის ვერნონის მიერ ასე ცუდად დახასიათებული რეშლი ჩემი სიჯიუტის წყალობით მამაჩემის ბიზნესში ჩაებმეოდა და ალბათ მის ნდობასაც დაიმსახურებდა, მაგრამ მერე თავი დავიმშვიდე - მამაჩემი ისეთ კაცი არ არის, ვინმე თავზე დაისვას და მერე მის ჭკუაზე იაროს-მეთქი. ისიც გავითვალისწინე, რომ ამ ახალგაზრდა ჯენტლმენის არც ავი მენახა და არც კარგი. იმის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რაც იმ გათამამებულმა ქალიშვილმა მიამბო, ეს ქალიშვილი, ჩემი აზრით, ცოტათი ჩქარი უნდა ყოფილიყო, თორემ გაცნობისთანავე ასე ადვილად არ გადამიხსნიდა გულს. განა შეიძლება მის ნაუცბათევ და ზერელე დასკვნებს დანდობოდა კაცი?!

ამის მერე, ბუნებრივია, თვითონ მის ვერნონზე დავიწყე ფიქრი. ამ უჩვეულო სილამაზის, დაუდეგარმა და უცნაურმა ქალიშვილმა, რომელსაც ოსბალდისტონ-ჰოლში არავინ ჰყავდა მხარდამჭერი და იძულებული იყო მხოლოდ საკუთარი საზრიანობით გაეტანა თავი, მთლიანად დაიპყრო ჩემი გონება და საოცრად გამიღვივა ცნობისმოყვარეობა, იმასაც კარგად ვხვდებოდი, რომ ამ უცნაურ ქალიშვილთან ხშირ შეხვედრას ჩვენი დაახლოება უნდა მოჰყოლოდა. ეს თუმცა გამიხალისებდა ოსბალდისტონ-ჰოლში გასატარებელ მოსაწყენ დღეებს, მაგრამ უეჭველად დიდ საფრთხესაც მიქადდა. ასეთი წინდახედულობის მიუხედავად, დიდად

არ მინანია, რომ ბედმა ახალი უჩვეულო გამოცდა მარგუნა წილად. ასეთი საფრთხისა ახალგაზრდა კაცს არ ეშინია და მეც მალე დავიმშვიდე გული. სიფრთხილეს გავაორკეცებ, დაუფიქრებლად ნაბიჯსაც არ გადავდგამ, მის ვერნონს მხოლოდ ამხანაგად მივიჩნევ და ყველაფერი კარგად წავა-მეთქი. ასეთი გადაწყვეტილება რომ მივიღე, დავმშვიდდი და მალე ჩამეძინა კიდეც. ძილბურანში წასულს, რაღა თქმა უნდა, დიანა ვერნონი მედგა თვალწინ.

ვერ გეტყვით სიზმარშიაც ისა ვნახე თუ არა, რადგან ძალიან დაქანცული გახლდით და მკვდარივით მეძინა, მაგრამ განთიადისას, როცა სანადირო ბუკის მხიარულმა ხმამ გამომაღვიძა, ჩემი ფიქრები კვლავ დიანა ვერნონას მიუბრუნდა. იმ წამსვე წამოვხტი ფეხზე, მეჯინიბეს ცხენის შეკაზმვა ვუბრძანე და მალე ეზოში ვიყავი, სადაც უკვე შეკრებილიყვნენ მონადირენი თავიანთი ძაღლებით. ბიძაჩემი გაოცდა. ჩანს არ ელოდა, რომ უცხოეთში გაზრდილი ახალგაზრდა ასეთი გატაცებული მონადირე იქნებოდა. იგი მომესალმა, მაგრამ შევატყვე, რომ ხმაში გუშინდელი გულითადობა და სითბო აღარ ჰქონდა.

- შენც აქა ხარ ყმაწვილო? - მითხრა მან. - დიახ, ახალგაზრდობა დაუდეგარია, მაგრამ ფრთხილად იყავი, ყმაწვილო, გაიხსენე ძველი სიმღერა:

ვინც მიაგელვებს ქარაფზე ულაყს, ქროლვით მიჰყვება ბლეკსტონის კიდეს,
ის უეჭველად წაიფორთხილებს, გადაიჩეხოს იქნება კიდეც.

დარწმუნებული ვარ ახალგაზრდა კაცს, თუ განდეგილი არ არის, ურჩევნია რაიმე ცოდვა ვიდრე უთხრან ცხენოსნად არ ვარგიხარო. რადგან ვიცოდი, რომ არც სიმარჯვე მაკლდა და არც

სიმამაცე, ბიძაჩემის სიტყვებმა გამკენწლა და ვუთხარი, ფიქრი ნუ გაქვთ, აი ნახავთ, ძაღლებს ფეხდაფეხ მივყვები-მეთქი.

- მაგაში ეჭვიც არ მეპარება, ყმაწვილო, - მომიგო მან, - შენ ნამდვილად დიდებული ცხენოსანი ხარ, მაგრამ ნუ გათამამდები! მამაშენმა იმიტომ გამოგაგზავნა აქ, რომ თავს არ გაგივიდეს! მირჩევნია, მე თვითონ ამოგდო ლაგამი, სანამ ვინმე ყულფში გაგაყოფინებდეს თავს!

ამ ნართაულის აზრს ვერ ჩავწვდი და თანაც მომეჩვენა, რომ ფრიად პატივცემულმა ბიძაჩემმა მე კი არ მომმართა, უბრალოდ, თავის ბრძენ გონებაში გაელვებული აზრი გამოთქვა ხმამაღლა. ამიტომ დავასკვენი: ან სუფრიდან წუხანდელ გაქცევაზე გადამიკრა სიტყვა, ან დილით, ნაბახუსევმა ცუდ ხასიათზე გააღვიძა-მეთქი. მერე ვიფიქრე, რომ თუ პურძვირი მასპინძლის როლის თამაშს დაიწყებდა, მეც თავი არ შემებეზრებინა ხანგრძლივი სტუმრობით, და ჩემკენ გულითადი ღიმილით მომავალი მის ვერნონისასკენ გავეშურე მისასალმებლად. რაღაც სალამის მსგავსი ჩემმა ბიძაშვილებმაც მოახერხეს, მაგრამ შემდეგ დამცინავად ამათვალ-ჩამათვალიერეს, ჩურჩულ-ფხაკუნი ატეხეს და ყველაფერი რაც კი უცხოური მქონდა, ქუდი იყო თუ უზანგი, გამიტრიზავეს, ეს რომ შევნიშნე ბიძაშვილებს ზიზღნარევი უდარდელობით გადავხედე და მის ვერნონს ამოვუდექი გვერდით, რადგან ამ ხალხში მარტო ის იყო ჩემი თანასწორი და ამხანაგი. მერე ცხენებს სადავე მივუშვით და წინასწარმონიშნული სახუნდარისკენ - ვრცელი საძოვრის განაპირას ატეხილი წვრილიანისაკენ გავეშურეთ. გზაში დიანას ვუთხარი, ჩემი ბიძაშვილი რეშლი ვერსად დავლანდე მინდორში, განა დღეს არ ინადირებს-მეთქი? - „როგორ არა, - მომიგო მან, - რეშლი გამოცდილი მონადირეა, მაგრამ ნებროთის კვალზე დადის: ადამიანებზე ნადირობს ხოლმე“.

კურძალებმა ძაღლებს შეუძახეს და წვრილიანში შერეკეს. ყველა საქმეში ჩაება, ყოველი მხრიდან ყვირილი და ყიჟინა ის-

მოდა. მალე ნადირის ძიებამ ისე გაიტაცა ჩემი ბიძაშვილები, რომ თითქმის დაავიწყდათ ჩემი არსებობა. მარტო ერთხელ მოვკარი ყური, როგორ გადაულაპარაკა დიკონმა (ცხენების ავან-ჩავანმა) უილფრედს (ბრიყვს), შენ ნახე, როგორ მოკურცხლოს აქედან ჩვენმა ფრანგმა ბიძაშვილმა თოფის ხმის გაგონებაზეო. უილ-ფრედმა უპასუხა, მეც ეგრე ვფიქრობ, ვერა ხედავ, ქუდზე რა სუ-ლელური ბაფთა გაუკეთებიაო! თორნკლიფმა კი, რომელიც ძმე-ბივით ტლანქი და გაუთლელი გახლდათ (მაგრამ როგორც შე-ვატყვე, იმათსავით გულგრილად არ იყო განწყობილი თავისი ტურფა ნათესავისადმი), გადაწყვიტა, ჩვენს შორიახლოს ეტრი-ალა. ალბათ უნდოდა ყურადღებით ეთვალთვალა ჩვენთვის და თანაც, თუ ნადირობის წესს დავარღვევდი, საქილიკო მასალაც ეშოვა, მაგრამ მისი განზრახვის მეორე ნაწილს განხორციელება არ ეწერა: მთელი დილა ნადირის ძებნას მოვუნდით. ბოლოს როგორც იქნა ერთი მელია გავიგდეთ წინ და მთელი ორი საათი ვდიეთ. ამ დევნაში დიდად გამოვიჩინე თავი (ქუდის ბაფთას სულ არ შეუშლია ხელი) და ამით ერთობ გავახარე ბიძაჩემი და მის ვერნონი. სამაგიეროდ, ალბათ, მეტისმეტად დავწყვიტე გული ყველას, ვინც იმედოვნებდა, რომ შევრცხვებოდი. ნადავლი კი გაგვისხლტა ხელიდან: პატივცემული მელია ჩვენზე ბევრად ეშმა-კი გამოდგა და ძაღლებმა კვალი დაკარგეს. ნადირობის დროს თორნკლიფ ოსბალდისტონი გვერდიდან არ მოგვშორებია. შე-ვამჩნიე, რომ მის ვერნონს სულ არ სიამოვნებდა ასეთი გადაჭარ-ბებული ყურადღება, და, რადგან ამ ცქვიტ ქალბატონს დიდი მოთმენის თავი არ ჰქონდა - სურვილი მაშინვე უნდა შეესრულე-ბინა და გზისა და საშუალების გამონახვაც არ უძნელდებოდა, თორნკლიფს მიუბრუნდა და საყვედურით უთხრა:

- მიკვირს, და ვერ გამიგია, თორნი, რა მდევარივით ჩამიდექი კვალში დილიდან. ხომ იცი, რომ ვულვერტონის წისქვილის ზე-ვით სოროები მიწით უნდა ამოიტენოს?

- არაფერიც არ ვიცი, მის დი. მე ის ვიცი, რომ მეწისქვილემ ღმერთი და ეშმაკი დაიფიცა, წუხელ შუაღამისას ყველა სორო ამოვტენეო.

- არ გრცხვენია, თორნი?! მეწისქვილეს უჯერებ?! ეგ სოროები არ იყო, წელს სამჯერ რომ გაგვეპარა მელია? შენი ნისლა ფაშატით ათი წუთიც არ დაგეხარჯება მისვლა-მოსვლაში.

- მაშინ ეგრე ვიზამ, მის დი, წავალ ვულვერტონში და, თუ სოროები ამოტენილი არ დამხვდა, მეწისქვილე დიკს ძვალსა და რბილს გავუერთიანებ.

- ჰო, ჩემო თორნი, ერთი კარგად გაამათრახე ის გაიძვერა! აბა, შენებურად გაფრინდი და მოფრინდი!

თორნკლიფმა ცხენი მოატრიალა და წისქვილისაკენ გააჭენა, მის ვერნონმა კი ჩაილაპარაკა: ისე, თვითონ შენ რომ შეგახურებდნენ მათრახით, უფრო მესიამოვნებოდაო. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

- ყველა მე უნდა გავწვრთნა, ყველას მე უნდა ვასწავლო, რომ ბრძანებას დაემორჩილონ. მე ხომ პოლკის შედგენას ვაპირებ. თორნი სერჟანტი იქნება, დიკონი - ცხენოსნობის მასწავლებელი, უილფრედს კარგი ბანი აქვს და თანაც ზედიზედ სამ მარცვალზე მეტის წარმოთქმა არ შეუძლია, ამიტომ დოლის მოვალეობას შეასრულებს.

- რეშლი?

- რეშლი დაზვერვის უფროსი იქნება.

- ჩემთვის არ გაიმეტებდით რაიმე თანამდებობას, ძვირფასო პოლკოვნიკო?

- თქვენ პოლკის მნედ დაგნიშნავთ ან იქნებ მძარცველთა ასეულის უფროსობა ამჯობინოთ. მოიცა, ნახეთ, როგორ დაბორიალობენ ძაღლები! ეტყობა კვალი დაკარგეს და კარგა ხანს ვეღარც იპოვიან. გამომყევით, ერთი ლამაზი ადგილი მინდა გიჩვენოთ.

ორივემ პატარა გორაკის თავზე ავაჭენეთ ცხენები, საიდანაც ხელის გულივით მოჩანდა ყველაფერი. მის ვერნონმა იქაურობა მოათვალიერა. როცა დარწმუნდა, რომ მარტონი ვიყავით, არყის ხის კორომში შევიდა და მეც თან გამიყოლა. ახლა დაფარული ვიყავით მონადირეთა თვალისაგან.

- აგე, იმ მაღალ შავ მთას ხომ ხედავთ? აი, აქეთა ფერდობზე ბუჩქნარში რაღაც თეთრად მოჩანს, არა?

- იმ მთაზე ამბობთ, გრძელი მთაგრეხილის ბოლოს რომ არის? ჭაობთან ზეგანს რომ გადმოჰყურებს? კი, ძალიან კარგად ვხედავ...

- აი, ის, თეთრად რომ მოსჩანს, კლდეა. არწივთა კლდეს ეტ-ყვიან და ეს არწივთა კლდე შოტლანდიაშია.

- მართლა? არ ვიცოდი ასე ახლოს თუ იყო შოტლანდია

- ახლოა, დამიჯერეთ, ძალიან ახლოა. თქვენი ცხენი სულ ორ საათში მიგაქროლებთ.

- ცხენს ხომ არ მოვკლავ. აი ასე, პირდაპირ რომ ვუყურებთ, თვრამეტი მილი მაინც იქნება.

- ჩემი ფაშატი წაიყვანეთ, თუ თქვენი ულაყის იმედი არა გაქვთ. გარწმუნებთ, ორ საათში შოტლანდიაში იქნებით.

- კი მაგრამ მე სულ არ მინდა შოტლანდიაში წასვლა. საზ-ღვარზე რომ ვიყო უკან გამოვბრუნდებოდი. რა საქმე მაქვს შოტ-ლანდიაში?

- თავი რომ გადაირჩინოთ! ამაზე მარტივად როგორ გით-ხრათ. ახლა ხომ გამიგეთ, მისტერ ფრენკ?

- სულ ვერაფერი გაგიგეთ. კი არა, უფრო დავიბენი!

- მაშინ, ღმერთმანი არ მენდობით, რასაც სულ არ მოველოდი თქვენგან, თანაც ისე ოსტატურად იკატუნებთ თავს, რომ თვით რეშლი ოსბალდისტონსაც შეშურდებოდა, ან კიდევ მართლა არ იცით რა საშინელი საფრთხე გელით. თუ ასეა, აღარ მიკვირს,

რომ ასე მომშტერებიხართ თვალებში და ისე იბღინძებით, რომ სიცილს ძლივს ვიკავებ!

ცოტა არ იყოს მეწყინა მისი ბავშვური მხიარულება და ვუთხარი:

- სინდისს გეფიცებით, მის ვერნონ, სულ ვერ გავიგე თქვენი ნართაული. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ასე გაგამხიარულეთ, მაგრამ მიზეზს ვერ მივმხვდარვარ!

- მართლაც, სასიხარულო ბევრი არაფერია, - ჩაილაპარაკა ახალგაზრდა ქალბატონმა და სახიდან ღიმილი ჩამოიცილა, - სამხიარულოდ არა გაქვთ საქმე, მაგრამ ისეთი გამომეტყველება გქონდათ, ისეთი დაბნეული იყავით, რომ... საქმე ფრიად სერიოზულია. იცნობთ ვინმე მორეის თუ მორისს? რაღაც ეგეთი გვარი უნდა ჰქონდეს.

- არა, თუ მეხსიერება არ მღალატობს.

- აბა, გაიხსენეთ ამ უკანასკნელი მოგზაურობისას ხომ არ შეხვედრიხართ ასეთი გვარის კაცს?

- ერთი კაცი კი იყო, რომელთანაც ცოტა ხანგრძლივად მომიხდა მგზავრობა. სულ თავის ჩანთას დაჰკანკალებდა. გეგონებოდა თავისი სული აქვს შიგ შენახულიო.

- სულ ლიცენციანტ პედრო გარსიას ჰგვანებია. იმასაც ხომ დუკატებიან ტყავის ჩანთაში ჰქონდა სული შენახული. ჰოდა, ის კაცი გაძარცვეს და თქვენც დაგასახელათ იმ საშინელი დანაშაულის ჩამდენთა შორის.

- მეხუმრებით, მის ვერნონ?

- რას ბრძანებთ. გარწმუნებთ, რაც გითხარით სრული ჭეშმარიტებაა.

- და თქვენც ფიქრობთ, რომ ასეთი საქმის ჩამდენი ვარ? - წამოვიძახე გაბრაზებულმა და არც კი ვეცადე, მკვახე ტონი ცოტათი მაინც შემერბილებინა.

- კაცი რომ ვყოფილიყავი, ნამდვილად დუელში გამომიწვევდით არა? ახლაც შეგიძლიათ, თუ მოისურვებთ. გაფრენილი ჩიტის მოკვლაც ისევე მეადვილება, როგორც ხუთი მორისაგან შეკრულ ჭიშკარზე ცხენის გადახტუნება.

მივხვდი, რომ მის ვერნონს არ უნდა გავჯავრებოდი და მივუგე:

- ამასთან, ცხენოსანი პოლკის უფროსიც ბრძანდებით, არა? კარგი, ახლა მაინც მითხარით, რისთვის დაგჭირდათ ჩემი გამასხარავება?

- მე არ გამასხარავებთ! თქვენ ბრალად გედებათ იმ კაცის გაძარცვა და ბიძაჩემიც ისევე მტკიცედაა დარწმუნებული თქვენს დანაშაულში, როგორც მე ვიყავი ორიოდე წუთის წინ.

- ღმერთმანი, დიდად კმაყოფილი ვარ, რომ მეგობრებს ასეთი კარგი შეხედულება ჰქონიათ ჩემზე!

- დამფრთხალი ცხენივით ნუ აბრიალებთ თვალებს და ბუტიაობასა და ოხვრა-ხვნეშასაც თავი დაანებეთ. არც ისეთ მძიმე დანაშაულია, თქვენ რომ გგონიათ. განა წვრილმან თაღლითობასა და ჯიბგირობას დაგაბრალებენ! იმ კაცს სახელმწიფოს თანხა მიჰქონდა. სულ ასიგნაციები და მონეტები. შოტლანდიის ჯარის ხელფასი იყო. გარდა ამისა, როგორც ამბობენ საიდუმლო საბუთებიც წაურთმევიათ.

- მაშასადამე, მე წვრილმან მძარცველობას კი არა, სახელმწიფო ღალატს მაბრალებენ!

- რასაკვირველია! ამას კი არცერთ დროში არ უთვლიდნენ სირცხვილად თავად-აზნაურთა კლასის წარმომადგენელს. ჩვენში ყოველ ნაბიჯზე შეხვდები ადამიანს, რომელიც სიამოვნებით მიაყენებს ზარალს ჰანოვერთა დინასტიას, თუკი ამის შესაძლებლობა მიეცემა. ერთ-ერთი მათგანი ახლა თქვენს გვერდითაა.

- ჩემი პოლიტიკური შეხედულებები და ზნეობა არ გამოირჩევა ასეთი მოქნილობით, მის ვერნონ.

- მე ლამის ვირწმუნო, რომ პრესვიტერიანელი და ჰანოვერთა სახლის ერთგული მსახური ბრძანდებით! კარგი, ახლა რას აპირებთ?

- დაუყოვნებლივ უნდა გავაბათილო ეს საზარელი ცილისწამება. ვისთან შეიტანეს ეს საოცარი საჩივარი?

- მოხუც სკვაირ ინგლვუდთან. საკმაოდ უხალისოდ მიიღო საჩივარი, და, ჩემი აზრით, თვითონვე შეეცადა, რომ ეს ამბავი ბიძათქვენის ყურამდე მისულიყო, ალბათ იფიქრა, ბიძა შოტლანდიაში გააპარებსო. იქ კი აქაური მოსამართლის ბრძანებას ძალა აღარა აქვს, მაგრამ სერ ჰილდებრანდს შესანიშნავად მოეხსენება, რომ თავისი რელიგიური მრწამსისა და წარსულში ჩადენილი ცოდვების გამო მთავრობა ისედაც გეზად უყურებს, და თუ ყაჩაღის მფარველობასაც დაუმტკიცებენ, ხელისუფლებამ, შესაძლებელია, როგორც პაპისტს, მეფე ჯეიმზის მომხრესა და საეჭვო პიროვნებას იარაღი ჩამოართვას და საჯინიბოც დაუცარიელოს[96]. ცხენების ჩამორთმევას კი ბიძათქვენი ვერ გადაიტანს.

- ეჭვი არ მეპარება, ძმისშვილს უფრო შეელევა, ვიდრე თავის ბედაურებს.

- ძმისშვილს, დისშვილებს, ვაჟიშვილებს და ქალიშვილები რომ ჰყავდეს, იმათაც და მთელ თავის ტომსა და მოდგმას. ამიტომ მისი იმედი ნუ გექნებათ! წამითაც არ ენდოთ და სანამ დროა, გაქუსლეთ!

- აუცილებლად, მაგრამ პირდაპირ იმ სკვაირ ინგლვუდის სახლისკენ გავქუსლავ! რა გზით უნდა წავიდე?

- ჭალა რომ მოჩანს ხევთან, იქიდან ხუთი მილი იქნება. საათიან კოშკს ხედავთ? აი, იქ ცხოვრობს.

- ათ წუთში იქ ვიქნები, - ვთქვი მე და ცხენს სადავე მივუშვი.

- მეც წამოგყვებით. გზას გასწავლით, - მითხრა დიანამ, მერანს დეზი ჰკრა და ჩორთით ამედევნა.

- თქვენ არ გაგიყოლებთ მის ვერნონ! ეს ძალიან... ნება მიბოძეთ, გულახდილად გითხრათ, როგორც მეგობარმა მეგობარს, რომ თქვენი წამოსვლა არ არის საჭირო. კი არა, უხერხულიცაა. მე ხომ ასეთი უმსგავსი საქმე მბრალდება!

- მესმის, რასაცა ფიქრობთ, - მომიგო მის ვერნონმა და ღაწვები შეეფაკლა, -თქვენ გულახდილად გამოთქვით აზრი, - იგი ცოტა ხანს დადუმდა, შემდეგ დასძინა: - მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს სახელს უფრთხილდებით, მაგრამ...

- მხოლოდ ამიტომ არ მინდა რომ გამომყვეთ, მის ვერნონ! განა არ ვიცი, რომ კარგი გინდათ ჩემთვის? მგონი, გრძნობთ, თუ რა მადლობელი ვარ. ვხედავ, რომ ჭეშმარიტად მეგობრული გრძნობა გამოქმედებთ - გინდათ გაჭირვებაში ხელი გამომიწოდოთ, მაგრამ არ მსურს უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ. ხალხი სხვანაირად გაიგებს ამას... არ მინდა ბოროტად გამოვიყენო თქვენი დიდსულოვნება. ეს სკანდალური საქმეა და თქვენ თითქმის ღია სასამართლოზე მიბრძანდებით.

- როგორ ფიქრობთ, არ უნდა წამოვიდე, თუკი ვიცი, რომ ბრალდება უსაფუძვლოა, თუკი ვიცი, რომ მეგობარს დაცვა ესაჭიროება?! თქვენ აქაური არა ხართ, რომ მხარში ამოგიდგეთ ვინმე. აქ, სამეფოს განაპირას კი მოსამართლე თავის ნებაზეა მიშვებული და რასაც უნდა იმას აკეთებს. ბიძაჩემმა, არ მოისურვა თქვენს საქმეში ჩარევა, რეშლი აქ არ არის და, კიდეც რომ იყოს, არ ვიცი თქვენ დაგიჭერდათ მხარს თუ დაზარალებულს. თქვენი დანარჩენი ბიძაშვილები ერთიმეორეზე გონებაჩლუნგები და ველურები არიან. ამიტომ მე უნდა წამოგყვეთ და დაგეხმაროთ. არავის არ ვუყურებ. მე მაღალი საზოგადოების ქალბატონი არა ვარ და არც კანონების კრებულებს ვუფრთხი, არც მოსამართლის მუქარას და არც მის უზარმაზარ პარიკს!

- კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო მის ვერნონ...

- დამშვიდდით, ჩემო ძვირფასო მისტერ ფრენსის და ხელს ნუ მიშლით. მე უკვე ავიწყვიტე და ვეღარავინ გამაჩერებს.

რა თქმა უნდა, მესიამოვნა ამ მშვენიერმა ქმნილებამ, ეგზომ ცხოველი ინტერესი რომ გამოიჩინა, ჩემი ბედისადმი, მაგრამ ვიფიქრე, 18 წლის გოგონა რომ წავიყვანო, სასაცილოდ ამიგდებენ-მეთქი. გარდა ამისა, შემეშინდა ხალხს სხვანაირად არ განემარტა მისი საქციელი და ძალიან ვთხოვე ნუ გამომყვები-მეთქი. მაგრამ ამ თავისნათქვამა გოგონამ პირდაპირ განმიცხადა, თქვენი შეგონებები ამაოა, მე ვერნონის გვარის სიჯიუტე მომსდგამს და ჩემს სიტყვას არაფრით არ გადავალ, მეგობარს გაჭირვებაში ვერ დავტოვებ, თუნდაც დარწმუნებული ვიყო, რომ ბევრს ვერაფერს ვუშველიო. მაგ თქვენ საბუთებს, შესაძლებელია, მართლაც უნდა გაუწიოს ანგარიში კეთილშობილმა, ქალაქის პანსიონში აღზრდილმა დედ-მამის მორჩილმა გოგონამ, მაგრამ მე ჩემი ჭკუა მაქვს და სხვის დაკრულზე არ ვცეკვავო.

ამ ლაპარაკში ჩვენ სწრაფად მივიწევდით წინ და თანდათან ვუახლოვდებოდით მოსამართლე ინგლვუდის სახლს. მის ვერნონმა მარჯვედ შემაწყვეტინა კამათი: ერთბაშად შეცვალა საუბრის თემა - მოსამართლე ინგლვუდისა და მისი მდივნის დახასიათება დაიწყო და მშვენიერი კრეატიული პორტრეტები დამიხატა. ამ პორტრეტების მიხედვით მოსამართლე ახლად მოქცეული იაკობიტი აღმოჩნდა. იგი თურმე, სხვა აქაური აზნაურების დარად, დიდხანს ითრევდა ფეხს, მაგრამ ბოლოს მაინც შეჰფიცა ერთგულება ახალ მბრძანებელს და ჯილდოდ მოსამართლის თანამდებობა მიიღო.

- ბოლოს და ბოლოს დაუჯერა აქაურ მემამულეებს და მოსამართლეობა იკისრა, -განაგრძობდა დიანა, - ისინი ერთობ შეშფოთებულნი იყვნენ იმით, რომ ნადირობის წესებისა და კანონების დაცვას არავინ უწევდა ზედამხედველობას. სასამართლო ხელისუფლების უახლოესი წარმომადგენელი ნიუკასტლის მერი

იყო, რომელსაც ძალზე უყვარდა შემწვარ-მოხრაკული ნანადირევი და მონადირეებზე მეტად ბრაკონიერებს წყალობდა. აქაური მემამულეები მიხვდნენ, რომ აუცილებელი იყო ერთ-ერთი მათგანის იაკობისტული პრინციპები საზოგადოების კეთილდღეობას შესწირვოდა და არჩევანი ინგლვუდზე შეაჩერეს, რადგან მისი პოლიტიკური კრედო არასოდეს გამოირჩეოდა სიმტკიცითა და თანმიმდევრობით. ასე და ამგვარად, შექმნეს ნორთუმბრელენდელმა მემამულეებმა სამართლიანობის სხეული და ახლა საჭირო იყო სული ჩაებერათ მისთვის, რომ სხეული გაცოცხლებულიყო და ემოქმედა. და აი, მათ გამოძებნეს ერთი გაქნილი ნიუკასტლელი იურისტი, გვარად ჯობსონი, რომელმაც კანონისა და სამართლის გაყიდვა დაიწყო მემამულე ინგლვუდის სახელით. და რადგან, ჯობსონის პირადი შემოსავალი გასარჩევი საქმეების რაოდენობაზეა დამოკიდებული, ცდილობს და ახერხებს კიდეც, რომ უამრავი საქმე გამოუნახოს განსასჯელად თავის პატრონს, თუმცაღა ამ პატიოსან მემამულეს დიდად არ ეხალისება ასეთი გაცხოველებული საქმიანობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ირგვლივ, ათი მილის მანძილზე, ვაშლის გამყიდველმა დედაკაცმა ამ ზოზინა მოსამართლისაგან უნდა აიღოს ნებართვა. ყველაზე სასაცილო სცენები მაშინ იმართება როცა საქმეს პოლიტიკის სუნი ასდის. აი, ჩვენი დღევანდელი საქმე რომ არის, იმაზე მოგახსენებთ. მაშინ მისტერ ჯოზეფ ჯობფსონი პროტესტანტული რელიგიისა და თანამედროვე საეკლესიო და სახელმწიფო წყობის ერთგული დამცველის როლში გამოდის და ალბათ სათანადო მიზეზიცა აქვს, რომ ასე იქცევა. მისტერ ინგლვუდი კი გულში ჯერ კიდევ იმ ძველი პრინციპების ერთგულია, რომლებიც ცოტა ხნის წინათ სახალხოდ უარყო, რათა დიდად პატრიოტული საქმე გაეკეთებინა: განუხრელად გაეტარებინა ცხოვრებაში ჭაობის ფრინველების, კურდღლების, გნოლებისა და კაკბების განადგურების ამკრძალავი კანონები და თავს ძალზე უხერხულად

გრძნობს, როდესაც მისტერ ჯობსონი გულმოდგინედ ცდილობს მოსამართლე გუშინდელი რწმენისა და შეხედულების წინააღმდეგ ალაპარაკოს. მისტერ ინგლვუდი, კი ნაცვლად იმისა, რომ მხარი აუბას თავის თანაშემწეს, სიზარმაცის ნიღაბს იფარებს და მთლად გამოიშტერებს ხოლმე თავს, თუმცა იმ კაცის პირობაზე, რომლის ერთადერთი მიზანი და სიამოვნება ამქვეყნად მხოლოდ მაძღრისად ჭამა და გამოთრობაა, მოსამართლე საკმაოდ გამჭრიახი, მხიარული და მკვირცხლი მოხუცია. ეს თუ იცი, სიცილს ვერ შეიკავებ, როცა იგი პროცესის დროს უეცრად მოდუნდება და ყველაფრის ხალისს დაკარგავს ხოლმე. ჯობსონი კი ამ დროს იმ ცხენს წააგავს, მძიმე ფორნის დაძვრას რომ ცდილობს. პირზე ქაფმომდგარი ცხენი ფრუტუნებს, ჭიხვინებს და მთელი ძალით ეწევა მართლმსაჯულების ფორანს. ფორანი ჭრიალებს, მაგრამ ისე მძიმედაა დატვირთული, რომ ადგილიდან ვერ იძვრის. ამას კიდევ აიტანდა საწყალი, მაგრამ თურმე იმაზე სკდება გულზე, რომ სწორედ ეს მართლმსაჯულების ფორანი, რომლის ადგილიდან დაძვრას თვითონ ვერაფრით ახერხებს, ხანდახან უკან დაგორდება და მასაც თან გაითრევს ხოლმე. ეს კი მაშინ ხდება, როცა სკვაიერ ინგლვუდის ძველ მეგობრებს გაუჭირდებათ რამე და სასამართლოს მიაკითხავენ. მაშინ მისტერ ჯობსონი ბუზღუნით ირწმუნება, მისტერ ინგლვუდის და მისი ოჯახის დიდი ხათრი და პატივისცემა რომ არ მაკავებდეს, ყველაფერს შინაგან საქმეთა მინისტრს მოვახსენებდიო.

მის ვერნონმა ეს საინტერესო აღწერილობა დაამთავრა და მივადექით კიდეც ინგლვუდის კარმიდამოს - ლამაზ, მაგრამ ცოტა არ იყოს ძველი ყაიდის ნაგებობას. ყველაფერი მიგანიშნებდათ, რომ ეს ძველი და საპატიო გვარის საცხოვრებელი იყო.

თავი VIII

სერ პირფერობად არ ჩამომართვათ, - წინ მლიქვნელურად წარდგა ვექილი.

თქვენ საბუთები ისე ყოჩაღად, ისე მარჯვედ გაქვთ გამოქექილი,

რომ დაყოვნება უაზრობაა... აწ შეგეწიოთ ღმერთი ციერი,

სხვას სამსჯავროში წარმოსადგენად ვერც ინატრებდა ძეხორციელი.

ბატლერი.[97]

ეზოში სერ ჰილდებრანდის ლივრეიანი მსახური შემოგვხვდა. ცხენები მივაბარეთ და სახლში შევედით. აქ მე და ჩემს მშვენიერ თანამგზავრს კიდევ უფრო გასაოცარი შეხვედრა გველოდა: ჰოლში რეშლი ოსბალდისტონი იდგა! თვითონ რეშლიმაც ვერ მოახერხა, რომ ჩვენს დანახვაზე გაკვირვება დაემალა. მის ვერნონმა ხმის ამოღება არ დააცადა მამიდაშვილს:

- რეშლი, თქვენ გაიგეთ მისტერ ოსბალდისტონის ამბავი და უკვე ესაუბრეთ მოსამართლეს, არა?

- რა თქმა უნდა, - მშვიდად მიუგო მან, - სწორედ ამ საქმეზე მოვედი. ძალიან ვეცადე შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი ჩემს ბიძაშვილს, - იგი ჩემკენ შემობრუნდა და თავი დამიკრა, - მაგრამ ის კი ძალზე მეწყინა, რომ აქ შევხვდით ერთმანეთს.

- თქვენ ჩვენ მეგობარი და ნათესავი ხართ, მისტერ ფრენსის ოსბალდისტონ და ნაწყენი მაშინ უნდა დარჩენილიყავით სხვაგან

რომ შეგხვედროდით. მე ისეთი სამარცხვინო დანაშაული მედება ბრალად, რომ სწორედ აქ უნდა მოვსულიყავი და თანაც დაუყოვნებლივ!

- მართალია, მაგრამ მამაჩემთან საუბრის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თქვენ ცოტა ხნით შოტლანდიაში წაბრძანდით - დროებით, ვიდრე ეს საქმე მიჩუმდება.

ცხარედ ვუპასუხე, ვერ ვხვდები რატომ უნდა გამოვიჩინო ასეთი სიფრთხილე, მე არაფრის მიჩუმებას არ ვაპირებ! პირიქით, აქ იმიტომ მოვედი, რომ გავაბათილო ეს საშინელი ცილისწამება და ვამხილო ცილისმწამებლები-მეთქი.

- მისტერ ფრენსის ოსბალდისტონი უდანაშაულოა, რეშლი, და თხოულობს, რომ თხოულობს დაწვრილებით გამოიძიონ ეს საქმე! მე მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილი, მხარში ამოვუდგე, - თქვა მის ვერნონმა.

- თქვენა, ჩემო მშვენიერო ბიძაშვილო?! ვფიქრობ, მე უფრო ძალმიძს და შემეფერება კიდეც მისტერ ფრენსის ოსბალდისტონის შველა.

- რასაკვირველია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ერთ ჭკუას ორი სჯობს!

- რასაკვირველია, მით უმეტეს, როცა ისეთი ჭკუა ჩაერევა საქმეში, როგორიც თქვენა გაქვთ, ჩემო ძვირფასო დო! - თქვა რეშლიმ, მის ვერნონს მიუახლოვდა და ალერსიანად მოჰკიდა ხელში ხელი. იმ წამში იგი გაცილებით მახინჯად მეჩვენა, ვიდრე სინამდვილეში იყო. შემდეგ მის ვერნონმა გვერდზე გაიყვანა რეშლი და ხმადაბლა დაუწყო ლაპარაკი. დიანა რაღაცას აძალებდა. რეშლის, ჩანდა, არ უნდოდა ან არ შეეძლო მისი თხოვნის შესრულება. ჩემს დღეში არ მენახა ასეთი სხვადასხვა გამომეტყველება ორი მოსაუბრის სახეზე: რეშლი მშვიდად ელაპარაკებოდა, ოდნავ უკან გადახრილიყო და მოკრძალებული ღიმილით, მაგრამ დაჟინებით უსაბუთებდა რაღაცას. მის ვერნონი ყურადღებით უს-

მენდა, მერე გაბრაზდა, სახე აელეწა, თვალები აენთო, პატარა ხელი მუშტად შეკრა და იატაკზე ფეხის ბაკუნი დაიწყო. ბოლოს სწრაფად გადგა გვერდზე და მიახალა: მე ასე მწადიაო.

- ვერ მოვახერხებ, შეუძლებელია! წარმოგიდგენიათ მისტერ ოსბალდისტონ?.. - მომიბრუნდა რეშლი...

- ხომ არ შეიშალეთ?! - შეაწყვეტინა დიანამ.

- წარმოგიდგენიათ?! - განაგრძო მან. - მის ვერნონი მიმტკიცებს, რომ მე დარწმუნებული ვარ თქვენს უცოდველობაში (მართლაც, ჩემზე მეტად ვინ უნდა იყოს ამაში დარწმუნებული) და, რომ, გარდა ამისა, მე ვიცი, ვინ გაძარცვა ეს ვიღაცა კაცი (თუ მართლა გაძარცვეს!) ამისთანა რამე გაგიგიათ მისტერ ოსბალდისტონ?!

- მე ნებას არ გაძლევთ, ელაპარაკოთ მისტერ ოსბალდისტონს ამ საკითხზე, რეშლი! მან არ იცის, რომ თქვენ აქაური ამბები ყოველთვის დაწვრილებით და ზუსტად მოგეხსენებათ.

- ღმერთმანი, ძალიან აზვიადებთ. ამდენი ქების ღირსი არა ვარ.

- მე სიმართლეს ვამბობ, რეშლი და იმედი მაქვს, რომ თქვენც არ გადაუხვევთ ჭეშმარიტების გზას და ძირშივე აღკვეთავთ უსამართლობას!

- ნამდვილი ტირანი ხართ, დიანა, - ამოიოხრა რეშლიმ, - ჭირვეული და თავისნათქვამა ტირანი, გინდათ, რომ ყველამ თქვენს ჭკუაზე იაროს. რა გაეწყობა, უნდა შეგისრულოთ ეგ სურვილი, მაგრამ თქვენ აქ არ უნდა მოსულიყავით. ხომ იცით, რომ აქ არ უნდა იყოთ. მე და თქვენ უნდა წავიდეთ აქედან.

დიანა შეყოყმანდა. რეშლი მომიახლოვდა და მეგობრული ტონით მითხრა:

- გარწმუნებთ, მისტერ ოსბალდისტონ, რომ სულითა და გულით მონდომებული ვარ დაგეხმაროთ და თუ გტოვებთ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი საქმე მოვაგვარო. მაგრამ დიანა შინ

უნდა დაბრუნდეს! გამოიყენეთ თქვენი გავლენა, დარწმუნებული ვარ დაგიჯერებთ. მისი დარჩენა უხერხულია, თქვენ კი არაფერს გარგებთ!

- გარწმუნებთ, სერ, რომ მეც ამავე აზრისა ვარ, - მივუგე რეშ-ლის, - ყველანაირად ვეცადე დამებრუნებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდი.

- მე უკვე გადავწყვიტე, - მითხრა მის ვერნონმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, - ფეხს არ მოვიცვლი აქედან, სანამ ფილესტი-მელთა ხელიდან არ გათავისუფლდებით. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი ძვირფასი მამიდაშვილი რეშლი გულწრფელადაა მო-წადინებული დაგეხმაროთ, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცნობთ ერ-თმანეთს... მე არ წამოვალ რეშლი! - მტკიცედ განაცხადა დიანამ, მერე კი ნაზად დაამატა, - ვგრძნობ, რომ მაშინ უფრო დააჩქა-რებთ და უფრო გულითაც მოეკიდებით საქმეს.

- რა გიყოთ, დარჩით! ხომ ვიცი, რა ჯიუტი და თავნება ხართ. იცით, რომ არ გიღალატებთ და იმიტომ ამომირჩიეთ დამხმა-რედ.

რეშლი სწრაფად გავიდა ჰოლიდან და ცოტა ხნის შემდეგ ცხენის ფლოქვების ხმა გავიგონეთ.

- მადლობა ღმერთს, წავიდა! მოდი, ახლა მოსამართლე მოვ-ძებნოთ, - თქვა დიანამ.

- განა არ აჯობებს, რომ მსახურს ვუხმოთ?

- არავითარ შემთხვევაში! მე ვიცი მისი ბუნაგის გზა. ჯობს მო-ულოდნელად დავესხათ თავს. მომყევით!

დიანა დაიძრა და მეც მორჩილად მივყევი უკან. ჩაბნელებუ-ლი კიბე ავირბინეთ, პირქუში დერეფანი გავიარეთ და მოსამარ-თლის კაბინეტის წინა ოთახში აღმოვჩნდით. ოთხივე კედელი ძველი რუკებით, არქიტექტურული ნახაზებით და გენეალოგიური სქემბით იყო დაფარული. კაბინეტის კარები მოხურული იყო. შიგ-ნიდან ვიღაცა ძველებურ სიმღერას მღეროდა, იგრძნობოდა,

რომ იგი ოდესღაც სუფრული სიმღერების დახელოვნებული შემ-
სრულებელი იქნებოდა.

ო, ამ სკიპტონ-კრაივენს
კარგს უპოვნით რაიმეს?
ყველაფერი თქეშსა და ნიაღვარში ულპებათ.
ვინმე ბრიყვი თუ არი,
გოგოს უთხრას უარი, -
ყელსახვევი ქცეოდეს სახრჩობელას ყულფადა.

- დახე! ჩვენს მხიარულ მოსამართლეს უკვე მიურთმევია სა-
დილი. არ მეგონა თუ ასე გვიან იყო.

მოსამართლეს, მართლაც მოეთავებინა სადილობა. სასამარ-
თლო გაწამაწიას მისთვის მადა გაეღვიძებინა და ინგლისში დად-
გენილი პირველი საათის ნაცვლად თორმეტზე დამჯდარიყო
ტრაპეზად. ამ დილას ისე წაეწყო ყველაფერი ერთმანეთს, რომ
უფრო ადრე ვერ მოვახერხებდით მისვლას მოსამართლესთან.
მას კი დრო მოეგდო ხელთ და უკვე მოეთავებინა ის საქმე, რო-
მელიც ყველაზე მნიშვნელოვნად და სასიამოვნოდ მიაჩნდა ამ-
ქვეყნად.

- თქვენ აქ დამელოდეთ, - მითხრა დიანამ, - მე ამ სახლის
ყველა კუნჭული ვიცი. წავალ და მსახურს მოვიყვან. პირდაპირ
რომ შევიდეთ, მოხუცი დაფრთხება.

მის ვერნონი გაქრა. მე ერთხანს ვერ გადავწყვიტე, როგორ
მოვქცეულიყავი - წინ წავსულიყავი თუ უკან. სასადილო ოთახი-
დან საკმაოდ გარკვევით ისმოდა ლაპარაკი: ვიღაცა, ხავილა
ხმით ბოდიშობდა, სიმღერა არ მეხერხებაო. ეს ხმა თითქოს მეც-
ნო კიდეც.

- მაშ არ იმღერებ სერ? ეს რა მესმის, წმინდაო მარიამ! არა,
აუცილებლად უნდა იმღერო. რაო? მთელი ფიალა ესპანური

ღვინო გადაყლურჭე და ახლა ამბობ სიმღერა არ შემიძლიაო? ეს ვერცხლით მოჭედილი ქოქოსის კაკლის ფიალა ხომ შენ ამოაშრე? ეს ღვინო ხომ კატასაც აამღერებს. აამღერებს კი არა, აალაპარაკებს კიდეც. აბა ყოჩაღად! დაიწყე ან მოუსვი აქედან! როგორ ამდენი დრო დამაკარგვინე მაგ შენი ს-ს-საჩივრების მოსასმენად და ახლა მეუბნები სიმღერა არ შემიძლიაო?!

- თქვენი მოთხოვნა სავსებით კანონიერი, პატივცემულო მოსამართლევ! - თამამად ჩაერია ლაპარაკში ვიღაც მესამე. ეს ალბათ მდივანი იყო. - მომჩივანი მოსამართლის გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოს. თუკი მოსამართლემ თავისი ხელით აღგიბეჭდათ შუბლზე „Canet[98]“, სხვა გზა აღარა გაქვთ, უნდა იმღეროთ.

- აბა მალე! - გაბრაზდა მოსამართლე, - მორჩი, თორემ წმინდა ქრისტოფერს გეფიცები, ამ ქოქოსის ფიალას მარილ-წყლით გაგივსებ და დაგალევინებ! კანონის ერთ-ერთი მუხლით სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ ამისთანა შემთხვევებში.

ამდენმა შეგონებამ და მუქარამ გაჭრა: ჩემი ყოფილი თანამგზავრი (მე უკვე დავრწმუნდი, რომ სწორედ ის იყო სამართლის მთხოვნელი) წამოდგა და ისეთი ხმით დაიწყო სიმღერა, გეგონებოდათ ეშაფოტზე აიყვანეს და სიკვდილის წინ ფსალმუნს გალობსო. აი, ეს ნაღვლიანი სიმღერაც:

ყური მიგდეთ, მოძმენო, აქ შემოკრბით ყველანი
მსურს გაგაცნოთ ყაჩაღი - თავხედი და ვერანი:
„- ჩქარა ფული მომეცი, არ დაიწყო ტარტალი!“-
გააჩერა ქუჩაში კაცი ალალ-მართალი.
ფულს ცინცლავდა მოპოვებულს დაგვითა და წვით
თან უსტვენდა თავხედურად: ფშვიტ, ფშვიტ, ფშვიტ...
დამბაჩა და ხმალი ერტყა, იდგა როგორც ბელადი,
უფრო გალამაზდებოდა კოხტა სახრჩობელათი...

ამ ყაჩაღმა კენსინგტონის და ბრენტფორდის შუაში
ექვსი კაცი რომ შენიშნა, არ დაუჯდა ჭკუაში.
მაინც მკვირცხლად შეუძახა ვაჟკაცური ხმით,
თან უსტვენდა თავხედურად: ფშვიტ, ფშვიტ, ფშვიტ.
საწყლებს ღვინო დაელიათ, პინტი ღვინო თავისთვის,
მოდიოდნენ ბრენტფორდიდან, სად ეცალათ დავისთვის.
გზად ყაჩაღი გადაუდგათ, წაუმწარდათ სადილი,
„ ჩქარა ფული! უსირცხვილოდ ამცნო გულისწადილი,-
თორემ ოხრად გარწყევინებთ, რაც ჭამეთ და სვით...“
თან უსტვენდა თავხედურად: ფშვიტ, ფშვიტ, ფშვიტ...

ლოდინი მომბეზრდა, თანაც მეუხერხულა, რომ კართან ვიდექი და ვაყურადებდი. სწორედ იმ დროს, როცა ჩემი ძველი მეგობარი მორისი თავისი ნაღვლიანი ბალადის მეხუთე სტროფს შესდგომოდა, კარი შევაღე და საზოგადოებას წარვუდექი. მომღერალი ისე დააფრთხო ჩემმა დანახვამ, რომ მის სიმღერაში მოხსენიებული პატიოსანი მოგზაურის შიში მონაგონი იყო. არც გამკვირვებია, რადგან მორისს მე ისეთივე საეჭვო პიროვნებად მივაჩნდი, როგორიც მისი სიმღერის გმირი იყო. მას ხმა ჩაუწყდა, პირი ღია დარჩა და ისე გაქვავდა, თითქოს ხელში გორგონას[99] თავი მეჭირა.

მოსამართლე აქამდე თვალმილულული რომ უსმენდა სიმღერას, სიჩუმის ჩამოვარდნისას გამოფხიზლდა, წელში გასწორდა და გაოცებული მომაშტერდა. ის კაციც, რომელიც გარეგნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ნამდვილად მდივანი უნდა ყოფილიყო, აწრიალდა. იგი მორისის პირდაპირ იჯდა და ამ „პატიოსანი ჯენტლმენის“ შიში გადაედო, თუმცა საამისო საბაბი არ ჰქონდა, რადგანაც პირველად მხედავდა.

სიჩუმე პირველად მე დავარღვიე.

- მე ფრენსის ოსბალდისტონი ვარ, მისტერ ინგლვუდ. გადმომცეს, რომ თქვენთან საჩივარია შემოსული, ვიღაც არამზადა მძარცველობაში მდებს ბრალს.

- ამისთანა საქმეებს მე სადილის შემდეგ ხელს არ ვკიდებ, სერ, - ბრაზიანად მითხრა მოსამართლემ, - ყველაფერს თავისი დრო აქვს. მომრიგებელი მოსამართლეც ადამიანია და შიმშილით თავს ვერ მოიკლავს.

მისტერ ინგლვუდის გაჟინჟღილებული სახე აშკარად მეტყველებდა, რომ მისი პატრონი დიდად არც მარხულობით იკლავდა თავს და არც ჯაფით.

- ბოდიშს ვიხდი, რომ უდროო დროს შემოგეჭერით, მაგრამ ჩირქი მომცხეს... თანაც, მგონი უკვე დაამთავრეთ სერობა და...

- ჯერ არ დამიმთავრებია, სერ. ერთი-ორი უნდა დავისვენო, ვიმასლაათო, ცოტა ღვინო უნდა დავაყოლო, თორემ საჭმელი არ შემერგება.

- მაპატიეთ, ბატონო მოსამართლევ, - ჩამოგვერია ლაპარაკში მისტერ ჯობსონი, რომელიც უკვე საწერ-კალმითა და მელნით შეიარაღებულიყო, - რადგან ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და ამ ჯენტლმენს, როგორც ჩანს, სურს რაც შეიძლება მალე გაირკვეს სიმართლე და რადგან ბრალდება შეიძლება მივაკუთვნოთ Contra pacem domini regis…[100]

- ჭირმა წაიღოს domini regis! - გაცეცხლდა მოსამართლე, - იქნებ ეს სიტყვებიც სახელმწიფო ღალატად ჩამითვალო, მაგრამ მე მეტის ატანა აღარ შემიძლია. ერთი წუთით არ უნდა მოისვენოს კაცმა?! ყელში ამომივიდა ეს დაპატიმრებები, ბრძანებები, საბრალდებო ოქმები, დაკითხვები, დასკვნები. გულახდილად გეუბნები მისტერ ჯობსონ, რომ ერთ დღეს ამ მოსამართლის მოსასხამსა და შენ ჯანდაბის იქით გაგაგზავნით.

- ბატონმა მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ რა საპატიოა თანამდებობა, რომლის შემსრულებელი წარმოად-

გენს quorum[101]-ს და custos rotulorum[102]-ს. თანამდებობა, რომელზედაც სერ ედუარდ[103] ქოუკმა ბრძნულად თქვა: „ ქრისტიანულ სამყაროში არ არის არაფერი მისი შესადარი და ამიტომ პიროვნება, რომელსაც იგი უჭირავს, ყოველნაირად უნდა ცდილობდეს კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობაო“.

- კარგი, - თქვა მისი თანამდებობის შექებით ნასიამოვნებმა მოსამართლემ და ვეება ჭიქას წაეტანა, რომ გაფიცხებული გული ღვინით გაეგრილებინა. დავიწყოთ ამ საქმის გარჩევა და, რაც შეიძლება, მალე მოვრჩეთ. აბა ერთი მითხარით, ბატონი, თქვენ გეკითხებით, მორის, დიახ თქვენ მწუხარე სახის რაინდო ადასტურებთ, რომ ფრენსის ოსბალდისტონი და ის ჯენტლმენი, რომელსაც თქვენ გაძარცვაში ადანაშაულებთ, ერთი და იგივე პიროვნებაა?

- მე მეკითხებით, ბატონო? - ამოიკნავლა შეშინებულმა და დაბნეულმა მორისმა, - მე არავის ვადანაშაულებ, მე არაფერი მითქვამს ამ ჯენტლმენის წინააღმდეგ.

- თუ ასეა, თქვენი საქმე შეიძლება მოსპობილად ჩაითვალოს. მორჩა და გათავდა. არც დავა დაგვჭირდა არც ჩხუბი. ბოთლი დაიდგით, მისტერ ოსბალდისტონ და ღვინო მიირთვით.

მაგრამ ჯობსონს, როგორც ჩანს, არ სურდა, რომ მორისი ასე უდავიდარაბოდ გამომძვრალიყო ამ საქმიდან.

- ეგ როგორ მისტერ მორის?! აი თქვენი ხელით დაწერილი საჩივარი, მელანი ჯერაც არ შემშრალა ზედ და უკვე უარს ამბობთ?! სირცხვილი არ არის?!

- აბა რა ვიცი რამდენი ყაჩაღია ჩასაფრებული ამ სახლში, - დაიჩურჩულა მორისმა, - ამისთანა ამბები მრავლადაა ჯობსონის „ყაჩაღების ცხოვრებაში“. ერთიც ვნახოთ გაიღოს კარი და...

მართლაც გაიღო კარი და ოთახში დიანა ვერნონი შემოვიდა.

- შესანიშნავი წესრიგი გქონიათ სახლში, ბატონო მოსამართლევ, - შემოილაპარაკა დიანამ, - სანთლით რომ ეძებო, ერთ მსახურსაც ვერ იპოვი.

- ოო, - წამოიძახა მოსამართლემ და სწრაფად წამოდგა ფეხზე, რომ დიანას შეგებებოდა. აშკარა იყო თემიდასა[104] და კომოსის[105] სამსახურს ჯერ ისე არ დაემძიმებინა, რომ მშვენიერებისათვის თავისი არ მიეზღო, - აი, დი ვერნონიც - ჩივიოტის[106] ნაზი ყვავილი, ორი ქვეყნის საზღვარზე ამოხეთქილი თოთო კვირტი! მარტოხელა კაცის საცოდავი სახლის დასათვალიერებლად მობრძანდით, არა? მობრძანდი, როგორც მაისის ვარდი, ჩემო გოგონავ!

- დიდებული, სტუმართმოყვარე სახლი გაქვთ, ბატონო მოსამართლევ, მაგრამ სტუმრის შემომპატიჟებელი არავინ გყოლიათ.

- ოჰ, ეგ გაიძვერები! დრო იხელთეს. იციან, რომ ერთი-ორ საათს არ დავუძახებ. ნეტავი ადრე მობრძანებულიყავით! თქვენმა ბიძაშვილმა რეშლიმ ისადილა ჩემთან და პირველი ბოთლი რომ გამოვცალეთ, კურდღელივით მოუსვა. თქვენ უსადილო იქნებით. ახლავე რაიმეს მოვძებნით, რაიმე მსუბუქს, თქვენსავით ტკბილსა და ნაზს. აი, ვუბრძანებ ახლავე მოგვიმზადებენ.

- აქ შემოსვლამდე გამხმარი პურის ნატეხს ვნატრობდი. მე ხომ დილიდან ცხენს დავაჭენებ. დიდხანს კი ვერ მოვიცდი, ბატონო მოსამართლევ. ბიძაშვილს მოვყევი, ფრენკ ოსბალდისტონს, და შინაც მე უნდა მივიყვანო, თორემ ჩვენ მინდვრებსა და ველებში გზა დაებნევა.

- ოჰო! აი, თურმე რა ყოფილა! - წამოიძახა მოსამართლემ და დაიღიღინა:

ქალი წამოდგა, ქალი წარუძღვა, ქალმა ყველაფრის ახსნა ინება, -

რა გზით იაროს, რომ არ გაჭირდეს მასთან შეყრა და დაქორწინება.

მაშასადამე, ჩვენ ბებრები გვერდზე უნდა გადავდგეთ, ჩემო მინდვრის შროშანო, არა? არავითარი იმედი აღარ ვიქონიოთ?

- არავითარი, მაგრამ თუ სიკეთეს იზამთ, სწრაფად განიხილავთ ფრენკის საქმეს და შინ გაგვიშვებთ, იმ კვირას ბიძას გასტუმრებთ სადილად და კარგად ვიქეიფებთ.

- ასეც მოვიქცევი, ტაიტის მარგალიტო. იცი, ჩემო გოგონავ, არასოდეს შევნატროდი იმ ჭაბუკებს, კისრისტეხით რომ მიაჭენებენ ცხენებს, მაგრამ თქვენ რომ დაგინახავთ, ლამის გავგიჟდე! თუმცა გეჩქარებათ, მე კი გაყოვნებთ. სავსებით საკმარისად მიმაჩნია მისტერ ფრენკ ოსბალდისტონის ახსნა-განმარტება. აქ რაღაც შეცდომა ყოფილა, რომელსაც გამოვასწორებთ. მოვიცლით და გამოვასწორებთ.

- მაპატიეთ, სერ, - მივმართე მოსამართლეს, - მე ჯერაც არ ვიცი, რაში მდებენ ბრალს.

- დიახ, სერ, - ჩამოგვერია ლაპარაკში მდივანი, რომელმაც მის ვერნონის გამოჩენისას ალბათ უკვე გადაიწყვიტა იმედი, რომ ამ საქმიდან რამეს გამოადნობდა, მაგრამ, როცა მოულოდნელად ასეთი ხელჩასაჭიდი იპოვა, გადაწყვიტა კვლავ გაეგრძელებინა შეტევა, - დიახ, სერ, დალტონი ამბობდა: „თუ ვინმეს ბრალი ედება დანაშაულში, იგი არ შეიძლება განთავისუფლდეს ვინმეს შუამდგომლობით, არამედ შეიძლება განთავისუფლდეს თავდებში ან უნდა აყვანილი იქნას პატიმრობაში. ამასთან მან უნდა გადაუხადოს მომრიგებელი მოსამართლის მდივანს დადგენილი თანხა, როგორც პირველ ასევე მეორე შემთხვევაში“.

მოსამართლე იძულებული გახდა, ორიოდე სიტყვით მაინც გადმოეცა საქმის შინაარსი.

როგორც ჩანს, მორისზე უმოქმედია ჩემს ოინებს, რადგან ჩვენებაში სულ ამაზე იყო ლაპარაკი, თანაც იმ აღგზნებულ დამფრთხალ ადამიანს ყველაფერი გაეზვიადებინა. თურმე იმ დღეს, ერთმანეთს რომ დავშორდით, ორი კბილებამდე შეიარაღებული ნიღბიანი ცხენოსანი დახვედრია ერთ უდაბურ ადგილას და განუყრელ ჩემოდანზე ხელი აუღებინებიათ. ერთ-ერთი თავდამსხმელი მე მგვანებია იერითა და ქცევით და როცა ყაჩაღები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, თურმე მორისმა გაიგონა რომ ერთმა მეორეს ოსბალდისტონი უწოდა. საჩივრის დანარჩენი ნაწილი ჩვენი გვარის ლანძღვა-გინებას ეჭირა. დაზარალებულს მოუკრეფია ცნობები და დაუდგენია, რომ ოსბალდისტონი ყველაზე საშინელი გვარი იყო, რომ მისი ყველა წარმომადგენელი ვილჰელმ დამპყრობლის დროიდან პაპისტად და იაკობისტად ითვლებოდა. თურმე ასე უთქვამს დისიდენტ მღვდელს, რომლის სახლშიც გაუთევია ღამე მორისს გაძარცვის შემდეგ. ყოველივე ეს მაძიებელს იმის აშკარა დამადასტურებელ საბუთად მიაჩნდა, რომ მე მონაწილე ვიყავი იმ დანაშაულისა, რომელიც მის მიმართ იქნა ჩადენილი მაშინ, როცა ზემოთხსენებული მაძიებელი მოგზაურობდა სახელმწიფოს საგანგებო დავალებით და თან მიჰქონდა ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საბუთები და დიდი თანხა, ერთიცა და მეორეც შოტლანდიაში უნდა გადაეცა ინგლისის მთავრობის ნდობითა და პატივისცემით აღჭურვილ რამდენიმე პიროვნებისათვის.

ეს უცნაური ბრალდება რომ მოვისმინე, განვაცხადე, რომ სასამართლო და სამოქალაქო ხელისუფლებას არა აქვს საფუძველი ჩემს დასაპატიმრებლად, რადგან სამხილი, რომელზედაც ბრალდებაა აგებული აშკარად არა საკმარისია-მეთქი. მე ვაღიარე, რომ მართლაც, სანამ ერთად ვმოგზაურობდით ცოტათი ვაშინებდი მისტერ მორისს, მაგრამ მასზე ოდნავ უფრო მამაც ადა-

მიანს ასეთი დაშინება სასაცილოდაც არ ეყოფოდა და ჩემს ლა-პარაკს ყურს არ ათხოვებდა-მეთქი.

შემდეგ დავძინე, რომ მისტერ მორისს პირველად ვხედავდი იმის შემდეგ, რაც ჩვენი გზები გაიყო. თუ მას მართლა შეემთხვა ის უბედურება, რომელსაც ყოველ წუთში გულის კანკალით მო-ელოდა, ამაში ჩემი ხელი არ ურევია, სრულიად წარმოუდგენე-ლია, რომ ჩემი შეხედულებებისა და საზოგადოებრივი მდგომა-რეობის ადამიანმა ასეთი უგვანო საქმე ჩაიდინოს. ის მტკიცება, რომ თითქოსდა ერთ-ერთი ყაჩაღი ოსბალდისტონი იყო და ეს გვარი მისტერ მორისმა ყაჩაღების საუბრისას გაიგონა მტკნარ სი-სულელედ და უსირცხვილო მონაჭორად გამოვაცხადე და დავძი-ნე: „რაც შეეხება ბრალდებას, თითქოს მე მეფე იაკობისა და პა-პის მომხრე ვიყო, მზადა ვარ დავუმტკიცო პატივცემულ მოსამარ-თლეს, მის მდივანს და თუნდაც თვითონ მომჩივანს, რომ მე იმავე რელიგიას ვაღიარებ, რომელსაც ის ვიღაც დისიდენტი პასტორი ემსახურება, აღზრდილი ვარ რევოლუციის სულისკვეთებით, ვარ მეფის ერთგული ქვეშევრდომი და მოვითხოვ დიადი გადატრია-ლების მიერ ნაბოძები მოწყალების - პირადი ხელშეუხებლობის კანონის გატარებას“.

მოსამართლე აწრიალდა, ბურნუთი შეიყარა ცხვირში, მერე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ისე იყო დაბნეული, რომ სათ-ქმელს თავი ვეღარ მოაბა. ბატონი მდივანი კი, როგორც მისი ხე-ლობის კაცს ხამდა, ენად გაიკრიბა და დაწვრილებით გაგვაცნო ედუარდ III კანონები 34-ე მუხლი, რომლის თანახმად მომრიგე-ბელ მოსამართლეს უფლება აქვს დააპატიმროს დანაშაულში ეჭ-ვმიტანილი პიროვნება. იმ გაიძვერამ ჩემი ჩვენება გამოიყენა და მითხრა, ისევ თქვენი ბრალია, რომ მისტერ მორისი ხელს გა-დებთ, რადგან, როგორც უკვე აღიარეთ, ყაჩაღივით იქცეოდით და საბაბი მიეცით, სწორედ თქვენ მიეჩნიეთ გაძარცვის ერთ-ერთ მონაწილედო.

ბრალდება კვალავ გულისწყრომით უარვყავი, ჯობსონის იკ-ლიკანტური მსჯელობა სასაცილოდ ავიგდე და დავსძინე, თუ საჭირო იქნება, ჩემი ნათესავები თავდებად დამიდგებიან, ამის უფლება მაქვს და მოსამართლე უარს ვერ მეტყვის-მეთქი.

- ბოდიშს ვიხდი ჩემო ძვირფასო, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან შემცდარი ბრძანდებით, - შემაწყვეტინა ხარბმა მდივანმა, - ეს ისეთი საქმეა, როდესაც კანონი კრძალავს თავდებობას და საწინდარს. დამნაშავე, რომელსაც მძიმე ბრალდება აქვს წაყენებული, მეფე ედუარდის კოდექსის მესამე მუხლით, არ შეიძლება განთავისუფლებული იქნას თავდებობით. ამასთან, კოდექსში ყურადღება გამახვილებულია იმ პირებზე, რომელთაც ბრალი ედებათ ძარცვაში, ძარცვის მცდელობაში ან ძარცვის ხელშეწყობაში. პატივცემულ მოსამართლეს კარგად მოეხსენება, რომ ასეთ პირების გათავისუფლება არ შეიძლება არც სიტყვიერი და არც წერილობითი თავდებობით..

ლაპარაკი მსახურის შემოსვლამ შეგვაწყვეტინა. მან რაღაც წერილი გადასცა მისტერ ჯობსონს. ჯობსონმა თვალი გადაავლო თუ არა წერილს, შეიჭმუხნა და თავი გადააქნია, ვითომდა იმდენი მნიშვნელოვანი საქმე მაწევს კისერზე და აღარ ვიცი რომელს ვეცეო დ აწუწუნდა:

- ღმერთო დიდებულო! ასე ხომ ვერც სახელმწიფო ინტერესებს დავიცავ და ვერც ჩემსას, ერთი წუთი მოცალება არ უნდა მქონდეს?! დასვენება არ მინდა?! ნეტავი ერთი კაციც შეგვაშველონ!

- ღმერთმა დაგვიფაროს! - ჩაიდუდუნა მოსამართლემ, - შენ ერთიც გვყოფნი და კიდევ რომ გამოგზავნონ ვინმე...

- უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა!

- ღვთის გულისათვის მითხარით, სასამართლო საქმე ხომ არ არის?! - იკითხა შეშფოთებულმა მოსამართლემ.

- არა, არა, - დაამშვიდა მისტერ ჯობსონმა, მერე კიდევ უფრო გაიბღინძა და დასძინა, - მოხუცი რუჯლეტი, გრაიმზჰილზე რომ ცხოვრობს, იმქვეყნად მიემგზავრება. ერთი კაცი ექიმ კილ-დაუნ-თან[107] გაუგზავნია, ალბათ უნდა, რომ მისი თავდებობა წარადგინოს ზეცაში, მეორე კი ჩემთან, რომ მისი მიწიერი საქმეები მოვაწესრიგო.

- მაშინ, ნუღარ ზოზინობთ, - ააჩქარა მისტერ ინგლვუდმა, - ეს ისეთი საქმეა, რომელიც კანონების კოდექს არ ემორჩილება, შეიძლება უზენაესმა მოსამართლემ, სიკვდილმა, არც კი მოინდომოს ექიმის დახმარება.

მისტერ ჯობსონი კარისკენ გაიქცა, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა და კვლავ ჩვენკენ შემობრუნდა:

- მართალია, მაგრამ აქაც რომ საჭირო ვარ? მე ახლავე შემიძლია დაპატიმრების ბრძანება შევადგინო. კონსტებლიც[108] აქ არის. მისტერ რეშლის ნათქვამი ხომ გახსოვთ? - შემდეგ კიდევ რაღაც უთხრა მოსამართლეს მაგრამ ისე ხმადაბლა რომ ვეღარ გავიგონე.

- გითხარი, ადამიანო, არა-მეთქი, - ხმამაღლა უპასუხა მოსამართლემ, - შენს მოსვლამდე ხელს არ გავანძრევთ, სულ რაღაც ოთხი მილი არა გაქვთ გასავლელი? აბა ეს ბოთლი მომაწოდეთ, მისტერ მორის! ცხვირი ნუ ჩამოუშვით, მისტერ ოსბალდისტონ, თქვენ კი, უდაბნოს მშვენებავ და სიხარულო, ერთი ჭიქა კლარეტი კიდევ უფრო აგიყირმიზებდათ მაგ ლამაზ ღაწვებს.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ჩვენ ვკამათობდით დიანა ჩაფიქრებული იყო და თითქოს, არც გვისმენდა. ახლა მისტერ ინგლვუდის სიტყვებზე გამოფხიზლდა და მიუგო.

- არა, პატივცემულო მოსამართლევ, არ მინდა. ვაითუ ღაწვების ნაცვლად სახის სხვა ნაწილი შემიწითლდეს და გალამაზების ნაცვლად დამაუშნოვოს. აი, რამე გამაგრილებელს კი სიამოვნებით გეახლებით. - მან წყლით გაივსო ჭიქა და სწრაფად დალია.

დიანა გულით ცდილობდა მხიარული გვჩვენებოდა, მაგრამ კაცი თუ დააკვირდებოდა, მიხვდებოდა, რომ ძალზე შეწუხებული იყო.

თუმცა სად მქონდა დაკვირვების თავი - მისტერ ჯობსონს გულით უნდოდა მაშინვე გამოეძიებინა საქმე. მე მთელი ძალ-ღონით ვცდილობდი ეს საზიზღარი ბრალდება ამეცილებინა თავიდან და მართლმსაჯულების გაუვალ ლაბირინთებიდან გამოვსულიყავი, მაგრამ მოსამართლე ვერ დავითანხმე, რომ ჯობსონის დაბრუნებამდე განეხილა ჩემი საქმე. მისმა წასვლამ ისე გაახარა, თითქოს მოწაფეა და გაკვეთილი უცდებაო.

მისტერ ინგლვუდი ძალიან ცდილობდა გავემხიარულებინეთ, მაგრამ მისი გული არც ერთს არ გვქონდა: ზოგს საკუთარი თავი გასჭირვებოდა, ზოგი კი სხვის გაჭირვებას შეეწუხებინა.

- გეყოფათ, უფალო მორის, თქვენს მეტი არავინ გაუძარცვავთ? არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი იქნებით. ახლა თავიც რომ მოიკლათ, უკან ვეღარ დააბრუნებთ თქვენს ქონებას. არც თქვენა ხართ, მისტერ ფრენკ ოსბალდისტონ პირველი მამლაყინწა, რომელმაც პატიოსანი ხალხის ძარცვით შედგა ფეხი ცხოვრებაში. ჩემს ჯეელობაში ერთი ჯეკ უინტერფილდი იყო, დოღი გინდოდა, მამლების ჩხუბი თუ რა, ბადალი არა ჰყავდა ამ მხარეში. განუყრელი მეგობრები ვიყავით, ერთი ეგ ბოთლი აქეთ გადმოდგით, მისტერ მორის, თორემ ყელი თუ გამიშრა, ვეღარაფერს გიმბობთ. რამდენი გვიქეიფია ერთად, რამდენი სანაძლეო მოგვიგია... ეჰ, საწყალი ბიჭი... კარგი ოჯახის შვილი იყო, ისეთი ხუმარა, ისეთი, რომ... ჭკვიანი, პატიოსანი... ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი სიკვდილი ელოდა და... ეს მისი ხსოვნა იყოს, ბატონებო! საცოდავი ჯეკ უინტერფილდისა, რადგან გავიხსენეთ და რადგან ასეთ საქმეებზე ჩამოვარდა და კიდევ იმიტომ, რომ ეს წყეული მდივანი თავის საქმეებზე წაბრძანდა, ჩვენ კი აქა ვსხედვართ და ტკბილად ვჭუკჭუკებთ. მოდი, ერთ რჩევას მოგცემთ მისტერ ოსბალდისტონ: ამისთანა საქმეებზე ხელი აიღეთ. კანონი მკაცრია,

მეტისმეტად მკაცრი! ჩამოახრჩვეს საბრალო ჯეკ უინტერფილდი, იორკში ჩამოახრჩვეს, ვერც ოჯახისშვილობამ უშველა, ვერც ნათესავ-მეგობრების ჩალიჩმა, და იცით, რაზე? ვიღაც გასიებულ ჩოდარს, დასავლეთიდან რომ ჩამოსულიყო სავაჭროდ, ხუთიოდე ხარის საფასური წაართვა. ხომ ხედავთ, რა დღეშია ეს პატიოსანი კაცი, მისტერ ოსბალდისტონ, შიშისაგან ფერი აღარ ადევს. ჰოდა, კმარა, დაუბრუნეთ თავისი ჩემოდანი და ეს მასხარაობაც მოთავდება!

მორისს სიხარულით გაუბრწყინდა თვალები და მაშინვე ბორძიკით დაიწყო, მე არავის სისხლში არ მინდა გავერიოო... მაგრამ მაშინვე გადავუწყვიტე მორიგების ყოველგვარი იმედი. მტკიცედ განვაცხადე, ფრიად შეურაცხყოფილი ვარ მოსამართლის წინადადებით, რადგან ამ წინადადებიდან ჩანს, რომ იგი ბრალს მდებს დანაშაულში, რომელიც არ ჩამიდენია და სწორედ იმიტომა ვარ მოსული მის სახლში, რომ ჩემი სიმართლე დავამტკიცომეთქი! ოთახში უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა. უეცრად კარი გაიღო და მსახურმა შემოიხედა:

- ვიღაც უცნობ კაცს თქვენი ნახვა სურს, პატივცემულო მოსამართლევ!

ამის თქმა იყო და იმ ვიღაც უცნობმა მოურიდებლად შემოალაჯა ოთახში.

თავი IX

უკან ბრუნდება ქურდი ხელახლა... ახლოს მივდგები, მოდის ვაიმე!

რაკი ამ ხალხთან ასე ახლოს ვარ, არა მგონია მავნოს რაიმე.

მოიპარება... დროა, ავყვირდე, მაგრამ ყვირილი ლაჩრის წესია,

ვიდრე რაიმეს დააშავებდეს, ხმა არ გავიღო, უმჯობესია.

„ქვრივი“

- უცნობი? - შეშფოთდა მოსამართლე.- იმედია, იმედია საქმეზე არ არის მოსული. მე ახლა ხომ...

მაგრამ უცნობმა სიტყვა აღარ დაამთავრებინა:

- ჩემი საქმე ცოტა არ იყოს, რთული და განსაკუთრებულია, - თქვა ჩემმა ძველმა ნაცნობმა მისტერ კემპბელმა. დიახ, სტუმარი სწორედ ის შოტლანდიელი იყო, ნორთალერტონში რომ გავიცანი,- სწორედ ამიტომ პატივცემულო მოსამართლევ, გთხოვთ, მომეტებული ყურადღებითა და დაკვირვებით განიხილოთ იგი. - შემდეგ იგი მრისხანედ მიაჩერდა ბატონ მორისს და დასძინა:

- დარწმუნებული ვარ, მისტერ მორისს, სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ მიცანით და რომ ყველაფერი კარგად გახსოვთ, რაც ჩვენი განშორების წინ მოხდა იმ შარაგზაზე.

მორისი ზაფრანასავით გაყვითლდა და ისე აკანკალდა, რომ კბილის კბილზე დაცემინების ხმა გავიგონე. ასე შეშინებული კაცი ჩემს დღეში არ მენახა.

- აბა, აბა, ეგენი არ იყო, ძვირფასო! გული გაიმაგრე და ცხროიანივით ნუ აკაპუნებ კბილებს! რა დიდი საქმე შენა გაქვს გასაკეთებელი? ბატონ მოსამართლეს უნდა მოახსენო, რომ ადრე შევხვედრილვართ ერთმანეთს და კარგა იცი, რომ შეძლებული და წესიერი ადამიანი ვარ. ეგ არის და ეგ. შენ ხომ კარგად იცი, ერთხანს ჩემს მახლობლად რომ მოგიხდება ყოფნა. ჰოდა, მეც ვალში არ დაგრჩები და, როგორც კი მოვახერხებ, სიკეთეს გადაგიხდი.

- დიახ ბატონო, დიახ... მართალი ბრძანდებით. მე ნამდვილად წესიერ და, როგორც თქვენ თქვით, შეძლებულ ადამიანად მიმაჩნიხართ, - მორისმა ხმა ჩაიწმინდა და ახლა მოსამართლეს მიუბრუნდა,- დიახ მისტერ ინგლვუდ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჯენტლმენი სწორდ ასეთა.

- კი მაგრამ ჩემთან რა საქმე აქვს ამ ჯენტლმენს? - იკითხა გაბრაზებულმა მოსამართლემ, - ერთი მოდის, მეორე მოსდევს, თითქოს ლექსის რითმებიაო, აი იმ ლექსის რითმები „ჯეკმა რომ სახლი ააშენა[109]“, მე კი არც ჭამას მაცდიან და არც საუბარს.

- სულ ცოტა ხანში ორივე საქმისათვის მოიცლით, სერ, - დაამშვიდა კემპბელმა, - განა იმიტომ მოვედი რომ სამუშაო მოგიმატოთ? მე მინდა ერთი დახლართული საჩივრისაგან გაგანთავისუფლოთ.

- რას ამბობთ? მაშინ სასურველი სტუმარი ყოფილხართ, შოტლანდიელების სტუმრობა დიდად არ ეპიტნავებათ ხოლმე ინგლისში, მაგრამ ამჯერად ძალიან მიხარია თქვენი მოსვლა. მოდი, პირდაპირ საქმეზე გადავიდე! აბა, დაიწყეთ და მოკლედ მითხარით რა გინდათ!

- ეჭვი არ მეპარება, ამ ჯენტლმენმა მოგახსენათ, რომ მაშინ, როცა უბედურება შეემთხვა და თავის ჩემოდანს გამოეთხოვა. თან ვინმე კემპბელი ახლდა.

- მას მსგავსი არაფერი უთქვამს. ეგ გვარი ერთხელაც არ უხსენებია, - უპასუხა მოსამართლემ.

- აჰა, გასაგებია! მივხვდი რატომ არ მახსენა. მისტერ მორისმა კეთილშობილება გამოიჩინა და გადაწყვიტა, უცხოელი ამ სადავიდარაბო საქმეში არ გაეხვია. მაგრამ როცა გავიგე, რომ ჩემი ჩვენება აუცილებელი იყო ერთი პატიოსანი ჯენტლმენის, მისტერ ფრენსის ოსბალდისტონის გასამართლებლად, რომელზედაც სრულიად უსაფუძვლოდ მიიტანეს ეჭვი, აღარაფერს დავერიდე და აქ მოვედი. - კემპბელმა კვლავ თვალი თვალში გაუყარა მორისს და განაგრძო: - თუ შეიძლება უთხარი მოსამართლე ინგლვუდს, რომ ჩვენ რამდენიმე მილის მანძილზე ერთად ვიმგზავრეთ, რადგან შენ დაჟინებით მთხოვე იმ საღამოს ნორთალერტონში რომ შევხვდით ერთმანეთს, ერთად ვიმგზავროთო. მაშინ უარი გითხარით ამაზე, მერე კი, ქლობერი ალეასთან რომ წამოგეწიე, დამიყოლიე. მე გადავიფიქრე როტბერიში წასვლა და ჩემდა საუბედუროდ შენ დაგემგზავრე.

- ყოველივე ეს სამწუხარო ჭეშმარიტებაა, - დაუდასტურა მორისმა, როგორც კი კემპბელმა კარნახი დაამთავრა. მანამდე კი მორჩილად უქნევდა თავს, აქაოდა ყველაფერი, რასაც ამბობ, ეგრე იყოო.

- იმედი მაქვს, ფიცით დაუდასტურებ პატივცემულ მოსამართლეს, რომ ჩემზე უკეთესი მოწმე არავინ გეგულება, რადგან სულ შენს გვერდით ვიყავი და ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა.

- რაღა თქმა უნდა, ყველაზე უკეთესად იცით ჩემი ამბავი, - ჩაილაპარაკა მორისმა და ღრმად ამოიხვნეშა.

- ეშმაკმა დალახვროს! თუ ასე იყო, რატომ არ მიეშველეთ, - გაბრაზდა მოსამართლე, - მისტერ მორისის თქმით, მხოლოდ ორი კაცი დაგსხმიათ თავს. თქვენც ორნი იყავით და ღვთის მადლით ორივენი კარგა ზორბა ვაჟკაცები ხართ.

- ბატონო ჩემო, დიდად პატივცემულო მოსამართლევ! უნდა მოგახსენოთ, რომ მე ერთი წყნარი კაცი ვარ და ჩემს დღეში არ გავრეულვარ ჩხუბსა და აყალმაყალში. აი მისტერ მორისს კი უნდა გამოეღო ხელი: ის ხომ, როგორც შევიტყვე, მეფის არმიის ჯარისკაცია და თანაც მგონი, დიდძალი თანხა მოჰქონდა. ჩემთვის კი აბა რა უნდა წაერთმიათ, მე საწყალი კაცი ვარ და სულ არ მინდოდა, საფრთხეში ჩამეგდო ჩემი სიცოცხლე.

კემპბელის მრისხანე სახეს თვალი შევავლე და კინაღამ გამეცინა: მივხვდი, რომ განგებ ისაწყლებდა თავს. დროდადრო ზიზღით იღიმებოდა, თითქოს თვითონვე დასცინოდა იმ საწყალ კაცს, რომელსაც საფრთხეში არ უნდოდა ჩაეგდო სიცოცხლე. ამ ღიმილმა უცნაური ეჭვი აღმიძრა - უკვე აღარ მჯეროდა, რომ კემპბელი მორისის უბედურების უბრალო მონაწილე და მაყურებელი იყო. ეტყობა, მოსამართლეც დაეჭვდა, რადგან თავი გადააქნია და ჩაიდუდუნა, რაღაც უცნაური ამბავიაო.

შოტლანდიელმა საფრთხე იყნოსა - მიხვდა, რომ მოსამართლეს ეჭვი შეეპარა მისი ნაამბობის სიმართლეში, მაშინვე მოიშორა საწყალი კაცის ნიღაბი და უფრო მტკიცედ და გულახდილად ალაპარაკდა:

- სიმართლე თუ გინდათ, მე არც ჩხუბზე დავიხევ უკან, თუ საქმე საქმეზე მიდგება, ოღონდ უნდა ვიცოდე, რისთვის ვჩხუბობ, მაშინ, ის არამზადები რომ დაგვესხნენ თავს, მე არაფერი მქონდა საჩხუბარი. ისე კი წესიერ და პატიოსან კაცად მიცნობენ და ამაში, პატივცემულო მოსამართლევ, თავად დარწმუნდებით, თუ ამ საბუთს გადაავლებთ თვალს.

მისტერ ინგლვუდმა ქაღალდი გამოართვა და ბუტბუტით ჩაიკითხა:

„ვადასტურებ, რომ ამის წარმომდგენი, რობერტ კემპბელი, მცხოვრები...-მცხოვრები რომელიღაც ადგილას, რომლის გა-

მოთქმას მე ვერ მოვახერხებ, - ჩაურთო მოსამართლემ, - წარმოშობით კეთილშობილი, არის მშვიდობიანი ადამიანი და მიემგზავრება ინგლისში თავის საკუთარ საქმეებზე და ასე შემდეგ... დაიწერა ჩვენი სახელით, ჩვენს ციხე-დარბაზში, ინვერ... ინვერა... რარაში“.

არგაილი.

- უბრალო მოწმობაა, სერ, როცა წამოსვლა დავაპირე მაშინ გადავწყვიტე გამომერთმია ამ ღირსეული ბატონისათვის (მან ხელი ასწია, თითქოს ქუდზე უნდოდა მიედო). მაკკოლუმ მორზე მოგახსენებთ...

- მაკ-კოლუმ... მერე როგორა თქვით, სერ? ვინ არის?

- ის, ვისაც სამხრეთელები არგაილის ჰერცოგს უწოდებენ.

- არგაილის ჰერცოგს კარგად ვიცნობ. ფრიად პატივცემული და ღირსეული დიდებულია და მხურვალედ უყვარს თავისი ქვეყანა. მეც მისი მომხრე ვიყავი 1714 წელს, როცა მალბოროს ჰერცოგს მთავარსარდლობა წაართვა.[110] ნეტავი ბევრი გვყავდეს მაგისთანა. მაშინ სულით და გულით ტორი იყო, ორმონდის მეგობარი და მარჯვენა ხელი. ახლა, ჩემი არ იყოს, იმიტომ ემსახურება მთავრობას რომ თავის ქვეყანას დაეხმაროს. ზოგი გულფიცხი იმასაც ამბობდა, შეეშინდა, მიწები და ჯარი არ წამართვანო, და ამიტომ მიემხროო, მაგრამ მე არ მჯერა, რომ ასეთ დიდ ადამიანს ამისი შეეშინდებოდა. მისი ხელმოწერილი მოწმობა, მისტერ კემპბელ, სავსებით საკმარისია. ახლა კი, მიამბეთ იმ თავდასხმის ამბავი. აბა რას, იტყვით?

- ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, პატივცემულო მოსამართლევ, მისტერ მორისს შეეძლო ასევე დაებრალებინა ყველაფერი ახალდაბადებული ბავშვისათვის, ან თუნდაც ჩემთვის, როგორც ამ ახალგაზრდა ჯენტლმენს მისტერ ოსბალდისტონს აბრა-

ლებს. მე მზადა ვარ დავიფიცო, რომ ის კაცი, რომელიც მისტერ მორისს მისტერ ოსბალდისტონი ჰგონია, უფრო დაბალი და სქელი იყო და სახითაც სულ არ ჰგავდა ამას: მე მოვახერხე შემეთვალიერებინა ყაჩაღი, როცა წამით აუფრიალდა სახეზე აფარებული ნიღაბი. ეს ჯენტლმენი (კემპბელი მორისისაკენ მიბრუნდა და თვალებით გაბურღა) უეჭველია დამეთანხმება, რომ კარგად შევამჩნევდი ასეთ წვრილმანებს, რადგან ჩვენ ორში მე უფრო მშვიდად შემეძლო დავკვირვებოდი ყველაფერს.

- სრულიად გეთანხმებით, სერ, ეჭვიც არ მეპარება თქვენს ნათქვამში, - დაუდასტურა მორისმა და შეშინებული მიაწყდა უკან, რადგან კეპბელი, თითქოს თავისი ნათქვამისათვის მეტი სიმტკიცის მისაცემად, სკამიანად მიიწია მისკენ. - მე მზადა ვარ, სერ, - მიმართა მორისმა მოსამართლეს, - ამოვიღო ჩემი ჩვენებიდან ყველაფერი, რაც მისტერ ოსბალდისტონს შეეხება და მინდა გთხოვოთ, რომ ისიც გაათავისუფლოთ და მეც ჩემს გზაზე გამიშვათ. თქვენ ალბათ საქმე გექნებათ მისტერ კემპბელთან, მე კი ძალიან მეჩქარება!

- მაშ ამ საჩივარს აქეთ გადავუძახოთ, - თქვა მოსამართლემ და ქაღალდი ცეცხლში შეაგდო, - თქვენ კი განთავისუფლებული ხართ, მისტერ ოსბალდისტონ. იმედია კმაყოფილი ბრძანდებით მისტერ მორის!

- რა თქმა უნდა, - დაასწრო პასუხი კეპბელმა და მორისს მიაშტერდა. მორისმა თანხმობის ნიშნად ძალისძალად გაუღიმა მოსამართლეს. - ფარცხის კბილებში მოყოლილი გომბეშოც კი არ იქნება ასეთი კმაყოფილი. ნურაფრისა გეშინიათ მისტერ მორის, მე და შენ ერთად გავალთ ამ სახლიდან. მინდა მშვიდობით დაგაყენო გზაზე, ხომ იცი როგორ გაფასებ და პატივს გცემ. შარაგზამდე მიგიყვან და დაგემშვიდობები. ხოლო თუ მერე, შოტლანდიაში კვლავ მეგობრებად არ შევხვდით ერთმანეთს, იცოდე ჩემი ბრალი არ იქნება!

მორისმა შიშჩამდგარი თვალები მოატარა ირგვლივ და ისე წამოდგა, თითქოა ჩამოსახრჩობად უპირებდნენ წაყვანას. წამოდგა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვეღარ გაბედა.

- ნუ გეშინია, ადამიანო, - დაამშვიდა კეპბელმა, - სიტყვას არ გადავალ. ეს რა კურდღელივით მშიშარა ვინმე ყოფილა! შენთვის ვამბობ, თუ გინდა დამიჯერე, თუ არა და კვალი დაგვეკარგება და შენს სიმდიდრეს უნდა გამოემშვიდობო! ცხენები შეკაზმულია. აბა, გამოეთხოვე მოსამართლეს, კაცო, არა თქვას სამხრეთელები უზრდელები ყოფილანო!

მორისი ცოტათი დაამშვიდა ამ სიტყვებმა. იგი დაგვემშვიდობა და გავიდა. მისტერ კეპბელი უკან გაჰყვა. მორისს გზაში, როგორც ეტყობა, ისევ მიეძალა შიში: წინა ოთახიდან ისმოდა კეპბელის ხმა: - „სული წამიწყდეს თუ გატყუებდე, ნუ გეშინია, ისე იქნები, როგორც საკუთარ ოჯახში. უჰ, ვინმემ რომ შემოგვხედოს, კაცსა ჰგავხარ, კაი ვაჟკაცივით მოგიშვია ეგ წვერი. არა და, ჩიტის გული გქონია! წამო, კაცო, გადმოადგი ფეხი, ჰა გაბედე! ნუ ფრთხები!“

ხმა თანდათან მიილია და ბოლოს სულ მიწყდა. მერე ცხენების ფლოქვების თქარათქურმა გვამცნო, რომ კემპბელმა და მორისმა უკვე დატოვეს მოსამართლე ინგლვუდის საბრძანებელი.

პატივცემული მოსამართლე ძალიან კმაყოფილი დარჩა, რომ ასე იოლად მოიშორა ეს სადავიდარაბო საქმე, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მწუხარედ ჩაჰკიდა თავი, ეტყობოდა, იმაზე ფიქრობდა, მდივანი რომ დაბრუნდება, რას იტყვისო.

- მომადგება ახლა და სულს ამომართმევს ამ წყეული ქაღალდის გულისთვის. არა, მაინც არ უნდა დამეწვა, მაგრამ ჯანდაბას! სასამართლოს ხარჯებს გავუნაღდებ და დაწყნარდება. ახლა, მის დი ვერნონ, ყველა გავათავისუფლე, მაგრამ თქვენ კი მთელი დღით უნდა დაგაპატიმროთ და ჩემს მოხუც მეკუჭნავეს დეიდა ბლეიკს ჩავაბარო თქვენი თავი. მერე ჩემს მეზობლებს დავპატი-

ჟებ - მისის მისგრევს და მის დოუკონს, თქვენს მამიდაშვილებსაც მოვიწვევ, მოხუც ქობზსაც დავუძახებ, მევიოლინეს და ერთი კარგად მოვილხინოთ. ახლა კი მე და მისტერ ოსბალდისტონი ცოტას გადავკრავთ და სულ ნახევარ საათში გეახლებით.

- უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ბატონო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ახლავე უნდა დავბრუნდეთ ოსბალდისტონ-ჰოლში, - მიუგო მის ვერნონმა, - იქ ხომ არ იციან, როგორ გადაწყდა ჩვენი საქმე. ბიძაჩემს უნდა ვუთხრათ, რომ მის ძმისშვილს საფრთხე აღარ ემუქრება. ხომ იცით, შვილივით მიაჩნია.

- სრული ჭეშმარიტებაა, თუ შვილივით მიაჩნია, მართლაც ძალიან იქნება შეწუხებული, არჩი, რომ დაიღუპა, მისი უფროსი შვილი, აი, ჯონ ფენვიკის[111] საქმეში რომ გაეხვია, მოხუცი ჰილდებრანდი ხან ერთ შვილს ეძახდა მის სახელს, ხან მეორეს და მერე დაიწყებდა წუწუნს, ვერაფრით ვერ ვიმახსოვრებ, რომელი შვილი ჩამომიხრჩვესო. ასე რომ, მართლა უნდა იჩქაროთ! წადით და გაუქარწყლეთ მშობლიური შიში, დროზე წადით. მოიცა, ჩემო მინდვრის ყვავილო! - მოსამართლემ ხელში ხელი წაავლო დიანას, თავისკენ მიზიდა და მამაშვილურად დაუწყო დარიგება, - აი, რა მინდა გირჩიო: ამის შემდეგ აღარასოდეს ჩაჰყო შენი მშვენიერო თითი კანონისა და სასამართლოს დამჟავებულ ცომში - ამ ფრანგულ-ლათინურ სისაძაგლეში! და კიდევ, ჩემო მშვენიერო, დე, ჭაბუკებმა თავისით გაიგნონ გზა ჭაობსა და ტყეღრეში, თორემ შეიძლება, მეგზურობისას თქვენ თვითონ ასცდეთ ბილიკს, ჩემო ცთომილო ვარსკვლავო! - ამის შემდეგ მოსამართლე გულთბილად გამოემშვიდობა მის ვერნონს, მეც ყოველივე სიკეთე მისურვა და დასძინა:

- შენ კარგი ახალგაზრდა ჩანხარ, მისტერ ფრენკ, მამაშენიც შესანიშნავად მახსოვს, ერთ კლასში ვიყავით და სულ ერთად ვთამაშობდით. მისმინე ყმაწვილო რას გეტყვი: შარაგზებზე ღამღამობით ცხენის ჭენებასა და გზაზე გაცნობილ მგზავრებთან

ლაყბობას მოეშვი. რა საჭიროა! განა მეფის ყველა ქვეშევრდომს ესმის ხუმრობა?! თანაც ეგეთი ხუმრობა ეს საწყალი დი ვერნონიც ხომ უნდა გახსოვდეს. ის ხომ მარტოდ-მარტოა მიგდებული ამ კრულ წუთისოფელში! წადი, იქროლე სადაც მოგესურვება, რაც გინდა ის ქენი, ოღონდ ეს არ დამიჩაგრო, თორემ ღმერთმანი, ძალიან კი გამიჭირდება, მაგრამ ახალგაზრდობას გავიხსენებ და ხმალში გამოგიწვევ! ახლა შეგიძლია წახვიდეთ! მე კი ჩემს ჩიბუხთან და ფიქრებთან განვმატროვდები. ხომ გახსოვთ ის ლექსი:

ვით დარიჩინის ჭკნება ფოთოლი, შენც მიადგები ბოლო სამანებს,
ჩაქრება ცეცხლი, მოვა სიბერე, მოგახუცებს და მიგასამარებს.
ეს გაიხსენე, როცა ეწევი, - რა მეყსეულად გაგდის ყავლები
ჩადგება ქარი, ჟამი ჩაივლის, წლებს ჩაჰყვები და ჩაინავლები.[112]

ძალიან მესიამოვნა, რომ ამ გაზარამაცებულმა და თავმიშვებულმა მოსამართლემ უეცრად ასეთი გრძნობა და გონება გამოამჟღავნა. მადლობა გადავუხადე და მეგობრულად დავემშვიდობე კანონის პატიოსან დამცველსა და სტუმართმოყვარე მასპინძელს.

წინა ოთახში სუფრა გაეშალათ ჩვენთვის: ცოტა წავიხემსეთ და ეზოში გავედით. აქ ისევ სერ ჰილდებრანდის მსახური შემოგვეგება, მოსვლისას ცხენები რომ ჩამოგვართვა და მის ვერნონს უთხრა: რეშლიმ მიბრძანა, დაგლოდებოდით და სახლამდე მიმეცილებინეთო. კარგა ხანს მდუმარედ ვიარეთ. მე ისე ვიყავი დაბნეული იმ დილანდელი ამბებით, რომ ხმის ამოღების თავი არა მქონდა. სიჩუმე ისევ მის ვერნონმა დაარღვია:

- რეშლი, მართლაც ისეთი კაცია, რომ შიშიც შეუძლია ჩაუნერგოს ადამიანს, გაოცებაც... ერთი სიტყვით, ყველაფერი, გარდა სიყვარულისა. მართლა ყოვლისშემძლეა, ყველას თოჯინასავით ათამაშებს, ყოველი როლისათვის წინასწარ ჰყავს შერჩეული მსახიობი, არასოდეს იბნევა და რაც უნდა გასაჭირი დადგეს, მაინც მოძებნის ხოლმე ხსნის გზას.

- ისე იგი, ის მისტერ კემპბელი, რომელიც მხსნელად მოგვევლინა ასეთი გაჭირვების ჟამს და ისე გაიტაცა ჩემი მბრალდებელი, როგორც ქორმა წიწილა, მისტერ რეშლი ოსბალდისტონის აგენტი იყო?

- სწორედ აგრე მგონია, - მიპასუხა დიანამ, - უფრო მეტიც: მოსამართლის მისაღებში რეშლის რომ არ გადავყროდით, დარწმუნებული ვარ, ეგ ქორი ვერც მოგისწრებდათ.

- მაშინ, თქვენ უნდა გითხრათ მადლობა, ჩემო მშვენიერო მხსნელო!

- ნამდვილად, მაგრამ ძალიან გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ, რომ თქვენ უკვე მითხარით მადლობა მე ზრდილობიანი ღიმილით მივიღე იგი. ეს საკმარისია. მაღალფარდოვანი ლაპარაკის დროს იმის მაგივრად, რომ შევიფერო და ასევე ვუპასუხო, მთქნარება ამიტყდება ხოლმე. მოკლედ რომ, მოვჭრათ, მე მინდოდა დაგმხმარებოდით და საბედნიეროდ, მოვახერხე კიდეც სანაცვლოდ მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვოთ - ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. კი მაგრამ, ეს ვინ მოაჭენებს ცხენს?

მოქრის, მოფრინავს ცეცხლის კვესებით,
ასისხლიანებს მერანს დეზებით.

ჰოო! ეს კანონის მორჩილი მსახური უნდა იყოს, თვით ბატონი ჯოზეფ ჯობსონი.

მხედარი, მართლაც, ჯოზეფ ჯობსონი აღმოჩნდა. იგი გამეტებით მოაჭენებდა ცხენს და, როგორც შევატყვეთ, ფრიად უგუნებოდაც ბრძანდებოდა. თავი დავუკარით და უკვე უნდა გავცდენოდით, რომ ცხენი გააჩერა და აბუზღუნდა:

- მაშ ასე, სერ, მაშ ასე, მის ვერნონ... ოჰო ჰო... აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე! ჩემს არყოფნაში გაგიშვათ თავდებით! მე მინდა ვიცოდე, ვინ გააფორმა საბუთები? მხოლოდ ეს მინდა, გავიგო! თუ პატივცემული მოსამართლე ხშირად მიმართავს საქმის წარმოების ასეთ ფორმას, სხვა მდივანი მონახოს! მე კი გადავდგები, მორჩა და გათავდა!

- სხვანაირადაც შეიძლება მაგ საქმის მოგვარება, - უთხრა დიანამ, - მოსამართლემ გვერდიდან არ უნდა მოგიშოროთ, მისტერ ჯობსონ და საქმე მოგვარდება. ერთი ეს მიბრძანეთ, ფერმერ რუტლეჯის საქმე როგორა არის? იმედია, მოასწრო ანდერძზე ხელის მოწერა და ბეჭედის დასმა?

ამ კითხვამ მთლად გააცოფა კანონის დამცველი. იგი ისე მრისხანედ მიაჩერდა მის ვერნონს, რომ დავაპირე მათრახის ცემით ჩამომეგდო ცხენიდან, მაგრამ თავი შევიკავე, ვიფიქრე, ამაზე ხელის გასვრა არა ღირს-მეთქი.

- ფერმერი რუტლეჯი, ქალბატონო? - გაიმეორა მდივანმა, როცა რისხვა ოდნავ დაუცხრა და ხმის ამოღება შეძლო, - ფერმერი რუტლეჯი კაჟივითაა. მომატყუეს, მომაღორეს, არაფერიც არა სტკივა! აი ასე, ქალბატონო, ასე იცოდეთ, თუ აქამდე არ იცოდით!

- უყურე, რა ყოფილა! - გაიოცა მის ვერნონმა. - მართალს მეუბნებით, მისტერ ჯობსონ?

- რასაკვირველია! კიდევ მეტს გეტყვით: იმ გამოჩერჩეტებულმა ბებერმა აქეთ მომდო შარი: გამოსარჩენი იყნოსე და იმიტომ მოხვედი, შე გაიძვერაო! აი, ასე მითხრა ქალბატონო, რა უფლება ჰქონდა! მით უმეტეს, რომ მომრიგებელი სასამართლოს თა-

ნამშრომელი ვარ და თანაც ზემოთხსენებული თანამდებობა Trigesimo Seotlimo Henrici Octavi and primo Gulielmi[113] და ვილჰელმის კანონების პირველი მუხლით მიჭირავს, ქალბატონო. დიდებული ვილჰემისა, ქალბატონო, მიჭირავს, ქალბატონო, რომელმაც სამუდამოდ დაგვიხსნა პაპისტებისა და თვითმარქვიებისაგან, ხის ქოშებისა[114] და სათბუნებლებისაგან.

- მართლაც, საშინელება იყო ხის ქოშები და სათბუნებლები, - დაუდასტურა დიანამ (შევატყვე, რომ განგებ აღიზიანებდა მდივანს), - კარგია, რომ თქვენ სათბუნი აღარ დაგჭირდებათ. პაპა რუტლეჯი მარტო ლანძღვა-გინებას არ დაგაჯერებდათ და ცოტას შეგახურებდათ კიდეც, მისტერ ჯობსონ?

- შეგახურებდაო! - დაიღრიალა ჯობსონმა. - არაფერი, ჩემი მცემელი ჯერ არ დაბადებულა!

- სერ, - ჩავერიე ლაპარაკში მე, - თქვენ ბრძანეთ, რომ მომრიგებელი სასამართლოს მოხელე ხართ; პაპა რუტლეჯის, აზრით. გაიძვერა ბრძანდებით; მე კი მგონია, რომ არც ერთი ზემოთხსენებული ტიტული არ გაძლევთ უფლებას ასე თავხედურად მოექცეთ ახალგაზრდა ქალს!

მის ვერნონმა ხელი წამავლო მკლავზე და დამშვიდება დამიწყო:

- მოეშვით, მისტერ ოსბალდისტონ, მე არ გაცემინებთ მისტერ ჯობსონს! თავი როგორ უნდა გაუყადროთ! მაგასაც ეგ უნდა: გაამათრახებ და მერე ერთი სამი თვის სარჩოს მაინც წაგღლეტს! საკმარისად შეურაცხყავით და ეყოფა. თქვენ ხომ თავხედი უწოდეთ!

- მაგ სიტყვებს არ ვუყურებ, მის, - თქვა ცოტათი დამშვიდებულმა მდივანმა, - გარდა ამისა, მაგის თქმისთვის სასამართლო არ დასჯის. აი „გაიძვერას“ დაძახებისთვის კი სასჯელია გათვალისწინებული და პაპა რუტლეჯიც მიიღებს საკადრისს და ისიც, ვინც ასე დაუფიქრებლად იმეორებს ცილისწამებას. ეს არღვევს

საზოგადოებრივ წესრიგს და ჩირქს სცხებს ჩემს პატიოსან სახელს!

- ძალიან ნუ გამოიდებთ თავს, მისტერ ჯობსონ, - უთხრა მის ვერნონმა, - ნათქვამს, როგორც თქვენივე კანონი ამბობს, დამტკიცება უნდა. ლიტონ სიტყვაზე მეფესაც არ უჯერებენ. ნურც „პატიოსანი სახელის დაკარგვას“ ნაღვლობთ. ბრალი იმისა, ვინც იპოვის, თორემ თქვენ სიხარულით ცას უნდა სწვდებოდეთ!

- კეთილი, ქალბატონო, ღამე მშვიდობისა, მე აღარაფერი მაქვს თქვენთან სალაპარაკო. ერთი კი უნდა გითხრათ, რომ ჩვენში არსებობს კანონი, რომელიც პაპისტების დასჯას ითვალისწინებს და კარგი იქნება, რომ ისინი ზუსტად იქნეს გატარებული ცხოვრებაში. არსებობს ედუარდ IV, მე-3 და მე-4 დადგენილება კათოლიკური ანტიფონების, კურთხევანის, ფსალმუნების, რიტუალის, ლოცვანების, წმინდა ცხოვრების კრებულთა, ზიარების წესების, შეწირულობების შესახებ. მის ვერნონ! არსებობს ბრძანება, რომ ყველა პაპისტმა ფიცი უნდა დადოს! არსებობს კანონი, რომ ურჩი კათოლიკეები კატორღაში უნდა გაიგზავნონ - ეს ჩვენი მბრძანებელი ხელმწიფის პირველი სტატუტია! კიდევ - იმათი დასჯის შესახებ, ვინც მესას მოისმენს. იხილეთ დედოფალ ელიზაბეტის კანონთა 23-ე მუხლი და ჯეიმზ პირველის კანონთა III ტომის 25-ე თავი. ჯერ ბევრი მამული გუჯარი უნდა გადაისინჯოს, ბევრი ნასყიდობის სიგელი და მემკვიდრეობის საბუთები უნდა შემოწმდეს, ბევრს ორმაგი გადასახადი უნდა დაედოს თანახმად იმ აქტებისა, რომლებიც ითვალისწინებენ...

- იხილე კანონთა სრული ვერსიის ახალი გამოცემა გულდასმით შესწორებული მომრიგებელი მოსამართლის მდივნის ჯოზეფ ჯობსონის მიერ, - ჩაურთო მის ვერნონმა.

- გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, - განაგრძო ჯობსონმა, - მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენ, დიანა ვერნონ, არა ხართ femme couverte[115] და ამასთან კათოლიკობაშიც გე-

დებათ ბრალი. ამიტომ სასწრაფოდ უნდა წახვიდეთ საკუთარ სახლში, თანაც უმოკლესი გზით, რათა სახელმწიფოს ღალატი არ დაგბრალდეთ. თუ მდინარე გაქვთ გადასალახავი, აუცილებლად ისეთი ბორნით უნდა ისარგებლოთ, რომლითაც ყველა გადადის და თანაც არა გაქვთ უფლება ერთი დღე და ღამის მეტი დაჰყოთ ზედ. თუ იმ ადგილას ბორანი არ არის გამართული, წყალში უნდა შეხვიდეთ და თუ წყალი მუხლს ზევით მოგწვდათ, გამოხვიდეთ და ახლა სხვა ადგილას დაუწყოთ ძებნა ფონს.

- ეტყობა, ეს საკანონო პირადად მე გადამიწყვიტეს პროტესტანტებმა ჩემი კათოლიკური ცოდვებისათვის, - გაეცინა დიანას,- კეთილი, დიდი მადლობელი ვარ დარიგებისათვის, მისტერ ჯობსონ. ახლა აუცილებლად სახლს მივაშურებ და ამის შემდეგ მხოლოდ ოჯახის საქმეებზე ვიზრუნებ. ღამე მშვიდობისა, ძვირფასო ჯობსონ, მოხელეთა ზრდილობისა და თავაზიანობის უბრწყინვალესო ნიმუშო!

- ღამე მშვიდობისა, ქალბატონო და დაიმახსოვრეთ, რომ კანონთან ხუმრობა არ შეიძლება!

ამ სიტყვებით დავშორდით ერთმანეთს. მისტერ ჯობსონი ჭენებით გაგვეცალა. მის ვერნონმა თვალი გააყოლა და ჩაილაპარაკა:

- ჩქარობ, რომ ახალი ქსელები გააბას. რა სამწუხაროა, რომ კეთილშობილი, დარბაისელი და მამულისა და ქონების პატრონი ხალხი იძულებულია ამისთანა გაიძვერა და თაღლით მოხელეებს გაეგოს ფეხქვეშ. ჩვენი დანაშაული ხომ მხოლოდ ის არის, რომ იმ რწმენას მივსდევთ, რომელსაც სულ ასიოდე წლის წინათ მთელი ქვეყანა აღიარებდა. რაც არ უნდა იყოს, იმას ხომ ვერავინ იტყვის პროტესტანტული რელიგია კათოლიკურზე ძველიაო!

- ყველაფერს ისა სჯობდა, თავი გამეხეთქა იმ გათახსირებულისათვის, - ჩავილაპარაკე მე.

- ეგრე ხომ უჭკუო ყმაწვილები იქცევიან, - გამკიცხა მის ვერნონმა, - თუმცა ცოტა მაგარი მკლავი რომ მქონდეს, მეც სიამოვნებით ვასწავლიდი ჭკუას მაგ ჯობსონს. წუწუნად არ ჩამითვალოთ, მაგრამ სამი ნატვრა რომ შემისრულდებოდეს, ასეთი საცოდავი აღარ ვიქნებოდი.

- რა არის ეგ სამი ნატვრა, მის ვერნონ, არ შეიძლება, მითხრათ?

- რომ გითხრათ, გულწრფელი თანაგრძნობით მოეკიდებით?

- რა თქმა უნდა! ნუთუ ამაში ეჭვი გეპარებათ? - შევძახე მე და ახლოს მივიწიე, რომ უფრო კარგა მომესმინა მისი ნათქვამი.

- მაშ გეტყვით. რაც არ უნდა თქვა, მაინც სასიამოვნოა, როცა თანაგრძნობით გისმენენ, აი, ჩემი სამი საწუხარი: პირველი ის არის, რომ ქალად გამაჩინა ბუნებამ, მე კი ვაჟი მინდა ვიყო. ახლა იმის ნახევარიც რომ მოვიმოქმედო, რისი სურვილიცა მაქვს, საგიჟეთში გამომამწყვდევენ. თქვენსავით ბედნიერი რომ ვიყო, ისეთ რამეებს ჩავიდენდი, ქვეყანას გავაგიჟებდი. ყველა შეეცდებოდა ჩემთვის მოებაძა და ყველა აღტაცებული იქნებოდა ჩემით...

- მაგაზე ვერ დაგეთანხმებით, - შევეკამათე მე, - მარტო თქვენ არა ხართ ასე უბედური, მხარში კაცობრიობის ნახევარი გიდგათ, მეორე ნახევარი კი...

- მეორე ნახევარი კი გრძნობს თავის უპირატესობას და ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს იგი, - შემაწყვეტინა მის ვერნონმა, - სულ დამავიწყდა, რომ თქვენ დაინტერესებული მხარე ბრძანდებით, მოითმინეთ, ვიცი, რასაც მეტყვით! ისე იღიმებით, რომ ახლა ქათინაურების ფრქვევას დაიწყებთ! ალბათ იმის თქმა გინდათ, რომ დი ვერნონის მდგომარეობა ფრიად სახარბიელოა, რამდენადაც იგი განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს თავის მეგობრებს და ნათესავებს სწორედ იმის წყალობით, რომ ილოტად[116] დაიბადა. ტყუილად ნუ დაიხარჯებით, ძვირფასო,

მეგობარო! ჩვენი გამოქექილი მდივნის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოდი, მეორე სარჩელი წავუყენოთ ბედსა და განგებას და იქნებ შეთანხმებასაც მივაღწიოთ, მე ერთ-ერთი უძველესი სარწმუნოების მიდევარი ვარ, მაგრამ დევნილთა სექტას ვეკუთვნი და ამიტომ სხვა მორწმუნე ქალიშვილებივით პატივისცემით არ მექცევიან. კიდევ მეტი, ჩემს კარგ მეგობარს, მოსამართლე ინგლვუდს, შეუძლია დამაპატიმროს კიდეც წინაპართა რჯული რომ არ უარვყავი და მოხუცი პემბროკის სიტყვებით მომმართოს: „წადი და მატყლი ართე, შე ბებერო ქაჯო“! ასე არ უთხრა უილტონის დედათა მონასტრის წინამძღვარს, როცა მონასტერი და მთელი მიწები წაგლიჯა?[117]

- ეგ ნაკლი ადვილი გამოსასწორებელია, - დავამშვიდე მის ვერნონი, - მიმართეთ რომელიმე განსწავლულ თეოლოგს, ან თქვენი მდიდარი ცოდნა გამოიყენეთ და დარწმუნებული ვარ ადვილად მიხვდებით, რომ განსხვავება ჩვენსა და იმ რელიგიას შორის, რომელსაც თქვენ აღიარებთ...

- ჩუ! - მითხრა მის ვერნონმა და საჩვენებელი თითი ტუჩებზე მიიდო, - ამაზე აღარაფერი მითხრათ! ჩემი სახელოვანი წინაპრების რჯულს ვუღალატო?! განა შეიძლება მეომარმა თავის დროშას, თუნდაც მტრის შემოტევით გვერდზე გადახრილს, ზურგი აქციოს და გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს მიეყიდოს?

- მე დიდად ვაფასებ თქვენს სიმამაცეს, მის ვერნონ! გაჭირვებასა და ხიფათს არ უნდა შეუშინდეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჭრილობები, რომელთაც სინდისის კარნახით ვაყენებთ საკუთარ სხეულს, თავადვე იკურნებიან.

- მართალია. მაგრამ ისინი მაინც მეტად მტკივნეულნი არიან. გეტყობათ, ძალიან გულქვა ადამიანი ხართ და სულ არ გაწუხებთ, რომ მთელი ცხოვრება ძაფის დართვაში უნდა გავლიო და მუზარადისა და ჯავშნის ნაცვლად თავსაფარი და კაბა უნდა ვატა-

რო. ამიტომ ჩემს მესამე სატკივარზე ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ.

- ნუ, ძვირფასო მის ვერნონ, ხელს ნუ მკრავთ, კვლავ მენდეთ, მითხარით რა არის ის მესამე და გპირდებით, სამმაგად თანაგიგრძნობთ, მით უმეტეს, თუ ეს გასაჭირი მხოლოდ თქვენ გადგიათ, რომ ამ დღეში არ არიან სხვა ქალები და სხვა ინგლისელი კათოლიკეები, რომლებიც, ღვთის ნებით, ჯერ კიდევ იმაზე მეტნი არიან, ვიდრე ჩვენ, ღვთისა და ტახტის ერთგულ პროტესტანტებს გვინდა.

- ეს მესამე სატკივარი ნამდვილად განუკურნებელია და მისი პატრონი ჭეშმარიტად დიდ სიბრალულსა და თანაგრძნობას იმსახურებს, - მითხრა ძალზე დანაღვლიანებულმა დიანამ, - თქვენ ალბათ გაცნობისთანავე შემატყვეთ, რომ ბუნებით წრფელი და უეშმაკო ადამიანი ვარ, დიახ, ერთი გულღია უბრალო გოგო გახლავართ და მინდა, ისე ვიცხოვრო ამ ქვეყნად, რომ არაფერი მქონდეს დასამალი. ბედმა კი იმდენ ქსელში გამხვია, იმდენი საზრუნავი გამიჩინა, რომ ხმის ამოღებისა მეშინია - ჩემს თავს არ ვუფრთხილდები, სხვების დარდი მაქვს და ამიტომაა, რომ წყალს ვიგუბებ პირში.

- ეგ ისეთი უბედურება გქონიათ, რომ მართლა ძალიან მეცოდებით, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასეთ საშინელ დღეში იქნებოდით ჩავარდნილი.

- ო, მისტერ ოსბალდისტონ, რომ იცოდეთ, ვინმემ რომ იცოდეს, თუ როგორ მიჭირს ხანდახან გულის დარდების დამალვა, ჩემი ცოდვით დაიწვებოდით. ალბათ ძალიან ვაშავებ, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ თქვენ საზრიანი და მიხვედრილი ახალგაზრდა ხართ და დიდი ხანი არ გაივლიდა, რომ მრავალ კითხვას დამისვამდით: მკითხავდით თუ რა როლი ითამაშა რეშლიმ თქვენს დღევანდელ თავგადასავალში, და სხვა ათასნაირ წვრილმანს, რომელიც არ შეიძლებოდა არ შეგემჩნიათ. მე კი

იძულებული ვიქნებოდი მეთვალთმაქცა, მეცრუა და რადგან საამისო ნიჭი და უნარი არ მაქვს, თქვენი ნდობა უნდა დამეკარგა, თუკი, რა თქმა უნდა, ჩემ მიმართ გაგაჩნიათ ასეთი გრძნობა. ამიტომ სჯობს ახლავე გაგაფრთხილოთ, არავითარი შეკითხვა არ მომცეთ-მეთქი. მე არ მაქვს უფლება, მაგ კითხვებზე გიპასუხოთ.

მის ვერნონმა ეს სიტყვები ისეთი გრძნობით წარმოთქვა, რომ გული სიღრმემდე ამაღელვა. მაშინვე დავუწყე დარწმუნება, ფიქრი ნუ გაქვთ, მომაბეზრებელი კითხვებით თავს არასოდეს შეგაწყენთ და სულ უბრალო, ბუნებრივ კითხვაზეც რომ არ მიპასუხოთ, ცუდს არაფერს ვიფიქრებ-მეთქი და დავძინე:

- მე ძალიან მადლობელი ვარ, რომ ასეთი გულისხმიერებით მოეკიდეთ ჩემს საქმეს და გასაჭირიდან დამიხსენით. ყურადღებას ბოროტად არ გამოვიყენებ და თქვენ საქმეებში არ ჩავერევი, ოღონდ იმედი მაქვს და დაბეჯითებით გთხოვთ, რომ, თუ ოდესმე ჩემი შემწეობა დაგჭირდათ, უყოყმანოდ და მოურიდებლად მომიხმეთ საშველად.

- გმადლობთ, გმადლობთ, - მომიგო დიანამ, - ხმაზე გატყობთ, რომ ეგ სიტყვები მარტო ზრდილობამ არ გათქმევინათ. ასე მხოლოდ ის ადამიანი ლაპარაკობს, ვისაც შეგნებული აქვს რომ დადებული აღთქმა უნდა შეასრულოთ თუ ოდესმე... შეუძლებელი, მაგრამ მაინც, თუ შემთხვევა მომეცა, ვისარგებლებ თქვენი დაპირებით, მაგრამ მერწმუნეთ, სულ არ გაგიბრაზდებით, რომ მითხრათ, აღარ მახსოვს, თუ დახმარებას დაგპირდიო. ნამდვილად, არ გაგიბრაზდებით, ჩემთვის საკმარისია, რომ ამჟამად გულწრფელად გსურთ, რამეში გამომადგეთ, მომავალში კი ვინ იცის რა ჭკუაზე დადგეთ. ვინ იცის, მართლა დამჭირდეს თქვენი შემწეობა, ვინ იცის, გითხრათ, როგორც ძმას ისე გთხოვთ დამეხმაროთ-მეთქი, მაგრამ ახლა ძნელია იმის განჭვრეტა, მართლა გვერდში ამომიდგებით თუ არა.

- თქვენი ღვიძლი ძმაც რომ ვიყო, ამაზე მეტი მონდომებით ვერ გამოგიწვდიდით ხელს გასაჭირში, ვერც ახლა და ვერც მომავალში, ერთი კი მაინც უნდა გკითხოთ, რეშლიმ ჩემი გულისთვის გამოიდო ასე თავი?

- ეგ კითხვა მე კი არა, თვითონ მას უნდა დაუსვათ და დარწმუნებული იყავით, გიპასუხებთ; დიახ, სწორედ თქვენი გულისათვის შევიწუხე თავიო, რადგან ყოველთვის დიდი მონდომებით გამოდის ხოლმე უანგარო კეთილისმყოფელის როლში.

- არც ის უნდა ვთქვა, რომ თვითონ კემპელი მიეშველა მორისს ჩემოდნის ზიდვაში? არც ის, რომ ვიღაცამ ყალბი წერილი გამოუგზავნა ჩვენს ძვირფას მდივანს რათა ჩემი განთავისუფლება არ გაჯანჯლებულიყო? არც ის უნდა ვიკითხო...

- მე არაფერი არ უნდა მკითხოთ, ამიტომ სჯობს შეწყვიტოთ თქვენი ეჭვების გადმოლაგება. თან ჩემზე ცუდი არაფერი არ უნდა იფიქროთ. ისე ჩათვალეთ, თითქოს თქვენს კითხვებზე და კიდევ ოციოდე მაგნაირ კითხვაზე რეშლივით თამამად და ამომწურავად გაგეცით პასუხი! დაიმახსოვრეთ, როცა აი ასე მოვიდებ ნიკაპზე ხელს, ეს იმას ნიშნავ რომ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია. ჩვენ ნიშნები უნდა დავთქვათ, რადგან ვაპირებ, რომ ჩემს რწმუნებულად და მრჩევლად გაგიხადოთ. ოღონდ ჩემს საქმეებს ვერ გაგაცნობთ.

- ძალიან ჭკვიანური გადაწყვეტილებაა, - სიცილით შევნიშნე მე, - როგორც მენდობით, ისეთ რჩევასაც მიიღებთ.

ასეთი საუბრით გამხიარულებულნი მივადექით ოსბალდისტონ-ჰოლს, მასპინძლები უკვე შუა ლხინში იყვნენ შესულნი.

- მისტერ ოსბალდისტონს და მე ბიბლიოთეკაში მოგვიტანეთ სადილი, - უთხრა მის ვერნონმა მსახურს და მერე მე მომიბრუნდა: - მეცოდებით, არ მინდა შიმშილით მოკვდეთ ამ ღორმუცელებით სავსე სასახლეში. უამისოდ ფეხს არ შეგადგმევინებდით ჩემს სავანეში. ის ბიბლიოთეკა ჩემი თავშესაფარია, ერთადერთი

კუთხე სადაც ის ორანგუტანგები, ჩემი ბიძაშვილები ვერ მომწვდებიან. იქ ვერასოდეს გაბედავენ შესვლას, ვაითუ, რომელიმე ფოლიანტი[118] ჩამოვარდეს და დაგვანთხევინოსო. წიგნი მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეეხოს მაგათ ტვინს. ასე რომ, გამომყევით.

წინა ოთახი და სასტუმრო გავიარეთ, თაღიანი დერეფანი უკან მოვიტოვეთ და მრგვალი კიბით ავედით იმ ოთახში, სადაც სადილი უნდა მოეტანათ.

თავი X

არვინ იცოდა ძეხორციელმა, - იქ, სადაც კოშკი იდგა ვრცელი,

ჰქონდა თავისთვის მყუდრო ადგილი, ყრუ სიბნელისკენ პირმიქცეული,

აქ გრძელ თაროებს დრეკდა სიმძიმე, საზრდო სულისა ბლომად ჰქონია.

რომ განეკურანა სულის ჭრილობა და წუთისოფლის მელანქოლია.

უცნობი ავტორი.

ოსბალდისტონ-ჰოლის ბიბლიოთეკა ერთ ბნელ, პირქუშ ოთახში იყო მოთავსებული. ძველებური მუხის თაროები მძიმე ფოლიანტებისგან იზნიქებოდა. ეს ფოლიანტები, ესეოდენ რომ უყვარდათ ჩვენს წინაპრებს მე-17 საუკუნეში, ახლა გადავამუშავეთ და მეოთხედსა და მერვედზე დავიყვანეთ. ჩვენი შვილები კი ალბათ ჩვენზე ქარაფშუტულად მოიქცევიან და მეთექვსმეტედზე დაიყვანენ ან სულაც პატარა წიგნაკებად აქცევენ.

აქ მეტწილად კლასიკოსთა თხზულებები, ევროპისა და ძველი სამყაროს ისტორია და ღვთისმეტყველება იყო თავმოყრილი. ეს უკანასკნელი ყველას სჭარბობდა. წიგნები უწესრიგოდ ელაგა. წლების განმავლობაში მხოლოდ მღვდლები, ოსბალდისტონ-ჰოლის კაპელანები გადმოაბიჯებდნენ ხოლმე ზღურბლს. შემდეგ სწავლამოწყურებულმა რეშლიმ დაუფრთხო მყუდროება პატივ-

ცემულ ობობებს, რომელთაც თაროებზე თავიანთი ძვირფასი ნახელავი გამოეფინათ. მოხუცი ჰილდებრანდი ალბათ ძალიან შეიცხადებდა რეშლის რომელიმე ძმას რომ დასჩემებოდა წიგნების ტრფიალი, მაგრამ რეშლის საქციელს მაინცდამაინც არ გაუოცებია, რადგან უმცროსი შვილი კარგა ხანია აპირებდა ღვთისმსახურებისათვის შეეწირა თავი. სერ ჰილდებრანდის ნებართვით ბიბლიოთეკას სახე უცვალეს და საცხოვრებელ ოთახად გადააკეთეს, თუმცა ეს უზარმაზარი, ცოდნის საუნჯით სავსე დარბაზი მაინც არეულ-დარეული და მიუსაფარი დარჩა. ყველაფერი, ნაფლეთებად ქცეული გობელენებით, დარკილული თაროებით, ტლანქი, ფეხებმორყეული მაგიდებითა და სკამებით დაწყებული და ბუხრით გათავებული (რომელსაც წინ აფარებული ბადე ისე დაჟანგებოდა, რომ აშკარა იყო, შიგ კარგა ხანია, ცეცხლი არ დაენთოთ) იმაზე მეტყველებდა, რომ ოსბალდისტონ-ჰოლის მფლობელებს დიდად არ ეხატებოდათ გულზე სწავლა-განათლება.

- ეს ოთახი, ცოტა არ იყოს, უღიმღამო და პირქუში გეჩვენებათ, არა? - მითხრა დიანამ, როცა იქაურობას თვალი მოვავლე. - მართალი ბრძანდებით, მაგრამ ჩემთვის ნამდვილი სამოთხეა, რადგან ჩემი საკუთრებაა და ვიცი, რომ არავინ შემომეჭრება. მოზიარედ მხოლოდ რეშლი მყავდა, სანამ მეგობრები ვიყავით...

- ახლა აღარ ხართ მეგობრები?

დიანამ ეშმაკური ღიმილით მიიდო თითი ნიკაპზე და ამით მანიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხს ვერ მივიღებდი, შემდეგ კი დაწყებული ლაპარაკი განაგრძო:

- მე და რეშლი მოკავშირეები ვართ, საერთო ინტერესები გვაქვს და ამიტომ იძულებულები ვართ ისე მოვიქცეთ, თითქოს მოკავშირე სახელმწიფოები ვიყოთ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელშეკრულება უფრო გამძლე და მყარი აღმოჩნდება, ვიდრე ის მეგობრული გრძნობა, რომელმაც ამ ხელშეკრულების

დადებას შეუწყო ხელი. ასეა თუ ისე, ახლა უკვე ძალზე იშვიათად ვართ ერთად. როცა რეშლი იმ კარიდან შემოდის, მე ამ კარიდან გავდივარ აქედან. რეშლი მიხვდა, რომ ესეოდენ ვრცელი დარბაზიც კი ვერ დაგვიტევდა ორივეს და დიდსულოვნად დამითმო აქაურობა განუყოფელ განმგებლობაში, მით უმეტეს, რომ საქმე აიძულებს ხშირად დატოვოს ციხე-დარბაზე. ასე რომ, ახლა ვცდილობ მარტო გავაგრძელო ის გზა, სადაც წინათ რეშლი მიწევდა ეტიკობას.

- შეიძლება გკითხოთ, რა გზას გულისხმობთ?

- შეიძლება, ნუ გეშინიათ, ამჯერად ნიკაპზე აღარ მივიდებ თითს. მე ერთობ გატაცებული ვარ მეცნიერებითა და ისტორიით, მაგრამ პოეზიასა და ანტიკურ ავტორებსაც სიამოვნებით ვსწავლობ.

- ანტიკურ ავტორებს? ნუთუ დედანში კითხულობთ?

- რა თქმა უნდა! რეშლი საკმაოდ განათლებულია და მეც მასწავლა ბერძნული, ლათინური და თანამედროვე ევროპული ენების უმეტესობა. გარწმუნებთ, დიდი ჯაფა და შრომა გადამხდა სანამ ყოველივე ამას ავითვისებდი. სხვა არაფერი ვიცი, არც ქარგვა, არც კერვა და არც პუდინგის ცხობა. ჩვენი მღვდლის ცოლი ხშირად მორიდებით იტყვის ხოლმე, რა ეშველება, რომ ხელიდან არაფერი გამოუდისო. რას იზამ, გული შესტკივა ჩემზე და იმიტომ ამბობს.

- მაგ საგნების შესწავლა თვითონ მოინდომეთ თუ რეშლიმ გირჩიათ?

დიანა წამით შეყოყმანდა, მერე კი გადაწყვიტა ეპასუხა:

- მე მგონი, შეიძლება გიპასუხოთ. ნაწილობრივ მე, ნაწილობრივ რეშლიმ. ჯერ ცხენის ჭენება და ღობეზე გადახტუნება ვისწავლე, მერე აღვირის ამოდება და შეკაზმვა, ხანდახან შეიძლება დაგჭირდეს ადამიანს, მერე თოფის სროლა, ისე ვისვრი, რომ თვალს არ ვახამხამებ, ერთი სიტყვით, როცა ყველა იმ ვაჟკაცურ

ხელობას დავეუფლე, ჩემი გაუთლელი მამიდაშვილები რომ აკ-ლავენ თავს, გადავწყვიტე, ახლა დახვეწილი მამიდაშვილისათ-ვის მიმებაძა, ციხე-დარბაზში გამოვკეტილიყავი და ბერძნული და ლათინური მესწავლა. მოვინდომე მეც მეგემა ცოდნის ხის ნაყო-ფი, თუმცა თქვენ, მამაკაცებს, არ გავიწყდებათ ქალების წინაპ-რის მიერ ჩადენილი ცოდვა და ცდილობთ ეს ნაყოფი არ გვიწი-ლადოთ.

- რეშლიმ კი მოგიწონათ გადაწყვეტილება?

- როგორ არა! მას უნდოდა მოწაფედ ვყოლოდი ყველაფერი მასწავლა, რაც თვითონ იცოდა. ცხადია მაქმანის მანჟეტების გა-რეცხვასა და ბატისტის ცხვირსახოცის შემოტეხვას ვერ მასწავლი-და!

- ასეთი მოწაფის ყოლას ყველა ინატრებდა. წარმოდგენილი მაქვს, როგორ იამაყებდა თქვენი მოსწავლეობით!

- თუ თქვენ იმის მიზეზების ძიებას დაიწყებთ, თუ რატომ ამიყ-ვანა რეშლიმ თავსი მოწაფედ, იძულებული ვიქნები კვლავ ნიკაპ-ზე მივიდო თითი. ჩემსას არაფერს დაგიმალავთ და მეტს ნუ მომ-თხოვთ! მოკლედ რომ მოგახსენოთ, რეშლიმ ბიბლიოთეკა და-მითმო და უნებართვოდ არასდროს შემოდის ხოლმე. ასე რომ , მე საშუალება მომეცა ჩემი რაღაც-რაღაცეები გადმომეტანა, თუ ირგვლივ მიიხედ-მოიხედავთ, თვითონვე ნახავთ.

- მაპატიეთ, მის ვერნონ, მაგრამ აქ ისეთს ვერაფერს ვხედავ რომ თქვენეულად მივიჩნიო.

- ალბათ იმიტომ, რომ კედელზე არა ჰკიდია ხის შავ ჩარჩოში ჩასმული ნაქარგები, რომელზედაც მწყემსი ქალი ან კაცი იქნება გამოხატული, არც თუთიყუშის ფიტულია წამოსკუპებული სადმე, არც იადონის გალიაა ჩამოკიდებული კაუჭზე, ვერც ვერცხლის სევადიანი ყუთი დალანდეთ მაგიდაზე, ტუალეტის მაგიდა არსად ჩანს პატარ-პატარა, პრიალა მრავალკუთხიანი კოლოფებით, არც სახურავდამტვრეული სპინეტია[119] მიდგმული კედელთან,

არც სამსიმიანი ბარბითი დევს ტახტზე! ვერსად შენიშნეთ თითისტარი, საქსოვი ჩხირები, ნემსების ბალიში, ხელსაქმის რაიმე კვალი და ნიშანი; ფინია ძაღლიც არსად არის მრავალრიცხოვანი, ჯერ კიდევ თვალაუხელელი ნაშიერებით - ერთი სიტყვით, ასეთი განძეულობის პატრონი არა ვარ, - დიანამ ცოტა შეისვენა, სული მოითქვა და განაგრძო: - მაგრამ აქ ნახავთ ჩემი წინაპრის სერ რიჩარდ ვერნონის ხმალს, იმ რიჩარდ ვერნონისა, შრუსბარის ბრძოლაში რომ დაიღუპა და რომელიც ეგზომ სასტიკად გაათახსირა ერთმა უგვანო ადამიანმა უილ შექსპირმა[120]. თქვენ ხომ მოგეხსენებათ, თუ რა თავგამოდებით უჭერდა მხარს ეს მწერალი ლანკასტერების დინასტიის ხელმწიფეებს და რა ოსტატურად აქებდა მათ თავის ნაწარმოებებში, სადაც ნამდვილი ისტორია თავდაყირაა დაყენებული, ან უფრო უკეთ, სულ გამოშიგნულია! ამ მრისხანე იარაღის გერდით უფრო ძველი წინაპრის აბჯარი ჰკიდია, შავი უფლისწულის საჭურველთ მტვირთველის აბჯარი. ამ ვერნონს თავის შთამომავალზე უკეთესი ბედი ჰქონია: ბარდმა, რომელმაც მისი შექება იკისრა, თავი არ დაზოგა, მაგრამ სამწუხაროდ უნიჭო ლექსი გამოუვიდა!

გზის შუაგულში ქუხდა ვერნონი, ფიცხი რაინდი მტერს არ ინდობდა,
ფარზე აკრული სალამურებით გზას რანდავდა და მირაინდობდა.
დუშმანს დევნიდა როგორც დემონი, ეწეწებოდა ლომის ფაფარი
მას მოძალადის სისხლი სწყუროდა, სხვებს ნაძარცვი და ნაალაფარი.

აქვეა ჩემი გამოგონებული ორმაგი აღვირი. იგი ბევრად სჯობს ნიუკასტლის ჰერცოგის მიერ გამოგონებულ აღვირს, ეს ჩემი სონ-

ღულის, ჩივიოტის, ეჟვნები და ჩაჩია. საბრალო ყანჩას წამოეგო ნისკარტზე „ცხენისხავსასთან“. მაგისთანა მონადირე შევარდენი მთელ საბაზიეროში არ მოიპოვება. აი, ჩემი სანადირო თოფი, ნახეთ რა მსუბუქია, თანაც გაუმჯობესებული ჩახმახი აქვს. აქვეა სხვა მრავალი განძეულობა - ერთი მეორეზე ძვირფასი, აი, ამას შეხედეთ! თვითონ მიხვდებით...

მან მუხის მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩასმული პორტრეტისაკენ გაიშვირა ხელი, რომელზედაც ფეხზე მდგომი მამაკაცი იყო გამოსახული. პორტრეტი ვან დეიკის[121] დახატული იყო. ზედ გოთური ასოებით ეწერა: Vernon semper viret.[122] თვალებით შევეკითხე რას ნიშნავს-მეთქი.

- ნუთუ არ იცით, - გაოცდა დიანა, - ჩვენი დევიზია, ვერნონების დევიზი, რომელშიც

ვით მორალიტე მანკიერებას[123] ორ აზრს ანიჭებს - ასე სჩვევია, -

ჩვენ, ერთ სიტყვაში, ერთის მაგივრად, ორაზროვნება მოგვიქცევია.

ვერ ცნობთ საბრძოლო ბუკებს? ეს ხომ ჩვენი ემბლემაა! - დიანამ გერბზე გამოხატულ მუხის ფარზე მანიშნა, სადაც ჰერალდიკურ ნიშნებს ეს ლათინური წარწერა ჰქონდა შემოვლებული.

- ბუკებს? მე უბრალო სასტვენები მეგონა. ნუ გამიბრაზდებით, მომიტევეთ უვიცობა, - სასწრაფოდ დავამატე როცა შევნიშნე, თუ როგორ შეეფაკლა დიანას ღაწვები, - სულ არ ვაპირებდი თქვენი ემბლემის დამცირებას. მაგისი არაფერი მესმის, ჩემი საკუთარიც კი არ ვიცი როგორია.

- თქვენ, ოსბალდისტონი, ამას ამბობთ? - გაოცებით შესძახა დიანამ, - როგორ გეკადრებათ! ნუთუ პერსი, თორნი, ჯონი და დიკონი უნდა გჯობნიდნენ. მე მგონი უილფრედსაც კი თქვენზე

მეტი ეცოდინება. ისინი ხომ უვიცობის განსახიერებას წარმოადგენენ და მაინც თქვენზე მეტი იციან ამ საქმეში.

- ვაღიარებ ჩემს უვიცობას, ძვირფასო მის ვერნონ, და ძალიანაც მრცხვენია! ჰერალდიკური ნიშნების საიდუმლო ისევე შეუცნობელია, როგორც პირამიდების იეროგლიფები.

- ნუთუ მართლა?! რას წარმოვიდგენდი! ხანდახან, ზამთრის ღამეებში, ბიძაჩემიც კი კითხულობს ხოლმე გუილიმს[124]. შეიძლება, ვინმემ ჰერალდიკა არ იცოდეს?! რას ფიქრობდა მამათქვენი? მაშ რაღას გასწავლიდათ?

- არითმეტიკას! მამაჩემს უმცირესი არითმეტიკული სიდიდე ურჩევნია ყველა რაინდულ გერბსა და ემბლემას. თუმცა სავსებით უვიცი ვარ ჰერალდიკის ურთულეს მეცნიერებაში, მაგრამ საკმარისი ცოდნა და გემოვნება გამაჩნია, ჯეროვნად დავაფასო ეს შესანიშნავი პორტრეტი და შევნიშნო ნათესაური მსგავსება თქვენსა და ამ სურათზე გამოსახულ პიროვნებას შორის. ხედავთ, როგორ თავისუფლად დგას? რა ღირსეულად უჭირავს თავი! რა მსუყე ფერებია! ახლა შუქჩრდილების შეხამება ნახეთ!

- მართლა ასეთი კარგი ნახატია?

- ამ გამოჩენილი მხატვრის მრავალი ტილო მინახავს, მაგრამ ასე ძალიან არც ერთი არ მომწონებია, - მივუგე მე.

- გიჯერებთ, რადგან მე მხატვრობაში იმდენივე გამეგება, რამდენიც თქვენ - ჰერალდიკაში. ისე კი, თქვენთან შედარებით ის უპირატესობა მაქვს, რომ, თუმცა მხატვრობაში უვიცი გახლავართ, ეს სურათი ყოველთვის მომწონდა.

- მე კი, მართალია, ბუკებს, ნაღარებს და ათასნაირ რაინდულ ემბლემებს არ ვიცნობ, მაგრამ კარგად ვიცი, რომ სწორედ ისინი არიან ძველი საბრძოლო წარმატებისა და გამარჯვების გამოხატულებანი. ერთში კი უნდა დამეთანხმოთ: ეს ემბლემები ისე არ მოეწონება ჰერალდიკაში გაუთვითცნობიერებელ მაყურებელს, როგორც კარგი ნახატი. ვინ არის გამოხატული ამ პორტრეტზე?

- პაპაჩემი. იგი ერთგულად იზიარებდა ჩარლზ I-ის[125] გაჭირვებასა და უბედურებას და გულისტკივილით უნდა დავამატო, რომ საკუთარი შვილის თავშეუკავებელი საქციელიც ღრმა ჭრილობებს აჩნევდა გულზე. მამულის განიავება ჯერ კიდევ პაპაჩემმა დაიწყო, მისმა მემკვიდრემ, სვეუბედურმა მამაჩემმა კი საბოლოოდ მოუთავა ხელი. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ახალ პატრონებს. რა იმათი ბრალია?! მამული ერთგულებას შევწირეთ მსხვერპლად.

- მამათქვენი, ალბათ, იმდროინდელი პოლიტიკური შეხლა-შემოხლის დროს დაზარალდა, არა?

- დიახ! სულს იქით აღარაფერი დარჩა. სწორედ ამიტომ არის, რომ მისი ობოლი ქალიშვილი სხვისი სარჩენი გახდა და სხვის დაკრულზე უნდა იცეკვოს. მე მაინც ვამაყობ მამაჩემით და არასოდეს მინატრია, რომ სინდისზე და რწმენაზე ხელი აეღო და უფრო კეთილგონივრულად ემოქმედა მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა მამული შეენარჩუნებინა და ჩემთვის დაეტოვებინა. - ამ დროს მსახურებს სადილი შემოგვიტანეს და ჩვენმა საუბარმა სხვა კალაპოტში გადაინაცვლა.

სადილობას მალე მოვრჩით და როცა სუფრაზე ღვინო მოვიდა, მსახურმა მოგვახსენა, მისტერ რეშლიმ მთხოვა, სუფრას რომ აალაგებ, მოდი და მითხარიო.

- გადაეცით, რომ ფრიად მოხარული ვიქნებით, თუ მობრძანდება! ღვინის ჭიქა და სკამი მოიტანეთ და წადით. მისტერ ფრენკ, თქვენ და რეშლი ერთად წახვალთ. ჩემისთანა გულუხვსაც არ ძალუძს, ოცდაოთხი საათიდან რვაზე მეტი შესწიროს ჯენტლმენს. ჩევნი კი, მგონი უკვე გადავაჭარბეთ ამ დროს.

- დრო მარჯვე მცელავია და ისე სწრაფად მოგვიახლოვდა, რომ ვერც კი მოვასწარი ნაბიჯების დათვლა.

- იყუჩეთ, - გამაფრთხილა მის ვერნონმა, - რეშლი მოდის!

იგი სკამიანად გაიწია გვერდზე და საკმაოდ მოშორებით დაჯდა. კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. ნებართვა რომ მიიღო, რეშლიმ მოკრძალებით გადმოაბიჯა ზღურბლს და ნელი, შემპარავი ნაბიჯებით მოგვიახლოვდა. აშკარა იყო, რომ სენტ-ომერის კოლეჯში კარგად გაეწვრთნათ. სწორედ ასეთი წარმოდგენა მქონდა ნამდვილ იეზუიტზე. ცხადია, იმის განმარტება აღარ არის საჭირო, თუ როგორ ეყვარებოდა იეზუიტები ჩემისთანა შუმ პროტესტანტს.

- რა საჭიროა ეს ცერემონიები. რატომ აკაკუნებთ, როცა იცით, რომ მარტო არა ვარ! - უკმაყოფილოდ უთხრა მის ვერნონმა, რადგან რეშლის მორიდებულ საქციელში აშკარად იგრძნობოდა ფარული ეჭვიანობა.

- თავიდან თვითონ მიმაჩვიეთ კარზე დაკაკუნებას, ჩემო მშვენიერო ბიძაშვილო, - მშვიდად მიუგო რეშლიმ, - ახლა კი უკვე ჩვევად მექცა.

- კარგად მოგეხსენებათ, სერ, რომ მე თავაზიანობაზე უფრო გულწრფელობას ვაფასებ ადამიანში!

- თავაზიანობა სამეფო კარის დიდებულივით სასიამოვნო და გულმისასვლელია და ამიტომ ქალის ბუდუარის მარად სასურველი სტუმარია!

- გულწრფელობა კი ერთგული რაინდია, ამიტომ უფრო მეტად მსიამოვნებს ხოლმე მისი ხილვა, ჩემო ძვირფასო მამიდაშვილო! მაგრამ ჩვენს ახალგაცნობილ ნათესავს ალბათ უკვე მოაბეზრა თავი ამ პაექრობამ. დაჯექით რეშლი და ორიოდე ჭიქა ღვინო დაალევინეთ მისტერ ფრენსის ოსბალდისტონს. სადილზე მე გავუწიე მასპინძლობა, ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ოსბალდისტონ-ჰოლის ღირსება არ შელახულა.

რეშლი დაჯდა, ჭიქა აივსო და ჯერ დიანას მიაპყრო მზერა, შემდეგ მე. შევამჩნიე, რომ შეშფოთებული იყო, თუმცა ძალიან ცდილობდა, მშვიდი და უზრუნველი გამომეტყველება მიეღო. ჩე-

მი აზრით, რეშლი დარწმუნებული იყო, რომ დიანა ზედმეტ გულახდილობას გამოიჩენდა და ახლა უნდოდა, საუბრისათვის ახალი გეზი მიეცა, რათა გამოერკვია, ხომ არ გამანდო მისმა ბიძაშვილმა რაიმე საიდუმლო.

- მისტერ რეშლი, - დავიწყე მე, - მის ვერნონმა მითხრა, რომ თქვენ უნდა გიმადლოდეთ, ასე იოლად რომ გადავურჩი მორისის მოჩმახულ ცილისწამებას. მის ვერნონი კარგად არ მიცნობს და ეტყობა იფიქრა, თუ კარგად არ მეცოდინებოდა თქვენი ღვაწლი ამ საქმეში, ისეთ მადლობას ვერ გეტყოდით, როგორსაც იმსახურებთ. ამიტომ მან წამაქეზა, რომ თქვენთვის მეთხოვა ჩემი დღევანდელი თავგადასავლის ანგარიში, ან უფრო სწორად ახსნა-განმარტება.

- მართლა? - იკითხა რეშლიმ და ისე გამომცდელად შეხედა მის ვერნონს, - მე კი ვიფიქრე, რომ ლედიმ უკვე აგიხსნათ ყველაფერი. - რეშლი ახლა მე მომაშტერდა, როგორც ჩანს, სურდა ჩემს სახეზე წაეკითხა, მართლა არაფერი ვიცოდი, თუ თავს ვიკატუნებდი. მის ვერნონმა რეშლის ინკვიზიტორულ მზერას ზიზღჩამდგარი თვალები შეაგება. მე კი მაშინვე ვერ გადავწყვიტე, ტკბილი სიტყვით მიმეყუჩებინა მისი ეჭვი, თუ ავფეთქებულიყავი, როგორ არ მიჯერებ-მეთქი. ბოლოს ისევ პირველი ვამჯობინე და ვუთხარი:

- თუ თქვენც მის ვერნონივით გადაწყვიტეთ წყალი ჩაიგუბოთ პირში, სხვა რა გზა მაქვს, უნდა დაგემორჩილოთ, მაგრამ თუ მხოლოდ იმიტომ იკავებთ თავს, რომ გგონიათ ყველაფერი ვიცი, ძალიან ცდებით. გთხოვთ ნურაფერს დამიმალავთ, პატიოსნებას გეფიცებით, რომ იმ ამბის შესახებ, რომლის მოწმე დღეს ვიყავი, იმდენივე ვიცი, რამდენიც აი, ამ ნახატმა. მის ვერნონმა მხოლოდ ის მითხრა, რომ თქვენი წყალობით გადავურჩი საფრთხეს.

- მე, მართლაც სულით და გულით მოვინდომე თქვენი გადარჩენა, მაგრამ მის ვერნონს ძალიან გაუზვიადებია ჩემი მცირე დამ-

სახურება. საქმე ასე იყო: როცა შინისკენ გამოვეშურე, რომ ვინმე წამომეყვანა ჩვენი ოჯახიდან და თავდებით გამეთავისუფლებინეთ (მაშინ ამაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე ჩემი მოკლე ჭკუით), გზაში იმ ვიღაცა კავმილს... კალვილს... თუ რა ჰქვია... ჰო, კემპბელს გადავეყარე. მორისის მონაყოლიდან ვიცოდი, რომ ის და კემპბელი ერთად იყვნენ, როცა ყაჩაღები დაესხნენ თავს. კემპბელს ვთხოვე, მოწმედ დაგდგომოდათ და ბევრი ხვეწნის შემდეგ დავითანხმე. მე ვფიქრობ მისმა ჩვენებამ გადაგარჩინათ იმ უსიამოვნებას.

- ერთი უყურეთ, როგორ ყოფილა საქმე! დიდად მადლობელი ვარ, რომ ასე დროულად მიპოვეთ ფრიად საჭირო მოწმე. ოღონდ ერთი რამ არ მესმის: თუ, როგორც კემპბელი ამბობს, მორისთან ერთად იყო იმ თავდასხმის დროს და თვითონაც დაზარალებულია, რატომ დასჭირდა თქვენი ამდენი ხვეწნა, რატომ მაშინვე არ წამოგყვათ, რომ ნამდვილი მძარცველები ემხილებინა და უდანაშაულო ადამიანი გამოეხსნა?

- თქვენ შოტლანდიელებს არ იცნობ, სერ, - მომიგო რეშლიმ,- ძალიან წინდახედული და ფრთხილი ხალხია. ამას ემატება თავის ქვეყნის მგზნებარე სიყვარული, რომელიც ციხის გალავანივითა აქვს შემოვლებული შოტლანდიელს და საიმედოდ იცავს მას ფილანტროპული იდეების შემოტევისაგან. ეს გალავანი თუ გადალახეთ, მეორეს დაინახავთ, უფრო განიერსა და მტკიცეს - ეს გახლავთ თავისი კუთხის, სოფლის და გვარის სიყვარული, ამ მეორე ზღუდესაც თუ მოუშლით, მესამე გაგიხდებათ დასანგრევი- საკუთარი ოჯახის: მამის, დედის, შვილების, ბიძების, დეიდების, მამიდების, ბიძაშვილების და სხვა ნათესავების სიყვარული. აი, ამ ზღუდეებით არის შემოსაზღვრული შოტლანდიელი და თავგანწირვით იბრძვის მათ დასაცავად. მხოლოდ ამ კედლებით შემოზღუდული გრძნობს თავს უძლეველად, გარეთ კი ბავშვივით უმწეოა. მაგრამ სამივე ზღუდე რომ დაუნგრიოთ, მაინც ვერ გაიმარ-

ჯვებთ, რადგან შიგნით ყველაზე მტკიცე და აუღებელი ბურჯი დაგხვდებათ. ამ ბურჯს საკუთარი თავის სიყვარული ჰქვია!

- თქვენ ძალზე მხატვრულად აგვიხსენით ყველაფერი, მაგრამ ორი შენიშვნა მაინც მაქვს, - თქვა მის ვერნონმა, რომელიც დაუფარავი უკმაყოფილებით უსმენდა რეშლის ლაპარაკს, - ჯერ ერთი, რასაც თქვენ ამბობთ, სინამდვილეს არ შეესაბამება და მეორეც, თუნდაც ყველაფერი უდავო ჭეშმარიტება იყოს, დღევანდელ ამბების ამხსნელად არ გამოგვადგება.

- ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა, ჩემო მშვენიერო დიანა, თანაც მშვენივრად განმარტავს ყველაფერს. ჭეშმარიტებაა, რადგან როგორც მოგეხსენებათ, ძალიან კარგად ვიცნობ შოტლანდიასა და შოტლანდიელებს. სწორედ ამ ცოდნაზე დამყარებული ღრმა და ზუსტი ანალიზის შედეგად წარმოგიდგინეთ ეს დახასიათება. ეს დახასიათება შესანიშნავად განმარტავს ყველაფერს, რადგან პირდაპირ უპასუხებს მისტერ ფრენსის ოსბალდისტონის მიერ დასმულ კითხვას და გვიხსნის თუ რატომ არ შეიწუხა თავი კემპბელემა თავი იმ ადამიანისათვის, რომელიც არც შოტლანდიელია, არც კემპბელია გვარად, არც მისი მამიდაშვილი არც მამიდაშვილის ბიძაშვილის დეიდაშვილი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კემპბელი მიხვდა, რომ ამ საქმეს ვერაფერს გამორჩებოდა, პირიქით თავის საქმეს მოსცდებოდა და...

- და რაიმე უბედურებასაც გადაეყრებოდა, -მიაშველა სიტყვა მის ვერნონმა.

- ნამდვილად... - იმწამსვე დაუდასტურა რეშლიმ, - ადამიანს ათასნაირი საფრთხე ემუქრება. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ჩემი თეორია გვიხსნის, თუ რატომ ითრევდა ფეხს კემპბელი. იგი ხომ არავითარ გამორჩენას არ გამოელოდა ამ საქმისაგან, პირიქით, შეიძლებოდა რაიმე ხათაბალას მოსწეოდა, თუკი მოწმედ დაუდგებოდა მისტერ ფრენსის ოსბალდისტონს.

- ერთი რამ ძალზე მეუცნაურა, - შევნიშნე მე, - მისტერ მორისის განცხადებას, თუ, რა ქვია, საჩივარს თვალი გადავავლე და შიგ სულ არ იყო ნახსენები, რომ კემპბელი იმ გაძარცვის დროს თან ახლდა მორისს.

- კემპბელმა მორისი დააფიცა, არ მახსენოო, - მიპასუხა რეშლიმ, ამის მიზეზს კარგად მიხვდებით, თუ გაიხსენებთ, რაც წეღან გითხარით შოტლანდიელებზე. კემპბელს სამშობლოში ეჩქარებოდა და არ უნდოდა, დავიდარაბაში გახვეულიყო. სასამართლო კი, თუ გაიგებდა, რომ გაძარცვას ისიც ესწრებოდა, აუცილებლად დააყოვნებდა. აი, ამიტომ ეშურებოდა საზღვარზე გადასვლას. მაგრამ ერთი მდინარე ფორტს გადაცდენოდა და ნახავდით რას იზამდა მორისი! იმ წუთასვე დაფქვავდა ყველაფერს, რაც იცოდა და კიდევ ერთი იმდენს ტყუილს დაამატებდა. გარდა ამისა, კემპბელი ჩოდარია; დიდი სარფა აქვს, ხშირად ჩამოყავს ნორთუმბერლანდში დიდი ნახირი გასაყიდად და სულელი უნდა იყოს, რომ აქაური ყაჩაღები გადაიკიდოს. ყაჩაღები ხომ ძალიან გულგამყოლები არიან!

- ამაში მეც დაგემოწმებით! - რაღაც უცნაური გამომეტყველებით უთხრა მის ვერნონმა.

- ამგვარად, - დავასკვენი მე, - ჩემთვის ცხადი გახდა თუ რატომ ეწადა კემპბელს, რომ მორისს არ გაემხილა მოსამართლისათვის, გაძარცვის დროს მარტო არ ვიყავი, თან მავანი კაცი მახლდაო, მაგრამ ის კი ვერ გამიგია, როგორ აუკრა მან მორისს პირი. ამით ხომ მის ჩვენებას საფუძველი გამოეცალა - მოწმის გარეშე ვინ რას დაუჯერებდა?!

რეშლი მაშინვე დამეთანხმა, ეგ მეც ძალიან მიკვირს, მართლაც, უცნაური ამბავია და ახლა ვნანობ, რატომ უფრო ღრმად არ ჩავეკითხე შოტლანდიელსო.

- კი მაგრამ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ იმ ქაღალდში სულ არ იყო ნახსენები კემპბელი?- მკითხა რეშლიმ და ყურადღებით მომაშტერა თვალები.

- მე თვალი გადავავლე იმ ქაღალდს, მაგრამ მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ იქ კემპბელი არ იყო ნახსენები; შეიძლება მინიშნებული იყო, მაგრამ პირდაპირ არ ეწერა.

- აი, ხედავთ, - ჩაეჭიდა ჩემს სიტყვებს რეშლი, - მეც თქვენი არ იყოს, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ იქ როგორღაც ნახსენებია მოწმე, მაგრამ თქვენ ვერ შეამჩნიეთ. არც ის არის ძნელი ასახსნელი, რომ კემპბელი ასე თავის ნებაზე ატრიალებს მორისს: ალბათ შეატყო სიმხდალე და დააშინა. ეს ჩიტისგულა ვაჟკაცი, როგორც გავიგე შოტლანდიაში მიემგზავრება. ეტყობა, მთავრობამ რაღაც უბრალო მოხელის თანამდებობაზე დანიშნა იქ და, რადგან თაგვივით მშიშარაა, ვერ გაბედა შეკამათებოდა ისეთ შევარდენს, როგორიც კემპბელია. ერთს გადაუბრიალებდა თვალებს და სულ დაუბნევდა იმ პატარა ტვინს. თქვენ არ შეგიმჩნევიათ, როგორ ეცვლება მაგ კემპბელს დროდადრო გამომეტყველება? რომ განრისხდება ისე დაიქუხებს, ნამდვილი მეგობარი წარმოგიდგებათ თვალწინ.

- უნდა გამოგიტყდეთ, ხანდახან მართლაც მაოცებდა ამ ვაჭრის მძვინვარე გამოხედვა. წინათ ჯარში ხომ არ მსახურობდა?

- როგორ გითხარათ? ჯარში ალბათ არ უმსახურია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავისი თანამემამულეების მსგავსად, კარგად ხმარობს იარაღს. ამ მთებში მცხოვრებნი ხომ დაბადებიდან სიკვდილამდე არ იშორებენ ხმალსა და ხანჯალს, ამიტომ თუ კარგად გაიცანით მორისი, არ უნდა გიკვირდეთ, რომ ყოველნაირად ეცადა არ წაჩხუბებოდა ასეთი ქვეყნის მცხოვრებს. მაგრამ გატყობთ, რომ ღვინოს პირს აღარ აკარებთ. ამ საქმეში მეც ვერ ვუსწორებ მხარს სხვა ოსბალდისტონებს. ამიტომ ჩემს ოთახში თუ წამობრძანდებით, შეგვიძლია პიკეტში შევერკინოთ ერთმა-

ნეთს. - ორივენი წამოვდექით და მის ვერნონს მივეახლეთ დასამშვიდობებლად. იგი საუბარში არ ჩამოგვრევია, მაგრამ შევნიშნე რომ ძლივს იკავებდა თავს. ბოლოს, როცა უკვე უნდა წავსულიყავით, გულში ბოღმა ვეღარ დაიტია და მომახალა:

- თქვენ, მისტერ ოსბალდისტონ, პირადად იცნობთ კემპბელსა და მორისს და ამდენად შეგიძლიათ იმსჯელოთ, სწორად ახასიათებს თუ არა მათ რეშლი, მაგრამ ძალიან გთხოვთ ნუ ენდობით იმ ცნობებს, რომლებიც შოტლანდიის შესახებ მოგაწოდათ. მან ხომ მიწასთან გაასწორა მთელი მხარე!

- ვშიშობ, რომ გამიძნელდება თქვენი ბრძანების შესრულება, მის ვერნონ, - ვუპასუხე მე, - ჩემი აღმზრდელები ბავშვობიდანვე მინერგავდნენ საკმაოდ არა სახარბიელო შეხედულებებს ჩვენს ჩრდილო მეზობლებზე.

- ნურც თქვენს აღმზრდელებს უჯერებთ, სერ! შოტლანდიელი ქალის შვილი გთხოვთ, პატივი სცეთ მის დედულეთს! შემდეგ ალბათ თქვენი თვალით ნახავთ ამ ქვეყანას და დარწმუნდებით, რომ ცდებოდით მის შეფასებაში! თქვენი ზიზღი და სიძულვილი კი თვალთმაქცობის, სიმდაბლისა და ორპირობის წინააღმდეგ საბრძოლველად შემოინახეთ. ამ თვისებებს ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით, აქ, ინგლისში ასე, რომ შორს წასვლით თავს ნუ შეიწუხებთ. მშვიდობით, ბატონებო, კარგად გაგეტარებინოთ საღამო! - და დიანამ ისე გაიშვირა ხელი კარისკენ, თითქოს დედოფალია და ამალა დაითხოვაო.

რეშლის ოთახში რომ შევედით, მსახურმა ყავა და ბანქოს ქაღალდი მოგვართვა. მე გადავწყვიტე, რეშლისთვის აღარაფერი მეკითხა. შევატყვე, რომ რაღაც უსიამოვნო საიდუმლო იცოდა და არ მიმხელდა. თუ ამ საიდუმლოს გაგება მინდოდა, მისი სიფხიზლე უნდა მომედუნებინა. ქაღალდი ჩამოვარიგეთ და მალე მთლიანად ჩაგვითრია თამაშმა. ამ გასართობ თამაშში (რეშლის თქმით ჯერზე ძალიან უმნიშვნელო თანხას ჩავდიოდით), კარგად

გამოჩნდა ჩემი მოწინააღმდეგის დაუნდობელი და პატივმოყვარე ბუნება. იგი სრულყოფილად ფლობდა ამ შესანიშნავი თამაშის საიდუმლოებებს, თუმცა ხშირად განგებ არ იყენებდა იმ მარტივ ხერხებს, რომლებიც ნაღდ, მაგრამ მცირე მოგებს უქადდა და გაბედულად ჩადიოდა პიკსა და კაპოტზე დიდ თანხას მთელი ფსონის მოგების იმედით. ორმა-სამმა თალიამ ისე შეცვალა ჩვენი საუბრის მიმართულება, როგორც სპექტაკლში ჩართული მუსიკა ცვლის ხოლმე დრამატულ მოქმედებებს. რეშლი, ეტყობა, დაღალა თამაშმა და საუბარი დაიწყო. საუბრის წარმართვა თვითონ იკისრა და ბოლომდე არ დაუთმია.

რეშლის უფრო განათლებული ეთქმოდა ვიდრე მოაზროვნე. უკეთ იცნობდა ადამიანის სურვილებს, ვიდრე იმ ზნეობრივ პრინციპებს, რომლებსაც ამ სურვილების ალაგმვა ევალება, მაგრამ საუბრის ხელოვნებას კი სრულყოფილად ფლობდა. ჩემს დღეში არ შევხვედრილვარ ამისთანა კარგ მოლაპარაკეს, უკეთესის არსებობა კი ყოვლად წარმოუდგენლად მიმაჩნია. ერთი რამ კი შევნიშნე, ოღონდ მომეჩვენა თუ მართლა ასე იყო: საუბრისას ერთობ ფხიზლად აყურადებდა საკუთარ ნათქვამს და ამან მაფიქრებინა, რომ დიდი შრომა და ჯაფა ექნებოდა დახარჯული თავისი ბუნებრივი მონაცემების: მელოდიური ხმის, ხატოვანი ლექსიკის, მახვილი ენისა და მდიდარი ფანტაზიის კიდევ უფრო დასახვეწად და გასავითარებლად. რეშლი ზომაზე მეტად არასდროს უწევდა ხმას, ზედმეტად არ ახვევდა თავის აზრს მსმენელს და არც ისეთ საგანზე ჩამოაგდებდა სიტყვას, რომლის აზრს ვერ გაუგებდნენ. მისი აზრები წყალუხვი მდინარის ტალღებივით მისდევდნენ ერთმანეთს - თანაბრად და შეუფერხებლად. იმათ კი არა ჰგავდა, დიდად რომ იწონებენ თავიანთი ლაპარაკით თავს, უცებ ჩამოაფრქვევენ თავიანთ აზრებს და წისქვილის ღარში გადაშვებული მღვრიე წყალივით დაიწრიტებიან ხოლმე. თითქმის შუაღამე იყო მოტანებული, როცა ჩემს მომხიბვლელ თანამოსა-

უბრეს დავემშვიდობე. საძინებელ ოთახში რომ შევედი, ძალზე გამიჭირდა გონებაში რეშლის სურათი აღმედგინა. ახლა, ამ საუბრის შემდეგ, სულ სხვანაირად მესახებოდა თვალწინ. აი, ასე გვაცდუნებს, ჩემო ძვირფასო ტრეშამ, ტკბილი და საამო საუბარი, გვიდუნებს სიფხიზლესა და ყურადღებას, თვალებზე თითქოს ლიბრს გადაგვაკრავს და უკვე ვეღარ ვამჩნევთ მოსაუბრის მანკსა და მწიკვლს. ასე იცის ზოგმა ნუგბარმა ხილმაც: ყელს ჩაგიტკბოს და მერე იმაზე უკეთესიც რომ მოგართვან, აღარ მოგეწონებათ.

თავი XI

რამ დაგამწუხრათ, ჩემო მებრძოლნო, გზას რად გაჰყურებთ სულთქმით, უშებით,

რად დაგიხრიათ ასე თავები, ვის ემდურით და ეპირქუშებით.

რამ ჩაგიღამათ, ნეტავ, თვალები, კვლავ რად არ დახვალთ ელვის ციმციმად,

აქ, ბალვეარის ციხე-დარბაზში, რამ შეგზარათ და შეგასიმძიმ-ლათ?

ძველებური შოტლანდიური ბალადა.

მეორე დღე კვირა იყო, ყველაზე მოსაწყენი დღე ოსბალდის-ტონ - ჰოლში. დილის წირვაზე, რომელსაც ოჯახის არც ერთი წევრი არ აკლდებოდა, ყველა, რეშლისა და მის ვერნონის გარ-და, ძლივს-ძლივობით იკავებდა მთქნარებას, სერ ჰილდებრანდი მცირე ხნით გაერთო, როცა ჩემი გუშინდელი თავგადასავალი ვუ-ამბე. მან ისე მომილოცა პორპეთისა თუ ჰექსამის საპატიმროდან თავის დახსნა, თითქოს ღობეზე ცხენის გადახტუნების დროს უნა-გირიდან ჩამოვარდნილიყავი მაგრამ არაფერი მტკენოდა.

- იოლად გადარჩენილხარ, ჭაბუკო! მომავალში უფრო ფრთხილად უნდა მოიქცე! მაშ რა გეგონა! ყველას აქვს შარაგზა-ზე გავლის უფლება, ვიგი იქნება თუ ტორი.

- პატიოსნებას გეფიცებით, სერ, რომ არავისთვის დამიშლია გზაზე სიარული. ძალზე შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, რომ ყველას დამნაშავე ვგონივარ. ყაჩაღობა, რომელიც სამართლია-

ნად ისჯება ასე სასტიკად ჩემი ქვეყნის მართლმსაჯულების მიერ, ყველაზე უგვანო და საზიზღარ დანაშაულად მიმაჩნია!

- კარგი, კარგი, ყმაწვილო, აგრე იყოს. მე აღარაფერს გკითხავ. მართლა და, როდის ყოფილა, რომ კაცი საკუთარ თავს აგინებდეს. ყველა თავს იქებს, თუ ეშმაკი არ შეუჩნდა.

დამხმარედ რეშლი მომევლინა, მაგრამ ისე მიკიბულ-მოკიბულად ილაპარაკა, რომ მივხვდი, ჩემი სიმართლის დამტკიცება კი არ უნდოდა, ცდილობდა მამამისს ყასიდად ეთქვა ჩემთვის, მჯერა, შენ ამ საქმეს არ ჩაიდენდიო.

- ძვირფასო მამავ, იმედია საკუთარ ოჯახში გულს არ ატკენთ საკუთარ ძმისშვილს, რომელიც ასე ძალიან არის მოწადინებული, რომ მისი ნათქვამი ჭეშმარიტებად იქნას მიჩნეული. თვითონ, რასაკვირველია, სავსებით გენდობათ და ამ საჩოთირო საქმეში რაიმე შემწეობის აღმოჩენა რომ შეგძლებოდათ, დარწმუნებული ვარ, უყოყმანოდ მოგმართავდით დასახმარებლად. მაგრამ ჩემს ბიძაშვილს, ფრესისს, უკვე მოხსნეს ბრალდება და ახლა აღარავისა აქვს უფლება, ეჭვი შეიტანოს მის პატიოსნებაში. მე, ჩემდა თავად, სრულიად დარწმუნებული ვარ მის უდანაშაულობაში და მიმაჩნია, რომ ჩვენი ოჯახის ვალია, ხმლითა და სიტყვით შევებრძოლოთ ყველას, ვინც ეჭვს შეიტანს მისტერ ფრენსისის პატიოსნებაში.

სერ ჰილდებრანდმა თვალი თვალში გაუყარა შვილს და სუსხიანად უთხრა:

- შენ დიდი გაიძვერა ხარ რეშლი! ყოველთვის ასეთი იყავი, ჩემთანაც და სხვებთანაც. ახლა გეყოფა ლაპარაკი, თორემ ვატყობ გადაამლაშებ! ხომ გაგიგონია ეშმაკი მელა ოთხივე ფეხით გაებაო. იცოდე, გერბზე ყოველთვის ერთი მუზარადია გამოსახული. რადგან სიტყვა გერბზე ჩამოვარდა წავალ გვილიმს ჩავუჯდები!

ეს განცხადება სერ ჰიდებრანდმა ისეთი მამა-პაპური მთქნარებით დააგვირგვინა, რომ „დუნსაიდას“ ქალღმერთს შეშურდებოდა. გოლიათი შვილებიც ასეთი მთქნარებით გამოეპასუხნენ და სათითაოდ გაიკრიბნენ დარბაზიდან, რომ სადილობამდე დარჩენილი დრო თავის ქეიფზე გაეტარებინათ. პერსი საკუჭნაოში წავიდა და მოურავთან ერთად მიუჯდა ახალგამოხდილი ლუდის კასრს, თორნკლიფმა ორკაპა ჯოხების გამოთლა დაიწყო შურდულებისათვის, ჯონი ანკესებზე სატყუარების ჩამოცმას შეუდგა, დიკონი შეეცადა საჩვენებელი თითები თვალდახუჭულს მოეხვედრებინა ერთმანეთისათვის, უილფრედმა ცერა თითი პირში ჩაიდო საწუწნავად და სადილობამდე ძილ-ბურანს მიეცა, მის ვერნონმა კი ბიბლიოთეკას შეაფარა თავი.

ძველებურ დარბაზში მარტო მე და რეშლი დავრჩით. დაბდურა, მოუხეშავმა მსახურებმა, როგორც იქნა, აალაგეს გულუხვი საუზმის ნარჩენები. მე დრო ვიხელთე და რეშლის ვუსაყვედურე, ძალიან მეწყინა, მამათქვენს ასე რომ ელაპარაკეთ. თითქოს ურჩევდით, ეჭვი გულში ჩაემარხა, იმის მაგივრად რომ ჩემს უცოდველობაში დაგერწმუნებინათ-მეთქი.

- რა მექნა, ჩემო მეგობარო, სხვა გზა არ იყო, - გაიმართლა თავი რეშლიმ, - მამაჩემი ჯიუტი კაცია და თუ ერთხელ შეუჯდა გულში ეჭვი (რაც სიმართლე რომ გითხრათ, ძალზე იშვიათად ხდება), ძნელადღა ამიგდებს. ამიტომ აღარ ვეკამათები, გავჩუმდები ხოლმე და ვცდილობ დროდადრო ფრთხილად შევაპარო სიტყვა. ამით ხანდახან სასურველ შედეგს ვაღწევ. სხვანაირად იმისთანა თავისნათქვამა კაცთან, როგორიც სერ ჰილდებრანდია, ვერაფერს გავხდები. ყველა საბუთსა და მტკიცებას გაგიტრიზავებს, თავისი კი ისე სჯერა, როგორც კათოლიკეს რომის პაპისა.

- ეჰ, ფირიად ძნელია ამ ოჯახში ცხოვრება, რომლის უფროსს, თანაც შენს ახლო ნათესავს, შარაგზის ქურდი ჰგონიხარ!

- შვილმა მამაზე ასე არ უნდა ილაპარაკოს, მაგრამ მის სულელურ აზრებს გულთან ნუ გაიკარებთ! თვენ ხომ იცით, რომ უდანაშაულო ხართ. ნურც იმას იფიქრებთ, ბიძაჩემის თვალში დავმცირდებიო. სერ ჰილდებრანდის აზრით, თქვენი მოქმედება პოლიტიკურადაც და ზნეობრივადაც გმირული და სანაქებოა: იგი ასუსტებს მტერს, დაბნეულობა შეაქვს ამალექიტელების[126] რიგებში... კარგია, რომ ამ საქმის ჩამდენი ჰგონიხართ - ამით მამაჩემის დიდი პატივისცემა დაიმსახურეთ.

- მე კი, მისტერ რეშლი, სულ არ მინდა ამ ფასად მოპოვებული პატივისცემა. ამით ძალზე დამცირებულად ვგრძნობ თავს და მე მგონი, ეს დამამცირებელი ეჭვი კარგი საბაბია ოსბალდისტონ-ჰოლიდან წასასვლელად. აი, დავუკავშირდები მამაჩემს, ყველაფერს ავუხსნი და როგორც კი პასუხს მივიღებ, მაშინვე დავტოვებ აქაურობას.

რეშლის კარგად შეეძლო გრძნობების დაფარვა, მაგრამ ახლა შავგვრემანი სახე ღიმილმა გაუნათა. ღიმილი იმწამსვე ჩამოირეცხა და ყასიდად ამოიოხრა:

- ეჰ, თქვენ ბედნიერი კაცი ხართ, ფრენკ, გინდა წახვალთ, გინდა მოხვალთ. ჩიტივით შეგიძლიათ იფრინოთ, სადაც მოგესურვებათ! ზრდილობა, გემოვნება და ნიჭი არ გაკლიათ და შეგიძლიათ სასურველი სტუმარი იყოთ იმ საზოგადოებაში, სადაც ამ თვისებებს აფასებენ. ამ სახლში კი, აბა, ვის რაში ეპიტნავება თქვენი ნიჭი და ზრდილობა. მე კი... - რეშლიმ ხელი ჩაიქნია და დადუმდა.

- ნუთუ ასეთი უბედური ხართ? ნუთუ შეიძლება ვინმე შენატროდეს ჩემს ბედს. მე ხომ გაძევებული ვარ მშობლიური სახლიდან, მე ხომ მამის რისხვა დავიმსახურე!

- მართალია, მაგრამ თქვენ ხომ ამ ხანმოკლე მსხვერპლის ფასად სანუკვარი დამოუკიდებლობა მოიპოვეთ. დარწმუნებული ვარ დიდხანს არ მოგიწევთ წვალება. სამაგიეროდ თავისუფალი

ხართ და ძალგიძთ ამ ასპარეზზე გამოიყენოთ თქვენი ნიჭი და უნარი, საითაც გული მიგიწევთ და გრძნობთ, რომ წარმატებას მიაღწევთ. თქვენ მეტად იაფი დაგიჯდათ სახელი და თავისუფლება, სულ რამდენიმე კვირა უნდა გაატაროთ ჩრდილოეთში. არც ოსბალდისტონ-ჰოლში გადმოსახლებაა დიდი უბედურება. მეორე ოვიდიუსი ხართ, ოღონდ, მე მგონი, tristia[127]-ს დაწერის საბაბი არ გაქვთ.

- ნეტავი საიდან გაიგეთ , რომ ხანდახან თავშესაქცევად რაღაც-რაღაცებს ვჯღაბნი ხოლმე? - ვკითხე მე და სახე შემეფაკლა.

- აქ მამათქვენის გამოგზავნილი მაცნე ჩამოვიდა ამას წინათ, ვინმე ტვაინოლი, პრანჭია ახალგაზრდა. იმან შემატყობინა, ფარულად რომ ემსახურებით მუზებს და დასძინა მისტერ ფრენსისის რამდენიმე ლექსმა მცოდნე მსაჯულთა დიდ აღტაცება დაიმსახურაო.

მე დანამდვილებით ვიცი, ტრეშამ, შენ დღეში ორი სტრიქონიც არ გაგირითმია, მაგრამ თავის დროზე ალბათ აპოლონის ტაძრის მრავალ შეგირდს, ქარგალს და ზოგიერთ გამოჩენილ ოსტატსაც იცნობდი და ამიტომ კარგად მოგეხსენება, რომ ყველა ერთი სენით - პატივმოყვარეობით - არის დაავადებული, ყველა - ის უბადლო მხატვარიც, ვინც თუიკნემის ბაღებს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი და ის საცოდავი ხელოსანიც, რომელიც ამ უბადლო მხატვარმა გაამათრახა თავის „დუნსიადში“[128]. მეც, რაღა თქმა უნდა, ამავე სენის კლანჭებში ვიყავი ჩავარდნილი და არც კი ვიფიქრე, რომ ტვაინოლისთანა კაცს ჩემი წარმატების ამბავი არ ეცოდინებოდა. მე ხომ სულ ორ-ორი ლექსი მქონდა წაკითხული ლიტერატურის მოკრძალებულ თავშესაფარში, ბატტონის ყავახანაში[129] და აბა საიდან უნდა გაეგო ტვაინოლს, თუ როგორ შეაფასეს იქაურმა კრიტიკოსებმა ჩემი დებიუტი. ყოველივე ეს ვერ გავიაზრე და მაშინვე წამოვეგე რეშლის ანკესზე. რეშლი კი გა-

მოცდილი მეთევზე იყო და ხელიდან აღარ გამიშვა: მორიდებით მითხრა, ძალიან გთხოვთ თქვენი ხელნაწერები გამაცანითო.

- როგორმე უნდა შემომწიროთ ერთი საღამო. ჩემს ოთახში დავსხდეთ. მე ხომ სულ მალე აღარ მექნება ლიტერატურით დატკბობის საშუალება. ვაჭრობას უნდა მოვკიდო ხელი, ათასნაირი საზრუნავი დამაწვება კისერზე, ცხოვრების აშმორებულ ჭაობში უნდა შევტოპო. ვიმეორებ, რომ მამაჩემის სურვილს დავყევი და ჩემი სურვილები და მისწრაფებები ოჯახის სამსხვერპლოზე მივიტანე. ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებას ადვილად ირწმუნებთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვობიდანვე მშვიდი და უშფოთველი საქმიანობისათვის მამზადებდნენ.

პატივმოყვარე კი ვიყავი, მაგრამ იმდენი ჭკუა მაინც მქონდა, რომ რეშლის პირმოთნე სიტყვებით არ მოვტყუებულიყავი.

- თქვენ ვერ დამაჯერებთ, რომ უბრალო კათოლიკე მღვდლის გაჭირვებული ცხოვრება გირჩევნიათ სიმდიდრეს, საზოგადოებაში ტრიალსა და ამქვეყნიურ სიამოვნებას.

რეშლი მიხვდა რომ გადააჭარბა და ერთხანს იყუჩა. ეტყობა, უნდოდა კარგად მოეზომა, თუ რა გაემხილა და რა დაემალა ჩემთვის, რადგან ზედმეტი გულახდილობა არ უყვარდა. ცოტა ხნის შემდეგ გაიღიმა და მითხრა:

- მართლაც, ჩემი ხნის ახალგაზრდამ დაჩაგრულად არ უნდა იგრძნოს თავი, როცა, თქვენი თქმის არ იყოს, სიმდიდრესა და ამქვეყნიურ სიამოვნებებს შესთავაზებენ, მაგრამ ნება მიბოძეთ შევნიშნო, რომ თქვენ მთლიანად ვერ ამოიცანით ჩემი მისწრაფებები. დიახ, მე მღვდლობას ვაპირებ, ოღონდ უბრალო მღვდელი კი არ მინდა ვიყო. არა, სერ, რეშლი ოსბალდისტონი, იქნებ უმდიდრესი ლონდონელი მოქალაქე გახდეს, მაგრამ მაინც ეკლესიის იმ მსახურზე ნაკლებად იქნება ცნობილი, რომელზედაც პოეტი ამბობს „ხმლებჩაცმული ფეხებით თავადებს თელავენო“, ჩვენს ოჯახს პატივს სცემენ ერთი ტახტიდან ჩამოგდებული გვიგ-

რვინოსნის კარზე. იმ კარს კი რომში აფასებენ და მხარს უჭერენ. გარდა ამისა ჩემი ნიჭი და უნარი საკმაოდ შეეფერება იმ სარბიელს, რომლისთვისაც მამზადებდნენ. ყოველივე ეს უფლებას მაძლევს იმედი ვიქონიო, რომ სასულიერო ასპარეზზე საპატიო თანამდებობას მოვიპოვებ და შეიძლება სულ მთლად სათავეში მოვექცე. განა არ შეიძლება ასე მოხდეს? - მკითხა რეშლიმ და ჩაიცინა, ვითომდა სერიოზულად კი არ გეუბნები, გეხუმრებიო. - განა ვერ შეძლებდა კეთილშობილი კარდინალი ოსბალდისტონი სახელმწიფოთა ბედი გადაეწყვიტა, თუკი ძლიერი მოკავშირენი ეყოლებოდა დამხმარედ? მდაბიო მაზარინი[130] და იტალიელი მებაღის შვილი ალბერონი ხომ ახერხებდნენ ამდენს?

- მე საწინააღმდეგოს მტკიცებას არ დაგიწყებთ, მაგრამ თქვენს ადგილად სულ არ ვიდარდებდი, თუ ამ ოცნებას ვერ შევისრულებდი. ასეთ მაღალ მწვერვალზე ასულს ხომ ათასი თვალი შეჰყურებს შურითა და ღვარძლით და ათასი ხიფათი ემუქრება?

- მეც არ ვიდარდებდი, დარწმუნებული რომ ვიყო, ჩემი ახლანდელი მდგომარეობის სიმყარეში. ეს სხვადასხვა გარემოებაზეა დამოკიდებული და ალბათ თანდათან ავუღებ ალღოს ყველაფერს. ბევრი რამაა, მაგალითად, დამოკიდებული მამათქვენის ხასიათზე.

- გულახდილად მითხარით, რეშლი, ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე, რომ მამაჩემზე გინდათ გელაპარაკოთ.

- თუ დი ვერნონივით გადაგიწყვეტიათ, იმ მამაც რაინდთა რაზმს შეუერთდეთ, რომელთაც დევიზად „გულწრფელობა“ დაუწერიათ თავიანთ დროშაზე, მეც გულწრფელად გიპასუხებთ, მინდა-მეთქი.

- კეთილი. აი, რა მინდა გითხრათ: მამაჩემი იმიტომ კი არ დაადგა კეთილდღეობის მწვერვალისაკენ მიმავალ ბილიკს, რომ ამ ბილიკზე მოფანტულმა ოქრომ მოსტაცა თვალი - მას სურდა

სარბიელი მიეცა თავისი ნიჭისათვის, თავისი მოუსვენარი გონებისა და მჩქეფარე ენერგიისათვის. მისი ერთადერთი სიხარული და სიამოვნება შრომაა, მაგრამ შრომის საფასურს აგრერიგად არ ეხარბება და მხოლოდ იმიტომ დააგროვა ამდენი ქონება, რომ ყაირათიანი და თავშეკავებული კაცია. თვითონ პირდაპირია და ძალიან ეჯავრება ორპირი და თვალთმაქცი ხალხი. ამისთანებს ერთი შეხედვით ცნობს ხოლმე. ლაპარაკი არ უყვარს და ენამრავალ ადამიანებს ვერ იტანს. თანაც საქმეს, რომელსაც ემსახურება, ბევრი ლაი-ლაი არ სჭირდება. იგი მტკიცე კათოლიკეა და პატიოსნად იხდის თავის ვალს ღვთისა და ეკლესიის წინაშე, მაგრამ ნუ გეშინიათ, თქვენს სულიერ საქმეებში არ ჩაერევა, რადგან რელიგიური შემწყნარებლობა პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ უწმინდეს პრინციპად მიაჩნია. მიუხედავად ამისა, თუ თქვენ მეფე ჯეიმის მომხრე ხართ (რაც სულ არ იქნება გასაკვირი)გირჩევთ, არ გაუმხილოთ და ნურც იმ თავგასულ ტორების შეხედულებათა ქებას მოჰყვებით მასთან. მამაჩემს ხომ ჭირის დღესავით ეჯავრება იაკობინელებიცა და ტორებიც. კიდევ რა? ჰო, თავის სიტყვას უკან არასოდეს წაიღებს. ეს კარგად უნდა იცოდეს ყველამ, ვინც მას ემსახურება. თვითონ კარგად იცის, რა მოვალეობები აკისრია თავის ირგვლივ მყოფთა მიმართ, პირნათლად ასრულებს მათ და სხვებისაგანაც ამას მოითხოვს, ვისაც მისი კეთილგანწყობის მოპოვება უნდა, ზუსტად უნდა შეუსრულოს ბრძანება, მარტო თავის დაქნევა და „კი ბატონოს“ თქმა არ კმარა. მამაჩემს დიდი ნაკლიცა აქვს: ის ნაკლი მის საქმიანობასთან არის დაკავშირებული. უფრო სწორად, აქედან გამომდინარეობს. იგი აღმერთებს თავის ხელობას და ყველაფერი, რაც ასე თუ ისე არ არის დაკავშირებული ვაჭრობასთან, არარაობად მიაჩნია.

- ოჰო, პორტრეტი იშვიათ ხელოვნებითაა დახატული,-აღტაცებით წამოიძახა რეშლიმ, როდესაც მამაჩემის დახასიათება დავამთავრე, - ვან-დეიკი თქვენთან შედარებით ნამდვილი თხუპნია-

ა, ფრენკ! ახლა მე ცოცხლად ვხედავ დიდად პატივცემულ მამათ-ქვენს მთელი თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით. იგი აღ-მერთებს მეფეს, ვინაიდან მეფე სახელმწიფოს ლორდ-მერად, ანდა თუ გნებავთ, ვაჭრობის სამმართველოს უფროსად ჰყავს წარმოდგენილი, ქედს იხრის თემთა პალატის წინაშე, რამეთუ თემთა პალატა აწესრიგებს საგარეო ვაჭრობას და, რაკიღა ლორდ-კანცლერი მატყლით გატენილ ტომარაზე ზის, პერებსაც დიდ პატივს სცემს.

- ჩემი დახატული პორტრეტი დედანის ასლია, რეშლი, თქვენი კი კარიკატურა. ახლა მინდა თქვენი დახმარებით აქაური უცნობი ადგილების რუკას გადავხედო.

- იმ ადგილებისა, სადაც გემის დაღუპვის გამო მოხვდით, არა? გადასახედი არაფერია. ეს ხომ იდუმალი ჭალებითა და ლაბირინთებით დაფარული კალიპსოს[131] კუნძული არ არის, ჩვეულებრივი ჭაობია, ჩრდილოეთის ჭაობი, სადაც თვალი არა-ფერზე მიუგორდება კაცს. ამ საცოდავი მხარის გასაცნობად კომ-პასითა და შიმშით დახაზული რუკა არ დაგჭირდებათ. აქ არაფე-რი მიიპყრობს თქვენ ყურადღებას. სულ ნახევარი საათი საკმა-რისი იქნება აქაურობის დასათვალიერებლად და შესასწავლად.

- მაგრამ აქ ზოგი რამ მაინც საჭიროებს ყურადღებით შესწავ-ლას. აი, მის ვერნონზე რას იტყვით? განა უცნაურად არ გეჩვენე-ბათ, რომ ამ ისლანდიის სანაპიროსავით მოშიშვლებულ და მწირ არემარეში ასეთი ობიექტი არსებობს?

რეშლის აშკარად დაეტყო სახეზე, რომ საუბრის თემა არ მო-ეწონა, მაგრამ ჩემმა წეღანდელმა გულახდილობამ უკან დასახე-ვი გზა მოუჭრა. იგი იძულებული გახდა ეპასუხა ჩემს კითხვებზე:

- ამ ბოლო დროს საკმაოდ დავშორდით ერთმანეთს, ადრე, როცა ჩემი მოწაფე იყო, უფრო ვმეგობრობდით, მაგრამ მერე თვითონ ქალიშვილობაში შედგა ფეხი, მე ათასი საქმე გამომიჩ-ნდა, თანაც ჩემი მაღალი მოწოდება მომზადებას ითხოვდა, დი-

ანას საზოგადოებრივი მდგომარეობაც განსაკუთრებული გახლდათ და, ერთი სიტყვით, ორივესთვის სჯობდა, უფრო იშვიათად შევხვედროდით ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ მის ვერნონს სწყინდა, რომ თავს ვარიდებდი, მაგრამ ვალდებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავი. ძალიან გამიჭირდა გრძნობის დათრგუნვა და ვიცი, რომ თვითონაც ძალიან გაწამდებოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, განა ადვილია თავის შეკავება, როცა გვერდით ასეთი მომხიბვლელი ქალიშვილი გყავს და თანაც ნამდვილად იცი, რომ ან ღვთის სასძლო უნდა გახდეს ან სხვის მიერ ამორჩეულ საქმროს უნდა უძღვნას გული.

- როგორ, ან მონაზვნად უნდა აღიკვეცოს ან გარიგებით გათხოვდეს?! ნუთუ მის ვერნონს სხვა არჩევანი არა აქვს?

- ვაი, რომ არა აქვს, - ამოიხვნეშა რეშლიმ, - მე ზედმეტად მიმაჩნია გირჩიოთ, რომ მის ვერნონთან დაახლოება საკმაოდ სახიფათოა თქვენთვის, თქვენ ხალხში გამოსული კაცი ხართ და ისეთს არაფერს იკადრებთ, რომ თქვენც გაილანძღოთ და ქალიშვილსაც გაუტეხოთ სახელი, მაგრამ დიანა ძალიან თავშეუკავებელი და გრძნობებს ამყოლია, და თქვენ ერთობ გაგიჭირდებათ დაიცვათ წესიერების ფარგლები. ჩემი სიტყვების დასტურად საკმარისია მისი გუშინდელი საქციელი გაიხსენოთ.

ვგრძნობდი, რომ ამ სიტყვებში ჭეშმარიტების მარცვალი ერია. რეშლი სწორად მსჯელობდა, მეგობრულადაც მაფრთხილებდა და თითქოს მადლობის მეტი არაფერი მეთქმოდა, მაგრამ ამის მაგივრად გული მეუბნებოდა კარგი იქნება თუ დაშნაზე წამოაგებო. „როგორ იბღინძება ეს ოხერი, - ვფიქრობდი მე, - უნდა დამარწმუნოს, რომ თვითონ რომ არ დაეხია უკან, მის ვერნონი თავისი გრძნობების ალაგმვას ვერ შეძლებდა. უნდა დამარწმუნოს, რომ დიანას მისი წალდივით სახე მოეწონებოდა და სულ მთლად დაკარგა ჭკუა და გონება. არა, სუფთა წყალზე უნდა გამოვიყვანო, მარწუხებით უნდა ამოვგლიჯო პირიდან სიმართლე!“ - გა-

დავწყვიტე და უწყინარი სახით შევნიშნე, მართლაც და ძალიან დასანანია, რომ ასეთ გონიერსა და განათლებულ ქალს, როგორიც მის ვერნონია, ამისთანა უხეში და თავშეუკავებელი ქცევა ჰქონია-მეთქი.

- ყოველ შემთხვევაში, მეტისმეტად გულახდილად და თავშეუკავებლად იქცევა, - შეარბილა რეშლიმ ჩემი ნათქვამი, - მაგრამ თუ დამიჯერებთ, გული შესანიშნავი აქვს. მართალი გითხრათ, თუ მომავალში არც მონაზვნად აღკვეცას ინდომებს და არც ძალად გათხოვებას, თუ ჩემი გულმოდგინე შრომა პლუტოსის[132] საბადოში ფეხზე დადგომის საშუალებას მომცემს, შესაძლებელია ვიფიქრო ჩვენი წინანდელი ურთიერთობის განახლებაზე და მის ვერნონს ჩემი გული შევთავაზო.

„ცხადია, რეშლის ნამდვილად მშვენიერ ხმა აქვს და ჩინებული მოსაუბრეა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ამისთანა მახინჯი და აბეზარი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება“, - გავიფიქრე მე.

- მაგრამ მე არ მინდა, თორნკლიფს გადავუდგე გზაზე, - ხმადაბლა, თითქოს წამოსცდაო, დასძინა რეშლიმ.

- თორნკლიფს? - გავოცდი მე. - ნუთუ გადაწყვეტილია, რომ დიანა ვერნონი თორნკლიფს უნდა გაჰყვეს ცოლად?

- დიახ, ასეა. ასეთი იყო მამამისის ნება და შეთანხმება ჩვენს ოჯახებს შორის. მის დიანა ვერნონი ამ შეთანხმების თანახმად სერ ჰილდებრანდის ერთ-ერთ შვილს უნდა გაჰყვეს ცოლად. რომიდან მიღებულია ნებართვა, რომ დიანა ვერნონი უნდა გაჰყვეს ესკვაიერ... ოსბალდისტონს, ოსბალდისტონს-ჰოლის მფლობელის სერ ჰილდებრანდ ოსბალდისტონის ვაჟს, ბარონეტსა და ასე შემდეგ... ახლა მხოლოდ იმ ბედნიერის ამორჩევაა საჭირო, რომლის სახელი შეავსებს გამოტოვებულ ადგილს ამ საბუთში. ჰოდა, რადგან უფროსი შვილი, პერსი ღვინის ტრფი-

ალია, მამაჩემმა მისი მომდევნო, თორნკლიფი ამოარჩია ოს-ბალდისტონთა გვარის გამაგრძელებლად.

- იქნებ ქალიშვილს სურდა თქვენი საგვარეულოს ხის უფრო ქვედა შტოებიდან ამოერჩია რომელიმე, - ვკითხე რეშლის და თან ძლივს შევძელი, რომ შეკითხვისათვის ხუმრობის კილო მი-მეცა.

- რა მოგახსენოთ. ჩვენს ოჯახში დიდი არჩევანი არ არის. დი-კი მოთამაშეა, ჯონი - ხეპრე, უილფრედი კი მუტრუკი. ჩემი აზ-რით, მამაჩემმა საუკეთესო შვილი ამოურჩია საწყალ დის.

- საკუთარ თავზე ლაპარაკი კი, როგორც იტყვიან უხერხულია, არა?

- მე ხომ ღვთის მსახურად მამზადებდნენ და სათვალავში არ შევდიოდი. პირდაპირ გეტყვით: ეს რომ არა, ჩემი ძმები წინ ვერ დამიდგებოდნენ, რადგან ჩემი ცოდნა და განათლება საშუალე-ბას მაძლევდა უფროს ძმებზე უკეთ გავძღოლოდი დიანას მომავ-ლის გზაზე.

- უეჭველია, ახალგაზრდა ლედიც ამ აზრისა იყო, არა?

- მაგაში კი ძალიან სცდებით, - ისეთი კილოთი მითხრა რეშ-ლიმ, რომ დასტურს უფრო ნიშნავდა ვიდრე უარყოფას, - ჩვენ მეგობრობა, მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან.. გარდა ამისა, დიანას რა თქმა უნდა, მადლიერე-ბის ნაზი გრძნობა ექნებოდა თავისი ერთადერთი მასწავლებლის მიმართ. სიყვარული კი ახლოსაც არ გაჰკარებია ჩვენს გულებს, ხომ მოგახსენეთ, ჭკუა ვიხმარე და დროზე დავიხიე უკან-მეთქი.

ვიგრძენი, რომ საუბრის გაგრძელება აღარ შემეძლო, რელ-შის გამოვეთხოვე და ჩემს ოთახს მივაშურე. კარგად მახსოვს, ოთახშიც ვერ დავმშვიდდი, ბოლთის ცემა დავიწყე და თან ხმა-მაღლა ვიმეორებდი სიტყვებს, რომლებმაც ყველაზე მეტად მო-მიკლა გული: „თავშეუკავებელია. გრძნობებს ამყოლია... ნაზი გრძნობა ექნებოდა მასწავლებლის მიმართ... სიყვარული!..“ მაშ

დიანა ვერნონს ამ უმშვენიერეს არსებას ეს ფეხმოჩართული დათვი უყვარს?! რეშლი ხომ ნამდვილი რიჩარდ მესამეა[133], მარტო კუზი აკლია! თუმცა, რა გასაკვირია? რეშლის სულ ადვილად შეეძლო მოეხიბლა იმ წყეული გაკვეთილების დროს. დიანა ხომ თითქმის ბავშვი იყო მაშინ და ყველაფერს ოცნების თვალით უმზერდა. ახლაც ასე ეულად გრძნობს თავს. აქ ხომ ვერავისგან გაიგონებ ჭკვიანურ სიტყვას. როგორ ეჯავრება რეშლი, მაგრამ მისი ნიჭითა და ცოდნით მაინც აღფრთოვანებულია. განა ეს არ კმარა იმის დასადასტურებლად, რომ დიანას ნაზ გრძნობებს რეშლიმ უარით უპასუხა? თუმცა, რა მაწუხებს? გულს რას ვასკდები? განა პირველად მიჰყვება მახინჯს ცოლად მზეთუნახავი ქალიშვილი? მერე, თუნდაც თავისუფალი არჩევნის უფლება ჰქონდეს, მე რაში მჭირდება? კათოლიკე, იაკობინელი, ქალაბიჭა... რა სიგიჟეა ამისთანა ქალის შეყვარება?!

ასე შევეცადე ჩამექრო გულში აგიზგიზებული ცეცხლი, მაგრამ ვერ მოვახერხე. როცა სასადილო დარბაზში შევედი და მაგიდას მივუჯექი, ვიგრძენი, რომ მინავლული ნაკვერჩხლები წინანდებურად მიდაღავდა სულს და კიდე უფრო მოვიქუფრე.

თავი XII

როგორ?! დავითვერ და თუთიყუშივით ყბედობა მოვრთე! ჩხუბი და შფოთი

ავტეხე! ლანძღვა-გინებას მოვყევ! ჩემსავე ჩრდილს გამოვე-ლაპარაკე!

„ოტელო“[134]

ძვირფასო ტრეშამ! წინა თავებში უკვე მოგახსენე ჩემი ნაკლი, თუმცა ისედაც კარგად იცნობ შენი მეგობრის ხასიათს: ჩემი მთა-ვარი ნაკლი გადაჭარბებული თავმოყვარეობა იყო და ამისთვის ხშირად ვისჯებოდი კიდეც. ჯერ საკუთარ თავსაც არ გამოვტყდო-მოდი დი ვერნონის სიყვარულში, მაგრამ, როცა რეშლიმ ისე წარმოადგინა საქმე, თითქოს დიანა ფეხებში წამობლანდებული რაიმე ლამაზი ნივთი ყოფილიყო, რომელსაც უნდოდა აიღებდა, უნდოდა გადააბიჯებდა და გაივლიდა, დიანას საქციელს სულ სხვა თვალით დავუწყე მზერა: საბრალო გულწრფელი გოგონა ცდილობდა დამმეგობრებოდა, მე კი მეგონა, თავი უნდა მომაწო-ნოს, მარქიფად ვუნდივარ, თუ მისტერ რეშლი ოსბალდისტონი მოწყალებას არ გაიღებს და არ შეირთავს-მეთქი. არაფერია, და-ვუმტკიცებ, რომ ასე ადვილად მოსატყუებელი კაცი არა ვარ, ვაგ-რძნობინებ რომ ვხვდები, მაგრამ არაფრად ვაგდებ მის ხრიკებს და თვალთმაქცობას! - ვთქვი და გადავწყვიტე თავი დამეფასები-ნა. ერთხელაც არ მომსვლია აზრად, რომ უფლება არ მქონდა, გულთან ასე ახლოს მიმეტანა დიანას საქციელი და, თუ მაინც ვბრაზობდი და ვბობოქრობდი, ამის მიზეზი გულში შეუმჩნევლად

შემოპარული სიყვარული იყო. ამიტომ, მაგიდას რომ მივუჯექი, დიანაზეცა და ევას ყველა ქალიშვილზეც ერთნაირად ვიყავი განრისხებული.

მის ვერნონმა, როგორც სჩვეოდა, რამდენიმე სხარტი ფრაზა მესროლა და ძალზე გაოცებული დარჩა, როცა უხეში პასუხი მიიღო. იგი ვერ მიხვდა, რომ მისი შეურაცხყოფა მინდოდა და ჩემსავით უხეშად კი არა, ტაქტიანად და ენამოსწრებულად ამიბა კილო. ბოლოს მიხვდა, რომ მართლა გაბრაზებული ვიყავი და ჩემს მორიგ უზრდელ შენიშვნაზე ასე მიპასუხა:

- ამბობენ, ათასში ერთხელ სულელსაც დაეჯერებაო. ამასწინათ უილფრედი და თორნი კომბლებით ჩხუბში ვარჯიშობდნენ. თორნი გაბრაზდა და მაგრად მოსდო ძმას კომბალი თავში. უილფრედი ძალიან პატიოსანია: მაშინვე დაანება თავი თამაშს და უთხრა: „შენი თავის გახეთქვა რომ მქონდეს გადაწყვეტილი, ფეხებზე დავიკიდებდი შენს გაბრაზებას. კი არა, უფრო გამიიოლდებოდა საქმე. მაგრამ არ მინდა თავი გაგიხეთქო, ამიტომ არც მე შევუშვერ თავს შენს კომბალს და თამაშს თავს ვანებებო“. მიხვდით ამ ნათქვამის აზრს, მისტერ ფრენკ?

- მაპატიეთ, აქამდე არ მიგრძვნია იმის აუცილებლობა, ქალბატონო, რომ ამ ოჯახის წევრთა ნალაპარაკევიდან საღი აზრის ნამცეცები ამეკრიბა.

- „მაპატიეთ“, „ქალბატონო“... თქვენ დღეს მაოცებთ, მისტერ ოსბალდისტონ.

- ძალიან ვწუხვარ, თუ მართლა ასეა!

- თქვენ მართლა ბრაზობთ, თუ განგებ მაჩვენებთ თავს გაბრაზებულად? ალბათ გინდათ თავი დაიფასოთ, ხომ ასეა?

- თქვენ ისე განებივრებული ხართ ამ ოჯახის მამაკაცების ყურადღებით, მის ვერნონ, რომ მიკვირს, როგორ იწუხებთ თავს ჩემი სულელური ლაპარაკისა და უხასიათობის მიზეზის ძიებით.

- როგორ, ნუთუ იმის თქმა გინდათ, რომ ჩემი მოკავშირე აღარა ხართ და მტრის ბანაკში გადახვედით? - მკითხა მის ვერნონმა. შემდეგ მის პირდაპი მჯდომ რეშლის გადაჰკრა თვალი და როცა სახეზე შეატყო, რომ დიდი ყურადღებით უსმენდა ჩვენს საუბარს, დაამატა:

საზარელია ფიქრი ამაზე, მაგრამ რა ვუყო, ასე მჩვევია,
შენზე მანიშნებს რეშლი პირქუშად, კუშტად მიღიმის „უკვე ჩემია!“
სიმართლეა თუ მტკნარი სიცრუე, ვაი, ვერაფრით გამირჩევია.

არა უშავს! უფალმა და საკუთარი უმწეობის შეგნებამ მოთმინებას მიმაჩვია. ჩემი გაბრაზება ასე ადვილი არ არის, მაგრამ მაინც შეიძლება თავი ვერ შევიკავო და წაგეჩხუბოთ. ამიტომ სჯობს დროზე დავტოვო აქაურობა. გისურვებთ კარგად მოინელოთ დღევანდელი სადილი და უგუნებობა.

მხოლოდ მის ვერნონის წასვლის შემდეგ მივხვდი, რომ ძალზე სამარცხვინოდ მოვიქეცი: მე უხეშად უარვყავი გულწრფელი მეგობრობა, რომელიც მომხიბვლელმა გოგონამ შემომთავაზა, არ დავაფასე მისი უანგარო დახმარება და კინაღამ შეურაცხყოფაც კი მივაყენე ამ, როგორც თვითონ შენიშნა, უმწეო და უპატრონო ადამიანს. არა, ნამდვილად მხეცურად მოვექეცი მის ვერნონს! ეს მტანჯველი ფიქრი რომ მომეშორებინა, ღვინოს მივეძალე. რადგან აღელვებული ვიყავი და სასმელსაც ვერ ვიტანდი, ღვინო სწრაფად მომეკიდა.

მსმელებს შეუძლიათ ბევრი დალიონ და ჭკუა არ დაკარგონ, რადგან არც სიფხიზლეში არიან დიდი ჭკუის პატრონნი, მაგრამ ვინც იშვიათად ეწევა ამ მანკიერ საქმიანობას, უცებ გამობენტერდება ხოლმე. მე ადრეც აღგზნებული ვიყავი და, ღვინო რომ შემიჯდა თავში, მთლად გადავირიე: ენად გავიკრიფე, ყველას ვეკა-

მათებოდი, თანაც ისეთ საკითხებზე, რაზეც წარმოდგენა არა მქონდა, ანეკდოტებს ვყვებოდი, მაგრამ ბოლო მავიწყდებოდა და საკუთარ გულმავიწყობაზე ვხარხარებდი, სანაძლეოს ვდებდი, მაგრამ არ ვიცოდი რაზე. მერე გოლიათ ჯონს ჩავაცივდი ვიჭიდაოთ-მეთქი, ჯონმა იმ წელიწადს პირველი ადგილი დაისაკუთრა ჰექსამის შეჯიბრებაში, მე კი არც ერთხელ არ მეცადა ბედი საჯაროდ.

საბედნიეროდ, ბიძაჩემი ჩაგვერია ლაპარაკში და ეს სულელური განზრახვა გადამათქმევინა, თორემ ჯონი უეჭველად ხერხემალს გადამიმტვრევდა.

ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ვიმღერე კიდეც, მაგრამ არა მჯერა. ჯერ ერთი არ მახსოვს და მეორეც, ჩემს სიცოცხლეში, არც მანამდე და არც შემდეგ, არ მიმღერია და რაღა მაშინ გამიწყრებოდა ღმერთი. არა, ნამდვილად მომიგონეს! განა ცოტა სისულელე ჩავიდინე, რომ ეს არ დაემატებინათ? გონება არ დამიკარგავს, მაგრამ მთლად ავიშვი თავი. სუფრას რომ მივუჯექი, სახე ჩამომტიროდა და ხმის ამოღება არ მინდოდა, მაგრამ ღვინო რომ შემიჯდა თავში, ენად ვიქეცი - ვჭინჭყლობდი და ვჭირვეულობდი, ყველას პირში ვუვარდებოდი. მერე სულ დავივიწყე სტუმარი რომ ვიყავი და მასპინძლის რელიგიურ და პოლიტიკურ შეხედულებებს დავუწყე განქიქება. შიგადაშიგ რეშლი მშვიდი და მოკრძალებული გამომეტყველებით მგესლავდა და ეს უფრო მაცოფებდა, ვიდრე მისი დოღრიალა ძმების აშკარა შემოტევა. ბიძაჩემი, ღვთის წინაშე, ცდილობდა დავეშოშმინებინეთ, მაგრამ ისე ვიყავით ღვინით გამომტყვრალი, რომ იმის ლაპარაკს არად ვაგდებდით. ბოლოს, არ ვიცი მომეჩვენა, თუ მართლა მითხრა რეშლიმ რაღაც გესლიანი და მუშტი მოვდე. მან სტოიკური სიმშვიდით აიტანა ეს შეურაცხყოფა - ზიზღით შემომხედა, მაგრამ ხელი არ გაუნძრევია საპასუხოდ. მის მაგივრად თორნკლიფი გაცოფდა. ხმლები გავაშიშვლეთ და გადავაჯვარედინეთ, მაგრამ

სხვა ძმები გვეცნენ და გაგვაშველეს. ორმა გოლიათმა თრევით გამიყვანა დარბაზიდან. რეშლი მიყურებდა და იღიმებოდა. ეს სატანური ღიმილი სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში. ბიძაშვილებმა ჩემს ოთახში შემაგდეს, კარი გარედან გადამიკეტეს და სიცილ-ხარხარით ჩაიარეს კიბე. ამ სიცილმა მთლად გადამრია. შევეცადე პატიმრობიდან გავთავისუფლებულიყავი, მაგრამ კარფანჯარას რკინის წნელები ჰქონდა აკრული და ვერაფერს გავხდი. ბოლოს ქანცი რომ გამომელია, გადავწყვიტე, ჯავრი მეორე დღეს ამომეყარა, საწოლზე მივეგდე და დავიძინე.

მაგრამ დილის სიგრილემ ბრაზი გამომინელა. ცხადად ვიგრძენი, თუ რა სისულელე ჩავიდინე წუხელ და სირცხვილით ლამის დავიწვი. ღვინომ ისე დამაკარგვინა ჭკუა, რომ ჩემი ბიძაშვილებიდან ყველაზე ჩერჩეტი უილფრედის დასაცინი გავხდი! მესიკვდილებოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო - ბოდიში უნდა მომეხადა ჩემი უწესო საქციელისათვის, თანაც ჩემი მონანიების მოწმე მის ვერნონიც იქნებოდა. მის წინაშე უფრო დიდი დანაშაული მიმიძღვოდა და გულს ის უფრო მიკლავდა, რომ ამ დანაშაულს სიმთვრალეს ვერ დავაბრალებდი.

დარცხვენილი და დაძმარებული დავეშვი კიბეზე და ისეთი გულის კანკალით შევდგი ფეხი სასადილო დარბაზში, თითქოს მომაკვდინებელი დანაშაული მქონდა ჩადენილი და განაჩენის გამოცხადებას ველოდი. თითქოს ჯიბრზე, იმ დილას სიცივე იყო და ძაღლებით ნადირობა ჩაიშალა. ამიტომ დარბაზში თითქმის მთელი ოჯახი შეკრებილიყო, მარტო რეშლი და მის ვერნონი არ ჩანდნენ, ყველანი მაგიდას უსხდნენ და ცივ პაშტეტებსა და ძროხის სუკებს ავლებდნენ მუსრს. დარბაზში ერთი ხორხოცი და ზრიალი იდგა. მაშინვე გამიელვა თავში, მე დამცინიან-მეთქი. აბა რა ვიცოდი, რომ ასე არ უნდა გამეხეთქა გული. რომ ასეთ საქციელს ბიძაჩემი და ჩემი ბიძაშვილები უწყინარ ცელქობად თვლიდნენ. სერ ჰილდებრანდმა ჩემი წუხანდელი გმირობა გამახსენა და მე-

რე დამშვიდება დამიწყო, პატიოსნებას გეფიცები, სჯობს ყმაწვილი კაცი დღეში სამჯერ გამოთვრეს, ვიდრე პრესვიტერიანელივით ფხიზელი გაიპაროს სუფრიდანო. ამ ბრძნული რჩევის შემდეგ უზარმაზარი ჭიქა არყით გამივსო და მომაწოდა - დალიე, ძაღლის ნაკბენს ძაღლის ბალანი მოარჩენსო.

- ამათ ღრეჯას რა ყურს უგდებ, ძმისშვილო, - განაგრძო ბიძაჩემმა, - ესენიც შენისთანა დონდლოები იქნებოდნენ, ფაფის მაგივრად ბოღლიწოთი და ლუდით რომ არ გამეზარდა.

ჩემს ბიძაშვილებს გამყოლი გული არა ჰქონდათ და როცა დაინახეს, რა შეწუხებული და დარცხვენილი ვიყავი, თავისებურად, ტლანქად დამიწყეს დამშვიდება, ისეთი არაფერი ჩაგიდენიაო. მარტო თორნკლიფი იჯდა დაბღვერილი. მან თავიდანვე ამითვალწუნა. სხვა ბიძაშვილები დროდადრო როგორღაც გამოხატავდნენ ხოლმე ცოტაოდენ ყურადღებას.

თორნკლიფი კი ყოველთვის კუშტად მიმზერდა. თუ დიანა მართლა თორნკლიფის დაწინდული იყო (რაც უკვე საეჭვოდ მიმაჩნდა), ან თვითონ თორნკლიფი თვლიდა თავს მის საქმროდ მაშინ, ბუნებრივია, გულში ეჭვი ჰქონდა შემჯდარი, დიანა ხომ თავიდანვე გამორჩეული ყურადღებით მეპყრობოდა და თორნკლიფს, უეჭველია, საშიშ მეტოქედ მივაჩნდი.

ბოლოს, როგორც იქნა, რეშლიც მოვიდა. სახე გამეხებული ჰქონდა - ამის მიზეზი, რაღა თქმა უნდა, ის საშინელი და დაუმსახურებელი შეურაცხყოფა იყო, წუხელ რომ მივაყენე. მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა, როგორ მოვქცეულიყავი: თავი დავირწმუნე, რომ ზრდილობა და პატიოსნება მოითხოვდა, თავის მართლება არ დამეწყო და ბოდიში მომეხადა, რადგან მიზეზი, რომელიც თავის გასამართლებლად შემეძლო მომეყვანა, სათქმელად არც კი ღირდა. ამიტომ მაშინვე წამოვდექი ფეხზე, რეშლისთან მივედი და ვუთხარი, დიდად შეწუხებული ვარ, რომ წუხელ ასე საშინლად მოგექეცით-მეთქი.

- მე თვითონ კარგად ვგრძნობ, რომ წუხელ ფრიად უღირსი საქციელი ჩავიდინე, - დავსძინე მე, - ამაში რომ ეჭვი მეპარებოდეს, ვერავითარი გარემოება ვერ ამომაცდენინებდა პირიდან ბოდიშის სიტყვებს. იმედი მაქვს ჩემი ბიძაშვილი ყურად იღებს დანაშაულის გულწრფელ მონანიებას, მით უმეტეს, რომ ეს დანაშაული ნაწილობრივ ოსბალდისტონ-ჰოლის პატრონთა გულუხვი მასპინძლობით არის გამოწვეული.

- ის აუცილებლად შეგირიგდება, ყმაწვილო, - შესძახა თვალებგაბრწყინებულმა ბიძაჩემმა, - ან შეგირიგდება ან ჩემი შვილი აღარ იქნება! რა მოგივიდა რეშლი, რას გაშეშებულხარ? „ვწუხვარ, რომ ასე მოხდა“, - აი მხოლოდ ამ სიტყვების წარმოთქმა ევალება ჯენტლმენს, როცა რაიმეს დააშავებს, მით უმეტეს, თუ დანაშაული ღვინომ ჩაადენინა. მე ჰაუნსლოუში მიმსახურია და ცოტა რაღაც გამეგება ამისთანა საქმეებისა. აბა, ახლა სიტყვა აღარ გავიგონო ამ საქმეზე! ყველანი არყნარში წავიდეთ და მაჩვი გამოვაგდოთ სოროდან!

რეშლის, როგორც ადრე მოგახსენე, უცნაური სახე ჰქონდა. ნაკვთები კი არა ჰქონდა უცნაური, გამომეტყველება ეცვლებოდა ელვისებურად. მის სიხარულსა და მწუხარებას, რისხვასა და სიმშვიდეს შორის შუალედი არ არსებობდა. უეცრად დაეწმინდებოდა თვალები, გაეშლებოდა შუბლი და მთელი სახე დაუწყნარდებოდა. ასე სწრაფად მხოლოდ მთაში ცვლის ხოლმე სინათლე სიბნელეს.

ეს თეატრის დეკორაციის უეცარ შეცვლას ჰგავდა, სადაც განმგებლის ერთ დასტვენაზე გამოქვაბულის ნაცვლად ჭალა ჩნდება ხოლმე.

ამჯერად განსაკუთრებით გამაოცა რეშლის სახის ცვალებადობამ. შემოვიდა, ისე „ვით ღამე მოღრუბლული და კუნაპეტი“, ჩემი ბოდიშისა და მამის შეგონების მოსმენისასაც არ შუცვლია გამომეტყველება და მხოლოდ მაშინ, როცა სერ ჰილდებრანდმა

დაამთავრა ლაპარაკი, სახიდან მეყსეულად გადაიყარა ღრუბლები და მეტისმეტად თავაზიანად განაცხადა, სრულიად დაკმაყოფილებული ვარ ბოდიშით, რომელიც ესეოდენ ნატიფად და თავაზიანად მოიხადეთო.

- მართალი გითხრათ, - დასძინა მან, - მეც ძალიან მებნევა ჭკუა, როცა სამ ჭიქას გადავაცილებ და, პატიოსანი კასიოსი არ იყოს, მეტისმეტად ბუნდოვნად მახსოვს წუხანდელი ამბები. თითქოს ყველაფრი ბურუსშია გახვეული, ნათლად და გარკვეულად ვერაფერს ვიხსენებ. ვიცი, რომ ვიჩხუბეთ, მაგრამ ის კი აღარ ვიცი, რა იყო მიზეზი. ასე რომ, ჩემო ძვირფასო ბიძაშვილო (რეშლიმ ალერსიანად მომიჭირა მკლავზე ხელი), მიხვდებით, რა ნასიამოვნები დავრჩი, როცა გამოირკვა, რომ მე საბოდიშო არაფერი მაქვს და, პირიქით სხვას უნდა შევუნდო დანაშაული. მე ამ ამბავზე სიტყვასაც აღარ დავძრავ. მე წაგებას ველოდი, მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მოგებული ვარ და სულელი ვიქნები თუ კვლავ ანგარიშების ქექვასა და შემოწმებას მოვყვები. ხომ ატყობთ, მისტერ ოსბალდისტონ, რომ უკვე ლომბარდ-სტრიტის[135] ენით ვლაპარაკობ - მინდა მალე დავოსტატდე ახალი ხელობაში.

ის იყო, თავი ავწიე და დავაპირე მეპასუხა, რომ მის ვერნონის თვალებს შევეჩეხე. იგი შეუმჩნევლად შემოსულიყო ჩვენი საუბრის დროს და ყურადღებით გვისმენდა. დავიბენი, თავი დავხარე, სუფრასთან მივედი და ჭამა-სმისთ გართულ ბიძაშვილებში შევერიე.

ბიძაჩემმა მე და რეშლის გვითხრა, წუხანდელი შემთხვევიდან სათანადო დასკვნა გააკეთეთ - დედლობას მოეშვით და სასწრაფოდ მიეჩვიეთ სასმელს, ჯენტლმენს უნდა შეეძლოს, სუფრაზე ყველას აუბას მხარი სმაში, თანაც არც ჭკუა დაკარგოს და არც საჩხუბრად გაიწიოსო. მან გვირჩია, პირველი ნაბიჯები გადაგვედგა სმის ხელოვნების დასაუფლებლად: ყოველდღიურად თი-

თო პინტი კლარეტი, ცოტაოდენი ლუდი და არაყი დაგველია. თან გასამხნევებლად დასძინა: - მე ბევრ თქვენი ხნის ახალგაზრდას ვიცნობდი სუფრაზე ერთ პინტსაც რომ ვერ ერეოდნენ, მაგრამ მერე პატიოსან ხალხში რომ მოხვდნენ, იმათი მაგალითი გადმოიღეს და კარგი ვაჟკაცებიც დადგნენ: ისე გადაუძახებდნენ სტომაქში ექვს პინტ ღვინოს, რომ არც ჩხუბობდნენ, არც იგინებოდნენ და მეორე დღესაც ჩიტივით დგებოდნენ ხოლმე ლოგინიდან.

ბიძაჩემის ბრძნული დარიგება თუმცა დიდ წარმატებას მიქადდა ცხოვრების სარგებელზე, იმ დღეს მაინც აღარ მივეკარე სასმელს. ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ რამდენჯერაც თავი ავწიე, მის ვერნონის შეწუხებულ და მომდურავ თვალებს წავაწყდი. ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი სად შევხვედროდი, რომ ყველაფერი ამეხსნა და ბოდიში მომეხადა. ამ გაჭირვებიდან თვითონ დიანამ დამიხსნა:

- ჩემო ბიძაშვილო, - მომმართა მან, თუმცა სინამდვილეში ბიძაშვილად არ ვეკუთვნოდი, - ამ დილას ერთი ადგილი ვერ გავიგე დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდან“. იქნებ პატივი დამდოთ, ბიბლიოთეკაში გამომყვეთ და ტექსტი განმიმარტოთ. მერე, თუ იმ იდუმალი ფლორენციელის მიერ სიტყვების წიაღში ღრმად დაფარული აზრი ამოვთხარეთ, მონადირეებს დავეწიოთ არყნარში და ვნახოთ ასევე წარმატებით მოახერხებენ თუ არა ისინი სოროდან მაჩვის გამოგდებას და დაჭერას.

მე, რა თქმა უნდა, მაშინვე ვუპასუხე, სიამოვნებით დაგეხმარებით-მეთქი. რეშლიმ თავისი დახმარება შემოგვთავაზა. მე დანტეს ველური და დაბურულ ტევრების მეტაფორებსა და ელიზებს[136] ამოფარებული აზრის დევნაში უფრო დახელოვნებული ვარ, ვიდრე მინდვრის უწყინარი ბინადრის სოროდან გამოგდებაშიო.

- მაპატიე, რეშლი, მაგრამ რადგანაც თქვენ მისტერ ფრენსისის ადგილი უნდა დაიკავოთ მამამისის სავაჭრო სახლში, თქვენი

აქაური თანამდებობა უნდა დათმოთ. ამიერიდან ის უხელმძღვანელებს თქვენი მოწაფის სწავლა-განათლების საქმეს, - უთხრა მის ვერნონმა, - ნუ მოიღუშეთ, თუ გაგვიჭირდა, დაგიძახებთ. გარდა ამისა, სირცხვილია ნადირობა არ იცოდეთ. კრეინის ქუჩაზე რომ დაბინავდებით, შეიძლება ბიძათქვენმა გკითხოთ, მაჩვზე როგორ ნადირობენო და ხომ უნდა უპასუხოთ?

- მართალი ხართ, დი, მართალი, - ამოიოხრა სერ ჰილდებრანდმა, - უნდა უპასუხოს,

მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩაფლავდება. შეეძლო კი თავისი ძმებივით ბევრი სასარგებლო ცოდნა შეეძინა. ჩვენში ხომ პირდაპირ მიწიდან ამოდის ეს ცოდნა, მარტო უნდა დაიხარო და მოკრიფო. მაგრამ აქ ფრანგული სისულელეები, აქ წიგნების სიბრძნე, ახალი მოდა, რენეგატები, ჰანოვერის დინასტია და ქვეყანა გადასხვაფერდა. სადღაა ძველი ინგლისი! წამოდი, რეშლი, წამოდი. მოდი, ერთი, ჩემი სანადირო მოწყობილობა მომიტანე! ბიძაშვილს დღეს არა სჭირდები და თავს ნუ აბეზრებ. გინდა ხალხმა მასხარად აგვიგდოს? ოსბალდისტონ-ჰოლში ერთადერთი ქალი ჰყავთ და იმასაც სულს არ ათქმევინებენ თავის ნებაზეო?

რეშლი მამის ბრძანების შესასრულებლად გაეშურა, მაგრამ დიანას რომ ჩაუარა გვერდით, ჩურჩულით ჩაულაპარაკა:

- ალბათ თავაზიანობის ქალღმერთის მიერ დადგენილი წესები უნდა შევასრულო და ბიბლიოთეკაში დაუკაკუნებლად არ უნდა შემოვიდა არა?

- არა, რეშლი, არა. ის ყალბი მეგობარი, პირმოთნეობისა და ორპირობის ღმერთი მოიშორეთ თავიდან და ყოველთვის თავისუფლად შეგეძლებათ დაესწროთ ჩვენს ვარჯიშს სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში.

დიანა ბიბლიოთეკისაკენ გაემართა და მეც უკან გავყევი. მინდოდა მეთქვა, ისე მივდიოდი, თითქოს დამნაშავე ვიყავი და ჯალათს სიკვდილით დასასჯელად მივყავდი-მეთქი, მაგრამ გამახ-

სენდა, რომ ეს შედარება ერთხელ თუ ორჯერ უკვე გამოვიყენე. ამიტომ, ყოველგვარი შედარების გარეშე მოგახსენებ, რომ საშინლად დაბნეული და შეწუხებული მივყვებოდი უკან და რას არ დავთმობდი, რომ ამ მტანჯველი გრძნობისაგან გავთავისუფლებულიყავი. მე დიდხანს ვცხოვრობდი კონტინენტზე და ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი ის აზრი, რომ, როცა ლამაზ ქალიშვილთან პირისპირ დარჩები, თავაზიანად, ოღონდ ლაღად და თამამად უნდა წარმართო საუბარი.

მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ინგლისურმა ბუნებამ დაჯაბნა ფრანგული აღზრდა: დარწმუნებული ვარ, ერთობ საცოდავად გამოვიყურებოდი, როცა მის ვერნონი ისე მედიდურად ჩაეშვა ვეება სავარძელში თითქოს მოსამართლეა და უმძიმესი დანაშაულის განსასჯელად ემზადებაო. მან ხელით მანიშნა, რომ მის პირდაპირ მდგომ სკამზე დავმჯდარიყავი (მეც ნამდვილი ბრალდებულივით დავეშვი სკამზე) და დამცინავი კილოთი დაიწყო ლაპარაკი.

თავი XIII

წყეულიმც იყოს, ვინც თქვა პირველად,
რომ იარაღი შხამით ელესათ,
რომ შხამნარევი სატევრის პირი
კაცს მოხვედროდა უპირველესად.
უფრო კრულია მისი სახელი,
ვინც განაზავა შხამის ფიალა,
სმით შეიტყუა მეინახენი
და სასიკვდილოდ შეაწრიალა.

უცნობი ავტორი

- ღმერთმანი, მისტერ ფრენსის ოსბალდისტონ, ძალიან ისახელეთ თავი. არ მეგონა თუ ასეთი ნიჭიერი იყავით, - მითხრა მის ვერნონმა მწარე დაცინვით (არ ვიცი, რატომ ფიქრობდა, რომ უფლება ჰქონდა ყოველთვის, როცა მოესურვებოდა, ჩემზე აეღლესა ენა), - წუხელ ბრწყინვალედ ჩააბარეთ გამოცდა და ოსბალდისტონ-ჰოლის საზოგადოების წევრი გახდით, თანაც უბრალო კი არა - რჩეული და საპატიო!

- ვიცი, რომ ძალიან უზრდელად მოვიქეცი, მის ვერნონ. თავის გასამართლებლად მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა, სადილის წინ ისეთ ცნობა მომაწოდეს, რომ საშინლად ავფორიაქდი. ვაღიარებ, რომ მეტისმეტად ტლანქად და სულელურად ვიქცეოდი.

- ფრიად უსამართლო ბრძანდებით საკუთარი თავის მიმართ, - მითხრა ჩემმა შეუბრალებელმა მოძღვარმა, - იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ჩემი თვალით დავინახე და რაც სხვებმა მიამბეს, ერთი საღამოს მანძილზე დაგვიმტკიცეთ, რომ თქვენს ბუნებაში ბედნიერად არის შერწყმული ყველა თქვენი ბიძაშვილის ღირსებები: რეშლის ლმობიერება და დიდსულოვნება, პერსის ზომიერება და სიდარბაისლე, თორნკლიფის სიმამაცე... ჯონიზე ნაკლებად არ გცოდნიათ ძაღლების გაწრთვნა, დიკონივით ენაძლევებოდით ყველას. დიახ, ყველა ეს შესანიშნავი თვისება თქვენში ყოფილა დაუნჯებული, მისტერ ფრენსის! დროის, ადგილისა და ვითარების შერჩევაში კი ისეთი გემოვნება და გამჭრიახობა გამოამჟღავნეთ, რომ ბრძენ ულფრედსაც შეშურდებოდა!

საყვედური სამართლიანი იყო. მის ვერნონისაგან უარესის ღირსიც ვიყავი ამ უგვანო საქციელისათვის, მაგრამ მაინც შევეცადე თავის გამართლებას:

- ცოტათი მაინც შემიბრალეთ, მის ვერნონ! ძალიან ნუ გამიბრაზდებით, თუ ჩემთვის უჩვეულო საქციელს ნაწილობრივ ამ ოჯახსა და მხარეში გავრცელებულ სტუმართმოყვარეობის წესებს დავაბრალებ. არ მინდა ისე გაიგოთ, თითქოს ხოტბას ვასხამდე ამ წესებს, მაგრამ შექსპირის სიტყვებით რომ ვთქვათ, კარგი ღვინო ჩვენი მეგობარია და შეიძლება ადამიანმა ხანდახან მის ჭკუაზე გაიაროს.

- მართალია, მისტერ ფრენსის, მაგრამ დაგავიწყდათ ვისი პირით ასხამს ქებასა და ხოტბას ღვინოს? თავისი ნაწარმოებების ყველაზე საზიზღარი და გათახსირებული პერსონაჟის პირით! არ ვისარგებლებ ამ მარჯვე შემთხვევით და არ გავიმეორებ უბედური კასიოს სიტყვებს. ალბათ გახსოვთ, რას ეუბნება იაგოს, როცა ეს უკანასკნელი ღვინოს აძალებს. მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ აქ ერთ პიროვნებას გული შეტკივა ნიჭიერ ახალგაზრდაზე, რო-

მელსაც გადაუწყვეტია ამ სახლის მაცხოვრებლებს მიბაძოს და ლოთობის ჭაობში ჩაეშვას.

- მე მხოლოდ ფეხი შევდგი ამ ჭაობში, მის ვერნონ, და როგორც კი შმორის სუნი ვიგრძენი, იმ წუთას შევჩერდი და გადავწყვიტე, ერთი ნაბიჯიც აღარ გადამედგა წინ.

- ჭეშმარიტად ბრძნული გადაწყვეტილებაა, თუ აღარ გადაიფიქრებთ. თქვენმა წუხანდელმა საქციელმა ისე ამაღელვა, რომ ჯერ ამაზე დაგიწყეთ ლაპარაკი. ახლა კი ჩემს საქმეზე მოვისაუბროთ. გუშინ, სადილობისას ისე მექცეოდით თითქოს ვიღაცამ გაგახელათ, თითქოს ვინმემ გიგინათ ჩემი თავი, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ვინ რა გითხრათ ჩემზე?

საშინლად დავიბენი. დიანამ ისე პირდაპირ დამისვა კითხვა, თითქოს თვითონაც მამაკაცი ყოფილიყო და მშვიდად, აუღელვებლად, მაგრამ მტკიცედ მოითხოვა, ნათელი, ამომწურავი და წრფელი პასუხის გამეცა ამ კითხვაზე. ეს მთლად ეწინააღმდეგებოდა მაღალ საზოგადობაში მიღებულ ჩვეულებას, სადაც სხვადასხვა სქესის ადამიანები ათასნაირად მინიშნებებითა და ნართაულებით აგებინებდნენ ერთმანეთს თავიანთ აზრებსა და სურვილებს.

დიახ, საშინლად დავიბენი! რითი უნდა გამემართლებინა ჩემი უხეშობა? თუ რეშლის ნაამბობი ჭეშმარიტებად მივიჩნიე, დიანა უნდა შემცოდებოდა, მე კი, პირიქით, გავბოროტდი და შეურაცხყოფა მივაყენე. როგორ გავიმეორო რეშლის სიტყვები. ამით ხომ უფრო დავუკოდავ გულს უმწეო ქალს. არა, - გადავწყვიტე ბოლოს, - არაფერს ვეტყვი, თუნდაც ვიცოდე, რომ აღსარების შემდაგ ყველაფერს მაპატიებს, მის ვერნონმა შემატყო, რომ თავს ვებრძოდი და ზრიდილობიანად, მაგრამ წინანდელზე მტკიცედ და დაბეჯითებით მითხრა:

- მისტერ ოსბალდისტონ, იმედია გესმით, რომ უფლება მაქვს, პირადად მოგთხოვოთ ახსნა-განმარტება. მე ახლობელი და

გულშემატკივარი არავინ მყავს, ამიტომ თვითონვე უნდა დავიცვა თავი.

დავიწყე თავის მართლება - ცუდ გუნებაზე ვიყავი და ლონდონიდანაც უსიამოვნო წერილი მივიღე-მეთქი. მის ვერნონმა ღიმილით მოისმინა ჩემი არეულ-დარეული ლაპარაკი და როცა საბოლოოდ გავიხლართე სიცრუის ქსელში და დავდუმდი, მითხრა:

- ახლა კი, მისტერ ოსბალდისტონ, რადგან ეგ ყველა პროლოგივით უხეირო პროლოგი დაამთავრეთ, კეთილი ინებეთ, ფარდა ასწიეთ და დაიწყეთ სპექტაკლი, რომელსაც ასე მოუთმენლად ელის მაყურებელი. ერთი სიტყვით, გამაგებინეთ, რა გითხრათ ჩემზე რეშლიმ - ოსბალდისტონ-ჰოლის ხრიკების მთავარმა გამომგონებელმა და მექანიკოსმა.

- დავუშვათ, მართლა მითხრა რამე, მის ვერნონ, მაგრამ თვითონვე მითხარით, მე და რეშლი მეგობრები აღარა ვართ, მაგრამ მოკავშირეებად დავრჩებითო. მერე და განა ლამაზია, სხვას გამოსტყუოთ მოკავშირის ნათქვამი?

- ვერ ვიტან, როცა თავის დაძვრენას ცდილობენ და არც ქილიკობის ხასიათზე ვარ, რეშლის არა აქვს უფლება და ვერც უნდა გაბედოს ისეთი რამ თქვას ჩემზე, რომლის გამეორება გეუხერხულებათ. ჩვენ, რასაკვირველია გვაქვს საერთო საიდუმლო, მაგრამ, ჯერ ერთი, ამ საიდუმლოს არ გაგიმხელდათ და მეორე, ეს საიდუმლო ჩემს პიროვნებას არ ეხება.

ამ ლაპარაკისას მე უკვე მოვიკრიბე გონება და მტკიცედ გადავწყვიტე, არ გამემხილა დიანასათვის რეშლის ნათქვამი. ვიფიქრე, კაცი რომ გენდობა და რამეს გეტყვის, სხვას არ უნდა უთხრა. ამით მე არაფერი შემემატება, მის ვერნონს კი გული ეტკინება-მეთქი. ამიტომ მოვიღუშე და დინჯად მივუგე:

- მე და რეშლიმ ზოგადად ვისაუბრეთ ოსბალდისტონ-ჰოლის მცხოვრებთა ოჯახურ მდგომარეობაზე და ამ საუბრის დროს ისეთი არაფერი თქმულა, რამაც შეიძლება ჩრდილი მიაყენოს

თქვენს პიროვნებას. ამის მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯენ-ტლმენს არა აქვს უფლება კერძო საუბრის შინაარსი ვინმეს გა-უზიაროს.

დიანა ისეთი სახით წამოიმართა, რომ მტრებთან შესაბმელად გამზადებული კამილა[137] წარმომიდგა თვალწინ:

- ეგრე ადვილად ვერ გამაცურებთ, სერ! მე სხვა პასუხს ველი თქვენგან!

დიანას სახე ანთებოდა და თვალებში ნაპერწკლები უკიაფებ-და. მან სული ამოითქვა და განაგრძო:

-მე ნამდვილ პასუხს ველოდები და ამის უფლებაცა მაქვს, რადგან ჩემი სახელი უსამართლოდ ამოსვარეს ლაფში. მე უფ-ლება მაქვს განმარტება მოვთხოვო პიროვნებას, რომელიც თა-ვის თავს ჯენტლმენს უწოდებს. დაიხ, ობოლ, ეულსა და მიუსა-ფარ ადამიანს, ადამიანს, რომელსაც არავინა ჰყავს შემწე და გზის გამკაფავი და მხოლოდ საკუთარი ძალისა და გონების იმე-დად უნდა იყოს, უფლება აქვს უფლის სახელით მოითხოვოს გან-მარტება იმათგან, ვისაც უკეთესი ხვედრი ერგო ამქვეყნად. იმ უფლის სახელით, რომელმაც ზოგის გზა ვარდებით მოჰფინა. ზოგისა კი ეკალ-ბარდებით. ნუ გამაწბილებთ, თორემ ინანებთ! თუკი, ან აქ, ან იქ (დიანამ მაღლა აღაპყრო თვალები) რაიმე სა-მართალი არსებობს!

მე უაღრესად განმაცვიფრა დიანას ასეთმა აღელვებამ. ვიგ-რძენი, რომ სხვა გზა აღარ მქონდა, ვალდებული ვიყავი ჯენ-ტლმენობა გვერდზე გადამედო და მოკლედ, მაგრამ ზუსტად გა-დამეცა რეშლის ნათქვამი. როგორც კი ლაპარაკი დავიწყე, დი-ანა სავარძელში ჩაჯდა და ყურადღებად იქცა. როცა სიტყვის შე-სარჩევად შევჩერდებოდი, დიანა მაშინვე შემეშველებოდა:

- განაგრძეთ, ძალიან გთხოვთ განაგრძეთ, აი, ის სიტყვა იხმა-რეთ, პირველად რომ მოგადგათ ენაზე. ის ყველაზე მართალი

და ზუსტი იქნება. ნუ მიფრთხილდებით, ისე ილაპარაკეთ თითქოს სხვას უყვებოდეთ ჩემს ამბავს.

აი, ასე მაქეზებდა და მეც, როგორც იქნა, ბორძიკ-ბორძიკით ჩამოვღერღე, თურმე თქვენი ოჯახები თავიდანვე შეთანხმებულან, რომ რომელიმე ოსბალდისტონს უნდა გაჰყოლოდით და რომ თქვენ ძალიან გიჭირთ არჩევნის გაკეთება-მეთქი. ამით ვაპირებდი დამთავრებას, მაგრამ დიანას რას გამოაპარებდი? მაშინვე იგრძნო, რომ ყველაფერი არ ვუთხარი, კიდევ მეტი, იმასაც მიხვდა, თუ რას ვუმალავდი.

- რეშლი, რა თქმა უნდა, უსინდისოდ მოქცეულა: ნიშნობის ამბავი არ უნდა ეთქვა თქვენთვის, მაგრამ ეს არ მაწუხებს, ის ზღაპარი გამახსენდა, ერთი ქალიშვილი აკვანში რომ დანიშნეს ნორვეგიულ დათვზე და იმას კი არ დარდობდა, დათვს როგორ უნდა გავყვეო, თავის ამხანაგებზე ბრაზობდა - დათვის საცოლეს ნუ მეძახიანო. კარგი, ეგ არაფერი, მაგრამ რეშლი რაღაცნაირად თავის თავსაც გარევდა ამ საქმეში, ასე არ არის?

- დიახ რეშლიმ ნართაულებით მიმახვედრა, ძმების წყენინებას რომ არ ვერიდებოდე, ახლა, როდესაც ცხოვრების გზა უნდა შევიცვალო, ვისურვებდი საქორწინო ხელშეკრულებაში გამოტოვებული ადგილას თორნკლიფის მაგივრად ჩემი სახელი ჩაწერილიყოო.

- მართლა ასე თქვა?! ასე დაიმცირა თავი? ეს ხომ დიდი პატივია, მისი მორჩილი მხევლისათვის. ალბათ, იმასაც ფიქრობს, რომ ამ ცვლილებით აღფრთოვანებული დავრჩები.

- მართალი გითხრათ, რაღაც მსგავსი აზრი გამოთქვა და მერე დასძინა...

- რა? მითხარით, ყველაფერი მითხარით!

- რომ იგი შეეცადა თქვენი გატაცება სიყვარულში არ გადაზრდილიყო, რადგან აპირებდა ღვთის სამსახურისათვის შეეწირა თავი.

- დიდად მადლობელი ვარ ასეთი ყურადღებისათვის, - თქვა მის ვერნონმა და ლამაზ სახეზე უსაზღვრო ზიზღი გამოეხატა. შემდეგ ცოტა ხანს იყუჩა და მშვიდად დაამატა: - თქვენ მოულოდნელი არაფერი გითქვამთ. ვიცოდი, რომ ამას გეტყოდათ, რადგან რეშლის ნათქვამიდან ერთის გარდა ყველაფერი სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ერთმა კოვზმა კუპრმა ერთი კასრი თაფლი წაბილწაო და იმ ერთმა ტყუილმაც ყველაფერი გააყალბა. ეს მთავარი ტყუილი კი ის გახლავთ, რომ იმის შემდეგ, რაც რეშლის ბუნება გავიცანი, და საბედნიეროდ, იძულებული ვიყავი ძალიან კარგად გამეცნო, განა რაიმე ამქვეყნიური ძალა მაიძულებდა ცოლად გავყოლოდი?! არა, - წამოიძახა დიანამ და ხმა ზიზღით აუკანკალდა. - ამაზე უარესი ხვედრის წარმოდგენა შეუძლებელია. ათასჯერ უკეთესია ლოთს, ყომარბაზს, ჩხუბის თავს, მემარცხენეს ან თუნდაც სულელს დაუკავშირო შენი მომავალი, ვიდრე რეშლის. ჯობს, მონაზვნად აღიკვეცო, ციხეში ჩაჯდე, საფლავში იწვე, ვიდრე...

დიანას თვალებში უსაზღვრო სევდა და ნაღველი ჩაბუდებოდა და ეს არც მიკვირდა: განა რას უნდა გაეხარებინა ეს უბედურ დღეში ჩავარდნილი ადამიანი? ეს ნორჩი, მშვენიერი, უმწიკვლო ქალიშვილი მხოლოდ საკუთარი თავის იმედად რომ იყო დარჩენილი ამქვეყნად, მას არც მეგობარი ქალიშვილები ჰყავდა დარდის გასაზიარებლად და არც იმ მცირეოდენი ყურადღების იმედი უნდა ჰქონოდა, რომელსაც ქალების მიმართ იჩენენ ცივილიზებულ საზოგადოებაში. მაღალფარდოვნობაში ნუ ჩამომართმევ და გული მეფლითებოდა, როცა ამ ნაღვლიან სიტყვებს ვუსმენდი. მაგრამ ამ სიტყვებში ისეთი გულწრფელი ზიზღი იგრძნობოდა ყოველგვარი ცერემონიების და სიყალბის მიმართ, ისეთი მტკიცე გადაწყვეტილება - უშიშრად შებმოდა ირგვლივ შემოჯარულ მტრებს, რომ სიბრალული აღტაცებად შემეცვალა. დიანა, ახლა ქვეშევრდომების მიერ მიტოვებულ და ძალაუფლება წარ-

თმეულ დედოფლად მეჩვენებოდა, რომელიც, უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, წინანდებურად ზიზღით უმზერდა მდაბიოთათვის სავალდებულო ადათ-წესებს და მხოლოდ ზენაარის სამართლიანობისა და საკუთარი სულიერი სიმტკიცის იმედით აპირებდა ცხოვრების გატანას.

თანაგიგრძნობთ და აღტაცებული ვარ თქვენით-მეთქი, ვუთხარი დიანას და ვაპირებდი ხოტბა შემესხა მისი სიმტკიცისა და მამაცობისათვის, მაგრამ მაშინვე გამაჩერა:

- ერთხელ ხუმრობით გაგაფრთხილეთ, ქათინაურები არ მიყვარს-მეთქი, ახლა კი სერიოზულად გეუბნებით, რომ არავის თანაგრძნობას არ ვსაჭიროებ და ვერ ვიტან, როცა მიბრალებენ და მამშვიდებენ. მე აქამდე მარტო ვეწეოდი ჩემს ჭაპანს, და არც მომავალში დავიხმარ ვინმეს. თანაგრძნობის სიტყვები ოდნავადაც ვერ შემიმსუბუქებს ვირთებას. ამქვეყნად მხოლოდ ერთადერთ კაცს შეეძლო შემწეობა აღმოეჩინა ჩემთვის, მაგრამ მან კიდევ უფრო დამიმძიმა ტვირთი. ეს კაცი რეშლი ოსბალდისონია. დიახ, იყო დრო, როცა შეიძლებოდა რეშლისთვის გულის კარები გამეღო, მაგრამ, ღმერთო დიდებულო, თურემ რა მდაბალი ზრახვები ამოძრავებდა, როცა ყველასგან მიტოვებული არსების ნდობის მოპოვებას ესწრაფოდა! ო, რა დაჟინებით ცდილობდა წლების მანძილზე ამ ზრახვების განხორციელებას. ნუთუ ერთხელაც არ იგრძნო სინდისის ქენჯნა, ნუთუ ერთხელაც არ გაუნათა ბოროტი გული სიბრალულის სხივმა?! თურმე რატომ მიწამლავდა გონებას! ღმერთო დიდებულო, ხომ სულითა და ხორცით უნდა წავწყმენდილიყავი ამ მზაკვარსა და გაიძვერას რომ მივნდობოდი!

მე ისე აღმაშფოთა რეშლის ვერაგობამ, რომ ფეხზე წამოვხტი, ხმლის ვადა ხელში ჩავბღუჯე და კარისაკენ გავექანე, რომ ამ საზიზღარი ბოროტმოქმედისათვის სამართლიანი სასჯელი მიმეზღო. მის ვერნონმა სწრაფად გადამიჭრა გზა. თვალებში ახლა

ზიზღისა და რისხვის ნაცვლად საშინელი შიში და შეშფოთება ჩასდგომოდა.

- შეჩერდით, - შემეეედრა იგი, - არ წახვიდეთ, თქვენი რისხვა სამართლიანია, მაგრამ ჯერ ამ შემზარავი საპყრობილის საიდუმლოებების ნახევარიც არ იცით. - დიანამ შეშინებული თვალები მოავლო ოთახს და თითქმის ჩურჩულით განაგრძო: - რეშლის თილისმა აქვს: მისი მოკვლა მრავალი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს და უამრავ უბედურებას გამოიწვევს. ასე რომ არ იყოს, უკვე დიდი ხნის წინ დადგებოდა მისი განსჯის საათი. ასე რომ არ იყოს, ეს სუსტი ხელიც მოუსწრაფებდა სიცოცხლეს! წეღან გაგაფრთხილეთ თანამგრძნობი არ მინდა-მეთქი, - მითხრა დიანამ როცა ჩემს სკამთან მიმიყვანა, - ახლა კი გეუბნებით, რომ არც შურისმაძიებელს ვსაჭიროებ.

ანგარიშმიუცემლად დავეშვი სკამზე და დიანს სიტყვებზე დავიწყე ფიქრი. ოდნავ რომ დავმშვიდდი, მხოლოდ მაშინ დავუსვი თავს კითხვა, განა მაქვს უფლება მის ვენონის დამცველის როლში გამოვიდე-მეთქი? დიანა ცოტა ხანს დუმდა, უნდოდა თვითონაც მოეთქვა სული და მეც გადამყროდა გულიდან ბრაზი. მერე საკმაოდ მშვიდად მითხრა:

- მე უკვე მოგახსენეთ, რომ მე და რეშლის ერთი საიდუმლო გვაკავშირებს, საშინელი, საბედისწერო საიდუმლო. რეშლი ვერაგი და მზაკვარი ადამიანია, მაგრამ ვერც განზე გავდგომივარ და ვერც აშკარა შებრძოლება გამიბედია. ისე კი გრძნობს, რა თვალითაც ვუყურებ. თქვენც, მისტერ ოსბალდისტონ, მოთმინებითა უნდა აღიჭურვოთ და მის ხრიკებს ძალა კი არა, გონება დაუპირისპიროთ. ყველაზე უფრო კი იმისთანა საქციელს უნდა ერიდოთ, წუხელ რომ ჩაიდინეთ, თორემ სულ გაუადვილებთ საქმეს. დღეს სწორედ იმიტომ წამოგიყვანეთ აქ, რომ გამეფრთხილებინეთ, მაგრამ მგონი, ზედმეტად გენდეთ. ამდენის თქმას არ ვაპირებდი.

შევეცადე დამერწმუნებინა, რომ ეს ნდობა სანანებლად არ გაუხდებოდა.

- მეც ასე ვფიქრობ, - თქვა მის ვერნონმა, - თქვენ ზედ გაწერიათ, რომ სანდო ადამიანი ხართ. მოდი, მეგობრები ვიყოთ, - დიანა ოდნავ გაწითლდა, მაგრამ მაინც ძველებურად ლაღი და ძალდაუტანებელი ტონით დასძინა: - იმ პოეტს ნუ დაუჯერებთ, რომ ამბობს „მეგობრობას“ სულ სხვა გრძნობის აღსანიშნავად ხმარობენო. მე მამაკაცებში ვიზრდებოდი და ქცევითაც და აზრებითაც უფრო თქვენ დაგემსგავსეთ. ამას გარდა, აკვანშივე ვიყავი დაწნული ღვთის სასძლოდ. ამ დამამცირებელ ქორწინებას ისევ მონაზვნის რიდე მირჩევნია. ჯერ კი, სანამ საბოლოო არჩევნის ჟამი არ დამდგარა, სანამ თავისუფალი ვარ, მინდა სხვებივით დავტკბე ამ მთა-ველების სილამაზითა და მშვენიერებით. ახლა კი რადგან დანტეს პოემის ეს ბუნდოვანი ადგილი განვმარტეთ, წადით და ნახეთ, როგორ მიდის მაჩვზე ნადირობის საქმე. მე ისე ამტკივდა თავი, რომ ვეღარ ვინადირებ.

ბიბლიოთეკიდან გამოვედი, მაგრამ სანადიროდ აღარ წავსულვარ. რეშლის გაიძვერობამ და მუხანათობამ ძალზე შემაძრწუნა და ამაფორიაქა. ვიგრძენი, რომ ახლა მისი დანახვა არ ძალმიძდა, ამიტომ გადავწყვიტე ცოტა ხანს მარტო მესეირნა და გონება მომეკრიბა. დიუბერის ოჯახში (ისინი რეფორმატორები იყვნენ) ხშირად ლაპარაკობდნენ კათოლიკე მღვდლების გაიძვერობაზე. ისინი მოხერხებულად იყენებდნენ მეგობრობას, სტუმარ-თმოყვარეობასა და სხვა წმინდა გრძნობებს თავიანთი მდაბალი მიზნების მისაღწევად, მაგრამ ამისთანა მუხთლობას და ვერაგობას ვერც წარმოვიდგენდი: რეშლიმ იმ მიზნით იკისრა ამ კეთილშობილური წარმოშობის ობოლი გოგონას აღზრდა, რომ შეეცდინა და გაებახებინა. თანაც ეს გოგო მისი ნათესავი იყო! თვალიდან არ ამომდიოდა, როგორი გულწრფელი აღშფოთებით მიამბობდა მომავალი მსხვერპლი ამ საზიზღარი ჩანაფიქრის დეტა-

ლებს. ბორდოში ბევრი რამ მომისმენია კათოლიკეების სიბილწეზე, მაგრამ ეს ყველაფერს აღემატებოდა. აშკარად ვიგრძენი, რომ რეშლისთან შეხვედრისას ზიზღსა და აღშფოთებას ვერ დავმალავდი. თავის შეკავება კი აუცილებელი იყო: ჯერ ერთი, მახსოვდა ის იდუმალების ბურუსში გახვეული გაფრთხილება, რეშლის ხელი არ ახლო, თორემ სხვებიც დაიღუპებიანო და გარდა ამისა, არავითარი აშკარა და პირდაპირი საბაბი არა მქონდა საიმისოდ, რომ ორთაბრძოლაში გამომეწვია.

ამიტომ გადავწყვიტე, სანამ ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრებდით, სიფხიზლე გამეორკეცებინა, ხოლო როცა ლონდონში წავიდოდა, ბარათით გამეფრთხილებინა ოუენი, რომ რეშლი მუხანათი და გაიძვერა იყო და თვალი დაეჭირა, მამაჩემისათვის არაფერი ევნო. დარწმუნებული ვიყავი მარტო ავხორცი კი არა, ხარბი და პატივმოყვარეც იქნებოდა, რეშლის ფხა და სიმარჯვე არ აკლდა და თავის დაჭერაც ისე იცოდა, რომ ვაგლახად ვერ შეატყობდით, რა ჩიტი ბრძანდებოდა. სულ ადვილად შეეძლო, კაცს სულში ჩასძრომოდა, ნდობა მოეპოვებინა და მერე ეს ნდობა თავისი ბოროტი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა: მე შენ გეტყვი და, პატიოსნება ან კეთილშობილება შეაკავებდა! ამოცანა ძნელი გადასაწყვეტი იყო: მეშინოდა ჩემი გაფრთხილება მეშურნეობად არ მიეღოთ - რეშლი ხომ ჩემი მეტოქე იყო, ჩემი ადგილი უნდა დაეკავებინა მამაჩემის სავაჭრო სახლში. ბოლოს მაინც იმ აზრზე დავდექი, რომ წერილი აუცილებლად უნდა გამეგზავნა ოუენისათვის. იგი ფხიზელი გონების, ფრთხილი და წინდახედული კაცი იყო, წერილიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანდა და რეშლის ნამდვილ ბუნებას შეიცნობდა, ამიტომ ბევრი აღარ დავახანე - წერილი დავწერე და, როგორც კი დრო მოვიხელთე, ფოსტით გავგზავნე,

რეშლის რომ შევხვდი, შევატყვე, რომ თავს მარიდებდა და ცდილობდა შუღლი არ გაეღვივებინა. მეც ასე ვიქცეოდი. რეშლი,

რა თქმა უნდა, მიხვდა რომ ჩვენი საუბრის დროს მის ვერნონი ცუდის მეტს არაფერს მეტყოდა მასზე, მაგრამ იმას კი, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, თუ თავიდან ბოლომდე დამისურათხატებდა ყველაფერს. ერთი სიტყვით ორივენი ვცდილობდით თავი შეგვეკავებინა და თითო-ოროლა ზოგადი ფრაზით შევხმიანებოდით ერთმანეთს. რამდენიმე დღის შემდეგ რეშლის წასვლის დრომაც მოაღწია. ამ ხნის განმავლობაში ორმა გარემოებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება: პირველი ის გახლდათ, რომ ერთობ ბეჯითად მეცადინეობდა და მისი ძალუმი და მოქნილი გონება სწრაფად, თითქმის ინტენსიურად ითვისებდა თავის ახლი ხელობისათვის აუცილებელი ცოდნის საფუძვლებს. დროდადრო ტრაბახობდა კიდეც თავისი წარმატებებით, თითქოს ნიშნს მიგებდა, აი, რა მსუბუქი ყოფილა ის ტვირთი, თქვენ რომ ასე მძიმედ გეჩვენებოდათო. მეორე გარემოება კი ის იყო, რომ მის ვერნონი ხშირად და განმარტოებით საუბრობდა რეშლისთან განმარტოებით, თუმცა ხალხში კვლავ შორიშორ ეჭირათ თავი ერთმანეთისაგან. ეს კი ჩემი და მის ვერნონის იმდღევანდელი საუბრის შემდეგ ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა.

როცა რეშლის გამგზავრების საათმა დაჰკრა, მამამისი ძალიან გულგრილად დაემშვიდობა, ძმები კი ისე იყვნენ გახარებულნი, თითქოს მასწავლებელს ისტუმრებენ შვებულებაშიო. ჩემი ბიძაშვილები ძალიან ცდილობდნენ, სიხარული არ გამოემჟღავნებინათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ მე ცივად, მაგრამ თავაზიანად გავუწოდე ხელი. შემდეგ მის ვერნონს მიეახლა გამოსამშვიდობებლად. დიანამ უკან დაიწია, ზიზღნარევი გოროზი ღიმილით დააცადა გამოსამშვიდობებელი სიტყვის დამთავრება, მერე ხელი გაუწოდა და უთხრა:

- მშვიდობით, რეშლი, დაე, უფალმა დაგაჯილდოვოთ იმ კარგისთვის, რაც გაგიკეთებიათ და შეგინდოთ ბოროტი ზრახვები, რომელთა განხორციელებასაც ესწრაფოდით.

- ამინ ჩემო მშვენიერო ბიძაშვილო, - მიუგო რეშლიმ წმინდანის თვინიერი გამომეტყველებით (ამ ხელოვნებას ალბათ წმინდა ომერის სასწავლებელში დაეუფლა), - ჭეშმარიტად ბედნიერია ის ადამიანი, რომლის კეთილი ზრახვების ხემ გაიხარა და ნაყოფი გამოიღო, ბოროტისა კი ისე გახმა კვირტის გამოღებაც ვერ მოასწრო.

ეს იყო რეშლის ბოლო სიტყვები.

- წმინდა წყლის ფარისეველია, - ჩაილაპარაკა მის ვერნონმა, როცა კარი მიხურა, - ო, რა ხშირად იფარებს სიმდაბლე და სისაზიზღრე სათნოებისა და კეთილშობილების ნიღაბს!

ზემოთნახსენები საიდუმლო ბარათის გარდა, რომელიც ფოსტით გავგზავნე, ახლაც შევადგინე ორი წერილი, ერთი მამაჩემის, მეორე კი ოუენის სახელზე და რეშლის გავატანე. ბუნებრივი იქნებოდა, ამ ეპისტოლეებში გულწრფელად გამენდო მამაჩემისა ჩემი მეგობრისათვის, რომ აქ მხოლოდ ძაღლებითა და ქორ-შევარდნებით ნადირობაში შემეძლო დახელოვნება და რომ ამ ტლანქსა და გაუთლელ მეჯინიბეებსა და ბაზიერებს შორის სულ ადვილად დავკარგავდი ადრე შეძენილ ცოდნასა და ქცევითაც ჩემს ბიძაშვილებს დავემსგავსებოდი. ასევე ბუნებრივი იქნებოდა მიმეწერა, რომ საშინლად მოწყენილი ვიყავი და თვალით დასანახავად მეზიზღებოდა აქური, მხეცების დევნასა და დროსტარებაზე გადაყოლილი საზოგადოება. შემეძლო დამეჩივლა, რომ ჩემი მასპინძლების სახლში ყოველდღე ღრეობდნენ, სტუმრებსაც აძალებდნენ სასმელს და თუ არ დალევდი, სერ ჰილდებრანდი ნაწყენი რჩებოდა. ეს რომ შემეტყობინებინა, მამაჩემი, თვითონ თავშეკავებული და ზომიერი ადამიანი, მეტისმეტად შეშფოთდებოდა და საპატიმროს კარს თუ არ გამიღებდა, სხვაგან მაინც გადამიყვანდა.

დიახ, ჩემო ძვირფასო ტრეშამ! თუ გაითვალისწინებ, რა მოსაწყენი და გაუსაძლისი იყო ჩემი ასაკისა და მისწრაფებების ადა-

მიანისათვის ასეთ ხალში ცხოვრება, გაგიკვირდება, რომ დაწ-ვრილებით არ მივწერე მამაჩემს ოსბალდისტონ-ჰოლში გამეფე-ბული საზიზღარი წეს-ჩვეულების შესახებ. ხომ კარგად ვიცოდი, მამაჩემი იქ აღარ გამაჩერებდა! და მაინც გადაკვრითაცა არაფე-რი მიმინიშნებია არ მამაჩემისათვის და არც ოუენისათვის. პირი-ქით, ამ წერილებში ოსბალდისტონ- ჰოლში დარჩენის ისეთი დი-დი სურვილი იყო ჩაქსოვილი, თითქოს იქაურობა ბრძენებით, გმირებითა და პოეტებით დასახლებული ძველი ათენი ყოფილი-ყოს.

ჩემო ტრეშამ! თუ შენს გულს კიდევ შემორჩა ახალგაზრდული ცეცხლის ნაპერწკალი, ადვილად მიხვდები, რატომ მოვიქეცი ასე უცნაურად. მის ვერნონის ღვთიური სილამაზე, რომელსაც თვი-თონ თითქოს არაფრად აგდებდა, მისი რომანტიკული, იდუმა-ლებით მოცული ხვედრი, მისი ხიფათითა და საშიშროებებით გა-რემოცული ცხოვრების გზა, რომელზედაც უშიშრად მიაბიჯებდა, მისი თამამი ქცევა, უჩვეულო მშვენიერი სქესის წარმომადგენლი-სათვის, მაგრამ ნიშანდობლივი და დამახასიათებელი საკუთარ სიმართლესა და პატიოსნებაში დარწმუნებული ადამიანისათვის და ყველაზე მეტად კი, დიანასა აშკარა ყურადღება ჩემდამი, ყუ-რადღება რომელიც საკუთარ თვალში ფასს მმატებდა და სიამა-ყით მავსებდა, აი, ყოველივე ეს, ერთად აღებული, მაღელვებდა, ცნობისმოყვარეობას მიღვივებდა და საამო ოცნებების ზღვის ტალღებზე მანანავებდა, თუმცა კი საკუთარ თავსაც ვერ გამოვ-ტყდომოდი, რომ დიანა უკვე მთლიანად დაუფლებოდა ჩემს გულსა და გონებას.

ჩვენ ერთად ვკითხულობდით წიგნებს, ერთად ვსეირნობდით, ცხენებით იქნებოდა, თუ ქვეითად და ერთად, გვერდი-გვერდ, ვისხედით და ვისვენებდით. დიანასა და რეშლის ჩხუბის გამო შეწყვეტილი მეცადინეობა განახლდა. დიანას ახალი მოძღვარი, შენი მორჩილი მონა, ხალასი და უბოროტო გულის პატრონი გახ-

ლდათ, მაგრამ ცოდნითა და ნიჭით ბევრად ჩამორჩებოდა თავის წინამორბედს. მართალი გითხრა, მე არც კი შემწევდა უნარი, დავხმარებოდი დიანას იმ მრავალრიცხოვანი რთული საგნების დაუფლებაში, რომელთა შესწავლა რეშლის ხელმძღვანელობით დაეწყო. ჩემი აზრით, მეცადინეობის ამ დარგებში დახელოვნება უფრო ღვთისმეტყველს შეეფერებოდა, ვიდრე მომხიბვლელ ქალიშვილს. ვერ გამეგო, რატომ შეიტყუა რეშლიმ დიანა კაზუისტიკის ბნელსა და დახლართულ მღვიმეებში, რომლებსაც მეცნიერები ფილოსოფიას უწოდებენ, ან რატომ ატარებდა ასევე რთული და გაუგებარი ზუსტი მეცნიერებების - მეთემატიკისა და ასტრონომიის - ტევრების ვიწრო ბილიკებზე? ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება ყოფილიყო; რეშლის ეწადა ტვინი ეღრძო დიანასათვის, ჩაეგონებინა, რომ მამაკაცსა და ქალს შორის განსხვავება არ არის, გაებრუებინა თავისი ცბიერი ლაპარაკით და ბოლოს სიცრუე და სიყალბე ხალას ჭეშმარიტებას მოეჩვენებინა. ასევე გამუდმებით უნერგავდა თავის მოწაფეს, არად ჩაეგდო და ფეხქვეშ გაექელა ის წესები, რომლებსაც თანამედროვე საზოგადოება სავალდებულოდ მიიჩნევს კეთილშობილი ქალიშვილისათვის. აქ უფრო იოლად შეიძლება მივხვედრილიყავით, რომ რეშლის ბოროტი განზრახვა ამოძრავებდა. მართალია, დიანა ქალთა საზოგადოებაში არ ტრიალებდა და ვერც სხვისი მიბაძვით და ვერც დარიგებით ვერ შეითვისებდა ქცევის სავალდებულო წესებს, მაგრამ თანდაყოლილი საზრიანობისა და მოკრძალებული ბუნების წყალობით ადვილად უნდა გაერჩია ერთმანეთისაგან ავი და კარგი. ამიტომ ის ქცევა, რომელმაც ესოდენ გამაოცა პირველსავე შეხვედრისას, მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ დღენიადაგ უჩიჩინებდნენ გონიერი და საკუთარ პატიოსნებაში დარწმუნებული ქალიშვილი თამამად და თავისუფლად უნდა იქცეოდესო. ეტყობა, მის ცბიერ მოძღვარს საკუთარი ბოროტი მიზნები ამოძრავებდა, როცა მიწასთან ასწორებდა უმწიკ-

ვლოებისა და სისპეტაკის ზღუდესა და გალავანს. ამ და კიდევ სხვა უამრავი დანაშაულის გამო, მან უკვე, კარგა ხანია, აგო პასუხი ზეციური სამსჯავროს წინაშე.

დიანას ცოცხალი გონება ადვილად ითვისებდა ყოველგვარ ცოდნას. იგი აბსტრაქტული მეცნიერებების გარდა შესანიშნავად ერკვეოდა ლინგვისტიკაში და ანტიკურსა და თანამედროვე ლიტერატურაში. შესაძლებელია მისი ასეთი წარმატება იმით აიხსნას, რომ დიდი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება მაშინ უფრო მუყაითად ეკიდება ცოდნის შეძენას, როცა ხედავს, რომ დამხმარე და მხარდამჭერი არავინა ჰყავს. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ეს უზარმაზარი ცოდნის პატრონი სრულიად არ იცნობდა ცხოვრებას. დიანამ ყველაფერი იცოდა, გარდა იმისა, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. ჩემი აზრით, სწორედ ეს გულუბრყვილობა და უცოდინრობა ანიჭებდა მომხიბვლელობას მის მსჯელობასა და ქცევას. წინასწარ ვერაფრით მიხვდებოდით როგორ დაამთავრებდა დაწყებულ ფრაზას ან რას ჩაიდენდა - ცოდნას და გამჭრიახობას გამოამჟღავნებდა თუ უკიდურეს გულუბრყვილობას. ყველა, ვისაც კი არ დავიწყებია თავისი ახალგაზრდობა, ადვილად წარმოიდგენს, თუ რა საფრთხეს უქადდა ჩემი ხნის, გრძნობების ამყოლ ადამიანს ხანგრძლივი ურთიერთობა ასეთ მომაჯადოებელ და თავისებურ ქალიშვილთან.

თავი XIV

ო, მშვენიერო, შენი ლამპარი სხივებს ისვრის და სარკმელს ევლება
და შენეული სადარბაზოდან მესანთლება და მესაკმევლება.
მაგრამ ლამპარი, წმინდა ლამპარი, შუქს რომ ასხივებს კარს და კარადებს,
ამ მიყრუებულ შუაღამეში ასე ძალუმად რატომ ანათებს?

ძველებური ბალადა

ცხოვრება ისე ერთფეროვნად მიედინებოდა ოსბალდისტონ-ჰოლში, რომ არც კი ღირს ასაწერად. მე და დიანა ვერონი მეტ-წილად მეცადინეობით ვიყავით გართულნი. ოჯახის დანარჩენი წევრები კი ნადირობაში კლავდნენ დროს. თუ ნადირობის სეზონი არ იყო, სხვა გასართობებს ეძებდნენ. ნადირობასა და გართობაში ხშირად ჩვენც ავუბამდით ხოლმე მხარს. ბიძაჩემი ადვილად ეჩვეოდა ყველაფერს და მეც მალე შემეთვისა, კი არა, მგონი ცოტათი შემიყვარა კიდეც. რეშლისათვის რომ მიმებაძა, კიდევ უფრო შევაყვარებდი თავს. მან ისარგებლა იმით, რომ მამამისს დიდად არ ეპიტნავებოდა მეურნეობის გაძღოლა და თანდათან მთელი საქმეები ჩაიგდო ხელში. მე ხალისით ვეხმარებოდი ბიძაჩემს, როცა მეზობელთან წერილის მიწერა ან მოიჯარადრესთან ანგარიშის გასწორება დასჭირდებოდა და ისიც გრძნობდა, რომ ოჯახის ყველაზე სასარგებლო წევრი ვიყავი, მაგრამ არასოდეს გამომითქვამს სურვილი მთლიანად ამეღო თავზე მამულის მოვ-

ლა-პატრონობა. ამიტომ, თუმცა სერ ჰილდებრანდი ხშირად შენიშნავდა, ჩემი ძმისშვილი ფრენკი, საქმიანი და ჭკვიანი ჭაბუკიაო, მაგრამ მაშინვე დასძენდა ხოლმე, სულ ვერ წარმოვიდგენდი, თუ რეშლის წასვლა ასე დამეტყობოდაო.

ძალზე ძნელია ცხოვრება იმ ოჯახში, სადაც უმეტესობა მტრული თვალით გიყურებს. ამიტომ შევეცადე ბიძაშვილებთან საერთო ენა მომეძებნა: ბაფთიანი შლაპის ნაცვლად ჟოკეის ქუდი დავიხურე და ამან საკმაოდ ამამაღლა ბიძაშვილების თვალში. შემდეგ ფიცხი ულაყის გახედვით მოვიხვეჭე სახელი და პატივისცემა. გარდა ამისა, ორიოდე სანაძლეო წავაგე დიკონთან და ერთხელ პერსის სადღეგრძელო დიდი ჭიქით გეახელით. ყოველივე ამის შემდეგ ახალგაზრდები თითქმის დამიმეგობრდნენ, მხოლოდ თორნკლიფი მიბღვერდა ძველებურად.

მე ადრეც მოგახსენე, რომ ამ ახალგაზრდამ თავიდანვე ამითვალწუნა. იგი ძმებში, რეშლის თუ არ ჩავთვლით, ყველაზე ჭკვიანი და თანაც ყველაზე უხასიათო იყო - პირქუში, ჯიუტი და ჭინჭყლი. თორნკლიფს საკუთარ სამფლობელოში შემოჭრილ დამპყრობლად მივაჩნდი და ბრაზით გულზე სკდებოდა, ასე რომ დავმეგობრდით მე და დიანა. ეს არც იყო გასაკვირი: დიანა ხომ საოჯახო შეთანხმების ძალით თორნკლიფის დანიშნულად ითვლებოდა. სიყვარულით ალბათ არ უყვარდა (მე მგონი, ეს გრძნობა საერთოდ უცხო იყო მისთვის), მაგრამ თავის საკუთრებად თვლიდა, გრძნობდა, რომ ეს საკუთრება ხელიდან ეცლებოდა, ვეღარ მოეფიქრებინა, რა ეღონა და გულს ასკდებოდა. რამდენჯერმე შევეცადე ზავი დამედო თორნკლიფთან, მაგრამ ნაგაზივით შემომიღრინა და თავი დავანებე- ასეც უქნია, ბოღმით დამხრჩვალა-მეთქი.

აი, ასეთი ურთიერთობა მქონდა ჩემს ნათესავებთან. ოსბალდისტონ-ჰოლში დროდადრო კიდევ ერთ ადამიანს - მებაღე ენდრუ ფერსერვისს ვესაუბრებოდი. იმის მერე, რაც გაიგო, რომ

მეც პროტესტანტი ვიყავი, დაჟინებით მთავაზობდა ბურნუთს. ენდრუ არაფერს კარგავდა, პირიქით, მოგებაში იყო: ჯერ ერთი, მე ბურნუთს არ ვყნოსავდი და მეორე, ენდრუს შესანიშნავი მიზეზი ეძლეოდა შესასვენებლად (მძიმე სამუშაო მაინცდამიანც არ უყვარდა). ბარს მიწაში ჩაარჭობდა და მუხლებს ქარს ამოაღებინებდა ხოლმე. გარდა ამისა, ენასაც იქავებდა - ახალ-ახალი ამბებს გადმომილაგებდა ან შოტლანდიურად, შხამიანად ხუმრობდა.

- უნდა მოგახსენოთ, ბატონო, რომ ახლახან ქვევით თრინლეინოუში ვიყავი, - მითხრა ენდრუმ ერთ საღამოს და გამომცდელად მომაჩერდა.

- მართლა, ენდრუ! ალბათ სამიკიტნოში ახლი ამბები მოისმინე, არა?

- არა, ბატონო! სამიკიტნოში ქუდი რომ შემიგდო, არ შევალ. აი, მეზობელმა რომ დამპატიჟოს ერთ-ორ კათხა ლუდზე, სხვა საქმეა, ჩემი ხარჯით კი არ შევალ - წვალებით ნაშოვნი ფულიც უნდა გავფლანგო და დროც! ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ახლახან თრინლეინოუში ვიყავი-მეთქი. საქმე მქონდა. მეთი სიმპსონს ცოტაოდენი მსხალი უნდა ეყიდა. აქ იმდენია, რომ ფუჭდება. ჰოდა, ჯერ შუა ვაჭრობაში ვიყავით, რომ, გავიხედოთ და, პატ მაკრედი არ წამოგვადგა თავს, ფეხზე მოვაჭრე რომ არის, აი ისა!

- მეწვრილმანე, არა?

- თქვენ რაც გინდათ, ის დაუძახეთ, ბატონო. საპატიო და სარფიანი ხელობა კი აქვს და! ჩვენ ხალხში ძველი დროიდან მისდევენ. პატი გარე ბიძაშვილად მერგება და ძალიან გაგვიხარდა ერთმანეთის დანახვა.

- მერე წახვედით და თითო კათხა ლუდი გადაჰკარით, ხომ ასე იყო ენდრუ? მერე რა ჰქენით? თუ ღმერთი გწამს, მოკლედ მოსჭერი.

- დამაცადეთ, ცოტა დამაცადეთ. თქვენ, სამხრეთელებს, სულ სადღაც გეჩქარებათ, ამ ამბავში თქვენცა ხართ გარეული და, თუ

დამაცდით, გიამბობთ. ლუდი? ლუდი არა, ჯანდაბა! წვეთიც არ დამალევინა. მეთიმ გვიმასპინძლა მოხდილი რძე და ქერის ხმიადი მოგვიტანა, სქელი კი იყო, მაგრამ ერთი იყო და ფაშარი. ეჰ, ჩვენს შოტლანდიურ ხმიადს სულ სხვა გემო აქვს. ჰოდა, დავსხედით და ცხელ-ცხელი ამბები გადმოვულაგეთ ერთმანეთს.

- აბა, ახლა მეც გადმომილაგეთ, ოღონდ, ძალიან გთხოვთ, მოკლედ და სწრაფად, აქ ხომ არ გავათენებ!

- აი, მოგახსენებთ. მთელი ლონდონის ხალხი ჭკუაზე შეირყა იმ საქმეზე, აქ, ჩრდილოეთში რომ მოხდა.

- როგორ თუ ჭკუაზე შეირყა? რას ამბობთ?

- როგორ და გაგიჟდა, გადაირია, შეიშალა. ერთმანეთს დაერია, ჯეკ უებსტერს მთლად ეშმაკი შეუჯდა ტანში.

- რას ნიშნავს ყოველივე ეს? ან მე რა საქმე მაქვს ჯეკ უებსტერის ეშმაკთან?!

- ჰმ! ეს სწორედ იმიტომ ატყდა, აი, სწორედ იმ კაცის ჩემოდნის საქმეზე!

- ვისი ჩემოდანი? რას ამბობთ, გამაგებინეთ!

- უჰ, აი იმ მორისის, აქ დავკარგეო, რომ თქვა. მაგრამ თუ ეს ბატონის საქმე არ არის, მე სულაც არ მეკითხება. სულ არ მინდა ეს მშვენიერი საღამო გამიცდეს.

ენდრუ უცებ გაბეჯითდა, გვერდი შემაქცია და ბარვა დაიწყო. მან სწორად იანგარიშა. ახლა უკვე მაგრად ვყავდი ჩაჭერილი ხელში. არ მინდოდა მეგრძნობინებინა, ეს ამბავი ძალიან მაინტერესებს-მეთქი, და ხმა არ ამოვიღე. ვიმედოვნებდი, რომ ყბედი მებაღე დიდხანს ვერ შეიკავებდა თავს და ყველაფერს ჩამოამღერებდა. ენდრუ გულმოდგინედ მუშაობდა და მხოლოდ დროდადრო, შესვენებისას, ალაპარაკდებოდა ხოლმე, მაგრამ სულ ღობე-ყორეს ედებოდა, იმ საქმეზე კი კრინტსაც არა სძრავდა. მე ვიდექი, ვუსმენდი და გულში ათასნაირად ვლანძღავდი. წასვლაც ვერ გადამეწყვიტა: იმედი მქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს ენ-

დრუ ვერ მოითმენდა და ალაპარაკდებოდა. ვიცოდი, ერთი სულ ჰქონდა, სანამ ყველაფერს ჩამომკაკლავდა.

- აი, აქედან ეს სატაცური უნდა ამოვყარო და ლობიო დავთესო. სატაცური ღორის ხორცს არ უხდება. ამათ რა იციან პირის გემო! ერთი უნდა ნახოთ, რა მომცეს მოურავებმა მიწის გასაპატივებლად! წესით პურის თუ არა ქერის ნამჯა მაინც უნდა იყოს, ეს კი სულ ნაგავია. აბა ბარდის ჩენჩომ რა მოსავალი უნდა მოგცეს? მეჯინიბე თავის ნებაზეა მიშვებული და საუკეთესო ნაკელს ჩუმად ყიდის. ნამდვილად ვიცი რომ ყიდის, მე კი თავს ვიკლავ მუშაობით. ეჰ, მაშ რა ვქნა ამისთანა საღამოს ხომ არ გავაცდენ? თანაც შაბათია. ახლა ისეთი არეული ამინდია. კვირაში ერთი დღე თუ გამოვა სამუშაო და მაშინაც კვირა მოხვდება. კვირას ხომ ვერ გავტეხავ! თუმცა, ვინ იცის, თუ უფალი ინებებს, შეიძლება სულაც მთელი კვირა კარგი ამინდი დაიჭირო. ჰოდა, რას ვიკლავ თავს მუშაობით. ავდგები და სულაც შინ წავალ. აი, ხომ გესმით მწუხრის ზარიც დარეკეს!

ენდრუმ ბარი ღრმად ჩაარჭო კვალში და ამაყად გამომხედა, აქაო და იმ ამბავს მინდა მოგიყვები, მინდა არაო. მერე ხალათის აკაპიწებული სახელოები ჩამოუშვა და ნელი ნაბიჯით გაემართა გრძელი სკამისაკენ თავისი ხიფთანის ასაღებად.

„ტყუილად შევაწყვეტინე ყბედობა ამ გაიძვერას, - გავიფიქრე მე, - რა გაეწყობა, უნდა დავისაჯო. ახლა უნდა გული მოვულბო „მისტერ ფერსერვისს“, უნდა შეევევედრო და, რა პირობასაც წამომიყენებს, შევასრულო“, - მერე ენდრუს მივუბრუნდი და ვუთხარი:

- მაინც, რა გიამბო, ენდრუ, ნათესავმა. აი, იმან, ფეხზე მოვაჭრე რომ არის?

- წეღან მეწვრილმანე რომ დაუძახეთ, იმან? - გამკენწლა ენდრუმ, - თუმცა, თქვენ რაც გინდათ, ის დაარქვით და, ძალიან საჭირონი კი არიან მიგდებულ მხარეში, აი როგორიც თქვენი ნორ-

თუმბერლენდია, ისეთში. შოტლანდია სულ სხვაა. მაგალითად, ფაიფის მხარეში, კარლოსიდან ისტნიუკამდე სულ ერთმანეთზე გადაბმული ქალაქებია და სავაჭრო სავაჭროს მისდევს, გეგონება ხახვის გალიააო. ფართო ქუჩები, დუქნები, ბაზრები... სახლებიც სულ ქვისაა, ბათქაშით შელესილი, ლამაზი შესავლელებით. ან თუნდაც კირკოლდი ვთქვათ, მთელი ინგლისი რომ მოიაროთ, იმსიგრძე ქალაქს ვერა ნახავთ!

- ეს ყველაფერი ძალიან კარგია და შესანიშნავი, ენდრუ, მაგრამ თქვენ ლონდონის ამბები დაიწყეთ და აღარ დაამთავრეთ.

- ჰმ... მართალია, მაგრამ შევატყვე, რომ ბატონს დიდად არ სიამოვნებდა მისი მოსმენა და გავჩუმდი. ისე კი (ენდრუმ გვერდულად ჩაიღიმა), პატ მაკრედმა მითხრა, იქ, პარლამენტში, ძალიან გადაირივნენ იმ მორისის, თუ რა ჰქვია, გაძარცვა რომ გაიგესო.

- პარლამენტშიაო, ენდრუ? იქ რა მეტი საქმე არა აქვთ, რომ ამაზე აეტეხათ ალიაქოთი?

- რო იცოდეთ, მეც სწორედ ეგა ვკითხე პატს. თუ გნებავთ, სიტყვა-სიტყვით გავიმეორებ. სულ სიმართლეა, რასაც ახლა ვიტყვი. პატ, - ვუთხარი მე, - რა საქმე აქვთ ლონდონელ ლორდებს, ლერდებს[138] და ბატონებს ამ ვიღაც მორისთან და მის ჩემოდანთან-მეთქი. ჩვენი პარლამენტი რომ გვქონდა, შოტლანდიაში (ეშმაკმა დალახვროს, ვინც გაგვიუქმა), ლორდები ისხდნენ და კანონებს წერდნენ მთელი ქვეყნისათვის. ისეთ საქმეებში როდი ჰყოფდნენ ცხვირს, ყველა მომრიგებელ- მოსამართლეს რომ შეეძლო გადაეწყვიტა-მეთქი. ახლა კი, - ვეუბნები პატს, - ვინმე მეძროხე დედაკაცმა თავსაფარი რომ დაკარგოს, იმწუთას ლონდონის პარლამენტში გარბის საჩივლელად-მეთქი. ეს სულ იმასა ჰგავს-მეთქი, - ვეუბნები პატს, - ჩვენი გამოპრუტუნებული ბებერი რომ აკეთებს: შეუყრის თავს თავის ბრიყვ შვილებსა და კურძალებს, მიუშვებს ძაღლებს, მთელ დღეს ცხენებით დაჭენაობენ, არის ერთი ბუკის კვრა და გნიასი, ბოლოს დაიჭერენ ერთი ბეწო

ცხოველს და გახარებულები ბრუნდებიან. ის ცხოველი კი, გაჭიმე-გამოჭიმე, სულ ექვსი გირვანქა არ გამოვა-მეთქი.

- ძალიან სამართლიანად გითქვამს, ენდრუ, - მოვუქონე თავი მებაღეს, იქნებ მალე გადავიდეს საქმეზე-მეთქი, - მერე რა გითხრათ პატმა?

- მიპასუხა, სხვას რას უნდა ელოდო მაგ გასიებული ინგლისელებისგანო? იმ თავდასხმაზე კი ასე წასულა საქმე: ამტყდარა ერთი ჩხუბი და აურზაური ვიგებსა და ტორებს შორის. ისე აგინებდნენ ერთმანეთს, სიკვდილით დასასჯელი პატიმრები გეგონებოდათ. ადგება ვინმე ძაღლის ქონით ენა მოლესილი ვირგლა და დაიწყებს, ინგლისის ჩრდილოეთში სულ ყველა იაკობინელია (ჩვენში რომ ვთქვათ, მართლაც ასეა) და იქაურებთან ლამის ნამდვილი ომი გვაქვს გამართულიო. აბა, ეს საქმეა, მეფის შიკრიკი ზედ შარა გზაზე გაძარცვესო? ამაში ნორთუმბერლენდის ყველაზე საპატიო ხალხს აქვს ხელი გარეულიო. უამრავი ფული და ბევრი მნიშვნელობანი ქაღალდი წაართვესო. მერე ამბობს, კანონმაც ვერაფერი უშველაო, იმიტომო, რომ, როცა ეს კაცი მომრიგებელი მოსამართლეს მიადგა, დაინახა, ის ორი ყაჩაღი იქა სხედან, ლაპარაკობენ და ღვინოს სვამენო. ერთმა ყაჩაღმა მეორეს უმოწმა, ეს არაფერ შუაში არ არისო და მოსამართლემაც გაუშვა. კიდევ მეტი, სამივემ ისე შეაშინეს ის პატიოსანი კაცი, რომ სულ გადაიკარგა აქედან უარესი არ მიქნანო.

- ნუთუ ეს ყველაფერი სიმართლეა?!

- პატმა დაიფიცა, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის რომ ჩემი საზომი ზუსტად ერთი იარდიაო (მართლაც ასეა, მარტო ერთი დუიმი მოაკლო, რომ ინგლისურ იარდს გატოლებოდა). მერე, როცა იმ კაცმა დაამთავრა ლაპარაკი, დიდი ყვირილი ატყდა, სახლები თქვიო, და იმანაც პირწმინდად ჩამოთვალა: მორისი, ბიძათქვენი, ინგლვუდი და კიდევ ვიღაც-ვიღაცები (ენდრუმ ცბიერად შემავლო თვალი). მერე მეორე ზორბა კაცი წამოდგა, ახ-

ლა სხვა მხრიდან, და თქვა, როგორ შეიძლება, ამ ლაჩრის სიტ-ყვებით ასეთ პატიოსან ხალხს რომ ლანძღავენ და აგინებენო. გა-ნა ეგ მორისი არ იყო, ფლანდრიის ჯარიდან[139] რომ გამოიქ-ცაო? მერე თქვა, ალბათ მინისტრმა და იმ მორისმა წინასწარ მო-ილაპარაკეს, სანამ მორისი ლონდონიდან წავიდოდა და გაჩხრე-კის ბრძანება რომ გაიცეს, ფული სადმე სენტ-ჯეიმზის[140] სასახ-ლის მიდამოებში აღმოჩნდებაო. ბოლოს მიაყენეს ეს მორისი, როგორც იტყვიან, კედელთან და უთხრეს, აბა ყველაფერი ჩამო-კაკლეო, მაგრამ ისე მიდგნენ ჯარიდან გამოქცევაზე, იმდენი ცუ-დი გაუხსენეს, რაც ცხოვრებაში უთქვამს და ჩაუდენია, რომ პატმა თქვა, საცოდავი, არც ცოცხლებში ეწერა, არც მკვდრებშიო. ისე დამფრთახლა ამდენი ყვირილითა და ლანძღვით, რომ ერთი აზ-რიანი სიტყვა ვერ უთქვამს. სულელი ყოფილა ეგ ვიღაცა მორი-სი, თავი კი არა, დამპალი გოგრა მობმია კისერზე. ერთი მე ვყო-ფილიყავი, ნახავდნენ, როგორ ჩავაგდებინებდი ყველას ენას!

- ბოლოს როგორ დამთავრდა ყველაფერი, ენდრუ? თქვენმა მეგობარმა მოუსწრო ამ საქმის დამთავრებას?

- როგორ არა. პატი უკვე აქეთ აპირებდა წამოსვლას, მაგრამ ერთი კვირა მოიცადა. უნდოდა მუშტრებისათვის ახალი ამბავი ჩამოეტანა. მერე ყველაფერი უკუღმა დატრიალდა: იმ ყმაწვილ-მა, პირველად რომ ატეხა ჩხუბი და ყვირილი, უკან დაიხია: მარ-თალია, საწყალი კაცი გაძარცვეს, მაგრამ ყველაფერი კარგად არ ახსოვს, რაღაც-რაღაცეებში ცდებაო. მერე მეორე ადგა და თქვა, მე სულ არ მენაღვლება, მართლა გაძარცვეს თუ არა მო-რისი, მე მინდა მემამულეების პატიოსანი სახელი ლაფში არ ამოსვარონ, განსაკუთრებით კი ჩრდილოელებისა, იმიტომ, რომ მეცაო ჩრდილოეთიდან ვარო და არავის დავანებებო იმათ ლან-ძღვა-გინებასო. ამას თურმე „ახსნა-განმარტებას“ ეძახიან. ჯერ ერთი დათმობს ცოტას, მერე მეორე და ბოლოს ისევ დამეგობ-რდებიან. მოკლედ, როცა თემთა პარლამენტი მორჩა ქოთქოთსა

და ჯიჯღინს მორისზე და მის ჩემოდანზე, ახლა ლორდების პარლამენტმა ჩაიგდო ხელში ეგ საქმე. ძველებურ შოტლანდიურ პარლამენტში ყველანი მეგობრები იყვნენ და ერთსა და იმავე ნაგავს ორჯერ არ ქექავდნენ. აქ კი ლორდებმა ისე ჩაავლეს კბილები ამ საქმეს, თითქოს ცვრიანი მწვადიაო. სხვათა შორის, იქ ვიღაც კემპბელზე წავიდა ლაპარაკი, ვითომ ისიც გარეულა ამ ყაჩაღობაში და თითქოს ამ კემპბელისათვის არგაილის ჰერცოგს ქაღალდი მიუცია, პატიოსანი და წესიერი კაციაო. მაკკოლუმ მორი გაცოფებულა და არც არის გასაკვირი. თურმე წამომხტარა და დაუწყია ჩხუბი და ყვირილი, კემპბელები ყველანი პატიოსნები, წესიერები, მამაცები არიან და კეთილშობილებაში სერ ჯონ გრემსაც[141] არ დაუდებენ ტოლსო. აი, ასე თქვა, მაგრამ თქვენ, ბატონო, ნამდვილად იცით, რომ კემპბელებს არსაიდან არ ენათესავებით, თავად მე ამაში დარწმუნებული ვარ, იმიტომ, რომ ჩემს ნათესაობას ძირით-ძირამდე ვიცნობ, ჰოდა თუ იმათი ნათესავი არა ხართ, გულახდილად გეტყვით, რასაც ვფიქრობ კემპბელებზე.

- შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ არც ერთ ადამიანთან, რომელიც მაგ გვარს ატარებს, არავითარი ნათესაობა არ მაკავშირებს.

- მაშინ შეგვიძლია გულახდილად ვილაპარაკოთ. კემპბელებში, ისევე როგორც ყველა გვარში, კარგებიც არიან და ცუდებიც. მაგრამ მაკკოლუმ მორს ახლა დიდი წონა აქვს ლონდონის დიდკაცებში, იმიტომ, რომ ნაღდად არავინ იცის ვის მხარეზეა და ამის გამო ვერავინ ბედავს მასთან წაჩხუბებას. ასე რომ, თურმე მორისის საჩივარი ცილისწამებად გამოაცხადეს და ისიც, კიდევ კარგი, გიქცა, თორემ ფეხზე კალაპოტებს ჩამოაცმევდნენ და სამარცხვინო ბოძზე გააკრავდნენ.

ენდრუმ თავისი პალოები, ბარები და თოხები წამოკრიფა და ხელის ურიკაში ჩაყარა. შევატყვე, არ ჩქარობდა, განგებ ითრევ-

და ფეხს, რომ, სანამ იარაღს ფარდულში დააბინავებდა, კიდევ მიმეცა შეკითხვები. გადავწყვიტე, ახლავე მეთქვა, რაც მინდოდა, რომ ამ ცბიერ მებაღეს არ ეფიქრა, დაიბნა და ენა ჩაუვარდაო.

- ენდრუ, მე მინდა ის თქვენი ნათესავი ვნახო და პირადად მისგან მოვისმინო ეს ამბავი. ალბათ გაიგებდით, რა უსიამოვნება შემხვდა იმ სულელი მორისის გამო (ენდრუმ ამ სიტყვაზე მრავალ მნიშვნელოვნად ჩაიღიმა) აი, ამიტომ მინდა, თქვენი ნათესავი ვაჭრის ნახვა, თუ ძალიან არ შეწუხდება. დაწვრილებით უნდა გამოვკითხო ყველაფერი.

- ადვილი სამსახურია, - მითხრა ენდრუმ, - ვეტყვი ჩემს ბიძაშვილს, ერთი-ორი წყვილი წინდის ყიდვა უნდათ-მეთქი და მაშინვე აქ დაიბადება.

- ჰო, უთხარი მუშტარია-თქო. მართლაც, მშვენიერი საღამოა. მე აქ, ბაღში ვისეირნებ

სანამ მოხვალთ. მალე მთვარეც ამოგორდება მთებიდან. უკანა ჭიშკრიდან შემოიყვანე. მანამდე კი ამ ბუჩქებსა და ხეების სილამაზით დავტკბები. მთვარის შუქზე ის მოჩანს, თითქოს თრთვილი აყრიაო.

- მართალია, მართალს ბრძანებთ. მე სულ მაგას ვამბობ. მიწამხალა და ყვავილოვანი კომბოსტო მთვარეზე ისე ბრწყინავს, რომ ბრილიანტებიანი ქალბატონები გეგონება.

ენდრუ გახარებული გაეშურა ვაჭართან. საკმაო მანძილი - ორი მილი ჰქონდა გასავლელი, მაგრამ ეს არაფრად ჩაუგდია. უნდოდა ნათესავს საწვრილმანოს გაყიდვაში დახმარებოდა, თუმცა დარწმუნებული ვარ ექვსიოდე პენსაც არ გაიმეტებდა, რომ ერთი კათხა ლუდი დაელევინებინა. „ინგლისელი კი პირიქით მოიქცეოდა“, - გავიფიქრე მე და ხავერდოვანი მოლით დაფარული ბილიკებზე დავიწყე სეირნობა. ეს ბილიკები ყოველმხრივ სერავდა ურთხელისა და ჭყორის ცოცხალი ღობით შემოკავებულ ოსბალდისტონ-ჰოლის ძველთა უძველეს ბაღს.

ბაღს სახლის მეორე მხარე სართულზე მოთავსებული ბიბ-ლიოთეკის პატარ-პატარა ფანჯრები გადაჰყურებდა. როცა ბი-ლიკის ბოლომდე მივედი და შემოვბრუნდი, ამ ფანჯრებს ავხედე. ფანჯრებიდან სინათლე გამოდიოდა. ეს სულაც არ გამკვირვებია, რადგან ვიცოდი, რომ მის ვერნონი საღამოობით ხშირად რჩებო-და ბიბლიოთეკაში. არ მინდოდა ხალხი ამელაპარაკებინა და აღთქმა დავდე, დაბინდების შემდეგ ფეხი არ შემედგა ბიბლიო-თეკაში. დღე კი ერთად ვისხედით და ვმეცადინეობდით, მაგრამ ხან ერთი ბიძაშვილი შემოგვიღებდა კარს, ხან მეორე. ისინი ან პერგამენტის ფურცლებს ეძებდნენ ანკესის ტივტივასათვის და სულ არ დაგიდევდნენ, რომ პერგამენტი ოქროს მელნით იყო დაწერილი და მოხატული, ან ნადირობის ამბებს გვიყვებოდნენ, ანდა ისე, დროის მოსაკლავად ჩამოგვისხდებოდნენ ხოლმე გვერდით. ერთი სიტყვით, დღე ბიბლიოთეკა საერთო ოთახად იყო ქცეული და იქ ქალსაც შეეძლო ყოფნა და კაცსაც. საღამოს კი ქალისა და კაცის განმარტოება უხერხულად ითვლებოდა. თვითონ მის ვერნონი დიდად არ დაგიდევდათ ხალხის მითქმა-მოთქმას, მაგრამ მე ისეთ ქვეყანაში ვიყავი გაზრდილი, სადაც bienseance[142]-ს დიდ ყურადღებას აქცევდნენ და ერთხელ, რაც შეიძლება დიდი მორიდებით ვუთხარი, კარგი იქნება თუ სა-ღამოს გაკვეთილებზე ვინმე დაგვესწრება-მეთქი.

მის ვერნონმა ჯერ გაიცინა, შემდეგ სახე შეეფაკლა, ეტყობა, ძალიან გაბრაზდა, მაგრამ თავი შეიკავა და მითხრა.

- სავსებით მართალი ხართ. როცა საღამოობით საჩქარო სა-მუშაო გვექნება, მართას მოვიპატიჟებ ხოლმე ჩაიზე. მაშინ ვეღა-რავინ იფიქრებს ჩვენზე ცუდს.

ჩვენი მოხუცი მეკუჭნავე მართა, ოსბალდისტონ-ჰოლის მუდ-მივი ბინადარი იყო და ერთი კათხა ლუდი და კარგი საუზმე ყვე-ლანაირ ჩაის ერჩივნა, მაგრამ იმ დროს ჩაი იშვიათი ხილი იყო და მართას ეამაყებოდა, რომ ბატონების სასმელს მიირთმევდა.

ჩაიზე უფრო მართას ტკბილი შაქარი, კიდე უფრო ტკბილი სიტ-ყვები და კარაქწასმული ხმიადები მოსწონდა და ამიტომ, როცა დავპატიჟებდით, სიამოვნებით მოდიოდა სტუმრად ბიბლიოთეკა-ში. ისე კი, მსახურები, დაბინდების შემდეგ, ბიბლიოთეკაში ფეხის შედგმას ვერ ბედავდნენ - ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იქაურობა მოჩვენებებით იყო სავსე. უფრო მხდალები ამტკიცებ-დნენ, საღამოობით ბიბლიოთეკიდან რაღაც ხმები ისმისო. კი არა, თუ აუცილებელი საქმე არა ჰქონდათ, ჩემი ბიძაშვილებიც ვერ შემოდიოდნენ მზის ჩასვლის შემდეგ.

ამას ისიც ემატებოდა, რომ ბიბლიოთეკა წინათ რეშლის სამ-ფლობელო იყო. იქიდან პირდაპირ გადიოდა გრძელი და მიხვე-ულ-მოხვეული დერეფანი რეშლის ოთახში. ჩემმა უმცროსმა ბი-ძაშვილმა მთელი მსოფლიოს ამბები იცოდა, კარგად იყო გან-სწავლული ყველა მეცნიერებაში, დროდადრო ფიზიკურ ცდებს ატარებდა ბიბლიოთეკაში და ოსბალდისტონ-ჰოლის ბნელსა და უბირ მაცხოვრებლებსაც ხომ მეტი არ უნდოდათ - ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებულები, რომ რეშლი სულების სამყაროს მბრძა-ნებელი იყო. იგი შესანიშნავად ფლობდა ბერძნულს, ლათინურსა და ძველ ებრაულ ენებს. მის ძმას უილფრედს სწამდა, რომ ეშმა-კები, ჭინკები და მოჩვენებები რეშლის ვერაფერს დააკლებდნენ. კიდევ მეტს გეტყვი. მსახურები ირწმუნებოდნენ, ჩვენი ყურით მოგვისმენია, რომ რეშლი ბიბლიოთეკაში ვიღაცას ესაუბრებო-და, როცა სასახლეში ყველას ეძინაო, რომ იგი თითქოს ღამღა-მობით აჩრდილებს დარაჯობდა, დილით კი, იმის მაგივრად, რომ სხვა ჭეშმარიტი ოსბალდისტონივით სანადიროდ წასული-ყო, იწვა და მაგრად ეძინა.

ეს უსაფუძვლო ჭორები ჩემთვის დალაგებით არავის უთქვამს - თვითონ უნდა გამომეტანა დასკვნა თითო-ოროლა გადაკრული სიტყვიდან. მე, რასაკვირველია, მეცინებოდა, როცა ამ აბდაუბ-დას ვუსმენდი, მაგრამ ამ მითქმა-მოთქმამ კიდევ უფრო განამ-

ტკიცა ჩემი გადაწყვეტილება, ხალხი არ ამელაპარაკებინა და საღამოობით, როცა მის ვერნონი ბიბლიოთეკაში განმარტოვდებოდა, იქურობას არ გავკარებოდი.

ყოველივე ამის შემდეგ რაც ზემოთ მოგახსენე, რა თმა უნდა, სულ არ გამკვირვებია, როცა ბიბლიოთეკაში შუქი დავინახე, მაგრამ მეორედ რომ შევავლე თვალი ფანჯარას, საკმაოდ შევცბუნდი: იმ ოთახში, ორი ადამიანი სეირნობდა. აი, მათ ფანჯარას ჩაუარეს და წამით შუქს აეფარნენ. ფანჯარაში აშკარად გამოიკვეთა ორი სულუეტი. „ალბათ მოხუცი მართაა, - გავიფიქრე მე. - დიანა სთხოვდა, საღამო ჩემთან ერთად გაატარეო. ან იქნებ შევცდი და დიანას ჩრდილი მეორე ადამიანად მომეჩვენა. არა, ღმერთმანი, არა ვცდები. აი, გაუჩინარდნენ და ახლა მეორე ფანჯარაში გამოჩნდნენ, შემეგ მესამეში, მეოთხეში... ნეტავი ვინ არის დიანა ვერნონთან?“ ისინი უკან გამობრუნდნენ, მერე კიდევ ერთხელ ჩაუარეს ოთხივე ფანჯარას, თითქოს უნდოდათ დავერწმუნებინე, რომ მხედველობა არ მატყუებდა. მერე შუქი ჩაქრა და სილუეტები გაუჩინარდნენ.

ამ უმნიშვნელო ამბავმა საკმაოდ დამაფიქრა. რა თქმა უნდა, წამით არ მიფიქრია, რომ მის ვერნონს ანგარება ამოძრავებდა, როცა მეგობრობა შემომთავაზა, მაგრამ ამ შემთხვევამ ძალზე მატკინა გული; როგორ დაუნიშნა ვიღაცას პაემანი ასე გვიან, თანაც ბიბლიოთეკაში, სადაც მე თვითონაც მეუხერხულებოდა შესვლა ამ დროს, სახელი არ გავუტეხო-მეთქი. განა თვითონვე არ განვუმარტე დიანას, თუ რატომ არ შეიძლებოდა ჩვენი ერთად ყოფნა დაბინდების შემდეგ ამ განმარტოებულ დარბაზში? ძალიან გამიჭირდა ამის თქმა, მაგრამ მაინც ვუთხარი რადგან არ მინდოდა, მისი სახელს ჩირქი მოსცხებოდა!

„ერთი ამ სულელს დამიხედეთ! - გავიფიქრე მე, - ეგ ახტაჯანა ეგა! არა, მაგის საშველი არ იქნება, რას ვარიგებ ჭკუას, რას ვებოდიშები?! როგორ მომატყუა დიანას უბრალო და თავისუფალ-

მა ქცევამ?! როგორ ვე მივხვდი, რომ მოდას იყო აყოლილი და ამ ქცევით ისე იწონებდა თავს, როგორც ახალი ქუდით ან ყელსაბამით?! ხომ ძალიან ჭკვიანი და განათლებულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არიოსტო რომ გაცოცხლდეს, იმასთან საუბარს მაინც ჩემი ყეყეჩი ბიძაშვილების ჯამბაზობისა და მასხარობის ცქერას ამჯობინებს! „

არიოსტო შემთხვევით როდი გამახსენდა: იმ დილით მხნეობა მოვიკრიბე და დიანას ვუთხარი, ამაღამ არიოსტოს პირველი წიგნის თარგმანი მინდა წაგიკითხოთ, ბიბლიოთეკაში მართა მოიწვიეთ-მეთქი. მის ვერნონმა დღეს დრო არა მაქვსო, მითხრა და უდროობის მიზეზიც დამისახელა. ის მიზეზი ახლა ყურით მოთრეული მეჩვენა. ამ უსიამოვნო ფიქრებში რომ ვიყავი, ჭიშკარი გაიღო და ბაღში ორი კაცი შემოვიდა. ერთი ენდრუ გახლდათ, მეორე, ზურგზე ბოხჩა რომ ჰქონდა წამოკიდებული და წელში მოხრილი მიდიოდა, ენდრუს ნათესავი მეწვრილმანე უნდა ყოფილიყო. მათ მთვარის შუქით განათებული ხეივანი გადმოჭრეს და მომიახლოვდნენ. ასე რომ, იძულებული გავხდი იმ ამოცანის ამოხსნა სხვა დროისთვის გადამედო.

მისტრ მაკრედი ჯმუხი, საზრიანი და შორსმჭვრეტელი შოტლანდიელი გამოდგა. ეს მეწვრილმანე, რატომღაც, სწორედ ასეთად მყავდა წარმოდგენილი. ეტყობოდა, თვითონაც ეხალისებოდა ახალი ამბების მოგროვება და ხელობაც ისეთი ჰქონდა, რომ ამას ადვილად ახერხებდა. მან მოკლედ და საქმიანად მიამბო ყველაფერი, რას თემთა და ლორდთა პალატაში ითქვა მორისის საქმესთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ეს შემთხვევა ორივე პარტიამ პარლამენტის განწყობილების შესასწავლად გამოიყენა. ენდრუს მონაყოლიდან დავასკვენი და მერე მაკრედიმაც დამიდასტურა, რომ სამინისტროს ძალა არ იყო, დაეცვა ბრალდება, რომელიც ჩირქს სცხებდა ცნობილ და გავლენიან პიროვნებებს. მით უმეტეს, რომ ეს ბრალდება დაფუძნებული იყო ისეთი საეჭვო

სახელის მქონე ადამიანის ჩვენებაზე, როგორიც მორისი იყო. მხედველობაში ისიც უნდა იქნას მიღებული, რომ მორისი ძალზე დაბნეული პასუხობდა შეკითხვებზე.

მაკრედიმ ჟურნალ „ახალი ამბების“ ის ეგზემპლარიც მომცა, რომელშიც პარლამენტში გამართული კამათის ანგარიში იყო გამოქვეყნებული. ეს ჟურნალი მეტად ძნელი საშოვნელი იყო პროვინციებში. მანვე მაჩუქა ჰეცოგ არგაილის სიტყვა, რომელიც ცალკე ფურცლებად დაებეჭდათ. მაკრედის ბლომად შეეძინა ეს ფურცლები მეგაზეთეებისაგან - ტვიდის[143] გადაღმა კარგი გასავალი ექნებაო. ჟურნალში მეტისმეტად შემოკლებულად იყო მოცემული კამათის ანგარიში. გამოტოვებული ადგილები მრავალწერტილებით შეევსოთ. მე თითქმის ყველაფერი ვიცოდი მაკრედის ნაამბობიდან. ჰერცოგის გულწრფელი, მგზნებარე, მჭერმეტყველური სიტყვა კი საკუთარი სამშობლოს, გვარისა და კლანის ქებათა-ქებას წარმოადგენდა. აქვე თავსაც იქებდა ასევე გულწრფელად, ოღონდ უფრო ნაკლებად მგზნებარე ფრაზებით. ვერ მივხვდი, მეც გამკრეს ბრჭყალი თუ არა, მაგრამ ოსბალდისტონების გვარი კი საკმაოდ ამოესვარათ ტალახში. მორისის სიტყვით, ერთ-ერთი თავდამსხმელი და ალბათ მეთაური, გვარად კემპბელი, მოწმედ დაუდგა ვინმე ოსბალდისტოს, მოსამართლემაც მხარი აუბა და დამნაშავე გაანთავისუფლა. ჩემი და მორისის აზრი კემპბელის შესახებ ერთმანეთს ემთხვეოდა. ეს ეჭვი მაშინ გამიჩნდა, როცა კემპბელმა მოსამართლე ინგლვუდის ოთახის კარი შემოაღო.

ამ ცნობებმა ძალიან შემაწუხა და დამაფრთხო. მაკრედისაგან ორიოდე წვრილმანი შევიძინე, ფერსერვისს მადლობა გადავუხადე, ორივეს დავემშვიდობე და ჩემი ოთახისაკენ გავეშურე - მინდოდა კარგად მომეფიქრებინა, თუ რა ღონე მეხმარა ასე საჯაროდ შებღალული სახელის აღსადგენად.

თავი XV

ვინ ხარ, გვაუწყე. საიდან მოხვალ?

მილტონი

ის ღამე ფიქრსა და განსჯაში გავათენე. ჯერ მინდოდა დაუყოვნებლივ დავბრუნებულიყავი ლონდონში და ამით გამექარწყლებინა ის საშინელი ბრალდება (ხალხი იტყოდა, მართლა დამნაშავე რომ იყოს, ასე აშკარად ვერ გაბედავდა ლონდონში ჩამოსვლასო). მერე გადავიფიქრე - მამა გამიბრაზდება-მეთქი. კარგად მქონდა შესწავლილი მისი ხასიათი და ვიცოდი, რომ ბრძანების დარღვევას არ მაპატიებდა. ისე კი ამ საქმეში მამაჩემზე უკეთ ვერავინ დამეხმარებოდა: იგი ჭკვიანი და გამოცდილი კაცი იყო, ბევრს გავლენიან ვიგს იცნობდა და მათი შემწეობით ადვილად შეიძლებოდა საჭირო ხალხი ენახა და დამხმარებოდა. ბოლოს ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე და ვამჯობინე დაწვრილებით მიმეწერა ჩემი თავგადასავალი მამაჩემისათვის. რადგან ოსბალდისტონ-ჰოლში იშვიათად მოდიოდნენ წერილების წასაღებად, გადავწყვიტე მახლობელ ქალაქში წავსულიყავი ცხენით (მანძილი სულ ათიოდე მილი იქნებოდა) და ჩემი ხელით ჩამებარებინა წერილი ფოსტის მოხელისათვის.

ერთ რამ საკმაოდ უცნაურად მეჩვენებოდა: აი, უკვე რამდენიმე კვირა იყო გასული, რაც ლონდონიდან წამოვედი და ჯერ არც მამაჩემისგან მიმიღია წერილი, არც ოუენისგან. რეშლის გამოგზავნილი წერილი კი დაუგვიანებლად მივიღეთ (გვატყობინებდა

მშვიდობით ჩამოვედი ლონდონში და ბიძაჩემიც ძალიან კარგად შემხვდაო). ეს ამბავი ძალიან მაწუხებდა: მართალია, დამნაშავე ვიყავი მამაჩემის თვალში, მაგრამ განა ასე უნდა ამოვერეცხე გულიდან? თუმცა, იმედი მთლიანად არ მქონდა გადაწყვეტილი, ვფიქრობდი, იქნებ გამოგზავნა და ჯერ არ მომიტანეს. აი, ჩავალ ქალაქში და გამოვართმევ-მეთქი.

წერილი შევადგინე. ბოლოში, როცა მორისის ამბავი დავამთავრე, მივაწერე, გულით მინდა და ღრმად ვარ დარწმუნებული, მამაჩემი ორიოდე სტრიქონის მოწერას არ დაიზარებს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მისი რჩევა-დარიგების გარეშე მე, ცხოვრებაში გამოუცდელი ახალგაზრდა, ამ რთულ საქმეს თავს ვერ გავართმევ-მეთქი. ლონდონში სამუდამოდ დაბრუნებაზე სიტყვა არ დამიძრავს, რადგან არცა მქონდა სურვილი. თავს ვიტყუებდი, მამის მორჩილი ვარ და იმიტომ არ მინდა ოსბალდისტონ-ჰოლის დატოვება-მეთქი. ეჭვი არ მეპარება, რომ მამაჩემიც ასე ფიქრობდა. მხოლოდ დროებით მინდოდა ჩავსულიყავი ლინდონში, რომ ამით გამექარწყლებინა ის ბოროტი ბრალდება. საკმაოდ უცნაური წერილი კი გამოვიდა: გულახდილად ვყვებოდი ყველაფერს, ვცდილობდი, თავი გამემართლებინა და ამავე დროს იმ ადგილის დატოვებას არ ვაპირებდი, სადაც ასეთ უსიამოვნება შემხვდა. კონვერტი დავბეჭდე,

ქალაქში წავიღე და ფისტას ჩავაბარე. ფოსტაში ჩემი მეგობრის, მისტერ ოუენის წერილი დამხვდა (ამ წერილს მალე გადმოაგზავნიდნენ ოსბალდისტონ-ჰოლში). აი მისი შინაარსიც:

ძვირფასო მისტერ ფრენსის!

გავეცანი თქვენს წერილს, რომელიც მისტერ რ. ოსბალდისტონის ხელით გადმომიგზავნეთ. გავუწევ მისტერ რ. ო-ს ყოველგვარ დახმარებას ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში. უკვე ვაჩვენე ბანკი და საბაჟო. ჩემი აზრით, ფხიზელი და საზრიანი ჭაბუკია.

საქმეს მონდომებით ეკიდება. ნეტავი ყველა ასეთი მონდომებული ყოფილიყო, მაგრამ რა გაეწყობა, ყველაფერი ღვთის ნებაა. ვფიქრობ, ნაღდი ფული შემოგელეოდათ და ნუ გეწყინებათ, რომ ასი გირვანქის თამასუქს გიგზავნით. თამასუქი ნიუკასტლელი ბატონების ჰუპერისა და გირდერის სახელზეა და წარდგენიდან ექვსი დღის ვადაში უნდა გაანაღდონ. ვიმედოვნებ არ დაგიგვიანებენ.

დავშთები, ძვირფასო მისტერ ფრენკ, მარად თქვენი პატივისმცემელი და მორჩილი მსახური.

ჯოზეფ ოუენი.

Post scriptum იმედია, მამცნობთ ამ წერილის მიღებას. ძალზე მაწუხებს, რომ ასე ცოტას გვატყობინებთ თქვენს შესახებ. მამათქვენი ამბობს, ძველებურად ვარო, მაგრამ ცუდად გამოიყურება.“

მე გამიკვირდა, რომ ძველი მოხელის ამ მშრალ, მაგრამ საქმიან ეპისტოლეში ერთი სიტყვითაც არ იყო ნახსენები საიდუმლო წერილი, რომლითაც ოუენს რეშლის ნამდვილ ბუნებას ვაცნობდი. ჩემი ვარაუდით კარგა ხნის წინ უნდა მიეღო იგი. იგი ყველა წესის დაცვით გავუგზავნე ციხე-დარბაზიდან და არ უნდა დაკარგულიყო. რადგან ის წერილი ფრიად დიდი მნიშვნელობისა იყო ჩემთვისაც და მამაჩემისთვისაც. იქვე ფოსტაში დავჯექი და ხელახლა მივწერე ოუენს ყველაფერი, თანაც ვთხოვე როგორც კი მიიღებდა, ეცნობებინა. მივწერე აგრეთვე, რომ თამასუქი მივიღე და, როცა ფული დამჭირდებოდა გავანაღდებდი. კი გამიკვირდა, რომ მამაჩემმა თავის მოხელეს მიანდო ჩემზე ზრუნვა, მაგრამ მერე ვიფიქრე, ალბათ მოითათბირეს და ასე ამჯობინეს, ან იქნებ ოუენმა საკუთარი ფული გამომიგზავნა-მეთქი. მაინცდამაინც არ შევწუხებულვარ: ოუენი უცოლშვილო, საკმაოდ შეძლებული კაცი

იყო და მეც ძალიან ვუყვარდი. ასე რომ, უყოყმანოდ მივიღე ეს მცირე თანხა და გადავწყვიტე, თუ მამაჩემის გამოგზავნილი არ იყო, ვალად ჩამეთვალა და პირველივე შესაძლებლობისთანავე დამებრუნებინა (ოუენს ესეც მივწერე). ფოსტის უფროსმა ერთ იქაურ ვაჭართან გამგზავნა და იმანაც უყოყმანოდ გამინაღდა ბ-ნ ჰუპერისა და ბ-ნ გირდერის სახელზე გაცემული თამასუქი. ასე რომ, ოსბალდისტონ-ჰოლში გამდიდრებული დავბრუნდი. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება საკმაოდ მესიამოვნა, როადგან ოსბალდისტონ-ჰოლში ხანდახან დიდი ხარჯი მქონდა და უკვე საკმაოდ ვწუხდი, რომ ლონდონიდან ჩამოყოლილი თანხა თვალ და ხელ შუა მიდნებოდა. ახლა კი შემეძლო ერთხანს ფულზე აღარ მეფიქრა.

ციხე-დარბაზში მასპინძლები არ დამხვედრიან. ენდრუმ მითხრა, სერ ჰილდებრანდი მთელი თავისი შთამომავლობით ერთ პატარა სოფელში, თრინლეინოუში წავიდა, უნდა უყურონ, როგორ ამოკორტნის ერთი გადარეული მამალი მეორე დამთხვეულ მამალს ტვინსა და თვალებსო.

- მართლაც მხეცური გასართობია, ენდრუ. ალბათ შოტლანდიაში მამლების ჩხუბს არ აწყობენ, არა?

- რა თქმა უნდა, არა! - დაბეჯითებით მომიგო ენდრუმ, მაგრამ მერე თვალი ამარიდა და ჩაიდუდუნა, - აი, ხანდახან ყველიერში ან სხვა დღესასწაულებზე თუ მოაწყობენ. ისე კი ახია, არც უნდა შეიცოდო ეგ წყეულები, ისე აჩანაგებენ ბაღ-ბოსტანს; ვერც ცერცვს იპატიებ და იმათგან და ვერც მუხუდოს. მაგრამ მე ის მიკვირს, რად არის, აი, იმ კოშკის კარი ღია? ახლა მისტერ რეშლი ხომ წასულია და სხვას ვის უნდა გაეღო?

იმ კარით რეშლის ბინა ბაღს უკავშირდებოდა. კარამდე რკინის ხვეული კიბით უნდა ასულიყავი. რეშლის ბინა, როგორც ზევით მოგახსენებდი, ციხე-დარბაზის განცალკევებულ მხარეს იყო მოთავსებული. ბინა ერთი საგანგებო გასასვლელით ბიბლიოთე-

კას უკავშირდებოდა, ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული დერეფნებით კი დანარჩენ ოთახებს. კოშკიდან ვიწრო, მოლით დაფარული ურთხელის ხეივნით შეგეძლოთ ბაღის კედელში ჩატანებულ პატარა კართან მისულიყავით. რეშლი თავის ნებაზე ცხოვრობდა და ამ გზებით შეუმჩნევლად შეეძლო ციხე-დარბაზის ყველა კუნჭულში მისვლა. ასევე შეუმჩნევლად გადიოდა ოსბალდისტონ-ჰოლიდან იმ ვიწრო ხეივნით, რა დროსაც მოენებებოდა. რეშლის წასვლის შემდეგ, ხვეული კიბითა და კოშკის კარით არავინ სარგებლობდა, ამიტომ, ენდრუს შენიშვნამ შემაფიქრიანა.

- სხვა დროსაც შეგინიშნავთ, რომ კარი ღია იყო? - ვკითხე ენდრუს.

- რო ვთქვა, ხშირადო, ტყუილი იქნება, ერთი-ორჯერ კი მართლა იყო ღია. ვიფიქრე, მღვდელი იქნება, მამა ვოგანი-მეთქი. ეგრე არ ეტყვიან იმ მღვდელს? მსახურებიდან კეტით ვერ აიყვან ვერავის კიბეზე. ურჯულოები არიან, ეგ საცოდავები და სული ეპარებათ ეშმაკების, ქაჯებისა და ათასნაირი იმ ქვეყნიური უწმინდურების გახსენებაზე. მამა ვოგანს კი დიდი ვინმე ჰგონია თავი. ამბობს, ეშმაკი რას დამაკლებსო. ვისაც უნდა სანაძლეოს დავუდებ, რომ ჩვენი სულ უკანასკნელი უმრევლო მღვდელი ორჯერ უფრო სწრაფად გააგდებს მოჩვენებას, ვიდრე ეგ ვიღაც ვოგანი. მაგას ჰგონია, ნაკურთხი წყალი და თავისი ლოცვანები უშველის! მგონი, ლათინურიც არ იცის კარგად. არ ვიცი, მცენარეების ლათინურ სახელებს რომ ვეუბნები ვერ კი მიგებს და!

მამა ვოგანზე, რომელიც თავის დროსა და სულიერ საზრდოს ოსბალდისტონ-ჰოლის გარდა ახლომახლო მოსახლე ექვსიოდე კათოლიკე-აზნაურის ოჯახს უნაწილებდა, აქამდე არაფერი მითქვამს, რადგან სულ ერთი-ორჯერ მყავდა ნანახი. ასაკით სამოციოდე წლისა იქნებოდა. ჩრდილოეთის მკვიდრი გახლდათ, თანაც, როგორც მითხრეს, კარგი ოჯახიდან ყოფილა. მამა ვოგანი წარმოსადეგი და შთამბეჭდავი გარეგნობით გამოირჩეოდა და

ნორთუმბერლენდის კათოლიკეთა დიდი პატივისცემით სარგებლობდა, რადგან სამართლიან და კეთილშობილ ადამიანად იცნობდნენ. მამა ვოგანი პირწავარდნილი კათოლიკე გახლდათ. მისი ქცევა და გარეგნობა იდუმალებით იყო მოსილი და პროტესტანტები ამას მისი იეზუიტობიით ხსნიდნენ. ოსბალდისტონ-ჰოლის მცხოვრებლები რიდითა და კრძალვით ექცეოდნენ მოძღვარს, მაგრამ სიყვარულით არ უყვარდათ. როცა მამა ვოგანი ციხე-დარბაზს ესტუმრებოდა, მასპინძლები სმასა და ღრეობას უკლებდნენ. თვით სერ ჰილდებრანდიც კი ცდილობდა თავი შეეკავებინა ლოთობისაგან. ასე რომ, მოძღვრის სტუმრობისას ოსბალდისტონ-ჰოლში მოწყენილობა დაისადგურებდა ხოლმე.

კათოლიკე, განსაკუთრებით ინგლისში მცხოვრები, მკაცრი კანონების არტახებით არის შებოჭილი და სექტაც ათასნაირად ზღუდავს მის ქცევას. ამიტომ პროტესტანტებში რომ მოხვდება, მეტისმეტად ფრთხილად, მორიდებულად იქცევა და ყოველ სიტყვას ზომავს და წონის. კათოლიკე მღვდელს კი სექტა უფლებას აძლევს, ყველა რწმენის ხალხთან იქონიოს ურთიერთობა. მას ყველგან თამამად უჭირავს თავი და ხანდახან თავისუფლად გამოთქვამს ისეთ აზრს, რასაც თავისი მრევლის წევრს არ აპატიებდა. კათოლიკე მღვდლები ძალზე დახვეწილი გზებით ცდილობენ პოპულარულობის მოპოვებას და ხშირად აღწევენ კიდეც მიზანს. მამა ვოგანიც ასეთი გახლდათ: თავაზიანი და შემპარავი საუბარი იცოდა და, თუ დასჭირდებოდა, პირფერობასაც კადრულობდა. იგი რეშლის მეგობარი იყო (უამისოდ, ალბათ ასე ვერ მოიკიდებდა ფეხს ოსბალდისტონ-ჰოლში). ამიტომ, სულ არ მქონდა სურვილი დავახლოვებოდი. თვითონაც დიდად არ ცდილობდა ჩემთან დამეგობრებას და ჩვენი ურთიერთობა ჩვეულებრივი თავაზიანობის ფარგლებს არ სცილდებოდა. ახლა სულ არ გამკვირვებია, რომ რეშლის კოშკის კარი ღია იყო. როცა მამა ვოგანი ციხე-დარბაზს ესტუმრებოდა, რეშლის ერთ-ერთ ოთახში

ბინავდებოდა და ხანდახან ბიბლიოთეკითაც სარგებლობდა. შესაძლებელია წუხელაც ესტუმრა ბიბლიოთეკას. ცხადია სანთელსაც აანთებდა. ამ დროს, უნებლიეთ, ისიც გამახსენდა, რომ მის ვერნონისა და მამა ვოგანის ურთიერთობას რაღაც იდუმალების იერი გადაჰკრავდა. დიანამ მხოლოდ ერთხელ, პირველ დღეებში ახსენა ჩემთან მისი სახელი: ამ ციხე-დარბაზში მხოლოდ რეშლისთან და მოხუც მღვდელთან შეიძლება საუბარიო. ამის შემდეგ თუმცა სიტყვა არ დაუძრავს მამა ვოგანზე, ვამჩნევდი, რომ მისი მოსვლა აფორიაქებდა. ერთი-ორჯერ შევნიშნე, თვალით რაღაც ანიშნა მღვდელს. აშკარა იყო, მამა ვოგანმაც იცოდა ის საიდუმლო, რომლითაც ამ უნაკლო, მშვენიერი გოგონას ცხოვრება იყო მოცული. შესაძლებელია, სწორედ ეს მღვდელი იყო დანიშნული დიანასათვის გამოტანილი განაჩენის შესასრულებლად: მას უნდა გამოეკეტა მონასტერში, თუ მის ვერნონი უარს იტყოდა სერ ჰილდებრანდის რძლობაზე. თუ ეს ვარაუდი სწორი იყო, მაშინ გასაგებია, რატომ აღელვებდა ქალიშვილს მღვდლის გამოჩენა და ისიც გასაგები ხდებოდა, თუ რატომ არ ხვდებოდნენ ერთმანეთს უფრო ხშირად: მათ მხოლოდ ეს საკითხი აკავშირებდათ და სალაპარაკოც ბევრი არაფერი ჰქონდათ - უსიტყვოდაც ესმოდათ ერთმანეთისა. მერე გამახსენდა, რომ ამას წინათ დიანამ რაღაცა ანიშნა მღვდელს. მაშინ ვიფიქრე, ეს კათოლიკე მღვდლები ათასნაირი ხერხით უბნელებენ გონებას თავიანთ მრევლს. ალბათ დიანას რაიმე რიტუალის შესრულება დაავალა და ანიშნებს შევასრულეო. მაშინ ასე ვიფიქრე, მაგრამ ახლა ეჭვი შემეპარა - აქ რაღაც უფრო ღრმა საიდუმლო იფარება-მეთქი. იქნებ მის ვერნონი ფარულად ხვდება მამა ვოგანს ბიბლიოთეკაში? თუ ხვდება რაზე საუბრობენ? ან რატომ დაუახლოვდა ასე ჩემი ვერაგი ბიძაშვილის მეგობარს? დიდხანს ვიწვალე, მაგრამ ეს ამოცანა ვერ იქნა და ვერ ამოვხსენი. ბოლო ხანებში ვამჩნევდი, რომ დიანა ვერნონი ჩემთვის მეგობარზე მეტი იყო. უკვე ვეჭვია-

ნობდი ამ ბრიყვ თორნკლიფზე და თავს ძლივს ვიკავებდი, როცა ცდილობდა გავეღიზიანებინე და საჩხუბრად გამოვეწვიე. სიფხიზლე და კეთილგონიერება კი მოითხოვდა, თავი არ გამეტოლებინა მისთვის და უხეშობაზე სიმშვიდით მეპასუხა: ვგრძნობდი, რომ ფხიზლად ვუთვალთვალებდი მის ვერნონის ყოველ ნაბიჯს და თან თავს ვიტყუებდი, ყველაფერი ცნობისმოყვარეობის ბრალია-მეთქი. ყოველივე ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჩემს ნორჩ გულს სიყვარული ეწვია (ხომ გახსოვს, შეყვარებული ბენედიქტი დილიდანვე რომ იწყებდა შლაპის წმენდას). დიახ, შეყვარებული ვიყავი, მაგრამ თავს არ ვუტყდებოდი, მოგზაურებს რომ დააბნევს და მერე დაჟინებით ამტკიცებს, როგორ შეიძლება გზა ამრეოდაო, არადა არ მინდოდა მეღიარებინა, რომ ქედი მოვიხარე ამ სულელური გრძნობის წინაშე!

თავი XVI

ერთხელ, შუადღისას, ჩემი ნავისაკენ რომ მივდიოდი, დიდად გავოცდი - ქვიშაზე მკაფიოდ იყო აღბეჭდილი ადამიანის შიშველი ფეხის ნაკვალევი.

„რობიზონ კრუზო“

მის ვერნონის ასეთმა ქცევამ ეჭვი და ცნობისმოყვარეობა გამიღვიძა და ისე გაფაციცებით დავუწყე თვალთვალი მის ყოველ ნაბიჯს, რომ შემამჩნია კიდეც. დიანა ძალზე შეაწუხა და გაანაწყენა ამან. ხანდახან თითქოს საბაბსაც ეძებდა, რომ სამაგიერო გადაეხადა ასეთი მდაბალი საქციელისათვის. მან ხომ გულახდილად მითხრა, საფრთხე მემუქრება, მაგრამ თვალთვალს ნუ დამიწყებო. ვატყობდი, რომ უნდოდა ერთხელ და სამუდამოდ მომლაპარაკებოდა ამ საქმეზე, მაგრამ ან სითამამე არ ყოფნიდა, ან რაღაც სხვა გრძნობა აჩერებდა. ენაზე საყვედური უტრიალებდა, მაგრამ თავს იკავებდა და მოსწრებული სიტყვით იქარვებდა დარდს. უცნაური ვითარება შეიქმნა: უერთმანეთოდ ვერა ვძლებდით, თითქმის სულ ერთად ვიყავით, მაგრამ ერთმანეთს გულს არ ვუხსნიდით, ვეჭვიანობდით, სულ მცირე რამეზე ვიბუტებოდით და ერთმანეთს არ ვენდობოდით. აქ იყო უიმედო და უმიზნო სიყვარული, უსაფუძვლო ეჭვი, შეშფოთება, წუხილი, ზოგჯერ წყენაცა და გულის გატეხვაც. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ვნებათა ღელვა და ათასი

წვრილმანი, რომელიც გვაწუხებდა და გვაფორიაქებდა, გვაიძულებდა (ასეთია ადამიანის ბუნება) მე და მის ვერნონს, მუდამ ერთმანეთზე გვეფიქრა, ეს კი კიდევ უფრო აახლოვებდა ჩვენ გულებს. თუმცა მალევე მოხვდა, რომ ჩემმა გამოჩენამ დიანას კიდევ უფრო შეიძულა მონასტერი (და იმით ვამაყობდი კიდეც), მაგრამ ბოლომდე მაინც არ ვიყავი დარწმუნებული იმის სიყვარულშიც მეგონა, ბედს დამორჩილდა და ამ გრძნობას აღარ გაუღებს გულის კარებს-მეთქი. მის ვერნონს მტკიცე ხასიათი ჰქონდა და მოვალეობასა და კეთილგონიერებას გრძნობაზე მაღლა აყენებდა. ერთ-ერთ საუბრიდან დავასკვენი, რომ არა ვცდებოდი.

ერთხელ ბიბლიოთეკაში ვისხედით. მის ვერნონმა ჩემ ჩამოტანილ წიგნს „Orlando Furioso“-ს დაუწყო ფურცვლა. წიგნიდან ხელნაწერი ქაღალდი გადმოვარდა და ფარფატით დაეშვა იატაკზე. ასაღებად დავიხარე, მაგრამ დიანამ მომასწრო, აიღო და თვალი გადაავლო. „ოჰო, ლექსია“ ? - ჩაილაპარაკა მან და პასუხის მოლოდინში თვალებით მომაჩერდა, როცა ხმა არ ამოვიღე, მკითხა:

- შეიძლება წავიკითხო? თქვენ წითლდებით და ენა გებმით! მაშასადამე, იძულებული ვარ, ძალით მოგიხადოთ მორცხვობის მოსასხამი და ჩავთვალო, რომ წაკითხვის ნებართვა მოცემულია.

- მანდ არაფერია თქვენი ყურადღების ღირსი... თარგმანია, თანაც შავი. თქვენ შესანიშნავად იცნობთ ამის დედანს, ძვირფასო მის ვერნონ, და ვშიშობ, რომ მეტად მკაცრ განაჩენს გამომიტანთ.

- ძალიან ნუ მოისაწყლებთ თავს, ჩემო მეგობარო. ალბათ გინდათ ქება გამომტყუოთ, მაგრამ ამაოდ დაშვრებით. კარგად მოგეხსენებათ, რომ პირში მთქმელი ვარ და, თუ არ მომეწონებოდა, თვით აპოლონსაც არ შევუქებდი ჩანგს.

დიანამ ლექსის კითხვა დაიწყო და თუ მეხსიერება არ მღალატობს ასე ჟღერდა:

მე ვუმღერ ქალებს, ვუმღერ იარაღს, მე შენ გიმღერი ზრდილო რაინდო,

ვუმღერ სიყვარულს, გზნებას მშვენიერს, გულს რომ მოხვდა და ცეცხლად აინთო,

თუ საფრანგეთის ასაოხრებლად რა გააფთრებით მოდგნენ მავრები,

მე მათ სიფიცხეს, პატივისცემას, მათ რაინდობას დავემგზავრები.

ზღვა გადმოლახოს, გარდმოვლეს მთები, გზები დაცხრილეს შუბის წვეტებით,

წინ მოუძღოდათ მეფე აგრამანტ, ახალგაზრდული სულისკვეთებით,

მათ ტროიანის უღვთო სიკვდილმა ბოღმა შეუნთო ტანში ციებად,

სისხლი სისხლის წილ! - რეკდნენ ზარივით, წინ მოიწევდნენ შურის ძიებად.

შორი ქვეყნიდან მოდგა აგრამანტ, ბევრი ივნო და ბევრი იარა,

რომს დაემუქრა საქრისტიანოს, მეფე კარლოსიც შეაწრიალა.

როლანდს ვუგალობ, რაინდს უშიშარს, მას გააცოცხლებს ჩემი ოცნება.

და არნახული სულისკვეთებით მიუმღერებს და მიემგოსნება.

ვიტყვი, რომ ჰქონდა განსჯის უნარი, მაგრამ შეუჩნდა ტრფობის იარა,

ფხა გაუცუდა, აზრი წაართვა, გააბრუა და გაატიალა.

- აქ კიდევ ბევრი ყოფილა, - თქვა დიანამ და ფურცელს თვალი ჩააყოლა.

შეწყდა უმშვენიერესი ჰანგი, ჰანგი რომელიც შეიძლება მოისმინოს მოკვდავმა - ჭაბუკი პოეტის ლექსი, რომელიც უძვირფასესი ადამიანის ბაგეთაგან იღვრება!

- დიახ, მის ვერნონ, აქ საკმაოდ ბევრია დარჩენილი და ნუღარ შეწუხდებით, - მეწყინა მე და ხელი გავუწოდე ლექსის გამოსართმევად. დიანამ მაშინვე დამიბრუნა ფურცელი.

- მაგრამ, - დავსძინე მე, - ვგრძნობ, რომ ამ შორეულ მხარეში გადმოხვეწილი და მარტოობისათვის განწირულ ადამიანისათვის ეს ერთადერთი გასართობია. თქვენ ხვდებით, რომ მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ვაგრძელებ ამ მომაჯადოებელი პოემის თარგმნას. რამდენიმე თვის წინ დავიწყე, როცა ჯერ კიდევ გარონის ნაპირას ვცხოვრობდი.

დიანა ცოტა ხანს ღრმად ჩაფიქრდა, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

- აქ ასეთი კითხვა უნდა დაგისვათ: ნუთუ არ შეგიძლიათ, თქვენი თავისუფალი დრო უკეთესი მიზნის მისაღწევად გამოიყენოთ?

დიანას შეკითხვამ სიამაყის გრძნობით ამივსო გული:

- თქვენ ორიგინალურ შემოქმედებას გულისხმობთ? გულახდილად რომ მოგახსენოთ, მე უფრო სიტყვებისა და რითმების შერჩევა მეხერხება, ვიდრე საკუთარი აზრების ლექსად გადმოცემა. ამიტომ სავსებით ვკმაყოფილდები იმით, რაც არიოსტომ შემომთავაზა. მაგრამ თქვენმა სიტყვებმა, ისეთი იმედი ჩამინერგა გულში, მის ვერნონ, რომ...

- მაპატიეთ, ფრენკ, თქვენ ვერ გამიგეთ. ეს სიტყვები გასამხნევებლად არ მითქვამს, მე არც ორიგინალურ შემოქმედებას ვგულისხმობ და არც თარგმნას. არც ერთზე უნდა დახარჯოთ დრო და არც მეორეზე. ვგრძნობ, გული გატკინეთ და ძალიან ვწუხვარ.

- არა, რას ბრძანებთ, არა მწყენია, სულ არა მწყენია, - თავაზიანად მივუგე მე, მაგრამ ხმაზე შემეტყო, რომ ამას გულწრფე-

ლად არ ვამბობდი, - პირიქით, ძალზე მადლობელი ვარ, რომ ასე შეგტკივათ ჩემზე გული.

- არა, - განაგრძო ულმობელმა დიანამ, - გატყობთ, რომ ნაწყენი ხართ და ცოტათი ბრაზობთ კიდეც. ნუ განრისხდებით, თუ შევეცდები, უფრო გარკვეულად გითხრათ ჩემი აზრი. მე ვაპირებ, კიდევ მეტად გატკინოთ გული.

ვგრძნობდი ჩემს უმწეობას, ვაღიარებდი, რომ დიანა ჩემზე გაბედული და გაუტეხელი იყო და ვთხოვე, ნუ გეშინიათ, ყველაფერი პირდაპირ მითხარით, არ მეწყინება, რადგან ვიცი, ჩემთვის კარგის მეტს არაფერს ისურვებთ-მეთქი.

- აი, ეს კი სიმართლეა. ახალა ვგრძნობ, რომ გულწრფელი ხართ. ეჭვი არ მეპარება, რომ ამპარტავნობის დემონი, რომელიც ყველა შემოქმედს უზის გულში, ცოტა ხანს კიდევ აითრევს ფეხს, მერე ერთ ჩაახველებს და უკანმოუხედავად გაკურცხლავს. ახლა კი ხუმრობას თავი დავანებოთ და საქმეზე ვილაპარაკოთ. ამ უკანასკნელ ხანებში მამათქვენს ხომ არაფერი მოუწერია?

- არა! რაც აქა ვარ, ერთი სიტყვაც არ გამოუმეტებია ჩემთვის.

- საკვირველია! ოჰ, ეს მამაცი ოსბალდისტონები! არა, მართლა საოცარი ხალხი ხართ. მაშ არ იცით, რომ ჰოლანდიაში წავიდა, რაღაც გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად?

- პირველად მესმის!

- მაშინ, სხვაც არ გეცოდინებათ. არ გესიამოვნებათ, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ მთელი თავისი საქმეები რეშლის გადააბარა. სანამ დაბრუნდება, იქაურობის ბატონ-პატრონი რეშლი იქნება.

ისე გავოცდი და შევშფოთდი, რომ ფეხზე წამოვვარდი.

- თქვენ სრული საფუძველი გაქვთ შეშფოთებისათვის, - მითხრა დიანამ, - თქვენს ადგილას შევეცდებოდი გავმკლავებოდი უბედურებას, რომელიც შეიძლება მამათქვენის უხეირო გადაწყვეტილებას მოჰყვეს.

- ნუთუ შეიძლება რამის გაკეთება?

- მხნე და მამაცი ადამიანი ყველაფერს გააკეთებს, - მიპასუხა დიანამ და ისეთი თვალებით შემომხედა, რომ მზად ვიყავი მთები გადამებრუნებინა. ალბათ ასე ამხნევებდნენ რაინდებს თავიანთი გულის დედოფლები მძიმე ბრძოლის წინ, - მხდალი და გადაუწყვეტელი კი გულზე ხელებს დაიწყობს და ბედს მიენდობა.

- თქვენ რას მირჩევთ, მის ვერნონ? - ვკითხე და შიშითა და მოლოდინით შევაჩერდი თვალებში.

დიანა ცოტა ხნით ჩაფიქრდა, მერე კი მტკიცედ მომიგო:

- დაუყონებლივ უნდა დატოვოთ ოსბალდისტონ-ჰოლი და ლონდონს დაუბრუნდეთ, დაუყოვნებლივ! - შემდეგ ნაზად დასძინა, - მეტად დიდხანს დარჩით აქ, თუმცა ეს თქვენი ბრალი არ არის. ახლა კი წუთის დაკარგვა დანაშაულია. დიახ, დანაშაული, რადგან თუ რეშლის დროზე არ ჩამოაშორებთ საქმეს, მამათქვენი აუცილებლად გაკოტრდება.

- რატომ?

- კითხვებს ნუ მაძლევთ. მერწმუნეთ, რომ ასე იქნება. რეშლი ფულის გიჟი არ არის. მას სხვა მიზნებიც აქვს. მისტერ ოსბალდისტონის ქონების ხელში ჩაგდება იმიტომ უნდა, რომ ხორცი შეასხას თავის პატივმოყვარულ ოცნებას. სანამ მამათქვენი ინგლისში იყო, რეშლის ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული, ახლა კი ხელის შემშლელი არავინა ჰყავს და უკან არაფერზე დაიხევს.

- კი მაგრამ, მე რა შემიძლია? მამაჩემი შემომწყრა და საქმეს ჩამომაშორა. ჩემი ჩასვლით რა გაკეთდება?

- მარტო თქვენი გამოჩენაც კი დიდი საქმეა! შვილი ხართ და უფლება გაქვთ მამის საქმეებში ჩაერიოთ. გარდა ამისა, უეჭველია, უფროსი კლერკიც დაგიჭერთ მხარს და მამათქვენის მეგობრებიცა და კომპანიონებიც დაგეხმარებიან. რეშლი აპირებს... (მის ვერნონმა სიტყვა შუაზე გაწყვიტა, ეტყობა, შეეშინდა ზედმეტი არაფერი ვთქვაო), ერთი სიტყვით, რეშლი აპირებს, თავისი ბო-

როტი განზრახვის განხორციელებას, მაგრამ, როგორც კი დაინახავს, რომ თვალს ადევნებენ, უკან დაიხევს. ამიტომ თქვენი საყვარელი პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ:

ჩქარა ცხნებზე! ჟამი რეკავს... ლოდინი კმარა,
ეჭვები ლაჩრებს დაუტოვეთ... ცხენები ჩქარა.

რაღაც გაურკვეველმა გრძნობამ მიკარნახა პასუხი:

- ეჰ, დიანა, რადგან თქვენ მეუბნებით, უნდა დავტოვო აქაურობა. ეტყობა, მართლა გამიგრძელდა სტუმრობა.

მის ვერნონს ღაწვები შეეფაკლა, მაგრამ წინანდებურად მტკიცედ მიპასუხა:

- დიახ, მე გირჩევთ, დატოვოთ ოსბალდისტონ-ჰოლი და არასოდეს პირი არ იბრუნოთ აქეთკენ! ეს მხოლოდ ერთ თქვენს მეგობარს დააღონებს (დიანამ თავს ძალა დაატანა და გაიღიმა), მაგრამ არა უშავს, იგი მიჩვეულია ბედის სიავეს და როგორმე გაიტანს თავს. მთავარია, თქვენ იყოთ კარგად, ცხოვრების გზა წინ გიდევთ და ალბათ კიდევ მრავალ უანგარო და უფრო სასარგებლო მეგობარს შეიძენთ, თანაც იმათთან მეგობრობაში არც ბოროტი ადამიანები შეგეცილებიან და არც ხალხის მითქმა-მოთქმა და არეული დრო შეგიშლით ხელს .

- არასოდეს! - შევძახე მე, - საწუთრო ვერ ამინაზღაურებს ამ დანაკარგს! - ამ სიტყვებით დიანას ხელი ბაგეებთან მივიტანე და მხურვალედ ვეამბორე.

- ეს უგუნურობაა, ეს სიგიჟეა! - წამოიძახა დიანამ და ხელის გამორთმევას შეეცადა, არ დავანებე და თვითონაც ძალიან არ მოინდომა, ასე რომ თითქმის მთელ წუთს არ გავუშვი ხელი.

- მისმინეთ, სერ, - მითხრა დიანამ ცოტა ხნის შემდეგ, - დამშვიდდით, ვაჟკაცს არ ეკადრება ასეთი აღელვება. მე ღვთის დაწინდული ვარ. ან იმ ხორცშესხმულ ბოროტებას რეშლი ოსბალ-

დისტონს უნდა გავყვე ცოლად, ან მის ტლანქ ძმას, ან მონაზვნად აღვიკვეცო. ეს ბედი აკვნიდან დამანათლეს, ამიტომ თქვენი ვნებათაღელვა უაზრო და უმიზნოა და კიდევ უფრო მარწმუნებს იმაში, რომ სწორი რჩევა მომიცია. თქვენ აქაურობა უნდა დატოვოთ და უნდა ეცადოთ... - დიანა უცებ გაჩუმდა და რაღაცას მიაჩერდა, მერე თითქმის ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი:

- ახლა დამტოვეთ. ჩვენ კიდევ შევხვდებით აქ ერთმანეთს, ოღონდ ეს შეხვედრა უკანასკნელი იქნება!

მე დიანას მზერას გავაყოლე თვალი და შევნიშნე, თითქოს კარებზე ჩამოფარებული ხალიჩა შეირხა. ეს საიდუმლო კარი რეშლის ოთახში გადიოდა. ვიფიქრე, გვითვალთვალებენ-მეთქი და მის ვერნონს კითხვის თვალით შევხედე.

- არაფერია, - წაიჩურჩულა მან, - ვირთხა იქნებოდა.

მივხვდი, რომ ვიღაც გვიყურებდა და ძლივს დავიოკე ყელში მოწოლილი ბრაზი... ასე რომ არ მექნა, ალბათ მომიწვდა გამემეორებინა ჰამლეტის სიტყვები „მოკვდა! მოკვდა თუნდ ნაძლევსა ვდებ“... დიანას განმეორებითმა ბრძანებამ, დამტოვეთ, ახლავე დამტოვეთო, დროზე მომისწრო, თორემ თავს ვეღარ შევიკავებდი და უგუნურ ნაბიჯს გადავდგამდი. ჩემს ოთახში საშინლად აფორიაქებული შევედი და ამაოდ შევეცადე დავმშვიდებულიყავი.

თავში ფიქრების კორიანტელი მიტრიალებდა, ათასნაირი აზრი და წუხილი ენაცვლებოდა ერთმანეთს: ერთი მეორეს ფარავდა, მეორე მესამეს გადაეფარებოდა, ხან კი სულ მიწყდებოდა ფიქრის ძაფი, თითქოს მთაში ჯანღი ჩამოწვა და გზები და ბილიკები ერთიანად წაშალაო. ხან ის საფრთხე წარმომიდგებოდა, მამაჩემს რომ მოელოდა გაიძვერა რეშლის ხრიკებისაგან, ხან ჩემი და დიანას წეღანდელი საუბრის ნაწყვეტები მიტრიალებდა თავში, ხან დიანას მწარე ხვედრზე ვწუხდი - რა უნდა ქნას, დაღუპულია, ან მონაზვნად უნდა აღიკვეცოს, ან საძულველ ადამიანს და-

უკავშიროს თავისი მომავალი-მეთქი. ეს ყოველივე ერთდროულად მიბურღავდა ტვინს და საშუალებას არ მაძლევდა, ერთ-ერთ მათგანზე შევჩერებულიყავი და რაიმე გონივრული გადაწყვეტილება მიმეღო. ყველაზე მეტს კი დიანას საქციელზე ვფიქრობდი. ვიხსენებდი, თუ რა უცნაურად მიიღო ჩემი აღსარება: წამით თითქოს დანებდა ვნებას, წამით თითქოს ვიგრძენი, რომ იმასაც სიყვარულით უძგერდა გული, მაგრამ მერე ნებისყოფა მოიკრიბა და მაგრძნობინა, ჩვენს შორის გადაულახავი ზღუდე აღმართულიო. როცა იმ ხალიჩას შეხედა, თვალებში გაოცება კი არა შიში ჩაუდგა. ეტყობა, ამ შიშის საკმაო საფუძველი ჰქონდა, რადგან დიანა ვერნონი სხვა ქალებივით მხდალი და ფეთიანი არ იყო და უმიზეზოდ არ დაფრთხებოდა ასე. ნეტავ რა იყო ის უჩინარი საფრთხე, რომელიც დაღუპვით ემუქრებოდა და აიძულებდა ნიადაგ ეფხიზლა. ვინ აშინებდა ასე, რითი აშინებდა? აი, ბოლოს ამ იდუმალებით მოსილი ამოცანის ამოხსნა გადავწყვიტე და თითქოს გამიხარდა კიდეც, რომ ჩემი კი არა, დიანა ვერნონის საქმე მქონდა განსასჯელი. „არა, - ვთქვი ბოლოს, - აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ არ გადავწყვეტ, როგორ უნდა მოვექცე ამ მომაჯადოებელ ქმნილებას, რომელიც გულახდილობისა და იდუმალების ტყვედ არის ქცეული. პირველი ქალიშვილის სიტყვებსა და გრძნობებზე გაბატონებულა, მეორეს კი თავისი შავი ფარდა ჩამოუფარებია მისი მოქმედებებისათვის“.

ცნობისმოყვარეობისა და ვნების გარდა ეჭვიც მიღრღნიდა გულს, თუმცა რომ გეკითხათ, ვერ გიპასუხებდით, ვისზე ვეჭვიანობდი. ეს გრძნობა, სიყვარულთან ერთად რომ იბადება და იზრდება, განსაკუთრებით მაშინ მომეძალა, როცა ვიგრძენი, თუ რა მაგრად ჩაუჭერიათ ხელში დიანა იმ ვიღაც უხილავ პიროვნებებს. არ მინდოდა თავს გამოვტყდომოდი, მაგრამ რაც მეტად ვუკვირდებოდი მის ხასიათს, მით მეტად ვრწმუნდებოდი, დიანას დამორჩილება მხოლოდ ძლიერ გრძნობას შეუძლია-მეთქი და თან-

დათან იმ აზრზე ვდგებოდი, რომ სწორდ ამ გრძნობას შეებოჭა და დაემონებინა იგი. აი, ეს ეჭვი მქონდა შემონთებული გულზე და უღმერთოდ მტანჯავდა და მაწამებდა. აი, ამ ეჭვმა მაიძულა აუცილებლად ამეხადა ფარდა დიანას საიდუმლოებისათვის და მიმაღებინა ის გადაწყვეტილება, რომელსაც, თუ ამდენმა წვრილმანმა თავი არ მოგაბეზრა, შემდეგ თავში გაეცნობი.

თავი XVII

ხმა მეცნაურა - თქვენთვის უცნობი,
ეს ხმა ჩამძახის, რომ არ დავხანდე
თქვენთვის უჩინო ხელი მანიშნებს -
ცხენს მოვაჯდე და სწრაფად გავქანდე.

თიკელი.[144]

თუ გახსოვს, ერთხელ უკვე გითხარი, ტრეშამ, რომ საღამოობით იშვიათად ვსტუმრობდი ხოლმე ბიბლიოთეკას და მაშინაც ყოველთვის წინასწარ ვუთანხმდებოდი მართას, ჩემთან ერთად ყოფილიყო მთელი საღამოს მანძილზე. ეს არავის დაუძალებია, მე თვითონ შემოვიღე წესად. უკანასკნელ ხანებში მე და მის ვერნონს კიდევ უფრო გაგვირთულდა ურთიერთობა და ბიბლიოთეკაში საღამოობით სულ აღარ ვხვდებოდით ერთმანეთს. ამიტომ მის ვერნონი ვერც წარმოიდგენდა, რომ მე ამ შეხვედრას განვაახლებდი და თანაც ისე, რომ მართას არ დავისწრებდი. თუმცა რატომ უნდა გაჰკვირვებოდა ჩემი მისვლა? მე ხომ პირობა არ დამიდვია, საღამოობით მარტო არ შემოვალ ბიბლიოთეკაშიმეთქი. ასე საკუთარი სურვილით ვიქცეოდი. ბიბლიოთეკის კარი ღია იყო ყველასთვის და მე რატო უნდა ვყოფილიყავი გამონაკლისი? რაც არ უნდა მოულოდნელად ჩვენებოდა დიანას ჩემი მისვლა. უზრდელობას მაინც ვერ დამწამებდა. მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ მის ვერნონი სწორედ ბიბლიოთეკაში ხვდებოდა მამა ვოგანს ან იმ პიროვნებას, რომლის კარნახითაც მოქმედებდა. თუ ასე იყო, შეხვედრისთვის ისეთი დრო უნდა და-

ენიშნა, როცა სხვას არავის ელოდა. ბიბლიოთეკის განათებული ფანჯრები, მამაკაცის ჩრდილი, რომელიც მე თვითონ შევნიშნე ბაღიდან, ნამიან ბალახზე დარჩენილი კვალი, ბიბლიოთეკიდან რომ მოდიოდა ბაღის გალავანში ჩატანებული ჭიშკრისაკენ, იდუმალი ხმები, რომლებიც თითქოს ხშრად გაუგონიათ მსახურებს, მათ შორის ენდრუ ფერსერვისსაც, იდუმალი აჩრდილები, ათასნაირი მითმა-მოთქმას რომ იწვევდა ციხე-დარბაზის მცხოვრებთა შორის, იმაზე მეტყველებდა, რომ ბიბლიოთეკას ვიღაც უცხო სტუმარი შემოჩვეოდა და რადგან ეს ვიღაცა დიანა ვერნონის უცნაურ ბედთან იყო დაკავშირებული, უყოყმანოდ გადავწყვიტე, გამეცნო და გამერკვია. რა მიზნით ხვდებოდა დიანას , ბოროტი განზრახვა ედო გულში თუ კეთილი, როგორ მოახერხა დიანას ნება-სურვილზე გაბატონება, რა აიძულებდა ქალიშვილს დამორჩილებოდა მის ბრძანებებს, შიში თუ სიყვარული? აი კითხვა, რომელიც ყველაზე მეტად მაინტერესებდა, თუმცა ვცდილობდი თავი მომეტყუებინა, ეს ისე, სხვათა შორის მინდა ვიცოდე-მეთქი. ეჭვმა მთელი ჩემი არსება დაიმონა. თუმცა ყველაფრიდან ჩანდა, რომ დიანას მრავალი მრჩეველი შეიძლებოდა ჰყოლოდა, მაგრამ, ეჭვიანობით დაბრმავებული, ვფიქრობდი, მისი მბრძანებელი და ყველა მოქმედების წარმმართავი ერთადერთი ადამიანია-მეთქი. ეს ადამიანი, რა თქმა უნდა, მამაკაცი გახლდათ, თანაც ახალგაზრდა და ლამაზი! და აი, იმ ივლისის საღამოს მე ბაღში ვიდექი და მოუთმენლად ველოდებოდი ბიბლიოთეკაში სინათლის ანთებას, რათა თავზე წავდგომოდი ჩემს უხილავ რაყიფს.

ეს სურვილი ისე ღრმად გამჯდომოდა გულში, რომ მზის ჩასვლამდე მივედი ბიბლიოთეკის წინ. კარგად ვიცოდი, რომ ასე ადრე იქ სინათლეს არავინ აანთებდა, მაგრამ ოთახში გული არ დამიდგა. ის დღე შაბათი იყო და ირგვლივ სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა. მე ხეივანში დავიწყე სეირნობა და თან ვფიქ-

რობდი, ნეტა რას მომიტანს ეს საღამო-მეთქი. მზის ჩასვლის შემდეგ აგრილდა. გრილმა სიომ, სიმყუდროვემ და ათასნაირმა სურნელმა ცოტათი დააცხრო ჩემი მღელვარება და მალე კითხვა დავუსვი საკუთარ თავს, მაქვს თუ არა უფლება, დიანა ვერნონის ან ბიძაჩემის ოჯახის საქმეში ჩავერიო, იქნებ ბიძაჩემი ვინმეს მალავს და მე, ხანმოთეულ სტუმარს, რა მეკითხება-მეთქი, ან რატომ ვყოფ ცხვირს დიანას ცხოვრებაში, ხომ მითხრა, არ მინდა ჩემი საიდუმლო ვინმემ გაიგოსო?

ამ კითხვის პასუხი მაშინვე მიკარნახა ჩემმა მხურვალე გულისთქმამ და ჯიუტმა ხასიათმა. საიდუმლოს გამომჟღავნებით დიდ დახმარებას გავუწევდი სერ ჰილდებრანდს, რომელმაც, ალბათ არ იცოდა, რა ხდებოდა მის ოჯახში, და გადავარჩენდი მის ვერნონს უეჭველი დაღუპვისაგან. ეს გულღია, გამოუცდელი ქალიშვილი ხომ საშინელ საფრთხეში იგდებდა თავს, როცა საიდუმლოდ ხვდებოდა იმ ვიღაც საეჭვო და საშიშ პიროვნებას. მართალია, მე ვცდილობდი დიანას ნდობა მომეპოვებინა, მაგრამ უანგარო და კეთილშობილური მიზნები მამოძრავებდა (დიახ, მე გავბედე და ჩემს მიზნებს უანგარო ვუწოდე): მინდოდა, სწორ გზაზე დამეყენებინა, ყოველგვარი საფრთხისა და გაჭირვებისაგან დამეცვა და, რაც მთავარია, ის საიდუმლო მრჩეველი მომეშორებინა, რომელსაც მონუსხულივით ემორჩილებოდა. აი, ასეთი გასამართლებელი საბუთი წარვუდგინე საკუთარ სინდისს. მაინც ცოტათი იბუზღუნა და ბოლოს დამეთანხმა იმ მედუქნესავით, რომელიც თუმცა ეჭვობს, რომ ყალბ ფულს აჩვენებენ , მაგრამ მუშტრის დაკარგვა არ უნდა და თავს იტყუებს. მწვანე ხეივანში რომ დავსეირნობდი და ვფიქრობდი, ღირდა თუ არა ამ საქმის დაწყება, ენდრუ ფერსერვისს გადავაწყდი. იგი ძეგლივით უძრავად იჯდა საფუტკრესთან და ჯერ ღრმად ჩაფიქრებული, მაგრამ რომ მივუახლოვდი, შევნიშნე, ცალი თვალით იმ ბრაზიან პატარა მოქალაქეებს აკვირდებოდა, დასაძინებლად რომ ბრუნდებოდნენ

თავიანთ ისლის სახურავიან ბინებში, მეორეთი კი რაღაც სასულიერო წიგნს ჩასჩერებოდა. წიგნს ხმარებისგან კიდეები ისე შემოცვეთოდა, რომ თითქმის დამრგვალებულიყო. თუ წიგნის წვრილ შრიფტსა და გაყვითლებულ ფურცლებსაც შენიშნავდი, აუცილებლად იფიქრებდი, რომ ენდრუ ფერსერვისი რომელიმე უძველესი ძვირფასი წიგნის მფლობელი იყო.

- აი, ღირსეული ბატონის ჯონ კვოკლებენის წიგნს ვკითხულობდი, „სურნელოვანი ყვავილი აღმოცენებული სანეხვესა ამა ქვეყნისა“ რომ ჰქვია, - მითხრა ენდრუმ, როცა შემნიშნა და წიგნში თავისი რქის სათვალე ჩადო გვერდის სანიშნად.

- ეს ფუტკრები კი, როგორც ვატყობ არ გაცლიან ღრმად ჩაუკვირდეთ ამ დიდად განსწავლული მეცნიერების აზრებს.

- ეგეთი მოუსვენარი მოდგმაა, - დამეთანხმა მებაღე, - ხომ აქვთ ამ საქმეზე ექვსი დღე კვირაში, მაგრამ დიდი ხანია შემჩნეულია, რომ მაინცდამაინც შაბათს უნდა იყარონ, ადამიანს უფლის სიტყვების მოსმენას არ ანებებენ. თუმცა ამ საღამოს, ჩემს ბედზე, გრენინგენის სამლოცველოში წირვა არ იქნებოდა.

- შეგეძლოთ, ჩემსავით წასულიყავით სამრევლო ეკლესიაში, ენდრუ, და მშვენიერი ქადაგება მოგესმინათ.

- ქადაგება კი არა ჯანდაბაა, - დაიჯღანა ენდრუ, - ქადაგება კი არა, ბოდიში მომიხდია და, ღორების სალაფავია. რა თქმა უნდა, შემეძლო მომესმინა თეთრ ტომარაში გამოწყობილი მღვდლის ლაქლაქი და მუსიკოსების სტვირების ჭყვიტინი. ქადაგება კი არა, მათხოვრების ქორწილია! ანდა, შემეძლო მწუხრის წირვაზე წავსულიყავი და მამა დოჩარტის ლუღლუღით დავმტკბარიყავი. ერთიც ნაგავია და მეორეც!

- დოჩარტი? - გაიკვირვე მე, - მეგონა, მამა ვოგანი ატარებდა წირვას. გუშინ აქ იყო (დოჩარტი მოხუცი, მგონი, ირლანდიელი მღვდელი იყო, რომელიც დროდადრო გვესტუმრებოდა და წირვა-ლოცვას ატარებდა).

- ჰო, იყო, მაგრამ გუშინვე წავიდა გრეისტოკში თუ სხვა დასავლეთის ციხე-დარბაზში. ახლა ისინი, ჩემი ფუტკრებისა არ იყოს, ერთ ამბავში და აურზაურში არიან. ღმერთმა მაპატიოს, რომ ეს საწყლები პაპისტებს შევადარე! ეს მეორე ყუთი აპირებს გაყოფას, მაგრამ უფრო დღისით იციან ხოლმე პირველი ნაყარი ამ დილით გამოვიდა. მაგრამ, მგონი დღეს აღარაფერი იქნება, უკვე შელაგდნენ დასაძინებლად. ამიტომ ბატონს მშვიდობის ღამესა და ყოველთვის საუკეთესოს ვუსურვებ და მეც დასაძინებლად გეახლებით.

მან ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ყუთებს და წავიდა.

ენდრუმ ძალზე მნიშვნელოვანი ცნობა მომაწოდა: მამა ვოგანს ციხე-დარბაზი დაეტოვებინა და ამ საღამოთი ბიბლიოთეკას ვერ ესტუმრებოდა. თუ იქ სინათლე აინთო. ესე იგი, ან ვიღაც სხვა მოსულა, ან მამა ვოგანი უჩუმრად დაბრუნებულა.

მოუთმენლად ველოდებოდი მზის ჩასვლას. ბოლოს ეს დროც დადგა და ბიბლიოთეკის ფანჯრებიდან ბინდბუნდში სინათლის სუსტი სხივები გამოკრთა. მე იმ მეზღვაურივით ველოდებოდი სინათლის გამოჩენას, ღამე ზღვაში გზა რომ დაუკარგავს და შუქურის იმედადღა დარჩენილა, ამიტომ მაშინვე შევნიშნე სინათლის ალის სუსტი ციცმციმი. აქამდე კიდევ ვეჭვობდი, მქონდა თუ არა უფლება, ამ საქმეში ჩავრეულიყავი. სინდისი მქენჯნიდა, რომ დიანას ვუთვალთვალებდი, მაგრამ ცნობისმოყვარეობას და ეჭვიანობას მაგრად ვყავდი ჩაჭერილი კლანჭებში და უკან დახევის საშუალებას არ მაძლევდა. ახლა, როცა სინათლე გამოჩნდა ფანჯარაში, ცნობისმოყვარეობამ წინ მიბიძგა და მეც უყოყმანოდ გავემართე ციხე-დარბაზისკენ ამ საიდუმლოს ამოსახსნელად. შევეცადე ისე მივსულიყავი ბიბლიოთეკამდე, რომ არავის დავენახე და მოვახერხე კიდეც. კართან რომ მივედი, სახელურს ხელი დავადე, ცოტა შევყოყმანდი, შევიდე თუ არა-მეთქი. მერე, შიგნიდან

ნაბიჯების ხმა რომ მომესმა, სახელური გადავატრიალე, ოთახში შევედი და მის ვერნონის პირისპირ აღმოვჩნდი.

დიანა ძალიან შეცბუნებული მეჩვენა. არ ვიცი, ჩემმა მოულოდნელმა გამოჩენამ შეაშფოთა თუ ჩემამდეც ასე იყო. არასოდეს მენახა ეგზომ დაბნეული და შეშინებული, თითქოს ცახცახებდა კიდეც, მაგრამ მალე მოერია თავს და დამშვიდდა. მე სინდისმა შემაწუხა, დიანაზე უარესად შევწუხდი და ავფორიაქდი, თუმცა აქ შემოსვლამდე სულ იმას ვნატრობდი, მოულოდნელად წავდგომოდი თავზე და დამებნია.

- მოხდა რაიმე?! - მკითხა დიანამ. - ხომ არავინ მოსულა ციხედარბაზში?!

- არავინ. მე არავინ მინახავს, - მივუგე მე, - ჩემი „როლანდის“ წასაღებად მოვედი.

- აი, მანდა დევს, - მანიშნა დიანამ მაგიდაზე დალაგებულ წიგნებზე. „როლანდის“ ძებნა დავიწყე, თან ვცდილობდი, რაიმე მოხერხებული მიზეზი მეპოვა უკან დასახევად, რადგან ვგრძნობდი, რომ „გამოძიებაში“ უნიჭო გამოვდექი. რამდენიმე წიგნი რომ გადავდე გვერდზე, უეცრად მაგიდაზე დადებული ხელთათმანი შევნიშნე. ხელთათმანი მამაკაცის იყო! მივტრიალდი და მის ვერნონს თვალებში მივაჩერდი. იგი შეკრთა და ჭარხალივით გაწითლდა.

- ეს ჩემი ერთ-ერთი რელიკვიაა, - ენის ბორძიკით გასცა დიანამ პასუხი ჩემს უსიტყვო შეკითხვას, - პაპაჩემის ნაქონი ხელთათმანია, აი, უბადლო ვან-დეიკის ნახატით რომ გაიცანით. მახსოვს, აღტაცებული დარჩით ამ პორტრეტით.

დიანა თითქოს მიხვდა, რომ ლიტონი სიტყვა საკმარისი არ იყო, ვეება მაგიდის უჯრა გამოსწია, მეორე ხელთათმანი ამოიღო და წინ დამიგდო. ბუნებით პირდაპირსა და გულმართალ ადამიანს მიკიბ-მოკიბვა არ ეხერხება და, როცა იძულებულია, ამ შეუჩვეველ საქმეს მოჰკიდოს ხელი, ისე წვალობს, რომ მსმენელი მა-

შინვე დაეჭვდება ხოლმე. მეც ორივე ხელთათმანს დავხედე თუ არა ვუთხარი, ერთმანეთს კი ჰგავს ქსოვითა და დანაქარგებით, მაგრამ წყვილი მაინც არ არის, ორივე მარჯვენა ხელისაა-მეთქი.

დიანამ სიმწრით ტუჩი მოიკვნიტა, კვლავ გაწითლდა და მითხრა:

- სწორედ მოიქეცით, რომ ტყუილში მამხილეთ. სხვა უთქვენო იფიქრებდა, არ უნდა თავის საქმეში ცხვირი ჩამაყოფინოსო და გაჩუმდებოდა. თქვენ კი უკეთ იანგარიშეთ და მაგრძნობინეთ, რომ სიცრუე სიმდაბლეა, და რომ ყველას არ შეუძლია ორპირობა. ამიტომ ახლა პირდაპირ გეტყვით, რომ ეს ხელთათმანები, მართლაც ცალ-ცალია და ერთი მათგანი, პირველად რომ ნახეთ, ჩემს მეგობარს ეკუთვნის, მეგობარს, რომელიც უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე ვან დეიკის პორტრეტზე გამოსახული ადამიანი, მეგობარს, რომლის რჩევასაც სიტყვაშეუბრუნებლად ვასრულებდი და მომავალშიც შევასრულებ, მეგობარს, რომელსაც ვაფასებდი და რომელიც... - დიანა შეჩერდა. მე ძალიან ამაღელვა ნათქვამის შინაარსმა და კილომ და დიანას შეწყვეტილი წინადადება დავამთავრე:

- და რომელიც გიყვართ, არა მის ვერნონ?

- თუნდაც ეგრე იყოს, ვისა აქვს უფლება, ჩაერიოს ჩემს გრძნობებში? - მედიდურად მითხრა მის ვერნონმა.

- სხვისა არ ვიცი და მე კი ნამდვილად არ გახლავართ ისეთი თავხედი, რომ ეგ უფლება დავიჩემო, მაგრამ, - განვაგრძე მე და თან სიბრაზისაგან ხმას ავუწიე, - მის ვერნონი ალბათ უფლებას მისცემს ადამიანს, რომელსაც მეგობრობის სიიდან ამორიცხვას უპირებს, შენიშნოს რომ...

- არავითარი შენიშვნა არ არის საჭირო, - მკაცრად შემაწყვეტინა მის ვერნონმა, - არავითარი, გარდა ერთისა: მე ვერც თვალთვალს მოვისმენ ვინმესგან და ვერც დაკითხვას. არავის მივცემ ამის უფლებას. გამომძიებელი და მოსამართლე არ მესა-

ჭიროება. თუ თქვენ ამ უდროო დროს ჩემს საზვერად მოსულ-ხართ, მეგობრობას ნუღარ ეფარებით. ჯობს, ახსნა მოუძებნოთ მაგ თქვენს თავხედურ ცნობისმოყვარეობას.

ბუნებით ამაყი ვიყავი და როცა თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი, ეს სიამაყე ყველა სხვა გრძნობას ძალავდა ხოლმე. ახლაც ასე დამემართა: დიანას მივუბრუნდი და მედიდურად ვუთ-ხარი:

- აღარ შეგაწუხებთ ჩემი აქ ყოფნით, მის ვერნონ, ახლავე გე-ახლებით. მე უკვე გამოვფხიზლდი ტკბილი, მაგრამ მაცდუნებე-ლი სიზმრისაგან და ვხვდები... თუმცა, თქმა რა საჭიროა... უკვე კარგად ვიცნობ ერთმანეთს.

უკვე კართან ვიყავი მისული, რომ მის ვერნონი დამეწია, მკლავში ჩამავლო ხელი და შემომაბრუნა.

- მოითმინეთ, მისტერ ფრენკ, - მითხრა მან მბრძანებლურად, მაგრამ თან ისე უბრალოდ და გაუპრანჭავად, რომ იმწამსვე გუ-ლი მომიბრუნდა და გავჩერდი, - ჩვენ ასე არ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს. განა იმდენი მეგობარი მყავს, რომ ასე ადვილად შე-ველიო რომელიმეს? რა ვუყოთ, თუ იგი უმადური და თავკერძა გამოდგება. დაიმახსოვრეთ, რასაც ახლა გეტყვით, მისტერ ფრენსის ოსბალდისტონ: თქვენ ამ ხელთათმანის საიდუმლოს ვერასოდეს გაიგებთ (დიანამ ხელთათმანი შეინახა). რაც იცი, იცოდეთ, მეს ვეღარაფერს დაუმატებთ და მაინც მე არ მინდა, რომ ეს ხელთათმანი ჩვენი ორთაბრძოლის დაწყების ნიშნად იქ-ცეს. - შემდეგ დიანამ კილო შეარბილა და განაგრძო: - მე აქ დიდხანს აღარ მიწერია ყოფნა, თქვენ კი ჩემზე ადრე უნდა წახვი-დეთ. ჩვენ მალე დავშორდებით და აღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს. მოდი, ნუ ვიჩხუბებთ, ნუ მოვუწამლავთ ერთმანეთს ამ ორიოდე საათს, რომელიც ერთად უნდა გავატაროთ.

დღემდე ვერ ამიხსნია, ტრეშამ, რა ჯადოსნობით მოახერხა ამ მომხიბვლელმა ქმნილებამ ჩემი ზვიადი და ფიცხი ბუნების და-

მორჩილება. მე ხომ ხშირად თვითონვე ვერ ვიოკებდი საკუთარ თავს! აქ, ბიბლიოთეკაში, იმიტომ მოვედი, რომ მის ვერნონისათვის ყველაფერი მეთქმევინებინა. ეს კი განრისხდა და პირდაპირ მომახალა, რომ ჩემს თავს სხვა ურჩევნოდა. მაშ სხვანაირად როგორ უნდა გამეგო მისი ნათქვამი, ამ ხელთათმანის პატრონს ყველაფერში ვენდობიო. და, ყოველივე ამის მიუხედავად, როცა უკვე კართან ვიყავი მისული და მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, სამუდამოდ დავშორებოდი მის ვერნონს, საკმარისი იყო ხმა და გამომეტყველება შეეცვალა, განრისხება და წყენა დაეძლია და კეთილი, მხიარული და მბრძანებლური კილოთი მოემართა, თან ხმაში ცოტაოდენი ნაღველი გაერია, რომ კვლავ მის ყურმოჭრილ ყმად ვქცეულიყავი:

- მერე და რა გამოვა აქედან მის ვერნონ? - ვკითხე, როცა უკან, შევბრუნდი და სავარძელში ჩავჯექი, - ვის რაში არგია ასეთი მეგობრობა? თქვენი ტანჯვის და წუხილის მოწმე უნდა ვიყო და დახმარების უფლება არა მქონდეს. ვიცოდე, რომ რაღაც იდუმალი საფრთხე გემუქრებათ, მაგრამ იმის შიშით, არ გამიბრაზდესო, ვერ კი უნდა გკითხოთ რაიმე ამ საფრთხეზე?! თუმცა ცხოვრებას არ იცნობთ მაინც უნდა იცოდეთ, რომ ახალგაზრდა ქალს მხოლოდ ერთი მეგობარი შეიძლება ჰყავდეს. მე იმასაც ვერ ავიტან, რომ ჩემს მამაკაც მეგობარს ჰყავდეს ასეთი იდუმალებით მოცული მეგობარი და მით უმეტეს, მის ვერნონ, როცა ვიცი რომ თქვენ ასეთი...

- ოჰო, თქვენ თურმე ეჭვიანობთ! თურმე რა უცნაური და ჭირვეული სენი შეგყრიათ! კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, დღემდე მხოლოდ საცოდავი ბოდვის მეტი არაფერი მსმენია ამ გრძნობაზე. ბრიყვები პიესებსა და რომანებში ამოიკითხავენ ხოლმე რაღაცას და მერე იმდენ ხანს იმეორებენ სანამ თავში ღრმად არ გაუჯდებათ. გოგო-ბიჭები თავს იტყუებენ შეყვარებულები ვართო და როცა იგრძნობენ, რომ გული უცივდებათ, ეჭ-

ვიანობით ცდილობენ მიმქრალი გრძნობის გაცხოველებას. მე და თქვენ კი, ფრენკ, გონიერი ხალხი ვართ და საიმისო ჭკუა უნდა გვეყოს, რომ ამისთანა სისულელეებზე არ დავკარგოთ დრო. ჩვენ მხოლოდ უბრალო, პირდაპირი და უანგარო მეგობრობა უნდა გვაკავშირებდეს. სხვანაირი ურთიერთობა ჩვენს შორის წარმოუდგენელია. - მის ვერნონი ცოტა ხანს დადუმდა და მერე დასძინა: - მართალი გითხრათ მე მზადა ვარ ხარკი გადავუხადო თავაზიანობას და ცოტათი გავწითლდე, როგორც ქალიშვილს შეეფერება, სანამ გულახდილად გეტყოდეთ, რომ თქვენ კიდეც რომ გინდოდეთ, ვერ შევუღლდებით და კიდეც რომ შეგეძლოთ ჩემი შერთვა, არც უნდა შემირთოთ.

და, მართლაც, ტრეშამ, ამ უღმერთო სიტყვებზე დიანას ღაწვები შეეფაკლა. სულ დამავიწყდა ჩემი ეჭვები, რომლებიც ამ საღამოს მთლად დამტკიცდა და დავაპირე შევკამათებოდი, მაგრამ დიანამ არ დამაცადა და მტკიცედ, თითქმის მკაცრად განაგრძო:

- რაც გითხარით, ფხიზელი გონების მიერ ნაკარნახევი ჭეშმარიტებაა და კამათი და ახსნა-განმარტება აღარ არის საჭირო. სულ ერთია, არ მოგისმენთ. ამგვარად ჩვენ მეგობრები ვართ, მისტერ ოსბალდისტონ, ასე არ არის? - დიანამ ხელი მომკიდა ხელზე და დაამატა: - მეგობრები ვართ და სულ მეგობრებად დავრჩებით!

დიანამ ხელი გამიშვა ხელზე და იგი უღონოდ ჩამომივარდა დაბლა. შეწუხებულმა, თავიც ჩავქინდრე. ჩემი არსება, სპენსერის[145] სიტყვებით რომ ვთქვათ, მთლად შეძრა დიანას სიმტკიცემ და გულმოწყალებამ. მაგრამ მის ვერნონმა ფიქრის დრო არ მომცა - სასწრაფოდ შეცვალა საუბრის თემა:

- აი ეს წერილი, მისტერ ოსბალდისტონ, თქვენ სახელზეა გამოგზავნილი. ამას აშკარად ადასტურებს კონვერტზე დაწერილი სახელი, გვარი და ზუსტი მისამართი, მაგრამ მიუხედავად იმისა,

რომ ყველა წესია დაცული, სულ ადვილად შეიძლებოდა არ მიგეღოთ. წერილის მიღებას ჩემს პაკოლეტს[146], ჩემს ჯუჯა-ჯადოქარს უნდა უმადლოდეთ, რომელიც რაინდულ რომანებში აღწერილი გაჭირვებაში ჩავარდნილი ქალიშვილების მიბაძვით ავიყვანე სამსახურში.

კონვერტი გავხსენი და წერილს რომ თვალი გადავავლე, ხელიდან გამივარდა და აღმომხდა:

- ღმერთო დიდებულო, ჩემი უჭკუობითა და სიჯიუტით მამაჩემი დავღუპე!

საშინლად შეწუხებული მის ვერნონი ფეხზე წამოდგა და მომიახლოვდა.

- როგორ გაფითრდით! ცუდად ხართ? წყალი მოგიტანოთ? გამხნევდით, მისტერ ოსბალდისტონ, ჭირს გამაგრება უნდა. ნუთუ მამათქვენს... ნუთუ ცოცხლებში აღარ წერია?

- მადლობა ღმერთს, ცოცხალია, - მივუგე მე, - მაგრამ ისეთ გაჭირვებასა და უბედურებაშია ჩავარდნილი რომ...

- რადგან ცოცხალია, ყველაფერს ეშველება, - დიანამ წერილი აიღო იატაკიდან, - შეიძლება წავიკითხო?

მე თავი დავუქნიე. დიანამ ყურადღებით ჩაიკითხა წერილი და მკითხა:

- წერილს მისტერ ტრეშამი აწერს ხელს, იცნობთ?

- დიახ. მამაჩემის კომპანიონია (შენი ძვირფასი მამა უილ!), - მაგრამ იგი თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებს ფირმის საქმეებში.

- აქ იტყობინება, ადრე რამდენიმე წერილი გამოგიგზავნეო.

- მე ერთიც არ მიმიღია. ეს პირველია.

- როგორც ამ წერილიდან ჩანს, როცა მამათქვენი ჰოლანდიაში წასულა, რეშლის მთლიანად ჩაუგდია ხელში ფირმის მართვა-გამგებლობა და ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონიდან შოტლანდიაში გამგზავრებულა. მამათქვენს თამასუქები ჰქონია გაცემული

შოტლანდიაში და რეშლის დიდძალი ფული და ფასიანი ქაღალ-დები წაუღია იმ ვალის დასაფარავად. წაუღია და გამქრალა. ასეა, არა?

- დიახ, ზუსტად ასეა!

- შემდეგ ვინმე ოუენსონი, თუ არა, ოუენი, მგონი მთავარი კლერკი, გლაზგოში გაუგზავნიათ, რეშლის მოსაძებნად და თქვენც გთხოვენ გლაზგოში ჩახვიდეთ და ძებნაში მიეშველოთ.

- დიახ, ეგრეა. თან მწერენ დაუყოვნებლივ წადიო.

- მხოლოდ ერთი წუთით შეიცადეთ, - მთხოვა მის ვერნონმა, - როგორც ვატყობ, დიდი-დიდი, რაღაც თანხა დაკარგოთ. ამის გულისთვის თვალები ცრემლით უნდა აგვსებოდათ? არა გრცხვენიათ, მისტერ ოსბალდისტონ?

- თქვენ ვერ გამიგეთ, მის ვერნონ. ფულს კი არ მივტირი, მა-მაჩემის ბედი მაწუხებს. ვიცი რომ საშინლად ააღელვებს ეს ამბა-ვი, რადგან ამით მის სახელს მოეცხება ჩირქი. მამაჩემი კი დი-დად ამაყობს კომერსანტის უმწიკვლო სახელით და თუ გაკოტ-რებულად გამოაცხადებენ, გული გაუსკდება. აბა, წარმოიდგი-ნეთ, მეომარს რომ სიმხდალეში დასდონ ბრალი, ან პატიოსან ადამიანს თაღლითობაში! ხომ ვერც ერთი გადაიტანს ამას და ვერც მეორე. მე რომ მცირე მსხვერპლი გამეღო, ცოტათი მომედ-რიკა ქედი და ამ საპატიო და სასარგებლო საქმეს მოვკიდებოდი, ეს უბედურება არ დაატყდებოდა თავს. ახლა კი, ღმერთო დიდე-ბულო, რითი უნდა გამოვისყიდო ეს შეცოდება!

- რითი და, ამ წერილის ავტორს, თქვენ მეგობარსა და კეთი-ლისმსურველის თხოვნა უნდა შეასრულოთ და დაუხანებლივ გა-ემგზავროთ გლაზგოში.

- წავალ, მაგრამ რაღას გავაწყობ, თუ რეშლიმ მართლა აიღო ნამუსზე ხელი და თავისი კეთილისმყოფელის გაძარცვა გადაწ-ყვიტა. მან ალბათ წინასწარ შეადგინა გეგმა და ყველაფერი გა-ითვალისწინა.

- შეიძლება, მართლაც ბევრი ვერაფერი გააწყოთ, მაგრამ მაინც უნდა წახვიდეთ, - მითხრა მის ვერნონმა, - აქ რომ დარჩეთ, სულ ვერ დაეხმარებით მამათქვენს. თავის დროზე რომ დაგეჯერებინათ გონივრული რჩევისათვის და ლონდონში დარჩენილიყავით, ეს უბედურება არ დაგატყდებოდათ თავს. ახლა მაინც შეისმინეთ დარიგება და იქნებ გამოასწოროთ საქმე. მოითმინეთ, ჩემს დაბრუნებამდე არ წახვიდეთ!

დიანა ოთახიდან გავიდა. მე დაბნეული და გაოგნებული ვიდექი და გაოცებული ვფიქრობდი, რა მტკიცე ხასიათი აქვს, არასოდეს არ იბნევა, უმძიმეს წუთებშიც არა ჰკარგავს სიმშვიდესა და მოსაზრების უნარს-მეთქი.

დიანა მალე დაბრუნდა. ხელში დალუქული კონვერტი ეჭირა, ოღონდ ზედ მისამართი არ ეწერა.

- აი, ეს ჩვენი მეგობრობის საწინდარი იყოს. ღრმად რომ არ ვიყო დარწმუნებული თქვენს პატიოსნებაში, არ მოგცემდით. თუ მე სწორად გავიგე თქვენი გაჭირვება, რეშლიმ თამასუქები გარკვეულ ვადაში, 12 სექტემბერამდე, უნდა დაფაროს. წერილში ასეა ნათქვამი, არა? მაშასადამე თუ 12 სექტემბრამდე ფულს იშოვით და მოვალეებს გაისტუმრებთ, მამათქვენის სახელი არ შეიბღალება. ხომ ასე?

- რასაკვირველია! მეც ასე გავიგე მისტერ ტრეშამის ნათქვამი, - ერთხელ კიდევ ჩავხედე მამაშენის წერილს და დავძინე, - დაიხ სწორედ ასეა!

- კეთილი და პატიოსანი. რადგან ასეა, ჩემი ჯუჯა პაკოლეტი კვლავ გაგიწევთ სამსახურს. უეჭველი, გსმენიათ ჯადოსნური წერილების შესახებ. აი, ესეც ჯადოსნურია. წაიღეთ, მაგრამ მხოლოდ მაშინ გახსენით, როცა ხსნის ყველა იმედი გადაწურული იქნება. თუ თქვენ თვითონ ნახავთ რაიმე სახსარს, არც თქვენ გახსნათ და არც სხვას გაახსნევინოთ. აი, ასევე დახიეთ. ვიცი, რომ პატიოსანი ხართ და მიტომ გენდობით. თუ ვერაფერს გახდით, იმ

დღემდე ათი დღით ადრე ახსენით ბეჭედი და ნახავთ მითითებებს, რომლებიც ალბათ გამოასწორებს თქვენს საქმეს. მშვიდობით, ფრენკ! ჩვენ აღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს., მაგრამ ხანდახან მაინც გაიხსენეთ თქვენი მეგობარი დი ვერნონი.

მან ხელი გამომიწოდა გამოსამშვიდობებლად, მაგრამ მხრებში ხელი ვტაცე და გულზე მივიხუტე. დიანა წამით გაირინდა ჩემს მკერდზე, მერე ამოიოხრა, ხელები გამაშვებინა და სირბილით შევარდა თავის ოთახში და კარი მიიხურა.

თავი XVIII

...და გაფიცხებით დაჰკრეს მათრახი, ცხენი გაფრინდა, როგორც ჩვენება,

იყო მოწყვეტა ელვის სადარი და უსწრაფესი გადაჭენება.

ვაშა, რომ ძალუძთ მკვდრებსაც ჭენება, თუმც უძრაობა აწევთ კირთებად.

- ჩემთან რომ მგზავრობთ ასე მინდობით, ნუთუ არაფრის შეგეშინდებათ?

ბიურგერი.[147]

ერთმა უბედურებამ, შეიძლება კლდეზე გადაგჩეხოს, მაგრამ რამდენიმე რომ დაგატყდება თავს და შუაში მოგიქცევს უფრო გადარჩები. ერთი რომ უფსკრულისკენ გიბიძგებს, მეორე ზედ ქარაფის პირას დაგიხვდება და უკან გადმოგაგდებს. მეც ასე დამემართა: ხომ საშინლად დამანაღვლიანა მის ვერნონთან განშორებამ, მაგრამ მამაჩემის დარდი რომ არ მქონოდა, ალბათ სულ შევიშლებოდი, მისტერ ტრეშამის ცნობამ სულის სიღრმემდე ამაფორიაქა, მაგრამ სხვა საწუხიც რომ არ გამომჩენოდა, სასო წარმეკვეთებოდა. მე მგრძნობიარე შვილი და ერთგული მიჯნური ვიყავი, მაგრამ ადამიანს ყველაფერი ერთნაირად მიაქვს გულთან და თუ ერთდროულად ორი საფიქრალი აქვს, ორივე ისე თანაბრად განაწილდება, როგორც გაკოტრებული ბანკირის ქონება ყველა მევალეზე.

აი, ამ ფიქრებში ჩაფლული მივდიოდი ჩემი ოთახისკენ. როგორც ზემოთ მოყვანილი შედარებიდან შენიშნავდი, ფიქრებმა უკვე კომერციული ელფერი გადაიკრა.

ოთახში რომ შევედი, შევეცადე, უფრო ღრმად ჩავკვირვებოდი მამაშენის წერილს. წერილში ზოგი აზრი ბუნდოვნად იყო გამოთქმული, ზოგი რამ თვითონა არ იცოდა და მირჩევდა ოუენს ჰკითხეო. ოუენი შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში უნდა ნახო და რაც მალე ნახავ, უკეთესიაო. შემდეგ მატყობინებდა, რომ ჩემი ძველი მეგობრის გზა-კვალის მოსაძებნად ზემოთხსენებული ქალაქის გელოუგეიტის ქუჩაზე მდებარე „მაკვიტის, მაკნაფისა და კომპანიის“ სავჭრო სახლისთვის მიმემართა. მამაშენი იხსენებდა წინათ გამოგზავნილ წერილებს (რომელიც ან ფოსტამ დაკარგა, ან ვიღაცამ განზრახ გააჩერა) და მსაყვედურობდა პასუხი რატომ არ გვაღირსეო. მე კი, როგორც გითხარი, ის წერილები არ მიმიღია თორემ მაშინვე ვუპასუხებდი და საყვედურს არ დავიმსახურებდი. ვკითხულობდი და თანდათან ღრმად ვრწმუნდებოდი, რომ ყველა ჩემს უბედურებაში რეშლის ხელი ერია. რა ბოროტი და ამავე დროს გაქნილი უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ასეთი მზაკვრული განზრახვა ჩაედო გულში და ასე მოხერხებულად განეხორციელებინა!

გულახდილად უნდა ვთქვა, ახლა როცა მამაჩემის ბედზე ვწუხდი, დიანასთან განშორება დიდ უბედურებად აღარ მიმაჩნდა. მე თვითონ სიმდიდრეს დიდად არ ვაფასებდი და ჩემი ტოლი ნიჭიერი, მაგრამ უზრუნველი ახალგაზრდებივით მიმაჩნდა და სხვებსაც ვარწმუნებდი, რომ ჯობს ღატაკი იყო, ვიდრე ჩემი ნიჭი და დრო ფულის მოხვეჭას შესწირო-მეთქი. თვითონ ამ შეხედულებებისა ვიყავი, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, რომ მამაჩემისთვის ამქვეყნად გაკოტრებაზე სამარცხვინო უბედურება არ არსებობდა და თუკი ამ დღეში ჩავარდებოდა, მაშინვე თავს მოიკლავდა.

ამიტომ იყო, რომ დიდი მონდომებით ვცდილობდი, ხსნის გზა მეპოვა. საკუთარი სიმდიდრის მოსაპოვებლად, რაღა თქმა უნდა, ასე არ შევიწუხებდი თავს. ყველაფერი ავწონ-დავწონე და მტკიცედ გადავწყვიტე მეორე დღესვე დამეტოვებინა ოსბალდისტონ-ჰოლი და დაუყოვნებლივ ჩავსულიყავი გლაზგოში ოუენის მოსაძებნად. ბიძაჩემისთვის ბარათი უნდა დამეტოვებინა, პირადად თქმა საჭიროდ არ მივიჩნიე. დავუწერდი, დიდად მადლობელი ვარ პატივისცემისთვის და მხოლოდ მნიშვნელოვანმა და გადაუდებელმა საქმემ არ მომცა საშუალება, პირადად გამომეხატა ჩემი გულწრფელი გრძნობები-მეთქი. ვიცოდი, რომ მოხუც რაინდს ცერემონიები არ უყვარდა და ადვილად მაპატიებდა მის უნახავად წასვლას, ჩემთვის კი აუცილებელი იყო შეუმჩნევლად დამეტოვებინა ოსბალდისტონ-ჰოლი, რადგან ვიცოდი, რომ რეშლის ყველგან ჰყავდა მოენე და მეთვალყურე და, თუ მთელი სახლი გაიგებდა ჩემს განზრახვას, შეატყობინებდნენ და სადმე ხაფანგს დამიგებდა. ამიტომ ვამჯობინე, დილაუთენია დავდგომოდი გზას და, სანამ ციხე-დარბაზში ჩემს წასვლას გიგებდნენ, საზღვარი გადამელახა. ამგვარად, მთავარი იყო უმოკლესი გზით, სწრაფად და შეუმჩნევლად წავსულიყავი შოტლანდიაში, მაგრამ ამას ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება ეღობებოდა წინ: გლაზგოს გზა არ ვიცოდი, არც უმოკლესი და არც უგრძელესი. ამიტომ გადავწყვიტე, ენდრუ ფერსერვისი მომენახულებინა და რჩევა მეკითხა. ამაზე მცოდნე მრჩეველს ვერც ვინატრებდი, თანაც აქვე, გვერდით მყავდა. ძალზე გვიან კი იყო, მაგრამ ამ საქმის გადადება არ შეიძლებოდა. ეზოში გამოვედი და რამდენიმე წუთის შემდეგ მებაღის სახლის კართან ვიდექი.

ენდრუ ბაღის მახლობლად მყუდრო, ბოტუმბერლენდურ, კოტეჯში ცხოვრობდა. კოტეჯი უხეშად გათლილი ქვებით იყო აშენებული. კარი და ფანჯრები ქვის ტლანქი არქიტრავებით დაემშვენებინათ, სახურავი სქელი რუხი ქვისა ჰქონდა (საერთოდ, აქეთ

უფრო ისლს, კრამიტს ან ფიქალს ხმარობდნენ სახლის გადასახურავად). სახლის კუთხესთან საადრეო მსხალი იდგა, წინ პატარა ნაკადული ჩამოუდიოდა და იქვე, ფანჯრების წინ, მეოთხედ აკრზე ყვავილები იყო გაშენებული. უკან ბოსტანი, სათიბი და პატარა საყანე ეკრა. ამ მიწაზე მრავალნაირი მარცვლეული ეთესა, ეტყობოდა, ყველაფერი სახლის ბინადართათვის იყო განკუთვნილი. ბაზარზე არაფერი გაჰქონდათ. აქ ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ძველი ინგლისი. ამ უკიდეგანო ჩრდილოეთშიც კი, თბილად და გულიანად ეკიდებოდა თავის ყველაზე უჩინო ქვეშევრდომთ.

ის იყო კარზე დაკაკუნება გადავწყვიტე, რომ ოთახიდან უცნაური გაბმული დუდღუნი მომესმა და გავიფიქრე, ალბათ ენდრუმ, შოტლანდიელთა სანაქებო ჩვეულებისამებრ, მეზობლები შემოიკრიბა და საოჯახო ღვთისმსახურებას ატარებს-მეთქი. ენდრუ მარტოდმარტო ცხოვრობდა სახლში, არც ცოლი ჰყავდა არც შვილი. ქალებზე გამწყრალი იყო. ხშირად ამბობდა მებაღეთუპირველესმა კარგა ბლომად იწვნია ამ პირუტყვებისგანო, მაგრამ ხანდახან მაინც შეკრებდა ხოლმე მეზობლებს - პაპისტებსა და ინგლისური ეკლესიის მიმდევრებს (რომელთაც ცეცხლიდან გამოტაცებულ მუგუზლებს უწოდებდა) და ჭეშმარიტი სარწმუნოების სხივით აცისკროვნებდა მათ ცოდვილ სულებს. ეს მამა ვოგანის, მამა დოჩარტის, რეშლის და საერთოდ კათოლიკური სარწმუნოების ყველა მიმდევრის ბრძოლაში გამოწვევას ნიშნავდა, რადგან ისინი ენდრუს საოჯახო წირვა-ლოცვას ღვთისმგვემელობად მიიჩნევდნენ. ახლაც, ენდრუს ოთახიდან გამოსული ხმების მოსმენისას, ვიფიქრე, მეზობლები შეუკრებია და მოძღვრავს-მეთქი, მაგრამ მერე, კარგად დავუკვირდი, მივხვდი, რომ ოთახიდან მხოლოდ ერთი კაცის ხმა ისმოდა და ეს ხმა თვითონ ენდრუს ეკუთვნოდა. კარი შევაღე და ოთახში, მართლაც, მარტო ენდრუ ფერსერვისი აღმოჩნდა. იგი ერთი წვალებითა და ვაი-

ვაგლახით ებრძოდა გრძელ-გრძელ სიტყვებს, ძნელ სახელებს და ხმამაღლა ეკამათებოდა საკუთარ თავს ღვთისმეტყველების ურთულეს საკითხებზე.

- აი, ეს არის დავიწყე ღირსეული დოქტორის ლაიტფუტის[148] ქმნილების კითხვა, - მითხრა ენდრუმ, როცა ოთახში შევედი და ვეება წიგნი გვერდზე გადადო.

- ლაიტფუტისა? - ჩავეკითხე მე და ფოლიანტი ავათვალიერ-ჩავათვალიერე, - მაგ თქვენს დოქტორს რაღაც არ უხდება ასეთი გვარი.

- ასეთი გვარი ჰქონდა, მაგრამ უდიდესი ღვთისმეტყველი იყო. ახლანდელებს კი არა ჰგავდა. ბოდიშს კი ვიხდი, რომ ამდენ ხანს გაცდევინეთ კარებთან, მაგრამ წუხელ ისე დამშალა წყეულმა უწმინდურმა (ღმერთო, დაიფარე ყველა ქრისტიანი), რომ გადავწყვიტე, სანამ ლოცვას არ ჩავიკითხავდი, კარი არავისთვის გამეღო. ჰოდა, სწორად ახლა ჩავათავე ნეემიის მეხუთე თავი და თუ ახლაც არ მომეშვება ის უწმინდური, აღარ ვიცი, რა ვიღონო.

- უწმინდურმა დამშალაო! ეგ როგორ გავიგო, ენდრუ?

- დამშალა, ესე იგი, მომშალა.

- როგორ თუ მოგშალა?

- მომშალა, დამშალა, შემაშინა! ისე შემაშინა, რომ კინაღამ კანიდან ამოვძვერი. მაშ, სულ ცოტა დამაკლდა!

- მე კი იმიტომ მოვედი, რომ დამემშვიდებინეთ და მეკითხა, ხომ არ იცით, რა გზით უნდა წავიდე შოტლანდიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში, რომელსაც გლაზგოს ეძახიან.

- გლაზგო პატარა ქალაქია?! - შეიცხადა ენდრუ ფერსერვისმა. - გლაზგო უზარმაზარი ქალაქია. ადამიანო! მერე მე მეკითხებით გზა თუ იციო? ჩემზე კარგად ვინ უნდა იცოდეს გლაზგოს გზა?! გლაზგოდან ხომ ორი ნაბიჯია დრიპდეილის სამრევლომდე. სადაც ჩემი მშობლიური სოფელია. ცოტა ჩრდილოეთით უნ-

და წახვიდე და იქვეა. მაგრამ რატომ დასჭირდა პატივცემულ ბატონს გლაზგოში გამგზავრება?

- რაღაც პატარა საქმე მაქვს, - მივუგე მე.

- გავიგე. სიმართლე არ გინდათ მითხრათ. რომ ჩაგეძიოთ, რაიმეს მომიჭორავთ, არა? ესე იგი, გლაზგოში მიბრძანდებით! - ენდრუმ ცოტა ხანს იყუჩა, მერე კი მითხრა: - მე მგონი ყველაფერს აჯობებს, ვინმე გაიყოლოთ მეგზურად.

- მაგას რა აჯობებს. ნეტა ვინმე კი მიდიოდეს იქით და...

- პატივცემულმა ბატონმა, უეჭველია, იცის, რომ მეგზურმა დრო უნდა დაკარგოს და დიდი ჯაფაც გასწიოს.

- რასაკვირველია! მე გადაუდებელი საქმე მაქვს და, თუ მეგზურს მიშოვით, კარგ გასამრჯელოს მივცემ!

- დღეს საერო საქმეებზე არ უნდა ილაპარაკოს კაცმა, - თქვა ენდრუმ და თვალები მაღლა აღაპყრო, - აი, შაბათი საღამო რომ არ იყოს, გკითხავდით, რამდენს მისცემდით იმ კაცს, რომელიც გლაზგომდე გამოგყვებოდათ, გზად შეხვედრილ ყველა მამულისა და ციხე-დარბაზის პატრონების სახელს გეტყოდათ და იმათ ნათესავებსაც ჩამოგითვლიდათ.

- მე ხომ გითხარით, მარტო გლაზგოს გზა მინდა ვიცოდე-მეთქი. თუ ისეთ კაცს მინახავთ, ვინც ამ ქალაქში მიმიყვანს, არაფერს დავიშურებთ.

- აბა ეგ რა პასუხია? როგორ გავიგო, რამდენს იძლევით. იმ კაცამა, მე რომ ვამბობ, ყველა ბილიკი და ხეობა იცის, ყოველ ხესა და ლოდს ცნობს იმ გზაზე, უმოკლესი გზით წაგიყვანთ და...

- ამდენი ლაპარაკის დრო არ მაქვს, ენდრუ, მეგზური მომიყვანე და გასამრჯელოც შენ დაუკვეთე.

- მართლა? აი, ეს სულ სხვა საქმეა! - გაუხარდა ენდრუს. - რაკი ეგრეა, მგონი, აჯობებს თვად ვიკისრო მეგზურობა.

- შენა, ენდრუ? სამსახურს რაღას უპირებ?

- ერთხელ, მახსოვს, გითხარით, ბატონო, დიდი ხანია ვაპირებ აქედან გაფრენას-მეთქი. ძალიან დიდი ხანია, მგონი პირველსავე წელს ავიყარე აქაურობაზე გული. ახლა კი უსიკვდილოდ გადავწყვიტე წასვლა და რაც მალე წავალ უკეთესია. თავის დაკარგვას ნეკის დაკარგვა სჯობია.

- მაშასადამე, სამსახურს თავს ანებებ, მაგრამ ხელფასი ხომ გერგება? როგორღა მიიღებ?

- უეჭველია, რაღაც დამეკარგება, მაგრამ ამას წინათ ვაშლი გავყიდე იმ ძველი ბაღიდან და ფული ხელთა მაქვს. დიდი საქონელი კი არ გეგონოთ - მკვახეც იყო და მჟავეც, სერ ჰილდებრანდმა კი ისეთი ფასი მოითხოვა, რომ... უფრო სწორად, მოურავმა გაიდგა ფეხი და არაფერი დაუკლო, თითქოს ოქროსფერი პეპინიაო. მერე კიდევ თესლის საყიდელი ფული მაქვს და, მე მგონი, თითქმის გამითავდება კიდეც ჯამაგირი. ამას გარდა, პატივცემული ბატონი ალბათ ხვდება, რამდენ რამეს ვკარგავ გლაზგოში წამოსვლით და, როცა ჩავალთ, ზარალს ამინაზღაურებს. მალე აპირებთ გამგზავრებას?

- ხვალ, უთენია, - ვუპასუხე ენდრუს.

- უჰ, ცხენი როგორღა ვიშოვო? თუმცა მოვიფიქრე! მორჩა, უკვე ნაშოვნი მყავს!

- მაშინ ასე ვქნათ, ენდრუ: დილის ხუთ საათზე მთავარი ხეივნის თავში დამელოდე.

- ეშმაკმა დამლახვროს, თუ მაგ დროისთვის იქ არ ვიყო (ღმერთო, მაპატიე უწმინდურის ხსენება!), - მხიარულად მომიგო ენდრუმ. - ისე კი, თუ დამიჯერებთ, ორი საათით ადრეც შეგვეძლო გასვლა. ჩემთან არც დღე დაიკარგებით და არც ღამე. მე იმ ბრმა რალფ როლანდსონზე ნაკლებ კი არ გავიგნებ გზას, რომელიც თავის ქვეყანაში უშიშრად დადიოდა ჭაობის ბილიკებზე, თუმცა რომ გეკითხათ, კვრინჩხა რა ფერიაო, ვერ გიპასუხებდათ.

მე მაშინვე მივიღე ენდრუს შესწორება და დავთქვით, რომ სამ საათზე შევხვედროდით ერთმანეთს. უკვე წამოსვლა დავაპირე, რომ ჩემს მეგზურს ახალი აზრი მოუვიდა თავში.

- მოჩვენება! მოჩვენებას რა ვუყოთ? წინ რომ დაგვიხვდეს?! არ მინდა, მეორედ გადავაწყდე იმ უწმინდურს.

- სისულელეა, - წამოვიძახე მე და უკან, ოთახში შევბრუნდი, - იმ ქვეყნიდან მოსულებისა გეშინიათ? აგანა ამ ქვეყნად ცოტაა ისეთი ბოროტი, რომელთაც სულ არა სჭირდებათ აჩრდილებისა და მოჩვენებების დახმარება? ისეთ საქმეებს ატრიალებენ, ლუციფერი რომ ამოვიდეს ქვესკნელიდან მთელი თავისი ამალით, ამის ნახევარსაც ვერ მოახერხებდა.

ამ სიტყვებით (რომლებიც ჩემმა საკუთარმა გაჭირვებამ მიკარნახა) დავტოვე ენდრუს საბრძანებელი და შინ დავბრუნდი.

მისვლისთანავე გავამზადე ყველაფერი გასამგზავრებლად, დამბაჩები შევამოწმე, დავტენე და ლოგინზე მივწექი, სანამ ამ ხანგრძლივ და სახიფათო მოგზაურობას შევუდგები, იქნებ ცოტა წავთვლიმო-მეთქი. არ მეგონა, თუ თვალს მოვხუჭავდი, მაგრამ დაღლილობამ თავისი გაიტანა და მალე ღრმა ძილმა წამართვა თავი. როგორც კი ჩემი საძინებელი ოთახის გვერდით მდებარე კოშკზე საათმა ორჯერ დარეკა, მაშინვე გამომეღვიძა, ფეხზე წამოვხტი, ცეცხლი გამოვკვესე, სანთელი ავანთე და ბიძაჩემს ბარათი დავუწერე. შემდეგ ტანსაცმელი გადავარჩიე, წასაღები ჩანთაში ჩავალაგე, ფეხაკრეფით ჩავიარე კიბე და საჯინიბოში შევედი. მე, მართალია, ჩემი ბიძაშვილებივით დახელოვნებული მეჯინიბე არ ვიყავი, მაგრამ ოსბალდისტონ-ჰოლში ყოფნისას საკმაოდ კარგად შევისწავლე ცხენის შეკაზმვა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ცხენზე ვიჯექი და მზად ვიყავი გასამგზავრებლად.

ნელი ნაბიჯით ჩავიარე ახალი მთვარის მკრთალი სხივებით განათებულ ძველ ხეივანში. შუამდე რომ მივედი, ოხვრით მივიხედე უკან და თვალით დიანა ვერნონის ფანჯრებს დავუწყე ძებნა.

ვიგრძენი, სამუდამოდ ვშორდებოდით ერთმანეთს და გული მწუხარებით შემეკუმშა. გოთური ფანჯრების გრძელი რიგი მთვარის შუქზე ერთ გრძელ თეთრ ზოლად მოჩანდა და დიანას ფანჯრები ვერ გავარჩიე. „სამუდამოდ დავკარგე, სამუდამოდ, - ვფიქრობდი გულში და ამიტომ ვცდილობდი ოსბალდისტონ-ჰოლის რთულ არქიტექტურაში გავრკვეულიყავი, - ჯერ აქვე დაკარგულია ჩემთვის და მერე რაღა იქნება, როცა უამრავი მილით დავშორდებით ერთმანეთს?

აი ამ მწუხარე ფიქრებში ჩაძირული ვიდექი ხეივანში, როცა

„ღამის დაგუბულ ყურებს აუწყა
ენამ რკინისამ მესამე ჟამი“[149]

და შემახსენა, რომ უკვე დრო იყო პაემანზე მივსულიყავი. ვაი, რომ პაემანზე წარმტაცი გარეგნობის ქალიშვილის ნაცვლად ენდრუ ფერსერვისი მელოდებოდა!

ხეივნის ბოლოში, ჭიშკართან მხედარი დავინახე. იგი ჩრდილში გარინდულიყო და მხოლოდ მაშინ გამომეხმაურა, როცა ორჯერ ჩავახველე და სახელი დავუძახე:

- დიახ, დიახ, დამშვიდდით, სწორედ ენდრუ ვარ!

- მაშინ გამიძეხი, და, თუ შეგიძლია კრინტი არ დასძრა, სანამ სოფელს არ გავცდებით და მინდორში არ გავალთ, - ვუბრძანე ენდრუს.

ენდრუმ ცხენს დეზი ჰკრა და ისე სწრაფად გააჭენა, რომ ძლივს მივყევი უკან. ასევე გულმოდგინედ შეასრულა ჩემი მეორე ბრძანებაც და, თუმცა რამდენიმეჯერ ვკითხე, ასე რა მიგარბენინებს-მეთქი, პასუხი არ გამცა. ათასნაირი ერთმანეთის გადამკვეთი ბილიკებით, რომლებსაც ენდრუ თვალდახუჭული გაივლიდა, სერ ჰილდებრანდის საბრძანებელს გავცდით. მინდორიც ჭენებით გავიარეთ და ახლა უკვე ტიტველ გორაკებს შუა მივქროდით

შოტლანდიისა და ინგლისის საზღვარზე მდებარე ფართო ზოლ-ზე, რომელსაც „მიდლ მარჩიზს“ უწოდებენ. გზა, უფრო სწორად ბილიკი ხან ჭაობზე გადადიოდა, ხან კლდე-ღრეზე, ხან კი სულ გვეკარგებოდა ფეხქვეშ, მაგრამ ენდრუს სადავე მიეშვა და ცხრა-ათი მილის სიჩქარით მიაჭენებდა ცხენს. მაოცებდა და მაბრაზებ-და ჩემი მეგზურის სიჯიუტე და თავნებობა, რადგან ისეთ ციცაბო აღმართ-დაღმართსა და ფრიალო კლდეების პირას მივაქრო-ლებდით ცხენებს, ერთი რომ გადასცდენოდათ ფეხი, ცოცხალი ვერც ჩავაღწევდით ძირს. მთვარე ოდნავ ანათებდა ბილიკს, ალაგ-ალაგ კი ამ მატყუარა შუქსაც გვიფარავდა მაღლა აზიდუ-ლი კლდეები და მაშინ მხოლოდ ენდრუს ცხენის ხმითა და ნა-ლებქვეშ გაკვესებული ნაპერწკლებით ვიგნებდი გზას. ამ თავ-ბრუდამხვევმა სიჩქარემ პირველად კარგი სამსახური გამიწია, რადგან მთელი ყურადღება იქით იყო მიმართული, რომ რო-გორმე კლდეზე არ გადავჩეხილიყავით და წამი არ მრჩებოდა იმ მტანჯველი ფიქრებისათვის, რომლებიც, ნელა-ნელა რომ მემ-გზავრა, აუცილებლად დამესეოდნენ და გულსა და სულს დამისე-რავდნენ. მაგრამ ბოლოს, როცა ათჯერ მაინც დავუძახე, ნელა იარე-მეთქი და ათჯერვე დუმილი მივიღე პასუხად, საშინლად გავცეცხლდი და ჩემი თავნება და ჯიუტი მეგზურის დასჯა განვიზ-რახე. განვიზრახე, მაგრამ ვერაფერს გავხდი: მინდოდა დავწეო-დი და მათრახის ცემით გადმომეგდო უნაგირიდან, მაგრამ ვერა და ვერ დავეწიე - ცხენიც უკეთესი ჰყავდა, თვითონაც, უეჭველია, იგრძნო რა მოელოდა თუ დავეწეოდი და, როგორც კი ცოტათი წამოვეწეოდი, ცხენს დეზებს შემოჰკრავდა და დიდ მანძილზე მასწრებდა ხოლმე. მაშინ მეც იძულებული ვხდებოდი, მათრახი გადამეჭირა ჩემი ცხენისთვის: რადგან, ენდრუ რომ დამეკარგა მხედველობიდან, ვერაფრით ვერ გავიგნებდი გზას ამ საშინელ, უკაცრიელ ტყე-ღრეში. ბოლოს საშინლად გავცოფდი და დავ-პირდი, თუ არ გაჩერდები გესვრი-მეთქი. ამ მუქარამ, როგორც

ჩანს, შეარხია ჩემი ჯიუტი მეგზურის ყურის აპკი, რომელიც უფრო მოკრძალებულ დაპირებებზე არავითარ რეაგირებას არ ახდენდა. ენდრუმ ცხენს სადავე დაუჭირა და, როცა მივუახლოვდი, შენიშნა: არ ვიცი, რა საჭიროა ასე კისრისტეხით რომ მივაჭენებთ ცხენებსო.

- ჰოდა, რა მიგარბენინებს, შე თავხედო არამზადავ! - ვუყვირე მე. ისეთი შიში გადავიტანე, რომ გულში რისხვის კოცონი მენთო. წყლის რამდენიმე წვეთი ცეცხლს ვერ ჩააქრობს, პირიქით, უფრო ძლიერად გააჩაღებს ხოლმე კოცონს. მეც ასე დამემართა: გადატანილმა შიშმა საშინლად გამაშმაგა და მზად ვიყავი შუაზე გამეგლიჯა ენდრუ.

- რა გნებავთ, ბატონო, რატომ ბრაზობთ? - გაოცებით მკითხა ენდრუმ.

- არ იცი, რა მნებავს, შე ყალთაბანდო? მთელი საათია გიყვირი, ნელა იარე-მეთქი და შენ პასუხის ღირსადაც არ გამხადე. გაგიჟდი თუ არყით გამოტყვერი?

- ყურში მართლა ცუდად მესმის, ბატონო, და ამის ბრალია ყველაფერი. მერე, წამოსვლის წინ ჭიქა ხომ უნდა ამეწია, ბოლოს და ბოლოს ამდენი ხანი მიცხოვრია ამ სახლში! ჰოდა, ერთი გადავკარი. დამლევი არავინ მყავდა და ნახევარ ბოთლ არაყს პაპისტებს ხომ არ დავუტოვებდი. ავდექი და სულ გამოვწრუპე, მაშ რა მექნა, გადამეღვარა?

ახსნა-განმარტება დამაჯერებელი ჩანდა, თანაც მეგზურთან ჩხუბი ხელს არ მაძლევდა, ამიტომ ენდრუს ვუთხარი, რაც იყო, ამის მერე კი ყველაფერი უნდა დამიჯეროთ-მეთქი. როცა დაინახა, რომ ასე იოლად გადარჩა, ენდრუმ კვლავ აუწია ხმას:

- თქვენ ვერ მასწავლით და ვერ ვერავინ დამიმტკიცებს, რომ შუაღამისას, ამ სიცივეში ჭაობებში სამოგზაუროდ თუ მიდის კაცი, ერთი ჭიქა მოცვის ან მიხაკის ნაყენი, ან არაყი, ან რაიმე ასეთი არ უნდა დალიოს. მე ასჯერ მაინც გადამივლია ოტერსკოპის ქე-

დი, დღისითაც მივლია, ღამითაც და თუ ცოტა დალეული არ ვიყავი, გზა ვერ გამიგნია. დავლევდი ჩემს ულუფას და ისე გადავდიოდ-გადმოვდიოდი, როგორც დაგიბარებია. თანაც ორ-ორი კასრი არაყი გადამქონდა.

- სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენდრუ, კონტრაბანდას ეზიდებოდით, არა? განა შენისთანა პატიოსანმა და წესიერმა კაცმა ხაზინის მოტყუება უნდა იკისროს?

- ამით ურწმუნო ეგვიპტელებს ვუთხრიდი ძირს, - მიპასუხა ენდრუმ, - თქვენ არც კი იცით, რა დღეშია საწყალი ბებერი შოტლანდია! გამოხრეს, გამოათავეს იმ ბილწმა აქციზებმა და ინპექტორებმა. როგორც კი ინგლისს შევუერთდით, კალიებივით დაგვესიენ. ამიტომ ყველა პატიოსანი შოტლანდიელის ვალია, რამდენიმე წვეთი სასმლით გაუთბოს ბებერი გული თავის მშობელს. თანაც ამით წყეული ქურდების საქმე ფუჭდება.

ენდრუს წვრილად გამოვკითხე ყველაფერი. თურმე ხშირად უზიდია კონტრაბანდა ამ ბილიკებით ჯერ კიდევ მაშინ, როცა ოსბალდისტონ-ჰოლში არ მსახურობდა და მერეც არ დაუკლია ხელი. ამან ძალიან გამახარა, რადგან, ცხადია, საკუთარი ხელისგულივით ეცოდინებოდა ყველა გზა და ბილიკი და თითქმის ვაპატიე წეღანდელი სიჯიუტე და თავნებობა. ახლა ცოტა მოვუკელით სიჩქარეს, მაგრამ ის მიხაკის ნაყენი თუ რაღაც ოხრობა ჯერ კიდევ არ გამოენელებინა: მალიმალ დაფეთებული იყურებოდა უკან და, როცა გზას ცოტა გაივაკებდა სადავეს მიუშვებდა ხოლმე - ეტყობოდა, ძალიან ეშინოდა მდევარი არ წამოგვეწიოსო. შემდეგ ენდრუს ნელ-ნელა გადაუარა შიშმა და ამის მიზეზსაც მივხვდი: ჩვენ დიდი მანძილი აღარ დაგვრჩენოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გაჭიმული ხრიოკი, ციცაბოფერდობიანი მთაგრეხილის მწვერვალებამდე.

ცის კაბადონი უკვე შეაფერადა განთიადის მაუწყებელმა მკრთალმა სხივებმა. ენდრუმ შიშნეულად მიიხედა უკან და, როცა

ახლახან გამოვლილ ჭაობებში ცოცხალი არსების ნიშან-კვალი ვერ დალანდა, შუბლი გაშალა და ისე გამხიარულდა, რომ ჯერ სტვენას მოჰყვა, მერე კი საკმაოდ უხეიროდ, მაგრამ მთელი გრძნობით იმღერა ერთ-ერთი შოტლანდიური სიმღერის ბოლო ტაეპი:

ჯენის წავიყვან ჭაობის პირას
სად ლაქაშები დამდგარან გუნდად.
თუნდ მთელი კლანი აღმიდგეს რისხვით,
მდიონ და მდიონ რამდენიც უნდათ.

სიმღერა რომ დაამთავრა, ალერსიანად მოუთათუნა კისერზე ხელი თავის ცხენს, რომელმაც ასე ყოჩაღად იარა ამ საშიშ ჭაობებსა და გზაწვრილ, ციცაბო ხრიოკებში. ცხენს დავაკვირდი და ვიცანი: თორნკლიფ ოსბალდისტონის ფაშატი იყო, ყველაზე უფრო რომ უყვარდა ის ფაშატი!

- ეს რა ამბავია ვაჟბატონო?! - მკაცრად ვკითხე ენდრუს. - ეს ხომ მისტერ თორნკლიფის ცხენია?

- არ შეგედავებით! თავის დროზე, მართლაც, ბატონი თორნკლიფის ცხენი იყო, ახლა კი ჩემია!

- მოგიპარავს, შე გაიძვერავ!

- აბა, აბა! ეგრე ჩემზე ჯერ არავის უთქვამს. ბატონო! სიმართლე, თუ გინდათ, ასეა: ბატონი თორნკლიფი იორკში მიდიოდა დოღზე და ათი გირვანქა გამომართვა სესხად, წაიღო და წაიღო! რა შვილი იყო, დაებრუნებინა! ერთი-ორჯერ შევახსენე და დამპირდა, ძვალსა და რბილს გაგიერთიანებო. ახლა კი გადამიხდის. მაშ, რას იზამს. არა და, მისი ფაშატი საზღვრის გადაღმა დარჩება. სანამ მთლიანად არ ჩამითვლის ფულს ხელში, თავისი ცხენის ძუასაც ვერ იხილავს. ლაუმბენში ერთი კანონებში გამოქექილი ყმაწვილი ვიცი, ჰოდა, ის მომარიგებს ახალგაზრდა ბატონ-

თან. ფაშატი მოიპარაო! ეგეთი რამეებისგან ენდრუ ფერსერვისი შორს არის! მე მხოლოდ დროებით წამოვიყვანე „ჯურისდიქშონს დეფენდი კოზეის[150]“ საფუძველზე. კანონის ეს ლამაზი სიტყვები ძალიან წააგავს მებაღეთა და სწავლულების სიტყვებს, მაგრამ ძალიან ძვირი კი ჯდება. ენდრუს ეს სამი სიტყვა ოთხი კასრი საუკეთესო არაყი და ერთი ტკბილი საუბარი დაუჯდა. ისეთი არაყი იყო, რომ... რას იზამ, ბატონო, კანონი ძვირი რამ ყოფილა!

- ჯერ კიდევ არა გცოდნია კანონის ფასი, ენდრუ. თუ მომავალშიც შენით მოინდომებ ანგარიშის გასწორებას მოვალეებთან, კიდევ უფრო ძვირი დაგიჯდება კანონთან შეხვედრა.

- ჰა, ჰა! მადლობა ღმერთს, უკვე შოტლანდიაში ვართ. აქ კი მოვახერხებ ყველა ოსბალდისტონზე უკეთ მოვნახო ვექილები, მეგობრები და, თუ გინდათ, მოსამართლეებიც. ჩემი სიდედრის გარებიძაშვილის მამიდაშვილად ერგება დამფრიზის ქალაქის თავს და არავის დააჩაგვრინებს თავის სისხლსა და ხორცს. არხეინად იყავით, აქ კანონი კანონია! თქვენს კანონს კი არა ჰგავს - კაცი თავის მოფხანას ვერ მოასწრებს, რომ უკვე გაბოჭილია ვიღაც ჯობსონის ბრძანებით. ჯერ სად ხართ! მალე მგლებივით დაერევით ერთმანეთს, ამიტომაც მოვცოცხე იქიდან.

მე საშინლად აღმაშფოთა ენდრუს „სამართლიანობამ“. ბედი არ გინდა? უკვე მეორედ გადავეყარე ასეთ საშარო საქმეს. თუმცა მაშინვე გადავწყვიტე, როგორც კი ადგილზე ჩავიდოდი, ფაშატი გამომესყიდა და ბიძაშვილისათვის გამეგზავნა, მანამდე კი ბიძაჩემისათვის მეცნობებინა ეს კეთილი განზრახვა. საამისოდ საჭირო იყო ისეთ ქალაქამდე მიმეღწია სადაც ფოსტა იქნებოდა. ახლა კი ენდრუსთან კამათს აზრი არა ჰქონდა. მის ადგილას შეიძლება სხვაც ასე მოქცეულიყო-მეთქი. ვიფიქრე მე, ბრაზი გულში ჩავიკალი და ვკითხე, რა იგულისხმე, როცა თქვი, მალე ერთმანეთს მგლებივით დაერევითო.

- ჰო, მგლებივით! - გაიმეორა ენდრუმ, - მალე კეტისა და კომ-ბლის კანონი გამეფდება. ნორთუმბერლენდს ახლა კალიებივით დასევიან მღვდლები, ირლანდიელი ოფიცრები და გათახსირე-ბული პაპისტები. ისინი უცხოეთში იყვნენ ჯარში იმიტომ, რომ აქ ახლო არავინ გაიკარა. ახლა კი სვავებივით მძორის სუნი იკრეს და ყველანი იქ მოქუჩდნენ. სერ ჰილდებრანდი კი, ხომ იცით, სა-დაც დიდი კლდეა იმას უნდა დაეჯახოს რქებით. ერთ ამბავში არიან, ჰაი, თოფები და დამბაჩები გავამზადოთო, ჰაი, ხმლები და ხანჯლები გავაფხავოთო, ჩხუბს აპირებენ და ეგ არის. ტყუ-ილად რა, რატომ შეიწუხებდნენ თავს. ახალგაზრდა ბატონები, თქვენთან ბოდიში და, სულ მთლად ბრიყვები არიან. შიში არც კი იციან რა არის.

ენდრუს სიტყვებმა გამახსენა, რომ ამას წინათ მეც დამაეჭვა ჩვენების ქცევამ და ვიფიქრე, ალბათ იაკობიტები აჯანყებას აპი-რებენ-მეთქი, მაგრამ გულში ვთქვი, ბიძაჩემს ჯაშუშივით ხომ არ დავუწყებ თვალთვალს-მეთქი და თვალი დავიბრმავე და ყური მოვიყრუე. ენდრუ ფერსერვისს კი ასეთი მოკრძალება არ ევა-ლებოდა და, ეტყობოდა, დანამდვილებით, გაიგო, რომ აჯანყება მზადდებოდა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ასე სასწრაფოდ გაეცალა ოსბალდისტონ-ჰოლს.

- მსახურები, იჯარადარებთან და სხვა ამისთანა ხალხთან ერ-თად, სიებში ჩაწერეს და ერთი ამბით წვრთნიან. უნდოდათ მეც ამესხა თოფ-იარაღი, მაგრამ რა საქმე მაქვს აჯანყებულებთან. ეტყობა, ცუდად იცნობენ ენდრუს, თორემ არ დამიძახებდნენ. მე როცა თავად მინდა, მაშინ ვიბრძოლებ, მაგრამ არც ბაბილონელ მაწანწალებს მივეხმარები და არც ინგლისელ ნაძირალებს.[151]

თავი XIX

შეჩერდი, მგზავრო! აქ, კოშკი ქიმმორღვეული დაცემას ცდილობს
აქ განისვენებს რიყის ოხვრა, შეფარდებული სამარის ჩრდილობს.
აქ მძლედ ვიდოდა, ვიდოდა ცეცხლით... აქ მეომარი ვიდოდა წინათ,
აქ სძინავს ზარებს, პოეტის ზარებს, შეყვარებულთა ოცნებებს სძინავთ.

ლენგჰორნი[152]

პირველ შოტლანდიურ ქალაქში რომ შევედით, ენდრუ თავისი მეგობრის და მრჩეველის მოსაძებნად გაიქცა - უნდოდა მისი დახმარებით საკუთარ და შეუდავებელ ქონებად ექცია „ძვირფასი ცხოველი“, რომელიც პატრონის დაუკითხავად წამოიყვანა და მაინც თავისად მიაჩნდა, რადგან ქონების შეძენის ეს თავისებური ხერხი ერთობ გავრცელებული იყო უკანასკნელ ხანამდე ამ წესსა და კანონს მოკლებულ ქვეყანაში. ძალიან დაიმედებული მოდიოდა, მაგრამ უკან ისე დაღვრემილი და ცხვირჩამოშვებული დაბრუნდა, რომ სიცილი ძლივს შევიკავე. ეტყობოდა, ყველაფერი ჩამოეფქვა თავისი ძველი მეგობრისთვის და მხოლოდ შემდეგ გაეგო ის სამწუხარო, ამბავი, რომ ყოფილი ვექილი მომრიგებელი მოსამართლის მდივნად ქცეულიყო. მისტერ ტაუტჰოპს ახლა თვითონ ევალებოდა ხელისუფლებისთვის ჩაებარებინა მისტერ

ენდრუ ფერსერვისის მსგავსი „ვაჟკაცები“. სასამართლო ხელისუფლების მამაც წარმომადგენელს მტკიცედ განუცხადებია თავისი მეგობრისათვის, ეგ ცხენი უნდა ჩამოგართვათ და მოსამართლე ტრემბულის საჯინიბოში უნდა მივუჩინოთ ბინაო. იქ დღეში 12 შოტლანდიურ შილინგად მოუვლიდნენ, სანამ სასამართლო პროცესზე არ დადგინდებოდა, თუ ვინ ყოფილიყო ფაშატის კანონიერი მფლობელი. მდივანმა ისიც კი უთხრა საწყალ ენდრუს, სიტყვა-სიტყვით რომ მივყვე კანონსა და სამართალს, შენც უნდა დაგაპატიმროო, მაგრამ ენდრუმ ვედრება დაუწყო, არ დამღუპოო, და ისე აუჩუყა გული, რომ მდივანი დაპირდა, არაფერს დაგიშავებო და ერთი ჯაგლაგი, მუცელგაბერილი და ქუშიანი ცხენი აჩუქა თავის ძველ მეგობარს (ფეხით ხომ არ იმგზავრებო). მთლად უანგაროდ კი არ გადაუდგამს ეს დიდსულოვანი ნაბიჯი: ენდრუს ხელწერილი ჩამოართვა, ამ ცხენთან აღარაფერი მესაქმებაო. ამით საბოლოოდ ააღებინა ხელი თორნკლიფი ოსბალდისტონის მკვირცხლ ფაშატზე და თან ხუმრობით დასძინა, ნუ იდარდებ ამ ცხენიდან მარტო თოკი გერგებოდა, რომლითაც სახრჩობელაზე ჩამოგკიდებდნენო.

ენდრუმ ძალიან უწადინოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიამბო ყველაფერი და ბოლოს, როცა შევნიშნე, კანონის ხალხი ტვიდის ორივე მხარეს ერთნაირები ყოფილან-მეთქი, მთლად მოიჟამა, მაგრამ ვეღარ შემეკამათა. მისი ეროვნული თავმოყვარეობა მწარედ იყო შელახული, მაგრამ თვითონაც კარგად ხვდებოდა, რომ ორივე მდივანი, მისტერ ტაუტჰოპი და მისტერ ჯობსონი ერთი ჯიშისა და ჯილაგისანი იყვნენ. ენდრუმ სიცოცხლე სასწორზე შეაგდო იმ ფაშატის გულისათვის და, რაღა თქმა უნდა, იოლად ვერ მოინელებდა იმის დაკარგვას, მაგრამ ინგლისელებს რომ წაერთმიათ, ასე ძალიან არ იდარდებდა. ახლა კი ლამის ტირილით ამბობდა, სად ნახულა, შევარდენმა შევარდენს თვალი ამოკორტნოსო, სად გაგონილა, ნამდვილმა შოტლანდიელმა ნამდვილი

შოტლანდიელი გაძარცვოსო. თუმცა გასაკვირი არაფერიაო, და-ამატა თვითონვე, აქ ყველაფერი შეიცვალა იმ სამწუხარო ამბის შემდეგ, აი, შოტლანდიის სამეფო ინგლისისას რომ შეუერთდა, იმაზე გეუბნებითო. ენდრუს ღრმა რწმენით, ამან გაათახსირა და გადააგვარა მისი თანამემამულეები. თურმე მედუქნეები ცხრაპირ ტყავს რომ გვაძრობდნენ ამ მოგზაურობის დროს, ლუდი კათხები რომ დაპატარავებულიყო, ფასი კი გაზრდილიყო, ერთი სიტ-ყვით, ამ მოგზაურობის დროს შენიშნული ყველა უწესრიგობა თურმე ინგლისელების ბრალი ყოფილა.

რადგან საქმე ამგვარად შეტრიალდა, მე თავი აღარ შევიწუხე ფაშატის გამოსახსნელად და ბიძაჩემს წერილით ვამცნე ცხენის თავგადასავალი. ახლა იგი კანონმდებლობის ღირსეული წარმო-მადგენლის, მოსამართლე ტრემბულისა და მისი მდივნის ტაუტ-ჰოპის ხელშია და იმათ მიაკითხეთ-მეთქი. ამ ჩანაწერებში არ არის აუცილებელი იმის აღნიშვნა, ფაშატი მართლმსაჯულების შოტლანდიელმა მცველმა დაიტოვა საფერხედ, თუ მისმა კანონ-იერმა მფლობელმა, ნორთუმბერლენდელმა მხეცთმმუსვრელ-მა, დაიბრუნა.

ჩვენ ახლა ჩრდილო-დასავლეთით მივდიოდით, ოღონდ იმ-ღამინდელივით არ ვჩქარობდით. მრავალი ხრიოკი და ერთფე-როვანი მთის გადალახვა მოგვიხდა, ვიდრე კლაიდის ნაყოფიერ ველზე დავეშვებოდით. ბოლოს, როგორც იქნა მივაღწიეთ გლაზ-გოს, რომელსაც ჩემი მეგზური უდიდეს და უმშვენიერეს დედაქა-ლაქს უწოდებდა. ახლა გლაზგო მართლაც იმსახურებს იმ ხოტ-ბას, რომელიც ენდრუ ფერსერვისმა თავისი პოლიტიკური გამ-ჭრიახობის წყალობით ასე ნაადრევად შეასხა პატარა, უღიმღამო ქალაქს. მე თუ სწორი ინფორმაცია მომაწოდეს, გლაზგო თავის აყვავებასა და გამდიდრებას ვესტინდოეთთან და ამერიკის კო-ლონიებთან გაცხოველებულ ვაჭრობას უნდა უმადლოდეს. თუ ამ ვაჭრობას კიდევ უფრო გავაცხოველებთ და გავაფართოვებთ, ეს

ქალაქი შეიძლება მთელი ინგლისის სავაჭრო ცენტრად იქცეს და დიდად შეუწყოს ხელი ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. მაგრამ იმ შორეულ წარსულში, რომლის ამბებსაც ახლა გიყვებოდით, ამ აღმავლობის ნიშანწყალიც არ იგრძნობოდა. მართალია, შეერთებულმა სამეფომ ნება მისცა შოტლანდიას, ეწარმოებინა ვაჭრობა ინგლისის კოლონიებთან, მაგრამ, ერთი მხრივ, კაპიტალის სიმცირემ და, მეორე მხრივ, ინგლისელი ვაჭრების მეტოქეობამ, რომელსაც საფუძვლად ეროვნული გრძნობა ედო, საშუალება არ მისცა შოტლანდიელი ვაჭრების უმეტესობას, ფართოდ ესარგებლა ამ ღირსშესანიშნავი ხელშეკრულებით მინიჭებული პრივილეგიებით. გლაზგო დასავლეთ სანაპიროზეა გაშენებული და ქვეყნის აღმოსავლეთთან და კონტინენტთან ძალიან უძნელდებოდა ვაჭრობა, იმ დროს კი ქალაქს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის სახსარი არ ჰქონდა და მხოლოდ მეზობლებთან ვაჭრობით უნდა გაეტანა თავი და თუმცა მაშინ არავინ ფიქრობდა, გლაზგო ოდესმე დიდი სავაჭრო ქალაქი იქნებაო, იგი დასავლეთ შოტლანდიის მთავარი და უდიდესი ქალაქი გახლდათ. გლაზგოს გვერდზე ფართო და წყალუხვი კლაიდი ჩაუდიოდა, რომლითაც ქვეყნის შიდა რაიონებს უკავშირდებოდა. კლაიდის ნაყოფიერი ველისა და მეზობელი ოლქების, აირისა და დამფრიზის მცხოვრებლები გლაზგოს დედაქალაქად თვლიდნენ. ისინი აქ ეზიდებოდნენ თავიანთ მოსავალს და პირველადი მოთხოვნილებისა და ფუფუნების საგნებში ცვლიდნენ. წმინდა მუნგოს წილხვედრი ქალაქის ბაზრებს არც დასავლეთ შოტლანდიის პირქუში მთების მცხოვრებნი აკლებდნენ სტუმრობას. გლაზგოს ქუჩებში ხშირად შეხვდებოდით მომცრო ტანის, ბანჯგვლიანი და შმაგი ხარების ჯოგს ან ცხენების რემას, რომლებიც ასეთსავე შმაგ, ბანჯგვლიან და უმეტესად ასეთსავე მომცრო ტანის მთიელებს ჩამოერეკათ საძოვრებიდან. ქალაქის მცხოვრებლები მიჩვეულნი იყვნენ ამ სურათს, მაგრამ ჩამოსულები გაკვირვებით ათვალიერებდნენ

მთიელთა უცნაურ ტალავარს და გაოცებით უსმენდნენ გაუგებარ ხორხისმიერ ბგერებს. მუშკეტებით, ხმლებით, ხანჯლებითა და ფარებით შეჭურვილი მთიელები კი ასეთივე გაოცებით უჭვრეტ-დნენ დახლებზე გამოფენილ ფუფუნების საგნებს, რომელთა და-ნიშნულებაში ვერც კი გარკვეულიყვნენ და თვალებით ჭამდნენ იმ ნივთებს, რომელთაც იცნობდნენ და აფასებდნენ. მთიელებს ახლაც ეძნელებათ სამშობლოდან აყრა და მაშინ, მით უმეტეს, ისე შეზრდოდნენ სალ კლდეებს და ხრიოკ მთებს, როგორც პი-ტალოზე ამოსული ფიჭვი და, თუმცა, შიმშილი და ბასრი ხმალი დროდადრო მთელ სოფლებს ავლებდა მუსრს, ვიწრო ხეობები მაინც ვერ იტევდა მომრავლებულ მოსახლეობას. ამიტომ მთი-ელები ჯგუფ-ჯგუფად და თითო-თითოდ ტოვებდნენ იქაურობას და გლაზგოში ჩამოდიოდნენ საცხოვრებლად. აქ ისინი უბნებად სახლდებოდნენ, და რადგანაც აქ ისინი ვერც საქონელს მოამ-რავლებდნენ და ვერც ქერსა და ჭვავს მოიყვანდნენ, ხელოსნო-ბით შოულობდნენ ცხოვრების სახსარს. ამ მუყაითი და დაუზარე-ლი ხალხის შემომატებამ დიდად შეუწყო ხელი ქალაქის მოღო-ნიერებას: საფეიქრო მრეწველობა, რომლითაც გლაზგო ძველ-თაგანვე იყო განთქმული, იაფი მუშა ხელის მოზღვავების წყალო-ბით აღმავლობის გზას დაადგა. ქალაქი დღითიდღე მდიდრდე-ბოდა და ეს გარეგნულადაც დასტყობოდა: მთავარი გამზირი გა-ნიერი და ლამაზი ჩანდა. ორივე მხარეს ქვის სახლები ჰქონდა ჩამწკრივებული, რომელთა უმეტესობა საზოგადოებრივი დანიშ-ნულებისა გახლდათ. სახლები არ გამოირჩეოდა დახვეწილი არ-ქიტექტურული შემკულობით, მაგრამ უხვად იყო გაფორმებული ქვის მდიდრული ორნამენტებით და გამზირს შნოსა და ლაზათს მატებდა. ინგლისში ვერსად ნახავდით ასეთ დიდებულ ქუჩას, რადგან იქ სახლებს მეტწილად აგურით აშენებენ, აგური კი არც სილამაზით გამოირჩევა და არც გამძლეობით.

მე და ჩემი მეგზური შაბათ საღამოს ჩავედით დასავლეთ შოტლანდიის დედაქალაქში. რაღა თქმა უნდა, ასე გვიან საქმეს ვერ დავიწყებდით და დაბინავების თადარიგს შევუდექით. ენდრუმ რომელიღაც სასტუმროს კარს მიმაყენა. სასტუმრო ძალიან წაგავდა პაპა ჩოსერის[153] მიერ აღწერილ ხანაგას. ჩამოვქვეითდით და სანდომიანი და თავაზიანი დიასახლისის მზრუნველობას მივენდეთ.

დილით ზარების რეკვამ გვამცნო კვირა დღის დადგომა. კარგად ვიცოდი, რომ შოტლანდიაში კვირა დღის გატეხა უდიდეს მკრეხელობად ითვლებოდა, მაგრამ მაინც დავაპირე ოუენის მოძებნა. დიასახლისმა და ენდრუმ დაბეჯითებით მითხრეს, ტყუილად ნუ გაირჯები, წირვის შემდეგ მიდი „მაკვიტის, მაკფინისა და კომპანიის“ კანტორაში, თორემ ახლა იქ არც ოუენი იქნება და არც რომელიმე კომპანიონი. ისინი თავიანთ ქრისტიანულ მოვალეობას არ უღალატებენ და წირვას არ დააკლდებიანო. იმათი თქმით, ფირმის თანამშრომლები უკვე „ბარონის ეკლესიაში“ იქნებოდნენ მისული. ენდრუ ფერსერვისი, საბედნიეროდ, მხოლოდ იურისტებზე იყო გაბრაზებული, სხვა, შოტლანდიელ სწავლულებზე კი კვლავ ძველი შეხედულება ჰქონდა და ახლა ქებით ლამის ცაში აიყვანა მოძღვარი, რომელსაც იმ დღეს უნდა ექადაგა. დიასახლისი შეძახილებითა და „ამინებით“ უკრავდა კვერს. ისე ჩამაცივდნენ, რომ ბოლოს გადავწყვიტე, წავსულიყავი, ამ „დიდებულ და უბრწყინვალეს“ ეკლესიაში. გულახდილად უნდა ვთქვა, ქადაგების მოსმენაზე უფრო ოუენის ამბის გაგება მაინტერესებდა. ვიფიქრე, იქნებ იქ გავიგო ჩამოსულია თუ არა-მეთქი. წასვლა უფრო იმან გადამაწყვეტინა, რომ ენდრუმ და დიასახლისმა დამარწმუნეს, თუ მისტერ ეფრაიმ მაკვიტი (ფრიად ღირსეული გვამი) სასიკვდილო სარეცელზე არა წევს, წირვას არ დააკლდება და თუ სახლში სტუმარი ჰყავს, აუცილებლად თან წამოიყვანსო. ის აზრი ერთობ სარწმუნოდ მეჩვენა და ერთგული ენ-

დრუს თანხლებით ბარონის ეკლესიისკენ გავემართე. მალე დავრწმუნდი, რომ მეგზური სულ არ ყოფილა საჭირო: რიყის ქვებით მოკირწყლულ აღმართს უამრავი ხალხი შესდგომოდა. ისინი საქვეყნოდ განთქმული შოტლანდიელი მოქადაგის მოსასმენად მიეშურებოდნენ. კიდეც რომ არ მდომოდა, თან გამიყოლებდნენ. აღმართი რომ ავათავეთ, მარცხნივ მივუხვიეთ და განიერი ალაყაფის კარებით შევედით ვრცელ სასაფლაოზე. სწორედ ამ სასაფლაოს შუაგულში იდგა გლაზგოს მთავარი ტაძარი თუ ეკლესია. შენობა კუშტი და მასიური მეჩვენა, მაგრამ წაურყვნელი გოთური სტილით იყო ნაგები და ისე უხდებოდა გარემოს, რომ მნახველს ძალაუნებურად მოკრძალებასა და ღვთის შიშს უნერგავდა გულში. შენობამ ჩემზედაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ენდრუ დაჟინებით მიმეორებდა, დროა, შიგნით შევიდეთო, მაგრამ ფეხს ვითრევდი, რომ უფრო კარგად დამეთვალიერებინა ღვთის ზვიადი და დიდებული საბრძანებელი.

ეს მასიური, ძველებური შენობა დიდი და ხალხმრავალი ქალაქის შუაგულში იდგა, მაგრამ ისე გამოიყურებოდა, ტრიალ მინდორზე მდგარი მხრებგაშლილი მუხა. ქალაქის ერთი მხრიდან მაღალი გალავანი ერტყა, მეორედან თვალუწვდენელი ხევი, რომლის ძირას ვერცხლისფერ ძაფად მიიკლაკნებოდა ნაკადული. ნაკადულის ლიკლიკი ეშხსა და სილამაზეს მატებდა ამ თვალწარმტაც სანახაობას. ხევის მოპირდაპირე ნაპირი ფერდობი იყო, ხშირი ნაძვნარით დაფარული ფერდობი. ნაძვნარის ჩრდილს მთლად ჩამოებნელებინა ისედაც სევდისა და მწუხარების მომგვრელი სამუდამო განსასვენებელი.

სასაფლაო კარგა დიდი იყო, მაგრამ აქ იმდენ პატივცემულ მოქალაქეს დაედო ბინა, რომ თლილი ლოდები თითქმის მიჯრით იყო მიწყობილი ერთმანეთზე და საგოდებელს, „სადაც ბოროტი ვეღარ იზაკვის, სადაც მაშვრალი ჰპოვებს სავანეს“, ხშირი ბალახის სამოსელი ვერ წამოესხა. ეს ვეება, ბრტყელი ლოდები

ისე ახლოა დალაგებული, ზევიდან უძირო ზეცა რომ არ დასცქეროდეს, იტყოდი, ძველი ინგლისური ეკლესიის იატაკია, საფლავის ქვებით გადებული იატაკიო. სიკვდილის ამ მწუხარე მატიანეებმა, ამ გოდებამ სიცოცხლის ამაოებისა და ადამიანის არარაობაზე წინასწარმეტყველის გრაგნილი გამახსენა, რომელიც „მოსთქვამდა, ჩიოდა და წუხდა“. სასაფლაოს შუაში ზვიადად აღმართული ტაძარი ძუნწად არის შემკული ორნამენტებითა და ბარელიეფებით და სრულიად შეეფერება ამ პირქუშსა და დიად ბუნებას. რეფორმაციის დროს მხოლოდ ესა და კიდევ ერთი, ორკნეის კეკუოლის ეკლესია დატოვეს გადაუკეთებლად.

ენდრუ ფერსერვისმა შემატყო, რომ აღტაცებული ვიყავი აქაურობით და თავმოწონებით მითხრა:

- რა შესანიშნავი ეკლესიაა არა? კარგია რომ თქვენებური ზიზილ-პიპილოები არა აქვს. მკვიდრი ნაშენია. მეორეს მოსვლამდე გაძლებს, თუ ძალით არ დაანგრევ და დენთით არ ააფეთქებ. ერთხელ, რეფორმაციის დროს, კინაღამ დაანგრიეს. ეს მაშინ იყო, როცა პაპისტური უწმინდურებისა და კერპებისაგან მოინდომეს ქვეყნის გაწმენდა და ის ხატები, სტიქარები და ათასგვარი ოხრობა მოსპეს, შვიდ გორაკზე რომ იყო დაბუდებული. მაშ! შვიდი გორაკი მოინდომა, ვითომ ერთი არ ეყოფოდა, დამპალს! ჰოდა, მაშინ, წმინდა ენდრუს, პერთის და სხვა ეკლესიები რომ გაასწორეს მიწასთან, ერთ მშვენიერ დილას მეზობელი სოფლებიდან, რენფრუდან, ბარონიდან, გორბალსიდან და სხვა ადგილებიდან ხალხი დაიძრა გლაზგოსაკენ, რომ საკუთარი ხელით გაეწმინდათ ეს ეკლესია პაპისტური ნაგვისაგან. მაგრამ ქალაქელებმა იფიქრეს, ეს ძველი ტაძარი ამდენ ჯანჯღარს ვერ აიტანსო, განგაშის ნაღარა დაჰკრეს და ლაშქარი შეაგროვეს. ბედზე, იმ წელს, დიდად პატივცემული ჯეიმს რაბათი იყო ამქარების უსტაბაში (თვითონ კალატოზი გახლდათ და აბა ვის დაანებებდა ძველი შენობის დანგრევას). ყველა ამქარი ერთად გავიდა და დაიმუქ-

რნენ, ნამდვილ ომს დავიწყებთ თუ ამ ეკლესიასაც დაანგრევთო. გგონიათ, პაპიზმი ეხატებოდათ გულზე? არა, ამას ვერავინ დასწამებს გლაზგოს ამქრებს, შენობა ენანებოდათ! ბოლოს მოილაპარაკეს, რომ გამოიტანდნენ ეკლესიიდან ურჯულო წმინდანთა კერპებს (წყეულიმც იყოს მათი შემქმნელი) და ასეც გააკეთეს: გამოიტანეს ეს ქვის კერპები, დაამსხვრიეს და წყალში, მდინარე მოლენდინარეში გადაუძახეს. ეს ძველი ტაძარი კი ისე გადარაჩა, რომ თითიც არ დაუკარებიათ. დგას თავისთვის და არის. ასეც უნდა, კატას რწყილები რომ დაესევა, კი არ უნდა მოკლა, რწყილებს გააცლი და მორჩება საქმე. ახლა ყველა კმაყოფილია. ჭკვიანი ხალხისგან გამიგონია, შოტლანდიის სხვა ეკლესიებსაც რომ ასე მოქცეოდნენ, რეფორმატორული მოძღვრება ისევე წმინდად შეინახებოდა, როგორც ახლა არის და თანაც მშვენიერი ქრისტიანული ტაძრებიც გვექნებოდაო. მე კარგა ხანს ვიცხოვრე ინგლისში და ვერავინ დამარწმუნებს, რომ ოსბალდისტონ-ჰოლის ტაძარი ჯობია აქაურ სამლოცველოებს. აბა, ის რა ტაძარია?! ნამდვილი ძაღლების ბინაა, მაშ! ახლა კი ნუღარ ვყოვნდებით, დროა შევიდეთ, - ამაჩქარა ენდრუმ და წინ გამიძღვა.

თავი XX

შეძრწუნებული, შიშნეული ყრუ და ძაბუნი,
მიჯრილ საფლავებს გადავცქერი მოთქმით და ვიშით.
ბრწყინავს სიკვდილის იდუმალი გამოქვაბული
და სულს მიყინავს უცნაურ შიშით.

„მგლოვიარე პატარძალი“[154]

ჩემი მეგზური ძალიან მაჩქარებდა, მაგრამ მე მაინც კიდევ რამდენიმე წუთი ვუმზერდი ეკლესიას. როცა თითქმის ყველა, ვინც სასაფლაოზე იყო შევიდა შიგნით და კარი მიიხურა, შენობა კიდევ უფრო ზვიადი და დიდებული მეჩვენა. მალე ხმების მწყობრმა გუგუნმა გვამცნო, რომ დაიწყო საზეიმო ღვთისმსახურება. ეს გუგუნი ნაკადულის ჩუხჩუხსა და ნაძვნარში ამღერებულ სიოს ერწყმოდა და აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. თითქოსდა ახდა საგალობლის სიტყვები, რომელსაც ახლა ასეთი მოწიწებითა დ აღფრთოვანებით მღეროდნენ მლოცველები, თითქოს ადამიანებმა, მთებმა, ტყეებმა, ყოველივე სულდგმულმა თუ უსულომ მხარი აუბა ერთმანეთს შემოქმედის სადიდებლად. მე დავსწრებივარ საზეიმო ღვთისმსახურებას საფრანგეთში, რომელიც თავბრუსახვევდა ადამიანს საგანგებოდ შერჩეული საამო მუსიკით, მდიდრული მორთულობითა და დახვეწილი წესებით, მაგრამ პრესვიტერიანელთა მარტივმა და გულწრფელმა გალობამ სულ სხვანაირად ამიძგერა გული.

გალობა, რომელშიც ყველა მორწმუნე იღებს მონაწილეობას, უფრო ღრმა კვალს ამჩნევს სულს, ვიდრე მუსიკოსთა დაზეპირებული გაკვეთილი. შოტლანდიური ღვთისმსახურება თვით ცხოვრებაა და არა სპექტაკლი, რომელიც შელამაზებულად და გადასხვაფერებულად ასახავს სინამდვილეს.

მინდოდა ერთხანს ვმდგარიყავი გარეთ და ამ დიდებული გალობით დავმტკბარიყავი, მაგრამ ენდრუს მოთმინების ფიალა აევსო, სახელოზე წამეტანა და მითხრა:

- შევიდეთ, სერ, შევიდეთ! წირვაზე დაგვიანება არ შეიძლება. დარაჯები შეგვნიშნავენ, რომ უსაქმურად ვდგავართ, დაგვიჭერენ და საყარაულოში გამოგვამწყვდევენ.

შეგონება შევისმინე და ენდრუს გავასწარი, რომ ეკლესიაში შევსულიყავი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად უკან მომაბრუნა, პატარა კარისკენ გაიშვირა ხელი და მითხრა:

- საით მიბრძანდებით, სერ, საით? აი, ამ კარში უნდა შევიდეთ. იქ უაზრო ლაყბობის მეტს ვერაფერს მოისმენთ, იქ ფუჭი დარიგებებით გამოგიჭედავენ ყურებს, შემოდგომის ფოთლებივით გამოფიტული და გამომხმარი სიტყვების კორიანტელში გაგხვევენ... ღვთიური სიტყვის ნამდვილ სიტკბოს კი მხოლოდ აქ შეიგრძნობ!

ჩვენ დაბალ, თაღიან შესასვლელს მივადექით. მკაცრმა დარაჯმა კინაღამ ცხვირწინ მომიკეტა თაღის კარი. რამდენიმე კიბე ჩავიარეთ და ნამდვილ აკლდამაში აღმოვჩნდით. დიახ, ნამდვილი მიწისქვეშა აკლდამა იყო და მას რატომღაც სამლოცველოდ ხმარობდნენ.

ეს უცნაური სამლოცველო იყო: წარმოიდგინე, ტრეშამ, პირქუში, ნახევრად ჩაბნელებული აკლდამის გრძელი რიგი. ასეთ აკლდამებს ყველა ქვეყანაში მიცვალებულთა სავანედ იყენებენ უძველესი დროიდან, მაგრამ აქ, სკამები დაედგათ შიგ და ეკლესიად გადაეკეთებინათ. აკლდამაში რამდენიმე ასეული კაცი და-

ეტეოდა, მაგრამ მაინც სივიწროვის გრძნობა ეუფლებოდა ადამიანს, რადგან ამ მორწმუნეებით დასახლებული კუნძულის ირგვლივ ბნელი მღვიმეების უკიდეგანო ოკეანე ჰქონდა შემორტყმული. აქ, სამუდამო სიმშვიდის სამეფოში, ჩაშვებული ალმები და გაცვეთილი ღერბები გვამცნობენ იმათ საბოლოო ნავსაყუდელს, რომლებიც ოდესღაც „ისრაელთა თავადებად იწოდებოდნენ“, საფლავის წარწერები, რომელთა ამოკითხვას მხოლოდ გარდასულ ჟამთა მკვლევარი თუ შეძლებდა, ევედრებოდნენ წამკითხველს შენდობა ებოძებინა „ამ ქვის ქვეშ მწოლარე ცოდვილისათვის“. წარმავალ ცხოვრების ნაშთთა უკანასკნელ სავანეში დღეს უამრავ მორწმუნეს მოეყარა თავი სალოცავად. შოტლანდიელები კათოლიკეებივით მუხლს კი არ იყრიან ეკლესიაში, არამედ ფეხზე მდგარი ლოცულობენ, ალბათ იმიტომ, რომ კათოლიკური ეკლესიის წესებს დაუპირისპირდნენ. სხვა ახსნა, მე მგონი, არ უნდა ჰქონდეს ამ უცნაურ წესს, რადგან ოჯახში, მთელი მსოფლიოს ქრისტიანობის მსგავსად, მუხლს მოიყრიან და მორჩილი სახით შესთხოვენ ხოლმე უფალს წყალობასა და შებრალებას. აქ კი რამდენიმე ასეული ქალი და კაცი (კაცებს ქუდები მოეხადათ) ფეხზე იდგა და დიდი ყურადღებით უსმენდა ღრმად მოხუცებულ მღვდელს, მთელ ქალაქში განთქმული ოქროპირის იმპროვიზირებულ ამ, ყოველ შემთხვევაში, ზეპირ ლოცვას. მეც ამ რელიგიის მიმდევარი გახლდით, ამიტომ სულით და გულით შევუერთდი მლოცველებს და მხოლოდ წირვის დამთავრების შემდეგ მოვიცალე ხალხის დასათვალიერებლად. მღვდელი რომ გაჩუმდა, მამაკაცებმა შლიაპები და ბერეტები დაიხურეს და თავ-თავიანთ სკამებს მიაშურეს დასაჯდომად. მე და ენდრუს სკამები არ გვქონდა, და სხვა დაგვიანებულებთან ერთად წრე შევკარით და ის ბედნიერები, რომელთაც წინასწარ დაესაკუთრებინათ დასაჯდომი შუაში მოვიქციეთ. ჩემ უკან და გვერდით ის აკლდამები იყო, წეღან რომ ავწერე. წინ, ორიოდე გო-

თური სარკმლიდან შემოსულ უძალო შუქზე, ძლივს ვარჩევდი მლოცველთა სახეებს. ასეთივე სარკმელებიდან შემოდიოდა შუქი და ჰაერი აკლდამაში. ამ სუსტ შუქზედაც კარგად მოჩანდა, რომ ყველა ყურადღებით უსმენდა შოტლანდიელ პასტორს. მხოლოდ დროდადრო, ხან აქ, ხან იქ, რომელიმე ცელქი ბავშვი თამამად დაიწყებდა ირგვლივ ყურებას, ან ვინმე დონდლოს ჩაეყვინთებოდა. მაშინ მშობლები ერეოდნენ საქმეში - ცელქს დატუქსავდნენ, მძინარას კი გამოაფხიზლებდნენ ხოლმე. შოტლანდიელებს ღაწვმაღალ სახეზე ცბიერების გარდა ჭკუა და სიმკაცრე აწერიათ. ისინი ლოცვასა და ბრძოლაში უფრო კარგი შესახედავები არიან, ვიდრე ქეიფსა და დროსტარებაში.

მოძღვრის სიტყვა ისეთი შემაგონებელი იყო, რომ სულსა და გულში წვდებოდა მორწმუნეთ და წმინდა გრძნობებს უღვიძებდა. წლებს თავისი წაეღო: ოდესღაც ძლიერი, მჟღერი ხმა დასუსტდებოდა. ბიბლიის ნაწყვეტი ხმადაბლა და გაურკვევლად ჩაიკითხა, მაგრამ, როცა წიგნი დახურა და ქადაგება დაიწყო, ხმაში თანდათან ძალა და სიმხურვალე შეემატა. ქადაგების თემა რთული და ღრმააზროვანი იყო და მისი აღქმა მხოლოდ აბსტრაქტული აზროვნებას მიჩვეულ ადამიანს შეეძლო, მაგრამ პასტორი მარჯვედ მართავდა მას ბიბლიიდან და სახარებიდან ამოღებული ციტატებით. მე ბოლომდე ვერ ჩავწვდი ქადაგების დედაარსს, ზოგი წანამძღვარი ალბათ ვერც გავიგე, მაგრამ მაინც აღტაცებული დავრჩი ამ კეთილი მოხუცის მხურვალე და შთამაგონებელი კილოთი და მახვილგონიერ და დამაჯერებელი მაგალითებით. შოტლანდიელები, როგორც ცნობილია, უფრო ინტელექტის სიმახვილით გამოირჩევიან, ვიდრე გრძნობიერებით და ამიტომ ლოგიკას რეტორიკაზე მეტ პატივს სცემენ. დასაბუთებული მსჯელობა უფრო ადვილად იკვლევს გზას მათ გონებაში, ვიდრე ამაღლებული კილოთი ნათქვამი მოწოდებანი, რომელთაც ყველა სხვა ქვეყანაში უხვად აფრქვევენ მოქადაგენი მსმენელთა გუ-

ლის მოსანადირებლად. დაკვირვებით შევათვალიერე ჩემ ირგვლივ შემოჯარული მლოცველები.

ყველა დიდი ყურადღებით უსმენდა ქადაგებას, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ სხვადასხვანაირად აღიქვამდნენ წმინდა სიტყვას. გამახსენდა რაფაელის ცნობილი ტილო, რომელზედაც ათენში მსმენელებით გარშემორტყმული პავლეა გამოხატული. აი, ჩემს გვერდით ზის გონიერი, წრფელი კალვინისტი, შუბლი შეუკრავს, ტუჩები მკაცრად მოუკუმავს და თვალდაუხამხამებლად მისჩერებია მოქადაგეს. მღვდელს უტყუარი საბუთები მოაქვს თავისი აზრის დასადასტურებლად კალვინისტი ყოველი საბუთის მოსმენისას მარჯვენა ხელის სალოკი თითით მარცხენა ხელის თითებს კეცავს. მღვდელმა დასკვნა გააკეთა, ბოლო თითი მოკეცილია და კალვინისტს სახეზე აშკარად დაეტყო სიამაყე. მეორეს სახეზე სიმკაცრე, სიმკაცრე კი არა, სიავე აწერია. ვგრძნობ, რომ გასაგლეჯად არ დაინდობს ყველას, ვინც მისი მოძღვრის რწმენას არ გაიზიარებს, გრძნობ, რომ გული სიხარულით ევსება, როცა მოქადაგე საშინელი ტაანჯვა-წამებით ემუქრება ურწმუნოებს. მესამე, ეტყობა, სხვა სამწყსოს ეკუთვნის, აქ შემთხვევას ან ცნობის წადილს შემოუყვანია და ახლა ჭკვიანად იქნევს თავს: ჩანს, არ ეთანხმება მღვდლის მსჯელობასა და დასკვნებს. სამწყსოს უმრავლესობა მშვიდი, კმაყოფილი სახით უსმენს ქადაგებას, თითქოს ეამაყება, რომ ასეთი ჭკვიანური სიტყვების მოსასმენად მოვიდნენ, იცოდნენ, რომ ყველაფერს ვერ გაიგებდნენ, მაგრამ მაინც მოვიდნენ! ამ უკანასკნელი ჯგუფის უმეტესობას ქალები შეადგენდნენ, მაგრამ იმათშიც იყო განსხვავება: დედაბრებს შუბლი შეეკრათ და ცდილობდნენ, როგორმე ჩასწვდომოდნენ ქადაგების განყენებულ დებულებებს მაშინ, როცა ახალგაზრდები, დროდადრო, მორიდებით აპარებდნენ მზერას გვერდზე და ზოგიერთმა მათგანმა, ჩემო ძვირფასო ტრეშამ, თუ პატივმოყვარეობამ არ შემიყვანა შეცდომაში, უკვე შენიშნა თქვენი მეგობარი და

უმორჩილესი მსახური - უცნობი ახალგაზრდა, თანაც ინგლისელი. სხვა მლოცველებზეც მოგახსენებ: ზოგი ბრიყვიც გამორეოდა იმათში. ისინი უაზროდ ატრიალებდნენ თვალებს, ამთქნარებდნენ ან სულაც ჩათვლემდნენ, მაგრამ ღვთისმოშიში მეზობელი დიდხანს არ ანებებდა განცხრომას და ფეხის წაკვრით გამოაფხიზლებდა ხოლმე. ზარმაცები აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს, ეტყობოდათ, მოსწყენოდათ ეკლესიაში ყოფნა, მაგრამ წასვლას ვერა ბედავდნენ. იქაურებს ხიფთანები და ლაბადები ემოსათ, მაგრამ აქა-იქ ჭრელად მოჩანდა მთიელთა კუბოკრული წამოსასხამებიც. მთიელები ხმალს დაყრდნობოდნენ და ველურის ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ყველაფერს. ქადაგებას, რასაკვირველია, არ უსმენდნენ, რადგან მოქადაგის ენა არ იცოდნენ. ეს მოქუფრული მეომრები რაღაც თავისებურ ელფერს სდებდნენ აქაურობას. წირვის შემდეგ ენდრუმ მითხრა, დღეს ჩვეულებრივზე მეტი მთიელი მოვიდა ეკლესიაშიო. თურმე რომელიღაც გარეუბანში ბაზრობა იყო გამართული და საქონელი ჩამოერეკათ გასაყიდად.

ვიდექი და მზის მკრთალ სხივებზე დაკვირვებით ვათვალიერებდი ამ სხვადასხვა ჯურის მლოცველთა სახეებს. ეს სხივები დიდი გაჭირვებით იპარებოდნენ გლაზგოს სამრევლო ეკლესიის ვიწრო გოთურ სარკმელზე დამაგრებული მავთულის წვრილი ბადეებიდან, ძლივს დასანახად აჩენდნენ მლოცველთა ჩაფიქრებულ, ყურადღებით სავსე სახეებს და შემდეგ აკლდამებისკენ მიისწრაფოდნენ, მაგრამ თანდათან ძალას კარგავდნენ და მხოლოდ აკლდამათა ლაბირინთების წინა ნაწილს სტაცებდნენ სიბნელეს. უკანა ნაწილი კი კვლავ უკუნეთში იყო ჩაძირული და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ამ აკლდამებს დასასრული არა აქვსო. მე უკვე მოგახსენე, რომ წრის გარეთა მხარეს ვიდექი, პირით მოქადაგისაკენ ვიყავი მიბრუნებული, ზურგით კი იმ აკლდამებისკენ, რომელთაც ასე ხშირად ვახსენებ ამ ეკლესიის

აღწერისას. საკმარისი იყო აკლდამაში ოდნავ გაჩქამებულიყო რამე, რომ მაშინვე გამეგონა, რადგან ჩქამი თაღიდან თაღს ეხეთქებოდა, ძლიერდებოდა და მთელ ეკლესიას უვლიდა. რამდენჯერმე წვიმის წვეთებმა მიმაბრუნებინა თავი, იქით ვიყურებოდი, სადაც წვეთები ეცემოდა თუ არა - შეიძლება სულ სხვა მხრიდან მესმოდა წვეთების დაცემის ხმა. ეს წვეთები დაძველებული სახურავიდან ეცემოდა აკლდამაში და მალიმალ მაბრუნებინებდა თავს უკან. მივიხედავდი ბინდბუნდში ჩაძირული აკლდამების ლაბირინთისკენ და უკან მოხედვა აღარ მინდოდა, რადგან ყოველივე, რაც ბუნდოვანი და გაურკვეველია, იდუმალად გვეჩვენება და ცნობისმოყვარეობას გვიღვიძებს. თვალები უკვე შეეჩვია ზურგსუკან გამეფებულ სიბნელეს და ის აღმოჩენები, რომელთაც ნელ-ნელა ვტაცებდი ამ იდუმალებით მოცულ აკლდამებს, უფრო მიზიდავდა, ვიდრე მოქადაგის მეტაფიზიკური აბრუნდები.

მამაჩემს ხშირად უსაყვედურია, დაფანტული ხარ, არ შეგიძლია დიდხანს შეაჩერო ყურადღება ერთ საგანზეო. თვითონ სანამ ძირის-ძირამდე არ შეიცნობდა საგანს, არ მოეშვებოდა. ახლაც, როცა შევნიშნე, რომ ყურადღება მეფანტებოდა, ბავშვობის დღეები დამიდგა თვალწინ. აი, მამაჩემს ხელჩაკიდებული მივყავარ მისტერ შოუერის სამრეკლოსაკენ და ჩამჩიჩინებს, ცდუნებას არ უნდა აჰყვე, ძალიან ცუდი დრო დადგა და ფრთხილად უნდა იყოს ადამიანიო. მაგრამ ბავშვობის სურათების გახსენებამაც ვერ მიშველა - ქადაგებას გული ვერ დავუდე. პირიქით, ახლა სულ აღარ მესმოდა მღვდლის სიტყვები, რადგან იმ საშინელ საფრთხეზე ვფიქრობდი, მამაჩემს რომ ემუქრებოდა. ანდრუს მივუბრუნდი და ჩურჩულით ვკითხე, აქ ვინმე ხომ არ არის „მაკვიტი და კომპანიიდან“-მეთქი, მაგრამ ენდრუს ჩემთვისა არ ეცალა - იგი უდიდესი ყურადღებით უსმენდა მოქადაგეს და მუჯლუგუნის წაკვრით მანიშნა, გაჩუმდი, ახლა მაგის დროს არ არისო. მაშინ მხედველობა დავძაბე და კათედრას მიშტერებულ მლოცველებს

დავუწყე თვალიერება, იქნებ სახეების ზღვაში ოუენის ფხიზელი და საქმიანი სახე აღმოვაჩინო-მეთქი, მაგრამ თვალებში მხოლოდ გლაზგოელ მდაბიოთა ფართოფარფლებიანი შლიაპები და ლანარკშირელი გლეხების ბრტყელი ბერეტები მებლანდებოდა, „ოსბალდისტონი და ტრეშამის“ უფროსი კლერკის ფაქიზად დავარცხნილი პარიკი, გახამებული მანჟეტები და ღია ყავისფერი კამზოლი კი არსად მოჩანდა. ეკლესიაში რომ შემოვედი, ახალმა შთაბეჭდილებებმა გამიტაცა და თითქმის დამავიწყდა ჩემი არეულ-დარეული საქმეები, მაგრამ ახლა ისე ავფორიაქდი, რომ აღარაფერს მივხედე, ენდრუს სახელოში წავეტანე და გადაჭრით ვუთხარი, უნდა წავიდე და ოუენი მოვძებნო-მეთქი. ენდრუმ აქ, გლაზგოს სამრევლო ეკლესიაშიც, ისეთივე სიჯიუტე და თავნებობა გამოიჩინა, როგორც ჩივიოტის მთებში: კარგა ხანს არაფერი მითხრა და მხოლოდ მაშინ ინება პასუხის გაცემა, როცა დარწმუნდა, რომ არ მოვისვენებდი: „რადგან აქ შემოვედით, წირვის დამთავრებამდე ვეღარ გავალთ, კარი გარედან არის დაკეტილიო“. ეს ცნობა რომ მომაწოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გაბოროტებული ჩურჩულით მიბრუნდა და კვლავ უდიდესი ყურადღებით მიაპყრო სმენა ქადაგებას.

ბედს დავმორჩილდი - შევეცადე მეც მიმებაძა ენდრუსათვის, მაგრამ ხელი შემიშალეს - უკნიდან ვიღაცამ გარკვევით ჩამჩურჩულა ყურში - ამ ქალაქში საფრთხე გემუქრებათო.

ფრთხილად მივაბრუნე თავი. უკან სამი-ოთხი უბრალო ხელოსანი მედგა. ისინი ჩვენსავით დაგვიანებით მოსულიყვნენ წირვაზე. თვალის ერთი შევლებით მივხვდი, რომ ეს სიტყვები არც ერთ ადამიანს არ უთქვამს. ყველანი ყურადღებით უსმენდნენ მღვდელს და არც ერთი არ შეიშმუშნა, როცა გამომცდელად მივაშტერდი თვალებში. უკან ვეება მრგვალი სვეტი იდგა, შესაძლებელია, ამ სვეტს ამოეფარა ის იდუმალი უცნობი?! რატომ გამაფრთხილა ასეთ უადგილო ადგილას რა საფრთხეს გუ-

ლისხმობდა?! ვეკითხებოდი ჩემს თავს, მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობდი. ალბათ კიდევ მეტყვის რამეს, გავიფიქრე ბოლოს და გადავწყვიტე, თვალი არ მომეშორებინა კათედრისათვის, რათა ჩემს კეთლისმყოფელს ეფიქრა, რომ პირველი ნათქვამი ვერ გავიგონე და კვლავ გავეფრთხილებინე.

ჩემი ვარაუდი სწორი გამოდგა: ხუთი წუთიც არ გავიდა, რომ იმავე ხმამ ჩამჩურჩულა:

- მისმინეთ, მაგრამ უკან არ მოიხედოთ.

მე არ გავნძრეულვარ.

- აქ საფრთხე გემუქრებათ, - განაგრძო ხმამ, - მეც უნდა ვიფრთხილო. შევხვდეთ ერთმანეთს ხიდზე, ამაღამ, ზუსტად თორმეტ საათზე. დაღამებამდე გარეთ ნუ გამოხვალთ, ეცადეთ, თვალში არავის მოხვდეთ.

- ხმა მიწყდა და მაშინვე მივტრიალდი უკან, მაგრამ უკვე გვიან იყო: უცნობი უკვე ამოფარებოდა სვეტს. დავაპირე თვალი შემევლო, წრეს გამოვეყავი და სვეტს შემოვუარე, მაგრამ იქ ვერავინ ვნახე. წინ შოტლანდიურ ლაბადასა და აქაურ პლედში გამოხვეული მამაკაცი შევნიშნე. იგი ზემოთაღწერილი აკლდამებისაკენ მიეშურებოდა.

ანგარიშმიუცემლად უკან დავედევნე იდუმალ უცნობს, მაგრამ იგი მოჩვენებასავით გაუჩინარდა მიცვალებულთა მიწისქვეშა სავანეში.

ისე სწრაფად გაქრა, რომ საეჭვო იყო დავწეოდი, მაგრამ მაინც დავედევნე. სულ ხუთიოდე ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, რომ სიბნელეში რაღაცას წამოვკარი ფეხი და იატაკში გავიშხლართე.

სიბნელემ წამაქცია, მაგრამ მანვე გადამარჩინა სირცხვილს: მღვდელმა ქადაგება შეწყვიტა და მკაცრად უბრძანა „წესრიგის დამცველს“ ეპოვა ის ურწმუნო, რომელმაც გაბედა და ეკლესიაში ხმაური ატეხა. მაგრამ ხმაური აღარ განმეორებულა. „წესრიგის

დამცველმა“ მიიხედ-მოიხედა და, რადგან ვერ დამინახა, თავი აღარ შეიწუხა „ურწმუნოს“ მოსაძებნად. მე ცოტა ხანი შევიცადე და შეუმჩნევლად დავუბრუნდი ძველ ადგილს. წირვა გაგრძელდა და ისე დამთავრდა, რომ ღირსშესანიშნავი აღარაფერი მომხდარა.

როცა ეკლესიიდან გამოვედით, ჩემმა მეგობარმა ენდრუმ წამოიძახა:

- შეხედეთ, აი, პატივცემულო ბატონი მაკვიტი და ქალბატონი მაკვიტი. ეს კი მაგათი ქალიშვილი ალისონ მაკვიტია. ის ბატონი თომას მაკფინია. თურმე მის ალისონის თხოვნას აპირებს, თუ ჭორი არ მოუგონეს. საპატარძლო დიდი არაფერი ბედენაა, მაგრამ ფული კი ბლომად მიჰყვება მზითევში. ენდრუს ხელს თვალი გავაყოლე და ბატონი მაკვიტი შევათვალიერე. იგი მაღალი, გამხდარი, ხანშიშესული კაცი გამოდგა. სახის ნაკვთები უსწორმასწორო ჰქონდა, ხშირი, ჭაღარაშერეული წარბების ქვევიდან ცისფერი თვალები იმზირებოდნენ. შევხედე თუ არა, არ მომეწონა - ძალზე უსიამოვნო, გულმიუსვლელი გამომეტყველება ედო სახეზე. ეკლესიაში ნათქვამი გაფრთხილება გამახსენდა და, თუმცა ეჭვისა და ყოყმანის საფუძველი არა მქონდა, მაინც ვერ გადავწყვიტე მისტერ მაკვიტთან მისვლა.

ენდრუმ ყოყმანი შემატყო და გამამხნევა:

- მიდით, გამოელაპარაკეთ, მისტერ ფრენსის, რა გეშინიათ, ჯერ არ აურჩევიათ ქალაქის თავად. თუმცა დაბეჯითებით კი ამბობენ, გაისად აირჩევენო. მიდით, გაესაუბრეთ. მდიდარი კია, მაგრამ თუ ფულს არა სთხოვ, ლაპარაკს არ იმადლება. აი, ფულის გაცემა, კი, ამბობენ ესიკვდილებაო.

ეს რომ მითხრა, საბოლოოდ გადავიფიქრე მაკვიტისთან მისვლა - თუ მართლა ასეთი ძუნწია, ჯერ უნდა გავიგო, რა ანგარიშები აქვს მამაჩემთან და მერე ვინახულო-მეთქი. ეს აზრი უფრო დამიჯდა ჭკუაში, როცა უცნობის გაფრთხილება გავიხსენე და კი-

დევ ერთხელ შევავლე თვალი ვაჭრის მქისე სახეს. ასე რომ, საბოლოოდ გადავწყვიტე, პირადად არ მივსულიყავი. ენდრუს დავავალე მაკვიტების ფირმაში გაეგო ინგლისელი ჯენტლმენის მისტერ ოუენის მისამართი, თანაც მკაცრად ვუბრძანე, მე არ ვეხსენებინე. პასუხი იმ უბრალო სასტუმროში უნდა მოეტანა, სადაც წუხელ დავბინავდით. ენდრუ დამპირდა, ბრძანებას ზუსტად შეგისრულებო. შემდეგ მითხრა, საღამოს წირვაზე რომ არ წახვიდეთ, არ შეიძლებაო, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნია და შხამიანად დასძინა: თუკი კაცს მშვიდად არ შეუძლია წირვის მოსმენა და მაინცდამაინც ფეხი უნდა წამოჰკრას საფლავის ქვას, რომ მიცვალებულებს მყუდროება დაურღვიოს, ჯობს სულ არ წავიდეს ეკლესიაში. ამისთანა კაცი შინ უნდა იჯდეს და ღუმელს ეფიცხებოდესო.

თავი XXI

მოეშვი ქროლვას, უნაყოფო ლტოლვას მოეშვი,
აწ ფიქრიანი დავალ მეფურად.
იქ, რიალტოზე, შუაღამის სიმყუდროვეში,
შენ შეგეყრები კვლავინდებურად.

„გადარჩენილი ვენეცია“[155]

გულდამძიმებული წავედი სასტუმროში. რაღაც ცუდის მოლოდინი მქონდა, თუმცა კი, რომ გეკითხათ, ვერ გეტყოდით საიდან მოველოდი საფრთხეს: ენდრუმ ლამის სული ამომართვა, წმინდა ენქოს ეკლესიაში[156] წავიდეთ, დღეს აქ ისეთი ღვთისმეტყველი იქადაგებს, რომ პირდაპირ სულსა და გულს დაგიტკბობთო. როგორც იქნა მოვიშორე არამკითხე მოპატიჟე და იმაზე დავიწყე ფიქრი, ამაღამ შევხვედროდი თუ არა იმ უცნობს. ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ, მე მგონი, ყველა გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი ათასნაირი არარეალური წარმოდგენების ტყვეობაში ექცევა და საბოლოოდ თავის ბედს ან შემთხვევითობას ანდობს ან გონებაში უცაბედად გაელვებულ აზრს ჩაეჭიდება და სახელმძღვანელო დებულებად იხდის. იმ შოტლანდიელი ვაჭრის სახემ ისე შემზარა, რომ ვერ გავბედე მივსულიყავი და გამოვლაპარაკებოდი - ეს ნაბიჯი ფიზიოგნომიკის ყველა კანონის უარყოფა იქნებოდა. ამას გარდა, ახალგაზრდული გონება საშინლად ამიფორიაქა ჩურჩულით ნათქვამმა გაფრთხილებამ და მიცვალებულთა სავანის უკუნეთში გაუჩინარებულმა უცნობმა. ისიც ნუ

დაგავიწყდება, რომ მე პოეტი ვიყავი! თუ, როგორც იდუმალმა ხმამ ჩამჩურჩულა, საფრთხე მემუქრებოდა, ზომები უნდა მიმეღო თავდასაცავად, მაგრამ ჯერ უნდა გამეგო, საიდან მელოდა ეს საფრთხე. საამისოდ კი აუცილებლად უნდა წავსულიყავი ღამის პაემანზე. შეიძლებოდა ამ უცნობს ბოროტი განზრახვა ჰქონოდა? იქნებ რეშლის მოგზავნილი იყო? რეშლი ხომ ამისთანა საქმეების ოსტატი გახლდათ. არა, აქ ჩემი ბიძაშვილის ხელი არ უნდა ერიოს: მე ხომ უცებ წამოვედი და რეშლი ამ დილითვე როგორ გაიგებდა, რომ გლაზგოში ვარ? თუნდაც გაეგო, მახის დაგებას ვერ მოასწრებდა. მე ბუნებით გამბედავი ვიყავი, ღონე მერჩოდა და იარაღსაც მარჯვედ ვხმარობდი, კარგა ხანს ვცხოვრობდი საფრანგეთში, სადაც ყველა ახალგაზრდა უნდა დაუფლებოდა ორთაბრძოლის ხელოვნებას. ამიტომ იყო, რომ ერთ მტერს, ვინც უნდა ყოფილიყო არ გავექცეოდი. მიპარვით თავდასხმას კი მაშინ (განსაკუთრებით შოტლანდიაში) არ კადრულობდნენ. ადგილი, სადაც პაემანი დამინიშნეს, ხალხმრავალი იყო და, თუ იმ უცნობს რაიმე მუხანათობა ედო გულში, სხვაგან დამიბარებდა. ერთი სიტყვით გადავწყვიტე, დანიშნულების ადგილზე შევხვედროდი ჩემს იდუმალ კეთილისმყოფელს. დაე, მოსახდენი მოხდეს! არ დაგიმალავ, ტრეშამ, რასაც მაშინ საკუთარ თავსაც ვუმალავდი: ვცდილობდი არ მეფიქრა, მაგრამ გულზე მაინც საამოდ მილამუნებდა აზრი, იქნებ ეს ამბავი დიანა ვერნონის სახელთან არის დაკავშირებული-მეთქი. ვერ მივმხვდარიყავი, როგორ, რა გზით შეეძლო დიანას გავეფრთხილებინე ასე მალე და ასეთ უჩვეულო ადგილას, მაგრამ მაცდური ხმა მალიმალ ჩამძახოდა ყურში, მხოლოდ მან იცოდა შენი წამოსვლის ამბავი, მხოლოდ მას შეეძლო ხმა მოეწვდინაო. დიანამ ხომ მითხრა, შოტლანდიაში მეგობრები მყავსო. თილისმაც მომცა, რომლის ძალაც მხოლოდ მაშინ უნდა გამომეცადა, როცა ხსნის ყველა საშუალება ამოწურული იქნებოდა. სხვას ვის უნდა სცოდნოდა, რა საშიშ-

როება მემუქრებოდა ამ უცხო ქალაქში, სხვა ვინ ამაცილებდა ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულ მტერს?! ეს მაცდუნებელი აზრი სულ უფრო და უფრო მეტი ძალით მეუფლებოდა. ჯერ, სანამ ვისადილებდი, მორცხვად შემომერია ეჭვითა და ვარაუდებით დაღლილ გულში, სადილის დროს ჯადოსნურად მოხატული ფრთები გაშალა და ოცნებათა ბურუსში გამხვია, სადილის შემდეგ კი (ალბათ იმიტომაც, რომ რამდენიმე ჭიქა შესანიშნავი თეთრი ღვინო გეახელით) ისეთი ძალითა და შემართებით შემომიტია, რომ გადავწყვიტე, სადმე გავქცეოდი ამ მაცდუნებელ და სახიფათო აზრს. ამიტომ ჭიქა და თეფში გვერდზე გადავდე, ქუდს ხელი ვტაცე და ქუჩაში, სუფთა ჰაერზე გავვარდი. მეგონა, გავექცეოდი, მაგრამ ამაოდ დავშვრი: ფეხებმა უკითხავად მიმიყვანეს კლაიდის ხედზე, სადაც ჩემმა იდუმალმა კეთილისმყოფელმა პაემანი დამინიშნა.

ჩემმა ღვთისმოშიშმა დიასახლისმა ვერ გაბედა ცხელი საჭმლის შემოტანა, სანამ მწუხრის წირვა არ დამთავრდებოდა, თანაც, როგორც დარიგებული ვიყავი, დაბინდებამდე შინ უნდა ვმჯდარიყავი და მეც არ მეჩქარებოდა სადილობა. ამიტომ კარგა გვიან გამოვედი სასტუმროდან, მაგრამ დანიშნულ ადგილას მაინც რამდენიმე საათით ადრე მომიხდა მისვლა. ლოდინი, დამეთანხმებით, ძალზე დამტანჯველია. ვერც კია აღვწერ, რა ნელა გადიოდა დრო. ხნიერები და ახალგაზრდები დინჯად დასეირნობდნენ კლაიდის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე მინდორზე, რომელზედაც ისე დღეებში ტილოებს ფენდნენ ხოლმე გასათეთრებლად. ამ გრძელ ხიდზეც ბევრი ხალხი დადიოდა (ხიდი ქალაქსა და სამხრეთ საგრაფოს აკავშირებდა ერთმანეთთან). იგრძნობდა, რომ უმეტესობა გულწრფელი მორწმუნე იყო. შესაძლებელია, იმათში მკრეხელებიც ერივნენ, მაგრამ ისინიც მშვიდი, დაფიქრებული გამომეტყველებით დასეირნობდნენ, რომ თავი არ გაეცათ. ახალგაზრდები მხიარულებას ვერ ბედავდნენ და

იძულებულნი იყვნენ, ხმადაბლა ესაუბრათ ერთმანეთთან. უფროსები კამათს ერიდებოდნენ. უამრავმა ჯგუფმა ჩამიარა გვერდით, მაგრამ ხმამაღალი ლაპარაკი არ გამიგონია. მშვენიერი ბუნება სასეირნოდ განაწყობდა ადამიანს, თანაც კვირა დღე იყო, მაგრამ ხიდის ბოლოდან მხოლოდ რამდენიმე კაცი დაბრუნდა უკან. უმეტესობა შინ მიეშურებოდა. უცხოეთში ნამყოფს, თუნდაც ფრანგ კალვინისტს, მეშვიდე დღის ასე გატარება იუდევიზმად მოეჩვენებოდა, მაგრამ ასეთი სიწმინდე და ღვთისმოშიშობა მაინც აოცებდა და გულს უყუჩებდა ადამიანს.

ქვეშეცნეულად ვიგრძენი, რომ ამ ადგილას უსაქმოდ ხეტიალი, როცა ყველა შინისაკენ მიეშურებოდა, საძრახ საქციელად ჩამეთვლებოდა, ამიტომ ხალხმრავალ ქუჩას გავერიდე და ისეთ ადგილს დავუწყე ძებნა, სადაც თვალში არავის მოვხვდებოდი. ასეთ ადგილს მალე მივაგენი. ფართო მინდორი ლონდონის სენტ-ჯემსის პარკივით იყო დასერილი ხეივნებით და მეც ამ ხეივნებში ვპოვე მყუდრო თავშესაფარი.

ერთ-ერთ ხეივანში რომ მივდიოდი, ჩემდა გასაოცრად, ენდრუ ფერსერვისის ყიფი ხმა შემომესმა. ენდრუს, ეტყობა დავიწყებოდა, რომ ასეთ საზეიმო დღეს მოკრძალება და თვინიერება მართებდა და ხმამაღლა, გაცხარებით ელაპარაკებოდა ვიღაცას. მე სწრაფად ამოვეფარე ხეს. იქნებ ეს ჯენტლმენის შესაფერისი საქციელი არ იყო, მაგრამ იმჟამად სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. გამოჩენა კი არ მინდოდა, რადგან მერე თავიდან ვეღარ მოვიშორებდი აბეზარ მებაღეს. თანაც სულს შემიწუხებდა კითხვით, აქ რატომ მოხვედი, ამ შუაღამისას რა საქმე გქონდაო. როცა გვერდით ჩამიარა მისი თანამოსაუბრეც შევათვალიერე - წარმოსადეგი კაცი იყო. ტანთ შავი ხიფთანი ეცვა. ხიფთანზე ჟენევური ლაბადა ჰქონდა წამოსხმული, თავზე ფართოფარფლებიანი შლიაპა ეხურა. ენდრუ ვიღაცას უხასიათებდა. მიუხედავად იმისა, რომ ენდრუ ფაქტებს ამახინჯებდა, მაინც მივხვდი, ვის გულისხმობდა:

- მაშ, მისტერ ჰამორგო, მაშ! სულ ასეა, როგორც გეუბნებით. არა, მთლად გიჟი კი არ არის, ხანდახან ჭკვიანურსაც გამოურევს. იშვიათად, მაგრამ მაინც გაუვლებს ხოლმე თავში ჭკვიანური აზრი. ისე კი თავი ათასი ხარახურით აქვს გამოტენილი. ლექსების გამოთქმაზეა შეშლილი. დაინახავს ხანდახან ბებერ, დაგრეხილ მუხას დს ისე მიაშტერდება, თითქოს ნაყოფით დახუნძლული გულაბი მსხალიაო. აყვავებული ცერცვისა და საუკეთესო ბოსტნეულის დანახვას ტიტველი კლდე და უბრალო ნაკადული ურჩევნია. მერე მიდის იმ უტვინო გოგოსთან, დიანა ვერნონთან და ენას იფხანს. იმას დიანა ვერნონი კი არა, დიანა ეთესილი უნდა ერქვას - ისეთივე წარმართია, კი არა, უფრო უარესიც. კათოლიკეა, შუმი კათოლიკე! მააშ! იმასთან ან იმის მსგავს ცანცარასთან ურჩევნია ენის მოფხანა, ფხიზელი, გონიერი კაცის გარიგებას კი, აი, ისეთებისა, მე და თქვენ რომ ვართ, მისტერ ჰამორგო, ყურს არ ათხოვებს. დამიჯერეთ, სერ, ჩვენ არც კი მოგვისმენს, სულ სისულელეებში ჰკარგავს დროს. ერთხელ ისიც კი მითხრა (საწყალი, დაბრმავებულია და მეტი არ მოეთხოვება), დაბეჯითებით მითხრა, დავითის საგალობანი საუკეთესო პოეზიააო. თითქოს ეს წმინდანი, როცა გალობდა, სულ რითმების რახარუხზე და ამნაირ სისულელეებზე ფიქრობდა. თითქოს იმნაირი ზიზილ-პიპილების მოგონება უნდოდა, თვითონ რომ ლექსებს ეძახის. ღმერთო შენ უშველე! დევი ლინდსეის ორი სტრიქონი სულ თავზე გადაუვლის მაგ საცოდავის ნაჯღაბნებს.

ჩემი ხასიათისა და საქმიანობის ასეთ გადაბრუნებულ აღწერას რომ ვუსმენდი, ბუნებრივია, ენდრუს დაჯილდოების სურვილი მომივიდა და გადავწყვიტე, ხელსაყრელი შემთხვევა მომეცემოდა თუ არა, ერთი დიდი კეტი მეთავაზებინა თავში. მისი მეგობარი მხოლოდ მოკლე შეძახილებით გამოხატავდა თავის ყურადღებას: მისტერ ფერსერვისის სულმოუთქმელი ლაპარაკის დროს ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე, „ერთი უყურე! ნუთუ მარ-

თლა? რას ამბობ!“ და მხოლოდ ერთხელ ჩაურთო უფრო გრძელი შენიშვნა, რომლის შინაარსი მხოლოდ ჩემი პატიოსანი მეგზურის პასუხის შემდეგ გავიგე.

- თქვენ მირჩევთ, პირში მივახალო, ასეთი და ასეთი ხარო? მერე ვინ წააგებს? ისევ და ისევ ენდრუ. ის ხომ ხორცშესხმული სატანაა, ადამიანო! ჯაილზ ჰიზერტაპის ბებრი ტახივით არის - მეცემა და სულ ნაფლეთებად მაქცევს თავისი ეშვებით. რაც მეკუთვნის გამოვართვა და წამოვიდე?.. მეც არ ვიცი, რატომ არ დავეთხოვები, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ურიგო ახალგაზრდა არ არის და უპატრონოდ რომ დარჩეს, მეცოდება. ჩემისთანა მზრუნველი თუ არ ეყოლა გვერდით, დაიღუპება: მარიფათი არა აქვს, ფულის ყადრი არ იცის - ბზესავით ფანტავს ქისიდან. ასე რომ, როცა ქისა უჭირავს ხელში, ახლო უნდა ვედგე, თორემ სხვები გამდიდრდებიან. ქისას კი ხშირად იღებს ხოლმე ჯიბიდან. ეგეც არ იყოს, კარგი ჯილაგის არის, სულ კეთილშობილი ნათესავები ჰყავს... ერთი სიტყვით, როგორღაც შემიყვარდა ეგ საწყალი, თავქარიანი ბიჭი, მისტერ ჰამორგო, თანაც ჯამაგირი, რაც არ უნდა თქვა...

აქ მისტერ ფერსერვისმა ისე დაუწია ხმას, როგორც საზოგადოებრივ ადგილას არის მიღებული კვირა-საღამოს და მე ვეღარაფერი გავიგე.

რისხვა მალე გადამეყარა გულზე, როცა ენდრუს მიერ ნათქვამი ანდაზა გავიხსენე: „თუ საკუთარი თავის გინება არ გინდა მოისმინო, მეზობლის ღობის ძირას ნუ ჩაიმალებიო“. სად გაგონილა, მსახური ბატონს აქებდეს, მით უმეტეს ისეთი ღვარძლიანი, როგორიც ენდრუ ფერსერვისი იყო.

ამ საუბარმა მაინც მომიტანა სარგებლობა: კარგა დიდხანს ვფიქრობდი ენდრუს ნათქვამზე, და დრო, აქამდე რომ მიიზლაზნებოდა, სწრაფად მელოედა ხელში. ღამემ ძალი მოიცა და წყნარ, წყალუხვ მდინარეს წყვდიადის საბანი გადააფარა. უკუ-

ნეთს ახალი მთვარის სუსტი სხივები შეება, მაგრამ ვერაფერი დაა-აკლო. კლაიდის ძველი ტლანქი ხიდი ბუნდოვნად მოჩანდა სიბ-ნელეში და ბაღდადის იმ ხიდს მაგონებდა, მირზამ რომ აღწერა თავის „ხილვაში“[157]. ხიდის დაბალ თაღებს გამოქვაბულივით დაეღო პირი და გაუმაძღრად ნთქავდა მრუმე მდინარეს. ირ-გვლივ სიჩუმემ დაისადგურა. მდინარის ზედა ნაპირზე ხანდახან რომელიმე სახლის კარებიდან გამომკრთალი სუსტი სხივი გაი-ელვებდა: ალბათ სტუმრად დაპატიჟებულ ქალაქელთა მცირე-რიცხოვანი ჯგუფი ბრუნდებოდა შინ. კვირაობით, მთელი დღის ლოცვის შემდეგ ღვთისმოშიში პრესვიტერიანელები თავს ნებას აძლევდნენ ვახშმად სწვეოდნენ რომელიმე მეგობარს. დრო-დადრო ცხენის ფეხის ხმა ისმოდა - ალბათ ვინმე სოფლიდან ჩა-მოსული ტოვებდა ქალაქს. სიჩუმე თანდათან იპყრობდა იქაურო-ბას. ხალხი კანტიკუნტადღა ჩანდა. ბოლოს ქუჩები სულ დაცარი-ელდა. კლაიდის სანაპიროზე გამეფებულ საზეიმო მდუმარებას მხოლოდ ჩემი ნაბიჯების ხმა და ეკლესიების საათების მელოდიუ-რი რეკვა არღვევდა. შუაღამე ახლოვდებოდა და მეც სულ უფრო და უფრო მიპყრობდა მოუსვენრობა. ბოლოს უცნობის მოლოდი-ნი თითქმის აუტანელი გახდა. წამდაუწუმ ვეკითხებოდი ჩემს თავს, ხომ არ მასულელებს ვინმე, ან იქნებ გიჟია ის ვიღაც, ან, ვინ იცის, მახეს მიგებენ-მეთქი. ასე დავდიოდი ხიდის თავში, პა-ტარა სანაპიროზე და გულს ათასნაირი მტანჯველი ფიქრი მიფო-რიაქებდა. ბოლოს, წმინდა მუნგოს ეკლესიის სამრეკლოზე საათ-მა თორმეტი დარეკა. მას მაშინვე მხურვალე მორწმუნეებივით გამოეხმაურნენ სხვა სამრეკლოები. ბოლო ზარის გამოძახილი ჯერ კიდევ არ მიმწყდარიყო, რომ ხიდზე სამხრეთ ნაპირიდან მო-მავალი ადამიანი შევნიშნე. უკვე ორი საათი იყო გასული, რაც იმ ნაპირიდან არავინ გადმოსულა აქეთ. ამდენმა ლოდინმა დამღა-ლა და ისე გულაძგერებული გავემართე მისკენ, თითქოს ამ შეხ-ვედრას უნდა გადაეწყვიტა ჩემი ბედი. შორიდანვე შევნიშნე, რომ

უცნობი საშუალოზე დაბალი ტანის, მაგრამ ჩასხმული, ღონიერი კაცი იყო. ტანზე მხედრული ხიფთანი ეცვა. თანადათან ნაბიჯი შევანელე და, როცა მივუახლოვდი, თითქმის შევჩერდი, იმ იმედით, რომ გამომელაპარაკებოდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად იმედი გამიცრუვდა: ისე ჩამიარა გვერდით, რომ ხმა არ ამოუღია და მეც მდუმარედ გავაცილე თვალებით, რადგან ვიფიქრე, ზუსტად დათქმულ დროზე კი მოვიდა, მაგრამ ხომ შიძლება სულ სხვა იყოს-მეთქი. ჯერ მინდოდა უკან მივყოლოდი, მაგრამ ვერ გადავწყვიტე. სანამ ვყოყმანობდი, უცნობი თითქმის ხიდის ბოლომდე მივიდა, მერე შეჩერდა, უკან მოიხედა, შემოტრიალდა და ჩემკენ წამოვიდა. გადავწყვიტე ამ ჯერად მე თვითონ გამოვლაპარაკებოდი (გამახსენდა ხალხის ნათქვამი, მოჩვენებას პირველი შენ თუ არ გამოელაპარაკე, ხმას ვერ ამოიღებსო).

- გვიან გამოსულხართ სასეირნოდ, სერ, - ვუთხარი, როცა ერთმანეთს გავუსწორდით.

- მე აქ კაცს უნდა შევხვდე, - მომიგო უცნობმა, - მგონი, თქვენც. განა არა, მისტერ ოსბალდისტონ.

- მაშ, თქვენ ხართ ის პიროვნება, რომელმაც ასე უდროო დროს დამითქვა შეხვედრა?

- მე გახლავარ. მომყევით და ყველაფერს გაიგებთ.

- სანამ გამოგყვებოდეთ, უნდა ვიცოდე, ვინა ხართ და რა გინდათ ჩემგან.

- მე ადამიანი ვარ და ცუდს არაფერს გიპირებთ.

- ადამიანი! - გავიმეორე მე, - ეს ძალზე მოკლე პასუხია.

- თუკი უფრო ვრცელი პასუხის მოცემა არ შემიძლია? ადამიანი ვარ, თუმცა არც სახელი მაქვს, არც ფული, არც სამშობლო და არც მეგობრები მყავს. ზოგს ყოველივე ეს აქვს და ადამიანი მაინც არ ეთქმის.

- მაინც მეტისმეტად ზოგადი განმარტებაა. ყოველ შემთხვევაში, მარტო ეგ განმარტება არ კმარა საიმისოდ, რომ კაცი გენდოთ.

- მართალია, მაგრამ მეტის თქმას არ ვაპირებ. ახლა თქვენი ნებაა, წამომყვებით თუ არა. თუ არ წამოხვალთ, ვეღარ მიიღებთ თქვენთვის საჭირო ცნობებს.

- განა არ შეგიძლიათ აქვე მომაწოდოთ ეგ ცნობები? - ვკითხე მე.

- ცნობები მე არ მაქვს. უნდა წამოხვიდეთ და თვითონ მოკრიბოთ. ან უნდა წამომყვეთ, ანდა უარი უნდა თქვათ ამ ცნობებზე.

უცნობი მკაცრად, თითქმის მბრძანებლურად იქცეოდა და ვერ გადავწყვიტე ვნდობოდი, თუ არა.

- რისა გეშინიათ? - მკითხა მან გაბრაზებით. - ვის უნდა უნდოდეს თქვენი მოკვლა, ვინ შეიწუხებს ამისთვის თავს?

- მე არაფრის არ მეშინია, - მივუგე საკმაოდ მტკიცედ, - იარეთ, მე მოგყვებით!

წავედით, მაგრამ იქით კი არა, საითაც ვფიქრობდი - ისევ ქალაქისკენ ავიღეთ გეზი და აჩრდილებივით გავიარეთ რამდენიმე ჩაბნელებული და მდუმარე ქუჩა. მაღალი, ჩაბნელებული სახლები, ფასადზე უცნაური ბარელიეფები რომ ჰქონდათ ამოკვეთილი, მთვარის მატყუარა შუქზე კიდევ უფრო ცადაწვდილი და პირქუში მომეჩვენა. ერთ ხანს ორივენი მდუმარედ მივდიოდით, ბოლოს ჩემმა მეგზურმა მკითხა, სულ არ გეშინიათო?

- თქვენივე სიტყვებით გიპასუხებთ: რისი უნდა მეშინოდეს?

- უცნობ მამაკაცს რომ მიჰყვებით. თანაც ამ ქვეყანაში უამრავი მტერი გყავთ. იქნებ მეც ერთი იმათგანი ვარ?

- მე თქვენი არ მეშინია და არც იმათი. მე ახალგაზრდა ვარ, იარაღი მაქვს და ძალაც მომდევს!

- მე კი უიარაღო ვარ, მაგრამ რა ბედენაა - კაცს ნუ გაუჭირდება, თორემ იარაღს იოლად იშოვის. ამბობთ, არაფრის მეშინიაო, მაგრამ ჩემი ვინაობა რომ იცოდეთ, კანკალი აგიტანდათ.

- რატომ გგონიათ? - გავიკვირვე მე, - გიმეორებთ, მე თქვენი არ მეშინია, რა უნდა დამაკლოთ?

- მართლა? კარგი ეგრე იყოს. ჩემი არ გეშინიათ, მაგრამ ჩემთან ერთად რომ დაგინახონ, იცით, რა მოხდება?! ჩემი სახელი რომ დაიჩურჩულოს ვინმემ ამ უკაცრიელ ქუჩაში, ქვებიც კი აყვირდებიან, დაიჭირეთ არ გაუშვათო. ჩემი თავი უზარმაზარ თანხად არის შეფასებული, მთელი განძის საფასურად, გლაზგოს მოსახლეობის ნახევარი მაინც გამდიდრდებოდა ამ ფულით. მე რომ დამიჭირონ, ედინბურგში ისეთი ზარზეიმი ატყდება, ფლანდრიის ომში გამარჯვება მონაგონი იქნება.

- მაინც ვინა ხართ ასეთი, რომ თქვენს ხსენებაზე ყველას შიშის ზარი უვლის?

- ვინ უნდა ვიყო, თქვენი მტერი არა ვარ, რადგან იმისთანა ადგილას მიმყავხარ, თუ მიცნეს, იმწამსვე ფეხებზე ბორკილებს დამადებენ და თავზე ყულფს გადამაცვამენ.

მე შევჩერდი და ერთი ნაბიჯით დავიხიე უკან, რომ, თუ საჭირო გახდებოდა, თავის დასაცავად მოვმზადებულიყავი. მთვარის სუსტ შუქზე კარგად შევათვალიერე ჩემი მეგზური და ვუთხარი:

- თუ გინდოდათ ჩემი ნდობა დაგემსახურებინათ, სულ არ უნდა გეთქვათ, რომ ამ ქვეყნის კანონი სახრჩობელათი გემუქრებათ. ახლა კი რადგან ეს მითხარით უნდა დამიმტკიცოთ, რომ უდანაშაულო ხართ და მკაცრი კანონი უსამართლოდ გიპირებთ დასჯას.

უცნობმა ყურადღებით მომისმინა და, როცა დავამთავრე ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ. მე უნებლიეთ უკან დავიხიე და ხელი დაშნისკენ წავიღე.

- როგორ, - გაიოცა მან, - უიარაღო ადამიანს ესხმით თავს? თანაც მეგობარს?

- მე ჯერ არ ვიცი, მტერი ხართ თუ მეგობარი და არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ მართლა უიარაღო ხართ, თქვენი ქცევა და ლაპარაკი უფლებას მაძლევს, მეგობრად არ მიგიჩნიოთ და არც ის დაგიჯეროთ, რომ შუაღამისას შეუიარაღებელი გამოხვედით სახლიდან.

- ვაჟკაცურად ლაპარაკობთ, - პატივს ვცემ ისეთ ადამიანს, რომელსაც თავის დაცვა შეუძლია, პირდაპირ და გულახდილად გეტყვი: ციხეში უნდა წაგიყვანო.

- ციხეში! - შევყვირე მე. - რა უფლებით, რა დამიშავებია?! სიცოცხლე შეგიძლიათ მომისწრაფოთ, მაგრამ თავისუფლებას ვერ წამართმევთ. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებ, აქედან კი ფეხს არ მოვიცვლი.

- დასაპატიმრებლად კი არ მიმყავხართ, - დასძინა ამაყად, - არც შერიფი ვარ და არც პოლიციელი, მე იმ პატიმარს უნდა შეგახვედროთ, რომელიც დაწვრილებით გეტყვით, რა საფრთხე გემუქრებათ. თქვენ ამით არაფერი დაგაკლდებათ, არავინ დაგტოვებთ ციხეში, მე კი შეიძლება ვეღარ გამოვიდე, მაგრამ მაინც არ დავიხევ უკან, რადგან მიჩვეული ვარ ბედთან თამაშს და, გარდა ამისა, პატივს ვცემ ახალგაზრდას, რომელსაც შეუძლია ხმლით დაიცვას საკუთარი სიცოცხლე.

ამ ლაპარაკში მთავარ ქუჩაზე მივედით და თლილი ქვით აშენებული დიდი სახლის წინ შევჩერდით. შევნიშნე, რომ ყველა ფანჯარას რკინის ცხაური ჰქონდა აკრული.

- რას არ მისცემდნენ აქაური ქალაქის თავი და მოსამართლეები, რომ ერთი ვინმესათვის ფეხზე რკინის ხუნდები დაედოთ და ვირის აბანოში მოეყუჩებინათ. ის კი დგას ჭიშკართან, თავისუფალი, როგორც ველზე მონავარდე ჯეირანი, - ჩაილაპარაკა ჩემმა თანამგზავრმა შოტლანდიურნარევი ინგლისურით, - რომ დამიჭი-

რონ, რა გამოვა? ხუთფუთიანი რკინებიც რომ დამადონ ფეხებზე, დილას საკანი ცარიელი დახვდებათ. წამოდით, რა ფეხი აითრიეთ?!

მან ერთ დაბალ კაზე დააკაკუნა. შიგნიდან ხრინწიანი, ნამძინარევი ხმით გამოეპასუხა ვიღაცა:

- ვინ არის?! რა ამბავია?! რა ჯანდაბა გინდა ამ შუაღამისას?! ახლა შემოსვლა არ იქნება, წესი არ არის!

ბოლო სიტყვები მთქნარებით იყო ნათქვამი. ეტყობოდა, დარაჯი კვლავ დაძინებას აპირებდა, მაგრამ ჩემმა მეგზურმა ხმამაღალი ჩურჩულით უთხრა:

- დუგალ, მეგობარო! დაგავიწყდი? Ha nun Gregarach.[158]

- დალახვროს ეშმაკმა, როგორ თუ დამავიწყდი! - სწრაფად მიუგო დარაჯმა და პატარა კარს მოადგა გასაღებად. ჩემმა გამყოლმა რამდენიმე სიტყვა უთხრა ჩემთვის სრულიად უცხო ენაზე. დარაჯმა უხმაუროდ გამოუგდო ურდული კარს და ორივენი გლაზგოს ციხის საყარაულოში შევედით. საყარაულო პატარა, სქელკედლებიანი ოთახი იყო. ოთახიდან ვიწრო კიბე ადიოდა ზევით, ორ-სამ კარს კი სასმენი ფანჯრები ჰქონდა და მკვიდრად იყო დაკეტილი ურდულებითა და კლიტეებით. კედლებიც შესაფერისად იყო მორთული: ზედ ბორკილები და საწამებელი იარაღები ეკიდა. აქვე ნახავდით ალებარდებს, თოფებს, დამბაჩებს და სხვა ძველებურ შესატევ და თავდასაცავ იარაღებს.

როცა ასე მოულოდნელად აღმოვჩნდი შოტლანდიური მართლმსაჯულების ციხე-სიმაგრეში, ნორთუმბერლენდის მოსამართლესთან შეხვედრა გამახსენდა და გული შემეკუმშა. ნუთუ მუხთალი ბედი მიპირებს კვლავ უდანაშაულოდ ჩამაგდოს ამ უცხო ქვეყნის კანონის დარაჯთა კლანჭებში-მეთქი.

თავი XXII

ყრმაო, ასტოლფო, მიბრუნდი უკან,
ძრწის სიღარიბე, როგორც ობობა,
აქ საშიმშილოდ გზავნიან სნულს,
რომ განუკურნონ ავადმყოფობა.
სწოვს კედლებიდან სინესტის მხუთავს,
სწუხს ავადმყოფი სულშეხუთული,
იმედის სხივი საბრალოდ ბჟუტავს
და იფერფლება როგორც თუთუნი.
და საბოლოოდ ჩაქრება ვიდრე,
ვიდრე კვლავ ფეთქავს წვით და ციებით, -
ამინთხევა ველური ბოღმა
ჯერარნახული შურისძიებით.
გზა იმედისა ქარმა წარხვეტა.
წინ ჯოჯოხეთის მაშხალა ელავს,
სულს ეუფლება სასოწარკვეთა
და საავკაცოდ აქეზებს ყველას.
რა ჰქნას ტუსაღმა... არჩევდა სიკვდილს:
„არ ჩავიდენდი, უფალო, მენდე,
რომ საშინელი მონომის უღელს
არ მივეყვანე უბედურ დღემდე“

„საპატიმრო“, I მოქმედება მე-3 სურათი.

ოთახში შესვლისთანავე ჩემს მეგზურს ჩავაშტერდი, მაგრამ ლამპის მბჟუტავ შუქზე თითქმის ვერ გავარჩიე მისი სახე. დარაჯს ფარანიც ეჭირა ხელში, მაგრამ ფარანი მხოლოდ თვითონ დარაჯს ანათებდა. იგი გარეულ ცხოველს წააგავდა. ხშირი წითური თმა და ასეთივე ფერის წვერ-ულვაში ჰქონდა. სახე თითქმის არ მოუჩანდა. მან ისე გაიხარა ჩემი თანამგზავრის ნახვით, რომ შემეშინდა არ გაგიჟდეს-მეთქი. ალბათ ასე უხაროდა პირველყოფილ ადამიანს თავისი ტომის სალოცავი კერპის დანახვა. დარაჯი კბილებს აკრაჭუნებდა, თრთოდა, ხითხითებდა და, მგონი ტიროდა კიდეც. ოღონდ კი კერპს ებრძანებინა და დაუფიქრებლად ჩავარდებოდა წყალსა თუ ცეცხლში. ახლა ხმა როგორი ჰქონდა?! გაბმულად ვერც კი ლაპარაკობდა, თითქოს გული ამოსჯდომიაო. მხოლოდ შორისდებულები ამოსდიოდა ყელიდან: „უჰ, უჰ! მაშ! აბა როგორ!“ და სხვა მსგავსი წამოძახილები, თანაც ხან იმ უცხო ენაზე ლაპარაკობდა, რომელზედაც ჩემი მეგზური შეეხმიანა, როცა ციხის გარეთ ვიყავით, ხან კი დამახინჯებულ ინგლისურზე გადადიოდა. ჩემი მეგზური კი ისე იღებდა ამ აღფრთოვანებულ შეძახილებს, როგორც ხელმწიფე, რომელიც ბავშვობიდან მიჩვეულია გაღმერთებასა და თაყვანისცემას: იგი უკვე აღარ აღელვებს მბრძანებელს, მაგრამ მაინც იღიმება, რომ ამით ხელმწიფური წყალობა მიანიჭოს ერთგულ ქვეშევრდომს. ჩემმა იდუმალმა მფარველმაც მოწყალედ გაუწოდა ხელი ციხის დარაჯს და ალერსიანად ჰკითხა:

- როგორ ხარ, დუგალ?

- უჰ, უჰ! - წამოიძახა დუგალმა, მერე ხმას დაუწია, შიშნეულად მიმოიხედა ირგვლივ და აწუწუნდა, - იჰ! აქ როგორ მოხვედით! ვაიმე, რა მოგივათ უფროსებმა, რომ გაიგონ, ინ ღიპიანმა ოლდერმენმა,[159] იმ საზიზღრებმა!

ჩემმა მეგზურმა ხელი მიაფარა პირზე და უთხრა:

- ნუ გეშინია, დუგალ! შენ არასოდეს მოგიწევს ჩემი გამომწყვდევა საპატიმროში.

- არ მომიხდება, რა თქმა უნდა, არ მომიხდება. უმალ ხელები მომტყდება ძირში. იქით როდის აპირებთ წასვლას. არ დაგავიწყდეთ ჩემი გაფრთხილება... მე ხომ თქვენი საწყალი ნათესავი ვარ, სულ ახლობლები ვართ, გარე ბიძაშვილები.

- როგორც კი დავიწყებ იმ საქმეს, მაშინვე შეგატყობინებ, დუგალ.

- თავს გეფიცებით, მეტყვით თუ არა, გინდა კვირა საღამო იყოს, მაშინვე თავ-პირში მივაყრი გასაღებებს ციხის უფროსს და გამოვიქცევი ან სხვა ოინს ჩავიდენ და მერე მეძებონ ორშაბათ დილას.

იდუმალმა უცნობმა მბრძანებლური ჟესტით შეაწყვეტინა დუგალს ლაპარაკი და კვლავ იმ უცნობ ენაზე (როგორც შემდგომში გამოვარკვიე, გელურ ენაზე) უთხრა რაღაც. ეტყობა, რაღაც დაავალა, რადგან დარაჯმა მაშინვე მორჩილად უპასუხა: როგორც მიბრძანებთ, ამ წუთშიო, და კიდევ რამდენიმე გაუგებარი სიტყვა დააყოლა თავის დაკვრით. შემდეგ მბჟუტავ ფარანს აუწია და მანიშნა გამომყევიო.

- თქვენ არ წამოხვალთ? - ვკითხე ჩემს მეგზურს და თვალი თვალში გავუყარე.

- არ არის საჭირო, - მშვიდად მომიგო მან, - ჩემთან შეიძლება მოგერიდოთ ყველაფრის თქმა. მე აქ დავრჩები და უკანდასახევ გზას დავიცავ.

- ვიმედოვნებ გაჭირვებაში მარტო არ დამტოვებთ!

- ყოველგვარ საფრთხესა და გაჭირვებას თქვენთან ერთად გავიზიარებ! მე თქვენზე გაცილებით მეტი საფრთხე მემუქრება! - ისე მტკიცედ მითხრა უცნობმა, რომ ეჭვის შეტანა ამ სიტყვების გულწრფელობაში შეუძლებელი იყო.

მედილეგემ ერთ-ერთი კარგი გააღო, მანიშნა შევსულიყავი და თვითონ უკან მომყვა. მეგონა, კარს დაკეტავდა, მაგრამ ღია დატოვა, გამასწრო და წინ გამიძღვა. მრგვალი კიბით ავედით ვიწრო და გრძელ ტალანში, რომელსაც უამრავი კარი ჰქონდა ჩარიგებული. მედილეგემ ერთ-ერთი კარი გააღო და პატარა ოთახისაკენ მიბიძგა. შემდეგ ფარანი იატაკზე დადგა, თვალით მანიშნა კუთხეში მდგომ პატარა სკამლოგინზე და ჩურჩულით მითხრა:

- აი, იქა წევს ის პატივცემული დიდბანოვანი პატიმარი.

„დიდბანოვანი?! ნუთუ დიანა ვერნონია გამომწყვდეული ამ ტანჯვისა და მწუხარების სამკვიდრებელში, თუ მედილეგეს დიდ-ბუნებოვანი უნდოდა ეთქვა და სწორად ვერ გამოთქვა ეს რთუ-ლი სიტყვა?“

საწოლს დავაკვირდი და მივხვდი, რომ ჩემი პირველი ვარაუ-დი მცდარი იყო, მაგრამ რატომღაც ისე ძალიან არ გამიხარდა. სკამლოგინზე მძინარე ადამიანი არც ახლგაზრდა იყო და არც ლამაზი. სახე თეთრი წვერით ჰქონდა დაფარული - ორი-სამი დღის მოუპარსავი იქნებოდა. თავზე წითელი ჩაჩი ეხურა. შევხე-დე თუ არა დავმშვიდდი: დიანა ვერნონის თავისუფლება საფ-რთხეში არ ყოფილა-მეთქი. შემდეგ, როცა პატიმარი ღრმა ძი-ლიდან გამოფხიზლდა, დაამთქნარა და თვალები მოიფშვნიტა, კარგად დავაკვირდი და ძალიან მეცნაურა. დიახ, ნამდვილად ის იყო, ჩემი საწყალი მეგობარი ოუენი! ცოტა ხნით ბნელ კუთხეში მივდექი, რომ მოხუცი გამოფხიზლებულიყო. ვიფიქრე, უცებ რომ დამინახოს ამ საშინელ საკანში, მოჩვენება არ ვეგონო და არა-ფერი დაემართოს-მეთქი.

უბედური პედანტი წამოიწია, ცალ ხელზე დაეყრდნო. მეორე-თი თავი მოიქექა და ნამძინარევი ხმით აჯაჯღანდა:

- გიცხადებთ, მისტერ დუგალ, თუ, არ ვიცი, როგორ გეძახიან, რომ თუ ასე შემოიჭრებით კანონით მონიჭებულ დასვენების სა-

ათებში, ბოლოს და ბოლოს ვეღარ მოვითმენ და ლორდ მერთან გიჩივლებთ.

დუგალი ველური მთიელიდა, რამდენიმე წუთის წინ თითქმის ყიჟინით რომ გამოხატავდა თავის აღტაცებას, კვლავ მკაცრ მედილეგედ გადაიქცა, ცივად მიუგო ოუენს: „შენისთაან ერთი შელტმენი უნდა ლაპარაკიო," ქუსლებზე შემოტრიალდა და სწრაფად გავიდა საკანიდან.

კარგა ხანი დამჭირდა, სანამ საწყალ ნამძინარევ პატიმარს გავაგებინე ვინ ვიყავი. როცა ბოლოს, როგორც იყო, მიცნო, ლამის გაგიჟდა: ეგონა, მეც დაპატიმრებული ვიყავი და აწუწუნდა.

- ო, მისტერ ფრენკ, როგორ დაიღუპეთ თავი, რა დღეში ჩააგდეთ თქვენი ფირმა. ჩემს თავს არა ვჩივი, მე, ასე ვთქვათ, მარტივი ციფრი ვარ, მაგრამ თქვენ კი, თქვენ ხომ საერთო ჯამი იყავით მამათქვენისათვის, მისი Omnium-ი[160]. პირველი კაცი უნდა ყოფილიყავით ფირმათა შორის უპირველესი ფირმისა. თანაც ეს ფირმა მსოფლიოს საუკეთესო ქალაქშია. ამის ნაცვლად კი საზიზღარ შოტლანდიურ საპატიმროში უნდა გამოგკეტონ. სადაც ჯაგრისსაც კი არ იძლევიან, რომ ტანსაცმელი გაიწმინდოს კაცმა.

ოუენმა გამწარებით დაუწყო წმენდა ოდესღაც გაკრიალებულ ყავისფერ მოსაცმელს, რომელიც ახლა საპატიმროს იატაკის ფერის ლაქებით იყო აჭრელებული. ეს უაღრესად სუფთა და ფაქიზი მოხუცი პატიმრობაზე უფრო უსუფთაობით იტანჯებოდა.

- ღმერთო დიდებულო, შენ მოიღე მოწყალება ჩვენზე, - აღარ ჩერდებოდა ოუენი, - რა ალიაქოთი ატყდება ბირჟაზე! ალმანზასთან[161] დამარცხების ამბავი, ხუთი ათასი კაცი რომ დაგვიხოცეს და დაგვიჭირეს და უამრავი ქონება წაგვართვეს, მონაგონი იქნება, როცა გამოცხადდება, რომ „ოსბალდისტონმა და ტრეშამმა" თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

როგორც იქნა შევაწყვეტინე მოთქმა-წუწუნი და ვუთხარი, პატიმარი არა ვარ-მეთქი. კითხვაზე, აქ როგორ მოხვდიო, გასაგე-

ბად ვერ ვუპასუხებდი, რადგან მე თვითონაც არ ვიცოდი, ამიტომ ვცდილობდი, თვითონ მელაპარაკებინა. ამ გზით ბოლოს ყველაფერი ვათქმევინე, რაც კი იცოდა, თუმცა ბევრი რამ მაინც გაურკვეველი დარჩა ჩემთვის. ოუენი, შენც ხომ კარგად იცი, შესანიშნავად იგნებდა გზას კომერციული საქმისწარმოების ლაბირინთებში, მაგრამ როგორც კი მის კედლებს გარეთ მოხვდებოდა, იბნეოდა და აღარ იცოდა, საით წასულიყო. აი, ყველაფერი რაც ოუენმა შემატყობინა:

როგორც ზევით მოგახსენე, მამაჩემი გაცხოველებულ კომერციულ საქმიანობას აწარმოებდა გლაზგოში. აქ იგი ორ ფირმასთან იყო დაკავშირებული. მამაჩემიცა და ოუენიც ამჯობინებდნენ „მაკვიტის, მაკფინისა და კომპანიის“ მესვეურებთან დაეჭირათ საქმე, რადგან ისინი ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდნენ, მოგებასა და საკომისიოებზე არ დავობდნენ და, რასაც მივცემდით, მადლობით იღებდნენ - რაც უნდა ცოტა დარჩენოდათ, ამბობდნენ, ჩვენი საწყალი ფირმისათვის ესეც საკმარისიაო, ხანდახან ამ მცირე მოგების მისაღებად ძალიან ბევრი უნდა ემუშავათ, მაგრამ არასოდეს დაიწუწუნებდნენ. პირიქით, მადლობას იტყოდნენ და დასძენდნენ, ვიცით, რომ ვერაფრით გადავიხდით ჩვენი პატივცემული ლონდონელი მეგობრების ამაგს, ჩვენ ხომ თქვენი მუდმივი ნდობისა და მფარველობის წყალობით გვიდგას სულიო.

მამაჩემის განკარგულებებს მაკვიტისა და მაკფინისათვის სპარსელთა და მიდიელთა მეფეების კანონთა ძალა ჰქონდა. ამ განკარგულებებს ისინი შეუპასუხებლად ატარებდნენ ცხოვრებაში. ასევე მორჩილად ასრულებდნენ ოუენის ბრძანებებს. ოუენი, კი, მოგეხსენება, როგორი წვრილმანი და ჭირვეული იყო საქმეში, მით უმეტეს, როცა ძალა-უფლებას ჩაიგდებდა ხელში. ალბათ სულს უწუხებდა საწყალ პროვინციელებს თავისი პედანტობით და ძალიან მოსწონდა, რომ „მაკვიტი და მაკფინი“ მის ყველა სურვილს ერთი თქმით ასრულებდა. ოუენი კმაყოფილი იყო, მაგრამ

მამაჩემი უფრო კარგად იცნობდა ადამიანებს, თანაც საქმეში სიცხადე და უბრალოება უყვარდა. ამიტომ ფირმის მესვეურთა მეტისმეტი მორჩილება და მაღალფარდოვანი სიტყვები, რომლითაც ისინი თავიანთ ერთგულებასა და უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავდნენ, ძალიან აეჭვებდა. ეს იყო მიზეზი, რომ მამაჩემი ყოველთვის მტკიცე უარს ამბობდა, შოტლანდიაში მხოლოდ მაკვიტი და მაკფინი ჰყოლოდა კორესპონდენტებად და სხვასთანაც ჰქონდა ურთიერთობა. ეს კორესპონდენტი სულ სხვა ყაიდის ადამიანი იყო: საკუთარი თავით კმაყოფილი, ეჭვიანი, ჭირვეული და ოუენივით კირკიმალა. თანაც ისევე ეჯავრებოდა ინგლისელები, როგორც მამაჩემს შოტლანდიელები და თხოულობდა, რომ ყოველი გარიგება სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ყოფილიყო დადებული. საქმეების გაფორმების წესებზეც საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდა, თანაც ისე ჯიუტად იცავდა ამ თვალსაზრისს, მთელი ლომბარდის ქუჩის საქმოსნები რომ დასეოდნენ, მიანც თავს გაიტანდა.

ყოველივე ეს აძნელებდა საქმიან ურთიერთობას ბატონ ნიკოლ ჯარვისთან. გამუდმებული კამათისა და უკმაყოფილების გამო ხან ჩვენი ფირმა აპირებდა კავშირის გაწყვეტას ურჩ აგენტთან, ხან თვითონ აგენტი ლამობდა, უფრო დამყოლი ფირმის მოძებნას, მაგრამ თანამშრომლობა ორივესთვის მომგებიანი იყო და საქმე საბოლოო კონფლიქტამდე არ მისულა. ოუენს ყოველთვის თავაზიანი და დამყოლი მაკვიტისა და მაკფინის მხარე ეჭირა და ყველანაირად ცდილობდა მამაჩემიც გადაებირებინა. ნიკოლ ჯარვის ისე არ ახსენებდა, რომ არ დაეყოლებინა, ის ყოყოჩი შოტლანდიელი ვაჭრუკანაო. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, ტრეშამ. ხომ გახსოვს როგორი თავმოყვარე იყო ჩვენი მეგობარი, როცა თავი მართალი ეგონა, შეკამათებას ვერ იტანდა.

თუ ყოველივე ამას გაითვალისწინებ (ეს ამბები ცოტა მოგვიანებით გავიგე), არც ის გაგიკვირდება, რომ ოუენმა შოტლანდიაში

ჩასვლისთანავე (იგი ორი დღის წინ ჩასულიყო) ძველ მეგობრებს - მაკვიტისა და მაკფინის მიაშურა დახმარების სათხოვნელად. სხვა გზა არ იყო, რეშლი რომ გაუჩინარდა, მამაჩემი ინგლისში არ იმყოფებოდა და ფირმის ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა. ოუენი ისეთი პატივისცემით მიიღეს ფირმის კანტორაში, გელოუგეიტის ქუჩაზე რომ მდებარეობდა, თითქოს ციდან ჩამოსული ღმერთი ყოფილიყო, მაგრამ, როცა ასეთი პატივისცემით გულაჩუყებულმა მოხუცებულმა ჩვენი ფირმის გაჭირვება შეატყობინა მასპინძლებს და რჩევა და დახმარება სთხოვა, სურათი შეიცვალა. მაკვიტის სახე მოეღრუბლა, მაკფინი კი მაშინვე გროსბუხს ეცა და ბუღალტერიის უსიერ ტყეში შეიჭრა ბალანსის შესადგენად.

ვაი რომ, იმ დღეს ციფრები ინგლისის სავაჭრო სახლის სამტროდ აღმდგარიყვნენ და, როგორც კი ეს გამოირკვა, ორივე შოტლანდიელი საშინლად მოიქუფრა.

ისინი მიხვდნენ, რომ ფირმას გაკოტრების საფრთხე ემუქრებოდა და დახმარების მაგივრად მკაცრად მოსთხოვეს ოუენს ან დაუყონებლივ გაგვისწორე ანგარიში ან რაიმე რეალური გარანტია მოგვეციო. ოუენს არც ერთი შეეძლო და არც მეორე და შოტლანდიელებმა მტკიცედ მოითხოვეს ფირმის მთელი დეპოზიტი, რომელიც სულ სხვა მიზნებისთვის იყო განკუთვნილი.

ოუენმა აღშფოთებით უარყო ეს მოთხოვნა და განაცხადა, ეს შეუძლებელი, რადგან ოსბალდისტონს და ტრეშამს კრედიტორებიცა ჰყავს და ყველას თანაბრად უნდა გაუნაწილდეს ფირმის ქონებაო. გარდა ამისა, დასძინა ოუენმა, ასეთი წინადადების წამოყენება ჩვენი ფირმის ხელმძღვანელების საშინელი შეურაცხყოფაა და ნათლად ადასტურებს, რომ თქვენ ფრიად დაუნახავები და უმადურები ყოფილხართ.

შოტლანდიელმა პარტნიორებმა შარი მოუდეს, შეურაცხყოფა მოგვაყენაო (მტყუანი ყოველთვის ახერხებს ჩხუბის საბაბის პოვნას), საშინლად გაცხარდნენ და ისეთ უკიდურეს ღონისძიებას მი-

მართეს ოუენის დასასჯელად, რომელსაც არც ერთი პატიოსანი და კარგად აღზრდილი ადამიანი არ იკადრებდა.

ოუენს, როგორც საერთოდ მიღებულია, მცირე პაი ჰქონდა შეტანილი ჩვენს ფირმაში და ამიტომ ისიც ამ შოტლანდიური ფირმის მოვალედ უნდა ჩათვლილიყო. მაკვიტიმ და მაკფინიმ შოტლანდიური კანონი მოიშველიეს და ოუენი დააპატიმრებინეს. ამ კანონით სესხის მიმცემს მაშინა აქვს მოვალის დაპატიმრების უფლება, როცა ეს უკანასკნელი ქვეყნიდან გასვლას აპირებს. ამ ბატონებმა უსინდისოდ დაიფიცეს, ოუენი შოტლანდიიდან გაპარვას აპირებსო და მოხუცი ციხეში ჩააგდეს, რათა, ჯერ ერთი, თავიანთი ძლიერება ეჩვენებინათ, და რაც მთავარია, ამით აეძულებინათ, რომ მათ წინადადებას დათანხმებოდა. აი, ამ საბაბით გამოუმწყვდევიათ საწყალი ოუენი საკანში წინა დღით!

ასეთი საშინელი ამბავი გავიგე, როცა ასე უცნაური გზით აღმოვჩნდი ციხის საკანში იმ გვიან ღამით. რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ვეკითხებოდი საკუთარ თავს და პასუხებს ვერ ვპოულობდი. მივხვდი, რომ საშინელი საფრთხე გვემუქრებოდა, მაგრამ ხსნის გზას ვერა ვხედავდი.

აშკარად რომ დამეცვა ოუენი, უეჭველია მეც დამაპატიმრებდნენ. ხომ გამაფრთხილეს, სახლიდან ნუ გახვალთ! ოუენის სიტყვების სიმართლეში ეჭვი არ შემპარვია: შოტლანდიელი ერთ ფართინგსაც არ შეარჩენს ინგლისელს, მაშინვე კანონის სათანადო მუხლს მოიშველიებს, ცოლშვილიანად და მსახურებიანად გამოკეტავს სატუსაღოში და თუ იმ დროს მოვალეს სტუმრები ყავს სახლში, იმათაც მიაყოლებსო. მოვალეებს ისე მკაცრად სჯის თითქმის ყველა ქვეყნის კანონი, რომ ოუენის სიტყვების სიმართლეში ეჭვი არ შემპარვია; ჩემი დაპატიმრება კი სასიკვდილო ლახვარს ჩასცემდა ისედაც სულთმობრძავ ფირმას.

ბევრი ვიფიქრე რა მეღონა, მაგრამ საშველი არ ჩანდა. ბოლოს ისე, სხვათა შორის, ვკითხე ოუენს, იმ მეორე გლაზგოელ

კორესპონდენტს, მისტერ ნიკოლას ჯარვის ხომ არ შეატყობინე ჩვენი გაჭირვება-მეთქი.

დიახ, შეუტყობინებია! იმ დილას გაუგზავნია ბარათი, მაგრამ თუკი გელოუფეიტელმა თავაზიანმა და დამთმობმა ჯენტლმენმა ამ დღეში ჩააგდეს, „მარილის ბაზრის“ ბრიყვი ვაჭრისაგან, რა დახმარების იმედი უნდა ჰქონოდა?

- ამისთანა კაცი ცარიელი ჯამში ხელს არ ჩაყოფს, - მითხრა ოუენმა, - გინახავს სადმე, დალალი მუქთად დახმარებოდეს ვინმეს? ბარათი დილა ადრიან გადასცეს, როცა წირვაზე მიდიოდა, მაგრამ არც კი მიპასუხა.

ციფრების ერთგული მსახური თავის საცოდავ საწოლზე დაემხო და აქვითინდა:

- ო, ჩემო ძვირფასო, რა დღეში ჩავარდა ჩემი უბედური ბატონი! ო, მისტერ ფრენკ, სულ თქვენი ჯიუტობის ბრალია ყველაფერი! ღმერთო, მაპატიე, ისედაც სიკვდილის პირას არის მისული დარდით საცოდავი ბიჭი! რა ვუყოთ, ალბათ ასე ენება უფალს. ღვთის ნებას ვერავინ წაუვა!

შენ ხომ მაინც იცი, ტრეშამ, რომ ყოველგვარ გაჭირვებას ფილოსოფოსის სიმტკიცით ვხვდები, მაგრამ მაშინ თავი ვერ შევიკავე და მწარე ცრემლებით ავტირდი, რადგან მოხუცის სიტყვები გულში მომხვდა, ეს უბედურება, მართლაც, არ დაგვატყდებოდა თავს, ასე რომ არ გავჯიუტებულიყავი.

მოთქმა და ქვითინი რაღაც ბრახაბრუხმა შეგვაწყვეტინა. მაშინვე კიბის ბაქანზე გავედი, რომ ხმაურის მიზეზე გამეგო. ციხის კარს ვიღაცა მოსდგომოდა და აბრახუნებდა. მალე მედილეგის ხმა გავიგონე. იგი ხმამაღლა უპასუხებდა მოსულებს, მერე ჩურჩულით უთხრა რაღაც იმ კაცს, მე რომ მომიყვანა ციხეში.

- მოვდივარ, ახლავე მოვდივარ, - ხმამაღლა გასძახა მედილეგემ გარეთ და მერე კვლავ აჩურჩულდა: - ო, ჰონ-ა-რი, ჰონ-ა-რი! რა უნდა ვქნათ?! ზევით ადით და სასენახელი[162] შელტმე-

ნის საწოლის ქვეშ შეძვერით. მოვდივარ! მოვდივარ! ო, აჰელანაი! იქ ბატონი ოლდერმენია, ჩემი უფროსი და პოლიციელები! აი, კაპიტანიც ჩამოდის კიბეზე! ღმერთო, გვიშველე! ადით ზევით, თორემ თავზე წაგადგებათ! ვაღებ, ვაღებ, კლიტე სულ დაჟანგულია!

სანამ დუგალი ზლაზვნითა და ზოზინით აცლიდა კარს ურდულებს და კლიტეებს, რომ გაბრაზებული სტუმრები შემოეშვა, ჩემმა მეგზურმა სწრაფად ამოირბინა რკინის სპირალური კიბე და ოუენის საკანში შევარდა. მეც მაშინვე მივბაძე მის მაგალითს. მან სწრაფად მოავლო თვალი იქაურობას, ეტყობოდა, რომ დასამალ ადგილს ეძებდა და, როცა ვერ იპოვა, მითხრა:

- მათხოვეთ თქვენი დამბაჩები... თუმცა, არა, არ მინდა, ესეც იოლად გავალ, ოღონდ დაიმახსოვრეთ: რაც უნდა მოხდეს, ყურადღება არ მიაქციოთ და არ ჩაერიოთ. ამ საქმეს მე უნდა მოვუარო. ამისთანა გაჭირვება ხშირად დამდგომია, ამისთანა კი არა, უარესიც!

უცნობმა ვიწრო კამზოლი გადაიხადა, ოდნავ უკან გადაიზნიქა და კამარის შესაკრავად მომზადებული ცხენივით მიაჩერდა საკნის კარს. მივხვდი რომ კარი გაიღებოდა თუ არა, გარეთ გავარდებოდა და ქუჩისაკენ გაიკვლევდა გზას. ისე იყო დაძაბული, ისეთი თვალებით ელოდა კარის გაღებას, რომ წამით არ გამივლია გულში, აქედან ვერ გააღწევს-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავდა და გაუჩინარდებოდა, თუ უკიდურეს ღონისძიებას არ მიმართავდნენ შესანარჩუნებლად.

გაისმა ციხის კარის ჭრიალი. ორიოდე მტანჯველი წუთის შემდეგ ჩვენი საკნის კარიც გაიღო და ზღურბლს ხიშტებით, ხელკეტებით, შუბებითა და ალებარდებით შეიარაღებული ღამის პატრულის ნაცვლად ახალგაზრდა სანდომიანმა ქალმა გადმოაბიჯა. ქალს ხელით ნაქსოვი შალის ქვედატანის კალთები აეკეცა, რომ ტალახში არ ამოსვროდა, ხელში ანთებული ფარანი ეჭირა. უკან

ვიღაც დარბაისელი მამაკაცი მოჰყვებოდა, დაბალი ჩაგოდრებული და გაბღენძილი. მალე გამოირკვა, რომ ჰქონდა კიდეც ამის უფლება - ქალაქის მაგისტრატის წევრი ყოფილა, ოლდერმენი, და, რა თქმა უნდა, გაიბღინძებოდა. ოლდერმენი პარიკის კულულებს ისწორებდა და დაღლილობისა და სიბრაზისაგან ძლივს ითქვამდა სულს.

ჩემმა მეგზურმა ოლდერმენის დანახვაზე უკან დაიხია, თითქოს დამალვაც დააპირა, მაგრამ კანონიერების მცველმა შემოსვლისთანავე მოავლო მოჭუტული თვალები საკანს და, რა თქმა უნდა, მაშინვე დაგვინახა; დაგვინახა, მაგრამ ჯერ კაპიტან მიუტრიალდა, რომელიც საკნის კარებთან შეჩერებულიყო.

- საუცხოოა, კაპიტანო სტენჩელზ, შესანიშნავია! მაშ, მთელი ნახევარი საათი უნდა ვიყურყუტო კართან, არა! მესმის, რომ ციხიდან გამოსასვლელად ამტვრევდეს კაცი კარს, მე კი შემოსვლაზე დამჭირდა ასეთი ამბის ატეხა, ეს კიდევ რა ოინებია, ეს რასა ჰგავს? ციხე უცხო ხალხით არის სავსე ამ შუაღამისას, თანაც კვირა დღეს! ამას არ გაპატიებ, სტენჩელზ, იცოდე, არ გაპატიებ! ჩაკეტე კარი, ახლავე მოველაპარაკები ამ ჯენტლმენებს. ოღონდ ჯერ ჩემი ძველი ნაცნობი უნდა მოვიკითხო. როგორ ბრძანდებით მისტერ ოუენ, ეს რა დაგმართვია, ადამიანო?

- გმადლობთ, მისტერ ჯარვი, ჯანზე კარგადა ვარ, საქმეები მაქვს ცუდად.

- გასაგებია, გასაგებია. ძნელი გადასატანია, ამისთანა უბედურება, მით უმეტეს ისეთი კაცისათვის, ვისაც ცხვირის მაღლა აწევა უყვარს. ასეთია ადამიანის ბუნება. ეჰ, ბედია, რას იზამ, ყველა შეიძლება ჩავარდეს ამ დღეში. მისტერ ოსბალდისტონი კარგი კაცია, პატიოსანი სანდო, მაგრამ წინდაუხედავი: ოქროს მთებს ეპოტინებოდა და საკუთარი ქოხიც დაკარგა. რას იზამ, ეგეთი ხასიათი აქვს, ამბობს, „თუ იყოს იყოს, თუ არა წყალმა რიყოსო“. მამაჩემი, უსტაბაში, ხშირად მეტყოდა ხოლმე: ნიკ, პატარა ნიკ

(მამასაც ნიკოლი ერქვა და ხალხი მე პატარა და იმას დიდ ნიკს ეძახდა), ჰოდა, მეუბნებოდა, ნიკ, ფონი წყალში შესვლამდე მოძებნე, თორემ მერე ვეღარ იპოვი და დაიხრჩობიო. მეც სულ ამას ვუჩიჩინებდი მისტერ ოსბალდისტონს, მაგრამ რომ არ მისმენდა! მე გულით ვეუბნებოდი, კარგი მინდოდა მაგისთვის...

მისტერ ჯარვის ამ გრძელი სიტყვის მოსმენის შემდეგ თითქმის სულ დამეკარგა მისი დახმარების იმედი. იმის მაგივრად, რომ ვენუგეშებინეთ, თავს იქებდა, ისეთი შორსმჭვრეტელი ვარ, ადრევე ვიცოდი, ამ დღეში რომ ჩავცვივდებოდით. ცოტა ხნის მერე გამოირკვა, რომ ვცდებოდი, თურმე ოლდერმენი კეთილი, გულიანი კაცი ყოფილა და ის საყვედურები და თავის ქება მისი უტაქტობისათვის უნდა მიმეწერა. როცა ოუენმა განაწყენებით უთხრა, განა ახლა ჭკუის სწავლებისა და საყვედურების დროაო, შოტლანდიელმა მხარზე ხელი გადახვია და გაამხნევა:

- ყოჩაღად, ყოჩაღად, ცოტა დამაცადეთ! ნუ გგონიათ, ამ შუაღამისას იმიტომ მოვედი (თანაც კინაღამ უქმე გავტეხე), რომ ძველი ცოდვები გაგიხსენოთ? ნუ გეშინიათ, ოლდერმენი ჯარვი ეგეთი კაცი არ არის და არც მამამისმა, პატივცემულმა უსტაბაშმა, არ იცოდა ძველის წამოყვედრება. რას ამბობთ, კაცო, ეგ რა გიფიქრიათ?! მე წესადა მაქვს კვირაობით სოფლის საქმეებზე არ ვიფიქრო, მაგრამ დილით თქვენი ბარათი რომ მივიღე, მთელი დღე იმაზე ვფიქრობდი და თითქმის არაფერი გამიგია ქადაგებიდან. კვირა საღამოს ყოველთვის ათ საათზე ვწვები ჩემს ყვითელ ფარდებიან საწოლში, თუ მეზობელთან არა ვარ მიპატიჟებული თევზზე, ან მეზობელი არ მოვიდა ჩემთან. აი, ამ ქალიშვილს ჰკითხეთ და გეტყვით, თუ მართლა ასეთი წესი არ არის შემოღებული ჩემს ოჯახში. დღეს კი, აღარ დავიძინე, მთელი საღამო ვიჯექი, წიგნებს ვკითხულობდი და ისე ვამთქნარებდი, რომ წმინდა ენოქის ტაძარი ჩამეტეოდა პირში. ბოლოს, როგორც იქნა, თორმეტჯერ დარეკა საათმა და მომეცა უფლება გადამეშალა გროს-

ბუხი, რომ ჩვენი ანგარიშები გამერკვია. მერე, რადგანაც დრო და ზღვის მიმოქცევა არ იცდის, ამ გოგონას ვუბრძანე ფარანი აენთო და ნელ-ნელა გამოვწიე თქვენკენ, რათა მოგვესაუბრა ჩვენ საქმეზე და რაიმე სახსარი გვეპოვა. ოლდერმენ ჯარვის ვერავინ დაუშლის ციხეში შემოსვლას, გინდა დღე იყოს გინდა ღამე. ასეთივე უფლება ჰქონდა თავის დროზე მამაჩემს, უსტაბაშს, რადგან დიდად საპატიო კაცად ითვლებოდა, კეთილი იყოს მისი ხსოვნა!

ოუენმა ისე მწარედ ამოიგმინა გროსბუხის ხსენებაზე, რომ მივხვდი, მისტერ ჯარვის ვალიც გვექნებოდა. პატივცემული ოლდერმენის კილოში გამჭრიახობა და სიფრთხილით გამოწვეული აღტაცება გამოსჭვიოდა, მაგრამ ამავე დროს ვიგრძენი, რომ სტუმარს გულწრფელად აწუხებდა ჩვენი მძიმე მდგომარეობა და დახმარების იმედი მომეცა.

მან რაღაც საბუთების გადათვალიერება მოისურვა, როცა ოუენმა მოუძებნა, სწრაფად გამოსტაცა ხელიდან, საწოლზე ჩამოჯდა და სიამოვნებით ამოილაპარაკა, „ძლივს არ დავასვენე ტლოკებიო“. შემდეგ მოახლე ქალს ანიშნა, ფარანი მომინათეო და ყურადღებით შეუდგა საბუთების კითხვას. დროდადრო ხვნეშოდა და ბუზღუნებდა - ხან სინათლე ეცოტავებოდა, ხან საბუთების შინაარსი არ მოსწონდა.

როცა ჩემმა მეგზურმა დაინახა, რომ ოლდერმენმა თავი საბუთებში ჩარგო, საკნიდან გასვლა მოინდომა - მანიშნა, ხმა არ ამოიღოო და ის იყო, ფეხაკრეფით დაიძრა კარისაკენ, რომ კანონის ფხიზელი მცველი, რომელიც სულ არა ჰგავდა ჩემს ძველ ნაცნობს, მისტერ ინგლვუდს, იმწამსვე მიუხვდა განზრახვას და კაპიტანს გასძახა:

- კარებს მიხედეთ, სტენჩელზ! მოხურეთ, ურდული გაუგდეთ და მანდ იდექით!

უცნობი მოიქუფრა და შევატყვე, რომ ძალით აპირებდა გზის გაკვლევას, მაგრამ მცველებმა სწრაფად მოაჯახუნეს კარი და

შიგ მძიმე ურდული გაუდგეს. მან რაღაც წაიბუტბუტა გველურად და საკანში ბოლთის ცემას მოჰყვა. შემდეგ, ეტყობა იფიქრა, გულს რომ შევასკდე მაინც ვერაფერს გავხდებიო, მუხის მაგიდაზე ჩამოჯდა და შოტლანდიური საცეკვაოს სტვენა დაიწყო.

მისტერ ჯარვი, როგორც ჩანდა, კარგად ერკვეოდა კომერციულ საქმეებში. მან საბუთები გვერდზე გადააწყო და ოუენს მიუბრუნდა:

- დიახ, მისტერ ოუენ, დიახ. მაკვიტისა და მაკფინის მართლაც, ეკუთვნით თქვენგან გარკვეული თანხა. სინდისი როგორ არა ქენჯნით, მაგ ღორებს! განა ათჯერ მეტი არ მოიგეს გლენკაილზიხატის მუხნარის საქმეში, ის ტყე ხომ მე გამომგლიჯეს პირიდან და თქვენ, მისტერ ოუენ, მახსოვს, იმათ დაუჭირეთ მხარი, მაგრამ ახლა აღარ გაგიხსენებთ. მაშასადამე, სერ, თქვენ ფირმას გარკვეული თანხა მართებს იმათი, ამიტომ და კიდევ იმის გამო, რომ სხვა კონტრაქტების შესრულებას საფრთხე არ დამუქრებოდა, ჩვენს კეთილ სტენჩელზს ჩააბარეს თქვენი თავი. აი, ასეა საქმე, სერ! თქვენ მათი მოვალე ხართ და შესაძლებელია, სხვისიც გმართებთ რამე. შესაძლებელია, ოლდერმენ, ნიკოლ ჯარვისაც ერგება თქვენგან რაღაც.

- არ უარვყოფ, სერ, რომ დღეისათვის, შესაძლებელია, თქვენი ვალი გვქონდეს, მაგრამ გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ...

- ახლა მისტერ ოუენ, მე იმისი დრო არა მაქვს, რომ რაიმე გავითვალისწინო. კვირა ეს-ეს არის დამთავრდა, მე კი ამ შუაღამისას, ამ ნესტიან ამინდში ვზივარ აქ. ჩემი თბილი ლოგინიდან ხუთი მილის დაშორებით და გინდათ, რომ დავჯდე და ანგარიში დავიწყო? ის კი უდავოა, სერ, რომ ჩემი ფული გმართებთ. ცოტაა ეს ვალი თუ ბევრი ახლა ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი მოვალე ხართ. და რადგან ასეა, მე ვერ მომიფიქრებია, რანაირად მოახერხებს თუნდაც თქვენისთანა მცოდნე და გამოცდილი კაცი ამ საქმის მოგვარებას, თქვენ ხომ იმისათვის

ჩამოხვედით გლაზგოში, რომ ანგარიში გაგესწორებინათ ჩვენთან (და დარწმუნებული ვარ გაასწორებთ კიდეც), მაგრამ თუ ციხეში დარჩით გამოკეტილი, რა უნდა გააწყოთ? აი, ამიტომ, სერ, თუ წარმოადგენთ judicio sisti[163], რომ შოტლანდიიდან არ გაიპარებით და პირველი გამოძახებისთანავე გამოცხადდებით სასამართლოში, ამ დილითვე გათავისუფლდებით სატუსაღოდან.

- თუკი ისეთი მეგობარი გამომიჩნდება, რომ თავდებად დამიდგება და აქედან გამომიხსნის, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს: ამით ჩვენ ფირმასაც მოვუტან სარგებლობას და იმათაც, ვინც ფირამასთან არის დაკავშირებული.

- კეთილი, სერ, მაგრამ ეგ მეგობარი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თქვენ სასამართლოში გამოცხადდებით და მას თავდებობისაგან გაათავისუფლებთ.

- პირველივე გამოძახებისთანავე გამოვცხადდები, თუ ცოცხალი ვიქნები! - მტკიცედ მიუგო ოუენმა, - ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხია და...

- საკმარისია, მისტერ ოუენ, - შეაწყვეტინა გლაზგოს პატივცემულმა მოქალაქემ, - მე თქვენ გენდობით და ამის საბუთსაც მოგართმევთ. მე წესიერი და მშრომელი ადამიანი ვარ, რაშიაც მთელი ქალაქი დამემოწმება. შემიძლია საკუთარი შრომით მივიღო ჩემი კრონები და მარილის ბაზარზე ვივაჭრებ თუ გელოუგეიტთან, არავის არ ეკითხება. ამ კრონებს არც არავის შევარჩენ და არც სხვისი მინდა რაიმე. მე მამაჩემივით, პატივცემული უსტაბაშივით, ფრთხილი და წინდახედული კაცი ვარ და ჩემს მონაგარს ვუფრთხილდები, მაგრამ იმას ვერ ავიტან, რომ პატიოსანი და წესიერი ჯენტლმენი, რომელიც ასე კარგად ერკვევა კომერციაში, ცდილობს ყველას სამართლიანად მოექცეს, აი, ასეთი ჯენტლმენი რომ ციხეში იყოს და ვერც თავის თავს არგოს რაიმე და ვერც სხვას, ამას ვერ ავიტან! მე თვითონ დაგიდგებით თავდებად, მე თვითონ, ოღონდ დაიმახსოვრეთ - მხოლოდ თქვენს გა-

მოცხადებაზე ვაგებ პასუხს! ეს იქნება judicio sisti, როგორც ჩვენი ქალაქის მმართველობის მდივანი ამბობს ხოლმე და არა judicatum solvi. ძალიან გთხოვთ, არ დაივიწყოთ. მათ შორის ძალიან დიდი განსხვავებაა!

მისტერ ოუენმა მიუგო, ჩვენი ფირმის საქმე ისეა, რომ ვერც კი გავბედავ, ვინმეს ვთხოვო ვალის გადახდის თავდებობა იკისროს, ხოლო თქვენ არავითარი საფრთხე არ გემუქრებათ: პირველსავე ოფიციალურ გამოძახებაზე სასამართლოში გამოვცხადდები და თავდებობისაგან გაგათავისუფლებთო.

- მჯერა, მჯერა, მეტი ლაპარაკი აღარ არის საჭირო. დილით თავისუფალი იქნებით. ახლა კი ვნახოთ, რას იტყვიან თქვენი ამხანაგები, მე მინდა გავიგო, რა ხრიკებით შემოაღწიეს ამ შუაღამისას ციხის საკანში.

თავი XXIII

საღამოს შინ რომ დაბრუნდა,
ქმარს ხასიათი წაუხდა:
მოულოდნელად ოჯახში
უცნობი კაცი დაუხვდა:
„ქალბატონო, - მიმართა, -
ვეღარ მიყურებ თვალებში,
ამ გლეხს კარს როგორ უღებდი
ჩემი ნებართვის გარეშე!..“

ძველებური სიმღერა.

მაგისტრატის წევრმა მოახლეს ფარანი გამოართვა და საკნის დათვალიერებას შეუდგა. რომ შევხედე, დიოგენი გამახსენდა: ისიც ხომ ფარნით დადიოდა ათენის ქუჩებში და ნამდვილ ადამიანს ეძებდა, თუმცა წინასწარ იცოდა, რომ ვერ იპოვიდა. მე მგონი, მისტერ ჯარვისაც ამ დიდი ცინიკოსივით ჰქონდა გადაწყვეტილი იმედი, რომ რაიმე ღირსშესანიშნავს აღმოაჩენდა ამ საკანში, როცა ხელში ფარანი აიღო და ჩემს უცნაურ მეგზურს მიანათა სახეზე. იგი, როგორც მოგახსენე, მაგიდაზე იჯდა, სახეზე სიმტკიცე და შეუპოვრობა ეწერა, ხელები გამომწვევად დაეკრიფა მკერდზე, თვალები კედლისათვის მიეშტერებინა, უზრუნველად უსტვენდა ქუსლს მაგიდის ფეხზე უკაკუნებდა მელოდიის ტაქტზე. მისტერ ჯარვი ყურადღებით ჩააჩერდა თვალებში, მაგრამ უცნობ-

მა ისეთი მშვიდი და გულგრილი მზერა შეაგება, რომ გამოცდილი და დაკვირვებული ოლდერმენი დაიბნა და ალუღლუღდა:

- აა, ოო, ნუთუ? ღმერთმანი, წარმოუდგენელია, თუმცა, რა ვიცი? არა, შეუძლებელია და მაინც... აი, შე ყაჩაღო, შენ ხომ სატანა ხარ ქაჯი, მიწრიელი, ყოველივე ბოროტების სათავე! ნუთუ მართლა შენ ხარ?!

- როგორც ხედავთ, ოლდერმენო, - მოკლედ მიუგო უცნობმა.

- მართლა შენ ხარ, თუ აქ ჯადოქრობას არა აქვს ადგილი!.. და შენ, შე სახრჩობელას კერძო, როგორ გაბედე გლაზგოს საპყრობილეში შემოსვლა?! არ იცი რამდენადაა შეფასებული შენი თავი?!

- ჰმ, კარგა ბლომად. ზუსტად რომ ავწონო ჰოლანდიურ სასწორზე ერთი პროვოსტრის[164], ოთხი მოსამართლის, ქალაქის მდივნის, ექვსიოდე ოლდერმენისა და რამდენიმე მსაჯულის თავი გადასწონის და კიდევ...

- აი, შე თახსირო, შე გაიძვერავ! - შეაწყვეტინა ოლდერმენმა; - მოინანიე შენი ცოდვები და სასჯელისათვის მოემზადე, ხომ იცი, ერთი ხმა რომ ამოვიღო...

- მართალს ამბობ ოლდრემენო, მაგრამ შენ ხმას არ ამოიღებ, - უთხრა უცნობმა, გულზე დაკრეფილი ხელები ჩამოუშვა და მშვიდად მიაშტერდა თვალებში მისტერ ჯარვის.

- ვითომ რატომ არ ამოვიღებ, სერ? - შესძახა კანონის დამცველმა, - რატომ გგონიათ, რომ გავჩუმდები მიპასუხე!

- სამი მნიშვნელოვანი გარემოების გამო, ოლდერმენო ჯარვი: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძველი ნაცნობები ვართ, მერე, იმ დედაბრის ხათრი და მორიდება შეგაჩერებს, სტუკავრალახანში რომ ცხოვრობს და ახლა ალბათ ღუმელთან ითბობს ბებერ ძვლებს. ის ხომ ორივე ჩვენთაგანის ნათესავია, სისხლით ნათესავი, თუმცა არ იფიქრო, რომ ძალიან ვამაყობ ამით. აბა, სად უნდა ვთქვა, რომ ჩემს სისხლსა და ხორცს დღე და ღამე ან საანგა-

რიშო დავთარში აქვს თავი ჩარგული, ანდა უბრალო ხელოსანივით დასტრიალებს თავს მაქოებსა და თითისტარებს! და ბოლოს, იმიტომ არ ამოიღებ ხმას, ოლდერმენო, რომ ვერ მოასწრებ! პირს გააღებ თუ არა ტვინს მიგასხმევინებ კედელზე.

- თქვენ თავხედი არამზადა ბრძანდებით, სერ, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ მუქარისა არ მეშინია და რასაც მინდა იმას გავაკეთებ!

- მე შესანიშნავად ვიცი, რომ თქვენს ძარღვებში კეთილშობილი სისხლი ჩქეფს და არ მინდა, ნათესავზე აღვმართო ხელი, მაგრამ აქედან ან ისევ თავისუფალი გავალ როგორც შემოვედი, ან გლაზგოს ციხის კედლებს სამუდამოდ დააჩნდება ჩემი ბრძოლის კვალი.

- კარგი, კარგი, - მოლბა ოლდერმენი, - სისხლი წყალი არ არის, რომ არ გავუფრთხილდეთ. მეგობრებმა და ნათესავებმა ერთმანეთი უნდა გაიტანონ. სტუკავრალახანელი დედაბერი გადაირევა ვინმემ რომ უთხრას, ერთმა შენმა ნათესავმა თავი გაუხეთქა მეორესო ან იმ მეორემ საკუთარ სისხლსა და ხორცს თავი სახრჩობელის ყულფში გააყოფინაო. ოღონდ უნდა აღიარო, შე ჯიუტო ქაჯო, რომ სხვას უშენოს არ დავინდობდი! ნათესავი არ იყო, შოტლანდიის პირველი ყაჩაღი და ამწიოკებელი ხელთ მეყოლებოდა!

- ჰო, ალბათ ძალიან შეეცდებოდი, ძვირფასო ბიძაშვილო, მაგრამ არ ვიცი, რა გამოგივიდოდა, ჩვენ მოხეტიალე მთიელები, ჯიუტი და თავნება ხალხი ვართ, როცა ბორკილებზე ჩამოვარდება ლაპარაკი. ვიწრო ტანსაცმელი, რიყის ქვის შარვლები და რკინის წვივსაკრავები არ გვიყვარს.[165]

- არ გიყვართ, ძვირფასო, მაგრამ მაინც ჩაგაცმევენ და კისერსაც დაგიმშვენებენ წნელის ყულფით. თქვენსავით ჯერ არვის აუწიოკებია ცივილიზებული ქვეყანა. არც შინაურს ინდობთ, არც

გარეულს, მაგრამ შენც მოგივლიან, როცა იქნება. არ შეგრჩება ამდენი ძარცვა-გლეჯა.

- შენ რა, შენი ამბავი რომ ვიცი, ძაძებს ჩაიცვამ!

- ქაჯმა და ეშმაკმა ჩაიცვას შენზე ძაძები, ყორნებსა და ჭილ-ყვავებს კი უკვე აცვიათ . ახლა ეს მითხარი, ის ათასი გირვანქა სად არის, საკუთარ ხელში რომ მოგეცი. როდის უნდა დამიბრუ-ნო?

- სად არი? - ჩაფიქრდა ყაჩაღი. - თითქოს გამახსენდა: იქ, სა-დაც შარშანდელი თოვლია!

- ესე იგი, სკეჰაილიონის მთის წვერზე, არა, შე ვერაგო, შე გა-იძვერა მელავ! - გაცეცხლდა მისტერ ჯარვი. - მე კი იმედი მაქვს, აქვე, აი ახლავე გადამიხდით.

- ჰო! მე რომ ჯიბეში არც თოვლი მაქვს და არც ოქრო? რო-დის დაგიბრუნებთ: როდის და „როცა ჭიანჭველი ზურგით მა-რილს მოიტანს“.

- არა ვარგა ეგრე რობინ, არ ვარგა. შენ უსინდისო და მოღა-ლატე ხარ! ნუთუ კვლავ კათოლიკობა გინდა დააბრუნო ქვეყანა-ში, ეგ მოძალადეების სარწმუნოება?! ის თვითმარქვია უნდა და-ვისვათ თავზე თავისი ბერებიანად და აბატებიანად?! მოგენატრა საცეცხლურის ხრჩოლვა და ზარ-ზეიმიანი წირვა-ლოცვა? ჯანდა-ბას შენი თავი, ისევ ძარცვე ხალხი, შავი ბაჟი აკრიფე, იქურდე, ოღონდ ერს ნუ დაღუპავ!

- მორჩი, ადამიანო, ნუ იმეორებ ვიგების მოგონილ აბდაუბ-დას! - შეაწყვეტინა მთიელმა,- მადლობა ღმერთს, დღეს არ გაგ-ვიცნია ერთმანეთი. მე თვალს დავიჭერ, რომ შენი კანტორა არ დააცარიელონ, როცა ქვედატანში გამოწყობილი ვაჟკაცები[166] ჩამოვლენ გლაზგოში, დუქნების დასასუფთავებლად. მანამდე კი, ნიკოლ, ეცადე იშვიათად შემხვდე. თუ საჭირო იქნება, მე თვითონ გნახავ. თუმცა ვინ იცის, შენ ისეთი სამსახური გაქვს, რომ შეიძ-ლება, ჩემი სურვილის გარეშეც მოგვიხდეს შეხვედრა.

- უსირცხვილო ყაჩაღი და გაიძვერა ხარ, რობ, ოდესმე მაინც ჩამოგკიდებენ სახრჩობელაზე. რას გაიხარებს მთელი ქვეყანა! მაგრამ სხვის ბედაურს მაინც ჩემი ჯაგლაგი მირჩევნია და არას დაგიშავებ, თუ, რა თქმა უნდა, სხვა გამოსავალი არ იქნა, ამ მოვალეობამ არ მაიძულა. ხომ იცი, თავის მოვალეობას ვერავინ გაექცევა! ეს ვინ ეშმაკია კიდევ აქ? - იკითხა ოლდერმენმა და ამხედ-დამხედა. - ესეც შენი ყაჩაღი იქნება, ასე არ არის? ზედ ეტყობა, რომ ძარცვა-გლეჯის მეტი არაფერი იცის. კისერი კი გრძელი ჰქონია, ყულფი კარგად მოერგება.

- ოხ, რას ამბობთ, ჩემო კეთილო ბატონო, - უთხრა ოუენმა, რომელიც ჩემსავით გაოცებული უსმენდა ამ უცნაური ნათესავების უცნაურ საუბარს, - ეს ჭაბუკი ხომ მისტერ ფრენკ ოსბალდისტონია, ჩვენი ფირმის უფროსის ერთადერთი შვილი. ჩვენთან უნდა დაეწყო სამსახური, მაგრამ ეს ბედნიერება, რეშლი ოსბალდისტონს ხვდა წილად (ოუენმა ამ სიტყვებს მწარე ამოოხვრა ამოაყოლა), თუმცა, ასეა თუ ისე...

- ჰო, ვიცი, მითხრეს მაგის უქნარობის ამბავი, - შეაწყვეტინა შოტლანდიელმა ვაჭარმა,- გავიგე, რომ თქვენი უფროსი აუხირდა, გინდა თუ არა ვაჭარი უნდა გამოხვიდეო (რა სულელი მოხუცი ყოფილა). ამ ყმაწვილს კი ხელის განძრევა ესიკვდილებოდა და მოხეტიალე მსახიობობა ამჯობინა კომერსანტობას. დიდებული ხელობაა, სერ! მოგწონთ ხომ თქვენი ნამოქმედარი? ახლა, როგორ გგონიათ, სერ რომელი იკისრებს მისტერ ოუენის თავდებობას, ჰამლეტი - დანიის პრინცი, თუ მამამისის აჩრდილი?!

- დაცინვა არ დამიმსახურებია, მაგრამ არა უშავს, - მივუგე მე, - თქვენ ისე დაეხმარეთ მისტერ ოუენს, ეგ სიტყვები აღარ მწყინს. მხოლოდ იმისთვის ჩამოვედი, რომ ფირმის საქმეების მოწესრიგებაში დავეხმარებოდი მისტერ ოუენს. ხოლო ვაჭრობა რომ არ მიყვარს, არავის საკითხავი არ არის. ჩემი საქმის მე ვიცი!

- ეს ბიჭი ცოტათი მაშინაც მომწონდა, როცა სულ არ ვიცნობ-დი და, თურმე, არა ვცდებოდი. ნახეთ, როგორ არ ჰყვარებია ეს ფეიქართა და მრთველთა მოდგმა! - ჩაილაპარაკა რობინმა.

- შენ სულ გადარეულხარ, რობ, მარტის კურდღელივით ხარ გაცოფებული. ისე კი არ ვიცი, რატომ ცოფდება კურდღელი მარ-ტში. თუ გაცოფებაა, უფრო მარტინის[167] დღეს უნდა გაცოფ-დეს. ფეიქრებო?! ნეტავი ეშმაკმა შემოგარღვიოს ფეიქრების მოქსოვილი ტანსაცმელი რომ გაცვია ტანზე და მერე ილაპარა-კებდი ეგრე! მრთველები!.. თუმცა, რათ გინდა მრთველები, თვი-თონ ართავ შენს ჩამოსახრჩობ თოკს! ამ ყმაწვილსაც შენს გვერ-დით ჩამოაკონწიალებენ და მერე ერთად გაუდგებით ჯოჯოხეთის გზას! გგონია, კომედიები და ლექსები უშველის, შე ურჯულო? ერთი შენ გიშველის ფიცი-მტკიცი დამნაშავე არა ვარო, და ერთი მაგას თავისი რითმები და შეძახილები. იქნებ კეთილმა ტიტირ-მა[168], მგონი, ასე ეძახიან იმ მწყემსს, სად გაქრა რეშლი ოს-ბალდისტონი. ან იქნებ მაკბეტმა უშველოს და თავისი ყაჩაღებისა და მკვლელების დახმარებით უშოვოს ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი ვალის გადასახდელად! უკვე მოახლოვდა ვადა სულ ათი დღეღაა დარჩენილი. შენი მძარცველებიც რომ მიახმარო მაინც ვერაფერს გახდები! აბა, შეეცადე, რობ, იქნებ რაიმე გამო-ვიდეს. გამოიყვანე ყველა არამზადა აუქციონზე თავ-თავიანთი ხმლებით, ანდრეა-ფერარებით[169], ტყავის ფარებით, ბროგები-თა[170] და ტყავის ჩანთებით, ვნახოთ რამდენს მოგვცემენ!

- ათი დღეღაა დარჩენილი? - გავიმეორე მე, ჯიბიდან დიანა ვერნონის წერილი ამოვიღე და, რადგან უკვე დამდგარიყო წე-რილის გახსნის დრო, ბეჭედი გავტეხე. კონვერტში ორად გაკეცი-ლი დაბეჭდილი ბარათი აღმოჩნდა. ხელის კანკალით ამოვიღე იგი, მაგრამ წაკითხვა ვეღარ მოვასწარი: გატეხილი ფანჯრიდან ქარმა დაუბერა, ბარათი ხელიდან გამომტაცა და მისტერ ჯარვის

ფეხებთან დაადგაო. იგი ქაღალდს დასწვდა, მისამართი წაიკითხა, ჩემდა გასაოცრად, თავის ნათესავს გადააწოდა და უთხრა:

- ქარმა სწორედ მას მიუტანა ეს ბარათი, ვისაც ეკუთვნოდა, თუმცა სულ ადვილად შეიძლებოდა სხვის ხელში მოხვედრილიყო.

მთიელმა მისამართს დახედა და ბარათი გაშალა. ხელში წავეტანე და ვუთხარი, ნება მიბოძეთ დავრწმუნდე, რომ ბარათი თქვენ სახელზეა გამოგზავნილი, ისე წაკითხვის უფლებას არ მოგცემთ-მეთქი!

- დამშვიდდით, მისტერ ოსბალდისტონ! გაიხსენეთ მოსამართლე ინგლვუდი, მდივანი ჯობსონი, მისტერ მორისი და, ბოლოს თქვენი მორჩილი მსახური რობერტ ქოუმილი[171] და მშვენიერი დიანა ვერნონი. გაიხსენეთ ყველა ეს ხალხი და ეჭვი აღარ შეგეპარებათ, რომ ბარათი ჩემს სახელზეა გამოგზავნილი.

რა მიუხვედრელი ვყოფილვარ! ამ კაცის ხმა და სახე თავიდანვე მეცნო, მაგრამ აქამდე გულისხმაში ვერ ჩავვარდი. ახლა უეცრად ბინდი გადამეყარა გონებიდან: ჩემ წინ კემპბელი იდგა! ახლაღა ვიცანი ეს ძლიერი, ვაჟკაცური ხმა, სახის მკაცრი, მაგრამ სწორი ნაკვთები და შოტლანდიური კილო და სიტყვები, რომელსაც დროდადრო გამოურევდა ხოლმე ლაპარაკში (თუმცა, როცა ცდილობდა, სუფთა ინგლისურითაც ახერხებდა ლაპარაკს) და ამით რიხსა და გამომსახველობას მატებდა ნათქვამს. ტანად საშუალოზე დაბალი, მკვრივად ჩადგმული, მაგრამ საოცრად სხარტი და მოქნილი კაცი იყო. ისეთი განიერი მხარ-ბეჭი ჰქონდა, რომ სქელი გეგონებოდა. სინამდვილეში კი საკმაოდ გამხდარი გახლდათ. დაკუნთული, ღონიერი ხელებიც უსაშველოდ გრძელი მეჩვენა, თვითონ, როგორც შემდგომში გავიგე, ძალიან ამაყობდა ამით: როცა მთიელების ტალავარს იცვამდა, დაუღუნავად იკრავდა წვივსაკრავებს და ხმალსაც სხვაზე მარჯვედ და ღონივრად იქნევდა. ის ვეება მხრები და გრძელი ხელები რომ არა,

უნაკლო აღნაგობის ვაჟკაცად ჩაითვლებოდა, ისინი კი რაღაც ველურ, არაადამიანურ ელფერს აძლევდნენ. რომ ვუყურებდი, მაბელის ნაამბობი თქმულებები გამახსენდა: თურმე სწორედ ასეთები იყვნენ ძველი პიკტები, გრძელხელებიანები და ბეჭგანიერნი; მამაცები, მოხერხებულები და დაუნდობლები - მაბელის სიტყვით, ნახევრად ადამიანები, ნახევრად დემონები, უხსოვარ დროში რომ შემოესეოდნენ ხოლმე ნორთუმბერლენდს და ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ.

ჩვენი ძველი შეხვედრები გავიხსენე და დავრწმუნდი, რომ ბარათი მართლა მას ეკუთვნოდა.

რობერტ კემპბელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იმ იდუმალ პიროვნებათა რიგში, რომლებსაც ანგარიშს უწევდა დიანა ვერნონი და რომლებიც, თავის მხრივ, დიდად აფასებდნენ ამ ქალიშვილს. ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ასეთი მომხიბვლელი არსებისა და ამ თავგანწირული კაცის ბედი ერთმანეთს გადახლართოდა. ძალზე სამწუხარო იყო, მაგრამ რა უნდა მექნა.

რა დახმარება შეუძლია რობერტ კემპბელს? - დავუსვი საკუთარ თავს კითხვა და მაშინვე გამახსენდა, რომ რეშლი ოსბალდისტონმა ერთხელ მის ვერნონის თხოვნით სასწრაფოდ მოძებნა რობერტ კემპბელი, როცა ამ უკანასკნელის დახმარება გახდა საჭირო მორისის საჩივრის გასაბათილებლად. ნუთუ არ შეიძლება ახლა კემპბელმა იპოვოს რეშლი? ალბათ შეიძლება, დავასკვენი მე და კემპბელს ვკითხე, როდის ნახეთ უკანასკნელად ჩემი საშიში ბიძაშვილი, ან თუ არ გინახავთ, სად გეგულებათ-მეთქი. ამ კითხვაზე რობერტ კემპბელმა პირდაპირ არ მიპასუხა.

- ძალიან ძნელი დავალებაა, მაგრამ სამართლიანი საქმეა და ვეცდები, შევასრულო თხოვნა. მე აქ ახლოს ვცხოვრობ მისტერ ოსბალდისტონ. გზას ჩემი ნათესავი მოგასწავლით. ოუენი გლაზგოში დარჩეს და რაც შეუძლია, გააკეთოს, თქვენ კი ჩემთან მთა-

ში წამოდით. იქნებ მოვახერხო მამათქვენის საქმის მოგვარება. მე ღარიბი კაცი ვარ, მაგრამ ჭკუა ქონებას სჯობია. შენც, ბიძაშვილო, თუ ნამდვილი შოტლანდიური კოლოპსი[172] და ირმის მწვადები მოგენატრა, ამ ინგლისელ ჯენტლმენს ჩამოჰყევი დრაიმენში ან ბუკლივიში. თუმცა, ყველაფერს აჯობებს, პირდაპირ აბერფოილში ამოხვიდეთ მე იმ კლახანში[173] დაგახვედრებ მეგზურს. რას იტყვი, ნათესავო? ნუ გეფიქრება, არ მოგატყუებ! აი, ჩემი ცერი!

- არა, რობინ, არა, - იუარა ფრთხილმა ქალაქელმა, - მე იშვიათად გავდივარ გორბალსიდან; არ მიყვარს, არ შემიძლია მთებში ხეტიალი. რობინ, რა მინდა მაგ უნიფხვოებში! ჩემი თანამდებობის კაცი მაგათში არ უნდა გაერიოს!

- ეშმაკმა წაგიღოს შენცა და შენი თანამდებობაც! - გაბრაზდა კემპბელი, - ერთი წვეთი ცისფერი სისხლი გირევია ძარღვებში და ისიც პაპაჩემის ბიძაშვილის წყალობით, აი იმის, დუმბარტონში რომ გაასამართლეს, შენ კი გაბღენძილხარ და მეუბნები, შენთან მოსვლა არ მეკადრებაო! მისმინე, მეგობარო, მე ხომ მაქვს შენი ვალი? ჰოდა, თუ ერთხელ მაინც კაცურად მოიქცევი ცხოვრებაში და ამ სასენახთან ერთად ამოხვალ ჩემთან, საკუთარი ხელით ჩაგითვლი ამ ათას გირვანქას. მთლიანად მოგცემ, ერთ ფართინგსაც არ დაგაკლებ.

- შენ კიდევ დიდად ნუ მოგაქვს თავი შენი კეთილშობილებით. ერთი გაიტანე ბაზარზე ეგ ცისფერი სისხლი და ნახავ რამდენს მოგცემენ. მითხარი, მართლა რომ ჩამოვიდე შენთან, აუცილებლად დამიბრუნებ ჩემს ფულს?

- ვფიცავ იმ ადამიანის წმინდა ნეშტს, ინხ-კეილიხში რომ განისვენებს რუხი ქვის ქვეშ!

- საკმარისია, რობინ, საკმარისია! ვნახოთ, შევეცდები, ოღონდ ტყუილად იმედი არ გქონდეს რომ მთებში წამოვალ. ერთი ნაბიჯითაც არ გავცდები ქვემო შოტლანდიის საზღვარს. შენ ბუკ-

ლივში ან აბერფოილში უნდა შემხვდე. ასე დავთქვათ! იცოდე, არ დაგავიწყდეს ჩვენი პირობა!

- ფიქრი ნუ გაქვთ, ჩემი სიტყვა სიტყვაა. ახლა კი უნდა წავიდე, ბიძაშვილო, თორემ ხომ იცი, მთაში გაზრდილ კაცს ციხის ჰაერი არ უხდება!

- ჭეშმარიტი ნათქვამია, - დაუდასტურა ვაჭარმა, - თუმცა, მე რომ ჩემი მოვალეობა შევასრულო, გლაზგოს ციხის მღვდლისა არ იყოს, კარგა ხანს ვერ გამოიცვლიდი ატმოსფეროს. ეჰ, რას მოვესწარი! თვითონვე ვეხმარები დამნაშავეს, რომ მართლმსაჯულებას დაემალოს. რა სამარცხვინო დაღი უნდა დავასვა სამუდამოდ საკუთარ თავს, ოჯახს და მამაჩემის წმინდა ხსოვნას!

- ნეტავი შენც ერთი, სხვა სადარდო არ მოგცა ღმერთმა! დრო გაივლის და დაგავიწყდება. ხომ იცი, ტალახი რომ გაშრება, ადვილად ჩამოიფხიკება. მამაშენმა, ჩემო კარგო, სხვებზე ნაკლებად როდი იცოდა თვალის არიდება, როცა მეგობარი დააშავებდა რაიმეს.

ოლდერმენი ცოტა ხანს ჩაფიქრდა. მერე თავი ასწია და უპასუხა:

- მართალს ამბობ, რობინ. მამაჩემი, უსტაბაში, საზრიანი კაცი იყო და იცოდა, რომ უნაკლო არავინ არის ქვეყანაზე. მეგობრები კი ძალიან უყვარდა. მაშ, შენ არ დაგვიწყებია მამაჩემი? ჰა, რობინ? - ამ სიტყვებზე მისტერ ჯარვის გული აუჩუყდა და კინაღამ ცრემლები გამოსცვივდა თვალებიდან.

- დაგვიწყებიაო?! - გაიკვირვა კემპბელმა. - განა იმისი დავიწყება შეიძლება?! როგორი დახელოვნებული მქსოველი იყო! პირველი შარვალი ხომ მან მომიქსოვა!.. მაგრამ, მოდით საქმეს ვეწიოთ ბიძაშვილო!

მოდით, ამივსეთ ღვინით ტოლჩა, ამივსეთ თასი,
დამიდგით ცხენზე უნაგირი, ჩემს მსახურს უხმეთ,

განახვნეთ ბჭენი, თავისუფლად გამიშვით კაცი,
თორემ მშვენიერ დანდში ყოფნა მაშინებს უკვე...

- წყნარად სერ, - უბრძანა პატივცემულმა ოლდერმენმა. - განა შეიძლება ასე ხმამაღლა სიმღერა? კვირა ხომ, ეს ეს არის, გათავდა! ეს კედლები სულ სხვანაირ სიმღერას ელოდნენ შენგან. ვიცი, ამ გაქცევისათვის, როცა იქნება, პასუხს მოგვთხოვენ. სტენჩელზ, გააღეთ კარი!

მეციხოვნემ კარი გააღო და ყველანი ერთად გამოვედით საკნიდან. სტენჩელზმა გაოცებით შეგვათვალიერა. ალბათ უნდოდა ეკითხა, როგორ აღმოვჩნდით საკანში, მაგრამ მისტერ ჯარვიმ უთხრა, ესენი ჩემი მეგობრები არიან, სტენჩელზ, ჩემი მეგობრებიო, და კაპიტანმაც ხმა აღარ ამოიღო. დაბლა, საყარაულოში ჩავედით და დუგალს ვუხმეთ, მაგრამ არავინ გამოგვეპასუხა. კემპბელმა დამცინავად გაიღიმა და ჩაილაპარაკა:

- თუ დუგალი ისეთივე ყოჩაღი ყმაწვილია, როგორიც ადრე იყო, მადლობის თქმას არ დაელოდებოდა. ახლა, ალბათ, თავქუდმოგლეჯილი მიეშურება ბალამაჰის უღელტეხილისაკენ.

- ჩვენ კი აქ დაგვტოვა... მეც, მეც აქ დამტოვა გამოკეტილი, - გაცოფდა ოლდერმენი, - მთელი ღამე ციხეში უნდა მაყურყუტოს, არა?! მოატანინეთ ჩაქუჩი, ძალაყინი და გაზები, გაგზავნეთ ვინმე უსტაბაში იეტლინთან, მჭედელთან და შეატყობინეთ, რომ ოლდერმენი ჯარვი ციხეში გამოამწყვდია მთიელმა ყაჩაღმა. ამას კი ჩამოვკიდებ, ამანზე[174] მაღლა ჩამოვკიდებ სახრჩობელაზე!

- თუ ხელში ჩაიგდე, - შეუსწორა კემპბელმა, - თუმცა მოიცათ, მგონი, კარი არც არის დაკეტილი.

კარს მივაწექი და მართლაც ღია აღმოჩნდა. დუგალს გასაღებებიც თან წაეღო, ალბათ იმაზეც იზრუნა, კარი უჩემოდ არავინ ჩაკეტოსო.

- ეტყობა საწყალ დუგალს ხანდახან გონება ეხსენება ხოლმე, - შენიშნა კემპბელმა, როცა ქუჩაში გამოვედით, - მიმხვდარა, რომ გამოსვლა დამჭირდებოდა და კარი ღია დაუტოვებია.

- იცი რას გეტყვი, რობინ? - უთხრა მაგისტრატის წევრმა. - ჩემი მოკლე ჭკუით, თუ ასეთი ცხოვრების გაგრძელებას აპირებ, თითო კავი უნდა გაიჩინო შოტლანდიის ყოველი ციხის საყარაულოში. რა იცი, როდის დაგჭირდეს!

- თითო ნათესავი ოლდერმენი რომ მყავდეს ყოველ ქალაქში, მირჩევნია, ჩემო ბიძაშვილო. აბა, ღამე მშვიდობისა, თუმცა, რაღა დროს ღამეა, გათენებულა. არ დაგავიწყდეთ. რომ კლახანში გელოდებით! აბერფოილში!

კემპბელმა პასუხს არ დაუცადა, ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა და სიბნელეში გაუჩინარდა. ამავე წამს რაღაც უცნაური სტვენა მოგვესმა. სტვენაზე სტვენითვე უპასუხეს.

- გაიგონეთ? უსტვენენ მთის ეშმაკები, - ჩაიბურტყუნა მისტერ ჯარვიმ, - უკვე შინ ჰგონიათ თავი, ბელმონდიის მთებში, სადაც ყველა სტვენს და ღრიალებს, გინდა შაბათი იყოს გინდა კვირა!.. ოლდერმენმა უცებ შეწყვიტა ლაპარაკი: ჩვენს წინ, ქვაფენილზე ჟღრიალით დაეცა რაღაც მძიმე საგანი.

- ღმერთო, გვიშველე! ეს რაღა უბედურებაა? მატი, აბა, მოანათე ეგ ფარანი... გასაღებია, ღმერთმანი, გასაღებების აცმაა! ძალიანაც კარგი! გასაღები ფული ღირს და, რომ დაკარგულიყო, ლაპარაკი ატყდებოდა. ვაითუ, ოლდერმენმა გრეჰემმა გაიგოს ამღამინდელი ამბები. კარგი დღეც დამიდგება, აი!

ციხესთან ახლოს ვიყავით, მივბრუნდით და გასაღებები უფროს მედილეგეს ჩავაბარეთ. იგი კარებთან იდგა და გაქცეული დუგალის შემცვლელს ელოდა, რომელიც სასწრაფოდ გამოეძახებინათ ციხის სადარაჯოდ.

ასე მოვიხადეთ მოვალეობა ქალაქის წინაშე და უკან გამოვბრუნდით. მე და პატივცემულ ოლდერმენს ერთი გზა გვქონდა

და მისი ფარნით ვისარგებლე, სამაგიეროდ თვითონ მკლავზე დამეყრდნო, რადგან ქუჩები, ახლა არ ვიცი და, მაშინ კი ჩაბნელებული და ოღრო-ჩოღრო იყო და სიარული ჭირდა. მოხუცს ძალიან უხარია, როცა ახალგაზრდა პატივისცემით ექცევა და ოლდერმენსაც ისე ესიამოვნა ეს მცირე ყურადღება, რომ მითხრა, მოხეტიალე მსახიობები და ჯამბაზები, ასე რომ მომრავლდნენ ამ ბოლო ხანებში, ჭირივით მეჯავრება და რადგან თქვენ, თურმე, არ ეკუთვნით ამ ხროვას, ხვალ დილით ჩემთან მობრძანდით და შემწვარი ვირთევზით და ნედლი ქაშაყით გაგიმასპინძლდებითო. მისტერ ჯარვიმ დასძინა, რომ საუზმეზე ჩემს მეგობარს, მისტერ ოუენსაც, მიიწვევდა - დილას უკვე თავისუფალი იქნებაო.

მადლობა გადავუხადე მიპატიჟებისათვის და ვკითხე, რატომ იფიქრეთ, რომ კომედიანტი ვარ-მეთქი.

- მე არ მიფიქრია, - იუარა ოლდერმენმა, - აი, იმ ყბედმა მითხრა, ფერსერვისმა. გუშინ მოვიდა ჩემთან და მთხოვა, გზირს უბრძანეთ ხვალ დილას ქალაქში გამოაცხადოს, ასეთსა და ასეთ კაცს ეძებენო. იმან მიამბო, როგორ გამოგაპანღურათ მამათქვენმა სახლიდან, რადგან ვაჭრობაზე უარი თქვით და ისიც დაამატა, რომ თქვენებს ეშინიათ სცენაზე არ დაიწყოთ თამაში მთელი გვარის თავის მოსაჭრელად. ის ვიღაც ფერსერვისი, ჩემი გუნდის რეგენტმა მომიყვანა, ჰამორგომ, და მითხრა, ჩემი ძველი ნაცნობიაო, მაგრამ მე ორივე კარგა მაგრა შევახურე და გავყარე. შეიძლება წმინდა საღამოს ამისთანა საქმით შეაწუხო ვინმე? ახალ ვხვდები, რომ დიდი რეგვენი ვიღაც ყოფილა და სულ არ სცნობიხართ. მე თქვენ მომწონხართ ყმაწვილო. კაცმა მეგობარი გაჭირვებაში არ უნდა მიატოვოს. თავად მე ასე ვიქცევი და მამაჩემიც, უსტაბაშიც, ღმერთმა აცხონოს, ასეთი კაცი იყო. მაგრამ ამ მთიელებს მოეშვით, თორემ ისე გაგსვრიან, რომ ზღვა ვერ გაგრეცხავს. ეს კარგად ჩაიბეჭდეთ გონებაში. რა თქმა უნდა, შეცდომა ყველას მოუვა, რაც უნდა ჭკვიანი და პატიოსანი იყოს. აი, მეც

წუხელ ჯერ ერთი ნაბიჯით გადავცდი, მერე მეორე მიჰყვა, მეორეს მესამე და ხომ ხედავთ, სამი ცოდვა ჩავიდინე ერთ ღამეში. მამაჩემს რომ თვალი აეხილა ერთი წუთით, ალბათ გაგიჟდებოდა.

ჩვენ უკვე მისტერ ჯარვის სახლის კართან მივსულიყავით, იგი შეჩერდა და ღრმა სინანულით მაუწყა ის სამი ცოდვა:

- ჯერ ერთი, კვირა დღეს საკუთარ საქმეებზე ვფიქრობდი; მეორე ინგლისელს დავუდექი თავდებად და ბოლოს, რაც ყველაზე უარესია დამნაშავეს დავეხმარე ციხიდან გამოსვლაში. მაგრამ ღმერთი მოწყალეა და იმედია შემინდობს, მისტერ ოსბალდისტონ! მატი, მე უშენოდაც შევალ სახლში. გააცილე მისტერ ოსბალდისტონი ლუკი ფლაიტერის სახლამდე, ხომ იცი? კუთხის სახლია. - მერე მე მომიბრუნდა და ჩურჩულით მითხრა

- დარწმუნებული ვარ, მისტერ ოსბალდისტონ, რომ მატის არ აწყენინებთ. პატიოსანი მშობლების შვილია და თანაც ლერდ ლიმერფილდის ახლო ნათესავი.

თავი XXIV

იქნებ თქვენმა მოწყალებამ არ იუაროს ჩემი მოკრძალებული სამსახური, გევედრებით, მომეცით თქვენი პურის ჭამის, თქვენი ღვინის სმის უფლება. პური შავიც რომ იყოს, ღვინო კი წყალწყალა, მე მაინც ერთგულად მოვემსახურები თქვენს მოწყალებას. სხვა სამ გირვანქას მოითხოვდა ასეთი სამსახურისათვის.

გრინი

„Tu quoque“[175] მატის ნახევარკრონიანი ვაჩუქე გაცილებისათვის და თუმცა კარგად მახსოვდა პატივცემული ოლდერმენის ბოლო დარიგება, ერთი კოცნაც დავუმატე. არა მგონია, მატის უზრდელობით აეხსნა ჩემი საქციელი; კი მითხრა, როგორ არა გრცხვენიათ, ბატონო, მაგრამ დიდი წყენა და გაბრაზება ვერ შევატყვე.

მისის ფლაიტერის სასტუმრო ალაყაფის კარზე კარგა ხანს მომიხდა ბრახუნი. ჯერ, რაღა თქმა უნდა, რამდენიმე უპატრონო ძაღლმა გაიღვიძა და ეზოში საშინელი ყეფა და ღავღავი ატყდა. მერე მეზობლებმა გამოჰყვეს ფანჯრებიდან თავები და მთქნარებითა და თვალების ფშვნეტით დამიწყეს საყვედური, ამ კვირა ღამით რა აურზაური ატეხეო. სანამ შიშით ველოდი, რომ ქსანტიპასავით[176] გაცოფდებოდნენ და ლანძღვა-გინების კორიანტელს დააყენებდნენ, თვითონ მისის ფლაიტერმაც გაიღვიძა და მართლა სოკრატეს ბრძენ მეუღლესავით დაერია სამზარეულოში მოკალათებულ ხალხს, დაყრუვდით და დაკუტდით, რომ აქამდე

ეს ბრახა-ბრუხი ვერ გაიგონეთ და ჭიშკარი ვერ გააღეთო. ეს ღირსეული ადამიანები, რომელთა დაუდევრობის გამო ამდენი ხმაური და ლაპარაკი ატყდა, თურმე მისტერ ფერსერვისი, მისი მეგობარი მისტერ ჰამორგო და კიდევ ერთი უცნობი, როგორც შემდეგ გავიგე, ქალაქის გზირი ყოფილან. ისინი ლუდით სავსე გობს შემოსხდომოდნენ (როგორც მერე, სასტუმროს დიასახლისის მიერ წარმოდგენილი ანგარიშით გამოირკვა, თურმე, ეს გობი ჩემს ხარჯზე გაუვსიათ) და გულდასმით ამუშავებდნენ სახვალიოდ გამოსაცხადებელ ტექსტს, რომელიც გზირს ქალაქის ყველა უბანში უნდა წაეკითხა და რომლის მიზანი იყო, „უბედური გზააბნეული ჯენტლმენი“ დაუყონებლივ დაებრუნებინა თავისი მეგობრებისა და ნათესავების წრისათვის. მე, რასაკვირველია დავაპირე, გამომეხატა უკმაყოფილება ჩემს საქმეში ასეთი თავხედური ჩარევის გამო, მაგრამ ენდრუმ, დამინახა თუ არა, ისეთი ყიჟინა დასცა, რომ ჩემი საყვედურებო მეც აღარ მესმოდა. მეეჭვება მისი აღტაცება მთლად გულწრფელი ყოფილიყო და არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ უხვი ცრემლებიც ყველა კეთილშობილურ გრძნობათა წყაროდან, კალის ტოლჩიდან არ იღებდა სათავეს. ყოველ შემთხვევაში, გულწრფელი იყო თუ მოჩვენებითი, მაინც უშველა, რადგან, სანამ ვნახავდი, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, თავი გამეხეთქა ჩემი თავხედი მსახურისათვის. ეს სასჯელი კი იმიტომ გადავწყვიტე, რომ ორი მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა: გუნდის რეგენტს ეჭორავა ჩემზე და მისტერ ჯარვი დაარწმუნა, მოხეტიალე მსახიობიაო. ასეთი შეხვედრის შემდეგ პირვანდელი გადაწყვეტილება შევცვალე და ენდრუ, რომელიც ფეხდაფეხ მომყვებოდა, მხოლოდ იმით დავსაჯე, რომ ცხვირწინ მივუჯახუნე ჩემი ოთახის კარი. ეს დროული ღონისძიება იყო, რადგან ენდრუმ უკვე ამოწურა აღტაცებისა და სიხარულის გამომხატველი მარაგი და ახლა დარიგება დამიწყო: თუ მომავალში შენი

ჭკუით აპირებ სიარულს, უფრო მეტს სიფრთხილესა და კეთილ-გონიერებას უნდა მოუხმოო.

სანამ დამეძინებოდა, ახალი გადაწყვეტილება მივიღე: გათენ-დებოდა, თუ არა, თავიდან მომეშორებინა ეს აბეზარა, ყოყოჩა და თავხედი მსახური, რომელსაც თავი ჩემს მასწავლებლად და ჭკუის დამრიგებლად წარმოედგინა. დილით ენდრუ მოვუხმე და ვკითხე, რამდენი გერგება მეგზურობასა და სამსახურში-მეთქი. მისტერ ფერსერვისი იმწამსვე მიხვდა, რომ გაგდებას ვუპირებდი და საშინლად შეცბუნდა. ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, მერე რო-გორც იქნა, მხნეობა მოიკრიბა და ალუღლუღდა:

- პატივცემულო ბატონო, არ იფიქროთ.. რატომ გგონიათ... მე...

- მოკლედ მოსჭერი, შე არამზადავ, თორემ თავს გაგიხეთქავ.

ენდრუ გაჩუმდა და კარგა ხანს ფიქრობდა, რამდენი მოვით-ხოვოო. ეს ადვილი გადასაწყვეტი არ იყო. სახეზე ყოყმანი და ტანჯვა შევატყვე. ალბათ ფიქრობდა, ძალიან ბევრი ვთხოვო, ვა-ითუ პანღური ამომკრას და სულ უარაფროდ გამიშვასო, ცოტა ვუთხრა და, ერთიც ვნახოთ, თვითონ მეტის მოცემა აქვს გადაწ-ყვეტილი და ვიზარალოო.

კვლავ ვუღრიალე, ჩქარა ამოშაქრე, თორემ მოგკლავ-მეთქი. მუქარამ გასჭრა - ენდრუმ ხრინწიანი ხმით ამოილაპარაკა:

- თვრამეტი პენსი per diem, ესე იგი - დღეში, მე მგონი ბევრი არ იქნება.

- ეს ჩვეულებრივ ხელფასზე ორჯერ მეტია, შენ კი მაგის მესა-მედის ღირსიც არა ხარ, მაგრამ ჯანდაბას, აჰა, ერთი გინეა და შენს გზას ეწიე.

- ღმერთო, შენ გვიშველე! გაგიჟდით ბატონო?! - შეჰყვირა ენ-დრუმ.

- ჯერ არა, მაგრამ ვგრძნობ, რომ მართლა გამაგიჟებ! სამი იმ-დენი მოგეცი, რაც მოითხოვე, შენ კი დამდგარხარ და ისე მიბ-

რიალებ თვალებს, თითქოს ჯიბიდან ფული ამომეცალოს. აბა, მარდად. აიღე ფული და თავიდან მომწყდი.

- უფალო შემიწყალე, ეს რა მესმის?! - კვლავ აწუწუნდა ენდრუ. - განა რა ვაწყენინე პატივცემულ ბატონს? სხეული ჩვენი არს, ვითარცა „ყვავილნი მიდვრისანი“ და მე ისევე საჭირო ვარ თქვენთვის, როგორც გვირილა მედიცინისათვის. უჩემოდ აუცილებლად დაიღუპებით!

- ღმერთმანი, აღარ ვიცი, გაიძვერა ხარ თუ სულელი! მაშასადამე, კვლავ ჩემთან აპირებ დარჩენას და არც მეკითხები, მინდიხარ თუ არა?

- ნამდვილად ეგრეა, - თამამად დამიდასტურა ენდრუმ, - თქვენ ერთმანეთისაგან ვერ არჩევთ კარგსა და ცუდ მსახურს, მაგრამ მე ხომ ვცნობ კარგ ბატონს! ორივე ფეხი მომტეხოს ეშმაკმა, თუ ნაბიჯი მოვიცვალო აქედან! მორჩა და გათავდა. მერე, თქვენ წინასწარ არ გამაფრთხილეთ, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, რომ დათხოვნას მიპირებდით!

- რატომ უნდა გამეფრთხილებინა, სერ? შენ ხომ მსახურად არ ამიყვანიხარ, მეგზურობა გთხოვე და ამ საქმეს მართლა კარგად გაართვა თავი.

- რაც მართალია, მართალია! მე უბრალო მსახური არ გახლავარ, ბატონო. თანაც კარგად მოგეხსენებათ, რომ მთხოვეთ თუ არა, უყოყმანოდ დავტოვე მშვენიერი სამსახური და გამოგყევით. მებაღეს, ოსბალდისტონ-ჰოლში, მეტი რომ არა ვთქვათ, ოცი გირვანქის გაკეთება

შეუძლია per anumm;[177] კი, ნამდვილად გააკეთებს. ჰოდა, განა ღირდა ამისთანა ადგილის დაკარგვა რაღაც ერთი გინეის გულისათვის? მე მეგონა, წლის ბოლომდე მაინც დავრჩებოდი თქვენთან და ჯამაგირისა და პურის ფულის გარდა საჩუქრებსაც მივიღებდი. გარდა ამისა, დღესასწაულებზეც...

- აბა ახლა გეყოფა! ცოტა ნამუსს მოუხმე, თორემ დაგარწმუნებ, რომ ჩემს გვარში, სკვაირ თორნკლიფის გარდა, სხვებსაც ეხერხებათ მუშტის ტრიალი. - მართლა ძალიან ვიყავი გაცეცხლებული, მაგრამ უცებ ისე სასაცილოდ მომეჩვენა ენდრუს საქციელი, რომ კინაღამ ხარხარი ამიტყდა. იმ გაიძვერამ სახეზე შემატყო, გაბრაზებამ გადაუარაო და უფრო დაბეჯითებით დაიწყო თავისი მოთხოვნილების დასაბუთება, ოღონდაც სიფრთხილეც არ დაივიწყა - ცოტა მოშორებით დამიდგა; უეჭველია შემატყო, რომ თუ კვლავ აიშვებდა თავს, აღარ მოვუთმენდი.

- როგორ შეუძლია პატივცემულ ბატონს გაუფრთხილებლად აიყვანოს და ასევე გაუფრთხილებლად გააგდოს ჩემისთანა ერთგული და თავდადებული მსახური, - განაგრძო მისტერ ფერსერვისმა, - მსახური, რომელიც ოც წელიწადს მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა თქვენ ნათესავებს, თანაც იმ ურჯულოებით გავსებულ ადგილას. არა, არა მჯერა, რომ თქვენისთანა ჯენტლმენმა, თქვენისთანა კეთილი გულის ადამიანმა, ასე შეუბრალებლად ჰკრას ხელი საწყალ კაცს, რომელმაც ორმოცი, ორმოცდაათი, არა, მეტი, მთელი ასი მილით გადაუხვია თავის ჩვეული გზიდან. მე ხომ მხოლოდ იმისთვის ჩავიდინე ასეთი სისულელე, რომ თქვენ გხლებოდით, ძვირფასო ბატონო! მე ხომ სულს იქით არაფერი გამაჩნია და მხოლოდ ამ მცირე ხელფასის ანაბარა ვიყავი.

მე მგონი სულაც შენ მითხარი ერთხელ, უილ, ძალიან ჯიუტი კი ხარ, მაგრამ ჩვილი გული გაქვს და შენი დაყოლიება ძალიან ადვილიაო. მართლაც, როცა წინააღმდეგობას მიწევენ, საშინლად გავჯიუტდები, ხოლო, თუ არავინს შემედავება, მზადა ვარ ბევრი რამ დავთმო, რადგან ზედმეტ დავიდარაბასა და ალიაქოთს ვერ ვიტან. ახლაც ასე მოხდა: ვიცოდი, რა ჩიტიც იყო ეს ენდრუ - ხარბი, აბეზარა, თავხედი, არამკითხე; ვიცოდი, სულ სხვის საქმეებში რომ ჰყოფს ცხვირს, მაგრამ მეგზური და მსახური მჭირდებოდა, ვინმე უნდა მეშოვა და ამას თავის შეწუხება უნდო-

და. ენდრუს უკვე მივეჩვიე, ხანდახან მართობდა კიდეც მისი საქციელი, მაგრამ მაინც ვერ გადამეწყვიტა, დამეტოვებინა, თუ ახალი მსახური მომეძებნა. მამაჩემი ზემო შოტლანდიის ტყეების მეპატრონეებთან გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდა, უეჭველია, მთაში გამიჭირდებოდა გამგზავრება იმათთან მოსალაპარაკებლად და ვინმე კარგი მეგზური უნდა მომეძებნა. იქნებ ენდრუმ იცოდეს გზა? ვკითხე, ჩრდილო შოტლანდიაში თუ გაგივლია, იქაურ გზებსა და ქალაქებს თუ იცნობ-მეთქი. რა თქმა უნდა, იცნობდა, იმ წუთას რომ მეთქვა, თურემ სამოთხე დედამიწაზეც ყოფილა, მაგრამ გზის მცოდნე ვერავინ ვნახე-მეთქი, მაშინვე შემომთავაზებდა მეგზურობას (ისე კი, როცა ჩრდილოეთ შოტლანდია მოვიარეთ, მივხვდი, რომ ბევრი არ მიუმატებია, როცა მაშინ, გალაზგოში, მეფიცებოდა, იქაურობას ჩემი ხელის გულივით ვიცნობო).

ენდრუს ხელფასი დავუნიშნე და გავაფრთხილე, როცა მომეხასიათება, ერთი კვირის ხელფასს გაჩუქებ და გაგაგდებ-მეთქი. ბოლოს, კარგა მაგრა შევახურე წინაღამინდელი საქციელისათვის და გავუშვი. ენდრუმ გარეგნულად არაფერი შეიმჩნია, მაგრამ ძალიან გაიხარა, ასე იოლად რომ გადამირჩა, მაშინვე თავის მეგობართან, გუნდის რეგენტთან გაიქცა, რომელიც დღის ულუფა ლუდს შეექცეოდა სამზარეულოში და ალბათ დაწვრილებით უამბო, თუ როგორ მოხერხებულად გააცურა „ის მოსულელო ახალგაზრდა ინგლისელი სკვაირი“.

ამის შემდეგ პირობა შევასრულე და ოლდერმენ ნიკოლ ჰარვის ვესტუმრე. დიდად პატივცემული ჯენტლმენი შესანიშნავი საუზმით გამიმასპინძლდა. სუფრა კაბინეტში გაეწყო. ამ ოთახს ოლდერმენი სამუშაოდაც იყენებდა და დასასვენებლადაც. კანონის დამცველი ფუსფუსა, კეთილი კაცი იყო, საქმის გადადება არ უყვარდა და ახლაც პატიოსნად შეესრულებინა თავისი დაპირება: ოუენის საპატიმროდან გათავისუფლებაც მოესწრო და გამასპინ-

ძლებაც. დანაყრებული და დაბანილ-დავარცხნილი მოხუცი სულ არ ჰგავდა გუშინდელ პატიმარს, მაგრამ სახეზე კვლავ სევდა და ნაღველი ეხატა, რადგანაც საფრთხეს არ გაევლო - ფირმას კვლავ მგლებივით ჰყავდა შემოსეული მოვალეები. ოუენს ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა, მამასავით მომიალერსა, მაგრამ რამდენჯერმე ისეთი მწარე ოხვრა აღმოხდა, რომ ლამის გული ამოაყოლა. სადღა იყო მშვიდი, თავდაჯერებული, დარბაისელი ოუენი! ახლა ჩემს წინ აფორიაქებული და დაბნეული მოხუცი იჯდა, რომელიც შიშით ითვლიდა დღეებს, საათებსა და წუთებს თამასუქების განაღდების ვადამდე რომ იყო დარჩენილი. ეს დღე სულ მალე უნდა დამდგარიყო და, თუ ვერაფერს ვიღონებდით, „ოსბალდისტონისა და ტრეშამის“ სახელგანთქმული სავაჭრო სახლი ხუხულასავით დაიშლებოდა. ჩემი მოხუცი მეგობარი ისე ღრმად იყო ჩაფლული მწარე ფიქრებში, რომ ოლდერმენს ყურადღებას ვეღარ აქცევდა და იმის მაგივრადაც მე მომიწია მადლობის გადახდა შესანიშნავი მასპინძლობისათვის. მეც, რაც კი შემეძლო, ვუქებდი სურნელოვან ჩინურ ჩაის, რომელიც ვიღაც უეპინგელ გემების მეპატრონეს ეჩუქებინა მისტერ ჯარვისათვის, და საკუთარ პლანტაციაზე მოწეულ ყავას - მასპინძელს პატარა პლანტაცია ჰქონდა კუნძულ იამაიკაზე, რომელსაც ხუმრობით „მარილის ბაზრის“ ჭალას უწოდებდა. შევუქე ინგლისური ორცხობილა და ლუდი, შოტლანდიური ბოლში გამოყვანილი ორაგული და ლოხფიანური ქაშაყი, მაგრამ ყველზე მეტი ხოტბა ქამხის სუფრას შევასხი, რომელიც, წარმოგიდგენია, განსვენებულ მამამისს, დიდად პატივცემულსა და ფრიად ღირსეულ უსტაბაშს ნიკოლ ჯარვის მოუქსოვია საკუთარი ხელით! ქათინაურები ყველას სიამოვნებს და ჩვენი კეთილი მასპინძელიც ძალიან კარგ ხასიათზე დადგა. ეს რომ შევატყვე, გადავწყვიტე, რამდენიმე ცნობა მიმეღო მისგან, რათა მცოდნოდა, შემდგომში როგორ მოვქცეულიყავი. ზოგი რამ ისეც მაინტერესებდა, ამიტომ, როცა

მისტერ ჯარვიმ სუფრის ამბავი მოათავა და, სანამ ხელსახოცების შექმნის ისტორიას დაიწყებდა, სული ამოითქვა, დრო ვიხელთე და ვკითხე: ჰო, მართლა, მისტერ ჯარვი, ვინ არის ეგ მისტერ რობერტ კემპბელი, წუხელ რომ შევხვდით-მეთქი?

აქამდე არც ერთს არ გაგვიხსენებია წუხანდელი თავგადასავალი და ოლდერმენი ალბათ სულ არ ელოდა ამ კითხვას. იგი გველნაკბენივით შეხტა და პასუხის ნაცვლად ჩემი კითხვა გაიმეორა:

- ვინ არის რობერტ კემპბელი? ჰმ! ჰო, თქვენ მეკითხებით, ვინ არის რობერტ კემპბელი, არა?

- დიახ, - მივუგე მე, - მინდოდა გამეგო, ვინ არის და რა საქმიანობას ეწევა.

- ვინა და... ისე... როგორ გითხრათ?.. სად გაიცანით მისტერ რობერტ კემპბელი? მგონი, ასე ეძახით, არა?

- ჩრდილოეთ ინგლისში გავიცანი შემთხვევით ამ რამდენიმე თვის წინათ.

- აბა რა გითხრათ, მისტერ ოსბალდისტონ; მეც თქვენსავით ვიცნობ მაგ კაცს.

- ვფიქრობ ჩემზე კარგად უნდა იცნობდეთ, მისტერ ჯარვი, - შევედავე მე, - თქვენ ხომ ნათესავები და მეგობრები ყოფილხართ!

- ჰო შორეული ნათესავები კი ვართ, ყვავი ჩხიკვის მამიდა, მაგრამ ძალიან იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, განსაკუთრებით იმის მერე, რაც რობმა ხელი აიღო საქონლით ვაჭრობაზე. ძალიან ცუდად მოექცნენ საწყალ ბიჭს. ასე არ უდნა დაეჩაგრათ. თანაც ამ საქმიდან ვერაფერი იხეირეს. ახლა ბევრი ნანობს კიდეც, რომ რობინს ფეხი ამოუკვეთეს გლაზგოს ბაზრიდან. განა არ ჯობდა კვლავ სამასსულიანი ნახირისათვის ედევნა უკან? არ დაანებეს და ოცდაათი ორფეხა საქონლის წინამძღოლი გახდა!

- მაინც ვერაფერი გავიგე, მისტერ ჯარვი. მე მინდოდა მცოდნოდა, როგორ ცხოვრებას ეწევა, რითი ირჩენს თავს, რომელ წრეს ეკუთვნის?

- რომელ წრეს ეკუთვნის? ცხადია, შოტლანდიელი აზნაურებისას. უკეთეს წოდებას ვერც ინატრებს კაცი. როგორ ცხოვრებას ეწევა? მთაში, ალბათ, იქაურ ქვედატანს ატარებს, აქ, გლაზგოში რომ ჩამოდის, შარვალს. პურს რითი ჭამს, ჩვენი საქმე არ არის. მე და თქვენ ხომ არაფერს გვთხოვს? ისე კი, ახლა მაგის დრო არა გვაქვს. მამათქვენის საქმეებში უნდა გავერკვეთ.

ოლდერმენმა სათვალე გაიკეთა და საბუთებს ჩაუჯდა. მისტერ ოუენს გადაეწყვიტა, არაფერი დაემალა მისტერ ჯარვისათვის და ყველა საბუთი წამოეღო. მე საკმაოდ გარკვეული ვიყავი ვაჭრობის საქმეში, ამიტომ, როგორც კი რამდენიმე საბუთს გადახედა და თავისი მოსაზრება გამოთქვა, მაშინვე შევატყვე, რომ გამჭრიახი, გამოცდილი და თანაც მეტად პატიოსანი კაცი იყო. მართალია, რამდენჯერმე, როცა ნახა, რომ „ოსბალდისტონსა და ტრეშამის“ ფირმას კარგა დიდი ვალი ემართა მისი, შეყოყმანდა და აბუზღუნდა, მაგრამ ბოლოს მაინც სიკეთემ გადასძალა:

- საშინლად ვიზარალებ, საშინლად, - აწუწუნდა იგი, - ლომბარდისქუჩელი მდიდრებისა არ ვიცი და, გლაზგოელი წვრილფეხა ვაჭრისათვის კი ძნელი გადასატანი იქნება ასეთი ზარალი. ძალიან ბევრი ვალი გაქვთ. მომიწევს ქისის გახსნა! არა უშავს, იმედია, თქვენი ფირმა საბოლოოდ არ გაკოტრდება. თუნდაც ეგრე მოხდეს, იმ გელოუგეიტელი სვავებივით მაინც არ მოვიქცევი. განა არ მახსოვს, რომ თავის დროზე თქვენი წყალობით კარგა ფული მოვიგე. ახლა თუ ვიზარალებ, ვიზარალო. რა ვუყოთ, - დაიმშვიდა ბოლოს თავი, - თუ სხვა ვერაფერს გავხდი, ღორის თავს გოჭის კუდს მივაბამ.

მთლად კარგად ვერ გავიგე ამ გამოთქმის დედააზრი, მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ ჩვენზე გული შესტკიოდა და ყველა ღონეს

ხმარობდა დასახმარებლად. მან რამდენიმე ბრძნული რჩევა მოგვცა, ოუენის მიერ წამოყენებული წინადადებები მოიწონა, შემოუძახა, გაამხნევა და გულში გადარჩენის იმედი ჩაუსახა. რადგანაც მე ვერაფრით დავეხმარებოდი, ან, იქნებ იმიტომ, რომ რამდენჯერმე შევეცადე კვლავ მისტერ კემპბელზე ჩამომეგდო ლაპარაკი, მისტერ ჯარვიმ საკმაოდ უბოდიშოდ გამისტუმრა სახლიდან. მირჩია კოლეჯისაკენ გაისეირნე, ვინმე შენ ტოლს გაიცნობ და ბერძნულად და ლათინურად დაელაპარაკები, კოლეჯელებმა იციან ეგ ენები და, თუ არ იციან, მაშ, რაღა ჯანდაბაში ვხარჯავთ მაგათზე ამდენ ფულსო.

- ბიბლიაც მეგულება კოლეჯში, - დასძინა მან, რომ უარი არ მეთქვა წასვლაზე, - ღირსეული სწავლულის ზაქარია ბოიდის თარგმანი; უკეთეს პოეზიას ვერც ინატრებს კაცი. ასე მითხრა იმ ხალხმა, ვისაც ეგ საქმე კარგად ესმის, ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა ესმოდეს. წადი, ფეხს ნუღარ ითრევ!

ბოლოს მისტერ ჯარვი მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და გულით მიმიპატიჟა: პირველ საათზე სადილად გელოდები, ცხვრის ბარკლით გაგიმასპინძლდები და რადგან ჯერ ცივა, შეიძლება ლაბიც მექნესო. ოლდერმენმა რამდენჯერმე გამიმეორა, რომ ზუსტად პირველ, საათზე მივსულიყავი: თურმე თვითონაც და მამამისიც (უსტაბაში)ყოველთვის ამ დროს სხდებოდნენ სადილად და ამ ადათის დარღვევა არაფრით არ შეიძლებოდა,

თავი XXV

შუბშემართული თრაკიელი ასე დგას მწყემსი,
ჩასაფრებია დათვს და ელის, დაბურულ ტყეში...
როდის ატყდება ლაწალუწი ჩინჩხვარ-კეწერის,
ხეობას როდის შემოამტვრევს ტყეთა მლეწველი
და ფიქრობს- აგერ, ჩემი მტერიც მოადგა მაღნარს,
ბრძოლაში ან მე, ან ის უნდა დაეცეს ახლა...

„პალმონი და არსიტი“

მისტერ ჯარვის რჩევას დავუჯერე და კოლეჯის გზას დავადექი. გართობა არ მიფიქრია - მინდოდა მდგომარეობა ამეწონ-დამეწონა და მომავლის გეგმები დამეწყო. ჯერ ძველებური შენობის შიდა ეზოები მოვიარე, მერე კი კოლეჯის ბაღში გავედი, სადაც, ჩვეულებრივ სტუდენტები დასეირნობდნენ ხოლმე. ძალიან მესიამოვნა, რომ იქ ძეხორციელი ვერავინ დავლანდე (სტუდენტები ლექციებზე იყვნენ), ბოლთის ცემას მოვყევი ხეივანში და ჩემს უკუღმართ ბედზე დავიწყე ფიქრი. ის ვიღაც კემპბელი ისეთ უცნაურ ვითარებაში გავიცანი, რომ ნამდვილად კარგი სული არ უნდა ყოფილიყო. ამ აზრს ისიც ადასტურებდა, რომ მისტერ ჯარვიმ ძალზე უხალისოდ მომაწოდა ცნობები კემპბელის საქმიანობაზე და საერთოდ, შევუჩნდი, თორემ სულ არ უნდოდა, წუხანდელი ამბების გახსენება. მიუხედავად ამისა, დიანა ვერნონმა სწორედ ამ კაცს სთხოვა, დამხმარებოდა. ოლდერმენმაც წინა ღამით კარგა მაგრად კი გაკიცხა და სახრჩობელა უწინასწარმეტყველა,

მაგრამ აშკარად შევატყვე, რომ ამ კაცზე გული შესტკიოდა და პატივსაც სცემდა. უეჭველია, კემპბელი ჩვეულებრივი მდგომარეობისა და ბუნების კაცი არ იყო. ყველაზე უფრო უცნაურად ის მეჩვენებოდა, რომ ჩვენი ბედი თითქოს გადაჯაჭვოდა ერთმანეთს.

გადავწყვიტე, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მომეცემოდა, ყველაფერი დაწვრილებით გამომეკითხა მისტერ ჯარვისათვის და მერე განმესაჯა ღირდა თუ არა, ურთიერთობა გამეგრძელებინა კემპბელთან. მართალია, თვითონ შემომთავაზა, დაგეხმარებიო, მაგრამ, იქნებ ამით სამუდამო ჩირქი მომეცხებოდა.

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ხეივნის ბოლოს სამი კაცი გამოჩნდა. ისინი ისე იყვნენ გართულნი საუბრით, რომ ვერც კი შემამჩნიეს. მეექვსე გრძნობით, რომელიც, წინასწარ, სანამ ნაცნობის სახეს დავინახავდეთ, გვატყობინებს მტერს შევხვდებით თუ მოყვარეს, მივხვდი, რომ ერთ-ერთი სამთაგან რეშლი ოსბალდისტონი იყო. ჯერ მისვლა დავაპირე, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე - ვამჯობინე, მეთვალთვალა და მარტო რომ დარჩებოდა, მაშინ მივსულიყავი. თანაც მინდოდა გამეგო, ვისთან საუბრობდა. სამივენი საკმაო მანძილზე იყვნენ ჩემგან, თანაც ისე გატაცებით საუბრობდნენ ერთმანეთთა, რომ სულ ადვილად მოვასწრებდი, ბუჩქებს ამოვფარებოდი და შეუმჩნევლად მედევნებინა მათთვის თვალი.

იმ დროს ჩაცმა-დახურვის მოყვარული ახალგაზრდები დილაობით დაქარგული წითელი მოსასხამებით გამოდიოდნენ სასეირნოდ და ზოგი თითქმის მთლიანად იფარავდა სახეს წამოსასხამის საყელოთი. მეც ასე მოვიქეცი, მერე ხეივნის გვერდზე ჩაყოლებულ ბუჩქებს ამოვეფარე და სულ ახლოს მივედი მოსაუბრეებთან. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერ შემნიშნავდნენ, ან თუ მაინც მომკრავდნენ თვალს, ვინმე გამვლელი ვეგონებოდი.

ვერ წარმოიდგენ რა გაოცებული დავრჩი, როცა ერთ-ერთი მოსაუბრე მორისად შევიცანი, სწორედ იმ მორისად, რომლის წყალობითაც მოსამართლე ინგლვუდის წინაშე მომიხდა თავის მართლება და მეორე - მაკვიტად (მაკვიტს წამით შევავლე თვალი წინა დღეს, მაგრამ სამუდამოდ დამამახსოვრდა მისი გოროზი და გულქვა სახე).

ამ სამზე საშიში მტრები არც მე მყავდა და არც მამაჩემს. გამახსენდა მორისის მიერ შეთითხნილი ბრალდება, რომელიც კემპბელის შიშით გადათქვა. ამისთანა კაცს ნამუსი არ დაუშლიდა კიდევ აღეძრა სასამართლოში საქმე; გამახსენდა, როგორ აიწეწა მამაჩემის საქმეები იმით, რომ მაკვიტიმ ციხეში ჩააგდებინა ოუენი. ახლა კი, ვითომ ეს ორი არ გვყოფნიდა მტრად, მესამეც შემატებია. მესამე, რომელიც სატანასაც არ დაუდებდა ტოლს ბოროტებაში და ისე მეზიზღებოდა, რომ მის დანახვაზე ძრწოლა მიტანდა. როცა გამისწორდნენ, შევტრიალდი. იმათ ვერ შემამჩნიეს და საუბრით გააგრძელეს გზა. ცოტა რომ გამცდნენ, უკან ავედევნე. ხეივნის ბოლოს ერთმანეთს დაშორდნენ - მორისი და მაკვიტი ერთად წავიდნენ, რეშლი გამობრუნდა და ღრმად ჩაფიქრებული, ნელი ნაბიჯით გამოუყვა ხეივანს. ამის დანახვაზე მტკიცედ გადავწყვიტე, გამეჩერებინა და პასუხი მომეთხოვა ყველა დანაშაულისათვის, თუმცა კი ვერ მომესაზრებინა, როგორი სახით უნდა მეზღვევინებინა ის ზარალი, მამაჩემს რომ მიაყენა. საქმე თვითონ მიკარნახებს, როგორ მოვიქცე-მეთქი, ვიფიქრე, წამოსასხამი გავიხსენი და წინ გადავუდექი.

რეშლი ისეთი კაცი არ იყო, რომ მოულოდნელობისაგან დაბნეულიყო, მაგრამ ჩემს დანახვაზე ისე შეკრთა, თითქოს მრისხანე მოჩვენებას შეხებოდა - ალბათ სახეზე შემატყო, რა ცეცხლიც მიტრიალებდა გულში.

- ბედი მქონია, რომ შეგხვდით, სერ, -დავიწყე მე, - მე კი მეგონა, შორეული და სახიფათო მოგზაურობა მომიწევდა თქვენ მოსაძებნად.

- ძალიან ცუდად გცონობივართ, - მშვიდად მომიგო რეშლიმ, - მეგობრებს არ უჭირთ ჩემი პოვნა, მტრები კი კიდევ უფრო ადვილად მომაგნებენ ხოლმე. თქვენი საქციელი მაიძულებს გკითხოთ, თუ რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნო მისტერ ფრენსის ოსბალდისტონი?

- სწორედ იმ მეორე, მტრების ჯგუფს, სერ! დაუძინებელი მტრების ჯგუფს, თუკი დაუყონებლივ არ გამოასწორებთ საშინელ დანაშაულს, რომელიც თქვენი კეთილისმყოფელის მიმართ ჩაიდინეთ. ახლავე უნდა წარმოადგინოთ იმ ქონების ანგარიში, რომელიც მამაჩემმა მოგაბარათ!

- მერე და, მისტერ ოსბალდისტონ, ვის უნდა წარუდგინოს ანგარიში მამათქვენის ფირმის წევრმა იმ მოქმედებებზე, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა მის საკუთარ მიზნებს? ანგარიშს, რა თქმა უნდა, ვერ ჩაიბარებს ახალგაზრდა ჯენტლმენი, რომელსაც ფრიად დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება აქვს და მიტომ ეს საუბარი მხოლოდ მთქნარებას მოჰგვრის.

- ეგ დაცინვაა, სერ, მე კი პასუხი მინდა. ვიდრე მზის სინათლეზე არ გამოვიტან თქვენს ბილწ საქციელს, თავს არ დაგანებებთ! სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეთ და იქ გამცეთ პასუხი!

- დაე, აგრე იყოს, - თქვა რეშლიმ და ორი-სამი ნაბიჯი ისე გადადგა, თითქოს მართლა მომყვებოდა სასამართლოში, მაგრამ მერე შეჩერდა და განაგრძო, - შემიძლია სურვილი შეგისრულოთ, მაგრამ, მე მგონი, სასამართლოსი თქვენ უფრო უნდა გეშინოდეთ. არ მინდა, დავაჩქარო თქვენი დაღუპვა, ამიტომ აჯობებს, ყმაწვილო, თუ თქვენი გზით წახვალთ! წადით და პოეტური ოცნებების სამყაროში ეძიეთ გასართობი, პროზაული საქმეების გაძღოლა კი მცოდნე და გამოცდილ ხალხს მიანდეთ.

რეშლი ცდილობდა, მოთმინებიდან გამოვეყვანე და მიაღწია კიდეც თავის მიზანს.

- მისტერ ოსბალდისტონ, - დავიწყე მე, - ეს მშვიდი, მაგრამ თავხედური კილო არ გიშველით! კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი გვარის კაცი არავის შეარჩენს შეურაცხყოფას - არ მე ვარ გამონაკლისი და არავის ჯავრს არ შევჭამ!

რეშლიმ კუშტად მომაშტერა თავლები და მითხრა:

- თქვენ გამახსენეთ, რომ ერთხელ უკვე გადავყლაპე შეურაცხყოფა. ისიც კარგად გახსოვთ, ვის უნდა გადავუხადო ვალი! გგონიათ, დამავიწყდა ის საღამო, აბუჩად რომ ამიგდეთ ოსბალდისტონ-ჰოლში? მაშინ კი გადამირჩით, მაგრამ, როცა იქნება, თქვენი სისხლით ჩამოვირეცხავ ამ ლაფს! არც იმას გაპატიებთ, რომ რამდენჯერმე გადამეღობეთ გზაზე და ჯიუტად შეეცადეთ ხელი შეგეშალათ ჩემთვის, თუმცა არც იცოდით და რომ გცოდნოდათ კიდეც, ვერ მიხვდებოდით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელებას ვაპირებდი. აი, ყოველივე ამისათვის პასუხი აგოთ ჩემს წინაშე და დღეს მალე დადგება!

- დაე, დადგეს, - მივუგე მე, - მზადა ვარ ამ დღის შესახვედრად, მაგრამ თქვენ ყველაზე მთავარი ბრალდება არ გაიხსენეთ: დაგავიწყდათ, გეთქვათ, რომ მის ვერნონი თქვენი კლანჭებიდან გამოვიხსენი. ამაში, რაღა თქმა უნდა, დიდი დახმარება გამიწია თვითონ მის ვერნონის გამჭრიახმა გონებამ და მისმა თანდაყოლილმა პატიოსნებამ.

რეშლის შიგ გულში მოხვდა ეს სიტყვები. შავ თვალებში რისხვის ცეცხლი აუგიზგიზდა, მაგრამ კვლავ მშვიდი და აუღელვებელი კილოთი მითხრა:

- აქამდე გაცილებით ნაკლები საფრთხე გემუქრებოდათ ყმაწვილო! მე ვცდილობდი ანგარიში გამეწია ჩემი დღევანდელი მდგომარეობისათვის და, გარდა ამისა, აღზრდა-განათლება არ მაძლევდა უფლებას უკიდურესი ღონისძიებებისათვის მიმემარ-

თა, მაგრამ, როგორც ვხედავ, აუცილებელია, დაისაჯოთ თქვენი ყმაწვილური თავხედობისათვის. თვითონვე მაიძულებთ, რომ ჭკუა გასწავლოთ. გამომყევით, სადმე ისეთი ადგილი ვიპოვოთ, სადაც ნაკლებად შეგვიშლიან ხელს!

მე უკან გავყევი რეშლის, თან თვალი ფხიზლად მეჭირა, რადგან დარწმუნებული ვიყავი. რომ ყველაფერს იკადრებდა. ბაღის შორეულ კუთხეში ერთი მიყრუებული ადგილი ამოვირჩიეთ - პატარა, ჰოლანდიურ ყაიდაზე გაკრეჭილი ბუჩქებით შემოსაზღვრული, ორიოდე ქანდაკებით დამშვენებული მინდორი გახლდათ, ვფრთხილობდი და ამან გადამარჩინა კიდეც: ლაბადის მოხდა ვერც კი მოვასწარი, რომ რეშლიმ დაშნა გააშიშვლა და შემომიტია. სწრაფად გადავხტი უკან და გულში დამიზნებული მახვილის წვერი ავიცილე. რეშლის უკეთესი იარაღი ჰქონდა - მისი დაშნა ჩემსაზე გრძელი იყო, თანაც სამკუთხედი (იმ დროს სამკუთხედი დაშნები ის იყო შემოდიოდა ხმარებაში), მე კი, ეგრეთ წოდებულ, საქსონურ ხმალს ვატარებდი - ვიწროს, ბრტყელსა და ორლესულს. იგი დაშნაზე ნაკლებად მოქნილი და დამჯერი იყო. სხვა მხრივ ჩვენი ძალები თანაბარი იყო: მე სიმკვირცხლით ვჯობნიდი, სამაგიეროდ, რეშლი უფრო ღონიერი და წინდახედული გახლდათ. იგი სატანასავით იბრძოდა - გაბოროტებული და სისხლმოწყურებული იქნევდა დაშნას, მაგრამ სიფრთხილესაც არ ივიწყებდა. აშკარა იყო, წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი, აუცილებლად მოვეკალი. წამით არ ანელებდა ყურადღებას, სულ მოტყუებას ლამობდა: ხან შემომიტევდა, ხან ვითომ ძლივს იცავდა თავს - ცდილობდა სიფრთხილე მომედუნებინა, რომ მერე ერთი ელვისებური დარტყმით დაემთავრებინა ორთაბრძოლა.

თავდაპირველად მეც საკმაოდ დინჯად და საზრიანად დავიწყე ბრძოლა. ფიცხი კი ვიყავი - უცებ ავენთებოდი ხოლმე, მაგრამ გული არა მქონდა ბოროტი. სანამ ამ მიყრუებულ ადგილს ვიპოვიდით, სიბრაზემ ცოტათი გადამიარა და მივხვდი, რომ რეშლი

ჩემი ხელით არ უნდა დაღუპულიყო. იგი მამაჩემის ძმისშვილი იყო, ბიძაჩემმა, რეშლის მამამ, კარგად მიმიღო თავის ოჯახში, როგორც ესმოდა და შეეძლო პატივი მცა და ახლა მისი შვილი რომ მომეკლა, ბოროტი და უმადური კაცის სახელი შემერქმეოდა. ამიტომ ორთაბრძოლის დაწყებისთანავე შევეცადე განმეიარაღებინა ჩემი მოწინააღმდეგე. ფარიკაობაში დაოსტატებული ვიყავი და ვიფიქრე, რეშლის ადვილად ავყრი იარაღს-მეთქი, მაგრამ მალევე დავრწმუნდი, რომ მოწინააღმდეგე ტოლს არ მიდებდა. ორჯერ-სამჯერ ისე მარჯვედ შემომიტია, რომ კინაღამ დაშნაზე ამაგო და იძულებული გამხადა სიფრთხილე გამეორკეცებინა. თანდათან მივხვდი, რომ რეშლი სამკვდრო-სასიცოცხლოდ მებრძოდა და კვლავ რისხვის ცეცხლი შემომენთო. ახლა მეც გაცოფებული ვუტევდი მტერს. ეჭვი არ იყო ერთ-ერთი ჩვენთაგანი განგმირული უნდა დაცემულიყო ბრძოლის ველზე. ერთხელ კინაღამ მე გავხდი ამ ორთაბრძოლის მსხვერპლი: შეტევისას ფეხი გამისრიალდა და ვერ მოვასწარი საპასუხო დარტყმა მომეგერიებინა. დარტყმა სასიკვდილო არ გამოდგა - დაშნამ კამზოლი გამიხვრიტა და ფერდი გამიკაწრა. გაკაწვრა არც გამიგია, მაგრამ დაშნის ვადა ისე ძლიერად მომხვდა მკერდზე, რომ საშინელი ტკივილი ვიგრძენი და ვიფიქრე სასიკვდილოს დავიჭერი-მეთქი. გავცეცხლდი, მარცხენა ხელი მაგრად ჩავჭიდე რეშლის დაშნის ვადას, ოდნავ უკან გადავხარე, ხმალი აღვმართე და წვერი შიგ გულში დავუმიზნე მოწინააღმდეგეს. წამიც და რეშლი გულგანგმირული დაეცემოდა მიწაზე, მაგრამ ვიღაც უცნობმა გადაარჩინა: იგი შუაში ჩაგვიხტა, აქეთ-იქით მიგვყარა და მაღალი მბრძანებლური ხმით შესძახა:

- ამას რას ვხედავ! ერთი ძუძუთი გაზრდილი ძმების შვილები სასიკვდილოდ იმეტებენ ერთმანეთს?! მამაჩემის საფლავს ვფიცავ, შეუბრალებლად გავუპობ მკერდს, ვინც პირველად აღმართავს ხმალს საბრძოლველად.

უცნობი შევათვალიერე და ძალზე გავოცდი, როცა კემპბელად შევიცანი. თავისი ხელით ხმალი გაეშიშვლებინა და ჰაერში ატრიალებდა. ორივენი, მეც და რეშლიც უხმოდ ვუსმენდით მოულოდნელად გამოჩენილ დამზავებელს, რომელიც ხან ერთს გვარიგებდა ჭკუას, ხან მეორეს:

- ძალიან კი ასახელებთ მამათქვენს, მისტერ ფრენსის, ბიძაშვილის მოკვლით! არც ის იქნება სასახელო, თავად რომ გნახონ ყელგამოღადრული გლაზგოს კოლეჯის ბაღში! თქვენ კი, მისტერ რეშლი, როგორ გგონიათ, ენდობა ხალხი ისეთ კაცს, რომელიც მთვრალი გილივით[178] ატრიალებს დაშნას შუა ქალაში? თქვენ ხომ ხალხის სიცოცხლე და ქონება გაბარიათ, თქვენ ხომ დიდ პოლიტიკურ საქმეს უდგახართ სათავეში! ეგრე ნუ მიბღვერით! თვითონა ხართ დამნაშავე და, თუ გინდათ, საკუთარ თავს გაუბრაზდით.

- თქვენ სარგებლობთ ჩემი მდგომარეობით, თორემ ამდენს ვერ გამიბედავდით, - დაიჩივლა რეშლიმ, - ასე რომ არ იყოს, არ ჩაერეოდით ჩემ საქმეში, მე ხომ შეურაცხყოფა მომაყენეს და სამაგიერო უნდა გადავუხადო!

- ჰო, ჰო, ჰო! ვერ გაგიბედავდით! ვითომ რატომ ვერ გაგიბედავდით? თქვენ იქნებ ჩემზე მდიდარი ბრძანდებით, მისტერ ოსბალდისტონ, ან ჩემზე ნასწავლიც. ამაზე არ გედავებით, მაგრამ ვერც პატიოსნებით მჯობიხართ და ვერც გვარიშვილობით. ძალიან გამიკვირდება, ვინმემ რომ მითხრას, რეშლი ოსბალდისტონი შენისთანაო. ვერ გაგიბედავდით! დიდი გაბედვა კი უნდოდა! ისეთ ქარცეცხლში გამომივლია, არც თქვენ დაგსიზმრებიათ და არც ამას. ყველაფერი არაც კი მახსოვს. აბა, ქალაქში რა უნდა გითხრათ? ეს ქვაფენილი თუ ხრეშით მოფენილი ბილიკი საჩემო საქმე არ არის. ერთი მთაში ვიყოთ და საკადრის პასუხსაც მიიღებდით ორივე.

ამასობაში რეშლიმ მოახერხა ჩვეული სიმშვიდე დაებრუნებინა.

- ჩემი ბიძაშვილი, - უთხრა მან კემპბელს, - არ დაიფიცავს, რომ თვითონ გამომიწვია საჩხუბრად. მე არც ვაპირებდი ბრძოლას. მოხარული ვარ, რომ დროზე შეგვაჩერეთ. თქვენ რომ არ მოგესწროთ, უფრო მკაცრად დაისჯებოდა ასეთი თავხედობისათვის.

- დაჭრილი ხომ არა ხარ, ყმაწვილო? - შეშფოთებით მკითხა კემპბელმა.

- არაფერია, ოდნავ გამკაწრა, - დავამშვიდე მე, - თქვენ რომ არ მოსულიყავით, ჩემი ბიძაშვილი ვეღარ იტრაბახებდა თავისი სიჩაუქით.

- რაც მართალია, მართალია, მისტერ რეშლი, - დამემოწმა კემპბელი, - მე რომ მკლავში არ მეტაცა ხელი მისტერ ფრენკისათვის, ახლა დაშნით გულგაპობილი ეგდებოდით მიწაზე. ცხენივით ნუ აფრუტუნდით, ნამდვილად ასე იქნებოდა. ახლა წამომყევით, ახალი ამბები უნდა მოგიყვეთ. ისეთი ამბებია, რომ ცოტა გაგიგრილდებათ გული. კი არა, როცა ყველაფერს გეტყვით, ციებიანივით აკანკალდებით.

- მაპატიეთ, ბატონო ჩემო, - ვუთხარი კემპბელს, - მე რამდენჯერმე მომეცა შემთხვევა, დავრწმუნებულიყავი, რომ თქვენ კარგი გინდათ ჩემთვის, მაგრამ ხელიდან ვერ გაუშვებ ამ კაცს, სანამ იმ თანხას არ დამიბრუნებს, მამაჩემმა რომ გამოატანა ვალის გადასახდელად. ეს თანხა უსინდისოდ მიისაკუთრა და ახლა მთლიანად უნდა ზღოს.

- ხომ არ გაგიჟებულხართ, ყმაწვილო - კარგ საზღაურსაც მიიღებთ, ჩვენ თუ გამოგვყვებით. ერთი მტერი არ გეყოფოდათ, რომ ახლა მეორეც გინდათ შეიძინოთ?

- მეორე კი არა, თუნდაც მეოცე იყოს, უკან არ დავიხევ! - მივუგე მე და რეშლის საყელოში ვტაცე ხელი. იგი არც შეეცადა ხელი გაეშვებინა, მხოლოდ ზიზღით გაიღიმა და კემპბელს უთხრა:

- ხედავთ, მაკგრეგორ, თვითონვე იჩქარის, რომ კუთვნილი სასჯელი მიიღოს! რა ჩემი ბრალია! დაპატიმრების ბრძანება უკვე ხელმოწერილია, ყველაფერი მზად არის.

შოტლანდიელი შეცბუნდა იქაურობა კარგად მოათვალიერა და დაიწყო:

- მე არაფრით არ ვიზამ, რომ ეს ყმაწვილი ღვიძლი მამის დახმარებისათვის დაისაჯოს. ღმერთმა და კაცმა დასწყევლოს ყველა მოხელე და მოსამართლე, ყველა ოლდერმენი და შერიფი, ყველა პოლიციელი, ეგ შავი წურბელები, რომლებიც უკვე ასი წელია შავი ჭირივით მოედვნენ შოტლანდიას და უღვთოდ სწუწნიან სისხლს! არა და, რა კარგი ცხოვრება გვქონდა, როცა ყველა საკუთარი თავის და ავლა-დიდების ბატონ-პატრონი იყო, როცა არც დაპატიმრების ორდერები იყო, არც ქონების აღწერის ოქმები და არც ათასნაირი დახლართული განაჩენები და გადაწყვეტილებები. კიდევ ვიმეორებ, რომ სინდისი არ დამანებებს, გულხელდაკრეფილმა ვუმზირო, თუ როგორ ცდილობენ დაღუპონ ეს გულუბრყვილო ჭაბუკი. თანაც რა ბილწ ხერხს იშველიებენ, საამისოდ! არა; ამას ჯობია, კვლავ იარაღი აიღოთ ხელში და პატიოსნად შეებრძოლოთ ერთმანეთს!

- არა გრცხვენიათ მაკგრეგორ? დაგავიწყდათ, რამდენი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს?

- არა მრცხვენია, - მიუგო კემპბელმა თუ მაკგრეგორმა (არ ვიცი რომელი იყო მისი ნამდვილი სახელი), - არა მრცხვენია, იმიტომ რომ ჯერ კიდევ შემრჩენია სინდისი მისტერ ოსბალდისტონ, და სწორედ ამით გჯობივარ. მართალია დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს... ისიც იცით, რამ მაიძულა ამ გზას დავდგომოდი. ისიც მოგეხსნებათ, ვინ მაიძულა იატაკად კლდე-ღრე გამეხადა

და ჭერად ნისლიანი ცა, მაგრამ იმ მოძალადეებმა თავიანთი სასახლეებიც რომ შემომთავაზონ, ჩემს სალ კლდეებს მაინც არ დავთმობ. თქვენ კი ვინა ხართ, ბატონო რეშლი, რატომ დაეცით, ასე? ამ კითხვაზე ვერავინ მიპასუხებს. ამის პასუხი თქვენს სულში უნდა ვეძებოთ. ამისთვის მეორედ მოსვლისას დაისჯებით. ახლა კი, მისტერ ფრენსის, გაუშვით ხელი რეშლის. მართალს გეუბნებათ: მოსამართლის უფრო უნდა გეშინოდეთ, ვიდრე რეშლის. თქვენ რომ ცამდე მართალი იყოთ, ეგ მაინც მოგდებდათ რაიმე მიზეზს და დაგღუპავდათ. ასე რომ, გაუშვით ხელი. დაანებეთ თავი რეშლის საყელოს.

კემპბელმა სიტყვას საქმეც მოაყოლა: სწრაფად გამაშვებინა ხელი, მძლავრი მკლავები მომხვია და რეშლის მიაძახა:

- დრო იხელთეთ, მისტერ რეშლი, და დაამტკიცეთ, რომ ორი ფეხი ოთხ ხელს სჯობია. თქვენ ადრეც ბევრჯერ გადაგირჩენიათ თავი გაქცევით.

- ამ ჯენტლმენს უმადლოდეთ, ჩემო ძვირფასო ნათესავო, რომ მთლიანად არ გადაგიხადეთ ვალი, - მითხრა რეშლიმ, - ახლა დაგტოვებთ, მაგამ ვიმედოვნებ, მალე შევხვდებით ერთმანეთს ისეთ ადგილას, სადაც არავინ შეგვიშლის ხელს. - მან დაშნა აიღო, გაწმინდა, ქარქაშში ჩააგო და ბუჩქებს შეერია. შოტლანდიელმა ნაწილობრივ ძალით, ნაწილობრივ თხოვნით შემაკავა, თორემ უკან მინდოდა დავდევნებოდი. თანაც მეც მივხვდი, რომ ამით საქმეს ვეღარ ვუშველიდი და აღარ ვუძალიანდებოდი.

- ღმერთმანი, ასეთი ცოფიანი ყმაწვილი ჩემს დღეში არ მინახავს, - ჩაილაპარაკა კემპბელმა, როცა შემატყო, რომ აღარ ვიწევდი, - ამდენს ბავშვს კი არა, დიდს არ მოვუთმენდი. ერთი მაგრა მივჟეჟავდი და დაწყნარდებოდა. არა, მაინც სად მირბოდით? მგლის ბუნაგში გინდათ შეყოთ თავი? იცით, ყმაწვილო, რომ რეშლიმ ისევ ის ძველი მახე დაგიგოთ? იმ საბაჟოს ვირთხას, მორისს შეუჩუჩხურა და ძველი საჩივარი შეატანინა სასამართლოში;

აქ კი მე ვეღარ გიმოწმებთ, ამის იმედი ნუ გექნებათ! ვიგამორ[179] მოსამართლეებს ვერ ვეწყობი. ასე რომ, შინ დაბრუნდით და ქარიშხალის ჩადგომას დაელოდეთ. შეეცადეთ, რომ რეშლის, მორისს და იმ საქონელს, მარკვიტს არ მოხვდეთ თვალში. აბერფოილი არ დაივიწყოთ, როგორც გითხარით, ისე მოიქეცით. ვაჟკაცურ სიტყვას გაძლევთ, არავის დავაჩაგვრინებ თქვენ თავს. მანამდე კი ფრთხილად იყავით. მე ქალაქიდან უნდა გავისტუმრო რეშლი, თორემ კიდევ აურევს. სადაც ის გამოჩნდება, რაიმე საზიზღრობა უნდა მოხდეს. აბა, დაიმახსოვრეთ: კლახანი, აბერფოილი!

კემპბელი მიტრიალდა და წავიდა. მე მარტო დავრჩი და დღევანდელ თავგადასავალზე დავიწყე ფიქრი. მერე ტანსაცმელი გავისწორე და შევეცადე, ლაბადით გადამეფარა ჭრილობა, საიდანაც კვლავ მომდიოდა სისხლი. ძლივს მოვასწარი თავის მოლამაზება, რომ ბაღი სტუდენტებით გაივსო - ეტყობოდა, მეცადინეობა დამთავრებულიყო. სასწრაფოდ დავტოვე იქაურობა და მისტერ ჯარვის სახლისკენ გავეშურე. უკვე სადილის დრო მოახლოვებულიყო, მაგრამ გზაზე მაინც შევჩერდი ერთ პატარა ფარდულთან, რომლის აბრამ მამცნო, რომ აქ დასტაქარი და მეაფთიაქე ქრისტოფერ ნილსონი ცხოვრობდა. შესასვლელში პატარა ბიჭი იჯდა და რაღაც წამალს ნაყავდა როდინში. ვთხოვე, როგორმე მომიხერხე, რომ შენმა დიდად განსწავლულმა ბატონმა მიმიღოს-მეთქი. ბიჭმა ფარდულის კარი გამიღო და უკანა ოთახისაკენ გამიძღვა. ქრისტოფერ ნილსონი მკვირცხლი და მხიარული მოხუცი გამოდგა. მან უნდობლად გააქნია თავი, როცა სახელდახელოდ შეთხზული ზღაპარი მოვუყვები - ვითომ ფარიკაობაში ვვარჯიშობდი და ჩემი მოწინააღმდეგის რაპირას ბურთული მოსძვრა. მან ჭრილობაზე რაღაც წამალი დამადო, გადამიხვია და მითხრა:

- იმ რაპირას არასოდეს ჰქონია წვერზე ბურთულა, ეჰ, სისხლი გიდუღთ, სისხლი, მაგრამ ნუ გეშინიათ, დასტაქარებს ყბედობა არ გვიყვარს. ამქვეყნად ყველა კეთილი და მშვიდი რომ იყოს, მეაფთიაქეები და დასტაქრები შიმშილით ამოვწყდებოდით.

ეს მაღალზნეობრივი მსჯელობა რომ დაამთავრა, გარეთ გამომაცილა და დამემშვიდობა. წამლობა კი კარგი სცოდნოდა - ტკივილი დამიამდა ვეღარც კი ვგრძნობდი, რომ ფერდი გაკაწრული მქონდა.

თავი XXVI

მთებში, კლდეებში, რკინის ტომი ცხოვრობს ოდითგან, -
მტერი თვინიერ ბერელების, მათი მოდგმისა.

კედლები ზრდიან ვით მართვეებს, როგორც ბოკვერებს;
თავისუფლების, სიღარიბის უხეშ სამყოფელს
სტოვებენ ხშირად, ყინჩ ბუნებას ვერ იოკებენ
და ბარის ტომთა ხვავ-ბარაქას პირქვე ამხობენ.

გრეი[180]

- ასე რატომ დაიგვიანეთ, - მკითხა მისტერ ჯარვიმ, როცა სასადილო ოთახში შევედი, - რამდენი ხანია პირველი გახდა, უკვე ორის ხუთი წუთია. მატი ორჯერ მოადგა კარს თავისი სადილით. კიდევ კარგი დღეს ცხვრის თავი გვაქვს და დაგვიანებით არაფერი მოუვა. მთავარია, არ გადაიხარშოს, თორემ შხამივით ხდება. ასე იტყოდა ხოლმე მამაჩემი. ღირსეული ადამიანი იყო. ყველაზე უფრო ყურები უყვარდა ამ სულგანათლებულს.

მე დიდი ბოდიში მოვუხადე დაგვიანებისათვის და მალე ხორაგით სავსე სუფრას შემოვუსხედით. ტოლუმბაშობა მისტერ ჯარვიმ იკისრა და ყოველნაირად შეეცადა, ძღომაზე გვეჭამა შოტლანდიური ნუგბარ-ნუგბარი კერძები. იმას აღარ უყურებდა, რომ სამხრეთელები მიუჩვეველნი ვიყავით ასეთ საჭმელებს. მე მაღალ საზოგადოებაში მიღებულ თავაზიანობას ვიშველიებდი და ვახერხებდი თავი დამეღწია მასპინძლის მოძალებისაგან. ოუ-

ენი კი ცუდ დღეში ჩავარდა, რადგან სულ სხვა შეხედულება ჰქონდა სტუმრის მოვალეობაზე და ცდილობდა, ყველანაირად ესიამოვნებინა ჩვენი ფირმის მეგობარი. რომ ვუყურებდი, ძალიან მეცოდებოდა, მაგრამ თან სიცილსაც ვერ ვიკავებდი: იგი მორჩილად ყლაპავდა მოხარშული მატყლის მოზრდილ ფთილებს, ზიზღით იმანჭებოდა და თან მისუსტებული ხმით აქებდა ამ უცნაურ კერძს.

სუფრა რომ აალაგეს და მაგიდის გადასაფარებელი აკეცეს, მისტერ ჯარვიმ საკუთარი ხელით მოამზადა ერთი პატარა თასი პუნშ-ბრენდი. ასეთი სასმელი ჩემს დღეში არ დამელია. ლიმონები, როგორც თვითონვე გვითხრა, საკუთარი ბაღისა ყოფილა. ზღვის გაღმა (მხრით ვესტ-ინდოეთისაკენ გვანიშნა) პატარა ფერმა ქონია, მომზადება კი ვიღაც ბებერ კაპიტანს, კოფინკის უსწავლებია (მისტერ ჯარვიმ ჩურჩულით დასძინა, ამბობენ, თვითონ კაპიტანს ვესტ-ინდოელმა პირატებმა ასწავლეს ამ პუნშის მომზადებაო).

- ისე კი საუცხოო სასმელია, - დაგვამშვიდა მან, - ხანდახან ცუდ ბაზრებშიც წააწყდება კაცი კარგ საქონელს. უნდა მოგახსენოთ, რომ კაპიტანი კოფინი ერთობ წესიერი ადამიანი იყო, ოღონდ უცნაური დაფიცება იცოდა. ახლა აღარ არის ამქვეყნად. იმედია, უფალმა შეუნდო ცოდვები. დარწმუნებული ვარ, შეუნდობდა.

პუნში, მართლაც, საუცხოო გამოდგა. ისეთი საუცხოო, რომ მასპინძელმა და ოუენმა ერთხმად დაასკვნეს, სამეფოების შეერთება მეტად სასარგებლო საქმეა. რადგან ამით გლაზგოს საშუალება ეძლევა ინგლისის კოლონიებთან, ამერიკასა და ვესტ-ინდოეთთან, ფართო ვაჭრობა გააჩაღოსო. ოუენმა მორიდებულად შენიშნა, შოტლანდიამ ინგლისისგან უნდა შეისყიდოს საქონელი, რადგან თავისი არ ეყოფა ამერიკის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადო, მაგრამ მისტერ ჯარვი ცხარედ შეეკამათა:

- არა სერ, როგორ გეკადრებათ! ჩვენ სხვისი სამათხოვრო არაფერი გვაქვს. სტირლინგში შევოტს ვქსოვთ, ლუქსემბურგში - თხელ მაუდს, აბერდინში - ქალის წინდებს, ედინბურგიდან შელუნსა[181] და შალის ნართს გავიტანთ, ამას გარდა, ჩვენში ყოველნაირი ტილო იქსოვება, თქვენსას ჯობია და უფრო იაფიცაა. ის საქონელი, ჩრდილოეთ ინგლისში რომ აწარმოებენ - მანჩესტერის მანუფაქტურა იქნება, შეფილდის ფოლადი თუ ნიუკასტლის თიხის ჭურჭელი, ჩვენშიაც იმ ფასად იყიდება, როგორც ლივერპულში. ახლა რა ბამბის ქსოვილები ვიცით, რა მუსლინები. აი, ასე საქმე,

სერ! თქვენ თავი დაგვანებეთ და ნახავთ, თუ ტოლი დაგიდოთ! იქნება, მერე თქვენ მოგვჩანჩალებდეთ უკან. რატომ ჩამოუშვით ცხვირი, მისტერ ოსბალდისტონ. მოგწყინდათ ასეთი საუბრის მოსმენა, არა? - მომიბრუნდა ოლდერმენი, რადგან მე მართლაც არ ჩავერიე იმათ საუბარში, - მაშ რაზე ვალაპარაკოთ? ხომ გაგიგონიათ, ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე ბუზანკალსაო.

მეც ამ კითხვას ველოდი. ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი, ჩემს აწეწილ საქმეებზე ვფიქრობდი, თანაც ამ დილას უჩვეულო ამბავი შემემთხვა-მეთქი. მკითხეს რა შეგემთხვაო და მეც დაწვრილებით ვუამბე ჩემი დღევანდელი თავგადასავალი, ოღონდ ის კი აღარ ვუთხარი, რომ დაჭრილი ვიყავი - ნაკეჭნი იყო და არც ღირდა სალაპარაკოდ. მისტერ ჯარვი დიდი ყურადღებით მისმენდა, თვალებს აფახულებდა და მალი-მალ იყრიდა ცხვირში ბურნუთს. ხანდახან გაოცების შეძახილი აღმოხდებოდა ხოლმე. როცა ორთაბრძოლის ამბავზე მივედი, ოუენმა ხელები გულზე დაიკრიბა და მწუხარე თვალები მაღლა აღაპყრო, მისტერ ჯარვი კი გამიბრაზდა:

- ძალიან ცუდად მოქცეულხართ, ყმაწვილო, ძალიან ცუდად! ღვთისა და კაცის კანონები კრძალავს ხელის აღმართვას ნათე-

სავის წინააღმდეგ. ხმლის ტრიალი სამეფო ქალაქის ქუჩაში წამოადგენს დანაშაულს. დამნაშავე ჯარიმით ან პატიმრობით ისჯება. კოლეჯის ეზო არ წარმოადგენს გამონაკლისს - პირიქით, ასეთ ადგილას უფრო უნდა დავიცვათ წესრიგი. კოლეჯი კარგა ძალ ფულს იღებს საეპისკოპოსს შემოსავლიდან - ექვსას გირვანქას აძლევენ წლიურად (ამაზე წმინდა ძმებიც ბუზღუნებენ და მოიჯარეებიც), ამას გარდა თვითონ გლაზგოს საარქიეპისკოპოსსაც ეხმარება ყოველწლიურად და როგორ ფიქრობთ, ამდენ ფულს იმიტომ აძლევენ, რომ ვიღაც უქნარები ხმლებით დაერიონ ერთმანეთს კოლეჯის ეზოში ან ბიჭ-ბუჭებმა გუნდები დაუშინონ გამვლელ-გამოვლელებს? რამდენჯერ ყოფილა, მე და მატის გაგვივლია კოლეჯის ბაღში და გუნდებით დაგვმუქრებიან. თავს თუ არ დავუკრავდით[182], ცუდად წაგვივიდოდა საქმე. არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს. განაგრძეთ, განაგრძეთ, მერე რა მოხდა?

განვაგრძე და როცა კემპბელი ვახსენე, გაოცებული ჯარვი ფეხზე წამოდგა, ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში და აბუზღუნდა:

- კვლავ რობინი!.. არა, რობერტი ნამდვილად გაგიჟებულა, შეშლილა, აურევია! ჩამოახრჩობენ და მერე მთელი გვარი უნდა გაილანძღოს, ქვეყანამ უნდა გაგვათრიოს! პირველი შარვალი მამაჩემმა მოუქსოვა, ყველასგან პატივცემულმა უსტაბაშმა. უკანასკნელ ყელსაბამს კი ტრიპლი დაუგრეხს, მაზმანთა ამქრის უსტაბაში. ეჰ, საწყალი, პირდაპირ სახრჩობელასკენ უჭირავს გეზი!.. მერე, მერე! აბა გვითხარით, ბოლოს რა მოხდა.

ვცდილობდი, წვრილად მომეყოლა ყველაფერი, მაგრამ მისტერ ჯარვი მაინც მაძლევდა შეკითხვებს, რომ უფრო ნათლად გარკვეულიყო საქმეში. ასე რომ, იძულებული გავხდი უკან გავბრუნებულიყავი და მორისისა და კემპბელის ინგლვუდის სახლში მისვლის ამბავი მომეთხრო. მისტერ ჯარვიმ დიდი ყურადღებით მოისმინა ყველაფერი და შემდეგ კარგა ხნით ჩაფიქრდა. - ახლა, მისტერ ჯარვი, თქვენ უნდა გთხოვოთ რჩევა, თუ რა გზას დავად-

გე, რომ მამის საქმეებიც გამოვასწორო და საკუთარი ღირსებაც დავიცვა.

- სწორადაც იქცევი ყმაწვილო. ეგრე უნდა. ყოველთვის თქვენზე უფროსს და ჭკვიან კაცს უნდა ჰკითხოთ რჩევა. იმ ურწმუნო რობოამს[183] კი არ უნდა მიბაძო, პირტიტველა ჭაბუკებს რომ ეკითხება ჭკუას და მამამისის, სოლომონის მხცოვან მრჩეველებს არაფრად აგდებდა. განა ეს მრჩევლები უფრო არ შეითვისებდნენ სოლომონის სიბრძნეს? მისტერ მეიკლჯონიც ხომ ასე ამბობს, როცა ბიბლიის ამ თავს განმარტავს. მაგრამ მე სიტყვა „ღირსების“ გაგონებაც არ მინდა. მე მხოლოდ სიტყვა „კრედიტს“ ვცემ პატივს. „ღირსება“ კაცისმკვლელია, სისხლმოწყურებული მკვლელი, რომელიც შუა ქუჩაში მართავს ორთაბრძოლას, „კრედიტი“ კი პატიოსანი ადამიანი, რომელიც მშვიდად მიმჯდარა კერიასთან.

- სრული ჭეშმარიტებაა, მისტერ ჯარვი, - ჩაურთო ჩემმა მეგობარმა ოუენმა, - კრედიტი ბალანსის საბოლოო ჯამია. ეჰ, რომ შეგვეძლოს კრედიტის აღდგენა. რას არ გავიღებდით, ძველი ნდობა რომ აღვიდგინოთ!

- მართალი ბრძანდებით, მისტერ ოუენ, მართალი ბრძანდებით, ჭკვიანურად მსჯელობთ. ნუ გეშინიათ, დარწმუნებული ვარ მიზანში მოვარტყამთ ბურთს. ჯერ ცოტათი გვერდზე მიდის, მაგრამ არაფერია, საბოლოოდ მაინც მოვარტყამთ. რობინი კი, მჯერა, ნამდვილად დაეხმარება ამ ყმაწვილს. ყველაფერს იღონებს, რაც კი ძალუძს. კეთილი გული აქვს მაგ საწყალს. ჩემი ორასი გირვანქა შეირჩინა ადრე და არც იმ ათასი შოტლანდიური გირვანქის იმედი მაქვს, გუშინ რომ დამპირდა დაგიბრუნებო, მაგრამ მაინც ყოველთვის ვამბობდი და ვიტყვი, რომ რობინი სამართლიანი კაცია.

- მაშასადამე, შემიძლია პატიოსან ადამიანად მივიჩნიო, არა? - ვკითხე მისტერ ჯარვის.

- უჰუ, უჰუ, - ჩაახველა მისტერ ჯარვიმ, ჩაფიქრდა და მერე მიპასუხა: - პატიოსან ადამიანად? ჰო, მთიელის პატიოსნება აქვს, თავისთვის ძალიან პატიოსანია. მამაჩემი, უსტაბაში, ხშირად მიამბობდა, საიდან მოდის ეს გამოთქმა. ვინმე კაპიტანი კოსტლეტი სულ ამას ამბობდა თურმე, მეფე ჩარლზის[184] ერთგული ვარო. ერთხელ კლერკმა პეტიგრუმ (ამ პეტიგრუზე ბევრ სასაცილო ამბებს ჰყვებიან) ჰკითხა კაპიტანს, მეფეს როგორღა ემსახურები, თუკი ვუსტერთან კრომველის[185] არმიაში იბრძოდიო. კაპიტან კოსტლეტს ენაზე ჭავლი არ ედებოდა და მაშინვე უპასუხა, მეფეს ჩემთვის ვემსახურებიო. აი, აქედან წამოვიდა ეს გამოთქმა.

- მეც ასე დამეხმარება? წავიდე თუ არა მთაში კემპბელთან?

- მე მგონი, წასვლა სჯობს. თვითონაც ხედავთ, რომ თქვენი აქ დარჩენა სახიფათოა: იმ გაიძვერა მორისმა საბაჟოში დაიწყო მუშაობა, გრინოკში, ზღვისპირა ქალაქში, აქვე, მახლობლად. მთელმა ქვეყანამ იცის, რა არამზადა, უტვინო და მშიშარა კაცია. თურმე, დადის ნავსადგურში პლომბებითა და ბეჭდით ხელში და პატიოსან ხალხს სულს ართმევს. ყველას, ყველას ეჯავრება, მაგრამ, თუ საჩივარს შეიტანთ, მოსამართლე მხარს დაუჭერს, შეიძლება ციხეში ჩაგაყუდონ და მამათქვენის საქმეც გაფუჭდება.

- სწორია, - დავეთანხმე მე, - ეგ კი სწორია, მაგრამ აქედან წასვლით რას ვარგებ მამაჩემს? რეშლი გლაზგოში დარჩება და ათასნაირ ხრიკებს დაატრიალებს. ნუთუ უკეთესი იქნება, დავტოვო აქაურობა და ისეთ კაცს მივენდო, რომელიც მართლმსაჯულებას ემალება, ეს კაცი დაკავშირებულია იმ ადამიანთან, რომელმაც გაგვაღატაკა. ორივენი რაღაც საიდუმლო და სახიფათო საქმეში არიან გაბმულნი.

- ასე მკაცრად ნუ განჯით რობს, ჩემო საწყალო ბიჭუნავ, - მითხრა ოლდერმენმა, - საქმე ისაა, რომ თქვენ სულ არ იცნობთ ზემო შოტლანდიას, ანუ, როგორც ჩვენ ვიტყვით, მთიან მხარეს. მთიულებს სულ სხვანაირი ადეთ-წესები აქვთ და არც მომრიგე-

ბელი ან არჩეული მოსამართლეები ჰყავთ და არც ქალაქის თავები, რომ ხმლის ტრიალი აუკრძალონ ხალხს და ისე დაიცვან კანონი, როგორც მამაჩემი, ღირსეული უსტაბაში (უფალმა გაანათლოს მისი სული!) იცავდა და როგორც მე ვიცავ ამჟამად გლაზგოს ქალაქის საბჭოს სხვა წევრებთან ერთად. მთიელებში კი, რასაც ლერდი ბრძანებს, უნდა შესრულდეს. იქ, ვისაც გრძელი ხმალი აქვს, ის არის კანონმდებელი. ხმალი მაძიებელია, ფასი მოპასუხე. ვისაც თავი შერჩება მხრებზე, მართალია, ვისაც არა - მტყუანი. აი, ასეთი ქვეყანა გახლავთ მთიანი მხარე.

ოუენმა ღრმად ამოიოხრა და, მართალი გითხრა, მისტერ ჯარვის ნათქვამმა მეც დამაფიქრა. ჯერ ადრეც არ მიმიწევდა გული ზემო შოტლანდიისკენ და ახლა, რომ გავიგე, როგორი ქვეყანა ყოფილა, ლამის ხელი ამეღო იქ გამგზავრებაზე.

- ჩვენ, ჩემო ბატონო, იშვიათად ვლაპარაკობთ ამისთანა რამეებზე, რადგან ისედაც კარგად ვიცით იქაური ამბები. აბა, რაში გვჭირდება საკუთარი სამშობლოსა და ხალხის ლანძღვა-გინება სამხრეთელებთან და უცხოელებთან? ჩიტმა თავისი ბუდე არ უნდა დასვაროს.

- ჭეშმარიტებას ბრძანებთ, სერ, მაგრამ, რადგანაც მე ცნობისმოყვარეობა კი არა, აუცილებლობა მაიძულებს დაწვრილებით ვიცოდე იქაურობის ამბავი, იმედია არ გამინაწყენდებით, თუ ზოგიერთ დამატებით ცნობას მოგთხოვთ. მე, ალბათ, ველური ქვეყნის მკვიდრ ჯენტლმენებთან მექნება საქმე და მინდა თქვენი ნათელი გონება და დიდი გამოცდილება მოვიხმო შემწედ და გზის მაჩვენებლად; ერთი სიტყვით, სანთელი მინდა მომცეთ, რომ წყვდიადში უგზო-უკვლოდ არ ვიხეტიალო.

პირფერობამ გაჭრა:

- გამოცდილება? ჰო, გამოცდილება მართლა არ მაკლია. რაღაც-რაღაცეები ვიანგარიშე, ჩვენში დარჩეს და, ზოგი რამის გაგებაც დავავალე ენდრუ უაილს, ჩემს ყოფილ კლერკს. ახლა

„მაკვიტი და კომპანიის“ მოახლეა, მაგრამ ხანდახან შაბათობით, სამუშაოს შემდეგ შემომივლის ხოლმე თითო ჭიქის გადასაკრავად. ჰოდა, რადგან ამბობთ, რომ გლაზგოელი ფეიქრის რჩევადარიგება მჭირდებაო, მე ისეთი კაცი არა ვარ, რომ უარი გითხრათ. ჩემი ნეგოციანტის შვილი ხართ, ამდენი წელია მე და მამათქვენი ერთად ვსაქმიანობთ და მაგაზე როგორ გაგაწბილებთ. განსვენებული მამაჩემიც (უსტაბაში) ასეთი კაცი იყო. მე კარგა ხანია მინდა ჰერცოგ არგაილს[186] და იმის ძმასაც, ლორდ აილეისაც მოვახსენო ყველაფერი და კარგი რჩევაც მივცე, მაგრამ დიდი ხალხი ჩემისთანა კაცის რჩევას ყურს არ ათხოვებს. აბა, მე ვინ ვარ იმათ თვალში - ერთი საწყალი ფეიქარი! იმათთვის მთავარია ვინ ლაპარაკობს. თუ დიდი კაცია, დაუჯერებენ! მით უარესი მათთვის, მით უარესი! არა, ცუდი კი არაფერი მითქვამს მაკკოლუმ მორზე. „მდიდარს შენ სახლშიც ნუ გალანძღავ, რემთუ ჩიტი თუ არ მიუტანს ამბავს კათხას ხომ გრძელი ყური აქვსო“, - ამბობს სირახის შვილი.

შემეშინდა, ამ სიტყვებისათვის გრძელი შეგონება არ მოეყოლებინა, ლაპარაკი შევაწყვეტინე და დავპირდი, მე და ოუენი სამარესავით შევინახავთ თქვენ ნათქვამს-მეთქი.

- ამიტომ არ მითქვამს. მე არავისი არ მეშინია. ან რატომ უნდა მეშინოდეს. ისეთი არაფერი მითქვამს, მაგრამ მთიელებს ღონიერი ხელები აქვთ და თუ ჩაგავლეს, ვეღარ გამოეხსნები. მე ხანდახან სტუმრად დავდივარ ხოლმე მთაში, ნათესავები ხომ უნდა მოინახულო დროდადრო? ჰოდა, არ მინდა, რომელიმე კლანი გადამემტეროს. რაზე შევჩერდით? ჰო, მინდა გითხრათ, რომ ჩემს შენიშვნებს საფუძვლად ციფრებს ვუდებ და მისტერ ოუენი დამემოწმება, რომ მხოლოდ და მხოლოდ ციფრებია ადამიანთა ცოდნის ჭეშმარიტი საფუძველი.

ოუენი სიამოვნებით დაემოწმა, რადგანაც თვითონაც ამ აზრისა იყო და მისტერ ჯარვიმ საუბარი განაგრძო:

- მთიანი მხარე, ანუ როგორც ჩვენ ვეძახით, ჩვენი მთიანეთი, თავისებური, ველური მხარეა, ბატონებო! იქ მრავლად არის, ღარტაფები, ტყეები, გამოქვაბულები, ტბები, მდინარეები და მაღალი მთები - ისეთი მაღალი, რომ თვით ეშმაკიც ვერ აფრინდება დაუსვენებლად მწვერვალამდე. ამ ქვეყანაში და კუნძულებზე, რომლებიც მთავარ მიწაზე[187] უარესიც კია, ორასიოდე სამრევლოა. აქ შედის ორკნეის სამრევლოც, სადაც არც კი ვიცი გელურად ლაპარაკობენ თუ რომელიღაცა სხვა ენაზე, მაგრამ ის კი ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ იქაურები მთლად ველურები არიან. ახლა, ბატონებო, თითო სამრევლოში სულ ცოტა რვაასი კაცი რომ ვიანგარიშოთ ათწლიანებიდან დაწყებული, ამას მივუმატოთ ერთი მეხუთედი ათი წლის ქვევით, სულ გამოდის... რვაასი გავყოთ ოთხ მეხუთედზე, ეს იქნება სამრავლი, ხოლო მამრავლი იქნება ორასოცდაათი...

- ნამრავლი კი ორასოცდაათი ათასი, - უკარნახა ოუენმა, რომელიც აღტაცებით უსმენდა მასპინძელს.

- სწორია, სერ! სრული ჭეშმარიტებაა! ხოლო ლაშქარი ჩვენს მთიანეთში შეიკრიბება სულ ცოტა, ორმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი კაცი, რადგან იქ ქუდზე კაცი გამოდის, თვრამეტი წლიდან ორმოცდათექვსმეტ წლამდე. სამწუხარო და სახიფათო ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ ამ საწყალი ხალხის ნახევარს სამუშაო არა აქვს, სულ არაფერი აქვთ გასაკეთებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას და პატიოსნური საქმიანობის სხვა დარგებს არ შეუძლია სამუშაოთი დააკმაყოფილოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი. როგორც არ უნდა იზარმაცონ, მაინც არ ეყოფათ სამუშაო. ისედაც დიდად არ ეხალისებათ შრომა და გარჯა - წელი სწყდებათ საქმეზე. მაშ ასე, სერ, მაშასადამე, მოსახლეობის უმუშევარი ნაწილი შეადგენს...

- ასთხუთმეტი ათას ასეულს, - შეეშველა ოუენი, - ჩვენს მიერ მიღებული ნამრავლის ნახევარს.

- სწორია, მისტერ ოუენ, სწორია... და ამ რიცხვიდან ოცდარვა ათას შვიდასი ჯანღონით

სავსე მამაკაცია, ისეთი, რომელთაც იარაღის ტარება შეუძლიათ. ატარებენ კიდეც და არ კი ცდილობენ პატიოსანი შრომით ჭამონ ლუკმა პური. სამუშაო რომ გამოჩნდეს, ჩხირს არ გადააბრუნებენ, ახლა კი არცა აქვთ და არც იმის იმედია, რომ ახლო მომავალში ექნებათ.

- ნუთუ შესაძლებელია, მისტერ ჯარვი, რომ მართლა ასეთ დღეში იყოს დიდი ბრიტანეთის კუნძულის მნიშვნელოვანი ნაწილი? - დავეჭვდი მე.

- აი, ახლა აგიხსნით და ყველაფერი დღესავით ნათელი გახდება. ვთქვათ, ყოველ სამრევლოში საშუალოდ ორმოცდაათი გუთანი გააქვთ მინდორში. ეს ცოტა ნუ გგონიათ - გაიხსენეთ, რა მწირი მიწა აქვთ იმ საცოდავებს. დავუშვათ აგრეთვე, რომ საძოვარიც საკმარისია მუშა საქონლისა და 40-50 ძროხისათვის. ვთქვათ ამ გუთნებსა და საქონელს სამოცდათხუთმეტი ოჯახი სჭირდება მოსავლელად. თითო ოჯახში ექვსი სული ვიანგარიშოთ და ერთი სამოცდაათი სულიც დავუმატოთ, რომ მრგვალი რიცხვი მივიღოთ. მაშინ თითო სამრევლოში ხუთასი კაცი გამოვა, ზუსტად მოსახლეობის ნახევარი, რომელთაც სამუშაო აქვთ და შეუძლიათ თავისი გაიტანონ ხმელი პურითა და მაწვნით. მაგრამ რა უნდა ქნას მეორე ნახევარმა, ხუთასმა კაცმა?

- ღმერთო დიდებულო! - წამოვიძახე მე, - მაინც რას შვრებიან, მისტერ ჯარვი? მართლა რა დღეში ყოფილან, ლამის გავგიჟდე!

- მოიცადეთ, ჯერ ადრეა, - განაგრძო ოლდერმენმა, - გაგიჟება მაშინ ნახეთ, თუ იმათთან მოგიხდათ ცხოვრება. ვთქვათ, ამ უმუშევართა ნახევარმა მოახერხა და რაიმე საქმე მოძებნა შოტლანდიაში, ან მწყემსად დაუდგა ვინმეს ან ალოობაზე ან თიბვაზე დაიქირავეს, ერთი სიტყვით, რაიმე სამუშაო იშოვა; მეორე ნახე-

ვარმა რაღა ქნას? მთიანეთში ხომ კიდევ ასობით და ათასობით ახოვანი ვაჟკაცი რჩება უსაქმოდ. ისინი უმიზნოდ დახეტიალობენ მთებში, ყაჩაღურად მათხოვრობენ[188], ან ლერდის კანონიერსა თუ უკანონო ბრძანებებს ასრულებენ. ამასთან, ასობით მთიელი ჩამოდის დაბლობში საყაჩაღოდ და საქონლის მოსაპარავად; ისინი ყველაფერს იტაცებენ. განა ქრისტიანულ სახელმწიფოში შეიძლება ასეთი რამ ხდებოდეს? და, რაც მთავარია, თვითონ ამაყობენ ამით, ვაჟკაცობად მიაჩნიათ ქურდობა და ძარცვა-გლეჯა, შრომა და ჯაფა რა წესიერი კაცის საქმეაო, ამბობენ. ლერდებიც თავიანთნაირი ჰყავთ. მართალია, თვითონ არ აგზავნიან საყაჩაღოდ, მაგრამ არც უშლიან. გაუბედავენ კიდეც! კი არა, თავშესაფარსაც აძლევენ თავიანთ ციხე-დარბაზებსა, მთებსა და ტყეებში ნაქურდალს უნახავენ. ყოველი ლერდი ინახავს ამისთანა უსაქმურების ბრბოს. ისინი მისი გვარის ანუ კლანის წარმომადგენლები არიან. ზოგს მეტი ჰყავს ზოგს ნაკლები, ვისაც რამდენის შენახვა შეუძლია, ან, უფრო სწორად, იმდენი, რამდენიც თვითონ მოახერხებს თავის გამოკვებას პატიოსანი თუ უპატიოსნო გზით. ისინი მუდამ შეიარაღებულნი დადიან - თოფს, დამბაჩას, დანასა და დურლახს[189] არ იშორებენ და ლერდის ერთი სიტყვა საკმარისია, რომ სამკვდრო-საციცოხლო ბრძოლა აუტეხონ შინაურსა თუ გარეულს. აი, ეს არის მთიანი მხარის უბედურებაა; იქაურობა ნიადაგ ყაჩაღებისა და მძარცველების ბუდე იყო. პატიოსან და შრომისმოყვარე მეზობლებს მოსვენება არა ჰქონდათ მათგან. ჩვენი მხარეც - დასავლეთ ლოულენდიაც ბევრჯერ დაურბევიათ.

- ისიც, თქვენი ნათესავი და ჩემი მეგობარიც, ასეთი მსხვილი მემამულეა? იმასაც საკუთარი რაზმი ჰყავს? - ვკითხე მისტერ ჯარვის.

- არა, რას ბრძანებთ, - მომიგო მან, - იგი წანამძღოლთა, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, ბელადთა ჯგუფს არ ეკუთვნის. ისე კეთილშობილი გვარისაა - გლენსტრეის შთამომავალი. მე კარგად

ვიცი ვინ იყვნენ რობის წინაპრები, რადგან ჩვენ ახლო ნათესავები ვართ - ერთსა და იმავე კეთილშობილ შოტლანდიური გვარის სხვადასხვა შტოს ვეკუთვნით, თუმცა, უნდა მოგახსენოთ, რომ ამისთანა სისულელეებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. აბა, რაში მარგია წარსულის აჩრდილები? ისე კი შემიძლია რობერტის მამის წერილები გიჩვენოთ - მამამისი გლენსტრეის შვილიშვილი იყო და მამაჩემს უსტაბაშ ჯარვის (საუკუნო იყოს მისი ხსენება!) უგზავნიდა ამ წერილებს! ყველა ერთნაირად იწყება: „ჩვენო ძვირფასო უსტაბაშო!“ და ბოლოში ყველას აწერია: „თქვენი მოყვარული, მარად თქვენი სამსახურის მოსურნე ნათესავი“. თითქმის ყველა წერილში ფულზეა ლაპარაკი - მამაჩემისგან ფულს სესხულობდა ხოლმე და განსვენებული უსტაბაში თამასუქებივით ინახავდა ამ წერილებს. მააშ! ძალიან წინდახედული კაცი გახლდათ.

- მამაჩემს უთქვამს, რომ მთაში მხოლოდ ბელადებისა და წინამძღოლების სიტყვა გადისო და, თუმცა ეგ თქვენი ნათესავი არც ერთია და არც მეორე, ეტყობა, მაინც დიდ პატივს სცემენ თავის ქვეყანაში.

- მართალია, - დამიდასტურა ოდლერმენმა, - მისი სახელი ქუხს ლენოსკიდან ბრენდოლბენამდე. რობი ოდესღაც მეჯოგე გახლდათ; მუყაითად ირჯებოდა და კარგადაც მიუდიოდა საქმე. ეგეთი ყოჩაღი მეჯოგე იმ მხარეში არ იყო. ერთ ნახვად ღირდა, როცა უკან მიჰყვებოდა თავის ჯოგს - ფეხებზე ბროგები ეცვა, პლედზე ქამარი ერტყა, ქამარზე ხანჯალი და ფართო ხმალი ეკიდა, ზურგზე მრგვალი ფარი ჰქონდა მოგდებული და სწრაფად მოერეკებოდა ბარისაკენ ასამდე ხარსა და თორმეტიოდე იმ ხარებივით ბანჯგვლიან მწყემსს.

საქმეში ძალიან თავაზიანი იყო და უპატიოსნოს არაფერს იკადრებდა,. საქონელს ერთიანად ყიდდა და თუ დალალს საკმაო მოგება არა რჩებოდა, საკუთარი ჯიბიდან წაუმატებდა ხოლ-

მე. მე თვითონ მინახავს, რომ გირვანქიდან ხუთი შილინგი მიუცია!

- ოცდახუთი პროცენტი? - გაიოცა ოუენმა, - მეტისმეტია, მეტისმეტი!

- მართალი სერ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ დაუნანებლად აძლევდა, განსაკუთრებით, თუ დალალი ღარიბი კაცი იყო. მერე საქონლით ვაჭრობაში საქმე ცუდად წავიდა, რობერტი კი კვლავ ძველებურად იქცეოდა, თანაც დიდ რისკზე მიდიოდა ხოლმე. მე არაფერში მიმიძღვის ბრალი და არც თვითონ მადანაშაულებს. პირიქით, ყოველთვის ვუჩიჩინებდი, გონს მოდი, ჭკვიანურად ივაჭრე-მეთქი. მევალეებმა, მეზობელმა მდიდარმა მემამულეებმა, პირი შეკრეს და მთელი ჯოგი და მიწა წაართვეს ვალში. ცოლიც გამოუგდეს სახლიდან და ამბობენ კიდეც გაუუპატიურესო; მერე მთაში გაქცეულა, საწყალი! აი, ასეთი სამარცხვინო საქმე ჩაიდინეს! მე მშვიდობიანი კაცი ვარ, თანაც ქალაქის საბჭოს წევრი, მაგრამ ჩემს მოახლეს, მატის, რომ მოქცეოდნენ ასე, მეც ამოვიღებდი ქარქაშიდან მამაჩემის, პატივცემული უსტაბაშის ხმალს, იმ ხმალს, რომლითაც ბოტუელის ხიდთან იბრძოდა. დაბრუნდა რობი შინ და ეზო-მიდამო გაპარტახებული დახვდა. ღმერთო! სულ ცოტა ხნის წინათ სავსე ოჯახი დატოვა, ახლა კი ყველაფერი მიწასთან იყო გასწორებული! რობიმ ირგვლივ მიმოიხედა, ცოტა შეიცადა და როცა დარწმუნდა, რომ შემწე და დამხმარე არსაიდან მოდიოდა, ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა, ქამარში ორლესული გაირჭო, ტყეში გაიჭრა და საკუთარი კანონი და სამართალი გაიჩინა.

ამ კეთილ მოქალაქეს ხმა უკანკალებდა. თითქოს არაფრად აგდებდა თავის ნათესავის გვარიშვილობას, მაგრამ გულში ეამაყებოდა, რომ რობერტ კემპბელის ახლო ნათესავი იყო. წეღან, როცა რობერტის წარმატებაზე ლაპარაკობდა, თვალები უბრწყინავდა, ახლა კი ლამის ცრემლები გადმოეყარა.

- და, ამ უბედურების შემდეგ, თქვენი ნათესავი გაბოროტდა და ყაჩაღობას მიჰყო ხელი, - დავამთავრე მე, როცა შევატყვე, რომ მისტერ ჯარვი აღარ აპირებდა დუმილის დარღვევას.

- არა, ასე არ დაცემულა, მაგრამ „შავი ხარკის“ აკრება დაიწყო ლენოკსიდან მენტეითამდე, არა, უფრო შორსაც წავიდა: თითქმის სტირლინგის ციხე-სიმაგრის მიდამოებს მისწვდა. ადრე ასე მაგრად არავის მოუკიდია ხელი ამ საქმისათვის...

- „შავი ხარკი?“ მე მაგ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცი, - ვთქვი მე.

- იცით რა მოხდა? რობმა მალე შემოიკრიბა ირგვლივ „ლურჯბერეტიანები“. ეს არ გასძნელებია, რადგან მისი გვარი ძველთაგანვე შიშის ზარს სცემდა ყველას. მისი ნამდვილი გვარი მაკგრეგორია. დედაჩემიც მაგ გვარის ქალი იყო. მაკგრეგორები ძველთაგანვე ებრძოდნენ მეფეს, პარალამენტს, მგონი, ეკლესიასაც და ყოველთვის გაჰქონდათ თავისი. ძალიან ძველი და პატივცემული გვარია, მაგრამ ახლა საშინლად დევნიან და ავიწროვებენ. ჰოდა, რობმა მალე კარგა ბლომად თავზეხელაღებული შემოიკრიბა ირგვლივ და განაცხადა, გული მტკივა, რომ მთებში ასეთი ყაჩაღობაა და მინდა ამას ბოლო მოვუღოო. იგი კისრულობდა ლერდებისა და ფერმერების ქონების დაცვას. ერთი ცხვარიც რომ მოეტაცათ, ან უნდა დაებრუნებინა ან იმისი საფასური დაებრუნებინა პატრონისათვის, ოღონდ ამისთვის ასი გირვანქა შემოსავლიდან ოთხი გირვანქა უნდა მიეცათ. ეს, კაცმა რომ თქვას არც ისე ბევრია, თანაც რობი ყოველთვის პატიოსნად ასრულებს თავის ვალდებულებას. ვერავინ იტყვის, რომ სიტყვა გაეტეხოს.

- დაზღვევის თავისებური წესი გამოუგონია, - შენიშნა მისტერ ოუენმა.

- ეს წესი, რაღა თქმა უნდა, საფუძველშივე ეწინააღმდეგება ჩვენს კანონებს, - განაგრძო ჯარვიმ, - „შავი ხარკის“ აკრეფა სასტიკად ისჯება მართლმსაჯულების მიერ, მაგრამ, როცა კანონს არ

ძალუძს დაიცვას ჩემი ბეღელი და გომური, რატომ არ უნდა ვისარგებლო შოტლანდიელი ჯენტლმენის დახმარებით? ვითომ ვის რა უშავდება?

- კი მაგრამ, მისტერ ჯარვი, ნუთუ ლერდები და ფერმერები ყოველთვის ნებაყოფლობით დებენ ასეთ ხელშეკრულებას, ყოველთვის ნებაყოფლობით იხდიან მაგ რაღაც „შავ ხარკს“? ვინც უარს ამბობს, რა ემართება?

- ოჰო, მგონი, გამომიჭირე, ყმაწვილო, - სიცილით მითხრა ოლდერმენმა და კეფა მოიქექა, - მე ყველა ჩემს მეგობარს ვურჩევ ხოლმე, რობისთან იქონიოს საქმე, თორემ, რაც არ უნდა ფრთხილად მოიქცნენ, ადრე თუ არა, ზამთრის გრძელ ღამეებში მაინც ვერ გადაურჩებიან გაძარცვას. გრეჰემისა და კოჰუნის ზოგიერთმა ლორდმა არ ინდომა რობის დახმარება და იცით, რა დაემართათ? - პირველსავე ზამთარს პირწმინდად დაუცარიელეს ბეღლები. ამიტომ ახალ ყველა ცდილობს, რობის მიანდოს თავის ქონების დაცვა. თუ ნებით დათანხმდები, არ გაზარალებს, თუ არა და, ვაი შენი ბრალი, მაგის გადაკიდებას ეშმაკის გადაკიდება სჯობია!

- ალბათ მართლმსაჯულებას არ მოსწონს, რომ ასეთი წარმატება მოიპოვა დაზღვევის საქმეში, არა?

- არ მოსწონს, ცოტაა! არ მოსწონს კი არა, თუ ხელში ჩაიგდეს, მაშინვე ჩამოახრჩობენ. მაგრამ რობის მფარველებიცა ჰყავს დიდკაცებში. შემიძლია დაგისახელოთ ერთი დიდგვაროვანი ოჯახი, რომელიც ყოველნაირად ეხმარება მეორე ოჯახის ჯიბრზე. რა თქმა უნდა, ისე ეხმარება, რომ თავი არ გაილანძღოს. თვითონ რობიც საოცრად ფრთხილი და საზრიანია. იმდენი საოცარი რამ ჩაუდენია, რომ ერთი წიგნი არ ეყოფა ასაწერად. რობინ ჰუდისა[190] და უილიამ უოლესის[191] ამბები მონაგონია! რამდენი გმირობა ჩაუდენია, რამდენჯერ ციხიდან გამოქცეულა... ზამთრის გრძელ ღამეებში ზღაპრებივით ჰყვებიან რობის თავგა-

დასავლებს. უცნაური რამ მემართება ხოლმე, ბატონებო, როცა რობის თავგადასავალს ვისმენ: აი, მე თითქოს მშვიდი კაცი ვარ, მამაჩემიც, უსტაბაშიც, ასეთი იყო - არავისთან არ უჩხუბია, მარტო ქალაქის საბჭოში თუ შეეკამათებოდა ვინმეს, ჰოდა, უცნაური რამ მემართება: სისხლი ამიდუღდება ხოლმე რობის ამბების გაგონებაზე (მეც ხომ მთიელის სისხლი მიდის ძარღვებში) და ისეთ სიამოვნებას ვგრძნობ, თითქოს მეუბნებოდნენ, ამდენი და ამდენი სუფთა მოგება დაგრჩაო, ღმერთო შემინდე! ხომ ვიცი, რომ ყოველივე ეს ამაოებაა და თანაც ღვთიურ და ადამიანურ კანონებს ეწინააღმდეგება.

მე, უპირველეს ყოვლისა, ჩემი საქმე მაინტერესებდა და მორიდებულად ვკითხე მისტერ ჯარვის, მაინც, რას ფიქრობთ, როგორ დამეხმარება რობერტ კემპბელი-მეთქი. ოლდერმენმა ისე დაუწია ხმას, რომ ძლივსღა გვესმოდა მისი ნალაპარაკევი:

- მეგობრები ხართ და ამიტომ განდობთ ამ საიდუმლოს: მოგეხსენებათ, რომ ოთხმოცდაცხრა წლიდან, კილიკრანკის[192] ბრძოლიდან მოყოლებული, მთიელები თავს არ დასხმიან ბარს, მაგრამ იცით რა იყო ამის მიზეზი? ქრთამი, მისტერ ოუენ, ქრთამი, მისტერ ოსბალდისტონ! მეფე უილიამის ბრძანებით ბრედოლბენმა მთაში ოცი ათასი სტერლინგი აიტანა. ეს ფული ხალხისთვის უნდა დაერიგებინა, მაგრამ უმეტესი ნაწილი თვითონ მოხუცმა გრაფმა ჩაიჯიბა. ამის მერე აწ განსვენებულმა დედოფალმა ანამ დაიწყო მთიელების მოქრთამვა - ბელადებს ფულს აძლევდა, რომ თავიანთი ვაჟკაცები არ დაემშიათ - მუშაობა, როგორც გითხარით, არ უყვარდათ და რაღაც სახსარი ხომ უნდა ჰქონოდათ? ამის მერე მთაში სიმშვიდემ დაისადგურა. მთიელები კანტიკუნტადღა ჩამოდიოდნენ ბარში საქონლის მოსაპარავად. ხანდახან ერთმანეთს დაერეოდნენ, მაგრამ ეს რა ჩვენი საქმეა! ერთ სიტყვით საქმე მოგვარდა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში, რაც ტახტზე ჯორჯი ავიდა (მაინც უნდა დავაყოლო, ღმერთმა დალო-

ცოს-მეთქი), ისევ აირია ყველაფერი: მთიელებს ფულს აღარ ურიგებენ და ბელადებმა აღარ იციან, როგორ შეინახონ თავიანთი კლანის ხალხი. ბელადს მთელს ქვემო შოტლანდიაში, ფულს არავინ ასესხებს. ბელადს, რომელსაც შეუძლია ათასი-ათასხუთასი შეიარაღებული მთიელი გამიყვანოს, ორმოცდაათ გირვანქას არავინ ენდობა გლაზგოში. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს, მთიელები ნამდვილად აჯანყდებიან და სტიუარტების დინასტიის აღდგენას მოითხოვენ, აუცილებლად აჯანყდებიან! მთიელები ზვავივით დაეცემიან ქვემო შოტლანდიას და მონტროზის[193] დროინდელი საშინელი ამბები გამეორდება. ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, ერთი წელიც არ გაივლის, რომ ქვეყანა აჯანყების ცეცხლში გაეხვევა.

- მე მაინც არ მესმის, რა კავშირი აქვს მისტერ კემპბელს და მით უმეტეს, მამაჩემის საქმეს ამ აჯანყებასთან?

- რობს ხუთასი კაცის გამოყვანა შეუძლია, სერ, და მიტომ სხვებზე ნაკლებად არ ნატრობს აჯანყების დაწყებას., - ამიხსნა ოლდერმენმა, - მისი ხელობა ომის დროს უფრო მომგებიანია. გარდა მისა, მე ეჭვი მაქვს, რომ რობი შუამავალია: მთიანი მხარის ბელადებსა და ზოგიერთ ჩრდილო ინგლისელ ჯენტლმენს მოლაპარაკება აქვთ გამართული და სწორედ რობი უნდა იყოს მთიელთა მოციქული. ყველამ გაიგო, რომ რობი და ერთ-ერთი ახალგაზრდა ოსბალდისტონი ჩიგივოტის მთებში დახვდნენ იმ დოყლაპია მორისს და სახელმწიფო ფულები წაართვეს. არ დაგიმალავთ, რომ ხმები დადიოდა, თითქოს თქვენ მონაწილეობდით ამ ძარცვაში და ძალიან მეწყინა, მამათქვენის შვილი ასეთ საქმეებში არ უნდა ერეოდეს! არა, თავს ნუ იმართლებთ. ვიცი, რომ ვცდებოდე, მაგრამ მსახიობისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, მე კი მაშინ მსახიობი მეგონეთ. ახლა ეჭვიც არ მეპარება, რომ ან რეშლი იყო, ან თქვენი რომელიმე ბიძაშვილი, ისინი ხომ ერთ თარგზე არიან გამოჭრილნი, - ყველანი თავგამოდებული

იაკობისტები და პაპისტები არიან და სახელმწიფო ფული და საბუთები თავიანთ საკუთრებად მიაჩნიათ. იმ მხდალ პირუტყვს, მორისს კი დღემდე ვერ გაუბედია თქმა, რომ ჩემოდანი რობმა წაართვა. იქნებ სწორადაც იქცევა. თქვენი მებაჟეები და ინსპექტორები ჭირის დღესავით ეჯავრება ხალხს და რობი სულ ადვილად გააქრობს მაგ მორისს. იცის, რომ მისი დეპარტამენტი, თუ არ ვიცი, როგორ ეძახით, ვერაფერს უშველის.

- მე დიდი ხანია ვეჭვობ, რომ სწორედ მაგათ ჩაიდინეს ეგ საქმე, მაგრამ მამაჩემს რა ეშველება?

- თქვენ ეჭვობთ? მე კი დარწმუნებული ვარ! მე ვიცნობ ხალხს, რომელთაც საკუთარი თვალით ნახეს მორისის ნაქონი საბუთები. სად და როგორ ვერ გეტყვით. მამათქვენის საქმეზე კი, აი რა მინდა გითხრათ: ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე მთიანი მხარის ზოგიერთი ბელადი და ლერდი მიხვდა, თუ რა არის მათთვის სასარგებლო და რა არა. მამათქვენი და სხვა საქმოსნები გლენ-დისერიზში, გლენ-კისხოში, თობერ-ნაკიპოხში და სხვა ადგილებში დიდძალ ხე-ტყეს ყიდულობდნენ. თქვენი ფირმა ტყის პატრონებს თამასუქებით უსწორებდა ანგარიშს. თამასუქები დიდ თანხაზე იყო გაცემული, მაგრამ, რადგანაც „ოსბალდისტონ და ტრეშამის“ ნდობა არასოდეს შელახულა... (მე პირში ვეუბნები ამას მისტერ ოუენს და ზურგს უკანაც გავიმეორებ, რომ ამ უკანასკნელ უბედურებამდე საქმიან სამყაროში ამაზე საპატივცემულო ფირმა არ არსებულა), ჰო, რადგანაც ამ ფირმას ყველა ენდობოდა, თამასუქებს უყოყმანოდ ანაღდებდნენ. ასე, რომ... ახლა ყველაფერი გასაგებია, არა?

ვუპასუხე მთლად კარგად ვერ გავიგე თქვენი ნათქვამი-მეთქი.

- რატომ? - გაუკვირდა მისტერ ჯარვის, - თუ ლერდს თამასუქს აღარ გაუნაღდებენ გლაზგოელი ვაჭრების ვალს ვერ გადაიხდის. ისინი მთაში ავლენ და თავიანთ კუთვნილს მოითხოვენ; სულს ამოართმევენ სანამ თავიანთ ვალს არ მიიღებენ. მაშინ ხუთასი

კაცი, აქამდე მშვიდად რომ შემოსხდომოდა ლორდის სუფრას, ერთხმად დაიძვრება ბარისაკენ და როგორ გინდა, შეაჩერო? ასე რომ, თქვენი ფირმის გაღატაკება დააჩქარებდა იმ აჯანყებას, რომელსაც კარგა ხანია ელიან შოტლანდიაში.

- მაშასადამე, თქვენი ვარაუდით, რეშლი ოსბალდისტონმა იმიტომ გააღატაკა მამაჩემი, რომ თამასუქების მფლობელები გაეღიზიანებინა და ამით აჯანყება დაეჩქარებინა? - ჩავეკითხე მისტერ ჯარვის, რადგან მისი მსჯელობა საკმაოდ უცნაურად მეჩვენა.

- რასაკვირველია, რაღა თქმა უნდა! ეს იყო რეშლის მთავარი მიზანი, მისტერ ოსბალდისტონ! თანაც ნაღდი ფული ჩაიგდო ხელში. მამათქვენისათვის ეს თანხა დიდი დანაკარგი არ არის, მთავარია ის ფასიანი ქაღალდებია, ფულთან ერთად რომ გაიტაცა რეშლიმ, მაგრამ თვითონ მარტო იმ ნაღდ ფულს გამოიყენებს. ფასიანი ქაღალდებით ჩიბუხს თუ მოუკიდებს, აბა, ვინ გაუნაღდებს! შეეცადა კი „მაკვიტისა და კომპანიის“ მესვეურებს შესთავაზა (ენდრუ უაილიმ მითხრა), მაგრამ ისინი ანკესზე არ წამოეგნენ - ტკბილი სიტყვებითა და დაპირებებით მოიშორეს თავიდან. რეშლი ოსბალდისტონს შესანიშნავად იცნობენ გლაზგოში. შვიდასშვიდში აქ ტრიალებდა რომელიღაცა კათოლიკურ-იაკობისტურ საქმეზე, ვალები აიკიდა და გაქრა. ამის მერე ვინღა ენდობოდა. არა, ამ ქაღალდებს აქ ვერ გაასაღებს! იცის, რომ ეჭვს აიღებენ და ჰკითხავენ, როგორ იშოვეო. ამიტომ სადმე მთაში მიმალავს ერთიანად, ვინმე ყაჩაღს მიაბარებს შესანახად და ჩემი ბიძაშვილი რობი სულ ადვილად მოახერხებს ამ ქაღალდების ხელში ჩაგდებას.

- დაგვეხმარება კი, მისტერ ჯარვი? - დავეჭვდი მე, - ხომ თვითონვე ამბობთ, იაკობინელთა მომხრეა, იმათ საქმეებშია გარეულიო და ნუთუ ჩემი ან თუნდაც სამართლიანობის გულისთვის დაუბრუნებს პატრონს გატაცებულ ქონებას? მაშინ ხომ ჩაეშლება

თავისი გეგმები? ახლა არა თქვით, თქვენი ფირმის გაღატაკება აჯანყების დაწყებას დააჩქარებსო?

- ნამდვილად ვერაფერს გეტყვით: ისე, არც ძალიან დიდი მომხრე უნდა იყოს აჯანყებისა. მეთაურები დიდად არ ენდობიან და არც თვითონ უხსნის გულს. ამასთან, არგაილის ოჯახის მეგობარია, ჰერცოგს კი ამ მთავრობის მხარე უჭირავს. ვალები რომ არა ჰქონდეს და კანონს არ ემალებოდეს, ბრედოლბენს კი არა, არგაილს მიემხრობოდა, რადგან ბრედოლბენები და მაკგრეგორები ძველთაგანვე მტრობენ ერთმანეთს. რობი ჰენრი უინდივით მოიქცევა, „საკუთარი თავისთვის“[194] იომებს - იმის მხარეს დაიჭერს, სადაც მეტ სარგებლობას დაინახავს. თუ სარფა ექნება, ეშმაკსაც გაიხდის ამხანაგად. ისეთ დღეშია საწყალი, რომ ვერ გაამტყუნებ. ერთი რამ კი ძალიან შეგიშლით ხელს: რობს ავი ფაშატი უბია საჯინიბოში!

- რა ფაშატი? - გავიოცე მე.

- ცოლზე გეუბნები, ადამიანო, ცოლზე! საშიში ქალია! ქვემო შოტლანდიიდან ასული წესიერი კაცი თვალით არ დაენახება, ინგლისელები კი მითუმეტეს, ჭირივით ეჯავრება. იგი მეფე ჯეიმზის დაბრუნებაზე ოცნებობს და ყოველნაირად ეცდება, აჯანყება არ ჩაიშალოს.

- რა უცნაურია, რომ ლონდონელი ვაჭრების საქმეები ასეთ გავლენას ახდენს რევოლუციებსა და აჯანყებებზე.

- სულაც არ არის უცნაური, სულაც არა, - შემეკამათა მისტერ ჯარვი, - თქვენა გგონიათ ეგრე, ზამთრის გრძელ ღამეებში წიგნებით ვირთობ ხოლმე თავს და ერთხელ ბეკერის „ქრონიკებში“ ამოვიკითხე, რომ ლონდონელმა ვაჭრებმა თავიანთი ფული მოსთხოვეს გენუის ბანკს. ბანკი იძულებული გახდა დაებრუნებინა და ესპანეთის მეფეს ვეღარ ასესხა შეპირებული თანხა. ამან კი მთელი ერთი წლით დააგვიანა „დიდი არმადის[195]“ ზღვაში გასვლა. ამაზე რას იტყვით?

- ვიტყვი, რომ ვაჭრებმა დაუფასებელი სამსახური გაუწიეს თავის ქვეყანას და ეს ისტორიაში უნდა ჩაიწეროს.

- მეც ეგრე ვფიქრობ, ვაჭრები ახლაც დიდ სამსახურს გაუწევენ სახლემწიფოსა და კაცობრიობას თუ მთიანეთის რამდენიმე პატიოსან ჯენტლმენს დაეხმარებიან. იმათ ვალის გადახდის თავი არა აქვთ, რაც ისესხეს, დიდი ხანია დახარჯეს და ახლა რომ მოსთხოვო, თავის დამშეულ ხალხს ააჯანყებენ, კარზე მოგვიხტებიან და თავს შემოგვაკლავენ. ურიგო არც ის იქნება თუ ვაჭრები მამათქვენის საქმეს გამოასწორებენ და იმ ფულსაც დამიბრუნებენ, რომელიც „ოსბალდისტონ და ტრეშმიდან“ მერგება. რატომ უნდა დავკარგო? შრომითა და გარჯით მაქვს ნაშოვნი. თუ ვინმეს შეუძლია ამის გაკეთება უკან არ უნდა დაიხიოს, სულ ერთია ვინ იქნება - დიდებული თუ ფეიქარი, ეს საქმე უნდა მოგვარდეს და ვინც მოაგვარებს დიდ მადლობას დაიმსახურებს სახელმწიფოსაგან.

- მე წინასწარ ვერ განვსაზღვრავ იმ პატივსა და დიდებას, რომელსაც ერი მიაგებს ამ კეთილ ადამიანებს, მაგრამ ჩვენ კი დიდი მადლობელი ვიქნებოდით.

- ამ პატივისცემას ბალანსში შევიტანდით და, როგორც კი მისტერ ოსბალდისტონი დაბრუნდებოდა ჰოლანდიიდან მაშინვე გავანაღდებდით, - დასძინა მისტერ ოუენმა.

- ეჭვი არ მეპარება, ეჭვი არ მეპარება. იგი ფრიად ღირსეული ჯენტლმენია და ჩემთვის რომ დაეჯერებინა, დიდ საქმეებს დაატრიალებდა შოტლანდიაში. ასე რომ, ბატონებო, იქნებ მოვახერხოთ და ხელიდან გამოვგლიჯოთ ფილისტიმელებს[196] ის თამასუქები. კარგი პატრონის ხელში თუ მოხვდება, გეშველებათ, კარგი პატრონი კი თქვენა ხართ, მისტერ ოუენ. თქვენ გგონიათ, რომ არაფრის გამკეთებელი არ ვარ, მაგრამ მე მაინც გიპოვით გლაზგოში სამ კაცს, ერთი მაგალითად, სანდი სტივენსონი იქნება, „სოვდაგართა ველზე“ რომ ვაჭრობს, მეორე - ჯონ პირი - კენ-

დლრიგზიდან, მესამეს ჯერ არ დავასახელებთ, აი, ეს სამნი არა-ვითარ სხვა საწინდარს არ მოგთხოვენ, ისე მოგცემენ იმ ქაღალ-დებში იმდენ თანხას, რომ თქვენმა ფირმამ ძველი ნდობა აღიდ-გინოს.

ოუენს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ, ეტყობა, გაახსენდა, რომ თამასუქების ხელში ჩაგდება ადვილი საქმე არ იყო და ისევ დასევდიანდა.

- იმედს ნუ გადაიწყვეტთ. სერ! - გაამხნევა მისტერ ჯარვიმ, - მე უკვე შევები თქვენს საქმეს, უკან აღარ დავიხევ. ვინც ანი თქვა, ბანიც უნდა მიაყოლოს. მე ალი-კვალი მამაჩემი ვარ. ის ცხონებუ-ლიც ასე იყო გადაყოლილი მეგობრებზე. ბევრი რომ აღარ გა-ვაგრძელოთ, ხვალ ჩემს ბოტფორტებს ჩავიცვამ და მისტერ ფრენკთან ერთად დრაიმენმურის გზას დავადგები. რობი და იმის ცოლი ჩემს მეტს არავის გაუწევენ ხათრს. კარგის მეტი არაფერი გაახსენდებათ ჩემგან. მარტო წუხანდელი ამბავი რად ღირს! ერთ სიტყვა, რომ მეთქვა მორჩენილი იყო იმისი საქმე. ვინ იცის, იქნებ საბჭოში შეხლა-შემოხლა მომიხდეს ამ ამბავზე ოლდერე-მენ გრეჰემთან, მაკვიტთან და კიდე ვიღაც-ვიღაცებთან. ადრეც წამოუძახებიათ, რობინის ნათესავი ხარო, მაგრამ კარგ პასუხს ვაძლევდი, ვეუბნებოდი, გამართლებას არ ვაპირებ, ყველამ იცის რომ ყაჩაღურ ხარკსა კრებს ლენოკსში და რამდენიმე კაცი შემო-აკვდა, მაგრამ ზოგიერთ ჩემს ნაცნობს მაინც სჯობია პატიოსნე-ბით-მეთქი. ძალიანაც კარგი, ასე რომ ვეუბნებოდი! მაში დავ-მდგარიყავი და მესმინა იმათი ლაყბობისათვის? ყაჩაღია და თვი-თონ იმათ უთხრან. ახლა ყველა თავის თავზე აგებს პასუხს. სტიუ-არტების დრო წავიდა! მაშ გავჩუმებულიყავი? რაღა შოტლანდიე-ლი ვარ, თუ ხურდა შევარჩინე ვინმეს?

ვატყობდი ოლდერმენი თანდათან ეშხში შედიოდა და ძალიან მიხაროდა. კეთილი კაცი იყო და ახლო მიიტანა გულთან ჩვენი საქმე. ისიც იცოდა, რომ თუ გავღატაკდებოდით, თვითონაც იზა-

რალებდა. გარდა ამისა, კეთილი ფერიის როლიც ძალიან მოსწონდა. ამ გრძნობებმა თანდათან დასძლიეს და გადააწყვეტინეს თვითონვე გამომყოლოდა მამაჩემის ქაღალდების საპოვნელად.

მისტერ ჯარვის ნალაპარაკევიდან მივხვდი, რომ შოტლანდიელი ფათერაკების მაძიებელი ადვილად შეელეოდა მამაჩემის თამასუქებს, რადგან თვითონ არაფერში გამოადგებოდა. რაღა თქმა უნდა, ნათესავი უფრო დაარწმუნებდა, რომ ეს ქაღალდები მისთვის არაფრის მაქნისი იყო. ამიტომ დიდი სიხარულით მივიღე მისტერ ჯარვის წინადადება, ხვალ დილასვე დავდგომოდით გზას. პატივცემულ ოლდერმენს უცებ არ გადაუწყვეტია ეს მოგზაურობა, ყველაფერი აწონ-დაწონა, ზარალი და მოგება გაითვალისწინა, მაგრამ, როცა გადაწყვეტილება მიიღო, აღარ დააყოვნა და მაშინვე უბრძანა მატის, სამგზავროდ გამამზადეო. მოახლეს ლაბადა და სამგზავრო ტანსაცმელი უნდა გაემზადებინა, წაღები ქონით გაეპოხა და სამზარეულოში, ცეცხლთან დაელაგებინა. მატისვე დაავალა, მეჯინიბეს უთხარი, ცხენს ქერი მისცესო. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა, მისტერ ოუენ წამოსვლა აუცილებელი არ არის, ჯობია აქ დაგვიცადოს, თქვენ კი დილის ხუთ საათზე აქ იყავითო. გულითადად დავემშვიდობეთ ჩვენს ახალ მეგობარს და სასტუმროსაკენ გავსწიეთ. ოუენი ჩემს მეზობელ ოთახში დავაბინავე, ენდრუ ფერსერვისს ვუბრძანე, დილას მზად ყოფილიყო გასამგზავრებლად და დასაძინებლად მოვეწყვე. კარგა ხანია ასეთ ხასიათზე არ ვყოფილვარ: ოლდერმენის ნალაპარაკევმა გული გადარჩენის იმედით გამისხივოსნა.

თავი XXVII

თვალსაწიერზე ხე რაა, მარტოხეც არსად როკავდა...
მწვანე მოეშთო ყავისფერს, მიწა ნახანძრალს მოჰგავდა...
აქ ჩიტი არსად ბუდობდა, სადმე მძლევარს თუ ნახავდით,
ვერც ტრედთა ხმას გაიგებდით, ვერც ფუტკრის ზუვილ-ღაღადისს...
ვერსად ნახავდით ნაკადულს ბროლად ხევებში ჩაკლაკნილს
ველებზე არსით ისმოდა წყაროთ საამო რაკრაკი...

„შიმშილის წინასწარმეტყველება“

შემოდგომის გრილი დილა იყო. ენდრუ ფერსერვისი და მე, როგორც მოლაპარაკებული ვიყავით, მისტერ ჯარვის სახლთან შევხვდით ერთმანეთს. მისტერ ჯარვი სასტუმროს მახლობლად ცხოვრობდა და მე ფეხით გადავედი, ენდრუმ კი ცხენები მოიყვანა. მე თვალი გადავავლე და გავოცდი, ის ცხენი, თორნკლიფის ფაშატის ჩამორთმევის შემდეგ რომ უწყალობა ენდრუს მისმა იურისკონსულტანტმა ტაუთჰოპმა, ბახი და ბეხრიკი იყო, მაგრამ ენდრუს მოეხერხებინა და კიდევ უარესში გადაეცვალა. ახალი „ტაიჭი“ სამ ფეხზე დადიოდა, მეოთხეს ჰაერში მოაკონწიალებდა.

- რამ მოგაყვანინა ეს სულთმობრძავი? - გავუბრაზდი ენდრუს, - ის ცხენი რა უყავი, რომლითაც გლაზგოში ჩამოხვედი?

- გავყიდე, ბატონო! ჯაგლაგი იყო, რაში გამომადგებოდა. სულ დააცარიელა ლუკი ფლაიტერის საბძელი. რომ დამეტოვებინა, ვალში ჩაგვყრიდა. ამიტომ, სხვა ცხენი შევიძინე თქვენს ან-

გარიშში, ბატონო! სულ მუქთად მომცეს: თითო ფეხზე თითო გირვანქა მიანგარიშეს - სულ ოთხი გირვანქა! შპატი[197] ჭირს, მაგრამ ფიქრი არ არის: ერთი-ორ მილს გაირბენს და გაუვლის. ისეთი სახელი აქვს, რომ ცუდი მორბენალი არ იქნება - ფიცხელი ტომი ჰქვია.

- ღმერთმანი, მანამ არ მოისვენებ, სანამ კარგად არ შეგახურებ მათრახით! ახლავე წადი და სხვა ცხენი იშოვე, თორემ ძვირად დაგისვამ მაგ მაიმუნობას.

ენდრუს სულ არ შეშინებია. „ცხენი რომ დავაბრუნო, პირგასამტეხლო უნდა გადავიხადო, ერთი გინეა მაინც დაგვიჯდებაო“. ვიცოდი, რომ მატყუებდა, მაგრამ მზად ვიყავი ის ერთი გინეა დამეკარგა, ოღონდ დროზე გავმგზავრებულიყავი. ამ დროს მისტერ ჯარვი გამოვიდა სახლიდან და საქმე სხვანაირად შეტრიალდა. ოლდერმენი ისე თბილად იყო ჩაცმული თითქოს ციმბირში მიდიოდა სამოგზაუროდ: ბოტფორტები და ლაბადა არ ეკმარა და პლედიც წამოესხა მხრებზე. ორმა მოახლემ ცხენი გამოიყვანა თავლიდან. ცხენს მატი მოუძღვოდა წინ. სანამ უნაგირზე „აბობღდებოდა“ (სპენსერის გამოთქმაა, მაგრამ მისტერ ჯარვის უფრო ესადაგება, ვიდრე მოხეტიალე რაინდებს), გვკითხა რაზე დაობთო. როცა კამათის დედაარსს ჩაწვდა, საშინლად გაუბრაზდა ჩემს პატიოსან მსახურს:

- თუ ახლავე არ დააბრუნებ, მაგ მკვდარ სამფეხას და ხეირიან ოთხფეხა ცხენს არ მოიყვან, ციხეში ჩაგსვამ და ნახევარ ჯამაგირსაც დავაქვითინებ. ეს რა საქციელია, მისტერ ოსბალდისტონმა ორივე დაგიქირავათ - შენცა და ცხენიც, ორი საქონლის ფული გადაიხადა, შე უნამუსო გაიძვერავ! მოიცა, გზაში მოგივლი, შე არამზადავ, ერთი კიდევ გაგიბედია რაიმე!

- დაჯარიმებით, ვერ დამაჯარიმებთ, - თამამად მიუგო ენდრუმ, - სულს იქით არაფერი გამაჩნია. უპერანგოს საკინძეს აწყვეტდნენო, ისეა თქვენი საქმე.

- ტყავს გაგაძრობენ, ტყავს, - დაემუქრა ოლდერმენი, - შენისთანებისთვის მოგვივლია? აბა, გასწი!

ენდრუ იძულებული იყო, დამორჩილებოდა ბრძანებას, მაგრამ წასვლის წინ მაინც წაიბუზღუნა:

- ძალიან ბევრი ბატონი გამომიჩნდა, ძალიან ბევრი! დაბალი ღობე მნახეს!

ეტყობა ენდრუმ უდავიდარაბოდ დაიბრუნა თავისი მერანი, რადგან სულ რამდენიმე წუთში დაბრუნდა უკან. შემდგომშიც არასოდეს დაუჩივლია, საკუთარი ჯიბიდან გადავიხადე პირგასამტეხლოო.

როგორც იქნა, დავიძარით, მაგრამ ქუჩის ბოლომდე არ ვიყავით მისული, რომ უკნიდან მისტერ ჯარვის მოახლეებმა დაგვიძახეს „შეჩერდით, მოგვიცადეთო!“ ჩვენც შევჩერდით და დაველოდეთ. მოახლეებმა მატის ყურადღებიანობის დამადასტურებელი საბუთები წარმოგვიდგინეს. ერთმა აბრეშუმის უზარმაზარი თავსაფარი მოიტანა (ამოდენა იალქანი ალბათ მისტერ ჯარვის ხომალდსაც არ ექნებოდა). მის მატი დაბეჯითებით სთხოვდა თავის ბატონს, თავსაფარი ყელზე მოიხვიეო. მისტერ ჯარვის ყელი თბილად ჰქონდა მობუდნული, მაგრამ მატის სიტყვა ძირს არ დააგდო. მეორე მოხელემ მხოლოდ სიტყვიერი საბუთი წარმოადგინა. მატი უთვლიდა, სინესტეს მოერიდეთო, წელი არ გაგიშეშდეთო (მოხელე, დანაბარებს რომ ეუბნებოდა, სიცილს ვერ იკავებდა).

- ოჰ, ოჰ! რა სულელი გოგოა! - ჩაილაპარაკა მისტერ ჯარვიმ და მერე მე მომიბრუნდა: - ხედავთ, რა კეთილი გული აქვს! ახალგაზრდაა და მიანც როგორი ყურადღებიანია! არა, მატი ძალიან მზრუნველი გოგოა!

მოახლის ქებასა და ხოტბას რომ მორჩა, ოლდერმენმა ცხენს დეზი დაჰკრა. ცოტა ხანში ქალაქს გავცდით და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმავალ შარაგზას დავადექით. ძალიან არა ვჩქარობდით, ნელი ჩორთით მივდიოდით და თან ვმუსაიფობდით,

ასე რომ შესაძლებლობა მქონდა, უფრო კარგად გამეცნო ჩემი ახალი მეგობარი. რა უფრო ახლოს ვეცნობოდი, მით უფრო მომწონდა. მისტერ ჯარვის, მამაჩემისა არ იყო, ამქვეყნად ყველზე მნიშვნელოვნად ვაჭრობა მიაჩნდა, მაგრამ სხვა დარგებსაც აფასებდა. ნაკლიც საკმაოდ ჰქონდა: უცნაური და ახირებული კაცი გახლდათ, მდაბიური ქცევა და სიტყვა-პასუხი ჰქონდა, პატივმოყვარეობა და ყოყოჩობა არ აკლდა, თუმცა, როცა შეაქებდნენ, საკმაოდ დაირცხვენდა ხოლმე. ერთი სიტყვით, აკლდა ყველა ის თვისება, როსაც განათლება იძლევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგრძნობოდა, რომ მახვილი გონებისა და დაკვირვებული თვალის პატრონი იყო. ყოველივე ამასთან ერთად ადგილობრივი ძეგლების შესანიშნავი მცოდნე გამოდგა და გზაში ათასნაირ თქმულებას, ლეგენდასა თუ ნამდვილ ამბავს მიყვებოდა. თავისი ქვეყნის ისტორია კარგად იცოდა, მახვილი თვალით მომავალშიც იჭვრიტებოდა და განათლებული მამულიშვილის გონებით გრძნობდა, თუ რომელი კვირტი გაიფურჩქნებოდა. ერთი რამ ძალზე მესიამოვნა: მისტერ ჯარვი ნამდვილი პატრიოტი იყო - ყოველნაირად აქებდა და ადიდებდა თავის შოტლანდიას, მაგრამ მეზობელ სამეფოსაც პატივს სცემდა. ერთხელ, ენდრუ ფერსერვის შეეცადა ინგლისი-შოტლანდიის შეერთების დამღუპველი შედეგებისათვის გადაებრალებინა ის ამბავი, რომ მის ცხენს ნალი ასძვრა. მისტერ ჯარვი ისედაც ვერ იტანდა ჩემს მსახურს. ახლა კი, მით უმეტეს, მიზეზი რომ უშოვა, მისდგა და მაგრად შეახურა.

- ენას მოუკელით, სერ, ენას! აი, სწორედ შენისთანა ენაწაგდებულები თესავენ შუღლსა და მტრობას მეზობლებში. ვითომ რა დაგვიშავა ამ შეერთებამ, უკეთესი რა გვინდოდა, მაგრამ კაცის გული გაუმაძღარია. რა ამბავი ატყდა შეერთებისას გლაზგოში! ხალხი აღელდა, ხან ერთგან შეიყრიდნენ თავს, ხან მეორეგან, წუწუნებდნენ, დრტვინავდნენ... არ ვიცი, რა უნდოდათ?

წყალდიდობა ტყეს აჩანაგებს, მაგრამ სოფელში შეშა ჩამოაქვს. არც ეგრე იყო საქმე, გაგონილს ნანახი სჯობია. მე თუ მკითხავთ, ტყეს სოფელი მირჩევნია და მუდამ ვამბობ, დე, გლაზგო აყვავდეს-მეთქი. ტყუილად კი არ არის ეს სიტყვები ამოჭრილი გლაზგოს გერბზე. ამ სიტყვებს ჩაკვირვება უნდა, ჯერ კიდევ მაშინ ამოკვეთეს, როცა წმინდა მუნგო ქაშაყებს იჭერდა კლაიდში და ამით გლაზგოს აყვავებას უწყობდა ხელს. ახლა კი შაქრითა და თამბაქოთი ვვაჭრობთ და, აბა, მითხარით, ამაზე მომგებიან საქმეს მოვკიდებივართ ოდესმე? ჯერ ამაზე მიპასუხონ და მერე ლანძღონ და თათხონ ეს ხელშეკრულება. ინგლისს რომ არ შევერთებოდით, დასავლეთთანაც ვერ ვივაჭრებდით!

ამ დასაბუთებულმა პასუხმა სულაც არ შეაცვლევინა ენდრუ ფერსერვისს წინანდელი აზრი. იგი კიდევ კარგა ხანს ბუზღუნებდა, აქაო და რა წესია, შოტლანდიას ინგლისი უწერდეს კანონებსო. მე მთელი შოტლანდიის ქაშაყსა და თამბაქოში არ გავცვლი საკუთარ პარლამენტს და არც გვირგვინს, სკიპტრასა და მონს მეგს[198] გავუგზავნიდი გაუმაძღარ ინგლისელებს შესანახადო. ერთი სერ უილიამ უოლესი ან მოხუცი დევი ლენდსეი წამოაყენა საფლავიდან და ნახავდით, რას იტყოდნენ ამ შეერთებაზე და რა დღეს დააყრიდნენ ამის მომაგონებსო.

აი, ასეთი საუბრით მივდიოდით მთიანი შოტლანდიისაკენ. ორიოდე მილით რომ გავცდით გლაზგოს, გზა გაფართოვდა და მიდამო თანდათან უდაბური და მოსაწყენი გახდა. ირგვლივ, სადამდეც კი თვალი გასწვდებოდა, ან მოშიშვლებული და დაჭაობებული ადგილები მოჩანდა ან პატარ-პატარა ტორფის გორაკები. ამ შავი გორაკების გადალახვას კლდეებზე ცოცვა ჯობდა. არც ხე იყო სადმე, არც ბუჩქნარი, რომ მოგზაურს თვალი დაესვენებინა. მხოლოდ აქა-იქ გვხვდებოდა ერიკას ბუჩქები, მაგრამ ისეთი გასაცოდავებული, რომ შეხედვაც არ მოგინდებოდა. ამ უდაბნოში სიცოცხლეც ჩამკვდარიყო. მხოლოდ ერთი-ორჯერ შემოგ-

ვხვდა ცხვრის პატარა ფარა. ცხვრებიც უცნაური გვეჩვენა - ზოგი შავი იყო, ზოგი მოცისფრო, ზოგს ნარინჯისფერი გადაჰკრავდა, თავი და ფეხები კი წაბლისფერი ჰქონდათ. ჩიტებიც იშვიათად გადაგვიფრენდნენ ხოლმე თავზე და არც არის გასაკვირი: რა მოაცდევინებდათ ამ გახრიოკებულ მხარეში? ცხენი არ უნდოდათ და ურემი - შეკრავდნენ კამარას და სხვა მხარეს მიეშურებოდნენ! ირგვლივ მხოლოდ ლეპვინგებისა და კრონშნეპების წიწინი ისმოდა (ლეპვინგს პრანიას ეძახდნენ ჩემი თანამგზავრები, კრონშნეპს კი ჩიბუხას).

თუმცა, სადილზე, რომელსაც ერთ საცოდავ დუქანში გეახელით, დავრწმუნდით, რომ მარტო ეს წიწინა ჩიტები არა ყოფილან იქაური ჭაობების ბინადარნი. მედუქნის ცოლმა გვითხრა, ქმარმა მთაში გაიარა და ეს ფრინველები დახოცაო. ძალიანაც კარგი ქნა, რადგან უამისოდ, ცხვრის ყველსა, ბოლში გამოყვანილ ორაგულსა და ქერის პურზე უნდა გადაგვევლო - ახლა კი შემწვარი ნანადირევით ჩავიგემრიელეთ პირი. სადილზე უგემური ლუდი მოგვიტანეს, თანაც, ტოლჩაში ორი პენი გადაგვახდევინეს, არაყს კი წუნი არ დაედებოდა. სანამ ჭამა-სმას მოვათავებდით, ცხენებიც კარგად მიაძღნენ შვრიას. მერე ცოტა დავისვენეთ და კვლავ გზას გავუდექით.

კარგმა სადილმა მიშველა, თორემ ისედაც დარდიანი ვიყავი და ამ უდაბური მიდამოს მზერა მთლად ამივსებდა გულს სევდითა და ნაღველით. რაც წინ მივდიოდით, სულ უფრო ხრიოკი და მწირი ადგილები გვხვდებოდა. აქეთ მოსახლეობაც ნაკლები იყო - სულ უფრო და უფრო იშვიათად ვხვდებოდით მთიელთა საცოდავ ქოხებს და როცა ერიკას ბუჩქნარის შეფენილ დაუსრულებელ აღმართს შევუდექით, ადამიანის საცხოვრებელი ყოველგვარი ნიშან-წყალი გაქრა. თვალს მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთისაკენ გადაჭიმული ქლიავისფერი მთაგრეხილი ახარებდა. მთაგრეხილი გზის მარცხენა მხარეს იყო და, როცა მარცხნივ მივუხ-

ვევდით, პირდაპირ მოჩანდა. იმის უკან სხვა ქვეყანა მეგულებოდა, ასეთივე ველური და პირველყოფილი, მაგრამ უფრო ცოცხალი და ხალისიანი. მარჯვნივ სულ ერთფეროვანი გორაკები იყო, მარცხნივ კი არც ერთ მთა არა ჰგავდა მეორეს. თვალმოუშორებლად ვუმზერდი ამ მკაცრ, პირქუშ და მიანც მიმზიდველ ალპურ მთებს და დაუძლეველი სურვილი მეუფლებოდა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ძირისძირობამდი გამომეკვლია აქაურობა, ალბათ ხანგრძლივი შტილით გაწამებული მეზღვაურიც ასევე ნატრობს, ნეტავი ქარიშხალი ამოვარდეს, რომ ცოტა გული გამიხალისდესო. ყოველ წუთში ვეკითხებოდი ჩემს თანამგზავრს, მისტერ ჯარვის ამ შესანიშნავი მთების სახელებს, მაგრამ იმანაც არ იცოდა (ან იცოდა და არ მეუბნებოდა).

- ამათ უბრალოდ შოტლანდიის მთებს უხმობენ, - მომიგებდა ხოლმე ოლდერმენი, - ჯერ ბევრ მაგისთანა მთებს ნახავთ და ბევრ ამბებს მოისმენდით, სანამ გლაზგოს ბაზარში დაბრუნდებით. მე მაგათი დანახვაც არ მინდა, შევხედავ თუ არა ტანში გამცრის ხოლმე. შიშით კი არა, არ იფიქროთ, მეშინოდეს - არა, გული მეკუმშება დარდით, ამ მთების მცხოვრებლებს რომ გავიხსენებ, საწყალ, უბირ, მშიერსა და ტიტველ ხალხს. თუმცა, მოდით ნუ ვილაპარაკებთ ამაზე, უკვე ახლოს ვართ საზღვართან და სტუმარმა მასპინძელი არ უნდა გაკილოს. ჩემი ნაცნობებიდან ბევრი ვერ გაბედავდა აქეთ წამოსვლას და თუ წამოვიდოდა, წინასწარ ანდერძს შეადგენდა. მატი არც კი მიშვებდა, აღრიალდა კიდეც სულელი გოგო. თუმცა ქალის ტირილი რა სახსენებელია, გუდით ჰკიდიათ ცრემლი.

შემდეგ შევეცადე, იმ კაცზე ჩამომეგდო საუბარი, რომლის სანახავადაც მივდიოდით, მაგრამ მისტერ ჯარვი სულ დამუნჯდა. მე მგონი, ენდრუ ფერსერვისს უფრთხოდა. მსახური კვალში გვედგა და ყურები ისე ჰქონდა დაცქვეტილი, რომ არც ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა. თანაც შემთხვევა რომ მიეცემოდა თავხედურად

გვერეოდა ლაპარაკში. ამიტომ, ერთხელ, როცა კემპბელზე ვკითხე რაღაც, მისტერ ჯარვიმ მაგრად დაუცაცხანა ენდრუს:

- ცოტა უკან იარეთ, სერ, მანძილი უნდა დაიჭიროთ! ისე მოიწევთ, თითქოს კისერზე უნდა მოაჯდეთ ჩემს ცხენს. კაცმა თავისი ადგილი არ უნდა იცოდეს?! ახლა კი, მისტერ ოსბალდისტონ, როცა ეს ტუტუცი ვეღარ გაიგონებს ჩვენს ლაპარაკს, უნდა მოგახსენოთ, რომ უფლება გაქვთ, ყველანაირი კითხვა დამისვათ, მაგრამ მეც უფლება მაქვს, არ გიპასუხოთ. კარგს ბევრს ვერაფერს გეტყვით საწყალ რობინზე. ცუდის თქმა კი არ მინდა: ჯერ ერთი ჩემი ნათესავია და ესეც არ იყოს, უკვე იმის ქვეყანას ვუახლოვდებით, აქ კი ტყესაც ყურები აქვს და კლდესაც. მე გირჩევთ და დამიჯერეთ, რაც ნაკლებს ილაპარაკებთ რობინზე, უკეთესი იქნება. თუ გინდათ, რაიმე გეშველოთ, არავინ უნდა იცოდეს თქვენი გეზი და მიზანი. შეიძლება იმის მტრებს გადავაწყდეთ - აქ იმას ბევრი მოშუღლე ჰყავს და როცა იქნება თავს წააცლიან. ხომ გაგიგიათ, ერთხელაც იქნება მელას საქათმეში დაათენდებაო.

- ეგრე ვიზამ, - მივუგე მე, - თქვენისთანა გამოცდილი კაცის რჩევას ძირს როგორ დავაგდებ.

- მოიგებთ კიდეც, მისტერ ოსბალდისტონ, მოიგებთ კიდეც! მე კი ერთხელ ჩემებურად უნდა მოველაპარაკო ამ ენაწაგდებულ უქნარას, იმიტომ, რომ სახლის ამბავი ბავშვებსა და სულელებს გააქვთ კარში. გამიგონე, ენდუ!.. რა გვარი ხარ? ჰო, ფერსერვისი?

ენდრუ გაბუტულიყო და არ შეეხმიანა.

- ენდრუ, შე არამზადავ! აქეთ! აქეთ!

- ეგრე ძაღლებს ეძახიან, - ჩაიბუზღუნა ენდრუმ, როცა მოგვიახლოვდა.

- ჰოდა სწორედ ძაღლის დღეში ჩაგაგდებ შე უქნარავ, თუ არ მომისმენ! ჩვენ უკვე მთიანეთში შევდგით ფეხი..

- ამას უთქვენოდაც ვხვდები.

- ხმა ჩაიწყვიტე, გაიძვერავ, და მომისმინე, რასაც გეუბნები! ჩვენ უკვე მთიან მხარეში ვართ...

- ეგ ერთხელ უკვე მითხარით, - კვლავ შეაწყვეტინა ენდრუმ.

- ენა ჩაიგდე მუცელში, თორემ თავს გაგიხეთქავ, - გაცეცხლდა ოლდერმენი და უნაგირზე წამოიწია.

შევატყვე, რომ ენდრუს საქმე ცუდად წაუვიდოდა და მკაცრად ვუბრძანე, ხმას ნუ იღებ-მეთქი.

- ჩუმად ვიქნები. მე ყოველთვის ვასრულებ თქვენს სამართლიან ბრძანებას და ახლაც ხმას არ ამოვიღებ. საწყალი დედაჩემი სულ მარიგებდა:

ნუ განასხვავებ გულქვას გულიანს,
მას მსახურებდე, ვისაც ფული აქვს!

ასე რომ, თუ გინდათ დაღამებამდე ილაპარაკეთ, მე რა მენაღვლება?

მისტერ ჯარვიმ პაუზით ისარგებლა და დამოძღვრა დაიწყო:

- აი, რას გეტყვით, სერ! მარტო შენზე რომ იყოს ლაპარაკი, თავს არ შევიწუხებდი. შენი ტყავი გახვრეტილ ფართინგად არ ღირს, მაგრამ თუ ჩემს ნათქვამს არ შეისმენ, სამივენი წავაგებთ თავს. იმ ფუნდუკში, სადაც ამაღამ უნდა გავჩერდეთ, ათასნაირი ჯურის ხალხი ათევს ღამეს - ყველა კლანისა და ტომის მთიელში მოგვიხდება ყოფნა, ქვემო შოტლანდიელებიც იქნებიან და, როცა კაცს თავში ვისკი შეუჯდება, ბიბლიას გვერდზე გადააგდებს და ხანჯალს დაუწყებს წვალებას. ჰოდა ფრთხილად იყავი, სხვის საქმეში ცხვირი არ წაყო და არც ეგ გრძელი ენა ატარტალო! უჩუმრად ეგდე, დაე, ყველა მამლაყინწამ თავისი ანგარიში თვითონ გაასწოროს!

- უჰ, როგორ მჭირდებოდა ეგ დარიგება! - დაიჭყანა ენდრუ. - თითქოს პირველად ვნახულობდე მთიელებს და არ ვიცოდე,

როგორ მოვიქცე! ჩემზე კარგად ვინ შეეწყობა დონალდს[199]? მე იმათთან მივაჭრია, მისვია, მიჭამია...

- გიჩხუბია როდისმე? - ჰკითხა მისტერ ჯარვიმ.

- არა, ჩხუბს ყოველთვის ვერიდებოდი. აბა რას ემგვანებოდა, რომ თავისი საქმის ოსტატს, თითქმის სწავლულს, მაგნაირ გაღ-ლეტილებისათვის გაეყადრებინა თავი. ეგენი ხომ ლათინურად კი არა, თავიანთ უბრალო ენაზეც ვერ გეტყვიან რომელიმე ბა-ლახის ან მცენარის სახელს.

- მაშინ, თუ გინდა, რომ პირში ენა შეგრჩეს და თავზე ყურები (ისე კი დიდხანს ვერც ერთს ვერ შეინარჩუნებ, ისეთი მეტიჩარა გაქვს ორივე), გირჩევ, კლახანში სიტყვა არ დაძრა ზედმეტი; არც ავი თქვა და არც კარგი. და, რაც მთავარია, სახელი არ დაგვიძა-ხო. არავინ უნდა იცოდეს, რომ მე ოლდერმენი მისტერ ნიკოლ ჯარვი ვარ, მარილის ბაზრის სოვდაგარი, პატივცემული უსტაბა-შის ნიკოლ ჯარვის შვილი, მთელ ქალაქში ცნობილი კაცი, ეს კი მისტერ ფრენ ოსბალდისტონი, ლონდონის სავაჭრო სახლის „ოსბალდისტონ და ტრეშამის“. - მთავარი მეპაიისა და ხელ-მძღვანელის შვილი.

- კმარა, კმარა, - შეაჩერა ენდრუმ, - ნუღარ გააგრძელებთ! სწორედ დავდგები და სულ თქვენზე ვილაპარაკებ. ვითომ უფრო მნიშვნელოვანი სალაპარაკო დაილია ქვეყანაზე!

- უფრო მნიშვნელოვანი? ყველაზე უფრო იმისი მეშინია, რომ უფრო მნიშვნელოვან რამეზე არ ალაპარაკდე, შე კაჭკაჭო! შენ ზედმეტი სიტყვა არ უნდა ამოიღო, არც კარგი უნდა თქვა, არც ავი!

- თუ გინდათ სულ დამამუნჯოთ, ჩემი ჯამაგირი გამისტუმრეთ და უკან, გლაზგოში დავბრუნდები, - განაწყენდა ენდრუ, - მე რა, ადამიანი არა ვარ, ლაპარაკის უფლება არა მაქვს? გამისწორ-დით და ისე წავალ, რომ უკან არ მოვიხედავ.

დავატყვე, რომ ენდრუ კვლავ ჯორზე აპირებდა შეჯდომას და ვუთხარი, თუ გინდა წადი, მაგრამ იცოდე, ნახევარ ფართინგსაც ვერ მიიღებ ჩემგან-მეთქი. მუქარა, რომელსაც რიტორები ხუმრობით „ქისაზე იერიშის მიტანას“ უწოდებენ, ყველაზე ჭრის და არც ამჯერად შეურცხვენია თავი: ენდრუმ, მისტერ ჯარვის სიტყვები რომ გავიმეორო, მაშინვე დამალა ეშვები და დამპირდი, რასაც მიბრძანებ, უსიტყვოდ შევასრულებო.

ამრიგად, ჩვენ პატარა ჯგუფში თანხმობა ჩამოვარდა და კვლავ გზას გავუდექით. აქამდე ექვსი-შვიდი ინგლისური მილი აღმართი ავიარეთ, ახლა მთის ძირში უნდა გაგვევლო ამდენივე მანძილი. ბუნება აქაც უსიცოცხლო და ერთფეროვანი იყო. იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ცისკიდურზე რომელიმე პირქუში მთის მწვერვალი. ჩვენ მუხლჩაუხრელად მივიწევდით წინ, მაგრამ, როცა ხრიოკი ველი ბინდში გაუჩინარდა, ფუნდუკამდე კიდევ სამ მილზე მეტი დაგვრჩა გასავლელი.

თავი XXVIII

ბარონ ბაკლივო! ბარონ ბაკლივო!
სულწაწყმედილო, ეშმას საკბილოვ,
ხომ იცი, რისთვის უნდა გაგკილო?!
ვისთვის აგებდი ასეთ ქალაქსა,
ცხენს ვერ უშოვი სადაც ბალახსაც,
სადაც ვერ ნახავ ისეთ ალაგსა,
ლუკმა იშოვო ჩამოჯდე წამით.
სადაც არც ერთი არა დგას სკამი...

„შოტლანდიური ხალხური ლექსი ცუდ სასტუმროზე“

მშვენიერი ღამე იდგა. თავზე სავსე მთვარე დაგვნათოდა და იქაურობა ისეთი მოტიტვლებული და მოსაწყენი აღარ გვეჩვენებოდა. მთვარემ თითქოს ნაზი პირბადე გადააფარა მიდამოს, შუქითა და ჩრდილით დაიფარა მისი სიმახინჯე და თითქოს სილამაზე და მიმზიდველობაც კი შესძინა. პირბადე ჩამოფარებული ქალიც ხომ ყოველთვის ლამაზი გვგონია.

ჩვენ კვლავ დაღმართი გვედო წინ. ფერდობზე შეფენილი ბუჩქნარი თანდათან თხელდებოდა. გზა ისე დამრეცი და დაკლაკნილი გახდა, რომ ალბათ მალე მდინარეს ან ნაკადულს მივადგებოდით. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ, წყლის ნაპირზე ვიდექით. იგი სულ არა ჰგავდა შოტლანდიურ ფშანებსა და ნაკადულებს, უფრო ჩემი მშობლიური მდინარეები მომაგონა. ვიწრო და ღრმა იყო, თანაც მდოვრედ, უხმაუროდ მიედინებოდა. ორივე

მხარეს იმსიმაღლე მთები აღმართულიყო, რომ მთვარის შუქი ოდნავღა დანათოდა მდინარის ზედაპირს.

- აი, ეს გახლავთ ჩვენი ფორტი, - მითხრა ოლდერმენმა. შოტლანდიელები დიდად აფასებენ თავიანთ მდინარეებს და მისტერ ჯარვის კილოშიც კრძალვა და მოწიწება გამოკრთა. კლაიდი, ტვიდი, ფორტი და სპეი ლამის გაღმერთებული ჰყავთ იქაურებს და თუ ვინმე აგდებით მოიხსენიებს, შეიძლება სისხლიც დაიღვაროს. მე არაფერს მიშავებს ასეთი პატრიოტიზმი, ამიტომ ფრიად სერიოზულად შევხვდი ამ ცნობას და ამით ძალზე გავახარე ჩემი უფროსი მეგობარი. თან ისეთი მოსაწყენი გზა გამოვიარე, რომ მართლა ძალიან მესიამოვნა ამ ლამაზი მიდამოს დანახვა. ჩემს ერთგულ მეაბჯრეს კი ცოტათი განსხვავებული შეხედულება ჰქონია ამ საკითხზე, რადგან ოლდერმენის აღტაცებულ შეძახილზე უგემურად ჩაიბუზღუნა:

- ჰმ, უფრო გამიხარდებოდა, რომ გეთქვათ, აი, ეს გახლავთ ჩვენი ფუნდუკიო.

ბნელოდა, მაგრამ მაინც შევნიშნე, რომ ფორტი, მართლაც იმსახურებდა ასეთ აღტაცებასა და პატივისცემას. ხეობის თავში ლამაზად მომრგვალებული, თხილისა და ცირცელის ბუჩქებით დაფარული, გორაკი მოჩანდა. ბუჩქნარის თავზე ჯუჯა მუხებს გაებარდღნათ ტოტები. აქა-იქ ბუჩქნარის განაპირას ვეება ბებერი ხეებიც შემორჩენილიყო. ხეებს ცისკენ ჰქონდათ აწვდილი ხმელი ტოტები. ტოტები ვერცხლისფრად ელავდა მთვარის შუქზე. გორაკი ალბათ მდინარის სათავეს იცავდა. ჩემი თანამგზავრის ნათქვამს თუ ვერწმუნებით, ამ თავმომრგვალებული, მწვანეში ჩაფლული ნორჩი ბუჩქნარითა და ცადაწვდენილი ხეებით დამშვენებული გორაკის მიუდგომელ გამოქვაბულებში ალების სრა-სასახლეები ყოფილა გამართული. მისტერ ჯარვიმ ხმადაბლა თითქმის ჩურჩულით გადმომცა ეს ცნობა, თანაც ყოველი სიტყვის მერე იმეორებდა, მე ასეთი ზღაპრების არ მჯერა, მაგრამ აქაურები

ასე ამბობენო. ალები ჰაეროვანი არსებები არიან, რაღაც საშუალო ადამიანებსა და დემონებს შორის: ადამიანებს არა მტრობენ, მაგრამ ძალიან გამყოლი, ბრაზიანი და თავისებური ხასიათი აქვთ, კაცი უნდა მოერიდოს.

- ამ ალებს დუუნ-შის უნდა ეძახდნენ, - კვლავ ჩურჩულით მითხრა ოლდერმენმა, - დუუნ-ში. მშვიდობიან ხალხს უნდა ნიშნავდეს. ეშინიათ და იმიტომ ეძახიან ასე. ჩვენ დუუნ-ში ვუწოდოთ, მისტერ ოსბალდისტონ. ხომ გაგიგონიათ ნავში მჯდომი მენავეს არ უნდა ეჩხუბოსო.

ამ დროს წინ ქოხებიდან გამომკრთალი სინათლის სხივები გამოჩნდა და მისტერ ჯარვის გული მოეცა. მან ხმას აუწია და მითხრა:

- თუმცა კი, ეს ყველაფერი ეშმაკისა და ქაჯის მოგონილი ამბებია. მე სულ აღარ მეშინია, ასე პირდაპირ რომ ვამბობ, რადგან წინ ქრისტიანთა მოდგმის საცხოვრებლები მოჩანს - აი, იმ შუქს რომ ხედავთ, ის არის აბერფოილი.

მართალი გითხრა, ძალიან გამიხარდა, რომ კლახანი გამოჩნდა. მარტო იმიტომ კი არა, რომ მისტერ ჯარვის შიში გაუქრა და შეეძლო თავისუფლად გამოეთქვა თავის აზრი დუუნ-შიზე ანუ ალებზე. უკვე ორმოცდაათი მილი გვქონდა გამოვლილი მთებში და ჩვენც ქანცგამოცლილები ვიყავით და ცხენებიც. აბერფოილში კი, იმედი მქონდა, ღამესაც გავათევდით და დავნაყრდებოდით კიდეც.

მდინარეზე ქვის ძველი ვიწრო ხიდით გადავედით. ხიდი ძალიან მაღალი იყო, რადგან თითქმის ფორტის სათავესთან ვიყავით და მდინარე ღრმად მიედინებოდა ხევში. მისტერ ჯარვიმ მითხრა, მთიანი მხარის სამხრეთში, ჩვეულებრივ, ფრუსის ფონით შედიანო. მდინარეს მხოლოდ ეს ერთი ფონი ჰქონდა და ისიც ყოველთვის არა ფონობდა - ხანდახან წყალი მოიმატებდა და მგზავრები მხოლოდ სტირლინგის ხიდის იმედად რჩებოდნენ,

რადგან ფრუსიდან ამ ხიდამდე მდინარე ძალიან ღრმა იყო. ასე რომ, ფორტი, სათავიდან მოყოლებული თითქმის ფრიტამდე, სადაც იგი ოკეანეს ერთვოდა, მტკიცე და საიმედო ზღუდე იყო როგორც ზემო, ასევე ქვემო შოტლანდიისათვის. შემდგომმა მოვლენებმა გამახსენა ოლდერმენის ნათქვამი „ფორტი ველური მთიელი ლაგამიაო“.

ხიდიდან ნახევარი მილიც გავიარეთ და ფუნდუკის ჭიშკარს მივადექით, სადაც ღამის გათევას ვაპირებდით. ფუნდუკი ერთი მინგრეულ-მონგრეული ქოხი გამოდგა. მგონი, ის ქოხი ჯობდა, სადაც შუადღისას ვისადილეთ, მაგრამ ვიწრო ფანჯრებიდან სინათლე გამოდიოდა, ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან ლაპარაკის ხმა ისმოდა და კიდევ მრავალი რამ მიგვანიშნებდა, რომ ამ ქოხში სასმელ-საჭმელს და დასაწოლს ვიშოვიდით (ერთიც ძალიან გვჭირდებოდა და მეორეც). ენდრუმ პირველმა შენიშნა, რომ ქოხის კართან ტირიფის გაქერქილი ტოტი იდო, უკან დაიხია, ჩვენც შეგვაჩერა და გვითხრა:

- ალბათ ვინმე ბელადი ან ლედია შიგნით, იუსკვებოთი[200] სკდება და არ უნდა, ვინმემ შეაწუხოს. პირდაპირ რომ შევიდეთ, ან თავს გაგვიხეთქავენ, ან ხანჯალს გაგვიყრიან მუცელში. აქ ასე ასწავლიან ზრდილობას.

მე მისტერ ჯარვის გადავხედე. მან თავი დააქნია და ჩურჩულით მითხრა, ზოგჯერ რეგვენსაც დაეჯერებაო. ცხენების ფეხის ხმა რომ გაიგონეს, ფუნდუკიდან და მეზობელი ქოხებიდან ბავშვები გამოცვივდნენ და თვალდაჭყეტილები შემოგვაცქერდნენ. არავინ მოგვსალმებია, არავის ჩამოურთმევია ცხენები; ყველა კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი გვესმოდა: „ჰა ნიელ სასენახ[201]“. მაგრამ ოლდერმენი გამოცდილი კაცი იყო და ადვილად იპოვა გამოსავალი.

- ბობი[202] რომ მოგცე, მაშინ გეცოდინება ინგლისური? - ჰკითხა მან ერთ-ერთ, დაგლეჯილ პლედში გამოხვეულ, ათიოდე წლის ონავარს.

- მაშ! როგორ არ მეცოდინება! - მიუგო ბიჭმა საკმაოდ კარგი ინგლისურით.

- მაშინ წადი და დედაშენს უთხარი, ორი სასენახელი ჯენტლმენია მოსული და შენთან ლაპარაკი უნდათ-თქო.

ამ დროს თვითონ დიასახლისიც გამოჩნდა. ხელში ანთებული კვარი ეჭირა, ტორფიანი ჭაობების პირად გაზრდილი ნაძვის კვარი. ასეთი კვარი უხვად არის გაჟღენთილი ფისით, ამიტომ კაშკაშა ალით იწვის და მთიელები სანთლად ხმარობენ. ალის შუქზე კარგად შევათვალიერე დიასახლისი: ფერმკრთალი, გამხდარი, მაგრამ ძვალმსხვილი ქალი იყო, შუბლი შეკრული ჰქონდა და როგორღაც დამფრთხალი იმზირებოდა. ტანთ დახეული კაბა ემოსა ზედ კუბოკრული პლედი თუ შალი წამოესხა, მაგრამ ისიც ისე იყო დაძონძილი, რომ ვერც სიტიტვლეს უფარავდა და ალბათ ვერც ათბობდა. შავ, დაუვარცხნელ თმაზე ჩაჩი დაეკოსებინა და ისე დაბნეული აცეცებდა თვალებს, თითქოს ჯადოქრობაზე წაასწრესო. ქალმა გადაჭრილი უარი გვითხრა მასპინძლობაზე. ძალიან ავღელდით და ყოველნაირად შევეცადეთ მოგველბო. საიდან არ შემოვუარეთ. ვუთხარით, რომ ცხენები დავარდნაზე იყვნენ და ჩვენც ფეხზე ვეღარ ვიდექით. რომ წინ გრძელი გზა გვედო, რომ კალენდარამდე ღამის გასათევს ვერ ვიშოვიდით, იქამდე კი, ოლდერმენის სიტყვით, შვიდი შოტლანდიური მილი იყო გასავლელი (ზუსტად ვერასდროს დავადგინე შოტლანდიური მილის სიგრძე; დაახლოებით კი ინგლისურზე ორჯერ მეტი უნდა იყოს). ერთი სიტყვით, ყველანაირად შევაცოდეთ თავი, მაგრამ ვერა და ვერ გავტეხეთ: გზაში გაწვალება გიჯობდეთ აქ გათენებასო, ჯიუტად იმეორებდა იგი ქვემო შოტლანდიურ დიალექტზე (თურმე ლონოქსიდან ყოფილა გამოთხოვილი). მე

სტუმრები მყავს და ძალიან გაბრაზდებიან, ვინმე რომ მივიღოო. დიასახლისმა არ იცოდა, ვინ იყვნენ, ან ვის ელოდებოდნენ. თითქოს და წითელხიფთნიანები უნდა იყვნენო, გვითხრა ჩურჩულით და უკან მიიხედა. რომ არ მოვეშვით, ახლა თვითონ დაგვიწყო დარიგება, მშვენიერი ამინდია, სუფთა ჰაერზე ღამის გათევა გარგებთ კიდეც, ბევრ ჯენტლმენს დაუძინია მინდორში, გაუხდელად წამოწვებით ბუჩქებში, რა მოხდა, ვითომ ლაშქრობაში ხართ. არც ისეთი ნესტია, რომ გაცივდეთ, ცხენებს მთაში საძოვრად, ამაზე არავინ გამოგედავებათო.

- მომისმინეთ, ჩემო კარგო, - ვუთხარი ქალს, როცა დავინახე, რომ ოლდერმენს სიტყვები შემოელია და ოხვრა-კვნესა ამოუშვა პირიდან, - უკვე ექვსი საათი გავიდა, რაც ვისადილეთ და იმის მერე ნაწილი არ ჩაგვსვლია კუჭში. ლამის სული გამძვრეს შიმშილით, თუ არა ვჭამე, არც დამეძინება. მთაში არასოდეს დამიძინია და ვერც ახლა დავიძინებ. არა, აუცილებლად უნდა შემოვიდეთ ქოხში. ბოდიში მოიხადეთ თქვენს სტუმრებთან და უთხარით ორიოდე სტუმარი შემოგემატებათ-თქო. ენდრუ, ცხენები თავლაში შეიყვანე!

ჰეკეტამ[203] გაოცებით შემომხედა, მერე თავი გადააქნია და ჩაილაპარაკა:

- კაცი რომ გაჯიქდება, იმასთან ვერაფერს გახდები. გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა! მაინც რა გაუმაძღრები არიან ეს ინგლისელები! დღეს სადილი ჭამა და ცხელი ვახშმის გულისთვის სიკვდილსაც არ უფრთხის! ტოფიტის[204] ხრამის გადაღმა ნაპირზე რომ დაუდგა შემწვარი ხორცი და პუდინგი, უკან არ დაიხევენ. მე ხელი დამიბანია და თქვენ იცით. წამომყევით, ბატონო, და გიჩვენებთ სად დააბინაოთ ცხენები.

რომ არ მოგატყუო, დიასახლისის ნათქვამმა კარგა გვარიანად შემაცბუნა. აშკარა იყო, საფრთხეში ვიგდებდით თავს, მაგრამ უკან დახევა აღარ ვიკადრე და თამამად გავემართე ქოხისა-

კენ. ვიწრო დერეფანში კინაღამ ფეხი მოვიტეხე - ტორფიანი კალათა და მწნილის კასრი იყო ჩაგრეხილი. მერე, როგორც იქნა, გადავაბიჯე, წნელის მიბრეცილ-მობრეცილი კარი შევაღე და ოლდერმენის თანხლებით შევედი ამ შოტლანდიური ქარვასლის მთავარ დარბაზში.

ოთახის მოწყობილობა ყველა სამხრეთელს გააოცებდა. კერიაზე ცეცხლი ენთო და ტორფისა და ფიჩხის ალი ტკაცუნით მიისწრაფოდა ჭერისაკენ. კვამლს მხოლოდ ჭერში დატანებული საკვამურიდან ჰქონდა გასასვლელი, მაგრამ საკვამური ვიწრო იყო და იატაკიდან ხუთი ფუტის სიმაღლეზე შავი ღრუბელი დამდგარიყო. ქოხის ქვედა ნაწილი კი კარგად ნიავდებოდა: ცალკე წნელის კარიდან და ორი ოთხკუთხა სარკმლიდან უბერავდა ჰაერი (ერთს თავსაფარი ჰქონდა აფარებული და მეორეს დაგლეჯილი ქვედაკაბა), ცალკე უამრავი, თვალითუნახავი ბზარიდან - ქოხი რიყის ქვითა და ტორფით იყო ნაგები, კირის მაგივრად კი თიხა ეხმარათ.

ცეცხლთან მდგომ ძველ მუხის მაგიდას სამი კაცი შემოსჯდომოდა. მივხვდი, რომ სტუმრები იყვნენ. ისეთი გარეგნობა ჰქონდათ, რომ ყველას ყურადღებას მიიქცევდნენ: ერთ მათგანს მთიელთა ტალავარი ემოსა, მეორე, პატარა ტანის კაცი, კუბოკრულ ტრუზში - ვიწრო ნაქსოვ შარვალში - იყო გამოწყობილი. ამ უკანასკნელს მეტყველი, ცვალებადი და ნერვიული სახე ჰქონდა. ოლდერმენმა ჩამჩურჩულა, ეტყობა, დიდი კაცია, ტრუზებს აქეთ მხოლოდ დუნევასალები[205] იცვამენ - ძალიან ძნელია ისე მოქსოვო, რომ მთიელებს მოეწონოსო. პლედიც მდიდრული ესხა - შავ და მწვანე უჯრედებიანი. პირველი მთიელი ვეება წითური კაცი იყო, დაჭორფლილი სახე, მკვეთრი ნაკვთები და გრძელი ნიკაპი ჰქონდა - სწორედ ასე ხატავენ ნამდვილი შოტლანდიელების კარიკატურას. მას უფრო უბრალო წითელუჯრედებიანი პლედი ჰქონდა მოსხმული. მესამე ქალაქურ ტანსაცმელში იყო გა-

მოწყობილი. იგი ჯანიანი და გაბედული კაცი ჩანდა, ეტყობა, სამხედრო იყო. ხიფთანი ძვირფასი ოქრომკედით ჰქონდა ამოქარგული, თავზე კი უზარმაზარი სამკუთხა ქუდი ეხურა. დაშნა და დამბაჩემი მოეხსნა და მაგიდაზე დაელაგებინა. სამივე მთიელს ხანჯალი ამოეღო ქარქაშიდან და მაგიდაზე დაერჭო. როგორც შემდგომში ამიხსნეს ეს იმის ნიშანი იყო, რომ მშვიდობიან საუბარს აპირებდნენ. (რა უცნაური ნიშანია, არა?) ამ პატივცემულ ბატონებს მოზრდილი კალის ტოლჩა (ერთი ინგლისური ჩარექი ჩაეტეოდა შიგ) იუსკვებო დაედგათ შუაში. იუსკვებო ქერის ალაოზე დამზადებული სასმელია; სიმაგრით არაყს არ ჩამოუვარდება. მთიელები ამ სასმელს ბლომად გეახლებიან, თანაც წყლით არ აზავებენ. სამივენი ერთადერთ გვერდმობრეცილ ხისფერ კათხაში ისხავდნენ იუსკვებოს. კათხა ჩქარ-ჩქარა გადადიოდა ხელიდან ხელში. არ დაგავიწყდეს, რომ იუსკვებო საკმაოდ მაგარი სასმელია! სასმელი საუბარში ხელს არ უშლიდათ - ხმამაღლა, გაცხარებით ლაპარაკობდნენ, ხან გელურად, ხან ინგლისურად. ოთახში კიდევ ერთი მთიელი შევნიშნე. იგი პლედში გამოხვეულიყო და იატაკზე მიწოლილიყო, თავი ქვაზე მიყრილ ჩალაზე ედო და არ ვიცი, ეძინა თუ თავს იმძინარებდა. ისიც გამვლელი მგზავრი ჩანდა, რადგან ჩაცმული იწვა და მთიელთა სანიადაგო იარაღიც - ფარი და ხმალი ზედ ესხა. კედლების გაყოლებაზე სხვადასხვაგვარი საწოლები იდგა, ზოგი დამტვრეული ფიცრებისგან იყო შეკოწიწებული, ზოგი ტირიფის წნელებისგან ან ფიჩხის გუდურებიდან მოეცოდვილებინათ. ზედ შინაურებს - მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს ეძინათ. ეს საწოლები მხოლოდ ბოლით იყო გამოყოფილი სტუმრების მისაღებისგან - სქელი ბოლი ყოველი მხრიდან ფარავდა მძინარე მასპინძლებს.

ჩვენ უხმაუროდ შევედით ქოხში, ჩემ მიერ აღწერილი მოქეიფეები კი ისე იყვნენ გართულები ლაპარაკში, რომ ერთხანს ვერც შეგვამჩნიეს. მხოლოდ იატაკზე მწოლიარე მთიელი წამო-

იწია, სახეზე ჰლედი აიფარა და შეგვათვალიერა. შემდეგ კვლავ ქვის სასთუმალზე მიდო თავი და ძილი შეიბრუნა.

ცეცხლის დანახვა ძლიან გვესიამოვნა, რადგან შემოდგომა იყო და დაღლილები და გათოშილები გახლდით. ცეცხლს მივეფიცხეთ და დიასახლისს გავძახეთ, რაიმე საჭმელი მოგვიტანეო. დამხვდურებმა მხოლოდ ახლაღა შეგვნიშნეს. დიასახლისი მოგვიახლოვდა. იგი ხან ჩვენ შემოგვხედავდა შეშინებული, ხან ძველ სტუმრებს. ბოლოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოღერღა. არ ვიცი, რა მოგართვათ შინ არაფერი მოგვეძევებაო. მერე მიიხედ-მოიხედა და დასძინა, ისეთი არაფერი გვაქვს, თქვენისთანა სტუმრებს რომ შეებედებოდესო.

მე დავამშვიდე, საჭმელი იყოს რამე და არ დავიწუნებთ-მეთქი, შემდეგ მივიხედ-მოვიხედე, და სკამი რომ ვერსად შევნიშნე, მისტერ ჯარვის ქათმების ცარიელი გალია დავუდგი, ჩემთვის კი გატეხილი კოთხო მოვითრიე, გადავაბრუნე და დავჯექი. ის იყო მოვეწყვეთ, რომ ქოხში ენდრუ ფერსერვისი შემოვიდა და ზურგს უკან ამეტუზა. დამხვდურები თვალმოუშორებლად მოგვჩერებოდნენ. ისინი ცოტათი დააბნია ჩვენმა სითამამემ, ჩვენ კი ვცდილობდით, ყოჩაღად დაგვეჭირა თავი და არ გვეგრძნობინებინა, რომ ყოველ წამს ველოდით სასტიკ საზღაურს თავხედური შემოჭრისათვის.

ბოლოს იმ პატარა ტანის მთიელმა საოცარი ინგლისურით, მაგრამ მეტისმეტად ქედმაღლურად მითხრა:

- სერ, ვხედავ, ისე ეწყობით, როგორც საკუთარ ოჯახში!

- მე ყოველთვის ასე ვიქცევი, როცა ფუნდუკში ვბინავდები, - მივუგე მე.

- შენ არ დაგინახე თეთრი ჯოხი კარებთან და არ მიხვდა, ის სახლში რომ სხვა შენტლმენებია? - მკითხა მაღალმა მთიელმა.

- მე თავს არ ვიდებ აქაური ადათ-წესების ცოდნაზე, მაგრამ მინდა გამაგებინოთ, რატომ ხდება, რომ სამ კაცს უფლება აქვს,

წაართვას სხვა მოგზაურებს ერთადერთი ღამის გასათევი. ახლო-მახლო ხომ სხვა ფუნდუკი არ მოიძებნება.

- თქვენ არავითარი უფლება არ გაქვთ, - მხარი ამიბა ოლ-დერმენმა, - საწყენად არ გეუბნებით და ასეთი წესი და კანონი არ არსებობს! ისე კი, თუ ერთი სურა კარგი არაყი შეგვარიგებს, ჩვენ თვინიერი ხალხი გახლავართ და მხადა ვართ...

- რა ჯანდაბად გვინდა თქვენი არაყი, სერ! - შემოგვიტია სამ-ხედრომ და სამკუთხა ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა, - არც არაყი გვინდა და არც თქვენი ყურება.

სამივენი ფეხზე წამოდგნენ და ხმადაბლა დაიწყეს თათბირი, თან ტანსაცმელს ისწორებდნენ, შუბლს იჭმუხნიდნენ და თვალებს აბრიალებდნენ. შოტლანდიელებმა ასე იციან ბრძოლის წინ - ცდილობენ თავი გაიღიზიანონ, რომ უფრო გულიანად შეუტიონ მოწინააღმდეგეს.

- მე ხომ გითხარით, ჯენტლმენებო, რაც მოგელოდათ, - გვით-ხრა დიასახლისმა, - გაგაფრთხილეთ, მაგრამ თქვენ თქვენი გა-აკეთეთ. ახლა მაინც წადით ჩემი სახლიდან, აყალ-მაყალს ნუ ამიტეხავთ! ჯინი მაკალპინის ოჯახში ჯენტლმენებს არ აწუხებენ და თუ შეაწუხეს, კარგ პასუხსაც მიიღებენ! მოეხეტა ეს უქნარა ინ-გლისელი შუაღამისას და პატიოსანი სტუმრები ამიფორიაქა! რა უნდოდა? ისხდნენ თავისთვის ცეცხლთან და სვამდნენ!

სხვა დროს აუცილებლად გამახსენდებოდა ლათინური ლექსი „Dat veniam corvis, vexat censura columbas“[206]. მაგრამ მაშინ კლასიკაში ქექვის დრო არ მქონდა, რადგან ვატყობდი, რომ ბრძოლა გარდაუვალი იყო. თავადაც აღშფოთებული ვიყავი ისე-თი თავხედური შეხვედრით და მისტერ ჯარვი რომ არ ყოფილი-ყო ჩემთან, აქამდე დავეტაკებოდი სამივეს (ჯერ ერთი ოლდერ-მენს ბრძოლა არ შეეფერებოდა და, გარდა ამისა, ისე იყო ჩა-გოდრებული პირველივე შეტაკებაში წამოაგებდნენ დაშნაზე), მაგრამ სხვა გზა აღარ დამრჩენოდა - როცა დავინახე, რომ ჩვენ-

კენ წამოვიდნენ, წამოვხტი, ლაბადა მოვიხადე და თავდასაცავად მოვემზადე.

- ჩვენც სამნი ვართ და თქვენც, - თქვა ტანდაბალმა მთიელმა და აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა, - დაგვიმტკიცეთ, რომ წესიერი ხალხი ხართ.

მან ჩელთი-ხმალი გააშიშვლა და შემომიტია. მე უკეთესი იარაღი მქონდა - რაპირა, ვიცოდი, ვერაფერს დამაკლებდა და თავდაცვა ვამჯობინე. ოლდერმენმა უჩვეულო სიმკვირცხლე და შემართება გამოიჩინა: როცა იარაღმომარჯვებული გოლიათი მთიელი მისკენ გაემართა, ხმლის ვადა მოზიდა, მაგრამ ხმალი და ქარქაში კარგა ხანია მტკიცედ შეედუღაბებინა ჟანგს და ასე ადვილად ვერ გაიყრებოდნენ. ამას რომ მიხვდა, ხმალს ხელი უშვა, კერიიდან წითლად გავარვარებული გუთნის საკვეთელი აიტაცა, რომელსაც, ეტყობა, საჩხრეკის ნაცვლად ხმარობდნენ და ისე მარჯვედ დაატრიალა, რომ პირველივე შეტევით ცეცხლი გაუჩინა მთიელის პლედს. გოლიათმა მაშინვე საკმაო მანძილით დაიხია უკან და ცეცხლის ჩაქრობას შეუდგა. სამწუხაროდ, ენდრუ, რომელსაც ქვემო შოტლანდიელ მეომართან უწევდა შეტაკება, ბრძოლის დაწყებამდე გაუჩინარდა. მისმა მოწინააღმდეგემ კეთილშობილება გამოიჩინა და გვერდზე გადგა. ასე რომ, ერთი ერთზე მოვდიოდით. მე გადავწყვიტე, იარაღი დამეგდებინებინა მოწინააღმდეგისათვის, მაგრამ ახლო მისვლას ვერა ვბედავდი, რადგანაც მარცხენა ხელში ხანჯალი ეჭირა. ოლდერმენმა დასაწყისში კი უკან დაახევინა მეტოქეს, მაგრამ მერე ცუდ დღეში ჩავარდა: მძიმე იარაღმა და სწრაფმა მოძრაობამ მალე გამოაცალა ქანცი. იგი საბურველივით ქშინავდა და ძლივსღა იცავდა თავს. თუ მოწინააღმდეგე არ შეიბრალებდა, დაღუპული იყო, მაგრამ ამ დროს მშველელი გამოუჩნდა: იატაკზე მწოლიარე მთიელი ფეხზე წამოხტა, ცალ ხელში გაშიშვლებული ხმლით და მეორეში ფარით შუაში ჩაუხტა მებრძოლებს და აყვირდა:

- მე ქალაქის პურს ვჭამდი გლასკოში და, უსინდისო ვიყო, უნდა ვიბრძოლო ოლდერმენ შარვის მაგიერ აბერფოილში, უეჭველი უნდა ვიბრძოლო!

მოულოდნელმა მშველელმა სიტყვა საქმედ აქცია და გოლიათი თანამემამულე ლამის დააყრუა ხმლის სხივილით, თუმცა არც ის რჩებოდა ვალში: დარტყმაზე მაშინვე დარტყმით უპასუხებდა. ჭრილობა არც ერთს არ აჩნდა, რადგან ხმალს სპილენძით შემოჭედილ ხის ფარს უხვედრებდნენ, საშინელი ჟღარუნ-ჩხარუნი იდგა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ჩვენი დახოცვა კი არ ედოთ გულში, ისე, გასართობად გვეკეჭნავებოდნენ. ქვემო შოტლანდიელმა ჯენტლმენმა, რომელსაც მოქიშპე არა ჰყავდა და აქამდე გვერდზე იყო გამდგარი, შუამავლობა იკისრა:

- შეჩერდით, შეჩერდით! გეყოფათ! მართლა ხომ არ უნდა დახოცოთ ერთმანეთი. ახალმოსულმა ჯენტლმენებმა დაამტკიცეს, რომ ვაჟკაცები არიან და თავს არავის დააჩაგვრინებენ. ამქვეყნად ჩემსავით არავინ უფრთხილდება სახელსა და ღირსებას, მაგრამ უაზრო სისხლისღვრას ვერ ვიტან.

მე, რასაკვირველია, დიდად არ მეხალისებოდა ეს მართლაც უაზრო ორთაბრძოლა. ჩემი მოწინააღმდეგეც მზად იყო, ხმალი ქარქაშში ჩაეგო. პატივცემული ოლდერმენი შეიძლებოდა hors de combat-დ[207] ჩაგვეთვალა, რადგან კერ კიდევ გაჭირვებით ითქვამდა სულს, ხოლო გოლიათმა და მისმა მოქიშპემ ამ სიტყვების გაგონებისთანავე შეწყვიტეს ხმლების ტრიალი.

- ახლა კი ვსვათ და ვიმასლაათოთ, - თქვა შუამავალმა, - ადგილი ყველას გვეყოფა. ამ შესანიშნავმა პატარა ჯენტლმენმა ძალიან მძიმედ გადაიტანა ეს პატარა წაკინკლავება: ჯერაც გაჭირვებით ითქვამს სულს, მაგრამ იმედია მალე მოსულიერდება და ერთ სურა არაყს შემოგვწირავს, მეორეს კი მე ვიკისრებ და ბარიშანით დავამთავროთ ეს ამბავი.

- მერე ვინ გაამთელებს ჩემი ახალი ლამაზი პლედს. იმოდენა ნახვრეტი აქვს გოგრა გაეტევა შიგნით. გაგიგონიათ, ღირსეული შენტლმენი ცეცხლის საჩხრეკით ბრძოლობდა?

- ნუ გეშინიათ, მაგაზე არ გაწყენინებთ, - დაამშვიდა ოლდერმენმა, რომელიც უკვე მოსულიერებულიყო და ყინჩად იმზირებოდა. იგი ძალიან იყო გახარებული, რომ ვაჟკაცურად იბრძოლა, მაგრამ პლედის გულისთვის ახალი დავის ატეხა არ უნდოდა და მორიგება ამჯობინა. - ძაღლი ვინც მოკლა, იმანვე უნდა გადაათრიოს, მე დავწვი და მევე ვზღავ. სულ ახალ, კეწკეწა პლედს გამოგიგზავნით, ფერებიც თქვენი კლანისა იქნება. გლაზგოდან გამოგიგზავნით, ოღონდ მისამართი მითხარით.

- ჩემი კლანის გაგება რა ძნელია? ყველამ იცის, რომ მე მეფის კლანის[208] კაცი არის. მაინც წაიღე პლედის ნაგლეჯი, ნიმუში იყოს. ფუჰ, რა სუნი უდის! თითქოს ცხვრის თავი გაურუჯიათო. ერთი შენტლმენი, ჩემი ბიძაშვილი უნდა ჩავიდეს გლენკროდან გლასკოში, კვერცხები ჩაიტანოს გასაყიდად და შენთანაც მოვა. ოღონდ მითხარი სად უნდა მოსვლა. მაინც, პატივცემულო შენტლმენო, მეორედ თუ იბრძოლებ, ხმალი იხმარო. თუ ატარო, კიდეც უნდა იხმარო, თორემ ეგ მოშუღლის მასხარებაა. ვინ გინახავს, საკვეთელითა და საჩხრეკელით იჩხუბა?

- ვისაც როგორ შეუძლია ისე იბრძვის, - იმართლა თავი ოლდერმენმა. - ჩემი ხმალი კარგა ხანია არ ამოსულა ქარქაშიდან. ბოტველის ხიდთან რომ ამბავი დატრიალდა, იმის შემდეგ მზის სინათლე არ უნახავს. მაშინ ცხონებულმა მამაჩემმა შემოირტყა ეს ხმალი წელზე, მაგრამ არ ვიცი, იხმარა თუ არა, რადგან ბრძოლა მალე გათავდა. ახლა ისეა ჩაჭედილი, რომ ვეღარ ამოვიღე და, ამიტომ, რაც ხელში მომხვდა, ის ავიტაცე. რაღა დროს ჩემი ბრძოლაა, მაგრამ შეურაცხყოფას არავის შევარჩენ. ჰო, მართლა! ის ყმაწვილი რა იქნა, ასე ნამუსიანად რომ ამომიდგა მხარში? თუ გინდა მოკვდე, ერთი კარგად უნდა გამოვთვრე იმასთან.

ოლდერმენმა თვალი მიმოავლო ქოხს, მაგრამ მთიელი არსად ჩანდა. იგი ბრძოლის შეწყვეტისთანავე გაიპარა. წასვლისას კარგად შევათვალიერე და ვიცანი: ველური გამოხედვა, წითური თმები... რაღა თქმა უნდა, დუგალი იყო, ჩვენი ძველი ნაცნობი, გლაზგოს საპატიმროს ყოფილი დარაჯი. მე ჩურჩულით გავუზიარე ჩემი აღმოჩენა მოსამართლეს და იმანაც ხმადაბლა მიპასუხა:

- კარგი, კარგი. იმას მართალი უთქვამს: მაგ უქნარასაც თურმე მართლა ეხსნება ხანდახან გონება და მაშინ კარგი საქმის გაკეთებას ახერხებს. მოვიფიქრებ, იქნებ რაიმეთი დავეხმარო.

ოლდერმენი მაგიდას მიუჯდა, ერთ-ორჯერ ღრმა ამოითქვა სული და დიასახლისს გასძახა:

- ახალა კი, ძვირფასო, რადგან დავრწმუნდი, რომ მუცელი გაფატრული არა მაქვს, თქვენ სახლში იმისთანა ამბები ხდება, რომ მეტსაც უნდა მოელოდეს კაცი. ჰოდა, რადგან მუცელი მთელი მაქვს, რაიმეთი უნდა ამოვივსო კიდეც.

დიასახლისი გახარებული იყო, რომ ქარიშხალმა გადაიარა და მაშინვე შეუდგა ვახშმის კეთებას. იმ საღამოს ყველაზე უფრო იმან გამაოცა, რომ დიასახლისი და მისი ოჯახის წევრები სრულიად მშვიდად შეხვდნენ ამ აურზაურს. ბრძოლა რომ ატყდა, მხოლოდ მაშინ აღელდა ცოტათი და ვიღაცას უბრძანა: კარი ჩაკეტე, კარი! სანამ ფულს არ გადამიხდიან, არავის გავუშვებ აქედანო. შინაურებს ეძინათ. ხმაური რომ ატყდა, გამოიღვიძეს, თავი წამოწიეს (პერანგი არც ერთს არ ეცვა ტანზე), რაღაც წაიბურტყუნეს და ისევ დაიძინეს.

ახლა კი დიასახლისი ციბრუტივით დატრიალდა და სულ მალე მშვენიერი კერძი მოგვიმზადა: არ ვიცი, ეპიკურელს მოეწონებოდა თუ არა წვრილად დაჭრილი ჩახრაკული ირმის ხორცი, რომელიც ტაფით დაგვიდგა მაგიდაზე, მაგრამ ჩვენ ისე მოგვეწონა, რომ ლამის თითები ჩავატანეთ. კერძს ინგლისური არაყი მოჰყვა და მთიელები, თმცა თავიანთ დამზადებულ სასმელებს

უფრო ეწყობიან, ამასაც კარგად შეექცნენ. თითო ჭიქა რომ გადავკარით, ქვემო შოტლანდიელმა ჯენტლმენმა მოისურვა გაეგო, ვინ ვიყავით და საით მივდიოდით.

- ჩვენ უბრალო გლაზგოელი მოქალაქეები ვართ, პატივცემულო - მოისაწყლა თავი მისტერ ჯარვიმ, - სტირლინგში ვაპირებთ ასვლას, ცოტაოდენი ფული მართებთ ჩემი ვიღაც-ვიღაცებს და უნდა გამოვართვათ.

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ცოტა არ იყოს მეწყინა, რომ ასე უბრალო ხალხად გააცნო ჩვენი თავი წეღანდელ მოშუღლეებს, მაგრამ არაფერი ვთქვი - გამახსენდა, სიტყვა რომ ჩამომართვა, შენ ხმა არ ამოიღოო, და გადავწყვიტე, არაფერში ჩავრეოდი. ისიც გავითვალისწინე, უილ, რომ ეს დარბაისელი კაცი ჩემი გულისთვის დაადგა ამ მძიმე და სახიფათო გზას და სულ ათიოდე წუთის წინ სიკვდილს შესცქეროდა თვალებში. განა ამის მერე შეიძლებოდა პირში ვცემოდი?

მოწინააღმდეგე პარტიის ორატორი ზიზღიანად დაიღრიჯა და უთხრა:

- თქვენ ხომ მეტი საქმე არა გაქვთ, გლაზგოელმა ვაჭრებმა მეტი რა უნდა გააკეთოთ, აგიღიათ თავი და მთელ შოტლანდიას დაუვლით, რომ შეუბრალებლად გაფცქვნათ საწყალი მოვალეები. დიდი ამბავი თუ ვინმემ დააგვიანა გადახდა. აი, მეც შემთხვევით გადამიცილდა ვადა და უნდა ჩამომახრჩო?

- ჩვენი მოვალეები თქვენისთანა პატიოსანი ჯენტლმენები რომ იყვნენ, გარსხატახინელო, ღმერთს გეფიცებით, ფეხს არ გავადგამდი გლაზგოდან - მეცოდინებოდა, რომ თავიანთი ხელით მომიტანდნენ ვალს, - მიუგო მოსამართლემ.

- ოჰო, რაო, როგორ?! - წამოიძახა მთიელმა. - კისერს მოვიჭრი, თუ ეს კაცი ჩემი ძველი მეგობარი ნიკოლ ჯარვი არ იყოს! ნამდვილად საუკეთესო ადამიანია, ყველას ჯობია, ვისგანაც კი

ოდესმე ფული ამიღია ხელწერილით! ჩვენ მხარეში ხომ არ მოდიხართ? ჩემთან, ენდრიკაში ხომ არ აპირებდი შემოსვლას?

- არა, მართალი გითხრა, გულში არ გამივლია თქვენთან შემოსვლა, მისტერ გალბრეიტ! მე სულ სხვა საქმეზე ვარ წამოსული. თქვენ კი, ალბათ, გეგონათ, რომ იმ მიწის ნაგლეჯის ბედის გასაგებად ჩამოვედი, მემკვიდრეობით რომ მერგო და მერე თქვენ რომ მოგეცით იჯარით არა? მე ხომ ყოველწლიურად მეკუთვნის საიჯარო გადასახადი!

- ჯანდაბას ყოველწლიური გადასახადი! - ჩაიქნია ხელი ლერდმა. - რა დროს საქმეებია, როცა ამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი. მე ხომ იქვე მეზობლად ვცხოვრობ და ამიტომ თითქმის ჩემს სტუმრად შეგიძლიათ ჩათვალოთ თავი. მაინც როგორ ცვლის ადამიანს რეიტუზი და ჯოზეფი![209] კინაღამ ვერ ვიცანი ჩემი ძველი და ერთგული მეგობარი - უსტაბაში ნიკოლ ჯარვი!

- ოლდერმენი, ბატონო ჩემო, ოლდერმენი, - შეუსწორა ჩემმა თანამგზავრმა, - ვიცი, რატომ შეგეშალათ: ის მიწა ცხონებულ მამაჩემს დაუტოვეს, მამაჩემი კი უსტაბაში იყო და იმასაც ნიკოლი ერქვა. მისი სიკვდილის შემდეგ არც ძირითადი თანხა მიმიღია და არც ყოველწლიური საიჯარო გადასახადი. სწორედ ამან გამოიწვია ეს შეცდომა.

- კაი, ჯანდაბას, იქით იყოს ეგ შეცდომაც და იმის მიზეზიც, - შეაწყვეტინა მისტერ გალბრეიტმა, -ძალიან მიხარია, რომ ქალაქის საბჭოში აურჩევიხართ. შევავსოთ თასი, ბატონებო! გაუმარჯოს ჩემს შესანიშნავ მეგობარს - ოლდერმენ ნიკოლ ჯარვის! ოცი წლის მეგობრობა მაკავშირებს მამამისთან და თვითონ ამასთან! ყველამ დალია? კიდევ გაავსეთ! ვუსურვოთ, რომ სულ მალე პროვოსტი გახდეს, დიახ, სწორედ პროვოსტი! გაუმარჯოს ლორდ-პროვოსტს ნიკოლ ჯარვის! იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ გლაზგოში ვინმე უკეთესად გაუძღვება ამ საქმეს? თუ ასე ფიქრობს ვინმე, იფიქროს, ოღონდ ჩემთან, გარსხატახინელ დუკან

გალბრეიტთან სიტყვა არ დაძრას ამაზე - თავისთვის იფიქროს, მორჩა და გათავდა!

დუკან გალბრეიტმა ქუდი გვერდზე მიაგდო და გამომწვევად გადახედა სუფრას, მაგრამ ის ფარისევლური სადღეგრძელო ყველამ დალია და თამადა დამშვიდდა. შემდეგ სამივემ გელურად დაიწყეს ლაპარაკი - მისტერ გალბრეიტმა წყალივით იცოდა ეს ენა, რადგან მთიანი შოტლანდიის მეზობლად ცხოვრობდა.

- მაშინვე ვიცანი ეს თაღლითი, - ჩამჩურჩულა ოლდერმენმა, - მინდოდა მივსალმებოდი, მაგრამ გადავიფიქრე - გაფიცხებული იყო, ხელში შიშველი ხმალი ეჭირა და ვიფიქრე, ვაითუ სხვანაირად გამისწოროს ანგარიში-მეთქი. ჩვეულებრივი წესით ძალიან ეძნელება ვალის გადახდა! ისე, პატიოსანი და კეთილი კაცია. გლაზგოში იშვიათად ჩამოდის, მაგრამ ნანადირევს ხშირად გვიგზავნის - ირმის ხორცსა და სოღოს არ გვაკლებს. იმ ფულზე სულ არ ვნაღვლობ - მამაჩემს, უსტაბაშს, ძალიან უყვარდა მაგათი ოჯახი.

ვახშამი მზად იყო და თვალებით ენდრუ ფერსერვისს დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერსად შევნიშნე და გამახსენდა, რომ შეტაკების დაწყების შემდეგ აღარ მინახავს. დიასახლისმა თქვა, თავლაში წავიდოდა, თუ გინდათ კვარს ავანთებ და წაგიყვანთო. თვითონაც გაუგზავნია ბავშვები ენდრუს მოსაყვანად, თურმე ბევრი უძახეს, მაგრამ არ გამოეპასუხა. მითხრა, მარტო ვერ წავალ, გვიანი არის და მაძახურებისა მეშინია. გაიგებდით, რა უქნეს ბენიგასკში მაგ მაძახურებმა ერთი არდნაგოვანელი მედუქნის ცოლსო. მერე ხმადაბლა დასძინა, მაძახურებმა კარგა ხანია ბინა დაიდეს ჩვენს თავლაში, ამიტომ არის, რომ არც ერთი მეჯინიბე არ გვიჩერდებაო.

დიასახლისმა მინგრეულ-მონგრეულ ფარდულთან მიმიყვანა, სადაც ჩვენი საწყალი ცხენები შეერეკათ და თივა დაეყარათ (თივა სახელად ერქვა, თორემ თითის სიმსხო კაჭაჭები ეყარათ წინ).

აქ გამოირკვა, რომ დიასახლისს სულ სხვა მიზნით გამოვუყვანი-ვარ ქოხიდან.

- წაიკითხეთ, - ჩურჩულით მითხრა მან, როცა თავლის კარებ-თან მივედით და ხელში ქაღალდის ნაგლეჯი ჩამიდო, - მადლო-ბა ღმერთს, მოვიშორე თავიდან! ხან მეფის ჯარისკაცები, ხან ინ-გლისელები, ხან კატერანები,[210] ხან ცხენის ქურდები, ყაჩაღო-ბა, მკვლელობა!.. არა, პატიოსანი ქალის საშველი არ იქნება! ჯოჯოხეთში ნამდვილად ამაზე მშვიდად ვიცხოვრებდი!

დიასახლისმა კვარი ხელში მომაჩეჩა და ქოხში შებრუნდა.

თავი XXIX

ჩანგები როდი ამშვენებენ მთებს შოტლანდიის! -
ბუკი ამშვენებს მაკგრეგორის, ხმა მაკლეინის,
გუდასტვირია სიამაყე მისი, ნამდვილი...

„ჯონ კუპერის პასუხი ალან რამზესადმი“[211]

ბაგასთან შევჩერდი (თუ შეიძლება ასე ეწოდოს თავლის იმ ნაწილს, სადაც ერთად შეეკრიბათ ცხენები, თხები, ფრინველები, ღორები და ძროხები. თავლა კი ქოხის ერთ სახურავქვეშ იყო მოქცეული, მაგრამ თავლას ცალკე შესასვლელი ჰქონდა (შემდგომში მითხრეს, ჯინი მაკალპინი პრანჭია ქალია, თორემ თავლას ცალკე კარი რაში სჭირდებაო). დაჭმუჭნული ბინძური ქაღალდის ნაგლეჯი გავშალე და კვარი მოვიმარჯვე. ბარათს თავზე ეწერა: მისტერ ფ. ო-ს, ახალგაზრდა საქსონელ ჯენტლმენს, საკუთარ ხელში“. შემდეგ ბარათის ტექსტი მოდიოდა: „სერ, ძერები საშოვარზე გამოფრინდნენ, ამიტომ კლახან აბერფოილში ვეღარ შეგხვდებით თქვენ და ჩემს პატივცემულ ნათესავს. გთხოვთ, რაც შეიძლება მოერიდოთ მგზავრებს, რომლებიც ფუნდუკში დაგხვდებათ. ასე თუ არ მოიქცევით, შეიძლება ხიფათი შეგემთხვათ. ამ ბარათის გადმომცემს შეგიძლიათ თამამად ენდოთ. იგი მოგაცილებთ ისეთ ადგილას, სადაც უშიშრად შეგვეძლება შევხვდეთ ერთმანეთს და იქიდან, თუ თქვენ და ჩემი ნათესავი ინებებთ, ჩემს ღარიბ ქოხს ვესტუმრებით, სადაც მტრების ჯიბრზე ჯერ კიდევ შემიძლია შოტლანდიურად გაგიმასპინძლდეთ. იქ ვინმე დ. ვ-ის სადღეგრძელოს შევსვამთ და იმ საქმეზეც ვისაუბ-

რებთ, რომელ საქმეშიც იმედი მაქვს დახმარება გაგიწიოთ. დავშთები, როგორც ჯენტლმენები ამბობენ, მარად ერთგულ მსახურად.

რ. მ. გ.“

წერილის შინაარსმა ძალიან დამაღონა, რადგან მივხვდი კემპბელი უმოკლეს ხანებში ვერ დამეხმარებოდა და, გარდა ამისა, გზაც ერთობ მიგრძელდებოდა. გული იმით დავიმშვიდე, რომ რობერტი წინანდებურად მზად იყო ეშველა ჩემთვის. სხვა არავინ მყავდა შემწე და დამხმარე, არავის იმედი არა მქონდა, ამიტომ გადავწყვიტე, სიტყვასიტყვით შემესრულებინა კემპბელის რჩევა: ჩემს ახალ ნაცნობებს მოვრიდებოდი და როგორც კი დროს ვიხელთებდი, დიასახლისისათვის მეკითხა, თუ როგორ შევხვედროდი ამ იდუმალებით მოცულ ადამიანს.

უპირველეს ყოვლისა, ენდრუ ფერსერვისი უნდა მეპოვა. რამდენჯერმე დავუძახე, ბაგის ყველა კუთხე-კუნჭული მოვათვალიერე, მაგრამ მსახური არსად ჩანდა (კიდევ კარგი, თავლაში თივაზე მეტი ნაკელი და ჩალის სველი საგები იყო, თორემ ხანძარს გავაჩენდი). ბოლოს ისევ ყვირილზე გადავედი და როცა უკვე რამდენჯერმე ვუხმე, ენდრუ, შე ბრიყვო, ენდრუ, შე ვირო, სად აგდიხარ-მეთქი, ისე ამოიკნავლა აქა-ვარო, რომ პირველად ვიფიქრე, ალბათ მოჩვენებაა, ან მართლა მაძახურაა თავლაში დაბუდებული და იმან მიპასუხა-მეთქი. ბოლოს მივაგენი ჩემი მამაცი მსახურის სამალავს: თავლის კუთხეში მიკუნჭულიყო, კასრის უკან. კასრი ბუმბულით იყო სავსე. ბევრი ხვეწნა და ჩხუბი დამჭირდა, რომ თავლიდან გამომეყვანა. სუფთა ჰაერზე გავედით თუ არა, მითხრა, მე პატიოსანი კაცი ვარო.

- ვინ ეშმაკი გეკითხება, პატიოსანი ხარ თუ უპატიოსნო? - გავუბრაზდი მე, - რაში გაგახსენდა? წამოდი და ვახშამზე მოგვემსახურე!

- დიახ, - განაგრძო ენდრუმ - რა ცილიც არ უნდა დამწამოს ოლდერმენმა, მე მაინც პატიოსანი კაცი ვარ. მართალია, როგორც ყველა მოკვდავი, გულგრილი არა ვარ ამა ქვეყნის სიტკბოებისადმი, მაგრამ მაინც პატიოსანი ვარ. წეღან კი გეუბნებოდით, წავალ და ამ ჭაობებში მარტო დაგტოვებთ-მეთქი, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ არსად არ ვაპირებდი წასვლას. ამას ისე ვამბობდი, ხომ იცით, კაცი რა სისულელეს არ იტყვის, როცა უნდა რაიმე გამორჩეს ბატონს. მე ძალიან მიყვარხართ, პატივცემულო, მიუხედავად იმისა, რომ ასე ახალგაზრდა ხართ და ასე ადვილად თავს არ დაგანებებდით, რომ...

- რას მიედ-მოედები რა გინდა? - შევაწყვეტინე ენდრუს ლაპარაკი, - მე მგონი, ყველა შენი მოთხოვნა დავაკმაყოფილე. კიდევ რას ინებებ? სულ წასვლა უნდა გეკეროს პირზე?

- აქამდე ისე, ყასიდად ვამბობდი, წავალ-მეთქი, ახლა კი სახუმაროდ აღარ მაქვს საქმე. მთელი ქვეყნის ქონებაც რომ მომცეთ, აღარ წამოგყვებით. კი არა, თუ ჩემს სულელურ რჩევას დაუჯერებთ, აჯობებს, თქვენც უკან დაბრუნდეთ. მე მართლა ძალიან დიდ პატივს გცემთ და მჯერა რომ მეგობრებიც მოგიწონებენ თუ სახიფათო აზრებს ამოიღებთ თავიდან და მშვიდსა და გონივრულ ცხოვრებას დაიწყებთ. მე კი, ჩემდა თავად, მაინც ვერ გამოგყვებით, თუნდაც ნამდვილად ვიცოდე, რომ მეგზურისა და ბრძენი მრჩევლის გარეშე გზას დაკარგავთ და დაიღუპებით, რობ როის ქვეყანაში წასვლა ცეცხლთან თამაშია!

- რომელი რობ როი? - გავიოცე მე, - ამისთანას არავის ვიცნობ, ეგ რა ახალი ხრიკი მოიგონე?

- მწარეა, როცა კაცი ხალას სიმართლეს ამბობს და არავინ გიჯერებს, მარტო იმიტომ, რომ ადრე ერთი-ორჯერ ზედმეტი წამოგცდა, ანდა გაგიჭირდა და ცოტა ტყუილი გამოურიე ლაპარაკში, - დაიწუწუნა ენდრუმ, - თქვენ მაინც არ უნდა გეკითხათ, რობ როი ვინ არისო. არ იცით, რომ დაუნდობელი ყაჩაღია! (ღმერ-

თო, შენ დამიფარე, მგონი არავის გაუგონია!) მისი წერილი არ არის, ჯიბეში რომ გიდევთ? ჩემი ყურით გავიგონე, როგორ უთხრა ამ კუდიან დედაბერს რობ როის ერთმა ავან-ჩავანმა, ეს წერილი იმ ყმაწვილს გადაეციო. ეგონათ, ვერ გავიგებდი მაგათ რატრატს. მართალია კარგად ვერა ვლაპარაკობ, იმათებურად, მაგრამ გაგებით ყველაფერს ვიგებ. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ შიში რას არ წამოგაცდევინებს! ეჰ. მისტერ ფრენკ, არა ჯობდა ბიძათქვენივით დამთხვეული და თქვენი ბიძაშვილებივით გადარეული ყოფილიყავით! ნამდვილად სჯობდა სერ ჰილდებრანდივით ჩამხრჩვალიყავით სასმელში, სკვაირ პერსივით არყის სმით დაგეწყოთ ყოველი დილა, სკვაირ თორნკლიფივით ჩხუბი და აურზაური აგეტეხათ ყოველ ნაბიჯზე, სკვაირ ჯონივით დარეოდით გოგოებს, რიჩარდივით თამაშს გაყოლოდით და რეშლივით მიგეყიდათ სული პაპისა და ეშმაკისათვის! შესცოდეთ იმათსავით, აურიეთ, შაბათი გასტეხეთ, პაპს ემსახურეთ, ოღონდ გაფიცებთ მამა ზეციერს, შეიცოდეთ თქვენი ნორჩი სიცოცხლე და რობ როისთან ნუ წახვალთ!

ენდრუ ამჯერად მართლა ძალიან იყო დამფრთხალი და შევეცადე დამემშვიდებინა! ჯერ ვუთხარი, ამაღამ აქ უნდა გავათიოთ და ცხენებს მიხედე-მეთქი, მერე მკაცრად ვუბრძანე, არავისთან არაფერი წამოსცდენოდა და ბოლოს დავაიმედე, რომ თვალდახუჭული არ შევებმებოდი ამ სახიფათო საქმეს, ყველაფერს ავწონ-დავწონიდი და ისე გადავწყვეტდი წავსულიყავი თუ არა რობ როისთან. ენდრუმ ჩაიქნია ხელი, უხალისოდ გამომყვა უკან და თან აბუზღუნდა: ჯერ ხალხზე უნდა იზრუნოთ და მერე ცხენებზე. დილას, ჭაობის ბებერი ქათმის ფეხი რომ გამოვხარი, იმის მერე ლუკმა არ მიჭამიაო.

ქოხში შევედი თუ არა, მივხვდი, რომ ასეთი წვალებით დადებულ ზავს ბზარი გასჩენოდა - მისტერ გალბრეიტი და ჩემი მეგობარი ოლდერმენი ხმამაღლა კამათობდნენ.

- არ მსურს, ეგეთი სიტყვების მოვისმინო, ჰერცოგ არგაილზე და კემპბელებზე, - ცხარობდა მისტერ ჯარვი, - ჰერცოგი ღირსეული ადამიანი და დიდი სახელმწიფო მოღვაწეა. იგი ჩვენი ქვეყნის სიამაყე, გლაზგოს ვაჭრობის მეგობარი და მფარველია!

- მე ცუდს არაფერს ვიტყვი მაკკოლუმ მორზე დასლიოხ ნანდიარმინდზე, - ღიმილით შენიშნა დაბალმა მთიელმა, - ხომ იცით, გლენკროს გადაღმა ვცხოვრობ და ინვერარის ვერ წავეჩხუბები.

- ჩვენს ლოხს არასოდეს უნახავს კომილთა ლიმფადები,[212]- ჩაურთო გოლიათმა მთიელმა, - მე არავისი არ ეშინია და რასაც ვფიქრობ, ის ვამბობ. კომილები კოვანებზე უკეთესები არ არის. თუ გინდა უთხარი, მაკკოლუმ მორის, ალან ივერახიმ ასე უთქვამს-თქო. იძახე რა, ლოხუმდე მაინც ვერ მიაწვდენ ხმასთქო.[213] მისტერ გალბრეიტმა, რომელსაც უკვე კარგა მაგრა შეჯდომოდა სასმელი თავში, მაგიდაზე ხელი დაჰკრა და აყვირდა:

- მაგ გვარის სისხლში აქვს გასვრილი ხელები და ოდესმე ზღავს კიდეც! ერთგული და მამცი გრეჰემის ძვლები დიდი ხანია მოგვიწოდებს საფლავიდან, რომ მუქაფა მივაგოთ მუხანათ არგაილსა და მის დამქაშებს. რაც კი ღალატი და მუხთლობა მომხდარა შოტლანდიაში, ყველაში კომილების ხელი ერია. ახლაც როცა უსამართლობამ გაიმარჯვა, კომილები ცდილობენ, ყოველგვარი უფლება ჩამოართვან შოტლანდიელებს. მაგრამ ასე დიდხანს არ გასტანს, რკინის ქალწულის[214] გალესვის დროც მალე დადგება და ბევრი თავი გაგორდება მიწაზე! მალე შეუდგება ეს ბებერი, დაჟანგებული მზეთუნახავი სისხლიანი მოსავლის აღებას!

- გრცხვენოდეთ, გარსხატახინელო, - წამოძახა ოლდერმენმა. - გრცხვენოდეთ, სერ! კანონის დამცველს რატომ ეუბნებით ასეთ სიტყვებს და თვითონაც რატომ იგდებთ საფრთხეში თავს? ასე

აპირებთ ოჯახის შენახვას, ასე აპირებთ მევალეების გასტუმრებას? ჩემი ვალიცა გაქვთ და სხვებისაც... თუ კვლავაც ასე სულელურად განაგრძობთ ცხოვრებას თქვენც დაისჯებით და თქვენი ახლობლებიც. კანონი ამას არ გაპატიებთ!

- ჯანდაბას წაუღია ყველა მევალე და თქვენც ზედ მიყოლიხართ, თუ ძალიან გინდათ! გეუბნებით, მალე ახალი წესები დამყარდება და კომილები ვეღარც ასე მაღლა აწევენ ცხვირს და ვეღარც თავიანთ ძაღლებს გამოგზავნიან ჩვენში. თვითონ ახლაც ვერ ბედავენ გამოჩენას, მაგრამ ყველა ჯურის ყაჩაღებსა და მკვლელებს მფარველობენ და დღე არ არის, რომ რომელიმე პატიოსანი და ღირსეული კლანის მამული არ ააკლებინონ!

მისტერ ჯარვი შეპასუხებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს დიასახლისმა ირმის ჩახრაკული ხორცით სავსე ტაფა შემოდგა მაგიდაზე და ქოხში ისეთი საამო სურნელი დადგა, რომ ოლდერმენს ჩხუბისა და კამათის სურვილი გაუქრა. იგი მაშინვე შეუდგა კერძის დაგემოვნებას და კარგა ხანი აღარ ჩარეულა ლაპარაკში.

- რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამოდენა ტანჯვა-წვალება და თათბირი არ დაგვჭირდებოდა რობ როის დასაჭერად, თუ იმას რომ კომილები არ შეუწყვეს ხელი, - თქვა მაღალმა მთიელმა, რომელსაც სტიუარტს უხმობდნენ, - ერთხელ ოცდაათკაციანი რაზმი წავიყვანე ჩემი კლანიდან, გლენფინანსებიდან და აპინებიდან. რობ როი გაგვექცა, მაგრამ ჩვენ როგორც მწევრები ჩავუდექით კვალში და გლენფალოხოს მიწებამდე სულ ფეხდაფეხ ვდიეთ. იქ კომილები გადაგვეღობა წინ და შეგვაჩერა. ასე რომ სულ ტყუილი წვალება მოხდა. ეჰ, ნეტავი, კიდევ ერთხელ ჩამაყენა იმის კვალში!

ოლდერმენი მაშინვე პირში ეცა მთიელს:

- მაპატიეთ, რომ, რასაც ვფიქრობ, იმასვე ვამბობ,სერ, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ყველაფერს დათმობ ამ ქვეყნად, ოღონდ რობ

როის არ შეგახვედრა. ჩემი გავარვარებული საკვეთელი სათამაშოდ მოგეჩვენებათ იმის ჩელთთან.

- შენ თავი დაანებე ეს რაღაც საკვეთელის ხსენებას, თორემ ეგ სიტყვები უკან ჩაგთხარო ყიაში და თანაც ცივი ფოლადი გაგემო (გოლიათმა ბოროტად დააკვესა თვალები და ხელი ხანჯალზე დაიდო).

- მოდი ნუ ვიჩხუბებთ, ალან, - შეაჩერა დაბალმა მთიელმა, - რადგან ეს გლაზგოელი ჯენტლმენი ისე დიდ პატივს სცემს რობ როის, ამაღამ ბორკილდადებული ვაჩვენოთ, ხვალ დილას კი თავისი გმირის ცეკვით დავატკბოთ - ყულფში, რომ თავს გაჰყოფს მშვენივრად აცეკვდება. ეყო, ხალხს ამდენის მოთმენა აღარ შეუძლია! რობ როის წუთები უკვე დათვლილია. ახლა კი დროა, ალან, ჩვენ ბიჭებთან მივიდეთ.

- მოიცა, ინვერშალოს! - შეაჩერა გალბრეიტმა. - გახსოვს როგორ არის: „მთვარე ანათებს, -თქვა ბენიგასკმა, - კიდევ თითო თასიც! - მიუგო ლესლიმ“. თითო თასი ჩვენც არ გვაწყენდა!

- საკმარისად დავლიეთ და გვეყოფა, - შეეკამათა ინვერშალოხი, - მე ყოველთვის სიამოვნებით გავუსწორებ ხასიათს წესიერ ადამიანს, მაგრამ როცა დილას საქმე მაქვს გასაკეთებელი, ზედმეტს არ დავლევ. ჩემი მოკლე ჭკუით, უკვე დროა თქვენს ცხენოსნებთან წახვიდეთ და გათენებამდე კლახანში მოიყვანოთ, თორემ მერე გვიან იქნება და სირცხვილს ვჭამთ.

- სად ჯანდაბაში გეჩქარება ასე? - გაბრაზდა გარსხატახინელი, - წირვას და სადილს არასოდეს წაუხდენია საქმე. ჩემთვის რომ მოენდოთ უფროსობა, არაფრით არ დაგიძახებდით დასახმარებლად. გარნიზონი და ჩვენი მხედრები სულ იოლად გაქაჩავდნენ რობ როის. აი, ამ ხელით (მან მაღლა ასწია ხელი), თქვენი დახმარების გარეშე დავცემდი მიწაზე!

- ნუ შემომითვლიდით და არ ჩამოვიდოდი. რა ძალა მადგა, რომ სამოცი მილი გამოვიარე ჭენებით. ისე კი, თუ იმ კაცის დაჭე-

რა გინდათ, ცოტა ნაკლები უნდა ილაპარაკოთ. ეგრე იოლად ნუ უყურებთ მაგ საქმეს. ვისაც ზღვა უნახავს, ღვარი ვერაფერს დააკ-ლებს. დიდ ქვაბს დიდი ქაფქირი უნდა. ახლა კი კმარა კამათი. ისედაც ბევრი ზედმეტი ითქვა ამ ჯენტლმენებთან. უფრო სუსტი არაყი უნდა გესვათ მაიორო გალბრეიტო და ასე აღარ მოუშვებ-დით ენას. ახლა კი, ჩემო კარგო, მაგ ქუდის სწორებას მოეშვი და ნუ იჭიმები, თორემ აღარ მოგითმენ!

- მე უკვე განვაცხადე, რომ ამაღამ არც ხიფთანიანთან ვიბ-რძოლებ და არც პლედიანთან, - ენის ბორძიკით თქვა გალბრე-იტმა, - აი, ჩემს მოვალეობას რომ შევასრულებ, მერე მზადა ვარ, თუნდ თქვენთან გამოვიდე ხმალში, თუნდა მთილეთან და თუნდა ქალაქელთან. მანამდე კი არაფრის გულისთვის არ ამოვიღებ ხმალს! მაგრამ ახლა წესით წითელხიფთანიანები უკვე აქ უნდა იყვნენ. მეფე ჯეიმზის წინააღმდეგ რომ მივდიოდეთ, მაშინვე აქ გაჩნდებოდნენ, მაგრამ როცა ქვეყანაში წესრიგის დამყარებაა საჭირო, შორიდან შემოგვცქერიან ავი მეზობლებივით.

გალბრეიტმა ძლივს მოასწრო ამის თქმა, რომ ეზოდან ქვეითი რაზმის მწყობრი ნაბიჯის ხმა მოგვესმა და ვიღაც ოფიცერ ორ თუ სამ მწკრივად დაწყობილ კარისკაცებს შემოუძღვა ქოხში.

- თქვენ მაიორი გალბრეიტი უნდა იყოთ, ლენოკსის მილიციის ესკადრონის უფროსი, ეს ორი მთიელი კი ის შოტლანდიელი ჯენ-ტლმენები, რომელთაც აქ უნდა შევხვედროდით, - თქვა ოფი-ცერმა სუფთა ინგლისურით. მშობლიური ენის გაგონება ძალიან მესიამოვნა, რადგან კარგა ხანი იყო ზემო და ქვემოშოტლანდი-ურ ნარევი ლაპარაკის გარდა არაფერი გამეგონა.

დამხვდურებმა თანხმობით უპასუხეს და ოფიცერი მაგიდას-თან მოიწვიეს, მაგრამ მან ჭამაზეც უარი განაცხადა და სმაზეც, ისეც დავაგვიანე და ახლი მინდა დაკარგული დრო ავანაზღა-ურო. შემდეგ ქოხი მოათვალიერა და თქვა:

- მე ნაბრძანები მაქვს მოვძებნო და დავაპატიმრო ორი პიროვნება, რომელთაც სახელმწიფო ღალატი ედებათ ბრალად.

- მე ხელი დამიბანია, - თქვა ინვერაშალოხმა, - მე და ჩემი ხალხი წითურ მაკგრეგორთან საბრძოლველად მოვედით. მაკგრეგორმა ჩემი გარე ბიძაშვილი, ინვერნენტელი დუკან მაკლარენი მოკლა და სისხლი უნდა ავიღო[215]. პატიოსან ჯენტლმენებთან, თავიანთი საქმეების მოსაგვარებლად რომ მოგზაურობენ, ხელი არა მაქვს.

- მეც არაფერი მესაქმება იმათებთან, - აუბა მხარი გოლიათმა ივერხელმა.

მაიორი გალბრეიტი გაიბღინძა, ერთი გემრიელად ამოასლოკინა და დაიწყო:

- მე მეფე ჯორჯის წინააღმდეგ არაფერს ვიტყვი, კაპიტანო, რადგან საქმე ისე წავიდა, რომ მისი სახელით უნდა ვიმოქმედო, ახლა, მის სასარგებლოდ რომ ვმოქმედებ, იმას არა ნიშნავს, რომ სხვას აღარ უნდა დავეხმარო, ბევრისათვის სახელი „ჯეიმზი“ ისევე სასიამოვნოდ ჟღერს, როგორც „ჯორჯი“. ერთიც მეფეა და მეორეც, ოღონდ ერთი ტახტზე ზის, მეორე კი ტახტზე უნდა მჯდარიყო, მაგრამ არა ზის. ჩემი აზრით, პატიოსანმა ორივეს უნდა უერთგულოს, კაპიტანო! ჯერჯერობით კი მე როგორც, მილიციის ოფიცერსა და ერთგულ ქვეშევრდომს შეეფერება, ლორდ ლეიტენანტის აზრს ვიზიარებ, სახელმწიფო ღალატზე და მაგისთანა ამბებზე ნუ მოვცდებით! რაც ნაკლებს ვილაპარაკებთ, მით უფრო მალე ვეწევით ჩენს საქმეს!

- ვწუხვარ, რომ ასე ფუჭად დაგიკარგავთ ძვირფასი დრო, - თქვა ოფიცერმა, როცა გალეშილმა გალბრეიტმა დაამთავრა თავისი აბდაუბდა ლაპარაკი, - როცა ასეთი მნიშვნელოვანი საქმე გაქვთ გასაკეთებელი, დროს უნდა გაუფრთხილდეთ. გირჩევთ, ერთი საათით წაიძინოთ, ეს ჯენტლმენებიც თქვენთან არიან? - იკითხა ოფიცერმა და შეგვათვალიერა. ოლდერმენი

ვახშმის ნარჩენებს ანადგურებდა და თავი არ აუწევია. ჩვენს მაგივრად გალბრეიტმა უპასუხა:

- მგზავრებია, სერ, მშვიდობიანი ხალხია, ზღვასა და ხმელზე მოგზაურნი მშვიდობიანი ხალხი. ასე არა წერია ლოცვანში?

- მითითების თანახმად ერთი ხანში შესული და ერთი ახალგაზრდა პიროვნება უნდა დავაპატიმრო, - თქვა კაპიტანმა, კვარი აიღო ხელში და სახეზე მოგვანათა, - მე მგონი, ეს ჯენტლმენები სწორედ ისინი არიან, ვისაც ვეძებ.

- ჯერ დაფიქრდით და მერე ილაპარაკეთ, სერ, - ურჩია მისტერ ჯარვიმ კაპიტანს, - ნუ შეურაცხმყოფთ, თორემ ვერც წითელი ხიფთანი გიშველით, ვერც შლიაპა და ვერც ჯინჯილები. მაშინვე ორ ბრალდებას წამოგიყენებთ: ცილისწამებისა და უკანონო დაპატიმრებისათვის. მე თავისუფალი მოქალაქე და ქალაქ გლაზგოს სამაგისტროს წევრი გახლავართ, ჩემი სახელი და გვარია ნიკოლ ჯარვი. ამავე სახელსა და გვარს ატარებდა მამაჩემიც, მაგრამ მე ოლდერმენი ვარ და ვამაყობ კიდეც ამ წოდებით. მამაჩემი კი უსტაბაში იყო.

- პურიტანელი ნაგაზი იყო და მეფის წინააღმდეგ იბრძოდა ბოტველის ხიდთან,- სიტყვა ჩაურთო მაიორმა გალბრეიტმა.

- იგი თავის მოვალეობას ასრულებდ, მისტერ გალბრეიტ, და თქვენზე პატიოსანი იყო, - დაუბრუნა ხურდა ოლდერმენმა.

- ლაპარაკისათვის არ მცალია, - თქვა ოფიცერმა, - თუ ვერ დამიმტკიცებთ, რომ მეფის ერთგული ქვეშევრდომები ხართ, აუცილებლად დაგაკავებთ!

- მე მოვითხოვ, რომ სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენელთან მიმიყვანოთ, - განაცხადა ოლდერმენმა, - შერიფთან ან მომრიგებელ მოსამართლესთან! მე ვალდებული არა ვარ, ყველა წითელხიფთანიანის მომაბეზრებელ კითხვებს ვუპასუხო!

- კეთილი, სერ, მე ვიცი როგორ აგალაპარაკოთ! თქვენა, სერ, თქვენ ვინა ხართ?

- ფრენსის ოსბალდისტონი, სერ.

- რაო, ნორთუმბერლენდელი სერის ჰილდებრანდ ოსბალ-დისტონის ვაჟიშვილი?

- არა, სერ, - უთხრა ოლდემენმა, - გამოჩენილი კომერსანტის უილიამ ოსბალდისტონის შვილია, „ოსბალდისტონ და ტრეშამის“ სავაჭრო სახლის მეთაურის. კრეინს ქუჩაზე აქვთ კანტორა ლონ-დონში.

- სამწუხაროდ, მაგ გვარმა კიდევ უფრო გამიძლიერა თქვენი დაპატიმრების სურვილი. გთხოვთ წარმოადგინოთ ყველა საბუ-თი, რაც კი თანა გაქვთ!

შევნიშნე, რომ ამ წინადადებამ ძალიან გააოცა მთიელები. მე კი კვლავინდებურად მშვიდად მივუგე ოფიცერს, არავითარი სა-ბუთი არა მაქვს-მეთქი. მაშინ ჯარისკაცებს უბრძანა განაიარაღეთ და გაჩხრიკეთო. გაძალიანება ხელს არ მომცემდა, ამიტომ იარა-ღი ავიყარე და გაჩხრეკის ნება დავრთე. საკმაოდ თავაზიანად გამისინჯეს ჯიბეები და ის ბარათი მიპოვეს დიასახლისმა რომ გადმომცა:

- ეს ის არ არის, რასაც მოველოდი, მაგრამ ესეც საკმარისზე მეტი საბუთია საიმისოდ, რომ დაუყონებლივ დაგაპატიმროთ, - თქვა ოფიცერმა, როცა ბარათი წაიკითხა, - მე ბრალს გდებთ კა-ნონგარეშე მდგომ ყაჩაღთან რობერტ მაკგრეგორ კემპბელთან მიმოწერაში, ყაჩაღთან, რომელიც წლების განმავლობაში შავი ჭირივით ავლებდა მუსრს აქაურობას. რას იტყვით თავის გასა-მართლებლად?

- რობის მსტოვრები ყოფილან! - თქვა ინვერაშალოხმა, - პირ-ველსავე ხეზე ჩამოვკიდოთ. სწორედ ამის ღირსნი არიან!

- ჩვენი საკუთარი ქონების დასაბრუნებლად მივდივართ, - თქვა ოლდერმენმა, - ჩვენი საკუთრება უნდა გადმოგვცეს. თვი-

თონ შემთხვევით ჩაუვარდა ხელში და უნდა დაგვიბრუნოს. მე მგონი, არ არსებობს კანონი, რომელიც კაცს საკუთარი ქონების დაცვას უკრძალავდეს!

- ვინ მოგცათ ეს ბარათი? - მე იმ საწყალი ქალის გაცემა არ მინდოდა და სიტყვა უპასუხოდ დავტოვე.

- თქვენ ხომ არაფერს მეტყვით ამ ბარათზე? - ჰკითხა ოფიცერმა ენდრუს, რომელიც მთიელთა მუქარის გაგონებისთანავე ციებიანივით აცახცახდა.

- როგორ არა; ყველაფერი ვიცი... აქ ერთი ქეციანი მთიელი ბორიალობდა და სწორედ იმან გადასცა წერილი იმ ენაგატლეკილ კუდიანს - აქაურ დიასახლისს. დავიფიცები, რომ ჩემმა ბატონმა არაფერი იცოდა ამ წერილზე, მაგრამ მერე აპირებდა მთაში წასულიყო და რობ როის შეხვედროდა. ეჰ, სერ, იმაზე კეთილ საქმეს არაფერს ჩაიდენთ ცხოვრებაში, თუ რამდენიმე ჯარისკაცს გააყოლებთ და უკან გლაზგოში დააბრუნებთ ჩემს ბატონს. თვითონ ნურც კი ჰკითხავთ, უნდა თუ არა. მისტერ ჯარვი კი შეგიძლიათ კარგა ხნით დააკავოთ. მაგას შეუძლია დიდი ჯარიმა გადაგიხადოთ. ჩემს ბატონსაც შეუძლია ჯარიმის გადახდა, მე კი ერთი ღატაკი მებაღე ვარ, ჩემზე დროის დაკარგვაც არა ღირს!

- ჩემი აზრით, ყველაფერს აჯობებს, ბადრაგი გავაყოლოთ და გარნიზონში გავგზავნოთ, - თქვა ოფიცერმა, - როგორც ეტყობა მჭიდრო კავშირი აქვთ ჩვენს მოწინააღმდეგესთან და ვერ გავათავისუფლებ - მერე მე მომთხოვენ პასუხს. ჯენტლმენებო, თქვენ ჩემი ტყვეები ხართ!

განთიადისას საიმედო ადგილას გავემგზავრებით. თუ არ მოგვატყუეთ და მართლა ნიკოლ ჯარვი და ფრენსის ოსბალდისტონი ხართ, დიდად არ დაზარალდებით - ერთი ორი დღით დაგაკავებენ და მერე გაგათავისუფლებენ. არაფრის მოსმენა აღარ მინდა, - უთხრა ოფიცერმა მისტერ ჯარვის, როცა დაატყო, რომ რაღა-

ცის თქმას აპირებდა, - სამსახური არ მაძლევს თქვენი თავის მართლების მოსმენის საშუალებას.

- ძალიან კარგი, სერ, ძალიან კარგი! - უთხრა ოლდერმენმა. - ჯერ თქვენ სტვირზე უკრავთ, მაგრამ მერე იქნება ჩემს დაკრულზე მოგიხდეთ ცეკვა!

ოფიცერმა და მთიელებმა თათბირი დაიწყეს, მაგრამ ისე ხმადაბლა, რომ ერთი სიტყვაც ვერ გავიგონე. ცოტა ხნის შემდეგ, ეტყობა, შეთანხმდნენ და ოთხივენი ეზოში გავიდნენ. როცა კარი გაიხურეს, ოლდერმენმა შენიშნა:

- ეს ჩრდილოეთს კლანების მთიელები არიან და, თუ ხალხის ლაპარაკს დავუჯერებთ, თავიანთ მეზობლებს არ ჩამოუვარდებიან ყაჩაღობაში, მაგრამ ხომ ხედავთ, მაინც ჩამოიყვანეს არგაილშირის საზღვრებიდან, რომ საწყალ რობს დაატაკონ - მაგათ ძველი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი რობთან და მის გვართან. ალბათ გრეჰემები, ბიუკენენები და ლენოკსელი მემამულეებიც აქ არიანს ამხედრებულები და კბილებამდე იარაღში ჩამსხდარნი. ისინიც რობის მოშუღლეები არიან და არც გაემტყუნებათ - არავის სიამოვნებს საქონლის დაკარგვა. ჯარისკაცებს კი აბა ვინ ეკითხება, საითაც უკრავენ თავს, იქით უნდა წავიდნენ. მზის ამოსვლისას ბევრი საზრუნავი ექნება საწყალ რობს. ქალაქის საბჭოს წევრმა კანონის საწინააღმდეგო არაფერი უნდა გაივლოს გონებაში, მაგრამ, თუ ხვალ რობმა ცხელი დღე აყარა მტრებს, ღმერთმანი, მართლა სულით და გულით გავიხარებ.

თავი XXX

ყური დამიგდეთ, გენერალო, ნუთუ სახეზე
ქალს ნატამალი შიშისა და ძრწოლვის მეტყობა?!
საგულდაგულოდ დამაკვირდით, მემჩნევა რამე?!
იქნებ სიფითრე? - შესაძლოა, მაგრამ გახსოვდეთ,
ეს გაფითრება გულისმოსვლის გახლავთ მარტოდენ,
რამეთუ, ვაგლახ, მოწყალება მივიღე თქვენგან.

„ბონდუკა“[216]

კაპიტანმა ნება მოგვცა, ის ღამე ფუნდუკში გაგვეტარებინა. არა უშავს რა მოვეწყვეთ იმ ღატაკი ქოხის პირობაზე. მოგზაურობითა და ფათერაკებით გასავათებული ოლდმენი ერთ-ერთ სკამლოგინზე მიწვა და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. იგი, ეტყობოდა, არც ლოგინის სისუფთავეს დაგიდევდა და არც დაპატიმრება აწუხებდა დიდად - იცოდა, რომ მალე დაიხსნიდა თავს. მე კი მაგიდასთან გავატარე ის ღამე. ხანდახან თავს ჩამოვდებდი ზედ და თვალს მოვატყუებდი, უფრო მეტად კი ძილ-ბურანში ვიყავი. ჯარისკაცები მთელი ღამის განმავლობაში ირეოდნენ ქოხში - გადიოდნენ, შემოდიოდნენ, ხორხოცობდნენ. შევატყვე, რაღაც ისე არ გამოუდიოდათ საქმე, როგროც უნდოდათ - მგონი, დასაზვერად აგზავნიდნენ, მაგრამ საჭირო ცნობები ვერ მოჰქონდათ. კაპიტანი უკმაყოფილო ჩანდა და ახალ-ახალ, ორ-სამკაციან რაზმს უშვებდა ცნობების მოსატანად. ქოხში დარჩენილი ჯარისკაცების ჩურ-

ჩულს მოვკარი ყური და გავიგე, რომ ზოგი რაზმი კლახანში აღარ დაბრუნებულა.

განთიადისას სახეგაბრწინებულმა კაპრალმა და ორმა ჯარისკაცმა ხელებშეკრული მთიელი შემოაგდეს ქოხში. ტყვე ჩემი ძველი ნაცნობი, გლაზგოს ციხის ყოფილი დარაჯი აღმოჩნდა. ხმაურზე მისტერ ჯარვიმაც გამოიღვიძა, მთიელს თვალი შეავლო და გაოცებულმა წამოიძახა:

- უფალო შეგვიწყალე! უქნარა დუგალი არ დაუტყვევებიათ? კაპიტანო, მე თავდებად დავუდგები ამ საქონელს და საკმაო თანხას დავდებ საწინდრად.

ოლდერმენმა ასეთი გულუხვობა, ეტყობა, იმიტომ გამოიჩინა, რომ დუგალის წუხანდელი თავგამოდება გაახსენდა, მაგრამ კაპიტანმა მისი წინადადება უარყო და ურჩია საკუთარ თავს მიხედეთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ თვითონაც პატიმარი ხართო.

- აი, მოწმე ხართ, მისტერ ოსბალდისტონ, რომ ამ პიროვნებამ უარყო საიმედო თავდებობა, - მომმართა ოლდერმენმა, რომელმაც, როგორც ჩანს, კაპიტანზე კარგად იცოდა სამოქალაქო სამართალი, - ჩემი აზრით, ამ უქნარა დუგალს შეუძლია იჩივლოს, უკანონოდ დამაპატიმრესო და 1701 წლის აქტის თანახმად მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება. მე თვითონ ვიზრუნებ, რომ სასამართლომ უარი არ უთხრას სარჩელზე.

ოფიცერმა, რომელსაც თორნტონს ეძახდნენ, ოლდერმენის მუქარა და მოთხოვნები არად ჩააგდო და წვრილად გამოკითხა დუგალს, ვინა ხარ, რას საქმიანობ და ვის იცნობო. ტყვე ძალზე უწადინოდ იძლეოდა პასუხს, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა ეღიარებინა, იცნობს რობ როი მაკგრეგორს, რომ ამ წლის განმავლობაში უნახავს იგი, უნახავს ექვსი თვის განმავლობაშიც, უნახავს ამ თვეშიც, ამ კვირაშიც და ბოლოს გამოტყდა, სულ ერთი საათის წინ დავცილდით ერთმანეთსო. ეს სიტყვები პირდაპირ გაზით ამოგლიჯეს პირიდან: კაპიტანი თორნტონი მალი-მალ

ემუქრებოდა, თუ ზუსტ ცნობებს არ მომცემ, უახლოეს ხეზე ჩამოგ-კიდებო.

- ახლა კი, მეგობარო, კეთილი ინებეთ და მითხარით, რამდენი კაცი ახლავს თან შენს უფროსს, - ჰკითხა კაპიტანმა.

- ახლა, ახლა... არ ვი-ვიცი, რამდენი ეყოლება.

- თვალებში შემომხედე, შე შოტლანდიელო ძაღლო და არ დაივიწყო, რომ თუ მომატყუებ, მოგკლავ - გაცეცხლდა კაპიტანი, - რამდენი არამზადა ჰყავდა იმ ქვემძვრომს, როცა შენ დასცილ-დი?

- ექვს არამზადაზე მეტი არა ჰყავდა.

- სხვა ყაჩაღები რა იქნენ?

- მოადგილეს გაჰყვნენ. ჩრდილოელ ბიჭებს ეომებიან.

- ჩრდილოელ კლანებს? - ჩაეკითხა კაპიტანი. - ეგ სიმარ-თლესა ჰგავს. შენ რა დაგავლა?

- უნდა გამეგო, რას აკეთებდნენ პატივცემული უფროსი ამ კლახანაში და წითელხიფთიანი შენტლმენები.

- ეს საქონელი მართლა გამყიდველი გამოდგა, - ჩამილაპა-რაკა ოლდემენმა უკნიდან, - კიდევ კარგი, რომ ქისა არ დავიცა-რიელე მაგის გულისთვის.

- ახლა კი, მეგობარო, - უთხრა კაპიტანმა დუგალს, - მიდი, ასე მოვილაპარაკოთ: შენ უკვე გამოტყდი, რომ რობ როის მსტოვა-რი ხარ, მაშასადამე წესით უახლოეს ხეზე უნდა ჩამოგკიდოთ, მაგრამ თუ დამეხმარები, შეგიწყალებ! იცი რა, დონალდა? მინდა იმ ადგილას მიმიყვანო, სადაც შენი ბატონი დატოვე! რამდენიმე კაცს გამოვიყოლებ! ორიოდე სიტყვა უნდა ვუთხრა საქმეზე. მერე გაგიშვებ და სადაც გინდა წადი! თანაც ხუთ გინეას გაჩუქებ!

- ოჰ, ოჰ, - შეძრწუნდა დუგალი, - მე ეს საქმე ვერ გავაკეთებ, ვერა, არ შემიძლია! ჯობია, ხეზე ჩამოკიდოთ ჩემი თავი!

- ძალიან კარგი, მეგობარო, ჩამოგკიდებ კიდეც, - დაპირდა კაპიტანი, - შენს თავს დააბრალე ყველაფერი. კაპრალო კრემ-

პო, იკისრეთ პროვოსტ-მარშალის მოვალეობა და ბოლო მოუღეთ ამ გაიძვერას.

კაპრალმა სადღაც თოკი იშოვა, საწყალ დუგალს მიუახლოვდა და ნელ-ნელა შეუდგა მარყუჟის გამონასკვას. შემდგე ყულფი კისერზე ჩამოაცვა ტყვეს და ორი ჯარისკაცის დახმარებით კარისკენ გაათრია. ზღურბლთან რომ მივიდნენ, დუგალი მიხვდა, ვეღარაფერს მიშველიო და აყვირდა:

- მოიცათ, შელტმენებო, მოიცათ! ისე ვიზამ, როგორც პატივცემულმა მიბრძანა, გამიშვით!

- ნეტა გაათრიონ! - თქვა ოლდერმენმა. - მართლა სიკვდილის ღირსი ყოფილა! მიდით კაპრალო, მიდით გაათრიეთ!

- მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, პატივცემულო ჯენტლმენო, ამის ადგილას თავად თქვენ რომ ყოფილიყავით, სულ არ აგვაჩქარებდით!

ამ დიალოგმა არ მომცა საშუალება, კარგად გამეგო, რა მოხდა ტყვესა და კაპიტან თორნტონს შორის. მარტო ორიოდე სიტყვას მოვკარი ყური: დუგალმა ხმადაბლა ამოიზმუკუნა, მხოლოდ იქამდე მიგიყვანთ, გიჩვენებთ, სადაც არის მაკგრეგორი და მერე ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ წინო.

- ხმა ჩაიწყვიტე, შე არამზადავ! - უთხრა კაპიტანმა. - ჰო, კარგი, მარტო ომ ადგილამდე მიგვიყვანე, იქით რაღად მინდიხარ. კაპრალო, ჯარისკაცები სახლის წინ გაამწკრივე და ამ ჯენტლმენებს ცხენები გამოუყვანე! ესენიც თან უნდა გავიყოლოთ, ვერც ერთ ჯარისკაცს ვერ დავუტოვებ დარაჯად, იარაღი აისხით, ბიჭებო, და გადით გარეთ!

ჯარისკაცები წამოიშალნენ და მზადება დაიწყეს. ჩვენ დუგალის გვერდით დაგვაყენეს. ქოხიდან რომ გამოვდიოდით, დუგალმა კაპიტანს დაპირებული ხუთი გინეა შეახსენა.

- აჰა, აიღე, - უთხრა ინგლისელმა და ხელისგულზე ოქრო დაუდო, - ოღონდ იცოდე, თუ სწორე გზით არ წამიყვან, საკუთარი ხელით გაგიპობ თავს!

- რა არამზადა ყოფილა! - ჩამილაპარაკა ოლდერმენმა, - რას ვიფიქრებდი, თუ ასეთი ხარბი და მუხთალი იქნებოდა! ახ, ოქრო რას არ ჩაადენინებს კაცს. მამაჩემი, უსტაბაში ნიკოლ ჯარვი, ხშირად ამბობდა, ოქროს მეტი ხალხი ჰყავს დაღუპული, ვიდრე ხმალს, ოღონდ ოქრო სულსა ჰკლავს, ხმალი კი ხორცსაო...

ამ დროს კაპიტანს ფუნდუკის დიასახლისი მიეახლა და ანგარიშის გასწორება მოსთხოვა, თანაც მაიორ გალბერეიტისა და მისი მეგობრების დანახარჯებიც ინგლისელს დააწერა. კაპიტანი შეეკამათა, მაგრამ მისის მაკალპინმა განუცხადა, მე თქვენი სახელი მიხსენეს და ამიტომ გავუმასპინძლდი, თორემ წყალსაც არ დავალევინებდიო. არ ვიცი, კიდევ შემოივლის თუ არ ჩემთან ეგ ვიღაც გალბრეიტი, კიდეც რომ შემოიაროს, ფულს არ მომცემს, მე კი ერთი საწყალი ქვრივი ქალი ვარ და ყველა გამვლელ-გამომვლელს თუ მუქთად ვუმასპინძლე, შვილები შიმშილით დამეხოცებიანო.

კაპიტანმა თორნტონმა ხელი ჩაიქნია და დანახარჯი მთლიანად გადაუხადა - სულ რამდენიმე ინგლისური შილინგი ყოფილა, შოტლანდიური კურსით კი საკმაოდ დიდი თანხა გამოდიოდა. გულუხვმა ოფიცერმა ჩვენი დანახარჯის გადახდა მოინდომა. დიასახლისმა ხმადაბლა ჩაულაპარაკა ოლდერმენს, გადაიხადოს, ინგლისელს თუ რაიმეს წააღლეტ მადლია, სულ მაგათ ხომ არ უნდა გვწოვონ სისხლიო, მაგრამ მისტერ ჯარვიმ ცალკე ანგარიში მოსთხოვა დიასახლისს და ფული ჩაუთვალა. კაპიტანმა შემთხვევით ისარგებლა და ბოდიში მოგვიხადა დაპატიმრებისათვის: ნუ გეწყინებათ, თუ მართლა ერთგული ქვეშევრდომები ხართ, ერთი-ორი დღით დაგაკავებთ და გაგათავისუფლებთ, მეფის სამსახურში ვარ და სხვანაირად ვერ მოვიქცევიო.

დავა და კამათი აღარაფერს გვიშველიდა, ბრძანება უნდა შეგვესრულებინა - ლაშქრობაში უნდა გავყოლოდით, ამიტომ თავი დავუკარით და ქოხიდან გადავედით.

არასოდეს დამავიწყდება, როგორ მესიამოვნა შოტლანდიური ჩახუთული ქოხის დატოვება და დილის მაცოცხლებელ ჰაერზე გამოსვლა. ამომავალ მზეს ოქროსა და სოსანისფრად შეეღება ღრუბლები და ნაზი სხივებით გაეცისკროვებინა თვალწარმტაცი მიდამო. ასეთი სილამაზე არასოდეს ენახე ჩემს თვალებს: მარცხნივ, ფართე ხეობაში მდოვრედ მიიკლაკნებოდა მდინარე ფოტტი, ეულად აღმართული ქოჩორა ტყით დაფარულ გორაკს უვლიდა და აღმოსავლეთით აგრძელებდა გზას. მარჯვნივ ზურმუხტისფრად ლაპლაპებდა გაუვალი ბუჩქნარებით დაფარული ბექობებითა და სალი კლდეებით გარშემორტყმული მთის ვრცელი ტბა; დილის ნიავით წამოშლილი ტალღები თვალისმომჭრელად ბრწყინავდა მზის ალმაცერ სხივებზე. ნიავი თითქოს სიცოცხლეს ბერავდა არყის ხისა და მუხის კორომებს, კოპწიად რომ აღმართულიყვნენ ტბის ირგვლივ შემოჯარული მთებისა და გორაკების ფერდობებზე. ფოთლები ჩურჩულებდნენ, ერთმანეთს უღიმოდნენ და ეალერსებოდნენ. ადამიანი კი კიდევ უფრო საცოდავი და დამცირებული მოჩანდა ამ ხელთუქმნელი, დიადი ბუნების ფონზე. კლახანში სულ თორმეტიოდე საცოდავი ქოხი (ოლდერმენი მათ ბუროკებს[217] ეძახდა) იდგა. ქოხები რიყის ქვითა და თიხით აეშენებინათ, უშნოდ გამოჩორკნილი არყის ხითა და მუხის მორებით გადაეხურათ და ბანზე ნაკელი დაეყარათ. ქოხები ისე დაბალი იყო, ენდრუსი არ იყოს, მეც გამიკვირდა, როგორ დავინახეთ წუხელის იმ სიბნელეში. სულ ადვილად შეიძლებოდა გავცდენოდით ან კიდევ უარესი ცხენს ფეხი ჩავარდნოდა ბანზე გაწყობილ მორევში.

მისის მაკალპინის ქოხი ცოტათი მაინც უკეთესი იყო სხვა ქოხებზე. თუ ჩემი ნაამბობის მოსმენის შემდეგ მაინც გაბედავ და

აბერფოილს ესტუმრები, დარწმუნებული ვარ, სიახლეს ვერ შენიშნავ - შოტლანდიელებს ძალიან ეძნელებათ მამაპაპისეული ცხოვრების წესიდან გადახვევა.[218] როცა ჩვენი ოცკაციანი რაზმი წასასვლელად გაემზადა, სოფლელები გარეთ გამოცვივდნენ. სოფელში მხოლოდ მიხრწნილი დედაბრები დარჩნენ, მაგრამ იმათაც ქოხის კარები გამოაღეს და ცქერა დაგვიწყეს. დედაბრებს ტანთ ძონძები ემოსათ ფლანელის ჩაჩიდან გაბუწული თეთრი თმები მოუჩანდათ. ისინი გვიბღვერდნენ, რაღაცას გასძახოდნენ გელურად ერთმანეთს და გაძვალტყავებული ხელებით ქოქოლას გვაყრიდნენ. ამათ რომ ვუყურებდი, „მაკბეტის“ კუდიანები მახსენდებოდა. ქოხებში ამ კუდიანი დედაბრების გარდა არავინ დარჩენილა - ცეროდენა ბავშვებიც კი გამოვიდნენ ჩვენს საყურებლად. ზოგი სულ დედიშობილა იყო, ზოგს აქა-იქ უფარავდა სიტიტვლეს კუბოკრული ქსოვილის ნაჭრები. ისინი პაწია ხელებს იტყაპუნებდნენ მუხლებზე და ბრაზიანი თვალებით აცილებდნენ ინგლისელი ჯარისკაცების რაზმს. ძალიან გამიკვირდა, რომ ასეთ პატარებსაც ასეთი ბოღმა და გაბოროტება ეწერათ სახეზე. კიდევ იმან გამაოცა, რომ კლახანში ვერც მამაკაცი დავინახე და ვერც ყმაწვილი. ათი-თორმეტი წლის ბიჭისათვისაც კი არ მომიკრავს თვალი, არა და, ქოხები კი ცოტა იდგა კლახანში, მაგრამ მოსახლეობა ბლომად უნდა ჰყოლოდა. ვიფიქრე, ალბათ სადმე გზაში დაგვხვდებიან და მაშინ ქალებისა და ბავშვების სახეზე გამოხატული სიძულვილი ღიმილად მოგვეჩვენება-მეთქი.

კლახანს გავცდით და მარხილით გაკვალულ გზას დავადექით. (იქაურები ამ გზით ტორფსა და შეშას ეზიდებოდნენ ტბის ქვედა სანაპიროდან). სოფლელები მთლად გადაირივნენ: ქალებმა და ბავშვებმა ყურისწამღები წივილ-კივილი და ტაშის ცემა ატეხეს - შოტლანდიელები ტაშის ცემით გამოხატავენ ბრაზსა და რისხვას. რას მოგვძახიან-მეთქი, ვკითხე გაფითრებულ ენდრუს. მან თავი გადააქნია და მიპასუხა:

- ეჰ, რასაც მოგვძახიან მალე აგვისრულება კიდეც. გვწყევლიან, გვლანძღავენ, ყველა წითელხიფთანიანს და საქონელს მიწაში სდებენ. ქალების ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა ინგლისშიაც გამიგია და ქვემო შოტლანდიაშიც. ქალებს ყველგან ერთნაირადა აქვთ ყბა მოღებული, მაგრამ ამ ჩრდილოელ კუდიანებივით მოშხამული ენა არავისა აქვს. რას არ დაგიბედებენ: ცხვრებივით გამოგჭრან ყელიო, თქვენს სისხლში ვიცურავოთო, უოლტერ კუმინგივით დაფლეთილიყავით, რომ ძაღლების ლუკმაც არ დარჩენილიყოს თქვენგანო[219] და რა ვიცი... რა საშინელება არ ამოსდით ყანყრატოდან. ეშმაკიც ვერ მოახერხებდა ასეთ წყევლას. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ მიჰყევით, ეგრე ტბის ნაპირს და ნახავთ რა დღეში ჩავარდებითო!

ენდრუს ნათქვამს ჩემი საკუთარი ვარაუდი დავუმატე და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მთიელები თავდასხმას გვიპირებდნენ. მიდამოც თანდათან ისეთი ხდებოდა, რომ სულაც არ გაუჭირდებოდათ ამ განზრახვის განხორციელება: გზა ტბის სანაპიროდან კარგა დაშორებით მიიკლაკნებოდა დაჭაობებულ, ბუჩქნარით დაფარულ ველზე. ბუჩქნარი ალაგ-ალაგ ისეთი ხშირი იყო, რომ ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა და ყოველ წუთს შეიძლებოდა ჩასაფრებული მთიელები დაგვსხმოდნენ თავს. გარდა ამისა, მრავალჯერ მოგვიხდა მთის სწრაფი ნაკადულების გადალახვა. წყალი მუხლამდე სწვდებოდა ქვეითებს და თანაც ისეთი ჩქარი იყო, ხელი-ხელს უნდა ჩაეკიდათ ერთმანეთისათვის თორემ წაიქცეოდნენ. მე სულ არ ვიყავი გაწაფული სამხედრო საქმეში, მაგრამ მივხვდი, რომ მდინარეზე გადასვლისას დიდი საფრთხე გველოდა - ნახევრად ველური მთიელები რომ დაგვსხმოდნენ თავს, სულ ადვილად დაგვამარცხებდნენ. ოლდერმენი ფხიზელი და დაკვირვებული კაცი იყო, ამიტომ იმანაც ასეთი დასკვნა გამოიტანა და კაპიტანს მიუბრუნდა:

- არ იფიქროთ, რომ გული მინდა მოგიგოთ და რაიმე შეღავათი გამოგტყუოთ - მოწყალებას ჩვეული არა ვარ და თავს არავის დავაჩაგვრინებ - თავის დროზე პასუხს გაგებინებთ უკანონო დაპატიმრებისათვის, მაგრამ ახალა, როგორც მეფე ჯორჯისა და მისი არმიის მეგობარი, თავს უფლებას ვაძლევ გკითხოთ: ნუთუ უკეთესი დროის შერჩევა არ შეგეძლოთ ამ მთებში სალაშქროდ? თუ რობ როის ეძებთ, უნდა იცოდეთ, რომ თან ორმოცდაათ კაცზე ნაკლები არასოდეს ახლავს და, თუ გლენგაილელ და გლენფინლელ ბიჭებსაც მიიხმარებს, სულ კუდით ქვას გასროლინებთ. ჩემი, როგორც მეფის მეგობრის რჩევაა, უკან, კლახანში დაბრუნდეთ. არ დაგავიწყდეთ, რომ აბერფოილელი ქალების წყევლა და ყვავის ჩხავილი ერთია - ორივე უბედურების მაუწყებელია!

- თქვენ ნუ სწუხთ, სერ, - მიუგო კაპიტანმა, - მე პირნათლად შევასრულებ მოცემულ ბრძანებას, ხოლო, როგორც მეფის მეგობარს, მინდა გახაროთ, რომ ყველა ღონისძიებაა მიღებული, რათა არამზადების ბანდა ხელიდან არ გაგვისხლტეს. ახლა კი ნამდვილად მოეღება ბოლო ამდენ ყაჩაღობასა და ძარცვა-გლეჯას! მილიციის ესკადრონი, რომელსაც მაიორი გალბრეიტი მეთაურობს, უკვე შეუერთდა ორ თუ სამ ცხენოსან რაზმს. ისინი ამ ველური ქვეყნის ქვემო ნაწილის ყველა უღელტეხილსა და გადასასვლელს გაამაგრებენ; სამასმა მთიელმა, იმ ორი ჯენტლმენის მეთაურობით ფუნდუკში რომ გაიცანით, ზემო გადასასვლელები დაიკავა. გარდა ამისა, გარნიზონიდანაც გააგზავნეს რამდენიმე ძლიერი რაზმი მთებსა და ხეობებში. ადგილებიდან მიღებული უკანასკელი ცნობები ემთხვევა რობ როის მსტოვრის ჩვენებას: ყაჩაღმა ნახა, რომ ალყაშია მომწყვდეული და თავისი ხალხის უმეტესი ნაწილი გაუშვა. ეტყობა, ან დამალვას აპირებს ან ალყიდან გაძრომას - აქაური გზები და ბილიკები ხუთი თითივით იცის და ამის იმედი აქვს.

- რაღაც ძალიან მეეჭვება, რომ რაიმეს გახდნენ. ამ დილას იმ გარსხატახინელს თავში აზრების მაგივრად არყის ოხშივარი ჰქონდა. თქვენი რომ ვიყო, კაპიტანო, მთიელების იმედად არ დავდგებოდი. ხომ გაგიგონიათ, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო. ისინი გამუდმებით ლანძღავენ და ათრევენ ერთმანეთს და ხანდახან ხმალსაც დაატრიალებენ ხოლმე, მაგრამ როცა საჭიროა, ყველანი ერთიანდებიან იმათ წინააღმდეგ, ვინც ბარკლებს შარვლით იფარავს და ქისას ჯიბით ატარებს.

კაპიტანს ეტყობა ჭკუაში დაუჯდა ოლდერმენის რჩევა. მან ჯარისკაცებს უბრძანა, შემჭიდროვებულიყვნენ და ჩახმახი ფეხზე შეეყენებინათ. შემდეგ დუგალი ხელახლა მკაცრად დაკითხეს, მაგრამ ახალი ვერაფერი ათქმევინეს. როცა უთხრეს ამ საშინელი გზით რატომ წამოგვიყვანეო, სამართლიანად გაბრაზდა, ეს გზა ხომ მე არ გამიყვანია, თუ „შელტმენებს“ სწორ გზაზე უნდოდათ სიარული, „გლასკოში“ დარჩენილიყვნენ.

თითქოს საეჭვო და შემაშფოთებელი არაფერი იყო და ჩვენც გზა განვაგრძეთ. ახლა უკვე ტბისკენ გვეჭირა გეზი, მაგრამ ისეთ ხშირ ტყეში მივდიოდით, რომ მხოლოდ დროდადრო თუ გამოჩნდებოდა ტბის ლაჟვარდი ზედაპირი. ბოლოს, როგორც იქნა, ტყის პირას გავედით და თვალწინ ვრცელი ტბა გადაგვეშალა. ქარი ჩამდგარიყო და ტბაში ლამაზად ირეკლებოდა ბუჩქნარით დაფარული ამაყი მთაგრეხილი, ვეება ლეგა კლდეები და ხუჭუჭა ფერდობები. ტბას მჭიდროს შემოჯაროდა ირგვლივ კლდოვანი გორაკები და მარტო ის ბილიკი დაეტოვებინა მისასვლელად, რომელსაც ჩვენ ვადექით. მტერს რომ ქვები დაეგორებინა ზევიდან, ამბის წამღები არავინ დარჩებოდა ჩვენგან. ამის ისიც ემატებოდა, რომ ეს მიხვეულ-მოხვეული ბილიკი ღრმა ხევში გადიოდა და ასი ნაბიჯის იქით არაფერი ჩანდა. ყოველივე ამან ერთობ შეაშფოთა ჩვენი მეთაური და განმეორებით უბრძანა ჯარისკაცებს, სახიფათო ადგილია და ფრთხილად იყავითო. შემდეგ დუგალს

დაემუქრა, თუ განგებ შემოგვიტყუე, აქვე გაგათავებო. მთიელმა წარბიც არ შეიხარა მუქარაზე - ან უდანაშაულოდ თვლიდა თავს, ან სიკვდილისა არ ეშინოდა - მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ხაფანგში გაება მტერი.

- თუ შენტლმენები წითურ გრეგარახს ეძებენ, უნდა საფრთხესაც ელოდნენ, - უთხრა დუგალმა კაპიტანს.

ამის თქმა იყო და, კაპრალი, რომელიც ავანგარდს სარდლობდა, შეჩერდა, ერთი ჯარისკაცი გამოაგზავნა და შემოგვითვალა, წინ მთიელები არიან, გზა გადაუკეტავთ და მიუვალი პოზიციები დაუკავებიათო. იმავე წამს არიერგარიდან გამოგზავნილი ჯარისკაცი მოვიდა და მოახსენა, უკნიდან საბრძოლო სტვირების ხმა ისმის, ეტყობა მტერი ფეხდაფეხ მოგვდევსო. კაპიტანი თორნტონი მამაცი და საზრიანი კაცი იყო და გადაწყვიტა, წინ გაჭრილიყო. მან ჯარისკაცები დაარწმუნა, სასწრაფოდ უნდა შევუტიოთ მტერს, რადგან, უკანიდან ჩვენი მოკავშირე მთიელების სტვირების ხმა ისმის, ალბათ დასახმარებლად მოეშურებიან და, თუ იმათ მოსვლამდე დავიჭერთ რობ როის, სახელიც ჩვენ დაგვრჩება და სახრავიცო. შემდეგ არიერგარადიც შეიერთა და ჯარისკაცები ორ-ორად დააწყო, რადგან ვიწრო გზაზე მეტი ვერ დაეტეოდა. დუგალი რაზმის შუაში ჩააყენა, ორი გრენადერი მიუჩინა, ორივეს უბრძანა, გაქცევა თუ დააპიროს, მაშინვე მოკალითო და თვითონ ტყვესაც დაემუქრა ხმადაბლა: თუ მოგვატყუე ძაღლივით ჩაგკლავო. კაპიტანმა ჩვენც დუგალის გვერდზე დაგვაყენა, რადგან იქ ნაკლები საფრთხე გველოდა, შემდეგ თავისი მსუბუქი შუბი გამოართვა ჯარისკაცს, რაზმს წინ მოექცა და შეტევის ბრძანება გასცა.

რაზმი, როგორც ინგლისელებს ჩვევიათ, უშიშრად მიიწევდა წინ. მარტო ენდრუ ფერსერვისს ებორკებოდა ფეხები და სახეზე საშინელი შიში და დაბნეულობა ეწერა. გულახდილად რომ ვთქვა, ჩვენც, მე და მისტერ ჯარვი, ენდრუსავით არა ვცახცახებ-

დით, თორემ კარგა გვარიანად ვიყავით დაფეთებული. მართლაც და, რატომ უნდა მიგვეღო მონაწილეობა ამ სისხლის მღვრელ შეტაკებაში, ჩვენ რა შუაში ვიყავით, მაგრამ დავისა და კამათის დრო არ იყო და ბედს დავმორჩილდით.

უკვე ოც ნაბიჯზე მივუახლოვდით იმ ადგილს, სადაც ავანგარდმა მტერი შენიშნა. კაპრალს ტბაში საკმაოდ ღრმად შეჭრილი კონცხის წვერზე დაუნახავს მთიელთა ქუდები და გრძელულა თოფები. კონცხის წვეროზე მხოლოდ ერთი ვიწრო და დაკლაკნილი ბილიკით შეიძლებოდა ასვლა. მთიელები ალბათ ერიკას ბუჩქებში იყვნენ ჩასაფრებულნი, მწვერვალის უკანა მხარეს კაპიტანმა თორნტონმა რაზმის ნაწილს კაპრალი ჩაუყენა სათავეში და ჩასაფრებულ მთიელთა წინააღმდეგ გაგზავნა. კაპრალმა ჯარისკაცები სამმწკრივად დააწყო და ბილიკს დაადგა. თვითონ კაპიტანმა დანარჩენი მეომრები გაიყოლა და უფრო ნელი ნაბიჯით გაჰყვა დაწინაურებულთ. კაპრალი ჯერ შუა გზაზეც არ იყო, რომ კონცხის თავზე ვიღაც ქალი აღიმართა და ხმამაღლა უბრძანა მომხვდურებს:

- შეჩერდით! მითხარით, რას ეძებთ მაკგრეგორის ქვეყანაში?

იშვიათად შემხვედრია ასეთი შთამბეჭდავი გარეგნობის ქალი. შეხედულებით ასე ორმოც-ორმოცდაათ წელს მისცემდი. ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი იქნებოდა, ახლა კი სახის ნაკვთები გაუხეშებოდა - ეს მთის ჰავისა და გადატანილი დარდისა და ნაღველის კვალი უნდა ყოფილიყო. შეხედავდი თუ არა, იტყოდი, ძლიერი და მკაცრი ხასიათის ქალიაო. პლედიც კაცივით ემოსა: თავზე კი არ ჰქონდა წამოხურული, მაგრად შემოეხვია ტანზე მთიელი მეომარივით. თავზე მამაკაცის ქუდი ეხურა, ქუდს რაღაც ფრინველის ფრთა უმშვენებდა, ხელში გაშიშვლებული ხმალი ჩაებღუჯა, ქამარში კი ორი დამბაჩა ჰქონდა გარჭობილი.

- ჰელენ კემპბელია, რობის ცოლი, - ჩამჩურჩულა შეშინებულმა ოლდერმენმა, - ვინმე ჩვენთაგანს აუცილებლად გაუხვრეტს შუბლს. ამას ლაპარაკი აღარ უნდა!

- რას ეძებთ-მეთქი? - კვლავ ჰკითხა ქალმა კაპიტან თორნტონს, რომელიც რაზმის წინ წამდგარიყო და მოლაპარაკების დაწყებას აპირებდა.

- რობ როის, მაკგრეგორ კემპბელის, ყაჩაღსა და მოძალადეს, - მიუგო ოფიცერმა, - ქალებთან კი ომს არ ვაპირებთ. წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ მეფის ჯარს და პირობას გაძლევთ, რომ თავაზიანად მოგექცევით.

- ჰო, მჯერა, - დასცინა ამორძალმა, - სხვამ თუ არა, მე მაინც ვიცი თქვენი თავაზიანობის ამბავი. პატიოსანი სახელიც არ შემარჩინეთ. დედაჩემიც კი ამარიდებს პირს, იმქვეყნად რომ შევხვდებით ერთმანეთს. არც სახლი დაგვიტოვეთ მე და ჩემიანებს, არც მიწა, არც ლოგინი და არც საქონელი. მშიერ-ტიტვლები დაგვყარეთ! სულითხორცამდე გაგვცალეთ! მამა-პაპათა სახელები წაგვართვით, ახლა სიცოცხლე დაგვრჩენია და იმასაც უნდა გამოგვასალმოთ!

- მე არავის ვუსპობ სიცოცხლეს, მე მხოლოდ მოცემულ ბრძანებას ვასრულებ, - მიუგო კაპიტანმა, - თუ მარტო ხართ, ჩემო კარგო, ნურაფრისა შეგეშინდებათ, ხოლო თუ სხვებიც არიან მანდ და ისე გათავხედდებიან, რომ შებრძოლებას გაგვიბედავენ, თავიანთ თავს დააბრალონ ყველაფერი! სერჟანტო, იერიში!

- წინ, იერიში! - შესძახა უმცროსმა ოფიცერმა, - წინ, ბიჭებო! წინ რობ როის თავი და მთელი ქისა ოქროა! - იგი სწრაფად დაიძრა მწვერვალისაკენ და თან ექვსი ჯარისკაცი გაიყოლა, მაგრამ პირველ მოსახვევს მიუახლოვდნენ თუ არა, გაისმა კაჟიანი თოფების ქუხილი და სერჟანტს ტყვიამ გაუხვრიტა მკერდი. იგი ხელებით ეპოტინებოდა კლდეს და კიდევ ცდილობდა, ზევით ასულიყო მაგრამ მალე თითებში ძალა გამოელია, კლდეც მოსწყდა

და ტბის სიღრმეში გაუჩინარდა. მთიელები რამდენიმე მხრიდან ისროდნენ და თანაც მიზანს იშვიათად აცილებდნენ. იმ ექვსი ჯარისკაციდან სამი დაეცა, არ ვიცი მოკლეს თუ დაჭრეს, დანარჩენებმა უკან დაიხიეს. ისინიც დაჭრილები იყვნენ ზოგი მძიმედ, ზოგი მსუბუქად.

- გრენადერებო, დაეწყვეთ, - შესძახა კაპიტანმა თორნტონმა.

შენ უნდა გახსოვდეს, უილ, მაშინ გრენადერები მძლავრი იარაღით იყვნენ აღჭურვილი და ასეთი სახელიც ამიტომ ერქვათ. რაზმს მაშინვე გამოეყო ოთხი გრენადერი და წინ გამწკრივდა. კაპიტანმა რაზმს უბრძანა, მზად იყავით ამათ დასახმარებლადო, ჩვენ გვითხრა თქვენ თავს თვითონვე მიხედეთო და ბრძანება გასცა:

- გახსენით ჩანთები! ამოიღეთ ხელყუმბარები! აანთეთ პატრუქები! წინ!

რაზმი ყიჟინით დაიძრა წინ. გრენადერებმა ხელყუმბარები მოიმარჯვეს, რომ ბუჩქებში ეტყორცნათ - იქ ჩასაფრებულები ეგულებოდათ. მუშკეტერებმა თოფები შემართეს და ნაბიჯს მოუჩქარეს, რომ გრენადერებისათვის საქმე გაეადვილებინათ. დუგალი ყველას დაავიწყდა. იმანაც ჭკუა იხმარა, უკან, ბუჩქებში შეძვრა და კატასავით აცოცდა ციცაბოზე. მეც უკან მივყევი, რადგან შუა გზაზე ვიდექი და მივხვდი, რომ მთიელები ტყვიას არ დამიგვიანებდნენ. გაფაციცებით, უკანმოუხედავად მივძვრებოდი კლდეზე. მთილები გაბმულად ისროდნენ, მთები და კლდეები აასკეცებდნენ თოფების ხმას, ავის მომასწავებლად შიშინებდა პატრუქები, საშინელი ქუხილით სკდებოდა ხელყუბმარები, ისმოდა ჯარისკაცთა „ვაშა“ და მთიელების ყიჟინა. სულ არა მრცხვენია ვაღიარო, რომ გულით მინდოდა, როგორმე გავრიდებოდი ამ ჯოჯოხეთს და უშიშარ ადგილას შემეფარებინა თავი. მალე თითქმის შვეულ კლდეს მივადექი და ძლივსღა მივბობღავდი ზევით. დუგალი კი ჯიხვივით ხტდებოდა კლდის ერთი შვერილიდან მეორე-

ზე და სწრაფად მიიწევდა მწვერვალისაკენ. საბოლოოდ დავკარგე იმედი, რომ დუგალს დავეწეოდი და ქვევით გადავიხედე, მინდოდა ჩემი თანამგზავრების ბედი გამეგო. ორივენი საშინელ დღეშ იყვნენ: შიშს, როგორც ჩანს საკმაოდ გაეყოჩაღებინა მისტერ ჯარვი: იგი ოციოდე ფუტის მანძილზე აფოფხებულიყო გზის გვედით აღმართულ კლდეზე, მაგრამ მერე ფეხი დასხლტოდა და კვრინჩხის ბუჩქს რომ არ გამოდებოდა თავისი საგზაო ხიფთანის ფალდებით, უკვე თავის საყვარელ მამასთან, უსტაბაშთან იქნებოდა მისული. ახლა კი თავდაღმა ეკიდა ის საწყალი და განძრევს ვერ ბედავდა. რომ შევხედე, ოლდერმენის მშობლიურ ქალაქში ნანახი ოქროს ვერძის ემბლემა გამახსენდა. (ეს ემბელემა ბაზრის კარებთან ვნახე, ერთ-ერთი დუქნის აბრაზე). ენდუს კარგა მაძილით გაესწრო ოლდერმენისათვის და კლდის მწვერვალისათვის მიეღწია. კლდე ტყეს გადაჰყურებდა თავზე, ტყეში გაფთრებული ბრძოლა იყო და ამიტომ ამ კლდეზე უარეს თავშესაფარს ვერც კი წარმოიდგენდა კაცი. ამას ენდრუც კარგად ხედავდა, მაგრამ მწვერვალი ისე ციცაბო იყო, რომ ვერც გადაღმა ბედავდა გადასვლას და ვერც უკან დაბრუნებულიყო.

ენდრუ ჯამბაზივით აწყდებოდა წინ და უკან ხელისგულისოდენა მოედანზე და იმის და მიხედვით, თუ ვის მხარეზე იხრებოდა გამარჯვების სასწორი, ხან გელურად ითხოვდა შველას ხან ინგლისურად. პასუხად მხოლოდ პატივცემული ოლდერმენის კვნესა ესმოდა: სიკვდილს თვალებში უყურებდა საწყალი და თანაც გულაღმა იყო დაკიდებული! ასეთ დღეში რომ დავინახე, გადავწყვიტე, რაიმე მეღონა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ენდურს დახმარების გარეშე ვერაფერს გავხდებოდი. ხან ხელით ვანიშნე, ხან ვუბრძანე, ხან ვევედრე, მაგრამ ვერაფრით ვერ გავაბედინე, მწვერვალიდან დაბლა ჩამოსულიყო და ოლდერმენისათვის ეშველა. უნიჭო და პატივმოყვარე მინისტრივით გაიდგა ფეხი და ძირს ჩამოსვლას აღარ აპირებდა. მოთქმა და წუწუნი კი არ შეუწ-

ყვეტია: წინ და უკან დარბოდა და ყვიროდა შემიბრალეთ, ნუ მომკლავთო, თუმცა მისი დარდი არავის ჰქონდა და არც ვედრება ესმოდა ვინმეს. ხანდახან მოეჩვენებოდა, მიზანში ამომიღესო და სასაცილოდ იგრიხებოდა, რომ ტყვია აეცილებინა. ცოტა ხნის შემდეგ დამშვიდდა, რადგან სროლა მოულოდნელად შეწყდა. ბრძოლა დამთავრებულიყო. ახლა მიზნად დავისახე ცოტა ზევით ავსულიყავი, გამეგო თუ რითი დამთავრდა ბრძოლა და გამარჯვებულისათვის (სულერთია, რომელი მხარე იქნებოდა), მეთხოვა, მოწყალება მოეღოთ და მისტერ ჯარვი დაეხსნათ ამ სატანჯველისაგან. დარწმუნებული ვიყავი, რომ პატივცემულ ოლდერმენს არც ინგლისელები დატოვებდნენ ასე მოჰამედის კუბოსავით ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებულს და არც მთიელები. დიდი წვალებით დავიწყე ზევით ასვლა და ბოლოს, როგორც იქნა, იმ სიმაღლეზე ავედი, რომ მთელი ბრძოლის ველი გადამეშალა თვალწინ. ბრძოლა მართლა დამთავრებულიყო. როგორც მოველოდი, გამარჯვება მთიელებს დარჩენოდათ. დავინახე, როგორ ანიარაღებდნენ მთილები კაპიტანსა და მის რაზმს. სულ თორმეტიოდე კაცი გადარჩენილიყო და იმათგანაც უმეტესობა დაჭრილი ჩანდა. იარაღის დაყრა თურმე კაპიტანმა უბრძანა ჯარისკაცებს და სწორადაც მოიქცა: ინგლისელები ალყაში იყვნენ, მთიელები სამჯერ მეტნი იქნებოდნენ და უკეთესი პოზიციაც ეჭირათ. ალყა შემორტყმულები ვერც წინ ახერხებდნენ გაჭრას და ვერც უკან, ტყეში დამალვას. მტერი ზუსტი ცეცხლით ამცირებდა მათ რიგებს, თვითონ კი თითქმის სულ არ მოსდიოდა ზარალი. ასეთ პირობებში ბრძოლის გაგრძელება უაზრო სისხლისღვრას უდრიდა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ინგლისელთა რაზმის მეთაურმა, იარაღი დაეყარათ და გამარჯვებულთა დიდსულოვნებას მინდობოდნენ. მთიელები საფარიდან ისროდნენ და იოლად გადარჩნენ. ერთი მოკლული ჰყავდათ და რამდენიმე დაჭრილი - ხელყუმბარის ნამსხვრევები მოხვედროდათ. ეს ყოველი-

ვე მოგვიანებით გავიგე, მაშინ კი იმით მივხვდი ვინ იყო გამარჯვებული, რომ დავინახე, თუ როგორ მოხადეს სახეგასისხლიანებულ ინგლისელ ოფიცერს თავიდან ქუდი, მერე კი სათითაოდ აჰყარეს იარაღი. იქვე მთიელებით შემოჯარული თავჩაქინდრული ინგლისელი ჯარისკაცები იდგნენ. ჯარისკაცებს სახეზე საშინელი დარდი და მწუხარება ეწერათ - აშკარა იყო კარგად იცოდნენ ომის მკაცრი კანონი და შებრალებას არ მოელოდნენ.

თავი XXXI

„ვაჰ, დამარცხებულთ!“ მკაცრი იყო სიტყვა ბრენოსი,
გალურ მახვილმა როს დაუფრთხო რომს ანგელოსი...
„ვაჰ, დამარცხებულთ!“ განაჩენი იყო სასტიკი:
ხმალმა დახარა პინა სავსე გამოსასყიდით!..
ბრძოლის ველს, სადაც სიჩუმეა ახლა სამარის,
გამარჯვებულის ნებამ უნდა დასდოს სამანი!..

„გალიადა“

გაფაციცებით ვეძებდი გამარჯვებულებში დუგალს. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ განგებ ჩაუვარდა ტყვედ ინგლისელებს - უნდოდა ამ ვიწროებში შემოეტყუებინა ისინი. გაოცებული ვიყავი, როგორ მოხერხებულად გააცურა ამ უბირმა, ნახევრად ველურმა მთიელმა ინგლისელი ოფიცერი, როგორ ძალით ამოჰგლიჯეს პირიდან ცნობები, რომლის მისაწოდებლადაც გაითამაშა ეს როლი. მი ვიცოდი, რომ თუ ახლავე მივიდოდი გამარჯვებით დამთვრალ მთიელებთან, დიდ საფრთხეში ჩავიგდებდი თავს. მათი სიმკაცრის საბუთი საკუთარი თვალით დავინახე: ორი თუ სამი ჯარისკაცი, რომლებიც მძიმედ იყვნენ დაჭრილი და ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლეს, შეუბრალებლად დაკლეს ხანჯლებით ძონძებში გამოხვეულმა ბიჭებმა. ცხადი იყო, რომ, თუ სიცოცხლის შენარჩუნება გვინდოდა, შუამავლის გარეშე არ უნდა მივსულიყავით მთიელებთან და რადგან კემპბელი (ახლა უკვე ვიცოდი, რომ კემპბელი და რობ როი ერთი და იგივე პიროვნება

იყო) ვერსად დავლანდე, გადავწყვიტე, მისი მსტოვრისათვის, დუგალისთვის მეთხოვა მფარველობა. ბევრი ვათვალიერე, მაგრამ დუგალი აღარსად ჩანდა. როცა მისი პოვნის იმედი დავკარგე, ისევ ჩემი მეგობრისაკენ დავაპირე წასვლა, იქნებ როგორმე დავეხმარო-მეთქი. ადვილად წარმოიდგენ, როგორ გამიხარდებოდა, როცა დავინახე, რომ მისტერ ჯარვი აღარ ეკიდა იმ კვირინჩხზე. მას როგორღაც მოეხერხებინა თავის დახსნა და ახლა სახე გალურჯებული და ტანსაცმელშემოფლეთილი, მაგრამ უვნებელი და საღ-სალამათი იჯდა კლდის ძირას. მაშინვე მივეახლე და გულითადად მივულოცე გადარჩენა, მაგრამ ტუჩი ამიბზუა და, თუმცა ხველებით იხრჩობოდა, მაინც კარგა მაგრად გამომთათხა:

- უჰუ, უჰუ! კიდევ იტყვიან მეგობარი... უჰუ, უჰუ, უფხუ!.. ძმაზე უკეთესიაო... უჰუ, უჰუ! ამ ღვთისა და კაცისგან დაწყევლილ ქვეყანაში (ღმერთო მაპატიე შენი ხსენება) მხოლოდ თქვენს საქმეზე ჩამოვედი, თქვენ კი ჯერ ბედის ანაბარა მიმაგდეთ ამ ორომტრიალში - ხომ შეიძლებოდა ტყვია მომხვედროდა ან წყალში დავმხრჩვალიყავი - და მერე ცასა და მიწას შორის რომ გამოვეკიდე ბაღის საფრთხობელასავით, ხელიც არ გაანძრიეთ მოსაშველებლად. ეს სინდისია?

ათასი ბოდიში მოვუხადე და დავუსაბუთე, რომ მარტო ვერ დავეხმარებოდი. მეორე კაციც იყო საჭირო, რომ კვრინჩხიდან ჩამომეხსენი-მეთქი. მისტერ ჯარვი ფიცხი კაცი იყო, მაგრამ გამყოლი გული არა ჰქონდა და მალე შემირიგდა. მხოლდ ახლა გავბედე, და ვკითხე, როგორ დაიხსენით თავი-მეთქი:

- დაიხსენიო? რომ არ ეშველათ, მეორედ მოსვლამდე ვეკიდებოდი! როგორ დავიხსნიდი თავს, როცა საბაჟოს სასწორივით ვიყავი ჩამოკიდებული ტოტზე. გუშინდელივით, იმ უქნარა დუგალმა მიშველა - ხანჯალით გამიჭრა ხიფთანის ფალდები, კიდევ ორითავის ნაირი უნიფხვო მოიშველია და მარჯვედ დამაყენეს

ფეხზე. ნახეთ, როგორი მაუდი იქსოვება ჩვენში! დამპალი ფრანგული კამლოტი, ან რაიმე დრაპ-დე-ბერისგან შეკერილი ტანსაცმელი რომ მცმოდა, მაშინვე ძირს მოვადენდი ზღართანს. მაა! ღმერთმა არ უნდა უშველოს ამის მომქსოვს?! ისე მაგრად ვეკიდე, როგორც გაბარტი[220] ბრუმი ლოს ნავსადგურში.

ვკითხე თქვენი მხსნელი რა იქნა-მეთქი:

- იმ უქნარამ (ოლდერმენი კვლავ ასე იხსენიებდა დუგალს) მითხრა, ლედისთან მისვლა სახიფათოა, მისი ქმრის მოსვლას დაველოდოთო და აქ დამტოვა. ახლა, ალბათ დაგეძებთ. საზრიანი ყმაწვილია... ისიც სწორია, რაც ამ ქალზე თქვა, თვითონ რომ ლედის უწოდებს. ჰელინ კემპბელი ქალიშვილობაშიც კაპასი იყო, გათხოვების შემდეგ კი სულ გადაირია. თურმე თვითონ რობიც უბატონოდ არ ელაპარაკებაო. ერთიც ვნახოთ და, ვერ მიცნოს - რამდენი წელია არ გვინახავს ერთმანეთი! არა, ნამდვილად ვერ გავბედავ მარტო მისვლას, ჯობს ისევ იმ უქნარას დავუცადო.

ეს თათბირი მოვუწონე, მაგრამ იმ დღის განგებას არ ენება, რომ პატივცემული ოლდერმენის სიფრთხილეს სათანადო ნაყოფი გამოეღო.

მართალია, ენდრუ ფერსერვისმა ბრძოლის შეწყვეტისთანავე დაანება თავი ცეკვა-თამაშს, მაგრამ დაბლა ჩამოსვლა ვერ მოახერხა და მთიელებს, რომლებიც ბრძოლით აღარ იყვნენ გართულნი და მიხედ-მოხედვის დრო ჰქონდათ, სულ ადვილად შეეძლოთ შეემჩნიათ მოტიტვლებული კლდის თავზე ბაციკუკუსავით დასკუპებული კაცი. მართლაც, სულ მალე, გამარჯვებულთა რიგებში ატეხილმა ხორხოცმა და ყიჟინამ გვამცნო, რომ მთიელებმა შენიშნეს ენდრუ ფერსერვისი. სამი თუ ოთხი მეომარი მაშინვე გამოეყო ბრბოს, ბუჩქებში შევარდა და სხვადასხვა მხრიდან შეუტია კლდოვან ფერდობს.

ისინი, ვინც პირველნი მიუახლოვდნენ თოფის სასროლ მანძილზე საწყალი ენდრუს ციხე-სიმაგრეს, შეჩერდნენ და ნაცვლად იმისა, რომ დახმარების ხელი გაეწოდებინათ გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის, გრძელლულა ესპანური თოფები მოიმარჯვეს და ნათლად აგრძნობინეს საცოდავს, თუ შენი ნებით არ ჩამოხვალ, ჩიტივით ჩამოგაგდებთ მანდედანო. ამ საშინელმა მუქარამ სათანადო ნაყოფი გამოიღო: ენდრუმ იფიქრა, აქ რომ დავრჩე, ტყვიებით დაცხრილვა არ ამცდებაო და ფერდობს დაადგა. იგი ხან სუროს ეჭიდებოდა აკანკალებული ხელებით, ხან ბუჩქებს, ხან კლდის შვერილებით, მაგრამ ხანდახან მაინც ახერხებდა მუდარით გაეწვდინა ხელი თოფმომარჯვებულ მთიელებისათვის და ენიშნებინა, არ მესროლოთო. ბოლოს, საწყალი, როგორც იქნა, ჩამოფოფხდა იმ საშინელი მწვერვალიდან, სადაც მხოლოდ სიკვდილის შიშმა აიყვანა. ენდრუ ისე მოუხერხებლად ჩამოდიოდა კლდიდან, რომ მთიელები სიცილით იხოცებოდნენ და ერთი-ორჯერ გაისროლეს ჰაერში, რომ კიდევ უფრო შეეშინებინათ. ბოლოს, დიდი წვალებით, შედარებით სწორ ნიადაგზე დადგა ფეხი, უფრო სწორად, გაიშხლართა, რადგან უკანასკნელ წამს მუხლები მოეკვეთა, მაგრამ მთიელები დადარაჯებულები იყვნენ და მაშინვე წამოაყენეს ფეხზე. ფეხზე წამოყენებამდე კი ჯიბეები დაუცარიელეს, შლაპა და პარიკი მოაძვრეს თავიდან და ხიფთანი, წინდები და ფეხსაცმელები გახადეს. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა და ენდრუ, რომელიც გულაღმა დაცემისას არც ერთ ქალაქელ მსახურზე ნაკლებად არ გახლდათ გამოპრანჭული, ახლა ისე იყო გაფცქვნილი და გაუბედურებული, რომ ბაღის საფრთხობელა გეგონებოდა. მთიელებმა სულ არ მიხედეს, რომ ენდრუ მიუჩვეველი იყო შიშველი ფეხებით წვეტიან ქვებზე სიარულს და სულ მუჯლუგინით გაიგდეს წინ.

სანამ ისინი დაბლა ეშვებოდნენ, არწივისთვალა მთიელებმა მე და მისტერ ჯარვი შეგვნიშნეს. თვალის დახამხამება ვერ მო-

ვასწარით, რომ ექვსი მეომრის გარემოცვაში აღმოვჩნდით. ზოგმა ზედ ყელზე მოგვაბჯინა ხანჯლის წვერი, ზოგმა კი ჩახმახშეყენებული დამბაჩა დაგვაღირა მკერდზე. წინააღმდეგობის გაწევა სიგიჟე იქნებოდა, მით უმეტეს, რომ იარაღი არც ერთს არ გვქონდა. ბედს დავმორჩილდით და მომხვდურები, მეფე ლირის სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინვე მოურიდებლად შეუდგნენ ჩვენს მოშილიფებას, რათა ისეთსავე, ორფეხა უფრთო საფრთხობელისათვის დავემსგავსებინეთ, როგორადაც ჩვენგან ორ ნაბიჯზე მდგომი სიცივითა და შიშით აკანკალებული ენდრუ ფერსერვისი ქცეულიყო. საბედნიეროდ, მშველელი გამოგვიჩნდა და ამ საშინელი დღიდან გვიხსნა: მე, ის იყო ყელიდან შარფი მოვიხსენი (ნამდვილი „სტეინკერკი“ იყო, მდიდრულად მოქარგულ) და მოძალადეებს ჩავაბარე, ხოლო ოლდერმენი თავის ბოლომოგლეჯილ ხიფთანს შეელია, რომ დუგალი გამოჩნდა და საქმე სხვანაირად შეტრიალდა. თხოვნით, გინებითა და მუქარით (ამას მისი ლაპარაკის კილოთი და ხელების ქნევით მივხვდი) მან აიძულა მოძალადენი ძარცვა შეეჩერებინათ, მერე კი ნადავლიც გამოგლიჯა ხელიდან და შარფი ისე მაგრად შემომახვია ყელზე, რომ ვიფიქრე, რომ გლაზგოს ციხეში დარაჯად მუშაობისას ჯალათის ხელობასაც სწავლობდა-მეთქი. შემდეგ ხიფთანის ნარჩენი წამოასხა მისტერ ჯარვის მხრებზე, ყაჩაღებს უბრძანა, ფრთხილად ჩამოვეყვანეთ დაღმართზე (განსაკუთრებით კი ოლდერმენს მოფრთხილებოდნენ) და თვითონ დაწინაურდა, რომ ჩვენკენ წამოსულ მთიელთა დიდი ჯგუფს შეხვედროდა. ენდრუ ფერსერვისს ხმა ჩაუწყდა ხვეწნით, მეც შენს მფარველობაში ამიყვანე, ან უთხარი ფეხსაცმელი მაინც დამიბრუნონო, მაგრამ დუგალმა უხეშად მიუგდო, რა გინდა, შენც ხომ კეთილშობილი არა ბრძანდები, პაპაშენი თუ ფეხშიშველა დადიოდა, შენც არაფერი გიშავსო, შემდეგ ენდრუ მთიელებს დაუტოვა, როგორც გინდათ ისე ჩამო-

იყვანეთო და სწრაფად გაგვიძღვა წინ იმ ბილიკით, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ ბრძოლა იყო გაჩაღებული.

ჩვენ მთავარსარდალთან უნდა მივეყვანეთ. დუგალი მთელი გზის მანძილზე ჩხუბობდა, ილანძღებოდა, ღრიალებდა და ხან მუქარით ხან კი მუჯლუგუნით გვაშორებდა ყველას, ვინც ცდილობდა ზომაზე მეტი გულმოდგინება გამოეჩინა და ავეჩქარებინეთ. ბოლოს წარვდექით ამორძალის წინაშე. და, გულახდილად უნდა ვთქვა, მის დანახვაზე ისევე ამიჩქროლდა შიშით გული, როგორც წეღან, ველური, გაცოფებული მთიელები, რომ შემოგვეხვივნენ ირგვლივ. არ ვიცი, პირადად მიიღო თუ არა ჰელინ მაკგრეგორმა მონაწილეობა ხოცვა-ჟლეტაში (შემდგომში მითხრეს არაო), მაგრამ სახე წითლად ჰქონდა ალეწილი, ქუდიდან აწეწილ-დაწეწილი ყორანივით შავი თმა ჩამოშლოდა, შუბლზე და იდაყვებამდე აკაპიწებულ მკლავებზე სისხლი ეცხო ხმალიც სისხლით ჰქონდა მოსვრილი. მთავარსარდალს კმაყოფილებით უბრწყინავდა გამჭრიახი, შავი თვალები - ეტყობოდა, მეშვიდე ცაზე იყო სიხარულით, რომ შური იძია მტარვალებზე, მაგრამ უაზრო სიმკაცრესა და სისხლის წყურვილს ვერ დასწამებდი. როცა პირველი შეხვედრით გამოწვეული მღელვარება დამიცხრა და უფრო დაკვირვებით შევათვალიერე, იმ ბიბლიურ გმირ ქალებს მივამგვანე, საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის კედლებზე რომ არიან გამოსახული. მართალია, იმათსავით ლამაზი არ იყო, მაგრამ გამარჯვების სიხარულს ისეთი სიდიადე მიენიჭებინა, რომ გამოჩენილი ოსტატების ფუნჯით გაცოცხლებული გმირი ქალები ივდითი, დებორა და იაილი წარმომიდგა თვალწინ.

დაბნეული ვიდექი და არ ვიცოდი, როგორ დამეწყო ლაპარაკი ამ უცნაურ ქალთან. სანამ ხმას ამოვიღებდი, მისტერ ჯარვიმ ერთი ჩაახველა, სული ამოითქვა (ჩვენ ძალიან ჩქარა მოვდიოდით და ოლდერმენს კვლავ ქოშინი ავარდნოდა) და დაიწყო:

- უჰუ, უჰუ, მე მინდოდა მეთქვა, ისა... მინდოდა მეთქვა, რომ ფრიად მადლობელი ვარ განგებისა და თავს მეტად ბედნიერად ვთვლი (ხმა კი, პირიქით, უბედურივით უკანკალებდა), რომ საშუალება მომეცა (ოლდერმენმა ცოტათი აუწია ხმას), მივესალმო ჩემი ნათესავის, რობინის, მეუღლეს... უჰუ, უჰუ! როგორ ბრძანდებით, როგორა ცხოვრობთ? (იგი ახლა უკვე თამამად და შინაურულად ლაპარაკობდა), რამდენი ხანია არ მინახავხართ. რას აკეთებდით მთელი ამ ხნის მანძილზე? თქვენ, რასაკვირველია დაგავიწყდით მისის მაკგრეგორ კემპბელ. მე თქვენი ნათესავი ვარ, ბიძაშვილად მოგხვდებით! უჰუ, უჰუ! მე აღარ გემახსოვრებით, მაგრამ მამაჩემი კი არ დაგავიწყდებოდათ - არ გახსოვთ ნიკოლ ჯარვი, უსტაბაში, გლაზგოში რომ იყო, „მარილის ბაზარში“? უსპეტაკესი ადამიანი გახლდათ, დიდ პატივს სცემდა თქვენს ოჯახს და პირადად თქვენ. ამგვარად, როგორც უკვე მოგახსენეთ, ფრიად კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ნათესავის მეუღლეს შევხვდი! ასე მაგრად რომ არ ვყავდე გაკავებული თქვენს ვაჟკაცებს, გავბედავდი და ისე მოგესალმებოდით, როგორც ნათესავს შეეფერება. ისე კი, კაცმა რომ თქვა, კარგი იქნებოდა, მეგობრებთან შეხვედრის წინ ხელ-პირი დაგებანათ.

ასეთი თამამი და შინაურული ლაპარაკი, რაღა თქმა უნდა, სულ არ მოეწონებოდა ჰელინ მაკგრეგორს, მთავარსარდალს, რომელმაც ეს-ეს იყო ძლიერი მტერი დაამარცხა სისხლისმღვრელ ბრძოლაში და ახლა ტყვეების ბედი უნდა გადაეწყვიტა.

- საიდანა ხარ მაკგრეგორის ნათესავი, როცა არც იმათი ფერის ტანსაცმელი გაცვია და არც იმათ ენაზე ლაპარაკობ? - ჰკითხა ჰელინმა ოლდერმენს. - ვინა ხარ? ენა და ქცევა ძაღლისა გაქვს და ირმებს კი ეტოლები!

- არ ვიცი იქნებ თქვენთვის არასოდეს უთქვამთ, როგორი ნათესავები ვართ, მაგრამ ეს საიდუმლო არ არის და სულ ადვილად შემიძლია დაგისაბუთოთ, რომ ძალიან ახლო ნათესაობა

გვაქვს, - უშიშრად მიუგო მისტერ ჯარვიმ, - დედაჩემი ელსპეტ მაკფარლანი გახლდათ მამაჩემი ნიკოლ ჯარვის, უსტაბაშის, ცოლი (ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ორივეს). ელსპეტი იყო პარლან მაკფარლანის ქალიშვილი და ამის დადასტურება შეუძლია მის მეორე ქალიშვილს მეგი მაკფარლანს, ანუ მაკნაბს, სტუავრალახანელ დუკან მაკნაბის მეუღლე. თქვენი მეუღლე, რობინ მაკგრეგორი ბადიშის შვილად ერგება ელსპეტს, რადგან...

მაგრამ ამორძალმა ერთი შეკითხვით შიგ ძირში გადაჭრა ამდენი წვალებით ნაზარდი გენეალოგიური ხე:

- ნუთუ მქუხარე ნიაღვარმა თავის ნათესავად უნდა ჩათვალოს საცოდავი რუ, რომელიც მის ნაპირას მცხოვრებლებს ბოსტნის მოსარწყავად გაუყვანიათ?

- მართალი ბრძანდებით, პატივცემულო ნათესავო, მაგრამ ნიაღვარი მცხუნვარე ზაფხულში, როცა თვითონ დაშრობის პირას არის მიმდგარი, უარს არ იტყვის დაიბრუნოს ის საცოდავი რუ. ვიცი, რომ მთიელები არაფრად გვაგდებთ გლაზგოელებს, რადგან სხვანაირად გვაცვია და სხვა ენაზე ვლაპარაკობთ. რას ვიზამთ, ყველა თავის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს და თავისებურად იცვამს. აბა სასაცილო არ იქნება, რომ ამ ღიპზე მოკლე ხიფთანი ჩავიცვა და ამ სისქე ბარკლები გადმოვყარო? თქვენები აშხვართულები არიან და უხდებათ, მე კი რას დავემგვანები, შარვალი რომ არ მეცვას. გარდა ამისა, ძვირფასო ნათესავო, - განაგრძო ოლდერმენმა, თუმცა დუგალიც ანიშნებდა გაჩუმდიო და ამორძალსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ამდენი ყბედობით მოთმინების ფიალა ავსებოდა, - კარგად უნდა გახსოვდეთ, რომ გაჭირვებას ხანდახან მეფეც კი მიუყვანია ვაჭრის კარზე. თქვენ, რაც არ უნდა აფასებდეთ თქვენს მეუღლეს (უნდა აფასებდეთ კიდეც, ეგ ცოლის ვალია და საღმრთო წიგნიც ამას გვასწავლის), დიახ, ძალიან მაღლა აყენებთ თქვენს მეუღლეს, მაგრამ ისიც არ უნდა და-

ივიწყოთ, რომ ჩემგან დავალებულია. მარგალიტის ყელსაბამზე, საქორწილო საჩუქრად რომ გამოგიზავნეთ, აღარაფერს ვიტყვი; ეს მაშინდელი ამბავია, როცა რობი პატიოსანი მეჯოგე იყო, ქურდებთან და ყაჩაღებთან არ მეგობრობდა, მეფის ჯარებს არ ეომებოდა და მეფის ჯარისკაცებს არა ხოცავდა.

ოლდერმენმა, ეტყობა, ბებერაზე დააბიჯა ფეხი ნათესავს. ჰელინ მაკგრეგორი წელში გასწორდა და მწარე, ზიზღნარევი ღიმილით თქვა:

- დიახ, თქვენ და თქვენისთანები მაშინ გვთვლიან ნათესავებად, როცა მონებივით გემსახურებით. შეშა უნდა დაგიპოთ, წყალი მოგიტანოთ, საქონელი მოგიყვანოთ, რომ მუცლები გაიხეთქოთ ჭამით და თანაც უნდა დაგვაპატიმროთ, დაგვსაჯოთ, ჩამოგვახრჩოთ, რომ ნამდვილი ბატონები გიწოდონ! ახლა კი აღარ გემორჩილებით, ახლა თავისულფები ვართ! სწორედ იმ განაჩენმა გაგვიხსნა ხელები, რომლითაც ყველაფერი წაგვართვით - სახლი, კარი, საჭმელი, ტანსაცმელი, რომლითაც მე დამწიხლეთ და გამანადგურეთ! მე მხოლოდ იმიტომ დავრჩი ამ ქვეყნად, რომ შური ვიძიო! დღევანდელ გამარჯვებას ერთ ასეთ საქმეს წავუმატებ, რომელიც საბოლოოდ გაწყვეტს ნათესაობის ძაფებს მაკგრეგორებსა და დაბლობელ წუწურაქებს შორის. ეჰეი, ალან დუგალ! მაგრად შებოჭეთ ეს სასენახელები და ტბაში გადაუძახეთ - დე, იქ მოძებნონ თავიანთი მთიელი ნათესავები.

თავზარდაცემულმა ოლდერმენმა რაღაცის თქმა დაპირა, ალბათ უნდოდა თავი შეეცოდებინა, მაგრამ, კიდევ კარგი, ვეღარ მოასწრო, თორემ, უეჭველია კიდევ უფრო გააცოფებდა რისხვით ისედაც სახეშეშლილ ჰელინ მაკგრეგორს: სანამ იგი რაიმეს იტყოდა, დუგალი შუაში ჩაგვიდგა და სწრაფად დაიწყო ლაპარაკი მშობლიურ ენაზე. იგი ლაღად და შეუბორძიკებლად ლაპარაკობდა, რაც ძალიან მეუცხოვა, რადგან, როცა ინგლისურად მეტყველებდა, ყოველ სიტყვაზე ენა ებმოდა და ძლივს გვა-

გებინებდა სათქმელს. ახლა კი სხაპასხუპით უმტკიცებდა რაღაცას მთავარსარდალს, ევედრებოდა, ხელებს იქნევდა... ერთი სიტყვით, ეტყობოდა, რომ გულით და სულით ცდილობდა, სიკვდილს გადავერჩინეთ.

- როგორ ბედავ შემეკამათო, შე ძაღლისშვილო! - შეაწყვეტინა მბრძანებელმა ინგლისურად, რომ ჩვენც გაგვეგო და პატიების იმედიც გადაგვეწყვიტა, - რომ მებრძანებინა ენა ამოაგლიჯე და პირველისა მეორეს ჩაუდე პირში, მეორესი კი პირველს-მეთქი, ესეც უსიტყვოდ უნდა შეგესრულებინა. კარგი კი იქნებოდა გვეცადა - გავიგებდით, რომელი უკეთესად იბლუკუნებდა თავიანთ სამხრეთულ კილოზე. ან მაშინ უნდა შეყოვნებულიყავი, გულების ამოგლეჯა რომ დამევალებინა, რათა გამეგო, რომელი უფრო ოსტატურად უწყობს ხრიკებს მაკგრეგორს? წინათ, ჩვენი მამა-პაპანი ხშირად სჩადიოდნენ ამისთანა საქმეებს. წინათ კარგად იცოდნენ შურისძიება! აბა, რას იტყვი, ასეთი ბრძანება რომ მოგცე, არ შეასრულებ?

- რასაკვირველია შევასრულებ, - მორჩილად მიუგო დუგალმა. - თქვენი ყოველგვარი სურვილი შესრულებული იქნება, უარს როდი ვამბობ, მაგრამ იქნებ შეიძლებოდეს, რომ.. ესე იგი, თუ ლედის ესიამოვნება, ახლავე გადავუძახებ ტბაში იმ არამზადას - წითელხიფთანიანთა კაპიტანს, კაბრალ კრემპს და კიდევ ორ-სამ ჯარისკაცს. ჩემი ხელით გადავყრი სულ არ შემეცოდება... ეს არ აჯობებს ამ პატიოსანი და მშვიდობიანი ჯენტლმენების დახოცვას? ესენი ხომ გრეგარახის მეგობრები არიან და იმან დაპატიჟა. თავს დავდებ სასიკვდილოდ, თუ ამათ გულში ღალატი ედოთ.

ლედის უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ამ დროს აბრფოილის მხრიდან სტვირების გამყივანი ხმა მოისმა. ალბათ ის რაზმი მოდიოდა, წეღან რომ გადაგვიჭრა უკანდასახევი გზა და კაპიტანი თორნტონი აიძულა წინ გაჭრილიყო. ისინი სროლის ხმაზე, უეჭველად, ფეხს აუჩქარებდნენ, მაგრამ ბრძოლას ვეღარ მოუს-

წრეს. ჩასაფრებულებმა იმათი დახმარების გარეშე დაამარცხეს ინგლისელები და ჩამორჩენილებს ისღა დარჩენოდათ, რომ მოსულიყვნენ და მოძმეებისათვის გამარჯვება მიელოცათ.

ახალმოსულნი აშკარად განირჩეოდნენ იმ მთიელებისგან, რომელთაც ინგლისელების ჯარი გაანადგურეს. ამორძალის ჯარი მოხუცებისა და ყმაწვილებისგან შედგებოდა და რამდენიმე ქალიც ერია. აშკარა იყო, ამ ხალხს უკიდურესმა გაჭირვებამ ააღებინა ხელში იარაღი. ინგლისელთა მამაცი კაპიტანი ლამის სირცხვილით დაიწვა, როცა გამარჯვებულები შეათვალიერა და მიხვდა, რომ მთიელთა სიმრავლე და მათი პოზიციის მიუდგომლობა იყო ინგლისელთა დამარცხების მიზეზი. ახალმოსულების ოცი თუ ოცდაათკაციანი რაზმი, კი სულ ტალიკ-ტალიკი ბიჭებისა და ომში გამოჯეკილი ვაჟკაცებისაგან შედგებოდა. ყველა აშოლტილი, მოქნილი და ძალღონით სავსე ჩანდა. მთიულური ტანსაცმელი (მაღალყელიანი წინდები და პლედები ეცვათ, წელზე მაგრად მოეჭირათ ქამარი) კიდევ უფრო მატებდა ლაზათსა და სიჩაუქეს. იარაღიც უკეთესი ჰქონდათ. თუ ჰელინის რაზმელებიდან მხოლოდ ზოგიერთსა ჰქონდა კაჟიანი თოფი (უმეტესობას ცელები და ჩუგლუგები ეჭირათ ხელში, ზოგი კი მხოლოდ კეტისა და გრძელი დანის ანაბარა წამოსულიყო საბრძოლველად). ახალმოსულებინად თითქმის ყველა თოფითა და დამბაჩით იყო შეიარაღებული, ქამარზე ყველას ეკიდა ხანჯალი და ჩელთი-ხმალი; თავის დასაცავად ყოველ მათგანს ხის მსუბუქი, ტყავგადაკრული ფარი ეჭირა ხელში. იგი სპილენძით იყო შეჭედილი და ცენტრში ფოლადის კოტა ჰქონდა დამაგრებული. მთიელებს ფარი მარცხენა მხარეს ეკიდათ და ბრძოლის დროს ტყვიისაგან იცავდა მათ, ხელჩართული შეტაკებისას კი მარცხენა ხელში იჭერდნენ ხოლმე.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ახალმოსულებს სამხიარულოდ არა ჰქონდათ საქმე, რადგან სტვირი დროდადრო კვნესა-

სა და მოთქმას ასტეხავდა და თვითონ მეომრებიც დამწუხრებულნი ჩანდნენ. ისინი მდუმარედ გამწკრივდნენ ამორძალის წინ და კვლავ გულსაკლავად აატირეს სტვირი.

შეშფოთებული ჰელინი მაშინვე ეცა მესტვირეს და მრისხანედ ჰკითხა:

- რა ამბავია, ალასტერ?! რატომ აკვნესებ სტვირს ამ ბედნიერ წუთებში? რობერტ, ჰემიშ - მიუბრუნდა იგი შვილებს, რომლებიც რაზმს მეთაურობდნენ, - სად არის მაკგრეგორი! რა მოუვიდა მამათქვენს?

შვილები გაუბედავად მიუახლოვდნენ დედას და რაღაც უთხრეს გელურად. ჰელინ მაკგრეგორი აკივლდა, ქალებმა და ბავშვებმა კივილი აიტაცეს და იქაურობა გააყრუეს, თან ხელებს ერთმანეთს უტყაპუნებდნენ მწუხარების ნიშნად და თვალებიდან ცრემლის ნიაღვარი ჩამოსდიოდათ. მთებმა და კლდეებმა ბანი მისცეს მოტირალთ და ირგვლივ ისეთი ჯოჯოხეთური ხმაური ატყდა, რომ ღამის ფრინველებმაც კი გაიღვიძეს.

- შეიპყრეს?! - წამოიძახა ჰელინმა, როცა მოთქმა ცოტათი მინელდა, - დაატყვევეს?! რატომ თავი არ შეაკალით მტერს?! როგორ მობედეთ აქ მოსვლა, თქვე ლაჩრებო! რისთვის გაწოვეთ ძუძუ, რისთვის გაგზარდეთ, რა პირით მოხვედით ჩემთან!

მაკგრეგორის შვილები სულ ახალგაზრდები იყვნენ - უფროსი, ჰემიში ანუ ინგლისურად ჯეიმზი, სულ ოცი წლისა თუ იქნებოდა. იგი მთელი თავით მაღალი იყო დედაზე. გარეგნობით ბევრჯერ სჯობდა თავის ძმას - ასხეპილი ჭაბუკი გახლდათ, ცისფერი თვალები ჰქონდა, ლურჯი ქუდიდან ჩამოშლილი ქერა თმა მხრებამდე სწვდებოდა. უმცროსს მამასავით რობერტი ერქვა და მთიელები მის სახელს „ოიგს“ უმატებდნენ, რაც გელურად ახალგაზრდას ნიშნავს. რობერტი შავგვრემანი, ტანადი ჭაბუკი იყო, თვალები ცეცხლივით უელავდა, ასაკთან შედარებით ბევრად უფროსი ჩანდა. ორივე დარცხვენილი და შეწუხებული იდგა და მორჩი-

ლად ისმენდა დედის საყვედურებს. ბოლოს, როცა ჰელინი ცოტათი დამშვიდდა, უფროსი ინგლისურად ალაპარაკდა (ალბათ არ უნდოდა მთიელებს გაეგოთ მისი ნათქვამი). იგი მორიდებით შეეცადა, თავისი თავი და ძმა გაემართლებინა. მე იქვე ვიდექი და თითქმის ყველაფერი მესმოდა. სმენა გავიმახვილე, რომ არც ერთი სიტყვა არ გამომრჩენოდა, რადგან ცუდ დღეში ვიყავით ჩავარდნილი და ყოველ ახალ ცნობას დიდი ფასი ჰქონდა ჩვენთვის.

მაკგრეგორი პაემანზე დაუბარებიათ. წერილი ვიღაც ქვემო შოტლანდიელი არამზადის ხელით გაუგზავნიათ... ჰემიშმა ისე ხმადაბლა წარმოთქვა მისი სახელი, რომ ვერ გავიგონე. მაკგრეგორს პაემანზე წასვლა გადაუწყვეტია, მაგრამ უფიქრია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და წერილის მომტანი თავის ბანაკში დაუტოვებია მძევლად. ერთი სიტყვით, წასულა დანიშნულ ადგილას (ამ ადგილის ისეთი უცნაური გელური სახელი ერქვა, რომ ვერ დავიმახსოვრე) და თან მხოლოდ ორი კაცი - ანგუს პრეკი და ცეროდენა რობი უახლებია. დანარჩენები იქვე დარჩენილან. ნახევარი საათის შემდეგ ანგუს ბრეკი დაბრუნებულა და სამწუხარო ამბავი მოუტანია: თურმე მაკგრეგორს ლენოქსის მილიციის რაზმი დასხმია თავს და დაუტყვევებია. რაზმს გელბრეიტ გასხატახინელი მეთაურობდა. როცა მაკგრეგორი დამუქრებია მაიორს, თუ არ გამათავისუფლებ ჩემიანები მძევალს მოკლავენო, ამ უკანასკნელს ხელი ჩაუქნევია: არა უშავს, რობ, მე შენ ჩამოგახრჩობ, თქვენებმა კი ის საბაჟოს ვირთხა ჩამოჰკიდონ ხეზეო. ამით ორი კარგი საქმე გაკეთდება: ქვეყანა ყაჩაღსა და მოძალადეს მოიშორებს თავიდან და საბაჟოს მოხელესაცო. ანგუს ბრეკს ისე ფხიზლად არა სდარაჯობდნენ, როგორც მის ბატონს. ამ ლაპარაკის შემდეგ როგორღაც დრო უხელთებია და გამოპარულა.

- რატომ მაშინვე არ გავარდი მამის გამოსახსნელად? - ეცა ჰელი შვილს. - აი, შე ჯაბანო, შე მოღალატევ! უნდა გეშველა, ან იქვე მომკვდარიყავი!

ჰემიშმა მოკრძალებით მიუგო, მტერი გაცილებით მეტი იყო ჩვენზე, თანაც, როგორც გავიგე, დღეს არსად აპირებენ წასვლას და ამიტომ გადავწყვიტე, ხეობაში დავბრუნებულიყავი, ჯარი გამებევრებინა და ისე წავსულიყავი მამაჩემის გამოსახსნელადო. მერე დასძინა, ჩემი ვარაუდით, მილიციელთა რაზმი თუ გარტარტანთან არ დაბანაკდა ან მონტეითის ძველ ციხე-სიმაგრეს შეაფარებს თავს, ან სხვა გამაგრებულ ადგილს მონახავს და ჩვენი ჯარით სულ არ გაგვიჭირდება იმათი დამარცხებაო.

შემდგომში გავიგე, რომ მაკგრეგორის დანარჩენი მომხრეები ორ ნაწილად გაყოფილიყვნენ. ერთი ინვერსნეიდის გარნიზონს მიუჩინეს (კაპიტანი თორნტონის რაზმი ამ გარნიზონიდან იყო გამოგზავნილი), მეორე კი მთიელთა შესაჩერებლად იქნა გაგზავნილი. კლანები მარტო არ იყვნენ - რეგულარული ჯარი და ქვემო შოტლანდიის მცხოვრებნი შეეერთებინათ, რომ უფრო ადვილად დაემორჩილებინათ სამ, ლოხ-ლომონდის, ლოხ-კატრინისა და ლოხ-არდის ტბებს შორის მოთავსებული მხარე, რომელსაც მთიანეთში რობ როის, ან მაკგრეგორის ქვეყანას უწოდებდნენ. ახლა ყველა გამოცოცხლდა და დატრიალდა ბელადის გამოსახსნელად: სასწრაფოდ დააგზავნეს მალემსრბოლელები, რომ მთელი ჯარი შეეგროვებინათ და ერთად შეეტიათ მტრისათვის. შურისძიების გრძნობით ანთებულმა მაკგრეგორის ცოლმა ბრძანა, მძევალი მომგვარეთო. საწყალი, აქამდე უკან, რაზმელებში ჰყავდათ დამალული მის შვილებს - ალბათ ეშინოდათ, ცხელ გულზე არაფერი მოსწიოსო. თუ მართლა ამიტომ მალავდნენ, ამაოდ დაშვრნენ: ამით მხოლოდ ცოტა ხნით გაუხანგრძლივეს სიცოცხლე. ჰელინის ბრძანება მაშინვე შესრულდა - უკანა რიგებიდან შიშით სიკვდილის პირას მიმდგარი ტყვე გამოათრიეს. სახე გა-

ფითრებოდა და მოქცეოდა, მაგრამ შევხედე თუ არა, ვიცანი - მორისი იყო, ჩემი ძველთაძველი ნაცნობი.

იგი მთავარსარდლის წინ განერთხო და შეეცადა, მუხლებზე მოხვეოდა, მაგრამ ჰელინმა ზიზღით დაიხია უკან, ასე რომ, ტყვე მხოლოდ პლედის კალთაზე მისწვდა, აკოცა და ვედრება დაუწყო, შემიბრალეო. არასოდეს გამიგონია ასეთი მხურვალე და გულის ამაჩუყებელი ვედრება. შიში ჩვეულებრივ ამუნჯებს ხოლმე ხალხს, მორისი კი, პირიქით, ენად გაიკრიფა. იგი სახეგაფითრებული და აკანკალებული ავლებდა სიკვდილჩამდგარ თვალებს მიდამოს და საშინელი ფიცით ცდილობდა დაეჯერებინა ყველა, რომ ამ მუხანათობაში ხელი არ ერია და ამ ქვეყნად რობ როიზე საყვარელი არავინ ჰყავდა. შემდეგ წამოსცდა, მე მხოლოდ სხვისი ნება-სურვილის აღმსრულებელი ვარ, რეშლიმ დამავალა წერილის მოტანაო. მორისი იხვეწებოდა, სიცოცხლეს ნუ წამართმევთ და რაც გინდათ, ის მიქენითო. სიცოცხლეს თხოულობდა, მხოლოდ სიცოცხლეს, სხვას ყველაფერს თმობდა. ტანჯვა და წამება არად მიაჩნდა, თანახმა იყო ბნელ ნესტიან გამოქვაბულში გამოეკეტათ სიკვდილამდე, ოღონდ სიცოცხლეს ნუ გამოასალმებდნენ, ოღონდ ესუნთქა!

ვერ აგიწერ, რა ზიზღით და სიძულვილით უსმენდა ჰელინ მაკგრეგორი საცოდავ ადამიანს, რომელიც გულმხურვალედ იხვეწებოდა: ერთადერთ წყალობას გთხოვთ - ამქვეყნად დამტოვეთო!

- არ მოგკლავდი, - წარმოსთქვა ბოლოს ჰელინმა, - გაცოცხლებდი, თუ მეცოდინებოდა, რომ სიცოცხლეს ისეთსავე მძიმე ტვირთად მიიჩნევდი, როგორც მე და ყველა კეთილშობილი და ამაღლებული სულის პატრონს მიაჩნია, მაგრამ შენ საცოდავი მატლი ხარ. ოღონდ იცოცხლო და ვერც კი იგრძნობ, თუ რაოდენი სისაძაგლე და უბედურება არსებობს ამქვეყნად, როგორ იტანჯება ხალხი, როგორ ჭამენ ადამიანები ერთმანეთს, როგორ იღუ-

ჰება კეთილშობილი ადამიანი გამცემლის ხელით, როგორ თელავს ჯაბანთა და უგვანოთა ბოროტი ტომი მამაცთა და დიდგვაროვანთა ჩამომავლებს. შენ ამას გულმშვიდად შეხედავ, ოღონდ კუჭი გქონდეს მაძღარი, ყასაბის ძაღლივით შიგნეულით ამოყორავ მუცელს და თავს ბედნიერად იგრძნობ! არა, არ გაცოცხლებ, მოგისპობ მაგნაირ ბედნიერებას, შე ძაღლო, როცა, აი, ის ღრუბელი მზეს მოეფარება, შენ ცოცხლებში აღარ იქნები.

ქალმა ორიოდე სიტყვა უთხრა თავის ხელქვეითებს გელურად. ბრბოს სწრაფად გამოეყო ორი კაცი და მიწაზე განრთხმულ მორისთან მიიჭრა. მათ სულ თრევა-თრევით მიიყვანეს ტყვე კბოდესთან. მორისი შემაძრწუნებელი ხმით გაჰკიოდა და იხვეწებოდა, შემიბრალეთო. ეს გულსაკლავი ვედრება წლების განმავლობაში მდევდა თან და ახლაც ყურში მიდგა! როცა მკვლელებმა თუ ჯალათებმა, როგორც გინდა ისე უწოდე, კბოდესთან მიათრიეს, საცოდავმა მიცნო და შემევედრა:

- ო, მისტერ ოსბალდისტონ მიშველეთ, მიშველეთ!

გულის სიღრმემდე შემძრა ამ სანახაობამ და, თუმცა წუთი წუთზე იგივე ხვედრს ველოდი, მაინც შევეცადე დავხმარებოდი. როგროც მოსალოდნელი იყო, ჩემს თხოვნაზე ცივი უარით მიპასუხეს. რამდენიმე მთიელს მაგრად ჰყავდა გაკავებული თავიანთ მსხვერპლი, სხვებმა დიდი ლოდი გაახვიეს პლედში და კისერზე მაგრად მიაბეს თოკით, მერე სწრაფად შემოაძარცვეს ტანსაცმელი და ნახევრად შიშველი, კისერზე ქვადაკიდებული გადაისროლეს ღრმა ტბაში. გამარჯვების ყიჟინამ ვერ დაფარა განწირულის უკანასკნელი გულისგანმგმირავი კივილი. ტბამ ლურჯი შხეფები ამოაფრქვია და მსხვერპლი წლის სიღრმეში გაუჩინარდა.

მთიელებს ხმლები და ხანჯლები მოემარჯვებინათ და ყურადღებით დასცქეროდნენ წყლის ზედაპირს, ვაითუ ქვა მოიხსნას და ნაპირზე გავიდესო, მაგრამ ეტყობა ქვა საიმედოდ ჰქონდა მობმული და უბედური მაშინვე ჩაიძირა. ტბამ პირი შეიკრა და ერთი სი-

ცოცხლე, რომელსაც ასე ხარბად ებღაუჭებოდა საბრალო არსებ-
ბა, სამუდამოდ ამოიშალა ძეხორციელთა სიიდან.

თავი XXXII

ვიდრე საღამო დადგებოდეს, ხელშეუხები
და უვნებელი თავისუფლად გაუშვით იგი!
...მაგრამ გულს თუკი შურისგების ცეცხლი გიბუგავთ
და ძალი შეგწევთ იარაღით შურისგებისა,
თქვენი ქვეყანა იავარქმნას ვერ გადურჩება...

ძველებური პიესა

არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალადობის ერთეული ფაქტი უფრო შეგვზარავს ხოლმე, ვიდრე მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. იმ დღეს ჩემი თვალით დავინახე, როგორ დაიღუპა ცხარე ბრძოლაში ჩემი რამდენიმე მამაცი თანამემამულე. ძალიან შემეცოდა ისინი, მაგრამ ვიფიქრე, ეგეთი ბედი ჰქონიათ, ვისაც რა უწერია არ ასცდება-მეთქი. სულ სხვა გრძნობა დამეუფლა, როცა ვნახე, თუ რა შეუბრალებლად დასაჯეს სიკვდილით საწყალი მორისი.[221] ამ სანახაობამ სულით ხორცამდე შემძრა! მისტერ ჯარვის შევავლე თვალი და მივხვდი, რომ ისიც ჩემსავით იყო შეძრწუნებული. იგი თავს ვერ იკავებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩურჩულებდა:

- პროტესტს ვაცხადებ ასეთი მოქმედების წინააღმდეგ. ეს მკაცრი და სისხლიანი ანგარიშსწორებაა! ეს მკვლელობაა! უღვთო საქციელია! უფალი თავის დროზე სასტიკად დასჯის დამნაშავეებს!

- არ გეშინიათ, რომ მის კვალს გაგაყოლებთ? - უთხრა ჰელინმა და ქორივით დაუბრიალა თვალები.

- ნათესავო, დროზე ადრე არავის ეხალისება ამ ქვეყნიდან გამგზავრება. ცხოვრების ჯარა თავისით გაჩერდება, როცა მაქოზე დახვეული სიცოცხლის ძაფი გამოილევა. მე ჯერ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი ამქვეყნად, თუ ცოცხალი დავრჩი - საზოგადოებრივი და საკუთარი. ამას გარდა, არის ხალხი, რომელთა მომავალი მე უნდა უზრუნველვყო. მაგალითად, საწყალი მატი, ობოლი გოგო, ლერდ ლიმერფილდის შორეული ნათესავი. ჰოდა როცა ყველაფერს გაითვალისწინებ... თუმცა, კაცი ყველაფერს შეელევა, ოღონდ ცოცხალი დარჩეს.

- ახლა რომ საღ-სალამათი გაგიშვათ აქედან, მაშინ რა აზრისა იქნებით ამ ინგლისელი ძაღლის დასჯაზე? - ჰკითხა ჰელინმა.

- უჰუ, უჰუ! ჰმ, მაშინ, ვეცდებოდი, ნაკლები მელაპარაკა ამ საქმეზე. განა არ ვიცი, რომ კაკანა კაკაბი მალე გაებმება მახეში?

- მაშინ როგორღა მოიქცეოდით, იმათ წინაშე რომ წაგაყენონ, ვისაც თქვენ სამართლის მცველებს ეძახით?

ოლდერმენმა თვალი აარიდა ქალს. ეტყობოდა, უძნელდებოდა პსუხის გაცემა, მაგრამ მიხვდა, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და მიუგო:

- ვხედავ, რომ მაიძულებთ გულახდილად გიპასუხოთ. პირდაპირ გეტყვით, ნათესავო, რომ მე ყოველთვის, რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ ხოლმე, მაგრამ როცა საჭიროა ყურის მოყრუებას ვიცი. თქვენი ქმარი რომ იყოს აქ, ძალიან სამწუხაროა რომ არ არის - იმისთვისაც უკეთესი იქნებოდა და ჩემთვისაც... თქვენი ქმარი რომ იყოს აქ, დაგიდასტურებდა და ეს საწყალი მთიელი - უქნარა დუგალიც დამემოწმება, რომ, როცა მეგობრების მიერ ჩადენილ ცოდვებზე მიდგება საქმე, კიდეც დავყრუვდები და კიდეც დავმუნჯდები ხოლმე. ახლა კი დაუფარავად უნდა მოგახსენოთ, რაც გულში მაქვს. მირჩევნია, იმ საცოდავის გვერდით ვიწვე, ტბის ფსკერზე, ვიდრე ვთქვა, რომ თვენი საქციელი კანონიერი იყო. თქვენ ერთადერთი ქალი ხართ მთელ მთიანეთში, რომე-

ლიც ასე ახლობელ, სულ მეოთხე თაობის ნათესავს სიკვდილით დასჯას უპირებს, მაგრამ მაინც ეს უნდა ვთქვა.

ალმასს ალმასით ჭრიან და ალბათ ამიტომ იყო, რომ ოლდერმენის მტკიცე კილომ უფრო იმოქმედა ჰელინის გულზე, ვიდრე წეღანდელმა თხოვნამ და მუდარამ. მან მთიელებს უბრძანა, ტყვეები უფრო ახლოს მოიყვანეთო და როცა მის წინ დაგვაყენეს, მკითხა, შენი გვარი მართლა ოსბალდისტონიაო?

- დიახ, ოსბალდისტონი გახლავართ, - მივუგე მე.

- რეშლი ოსბალდისტონი, არა?

- არა, ფრენსისი.

- რეშლის ხომ იცნობთ? თუ არა ვცდები, თქვენი ძმა უნდა იყოს, ან ახლო ნათესავი და მეგობარი.

- ნათესავია, მაგრამ მეგობარი არასოდეს ყოფილა. სულ ახლახან შევებრძოლეთ ერთმანეთს და თქვენმა მეუღლემ გაგვაშველა. სისხლი ჯერაც არ შემშრალა მის მახვილზე, ფერდზე ჯერ კიდევ არ მომშუშებია ჭრილობა. ასეთ კაცს მეგობარს არ უწოდებენ!

- რადგან მის ხრიკებში არა ყოფილხართ გარეული, შეგიძლიათ უშიშრად მიხვიდეთ გარსხატანისხელის ბანაკში და მაიორს ჩემი ნათქვამი გადასცეთ. ხომ არ დაგაპატიმრებენ?

მე ვუპასუხე, მილიცია არ დამაპატიმრებს, რადგან არაფერი დამიშავებია და, თუ შუამავლობის საფასურად ჩემს მეგობარსა და მსახურს სიცოცხლეს შეუნარჩუნებთ, მზადა ვარ ახლავე გავემგზავრო-მეთქი. შემდეგ მომენტით ვისარგებლე და ვამცნე, რომ მისმა მეუღლემ მომიწვია აბერფოილში, რათა ერთ მნიშვნელოვან საქმეში დამხმარებოდა და რომ ჩემი მეგობარი, მისტერ ჯარვიც ამ საქმეზე იყო წამოსული.

- რატომ ფეხი არ მომტყდა, როცა ამ გზას დავადექი, - დაიწუწუნა ოლდერმენმა.

- მამათქვენისგან არაფერი გამიკვირდება, - მიუბრუნდა ჰელინი მაკგრეგორი შვილებს, - ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ახალგაზრდა ინგლისელი სიმართლეს ამბობს. როცა მთიულური ქუდი ახურავს თავზე და ხელში ჩელთი ხმალი უჭირავს ბრძენთა ბრძენია, მაგრამ როგორც კი ტარტანის ნაცვლად ქალაქურ ტანსაცმელს ჩაიცვამს, მაშინვე ავიწყდება, რა გადაიტანა ქალაქელებისაგან და იმათი დალალი და მონა ხდება!

- მხსნელი და კეთილისმყოფელიც დაამატეთ, ქალბატონო, - ვუთხარი მე.

- თუნდაც ეგრე იყოს. კიდევ უარესი! ჩემი ქმარი ყოველთვის კარგს თესავდა და ცუდს იმკიდა. თუმცა კმარა! ამაზე სიტყვას ნუღა გავაგრძელებთ! მაშასადამე ჩემიანები ბანაკამდე მიგაცილებენ. უფროსებთან მიყვანას მოითხოვთ და ჩემი, ჰელინ მაკგრეგორის, სახელით ეტყვით: თორმეტი საათის განმავლობაში თუ მთელსა და საღ-სალამათს არ გამოუშვებენ მაკგრეგორს ბანაკიდან, ლენოქსში არც ერთი ქალი არ დარჩება, რომ წინ ქმრის, ძმის ან მამის ცხედარი არ ეგდოს. ფერმერებს ბეღლებს გადავუბუგავთ და საქონელს წავართმევთ, ლერდებს კი ერთიანად ამოვჟუჟავთ! ამას შობის დადგომამდე ელოდნენ, ახლა კი, თორმეტი საათი რომ გავა, ამ გლაზგოელ ოლდერმენსა და ინგლისელ კაპიტანს გავუგზავნი პლედში გახვეულს იმდენ ნაჭრად აკუწულს, რამდენი უჯრაც აქვს ჩვენებურ ტარტანს.

კაპიტანი თორნტონი იქვე მახლობლად იდგა და ჰელინმა ლაპარაკი რომ დაამთავრა, მშვიდად მითხრა:

- გადაეცით მეთაურს ჩემი სალამი. უთხარით, გრენატერთა პოლკის მეთაურმა თორნტონმა მოგიკითხათ და შემოგითვალათ, თქვენი მოვალეობა შეასრულეთ და ჩემზე ნუ იწუხებთთქო. მთავარია, ტყვე არ გაუსხლტეს ხელიდან, მე კი მეყოფა ვაჟკაცობა, რომ მუნდირი არ შევარცხვინო. ჩემი სისულელის ბრალია, რომ ამ მუხანათი მთიელების ანკესზე წამოვეგე და რაზ-

მი დავღუპე. ეფ, ჩემზე კი ახია ყველაფერი, მაგრამ ჩემი ხალხი მეცოდება ამ მხეცების ხელში.

- სსს! - გააჩუმა ოლდემენმა. - თავი ხომ არ მოგბეზრებიათ! ჩემგანაც გადაეცით სალამი ოფიცერს, მისტერ ოსბალდისტონ! ოლდერმენი ნიკოლ ჯარვი, გლაზგოს საქალაქო საბჭოს წევრი, სალამს გითვლის-თქო. შეახსენეთ, რომ აწ განსვენებულ მამა-ჩემსაც, უსტაბაშ ნიკოლ ჯარვისაც ეს თანამდებობა ეკავა თავის დროზე და უთხარით, რომ რამდენიმე საპატიო მოქალაქეს უბე-დურება ეწვია და მომავალში კიდევ უარესს ელოდებიან-თქო! ამიტომ გონივრული და მიზანშეწონილი იქნება, თუ რობის თავის მთებში გაუშვებას. აქ უკვე მოხდა ერთი ცუდი საქმე, მაგრამ, რადგანაც იგი აქციზი მოხელეს შეეხო, დიდი ხმაურის ატეხვა არ არის საჭირო!

აი, ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო დავალებები მომცეს და-ინტერესებულმა მხარეებმა. ჰელენ მაკგრეგორმა ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი მუქარა, რომ სიტყვა-სიტყვით დამემახსოვრე-ბინა და სწავლის ნება მომცა. თან ენდრუ ფერსერვისიც გამომა-ყოლეს, ალბათ იმიტომ, რომ ყველას თავი მოაბეზრა წუწუნითა და ვია-ვიშით. ცხენი არ დამიბრუნეს - შეეშინდათ არ გაიქცესო, ან იქნებ ვერ შეელივნენ ამ ძვირფას ნადავლს, ასე რომ, ფეხით უნდა მევლო. მეგზურებად ჰემიშ მაკგრეგორი და ორი მთიელი გამომაყოლეს, რომელთაც ორი საქმე ევალებოდათ: გზა ეჩვენე-ბინათ ჩემთვის და მოწინააღმდეგის ძალები და განლაგება გა-ეგოთ. ერთ-ერთ მეგზურად დუგალს მატანდნენ, მაგრამ როგორ-ღაც აიცდინა თავიდან ეს დავალება. როგორც შემდგომში გავი-გე, მან ამჯობინა მისტერ ჯარვისთან დარჩენილიყო და მფარვე-ლობა გაეწია თავისი ყოფილი უფროსისათვის.

ერთი საათი სწრაფი ნაბიჯით ვიარეთ. ბოლოს ბუჩქნარით და-ფარულ პატარა გორაკს მოვექეცით თავზე. აქედან მთელი ხეობა მოჩანდა. მილიციას ამ ფართე ხეობაში დაეცა ბანაკი და სწორა-

დაც მოქცეულიყო - ცხენოსნებს გაუჭირდებოდათ მთის ვიწრო გასასვლელის გადალახვა. კაპიტანი თორნტონიც ხომ იმიტომ დამარცხდა, რომ ვიწროებში შეიტიეს მთიელებმა. მილიციელთა მეთაურებს საუცხოოდ შეერჩიათ ადგილი: ისინი აბერფოილის მახლობლად, პატარა ზეგანზე დაბანაკებულიყვნენ. ზეგანს ცალი მხრიდან მდინარე ფორტი ჩაუდიოდა, ორი მხრიდან კი თითო პატარა ქედი იცავდა, ორივე თითქმის შვეულად აღმართულიყო ზეგანის პირდაპირ და კირქვისა და ლოდების გალავანი შემოევ-ლო ბანაკისათვის. მათ უკან ფართო მაღალი მთები მოჩანდა. ქე-დები კარგა მანძილით იყო დაშორებული ერთმანეთისაგან და მთიელები შეუმჩნევლად ვერ მიეპარებოდნენ დაბანაკებულებს. მილიციელებს ყველგან მცველები დაეყენებინათ და რამდენიმე ავანპოსტი მოეწყოთ. ისინი საკმაო მანძილით იყვნენ დაშორებუ-ლი ბანაკს, ასე რომ, თუ განგაში ატყდებოდა, მთავარი რაზმი სულ ადვილად მოასწრებდა ცხენებზე ამხედრებასა და საბ-რძოლველად მომზადებას. ისიც უნდა ითქვას, რომ მთიელები იმ დროს გაშლილ ადგილზე დაბანაკებულ ცხენოსნებს არ ესხმოდ-ნენ თავს. შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ მთიელებს თურმე ველზედაც შეძლებია ცხენოსნების დამარცხება[222], მაგ-რამ იმ დროს კი ძალიან ეშინოდათ კავალერისტებისა, რადგან თვითონ პატარა ცხენები ჰყავდათ და ინგლისური ცხენები ურჩხუ-ლებად ეჩვენებოდათ; თანაც ეგონათ, რომ ეს უზარმაზარი ცხო-ველები გაწვრთნილი იყვნენ და ბრძოლის დროს წიხლებითა და კბილებით მიეხმარებოდნენ თავიანთ პატრონებს.

პალოებზე მიბმული ცხენები ბალახს წიწკნიდნენ, კარისკაცები მდინარის ნაპირას ჩასულიყვნენ. ზოგი იდგა და მიდამოს ათვა-ლიერებდა, ზოგი ქვაზე ჩამომჯდარიყო, ზოგი კი დასეირნობდა. ორი მხრიდან აღმართული კლდეები მთლად ტიტველი იყო, მაგ-რამ მაინც ამშვენებდა იქაურობას. შორს, აღმოსავლეთით მენ-ტეიტის ტბა ლაპლაპებდა მზის სხივებზე. იმის იქით, ოხილის

ლურჯი მთების ფონზე, ბუნდად მოჩანდა სტირლინგის ციხე-სიმაგრე. ახალგაზრდა მაგკგრეგორმა ყურადღებით დაათვალიერა იქაურობა და მიბრძანა, ჩავსულიყავი მოლაშქრეთა ბანაკში, მეთაური მენახა და დანაბარები გადამეცა. შემდეგ შუბლი შეიკრა და მკაცრად გამაფრთხილა, არ უთხრა, ვინ მოგაცილა და სად დავშორდით ერთმანეთსო. თავი დავუქნიე და ენდრუს თანხლებით ბანაკისაკენ გავემართე. ენდრუს ინგლისური სამოსიდან მხოლოდ შარვალი და წინდები შემორჩენოდა. ფეხზე დუგალის ნაწყალობები ბროგები ეცვა, მხრებზე დაგლეჯილი პლედი ჰქონდა წამოსხმული და ისეთი საცოდავი სანახავი იყო, რომ შოტლანდიური ბედლამიდან[223] გამოქცეული გეგონებოდა. სულ ასიოდე ნაბიჯი არა გვქონდა გავლილი, რომ ერთ-ერთმა ცხენოსანმა გუშაგმა შეგვამჩნია. იგი ჩვენკენ წამოვიდა, კარაბინი დაგვიმიზნა და შორიდანვე გვიბრძანა, არ გაინძრეთო. ჩვენ დავემორჩილეთ და, როცა მოგვიახლოვდა, ვუთხარი, უფროსთან მიგვიყვანე-მეთქი. გუშაგმა მაშინვე მიმიყვანა ბალახზე მსხდომ ოფიცერთა ჯგუფთან, რომლის შუაში მეთაური შევნიშნე. მას ფოლადის ლაპლაპა ბეთქარი ეცვა. ბეთქარზე შოტლანდიის უძველესი რაინდული ორდენის ემბლემა - ნარსავი ჰქონდა გამოსახული, გარსხატახინელი მაიორი და სხვა, ზოგი მუნდირში და ზოგი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, შეიარაღებული ჯენტლმენები ამ კაცის ხელქვეითები უნდა ყოფილიყვნენ. მახლობლად მდიდრულ ლივრეიანი მსახურები იდგნენ და ბატონის ბრძანებას ელოდნენ. მეთაურს მოწიწებით მივესალმე და მოვახსენე:

- ამ დილით იმ ბრძოლის უნებლიე მოწმე გავხდი, რომელიც ლოხ-არდის ხეობაში გაიმართა მთიელებსა და თქვენს ჯარისკაცებს შორის (მე მითხრეს, რომ ხეობას, სადაც კაპიტანი თორნტონი დაატყვევეს, ეს სახელი ერქვა). თქვენი რაზმი სასტიკად დამარცხდა და გამარჯვებულებმა შემოგითვალეს, თუ ჩვენს ბე-

ლადს არ გაათავისუფლებთ, ტყვეებსაც დავხოცავთ და ქვემო შოტლანდიასაც ავიკლებთო.

ჰერცოგმა (დიახ, ვისაც ველაპარაკებოდი ჰერცოგი იყო) მშვიდად მომისმინა, და, როცა დავამთავრე მომიგო: ძალზე სამწუხაროა, რომ უბედური ჯენტლმენები ბარბაროსებს ჩაუვარდათ ხელში, იმათგან ტყვეების შებრალებას არ მოველოდი, მაგრამ პატიმარს ვერ შეველევი, რადგან ყველაფერი არეულობა და ბოროტება ამ ქვეყანაში მისი მიზეზით ხდება და ახლა თუ თავი დაიხსნა, აქაურობას დაწყნარება აღარ უწერიაო.

- შეგიძლიათ უკან დაბრუნდეთ, - დასძინა ჰერცოგმა, - მიდით გამარჯვებულებთან და შეატყობინეთ, რომ რობ როი კემპბელი, რომელსაც ისინი მაკგრეგორს უწოდებენ, განთიადისას სიკვდილით იქნება დასჯილი, როგორც უამრავი ბოროტების ჩამდენი. გადაეცით, რომ ჩემისთანა მაღალი წოდებისა და თანამდებობის კაცს სხვანაირად მოქცევის უფლება არა მაქვს. გადაეცით, რომ მე გამოვძებნი საშუალებას, რათა დავიცვა ქვეყანა მათი შურისძიებისაგან და თითიც რომ დააკარონ იმ ჯენტლმენებს, რომლებიც ბედმა და განგებამ იმათ ჩაუგდო ხელთ, სასტიკად ვაზღვევინებ - ისე ავიკლებ ამ მხარეს, რომ ქვებიც კი აკვნესდებიან!

მე ვაგრძნობინე, რომ ჩემთვის უკან დაბრუნება სახიფათო იყო და ვთხოვე, ეს საპატიო მისია სხვას დააკისრეთ-მეთქი. კეთილშობილი სარდალი დამეთანხმა და მითხა, რადგან ასეა საქმე, თქვენი მსახური გაგზავნეთო.

- ეშმაკი თუ შემიჯდა ფეხებში, თორემ ჩემი ნებით არ წავალ! - აყვირდა ენდრუ (სულ არ მოერიდა იმას, რომ ირგვლივ ამდენი დიდგვაროვანი გვეხვია), - ეშმაკი თუ ჩამიძვრა, რაღას გავაწყობ, თორემ ისე ფეხს არ მოვიცვლი აქედან! ორი თავი კი არ მაბია! პრასა ხომ არა ვარ, მეორედ ამოვიდე! არა, ყველამ თავის თავს მიხედოს, ღმერთი კი ყველას უპატრონებს. მე თავი დამანებეთ, თქვენ საქმეს თქვენვე მიხედეთ! რობ როის დრიპდეილის მახ-

ლობლადაც არ გაუვლია, ერთი ვაშლიც არ მოუპარავს ჩემთვის და არც ჩემს ნათესავებს შეხვედრია მისგან რაიმე საწყენი.

ძლივს გავაჩუმე აყბედებული მსახური და ჰერცოგს შევახსენე, რომ კაპიტან თორნტონსა და მისტერ ჯარვის სიკვდილი ემუქრებოდათ. მზადა ვარ დანაბარები გადავცე მთიელებს, მაგრამ იქნებ ცოტათი შეარბილოთ თქვენი პირობები, რომ ტყვეების სიცოცხლე დავიხსნათ, - მე უკან დაბრუნებას არ ვუფრთხი, ნეტავი რაიმე ეშველოთ და ახლავე წავალ, მაგრამ ამ დილით ისეთი სცენის მოწმე ვიყავი, რომ თუ იმათ ბელადს სიკვდილით დასჯით, ტყვეებს მაშინვე დახოცავენ-მეთქი.

ჰერცოგი ძალიან დააფიქრა ჩემმა ნათქვამმა, მაგრამ თავდაპირველი გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა. მან აღნიშნა, რომ მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ ვალდებულება, რომელიც ქვეყანამ დააკისრა, აუცილებლად უნდა შეესრულებინა - რობ როი სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

გულახდილად უნდა ვთქვა, ძალიან ავღელდი, როცა მივხვდი, რომ ჩემი კეთილისმყოფელი, მისტერ კემპბელი ვერაფრით ვერ დაიხსნიდა თავს სიკვდილისაგან. თურმე სხვებსაც არ ემეტებოდათ კემპბელი სასიკვდილოდ - ჰერცოგს რამდენიმე კაცმა სთხოვა, შევიწყალოთო. ზოგმა ურჩია, სტირლინგის ციხესიმაგრეში რომ გამოვკეტოთ მძევლად, მთიელები ძარცვა-რბევას მოიშლიან, უამისოდ ქვეყანას ვერ ვიპატიებთ რობ როის ყაჩაღებისაგან, გრძელი ღამეები დგება, დაცვას ყველგან ვერ დავაყენებთ და მთიელები აქაურობას აიკლებენო. სხვები შეევედრნენ, განგების ანაბარად ნუ დავტოვებთ საცოდავ ტყვეებს, თორემ როგორც კი მთიელებს რობ როის დასჯის ამბავი მიუვათ, იმწამსვე დახოცავენო. ყველამ კარგად იცოდა, რომ ჰერცოგს ჭირივით ეჯავრებოდა რობ როი, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ რაინდული ბუნება და კეთილი გული ჰქონდა და საკმაოდ თამამად სთხოვეს, შეეწყალებინა პატიმარი. ყველაზე მეტად გარსხატახი-

ნელმა მაიორმა გამოიდო თავი; მართალია რობ როი ძალიან ცუდ მეზობლობას უწევს ქვემო შოტლანდიას, მთელი მთიანეთი ყაჩაღებად აქცია, თქვენც გაწუხებთ და არც ჩვენ გვისვენებს, მაგრამ გონიერი კაცია და მორიგება შეიძლება მასთან. მისი ცოლი და შვილები კი ჯავრით დასაბმელები არიან - არც არაფრისა ეშინიათ და არც ადამიანის შებრალება აქვთ. ისინი რომ ჩაუდგნენ ყაჩაღების რაზმს სათავეში, რობ როი სანატრელი გაგვიხდებაო.

- სისულელეა, - შეაწყვეტინა ჰერცოგმა, - სწორედ გონიერი და მოხერხებული რომ არის, იმიტომ გადაგვირჩა აქამდე. ჩვეულებრივი ყაჩაღი ამდენ ხანს ვერ იბოგინებდა. რობ როის თუ მოვსპობთ, მისი რაზმიც დაიშლება. კრაზანას თავს რომ მოაგლეჯ მოკვდება. დიდი-დიდი ერთხელ მოასწროს დანესტვრა!

გარსხატახინელმა უკან არ დაიხია:

- ყველას კარგად მოეხსენება, დიდებულო ჰერცოგო, რომ მე და რობს თვალის დასანახავად გვეჯავრება ერთმანეთი. ორჯერ დამიცარიელე ბეღლები, ჩემი მოიჯარეები საქონლისაგან გაცალა, მაგრამ მაინც...

- და მაინც, მაიორო, თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ მეგობრის მეგობარს შეიძლება აპატიო ასეთი დანაშაული? რამდენადაც ვიცი, რობ როი სულ არა თვალს თავის თავს მტრად ზოგიერთი თქვენი ლონდონელი მეგობარი, - დამცინავი ღიმილით უთხრა ჰერცოგმა გარსხატახინელს.

- შეიძლება ეგრეც იყოს, მილორდო, მაგრამ ისიც ვიცი, რომ რობ როი სხვების მეგობრებთანაც მეგობრობს, - ღიმილითვე მიუგო მაიორმა გალბრეიტმა, - კაი მაგრამ, კლანებისაგან რატომ არაფერი ისმის? კარგა ხნის წინათ უნდა მოსულიყვნენ. ღმერთმა ქნას, პირი არ გვიტეხონ, მაგრამ მეეჭვება კი - შოტლანდიურ ტრუზს ინგლისური ბოტფორტი არ უხდება.

- არა მგონია, დაგვაღალატონ, - თავი დაიმშვიდა ჰერცოგმა, - მე ეჭვი არ მეპარება იმ ჯენტლმენების პატიოსნებაში და დარწმუ-

ნებული ვარ, სიტყვას არ გადავლენ. კიდევ ორი მხედარი გააგ-ზავნეთ ამბის გასაგებად! სანამ ისინი არ მოვლენ, შეტევას ვერ დავიწყებთ. იმ ხეობაში შესვლა ხუმრობა არ გეგონოთ. ხომ ნა-ხეთ, როგორ გააბეს კაპიტანი თორნტონი. იქ ათი მეომარი გაუმ-კლავდება ევროპის საუკეთესო ცხენოსან პოლკს. მთიელებს უნ-და დაველოდოთ, მანამდე კი უბრძანეთ, ხალხი დააპურონ!

ეს ბრძანება მეც მეხებოდა და სულზე მომისწრო კიდეც, რად-გან წუხანდელი სახელდახელოდ მომზადებული ვახშმის შემდეგ ლუკმა არ ჩამსვლია პირში.

ცოტა ხნის შემდეგ დამხმარე ჯარის შესახვედრად გაგზავნილი ჯარისკაცები გამოჩდნენ - ვერავინ ენახათ და უკან დაბრუნებუ-ლიყვნენ. მზე უკვე ჩადიოდა, როცა ვიღაც მთიელი მოვიდა, ჰერ-ცოგს მდაბლად მიესალმა და წერილი გადასცა.

- კისერს მოვიჭრი თუ ეგ წყეული მთიელები, ამდენი წვალები-თა და დავიდარაბით რომ მოვიმხრე, უკან არ გაბრუნდნენ! ამ წე-რილით, ალბათ, თავაზიანად გამცნობენ, თქვენს საქმეს თქვენვე მოუარეთო, - ჩაილაპარაკა მაიორმა გალბრეიტმა.

- ეგრეც გახლავთ, ჯენტლმენებო, - თქვა ბრაზისაგან გაფით-რებულმა ჰერცოგმა, როცა ჭუჭყიანი ქაღალდის ნაგლეჯზე დაწე-რილი ბარათი წაიკითხა. (მისამართის დაწერისას კი მართლა დაეცვათ თავაზიანობის ყველა წესი: „მიერთვას საკუთარ ხელში დიადსა და ბრწყინვალე ჰერცოგს, უძლეველ მბრძანებელს...“ და კიდევ მრავალი ტიტული იყო ჩამოთვლილი), - ჩვენმა მოკავში-რეებმა გვიღალატეს, ჯენტლმენებო და მოწინააღმდეგეებთან სე-პარატული ზავი დადეს, - დაამთავრა ჰერცოგმა.

- ყველა კავშირის ბოლო ეგ არის, - შენიშნა მაიორმა, - ჰო-ლანდიელებიც ასე მოგვექცეოდნენ, თავად ჩვენ რომ არ მოგვეს-წრო და ზავი არ დაგვედო უტრეხტში[224]“.

- თქვენ კარგ ხასიათზე ბრძანდებით, სერ, - უთხრა მოღუშულ-მა ჰერცოგმა მაიორს, - სულ არა სწუხართ, რომ საქმე ცუდად

მიგვდის, ყველა აქ მყოფი ჯენტლმენი დამეთანხმება, რომ ამჟამად კლანების ან ინვერსნეიდის ქვეითი ჯარის დახმარებს გარეშე ამ მხარეში შესვლა არ ივარგებს.

ჰერცოგს ყველამ ერთხმად დაუდასტურა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა წმიდა წყლის სიგიჟე იქნებოდა..

- არც აქ დარჩენა იქნებოდა გონივრული, - განაგრძო ჰერცოგმა, - შესაძლებელია, ღამით დაგვესხან თავს მთიელები. ამიტომ, ჩემი აზრით უფრო, მიზანშეწონილი იქნება, თუ უკან დავიხევთ, დუხრეის ან გარტარტანის მიდამოებში დავბანაკდებით, ირგვლივ გუშაგებს დავიყენებთ და გათენებას დაველოდებით. ოღონდ სანამ წავიდოდეთ, მინდა, რობ როი დავკითხო თქვენი თანდასწრებით - მინდა ყველა დარწმუნდეს, რომ ამ ყაჩაღის დაუსჯელად გაშვება არ შეიძლება!

ჰერცოგმა სათანადო ბრძანება გასცა და რობ როი მოიყვანეს. ხელები საბლით გაეკოჭათ იდაყვების ზევით, საბლის ბოლოები დიდი ბალთით ჰქონდა დამაგრებული ზურგზე, აქეთ-იქიდან თითო კაპრალი მოსდგომოდა, უკან კი ორ მწკრივად მოჰყვებოდნენ ფეხზე შეყენებული კარაბინებით და ხიშტებით შეიარაღებული ჯარისკაცები.

აქამდე რობ როი მხოლოდ ქალაქურად გამოწყობილი მენახა. ახლა, შოტლანდიურ ტანსაცმელში სულ სხვანაირი ჩანდა. ადრე თმებს შლიაპა ან პარიკი უმალავდა, ახლა კი შოტლანდიური ქუდიდან ჯეჯგად დამდგარი წითური თმა მოუჩანდა. სწორედ ამიტომ ეძახდნენ როის მთელ შოტლანდიაში. კი არა, ახლაც უმეტესად ამ სახელით იხსენიებენ. ამ მეტსახელს ქვედაწელსა და წინდებს შორის ტიტვლად დარჩენილ ფეხებზე ჯგროდ ამოსული წითელი ბალანიც უდასტურებდა. ერთი სიტყვით, ისეთი უცნაური შესახედავი იყო, სხვაგან რომ შემხვედროდა, ნამდვილად ვერ ვიცნობდი.

თოკი მაგრად ჰქონდა შემოჭერილი, მაგრამ თავი მაინც თამამად, ძალდაუტანებლად და, უფრო მეტი - მედიდურადაც კი ეჭირა. პირველად ჰერცოგს დაუკრა თავი, შემდეგ მაიორს და დანარჩენ ოფიცრებს მიესალმა. ჩვენს დანახვაზე გაოცება გამოეხატა თვალებში, მაგრამ არაფერი უთქვამს.

- კარგი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი, მისტერ კემპბელ, - უთხრა ჰერცოგმა.

- დიახ, მილორდ, ძალზე სასიამოვნოა თქვენი ნახვა, მაგრამ ვამჯობინებდი ისე შევხვედროდით ერთმანეთს, რომ შესაძლებლობა მქონოდა, თავისუფლად გამომეხატა ჩემი პატივისცემა! - რობ როიმ თვალით ანიშნა შეკრულ ხელებზე და დასძინა, - თუმცა, არა უშავს, კიდევ მომეცემა შემთხვევა...

- მაგის იმედი ნუ გექნებათ, მისტერ კემპბელ, - უთხრა ჰერცოგმა, - უკვე მოახლოვდა ჟამი, როცა ამქვეყნიური ანგარიშები უნდა გაასწოროთ. ამას იმიტომ არ გეუბნებით რომ უკანასკნელი წუთები გაგიმწაროთ, არა, მინდა იცოდეთ, რომ თქვენი სიცოცხლის გზა დასასრულს მიუახლოვდა. მინდა აგრეთვე აღვნიშნო, რომ ხანდახან უფრო ნაკლებ ზიანს აყენებდით მოსახლეობას, ვიდრე ასეთი ბოროტი ხელობის კაცისაგან იყო მოსალოდნელი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ საზრიანი ადამიანი ხართ და ზოგჯერ კეთილი საქმეც ჩაგიდენიათ. მაგრამ წლების მანძილზე აწიოკებდით მშვიდობიან მცხოვრებლებს და უმკაცრესი ღონისძიებებით ცდილობდით თქვენი უკანონო ძალაუფლების განმტკიცებას. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სიკვდილი დაიმსახურეთ და სასჯელისათვის უნდა მოემზადოთ!

- მილორდ, შემიძლია ადვილად დაგისაბუთოთ, რომ ჩემი გაუბედურების მიზეზი თქვენა ბრძანდებით, მაგრამ იმას კი არ ვიტყვი, რომ ეს შეგნებულად ჩაიდინეთ. ასე რომ მგონებოდა, ეხლა ჩემს გასამართლებას ვერ შეძლებდით: სამჯერ თოფის სასროლ მანძილზე იყავით ჩემგან და მარტო ირემზე ფიქრობდით, რობ

როი კი, მოგეხსენებათ, იშვიათად აცდენს მიზანს. იმათ კი, ვინც ბოროტად ისარგებლა თქვენი ნდობითა და ყურადღებით და იმ ადამიანის წინააღმდეგ აგამხედრათ, რომელიც ამ მხარის მშვიდობიანი მცხოვრები იყო, იმათ, ვინც თქვენს სახელს ამოეფარა და ამ უბედურ დღემდე მიმიყვანა, ნელ-ნელა ვუხდი სამაგიეროს და, თუმცაღა წეღან ბრძანეთ, თქვენი წუთები დათვლილიაო, მაინც არა ვკარგავ იმედს, რომ ბოლოს ყველას გავუსწორებ ანგარიშს!

- ვიცი, რომ უსირცხვილო არამზადა ხარ და ცუდ საქმეზე უკან არ დაიხევ, - გაცეცხლდა ჰერცოგი, - ვიცი, რომ რასაც გულში ჩაიდებ, შეასრულებ კიდეც, მაგრამ მე ვიზრუნებ, რომ დანაქადი ვერ შეასრულო. შენი მტრები მხოლოდ და მხოლოდ შენ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანია!

- კემპბელი რომ ვარ, იმიტომ ამბობთ ეგრე. გრეჰემი რომ ვყოფილიყავი ბევრი რამ მეპატიებოდა! -დაცინვით მიუგო რობერტმა...

- კარგს იზამდით, სერ, თუ ცოლს, ნათესავებსა და თქვენს მომხრეებს შეუთვლიდით, რომ არაფერი დაუშავონ ჯენტლმენებს, რომლებიც ტყვედ ჩაუვარდათ ხელში. თითი რომ დააკარონ მისი უდიდებულესობის ერთგულ ქვეშევრდომებს, ათმაგად ვაზღვევინებ! - გააფრთხილა ჰერცოგმა.

- ჩემზე მტრებიც ვერ იტყვიან, მილორდ, გულქვა და სისხლიანი კაციაო. იქ რომ ვიყავი, ჩემს ნებაზე ვატარებდი ოთხას-ხუთას კაციან ჯარს, სიტყვას ვერ შემომიბრუნებდა ვერავინ, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ თუ ოჯახს უფროსი აღარ ეყოლება, ყველა თავის ნებაზე იმოქმედებს. მე ყველაზე უფრო ერთი კაცის ბედი მაწუხებს - ტყვეებში ერთი ჩემი ნათესავია, ყოვლად ღირსეული ადამიანი და იმას არაფერი არ უნდა შეემთხვეს. არის აქ ვინმე, ვინც მაკგრეგორს დაეხმარება? ხელები შეკრული მაქვს, მაგრამ პატივისცემას მაინც გადავუხდი.

რობერტს მთიელი შიკრიკი გამოეხმაურა.

- მე საგანგებოდ დავბრუნდები უკან, მაკგრეგორ, და თქვენს დავალებას შევასრულებ.

შიკრიკი წინ წამოდგა და რობერტმა რაღაც უთხრა გელურად. მე ვერაფერი გავიგე, მაგრამ დავმშვიდდი - მივხვდი, რომ შეუთვლიდა, მისტერ ჯარვის არაფერი მოსწიოთო.

- ხედავ რა თავხედია? - გაუკვირდა ჰერცოგს, - ნებით იკისრა შუამავლობა! თუმცა, რა გასაკვირია, როგორიც ხეა, ისეთი ნაფოტიც დასცვივაო. მაგისი ბატონებიც ასე თავაგდებულად არ მოიქცნენ? ჯერ თვითონ შემოგვთავაზეს ყაჩაღების მოსპობაში დაგეხმარებითო და მერე, როცა მაკგრეგორმა ის სადავო მიწები, ბალკვიდერის მხარე, დაუთმეს, უნამუსოდ გვიტეხეს პირი.

არ ენდოთ პლედს და კილტს შოტლანდიურს - არა აქვს აზრი,
ქამელეონის მსგავსად ელფერს იცვლიან ასგზის...

- თქვენი დიდი წინაპარი ამას არ იტყოდა, მილორდ, - უთხრა მაიორმა გალბრეიტმა, - ნება მიბოძეთ, მოკრძალებით შეგნიშნოთ, რომ თქვენც სხვა აზრის იქნებოდით, ძირის ძირობამდე რომ ჩაჰყოლოდით საქმეს - დაუბრუნეთ პატიოსან ადამიანს თავისი საქონელი, ნება მიეცით, თავის ჭკუაზე იცხოვროს და ლენოკში თავისთავად დამკვიდრდება წესრიგი!

- ჩუმად იყავით, მაიორო! მაგისთანა ლაპარაკი ხეირს არ დაგაყრით. ჩემთან მაინც ნუ ამბობთ! ვატყობ, თავს გაგივიდათ! კეთილი ინებეთ და თქვენი რაზმი გარტარტანში წაიყვანეთ. მე კი პირველად ვადევნებ თვალყურს, რომ ტყვე დუხრეიში მიიყვანონ. ხვალ ჩემს ახალ ბრძანებას მიიღებთ, მანამდე კი არც ერთი ჯარისკაცი არ გაუშვათ შინ!

- დაიწყება ახლა არეულ-დარეული ბრძანებები და მითითებები, - ჩაიბუზღუნა მაიორმა, - არა უშავს, ცოტას მოვითმენთ და მერე, როცა მეფე დაბრუნდება, ვნახავთ, ვინ უბრძანებს!

ორი ცხენოსანი რაზმი სასწრაფოდ გაემგზავრა წასასვლელად - უნდოდათ, დაბინდებამდე მისულიყვნენ დანიშნულ ადგილას. მე მითხრეს, მითხრეს კი არა, მიბრძანეს ერთ-ერთ რაზმს გავყოლოდი. თუმცა, ტყვედ აღარ ვითვლებოდი, მაგრამ მაინც ეჭვის თვალით მიყურებდნენ. არც გამკვირვებია - ცუდი დრო იყო. იაკობინელები და ჰანოვერელები ერთმანეთს ჭამდნენ, ზემო და ქვემო შოტლანდიელები ძაღლებივით ჩხუბობდნენ და გავლენიანი შოტლანდიური ოჯახებიც ძველთაგანვე დავობდნენ ერთურთთან. ამის გამო ყველას ეჭვის თვალით უყურებდნენ და უცხოელი, რომელიც დიდგვაროვანი მფარველის გარეშე მოინდომებდა შოტლანდიაში მოგზაურობას, აუცილებლად ხიფათს გადააწყდებოდა.

რა უნდა მექნა? შევურიგდი ჩემს ხვედრსა და იღბალს და თავს იმითღა ვინუგეშებდი, იქნებ დატყვევებულმა ავაზაკმა რეშლის ამბავი მითხრას-მეთქი. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მარტო ჩემს საქმეზე არ ვფიქრობდი: არანაკლებ ვწუხდი ჩემი უცნაური ნაცნობის ბედზე და გულით მინდოდა, თუკი ნებას მომცემდნენ, სიცოცხლის ბოლოს მაინც გამეწია რაიმე დახმარება.

თავი XXXIII

მივიდა იგი ჩატეხილ ხიდთან,
შეჩერდა, თავი დაუკრა მდევრებს,
გასცურა გაღმა, არ მდგარა დიდხანს,
და გზას გაუდგა სირბილით მერე...

გილ მორისი

ცხენოსნები ორ რაზმად დაეწყვნენ და საყვირები აახმიანეს. კლდემ და ხევმა გამოძახილი მისცეს. გაისმა წასვლის ბრძანება და ორივე რაზმი ნელი ჩორთით დაადგა გზას. მცირე მანძილის გავლის შემდეგ მაიორ გალბრეიტის რაზმმა მარჯვნივ გადაუხვია. მას ფორტი უნდა გადაელახა, დაღამებამდე მისულიყო დანიშნულ ადგილას და, თუ არა ვცდები, ღამე ფორტის მეორე სანაპიროდან მცირე მანძილით დაშორებულ რომელიღაც ძველ ციხესიმაგრეში უნდა გაეთია.. ქვემო შოტლანდიელებმა სწრაფად გადალახეს მთის მდინარე და მოპირდაპირე ნაპირას ატეხილ ჭალაში გაუჩინარდნენ.

ჩვენ საკმაოდ სწორი გზით მივდიოდით, რიგები არ აგვირევია. ჰერცოგმა ყველა ღონე იხმარა, რომ რობ როი არ გაქცეულიყო: მისი ბრძანებით ტყვე ერთ ყველაზე ბრგე ჯარისკაცს შემოუსვეს ცხენზე. ეს ჯარისკაცი ჰერცოგის პირადი მცველი გახლდათ. შემდეგ მითხრეს, რომ ბრიგლენდელი იყო და ევანი ერქვა.. ტყვე და გოლიათი ჯარისკაცი ცხენის მოსართავებით გადააბეს ერთმანეთზე. ბოლოები მკერდზე ჰქონდა შეკრული ჯარის-

კაცს, ასე რომ რობი ვერაფრით ვერ დაიხსნიდა თავს. მე ცხენი მომცეს და მიბრძანეს, რომ როის გვერდით მევლო. ირგვლივ მჭიდროდ გვერტყნენ ჯარისკაცები, აქეთ-იქიდან კი ხან თითო, ხან ორ-ორი დამბაჩშემართული მხედარი მოგვყვებოდა. ენდრუ ფერსერვისს პონი მისცეს და ნება დართეს, სხვა მსახურებთან ერთად გამოჰყოლოდა რაზმს. მსახურები ბლომად იყვნენ, მაგრამ ისინი უწესრიგოდ მოსდევდნენ უკან მწკრივებად დაწყობილ მოლაშქრეებს.

ცოტა ხნის შემდეგ ფონს მივადექით. მდინარე ფორტი ტბიდან იღებდა სათავეს და ზედა დინებაშიც საკმაოდ ღრმა იყო. ფონზე კლდოვანი ბილიკით უნდა ჩავსულიყავით. ბილიკი ისე ვიწრო იყო, რომ ორი ცხენოსანი ერთად ვერ გაივლიდა ზედ. ცენტრი და აიერგარდი ნაპირზე შეჩერდა, ავანგარდის ჯარისკაცებმა კი სათითაოდ დაიწყეს ჩასვლა ბილიკზე. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, რაზმში არეულ-დარეულობა დაიწყო: ესკარონი კარგად იყო გაწვრთნილი, მაგრამ რამდენიმე ცხენოსანმა, რომლებიც სხვა რაზმიდან იყვნენ გადმოყვანილი, ურიგოდ მოინდომა ჩასვლა, სხვებმა არ დაანებეს და შეიქმნა ერთი გაწევ-გამოწევა.

ამ სივიწროვეში თითქმის რობ როის გვერდით აღმოვჩნდი და გარკვევით გავიგონე, როგორ ჩაულაპარაკა ყურში თავის მცველს:

- მამაშენი ხბოსავით არ წაათრევდა ძველ მეგობარს დასაკლავად, ევან. მთელი ქრისტიანული ქვეყნის ჰერცოგებს რომ ებრძანებინათ, მაინც არ იკისრებდა ასეთ საქმეს.

ევანმა პასუხის ნაცვლად მხრები აიჩეჩა, ვითომდა მე ვინ რას მეკითხებაო.

- როცა მაკგრეგორები დაბლობში ჩამოვლენ, შენს კარმიდამოს გადაბუგავენ და კერიას სისხლით მორწყავენ, მაშინ მიხვდები, რა ჩაიდინე, და იტყვი: ჩემი ძველი მეგობარი რომ ყოფილიყო ამათი უფროსი, ეს უბედურება არ დამემართებოდაო.

ბრიგლენდელმა ევანმა კვლავ აიჩეჩა მხრები და მწარედ ამოიოხრა.

- ძალიან საწყენია, რომ ბრიგლენდელი ევანი, რომელსაც რომ მაკგრეგორი მრავალჯერ დახმარებია ქისითა და ხმლით, გაფუყული დიდებულის ბრძანებას ანაცვალებს მეგობრის სიცოცხლეს, - კვლავ ისე ხმადაბლა თქვა რობერტმა, რომ ჩემს მეტმა ვერავინ გაიგონა. - მე კი მეგობარს ხელს არ შევუშლიდი გაქცევაში.

ევანი ძალზე აღელდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ამ დროს მეორე ნაპირზე გასულმა ჰერცოგმა ბრძანა, ტყვე გადმოიყვანეთო.

ევანმა ცხენს სადავე მიუშვა და დაწინაურდა. გვერდზე რომ ჩამიარეს, რობერტის ბოლო სიტყვებს მოვკარი ყური: „ნუღარ ყოყმანობ, ვითომ თოკი გაწყდა! იცოდე, ჩემს სისხლს არც კაცი შეგარჩენს და არც ღმერთი!“ ცხენმა სწრაფად ჩაათავა ბილიკი და წყალში შევიდა. მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ ერთ-ერთმა ცხენოსანმა შემაჩერა. ტყვეს რამდენიმე მხედარი მიჰყვა უკან. უკვე ბინდი წვებოდა, მაგრამ მაინც ვხედავდი, რომ წყალგაღმა გასული მხედრები მწკრივად ეწყობოდნენ. ჰერცოგი თვითონ ხელმძღვანელობდა წყალგაღმა გასულ ჯარისკაცთა მოწესრიგებას. ჯერ მხოლოდ ნაწილი იყო გასული გაღმა. დანარჩენი, ზოგი აქეთა ნაპირას იდგა და თავის რიგს ელოდა, ზოგი წყალში იყო და მეორე ნაპირისაკენ მიიწევდა. უცებ, წყლის შხაპუნი მომესმა და მივხვდი, რომ მაკგრეგორის მჭევრმეტყველებას ნაყოფი გამოეღო. ეტყობა, ევანმა გადაწყვიტა გაეთავისუფლებინა მეგობარი. ეს ხმა ჰერცოგმაც გაიგონა და მაშინვე იაზრა ყველაფერი.

- ტყვე რა უყავი, შე ძაღლო?! - ეცა ევანს, როგორც კი ეს უკანასკნელი ნაპირზე გავიდა.

შეშინებულმა ვასალმა ბუტბუტი დაიწყო თავის გასამართლებლად, მაგრამ ჰერცოგმა თავში ტყვია დაახალა (არ ვიცი სასიკვდილო იყო ეს ტყვია თუ არა) და ბრძანება გასცა:

- ჯენტლმენებო, გაიშალეთ და დაეწიეთ იმ არამზადას! რობ როის დამჭერი ას გიენას მიიღებს ჯილდოდ!

ირგვლივ საშინელი აურზაური ატყდა. რობ როი, უეჭველია, ევანის წყალობით გათავისუფლდა თოკებისაგან; გოლიათმა ალბათ მკერდზე დამაგრებული ბალთა გახსნა. ტყვემ წყალში ჩაყვინთა, მცველების ცხენებს მუცელქვეშ გაუძვრა და დინებას დაჰყვა. კარგა ხანს არ ჩანდა, მაგრამ მერე იძულებული გახდა წამით ამოეყვინთა და ჰაერი ჩაესუნთქა. სწორედ ამ დროს მოლაშქრეებმა თვალი მოჰკრეს რობ როის ჭრელ პლედს და ზოგი ცხენით, ზოგი კი ქვეითად შევარდა წყალში ყაჩაღის დასაჭერად. დინება სწრაფი იყო და მოლაშქრეებს ძალიან გაუჭირდათ. ნაწილი მალე გამოეთიშა მდევრებს, რადგან მდინარემ ცხენი გამოაცალა ლაჯებიდან და ახლა საკუთარი თავის გადასარჩენად უნდა ებრძოლათ. ვინც უფრო ფრთხილი იყო, ან ვისაც დიდად არ ენაღვლებოდა დაიჭერდნენ თუ არა ლტოლვილს, წყალში არ შევიდა.. ისინი მდინარის ნაპირზე დააჭენებდნენ ცხენს და წყლის ზედაპირს დაჰყურებდნენ, იქნებ რობ როიმ კიდევ ამოყვინთოსო. ირგვლივ ყურისწამღები ყვირილი და ყიჟინი იდგა. ხან ერთი მხრიდან ისმოდა - არიქა, მოდით, მგონი, აქ არისო, ხან მეორედან.. განუწყვეტლივ ისროდნენ თოფებსა და დამბაჩებს, სისინით კვეთდა ჰაერს ჩელთი ხმლები, ოფიცრები წინ და უკან დარბოდნენ ყვირილით ბინდ-ბუნდში და ცდილობდნენ, წესრიგი დაემყარებინათ - ერთი სიტყვით, საშინელი ორომტრიალი იდგა. ჩემი მხლებლები მაშინვე გავარდნენ გაქცეულის დასაჭერად, მე კი იქვე, მდინარის ნაპირას დავრჩი და თვალებად ვიქეცი. მაშინვე დავეჭვდი და მერე დანამდვილებით გავიგე, რომ ბევრ იმათგანს, ვინც ყველაზე ხმამაღლა ღრიალებდა და ყველაზე მეტს ფაფხურობდა, ყველაზე ნაკლებად უნდოდა რობ როის დაჭერა. ისინი მხოლოდ იმიტომ ტეხდნენ ასეთ აურზაურს, რომ ლტოლვილისათვის გაქცევა გაეიოლებინათ.

რობ როი შესანიშნავი მცურავი იყო და, რადგან მაშინვე ვერ დაიჭირეს, ახლა ადვილად მოახერხებდა მიმალვას. პირველად, მართალია, კვალში ჩაუდგნენ და ტყვიები დაუშინეს, მაგრამ, საბედნიეროდ ყველა ასცდა და მხოლოდ წყლის შხეფები დააყენა მის ირგვლივ. ამ სცენამ წავზე ნადირობა მომაგონა. ბიძაჩემის მამულში ხშირად მიყურებია წავის დევნისათვის. ცხოველი წყალქვეშ დიდხანს ვერა სძლებდა და დროდადრო ამოყვინთავდა. ძაღლები შენიშნავდნენ და ყეფითა და ღავღავით მიესეოდნენ დასაჭერად, მაგრამ წავი ჰაერს ჩაისუნთქავდა და კვლავ წყლის სიღრმეს შეაფარებდა ხოლმე თავს. მაკგრეგორი კი უფრო ეშმაკურად მოიქცა; პლედი მოიხსნა და წყალს გაატანა. ჭრელმა ტარტანმა მალე მიიპყრო მდევრის ყურადღება. ცხენოსნებმა რობ როისათვის განკუთვნილი ტყვიები პლედს დაუშინეს და ხმლებითაც მიეტანენ ასაკუწავად.

მდინარეს ზოგან ციცაბო ნაპირები ჩასდევდა, ზოგან კი მურყნის, არყისა და ალვის ხეების ხშირი ჭალა ერტყა საფარად, და მანამ ნაპირზე დარჩენილი მხედრები მოხერხებულ ადგილს ეძებდნენ წყალში ჩასასვლელად, რობ როიმ თავს უშველა. ლტოლვილს დაღამებამაც გაუადვილა საქმე: იმ სიბნელეში მდევრები ერთმანეთს ვერა სცნობდნენ და ხან ერთგან ატყდებოდა ყვირილი, არიქა ვიპოვეთო და ხან მეორეგან. ზოგი ჯარისკაცი მორევმა ჩაითრია და განწირული ხმით უხმობდა ამხანაგებს საშველად, ზოგი ამ არეულობაში თავისიანებს დაეჭრა ტყვიით ან ხმლით, ახლა შველას ითხოვდნენ და თან სამაგიეროს გადახდით იმუქრებოდნენ. ერთი-ორჯერ ნამდვილი ბრძოლა გაიმართა წყალში. ბოლოს უფროსმა ლტოლვილის პოვნის იმედი გადაიწყვიტა და ბრძანა შეკრების ჰანგი დაუკარითო. გაისმა საყვირების ხმა და მხედრები ჯგუფ-ჯგუფად ხმადაბალი ლანძღვითა და გინებით გაემართნენ სამხრეთ ნაპირისაკენ.

ისინი ნელ-ნელა ეწყობოდნენ მწკრივში. აქამდე სროლა და ყიჟინა ახშობდა მდინარის ხმას, ახლა კვლავ ძველებურად ადუდუნდა, მაგრამ ხელმოცარული მდევრების ბუზღუნს და გინებას დიდად ვერ გადაამეტა.

აქამდე მდინარეზე დატრიალებული უჩვეულო სანახაობის გარეშე მაყურებელი ვიყავი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჩემთვის სულ ერთი იყო, როგორ დამთავრდებოდა ეს დევნა, უცებ კი, ჩემდა გასაოცრად მოვლენათა შუაგულში აღმოვჩნდი:

- რა იქნა ის ახალმოსული ინგლისელი? - იკითხა ვიღაცამ მეორე ნაპირზე, - იმან მისცა რობს დანა და იმით გადაჭრა თოკები!

- ნაკუწ-ნაკუწ ავკეპოთ! - დაიძახა ერთმა.

- ტყვიით გავუხვრიტოთ გოგრა! - აუბა მხარი მეორემ.

- გამოვხანჯლოთ! - აღრიალდა მესამე.

იმავე წამს ცხენების თქარათქური მომესმა. მხედრებმა ძებნა დამიწყეს, რომ მუქარა საქმედ ექციათ. მაშინვე ვიაზრე რა მომელოდა: გაცეცხლებული მოლაშქრეები ჯერ ამკუწავდნენ, ან ტყვიებით დამცხრილავდნენ და მერე დაიწყებდნენ სამართლის გაჩენას.

მაშინვე ჩამოვხტი ცხენიდან და მურყნის ჭალაში შევრგე თავი იმ იმედით, რომ ამ სიბნელეში ვერ მიპოვიდნენ. ჰერცოგის მახლობლად რომ ვყოფილიყავი, დახმარებას ვთხოვდი, მაგრამ იგი უკვე გასძღოლოდა ჯარს და თანდათან შორდებოდა მდინარის ნაპირს. დარჩენილ ოფიცრებიდან კი არც ერთი არ იყო ისეთი რანგისა, რომ მფარველად გამომდგომოდა. ასე რომ, დამალვა ვამჯობინე, თან თავი დავიმშვიდე, ასე ტყუილუბრალოდ სიცოცხლის გაწირვა ვაჟკაცობაში არ ჩამომერთმევა-მეთქი.. როცა ჩემი სამალავის ირგვლივ ჩოჩქოლი და ცხენების ფეხის ხმა მიწყდა, გადავწყვიტე ჭალიდან გავსულიყავი, ჰერცოგი მეპოვა და ჩავბარებოდი. ვიმედოვნებდი, რომ არაფერს დამიშავებდა, რადგან, ჯერ ერთი, მეფის ერთგული ქვეშევრდომი ვიყავი და არავითარი

დანაშაული არა მქონდა ჩადენილი, და მეორე, როგორც უცხოელს, უფლება მქონდა სტუმარ-მასპინძლობის მოვალეობის შესრულება მომეთხოვა შოტლანდიელებისაგან. აი, ასეთი გადაწყვეტილება მივიღე, სამალავიდან გამოვედი და იქაურობა მივათვალ-მოვათვალიერე.

უკვე დაღამებულიყო. აქეთა ნაპირზე ლანდად დავინახე რამდენიმე მხედარი. იქითაზე აღარავინ იყო. შორიდან ცხენების ფლოქვების თქარათქური და საყვირის ხმა ისმოდა. საყვირები ჩამორჩენილებს უხმობდნენ. მე ვეღარ გადამეწყვიტა როგორ მოვქცეულიყავი: ცხენი აღარ მყავდა და მთის მდინარეს წეღანდელი ალიაქოთის შემდეგ კიდევ უფრო საშიში და მიუნდობელი მეჩვენებოდა. ჯერ ერთი, მთვარე მკრთალად ანათებდა იქაურობას და დღეც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ გავბედავდი ამ ფონის ქვეითად გადალახვას, რადგან სულ ახლახან ჩემი თვალით ვნახე, რომ წყალი უნაგირის ტახტამდე სწვდებოდა მხედრებს. ამ ნაპირზე რომ დავრჩენილიყავი, ღამე გარეთ, სიცივეში, უნდა გამეთენებინა, მე კი წუხანდელს აქეთ იმდენი რამ გადამხდა თავს, რომ ამას ვეღერ გადავიტანდი.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ იმ აზრზე დავდექი, რომ მდინარის გადალახვა არ ღირდა: ენდრუ ფერსერვისი სხვა მსახურებთან ერთად გადავიდა მდინარის მეორე ნაპირას და ალბათ ჰერცოგის რაზმს გაჰყვა. მისი მოურიდებლობის ამბავი რომ ვიცოდი, ვიფიქრე, ყველას ცხვირში შეეტენება, ლაქლაქს დაიწყებს და ჰერცოგისა და ოფიცრების ყურამდე მივა, ვინა ვარ და რა მდგომარეობა მიჭირავს საზოგადოებაში-მეთქი. ჰერცოგიც ეჭვს აღარ შეიტანდა ჩემში და ხალხს არ დამადევნებდა დასაპატიმრებლად. ამიტომ არ ღირდა, ეს აქაფებული მდინარე გადამელახა და ამაღამვე ვხლებოდი ჰერცოგს. შესაძლებელია, მშვიდობით გავსულიყავი მეორე ნაპირას, მაგრამ მერე, ვინ იცის, ხიფათს გადავეყრებოდი?! ან გზას ვერ გავიგნებდი სიბნელეში, ან ვინმე ჩამორჩე-

ნილი მოლაშქრის ხმლის ლუკმა გავხდებოდი - იფიქრებდა მოღალატის მოკვლა გმირობაში ჩამომერთმევა და დაგვიანებისათვის აღარ დამსჯიანო. ბოლოს, ყველაფერი ავწონ-დავწონე და იმ აზრზე დავდექი, რომ ისევ გუშინდელ ფუნდუკში დაბრუნება მიჯობდა. რობ როის ხალხთან შეხვედრას არ ვუფრთხოდი - მათი ბელადის გაქცევის ამბავს ვეტყოდი და ხელს აღარ მახლებდნენ. მისტერ ჯარვისთანაც მოვიწმენდდი ნამუსს: კაცმა ამდენი უბედურება გადაიტანა ჩემი გულისათვის და გაუხარდებოდა, საფრთხეში მარტო არ დამტოვაო.. და ბოლოს, მხოლოდ ამ მხარეში შემეძლო გამეგო რეშლისა და ჩემი ქაღალდების გზა-კვალი - ამ ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობის თავდაპირველი მიზანი ხომ სწორედ ეს იყო.. ამგვარად, ფორტის გადალახვაზე ხელი ავიღე, ფრუს ფონს ზურგი შევაქციე და ნელი ნაბიჯით გავემართე აბერფოილისაკენ. სუსხიანმა ქარმა სტვენით შეუტია ღრუბლებს, ღამის გათევას რომ აპირებდნენ ამ ხეობაში, დაფლითა, შორს გადაკარგა და მერე ნისლზე მიიტანა იერიში, მაგრამ ბევრი ვერაფერი დააკლო: ნისლი ხან ვეება ფთილებად იკვრებოდა და თეთრი თავსაფარივით ეკვრებოდა მთების მწვერვალებს, ხან კი დაბლა ჩამოიწევდა და ღრმა, ზემოდან ჩამოცვენილი ლოდებით გულდაღარულ ხევებში წვებოდა ზოლ-ზოლად. მთვარე უკვე შუა ცაზე მირონინობდა და კაშკაშა სხივებს აფრქვევდა მდინარესა და ნისლმოხვეულ მწვერვალებს. სქელ ნისლს მხოლოდ გარედან ანათებდა მთვარის სხივები, თხელს კი შიგ გულში უვლიდა და ვერცხლის აბლაბუდად აქცევდა. მე ერთობ ცუდ დღეში ვიყავი - უგზოუკვლოდ დავბორიალობდი და არ ვიცოდი, კიდევ რა საფრთხეს გადავაწყდებოდი, მაგრამ ამ საოცარმა სილამაზემ და გრილმა, მაცოცხლებელმა ჰაერმა გამამხნევა და გულიდან დარდი გადამყარა. ნაბიჯს ვუმატე, რომ ცოტათი შევმთბარიყავი და რაღაც ჰანგის სტვენა დავიწყე. მალე ძალ-ღონის მოზღვავება ვიგრძენი, მომავლის იმედით აღმევსო გული და უკვე არავითარ

საფრთხეს და ფათერაკს არ შევუშინდებოდი. ისე თამამად მივიწევდი წინ, რომ ვერც კი გავიგონე, როგორ წამომეწია ორი ცხენოსანი და მხოლოდ მაშინ ჩავვარდი გულისხმაში, როცა ერთი მარჯვნიდან ამომიდგა გვერდში და მეორე მარცხნიდან. მარცხენა მხედარმა ცხენი შეაჩერა და ინგლისურად მკითხა:

- საით გაგიწევია, მეგობარო, ამ შუაღამისას?

- აბერფოილისაკენ. იქ ვახშამი და ლოგინი მელოდება.

- გზები ხომ არ არის დაკეტილი?

- არ ვიცი, - მივუგე მე, - ჯერ არავის გავუჩერებივარ. - მერე მორისის ბედი გამახსენდა და უცნობი გავაფრთხილე:

- თუ ინგლისელი ხართ, გიჯობთ, სანამ არ გათენებულა უკან დაბრუნდეთ. ამ მხარეში შფოთი და მღელვარებაა და უცხოელისათვის მთლად უსაფრთხო არ უნდა იყოს აქ სიარული.

- მეფის ჯარებმა უკან დაიხიეს, არა?

- დიახ. ერთი რაზმი დაამარცხეს მთიელებმა და ოფიცერი ტყვედ იგდეს.

- ნამდვილად იცით?

- ნამდვილად, აი, როგორც თქვენ გიყურებთ. მე თავად ვიყავი ამ შეტაკების უნებლიე მოწმე.

- უნებლიე? - ჩამეკითხა უცნობი. - მონაწილეობა არ მიგიღიათ? სახელი და გვარი მითხარით!

- რა თქმა უნდა, არა, - მივუგე მე, - მეფის ოფიცერმა დამაპატიმრა.

- რატომ? ვინა ხართ? თქვენი სახელი და გვარი მითხარით!

- სერ, მართალი გითხრათ, ვერ გამიგია, რატომ უნდა გავცე პასუხი უცნობ ადამიანს. მე უკვე საკმაო ცნობები მოგაწოდეთ და გაგაფრთხილეთ, რომ ამ მხარეში სიარული საშიშია. ახლა თქვენი საქმეა, გააგრძელებთ გზას, თუ უკან დაბრუნდებით. მე არც სახელს გეტყვით, არც ხელობას და ძალზე მადლობელი ვიქნები, თუ თქვენც ასევე მოიქცევით.

- თუ მისტერ ფრენსის ოსბალდისტონს უნდოდა, არავის ეცნო, თავისი საყვარელი მელოდიის სტვენა არ უნდა წამოეწყო, - თქვა მეორე მხედარმა და სტვენით დაამთავრა ჩემს მიერ დაწყებული ჰანგი.

ამის გაგონებაზე გული ამიჩქროლდა, რადგან ეს კაპიშონიანი მხედარი დიანა იყო. დიახ, სწორედ დიანა ვერნონი გახლდათ.

- ღმერთო დიდებულო! - შევძახე მე, - ნუთუ თქვენა ხართ, მის ვერნონ?! რა გინდათ ამ დროს ამისთანა ადგილას, თანაც...

- თანაც კაცის ტანსაცმელში გამოწყობილს, არა? - ჩამომართვა სიტყვა დიანამ. - რას იზამ! შესანიშნავი კაპრალის, ნიმის[225] ფილოსოფია უნდა მოვიშველიო: როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო.

სანამ დიანა ლაპარაკობდა, შევეცადე, მთავრის კაშკაშა შუქზე კარგად შემეთვალიერებინა მისი თანამგზავრი. ამ შეხვედრამ ძალიან გამაოცა და ეჭვი და ღაზო ჩამიღვარა გულში - რატომ დაადგა ამ სახიფათო გზას მხოლოდ ერთი ჯენტლმენის თანხლებით, ვინ არის ეს ჯენტლმენი? - ვეკითხებოდი საკუთარ თავს და კითხვას ვერა ვპოულობდი. რეშლი არ უნდა ყოფილიყო, - ამას უფრო მაღალი მბრძანებლური ხმა ჰქონდა და ჩემს მოსისხლე მტერზე გაცილებით მაღალიცა ჩანდა. არც რეშლის ძმებს ჰგავდა ქცევითა და კილოთი - ხმა ამოიღო თუ არა, შევატყვე, რომ ჭკვიანი და განათლებული კაცი იყო.

უცნობმა შემნიშნა, რომ ვათვალიერებდი და გადაწყვიტა, გამრიდებოდა. იგი დიანას მიუახლოვდა და ალერსიანად უთხრა, გადაეცი ნათესავს მისი ქონება და დროს ნუღარ ვკარგავთ, ჩვენს გზას ვეწიოთო.

დიანა ვერნონი ჩემკენ გადმოიხარა, რაღაც პატარა შეკვრა გამომიწოდა და ხუმრობანარევი კილოთი მითხრა:

- როგორც თავად ხედავთ, ძვირფასო ნათესავო, მე, თქვენს მფარველ-ანგელოზად დავბადებულვარ. რეშლი იძულებული

გახდა, დაებრუნებინა ნაძარცვი ქონება და გუშინ რომ მოგვესწრო თქვენთვის აბერფოილში, ვინმე შოტლანდიელ სილფს[226] ვიპოვიდი და სულ ფრენით მოვატანინებდი თქვენთან ამ კომერციული კეთილდღეობის საწინდარს, მაგრამ ხელი შემეშალა - გოლიათებმა და გველეშაპებმა გადამიღობეს გზა. ახლა სხვა დროა - მოხეტიალე რაინდები და მათი თანმხლები ქალიშვილები ყოველნაირად უნდა შეეცადონ, რომ საფრთხე აიცილონ და უმიზნო და უაზრო სიმამაცისაგან თავი შეიკავონ.. ერთი სიტყვით, თქვენი ერთადერთი სურვილი ამ ქაღალდების დაბრუნება იყო და, აი, შეგისრულდათ კიდეც!

ეს ყოველივე, როგორც თავში ვთქვი, ხუმრობანარევი კილოთი იყო ნათქვამი, მაგრამ შევნიშნე, რომ დიანას ხმა უკანკალებდა და საკმაოდ ღელავდა.

- დიანა, - უთხრა თანამგზავრმა, - ნება მიბოძე, კიდევ ერთხელ შეგახსენო, რომ უნდა ვიჩქაროთ.

- ახლავე, სერ, ახლავე! გაიხსენეთ, რომ სულ ახლახან მივეჩვიე მორჩილებას. ჯერ კიდევ არ გადამიცია პაკეტი და... არ დავმშვიდობებივარ... სამუდამოდ... დიახ, ფრენკ, სამუდამოდ! ჩვენს შორის უფსკრულია, უძირო უფსკრული. ჩვენ სხვადასხვა გზა და მისწრაფებები გვაქვს. მშვიდობით! ბედნიერი იყავით!

როცა დიანა კიდევ უფრო გადმოიხარა ჩემკენ თავისი პატარა შოტლანდიური ცხენიდან, ლოყა ლოყაზე მომადო წამით და ხელი ჩამომართვა. წამწამზე დაკიდებული ცრემლი მოწყდა და თბილად ჩამომეღვარა ღაწვზე. დაუვიწყარი წამი იყო - მწუხარე და ამავე დროს იმედის მომცემი წამი!

დიანამ მაშინვე მოთოკა გრძნობა, უნაგირზე გასწორდა და თავის თანამგზავრს უთხრა, მზადა ვარ, წავიდეთო. ცხენები სწრაფი ჩორთით დაიძრნენ და მალე მხედრები თვალს მიეფარნენ.

ღმერთმა იცოდეს, გულგრილობა არ ყოფილა იმისი მიზეზი, რომ ენაც დამება და ხელიც, როცა დიანა მემშვიდობებოდა. სიტ-ყვები ყელში გამეჩხირა; ამ მოულოდნელმა შეხვედრამ და სწრაფმა განშორებამ დამაბნია. პაკეტით ხელში ვიდექი გაოგნე-ბული და თავგზადაკარგული და მხოლოდ ცხენების ნალებით ავარდნილ ნაპერწკლებს ვხედავდი. დიდხანს, დიდხანს ვერ მო-ვეგე გონს, თუმცა მხედრები თვალს მიეფარნენ და ცხენის ფლოქვების ხმაც კარგა ხანია მიწყდა. ბოლოს თვალებიდან ცრემლები წამსკდა. ვიწმენდდი და ისევ ღვარად ჩამომდიოდა ღაწვებზე. ვგრძნობდი, რომ მკერდში აბობოქრებული გრძნობა, საცა იყო, ყელში მომაწვებოდა და დამახრჩობდა, ვგრძნობდი, რომ ლირის histerica passio-ს[227] წერა ვიყავი. მუხლები მომეკ-ვეთა, იქვე გზის პირას ჩამოვჯექი და პირველად, მას შემდეგ, რაც ბავშვობას გამოვეთხოვე, მწარედ ავქვითინდი.

თავი XXXIV

დენგლი. ღმერთს გეფიცები, განმარტებები ტექსტზე ძნელი გასაგებია.

შერიდანი. „კრიტიკოსი“.[228]

დიახ გრძნობებმა დამრია ხელი და მწარედ ავტირდი, მაგრამ მერე ჩემი სისუსტისა თვითონვე შემრცხვა, გავიხსენე, რომ ამ ბოლო ხანებში, როცა დიანაზე ვიწყებდი ფიქრს, ყოველთვის ვცდილობდი, მხოლოდ მეგობრად მიმეჩნია იგი - მეგობრად, რომლის ბედნიერებაზე უნდა მეზრუნა, გაჭირვებაში დავხმარებოდი, მაგრამ, რაც შეიძლება , იშვიათად უნდა შევხვედროდი. აი, ეს გავიხსენე და შევეცადე დავმშვიდებულიყავი, თუმცა ძალზე გამიძნელდა ამ გადაწყვეტილების შესრულება: ისეთი მოულოდნელი და რომანტიული იყო ჩვენი შეხვედრა, ისე ნაზად დამემშვიდობა, რომ კარგა ხანს გონს ვერ მოვედი. ბოლოს, როგორც იქნა, შევძელი გრძნობების მოთოკვა, წამოვდექი და ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი მიდამოს, სადაც ეს მოულოდნელი ბედნიერება განვიცადე. ცოტა ხნის შემდეგ გზა განვაგრძე, მაგრამ მტანჯველი ფიქრები კვლავ ჯარად შემომხვეოდნენ; „ხომ არ ვეწინააღმდეგები დიანას სურვილს, ის ხომ სამუდამოდ დამემშვიდობა და კიდეც ამიტომ გამოიჩინა ასეთი სინაზე და გულისტკივილი, - გამიელვა გონებაში, მაგრამ ეს აზრი მაშინვე მოვიშორე. რა ვქნა, გზა მხოლოდ წინ არის თავისუფალი; სხვაგან არსად არა მაქვს წასასვლელი-მეთქი. შემდეგ სხვა გასამართლებელ საბუთებს დავუწყე

ძებნა: მამაჩემის ქაღალდები უკვე ჩავიგდე ხელთ, მაგრამ ჩემს შოტლანდიელ მეგობარს, რომელიც ჩემი გულისათვის ჩავარდა გაჭირვებაში, უნდა მივშველებოდი. ღამე უნდა გამეთია სადმე და, აბა, აბერფოილის გარდა სადა მქონდა წასასვლელი? ისინიც აბერფოილში უნდა მისულიყვნენ - ცხენები დაღლილი ჰყავდათ და გზად ვეღარ გაიგრძელებდნენ. რადგან ასეა, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს. უკანასკნელად გავიგონებ დიანას ნაზ ხმას... ის ბედნიერიც მინდა ვნახო, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირა თავისი მომავალი; იქნებ რაიმე დახმარება სჭირდება, იქნებ როგორმე შევძლო, რომ სამაგიერო გადავუხადო ასეთი დიდსულოვნებისათვის, როგორმე გაგრძნობინო, რომ უსაზღვროდ მადლობელი ვარ ასეთი უანგარო მეგობრობისათვის...

გულით მინდოდა კიდევ ერთხელ მენახა დიანა, კიდევ ერთხელ მესაუბრა მასთან და დაჟინებით ვცდილობდი, კიდევ რაიმე ახალი საბაბი მომეგონებინა, რომ აბერფოილში მისვლა ურჩობაში არ ჩამომრთმეოდა. ამ ყოყმანში რომ ვიყავი, უკანიდან შეუმჩნევლად წამომეწია ვიღაცა, მხარზე ხელი დამადო და მთიულური კილოთი მითხრა:

- კარგი რამეა, მისტერ ოსბალდისტონ, არა? ამას წინათ კი ბინდისას შევხვდით ერთმანეთს!

მაშინვე ვიცანი მაკგრეგორის ხმა. მას მდევრებისაგან თავი დაეღწია და მშობლიურ მთებში, თავისიანებთან მიეშურებოდა. რობერტს იარაღიც ეშოვა - ალბათ ვინმე თავის მომხრეს გაუარა სახლში, მხარზე მუშკეტი ჰქონდა გადებული, წელზე კი ხმალი და ხანჯალი ეკიდა. წინათ შუაღამისას და თანაც ასე უკაცურ ადგილას რომ შემხვედროდა ყაჩაღების მეთაური, მართალი გითხრათ, არ მესიამოვნებოდა. მართალია, რობ როი ყოველთვის მეგობრულად მექცეოდა, მაგრამ მისი ხმის გაგონება მაინც მზარავდა ხოლმე ტანში. მთიელები თავისებური კილოთი ლაპარაკობენ, რადგან ხორხისმიერი ბგერები აქვთ და მახვილსაც

მკვეთრად გამოთქვამენ.. რობ როიც ასე მეტყველებდა, მაგრამ მის ხმას რაღაც უცნაური სიცივე დაჰკრავდა. იგრძნობოდა, რომ ამ ხმის პატრონს უამრავი ფათერაკი გადახდენია თავს და ახლა არაფერი ააღელვებდა. შიშით არაფრისა ეშინოდა, რადგან საკუთარი ძალისა და მოხერხების უსაზღვრო რწმენა ჰქონდა, საფრთხითა და შეცდომებით აღსავსე ცხოვრებამ კი თითქმის მთლიანად მოუსპო სიბრალულის გრძნობა. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სულ ახლახან ჩემი თვალით ვნახე, თუ როგორ გაუსწორდა რობ როის ხალხი უიარაღო, ხელებგაკრულ ადამიანს, რომელიც მდუღარე ცრემლებით იხვეწებოდა შეწყალებას. ყოველივე ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ ისეთ დღეში ვიყავი, რომ მაინც გამიხარდა რობ როის დანახვა: ჯერ ერთი საშინლად დაძაბული და აღელვებული ვიყავი და გამომლაპარაკებელი რომ ვიშოვე, ცოტათი დავწყნარდი. მერე გულში იმედის სხივმა გამიელვა, იქნებ ახლაც დამეხმაროს და იმ ლაბირინთიდან გამოსასვლელი გზა მიჩვენოს, რომელშიც ასე უმოწყალოდ შემაგდო განგებამ-მეთქი. ამიტომ მისალმებაზე გულითადად ვუპასუხე, განთავისუფლება მივულოცე და დავსძინე, რომ სხვა ასეთი გამოუვალი მდგომარეობიდან ვერაფრით დაიხსნიდა თავს.

- ჰო, ეგრე იყო საქმე, - მომიგო მაკგრეგორმა, - ყელიდან ტირიფის წნელამდე[229] დიდი მანძილი არ გახლავს. იმაზე მეტი არ იქნება, რაც ტუჩსა და ფიალას შორის არის, მაგრამ ამჯერად არც ისეთი დიდი საფრთხე მემუქრებოდა. თქვენ აქაური არა ხართ და ეგრე მოგეჩვენათ. იმათგან, ვისაც ჩემი ხელახლა დაჭერა უბრძანეს, ერთ მეორედს, როგორც ჩემი ნათესავი, ნიკოლ ჯარვი იტყოდა, სულ არა ჰქონდა ბრძანების შესრულების სურვილი. დარჩენილი ერთი მეორედიდან ნახევარს ეშინოდა ჩემი და ახლო მიკარებას ვერ მიბედავდა, ასე რომ ორმოცდაათი - სამოცი კაცის მაგივრად სულ ათი-თხუთმეტი კაცი ცდილობდა ჩემს შეპყრობას.

- ეგეც საკმარისია, - შევნიშნე მე.

- არა მგონია. ერთს კი დანამდვილებით გეტყვი, ჩემი მტრები აბერფოილის მინდორზე რომ გამოსულიყვნენ, ყველას სათითაოდ დავაწვენდი, აი, ამ ჩემი ჩელთით.

შემდეგ მაკგრეგორმა ჩემი თავგადასავალი გამომკითხა და ბევრი იცინა, როცა ვუამბე, თუ როგორ იბრძოლა პატივცემულმა ოლდერმენმა გავარვარებული საკვეთელით.

- გლაზგოს გაუმარჯოს! - შესძახა მან. - კრომველის დღეში ჩავვარდე, თუ ამისთანა რამ მენახოს ჩემს დღეში. რა იქნებოდა იქ ვყოფილიყავი, როცა ჩემმა ბიძაშვილმა ცეცხლი წაუკიდა ივერახელის პლედს! შამფურზე წამოგებული ცხვრის თავივით არ შეიტრუსებოდა?! რა ქნას, რა მაგისი ბრალია რომ ცუდად გაზარდეს. მაგას ჩვენი სისხლი ურევია და იმიტომ ივაჟკაცა, თორემ, აბა, რომელი ვაჭარი გინახავს ასე რომ გამოედოს თავი. თქვენთან უკაცრავად ვარ, რომ აბერფოილში ვერ დაგხვდით - სულ ორი-სამი დღით ჩავედი გლაზგოში მეფის საქმეზე, ამასობაში მახე დამიგეს კლახანში და რომ ავსულიყავი, აუცილებლად გავებმებოდი. მერე კი ჩავუფუშე ყველაფერი: ამიერიდან ძველებურად ვეღარ მიუქსევენ კლანებს ერთმანეთს. მალე დადგება დრო, როცა მთიელები შეკავშირდებიან... მერე, მერე... კიდევ რა გადაგხდათ თავს?

- მერე კაპიტანი თორნტონი მოვიდა ფუნდუკში თავისი რაზმით, მე და ოლდერმენი საეჭვო ხალხად მიგვიჩნია და დაგვაპატიმრა.

რობერტი ჩამეკითხა, რამ დააეჭვა კაპიტანიო და, როცა ვუთხარი, ჯერ ჩემმა გვარმა დააეჭვა და მერე ჩვენმა გარეგნობამ, რადგან ნაბრძანები ჰქონდა, ერთი ხანში შესული და ერთი ახალგაზრდა კაცი დაეპატიმრებინა-მეთქი, სიცილით შენიშნა:

- მაგ ბაიყუშებს ჩემი მეგობარი ოლდერმენი, ნამდვილად, მისი აღმატებულება ეგონათ, თქვენ კი მის ვერნონი.

- მის ვერნონი?.. - გამიკვირდა მე, - კვლავ მისს უწოდებთ? სულ ახლახან ჩაიარა აქ ვიღაც ჯენტლმენის თანხლებით და, როგორც შევნიშნე, ის ჯენტლმენი ერთგვარ მეურვეობას უწევდა.

- დიახ, დიახ, - მომიგო რობმა, - ახლა კანონიერი მეურვის ხელშია და სჭირდება კიდეც, თორემ ძალიან აშვებული ჰქონდა თავი. არა, ისე , კარგი ქალიშვილია, მამაცი, გაბედული. სამწუხაროა, რომ მისი აღმატებულება ხანში შესულია. დიანას უფრო ახალგაზრდა თანამგზავრი მოუხდებოდა, აი, თქვენი ან ჩემი ჰემიშის კბილა.

ამ პასუხმა თავზარი დამცა. გონებით აქამდეც ვხვდებოდი, რომ დიანა მხოლოდ კანონიერ მფარველსა და მეურვეს წამოყვებოდა შუაღამისას ასეთ უკაცრიელ მხარეში, მაგრამ გულს არ უნდოდა დაეჯერებინა. ახლა კი ყოველგვარი ეჭვი გამეფანტა. ოცნების ძალით აგებული კოშკი ძირიანად დამენგრა! უეცრად თვალთ დამიბნელდა, ყურთასმენა კი ისე დამეხშო, რომ რობერტის ლაპარაკი აღარ მესმოდა.

- თქვენ ცუდადა ხართ, - ალერსიანად მითხრა რობერტმა, როცა კითხვებზე პასუხი არ გავეცი, - მძიმე დღე გადაგიტანიათ. მიუჩვეველი ხართ და გადაიქანცეთ.

გონს მოვედი, თავს ძალა დავატანე და თხრობა გავაგრძელე, როცა ტბის პირას გამართული ბრძოლის ამბავი მოვუყევი, რობ როიმ აღტაცებით წამოიძახა:

- თითქო მეფის ნასუფრალი ჯობია საწყალი კაცის საქორწილო სუფრასო?! ეგეც მაგათი ჯარისკაცები! ვერ დაიფრინეს ბებრებმა და ყმაწვილებმა?! მაშ ქალებიც იყვნენ, არა? იმის მაგივრად, რომ მატყლი ეწეწათ, ხმლებს ატრიალებდნენ! ვაჟკაცებს რომ გადაჰყროდნენ, მაშინ გენახათ მაგათი საცოდაობა! დუგალ გრეგორს დამიხედეთ, რა ამბები დაუტრიალებია! ვინ იფიქრებდა, რომ ამდენი ჭკუა ექნებოდა იმ გაბურძგნულ თავში! თუმცა, დაამთავრეთ, დაამთავრეთ... მეშინია კია ბოლომდე მოსმენა.

ჩემი ჰელინი ნამდვილი ქაჯია როცა გაბრაზდება... არც გაემტყუნება, საწყალს!

შევეცადე, რაც შეიძლებოდა მოიარებით მეამბა, როგორ მოგვექცნენ დატყვევების შემდეგ, მაგრამ შევატყვე, რომ მაინც ძალიან შეწუხდა.

- რატო იქ არ ვიყავი?! - წამოიძახა გულდაწყვეტილმა რობმა, - სტუმარს, უცხო მხრიდან მოსულ სტუმარს როგორ უნდა აწყენინო, თანაც ჩემი სისხლი და ხორცია! ნეტა ნახევარი ლენოქსი გადაებუგათ, რადგან ეგრე გაცოფდნენ და იმისათვის არ ეწყენინებინათ. ენდე ამის მერე ქალსა და იმის ბახალებს. რა ჭკუა უნდა მოჰკითხო მაგისთანებს! ისე კი ყველაფერი იმ საბაჟოს მოხელის ბრალია. იმ ძაღლმა მითხრა, რეშლის შენი ნახვა უნდა, მეფის საქმეზე უნდა მოგელაპარაკოსო. მე ვიცოდი, რომ გარსხატაბინელი მაიორი და კიდევ ბევრი ლენოქსელი მეფე ჯეიმზის მომხრე არის და ვიფიქრე, რეშლიმ იმასთან უნდა შემახვედროს-მეთქი. დავეჭვდი კი - როგორც გავიგე, ჰერცოგი აქ იყო, იმ წუთში ვიყნოსე საფრთხე, მაგრამ მაინც წავედი. მერე კი ვინანე, როცა ხელები ცხენის მოსართავით გამიკრეს, მაგრამ რაღა დროს! მივხვდი, რომ რეშლი თავისთანა არამზადებს შეეკრა და ხაფანგში გამაბა. ეგეთი ორპირა კაცია! არა, არ უნდა წავსულიყავი. კიდეც იმიტომ დაფრთხა ის გაიძვერა მორისი, როცა ჩემიანებს ვუბრძანე, სანამ არ დავბრუნდები, არსად გაუშვათ-მეთქი. აი, ახლა ვბრუნდები, მაგრამ ეს არც მორისის წყალობაა და არც მისი დამქირავებლების და ერთი ვნახოთ, როგორ დაიხსნის თავს ის გაიძვერა. მაშინვე ვუთხარი, სანამ გამოსასყიდს არ გამომიგზავნიან, ფეხს ვერ მოიცვლი აქედან-მეთქი.

- მორისმა უკვე გადაიხადა გამოსასყიდი, - უთხარი მე, - იმას არავის ვალი აღარა აქვს ამქვეყნად.

- როგორ?! - გაიკვირვა რობმა. - რას ამბობთ?! ნუთუ შემთხვევითმა ტყვიამ იმსხვერპლა იმ არეულობის დროს?

- ბრძოლის შემდეგ მოკლეს, მისტერ კემპბელ. შეუბრალებლად მოუღეს ბოლო თქვენიანებმა!

- შეუბრალებლად! დალახვროს ეშმაკმა! მითხარით სერ, როგორ მოკლეს?! ყველაფერი დაუფარავად მიამბეთ და ნურც მისტერს მიწოდებთ. ჩემს ქვეყანაში მაკგრეგორი მქვია. - შევატყვე, რომ მაკგრეგორი ძალიან გაბრაზებული იყო, მაგრამ ამას ყურადღება არ მივაქციე და ყველაფერი ვუამბე. მან თოფის კონდახი მიწას დაჰკრა და წამოიძახა:

- ღმერთს გეფიცები, ამისთანა ამბავს რომ გაიგონებ, ცოლშვილიც შეგძულდება, სამშობლოც და ნათესავებიც! ისე, ის არამზადა კარგა ხანია სიკვდილის ღირსი იყო. რა მნიშვნელობა აქვს, როგორ მოკვდები - გინდა ქვა მოუბიათ ყელზე და წყალში გადაუგდიხართ და გინდა სახრჩობელაზე ჩამოუკონწიალებიხართ - სიკვდილი სიკვდილია! რასაც მე მიპირებდა, თვითონ იწვნია. მაინც ჯობდა, ტყვია დაეხალათ ან ხანჯალი დაერტყათ გულში. ახლა ქვეყანა უნდა ალაპარაკდეს, წყალში ჩაახრჩვეს კატის კნუტივითო. რას ვიზამთ, რაც კაცს უწერია, არ ასცდება, ჩვენც დავიხოცებით, როცა დრო მოგვივა. იმას კი ვერავინ იტყვის, ჰელინ მაკგრეგტორი უმიზეზოდ ხოცავს ხალხსო. ყველამ იცის, რომ საშინელი შეურაცყოფა მიაყენეს და ახლა შურს იძიებს.

რობმა ამით მოათავა მორისზე ლაპარაკი და მკითხა, ჯარისკაცებს როგორ გამოექეცი. ვუამბე, როგორ გამოვეპარე გაცეცხლებული მოლაშქრეებს და როგორ დავიბრუნე მამაჩემის ქაღალდები. დიანას სახელი არ მიხსენებია - ვერ შევძელი.

- ვიცოდი, რომ დაიბრუნებდით, - მითხრა მაკგრეგორმა, - მისი აღმატებულება, აი, იმ ბარათში თქვენ რომ მომიტანეთ ამბობდა ჩემი სურვილია, დაეხმაროთო და მის სიტყვას ხომ არ გადავიდოდი. სწორედ იმისთვის დაგიბარეთ მთებში, რომ ქაღალდები დამებრუნებინა, მაგრამ, ეტყობა, თვითონ მისი აღმატებულება მოელაპარაკა რეშლის.

ამ განმარტების პირველმა ნაწილმა ძალიან გამაოცა და ვკითხე:

- გამოდის, რომ ბარათი იმის დაწერილი იყო, ვისაც მის აღმატებულებას უწოდებთ! ვინ არის ეგ კაცი? რა საქმიანობას ეწევა, ან რა ჰქვია?

- რადგან აქამდე ვერ გაიგეთ მისი ვინაობა, ახლა აღარაფრად გჭირდებათ. მე მაშინვე ვიცანი მისი ნაწერი და იმიტომ მოვკიდე ხელი ამ საქმეს, თორემ ჩემს საზრუნავს ძლივს ავუდივარ.

გამახსენდა ბიბლიოთეკის განათებული ფანჯრები და კიდევ მრავალი წვრილმანი, რამაც თავის დროზე ეჭვი ჩამისახა გულში: მაგიდაზე დაგდებული ხელთათმანი, რეშლის ოთახში გამავალ საიდუმლო კარზე ჩამოფარებული ფარდის რხევა და, რაც მთავარია, ბარათი, რომელიც დიანამ მეორე ოთახიდან გამოიტანა და თანაც გამაფრთხილა, თუ ძალიან არ გაგიჭირდეს, არ გამოიყენოო. მაშასადამე, დიანა მარტო არა ცხოვრობდა ბიბლიოთეკაში. იქ კიდევ ვიღაც ბინადრობდა, ვიღაც კი არა, მეფე ჯეიმზის ერთგული აგენტი, რომელიც თავის ჭკუაზე ატარებდა დიანას. ახალგაზრდა ქალიშვილს სულ ადვილად შეიძლება ტვინი აურიოს ოქროს ბრწყინვალებამ, შეიძლება პატივმოყვარეობას ანაცვალოს პირველი სიყვარული, მაგრამ დიანამ ვიღაც თავზეხელაღებულ ავანტიურისტზე გამცვალა და ახლა, ამ შუაღამისას, მასთან ერთად დაძრწის ყაჩაღთა და ავაზაკთა მხარეში! მხოლოდ იმიტომ უარყო ჩემი მხურვალე სიყვარული, რომ სიმდიდრე და სახელი მოეპოვებინა სტიუარტების კარზე. იმას კი აღარ მიხვდა, რომ თვითონ მეფე ჯეიმზიც სამოწყალოდ შეიფარეს სენ-ჟერმენის[230] სასახლეში.

„აუცილებლად უნდა ვნახო, - გადავწყვიტე მე, - კიდევ ერთხელ ვნახავ და მეგობრულად მოველაპარაკები. შევაგნებინებ, თუ რა საფრთხეში იგდებს თავს და დავეხმარები, რომ საფრანგეთში წავიდეს. იქ მშვიდად დაელოდება იმ ამბოხების ალის ჩაქ-

რობას, რომელიც პოლიტიკურმა ავანტურისტებმა ააგიზგიზეს. სწორედ ისეთმა ავანტურისტებმა, როგორებსაც თავისი ბედი დაუკავშირა“.

- მაშასადამე, - დავარღვიე დუმილი მე, - მისი აღმატებულება, (სახელს არ მეუბნებით და ამიტომ ვახსენებ ასე) ჩემ დროს ცხოვრობდა ოსბალდისტონ-ჰოლში, არა?

- ნამდვილად, ნამდვილად. იქ იყო. ახალგაზრდა ლედის ბინაში ცხოვრობდა სრულიად ბუნებრივი მიზეზების გამო.

ამ დამატებითმა ცნობამ კიდევ უფრო მატკინა ისედაც დაჭრილი გული.

- იქა ცხოვრობდა, - განაგრძო მაკგრეგორმა, - მაგრამ ეს ამბავი რეშლისა და სერ ჰილდებრანდის მეტმა არავინ იცოდა. თქვენ, რასაკვირველია, არავინ გაგიმხელდათ ამ საიდუმლოს, ახალგაზრდა ბატონებს კი საიმისო ჭკუა არ ჰქონდათ, რომ მიმხვდარიყვნენ, სად იყო დამარხული ძაღლის თავი. კარგი სახლია, ძველებური, უამრავი შესასვლელი და გამოსასვლელი აქვს, ათასნაირი ხვრელი და სამალავი - ოცი-ოცდაათი კაცი ისე დაიმალება მთელი კვირის განმავლობაში, რომ ოჯახის წევრებიც ვერ გაიგებენ ვერაფერს. ერთი სიტყვით, ძალიან გამოსადეგი სახლია. კრეიგროისტონის მთებში არ გვაწყენდა ამისთანა ციხე-დარბაზი, თუმცა, რად გვინდა? ჩვენ, ველურები, ტყეებსა და გამოქვაბულებსაც კარგად ვაფარებთ თავს.

- ალბათ მის აღმატებულებასაც ერია ხელი იმ უბედურებაში, როცა იმას, ერთ კაცს... - საწყალი მებაჟის სახელი უნდა მეთქვა, მაგრამ ენა დამება. მაკგრეგორი მიმიხვდა ვისაც ვგულისხმობდი და სიტყვა ჩამომართვა.

- მორისი გინდოდათ გეთქვათ, არა? უჰ, რამდენი ვიცინე იმ ამბავზე, მაგრამ ახლა, ლოხ-არდის ხეობაში დატრიალებული უბედურება რომ მიამბეთ, მეცოდება კიდეც. არა, მისი აღმატებულება სულ არ ჩარეულა. მარტო მე და რეშლიმ მოვაკვარახჭი-

ნეთ ის საქმე, მაგრამ მერე იყი, რაც იყო! რეშლიმ მოახერხა, თქვენთვის დაებრალებინა ყველაფერი, რადგან თავიდანვე არ მოეწონეთ. მერე მის დი ჩამოგვერია საქმეში, გვაიძულა თვითონ-ვე გადაგვეწყვიტა ასე ოსტატურად დაგებული ქსელი და მარ-თლმსაჯულების კლანჭებიდან გამოგვეგლიჯა უდანაშაულო დამ-ნაშავე. გახსოვთ რა დღეში ჩავარდა ის მშიშარა კურდღელი, როცა ნამდვილი დამნაშავე დაინახა?! არა და, თქვენ გაბრალებ-დათ ყველაფერს! ის ლოთი მოსამართლე და გაიძვერა მდივანი გახსოვთ? ხა-ხა-ხა, რამდენი ვიცინე მაშინ სამივეზე! ახლა კი მებ-რალება ის საწყალი. ერთი-ორი წირვა უნდა შევუკვეთო მორი-სის სულის მოსახსენებლად.

- თუ შეგიძლიათ, მითხრათ, როგორ მოიპოვა მის ვერნონმა ასეთი დიდი გავლენა რეშლიზე და მის მომხრეებზე? რატომ შეც-ვალეთ თქვენი თავდაპირველი გადაწყვეტილება?!

- რას ამბობთ? მე კი არ გადამიწყვეტია ეგრე! ჩემზე ვერავინ იტყვის, თავის დანაშაულს სხვას აბრალებსო. ეგ რეშლიმ მო-იფიქრა, მაგრამ მერე იძულებული გავხდით, ყველაფერი შეგვებ-რუნებინა, რადგან მისი აღმატებულება ძალიან უჯერებს მის ვერ-ნონს. გარდა ამისა, გოგონამ ჩვენი საიდუმლოებები იცის და უნ-და მოვეფეროთ, რომ არ გაგვთქვას. ეშმაკმა დალახვროს! განა შეიძლება ქალს რაიმე უთხრა, ან იმის ჭკუაზე იარო? გიჟს ვინ აძ-ლევს ხელში ქვას?!

სოფელს ორიოდე მილზე რომ მოვუახლოვდით, სამი შეიარა-ღებული მთიელი გადმოგვიხტა ბუჩქებიდან და გვიბრძანა, ფეხი არ მოიცვალოთო. როცა გავჩერდით, ერთი მათგანი მოგვიახ-ლოვდა და გვკითხა, ვინა ხართ და რა საქმეზე მიდიხართო.. ჩემ-მა თანამგზავრმა

მხოლოდ ერთი სიტყვა გაიმეტა; „გრეგარახიო“ ჩაილაპარაკა ზვიადად და მთიელებმა ისეთი ყიჟინა ასტეხეს, რომ იქაურობა შეძრეს. ერთმა მიწაზე დააგდო კაჟიანი თოფი, ორივე ხელები

მაგრად მოხვია მუხლებზე ბელადს და გელურად დაუწყო მილოცვა. ორი კი, როცა კარგად იჯერეს გული ყიჟინითა და შეძახილებით, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა სოფელში მახარობლად. ამ ამბავმა ისეთი აღტაცება გამოიწვია კლახანში, რომ ყიჟინამ და შეძახილებმა მთები შეაზანზარა. მთელი აბერფოილი - ბავშვები, დიდები, მოხუცები - დაიძრა ჩვენს შესახვედრად. როცა ბრბოს აჩქარებული ფეხის ხმა გავიგონე, რობ როის შევახსენე, ამ მხარეში არავინ მიცნობს და თქვენი მფარველობის იმედი მაქვს-მეთქი. მან ხელი ჩამჭიდა მკლავში და მანამდე არ გამიშვა, სანამ ირგვლივ შემოხვეულ, სიხარულით ჭკუადაკარგულ მთიელებს არ გააგებინა, ამ ახალგაზრდას არაფერი დაუშავოთო. მხოლოდ ამის მერე დაუწყო ხელის ჩამორთმევა მთიელებს.

ასე სწრაფად დელის სულთნის ბრძანებაც არ შესრულდებოდა, მაგრამ მთიელების თავაზიანობამ საკმაოდ შემაწუხა: ჯერ ისე მომესივნენ, რომ რამის სული შემეხუთა. მერე თითოეული მათგანი შეეცადა ხელი შეეშველებინა ოღრო-ჩოღრო გზაზე. ისე მომაწვნენ, რომ ქვას ფეხი წამოვკარი და კინაღამ მიწაზე გავიშხლართე. გამცილებლებმა დრო იხელთეს, ხელში ამიტაცეს და სულ ციმციმ მიმიყვანეს მისის მაკალპინის ფუნდუკამდე.

ამ სტუმართმოყვარე მასპინძლის ვიგვამთან მისვლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ სახელსა და დიდებას მთიან შოტლანდიაშიც ახლავს თავისი უხერხულობა: მაკგრეგორს დასვენება და ჭამა უნდოდა, მაგრამ სანამ ერთი თორმეტჯერ მაინც არ მოყვა თავისი გაქცევის ამბავი, ქოხში არ შეუშვეს. ერთმა თავაზიანმა მოხუცმა თორმეტჯერვე მითარგმნა ბელადის ნაამბობი და მე იძულებული ვიყავი თორმეტჯერვე სათანადო ყურადღებით მომესმინა ერთი და იგივე.

ბოლოს, მსმენელებმა გული შეაჯერეს და ჯგუფ-ჯგუფად წავიდნენ დასაძინებლად. ზოგი იქვე, მახლობლად, ღია ცის ქვეშ წამოწვა მიწაზე, ზოგმა მეზობელი ქოხებს მიაშურა, ნაწილი ჰერ-

ცოგსა და მაიორ გალბრეიტს წყევლიდა, ნაწილი ევან ბრიგლენ-დელის ბედზე წუხდა, ვაითუ ამ ამბავს გადაჰყვესო, ყველა ერ-თად კი იმ აზრისა იყო, რომ რობ როის დღევანდელი გაქცევა ნამდვილი გმირობა იყო, ყველა ერთხმად იმეორებდა, დუგალ-ქიარის, მაკგრეგორების გვარის ფუძემდებლის დროიდან რომ მოვყვეთ და ყველა ბელადის თავგადასავალი გავიხსენოთ, და-ვინახავთ, რომ რობ როის დღევანდელი სიჩაუქე იმაზე ნაკლები არაფრით არ არისო.

როცა ხალხი შეთხელდა, ჩემმა მეგობარმა ყაჩაღმა მკლავში ხელი წამავლო და ქოხში შემიყვანა. ყურადღებით მოვათვალიე-რე კვამლით გავსებული ქოხის ყველა კუთხე, იქნებ სადმე დიანა და მისი თანამგზავრი დავინახო-მეთქი, მაგრამ ვერსად დავლან-დე და კითხვითაც არ ვიკითხე, რომ ჩემი საიდუმლო არ გამჟღავ-ნებულიყო. ქოხში მხოლოდ ერთი ნაცნობი შევნიშნე - პატივცემუ-ლი ოლდერმენი. იგი მედიდურად დაბრძანებულიყო უზურგო სკამზე. რობ როი გულითადად მიესალმა მას, მერე მოუბოდიშა, თქვენ რომ გეკადრებათ ისე ვერა ვარ მოწყობილი, და, ბოლოს, ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხა.

- გმადლობთ, ბიძაშვილო, არა მიშავს რა, არც ისე ცუდადა ვგრძნობ თავს, მოწყობილი კი მართლა ვერა ყოფილხართ, მაგ-რამ მეტი რა ჩარაა, ჩემს სახლს ხომ ვერ წამოვიკიდებდი ზურგზე ლოკოკინასავით. ძალიან მიხარია, რომ მტრებს გამოექეცი...

- კარგი, ერთი! დიდი ამბავი მომხდარა. სულ მაგაზე ხომ არ ვილაპარაკებთ? გამოვიქეცი და მორჩა! ახლა კი მოდი თითო კათხა არაყი დავლიოთ. მამათქვენს, განსვენებულ უსტაბაშსაც უყვარდა ხანდახან ყელის ჩასველება.

- აი, ეგ კი მართალია, რობინ! მთელი დღის მუშაობით დაღ-ლილი რომ მოვიდოდა საღამოს შინ, ცოტას გადაჰკრავდა ხოლ-მე. მეც კარგა ჯაფა დამადგა დღეს და არაყი მომნათლავს.

ოლდერმენმა ნელ-ნელა დაუწყო ავსება პატარა, ასე სამჭიქიან ხის კათხას და თან ლაპარაკს განაგრძობდა: - ისე კი იმანაც ჩემი არ იყოს, ზომა იცოდა სმაში. გაგიმარჯოს, რობინ (მისტერ ჯარვიმ კათხა მიიყუდა და ცოტაოდენი მოსვა) ამ ქვეყნადაც წარმატება გქონდეს და იმ გრძელ სოფელშიც არაფერი შეგხვედროდეს ცუდი! (მან კვლავ მოსვა რამდენიმე ყლუპი) - ჩემს რძალსაც, ჰელინსაც და თქვენ ორივე შვილსაც ამას ვუსურვებ. კარგი ყმაწვილები არიან... თუმცა, იმათზე ცალკე მექნება ლაპარაკი...

ოლდერმენი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მერე დინჯად დაცალა სასმისი. მაკგრეგორმა გადმომხედა და თვალი ჩამიკრა, აქაო და ნახე, რა დღეშია, როგორ მარიგებს ჭკუასო. რობ როი თავის სამფლობელოში იყო და აჯანყებულ კლანს ედგა სათავეში, მაგრამ ოლდერმენი აქაც ისე მოძღვრავდა, თითქოს კვლავ გლაზგოს ციხეში ყოფილიყვნენ, სადაც მისი ერთი სიტყვა საკმარისი გახლდათ, რომ მახეში გაბმული ავაზაკი სახრჩობელაზე ჩამოეკონწიალებინათ. რობ როი არა ბრაზობდა. ჯერ ერთი მასპინძელი იყო და უნდა მოეთმინა და, გარდა ამისა, ეტყობა ართობდა ოლდერმენის დამრიგებლური კილო. ალბათ სწორედ ამიტომ ჩამიკრა თვალი, როცა მისტერ ჯარვიმ კათხა მოიყუდა და თვალები ჭერს მიაპყრო.

ოლდერმენმა დაცლილი კათხა მაგიდაზე დადო, მიიხედ-მოიხედა და როცა დამინახა, ჯერ მომესალმა, მერე კი გულითადად მომილოცა მშვიდობიანი დაბრუნება. ამის მეტი არაფერი უთქვამს ჩემთვის, დამპირდა, თქვენ საქმეზე მერე მოვითათბირებთ, ჩემს ნათესავთან უნდა მოვათავო საუბარიო და კვლავ მასპინძელს მიუბრუნდა:

- რობინ, იმედია, ეს ლაპარაკი ჩვენში დარჩება. ხომ არავინ მიიტანს ენას ქალაქის საბჭოში ან სადმე სხვაგან?

- ნუ გეშინია, ბიძაშვილო, - დაამშვიდა მაკგრეგორმა, - ჩემი ბიჭების ნახევარი ვერც გაიგებს თქვენს ლაპარაკს, მეორე ნახევა-

რი კი ერთ ყურში შეუშვებს და მეორედან გამოუშვებს. ერთი ვინმემ გაბედოს აქედან ენის წაღება და შიგ ძირში არ ამოვგლეჯ ენას?!

- კარგი და პატიოსანი, ბიძაშვილო! რადგან ასეა და მისტერ ოსბალდისტონიც ენადაცული ყმაწვილი და ჩვენი ერთგული მეგობარია, პირდაპირ გეტყვით, რომ თქვენ უფსკრულისაკენ მიგყავთ საკუთარი ოჯახი.

ამ სიტყვების შემდეგ ოლდერმენმა ჩაახველა, სახეზე მალვოლიოს[231] მკაცრი ნიღაბი აიფარა, რობ როის თვალებში ჩააშტერდა და განაგრძო:

- თავადაც კარგად იცით, რომ კანონსა და მართლმსაჯულებას ვერ ეწყობით, რომ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები ხართ, ჩემს რძალზე, ჰელინზე უნდა მოგახსენოთ... იმას თავი დავანებოთ, თუ როგორ შემხვდა - ვთქვათ, აღელვებული იყო და იმიტომ მიმიღო ასე მტრულად. ამაზე არაფერს ვამბობ, მაგრამ მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენი მეუღლე...

- ჩემს ცოლზე მხოლოდ ისა თქვით, რაც ქმარმა შეიძლება მოისმინოს მეგობრისაგან! - მკაცრად გააწყვეტინა მაკგრეგორმა, - ჩემზე კი, რაც გინდათ, ის ილაპარაკეთ.

- კარგი, კარგი, - დაიბნა ოლდერმენი, - ამ საკითხს ნუ შევეხებით. ცოლ-ქმრის საქმეშ არ უნდა ჩაერიოს კაცი. მაგრამ თქვენ ორი შვილი გყავთ: ჰემიში და რობინი ანუ ჯეიმზი და რობერტი. იმედია, ამიერიდან ასევე დაუძახებთ, თორემ ჰემიშების, ეხინებისა და ანგუსების გაკეთებული საქმე კაცს არ უნახავს. დასავლეთ შოტლანდიაში კი ხშირად ახსენებენ ამ სახელებს - ძალიან გაწაფულნი არიან საქონლის ქურდობაში და სასამართლო ისე არ ჩაივლის, რომ ერთი ეგეთი სახელის პატრონი არ მოიხსენიონ განაჩენში. ჰოდა, აი, ეგ თქვენი ვაჟკაცები, პირდაპირ გეტყვით, სულ მთლად უსწავლელები არიან. გამრავლების ტაბულაც კი არ იციან, გამრავლების ტაბულა კი ყოველთვის ცოდნის საფუძვე-

ლია! როცა ვუსაყვედურებ, ხითხითსა და მასხრობას იწყებენ, დარწმუნებული ვარ, არც კითხვა იციან, არც წერა და არც ანგარიში. აბა, ასეთი რამ შეიძლება ქრისტიანულ ქვეყანაში?! ჩემი ნათესავები მაინც არ იყვნენ!

- საიდან უნდა იცოდნენ? თავისით ხომ არ ისწავლიდნენ, - გულგრილად შენიშნა მაკგრეგორმა, - მასწავლებლები კი ვერ დავაყენეთ თავზე, იქნებ გლაზგოს კოლეჯის ღვთისმეტყველების ფაკულტეტის კარზე უნდა გამეკრა განცხადება; „რობ როის სჭირდება მასწავლებელი შვილების აღსაზრდელად“?

- არა, ბიძაშვილო, მაგრამ ახლაც შეგიძლიათ, სადმე ისეთ ადგილას გაგზავნოთ შვილები, სადაც ღვთის მორჩილებასა და ადამიანურ ყოფაქცევას ასწავლიან. ახლა მთლად ტყიურები არიან. რაღა ეგენი და რაღა ის ხარები, გლაზგოში რომ ჩამორეკავდით ხოლმე გასაყიდად, ან რაღა ეგენი და რაღა ის ინგლისელი გლეხები, იმ თქვენ ხარებს რომ ყიდულობდნენ ხოლმე - მაგათი ხელიდან ხომ არაფერი გამოდის.

- არც ეგრეა საქმე, - შეეკამათა მაკგრეგორი, - ჰემიში გაფრენილ ჩიტსა კლავს თოფით, რობი კი ორდუიმიან ფიცარში ხანჯალს იქით ახედებს.

- მით უარესი, ბიძაშვილო, მით უარესი! ეგ რა საქმეა, რაში გამოადგებათ აბა, თავად რა ხეირი ნახეთ მაგაში? თქვენზე კარგად ვინ იცის სროლა, ჩეხვა და ხანჯლით კაცის დაკვლა? როდის უფრო ბედნიერი იყავით: ნახირს რომ მიუძღოდით წინ და პატიოსან ლუკმას ჭამდით, თუ ახლა, ამ უნიფხვო ყაჩაღების რაზმს რომ მეთაურობთ?

ვატყობდი, რომ კეთილისმსურველი ნათესავის დარიგება ძალიან ტანჯავდა მაკგრეგორს: იგი წრიალებდა, იღუშებოდა და თან ცდილობდა, ოხვრა არ ამოსცდენოდა პირიდან. დავაპირე ჩავრეულიყავი და საუბარი სხვა კალაპოტში გადამეგდო: მისტერ ჯარვის კარგი უნდოდა ნათესავისთვის, მაგრამ რობ როი თავისე-

ბური კაცი იყო და იმასთან ასეთი კილოთი ლაპარაკი არ შეიძ-ლებოდა. მაგრამ ჩემი ჩარევა აღარ გახდა საჭირო. მასპინძელმა თვითონ შეაწყვეტინა დარიგებათა ნიაღვარი აბეზარ სტუმარს.

- მე ვიცი, რობ, - განაგრძობდა ოლდერმენი, - რომ თქვენ, დიდი ხანია, შავ სიაში ხართ ჩაწერილი, და არავინ მოგიტევებთ ამდენ დანაშაულს. თანაც, თქვენი ხნის კაცი აღარ გამოსწორდე-ბა, მაგრამ გული მეკუმშება, როცა ვხედავ, რომ ორი ჯან-ღონით სავსე ჭაბუკიც ამ უღმერთო გზას უნდა დაადგეს. ამიტომ, გადავ-წყვიტე, ორივე შეგირდებად მოვაწყო საფეიქრო სახელოსნოში. მეც და მამაჩემმაც, განსვენებულმა უსტაბაშმაც ამით დავიწყეთ ცხოვრება და ახლა, მადლობა უფალს, მხოლოდ ბითუმად ვაჭ-რობას ვეწევი და... და... ოლდერმენმა შენიშნა, რომ რობს საავ-დროდ მოექუფრა შუბლი და გადაწყვიტა, ახლავე მიერთმია სა-უბრის ბოლოსათვის შემონახული სიურპრიზი.

- და... რობინ... ეგრე ნუ მოიღუშეთ, ჩემო კარგო: ყმაწვილე-ბის ჭამა-სმასა და ჩაცმას მე ვკისრულობ და იმ ათას მარკასაც არასოდეს ვახსენებ.

- Ceade millia diaoul! ასი ათასი ეშმაკი! - დაიღრიალა რობმა, ფეხზე წამოხტა და წინ და უკან დაიწყო სიარული. - მაშ ჩემი ბიჭე-ბი მქსოველებად გავზარდო?! Millia mollig-heart![232] ჯოჯოხე-თის ცეცხლმა დაბუგოს გლაზგოს დაზგები და თითისტარები!

ოლდერმენმა შეკამათება დააპირა, მაგრამ როგორც იქნა და-ვაჯერე, ახლა ხმის ამოღება საშიშია - არ შეიძლება მოაბეზრო მასპინძელს თავი დარიგებებით-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ მაკ-გრეგორსაც გადაუარა გაბრაზებამ და უთხრა:

- ვიცი, რომ სიკეთე გინდა ჩემთვის და იმიტომ შემომთავზე ასეთი რამ. ხელი უნდა ჩამოგართვა მადლობის ნიშნად, ნიკოლ! თუ ოდესმე დავაპირე ბიჭების გაგზავნა სასწავლებლად, აუცი-ლებლად მოგაკითხავ. ჰო, მართლა, დროზე გამახსენე, რომ ან-

გარიში გვაქვს გასასწორებელი. ეი, ეხიმ მაკანალეისტერ, მოიტა ჩემი ქისა!

ეხიმ მაკანალეისტერმა - მაღალმა ჯანიანმა მთიელმა (ალბათ რობ როის ადიუტანტი იყო) სადღაციდან ტყავის დიდი ჩანთა მოიტანა. ასეთ ჩანთებს ქამარზე იკიდებენ შოტლანდიელი დიდებულები, როცა სადმე შორს უდევთ გზა. იგი ზღვის წავის ტყავისაგან იყო შეკერილი. გარედან ვერცხლის ლამაზი ბალთები ეკრა.

- ამ ჩანთის გახსნა არავის მისცემს ხელს - საიდუმლო საკეტი აქვს, - შენიშნა მაკგრეგორმა და ერთი ღილი ერთ მხარეს გადაატრიალა, მეორე - პირველის საპირისპიროდ, ერთი ბალთა მოაძრო, მეორეს თითი დააჭირა და ვერცხლის სქელი ფირფიტა, ჩანთას რომ ეფარა პირზე, აიხადა. რობ როიმ მითხრა, ჩანთაში პატარა დამბაჩაა დამალული და მისი ჩახმახი ისეა დაკავშირებული ვერცხლის ფირფიტასთან, რომ, თუ ქურდი ამ ფირფიტის ახდას მოინდომებს, შიგ გულში მოხვდება ტყვიაო.

- აი, ვინ არის ჩემი სალაროს უერთგულესი დარაჯი, - თქვა მაკგრეგორმა და დამბაჩას ალერსიანად გადაუსვა ხელი.

მომერიდა და აღარ ვუთხარი, რომ თუკი ქურდი მიაგნებდა ამ ჩანთას, საკეტს სულაც არ ახლებდა ხელს - მუცელს გაუფატრავდა და დააცარიელებდა. ამ გულუბრყვილო გამოგონებამ „ოდისეას“ ის სტრიქონები გამახსენა, რომელშიც მოთხრობილია, რომ ულისე[233] ნიჟარაში ინახავდა თავის ძვირფასეულობას და გარედან საკუთარი ხელით მოქსოვილ თოკის ბადეს აკრავდა.

პატივცემულმა ოლდერმენმა სათვალე წამოიცვა ცხვირზე, ყურადღებით დაათვალიერა ეს მოწყობილობა და ღიმილითა და თავისქნევით უთხრა მასპინძელს:

- ეჰ, რობ! ყველა ასე კარგად რომ ინახავდეს თავის ქონებას, ეგ ჩანთა ასე გატენილი არ იქნებოდა!!

- არც აგრეა საქმე, სახლიკაცო, - ღიმილით მიუგო რობმა, - როცა მეგობარს უჭირს, ან კარგი კაცის ვალი მაქვს გადასახდე-

ლი, ქისას თავისით ეხსნება ხოლმე პირი. აი, თქვენი ათასი მარკა - ერთიც არ აკლია, დაითვალეთ!

მისტერ ჯარვიმ ოქროები ჩამოართვა, ხელში აწონა, მერე მაგიდაზე დაყარა და თქვა:

- არა, რობ; მე ვერ ავიღებ ამ ფულს. ის კი არა, ხელიც არ უნდა მეხლო - ეგ ოქრო სიკეთეს არ დამაყრის. დღეს მივხვდი, სად არის შენი ოქროს მდინარის სათავე. არმად ნაშოვნი არმად წავა. მოდი, ნუ გამრევ შენს საქმეში. ეგ ოქრო ხომ სისხლშია გაბანილი.

- ტყუილადა გგონია აგრე, - ნაძალადევი ღიმილით თქვა ავაზაკმა, - ეს ფრანგული ბაჯაღლო ოქროა და არც ერთი შოტლანდიელის ქისაში არა დებულა. ნახეთ, სულ პრიალა ლუიდორებია, ახალმოჭრილი!

- მით უარესი, მეგობარო, - თქვა ოლდერმანმა და ოქროს თვალი აარიდა, თუმცა ხელები მისკენ მიურბოდა (ამის დანახვაზე იულიუს კეისარის ამბავი[234] გამახსენდა; ლუპერკალიის დღესასწაულზე გვირგვინს რომ სთავაზობენ, გულით უნდა აღება, მაგრამ სურვილს ერევა და უარს ამბობს), - მით უარესი! აჯანყება ჯადოქრობასა და ყაჩაღობაზე უარესია და საღმრთო წიგნიც მტკიცედ გვიკრძალავს შფოთისა და ამბოხის ატეხას.

- იშოვეთ სადარდელი და ეგ არის! ეს ფული თქვენ გეკუთვნით, სესხად მომეცით და ახლა გიბრუნებთ. მე ერთ მეფეს გამოვართვი, თქვენ კი, თუ გინდათ, მეორეს მიეცით. ამით მისი მტერი ჯეიმზი დასუსტდება, რადგან საწყალს სწორედ ფულის გაჭირვება აქვს, თორემ ერთგული ხალხი ბევრი ჰყავს.

- ფული თუ ცოტა აქვს, რობინ, ზემო შოტლანდიიდან ბევრს ვერ მიიმხრობს, - შენიშნა მისტერ ჯარვიმ; სათვალე გაიკეთა და ოქროს დაუწყო თვლა.

- ქვემოში კი კიდევ უფრო ნაკლებს, - დაცინვით თქვა მაკგრეგორმა და თვალით მანიშნა ოლდერმენზე, რომელიც ყველა ოქ-

როს ხელისგულზე წონიდა და დაკვირვებით სინჯავდა, ყალბი არ იყოსო. მან ორჯერ დათვალა ფული და, როცა დარწმუნდა, რომ თავანსა და სარგებელს არაფერი აკლდა, ხუთი ოქრო დაუბრუნა მაკგრეგორს - სამი ჩემს რძალს მიართვით, ახლი კაბა შეიკეროს, თითო კი ბავშვებს - რაშიც უნდათ მოიხმარონ, ოღონდ თოფის წამალი კი არ იყიდონ. მასპინძელს ძალიან გაუკვირდა ნათესავის გულუხვობა, მაგრამ არ შეიმჩნია, მადლობა გადაუხადა და ფული თავის ქისაში ჩააბრუნა.

შემდეგ ოლდერმენმა თამასუქი ამოიღო, რომლის მეორე გვერდზე წინასწარ დაწერა: ვალი მთლიანად მივიღეო. მან ხელი მოაწერა, თამასუქი მომაწოდა და მთხოვა თქვენც დამემოწმეთო. მე მოთხოვნა შევუსრულე. მისტერ ჯარვიმ ქოხს მოავლო თვალი, მეორე მოწმეს ეძებდა, რადგან შოტლანდიური კანონის მიხედვით, თამასუქს ორმა მოწმემ უნდა მოაწეროს ხელი.

- ტყუილად იწუხებთ თავს - ბევრიც რომ ეძებოთ, მაინც ვერ იპოვით ახლომახლო წერა-კითხვის მცოდნეს, მაგრამ მე სხვანაირად ვუშველი ამ საქმეს, - თქვა მაკგრეგორმა, თამასუქი დაჭმუჭნა და ცეცხლში ჩააგდო. მისტერ ჯარვიმ დააღო პირი, მაგრამ რობერტმა განუმარტა:

- ჩვენში ასე ასწორებენ ანგარიშს, ბიძაშვილო: თქვენთვის ასე სჯობია - ყველა ხელწერილი და საბუთი რომ შევინახო, შეიძლება ოდესმე ცუდად წაგივიდეთ საქმე!

ოლდერმენი აღარ შედავებია, რადგან მიხვდა, რომ მაკგრეგორი მართალი იყო. თანაც ამ დროს ვახშამი მოგვართვეს. სუფრა მრავალნაირი პაშტეტითა და შემწვარ-მოხრაკული ნანადირევით აივსო. ასეთი უხვი ტრაპეზი ძალიან იშვიათი რამ იყო ამ მხარეში. კერძები ცივი იყო - ალბათ სხვაგან დაამზადეს და სანამ მოიტანეს, გაუცივდათ. მალე რამდენიმე ბოთლი საუკეთესო ფრანგული ღვინოც გაჩნდა. მასპინძელმა სუფრაზე მიგვიწვია და თან ბოდიში მოგვიხადა, რომ ზოგი კერძი მოკლებული იყო:

- უნდა მოგახსენოთ, რომ ამაღამ სხვა სტუმრებიცა გვყავს, - თქვა მან და თვალი ამარიდა, - ასე რომ არ იყოს, ჩემი მეუღლე და შვილები აქ იტრიალებდნენ და ისე მოგვემსახურებოდნენ, როგორც წესი და რიგი მოითხოვს!

მისტერ ჯარვის აშკარად შეეტყო სახეზე, რომ გაუხარდა კიდეც ეს ამბავი. მეც არაფრად მეპიტნავებოდა მაკგრეგორის ცოლ-შვილის დანახვა და ოლდერმენის სიხარული გავიზიარე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ჰელინ მაკგრეგორი დიანასა და მის თანამგზავრს ემსახურებოდა და საშინელ ხასიათზე დავდექი. სევდა ვერც ნუგბარმა საჭმელებმა გამიქარვა და ვერც მხიარულმა

საუბარმა, რომელიც მაკგრეგორსა და მისტერ ჯარვის შორის გაიმართა სუფრაზე. ჯერ ისევ მაგიდას ვუსხედით, რომ ყურადღებიანი მასპინძელი უკვე მონდომებით შეუდგა საწოლების გამზადებას. აშკარა იყო, დღეს გუშინდელზე უკეთესად მოვისვენებდით ამ ქოხში. მაკგრეგორი კედლებთან მიდგმულ სკამ-ლოგინებს მიადგა, სათითაოდ გასინჯა, ფეხები არა ჰქონდეს მორყეულიო, ორი, ყველაზე მაგარი აღმოაჩია და ჯერ ერიკის ყვავილოვანი ყლორტები დააფინა და მერე ქვეშაგებლითა და ლაბადებით გააწყო, მშვენიერი საწოლები გამოვიდა: რბილი და სურნელოვანი. ოლდერმანმა იმ დღეს ბევრი დავიდარაბა გადაიტანა და ქანცი ჰქონდა გამოლეული, ამიტომ მასთან საუბარი დილისათვის გადავდე. იგი მაშინვე დაწვა და ხვრინვა ამოუშვა, მეც დაღლილი და გასავათებული ვიყავი, მაგრამ გულს რაღაც უცნაური ნაღველი და შეშფოთება მიღრღნიდა... ძილი არ მეკარებოდა. ამიტომ ლოგინისაკენ არც კი გამიხედავს და მასპინძელი იძულებული გახდა, საუბარი გაეგრძელებინა.

თავი XXXV

ბედი მუხთალი მრუმედ მაწევს სასომიხდილსა!..
ოდეს ვიხილე ზეციური მისი თვალების
უკანასკნელი გამოხედვა, ოდეს ვისმინე
უკანასკნელი ბგერა მისი ნეტარის ბაგის
და ვნახე, როგორ მიეფარა თვალს ტანი მისი,
ვიფიქრე: დადგა ჟამი ჩემი აღსასრულისა“...

„გრაფი ბაზილი“

- არ ვიცი, რა გიყოთ, მისტერ ოსბალდისტონ, - მითხრა მაკ-გრეგორმა და ბოთლი მომიწია, - არაფერი გიჭამიათ, არ იძინებთ და სასმელსაც არ აკარებთ პირს, თუმცა ეს ბორდოს ღვინო სერ ჰილდებრანდის მარნის ღვინოებზე ნაკლები არ არის. წინათაც ასე რომ მოქცეულიყავით, ბიძაშვილის რისხვასა და სიძულვილს არ დაიმსახურებდით.

- მაშინ ასე წინდახედული რომ ვყოფილიყავი, უფრო უარეს სატანჯველს გადავურჩებოდი, - ვუპასუხე და სახეზე ერთიანად შემომენთო სიწითლე, რადგან ჩემი სამარცხვინო დათრობის სცენა წარმომიდგა თვალწინ, - ყველაზე მკაცრი ჯალათი ხომ საკუთარი სინდისია?!

მაკგრეგორმა მრისხანე მზერა მესროლა, ალბათ იფიქრა, მე მსაყვედურობსო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ თვითონ არაფერ შუაში იყო, სხვა რაღაც მაწუხებდა და ოხვრით მიაბრუნა თავი ცეცხლისაკენ. მეც მის მაგალითს მივბაძე და ორივენი ფიქრების

ზღვაში ჩავიძირეთ. ქოხში ალბათ ყველას ეძინა, რადგან ხმას არავინ იღებდა.

სიჩუმე პირველად მაკგრეგორმა დაარღვია - თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ, ეტყობა, დარდი გუში ვეღარ დაიტია:

- ვიცი, რომ ბიძაშვილს გული შესტკივა ჩემზე, მაგრამ იმას კი აღარ უყურებს, რატომ დავადექი ამ გზას, რამ მაიძულა რომ გავჭრილიყავი ყაჩაღად!

მაკგრეგორმა იგრძნო, რომ მეტად საჩოთირო თემა აირჩია სასაუბროდ და დადუმდა, მაგრამ მე მაინც გავბედე და ვუთხარი, ალბათ, თავადაც ძალიან გაბეზრდით ასეთი ცხოვრებით, ამიტომ კარგი იქნება, თუ როგორმე მოახერხებთ და კვლავ პატიოსან შრომას დაუბრუნდებით-მეთქი.

- რა ბავშვურად მსჯელობთ, - დამცინა მაკგრეგორმა, - კამეჩის რქა არ მოიღუნება, წყალი აღმა ვერ იდენს! გულს რა მომიბრუნებს მაგათზე, როგორ ვაპატიებ, რომ მოღალატე მიწოდეს, რომ ჩემი მოკვლისათვის ჯილდო დანიშნეს, თითქოს ადამიანი კი არა, მგელი ვყოფილიყავი! როგორ ვაპატიო ჩემი ოჯახის დაქცევა და გაპარტახება, როგორ ვაპატიო, რომ წლების მანძილზე გვდევნიდნენ და ათასნაირ მახეს გვიგებდნენ! ამ ქვეყანაში ჩემი გვარის, უძველესი და სიმამაცით განთქმული გვარის, ხსენებაც კი აუკრძალეს ხალხს!

კიდევ დიდხანს ბობოქრობდა მაკგრეგორი და მიხვდა, რომ ამით საკუთარი სინდისის წინაშე უნდოდა ემართლებინა თავი, უნდოდა დაებეჯითებინა, იძულებული ვიყავი ამ მოლიპულ გზას დავდგომოდიო.

მაკგრეგორს თანდათან ენთებოდა რისხვის ალი, თვალებიდან ნაპერწკლებს ანთებდა... ბოლოს ფეხზე წამოხტა, ხანჯლის ვადა მაგრად ჩაბღუჯა და აბუხუნდა:

- მე მაგათ გავაგებინებ, ვინა ვარ! მე მაგათ გავაგებინებ, რომ ჩემს გადაკიდებას, მთელი ჯოჯოხეთის ავსულთა გადაკიდება ერ-ჩივნათ! ჩემი დროც მოვა ... მაშინ გაიცინონ, მაშინ ილაპარაკონ, ერთი საცოდავი, გაკოტრებული მეჯოგეა, პატივაყრილი და გზი-დან გადავარდნილიო! მაშინ დამიძახონ მაწანწალა და შარვალ-გამოხეული! ვერაფრით ამოვავსე მაგათი ღორი მუცლები და რა უნდა მექნა?! არა უშავს, ასმაგად გადავუხდი პატივისცემას! ჭიასა-ვით მიპირებდნენ გასრესას, მაგრამ ცეცხლსა და ნიაღვარს რომ დავატეხ თავს, მაშინ მიხვდებიან ვისთან ჰქონიათ საქმე! რა მა-ლაპარაკებს ამდენს? - დაწყნარდა ოდნავ მაკგრეგორი

და კვლავ მაგიდას მიუჯდა, - ძალიან გავცეცხლდი, მაგრამ დამიჯერეთ, მისტერ ოსბალდისტონ, ძნელია თავი შეიკავო, რო-ცა გუშინდელი მეგობრები და მეზობლები კურდღელივით გაგიგ-დებენ წინ და ყიჟინით დაგედევნებიან მოსანადირებლად, როცა შენს თავზე უამრავი მახვილია აღმართული, ასიოდე ჯარისკაცს კი მკერდზე დაუღირებია თოფი. ასე არ იყო დღეს ავანდუს ფონ-თან?! როცა ასე მოგესევიან, მთიელს კი არა, წმინდანს აევსება მოთმინების ფიალა. მთიელების სიფიცხისა და თავშეუკავებლო-ბის ამბავი კი, ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, მისტერ ოსბალ-დისტონ. ერთი მწარე სიმართლე კი მითხრა ნიკოლმა: ჰემიშსა და რობერტს ჩემი ბედი ელით და ყველაზე უფრო ეს მიკლავს გულს!

მაკგრეგორმა ამოიგმინა და სახეზე ხელები აიფარა.

სულის სიღრმემდე შემძრა ყაჩაღის აღსარებამ, უილ. იმაზე ამაღელვებელი არაფერია ამ ქვეყნად, ძლიერი და ამაყი სულის მქონე ადამიანს რომ წარეკვეთება სასო! ისე შემეცოდა, რომ თითქმის შეუძლებელი მოვინდომე. გადავწყვიტე, როგორმე დავ-ხმარებოდი:

- ჩვენ უამრავი ნაცნობი გვყავს უცხოეთში, - ვუთხარი მაკგრე-გორს, - რა იქნება, იქ რომ გავაგზავნოთ თქვენი ვაჟიშვილები

საცხოვრებლად. რაიმე წესიერ სამსახურს გამოვუნახავთ. მამაჩემის სავაჭრო სახლი დიდად დავალებულია თქვენგან და ყოველნაირად ხელს შეგიწყობთ...

მაკგრეგორმა ხელი წამავლო ხელში და მითხრა:

- გმადლობთ, დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ, მოდი, ახლა შევწყვიტოთ ეს საუბარი. აღარ მეგონა, თუ ოდესმე ცრემლი მომივიდოდა თვალებში. - მან ხელის ზურგით ამოიწმინდა თვალები და დასძინა:

- ხვალ დილას მოვითათბიროთ ამაზე. თქვენ საქმეზეც ხვალ ვილაპარაკებთ. დილას ალიონზე უნდა ავდგეთ. მე ყოველთვის ადრე ვდგები, მაშინაც კი, როცა ბედი გამიღიმებს და ლოგინში გავათევ ღამეს. თითო არ დავლიოთ?

სასმელზე უარი ვთქვი.

- მაშინ წმიდა მარონოხის სულსა ვფიცავ, მარტო დავლევ!

მაკგრეგორმა თითქმის სავსე ბოთი ჩაცალა თასში და სულმოუთქმელად დალია.

გადავწყვიტე, საუბარი მაშინ გამეგრძელებინა, როცა მასპინძელი უფრო დამშვიდებული იქნებოდა და ერიკის ყლორტებით გაწყობილ საწოლზე მივწექი დასაძინებლად; დავწექი, მაგრამ ისე დამაინტერესა ამ უჩვეულო ადამიანმა, რომ კარგა ხანს მალულად ვუჭვრეტდი. იგი ბოლთას სცემდა ქოხში, პირჯვარს იწერდა, ლათინურად ლოცულობდა. შემდეგ წამოწვა, ცალ მხარეს შიშველი ხანჯალი დაიდო, მეორე მხარეს დამბაჩა, პლედი ისე გადაიხურა, რომ საჭიროების შემთხვევაში უცებ წამომხტარიყო ფეხზე და მტრისთვის შეეტია, და რამდენიმე წუთის შემდეგ ძილს მისცა თავი. მეც მალე ჩამეძინა და დილამდე არ გამღვიძებია. ამ უცხო მხარეში მეტი სიფრთხილე მმართებდა, მაგრამ ისე ვიყავი დაქანცული იმდღევანდელი ფათერაკებით, რომ ძილს ვეღარ გავუძალიანდი.

როცა თვალები გავახილე და ქოხი მოვათვალიერე, მაკგრეგორი ვერსად დავინახე. მისტერ ჯარვი გავაღვიძე და საბუთების პოვნა ვახარე. მან ჯერ ბევრი იკვნეს და ივიშვიშა, ძლები მტეხს, ტანი სულ მთლად დალეწილი მაქვსო და მხოლოდ მერე ჩასწვდა ჩემი ნათქვამის აზრს.. მიხვდა თუ არა, რომ რეშლი ოსბალდისტონის მიერ გატაცებული ქაღალდები ხელთა მქონდა, სულ დაივიწყა საკუთარი გაჭირვება, სწრაფად წამოხტა ფეხზე, პაკეტი გამომართვა და მაშინვე შეუდგა საბუთების ფურცვლას. შემდეგ ოუენის მიერ გამოტანებული სიით დაიწყო ამ საბუთების შემოწმება, რომ გაეგო, ხომ არაფერი აკლიაო. იგი სწრაფად მუშაობდა და დროდადრო ბუტბუტებდა:

- სწორია, სწორია... აი ესენია... ბეილი და უიტინგეტონი... სად არის ბეილი და უიტინგეტონი? შვიდას ექვსი და რვა... სწორია, ერთი პენიც არ აკლია. პოლოკი და პილმენი - ოცდარვა და ექვსი

- ესეც აქ არის, მადლობა უფალს! გრაბი და გრაინდერი... საუცხოო ხალხია, უკეთესი არც მეგულება ქვეყნად... სამასსამოცდაათი... გლაიბლადი - ოცი, გლაიბლადს, მგინი, ცუდად აქვს საქმე... სლიპრიტონგი... სლიპრიტონგი გაკოტრდა, მაგრამ ორივეს პატარა თანხა მართებს, რაღაც ბუჩუყებია... უამისოდაც იოლად გავალთ, რადგან, მადლობა ღმერთს, სხვა საბუთები წესრიგშია და ხელთა გვაქვს. ახლა კი შეგვიძლია დავტოვოთ ეს საშინელი მხარე. ლოხ-არდი რომ მახსენდება, ტანში მცრის ხლომე!

ამ დროს ქოხში მაკგრეგორი შემოვიდა, ოლდერმენის ბოლო სიტყვებს მოჰკრა ყური და მოუბოდიშა:

- ძალიან ვწუხვარ, ბიძაშვილო, რომ თქვენი საკადრისი პატივი ვერ გეცით, აი, საკუთარ ქოხში რომ შემძლებოდა თქვენი მიღება...

- დიდად მადლობელი ვარ თქვენი, - შეაწყვეტინა ოლდერმენმა, - მეტი რა უნდა გექნათ, მაგრამ ახლა კი უნდა ვეწიოთ ჩვენს გზას. მე და მისტერ ოლბალდისტონს ძალიან გვეჩქარება. საქმე არ ითმენს...

- კეთილი, სახლიკაცო! ჩვენში სტუმარი უყვართ, მაგრამ, როცა ეჩქარება, გზას ულოცავენ. ნება თქვენია, წაბრძანდით, მაგრამ დრაიმენის გზით ვერ წახვალთ. ლოხ-ლომონდამდე მიგაცილებთ, მერე ნავით უნდა მიხვიდეთ ბალოხის ბორნამდე. იქ ცხენები დაგხვდებათ, სხვა გზით გამოვაგზავნი და გლაზგოს გზასაც დაადგებით. ასე ჯობს, ხომ გაგიგონიათ: „შორი გზა მოიარა და შინ მშვიდობით მიდიო“. თანაც იმ გზით არასოდეს უნდა წახვიდე, რომლითაც მოხვედი!

- რასაკვირველია, რობ, რასაკვირველია! მახსოვს, შენ მაშინაც ამ ჭკუაზე იდექი, როცა საქონლით ვაჭრობდი: მეორედ არასოდეს გაივლიდი იმ მინდორზე, სადაც შენი ხარები წაიბალახებდნენ. ახლა კი უარეს კვალს ტოვებ, სადაც გაივლი.

- ჰოდა, ამიტომ არის, რომ სხვა გზით გისტუმრებთ! თქვენ ერთი გზით გაგიშვებთ, ცხენებს კი მეორე გზით გამოგიგზავნით, დუგალ გრეგორს გამოვატან, ბატონი ოლდერმენის მსახურად მოინათლება, ბატონი ოლდერმენი კი აბერფოილიდან, ან რობ როის ქვეყნიდან კი არ მიდის გლაზგოში, არამედ სტირლინგიდან. ერთი ჩვეულებრივი მოგზაურია. გასაგებია? აი, დუგალიც მოვიდა!

- სხვაგან რომ შემხვედროდა, ვერაფრით ვერ ვიცნობდი ამ უქნარას, - შენიშნა მისტერ ჯარვიმ.

დუგალი მისტერ ჯარვის ცხენზე ამხედრებული მოადგა ქოხის კარს, ჩემი ცხენი სადავით ეჭირა და ისე იყო მორთულ-მოკაზმული, რომ, თუ კარგად არ დააკვირდებოდი, ვერ იცნობდი; თან ხიფთანი ეცვა, თავზე პარიკი ეკეთა და შლიაპა ეხურა - ეს ყველაფერი სულ ცოტა ხნის წინათ ენდრუ ფერსერვისის კანონიერი

კუთვნილება გახლდათ! რობ როიმ საბოლოო დარიგებები მისცა თავის ქვეშევრდომს: ხალხმრავალ ადგილებს მოერიდე, გზაში ცნობები შეკრიბე და რომ დაბრუნდები, მომახსენე. ბოლოხის ბორანთან შენ უფრო ადრე მიხვალ, მაგრამ ფეხი არ მოიცვალო იქიდან, ამათ დაელოდეო.

შემდეგ მაკგრეგორმა გვითხრა, ცოტა გავისეირნოთ, საუზმის წინ რამდენიმე მილის გავლა ძალიან გვარგებს, ოღონდ მანამდე ცოტა გადაკვრაც არ გვაწყენდაო. ოლდერმენმა მხარი დაუჭირა მასპინძელს.

- უზმოზე არყის სმა უგვანო და მავნე ჩვეულებაა, მაგრამ ხანდახან ნისლიან ამინდში პირდაპირ მისწრებაა - კუჭი აღარ აგტკივდება, კუჭი ხომ აზიზი რამ არის და ხელის შეწყობა უნდა. ნისლი რომ ჩამოწვებოდა, მამაჩემი, განსვენებული უსტაბაში ცოტა არაყს გადაჰკრავდა და სხვასაც დააძალებდა ხოლმე.

- ნამდვილია, სახლიკაცო, - გაუხარდა რობს, - ნაღდი სიტყვაა და ამიტომაც არის, რომ ჩვენ, ნისლისა და ბურუსის შვილები, დილიდან საღამომდე გეახლებით არაყს.

ოლდერმენმა მამამისის, განსვენებული უსტაბაშის, საყვარელი წამალი მიირთვა და ხვნეშით და ქოშინით ამხედრდა მთიულურ პონიზე. მეც შემომთავაზეს ცხენი, მაგრამ უარი განვაცხადე, ფეხით მირჩევნია-მეთქი და მალე ყველანი იმ გზას დავადექით, გუშინ რომ მიგვიყვანა აბერფოილში, ოღონდ ახლა სხვა ხალხი გვაცილებდა და სხვა ხასიათზე ვიყავით: მომავალი უიმედო და ბნელით მოსილი აღარ გვეჩვენებოდა.

ჩვენი ამალა მაკგრეგორისა და ხუთი თუ ექვსი ტანადი, იარაღში ჩამჯდარი მთიელისაგან შედგებოდა - ალბათ ბელადის მუდმივი ქეშიკები იყვნენ. იმ ადგილს მივუახლოვდით, სადაც გუშინ სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა მთიელებსა და ინგლისელებს შორის, თვალწინ ცხადად წარმომიდგა საშინელი

მკვლელობის სურათი. მაკგრეგორი მიმიხვდა, რატომ მოვიღუშე და მითხრა:

- ალბათ მხეცებად გვთვლით, მისტერ ოსბალდისტონ, არა? არც არის გასაკვირი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ არ დაგვიწყია ეს ომი - ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ. უხეში და უბირი ხალხი ვართ, სიფიცხეც მოგვდგამს, მაგრამ იმას კი ტყუილს ამ-ბობენ, თითქოს გულის მაგივრად ქვა გვედოს მკერდში და კაცის მოკვლა არაფრად მიგვაჩნდეს. არც გვაყენებენ, ყოველნაირად გვჩაგრავენ და გვავიწროებენ, თორე რა გვრჯიდა, რატომ დავიწ-ყებდით. თაობიდან თაობამდე სდევნიდნენ ჩვენს გვარს და იმი-ტომ გამოვიღეთ ხელი.

- თუ არ მოუსვენებ, ბრძენიც კი გაგიჟდება, - ჩაურთო ოლ-დერმენმა.

- ჰოდა, ჩვენისთანა ხალხს რაღა დაემართება? ახლაც ისეთ ბნელში ვცხოვრობთ, როგორც ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ ჩვენი მამა-პაპანი - სწავლა-განათლების შუქს ჯერ არ შემოუღწე-ვია ამ მთებში. აბა, შეიძლება გულმშვიდად უყუროს კაცმა, რო-გორ გვდევნიან და გვაწამებენ? ათასნაირი სისხლიანი ედიქტი გამოდის მთიელთა დასათრგუნავად, სახრჩობელასა და ეშა-ფოტს არ გვაკლებენ, ძველი და პატიოსანი გვარის შვილებს და-უნდობლად სპობენ... გადამთიელი მტერი არ მოექცევა ასე მტერს, ჩვენ კი ერთი ქვეყნის შვილები ვართ! აი, მე, მაგალითად, ერთი ოცი ბრძოლა მაინც გადამიხდია, მაგრამ ტყუილუბრალოდ არასოდეს მომიკლავს კაცი. რომ დამიჭირონ, ამას არ მიხედავენ და მაწანწალა ძაღლივით ჩამომახრჩობენ ვინმე დიდკაცის კარ-ზე!

- მე ინგლისელი ვარ, მაგრამ დიდ უკანონობად მიმაჩნია, რომ ასე გდევნიან თქვენა და თქვენი ოჯახის წევრებს, - ვუთხარი რობ როის და მერე კვლავ შევთავაზე, თუ თავად გადაწყვეტთ უცხო-ეთში წასვლას, შემატყობინეთ და დაგეხმარებით, თუ არა და,

შვილებს აუცილებლად მოგიწყობთ რომელიმე ქვეყანაში-მეთქი. მაკგრეგორმა გულითადად ჩამომართვა ხელი, მისტერ ჯარვი წინ გაუშვა (გზის სივიწროვე მოიდო საბაბად) და მიპასუხა:

- კეთილშობილი და გულიანი ახალგაზრდა ყოფილხარ! სწორედ მიმიხვდით, რა მიკლავს გულს, მაგრამ მე სამშობლოს ვერ შეველევი: აქ დავიბადე, აქ ავიდგი ფეხი და აქაური მიწა უნდა დამეყაროს გულზე! ამ მთებსა და კლდეებს სამოთხეზე არ გავცვლი. აქაურობას რომ მომაშორონ, ბაიასავით დავჭკნები და გადავყვითლდები! ეგეც არ იყოს, ჰელინს რა ეშველება უჩემოდ, ვის ხელში უნდა დავტოვო, ხომ ცოცხლად შეჭამეს უჩემოდ?! თან კი არ წამომყვება: შურისძიების იმედი აცოცხლებს ამდენ ხანს, უცხო ქვეყანაში კი გადატანილი დამცირებისა და შეურაცხყოფის გახსენება გაუხეთქავს გულს.. იყო დრო, როცა ჩემმა მძლეთა მძლე მოწინააღმდეგემ[235](იგი ჭეშმარიტად იმსახურებს ასეთ სახელს), ისე შემავიწროვა, რომ იძულებული გავხდი, ჩემი ხალხი და ოჯახი ამეყარა და მაკკოლუმ მორის ქვეყანაში გადავხვეწილიყავი. ჰოდა, მაშინ ჰელინმა ისეთი დიდებული სიმღერა შეთხზა, რომ მაკრიმონის[236] სიმღერებს არ დაუდებდა ტოლს - ნამდვილი გოდება იყო! სამშობლოს დატოვებას გლოვობდა! კინაღამ გულები დაგვისკდა დარდით, როცა ეს სიმღერა მოვისმინეთ! თითქოს შვილი მშობელ დედას დასტიროდა! ყველას, ქალსაც და ბავშვსაც, ვაჟკაცსაც და მოხუცსაც, ცრემლი ჩამოსდიოდა თვალებიდან! მეორედ აღარ ჩავაგდებ ასეთ დღეში ჩემს ჰელინს! არა, მაკგრეგორთა მთელი სამკვიდრო მამული რომ დამიბრუნონ, მაინც არ მოვშორდები აქაურობას!

- შვილებს არ გამოუშვებთ? - ვკითხე მე. - ისინი ახლგაზრდები არიან, მაგ ასაკის შოტლანდიელები ხალისით მიდიან ხოლმე სხვა ქვეყანაში.

- მაგათ არ დავუშლი. მართლაც მრავალი შოტლანდიელი ახლგაზრდა მიდის სახელისა და დიდების მოსახვეჭად უცხოეთში

და არაფერი დაშავდებოდა, რომ ჩემებსაც ეცადათ ბედი, მაგრამ დილით, სანამ თქვენ გეძინათ, მის აღმატებულებას მოვეთათბირე ამ საქმეზე და...

- მისმა აღმატებულებამ ჩვენს მახლობლად გაათია ღამე? - ვკითხე და ვიგრძენი, რომ გული ამიჩქროლდა.

- დიახ, თითქმის ჩვენს გვერდით ეძინა, მაგრამ მისი აღმატებულება, ცოტა არ იყოს, ეჭვიანია და არ უნდოდა დიანას შეხვედროდით, ამიტომ...

- მე ეჭვიანობის საბაბი არ მიმიცია, - შევაწყვეტინე მაკგრეგორს ლაპარაკი, - არასოდეს მიცდია სხვისი კუთვნილების მოტაცება.

- ნუ ცხარობთ, ფოცხვერივით ნუ მიბრიალებთ თვალებს. ნუთუ ვერა ხვდებით, რომ კარგი უნდა თქვენთვის? განა საქმით არ დაგიმტკიცათ? ისე კი თქვენი ბრალიც არის, რომ ჯაგნარს ცეცხლი მოედო[237].

- ჯაგნარს ცეცხლი მოედო? ვერა ვხვდები, რისი თქმა გინდათ?

- განა არ იცით, რომ ამ ქვეყნად ქალია ყველა ბოროტების სათავე? მე, კარგა ხანია ვუთვალთვალებ თქვენს ბიძაშვილს, რეშლი ოსბალდისტონს. დი ვერნონის ცოლად შერთვის იმედი რომ დაკარგა, იმ დროიდან ვიცოდი, რომ მისი აღმატებულების მტრობას ჩაიდებდა გულში. ამას კიდევ თქვენი ქაღალდების ამბავიც დაემატა: დიდი ლაპარაკი მოუვიდათ ამ საქმეზე. თურმე მართალი ვყოფილვარ, რომ არ ვენდობოდი - როგორც კი ეს ქაღალდები დააბრუნებინეს, სტირლინგში გაიქცა და მთავრობასთან დაგვაბეზღა. მთელი ჩვენი საიდუმლოებანი გათქვა და ბევრი რამ თვითონაც მოჭორა. სწორედ ამიტომ დააგზავნეს ბრძანება, რომ მისი აღმატებულება და დიანა დაეპატიმრებინათ. მეც ამიტომ დამიგეს ხაფანგი - ალბათ, რეშლი ვინმე ქვემო შოტლანდიელს სკვაიერს შეეკრა, მერე ის უბედური მორისი მომიგზავნა,

და მიმიტყუა. მორისს ხომ ყოველთვის თავის ნებაზე ატრიალებდა! არა უშავს, ოსბალდისტონების გვარი რეშლიზე რომ იყოს დამდგარი, მაინც არ დავინდობ! - მაკგრეგორი მოიქუფრა, ხანჯლის ვადა მაგრად ჩაბღუჯა ხელში და ავად დაიბუხუნა, - სადმე შევხვდები და ღორივით გამოვჭრი ყელს.

- ლამის გავიხარო, რომ ასე შეტრიალდა საქმე, - ვუთხარი მაკგრეგორს, - მე, დიდი ხანია ვეჭვობდი, რომ რეშლი ამ თავხედური შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური იყო და ახლა, რადგან განუდგა ამბოხების მოსურნეთ, იქნებ მთლიანად ჩაიფუშოს ავისმზრახველთა გეგმები.

- მაგის იმედი ნუ გექნებათ! - მითხრა რობ როიმ. - ჩვენი საქმე სამართლიანია და ღალატი ვერას დაგვაკლებს! მართალია, რეშლიმ ჩვენი გეგმები იცის და რომ არ დავესმინეთ, ედინბურგისა და სტირლინგის ციხე-სიმაგრეები დღეს-ხვალ ხელთ გვექნებოდა, მაგრამ ამ შეთქმულებაში იმდენი ხალხია გარეული და, თანაც, ეს ისეთი ქველი და ღირსეული განზრახვაა, რომ ერთი დასმენით არ ჩაიფუშება. აი, მალე ნახავთ, თუ მართალი არა ვარ! რას მოვაყოლე ეს ამბავი? ჰო, ძალიან მადლობელი ვარ, რომ ჩემი ბიჭებისათვის კარგი გინდათ! წუხელ ლამის გადავწყვიტე შვილების გაგზავნა უცხოეთში, მაგრამ მერე გადავიფიქრე. საქმე ისაა, რომ ახლა სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. ტომების ბელადებმა მხარი მხარს უნდა მისცენ და მტერს მოულოდნელად შეუტიონ, თორემ სათითაოდ გამოიმწყვდევენ თავიანთ მთებში, დააპატიმრებენ და ნახირივით ჩარეკავენ ლონდონში. განა ასეთი დღე არ დაადგა პატიოსან ჯენტლმენებსა და მემამულეებს შვიდას შვიდში?[238] შინაური ომი და მძინარე გველეშაპი ერთია. სანამ თვალები დახუჭული ჰქონდა, ჩვენც წყნარად ვიყავით და კიდევ ერთ ათ წელიწადს არაფერს ვიფიქრებდით, მაგრამ, აი, მოვიდა რეშლი, გამოგვაფხიზლა და ჩვენც ხელი უნდა გამოვიღოთ, თორემ ცეცხლის ნიაღვარში ამოვიბუგებით. როცა ასე

წავა საქმე, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს. თითოეული მებრძოლი თავისი წონა ოქრო ღირს და ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეებს ნუ ეწყინებათ, ღმერთმა კარგად ამყოფოს ორივე, მაგრამ მეფე ჯეიმზი არაფრით არ არის იმათზე ნაკლები. ამიტომ ჰემიში და რობი ჯერ თავიანთ მეფეს უნდა მოემსახურონ. ისინი ხომ ინგლისში არიან დაბადებულნი და ინგლისის მეფის ქვეშევრდომებად ითვლებიან!

ამ სიტყვებმა მიმახვედრა, რომ შოტლანდია სახალხო აჯანყების კარიბჭესთან იდგა. მაკგრეგორთან დავას და კამათს აზრი არა ჰქონდა და საშიშიც იყო. ამიტომ მხოლოდ ის ვუთხარი, რომ საერთო აჯანყება ქვეყანას გააღატაკებს და ათასნაირ უბედურებას მოიტანს-მეთქი.

- დე, ეგრე იყოს! - მომიგო მან. - ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია? დე, აირიოს ქვეყანა! მაშინ პატიოსანი კაცი უფრო ადვილად იშოვის ლუკმაპურს!

ხელმეორედ შევეცადე დიანაზე ჩამომეგდო სიტყვა, მაგრამ რობ როიმ მხარი არ ამიბა. იგი ყველაფერზე ხალისით მესაუბრებოდა, მაგრამ, როგორც კი ჩემთვის ყველაზე სანუკვარ საგანს შევეხებოდი, მაშინვე წყალს იგუბებდა პირში. ახლაც ძლივს ამოღერღა, ლედი სხვა ქვეყანაში აპირებს გამგზავრებას, სადაც, ალბათ, შოტლანდიაზე უფრო მშვიდი ცხოვრება ექნებაო. იძულებული გავხდი, ამ ცნობას დავჯერებოდი და იმითღა გამემხნევებინა თავი, რომ, შესაძლებელია, ბედს კიდევ ერთხელ მოეღო მოწყალება და ნაღველნარევი სიხარული მოენიჭებინა: სანამ საუკუნოდ დაგვაშორებდა ერთმანეთს, კიდევ ერთხელ გავებედნიერებინე მისი ხელით...

ჩვენ ტბის ნაპირს მივყვებოდით. ექვსიოდე მილი რომ გავიარეთ, ზემოშოტლანდიურ ფერმას ანუ რამდენიმე შორი-შორ დადგმულ ქოხს მივადექით. ფერმა კამკამა ყურეს გადასცქეროდა. ყურეს ლედიარტი თუ რაღაც ამის მსგავსი სახელი ერქვა. აქ

მაკგრეგორის მრავალრიცხოვანი რაზმი გველოდებოდა. ველური, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გაუნათლებელი ხალხის გემოვნება და მჭერმეტყველება არავითარი წესებითა და პირობებით არ არის შებორკილი და ამიტომ ისინი იშვიათად ცდებიან. მთიელებმა ამჯერადაც დაამტკიცეს, რომ ბუნების მიერ მინიჭებული ალღო და მიხვედრილობა ბევრად სჯობია სწავლა-განათლებით შეძენილ ცოდნას: მათ შესანიშნავად შეერჩიათ ადგილი სტუმრების მისაღებად. ვიღაცას უთქვამს, თუკი ინგლისის მეფეს სურს მოწინააღმდეგეზე შთაბეჭდილება მოახდინოს, ელჩები სამხედრო ხომალდის კაიუტაში უნდა მიიღოსო. მთის კლანის ბელადიც სწორედ მოიქცა, როცა ამ ზვიადი და დიდებული ბუნების წიაღში მოგვიწყო შეხვედრა.

ჩვენ ტბის ნაპირიდან ფერდობს ავუყევით და ასე ორასიოდე ნაბიჯი ავიარეთ აქაფებული მდინარის გასწვრივ, მარჯვნივ ხუთიექვსი ქოხი მოჩანდა. ყოველ ქოხს ხელისგულისოდენა მიწის დამუშავებული ნაკვეთი ეკრა, ზედ შვრია ან ქერი ეთესა.. ამ ნაკვეთებს გუთანი ვერ მოუდგებოდა, ალბათ ბარითა და თოხით ამუშავებდნენ. ვინ იცის, რა წვალებით გამოგლიჯეს ისინი ჯაგებსა და ეკალ-ბარდებს, რომ ორიოდე თვის სარჩო მაინც მოეწიათ. დამუშავებული მიწის ვიწრო ზოლს თავზე ყაფარი მთა წამოსდგომოდა. მთის თხემზე მაკგრეგორის ორმოცდაათიოდე რაზმელი გამწკრივებულიყო. ყველას ლაბადა ჰქონდა წამოსხმული. იარაღი თვალისმომჭრელად ულაპლაპებდათ ამომავალი მზის სხივებზე. მართლა რა შესანიშნავი ადგილი ამოერჩიათ!

ახლაც, რომ ვიხსენებ, სიამოვნებით მევსება გული!.. მთიდან ერთი ზავთითა და დგაფუნით მოექანებოდა მოზრდილი ნაკადული. მცირე მანძილის შემდეგ იგი თორმეტიოდე ფუტის სიმაღლიდან ეშვებოდა აქაფებულ ჩანჩქერად. ჩანჩქერის ნახევარი მზის სხივებით იყო გაშუქებული, ნახევარს ვეება ბებერი მუხის ჩრდილი ფარავდა, ნაკადულის ნაპირას რომ აღმართულიყო. ჩანჩქე-

რი ქვის დაბალ აუზში ჩადიოდა, რომელიც ისე ლამაზად იყო მომრგვალებული, ხელთქმნილი გეგონებოდა. აუზის ფსკერზე დაცემული წყლის ჩქერი ჯერ შხეფებად ადიოდა ზევით, მერე დაბლა ეშვებოდა, ფართო მოელვარე ზოლად გადაივლიდა აუზის ნაპირს და ორმოცდაათი ფუტის სიმაღლიდან ვარდებოდა ვიწრო, ჩაბნელებულ ხევში. ხევიდან ნაკადული უკვე ისე ერთვოდა ტბას, რომ გზაზე დაბრკოლება აღარ ხვდებოდა.

მთიელთ, განსაკუთრებით, ზემოშოტლანდიელებს, პოეზიისა და სილამაზის თანდაყოლილი ნიჭი აქვთ და ეს იმ დღესაც გამოამჟღავნეს: რობ როის ცოლმა და ქვეშევრდომებმა ზღაპრულად ტურფა ადგილზე გაგვიწყვეს საუზმე. შეუძლებელია, ამ მიდამოს აღტაცებაში არ მოეყვანა მნახველი. მთიელებს ტლანქებსა და გაუთლელებს ვუწოდებთ, მაგრამ სინამდვილეში სტუმართმოყვარე და ზრდილობიანი მასპინძლები არიან. სტუმრის პატივისცემა სისხლში აქვთ გამჯდარი და სტუმარ-მასპინძლობის წესებს მეტისმეტად მკაცრად იცავენ. სხვა მხარეში ეს წესები სასაცილოდ მოგეჩვენებოდათ, მაგრამ ამ თავით ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარ, შუბლგაუხსნელ ხალხს კარგად ეკილოკავება.

მაშინაც, დაგვინახეს თუ არა, ზუსტად შეასრულეს სავალდებულო ცერემონიალი - მთელი რაზმი ერთად შეგროვდა და სამი ადამიანის უკან გამწკრივდა. ცოტა ახლოს რომ მივედით, სამივე ვიცანი: ჰელინ მაკგრეგორი და მისი შვილები იყვნენ. თვითონ მაკგრეგორმა თავისი ამალა უკან მოიტოვა, მისტერ ჯარვის ურჩია, ჩამოქვეითდი, თორემ ცხენით ამ აღმართზე ვერ ახვალო, და ნელი ნაბიჯით გაგვიძღვა წინ. გაისმა გუდასტვირების ჭყვიტინი, მაგამ ეს ხმები ჩანჩქერის დგაფუნს შეერწყა და ისე უსიამოვნოდ აღარ ხვდებოდა ყურს. მთებზე რომ ავედით, მაკგრეგორის მეუღლე შემოგვეგება. ტანთ მოხდენილი სამოსი ეცვა - საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულიყო, მაგრამ გუშინდელივით მოქუფრული გახლდათ და გუშინდელივით აბრიალებდა თვალებს. ჰელი-

ნი ჩემს მეგობარს, ოლდერმენს მიუახლოვდა და, სრულიად მოულოდნელად, მხრებზე მოხვია ხელი მისალმების ნიშნად. ოლდერმენი ისე აცახცახდა, თითქოს ძუ დათვი გადაეხვიაო.

- სალამი, ნათესავო! თქვენც მოგესალმებით უცხოელო! - მომმართა ჰელინმა და დამფრთხალ ოლდერმენს ხელები შეუშვა. იგი მაშინვე გადახტა უკან და გვერდზე მოქცეული პარიკი გაისწორა, - თქვენ მაშინ ინებეთ მობრძანება ამ უბედურ ქვეყანაში, როცა გული ყელში გვქონდა მომდგარი, ხელებზე კი მტრის სისხლი გვეცხო, - განაგრძო ჰელინმა, - გთხოვთ გვაპატიოთ, ჩვენ, უბირ მთიელებს, რომ ასე ცუდად შეგხვდით, ამაში ჩვენ კი არა, ამ არეულ დროებას მიუძღვის ბრალი!

ჰელინ მაკგრეგორმა ისეთი ზვიადი გამომეტყველებით წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს დედოფალი ყოფილიყო. იტყოდი, ეს ქალი სასახლეშია დაბადებული და აღზრდილიო. ქვემო შოტლანდიელები სულ სხვანაირად ლაპარაკობენ. იმათი მდაბიური კილო ყოველთვის უსიამოვნოდ გვხვდება ხოლმე ყურში. მართალია, ჰელინიც შოტლანდიურად უქცევდა, ინგლისური ხომ მისი მშობლიური ენა არ იყო, მაგრამ გელურიდან, ამ პოეტური ენიდან, თარგმნიდა სათქმელს და ალბათ ამიტომ იყო, რომ მისი ნათქვამი სცენიდან წაკითხული ლექსივით ისმოდა. მის ქმარს თავის ფათერაკებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე უფრო უბრალო როლების შესრულება უხდებოდა და ამიტომ ასე ამაღლებულად ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ, როცა რაიმე ამაღელვებელ და მნიშვნელოვან საგანზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ყოველთვის ზუსტად და შთამაგონებლად გამოთქვამდა თავის თვალსაზრისს (ამას თავადაც შეამჩნევდი, უილ, თუ მე სწორად შევძელი მისი საუბრის სტილის გადმოცემა). ჩემი დაკვირვებით, მთიელები სასაუბროდ ქვემო შოტლანდიურ კილოკავს ხმარობენ და გელურად მხოლოდ მაშინ იწყებენ ფიქრს, როცა აღელვებულები არიან და განსასჯელი საკითხიც მნიშნელოვანია. და თუ მაშინ ინ-

გლისურად მოუხდათ აზრის გამოთქმა, ნათქვამი ამაღლებულად და პოეტურად ჟღერს! მართლაც, ვნებათა ენა ყოველთვის დაწმენდილი და ძლიერია! ამიტომ არის რომ, როცა შოტლანდიელს ვინმე მაღალფარდოვანი საყვედურებით მოაბეზრებს თავს, დაცინვით ეტყვის, ერთი, შენც, დამიწყე ინგლისურიო.

ბოლოს, მაკგრეგორის მეუღლემ საუზმეზე მიგვიწვია. სუფრა ბალახზე გაეშალათ და ზედ უხვად დაელაგებინათ ნუგბარი შოტლანდიური საჭმელები, მაგრამ დიდად ვერ ვისიამოვნეთ, რადგან დიასახლისმა შუბლი არ გახსნა და ჩვენც თვალიდან არ მიგვდიოდა საშინელი ტრაგედია, რომელიც სწორედ ამ ადგილას დატრიალდა წინადღით. ბელადი შეეცადა სიმხიარულე შემოეტანა სუფრაზე, მაგრამ ამაოდ დაშვრა: გულში ისეთი სიცივე ჩაგვდგომოდა, თითქოს ქელეხზე ვისხედით და, როცა საუზმე დამთავრდა, ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ.

- მშვიდობით, ნათესავო, - დაემშვიდობა ჰელინი მისტერ ჯარვის, როცა სუფრიდან ავიშალეთ, - დე, მეორედ აღარ შევხვდეთ ერთმანეთს! ჰელინ მაკაგრეგორი ამაზე უკეთესს ვერაფერს უსურვებს მეგობარს! მისტერ ჯარვიმ უცებ ვერ მოიფიქრა პასუხი. ეტყობა, კვლავ ჭკუის დარიგებას უპირებდა, მაგრამ ჰელინის მკაცრ თვალებს რომ წააწყდა, ვეღარ გაბედა. მან უხერხულად ჩაახველა, შეიშმუშნა, უხმოდ დაუკრა თავი ქალს და გვერდზე გადგა.

- თქვენ კი, უცხოელო, ერთი რამ უნდა გადმოგცეთ სახსოვრად იმ ადამიანისაგან, რომელსაც ვერასოდეს ვეღარ...

- ეს რა ამბავია, ჰელინ?! - დაიქუხა მაკგრეგორმა. - ბრძანება აღარ გახსოვს?!

- მე ყველაფერი მახსოვს, მაკგრეგორ, - მიუგო ქალმა, - მე არაფერი მავიწყდება. განა ამ ხელს შეუძლია, სიყვარულის საწინდარი გადასცეს ვინმეს? (მან მხრამდე შიშველი, გრძელი დაკუნთული ხელი გამოიშვირა წინ), არა ამ ხელით გადაცემული

სახსოვარი მხოლოდ სევდასა და კაეშანს მოუტანს ამ ყმაწვილს. აი, ეს გამოგიგზავნეს, - მითხრა ჰელინმა და ბეჭედი გადმომცა. მე მაშინვე ვიცანი იგი. მის ვერნონის ნაქონი იყო. - ეს იმან გამოგიგზავნათ, ვისაც ვეღარასოდეს იხილავთ თვალით. ამ მწუხარების მომტან სახსოვარს სწორედ ჩემისთანა უბედური ქალის ხელში უნდა გაევლო. ამის პატრონმა შემოგითვალათ, საუკუნოდ დამივიწყეთო.

- ნუთუ ფიქრობს, რომ ძალმიძს მისი დავიწყება?! - აღმომხდა ჩემდა უნებლიედ.

- ყველაფრის დავიწყება ძალუძს ადამიანს, ყველაფრის, მხოლოდ ნამუსის შელახვას ვერ დაივიწყებს ვერასოდეს და შურისძიების წყურვილს ვერ ამოიგდებს გულიდან!

-Seid suas![239]- შესძახა მაკგრეგორმა და ფეხი მოუთმენლად დაჰკრა მიწას.

მუსიკოსებმა სტვირებს ჩაჰბერეს და ჭყვიტინა, უსიამოვნო ხმებმა საუბარი შეგვაწყვეტინა. უხმოდ დავემშვიდობეთ დიასახლისს და გზას დავადექით. სახსოვარი ხელში მეჭირა, სახსოვარი, რომელმაც მამცნო, რომ დიანასაც ვუყვარდი, სახსოვარი, რომელმაც სამუდამოდ გადამიწურა მიჯნურის ხელმეორედ ხილვის იმედი.

თავი XXXVI

მშვიდობით გნახე, ქვეყანაო, ღრუბელნი სადაც
სუდარასავით განფენია მწვერვალებს ცადა,
სადაც არწივთა ხმა მქუხარე ჩანჩქერებს ერთვის,
სადაც ტბას ცისთვის მიუყრდნია ეული მკერდი...

ზვიადსა და რომანტიკულ ქვეყანაში ვმოგზაურობდით, სანახავი ბევრი რამ იყო, მაგრამ მე საკუთარ დარდსა და კაეშანში ვიყავი ჩაფლული და მიდამოს თვალიერების გული არა მქონდა. ამიტომაც არის, რომ აქ აკლია მოგზაურობის დასაწყისის აღწერილობა. მარჯვნივ ბენ-ლომონდის მწვერვალი აზიდულიყო ცაში. იგი ამაყად დასცქეროდა თავზე სხვა მთებს და ერთგულად იცავდა ზემო შოტლანდიის კარიბჭეს. ხასიათი მხოლოდ მაშინ გადამეწმინდა, როცა ხანგრძლივი და ძნელი მოგზაურობის შემდეგ გავლიეთ მთებით შემოსაზღვრული ხეობა და ლოხ-ლომონდის ტბა დავინახეთ. თავს არ შეგაწყენ იქაურობის აღწერით, რადგან მაინც არაფერი გამომივა - კაცმა თავისი თვალით უნდა ნახოს ეს სილამაზე! თვითონ ლოხ-ლომონდის ტბაზე კი უნდა ვთქვა, რომ გასაოცარი თავლწარმტაცი და დიდებული რამ არის! შიგ უამრავი ლამაზი კუნძულია, თანაც არც ერთი არა ჰგავს მეორეს. ტბა ჩრდილოეთით ვიწროვდება და სადღაც ნისლიან მთებში უჩინარდება, სამხრეთით კი ფართოვდება და ნაოჭებად ეკვრის ნაყოფიერ, უცხო სიტურფის სალეკვებს. ლოხ-ლომონდის აღმოსავლეთი სანაპირო კი ერთობ ხრიოკი და კლდოვანია. აქ აფარებდა თავს მაკგრეგორი თავისი კლანით და მათ ასალაგმავად მცი-

რერიცხოვანი გარნიზონი ჩაეყენებინა მთავრობას ლოხ-ლომონდსა და მეორე ტბას შორის, მაგრამ იმ ადგილებში უამრავი ხევი, ჭაობი და გამოქვაბული გახლდათ, სადაც ყაჩაღებს ადვილად შეეძლოთ მომხვდურის მოგერიება. ამიტომ ამ გარნიზონის ჩაყენება მხოლოდ იმის დამამტკიცებელი იყო, რომ მთავრობას შეგნებული ჰქონდა, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა აქაურობას მაკგრეგორისაგან. ამ საფრთხის თავიდან აცილება ასეთი პატარა რაზმით შეუძლებელი გახლდათ. ყაჩაღები მოუხელთებელნი და ჯარისკაცებზე უფრო საზრიანები იყვნენ და ხშირად თვითონ გარნიზონი ვარდებოდა ხოლმე შავ დღეში (ამის მოწმე ხომ თავად ვიყავი წინადღით). ერთი კი უნდა შევნიშნო, რომ თუ გამარჯვებულთ თვითონ მაკგრეგორი ედგა სათავეში, უაზრო სისხლის ღვრასა და გადამეტებულ სიმკაცრეს ვერავინ ბედავდა. კლანის ბელადი შორსმჭვრეტელი კაცი იყო და კარგად ესმოდა, რომ ამით ყველას გადაიმტერებდა. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ წინადღით დატყვევებული მტრები უვნებლად გაეშვათ. ხალხში ახლაც ხშირად გაიგონებთ რობ როის დიდსულოვნებისა და გულმოწყალების ქებას.

ყურეში, რომელსაც თავზე ვეება კლდე ჰქონდა გადმოხურებული, ნავი გველოდა. ნავში ოთხი ბრგე შოტლანდიელი მენიჩბე იჯდა. მასპინძელი გულთბილად გამოგვემშვიდობა. მისტერ ჯარვი და მაკგრეგორი სულ სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ, მაგრამ მაინც დიდ პატივს სცემდნენ ერთმანეთს. როცა ერთმანეთი გადაკოცნეს, გულაჩუყებულმა ოლდერმენმა აკანკალებული ხმით უთხრა ნათესავს, თუ ოდესმე ფული გაგიჭირდეს, სიტყვა მომაწვდინე და უყოყმანოდ გამოგიგზავნი ას, ან თუნდაც ორას გირვანქასო. პასუხად რობ როიმ ცალი ხელი მაგრად ჩამოართვა ოლდერმენს, მეორეთი ხმლის ვადა ჩაბღუჯა და მიუგო, თუ ვინმემ რამე გაწყენინოს, შემატყობინე და გლაზგოს ყველაზე საპატიო მოქალაქეც რომ იყოს, მაინც შიგ ძირში წავაჭრი ორივე ყურ-

საო. კიდევ მრავალი რამ დავპირდით ერთმანეთს, მტკიცე და საუკუნო მეგობრობის ფიცი დავდეთ და ტბაში შევცურეთ. გეზი სამხრეთ-დასავლეთისაკენ გვეჭირა, ტბის ბოლოსაკენ, სადაც მდინარე ლევენი იღებს სათავეს. რობ როი კლდის თავზე იდგა და თვალმოუშორებლად გვიმზერდა. დიდხანს, დიდხანს მოჩანდა მისი გრძელი თოფი, ნიავზე მოფრიალე პლედი და ქუდზე დამაგრებული ერთადერთი ფრთა. მაშინ შოტლანდიელი კეთილშობილები და მეომრები მხოლოდ ერთადერთ ფრთას იმაგრებდნენ ქუდზე, ახლა კი შავი ფრთების მთელი თაიგული ადგათ თავზე - სამგლოვიარო პროცესიის წინ რომ მარაო მიაქვთ, იმას უგავდა თავი. ბოლოს როცა კარგა მანძილით დავშორდით ნაპირს, ჩვენი მეგობარი შებრუნდა და ნელი ნაბიჯით აუყვა ფერდობს. უკან თავისი ამალა, ანუ მცველთა რაზმი გაჰყვა.

კარგა ხანს ხმა არ ამოგვიღია. სიჩუმეს მხოლოდ ერთი მენიჩბე არღვევდა დროდადრო - გელურ სიმღერას წამოიწყებდა ხმადაბლა, მერე სხვებიც აჰყვებოდნენ ხოლმე და მაშინ ტბას მჭექარე, ვაჟკაცური ხმები ეფინებოდა.

გულს მწუხარე ფიქრები მიდაგავდა, მაგრამ ამ დიად ბუნებას რომ მოვავლებდი თვალს, ვმშვიდდებოდი და ვამბობდი, კათოლიკე რომ ვიყო, სიამოვნებით ვიცხოვრებდი განდეგილად ერთ-ერთ ასეთ კუნძულზე-მეთქი. ოლდერმენიც ხმას არ იღებდა, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ სულ სხვაგვარ ფიქრებში ყოფილიყო გართული. ერთი საათის დუმილის შემდეგ ალაპარაკდა და მითხრა, აი, ყველაფერი ვიანგარიშე და დავრწმუნდი, რომ ტბა შეიძლება ამოაშრონ და მაშინ რამდენიმე ასეული... რომელი ასეული - რამდენიმე ათასი აკრი სახნავ-სათესი მიწა გათავისუფლდება, ახლა კი, აბა ვის რაში არგია ეს ტბა, მარტო ქარიყლაპიასა და ქორჭილას იჭერენო.

ჩემი გონება სხვაგან ქროდა, მაგრამ მისტერ ჯარვი არ მეშვებოდა და ყურები გამომიჭედა ლაპარაკით. ამ ვრცელი საუბრი-

დან მხოლოდ ის დამამახსოვრდა, რომ საჭირო იყო ტბის ნაწილი დაეტოვებინათ ნაოსნობისათვის, რათა დუმბარტონიდან გლენფალოხამდე ისევ თავისუფლად ევლოთ კარპაჭებსა და ორჩხომელებს, როგორც გლაზგოდან გრინოკში დადიოდნენ.

როგორც იქნა ტბა გავლიეთ და ნაპირს მივადექით. ამ ადგილას იწყება მდინარე ლევენი. იქვე მახლობლად ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები მოჩანდა აქ უკვე დუგალი გველოდებოდა ცხენებით. ოლდერმენმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გეგმა გამოაცხო, „უქნარა“ დუგალის საკეთილდღეოდ. ეს გეგმაც ფრიად დიდ სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა: ისევე ძნელი განსახორციელებელი იყო, როგორც იმ უზარმაზარი ტბის ამოშრობა.

- შენ კეთილი ყმაწვილი ხარ, დუგალ, და უფროსების ყადრიც იცი, მაგრამ უქნარა ხარ. ძალიან მეცოდები, ძალიან! ვიცი, ადრე თუ გვიან ჯედარტის სასამართლო[240] გელის - ჯერ სახრჩობელაზე ჩამოგკიდებენ და მერე გაარჩევენ შენს საქმეს. მე ქალაქის საბჭოს წევრი ვარ, მამაჩემს, უსტაბაშ ნიკოლ ჯარვის, ახლაც დიდი პატივისცემით იხსენებს ყველა და ვფიქრობ შევძლებ, რომ დაგეხმარო - ვიღაც-ვიღაცას გადავუკრავ სიტყვას, რომ ზოგიერთებისათვის უფრო დიდი ცოდვა უპატიებიათ. ასე რომ, უშიშრად შეგიძლია ჩვენთან ერთად წამოხვიდე გლაზგოში; კარგა ღონიერი მხარ-ბეჭი გაქვს და მტვირთავად გამუშავებ საწყობში. მერე რაიმე უკეთესი საქმეც გამოჩნდება და გადაგიყვან.

- დიდი მადლობელი ვარ, ბატონო, მაგრამ ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, თუ კიდევ დავადგა ფეხი ქალაქის ქუჩაზე. შეკოჭილს თუ შემათრევენ გელოუგეტში, როგორც მაშინ, სხვა ამბავია, ისე კი არ წამოვალ, - მიუგო დუგალმა.

შემდგომში გავიგე, რომ დუგალი პირველად დაპატიმრებული მიუყვანიათ გლაზგოში - ვიღაც გაუძარცვავს, მაგრამ მერე როგორღაც დაუმსახურებია ციხის უფროსის ნდობა და კარის მცვე-

ლად დაუწყია მუშაობა. ამ მოვალეობას იგი პატიოსნად ასრულებდა, სანამ ბელადი არ მივიდა ციხეში. რა გასაკვირია, რომ იგი მაშინვე კლანის მხარეზე გადავიდა და სამსახური მიატოვა.

ოლდერმენს ძალზე გაუკვირდა, რომ ასე გადაჭრით უარყვეს მის მიერ შეთავაზებული ბრწყინვალე სამსახური, მომიბრუნდა და მითხრა, ეტყობა, დაბადებიდან სულელია, ეს საცოდავიო.

მე სულ სხვანაირად გადავუხადე დუგალს მადლობა: ხელში ორი თუ სამი გინეა ჩავუდე. მან ისე გაიხარა ოქროს დანახვაზე, რომ ქურციკივით დაიწყო ხტუნვა და ფეხების ქნევა - ასეთ ანტრასებს ფრანგი ცეკვის მასწავლებელიც ვერ გააკეთებდა. ხტუნვით რომ გული იჯერა, ნავთან მიიჭრა, ოქრო ამხანაგებს უჩვენა და, მგონი, იმათაც უწილადა, რადგან ისინიც ატროკდნენ. შემდეგ ჯონ ბენიანის[241] საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმარო, თავისი გზით წავიდა და ამის მერე აღარც მინახავს.

მე და ოლდერმენი ცხენებზე შევსხედით და გლაზგოსაკენ გავემართეთ.

რა შესანიშნავი სანახაობა იყო-მეთქი, წამოვიძახე, როცა ზვიადი მთებით შემოფარგლული ტბა მიეფარა თვალს. ვიცოდი, მისტერ ჯარვი არ გაიზიარებდა ჩემს აღტაცებას, მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე.. მართლაც, მაშინვე ჭკუის დარიგება დამიწყო:

- თქვენ ახლაგაზრდა კაცი ხართ, თანაც ინგლისელი და სულ არ მიკვირს, რომ აქაურობა მოგწონთ. მე კი... მე უბრალო კაცი ვარ და მიწის ყადრი ვიცი, ამიტომ აქაურ ყველაზე ლამაზ ადგილს ერთი სულ უბრალო ნაკვეთი მირჩევნია გორბლასში. გორბლასი ხომ იცი? გლაზგოსთან რომ არის. ერთი მივაღწიო სახლამდე და მერე ვერც ერთი გადარეული... მაპატიეთ, მისტერ ფრენსის, რომ ეს სიტყვა წამომცდა, დიახ, მერე ვერავინ შემომიტყუებს ისეთ მხარეში, საიდანაც წმინდა მინგოს სამრეკლო არ მოჩანს!

პატივცემულ ოლდერმენს მალე შეუსრულდა ნატვრა: შეუჩერებლად ვიარეთ და იმავე ღამით, უფრო სწორად განთიადისას გლაზგოში ვიყავით. მე სახლის კარამდე მივაცილე ჩემი ღირსეული თანამგზავრი, საკუთარ ხელში ჩავაბარე მზრუნველსა და ყურადღებიან მატის და მისის ფლაიტერის სასტუმროსაკენ გავემართე. გათენებული არ იყო, მაგრამ სასტუმროს ფანჯრებიდან შუქი გამოდიოდა. კარი ენდრუ ფერსერვისმა გამიღო. ჩემი ხმის გაგონებისას სიხარულის ყიჟინა დასცა და მაშინვე მეორე სართულზე, იმ ოთახში ავარდა, საიდანაც შუქი გამოდიოდა. მივხვდი, რომ ენდრუ ოუმენთან მირბოდა მახარობლად, და ფეხდაფეხ მივყევი. ოუენი მარტო არ იყო ოთახში: იცი, ვინ იჯდა მასთან? ვინა და - მამაჩემი! იგი შეეცადა, ჩვეული სიდარბაისლით შემხვედროდა, მოხარული ვარ, ფრენსის, რომ მშვიდობით დაბრუნდიო, დაიწყო, მაგრამ მერე გადამეხვია და აღელვებულმა მითხრა: „შვილო, ჩემო ძირფასო შვილო, რა ბედნიერი ვარ, რომ ცოცხალსა გხედავ!“ ოუენი მდუღარე ცრემლებს მაფრქვევდა ხელზე და მშვიდობით დაბრუნებას მილოცავდა, მაგრამ არც კი ვუსმენდი, რადგან გულით ვგრძნობდი და თვალით ვხედავდი, რომ უსაზღვროდ იყო გახარებული. ახლაც, იმ დილას რომ ვიხსენებ, დამჭკნარ ღაწვებზე ცრემლი ჩამომდის. სიტყვები არ მყოფნის, რომ ეს შეხვედრა აღვწერო, მაგრამ შენი მოსიყვარულე გულის ამბავი ვიცი და იმედი მაქვს მიხვდები, თუ რა ბედნიერები ვიყავით მაშინ.

როცა გული ვიჯერეთ ერთმანეთის ალერსით, მაშინ თავისი თავგადასავალი მიამბო: ოუენი რომ შოტლანდიაში წამოსულა, მამაჩემი ჰოლანდიიდან ლონდონში დაბრუნებულა და სასწრაფოდ უშოვია თანხა, რათა ფირმის მთავარი ვალები გადაეხადა. დარწმუნებული ვარ, ჰოლანდიაში რომ არ წასულიყო, ფირმის საქმეები ასე არ აირეოდა. ამის საბუთად ისიც საკმარისია, რომ ჩამოვიდა თუ არა, თავისებურად დატრიალდა და ყველაფერი

დამში მოიყვანა. კონტინენტზე ყოფნისას რამდენიმე მსხვილი ოპერაცია ჩაეტარებინა, რამაც საკმაო მოგებაც დაუტოვა და კრედიტიც აღუდგინა. ასე რომ, ჯერ ლონდონელ მოვალეებს გაუსწორა ანგარიში და მერე შოტლანდიისაკენ გამოეშურა, რათა სასამართლოში აღეძრა საქმე რეშლი ოსბალდისტონის წინააღმდეგ და აქაურ აგენტებთანაც მოეწესრიგებინა ურთიერთობა.. მაკვიტისა და მის დამქაშებს თავზარი დაეცათ: ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფირმის მზე სამუდამოდ ჩაესვენა, მამაჩემმა კი ჩამოსვლისთანავე გაანაღდა ყველა თამასუქი და რამდენიმე ახალი შეკვეთაც მისცა შოტლანდიელ ვაჭრებს. მაკვიტიც და სხვა გაიძვერებიც შეეცადნენ თავი ემართლებინათ და კვლავ მოეპოვებინათ ფირმის უფროსის კეთილგანწყობილება, მაგრამ მისტერ ოსბალდისტონი საშინლად აღაშფოთა უერთგულესი კლერკის, ოუენის დაპატიმრებამ და ახლოს არ გაიკარა არც ერთი - ანგარიში გაუსწორა და მტკიცედ განუცხადა, თქვენი გროსბუხებიდან ამომშალეთო. ყალბი მეგობრები კი მოიშორა თავიდან, მაგრამ ჩემი ამბავი არ იცოდა და დარდით აღარ იყო. ოუენი გულუბრყვილო კაცი გახლდათ და თავიდან არ უფიქრია, თუ ქალაქიდან ორმოცდაათ-სამოც მილზე გასვლა ასე სახიფათო იყო. ლონდონიდან მართლა უშიშრად შეიძლებოდა გასეირნება და ფიქრობდა, გლაზგო რაღა ბედენა�ო. მამაჩემი კი უკვეთ იცნობდა ამ მთიან მხარესა და იქაურ ხალხს, ამიტომ ჩემი გამგზავრების ამბავი რომ უთხრეს, ძალიან შეშინდა. ოუენმაც გაიგო, რომ მთაში ჩვენი კანონები არ გადიოდა, და ისიც აფორიაქდა.

იმ საღამოს ენდრუ ფერსერვისი ჩასულა გლაზგოში და მთლად გადაურევია ორივე: ჩემი თავგადასავალი უამბია, ბევრი რამ გაუზვიადებია და ბოლოს უთქვამს, ძალიან ცუდ დღეში დავტოვე, არ ვიცი, როგორ დაიხსნის თავსო. ჯარის უფროსს, აი, იმ ჰერცოგს, ენდრუ დაუკითხავს, გაუთავისუფლებია, ცხენი მიუცია

და უბრძანებია, სასწრაფოდ დაბრუნდი გლაზგოში და შენი ბატონის ამბავი შეატყობინე მის მეგობრებსო.

ამბის მომტანს სიამოვნებს, როცა ყურადღებით უსმენენ და ყველაფერს უჯერებენ. ენდრუმ, მსმენელთა შორის მდიდარი ლონდონელი ვაჭარი რომ დაიგულა, ენა გააბრტყელა და ტყუილად მართალი ერთად დაახვია. თურმე ჩემი სიცოცხლე რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა და მხოლოდ ენდრუს გამოცდილებისა და შორსმჭვრეტელობის წყალობით გადავურჩი ამდენ განსაცდელს!

- გული მეკუმშება, როცა ვიხსენებ, რომ ყმაწვილს თავისი მფარველი ანგელოზი (ესე იგი, ენდრუ ფერსერვისი) აღარ უდგას მხარში! - უთქვამს ენდრუს, - მისტერ ჯარვის იმედი არ უნდა ჰქონდეს კაცს - გაჭირვებაში არავის დაეხმარება, რადგან თავისი თავის კაცია (ენდრუს ასეთი ხალხი თვალით დასანახავად ეჯავრებოდა). არ ვიცი, რა დაემართებოდა? ირგვლივ ხომ მოლაშქრეთა დამბაჩებისა და კარაბინების ქუხილი იდგა, მთიელთა ხმლები შხუილით კვეთდნენ ჰაერს... ავონ-დუ ღრიალით მოაგორებდა ტალღებს... რა ვიცი, რა გადაარჩენდა იმ საწყალ ყმაწვილს?!

კიდევ კარგი, რომ ოუენი მარტო არ იყო - ყველაფერს დაიჯერებდა და გულიც გაუსკდებოდა. მამაჩემი კი დაკვირვებული კაცი გახლდა და მაშინვე მიხვდა, რა ფასი ჰქონდა ამ კაცის მონაყოლს. მან, რაღა თქმა უნდა, ყურადღება არ მიაქცია ენდრუს კვეხნასა და ბაქაბუქს, მაგრამ მაინც ძალიან შეშფოთდა და მაშინვე გადაწყვიტა, მთაში წასულიყო ჩემს საშველად - იმედი ჰქონდა, რომ ან მოლაპარაკებით ან გამოსასყიდით დამიხსნიდა ყაჩაღების ხელიდან. წამოსვლამდე უნდოდა სასწრაფო საქმეები მოეწესრიგებინა და ისე დაეტოვებინა კლერკისათვის. ამიტომ იყო, რომ ისა და ოუენი გვიანობამდე შერჩნენ წერილებისა და საბუთების შედგენას. ჩვენ კიდევ დიდხანს ვისხედით ერთად. მე-

რე დავწექი, მაგრამ ისე ვიყავი აღგზნებული, რომ სულ ცოტა ხანს მეძინა. დილას ადრე გამომეღვიძა და ავდექი. ჩემი ერთგული მსახური მაშინვე მეახლა, რომ ჩაცმაში მომხმარებოდა. ახლა უკვე აღარ ჰგავდა ბაღის საფრთხობელას - შავი, სამგლოვიარო კოსტუმი ეცვა და დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელს დამსგავსებოდა. რამდენჯერმე ვკითხე, სად იშოვე-მეთქი, მაგრამ სიტყვა ყოველთვის ბანზე ამიგდო. ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა, აუცილებლად მივიჩნიე სამგლოვიარო ტანსაცმელი შემეძინა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ბატონის საგვარეულო აუნაზღაურებელ დანაკლისს ვერ გადაურჩებოდაო. ამ დილას უნდოდა დაებრუნებინა, მაგრამ ვაჭარს უკან აღარ მიუღია გაყიდული საქონელი და ახლა ჩემს იმედად დარჩენილიყო: ტანსაცმელი თქვენს სამსახურში შემომაცვდა, აბერფოილში ის გაცვეთილებიც წამართვეს და ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენა და მამათქვენი, რომელსაც განგებამ საკმაო სიმდიდრე უწყალობა, ზარალში არ ჩამაგდებთ. ერთი ხელი ტანსაცმელი მადლობა უფალს, სულ უბრალო რამ არის ოსბალდისტონებისათვის და ვიცი, უკან არ დაიხევთ, მით უმეტეს, როცა ეს ტანსაცმელი ასე ძალიან სჭირდება თქვენი ოჯახის ძველსა და უერთგულეს მსახურსო.

ენდრუს ამ ხრიკმა გაუმართლა, რადგან საჩივრად მთლად უსაფუძვლო არ იყო - მართლაც ჩემს სამსახურში დაზარალდა; ვალი გავუსტუმრე და ენდრუმ შესანიშნავად შეიფერა შავი კოსტუმი და კასტორის შლიაპა, თუმცა სამგლოვიარო არაფერი მჭირდა.

მამაჩემი იმ დილითვე ეახლა მისტერ ჯარვის და გულწრფელი მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის. შემდეგ ფირმის წარმატებები გააცნო და ფრიად ხელსაყრელი გარიგება შესთავაზა. მისტერ ჯარვის შეეძლო „მაკვიტისა და კომპანიის“ ნაცვლად ეთანამშრომლა ჩვენს სავაჭრო სახლთან. ოლდერმენმა გულით მი-

ულოცა მამაჩემს ფირმის გადარჩენა და არც თავისი დამსახურება უარყო - უთხრა, მე მართლაც, დიდი დახმარება გაგიწიეთ, თანაც იმ დროს, როცა ფირმის ბედი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ამაზე სიტყვას ნუღარ გავაგრძელებთ - თუ არავის დაეხმარები, როცა იქნება, გაგიჭირდება და და შენც არავინ მოგხედავსო. თანამშრომლობაზე სიხარულით დაეთანხმა და შენიშნა, მაკვიტი და კომპანია წესიერად რომ მოქცეულიყო, არაფრის გულისათვის არ გადავუხტებოდი წინ, მე პატიოსანი კაცი ვარ და სინდისი დამქენჯნის, ვინმეს რომ ლუკმა გამოვაცალო პირიდან, მაგრამ საშინლად მოგექცნენ და ღირსნი არინა, რომ იზარალონო.

შემდეგ ოლდერმენმა გვერდზე გამიყვანა, კიდევ ერთხელ მისურვა წარმატება და ჩურჩულით დასძინა:

- მე გულით მინდა, მისტერ ფრენსის, აქ, რაც შეიძლება, ნაკლები ითქვას იმ უცნაურ ამბებზე, რომლებიც იქ, მთაში ვნახეთ. თუ სასამართლოს გამომძიებელი დაგკითხავთ, არ უნდა დამალოთ, ისე კი, მე მგონი, არა ღირს, რომ ვინმეს მორისის ამბავი მოუთხროთ. ქალაქის საბჭოს წევრებს არც ისე მოეწონებათ, რომ იმათმა ამხანაგმა ვიღაც საცოდავ მთიელებთან იკადრა ბრძოლა და ერთ მათგანს პლედი დაუწვა. და რაც ყველაზე მთავარია: თუმცა საკმაოდ დარბაისლურად გამოვიყურები, როცა წესიერად მაცვია და მახურავს, მაგრამ მაშინ, უქუდოდ და უპარიკოდ რომ ჩამოვეკიდე ფალდებით იმ ტოტზე, თითქოს დამხრჩვალი კატა ვყოფილიყავი, ან კაჩხაზე მიკიდული წამოსასხამი... ალბათ, მაშინ ძალიან საცოდავი შესახედავი ვიყავი! ჰოდა, ოლდერმენმა, რომ გაიგოს ამბები, აღარ გამახარებს.

გამახსენდა, რა სახე ჰქონდა მაშინ ამ ღირსეულსა და პატივცემულ ოლდერმენს და ღიმილი ვეღარ შევიკავე. მისტერ ჯარვი შეჩქვიფდა, მაგრამ მერე თვითონაც გაიღიმა და თავის ქნევით მითხრა:

- მესმის, რატომ გეღიმებათ, მესმის, მაგრამ გამიწიეთ მეგობრობა და ნურავის ეტყვით ამ ამბავს. იმ ბაქია, თავხედსა და ყბედ ჩერჩეტს, აი, იმ თქვენს მსახურსაც აუკრძალეთ ამაზე ლაპარაკი. ეს ამბავი არავინ არ უნდა იცოდეს, ჩემმა მოახლე გოგონამაც კი, თორემ ბოლო აღარ ექნება ჭორებსა და მითქმა-მოთქმას.

ოლდერმენი შიშით აღარ იყო, ვაითუ ხალხმა მასხარად ამიგდოსო, მაგრამ, როცა ვუთხარი, მამაჩემი მალე აპირებს აქედან გამგზავრებას-მეთქი, დამშვიდდა და კვლავ გამხიარულდა. მართლაც, გლაზგოში არაფერი გვესაქმებოდა, რადგან რეშლის მიერ მოტაცებული ქაღალდების უმეტესი ნაწილი ხელთ გვქონდა. რამდენიმე თამასუქი რეშლიმ ფულად აქცია და დახარჯა. ფული თვითონაც სჭირდებოდა და პოლიტიკური ინტრიგებიც საკმაო თანხას ითხოვდა, მაგრამ ამ ფულის დაბრუნება მხოლოდ სასამართლოს ძალით შეიძლებოდა. საქმე უკვე აღვძარით და ვექილი გვარწმუნებდა, ყოველ ღონეს ვხმარობ, რომ, რაც შეიძლება, მალე დააკმაყოფილონ თქვენი სარჩელიო.

ის დღე სტუმართმოყვარე ოლდერმენთან გავატარეთ. ამის შემდეგ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ, ამიტომ, აქ უნდა დავემშვიდობო ჩემს კეთილისმყოფელს და ორიოდე სიტყვით მოგითხრო მისი შემდგომი თავგადასავალი.

მისტერ ნიკოლ ჯარვის კარგად მიუდიოდა საქმეები, თანდათან იხვეჭდა სიმდიდრესა და პატივისცემას და, ბოლოს, თავისი მშობლიური ქალაქის სამოქალაქო ხელისუფლების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ჩემ მიერ აღწერილ ამბებიდან ორი წელი რომ გასულა, ოლდერმენი გაბეზრებულა მარტო ცხოვრებით და მატისათვის, რომელიც მანამდე მისი სამზარეულოს გამგებელი იყო, მისის ჯარვის საპატიო ტიტული მიუნიჭებია. ოლდერმენ გრეჰემს, მაკვიტისა და კიდევ ვიღაც-ვიღაცეებს (კაცს ყველგანა ჰყავს თითო-ოროლა მტერი, მით უმეტეს, თუ იგი სამეფო ქალაქის საბჭოს წევრია) სასაცილოდ არ ეყო მოახლის ასეთი აღზევება, მაგრამ

მისტერ ჯარვიმ ყურიც არ შეიფერთხა - ვინც რა უნდა თქვას, წისქვილმა კი ფქვასო, იმშიდებდა თავს: - მაგათ ჭკუაზე არ დავდივარ, მანამ იყბედონ, სანამ მოსწყინდებათ. მამაჩემი, პატივცემული უსტაბაში, ხშირად იტყოდა ხოლმე:

ბროლის ყელი და უღრუბლო შუბლი გამოგიჩენია!
ღმერთი-რჯული, ერთგული და სიყვარულით სავსე გული
ოქროსა და კეთილშობილ ნათესავებს მირჩევნია.

- ეგეც არ იყოს, - დასძენდა ხოლმე ოლდერმენი, - მატი უბრალო მოახლე არ გახლავთ - ლერდ ლიმერფილდის ნათესავია!

მისტერ ჯარვის ზოგიერთი მეგობარიც თვლიდა, რომ ასეთი ცდა კარგს არაფერს მოსწევდა პატივცემულ ოლდერმენს, მაგრამ, არ ვიცი, გვარიშვილობის, არ ვიცი, საკუთარი ბინების წყალობით, მაგრამ მშვენივრად შეიფერა ახალი როლი და მთლიანად გააცუდა იმათი წინასწარმეტყველება. ამის შემდეგ მისტერ ჯარვის წყნარსა და სასარგებლო ცხოვრებაში, რამდენადაც ვიცი, ისეთი არაფერი მომხდარა, რომ საგანგებო მოხსენიების ღირსი იყოს.

თავი XXXVII

ექვსივე შვილი მოიხმო,
ექვს ვაჟკაცს ეტყვის ამასა:
„რამდენი ამოგვიდგებით
მხარში გრაფსა და მამასა?“
ხუთმა მათგანმა მაშინვე
მიუგო დაუფიქრებლივ;
„მამა, სამარის კარამდის
შენთან და გრაფთან ვიქნებით?!“

„აჯანყება ჩრდილოეთში“

იმ დილით, გლაზგოდან რომ უნდა გავმგზავრებულიყავით, ენდრუ ფერსერვისი შლეგივით შემოვარდა ოთახში, ცეკვა დაიწყო და მერე ხმამაღალი სიმღერაც შემოსძახა:

ანთია ქურა, ანთია ქურა,
ანთია ქურა, ისვრის ნაპერწკლებს...

ძლივს შევაწყვეტინე ყროყინი და ვკითხე, რა გიხარია-მეთქი. სახეგაბრწყინებულმა ენდრუმ დიდის ამბით მომახარა ახალი ამბავი: თურმე მთიელები აჯანყებულან - დიდ-პატარიანად აღმდგარან საბრძოლველად და დღეს თუ ხვალ რობ როი დაესხმება თავს გლაზგოს თავისი მაწანწალების რაზმით.

- ენა ჩაიგდე მუცელში! - დავუღრიალე ენდრუს. - შენ ან სადღაც გამომსკდარხარ და არ იცი, რასა როშავ, ან გაგიჟებულხარ! თუ გინდა სიმართლე ერიოს მაგ შენს მონაჩმახში, გასახარელი რა გაქვს, და რა გამღერებს, შე ძაღლო?

- ჰო, როგორ რა, - თავხედურად შემომიბრუნა სიტყვა ენდრუმ, - როცა თქვენისთანა ბატონებს უსიამოვნო ამბავს ეტყვიან, მთქმელი ან გამომსკდარია, ან გიჟი. რა მამღერებს? ახლა ჩქარა მოვუსვათ აქედან, თორემ მთიელები მოვლენ და თქვენც აგამღერებენ, ოღონდ სულ სხვა კილოზე!

ფეხზე წამოვხტი და ოთახიდან გავედი. მამაჩემსა და ოუენს უკვე ჩაეცვათ ტანთ. ორივე აფორიაქებული და შეშფოთებული იყო. ენდრუ ფერსერვისის ამბავი მართალი გამოდგა. დაიწყო შოტლანდიის უდიდესი აჯანყება, რომელმაც მთელი ბრიტანეთი შეაზანზარა 1715 წელს. აჯანყების ცეცხლი სვეუბედურმა მარმა ააგიზგიზა. გრაფმა მარჯვე დრო ვერ შეარჩია სტიუარტების დროშის ასაფრიალებლად და ამით შოტლანდიისა და ინგლისის მრავალი დიდგვაროვანი ოჯახი დაღუპა. შეთქმულება გასცეს - მეფე ჯეიმზის რამდენიმე აგენტმა, მათ შორის რეშლიმ, ჯორჯ I მთავრობას შეატყობინეს შეთქმულთა გეგმები. მეფემ რამდენიმე მოთავე დააპატიმრა და დანარჩენები იძულებული გახდნენ, ნაადრევად დაეწყოთ აჯანყება. თანაც, აჯანყებამ სამეფოს განაპირა მხარეში იფეთქა და ქვეყანა კი შეაზანზარა, მაგრამ საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა. მე მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რატომ გაბრუნდნენ უკან მაკგრეგორის დასაჭერად წამოსული დასავლეთის კლანები, რატომ დაივიწყეს ძველი დავა და შუღლი - წინ საერთო საქმე ედოთ და ძველი ანგარიშების გასასწორებლად არ ეცალათ. ამაზე მაკგრეგორმაც გადამიკრა სიტყვა, მაგრამ მაშინ ვერ მივხვდი.

ყველაზე უფრო იმან დამამწუხრა, რომ დიანა ვერნონი აჯანყების ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მონაწილის ცოლი

გახდა და ამიერიდან ათასგვარ საფრთხესა და გაჭირვებას უნდა გამკლავებოდა.

იქვე მოვითათბირეთ, რა გზას დავდგომოდით. მამაჩემმა გვირჩია, სასწრაფოდ აგვეღო ქვეყნიდან გასვლის ნებართვა და ლონდონში წავსულიყავით. ეს რჩევა ყველმა მივიღეთ. შემდეგ მამას ჩემი გადაწყვეტილება ვამცნე: ამბობენ, მოხალისეთა რაზმები ყალიბდება და ლონდონში რომ ჩავალთ, ერთ-ერთ რაზმში უნდა ჩავეწერო-მეთქი. მამაჩემმა დასტური მომცა, რომ მეთხოვა, სამუდამოდ მინდა ჯარში სამსახური-მეთქი, უარს მეტყოდა, მაგრამ სარწმუნოებისა და წესრიგის დასაცავად თვითონაც უყოყმანოდ გასწირავდა სიცოცხლეს და ამიტომ იყო, რომ არ დამიშალა მოხალისედ წასვლა.

წინ სახიფათო გზა გვედო, თანაც, უნდა გვეჩქარა, დამფრიზშირი და მისი მეზობელი საგრაფოები გავიარეთ. ტორების მომხრე სკვაირები უკვე აჯანყებულიყვნენ და რაზმები ჩამოეყალიბებინათ, ვიგებს კი დიდ ქალაქებში მოეყარათ თავი, მოსახლეობას აიარაღებდნენ და სამოქალაქო ომისათვის ემზადებოდნენ. რამდენჯერმე ძლივს გადავურჩით დაპატიმრებას. ბოლოს ჭკუა ვისწავლეთ და შორს ვუვლიდით იმ ადგილებს, სადაც ჯარი იყო დაბანაკებული.

ლონდონში ჩასვლისთანავე ბანკირთა და დიდვაჭართა იმ ჯგუფს შევუერთდით, რომელიც მთავრობას უჭერდა მხარს. შეთქმულებს ფონდებზე მიეტანათ იერიში - იმედი ჰქონდათ, რომ ამით სახელმწიფოს გააღატაკებდნენ და გამარჯვებას გაინაღდებდნენ, მაგრამ ჩვენმა ჯგუფმა გეგმები ჩაუშალა. მამაჩემი ფინანსისტთა ამ მძლავრი გაერთიანების ხელმძღვანელთა რიგებში შეიყვანეს, რადგან ყველამ იცოდა მისი გამოცდილებისა და მუყაითობის ამბავი. მას მთავრობასთან ურთიერთობა დაავალეს და კარგადაც გაართვა თავი ამ საქმეს: საკუთარი და მის განკარგულებაში გადაცემული საზოგადოებრივი სახსრები გამოიყენა

და სახელმწიფო ქაღალდებს მუშტრები უშოვა. ეს ქაღალდები უამრავი რაოდენობით გამოყარეს ბირჟაზე აჯანყების დაწყებისთანავე და, რასაკვირველია, ძალზე გაუფასურდა. მეც არ ვიჯექი უქმად: მოხალისედ შევედი, ორასი მოლაშქრე დავიქირავე მამაჩემის ხარჯით და გენერალ კარპენტერის არმიას შევუერთდი.

ამასობაში აჯანყება ინგლისსაც მოედო. გრაფი დერვენტუოტერი და გენერალი ფოსტერი აჯანყებულების მხარეზე გადავიდნენ. საწყალი ბიძაჩემიც სტიუარტების დროშის ქვეშ დადგა. მამული ხელიდან ეცლებოდა - ჯერ საკუთარმა უთაურობამ და მერე შვილების გაუთავებელმა ქეიფებმა და სანაძლეოებმა გაღატაკების კარზე მიიყვანა საცოდავი მოხუცი და ბევრი აღარ უყოყმანია. ოღონდ, მანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა, უჩვეულო წინდახედულება გამოიჩინა - ანდერძი შეადგინა.

ამ საბუთით სერ ჰილდებრანდი მთელ თავის ქონებას - ოსბალდისტონჰოლს, მიწებს, საძოვრებსა და ტყეებს თავის უფროს შვილსა და იმის მემკვიდრეებს უტოვებდა.. თუ უფროსი უმემკვიდრეოდ გარდაიცვლებოდა, ქონება მომდევნო ძმის ხელში უნდა გადასულიყო, მერე იმის მომდევნოსი და ასე იყო ჩამოთვლილი ყველა ძმა უფროს უმცროსობის რიგზე, ოღონდ ყველაზე უმცროსი, რეშლი, სულ არ იყო ნახსენები ამ ანდერძში. სერ ჰილდებრანდმა საშინლად შეიძულა თავისი ნაბოლარა შვილი გამცემლობისათვის და მის მაგივრად მე დამნიშნა მემკვიდრედ. მოხუცს ყოველთვის ვუყვარდი, მაგრამ არა მგონია, ეს ყოფილიყო ჩემი მემკვიდრედ გამოცხადების მიზეზი. სერ ჰოლდებრანდი, თავისი გოლიათი შვილების შემხედვარე, დარწმუნებული იყო, ჩემს ძმისწულს მემკვიდრეობის რიგი არ მოუწევსო და მხოლოდ იმიტომ შემიტანა ანდერძში, რომ უფრო ცხადად გამოეხატა თავისი სიძულვილი ქვეყნისა და ოჯახის მოღალატე შვილისადმი. ანდერძის ცალკე მუხლით სერ ჰილდებრანდი თავისი განსვენებული მეუღლის ძმისწულს, დიანა ვერნონს, ახლა უკვე ლედი დი-

ანა ვერნონ ბიუჩემპს, მამიდამისის ნაქონ ბრილიანტებსა და ვერ-ცხლის ვეება თასს უტოვებდა. თასზე ვერნონებისა და ოსბალ-დისტონების ერთმანეთში გადახლართული გერბები იყო ამოტ-ვიფრული.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო: აბა, რას წარმოიდგენდა უბედური მამა, რომ მისი მრავალრიცხოვანი, ჯან-ღონით სავსე შთამომავლობა ასე მალე გადაშენდებოდა!

გრინ-რიგში, სადაც აჯანყებულთა ჯარმა მოიყარა თავი, თორ-ნკლიფ ობალდისტონი და ვიღაც ნორთუმბერლენდელი სკვაირი შეკამათდნენ, არა მე უნდა ვიყო უფროსი, არა მეო. ეს სკვაირი ჩემი ბიძაშვილივით ფიცხი და თავისნათქვამა გამოდგა. ბევრი ურჩიეს, მაგრამ არც ერთმა დაიხია უკან, არც მეორემ და თვალ-ნათლივ აჩვენეს თავიანთ მეთაურს, თუ რისი იმედი უნდა ჰქონო-და ასეთი ურჩი ჯარისკაცებისაგან. დავა იარაღით გადაწყვიტეს - რაპირებით შეებრძოლნენ ერთმანეთს და მოწინააღმდეგემ გუ-ლი განუგმირა ჩემს ბიძაშვილს. მისი სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკარგი იყო სერ ჰილდებრანდისათვის, რადგან თორნკლიფს ხასიათი არ უვარგოდა, თორემ სხვა ძმებზე გაცილებით ჭკვიანი იყო (რეშლის, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ამ ძმებში).

ლოთი პერსივალიც ხელობას გადაჰყვა: ერთ ჯენტლმენს, მეტსახელად „უძირო კასრს“ რომ ეძახდნენ, უთხრა, ჯეიმს სტიუ-არტს მეფედ რომ გამოვაცხადებთ მორპეტში, არყის სმაში გაჯო-ბებო. ჯენტლმენმა შესთავაზა, მოდი, ახლავე შევეჯიბროთო და პერსიც დაეთანხმა. არ მახსოვს, რამდენ-რამდენი დალიეს, მაგ-რამ პერსის ცხელება დაემართა და მესამე დღეს სული მიაბარა უფალს. სიკვდილის წინ შეუჩერებლივ გაჰყვიროდა, წყალი, წყა-ლიო.

დიკონმა უორინგტონის ხიდის მახლობლად მოიტეხა კისერი. კოჭლი ცხენის გასაღება მოინდომა და აჯანყებულთა რაზმში მყოფ ვიღაც მანჩესტერელ ვაჭარს დაუწყო დარწმუნება, წმინდა

სისხლის ცხენებს კოჭლობა არაფერს უშლისო. თავისი სიტყვების დასასაბუთებლად ცხენი ხუთიარდიან ბარიერზე გადაახტუნა. გადახტომით კი გადახტა, მაგრამ მერე თავი ვეღარ შეიკავა, წაიქცა და მხედარი სასიკვდილოდ დაამტვრია.

სულელს ბედი სწყალობსო და უილფრედსაც ძმებზე უკეთესი სიკვდილი ერგო - იგი ბრძოლაში დაიღუპა, ლანკაშირის საგრაფოში, პრაუდ-პრესტონის მახლობლად, იმ დღეს, როცა გენერალმა კანპენტერმა იერიში მიიტანა აჯანყებულთა ციხე-სიმაგრეზე. უილფრედი თავგანწირულად იბრძოდა, თუმცა, როგორც ამბობენ, აჯანყების მიზეზი და მიზანი მთლად კარგად არ იცოდა და ხანდახან ისიც კი ავიწყდებოდა, თუ რომელი მეფის გულისათვის უნდა გაეწირა თავი. ჯონიც ამავე ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას. იგი რამდენიმე ადგილას დაიჭრა, მაგრამ მაშინვე არ მომკვდარა.

მეორე დღეს, როცა აჯანყებულებმა იარაღი დაყარეს, მოხუცი ჰილდებრანდი დაჭრილ შვილთან ერთად ნიუგეტში გადაიყვანეს. იმ დროს უკვე განთავისუფლებული ვიყავი სამხედრო სამსახურიდან და ყველანაირად შევეცადე, დავხმარებოდი ჩემს ნათესავებს. მამაჩემს ამდენი დამსახურებაც რომ არ ჰქონოდა მთავრობის წინაშე, სერ ჰოლდებრანდსა და მის შვილს მაინც არ დასჯიდნენ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის, რადგან ყველას ძალიან ეცოდებოდა ეს გაუბედურებული მოხუცი. ასე რომ, მიწიერი სასამართლოსი არ უნდა შინებოდათ, მაგრამ ზეცას თურმე უკვე გამოეტანა განაჩენი მამა-შვილისათვის: ჯონი ნიუგეტში გარდაიცვალა ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისაგან. მე თავზე ვადექი. უკანასკნელ ამოსუნთქვას ამოაყოლა, ჩემს შევარდნებსა და ლუსის შენ გაბარებო. ლუსი შავი სპანიელი იყო, ძუკნა. ჯონს თავს ერჩია ეს ძაღლი.

საწყალი ბიძაჩემი მიწასთან გაასწორა შვილების დაღუპვამ. ლაპარაკი თითქმის აიკვეთა, თვალებით მიხდიდა მადლობას, როცა მოვახერხებდი და მცირეოდენ დახმარებას გავუწევდი.

მამაჩემმაც ინახულა. ძმები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ამდენი წლის განშორების შემდეგ, თანაც ასე სამწუხარო ვითარებაში, ამიტომ მე აღარ დავესწარი მათ უკანასკნელ საუბარს. მამაჩემზეც საშინლად იმოქმედა მომაკვდავი ძმის ნახვამ - დაფიქრებული და დანაღვლიანებული გამოვიდა ოთახიდან.

სერ ჰილდებრანდი სულ წყევლა-კრულვით იხსენიებდა თავის ერთადერთ შვილს - რეშლი რომ არა, შვილები ცოცხლები მეყოლებოდნენ, იმან ჩაგვითრია პოლიტიკაში და მერე თვითონ პირველი გადგა გვერდზეო. ორ-სამჯერ დიანაც ახსენა სიყვარულით, ხოლო ერთხელ, საწოლთან რომ ვუჯექი, მითხრა, ახლა, თორმკლიფი და დანარჩენები აღარ არიან ამქვეყნად და ძალიან ვწუხვარ, რომ შენც არ შეგიძლია დიანას შერთვაო.

ამ სიტყვებმა გული ამიჩუყა. როცა მოხუცი ბარონეტი დილით სანადიროდ დააპირებდა წასვლას, პირველად თავის საყვარელ შვილს მოუხმობდა - ომახიანად დასჭექავდა: თორნის და დანარჩენებს დაუძახეთო. ახლაც, ეს მწარე ჭეშმარიტება რომ მითხრა, ასევე მოიხსენია შვილები, მაგრამ ხმა ისეთი მწუხარე და აკანკალებული ჰქონდა, ლამის ცრემლები გადმომცვივდა. შემდეგ ბიძაჩემმა ანდერძის შინაარსი გამაცნო და შემოწმებული პირი გადმომცა. დედანი ჩემს ძველ ნაცნობთან, მოსამართლე ინგლვუდთან დაეტოვებინა. მისტერ ინგლვუდი ნეიტრალურ პიროვნებად ითვლებოდა და ტორებიც ენდობოდნენ და ვიგებიც. რამდენადაც ვიცი, იმ ანდერძთა უმეტესობა, ნორთუმბერლენდერმა სკვაირებმა რომ შეადგინეს ბრძოლაში წასვლის წინ, ამ პატიოსან მოსამართლესთან ინახებოდა. თავისი სიცოცხლის უკანასკნელი საათები ბიძაჩემმა კათოლიკური ეკლესიის მიერ დადგენილი წესების შესრულებას მოახმარა. კაპელანი სარდინიის საელჩოდან

მოვუყვანეთ (საკმაო წვალება გადაგვხვდა, ამის უფლება რომ მოეცათ). ჩემი დაკვირვებით სერ ჰილდებრანდ ოსბალდისტონის სიკვდილში მედიცინისათვის ცნობილ რომელიმე ავადმყოფობას არ უდევს ბრალი. მისი მკურნალი ექიმებიც ამავე აზრისა იყვნენ. ბიძაჩემი საშინლად დაიქანცა, ფიზიკურად და სულიერად გამოიფიტა, ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია და სევდისა და კაეშნის ზღვის ფსკერზე ჩაეშვა საბოლოო ნავსაყუდელის საძებნელად. სული მშვიდად და უდრტვინველად გაეყარა ხორცს. სერ ჰილდებრანდს არც ტანჯვა განუცდია და არც სინანული. ასე მოულოდნელად და თითქოსდა უმიზეზოდ იღუპება ხოლმე მრავალი ქარიშხალგამოვლილი ხომალდი - ჭანჭიკები მოუცვდება, ფერდები მოუსუსტდება, წყალი გზას იპოვის, ნელ-ნელა ამოუვსებს მუცელს და ზღვის ფსკერისაკენ გააქანებს.

გასაოცარია, მაგრამ ძმის დასაფლავების შემდეგ, მამაჩემმა გულით მოინდომა განსვენებულის უკანასკნელი სურვილი შემესრულებინა და ოსბალდისტონების გვარის მეთაურობა მეკისრა. აქამდე თითქოს არაფრად უღირდა ტიტულები და წოდებები, მაგრამ მაშინ, მე მგონი, იმ მელიის ამბავი ემართებოდა, ყურძენს რომ ვერ შესწვდა და გული დაიმშვიდა, მკვახეა და კბილებს მომჭრისო. რეშლის საქციელმაც დააჩქარებინა ამ გადაწყვეტილების მიღება. რეშლი ოსბალდისტონი უკვე სერი გამხდარიყო და აშკარად იბრძოდა მამამისის, სერ ჰილდებრანდის, ანდერძის გასაუქმებლად. მე თვითონ უსამართლოდ წამართვეს მემკვიდრეობა, ძმამ მამული და ქონება დაანიავა, მაგრამ თავისი ანდერძით ნაწილობრივ მაინც გამოისყიდა მამის დანაშაული - ეს გაპარტახებული მამული ჩემს შვილს დაუტოვა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, განსვენებულის დანაბარებს არ გადავუხვიოო, - ამბობდა მამაჩემი.

რეშლი ძლიერი მოწინააღმდეგე გამოდგა. მან მარჯვე დრო შეარჩია ღალატისათვის - შეთქმულები აჯანყების დაწყებამდე

დააბეზღა! იგი განუწყვეტლივ გაჰკიოდა, ქვეყანა გადავარჩინეო, ყველას ავან-ჩავანი იცოდა და ყველას მოთაფვლას ახერხებდა. ამის წყალობით სულ მცირე ხანში მოახერხა გავლენიანი მფარველების შეძენა სამინისტროში, რაც იქიდანაც ჩანდა, რომ კარგა ხნის წინათ აღძრული პროცესი, „ოსბალდისტონ და ტრესამის“ სავაჭრო სახლის გაძარცვის თაობაზე კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ. რადგან ამ შედარებით მარტივი საქმის მოთავება ასე გაჭიანურდა, მეორე პროცესის დამთავრებას ალბათ, ვერც მოვესწრებოდით.

საქმე რომ ცოტათი მაინც დაეჩქარებინა, მამაჩემმა თავისი სწავლული იურისკონსულტის რჩევით ოსბალდისტონჰოლის გირავნობის საბუთების უმეტესობა შეისყიდა და ჩემს სახელზე გადააფორმა. ცოტა ხნის წინათ ხომ კინაღამ დაეღუპა ხომალდი კომერციის მარჩხობებში და ახლა, ალბათ, ამიტომ გადაწყვიტა, უძრავ ქონებაში დაებანდებინა თვისი სახსრების მნიშნელოვანი ნაწილი. სახსრები კი აურაცხელი ჰქონდა, რადგან აჯანყების ჩახშობის შემდეგ საფონდო ფასეულობათა ფასმა სწრაფად აიწია და მამაჩემმა დიდი სარფა ნახა ადრე იაფად შესყიდულ ფასეულობათა გაყიდვით. ბევრი რომ არ გავაგრძელო, დავთრების ქექვა და საანგარიშოს ჩხაკუნი ამცდა, თუმცა ცოტა ხნის წინათ მამაჩემს განვუცხადე, რაც არ უნდა მიბრძანოთ, უსიტყვოდ შევასრულებ-მეთქი. ახლა მისი ბრძანების თანახმად ოსბალდისტონ-ჰოლში უნდა ჩავსულიყავი, მემკვიდრეობა ჩამებარებინა და ოსბალდისტონთა გვარის წარმომადგენლობა მეკისრა. ბიძაჩემის ანდერძის დედანი სკვაირ ინგლვუდთან ინახებოდა და მეც პირველად მისთვის უნდა მიმეკითხა, რომ მამულის მფლობელად დავემტკიცებინე.

წინათ ძალიან გამახარებდა საქმის ასე შემოტრიალება, ახლა კი, პირიქით, გულდამძიმებული დავადექი გზას, რადგან ოსბალდისტონ-ჰოლის გახსენება მხოლოდ სევდასა და კაეშანს მიმრავ-

ლებდა. თავს მხოლოდ იმითღა ვინუგეშებდი, რომ ამ მხარეში უფრო ადვილად შეიძლებოდა დიანა ვერნონის ამბის გაგება. მე ყველა საფუძველი მქონდა მეფიქრა, რომ ცხოვრება კარგად არ წაუვიდა, მაგრამ ზუსტი ცნობების მიღება ვერ მოვახერხე.

ამაოდ ვცდილობდი ჩვენი შორეული ნათესავების გულის მონადირებას. ისინი ნიუგეტის ციხეში ისხდნენ და მე შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი, მაგრამ პასუხად მხლოდ ცივსა და ნაძალადევ მადლობას ვიღებდი. არც იყვნენ გასამტყუნარი - მე ხომ ვიგი და წყეული გამცემის, რეშლის, ბიძაშვილი ვიყავი და ყველა ეჭვით მიყურებდა. ამასთან მართლმსაჯულება ყოველდღე ამცირებდა იმ პირთა რიცხვს, რომელთაც შეეძლოთ დახმარება გაეწიათ. ჩემთვის, ცოცხლად დარჩენილები კი სულ უფრო და უფრო ერიდებოდნენ მთავრობის მომხრეებს. სიკვდილმისჯილები პატარ-პატარა ჯგუფებად გაჰყავდათ ციხიდან, ხოლო ამავე ბედის მომლოდინენი გადაჭრილ უარს ამბობდნენ შეთავაზებულ დახმარებაზე. არასოდეს დამავიწყდება, როგორ მომიშორა თავიდან ერთ-ერთმა პატიმარმა ნედ შეფტონმა, როცა ვუთხარი, თუ ნებას დამრთავთ, შევეცდები, რაიმე დახმარება გაგიწიოთ-მეთქი.

- მისტერ ფრენკ ოსბალდისტონ, ვიცი, გულით გინდათ ტანჯვა შემიმსუბუქოთ და ამიტომ დიდ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ როცა ხედავ, თუ როგორ სათითაოდ მიჰყავთ ჩემი ახლობლები სასიკვდილოდ და შენც ყოველდღე ელოდები ყულფში თავის გაყოფას, არც დახმარება გინდა და არც სანუგეშო სიტყვების მოსმენაო.

ამიტომ იყო, რომ, როდესაც ლონდონსა და ნიუგეტის ციხეს გავერიდე და ნორთუმბერლენდის მინდვრების სუფთა ჰაერი ჩავისუნთქე, ისე ვიგრძენი თავი, თითქოს გულიდან ლოდი მომშორდაო. ენდრუ ფერსერვისი კვლავ მე მემსახურებოდა. მინდოდა დამეთხოვა, მაგრამ მამაჩემი გაჭირვეულდა და მეც აღარ გავუძალიანდი - ვიფიქრე, ციხე-დარბაზსა და იქაურობას კარგად

იცნობს და გამომადგება, - იქ რომ ჩავალთ, მაშინ მოვიშორებ - ისევ მებაღედ დავნიშნავ-მეთქი. ვერ მივმხდარიყავი, ასე როგორ შეაყვარა მამაჩემს თავი. ალბათ ყოველნაირად შეეცადა დაერწმუნებინა თქვენი ოჯახის უერთგულესი მსახური ვარო (თავის მოკატუნება და ფიცი-მტკიცი კარგად ეხერხებოდა). მისი ერთგულება კი მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ბატონი მხოლოდ თვითონ მოეტყუებინა.

გზაში ცუდს არაფერს გადავყრივარ. მხარე, სულ ცოტა ხნის წინ აჯანყების ალში რომ იყო გახვეული, დამშვიდებული და დაშოშმინებული დაგვხვდა. ყველგან სანიმუშო წესრიგი სუფევდა. ვუახლოვდებოდი ოსბალდისტონ-ჰოლს და იმის გაფიქრებაზე, რომ სულ მალე ამ უპატრონო ციხე-დარბაზში უნდა შემედგა ფეხი, დარდი და ნაღველი მეძალებოდა. ბოლოს, გადავწყვიტე, ცოტათი გადამეადგილებინა ეს მწარე წუთები და პირველად მისტერ ინგლვუდი მომენახულებინა. პატივცემული ჯენტლმენი მოტეხილი მეჩვენა. ალბათ ძალიან დარდობდა, რომ მთავრობა ძველებურად აღარ ენდობოდა. წარსული უკან ეზიდებოდა და ისე მონდომებით ვეღარ ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორც შეცვლილი დროება მოითხოვდა. ერთში კი ბედმა გაუღიმა - ჯობსონი მოიშორა თავიდან. პატრონის სიზარმაცითა და უნდობლობით აღშფოთებული კანონის ერთგული მსახური ვინმე სტენდიშს დაუდგა მდივნად. ეს სკვაირი სულ ახლახან დაენიშნათ ნორთუმბერლენდის მომრიგებელ მოსამართლედ, მაგრამ დანიშვნისთანავე ისე მონდომებით მოჰკიდებოდა საქმეს, ისე თავგამოდებით დაეწყო მეფე ჯორჯისა და პროტესტანტიზმის დაცვა, რომ ჯობსონი ხშირად იძულებული ხდებოდა, დაეცხრო ახალი მოსამართლის მგზნებარება და მისი მოქმედება კანონის ჩარჩოებით შემოეზღუდა. მოხუცმა მოსამართლემ თავაზიანად მიმიღო და მაშინვე დამიდო წინ კანონის ყველა წესის დაცვით შედგენილი ანდერძი. მასპინძელი თავიდან აშკარად დაიბნა - არ იცოდა,

რა კილოზე დაეწყო საუბარი, მაგრამ მერე მიხვდა, რომ მთავრობის მომხრე კი ვიყავი, მაგრამ იმათზეც გული შემტკიოდა, ვინც ვერ გაიგო თავისი მოვალეობა და აჯანყების დროშა ააფრიალა. ეს რომ შემატყო, ენა ამოიდგა და მომიყვა, რა გააკეთა და რა არ გააკეთა იმ არეულობის დროს - რა გაჭირვება გადახდა, რომ ზოგი სკვაირი არ შეერთებოდა აჯანყებულებს და როგორ არ შეუშალა ხელი იმ უბედურთ, ვინც მისი აზრით, საჭირო იყო შეთქმულების წარმატებისათვის.

პირდაპირ ვსაუბრობდით და თან ღვინოს შევექცეოდით. მოსამართლე სასმელს მაძალებდა და უკვე მრავალი თასი მქონდა გამოცლილი, რომ მოულოდნელად დი ვერნონის სადღეგრძელო შემომთავზა. თასი პირამდე ამივსო და თქვა, უდაბნოს ვარდს გაუმარჯოს, ჩივიოტის ნაზ ყვავილს, ახლა რომ მონასტრის ჯოჯოხეთურ წყვდიადში ჭკნებაო.

- ნუთუ მის ვერნონი არ გათხოვილა? - შევყვირე გაოცებულმა. - მე კი მეგონა, მისი აღმატებულება...

- ხო, ხო, ხო! მისი აღმატებულება, დიდებული ლორდი!.. იცით, რომ ორივე სენ-ჟერმენში მოპოვებული ტიტულია და ახლა არავითარი ფასი აღარა აქვს. გრაფ ბიუჩემპი საფრანგეთის სრულუფლებიანი დესპანია, მაგრამ რეგენტმა - ორლეონის ჰერცოგმა - არც კი იცის, რომ ასეთი კაცი არსებობს ქვეყნად! თქვენ კი ალბათ ხშირად შეხვედრიხართ მოხუც სერს, ფრედერიკ ვერნონს ციხე-დარბაზში, როცა მამა ვოგანად ასაღებდა თავს.

- ღმერთო დიდებულო! მაშასადამე, ვოგანი მის ვერნონის მამაა!

- რასაკვირველია, - მშვიდად დამიდასტურა მოსამართლემ, - ახლა ამის დამალვა აღარ არის საჭირო, რადგან მოხუცი უკვე სამშვიდობოს იქნება გასული. აქ რომ დარჩენილიყო, ვალდებული ვიქნებოდი, დამეპატიმრებინა. მაშ, დავლიოთ ჩემი ძვირფასი, დაკარგული დივერნონის სადღეგრძელო!

ყველამ შესვას ეს სასმისი, სადღეგრძელო იყოს მისი!

სადღეგრძელო იყოს მისი, ყველამ შესვას ეს სასმისი!

და ვერც აბრეშუმის წინდა, და ვერც აგრე ჩუმი ოხვრა,

სულ ერთია, ვერ აგაცდენს, ვერ აგაცდენს მუხლის მოყრას...[242]

გასაგებია, რომ მოსამართლის მხიარულება ვერ გავიზიარე. ახალმა ამბავმა ერთიანად გამაბრუა. ცოტათი რომ გამოვფხიზლდი, ჩავილაპარაკე, არ ვიცოდი, რომ დიანას მამა ცოცხალი იყო-მეთქი.

- ეს სულ არ რის ჩვენი მთავრობის ბრალი, - შენიშნა მოსამართლემ, - ღმერთმანი, ამ ქვეყნად სხვა კაცი არ მეგულება, რომლის თავი ფრედერიკ ვერნონზე ძვირად შეეფასებინოთ. ჯერ კიდევ როდის, ფენვიკის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, მეფე უილიამის დროს ნაიტბრიჯის საქმეში იყო გარეული. ჩრდილოეთ შოტლანდიაშიც დიდი გავლენა ჰქონდა, რადგან ცოლი ბრედობლები იყო გვარად. რისვიკის ზავი[243] რომ დაიდო, ხალხში ხმა დაირხა, მთავრობა საფრანგეთს ფრედერიკის გადმოცემას მოსთხოვსო, მაგრამ მაშინ თავი მოიავადმყოფა და მალე საფრანგეთის გაზეთებმა გამოაცხადეს, გარდაიცვალაო. მერე აქ, თავის სამშობლოში რომ დაბრუნდა, ჩვენ, ძველმა კავალერებმა[244], მაშინვე ვიცანით, უფრო სწორად მაშინვე იცნეს. არა, მეც ვიცანი, თუმცა კავალერი არასოდეს ვყოფილვარ. მაშინ არავინ დააბეზღა საწყალი ჯენტლმენი, მე კი ისე გამიფუჭდა მეხსიერება ნიკრისის ქარებმა, რომ დაბეჯითებით ვერ ვიტყოდი, მართლა ის იყო თუ სხვა ვინმე.

- მაშასადამე, არც ოსბალდისტონ-ჰოლში იცოდნენ მისი ვინაობა, არა?

- მხოლოდ მისმა ქალიშვილმა, მოხუცმა ბარონეტმა და რეშლიმ იცოდნენ ვინ იყო მამა ვოგანი. რეშლი თვითონ მიხვდა, მას ხომ არაფერი დაემალება, მიხვდა და ამის მერე იყო, რომ საწყალი დიანა უბატონოდ ხმას ვერ სცემდა. თავად ვიყავი რამდენჯერმე მოწმე, სახეში უნდოდა შეეფურთხებინა, მაგრამ ვეღარ გაბედა, მამაჩემს დააბეზღებს მთავრობასთან და ჩამოახრჩობენო. ცუდად არ გამიგოთ, მისტერ ოსბალდისტონ: ჩვენ ძალიან კეთილი და სამართლიანი მთავრობა გვყავს. ოციოდე მეამბოხე კი ჩამოახრჩვეს, მაგრამ ყველა იტყვის, შინ რომ მჯდარიყვნენ და არაფერი დაეშავებინათ, ხელს არავინ ახლებდაო.

პოლიტიკური საკითხების განხილვას თავი ავარიდე, მისტერ ინგლვუდი ვაიძულე, კვლავ ძველ თემას დაბრუნებოდა და გავიგე, რომ დიანას თავის დროზე გადაჭრილი უარი განუცხადებია ოსბალდისტონთა ოჯახის რომელიმე წარმომადგენლის ცოლობაზე, ხოლო რეშლისთვის უბოდიშოდ მიუხლია პირში, მეზიზღებიო.. ამის მერე რეშლის გული აუყრია აჯანყების საქმეზე. რეშლი უმცროსი შვილი იყო და კარიერაზე უნდა ეზრუნა. ალბათ სწორედ იმიტომ მიემხრო აჯანყებულთ, რომ იმედი ჰქონდა ჩემი მოხერხებულობის, საზრიანობისა და სიმამაცის წყალობით მოკლე ხანში დავწინაურდები მეფე ჯეიმზის კარზეო.. შესაძლებელია, იმანაც უბიძგა ღალატისაკენ, რომ სერ ფრედერიკ ვერნონმა და შოტლანდიურმა კლანებმა აიძულეს, დაებრუნებინა მიტაცებული საბუთები. ალბათ, მაშინ გადაწყვიტა საბოლოოდ, ზურგი შეექცია თანამოაზრეთათვის და ახალ მფარველთა წყალობას დალოდებოდა.. ან იქნებ დაასკვნა, რომ მეფე ჯეიმზის მომხრეთ არც ძალები და არც ჭკუა არ ეყოფოდათ წარმატების მისაღწევად; რომ ისინი ვერ მოახერხებდნენ არსებული ხელისუფლების დამხობას. მომავალმა დაადასტურა, რომ რეშლი მართალი იყო. მე მგონი, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ აჯანყებას უღალატა - გამჭრიახი გონება ჰქონდა და, როცა საქმე საკუთარი ინტერესების დაცვაზე

მიდგებოდა, ყველაფერს კარგად აწონ-დაწონიდა ხოლმე. რეშ-ლიმ არც სერ ფრედერიკ ვერნონი, ანუ როგორც მეფე ჯეიმზის მომხრეები უწოდებდნენ, მისი აღმატებულება ვიკონტი ბიუჩემპი და არც მისი ქალიშვილი დაინდო - ორივე გასცა, მაგრამ იმათ დიდი წვალებით მოახერხეს გასხლტომოდნენ მდევრებს და სამ-შვიდობოს გასულიყვნენ.

მისტერ ინგლვუდმა მეტი არაფერი იცოდა მამა-შვილის შესა-ხებ, მაგრამ შენიშნა: რომ დაეჭირათ, ხმა გავარდებოდა და, რადგანაც არაფერი გვსმენია, ნამდვილად უცხოეთში მოახერხა გაქცევაო. მოსამართლე დარწმუნებული იყო, რომ ვიკონტი არ დაარღვევდა სიძესთან დადებულ მკაცრ ხელშეკრულებას და რადგან დიანამ უარი თქვა ოსბალდისტონთა რძლობაზე, მონას-ტერში გამოკეტავდა.

მოსამართლემ ზუსტად არ იცოდა, თუ რატომ დადეს ასეთი ხელშეკრულება სიძე-ცოლისძმამ. მისი ვარაუდით ეს საოჯახო შეთანხმება მიზნად ისახავდა, შეენარჩუნებინა სერ ფრედერიკი-სათვის მისი ვრცელი მამულების შემოსავალი. ჩამორთმეული მა-მულები რაღაც იურიდიული ხრიკების შემწეობით ოსბალდის-ტონთა მფლობელობაში გადასულა. ერთი სიტყვით, საოჯახო შე-თანხმებები იმ დროს ისე ათამაშებდა ადამიანებს, თითქოს ისინი მიწაზე მიმაგრებული ინვენტარი ყოფილიყვნენ და არც სული ჰქონდათ და არც გრძნობა.

ადამიანის გული ჭირვეული და ახირებულია და არც კი შემიძ-ლია ვთქვა, გამიხარდა თუ მეწყინა დიანას ამბის გაგება. არ გათ-ხოვილა, მაგრამ მონასტერში გამოიკეტა რაღაც სულელური ხელშეკრულება რომ შეესრულებინა! რატომ, რისი გულისათ-ვის?! გუნება მომეშხამა, მოვდუნდი, მასპინძლის ლაპარაკი არც კი მესმოდა. მოსამართლეც დაიღალა, მთქნარება აუტყდა და შე-მომთავაზა, თუ გნებავთ მოისვენეთო. ახალდაღამებული იყო, მაგრამ საძინებელ ოთახს მივაშურე. მისტერ ინგლვუდს იქვე და-

ვემშვიდობე, რადგან მეორე დღეს ალიონზე ვაპირებდი ოსბალ-დისტონ-ჰოლში გამგზავრებას.

მისტერ ინგლვუდმა განზრახვა მომიწონა. ძალიან კარგად მოგიფიქრებია, ჯობია, მანამდე მიხვიდე მამულში, სანამ იქაურე-ბი გაიგებენ თქვენი ჩამოსვლის ამბავს, მით უმეტეს, რომ რეშლი ოსბალდისტონიც აქ არის, ჯობსონის ბინაშია ჩამომხდარი და, ალბათ, ახალი ხრიკების დატრიალებას აპირებსო.

- ფერი, ფერსა, მადლი ღმერთსა, - დასძინა მოსამართლემ, - რეშლის თავი აღარ გამოეყოფა პატიოსან ხალხში, თავისნაირი გაიძვერა მონახა და რაიმე საზიზღრობას მოიფიქრებენ.

წამოსვლისას ერთი ჭიქა არაყი დამალევინა, გზას უნდა და-ადგე და მოგიხდებაო, ბოლოს კი ნანადირევის პაშტეტი დამაძა-ლა. პაშტეტი, თურმე, ჭაობის ჟანტისაგან იცავდა ადამიანს.

თავი XXXVIII

> მოკვდა პატრონი და სიცოცხლის დასალიერთან
> სავსე რომ იყო, დარბაზები დაცარიელდა...
> აღარც ძაღლია, აღარც ცხენი, გაწყდნენ... ვაი, რომ
> სული სულდგმული, მხოლოდ იგი შერჩა აივორს...
>
> უორდ სუორთი

იმ ადგილებს რომ მოვინახულებთ, სადაც ოდესღაც სიამე და ტკბობა განგვიცდია და იქაურობა გადასხვაფერებული და გაუბედურებული დაგვხვდება, გულზე საშინელი სევდა შემოგვაწვება ხოლმე. იმ დღეს იმავე გზით ვბრუნდებოდი ინგლვუდ-პლეისიდან, რომელიც ამას წინათ ერთად გავიარეთ მე და დიანამ. თვალწინ იგივე ველ-მინდვრები და გორაკები მქონდა გადაშლილი და მეჩვენებოდა, რომ გვერდითაც კვლავ მშვენიერი თანამგზავრი მომყვებოდა. იმ ადგილს რომ მივუახლოვდი, სადაც პირველად ვიხილე ჩემი იმდღევანდელი ოცნების საგანი, უნებლიედ ყურთასმენა გავამახვილე და ჩაციებით მივაშტერდი შორიახლო აღმართულ გორაკს - მეგონა ძაღლების ყეფასა და მონადირეთა საყვირის ხმას გავიგონებდი, შემდეგ კი მერანზე ამხედრებული თვალწარმტაცი მონადირე ქალი გამოჩნდებოდა გორაკის ფერდობზე. მაგრამ ვაი, რომ სიჩუმე და მყუდროება სუფევდა ირგვლივ, ვაი, რომ ძე ხორციელი არ ჭაჭანებდა ახლომახლო! მალე ოსბალდისტონ-ჰოლს მივადექი და ჩარაზული ალაყაფის კარები, დარაბებმიხურული ფანჯრები, ბალახმორეული ბილიკები

და უკაცრიელი, მიყრუებული ეზო რომ დავინახე, გამახსენდა, თუ რა ყიჟინითა და ჟივილ-ხივილით ემზადებოდნენ დილდილობით ჩემი ბიძაშვილები სანადიროდ წასასვლელად, ან რა მხიარულად ბრუნდებოდნენ მინდვრებიდან საღამოჟამს საქეიფოდ და კიდევ უფრო დავნაღვლიანდი. აღარ ისმოდა ძაღლების გაბმული ყეფა-წკმუტუნი, ცხენების ფეხის ხმა და თავისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობით გალაღებული მოხუცი ბარონეტის ხმამაღალი სიცილი. ახლა ჩქამი აღარ მოდიოდა არსაიდან, ყველაფერი საუკუნოდ დადუმებულიყო!

ვუმზერდი ამ გავერანებულსა და დამუნჯებულ მიდამოს და საოცრად მეცოდებოდა ამ ეზო-ყურედან უდროოდ წასული ხალხი, თუმცა სიცოცხლეში დიდად არც ერთი არ მეჭიდებოდა გულზე. მაინც რამდენი სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე, მოხდენილი ჭაბუკი ჩაესვენა საფლავში ამ მოკლე ხანში! ყველა მოულოდნელად დაიღუპა, თავისი დღით არც ერთი არ მომკვდარა - ეჰ, ჟამიერი და წარმავალია ეს წუთისოფელი, ამაოება ამაოებათა არის ყოველივე ამ ქვეყნად-მეთქი, ვფიქრობდი შეძრწუნებული და მხოლოდ ის მანუგეშებდა მცირედ, რომ ციხე-დარბაზს, საიდანაც მალულად გავიქეცი, სრულუფლებიან ბატონ-პატრონად ვუბრუნდებოდი. ვათვალიერებდი იქაურობას და არა მჯეროდა, რომ ეს ყოველივე ჩემი საკუთრება იყო. თავს დამპყრობლად თუ არა, დაუპატიჟებელ სტუმრად ვთვლიდი და მეგონა, ალაყაფის კარებში ჩემი რომელიმე გარდაცვლილი ბიძაშვილის გოლიათური ფიგურა ჩადგებოდა ფანტასტიკურ რომანებში აღწერილი მოჩვენებასავით და ციხე-დარბაზის ეზოში შესასვლელ გზას გადამიღობავდა. მე ამ ნაღვლიან ფიქრებში ვიყავი, ჩემი თანამგზავრი ენდრუ კი სულ სხვაგვარი აზრებითა და მისწრაფებებით იყო შეპყრობილი. იგი დაუღალავად უვლიდა ირგვლივ გალავანს, ყველა კარზე აბრახუნებდა და ისე ომახიანად გაიძახოდა, კარი გაგვიღეთ, შემოგვიშვითო, რომ ყველა მიხვდებოდა, ამ

კაცმა იცის თავისი თავის ფასიო. მართლაც და, ხუმრობა ხომ არ იყო: ენდრუ ამოდენა მამულის ახალი მფლობელის პირადი მცველი და მეაბჯრე გახლდათ!

ბოლოს, ქვედა სართულის ერთ-ერთ რკინის ცხაურიან ფანჯარაში განსვენებული ბიძაჩემის მაჟორდომის, ანტონი სიდოლის, შეშინებული სახე გამოჩნდა. მოხუცმა ენის ბორძიკით იკითხა, რა გნებავთო.

- თანამდებობიდან უნდა გადაგაყენოთ, ჩემო ძველო მეგობარო, - მიახალა ენდრუ ფერსერვისმა, - შეგიძლია ახლავე ჩამაბარო გასაღებები. ხომ გაგიგონია, ერთხელ კოჭლიც წინაო. სუფრები და ჭურჭლეულობაც უნდა გადმომცე. ვიცი, რომ თავის დროზე რაღაც-რაღაცეები მიითვისე, მისტერ სიდოლ, მაგრამ ერთი დრო არავის შერჩენია და არც შენ შეგრჩება! ახლა სუფრის ბოლოში მოგიწევს გადაბრძანება, ჩემს ადგილზე!

ძლივს გავაჩუმე აყბედებული მსახური და სიდოლს ვუთხარი, ამა და ამ კანონის საფუძველზე მამულისა და ციხე-დარბაზის მფლობელობა მომაკუთვნეს და ვალდებული ხართ, კარი გამიღოთ-მეთქი. მოხუცი საშინლად დაიბნა. მორჩილად და თავაზიანად მაძლევდა პასუხს, მაგრამ კარის გაღებას არ ჩქარობდა. ძველი და ერთგული მსახურია, ეს ამბავი მეხივით დაატყდა თავს და ამიტომ ითრევს ფეხს-მეთქი, გავამართლე სიდოლი გულში, მაგრამ, როცა ვერა და ვერ მოვტეხე, მკაცრად დავემუქრე, რომ მეორედ ინგლვუდის ორდერით მოვადგებოდი ალაყაფის კარს და კონსტებლსაც მოვიყოლიებდი.

- ამ დილით მოსამართლე ინგლვუდის სახლიდან გამოვედით და გზაზე კონსტებლს, არჩი რუტელეჯსაც მოვკარით თვალი, - შემაწია სიტყვა ენდრუმ, - ის დრო გაფრინდა, მისტერ სიდოლ, როცა ქვეყნად კანონი და სამართალი არ იყო და აქაურობა მეამბოხეებისა და პაპის მომხრეთა სათარეშოდ იყო დარჩენილი.

მუქარამ გაჭრა, ანტონი სიდოლიც პაპის მომხრე და სერ ჰილ-დებრანდის ძველი მსახური იყო და ალბათ ყოველდღე ელოდა დაპატიმრებას. შიშისაგან აცახცახებულმა სიდოლმა ძლივს მო-ახერხა მრავალი ურდულითა და საგდულით დაკეტილი პატარა გვერდითი კარის გაღება და შემეევედრა, პატრონის ერთგულები-სათვის ნუ დამსჯითო. მოხუცს ვუთხარი, რომ არაფერს დავუშა-ვებდი და შევაქე კიდეც ასეთი სიფრთხილისა და წინდახედულე-ბისათვის.

- მე კი სხვანაირად ვფიქრობ, - ჩამერია ლაპარაკში ენდრუ, - ანტონი ძველი თაღლითია. ტყუილად კი არ ადევს ზაფრანის ფე-რი. დახე, ფეხებიც როგორ უკანკალებს! იცის თავისი კაი კაცო-ბის ამბავი და იმიტომ არის შეშინებული!

- უფალმა შეგინდოს, მისტერ ფერსევის, რომ ასე იმეტებთ მე-გობარსა და ამქარს, - უთხრა მსახურმა, რომელიც თავდახრილი მოგვდევდა უკან, - სად მიბრძანებს პატივცემული ბატონი ცეც-ხლის დანთებას? ვიცი, რომ სახლი ძალიან გაუსაძლისი და მი-უსაფარი მოგეჩვენებათ... სადილად ალბათ ინგლვუდ-პლეისში წაბრძანდებით, არა?

- ბიბლიოთეკაში დაანთეთ, - მივუგე მე.

- ბიბლიოთეკაში? - ჩამეკითხა მოხუცი, - იქ კარგა ხანია არა-ვის უცხოვრია და ბუხარი ბოლავს - გაზაფხულზე ჭკებმა დაიდეს ბუდე ბუხრის მილში, აქ კი ახალგაზრდა აღარავინ დარჩა, რომ მოეშალა.

- ჩემი ჯაგლაგი სხვის ბედაურს მირჩევნია, - თქვა ენდრუმ, - ბოლავს თუ არ ბოლავს, იქ უნდა დაანთო. ჩემს ბატონს ბობ-ლიოთეკაში უყვარს ყოფნა, ვინმე უვიცი პაპისტი ხომ არ გგო-ნია?!

მაჟორდომი უწადინოდ - ზლაზვნითა და ზოზინით გაგვიძღვა წინ. ბიბლიოთეკა წინანდებურზე მყუდრო მეჩვენა. ოთახი ახალ-დალაგებული ჩანდა, ბუხარში მხიარულად გუზგუზებდა ცეცხლი

და ბოლი თავისუფლად გადიოდა მილში. შეცბუნებულმა სიდოლმა საჩხრეკს წაატანა ხელი, მოჩვენებითი გულმოდგინებით დაუწყო შეშებს სწორება და ხმადაბლა ჩაილაპარაკა, დილას საშინლად ბოლავდა, ახლა კი კარგად ანთიაო.

იქაურობის დანახვაზე მტანჯველი ფიქრები მომეძალა და მარტოობა მომინდა. მოხუცს ვუბრძანე, მამულის გამგებელი მოეყვანა. იგი სულ მეოთხედი მილის დაშორებით ცხოვრობდა, მაგრამ შევატყვე, რომ სიდოლს ძალიან შეეზარა წასვლა, შემდეგ ენდრუ მოვიშორე თავიდან - დავავალე, ორი-სამი ყოჩაღი ბიჭი ეშოვა მსახურად. ბიჭები სანდონი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან პაპის მომხრეთა ქვეყანაში ვიყავით, რეშლიც აქ ტრიალებდა და, თუ დასჭირდებოდა, უკან არაფერზე დაიხევდა, ენდრუ ფერსევისმა დიდი სიამოვნებით იკისრა დავალების შესრულება, დამპირდა, რომ ჩემსავით ჭეშმარიტსა და უსაზღვროდ ერთგულ პრესვიტერიანელს მოგიყვან თრინლეი-ნოუდან, არც პაპის შიში აქვთ, არც ეშმაკის და არც პრეტენდენტისა, მეც იმედიანდ ვიქნები, თორემ იმ ბოლო ღამით, აქედან რომ წავედით, ჩემი თვალით დავინახე მთვარის შუქზე, როგორ დასეირნობდა, აი, ეს კაცი ოსბალდისტონ-ჰოლის ბაღშიო (ენდრუმ ხელით მანიშნა ვანდეიკის ნახატზე). ეჭვი რომ არ შემპარვოდა მის ნათქვამში დაიფიცა, თუ ვიტყუებოდე, ჭიამ დამიხრას მთელი ყვავილებიო და, როცა შემატყო, რომ მაინც არ ვიჯერებდი, დასძინა:

- მაშინაც გითხარით, ბატონო, მოჩვენება დავინახე-მეთქი, მაგრამ ყური არ მათხოვეთ. მეუბნებოდნენ, პაპისტები მოჩვენებებსა და ეშმაკებს გვისევენო, მაგრამ იმ საშინელ ღამემდე, სანამ ჩემი თვალით არა ვნახე, არა მჯეროდა.

- წაბრძანდით, სერ, და მოიყვანეთ ეგ ბიჭები, ოღონდ იცოდეთ, თქვენზე მეტი ჭკუა უნდა ჰქონდეთ და საკუთარ ჩრდილს არ უნდა უფრთხოდნენ, - შევაწყვეტინე ლაყბობა ენდრუს.

- მე წესიერ კაცად ვითვლები ჩემს მხარეში, ყველა მაფასებს და პატივს მცემს, მაგრამ რომ ვთქვა, ქაჯისა და ეშმაკის არ მეშიანია-მეთქი, ტრაბახი გამომივა, - აბუზღუნდა ენდრუ და ოთახიდან გავიდა. იმის გასვლა და უორდლოს, მამულის გამგებლის შემოსვლა ერთი იყო. უორდლო საზრიანი და პატიოსანი კაცი გახლდათ და მხოლოდ მისი ცდისა და რუდუნების შედეგი იყო, რომ ბიძჩემმა სიკვდილამდე შეინარჩუნა ოსბალდისტონ-ჰოლი. გამგებელი გულდასმით გაეცნო ჩემს საბუთებს და მხოლოდ შემდეგ მაღიარა აქაურობის სრულუფლებიან მფლობელად. სხვისთვის ეს მემკვიდრეობა სახარბიელო არ იქნებოდა, რადგან მამულის უმეტესი ნაწილი დაგირავებული იყო, მაგრამ მამაჩემმა თითქმის მთიანად გამოიხსნა დაგირავებული მიწები და დარჩენილის გამოსყიდვასაც აპირებდა. ვალებში ჩაფლული საგვარეულო მამულის გამოხსნა სულ არ გასჭირვებია, რადგან საფონდო ფასეულობათა გაძვირებამ დიდი სარფა მისცა.

მისტერ უორდლოს გადაუდებელ საქმეებზე მოვეთათბირე, შემდეგ კი სადილად მივიპატიჟე. სადილი ბიბლიოთეკაში მოვატანინე, თუმცა სიდოლი დაბეჯითებით მირჩევდა, ქვის დარბაზში წამობრძანდით, საგანგებოდ დავალაგებინეო. ამასობაში ენდრუც მოვიდა თავისი ერთგული ბიჭებით და ენად გაიკრიფა: სასმელს პირზე არ იკარებენ, პატიოსნები და ღვთისმოშიშები არიან და, რაც მთავარია, ორივე ლომივით გულადიაო. ენდრუს ვუბრძანე, არყით გაუმასპინძლდი-მეთქი და ოთახიდან გავისტუმრე. როცა გავიდნენ, მოხუცმა სიდოლმა თავი გააქნია. ჩავაცივდი, რა არის, რა არ მოგეწონა მაგათი-მეთქი და ვაიძულე, ეპასუხა:

- არ ვიცი, ენდობით თუ არა ჩემს ნათქვამს, ბატონო, მაგრამ რასაც ვიტყვი, სრული ჭეშმარიტება იქნება: ამბროზ უინგფილდი, უპატიოსნესი კაცია, მაგრამ მისი ძმის, ლენსისნაირა ორპირი და გაიძვერა ადამიანი ჯერ არ დაბადებულა ამქვეყნად. მთელმა

მხარემ იცის, რომ ჯობსონის ჯაშუშია და ბევრი ჯენტლმენის ცოდვა აწევს კისერზე, მაგრამ დისიდენტია და ეს ჩვენს დროში საკმარისია, რომ კაცს ყველაფერი ეპატიოს.

მსახურის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე. თვითონაც არ ჰქონდა ამის იმედი, ისე, გულის მოსაფხანად მითხრა ლენსის ძვირი. მან ღვინის ბოთლები დაალაგა მაგიდაზე და გავიდა. მისტერ უორდლო შებინდებამდე დარჩა ბიბლიოთეკაში, შემდეგ თავისი საბუთები წამოკრიფა და შინ წავიდა. მე მარტო დავრჩი. ისეთ გუნებაზე ვიყავ, რომ დარწმუნებით არც კი ვიცოდი, მარტოობა მერჩივნა თუ ხალხში ყოფნა. თუმცა, არცა მქონდა არჩევანი - ჩემთან აღარავინ დარჩა. თანაც ისეთ ოთახში ვიყავი , რომ ძალაუნებურად სევდიანი ფიქრები ამეშალა. ღამე რომ წამოწვა, კარებში ენდრუმ შემოჰყო თავი და მირჩია: ოთახი გაანათეთ, თორემ აჩრდილები და ავი სულები შემოგესევიანო. თვითონ სულ შიშში იყო და ეგონა, მეც იმასავით ვუფრთხოდი აჩრდილებსა და მოჩენებებს. გაბრაზებულმა ავუქნიე ხელი, თავიდან მომწყდი-მეთქი, გოთურ ბუხარს შეშა შევუკეთე, ერთ-ერთ ტყავის სავარძელში ჩავჯექი, ცეცხლს მივაშტერე თვალები და ალის ენების თამაშს ფიქრი ავაყოლე: „აი, ასე იგზნება და კვდება ადამიანის სურვილები და მისწრაფებანი. სულ პატარა საფუძველი საკმარისია, რომ ოცნებამ დაუოკებელი სურვილების კოცონი გააჩაღოს, რომელიც იმედის ბოლით სულდგმულობს! მერე საფუძველი გამოიწვება და ადამიანი თავისი იმედებით, ვნებებითა და ოცნებებით ერთ მუჭა ნაცრად და ფერფლად იქცევა!“

ანაზდად, ოთახის ბოლოში ისე ამოიოხრა ვიღაცამ, თითქოს ჩემს ფიქრებს უსმენდაო! ფეხზე წამოვხტი და, აი, საოცრება - ჩემს წინ დიანა ვერნონი იდგა, ოღონდ მარტო კი არა: ვიღაც კაცისათვის გაეკეთებინა ხელკავი და ეს კაცი ისე საოცრად ჰგავდა ჩემს მიერ რამდენჯერმე ნახსენებ პორტრეტს, რომ უნებლიეთ ზევით ავიხედე, ჩარჩო ცარიელი ხომ არ არის-მეთქი. პირველად

ვიფიქრე, ან უცებ გავგიჟდი, ან მიცვალებულთა სულები მომევლინნენ ბნელეთიდან-მეთქი. შემდეგ კვლავ შევავლე თვალი ორივეს და დავრწმუნდი, რომ მეც სრულ ჭკუაზე ვიყავი და ისინიც ნამდვილი ცოცხალი ადამიანები იყვნენ.

დიახ, თვითონ დიანა გახლდათ, წინანდელზე გამხდარი და ფერმკრთალი, მაგრამ ნამდვილი დიანა. გვერდითაც მოჩვენება კი არა, ვოგანი ედგა, უფრო სწორად, სერ ფრედერიკ ვერნონი, ზუსტად პორტრეტზე გამოსახული წინაპრის ტანსაცმელში გამოწყობილი და სახითაც მისი მინამგვანი! პირველად მან დაარღვია სიჩუმე, რადგან დიანას დაბლა დაეხარა თვალები და ხმის ამოღებას არ აპირებდა, მე კი გაოცებისაგან კრიჭა მქონდა შეკრული.

- ჩვენ მთხოვნელებად მოვედით, მისტერ ოსბვალდისტონ - გვინდა თქვენს ჭერქვეშ შევაფაროთ თავი და თქვენი მფარველობით ვისარგებლოთ, სანამ შესაძლებლობა მოგვეცემა, დავადგეთ იმ გზას, სადაც ყოველ ნაბიჯზე დაპატიმრება და სიკვდილი მელოდება.

მე ძლივს ამოვიღე ხმა:

- რასაკვირველია, მის ვერნონი არ ფიქრობს, რომ... სერ, თქვენც, არა მგონია, იფიქროთ, რომ მე დამავიწყდა, როგორ დამიხსენით გაჭირვებიდან, ან, რომ მე შემიძლია ვინმე და, მით უმეტეს, თქვენ გაგცეთ და მტრების ხელში ჩაგყაროთ!

- არა, მაგრამ არ მინდოდა, ასეთი მძიმე და საშინელი ტვირთი დამეკისრებინა თქვენთვის, - მომიგო სერ ფრედერიკმა, - მერჩივნა, ვინმე სხვა შემეწუხებინა, ნებისმიერი ადამიანი, თქვენ კი არა! მაგრამ რა გაეწყობა! მუხთალი ბედი იმთავითვე მტრად მომეკიდა, და ცხოვრება მალვასა და ლტოლვაში გამატარებინა. იგი ახლაც ფეხდაფეხ მომდევს და არჩევანი აღარა მაქვს!

მოულოდნელად კარი გაიღო და ენდრუს ხმა გაისმა:

- სანთლები მოვიტანე, თუ გნებავთ აანთეთ, დიდი საქმე არ უნდა, როგორმე თვითონაც მოახერხებთ, თუ თავს შეიწუხებთ.

კარს ვეცი და, მგონი დროზე მოვასწარი შიგ ჩადგომა - წამიც და ალბათ დაინახავდა ჩემს სტუმრებს. ენდრუ ხელის კვრით გავაგდე ზღურბლიდან და კარი გასაღებით ჩავკეტე. ჩავკეტე, მაგრამ იმავე წამს გამახსენდა, რომ ქვევით ორი ამხანაგი უცდიდა, რომ თვითონ ენაზე არაფერი დაადგებოდა და ერთ-ერთი მსახურიც, სიდოლის თქმით, ჯაშუში იყო. მაშინვე დავედევნე უკან, მაგრამ ენდრუმ მომასწრო ამხანაგებთან მისვლა! კარი რომ შევაღე, ხმამაღლა ამბობდა რაღაცას, მაგრამ დამინახა თუ არა, დადუმდა.

- რა დაგემართა, შე ჩერჩეტო! - შევუტიე მსახურს. - ისე შეშინებული ხარ, თითქოს მოჩვენება დაგენახოს!

- აა... არაფერი, - ამოილუღლუღა ენდრუმ, - ოღონდ, რაღაც ძალიან გამიბრაზდით ბატონო!

- იმიტომ რომ მხეცივით შემოვარდი და გამაღვიძე, შე სულელო! ძალიან მაგრად მეძინა! სიდოლმა მითხრა დღეს ამ ყოჩაღი ბიჭებისათვის ლოგინებს ვერ ვიშოვიო. მისტერ უორდლომ კი დასძინა, დღეს ისეთი არაფერია მოსალოდნელი და შეუძლიათ შინ გაათიონ ღამეო. აი, ეს ერთი კრონი მიეცი, ჩემი სადღეგრძელო დალიონ. მადლობელი ვარ ჩემთან მუშაობაზე რომ დათანხმდნენ. აბა, ბიჭებო, შეგიძლიათ ახლავე დატოვოთ აქაურობა!

ახალმა მსახურებმა მადლობა გადამიხადეს გულუხვობისათვის, ფული წაიღეს და წავიდნენ. ძალიან კმაყოფილნი ჩანდნენ და, მე მგონი, არც არაფერი ეჭვი აუღიათ. სანამ გარეთ არ გავიდნენ, უკან არ ავბრუნებულვარ - მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ ამაღამ ენდრუსთან აღარ იჭორავებდნენ. ისე ფეხდაფეხ გავყევი ენდრუს, რომ ორი სიტყვის თქმას ვერ მოასწრებდა ჩემს გამოჩენამდე. არა და, რამდენი უბედურების დატრიალება შეეძლო ამ ორ სიტყვას! ის ორი სიტყვა ორი ადამიანი სიცოცხლეს

შეიწირავდა! როცა ასეთნაირად მოვაგვარე საქმე (დაბნეული ვიყავი და უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე), ბიბლიოთეკაში დავბრუნდი და სტუმრებს მოვახსენე, თუ რა ზომები მივიღე მათ დასაცავად და დავსძინე: სიდოლს ვუბრძანე, თუ ალაყაფის კარზე დააკაკუნოს ვინმემ, თქვენ თვითონ გადით-მეთქი (ვიცოდი, რომ დიანა და მამამისი მოხუცი მსახურის უჩუმრად ვერ დაიმალებოდნენ ციხე-დარბაზში). დიანამ თვალებით გადამიხადა მადლობა და მითხრა:

- ახლა ყველა საიდუმლოება ამოხსენით და იცით, რა ძვირფასი და ახლობელია ჩემთვის ის ადამიანი, რომელიც ხშირად აფარებდა თავს ამ ციხე-დარბაზს. ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ რეშლიმ ასე მაგრად ჩამიჭირა ხელში. მან ხომ თითქმის თავიდანვე გაიგო ყველაფერი.

მამამისმა დასძინა: დიდხანს არ შეგაბეზრებთ თავს - პირველი შესაძლებლობისთანავე დავტოვებთ აქაურობასო. ვთხოვე, ჩემზე ნუ ღელავთ, საკუთარ თავზე იფიქრეთ, მე არაფრისა მეშინია და ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ სამშვიდობოს გაგამგზავროთ-მეთქი. შემდეგ, რა თქმა უნდა, თავიანთი ამბავი მიამბეს:

- რეშლი ოსბალდისტონს ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებდი, მაგრამ როცა გავიგე, თუ როგორ ექცეოდა ჩემს უმწეო ქალიშვილს (დიანას ძლივს ვათქმევინე ყველაფერი) და როგორ უმუხთლა მამაჩემს, საშინლად შევიზიზღე. უკანასკნელად რომ შევხვდი, ვაგრძნობინე, თუ რა აზრისა ვიყავი მასზე. ჯობდა კი, თავი შემეკავებინა, მაგრამ ვერ შევძელი, ნაწყენმა და გაბრაზებულმა ბოროტებათა სიას გამცემლობაც დაუმატა. მაშინ იმედი მქონდა, რომ ამით ვერაფერს დაგვაკლებდა: გრაფ მარს რჩეული ჯარი ჰყავდა შოტლანდიაში, ლორდი დერვენტუოტერი საზღვრებს მოადგა თავისი ჯარით თან ფორსტერი, კენმური, უინტერტონი და სხვა სარდლები ახლდნენ. მე უამრავი ნაცნობი მყავდა ინგლისელ დიდებულებსა და აზნაურებში, ამიტომ მთი-

ელთა იმ რაზმს გამაყოლეს, რომელსაც ბრიგადირი მაკინტოში მეთაურობდა. რაზმი ბორლუმიდან გავიდა, თითქმის შესართავთან... გადალახა მდინარე ფორტი, ქვემო შოტლანდიის დაბლობი გადაჭრა და ზედ საზღვართან შეუერთდა ინგლისელ აჯანყებულებს. დიანა გვერდიდან არ მომშორებია, ჩემთან ერთად იზიარებდა ხანგრძლივი მომქანცველი ლაშქრობის ფათერაკებსა და სიძნელეებს.

- არც არასოდეს მოშორდება თავის ძვირფას მამას, - წამოიძახა დაიანამ და ალერსიანად დაადო თავი მხარზე.

- ინგლისელ მეგობრებთან შეხვედრისთანავე მივხვდი, რომ საქმე წაგებული იყო. ხალხი თანდათან გვაკლდებოდა, კანტიკუნტად თუ შემოგვემატებოდა ვინმე. „მაღალი ეკლესიის“ ტორები ყოყმანობდნენ. ბოლოს იმ პატარა ქალაქთან, პრესტონთან ალყა შემოგვარტყეს. მოწინააღმდეგეს ჩვენზე გაცილებით მეტი ჯარი ჰყავდა, მაგრამ ერთი დღეღამის განმავლობაში მამაცურად ვიგერიებდით. მეორე დღეს ჩვენი ბელადები გატყდნენ და გადაწყვიტეს, მტრის მოწყალებას მინდობოდნენ. ჩვენი დანებება არ შეიძლებოდა - მაშინვე კუნძზე დამადებინებდნენ თავს. ოცოცდაათ ჯენტლმენსაც ჩემი ბედი ელოდა, ამიტომ ცხენებზე შევსხედით და ალყის გასარღვევად მოვემზადეთ. დიანამაც ჩვენთან ერთად გადაწყვიტა გაქცევა და ამ პატარა ესკადრონის შუაში მოვიქციეთ. ქალიშვილის სიმამაცითა და მამისადმი ერთგულებით გაოცებულმა მეგობრებმა დაიფიცეს, დავიხოცებით და მტრის ხელში არ დავტოვებთო.

ყველანი ფიშერგეიტის ქუჩას დავადექით და ერთ დაჭაობებულ ველზე გავედით. ველი მდინარე რიბლის ნაპირამდე მიდიოდა, იქ კი ერთმა ჩვენგანმა კარგი ფონი იცოდა. ჭაობებში მტერს პატარა რაზმი ეყენა, ასე რომ, მხოლოდ ჰანივუდელ მხედრებთან მოგვიხდა შეტაკება. ისინი ადვილად დავამარცხეთ და გავაქციეთ. შემდეგ მდინარე გადავლახეთ, ლივერპულის

გზას დავადექით და დავიქსაქსეთ, რომ ცალ-ცალკე გვეძებნა თავშესაფარი. მე უელსში მოვხვდი. იქ ბევრი თანამოაზრე მყავდა, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე უცხოეთში გაქცევა და კვლავ ჩრდილოეთისაკენ ვიბრუნე პირი. აქ ერთ სანდო მეგობარს უნდა შევხვდე - სოლვეის ნავსადგურში მიმიყვანს. ნავსადგურში ხომალდი დამხვდება და სამუდამოდ დავტოვებ მშობლიურ მხარეს. ვიცი, რომ ოსბალდისტონ-ჰოლში აღარავინ ცხოვრობდა და მოხუც სიდოლს ჰქონდა ჩაბარებული მოსავლელად, ამიტომ გადავწყვიტე აქ შემეფარებინა თავი. ციხე-დარბაზსაც კარგად ვიცნობდი და სიდოლიც ჩვენი კაცი იყო, ასე რომ შიში არაფრისა მქონდა. ამ ტანსაცმელში გამოვეწყვე. ადრეც ხშირად გამომდგომია - ცრუმორწმუნე მსახურებს ვაშინებდი ხოლმე! დიახ, ეს ტანსაცმელი ჩავიცვი და იმ მეგობარს დავუწყე ლოდინი. წუთი წუთზე უნდა გამოჩენილიყო, სიდოლს უნდა შეეტყობინებინა, მისი მოსვლა. ამ დროს თქვენც მოხვედით, ამ ოთახში ჩასახლდით და სხვა რაღა გზა გვქონდა - უნდა გამოვსულიყავით და თქვენს დიდსულოვნებას მივნდობოდით.

ასე დაამთავრა სერ ფრედერიკამ თავისი თავგადასავალი.

მე ისე ვუსმენდი, თითქოს სიზმარში ვყოფილიყავი და თვალებს არ ვუჯერებდი, რომ ცხადად ვხედავდი მის მშვენიერ ქალიშვილს. ამდენ გაჭირვებასა და უბედურებას სულ არ დაემჩნია კვალი დიანა ვერნონის მომხიბვლელ გარეგნობაზე, მხოლოდ სული შეცვლოდა ცოტათი. ის მჩქეფარე ენერგია, რის წყალობითაც ამდენი ფათერაკი გადაელახა, ახლა აღარ ეტყობოდა, მაგრამ არ გატეხილიყო - ახლაც მზად იყო აეტანა ყოველგვარი განსაცდელი და მეტი სიმტკიცით აღსდგომოდა წინ ბედის უკუღმართობას. სერ ფრედერიკი მთელი საუბრის დროს ეჭვით მადევნებდა თვალს, მაგრამ ქალიშვილის ქებისაგან მაინც ვერ შეიკავა თავი:

- ასეთ განსაცდელს დიანას მეტი ვერავინ გაუძლებდა. საშინელი წამება გამოიარა. უშიშრად შესცქეროდა სიკვდილს თვალებში, ვაჟკაცივით იტანდა შიმშილსა და წყურვილს, დღეს სიბნელეში ატარებდა, ღამეები არ ეძინა და არც ერთხელ არ დაუჩივლია. ერთი სიტყვით, მისტერ ოსბალდისტონ, დიანა, მართლაც, ღირსეული სასძლოა უფლისა (სერ-ფრედერიკმა პირჯვარი გადაიწერა) და იმიტომ არის, რომ უყოყმანოდ ვაგზავნი მონასტერში ჩემს უკანასკნელსა და უძვირფასეს განძს.

ამ სიტყვების შემდეგ ოთახში მდუმარებამ დაისადგურა. ყველაფერი აშკარა იყო: მაშინაც გადამიწურა დიანასთან სამუდამოდ შეერთების იმედი, შოტლანდიაში რომ შევხვდით ერთმანეთს რამდენიმე წუთით, და ახლაც გამიმეორა, გადაწყვეტილება არ შემიცვლიაო.

- მეტად ნუღარ მოვაცდენთ მისტერ ოსბალდისტონს, - უთხრა მან ქალიშვილს, - უკვე იცით, რომ უბედური სტუმრები მხოლოდ მისი მოწყალების იმედად არიან დარჩენილი!

ვთხოვე აქ დარჩით, მე სხვა ოთახში გადავალ-მეთქი, მაგრამ სერ ფრედერიკმა უარი მითხრა - თქვენი მსახური ეჭვს აიღებს, ესეც არ იყოს, ჩვენი თავშესაფარი ყოველმხრივ მოხერხებულია და არც არაფერი გვაკლია - სიდოლმა ყველაფრით მოგვამარაგაო.

- შეგვეძლო თქვენს უჩუმრად გვეცხოვრა იმ ოთახში, არა მგონია, ეჭვი აგეღოთ, მაგრამ ვერ გაკადრეთ, ოდესმე რომ გაგეგოთ ეს ამბავი, გეწყინებოდათ - იტყოდით, არ მენდნენ, ჩემი პატიოსნების იმედი არა ჰქონდათო, - დასძინა სერ ფრედერიკმა.

- კარგადაც მოიქეცით: თქვენ, სერ ფრედერიკ, თითქმის არ მიცნობთ, მაგრამ, იმედია, მის ვერნონი დაგიდასტურებთ, რომ...

- მე არ მესაჭიროება მისი დადასტურება, - თავაზიანად შემაწყვეტინა სიტყვა დიანას მამამ, რადგან იგრძნო, რომ დიანასთან ვაპირებდი საუბრის გაბმას, - ვიცი, რომ მისტერ ფრენსის ოსბალ-

დისტონს მოწმეები არა სჭირდება თავისი პატიოსნების დასამტკიცებლად. ახლა კი ნება გვიბოძეთ, გეახლოთ. უნდა დავისვენოთ, სანამ ამის საშუალება გვაქვს. წინ ხიფათით აღსავსე გზა გვიდევს და არ ვიცი, რა წუთში მოგვიკითხავს ჩვენი მეგობარი. - სერ ფრედერიკმა ქალიშვილს ხელი გამოსდო მკლავში, თავი დამიკრა და პორტიერს მიეფარა.

თავი XXXXIX

ბედისწერამ გადასწია ფარდა:
ერთიანად გაანათა სცენა!..

დონ სებასტიანი[245]

წავიდნენ! მე გაოგნებული ვიჯექი და ვგრძნობდი, როგორ მივლიდა ტანში უცნაური სიცივე. რა შორსაც არ უნდა იყოს გულის სატრფო, ნიადაგ თვალწინ გვიდგას და მარტო მომხიბვლელი კი არა, ყველა სასურველი თვისებით შემკული გვგონია. მეც ასე წარმომედგინა დიანა, როცა ვიხსენებდი, როგორ ამიწვა ლოყა მისმა ცრემლმა სამუდამოდ განშორებისას, თვალნათლივ ვხედავდი მის ტანჯვას, როცა მაკგრეგორის მეუღლეს უკანასკნელი სახსოვარი გამოატანა ჩემთან - სახსოვარი, რომლითაც მამცნო, რომ სამშობლოდან მოკვეთილსა და მონასტრის ტყვეობისათვის განწირულს, ჩემი სიყვარული უღვივოდა გულში. ახლა კი კვლავ შევხვდით ერთმანეთს. შევხვდით და მისმა თავშეკავებულმა ქცევამ და ნაღვლიანმა სიმშვიდემ უკანასკნელი იმედი დამიკარგა და შეურაცხმყო კიდეც. საშინლად შემელახა თავმოყვარეობა და დიანასაც გულცივობასა და უგრძნობლობაში დავდე ბრალი, მამამისი კი ამპარტავან და გულქვა ფანატიკოსად მივიჩნიე. იმას კი აღარ გავუწიე ანგარიში, რომ ორივეს უყოყმანოდ მიეტანა

მოვალეობის სამსხვერპლოზე საკუთარი სურვილები და მისწრაფებანი. რომ დიანა თვით ყველაზე მხურვალე გრძნობას, სიყვარულსაც კი იმეტებდა, ოღონდ მამამისისათვის ესიამოვნებინა.

სერ ფრდერიკ ვერნონი მტკიცე კათოლიკე გახლდათ და ღრმად სწამდა, რომ სულის ხსნის ბილიკი მეტად ვიწრო იყო ერეტიკოსისათვის. დიანა წლების განმავლობაში მხოლოდ მამაზე ზრუნავდა, მისი აზრებით და სურვილებით ცოცხლობდა და სჯეროდა, რომ შვილი უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდა მშობლის ნებას, თუმცა მას ყოველგვარი ამქვეყნიური სიამისა და თვით ყველაზე ფაქიზი გრძნობის, სიყვარულის დათმობა ებრძანებინა.. არ უნდა გაგიკვირდეს, რომ იმ დროს ვერ შევძელი დიანას საქციელის ახსნა, ვერ მივხვდი და საშინლად გავნაწყენდი, მაგრამ სამაგიეროს გადახდა აზრადაც არ მომსვლია.

- გამოდის, რომ ხელი მკრეს, - ჩავილაპარაკე, როცა სერ ფრედერიკის ნათქვამს ჩავუფიქრდი, - არაფრად ჩამაგდო, არც კი დამალაპარაკა დიანასთან. ეგრე იყოს, მაგრამ იმას ხომ მაინც ვერ დამიშლის, რომ მისი ქალიშვილის უშიშროებაზე ვიზრუნო? აქ დავრჩები დარაჯად და, მანამ ჩემს ჭერქვეშ არის, არაფერს გავუჭირვებ.

სიდოლს გავძახე, ბიბლიოთეკაში ამოდი-მეთქი. ამოვიდა, მაგრამ მარტო კი არა - ენდრუც ამოყვა

თან. ციხე-დარბაზებისა და მამულების მფლობელი რომ გავხდი, ენდრუს პატივმოყვარეობის სენი შეეყარა. იგი შემთხვევას არ უშვებდა, ჩემი ნდობა და პატივისცემა მოეპოვებინა, მაგრამ ზედმეტი არაფერი ვარგა, მით უმეტეს, თუ გრძნობ, რომ მხოლოდ საკუთარი მიზნების მისაღწევად გემსახურებიან ასე ერთგულად. ენდრუსაც ასე დაემართა - ისე შეაწუხა, რომ თვალით აღარ მინდოდა დამენახა. სიდოლს სათქმელი ვერ ვუთხარი და ისიც ვერ გავბედე, რომ აბეზარი მსახური ოთახიდან გამესტუმრებინა - ვიფიქრე, ალბათ წეღან, ოთახში რომ არ შემოვუშვი, იაზ-

რა რაიმე და, თუ ახლაც გავაგდებ კიდევ უფრო დაეჭვდება-მეთქი.

- მე აქ გავათევ ღამეს სერ, - ვუთხარი სიდოლს და ვუბრძანე, ბუხრისაკენ მიეწიათ ძველებური საწოლი, ანუ სეტი[246], - ბევრი სამუშაო მაქვს და გვიანობამდე არ დავიძინებ.

სიდოლი მიმიხვდა და მითხრა, წავალ და ლოგინს მოგართმევთო. შემდეგ არამკითხე მოამბეც დავითხოვე - ორი სანთელი ავანთებინე და ვუთხარი, წადი და დილის შვიდ საათამდე არ შემაწუხო-მეთქი.

მსახურები გავიდნენ და კვლავ მარტო დავრჩი მწუხარე და არეულ-დარეულ ფიქრებთან. სანამ დაღლილი სხეული დასვენებას არ მომთხოვდა, ასეთ ტანჯვა-წამებაში უნდა ვყოფილიყავი. ძალიან ვეცადე, ფიქრთა მდინარე სხვა გზით წარმემართა - სულ დამევიწყებინა, რომ ბედის

უკუღმართობამ ასე შავ დღეში ჩამაგდო, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხე. ადრე, სანამ ჩემი გრძნობების მეუფე შორს იყო, თავს ვერეოდი, მაგრამ ახლა, როცა აქვე, გვერდით მეგულებოდა და თანაც ვიცოდი რომ სულ მალე საუკუნოს უნდა გაყრილიყო ჩვენი გზები, საშინლად ავფორიაქდი, წიგნს წავეტანე, იქნებ კითხვას გადავაყოლო გული-მეთქი, მაგრამ ყოველ გვერდზე ჩემი მიჯნურის სახელი ეწერა და თვალიდან წამით არ მცილდებოდა მისი ხატება. ვინ არ მოვიხმე მშველელად, მაგრამ კვლავ და კვლავ დიანა ვერნონი მოდიოდა ჩემს დაძახილზე, თითქოს პრაიორის[247] პოემის გმირი - მეფე სოლომონის ერთგული მხევალი ყოფილიყოს:

...სხვა უნდა მეხმო, მართალია, იცოდა, მაგრამ

როცა სხვა ვიხმე, ჩემთან მაინც მოვიდა აბრა...

ხან მთლიანად მივენდობოდი ჭმუნვის მორევს, ხან თავგანწირვით ვიბრძოდი ნაპირზე გადმოსასვლელად. არ მეგონა, თუ ასე დამიმონებდა ნაზი გრძნობები და ვცდილობდი, სიამაყე მო-

მეხმო მშველელად. ხელი მკრეს, ჩემი წმინდა სიყვარული უარ-ყვეს-მეთქი, ვწუწუნებდი და შეუსვენებლად ვცემდი ოთახში ბოლ-თას. ბოლოს ისეთ დღეში ჩავვარდი, რომ შემეშინდა არ გავგიჟე-ბულიყავი, ტახტზე მივეგდე, იქნებ დავწყნარდე და დამეძინოს-მეთქი, მაგრამ სად იყო ძილი და მოსვენება?! კარგა ხანს გაუნ-ძრევლად ვიწექი გულაღმა, ხან ლექსებს ვიხსენებდი, ხან ვით-ვლიდი... არაფერმა მიშველა - სისხლი მდუღარესავით მივლიდა ძარღვებში და ხვედრივით მირახუნებდა საფეთქლებში.

ბოლოს ავდექი, ფანჯარა გამოვაღე და მთვარით გაკაშკაშე-ბულ მიდამოს მივაჩერდი. გარეთ მდუმარება და სიმშვიდე სუ-ფევდა და მეც ცოტათი ჩამიწყნარდა აფორიაქებული გული. კვლავ წამოვდექი და, თუმცა, ღმერთმა იცოდეს, ურვა და კაეშა-ნი არ გამნელებია, მაგრამ მხნეობა და საკუთარი თავის რწმენა მომემეტა. მალე თვლემა წამომეპარა, ვნებები დამიცხრა, მაგრამ სულს ძილშიც მიჯიჯგნიდა რაღაც საზარელი ზმანებები.

მახსოვს, უეცრად, მე და დიანა მაკგრეგორის ცოლის ხელში აღმოვჩნდით. ფრიალოდან ტბაში გვიპირებდნენ გადაგდებას. ნიშანი ზარბაზნის გასროლა უნდა ყოფილიყო, დასჯის ცერემონი-ალს სერ ფრედერიკ ვერნონი ხელმძღვანელობდა. იგი კარდი-ნალის სამოსში გამოწყობილი იდგა გატენილ ზარბაზანთან და ხელში ანთებული პატრუქი მოემარჯვებინა. ცხადად მახსოვს ეს სცენა, ახლაც თვალნათლივ ვხედავ, თუ რა მშვიდად და უშიშ-რად ემორჩილებოდა დიანა ბედის გარდაუვალ განაჩენს, ვხედავ ჯალათთა სიბრაზით დამახინჯებულ გამომეტყველებას. ისინი ირ-გვლივ შემოგვხვეოდნენ და საზარლად იგრიხებოდნენ. ვხედავ დიანას მამის მკაცრ სახეს, თვალებში შებრალების ნასახი არ უჩა-ნს, აი, ნელ-ნელა ასწია ხელი, რომელშიც ის საბედისწერო პატ-რუქი უჭირავს... გაისმა სროლის ხმა! ქუხილი კლდეებს მიაწყდა და უკან დაბრუნდა, ყველაფერი აზანზარდა... ამ ხმაურზე გამო-მეღვიძა და შემაძრწუნებელი ზმანების სამყაროდან საშინელ სი-

ნამდვილეს დავუბრუნდი: თურმე ეს ხმები სიზმარში არ მომსმია! გაღვიძების მერეც კარგა ხანს მესმოდა რაღაც წყვეტილი გრუხუნი, მაგრამ მხოლოდ ორი-სამი წუთის შემდეგ, როცა

საბოლოოდ გამოვფხიზლდი, მივხვდი, რომ ვიღაცა შეუჩერებლად აბრახუნებდა ალაყაფის კარებზე. შეშფოთებული წამოვვარდი ტახტიდან, დაშნა ავიტაცე და სირბილით დავეშვი კიბეზე. მტკიცედ გადავწყვიტე, არავინ შემომეშვა ეზოში. ალაყაფის კართან მისვლას კარგა ხანს მოვუნდი, რადგან ბიბლიოთეკა ეზოში კი არა, ბაღში გადიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავადექი იმ კიბეს, მთავარ შესასვლელთან რომ მიდიოდა და სიდოლის შეშფოთებული ხმა გავიგონე. იგი ვიღაცას ეკამათებოდა, რომელიც მოსამართლე სტენდიშის მიერ გაცემულ ორდერს ახსენებდა და ღრიალებდა, მეფე ჯორჯის სახელით მოვითხოვ, დაუყოვნებლივ გააღეთ კარი, თორემ სასტიკად დაისჯებითო. სიდოლმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ ნაცნობი ხმა გავიგონე და ლამის გულს შემომეყარა: ენდრუმ წინადადება მისცა მოხუც მსახურს, გვერდზე მიდექი, მე თვითონ გავუღებო და თან დაამშვიდა:

- რადგან მეფე ჯორჯის სახელით მოსულან, საშიში არაფერია. მისი გულისათვის სისხლი დაგვიღვრია, ოქრო და ქონება არ დაგვიშურებია და ზოგიერთივით არ უნდა ვუფრთხოდეთ გამოჩენას, მისტერ სიდოლ! ჩვენ ხომ პაპისტები არა ვართ?!

გიჟივით დავეშვი კიბეზე, მაგრამ მივხვდი, რომ დავაგვიანე: ჩერჩეტი მსახური ზედიზედ აძრობდა კარიდან ურდულებსა და საგდულებს. თან კი შეუჩერებლივ იკვეხნიდა, მეფე ჯორჯს ჩემზე და ჩემს ბატონზე ერთგული კაცი არც კი ჰყავსო. რადგან ალაყაფის კარის დაკეტვას ვეღარ ვასწრებდი,

გადავწყვიტე, როგორც კი შემთხვევა მომეცემოდა, მაგრად დამეჟეჟა ჩემი მეტიჩარა მსახური კეტით და უკან, ბიბლიოთეკისაკენ გავვარდი. შიგ რომ შევედი, კარი მივიჯახუნე, რაც კი მძიმე

მოვახელე, ზედ მივადგი, იმ კარს ვეცი, საიდანაც დიანა და მამამისი შემოვიდნენ ამ ცოტა ხნის წინათ და შევძახე, შემომიშვითმეთქი, კარი თვითონ დიანამ გამიღო. ჩაცმული იყო და არც დაბნეულობა ეტყობოდა და არც შიში.

- ისე მივეჩვიეთ საფრთხეს, რომ მუდამ მზადა ვართ მასთან შესახვედრად, - მითხრა დიანამ, - მამაჩემიც ფეხზეა, რეშლის ოთახშია გასული. ბაღში ჩავალთ და უკანა კარით გავიქცევით ტყეში. სიდოლმა წინასწარ მოგვცა გასაღები, იქნებ დაგჭირდეთო. იმ ტყეს საკუთარი ხელისგულივით ვიცნობ. თქვენ ოღონდ რამდენიმე წუთით შეაჩერეთ აქ და... და... კიდევ ერთხელ, სამუდამოდ გემშვიდობები, ჩემო... ჩემო ძვირფასო ფრენკ! - დიანამ მამამისს მიაშურა, მე კი ბიბლიოთეკაში დავბრუნდი. დაუპატიჟებელი სტუმრები უკვე კარს ამტვრევდნენ.

- ჰაი, თქვე ძაღლებო, თქვე ყაჩაღებო! - დავუღრიალე მე თუმცა კარგად ვიცოდი, რომ საყაჩაღოდ არ იყვნენ მოსულნი, - ახლავე დაიკარგეთ აქედან, თორემ სულ ამოგწყვეტთ ბრანდერბრასით![248]- ტყუილად ნუ იმუქრებით, - შემომძახა ენდრუმ. - ეს მისტერ ჯობსონია, მოსამართლის მდივანი, და თან კანონიერად დაწერილი ორდერი აქვს.

- მოიძებნოს, დაკავებული და პატიმრობაში აყვანილი იქნას პიროვნებები, რომლებიც ზემოხსენებულ ორდერშია ჩამოთვლილი და ბრალად ედებათ სახელმწიფოს ღალატი, რომელიც ისჯება მეფე ვილჰელმის სჯულდების მესამე თავის მეცამეტე პარაგრაფით! - გაისმა კანონის ვირთხის წრიპინი.

კარს კვლავ დაუპირეს შემოგლეჯა!

- ვდგები ჯენტლმენებო, - დავუძახე, რომ დრო მომეგო, - კარს ნუ ამტვრევთ, ახლავე გაგიღებთ. ორდერი უნდა მიჩვენოთ. თუ კანონიერად არის შედგენილი, არ გაგიძალიანდებით.

- უფალო, შენ დაიფარე დიადი ჯორჯი, ჩვენი ხელმწიფე! - შეღაღადა ღმერთს ენდრუმ, - ხომ გეუბნებოდი, აქ იაკობიტები არ

არიან-მეთქი! კარგა ხანს ვითრიე ფეხი, მაგრამ, ბოლოს, იძულებული გავხდი, კარი გამეღო. კიდევ რომ დამეხანებინა, შემოამტვრევდნენ. ოთახში ჯობსონი და მისი თანაშემწეები შემოცვივდნენ. მათ შორის უმცროსი უინფილდიც შევნიშნე - ალბათ იმან დაგვაბეზღა მოსამართლესთან. ჯობსონმა ორდერი წარმომიდგინა, რომელიც მსჯავრდადებული სახელმწიფო მოღალატის ფრედერიკ ვერნონისა და მისი ხელის შემწყობების დიანა ვერნონის (ქალიშვილის), და ფრენსის ოსბალდისტონის (ჯენტლმენის) დაპატიმრების უფლებას იძლეოდა. წინააღმდეგობის გაწევა სიგიჟე იქნებოდა, ამიტომ ვთხოვე, ორიოდე წუთი მომეცით მოსამზადებლად და ჩაგბარდებით-მეთქი.

ლამის გადავირიე, როცა დავინახე, რომ ჯობსონი მის ვერნონის ოთახისაკენ გაემართა, იქიდან კი პირდაპირ სერ ფრედერიკ ვერნონის საძინებელში შერგო თავი.

- კურდღელი გაპარულა, მაგრამ კვალი ჯერ კიდევ ახალია, - ჩაილაპარაკა გაიძვერა მოხელემ, - არა უშავს, მეძებრები მალე ჩაავლებენ კბილებს უკანა ფეხებში...

ბაღში ატეხილმა ხმაურმა მამცნო, რომ ჯობსონის წინასწარმეტყველება ამხდარიყო. ხუთიოდე წუთის შემდეგ ბიბლიოთეკაში რეშლი შემოვიდა და ორი ტყვე, სერ ფრედერიკ ვერნონი და მისი ქალიშვილი შემოიყვანა.

- მელიამ ძველი სორო გაიხსენა, მაგრამ ის კი აღარ იფიქრა, რომ ჭკვიანი მონადირე წინასწარ ამოქოლავდა. მე არ დამვიწყებია ის პატარა ჭიშკარი, სერ ფრედერიკ, ან თუ მეორე ტიტული უფრო მოგწონთ, უკეთილშობილესო ლორდო ბიუჩემპო.

- რეშლი, შენ ნამდვილი გარეწარი ხარ! - უთხრა სერ ფრედერიკმა.

- მე მაგ ტიტულს მაშინ უფრო ვიმსახურებდი, პატივცემულო ბარონეტო, უკაცრავად, დიდებულო ლორდო, როცა გამოცდილი დამრიგებლის შთაგონებით მშვიდობიანი ქვეყნის გულში სა-

მოქალაქო ომის კოცონის გაჩაღებას ვცდილობდი. მაგრამ შემდეგ ყველაფერი ვიღონე ჩემი შეცდომის გამოსასწორებლად, - მიუგო რეშლიმ და თვალები მაღლა აღაპყრო.

თავიდან გადავწყვიტე, არაფერი მეთქვა, მაგრამ ახლა ვიგრძენი, რომ ხმას თუ არ ამოვიღებდი, გული გამისკდებოდა:

- თუკი ჯოჯოხეთის ბინადარნი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიბილწითა და სიმახინჯით, ყველაზე უარესი შესახედავი კეთილშობილების ნიღაბაფარებული არამზადა იქნება!

- ოოო! ჩემი ძვირფასი ბიძაშვილიც აქ ბრძანებულა! - შესძახა რეშლიმ, სანთელი მომანათა და თავით-ფეხამდე ამათვალ-ჩამათვალიერა. - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ოსბალდისტონ-ჰოლში! მომიტევებია ეგ ბოღმიანი სიტყვები - ვხვდები, რომ გამწარებული იქნებით, ადვილი საქმეა, ერთ ღამეში მამულისა და საყვარლის დაკარგვა?! ესენი ხომ იმიტომ მოვიდნენ ამ ღატაკ სახლში, რომ კანონიერი მემკვიდრეობა დაუბრუნონ სერ რეშლი ოსბალდისტონს!

რეშლი აგდებულად მელაპარაკებოდა, მაგრამ კარგად ვამჩნევდი, რომ სირცხვილს ძლივს მალავდა. ეს უფრო აშკარად შეეტყო, როცა დიანამ ამოიღო ხმა:

- მებრალებით, რეშლი! საშინელი ბოროტება გქონდათ განზრახული და საწადელი ვერ აისრულეთ, მაგრამ რაც დამართეთ, ისიც საკმარისია, რომ მეჯავრებოდეთ! მიუხედავად ამისა, მებრალებით! მხოლოდ ამ საღამოს ჩადენილი უგვანო საქმეც კი არ მოგასვენებთ სიკვდილამდე, სინდისის ქენჯნა გაგიმწარებთ სიცოცხლეს, ძილშიაც კი ვერ იგრძნობთ შვებას!

რეშლიმ ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ მაგიდასთან შეჩერდა, ღვინის ბოთლს წაეტანა და აკანკალებული ხელით გაივსო მოზრდილი ჭიქა. უცებ მიხვდა, რომ შევნიშნეთ, რა დღეში იყო, მღელვარება დაიოკა, გამომწვევად მოგვაშტერდა თვალებში და ჭიქა ისე დაცალა, წვეთი არ დაუღვრია.

- ძველი ბურგუნდულია, მამაჩემის დროიდან შემორჩენილი, - უთხრა მან ჯობსონს, - კიდევ კარგი, რომ მთლიანად არ გამოუწრუპავთ... წესიერი ხალხი შემირჩიეთ, რომ სახლსა და მამულს მოუარონ. ეს ბებერი მსახური და უტვინო შოტლანდიელი პანღურის კვრით უნდა გავყაროთ აქედან - ორივე თაღლითები არიან! ამ პიროვნებად კი ბადრაგი გავაყოლოთ და უფრო შესაფერის ადგილას მივაბრძანოთ! მე ვუბრძანე, საოჯახო კარეტა მოემზადებინათ. არ მინდა, გზამ დაღალოთ, თუმცა, კარგად ვიცი, რომ ლედის ცხენზე ჯდომაც ემარჯვება და ფეხითაც კადრულობს სიარულს, თუ მოგზაურობის მიზანი მის გემოვნებას აკმაყოფილებს! არც სიბნელეს უფრთხის და არც წვიმასა და ქარიშხალს!

- მე მარტო ისა ვთქვი, ჩემი ბატონი, იმასთან... მოჩვენებასთან საუბრობს ბიბლიოთეკაში-მეთქი, - ალუღლუღდა აღელვებული ენდრუ, - მარტო ეს ვთქვი, ამ გაფუჭებულმა ლენსიმ კი სულ აიღო სინდისზე ხელი და ძველი მეგობარი დააბეზღა. ის მეგობარი, ოცი წელი, ყოველ კვირა დღეს ერთად რომ მღეროდნენ ფსალმუნებს...

ენდრუ და სიდოლი მუჯლუგუნის კვრით გაყარეს ოთახიდან (სიტყვის დამთავრებაც არ აცალეს), მაგრამ ენდრუს გაგდებამ სულ სხვანაირად შეაბრუნა საქმე, როგორც შემდგომ მომიყვა, თურმე დეიდა სიმპსონის ბინისაკენ გაუწევია ღამის გასათევად (იქნებ ძველი ნაცნობობა გაიხსენოს და შემიფაროსო). მთავარი ხეივანი გაუვლია და „ძველ ტყეში“ შესულა. ტყისა სახელი დარჩა, თორემ საძოვარს უფრო ჰგავდა. შესულა და შოტლანდიელთა ნახირს წასწყდომია - ღამის გასათევად დაებინავებინათ იმ „ტყეში“. ენდრუს ეს ამბავი არ გაჰკვირვებია, რადგან კარგად იცნობდა თავის თანამემამულეებს: შოტლანდიელი ჩოდრები საუკეთესო მინდვრებს ეძებენ ღამის გასათევად და დილით უთენია იპარებიან, რომ ფული არ გადაიხადონ. არ გაჰკვირვებია, მაგრამ მაშინ კი ძალიან შეცბუნებულა, როცა ვიღაც მთიელი სცემია

და ჩხუბი აუტეხავს, ნახირი დამიფრთხეო.. მთიელს აღარ გაუშვია თავის გზაზე, ჯერ ჩვენს უფროსს მოელაპარაკეო და ბუჩქებისაკენ წაუყვანია. ბუჩქებთან სამი თუ ოთხი შოტლანდიელი დაუნახავს. „მაშინვე ვიაზრე, რომ ამ ჯოგს ამდენი მენახირე არ სჭირდებოდა და როცა დაკითხვა დამიწყეს, ვთქვი, ამათ სხვა მუცლის გვრემა აქვთ-მეთქი“.

მენახირეებს დაწვრილებით გამოუკითხავთ ოსბალდისტონ-ჰოლის ამბები და ძალიან გაოცებულან და შეწუხებულან, რომ ჩვენი დაპატიმრება გაუგიათ.

- არაფერი დამიფარავს, - მითხრა ენდრუმ, - სულ წვრილად ჩავუკაკლე ყველაფერი, იმიტომ, რომ ჩემს დღეში არ გავძალიანებივარ ხანჯალმომარჯვებულ ადამიანს და დამბაჩისაც ძალიან მეშინია.

მენახირეებმა ჩურჩულით მოითათბირეს, ჯოგი წამოშალეს და მთავრი ხეივნისაკენ გარეკეს (იქამდე სულ ნახევარი მილი იქნებოდა), იქ რომ მივიდნენ, წაქცეული ხეები მოზიდეს და, ასე, თხუთმეტიოდე ნაბიჯზე ხეივნის ბოლოდან, გზა გადახერგეს. განთიადი დგებოდა. აღმოსავლეთით ცა შეიფერა, მთვარეც აფენდა იქაურობას მკრთალ სხივებს და უკვე საკამოდ კარგად ჩანდა ყველაფერი. ხეივნის დასაწყისიდან კარეტის რახრახი მოისმა. კარეტას ოთხი ცხენი ება. აქეთ-იქიდან ოთხი მხედარი ამოსდგომოდა მცველად. შიგ მისტერ ჯობსონი, მე და უბედური ტყვეები ვისხედით. მთიელებმა ყურები ცქვიტეს. მცველებიდან ერთი რეშლი იყო, დანარჩენი პოლიციის მოხელეები და მათი თანაშემწეები. როგორც კი კარეტა ხეივანს გამოსცდა, ერთმა მთიელმა ცხვირწინ დაუკეტა ჭიშკარი კავალკადას. იმავე წამს კარეტა ჯოგში შეიჭრა, ჯოგის უკან კი ხეებით იყო გზა გადაჭედილი.

- ვინ გაბედა ჩვენს ჯოგში შემოჭრა? - მკაცრად იკითხა ვიღაცამ, - ესროლე, ანგუს!

- ტყვეებს იტაცებენ, - იყვირა რეშლიმ, დამბაჩა დასცალა და ის მთიელი დასჭრა, რომელმაც სროლის ბრძანება გასცა.

- ხმალდახმალ მიდით! - შესძახა მეჯოგეთა უფროსმა. მოწინააღმდეგენი შეიბნენ!

კანონის მსახურნი სიმამაცით ვერ დაიკვეხნიდნენ, თანაც ისე დააბნია ამ მოულოდნელმა შეტევამ, რომ, რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, უნდილად იქნევდნენ ხმლებს. ზოგმა მათგანმა, უკან ციხე-დარბაზისაკენ დააპირა გაქცევა, მაგრამ ხეივნიდან დამბაჩის სროლა რომ გაიგონეს, იფიქრეს ალყაში ვართ და უწესრიგოდ გაიფანტნენ აქეთ-იქით.

რეშლი ჩამოქვეითებულიყო და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდა მეჯოგეთა უფროსს.

მე კარეტის ფანჯრიდან ვუმზერდი ორთაბრძოლას. რეშლი დაეცა.

- თუ პატიებას მთხოვ, მეფე ჯეიმზისა და ჩვენი ძველი მეგობრობის ხათრით შეგიწყალებ, - მომესმა ნაცნობი ხმა.

- არა, არასოდეს! - მტკიცედ მიუგო რეშლიმ.

- მაშ მოკვდი, მოღალატევ! - შესძახა მაკგრეგორმა და მიწაზე განრთხმულ მტერს ხმლით გაუპო მკერდი.

წამის შემდეგ იგი კარეტის კართან გაჩნდა და მის ვერნონს ხელი შეაშველა. შემდეგ მამამისსა და მე მოგვეხმარა ჩამოსვლაში, მოსამართლის მდივანი კი საყელოთი ჩამოათრია და ბორბლებქვეშ შეაგდო. შემდეგ მომიბრუნდა და ჩურჩულით მითხრა: მისტერ ოსბალდისტონ, თქვენ არავითარი საფრთხე არ გემუქრებათ, ამიტომ იმათზე ვიზრუნებ, ვისაც ჩემი შველა სჭირდება. ჩვენი მეგობრები მალე სამშვიდობოს იქნებიან გასული. კარგად იყავით! არ დაივიწყოთ მაკგრეგორი!

მან სტვენით მოუხმო თავის ხალხს, დიანა და სერ ფრედერიკი გაიყოლა და ყველანი თვალის დახამხამებაში გაუჩინარდნენ უსიერ ტყეში.

მეეტლემ და ფორეიტორმა პირველი გასროლისთანავე მოკურცხლეს, მაგრამ ცხენები არ დამფრთხალან - მორებით ჩახერგილ გზას რომ მიადგნენ, შეჩერდნენ და ფეხი აღარ მოუცვლიათ. ჯობსონს ბედი ჰქონია, თორემ სულ ორი ნაბიჯი რომ გადაედგათ, კარეტა ზედ მკერდზე გადაუვლიდა. მაშინვე მივვარდი და ფეხზე წამოვაყენე. არამზადა მოხელე ისე იყო შეშინებული, რომ თვითონ ვერ მოიფიქრებდა წამოდგომას. ცოტა რომ მოსულიერდა, ვუთხარი, კარგად დაიმახსოვრე, რომ პატიმართა განთავისუფლებაში მონაწილეობა არ მიმიღია და არც გაქცევა მიცდია-მეთქი. შემდეგ ვუბრძანე, ციხე-დარბაზში შესულიყო და თავისი ხალხი გამოეგზავნა დაჭრილთა გადასაყვანად, მაგრამ შიშისაგან ისე იყო თავგზააბნეული, რომ ადგილიდან ვერ დაიძრა. მაშინ თავად გადავწყვიტე წასვლა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარე, მიწაზე გაშხლართულ კაცს წამოვკარი ფეხი. ჯერ მკვდარი ან დაჭრილი მეგონა, მაგრამ ცოცხალი და საღ-სალამათი ენდრუ ფერსერვისი შემრჩა ხელთ. თურმე შეტაკების დაწყებისთანავე წამოწოლილიყო, რომ ჰაერში მოელვარე ხანჯლებისა და ხმლების გემო არ გაესინჯა.

ენდრუს დანახვა ისე გამიხარდა, რომ აღარ ჩავეძიე, აქ საიდან გაჩნდი-მეთქი. მაშინვე ფეხზე წამოვაგდე და ვუბრძანე უკან გამომყოლოდა. პირველად რეშლის გადაყვანა გადავწყვიტეთ. რომ დამინახა, აკვნესდა. მე მგონი, ტკივილზე უფრო სიბრაზემ და სიძულვილმა ააკვნესა. ახლოს რომ მივედი, თვალები დახუჭა და ალბათ იაგოსავით გადაწყვიტა, ხმისამოუღებლად დაელია სული. ავწიეთ და კარეტაში ჩავაწვინეთ. შემდეგ კიდევ ერთი მისიანი მივუწვინეთ გვერდით (დაჭრილი ეგდო ბრძოლის ველზე) და ჯობსონს ვუთხარი, თქვენც გვერდით მოუჯექით რეშლის და დაიჭირეთ, რომ არ გადმოვარდეს-მეთქი. კარგა ხანს ვერ გამიგო, რა მინდოდა, მერე ჩაჯდა, მაგრამ, მგონი, მაინც ვერ მიხვდა, რა უნდა გაეკეთებინა. მე და ენდრუმ ცხენები შემოვაბრუნეთ, ხე-

ივნის ჭიშკარი გავაღეთ და კარეტა ნელა წავიყვანეთ ოსბალდისტონ-ჰოლისაკენ.

ბრძოლის ველიდან ლტოლვილთაგან ორიოდეს მოეხერხებინა ციხე-დარბაზში შესვლა და იქ დარჩენილთათვის ეთქვათ, რეშლი, ჯობსონი და მათი მხლებლები სულ ლუკმა-ლუკმა აკეპა მთიელთა პოლკმაო, მხოლოდ ჩვენ გადავრჩით და აქეთ გამოვიქეცით, რომ ამბავი მოგვეტანაო. ალბათ ამიტომ იყო, რომ ციხე-დარბაზი მტერზე თავდასასხმელად გამზადებულ სკასავით გუგუნებდა.

მისტერ ჯობსონი მოსულიერებულიყო და, როგორც იქნა მოეხერხებინა ხმის ამოღება. იგი მაშინვე იცნეს. კანონის მსახური ძალიან ჩქარობდა კარეტიდან გადმოსვლას, რადგან მის ერთ-ერთ თანამგზავრს (პოლიციის მოხელეს) მის თვალწინ დაელია სული.

სერ რეშლი ოსბალდისტონი ცოცხალი იყო, მაგრამ ისეთი მძიმე ჭრილობა ჰქონდა, რომ კარეტის ძირიც სისხლით გაავსო და სადარბაზოდან ქვის დარბაზამდეც სისხლიანი კვალი გაიყოლა, დაჭრილი სავარძელზე მივაწვინეთ. ყველა დაფაცურდა - ზოგი ჭრილობის შეხვევას ცდილობდა, ზოგი დასტაქრის დაძახებას მოითხოვდა, მაგრამ წამსვლელი არავინ ჩანდა.

- ნუ მაწვალებთ, - ამოილუღლუღა დაჭრილმა, - ვიცი, რომ არაფერი მეშველება. ვკვდები!

მართლაც, ჭირის ოფლით დანამვოდა შუბლი, მაგრამ თავს ძალა დაატანა, წელში გასწორდა და საკმაოდ ხმამაღლა და მტკიცედ წარმოსთქვა: ბიძაშვილო, ახლოს მოდექითო.

მე მივუახლოვდი.

- მინდა იცოდეთ, რომ სასიკვდილო ტანჯვამ სულ არ შემიცვალა თქვენზე აზრი. კვლავ ისევ მძულხართ! - მითხრა მან და თვალებიდან, რომელიც მალე სამუდამოდ უნდა დახუჭვოდა, საზარელი ზიზღი შემომაფრქვია, - ახლაც, როცა სასიკვდილოდ ვარ

განწირული, როცა სისხლით ვიცლები, ძველებურად მეზიზღებით! ასეთივე ძლიერი ზიზღი მექნებოდა, თქვენ რომ ყოფილიყავით ჩემს ადგილას, ფეხი თქვენს ყელზე რომ მქონოდა დაჭერილი!

- მე არ მომიცია ასეთი ზიზღის საბაბი, სერ! თქვენივე სიკეთისათვის ვისურვებდი, რომ სხვა მხარეს წაგემართათ ფიქრი!

- საბაბი? საბაბი როგორ არ მომეცით... ყველგან გზა მომიჭერით, სიყვარულში მეტოქედ გამიხდით, კარიერა გამიფუჭეთ, გამდიდრება არ დამანებეთ. ოჯახის სიამაყე უნდა ვყოფილიყავი და შემარცხვენელად ვიქეცი!.. და ყოველივე ამის მიზეზი თქვენა ხართ!.. საგვარეულო ციხე-დარბაზიც კი თქვენ დაგრჩათ... დაგრჩათ და, დაე, მარად წყეული იყოს აქაურობა!

რეშლი დადუმდა, სავარძლის საზურგეზე გადაწვა და უკანასკნელად ამოისუნთქა. თვალებში სიცოცხლე ჩაუქრა, ხელ-ფეხი გაუხევდა, მაგრამ ტუჩებზე კვლავ ზიზღიანი ღიმილი შერჩენოდა და უსიცოცხლო თვალებიც წინანდებური მძულვარებით მომჩერებოდა...

უნდა შევწყვიტო ამ საშინელი სურათის აღწერა... დავსძენ მხოლოდ, რომ რეშლის სიკვდილის შემდეგ დაუბრკოლებლივ გადმომეცა ბიძაჩემის მემკვიდრეობა. ჯობსონი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ სულელური ბრალდება, ვითომდა მეც სახელმწიფო მოღალატე ვიყავი მხოლოდ affidavit[249]- ზე იყო დაფუძნებული. აღიარა აგრეთვე, რომ ეს ყველაფერი რეშლიმ მოაწყო, რათა ციხე-დარბაზიდან გავეძევებინე. არამზადა ჯობსონი კანონის მსახურთა სიიდან ამოშალეს, ხალხი პირში აფურთხებდა, ცხოვრების სახსარი ვერ იშოვა და გაღატაკდა.

მამულის საქმეები მოვაწესრიგე და ლონდონში დავბრუნდი. თავს ბედნიერად ვგრძნობდი, რომ იმ მიდამოებს გავეცალე, სადაც ამდენი ტანჯვა-წამება გადამხდა. ძალიან ვწუხდი დიანასა და მამამისის ბედზე, მაგრამ ლონდონში ერთი ფრანგი ჩამოვიდა სა-

ვაჭროდ და მის ვერნონის წერილი ჩამომიტანა - დიანასა და მამამისს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

წერილიდან გავიგე, რომ მაკგრეგორი და მისი რაზმი შემთხვევით არ მოსულან ციხე-დარბაზთან: აჯანყებაში გარეული შოტლანდიელი დიდებულებსა და სკვაირებს, აგრეთვე ზოგიერთ ინგლისელ მემამულეს, გულით უნდოდათ, რომ სერ ფრედერიკ ვერნონი ინგლისიდან გაქცეულიყო - იგი სტიუარტების სამეფო გვარის რწმუნებული იყო და თან ისეთი საბუთები ჰქონდა, მთავრობას რომ ჩაეგდო ხელთ, შოტლანდიელთა ნახევარს სახრჩობელ არ ასცდებოდა. ამიტომ ერთხმად გადაწყვიტეს, სერ ფრედერიკი ინგლისიდან გაეპარებინათ და ეს საქმე რობ როის დაავალეს (მასზე მამაცსა და მოხერხებულს ვის იპოვიდნენ?) რობ როიმ ოსბალდისტონ-ჰოლთან დაუთქვა შეხვედრა ლტოლვილთ.

შენ უკვე იცი, რომ სვებედნიერმა რეშლიმ კინაღამ ჩაშალა ეს გეგმა, როცა სერ ფრედერიკი და მისი ქალიშვილი ოსბალდისტონ-ჰოლის მიდამოებს გასცდნენ, მაკგრეგორმა ცხენებზე შესხა და დასავლეთ სანაპიროზე მიიყვანა (მან შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ინგლისის ყველა გზა და ბილიკი იცოდა). აქედან ორივენი მშვიდობით გადასულან საფრანგეთში.. წერილის მომტანმა შემატყობინა, სერ ფრედერიკი ძალიან მოტეხა ამდენმა გაჭირვებამ და უბედურებამ. იგი რაღაც მძიმე სენით დაავადდა და მკურნალთა აზრით დიდი დღე აღარა აქვს. ქალიშვილი მონასტერში ჰყავს, სერ ფრედერიკს უნდა მონაზვნად აღიკვეცოს, მაგრამ ძალას არ ატანსო.

ეს რომ გავიგე, მამაჩემთან მივედი და გული გადავუშალე. იგი ძალიან შეცბა, როცა გაიგო, რომ კათოლიკეზე ვაპირებდი ქორწინებას, მაგრამ დიდი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. ამის მიზეზი ის იყო, რომ მამაჩემს ძალიან უნდოდა ოჯახს მოვკიდებოდი და დავდუღებულიყავი. თან იმასაც ძალიან აფასებდა, რომ პო-

ეტობა გადავიფიქრე და მუყაითად მოვეკიდე კომერციას. მან ცოტა ხანს იყოყმანა, რამდენიმე კითხვა დამისვა და ჩემი პასუხები რომ მოეწონა, თქვა:

- არასოდეს არ ვიფიქრებდი, რომ ჩემი შვილი ოსბალდისტონის სალორდოს მიიღებდა, იმას კი სულ ვერ წარმოვიდგენდი, თუ საფრანგეთის მონასტერში დაუწყებდა ძებნას საცოლეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი კარგი შვილი, კარგი ცოლიც იქნება. შენ ძალიან მასიამოვნე იმით, რომ დამიჯერე და კომერციას მოჰკიდე ხელი, ცოლად კი ის უნდა შეირთო, ვინც შენს გულს ესიამოვნება.

დაუყოვნებლივ შევუდექი ქორწინების სამზადისს... თუმცა, შემდგომი ამბები შენც კარგად იცი, უილ, და თავს აღარ შეგაწყენ. იცი, რომ ბოლომდე ბედნიერად ვცხოვრობდი ჩემს დიანასთან. იცი, რომ ვიდარდე მისი დაკარგვა, მაგრამ არ იცი, შეიძლება, არ იცოდე რომ დიანა სავსებით იმსახურებდა იმ დარდსა და მწუხარებას, რომელიც ახლაც ძველებურად მისერავს გულს.

აი, მთელი ჩემი სამიჯნურო თავგადასავალი. მეტი არაფერი მაქვს მოსაყოლი, რადგან სხვა ყველაფერი იცი - შენ ხომ ჩემი სიხარულისა და მწუხარების მოზიარე იყავი მთელი ცხოვრების მანძილზე!

ამის შემდეგ ხშირად მიხდებოდა ჩასვლა შოტლანდიაში, მაგრამ არც ერთხელ აღარ შევხვედრილვარ იმ მამაც მთიელს, რომელმაც ესოდენ დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. დროდადრო ამბავი მოდიოდა, რომ იგი მამაცურად უმკლავდებოდა ყოველი მხრიდან შემოსეული მტრების შემოსევას და კვლავ ლოხლომონდის მთების ბატონ-პატრონად ითვლებოდა. მთავრობამ ვერაფერი მოუხერხა და ბოლოს იძულებული გახდა, შერიგებოდა იმ მდგომარეობას, რომ „ლენოქისი თვითმარქვია მფარველი შესაშური გულმოდგინებით ახდევინებდა ქვემო შოტლანდიელ მემამულეებს „შავ ხარკს“.

ვერავინ იფიქრებდა, რომ რობ როი თავისი სიკვდილით მოკვდებოდა, მაგრამ სწორედ ასე მოხდა: მან ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია და მშვიდად დალია სული 1733 წელს. შთამომავლობა დღესაც სიყვარულით იხსენებს, შოტლანდიელ რობინ ჰუდს უწოდებს და მდიდართა რისხვად და ღარიბთა მეგობრად რაცხავს. ხალხში ხშირად გაიგონებთ, რომ რობ როი მრავალი საუკეთესო თვისებით დააჯილდოვა ბუნებამ, ჭკვიანი და გულიანი კაცი იყო, რა ვუყოთ, რომ ცხოვრებამ აიძულა, ასეთი საეჭვო ხელობა აერჩიაო. მოხუცი ენდრუ ფერსერვისი ხშირად იტყოდა, ვინ დათვლის, რამდენი ცუდი რამ არის ამ ქვეყნად საქმები და რამდენი კარგი საგინებელი, ამის მაგალითად რობ როიც კმარაო.

(აქ ხელნაწერი, საკმაოდ მოულოდნელად წყდება. ზოგიერთი ნიშნის მიხედვით დავასკვენი, რომ შემდეგი ნაწილი პირად საქმეებს ეხებოდა).

სქოლიო

[1] ლექსები თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა.

[2] დედოფალი ანა (166-171) ჯეიმზ II ქალიშვილი, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მეფე 1702-1714 წლებში.

[3] ჯორჯ I (1660-1727) - ჰანოვერის კურფრისტრის ერნსტ ავგუსტისა და ინგლისის მეფის ჯეიმზ I შვილიშვილის, სოფიოს შვილი. 171 წელს, დედოფალ ანას გარდაცვალების შემდეგ, ავიდა ინგლისის ტახტზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში იხსენიება გიორგი I სახელით.

[4] მთიანეთი - შოტლანდიის ჩრდილოეთი მხარე.

[5] ინგლისელი პოეტი სუ. უორდს უორთის (W. Wordsworth) ლექსი „რობ როის საფლავი“.

[6] ლოხ-ლომონდი - ტბა დასავლეთ შოტლანდიაში.

[7] თურმე, არც ისე დიდი ხნის წინათ, დააპირეს დუგალდ ქიარ-მორის საფლავის ვეება ლოდი წაეღოთ და ფანჯრის თაღად თუ ზღურბლად გამოეყენებინათ. ვიღაც ცოტა გონებაარეული მაკგრეგორი თურმე საშინლად გააოცა წინაპრის საფლავის შებღალვამ. მან ნაჯახი აიღო ხელში, საფლავის ქვასთან დადგა და დაიფიცა, ვინც ამ ლორდის ხელის ხლებას გაბედავს, აქვე დავანთხევინებ ტვინსო. იგი კარგა მოსული ვაჟკაცი ყოფილა, თანაც შერეკილი და ალბათ მართლაც შეასრულებდა დანაქადს, ამიტომ, ამჯობინეს საფლავს არ მიჰკარებოდნენ. საწყალმა შეშლილმა რამდენიმე დღეს, არც დღით, არც ღამით ფეხი არ მოიცვალა იქიდან, სანამ ბოლომდე არ გადაიფიქრეს ლოდის აღება (ავტორის შენიშვნა).

[8] ზემოხსენებული ამბავი გადმოცემულია კლანის ისტორიის ერთ-ერთი ხელნაწერის მიხედვით, რომელიც აწ განსვენებულმა ესკვაირმა, 33-ე პოლკის მაიორმა, დონალს მაკგრეგორმა ამომიკითხა. ძველი და მყარი გადმოცემა, რომელიც დაცულია ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, კერძოდ მაკფარლენის კლანში, სტუდენტთა დახოცვაში დუგალდ ქიარ-მორის კი არა, ვინმე დონალდ, თუ დუნკან ლინს ადანაშაულებს, რომელსაც ეს უღვთო საქმე თავისი მსახურის, სახელად ჩარლიოხის - ანუ ჩარლის დახმარებით ჩაუდენია. როგორც ამბობენ, მკვლელებმა ვეღარ გაბედეს თავიანთ კლანში დაბრუნება და მაკფარლენების მამულის ერთ უდაბურ და უკაცრიელ კუთხეს შეაფარეს თავი. იქ ალბათ არავინ შეაწუხებდათ, ახალი მხეცობა რომ არ ჩაედინათ: მათ მაკფარლენის კლანის ქალები გააუპატიურეს - დედა და შვილი. მაკფარლენებმა შური იძიეს - დამნაშავეებს მიუხტნენ და დახოცეს, ამბობენ ახალგაზრდა მსახურს, ჩარლიოხს, შეეძლო გაქცევით გადაერჩინა თავი რადგან ძალიან ფეხმარი ყოფილა, მაგრამ დანაშაული სასჯელად ქცევია: ქალი თურმე იოლად არ დანებებია, მოძალადის ხანჯალი ეგდო ხელთ და თეძოში დაეკოდა, დაკოჭლებული ჩარლიოხი სულ ადვილად ჩაუგდიათ ხელში მაკფარლენებს და სიცოცხლეს გამოუსალმებიათ. ჩემი აზრით, ეს მეორე ვერსია უფრო სწორი უნდა იყოს. დუგალ ქიარ-მორს ალბათ იმიტომ დააბრალეს ეს დანაშაული, რომ ცნობილი კაცი იყო, ან შესაძლებელია, ამ ორმა ხელქვეითმა მისი ბრძანებით დახოცა ის სტუდენტები (ავტორის შენიშვნა).

[9] ჯეიმზ VI - იხ. ჯეიმზ I.

[10] ჩოლდერი - ფქვილისა და მარცვლეულის საწყაო შოტლანდიაში, უდრის დაახლ. 1200 კილოგრამს.

[11] ჯეიმზ (იაკობ) I (1566-1625) - დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მეფე 1603-1625 წლებში, როგორც შოტლანდიის მეფე იწოდებოდა ჯეიმზ VI.

[12] ჩარლზ I (16000-16 9) - ინგლისის მეფე 1625-16 9 წლებში. ქართულ ისტორიოგრაფიაში - კარლოს I.

[13] რესტავრაციის შემდეგ - ანუ 1660 წლის შემდეგ, როცა ინგლისში აღსდგა მონარქია.

[14] 1692 წლის 12 თებერვალს არგაილის საგრაფოში, გლენკოს ხეობაში მუხანათურად გაჟლიტეს მაკდონალდები.

[15] ჯეიმზ (იაკობ) II - (1633-1701) ინგლისის მეფე 1685-1688 წლებში.

[16] იხ. სტატისტიკური ცნობები „შოტლანდიის შესახებ“, ტ. XVIII, გვ. 332. კიპენის სამრევლო (ავტორის შენიშვნა).

[17] იაკობინელები - ინგლისის ტახტის პრეტენდენტის, ჯეიმზ (იაკობ) III მომხრეები.

[18] ჯეიმზ VII კავალერი (1688-1766) ჯეიმზ II გარდაცვალების შემდეგ (1701 წელს) საფრანგეთმა, ესპანეთმა, რომის პაპმა და პარმისა და მოდენის ჰერცოგმა ინგლისის მეფედ ცნეს, მაგრამ პარლამენტმა სახელმწიფოს მოღალატედ გამოაცხადა იგი და ჯეიმზი იძულებული გახდა, ინგლისიდან გაქცეულიყო. ჯორჯ I ტახტზე ასვლის შემდეგ, 1715 წელს, შოტლანდიელები აუჯანყდნენ ახალ მეფეს და მოინდომეს ჯეიმზის გამეფება. აჯანყებული იაკობინელები გრაფ მარის სარდლობით შეიჭრნენ შოტლანდიაში, მაგრამ დამარცხდნენ პრესტონთან მომხდარ ბრძოლაში. 1716 წელს ჯეიმზი ჩავიდა შოტლანდიაში და თავი მეფედ გამოაცხადა ჯეიმზ VII სახელით, მაგრამ მალე იძულებული გახდა ინგლისიდან გაქცეულიყო. იგი იტალიაში ჩავიდა და რომში დასახლდა. 1727 წელს, ჯორჯ I გარდაცვალების შემდეგ, იგი კვლავ შეეცადა ინგლისის ტახტზე ასვლას რომის პაპის დახმარებით, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ამას ვერ მოახერხებდა და ხელი აიღო თავის განზრახვაზე. გარდაიცვალა ალობანოში (იტალია) 1766 წელს.

[19] ორი ისეთი თვისება იშვიათად გააჩნია ერთ ადამიანს, მაგრამ ჩვენი მამაცი და პრანჭია ესკვაირი ბუნებით ფრიად მორიდებული გახლდათ. აი როგორ აგვიწერს მას ლორდ ბინინგი თავის სატირულ პოემაში „დარბაზობა არგაილთან“. ვიდრე წარუდგა, ჰარიმ დარცხვენით ექვსჯერ დაუკრა თავი. დუკამ მიუგო მაშინ ალერსით: მორცხვობ - აშკარა არის. ჩანს საფრანგეთში რომ ხარ ნამყოფი, - ხარ ნატიფი და ზრდილი!..“ – ჰარი გაწითლდა და კარებისკენ მორცხვად იბრუნა პირი. იხ. „შოტლანდიელ ჯენტლმენთა პოემების კრებული“, ტ. II გვ. 125 (ავტ. შენიშვნა).

[20] ცეროდენა ჯონი (Little john) - რობინ ჰუდის თანამებრძოლი, ვეება ტანის კაცი.

[21] იხ. მისტერ გრემ გარტმორის „ზემო შოტლანდიის აჯანყების მიზეზები“, აგრეთვე ბარტის წიგნის „წერილები ჩრდილო შოტლანდიიდან“ ჯეიმისონისეული გამოცემის II ტომის დამატება, გვ. 35.8 (ავტ. შენიშვნა).

[22] „ღამით ლუსში ჩავიდნენ. აქ მათ შეუერთდა ლუსელი სერ ჰამფრი კოლკუჰუნი და პლასქანდერელი ჯეიმ გრანტი, ჰამფრის სიძე. მათ ორმოცდაათი აშოტილი ვაჟკაცი ახლდათ, რომელთაც მოკლე წინდები ეცვათ და პლედებზე ქამარი ჰქონდათ შემოჭერილი. ყოველ მათგანს საუცხოო თოფი ჰქონდა გადაკიდებული მხარზე, მარცხენა ხელში კი ლამაზი, მრგვალი ფარი ეჭირა. ფარს შუაში ფოლადის წვეტი მოუჩანდა, სიგრძით ნახევარი ელი. მეომრებს ჩელთი-ხმლები ეკიდათ გვერდზე, ქამარში კი თითო ან ორ-ორი დამბაჩა, ხანჯალი და დანა ჰქონდათ გარჭობილი“, (რეის „აჯანყების ისტორია“, ტ. IV, გვ. 287).

[23] ლოხ-ლომონდის ლაშქრობას ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მისი აღწერა ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა. ეს წიგნი მე არ მინახავს, მაგრამ თუ ისტორიკოს რეის მიერ მოტანილი ნაწყვეტით ვიმსჯელებთ, შესანიშნავად უნდა იყოს დაწერილი. „მეორე დღეს ანუ ხუთშაბათს თვის 13-ში, ისინი სალაშქროდ

დაიძრნენ და შუადღისას ინვერსნეიდს, მეტად სახიფათო ადგილს, მიადგნენ. ჰეისლის, დამბარტონისა და ზოგი სხვა მიდამოს მცხოვრებნი, სულ ასი კაცი, უშიშრად გადახტნენ ნაპირზე, ქედზე ავიდნენ და დიდხანს იდგნენ იქ, თანაც განუწყვეტლივ უკრავდნენ დაფდაფებს. ვინაიდან მტერი არ გამოჩნდა, აჯანყებულთა მიერ მოტაცებული ნავების მოსაძებნად წავიდნენ და შემთხვევით წააწყდნენ ბუჩქებში მიმალულ ნიჩბებს და ბაგირებს. შემდეგ ნავებიც იპოვეს - ნაპირიდან კარგა შორს რომ გაეთრია მტერს. ნავები, რომლებიც მთელი იყო, ტბაში ჩაუშვეს, დანარჩენი კი ჩაძირეს ან ნაფოტ-ნაფოტ დაჩეხეს. ისინი იმავე ღამეს დაბრუნდნენ ლუსში, იქიდან კი მეორე დღეს დამბარტონში მივიდნენ (საიდანაც იყვნენ წამოსულნი). იქ ტბის ნაპირას და კუნძულების ყურეებში ნაპოვნი ნავები მიაცურეს, ციხე-სიმაგრესთან დააბეს და ზარბაზანი დაუყენეს დასაცავად. ამ ლაშქრობის დროს მეკატარღეებმა და მოლაშქრეებმა იმდენი ისროლეს, რომ ტყვია-წამალი აღარ დარჩათ. ირგვლივ საშინელი ზავთი და გრიალი დადგა, რადგან ტბის ორივე მხარეს აზიდული მთები და კლდეები გამოძახილს იძლეოდნენ. მაკგრეგორები ისე დაშინდნენ, რომ ფაცხაფუცხით გაიქცნენ და სტრატ-ფილანში მდგომ აჯანყებულებს შეაფარეს თავი (რეის „აჯანყების ისტორია“, ტ. IV გვ. 287).

[24] პირველი ამბავი, რომელიც ცივილიზაციის უმაღლეს საფეხურზე მდგომი პიროვნებისა და ნახევრადველური საზოგადოების წარმომადგენლის ესოდენ ახლო ურთიერთობას ეხება, აწ განსვენებულ გრეგორისაგან, სახელგანთქმული ექიმისაგან მოვისმინე. მისი ოჯახის წევრებმა არ დაიზარეს საოჯახო საბუთების გადახედვა, ზოგი რამ თვითონაც გაიხსენეს და რამდენიმე სანდო შესწორება მომაწოდეს. მეორე ამბავს ერთი მოხუცის მოგონება დაედო საფუძვლად. ამ მოხუცს თავისი თვალით უნახავს, რომ დაფდაფების ხმის გაგონებაზე რობ როი ფრანგივით გაქცეულა - არც კი დამშვიდობებია თავის სწავლულ ბიძაშვილს. ეს

ამბავი მოხუცს ექიმ გრეგორის ქვისლისათვის, ალექსანდრე ფობრისისათვის, მოუყოლია (ალექსანდრე ფობრისი დღესაც ცოცხალია).

[25] მერკი - შოტლანდიური ფულის ერთეული; უდრის 13 შილინგს და 4 პენს.

[26] დაახლოებით 1792 წელს, როცა მთიან შოტლანდიაში ვმოგზაურობდი და იმ ადგილების გავლა მომიხდა, ინვერსნეიდში ისევ იდგა გარნიზონი - ერთადერთი ვეტერანი. ციხე-სიმაგრის პატივცემული მცველი მშვიდად მკიდა ქერს თავის ნაკვეთზე და როცა ღამის გათევა ვთხოვეთ, გვითხრა, მიბრძანდით, ფორტის გასაღები კარის ძირას არისო.

[27] „წერილები ჩრდილო შოტლანდიიდან“ ტ. II, გვ.35.5.-35.5.

[28] „შლეგ მწყემსებს“ საქონლის გამტაცებლებს უწოდებენ შოტლანდიაში.

[29] სტრატ-დირნი იმ ქარის სახელწოდებაა, რომელიც გამუდმებით ქრის ბადენონის ხეობაში.

[30] ასეთივე გამოთქმას მიაწერენ ყაჩაღ დონალდ ბონ ლინს. იხ. „უევერლი“. გვ. 398.

[31] სხვა წერილები გვამცნობენ, რომ რობ როის წინააღმდეგ თვითონ აპინი გამოვიდა. მე აქ ისე მომაქვს ინვერნჰაილის ვერსია, როგორც დამამახსოვრდა, მაგრამ ეს ამბავი ისე დიდი ხნის წინათა მაქვს მოსმენილი, რომ შეიძლება ვცდები კიდეც. ინვერნჰაილი საშუალოზე დაბალი, მაგრამ ჩადგმული კაცი იყო და საუცხოოდ ხმარობდა ხმალს.

[32] მრავალი წლის შემდეგ, როცა რობინ ოიგი დააპატიმრეს, ეს წყეული თოფი ჩამოართვეს. იგი იმ მოსამართლემ დაიტოვა, რომელმაც რობინი დაჰკითხა, ახლა კი ავტორის პატარა კოლექციის ერთ-ერთი ექსპონატია. თოფი ესპანურია და ზედ სამი ასო აქვს ამოკვეთილი R. M. C. ანუ რობერტ მაკგრეგორ კემპბელი.

[33] ავტორი არ არის დარწმუნებული, ღირს თუ არა იმის აღნიშვნა, რომ მეფის ბრძანება მის დროსაც კი დაუბრკოლებლად ვერ აღწევდა ბალკვიდერის ფრიალოებსა და ხევებში. ავტორს პირადად ჰქონდა შესაძლებლობა დარწმუნებულიყო ამაში; აპინის მფლობელი სტიუარტი ვალში იყო ჩამჯდარი (ვალის უმეტესი ნაწილი ავტორის ოჯახისაგან ჰქონდა აღებული) და გადახდას მხოლოდ ინვერნენტის ფერმის გაყიდვით თუ შეძლებდა, იმ ფერმისა, სადაც მაკლარენი მოკლეს. მაკლარენის ოჯახში რამდენიმე ბრგე, ირმებზე მონადირე მამაკაცი ცხოვრობდა. ისინი კვლავ ფლობდნენ ამ მამულს გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე; რაღაც მცირე თანხას იხდიდნენ მიწით სარგებლობის უფლებისათვის. ასეთი ხელშეკრულებით გაცემული მიწის ყიდვა არავის უნდოდა, მაგრამ ბოლოს თვითონ მაკლარენებმა, რომელთაც ამერიკაში მოინდომეს გადასახლება, გადაწყვიტეს თავიანთი საიჯარო ხელშეკრულება მიეყიდათ მოვალეებისათვის 500 გირვანქა სტერლინგად და მომავალი წილის სამების დღესასწაულზე აყრილიყვნენ ფერმიდან. მაგრამ არ ვიცი, მერე ინანეს, თანხა ეცოტავათ, თუ შერცხვათ მამულის დატოვება, მაკლარენებმა განაცხადეს, სასამართლოს მოხელეს აქ ფეხს არ დავადგმევინებთო. ეს კი აუცილებელი იყო ხელშეკრულების საბოლოოდ გასაფორმებლად. მაკლარენებს კარგად იცნობდნენ და ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ თუ მოინდომებდნენ, მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდნენ ყველას, ვინც მათი ნებართვის გარეშე გაბედავდა ფერმაში შესვლას, ამიტომ ყველამ, ვისაც უწყების მიტანა დაავალეს, ითხოვა სამხედროები გამაყოლეთო, ბოლოს მართლაც გააყოლეს მოხელეს სტირლინგში მდგომი მთიელთა პოლკის სერჟანტი, 6 ჯარისკაცი და ამ სტრიქონების დამწერი, რომელიც მაშინ მწერლის შეგირდი იყო (ეს თანამდებობა ადვოკატის თანაშემწის უფლებებს მაძლევდა იმ საპატიო დავალების შესრულებისას. მე თვალი უნდა მედევნებინა, რომ

მოხელეს კარგად შეესრულებინა მინდობილი საქმე. მამაც სერ-ჟანტს კი ძალადობით ან ძარცვა-გლეჯით არ გადაეჭარბებინა მი-ცემული რწმუნებებისათვის. საკმაოდ უცნაურია, მაგრამ მე პირვე-ლად შევდგი ფეხი ლოხ-კეტრინის რომანტიკულ მიდამოებში, იმ ლოხ-კეტრინისა, რომელსაც შემდგომში, შეიძლება ითქვას, საკ-მაოდ გავუთქვი სახელი. მეც ცხენით ვმოგზაურობდი ამ საშიშ მხარეში, ხან წინ მოვექცეოდი რაზმს, ხან უკან და თან გატენილ თოფს არ ვიშორებდი. სერჟანტი ნამდვილი მთის არწივი გამოდ-გა. ბევრი რამ მიამბო რობ როიზე და თან თავისი ამბებიც მოაყო-ლა. გზაში ხიფათი არ შეგვხვედრია და ინვერნენტში რომ მივე-დით, სახლი ცარიელი დაგვხვდა, სახლში სანოვაგე მოვჩხრიკეთ, ვივახშმეთ და დავიძინეთ, დილას კი სახლის გზას დავადექით და უვნებლად დავბრუნდით უკან. მაკალარენებმა თავიანთი კუთვნი-ლი თანხა მიიღეს და ამერიკაში გადასახლდნენ. ავტორი, რო-მელსაც მცირეოდენი წვლილი მიუძღვის ამ საქმეში, გულწრფე-ლად იმედოვნებს, რომ ისინი კარგად მოეწყობოდნენ ახალ ქვე-ყანაში. ინვერნენტის რენტამ მაშინვე აიწია 10 გირვანქიდან 70 თუ 80 გირვანქამდე და ძალიან მაღალ ფასად გაიყიდა (მე მგო-ნი, მაკნაბის აწ განსვენებულმა ლერდმა შეიძინა). ამ ფასად გა-ყიდვას ადრე ვერავინ იფიქრებდა.

[34] გამოქვეყნებულია „ბლეკვუდ მეგეზინში“, ტ. II, გვ. 228.

[35] „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“, II სიმღერა.

[36] იხილე დამატება №5.

[37] ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ხალხში ცნობილი, როდე-საც ძმები ოჯახში შეცვივდნენ, ჯეიმზ მორმა დასაშინებლად დაიყ-ვირა, აქვე ახლოს გლენგაილია ჩასაფრებული ასი კაცით და როგორც კი ნიშანს მივცემ, საშველად მოვაო ჯინ კეიმ მიუგო, ცრუობ, ვერ დავიჯერებ, რომ გლენგაილმა ასეთ ბოროტ საქმეში შეუწყოს ვინმეს ხელიო.

[38] პისტოლი - შექსპირის „ჰენრიIV“ პერსონაჟი.

[39] ალან ბრეკ სტიუარტი ამისთანა საქმეს არავის აპატიებდა. ისა და ჯეიმზ დრამონდ მაკგრეგორი კატარინისა და პეტრუჩიოსი არ იყოს, „ჩუმალა ეშმაკები“ გახლდნენ. ალან ბრეკმა საფრანგეთის რევოლუციის დაწყებამდე იცოცხლა. 1789 წელს ერთი ჩემი მეგობარი, რომელიც იმ დროს პარიზში ცხოვრობდა, ვინმე შოტლანდიელმა მღვდელმა (ეს მღვდელი ბენედიქტელთა ორდენის წევრი იყო) მიიწვია თავისთან - ჩემი ფანჯრიდან საინტერესო პროცესიას დაგანახვებო. მღვდლის ბინაში ვიღაც მაღალი, გამხდარი, ძვალმსხვილი და სახემოღუშული მოხუცი მისჯდომოდა ბუხარს; მკერდზე წმინდა ლუდოვიკოს ჯვარი ეკიდა. მოხუცს წინწამოწეული ნიკაპი, მაღალი ყვრიმალები და ფოლადისფერი თვალები ჰქონდა. წაღარაში აქა-იქ წითური თმები მოუჩანდა. მზისგან გარუჯულ სახეზე უამრავი ჭორფლი დასჩენოდა. მოხუცმა და ჩემმა მეგობარმა ფრანგული ჩვეულების მიხედვით რამდენიმე თავაზიანი ფრაზა უთხრეს ერთმანეთს და პარიზის ქუჩებსა და მოედნებზე დაიწყეს საუბარი. მოხუცმა, (იგი ჯარისკაცს ჰგავდა და მართლაც ძველი ჯარისკაცი გამოდგა) ამოიოხრა და შოტლანდიელი მთიელის გამოთქმით შენიშნა, - განა რომელიმე მათგანი შეედრება ედინბურგის მთავარ ქუჩასო. ამ ძველი გაბოლილი ქალაქის თაყვანისმცემელი ალან ბრეკ სტიუარტი აღმოჩნდა. კაცი, რომელმაც ოდესღაც საშინელი გაცოფება იცოდა და დაუნდობლად გამოასალმა სიცოცხლეს თავისი გვარისა და ტომის მტერი, ახლა პატარა პენსიას იღებდა და მშვიდად ცხოვრობდა პარიზში.

[40] რობ როის შვილების გასამართლების აღწერა და ცნობები რობ როისა და მისი ოჯახის შესახებ 1818 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ედინბურგის გაზეთში.

[41] ჯეიმზი ამ დროს სამი თვის გარდაცვლილი იყო, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, მის ოჯახს ჯერ არაფერი სცოდნოდა.

[42] Ite conclamatum est - ყველაფერი დამთავრდა (ლათ.).

[43] წერილის ადრესატი არ ჩანს. სტილისა და ტონის მიხედვით, აშკარაა, რომ იგი წოდებითა და თანამდებობით ჰერცოგზე მეტია. იგი, შესაძლებელია, სახელმწიფო პროკურორი იყოს.

[44] ანტუან-ლეონარდ ტომა (1732-1789) - ფრანგი პოეტი.

[45] ჰერცოგი სალი (1560-1641) - ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ჰენრიხ IV პირველი მინისტრი. დატოვა მემუარები, რომელიც მთლად სანდო არ არის.

[46] პიერ კორნელი (1606- 168) - ფრანგი პოეტი - დრამატურგი, ცნობილი ტრაგედიების, „სიდის“, „ჰორაციუსისა“ და სხვათა ავტორი.

[47] ნიკოლა ბუალო-დეპრეო (1636-1711) - ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი, „პოეტური ხელოვნების“ ავტორი. ჯოზე ფადისონი (1672-1719) - ინგლისელი მწერალი და ჟურნალისტი.

[48] ბენ ჯონსონი (1553-1637) გამოჩენილი ინგლისელი დრამატურგი (კომედიოგრაფი) და პოეტი.

[49] აქ იგულისხმება პარლამენტის გადატრიალება 1688 წელს, რომელსაც ბურჟუაზიული ისტორიკოსები „დიად რევოლუციას“ უწოდებენ. ამ გადატრიალების შემდეგ ტახტიდან ჩამოაგდეს ფანატიკოსი კათოლიკე იაკობ (ჯეიმზ) II სტიუარტი და მეფედ დასვეს ჰოლანდიის მმართველი, ჩარზლ I შვილიშვილი ვილჰელმ III ორანელი.

[50] დიდი მონარქი - იგულისხმება საფრანგეთის მეფე ლუი XIV.

[51] ედუარდი, უელსის უფლისწული (1330-1370) შავ უფლისწულად წოდებული, (შავ აბჯარს ატარებდა) - ინგლისის მეფის ედუარდ III შვილი. მამასთან ერთად იბრძოდა ინგლის-საფრანგეთის ასწლიან ომში და თავი გამოიჩინა კრესის ბრძოლაში (1346).

[52] დისიდენტი - გაბატონებული იდეოლოგიის, დოგმების მოწინააღმდეგე. ამ შემთხვევაში იგულისხმება პრესვიტერიანე-

ლების მიმდევარი, პრესვიტერიანელები საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ. ეს ჯგუფი შეიქმნა ინგლისურ-შოტ-ლანდიურ პროტესტანტ-პურიტანებში. ისინი ზედმეტად მიიჩნევ-დნენ მდიდრულ საეკლესიო ცერემონიალს და ნატიფ ხელოვნე-ბას, უარყოფდნენ ეკლესიის ფეოდალურ ორგანიზაციას და თვლიდნენ, რომ რელიგიური საქმეები უნდა განეგოთ არჩეულ მამასახლისებს.

[53] ფრენკის ყველა ლექსი წარმოადგენს თვითონ უოლტერ სკოტის ლექსების პაროდიას.

[54] ოქსფორდი და კემბრიჯი - უძველესი უნივერსიტეტები ინ-გლისში, სადაც სწავლობდნენ არისტოკრატთა და ბურჟუაზიის უმაღლესი ფენის ოჯახის შვილები.

[55] იაკობინელები - 1688 წელს განდევნილი იაკობ II (ჯეიმ-ზის მომხრეები - უპირველესად ინგლისისა და შოტლანდიის კონ-სერვატორი არისტოკრატები და მთიანი შოტლანდიის თითქმის მთელი მოსახლეობა.

[56] ვესტმისტერი და იტონი - ინგლისის უძველესი კოლეჯები.

[57] გინეა - ინგლისური ფული. უდრის 21 შილინგს (დაახლ. 10 მანეთს).

[58] პაპისტი - პროტესტანტები ასე უწოდებდნენ კათოლიკეებს (დაცინვით).

[59] „შმაგი როლანდი“ - არიოსტოს (177 - 1533), აღორძინე-ბის ეპოქის იტალიელი პოეტის ცნობილი პოემა.

[60] სპენსერის სტროფი შედგება ცხრა სტრიქონისაგან, აქვს რითმათა რთული სისტემა. სახელი ეწოდება ინგლისელი პოეტის სპენსერის (1553-1599) პატივსაცემად.

[61] რიპონის დეზები - დეზები, რომელსაც აკეთებდნენ იორ-კშირის ქალაქ რიპონში.

[62] ჯონ გეი (1685-1732) - ინგლისელი კომედიოგრაფი და პოეტი სატირიკოსი.

[63] აქ ფრენკი იხსენებს ძველ ინგლისურ თქმულებას, რომ-ლის მიხედვით ობოლი ბიჭი დიკ უიტინგტონი ლონდონის დატო-ვებას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად ზარების რეკვა მოესმა და უკან დაბრუნდა. შემდგომში იგი ლონდონის ლორდ-მერი გახდა.

[64] „მათხოვართა ოპერა“ - გეის კომიკური ოპერა, რომელიც მოგვითხრობს დამნაშავეთა ცხოვრებას. ოპერა მწარედ დასცი-ნოდა ინგლისის მმართველ კლასებს.

[65] „პეწენიკის ფანდი“ - ინგლისელი დრამატურგის, ჯორჯ ფაკერის (1678-1707) კომედია.

[66] ენტონი-ვუდი - მე-17 საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი. დაწერა ქალაქ ოქსფორდის გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება.

[67] შმაგი უფლისწული - უფლისწული ჰარი შემდგომში მეფე ჰენრი მე-5; პოინსი - შექსპირის ისტორიული ქრონიკის „ჰენრი IV“ პერსონაჟი.

[68] ბუცეფალი - ალექსანდრე მაკედონელის ტაიჭი.

[69] სტონი - 14 ინგლისური გირვანქა. ინგლისური გირვანქა უდრის 55 გრამს.

[70] ჩარლზ ჩერჩილი (1731-176) - ინგლისელი პოეტი-სატი-რიკოსი.

[71] აქციზის მოხელეთა რევიზორებისა და დამფასებლების გაგზავნამ შოტლანდიაში გამოიწვია მოსახლეობის ძლიერი უკმა-ყოფილება, თუმცაღა ეს ღონისძიება სამეფოთა შეერთების ბუ-ნებრივი შედეგი იყო (ავტორის შენიშვნა).

[72] ვილჰელმ I დამპყრობელი (1027-1082) - ნორმანდიის ჰერცოგი, 1066 წელს დაიპყრო ინგლისი და სამეფო გვირგვინი დაიდგა თავზე.

[73] „ხარი“ - საქმოსანი, რომელიც აქციის კურსის აწევით იღე-ბს მოგებას, „დათვი“ კი დაწევით. ეს ტერმინები დღესაც იხმარება ინგლისის სავაჭრო წრეებში.

[74] ჰომეროსის პოემის, „ილიადას“, პერსონაჟები.

[75] სინონი - ვირგილიუსის პოემის „ენეიდას“ პერსონაჟი - ცბიერებისა და ორპირობის განსახიერება.

[76] ეპიკურელი - ადამიანი, რომელიც ცდილობს, დატკბეს ამქვეყნიური ცხოვრებით (ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ეპიკურეს მიმდევარი).

[77] ეს, როგორც ჩანს, დაწერილია „უილკსისა და თავისუფლების“ დღეების მომდევნო ხანაში (ავტორის შენიშვნა).

[78] ჰერცოგი ფილიპ ეორლეანელი (167 1723) ლუდოვიკო XIV გარდაცვალების შემდეგ გახდა მცირეწლოვანი ლუდოვიკო XV რეგენტი, მისი რეგენტობის დროს დაიწყო აბსოლუტური მონარქიის გახრწნა.

[79] ვიგები და ტორები - ინგლისის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც წარმოიშვა მე-17 საუკუნეში მეფისა და პარლამენტის ბრძოლის შედეგად. ვიგები სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის უმაღლესი ფენის წარმომადგენლები იყვნენ და იბრძოდნენ მეფის უფლების შესაზღუდავად და პარლამენტის როლის გასაძლიერებლად. ტორები გამოხატავდნენ კონსერვატორული თავად-აზნაურების ინტერესებს და ცდილობდნენ აბსოლუტიზმის შენარჩუნებას. ვიგები პროტესტანტები იყვნენ, ტორები - ანგლიკანური (ინგლისური) ეკლესიის მიმდევრები. ტორების მემარცხენე ფრთამ არ სცნო 1688 წლის გადატრიალება და ჩამოაყალიბა იაკობინური პარტია.

[80] 171 წლიდან ვიგების ხელშეწყობით ინგლისის ტახტზე დამკვიდრდა გერმანიის პატარა სახელმწიფოს, ჰანოვერის სამეფო გვარის წარმომადგენელი ჯორჯ I. ამ დინასტიას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ინგლისთან.

[81] მაღალი ეკლესია - ანგლიკანური ეკლესიის განშტოება, რომელიც მდიდრული ცერემონიალის მომხრე იყო. იგი განსხვა-

ვებით „დაბალი ეკლესიისაგან, რომელსაც დისიდენტები ეკუთ-ვნოდნენ, მტრულად არ იყო განწყობილი კათოლიკობისადმი.

[82] სტიუარტები - ინგლისის სამეფო დინასტია 1603-1688 წლებში.

[83] მეფე ჯეიმზი (იაკობი) - იგულისხმება მეფე ჯეიმზ II შვილი , რომელიც შეეცადა დამჯდარიყო ინგლისის ტახტზე 1708 წელს, მაგრამ ვერ მოახერხა.

[84] ნებროთი - ბიბლიის მიხედვით - ბაბილონის მეფე, ასირი-ის დამაარსებელი, ნადირობის ტრფიალი.

[85] ორსონი - დამახინჯებული ფრანგული ourson - დათვის ბელი, მე-15 ს-ის ბოლოს შექმნილი ანონიმური მოთხრობის გმი-რი. ორი ობოლი ძმიდან ერთი, ორსონი, დათვმა გაზარდა ტყე-ში, მეორე, ვალკენტინი, მეფის კარზე გაიზარდა.

[86] მეფე უილი - ვილჰელმ ორანელი - ნიდერლანდების შტატ-ჰალტერი, რომელიც 1688 წელს თავისი ჯარით გადავიდა ინგლისის სანაპიროზე ჯეიმზ II სტიუარტის წინააღმდეგ საბ-რძოლველად. მისი ჩამოგდების შემდეგ გამეფდა ინგლისში ვილჰელმ III სახელით (1689-1702).

[87] „ნადირობა ჩივიოტის მთებში“ - ძველებური ინგლისურ-შოტლანდიური ბალადა. აქ იხმარება დიდი ნადირობის მნიშვნე-ლობით.

[88] Festin de pierre - თავდაპირველად ასე ეწოდებოდა მო-ლიერის კომედიას „დონ-ჟუანს“.

[89] თომას პენ როზი - (17 2-1779) - ინგლისელი პოეტი.

[90] სტონ ჰენჯი (დაკიდული ქვა) - კელტური ეპოქისა ქვის შე-ნობის ნაშთი ინგლისში, სოლსბერის მახლობლად.

[91] გიასი და კლოანტი - ენეის მხლებლები (თანამგზავრები) ვირგილიუსის პოემა „ენეიდადან“.

[92] ენაკი - გოლიათთა ბიბლიური წინაპარი.

[93] „the spectator“ („დამკვირვებელი“) - მე-18 საუკუნის დასაწყისის სატირული ჟურნალი; გამოდიოდა 1711-1712 და 171 წლებში (რ. სტილისა და ჯ. ადისონის რედაქტორობით).

[94] ანუ ქალები. იგულისხმება ბიბლიური ლეგენდა, რომლის მიხედვით ღმერთმა ევა ადამის ნეკნიდან შექმნა.

[95] იგულისხმება ფრანგი მწერლის ჟანფრანსუა მარმონტელის (1723-1799) რომანი „ველიზარი“.

[96] მე-18 საუკუნის დასაწყისში, როცა მთავრობა ეჭვს აიღებდა, რომ კათოლიკეები აჯანყების დაწყებას აპირებდნენ, ცხენებს ჩამოართმევდა ხოლმე (ავტორის შენიშვნა).

[97] სამუელ ბატლერი (1612-1680) - ინგლისელი პოეტი სატირიკოსი. ერთ-ერთ პოემაში მწარედ დასცინის პურიტანელ დიდებულს.

[98] Canet - დე, იმღეროს (ლათ.).

[99] გორგონები - ბერძნულ მითოლოგიაში ბოროტი ქალები, რომელთაც თმების ნაცვლკად გველები ესხათ თავზე. ერთ-ერთი გორგონას - მედუზას - შეხედვა ყოველივე სულიერს ქვად აქცევდა.

[100] Contra pacem domini regis - მეფის სიმშვიდის წინააღმდეგ (ლათ.).

[101] quorum - (ლათ.) აქ - უმაღლესი საზოგადოების წარმომადგენელი.

[102] Custom rotulorum - კანონის მცველი (ლათ.).

[103] ედუარდ III (1327-1377) სტატუტები უმეტესად სახელმწიფო მოღალატეთა სასჯელის გადაკვეთას ეხება.

[104] თემიდა - ანტიკური მითოლოგიის მიხედვით - სამართლიანობის ქალღმერთი.

[105] კომოსი - ქეიფის ღმერთი.

[106] ჩივიოტის მთები აღმართულია ინგლისისა და შოტლანდიის საზღვარზე.

[107] KIII-Down - მოკალი (ინგლ.).

[108] კონსტებლი - პოლიციელის ჩინი ინგლისში.

[109] ინგლისური ხალხური საბავშვო სიმღერა.

[110] აქ ანაქრონიზმი ან შეცდომაა: ჯონ არგაილმა (შოტლანდიელი კემპბელების ფეოდალური გვარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა) შოტლანდიის ჯარის მთავარსარდლის პოსტი 1714 წელს კი არა, 1712 წელს დაიკავა. აქ აშკარა შეცდომაა, რადგან რომანში აღწერილი ამბები 1714-1715 წლებში ხდება (უ. სკოტის შენიშვნა).

[111] სერ ჯონ ფენვიკი 1697 წელს სიკვდილით დასაჯეს მეფე ვილჰელმ III შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

[112] ნაწყვეტი მე-16 ს-ის ანონიმური ავტორის ლექსიდან „ინდური ფოთოლი“.

[113] ჰენრი VIII სტატუტთა 37 ეწ მუხლით და ვილჰელმ III სტატუტთა I მუხლით (ლათ.).

[114] ხის ქოშებს დაცინვით უწოდებდნენ ირლანდიელებს; სათბუნი - აქ ჯობსონი გულისხმობს ჭორს, რომ თითთქოს ტახტის პრეტენდენტი ჯეიმზი არ იყო მეფე ჯეიმზ II ნამდვილი შვილი. ამ ჭორის მიხედვით უფლისწული ჯეიმზი სათბუნში ჩასმული შეუყვანიათ იმ ოთახში, სადაც ვითომდა მშობიარობდა დედოფალი მარია მოდენელი.

[115] Femme coucerte (ფრანგ.) - სიტყვა-სიტყვით: ქალი, რომელსაც მფარველობას უწევენ, ანუ მამის ან ქმირის მეურვეობაში მყოფი ქალი.

[116] ილოტები - დამონავებული გლეხები ძველ სპარტაში, აქ - ადამიანი, რომელიც მონურ სამუშაოს ასრულებს.

[117] უილტონის ქალთა მონასტერი დახურვის შემდეგ ჰენრი VIII თუ მისი შვილის ედუარდ VI ბრძანებით უბოძეს გრაფ პემბროკს. როცა ტახტზე დედოფალი მერი ავიდა (იგი კათოლიკე იყო), გრაფმა საჭიროდ ჩათვალა მონასტერი კვლავ ძველი წი-

ნამძღვრისათვის და მისი მშვენიერი მონაზვნებისთვის დაებრუნებინა,. ამასთან მან ფრიად გულმხურვალედ მოინანია ძველი შეცოდება - სათითაოდ მოიყარა მუხლი ყოველ მონაზონთან და სთხოვა, მონასტერში დაბრუნებულიყვნენ და იმ მიწით ესარგებლათ, საიდანაც ამას წინათ თვითონვე აყარა. ელიზაბეტის გამეფების შემდეგ გრაფმა კვლავ შეიცვალა ტყავი - პროტესტანტობა მიიღო და მეორედ გაყარა მონაზვნები თავიანთი მონასტრიდან. როდესაც წინამძღვარმა ქალმა გაახსენა ეს სიტყვები, გრაფმა მიმართა, „წადი და მატყლი დაართე, ბებერო როკაპო“ (ავტორის შენიშვნა).

[118] ფოლიანტი - დიდი ფორმატის წიგნი.

[119] სპინეტი - ძველებური მუსიკალური ინსტრუმენტი.

[120] შექსპირის ტრაგედია „მეფე ჰენრი IV“ (I ნაწილ.) სერ რიჩარდ ვერნონი აღწერილი ჰყავს გაუბედავ და ვერაგ ადამიანად.

[121] ვან-დეიკი (1599-16 1) - ცნობილი ჰოლანდიელი მხატვარი.

[122] ვერნონი სულ ყვავის ან, თუ სხვანაირად დავყოფთ სიტყვებს: Vernos simper viret - გაზაფხული ყოველთვის არ ყვავის.

[123] მანკიერება (iniquity) - შუა საუკუნებრივი დიდაქტიკური კომედიის პერსონაჟი.

[124] ჯონ გუილიმი (1565-1621) - უძველესი ინგლისური საგერბო წიგნის ავტორი.

[125] ჩარლზ I (1625-16 9) - ინგლისის მეფე, სიკვდილით დასაჯეს რევოლუციონერებმა.

[126] ამალექიტელები - ბიბლიური მომთაბარე ტომი, მცხოვრები პალესტინის სამხრეთით. ისინი გამუდმებით ებრძოდნენ იუდეველებს.

[127] „Tristin“ - ცნობილი რომაელი პოეტის ოვიდიუსის (3 წ. ჩ. ერამდე - 17 წ. ჩვ. წ. აღრ.) წიგნი, რომელიც დაკიაში (რუმი-

ნეთში) დაწერა, სადაც გადასახლებაში იმყოფებოდა. უ. სკოტი ცდება, როდესაც გადასახლების ადგილად თრაკიას ასახელებს.

[128] დუნსიადა - ალექსანდრე პოპის (1688-17) სატირული პოემა.

[129] ცნობილი ყავახანა მე-18 ს-ის ლონდონში.

[130] იტალიელი კარდინალი მაზარინი ლუდოვიკო XIII პირველი მინისტრი გახდა და საფრანგეთის ფაქტიური მმართველი იყო ლუდოვიკო XIII მეფობის პირველ პერიოდში. ასეთივე როლს ასრულებდა კარდინალი ალბერონი ესპანეთის მეფის, ფილიპე V კარზე.

[131] კალიპსო - ნიმფა, რომლის კუნძულზე მოხვდა ოდისევსი გემის დამსხვრევის შემდეგ.

[132] ბერძნულ მითოლოგიაში სიმდიდრის ღმერთს პლუტოსი ერქვა.

[133] რიჩარდ III - ინგლისის მეფე 1 83-1 85 წლებში, ბოროტი და ტირანი მმართველი; შექსპირის ამავე სახელწოდების ტრაგედიის პერსონაჟი.

[134] იხ.„ოტელო“, II მოქმედება, სცენა მე-2; აქედანვეა აღებული ამ თავის ეპიგრაფი.

[135] ლომბარდის ქუჩაზე ლონდონში თავმოყრილი იყო სავაჭრო კანტორები, აქვე იყო საფონდო ბირჟა.

[136] ელიზია - ლექსში სიტყვის ბოლო ხმოვნის დაკარგვა, როცა მომდევნო სიტყვა ხმოვნით იწყება.

[137] კამილა - ვირგილიუსის „ენეიდას“ პერსონაჟი - მებრძოლი ქალი.

[138] ლერდი - მემამულე (შოტლ.).

[139] ამ დროს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომი მიმდინარეობდა ფლანდრიის ტერიტორიაზე (ე.წ. „ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის“, 1701-171 წლებში).

[140] სენტ-ჯემზის სასახლე - ინგლისის მეფეთა მუდმივი რეზიდენცია მე-18 ს-ში.

[141] ჯონ გრეჰემგრემმა (163-1689) ჯეიმზ II ტახტიდან ჩამოგდების მერე შეკრიბა ჯარი და მთიან შოტლანდიაში მოაწყო აჯანყება მეფის ტახტზე ასაყვანად, მაგრამ იგი დაიღუპა ერთ-ერთ ბრძოლაში და აჯანყება სისხლში ჩაახშვეს.

[142] Blenseance - თავაზიანობის წესები (ფრანგ.).

[143] ტვიდი (Tweed) - მდინარე შოტლანდიაში, რომელიც ახლოს ჩაუდის ინგის-შოტლანდიის საზღვარს.

[144] თომას თიკელი (1686-1790) - ინგლისელი პოეტი, რომანტიკოსთა ერთ-ერთი წინამორბედი.

[145] ედმუნდ სპენსერი (1552-1599) - ინგლისელი პოეტი „ფერიათა დედოფლისა“ და სონეტების ავტორი.

[146] პაკოლეტი - ფეხმარდი ჯუჯა, შუა საუკუნეების რაინდული რომანების პერსონაჟი.

[147] გოტფრიდ ავგუსტ ბიურგერი (17 7- 179) - გერმანელი პოეტი. ეპიგრაფი აღებულია მისი ცნობილი ბალადიდან „ლენორა“.

[148] ლაიტფუტი (lightfoot) ინგლისურად ნიშნავს ფეხმსუბუქს.

[149] ციტატა შექსპირის „მაკბეტიდან“.

[150] ენდრუს მიერ დამახინჯებული ლათინური იურიდიული ფორმულა - „jurisdictions fundandi causa“ - სარჩელის დასაბუთებისათვის.

[151] ანუ, არც რომაულ-კათოლიკურისა და არც ანგლიკანური ეკლესიის მომხრე არა ვარო.

[152] ჯონ ლენგჰორნი (1737- 1779) - ინგლისელი პოეტი, პლუტარქეს „ბიოგრაფიების“ მთარგმნელი.

[153] იგულისხმება ინგლისური რენესანსის პერიოდის პოეტის ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობები“. პოემა იწყება პროლო-

გით, სადაც სასტუმროში შეკრებილი მოგზაურები (პილიგრიმები) ამბებს უყვებიან ერთმანეთს.

[154] „მგლოვიარე პატარძალი“ - უ. კონგრივის (1670-1729) ტრაგედია.

[155] „გადარჩენილი ვენეცია“ - თომასოთვეის (16521685) დრამა

[156] აქ ანაქრონიზმია, რადგან წმინდა ენოქის ტაძარი იმ დროს არ იყო აგებული (უ. სკოტის შენიშვნა).

[157] მირზას ზმანება - ადისონის მოთხრობა, დაბეჭდილი ჟურნბალ „ობსერვერის“ ერთ-ერთ ნომერში. ამ ნაწარმოებში ალეგორიული ფორმით არის აღწერილი მარადისობის ოკეანეზე გადებული ცხოვრების ხიდი.

[158] ეს გრეგორია (გელურად).

[159] ოლდერმენი - ქალაქის საბჭოს წევრი.

[160] ჯამი, შედეგი (ლათ.).

[161] ალმანზის (ქალაქია ესპანეთში) ბრძოლა მოხდა 1707 წელს. ინგლისელები და მათი მოკავშირეები დამარცხდნენ.

[162] სასენახი - საქსონელი ანუ ინგლისელი (გლეხურად).

[163] Judicio sisti - თავდებობა, როცა თავდები პასუხისმგებ-ელია, მხოლოდ მოპასუხის სასამართლოში გამოცხადებაზე.

[164] პროვოსტი - მერი (შოტლ.).

[165] ანუ ციხის კედლებსა და ბორკილებს ვერ ვიტანთო.

[166] შოტლანდიელი მთიელები.

[167] 11 ნოემბერი.

[168] ტიტირი - ვირგილიუსის I ეკლოგიის პერსონაჟი (სენტი-მენტალური მწყემსი).

[169] ანდრეა-ფერარა - ფართო და მოკლე ხმალი, რომელ-საც შოტლანდიელი მთიელები ატარებდნენ.

[170] ბროგები - შოტლანდიელ მთიელთა ტყავის ფეხსამოსი.

[171] ასე გამოთქვამდნენ კემპბელის გვარს ჩრდილო შოტლანდიაში.

[172] კოლოპსი - ხორცის ღვეზელი.

[173] კლახანი - შოტლანდიური სოფელი.

[174] ამანი ბიბლიური გადმოცემით სპარსეთის მეფის არტაქსერქსეს დიდებული იყო. მეფე განურისხდა მას და ჩამოახრჩო.

[175] „შენც“ - რობერტ გრინის (1558-1592) პიესა.

[176] ქსანტიპა - ბერძენი ფილოსოფოსის, სოკრატეს ცოლი - კაპასი ქალი.

[177] Per annum - წელიწადში, წლიურად (ლათ.).

[178] გილი (gillie) - მოჯამაგირე, მსახური (შოტლ.).

[179] ვიგამორი (whigamore) - ასე უწოდებდნენ ვიგებს დაცინვით.

[180] თომას გრეი (1716-1771) - ინგლისელი პოეტი, რომელიც ქება-დიდებას ასხამდა შოტლანდიას.

[181] შელუნი - შალის თხელი ქსოვილი.

[182] ძველ დროში, ზამთრობით, შოტლანდიელი ბიჭები სატურნალიის მსგავს გასართობებს აწყობდნენ - გამვლელებს გუნდებს უშენდნენ, მაგრამ საფრთხეში ჩავარდნილთ შეეძლოთ თავის გამოხსნა - ქალებს რევერანსით, მამაკაცებს ტავის დაკვრით. გუნდების სეტყვა მხოლოდ ჯიუტსა და უზრდელს ატყდებოდა თავს (ავტორის შენიშვნა).

[183] ბიბლიური გადმოცემით რობოამი სოლომონ ბრძენის უღირსი მემკვიდრე იყო.

[184] ეს გამოთქმა კრიკეტის თამაშში იხმარება.

[185] ოლივერ კრომველის არმიამ 1651 წელს ვუსტერთან დაამარცხა მეფე ჩარლზ II ჯარი.

[186] ანუ არგაილებს. აქ სიტყვის თამაშია: „guile“ (წარმოითქმის: „გაილ“) ინგლისურად მოტყუებას ნიშნავს.

[187] მთავრი მიწა - იგულისხმება კუნძული დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთის ნაწილი.

[188] ეს „კეთილშობილური მათხოვრობის“ ერთ-ერთი სახე იყო, უფრო სწორად, რაღაც საშუალო რამ მათხოვრობასა და ყაჩაღობას შორის; უპოვარი შოტლანდიელი გამოსძალავდა საქონელს ან სხვა ფასეულობას თავის თანამემამულეს, რომ თავი ერჩინა (ავტორის შენიშვნა).

[189] დურლახი - ტყავის ჩანთა, გუდა, რომელსაც წელზე იკიდებენ შოტლანდიელი მთიელები.

[190] რობინ ჰუდი - ინგლისის სახალხო გმირი; მე-12 საუკუნეში მდიდრებს ძარცვავდა და ღარიბებს ეხმარებოდა.

[191] უილიამ უოლესი - შოტლანდიელი სახალხო გმირი (მე-13 ს-ში).

[192] 1689 წელს კილიკრანკის ბრძოლაში აჯანყებული კლანების წინამძღოლმა, დუნდიმ (ჯეიმზ II მომხრემ) დაამარცხა ვილჰელმ III ჯარი.

[193] მარკიზი ჯეიმ ზმონტროზი (1612-1650) - მდიდარი შოტლანდიელი ფეოდალი. ინგლისის რევოლუციის დროს მეფის მხარეზე იბრძოდა. 1650 წელს შეეცადა შოტლანდიელები სტიუარტების მხარეზე დაეყვანა. უოლტერ სკოტმა შოტლანდიელთა აჯანყება აღწერა რომანში „ლეგენდა მონტროზზე“.

[194] დაახლოებით 1392 წელს ჩრდილოეთის ქალაქ პერთთან ორმა კლანმა გადაწყვიტა თავის დავა ბრძოლით გადაეწყვიტა. თითოეული მხრიდან 30 კაცი გამოვიდა. ასპარეზობას მეფე ესწრებოდა. ერთ-ერთ მხარეს კაცი დააკლდა და დაბალი ტანის, ფეხმოქცეული პერთელი მოქალაქე შეიყვანეს თავის რაზმში. ეს შემცვლელი, ჰენრი უინდი (მთიელები მას გოუ ხრომს - ფეხმოქცეულ მჭედელს - ეძახდნენ) გმირულად იბრძო და დიდი წვლილი შეიტანა თავისი რაზმის გამარჯვებაში, თუმცა, არც კი

იცოდა ვის ემხრობოდა. ამის შემდეგ გაჩნდა გამოთქმა: „ჰენრი უინდივით თავის თავისთვის იბრძვისო“ (ავტორის შენიშვნა).

[195] დიდი არმადა - ასე უწოდებდნენ ესპანეთის ფლოტს, რომელიც 1588 წელს ფილიპე II გააგზავნა ინგლისის სანაპიროსაკენ. იგი ჯერ ქარიშხალმა, შემდეგ კი ინგლისელებმა გაანადგურეს.

[196] ფილისტიმელები - ძველი მეომარი ტომი, მცხოვრები პალესტინაში, რომელთაც გამუდმებით ეომებოდნენ ებრაელები. აქ მის ვერნონი ფილისტიმელებში გულისხმობს პროტესტანტებს.

[197] შპატი - ცხენის ავადმყოფობა - ძვლების ქრონიკული ანთება.

[198] მონს მეგი - დიდი ძველებური ქვემეხი. შოტლანდიელი მდაბიონი დიდი პატივისცემით და სიყვარულით ახსენებდნენ ქვემეხს. იგი ფლანდრიის ქალაქ მონსში იყო ჩამოსხმული ჯეიმზ IV თუ ჯეიმზ V მეფობაში. ქვემეხი ხშირად იხსენიება იმდროინდელ საბუთებში: იცემოდა თანხა ბებერი მეგი ლულის გასაპოხად (ყოველმა მოსწავლემ იცის, რომ ლულაგაპოხილ ქვემეხს უფრო დიდი ხმა აქვს), ლაფეტის ბაბთებით შესამკობად, საყვირებისათვის - როდესაც შორეულ ლაშქრობაში მიჰქონდათ ციხესიმაგრიდან ბრძოლის ველამდე საყვირებით აცილებდნენ. სამეფოების შეერთების შემდეგ ხალხს ეშინოდა, ვაითუ შოტლანდიის სამეფო რეგალიების სამარცხვინო დაკარგვის შემდეგ ჯერი მეორე პალადიუმზე, მონს მეგზე მიდგეს და ქვემეხი ინგლისში გააგზავნონო. რეგალიებს უბრალო ხალხს არ აჩვენებდნენ და ისინი ყველას ინგლისში ეგონა წაღებული. მონს მეგი კი კვლავ ედინბურგის ციხესიმაგრეში იდგა, ვიდრე საარტილერიო სამმართველოს ბრძანებით, მართლაც, არ გადაიტანეს ვულვიჩში (დაახლ. 1757 წელს). რეგალიები მისი უდიდებულესობის 1812 წლის საგანგებო დეკრეტით გამოიტანეს საცავიდან და გამოფენა მოაწყვეს, რომ ხალხს დაეთვალიერებინა და გარდასულ დღეთა მოგონებებით

„დამტკბარიყო“. ამ ზამთარს 1828/29 წ. მონს მეგი იმ ქვეყანაში დააბრუნეს, სადაც კვლავ წარსულის ამაღელვებელ ძეგლად უწერია გარდაქცევა, ყველა სხვა ქვეყანაში კი იგი მხოლოდ დაჟანგული თუჯის გროვად იქნებოდა მიჩნეული (ავტორის შენიშვნა მეორე გამოცემისთვის).

[199] დონალდი - მამაკაცის სახელია შოტლანდიაში. იგი თითქმის საზოგადო სახელად იქცა.

[200] იუსკვებო - შოტლანდიური შინ ნახადი არაყი.

[201] „ინგლისური არ მესმის“ (გელურად).

[202] ბობი - ძველებური შოტლანდიური სპილენძის ფული, დაახლოებით 6 პენსის ღირებულებისა.

[203] ბერძნულ მითოლოგიაში ჰეკატე ერქვა ღამის ქალღმერთს. იგი მფარველობდა ბოროტებას, ჯადოსნობას და მიცვალებულთა სულებს.

[204] ტოფიტის ორმო - ორმო იერუსალიმის მახლობლად, რომელშიც მთელი ქალაქის ნაგავს ყრიდნენ.

[205] დუნევასალებს უწოდებენ ზემო შოტლანდიელ ჯენტლმენებს, ჩვეულებრივ, აზნაურთა ოჯახებს უმცროს შვილებს. დუნევასალები ფლობდნენ მიწის ნაკვეთს, მაგრამ ბელადს ემორჩილებოდნენ (ავტორის შენიშვნა).

[206] სიმკაცრე ილაჯს უწყვეტს მტრედებს, ხოლო ყორნებს მოწყალებით ეპყრობა (ლათ.).

[207] Hors de combat - მწყობრიდან გამოსული, დამარცხებული (ფრან.).

[208] ე. ი. სტიუარტთა კლანიდან.

[209] ჯოზეფი - მხედრის სამოსი - სადა ხიფთანი, რომელსაც ღილებით იკრავდნენ.

[210] კატერანები - ზემოშოტლანდიელთა არარეგულარული ჯარი. ხალხი ამავე სახელს უწოდებდა ყაჩაღებისა და მეკობრეებს.

[211] ჯონ კუპერი, ალან რემზი - მე-18 საუკუნის შოტლანდიელი პოეტები, რომელთაც დავა ჰქონდათ ერთმანეთში, თუ რა სტილით უნდა იწერებოდეს ლექსები შოტლანდიის წარსულზე.

[212] ლიმფადა - გალერა, რომელიც გამოსახული იყო არგაილისა და კემპბელთა (კომილთა) კლანის სხვა გვარების გერბზე.

[213] ლოხოუ და მისი მომიჯნავე ოლქები ძველთაგანვე კემპბელთა სამფლობელო იყო. გამოთქმა: „აქედან ლოხოუმდე, რამდენიც არ უნდა იარო, ვერ გააგნებო“ ანდაზად იქცა.

[214] რკინის ქალწული - გილიოტინის მსგავსი მანქანა, რომელსაც შოტლანდიაში ხმარობდნენ სიკვდილით დასასჯელად.

[215] ანაქრონიზმია: მაკლარენი, ბელადის, აპინის ხელქვეითი, მაკგრეგორებმა 1736 წელს ანუ უკვე რობ როის სიკვდილის შემდეგ მოკლეს.

[216] „ბონდუკა“ ანუ „ბოადიცეია“ - ინგლისელი დრამატურგის ჯონ ფლეტჩერის (1579-1625) პიესა. ამ პიესის მთავარი გმირია რომაელ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი ბრიტების წინამძღოლი ქალი.

[217] ბუროკი - ქვების გროვა.

[218] არ ვიცი, როგორ იყო საქმე მისტერ ოსბალდისტონის დროს, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით ვუთხრა მკითხველს, რომელსაც ამ რომანტიკულ თავგადასავალში აღწერილი ადგილების მოვლის სურვილი გაუჩნდებოდა, რომ ამჟამად კლახან აბერფოილში პატარა მყუდრო სასტუმრო დგას. თუ მკითხველი შოტლანდიის წარსულითაც არის დაინტერესებული, ესიამოვნება იმის გაგება, რომ შესაძლებლობა ექნება, გაიცნოს თეოლოგიის პატივცემული დოქტორი პატრიკ გრეჰემი - აბერფოილის მღვდელი - ნონკონფორმისტი. როდესაც ლაპარაკი შოტლანდიის წარსულზე ჩამოვარდება, მისი თავაზიანი სიტყვამრავლობა, თითქმის უტოლდება მის მიერვე შეგროვილ უამრავ ლეგენდასა და გად-

მოცემას (შენიშვნა ხელნაწერზე). გადმოცემით ეკლესიის პატივ-ცემული მსახური, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა (ავტორის შენიშვნა).

[219] გიიოკელი უოლტერ კუმინგი - ვინმე მკაცრი ფეოდალი; ერთხელ იგი რომელიღაც ბოროტი საქმის ჩასადენად გაემგზავ-რა. გიიოკის ტყეში რომ შევიდა, ცხენიდან გადმოვარდა, მაგრამ ცალი ფეხი უზანგში ჩარჩა, ცხენი დაფრთხა, გაჭენდა და მხედა-რი ნაკუწ-ნაკუწ დაიფლითა. ამის შემდეგ ანდაზად ამბობენ: უოლტერ კუმინგის დღე დადგაო (ავტორის შენიშვნა).

[220] გაბარტი - ლიხტერის მსგავსი ხომალდი. გაბარტები მდინარე კლაიდზე დადიოდნენ. სახელი, ჩანს, ფრანგული „gabare“-დან წარმოსდგება (ავტორის შენიშვნა).

[221] მორის გული - შოტლანდიური ბალადის გმირი - დიდსუ-ლოვანი ყაჩაღი.

[222] აქ ალბათ იგულისხმება ბრძოლები პრესტონპასთან და ფოლკერკთან, რაც საშუალებას გვაძლევს ამ მოგონებების და-წერის თარიღი 1745 წლის შემდეგ ვივარაუდოთ (უ. სკოტის შე-ნიშვნა).

[223] ბედლამი - სულით ავადმყოფთა თავშესაფარი შოტ-ლანდიაში.

[224] ესპანეთის მემკვიდრეობისათვის დაწყებული ომი 1713 წელს უტრეხტის ზავით დამთავრდა. ამ ომის დროს ინგლისი და ნიდერლანდები მოკავშირეები იყვნენ. ისინი საფრანგეთსა და ეს-პანეთს ებრძოდნენ, მაგრამ თვით ამ მოკავშირეთა შორისაც სე-რიოზული უთანხმოება იყო.

[225] ნიმი - უ. შექსპირის ტრაგედიის „ჰენრი V“ პერსონაჟი.

[226] სილფი - ფანტასტიკური არსება, რომელიც ჰაერის სტი-ქიას განასახიერებდა.

[227] Hiaterica passio - გრძნობათა ისტერიული აფეთქება (ლათ.).

[228] „კრიტიკოსი ანუ ერთი ტრაგედიის რეპეტიცია“ - ინგლისელი დრამატურგის რ. სერიდანის (1751-1816) ფარსი.

[229] ტირიფის ტოტებს, ცოცხების გარდა, ხშირად სახრჩობელას თოკის ნაცვლადაც ხმარობდნენ შოტლანდიასა და ირლანდიაში: ამით თოკის მომჭირნეობას ეწეოდნენ (უ. სკოტის შენიშვნა).

[230] ინგლისიდან განდევნილი ჯეიმზ II ლუდოვიკო (ლუი) XIV შეიფარა და სენ-ჟერმენის სასახლეში მიუჩინა ბინა. ამავე სასახლეში ცხოვრობდა შემდგომში მისი შვილი ჯეიმზ III.

[231] მალვოლიო - შექსპირის კომედიის, „მეთორმეტე ღამის“ პერსონაჟი - ბრიყვი, რომელსაც თავი ჭკვიანი ეგონა.

[232] Millia molligheart - ათასი წყევლა და კრულვა (გელ.).

[233] ულისე - ოდისევსის ლათინური სახელწოდება.

[234] გაიუილიოს კეისარი (101- ჩ. წ. აღ-მდე) - რომაელი მხედართმთავარი და დიქტატორი - სიცოცხლის ბოლო წლებში რომის იმპერიის ერთმმართველი გახდა, მაგრამ რესპუბლიკური წყობა არ გაუუქმებია. შექსპირმა ეს შემდეგნაირად გამოხატა თავის ტრაგედიაში „იულიუს კეისარი“: კეისარს გვირგვინს სთავაზობდნენ, იგი ხელს იწვდის მისკენ, მაგრამ შემდეგ სურვილს სძლევს და იმპერატორობაზე უარს ამბობს.

[235] ასე უწოდებს რობ როი მონტროზის ჰერცოგს.

[236] მაკრიმონები, ანუ მაკკრიმონდები დახელოვნებული მესტვირეების გვარია, ისინი მაკმოდის კლანის ბელადებთან მსახურობდნენ. პირბოხმა, რომელიც ჰელინ მაკგრეგორმა შეთხზა, ჩვენამდე მოაღწია. პირბოხი სტვირზე დასამღერებელი არიაა შოტლანდიაში.

[237] შოტლანდიური ანდაზაა.

[238] აქ იგულისხმება 1707 წლის არეულობა, რომლის შედეგად შოტლანდია ინგლისს შეუერთდა.

[239] Seid suas - დასცხეთ (გელოურად).

[240] ჯერადტის სასამართლო (სამართალი) - შოტალანდიის ქალაქ ჯედარტის მიხედვით - აქ იგულისხმება ამ ქალაქში სასამართლოს განაჩენი; ბრალდებული ჯერ დასაჯეს და შემდეგ გამოიტანეს განაჩენი. ჯედარტის, აგრეთვე კუპარისა და ჯერბურგის სამართალი ანდაზად იქცა.

[241] ჯონ ბენიანი (1628-1688) - ინგლისელი მწერალი - პურიტანელი - ალეგორიული ნაწარმოების „პილიგრიმის მოგზაურობის“ ავტორი.

[242] ეს ხალისიანი ლექსი, თუ არ ვცდები, გვხვდება შედუელის პიესაში „ბარის ბაზრობა“.

[243] რისვიკის ზავი დაიდო 1697 წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

[244] კავალერებს ანუ რაინდებს უწოდებდნენ სტიუარტთა დამხობილი დინასტიის მომხრეებს. კავალერი - ჯეიმზ III სტიუარტი.

[245] „დონ სებასტიანი“ - ჯონ დრაიდენის (1631-1700) ტრაგედია.

[246] სეტი - ტახტის სახეობაა ინგლისში.

[247] მეთიუ პრაიორი (166 -1721) - ინგლისელი პოეტი და დიპლომატი. მისი მონაწილეობით დაიდო რისვიკის ზავი. პრაიორს მარალი თანამდებობა ეჭირა ტორების მთავრობაში, ვიგების მმართველობის დროს კი თანდათანობით გადააყენეს და დაატიმრეს (1715-1717 წწ.). აქ მან დაწერა რამდენიმე პოემა, მათ შორის „სოლომონი“.

[248] ბრანდერბასი - ძველებური თოფია, მუშკეტს წააგავს.

[249] Affidavit - ჩვენება, რომელიც მხოლოდ ფიცითაა დამოწმებული.